ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

VI

«ქართული საბჭოთა ენციკლოპედია»
1977

Академия наук Грузинской ССР

ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Том VI

СУДЕБНЫЕ РЕШЕНИЯ

(XVIII—XIX вв.)

Тексты издал, примечаниями и указателями снабдил
проф. И. С. ДОЛИДЗЕ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ქართული სამართლის ძეგლები

ტომი VI

სასამართლო განჩინებანი

(XVIII—XIX სს.)

ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
პროფ. ი. დოლიძემ

ԳՐԱԴԱՐԱՆ
БИБЛИОТЕКА

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

34 (С 41)₄(09)
34 (47.922) (09)
ქ 279

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეექვსე ტომი შეიცავს სასამართლო განჩინებებს, რომლებიც გამოტანილი იყო სხვადასხვა სასამართლო დაწესებულებების მიერ XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე. საბუთების დიდი ნაწილი გამოვლინებულია რესპუბლიკის არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში, ავრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდებში და პირველად ქვეყნდება. საბუთებს ერთვის მოკლე არქეოგრაფიული შენიშვნები, ხოლო ტომს — საკუთარ სახელთა და ტერმინთა სახიებლები.

11001
ქ M 607 (03)—77 110—76 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

წინასიტყვაობა

«ქართული სამართლის ძეგლების» მეექვსე ტომში იბეჭდება XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასამართლო განჩინებები, რომლებიც დადგენილია სხვადასხვა სასამართლო დაწესებულებების მიერ.

განჩინებათა დიდი ნაწილი, რომელიც პირველად ქვეყნდება, მოპოვებულია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მდებარე საარქივო ფონდებსა და ხელნაწერთა საცავებში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების აკად. მარი ბროსეს ფონდში დაცული გურიის სამთავროს მდივანბეგთა განჩინებები, რომელთა ტექსტები მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი იყო.

გამოჩენილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ გურია-აჭარაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს (1873 წ.) ოზურგეთში, მდივანბეგ გიორგი ერისთავის ძის დათო ერისთავის ოჯახში, იპოვა გურიის მდივანბეგთა განჩინებების ხელნაწერი, რომელიც სხვა ხარახურასთან ერთად გადასაყრელად ყოფილა განკუთვნილი.

მანვე 1878 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ ნაშრომში — «Археологическое путешествие по Гурии и Адчаре» (გვ. 341—351) ხელნაწერის აღწერილობა და რამდენიმე განჩინების ანოტაცია დაბეჭდა. რაც შეეხება თვით განჩინებათა ტექსტებს, ისინი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

როგორც ირკვევა, დ. ბაქრაძეს ეს განჩინებები აკად. მ. ბროსესთვის გადაუგზავნია პეტერბურგში. ხელნაწერი წარმოადგენს დედანს, რომელიც ამჟამად დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (შიფრი Н—73). განჩინებანი დაწერილია ლურჯი და რუხი ფერის ქაღალდზე. სულ ხელნაწერი 43 განჩინებასა და ერთ თავბოლონაკლულ არზას შეიცავს. განჩინებები დადგენილია გურიის მდივანბეგების სვიმონ გუგუნავას, გიორგი ერისთავისა და ბეჟან გუგუნავას მიერ 1818 წლის ივლის-დეკემბერსა და 1822 წლის

აგვისტოში. ზოგიერთ განჩინებას მდივანბეგთა ხელრთვებიც ახლავს.

მართალია, განჩინებები XIX საუკუნის პირველ მეოთხედს მოიცავენ, მაგრამ უდავოა, რომ მათში ასახულია გურიის სამთავროს ადრინდელი სამართალწარმოების პრაქტიკა. ისინი შეიცავენ ძვირფას მასალას აღნიშნული სამთავაროს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ. განჩინებები საინტერესოა არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ სამართალწარმოების ფორმით, სასამართლო მტკიცებულებათა სახეებითა და იშვიათი იურიდიული ტერმინებით. ამ მხრივ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმერეთისა და განსაკუთრებით ქართლ-კახეთის სასამართლო აქტებისაგან.

რამდენადაც ყველა განჩინება ერთი ნუსხითაა წარმოდგენილი, ხელნაწერის მთლიანობისა და გვერდების თანამიმდევრობის შენარჩუნების მიზნით მთელ კრებულს ერთად ვაქვეყნებთ.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ მდივანბეგთა სასამართლოებს მოქმედება ერთბაშად არ შეუწყვეტიათ. ტომში დაბეჭდილი მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში მდივანბეგთა უკანასკნელი განჩინება 1809 წლის 7 სექტემბრით, ხოლო სასულიერო სასამართლოს (დიკასტერიის) განჩინება 1810 წლის 16 მარტით თარიღდება. რაც შეეხება იმერეთს, აქ მდივანბეგთა უკანასკნელი განჩინება დათარიღებულია 1822 წლის 21 ნოემბრით. სამეგრელოს სამთავროს მდივანბეგთა ბოლო განჩინება კი, ჩვენი მასალების მიხედვით, გამოტანილია 1857 წელს.

რუსული მმართველობის დამყარების შედეგად სასამართლო წარმოებაშიც რუსული ენა დამკვიდრდა, რაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ ესმოდა. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ სამედიატორო სასამართლოსათვის მიემართათ, რომელსაც თვითონ მოდავე მხარეები თავიანთი ნება-სურვილით ირჩევდნენ. სადავო საქმეთა დიდი ნაწილი ამ სასამართლოების მეშვეობით წყდებოდა. სამედიატორო სასამართლოებში სამართალწარმოების ერთიანი წესები და პრაქტიკა არ არსებობდა; არც განჩინებათა სანიმუშო ფორმები იყო შემუშავებული და დადგენილი. თუ როგორ დაეცა სამართალწარმოებისა და განჩინებათა შედგენის კულტურა, ამას ცხადად მოწმობს მედიატორეთა სასამართლოს 1805 წ. თებერვლის განჩინება გიორგი ბასტამაშვილის ყმის საქმეზე (საბ. № 179), რომელიც სავსეა გაზვიადებული და არაფრისმთქმელი მსჯელობით.

წინამდებარე ტომში სანიმუშოდ შეტანილია მედიატორეთა სასამართლოს რამდენიმე განჩინება. რაც შეეხება სხვა სასამართლოების (მეფის, კათალიკოსის, ბატონიშვილების, მდივანბეგებისა და სხვ.) ჩვენამდე მოღწეულ განჩინებებს, რომლებიც შემონახულია დედნების თუ პირების სახით, უკლებლივ ყველას ვაქვეყნებთ.

ტომის დანართში იბეჭდება XVI—XVIII სს. რამდენიმე განჩინება, და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, რომელთა დიდი ნაწილი ბოლო წლებში გამოვაელინეთ.

ტექსტები დასაბეჭდად მომზადებულია არსებული ნუსხების მიხედვით, ალაგ-ალაგ აღდგენილია ხარვეზები და დამახინჯებული ადგილები, გამართულია ორთოგრაფია და პუნქტუაცია. მიუხედავად ამისა, გამოქვეყნებული მასალა არ შეიძლება კრიტიკულ, საბოლოოდ დადგენილ ტექსტად ჩაითვალოს.

«ქართული სამართლის ძეგლების» IV—VI ტომებში სულ 1450 განჩინება გამოქვეყნდა, რომლებიც თითქმის სამ საუკუნეს-ხევარს (XVI—XIX სს.) მოიცავს. განუზომელია ამ მასალის მნიშვნელობა გვიანფეოდალური საქართველოს არა მარტო სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების, არამედ მთელი სოციალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

V და VI ტომების საძიებლები გაერთიანებულია — ჯერ მითითებულია მეხუთე, ხოლო შემდეგ მეექვსე ტომის გვერდები. პირთა საძიებლებშია მითითებული მათი სახელოებიც (თანამდებობები).

ტომს დართული აქვს წინა ტომებში შემჩნეულ უმნიშვნელოვანეს შეცდომათა გასწორება. მკითხველს ვთხოვ გაითვალისწინოს ისინი წიგნით სარგებლობის დროს.

*
* *

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების ფუძემდებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი 1938 წლის 9 მაისს **ენიმკის** სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამბობდა: «თუ ჩვენ ეხლავე არ შევუდექით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საქმეები მუშაობისას პირდაპირ გადაეღობა დაბრკოლებას წააწყდებით. ჩვენ ორიოდე ძეგლს გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული».

რაც შეეხება ქართული სამართლის ძეგლებს, 1940 წლისა-

თვის მხოლოდ „ჯელმწიფის კარის გარიგება“ და „ვაჰანის ქუაბთა განგება“ იყო რიგიანად გამოცემული. სწორედ ამიტომ დიდმა მეცნიერმა, რომლის ხელმძღვანელობით მაშინ ჩვენ, ვითარცა იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტი, სადისერტაციო თემაზე ვმუშაობდით, სხვა საკითხების შესწავლასთან ერთად ასეთი ტექსტოლოგიური ხასიათის სამუშაოც დაგვავალა (დისერტაცია რუსულად იწერებოდა): «Грузинский текст законов царя Вахтанга VI по древнейшим рукописям: сличение и исправление текста §§-ов, касающихся норм крепостных взаимоотношений. Сличение с русским переводом тех-же §§-ов Френкеля-Бакрадзе и французским переводом и комментариями проф. Жозефа Карста».

ამრიგად, ქართული სამართლის წიგნთა ნუსხების კრიტიკული შესწავლა ჩვენ ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს დავიწყეთ. 1953 წელს ორი უძველესი ნუსხის მიხედვით გამოვაქვეყნეთ მე-14 საუკუნის უმნიშვნელოვანესი იურიდიული ძეგლი — ბექა-აღბუღას სამართალი, ხოლო 1957 წელს — გიორგი ბრწყინვალის კანონები, რომელთაც ვრცელი გამოკვლევები და იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონები დავურთეთ. ქართული სამართლის ძეგლებზე თითქმის ორი ათეული წლის მუშაობის შედეგად, 1963 წელს გამოქვეყნდა ჩვენი სერიის — „ქართული სამართლის ძეგლების“ პირველი ტომი, რომელიც შეიცავს დიდი განმანათლებლის, „მეფე-მეცნიერის“ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს. კანონთა ტექსტი დადგენილია ორი უძველესი ნუსხის მიხედვით, ტექსტს დართული აქვს გამოკვლევები, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები. დღეისათვის გამოცემულია „ქართული სამართლის ძეგლების“ ექვსი ტომი, რომელიც 300 ნაბეჭდ თაბახს შეიცავს. ამ ტომებში თავმოყრილია, თემატიკურად დალაგებული და გამართულია ქართული საერო და საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი წინათ გამოქვეყნებული არ ყოფილა და სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ჩვენი გამოცემის საშუალებით შევიდა.

გარდა ამისა, „ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე და მესამე ტომებში ბევრი ისეთი საბუთია დაბეჭდილი, რომლებიც 70—80 წლის წინათ იყო გამოცემული და რომელთა ხელნაწერები (დედნები და პირები) ამჟამად დაკარგულად ითვლება. ამ ძეგლების გამოცემა ტექსტის გამართვისა და გაგების თვალსაზრისით (პუნქტუაცია, ორთოგრაფია; კარებად, მუხლებად და აბზაცებად დაყოფა) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წინათ გამოქვეყნებულ ტექსტებთან შედარებით.

სერიის პირველ, მეორე და მესამე ტომებს დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა-შენიშვნები, ხოლო მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ტომებს — მოკლე არქეოგრაფიული შენიშვნები. ჩვენს გამოცემაში ბევრი უთარიღო საბუთის შედგენის დრო დაზუსტებული და დათარიღებულია. ამასთან მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ტომებში დაბეჭდილ რამდენიმე საბუთში ამოკითხულია სამეფო თუ სამოხელეო ბეჭდების წარწერები, რომლებიც დღემდე გაუხსნელი იყო (იესე მეფისა, თეიმურაზ მეორისა, მდივანბეგებისა, მდივნებისა და სხვათა).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართული სამართლის ძეგლების“ პუბლიკაცია ძველ გამოცემებთან შედარებით უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ამ დადებით მხარეებთან ერთად დასახელებულ პუბლიკაციას ნაკლოვანებებიც აქვს. გამოცემის მთავარი ნაკლი, როგორც ეს მითითებულია სათანადო ტომების წინასიტყვაობებში, ის არის, რომ გამოქვეყნებული ტექსტები საბოლოოდ გამართული და კრიტიკულად დადგენილი არაა. ამასთან, დაბეჭდილ ტექსტებს დართული არა აქვს კომენტარები, მხოლოდ მოკლე არქეოგრაფიული შენიშვნების დართვით ვემაყოფილდებით. გვხვდება შეცდომები როგორც ტექსტში, ისე შენიშვნებსა და საძიებლებშიც.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება საისტორიო თუ იურიდიული საბუთების კრებულის არც ერთი კრიტიკული გამოცემა. ამიტომ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებისა, ვფიქრობთ, მაღლიერი მკითხველი არათავმდაბლობად არ ჩაგვითვლის თუ ვიტყვით, რომ «ქართული სამართლის ძეგლები» ფრიად საჭირო და სასარგებლო პუბლიკაციაა, რომელიც ჯეროვან სამსახურს უწევს მეცნიერ მუშაკებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სერიის პირველივე ტომის პუბლიკაციამ ერთობ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა რუსულ სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაშიც*.

«ქართული სამართლის ძეგლების» მორიგ მეშვიდე ტომში დაიბეჭდება XVIII საუკუნის სასამართლო არზა-ოქმები.

ი. დოლიძე

* სტატიაში — «Некоторые вопросы развития науки истории государства и права СССР» პრინც. ქ. ასფრონენკო წერდა: «Следует отметить также вышедшие научные работы акад. И. С. Долидзе «Обычное право» и «Судебник Бека и Агбуги» (на грузинском и русском языках), из них самое крупное исследование — это «Памятники грузинского права». т. I — Сборник законов Вахтанга VI. Тексты, исследование и словарь подготовлены проф. И. С. Долидзе. Издание этих памятников является большим достижением ученых-историков права Грузии» (Вестник Московского Университета, Серия X, Право, 4, 1965).

ტექსტები

1. განჩინება დარჩო მელიქ-მამასახლისის დუქნების საქმეზე

1797 წ. 27 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 838. დედანი. ქაღალდი 20,7×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ჭ. მის უმაღლესობას მეფეს ირაკლის აქიმბაშის იოსებისათვის თავის ახალის დუქნებიდამ, რომელიც დეკანოზის შვილს სოლომანს ეჭირა, იქიდამ ორი დუქანი ებოძებინა, ასე გარჩევით; ოქმი მელიქ დარჩიაზედა და პენტელაშვილს იოანეზედ იყო.

ქეთხუდები, კალატოზების ოსტატები და ხუროების ოსტატი მოვასხით. ორი დუქანი თავის ქვეით ორის ოთახით და ზემოთ კიდევ თავის ორის დუქნით, რომ შეიქმნა ზეით და ქვევით დუქნები ოთხი და ოთახი ორი. ამის ხარჯი ჩავაგდევით ოცდარვა თუმანი, რომ იქნება ნახევარი **იდ** (თოთხმეტი თუმანი) ამდონსა. ამ დუქნების მიჯნა არის ბასტამაშვილის დუქანზედ მიკვრით ბაყალი ვართანას დუქანი, იმასთან მესანთლე გევურქას დუქანი, ამის ბანის დუქნებშიაც ერთში ზის ალაფი რევაზა და მეორეში ბაისოღოლანთ მიღდისი ანტონა ზის.

იანვრის **კზ**, ქორონიკონს **უპე** დარჩია

2. განჩინება ანტონ II-ისა სოფელ ყანდიაურის თაობაზე

1797 წ. 28 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 957. დედანი. ქაღალდი 57,5×24,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ჭ. ყანდიაური სოფელი ძველთაგანვე ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შ[ჰა]ბაზ ყენს რომ კახეთი მოუოხრებია, მასუკან ხარაბათ იყო, რომ ყანდიაუ-

---

1+ და.

რის სოფელში შენობა აღარა ყოფილა. ახლა მისმა უმაღლესობამ მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულსმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა.

ახლა ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქმან ალავერდელმან, ძემან მისის[1] უმაღლესობის მეფის ირაკლი მეორისამან, ანტონიმ ჩვენის დიკასტირიის თანდასწრებით ასე განვსაჯეთ:

რადგანც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ყმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს; როგორც წინასაგარეჯო და უკანსაგარეჯო სამეფოთა და სვეტისცხოველისათვის სანახევროთ ძევს, ესეც იმ განწესებით უნდა იყოს. სადაც რომ დღეს ყანდიაური სოფელი სახლობს, იმის ჩამოსწერივე ალავნითვე თავის გასადეურით ყანდიაურის სოფლისათვის დაგვიდვია სამკვიდროდ და საბოლაოდ.

და თუ სადმე ალავნელი მემკვიდრე კაცი არის, მოვა და თავის მამულს ჯელს მოჰკიდებს, იმას თავის მამულს ვერავინ შეეცილება და იმისი გამოსავალი საკუთრად ალავერდის ეკლესიისა იქნება.

და კიდევ ვინ იცის, როგორ მოხდეს, რომელნიც კაცნი მისმა უმაღლესობამ მეფემ ყანდიაურსა და ალავანში დაასახლა, ესენი რომ იქ აღარ დადგნენ და დაიფანტნენ, ის მამული ისევ საკუთრად ალავერდის წმინდის გიორგისა იქნება.

და თუ რომ იქ ესახლებიან და, როგორც ზემოთ დაგვიწერია, როგორც წინსაგარეჯო და უკანსაგარეჯო სამეფოთა და სვეტისცხოველისათვის სანახევროთ ძევს, ეს ყანდიაური სოფელიც იმ წესით და იმ რიგით უნდა იყვნენ.

ყანდიაურის მოურაო ჯანდიერიშვილო როსებანახჩიბაშო! როგორც განგვიწესებია და გაგვირიგებია, ამას ასე აღასრულებდე, მეფეს თავის წილს მიართმევდე და ეკლესიას თავის წილს მიართმევდე. ფებერვლის **კგ,** ქორონიკონს **უპე.**

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი.

[1] იმისის.

ქ. მდაბალი მთავარეპისკოპოსი პაისიოს ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი პაისიოს.

მდაბალი მიტრაპოლიტი წიზიყისა და ბოდბისა ბეჭედი: იოანე.

ქ. მდაბალი ნინოწმიდელ მიტროპოლიტი მიხაილ ბეჭედი: მიხაილ.

მდაბალი არხიეპისკოპოსი ბეჭედი: რუსთველი სტეფანე.

უღირსი მწიგნობარ-არხიმანდრიტი ბეჭედი: ტრიფილე.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე, მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდლის ჩვენის ძის ანტონისა და მისის დიკასტირიის განსჯილსა და გარიგებულსა ამას ვამტკიცებთ. ფებერვლის **კე,** ქორონიკონს **უპე.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდლის ჩვენის ძმის ანტონისა და მისის დიკასტირიის განსჯილსა და გარიგებულს ამას ვამტკიცებთ. მარტის **იზ,** ქორონიკონს **უპე.**

ბეჭედი: გიორგი.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დადიანის ასული დარეჯან, ამ წერილს ვამტკიცებთ. ივნისის **იზ,** ქორონიკონს **უპვ.** ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, მისი[ს] უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდელ ჩვენის ძმის და მისის დიკასტირიის განსჯილსა და გარიგებულს ამას ვამტკიცებთ. მარტის **კბ,** ქორონიკონს **უპე.**

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

verso

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფის ძე, დიდებულის კემწიფის იმპერატორი პაული პეტროვიჩის სარდალი, მირიან მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდელ ჩვენის ძმის და მისის დიკასტირიის განსჯილსა და გარიგებულსა ამას ვამტკიცებთ. ივლისის **იგ,** ქორონიკონს **უპვ.**

ბეჭედი: დავითის ტომთა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან.

3. არზა გაბრიელ ხელჯოხიანისა სისხლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მდივანბეგთა განჩინებით

1797 წ. 27 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13821. დედანი. ქაღალდი. 22,5×15,5 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას თქვენს ხელჯოხიანს გაბრიელს.

ჩემო ხელმწიფევ! ამას წინათ ჩემი ბიძაშვილი რომ ერთმა სომეხმა და ერთმა მუღანლოელმა[1] თათარმა ცივეზე მოკლეს[2], რამდენიმე დღე არის თავი გაწყვინეთ და ის სომეხი დაატყრინეთ და თათრისთვისაც იასაულები წავიდნენ, თათარი გაეპარა და რაც იმისი სახლი და საქონელი იყო, იასაულებმა ზავთი უქნეს[3].

იმ დღესაც თქვენმა უმაღლესო[ბა]მ ბძანა, რაც ჩემი ბიძაშვილის სისხლი არის, მებოძოს; სამართალი აღარა მეღირსა და არა მებოძა რა.

გევედრები, თქვენად სადღეგრძელოთ იასაულებს ებძანოს, რაც ჩემი ძმის სისხლის ფასი იყოს, მომცენ. და იმ სომხის ბიჭს ჩემი ბიძაშვილის საქონელი აქა-იქ გაუყიდნია, ისიც გამამირთონ და მომცენ. იმ სომხის ბიჭის ნასაღი ბძანეთ იმ დღეს; იმისი ნება თქვენი არის.

მე კი ამას გევედრები, რომ ჩემი სისხლი და საქონელი არ დაიკარგოს და მომეცეს. ღმერთი შეილებს გიცოცხლებს, მოგეხსენება თქვენს მეტი მოწყალე და პატრონი არავინ მეგულება. ჩემი სისხლი არ დაიკარგოს. თებერვლის... ქორონიკონს **უპე**.

თავში

უფალნო მდივანბეგებო და მდივნებო! ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ, ამის სისხლი უნდა მოსცეს კაცის მკვლელებმა; და ნასაღისა ჩვენ ვიცით. და ვის[ზედაც იმ [მ]კვდრის კაცის საქონელი მიესყიდოს, ისიც გამოართმევინეთ და ეარისს მიაბარეთ. ფებერვლის **კზ**, ქორონიკონს **უპე**.

ქ. ეს კი ასე უნდა მოხვდეს. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ უნდა მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

[1] მუღანლოელი. [2] მოეკლათ. [3] უქნიათ.

[განჩინება]

ქ. მის უმაღლესობას ამ ჴუშმარიტის სჯით რომ უბძანებია სისხლი უნდა მოსცენო, ნასაღისა ჩვენ ვიცითო და რაც მკვდრის საქონელი აუკლიათ, ისიც მიაცემინეთო, რადგან უსაბუთოთ და უბრალოდ გზაზე მოუკლავს ნურიას და არაქელას და იმისი საქონელიც აუკლიათ, რომ სია აქვსთ, რაც დღეს ჩანს, ის სიის საქონელი ვისაც უყიდია, უნდა გამოერთოსთ და მკვდრის პატრონს მოეცეს; რომელსაც მიუყიდია, უნდა იმას ელაპარაკნენ და იმათ პასუხი უნდა გასცენ. და რაც აკლია და აღარა ჩანს, უნდა იმისი ფასი ორთავ მოსცენ, როგორც ღირებულა.

ამის სიქ[ვ]დ[ი]ლის სისხლი არის ოცდაოთხი თუმანი. ეს ოცდაოთხი თუმანი უნდა ნურიამ და არაქელამ მოსცენ ამ მკვდრის ვარისს.

რომელიც ამისი მოასილი ხართ, ეს ასე აღასრულე. მარტს **ე**, ქორონიკონს **უპე**.

ქ. ამ მკვდრის ვარისი ამ არზის მიმრთმეელი კარის ხელჯოხიანი გაბრიელ არის, უნდა ამ გაბრიელს მოჰბარდეს.

ხუთი ბეჭედი: 1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვევედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო
2. მდივანბეგი
3. არ ირჩევა
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან
5. ქენ(?) მადლით ღმერთსა... ყოფს ერთსა...

4. განჩინება თარხან გიორგისა და მეითარ სოლომონის მამულის საქმეზე

1797 წ. 5 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8754. პირი. ქაღალდი. მხედრული. აგრეთვე ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 24. საბ. № 52. პირი.

ქ. მის უმაღლესობას ებძანა ჩვენ — კათალიკოს-პატრიარხის მეფის ძის ანტონისათვის, საქართველოს უფლისწულის მეფის ძის იულონისათვის — მსაჯულთშეკრებულება თქვენთან დაისწარით, თარხანი გიორგი და მეითარი სოლომონ ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო.

თარხან გიორგი და ბეცია არზით ასე ჩიოდნენ: ოთხმოცი წელიწადი ჰაღიას მამული ჩვენ გვჭირავს, ამი-

სი მამა-პაპანი აქ ყოფილან, არ მდავებიან. ახლა თქვენს შვილს იულონთან სოლომონს ეჩიენა, იასაულად მაღალაშვილი დავით ებოძა, ჭაღიას მამულზე და ოთხს ხოდაბუნზე კელი ამიმართეს. ამდენის ხნის ნაჭერს მამულს თუ სამართალი ჩამომამართვეს, ნება სამართლისა არისო.

ამავ არზზე მის უმაღლესობას ოქმით ებძანა: «მაღალასშვილო დავით! რადგან ამ სადაოსი მოასილი შენ ხარ, ეს მამულები ისევ დაანებე თარხანს და ბეციას სამართლამდინ. და თუ სოლომონს სიტყვა აქვს, სამართალში ელაპარაკოს. მაგრამ თუ გამტყუნდება, ერთიორად წაერთმევა; რომელიც მართალი იქნება, იმას უბოძებთო. ჩვენო ღმრთის წყალობავ შეიღო ბატონო იულონ! ესენი რომ ზევით სწერია, ჯერ უკან მოცემინე. თუ სამართალში მართალი გამოვა, ესენი ხიჯილათს გასწევენო».

თარხანი ამავ არზით და ამაზედ წარწერილის ოქმით ასე ჩიოდა.

სოლომონმა ასე მიუგო: ჭაღიას მამული ამ ბარათით ჩემი ყოფილა, თქვენ მიფარვით დაგიჭერიათ. და თუ თქვენი ყოფილა, თქვენ მოიტანეთ ან ბარათი და ან სხვა წერილიო.

თარხანმა მიუგო: პაპა შენს სხვისთვის მიუყიდია, იმ მყიდველს ჩვენთვის მოუყიდია, რომ ნასყიდობის წიგნი მჭონდაო. მერე ჩემი ბიძასშვილი გლახა რომ გამეყარა, წილს ითხოვდა. მამაშენმა ზაზამ წიგნი მოსცა გლახას, უნდა წილი დაგიდოსო. თუ კი მამის შენისა იყო, რათ მისცა გლახას წერილი — შენი საწილო არისო.

რადგან თარხანმა თქვა ნასყიდი გვაქვსო და ნასყიდობის წიგნი გვქონდაო და ზაზასაგან მოცემული წიგნი გლახას ჰქონდაო, ამისი ასე განვაჩინეთ: თუ თარხანმა ჭაღიას შვილის მამულის ნასყიდობის წიგნი მოიტანა და ან ზაზასაგან მოცემული წერილი და ან სარწმუნო მოწმე[ე]ბი წარმოაყენა, რომ ამ მამულისა ან ნასყიდობის წიგნი ენახოსთ და ან ზაზასაგან მოცემული წერილი ენახოსთ, — თუ ამ სამში ერთი რომელიმე ეს მტკიცე საბუთი მოიტანა და სამართლით გამართლდა, უნდა ის მამულიც თარხანს გიორგის და მის ძმას ბეციას დარჩეს. და ერთი იმტელი სხვა მამულიც ჩამოერთოს სოლომონს და ახალის განწესებულისებრ სამ წილად გაიყოს: ერთი წილი სარქარს, ერთი წილი მოსამართლეთ და ერთი წილი თარხან გიორგის და ბეციას მიეცესთ.

და თუ ზემოხსენებულნი ვერც ნასყიდობის[1] წიგნები მოიტანა, ვერც სარწმუნო მოწმე[ე]ბი წარმოაყენა, გამართლდება სოლომონ და უნდა ის მამულიც სოლომონს დარჩეს იმ ბარათის ძალით. და ერთი იმტელი სხვა მამული ჩამოერთოს თარხანს და ბეციას, განწესებულისებრ სამ წილად გაიყოს: ერთი წილი სარქარს მიერთოს, ერთი წილი მოსამართლეთ და ერთი წილი სოლომონს და მის ძმებს მიეცესთ.

თარხანმა გიორგიმ მიუგო: ხოდაბუნებზედ კელი რათ ამიმართეო?

სოლომონმა მიუგო: ხოდაბუნებზედ ამის უგანათლებულესობასთან ვილაპარაკეთ, ამისმა უგანათლებულესობამ ხერხეულიძე ომან ლაშქარნივისი, ხიდირბეგისშვილი მამუკა და საგინასშვილი ბეჟანა გამოგვატანა, იმ სადაოზე მივიდნენ, ილაპარაკეს; იმ მოსამართლეთ ეს განაჩენი დასწერეს და დაბეჭდეს. ამ ჩემ[მ]ა მოდავემ ბეციამ კელი ასე მოაწერა: ამ გარიგებისა უაბული მაქვსო, ასე რომ: დავალიძის ნასყიდს მიწას გარდა რაც მიწები უპოვო, ამათი და ამ ჩემგან ჩვენებულის მიწებიდამ ასის დღის მიწა შეუსრულოო. მოსამართლეთ შენის კელიმოწერილის ძალით ეს სამართალი მომცეს. ამისმა უგანათლებულესობამ დაამტკიცა. ახლა ტყუილად ამის უმაღლესობასთან რათ მიჩიელეო.

ბეციამ თქვა: მართალია, ხოდაბუნიც მე უჩვენე, კელიც მე მოუწერეო.

რადგან სამართლით და მოდავის კელწერილის ძალით ის ხოდაბუნები სოლომონს დარჩომია და თარხანს ტყუილად უდავნია, უნდა ერთი იმტელი სხვა მამული ჩამოერთოს თარხანს და ბეციას და ახალის განწესებულისებრ სამად გაიყოს: ერთი წილი სარქარს მიერთვას, ერთი წილი მოსამართლეთ და ერთი წილი სოლომონს და მის ძმებს.

სოლომონ ამასაც ასე ჩიოდა: მუხათის სოფელი ბაბათასშვილისა იყო: და ჩვენს საწილოს მამულზედ მოკრული მუხათი იყიდა ბაბათასშვილისაგან, ჩემი საწილო სათარხნო მამულიც შეიგდო, ესეც მუხათისა არისო.

ამისი ასე განვაჩინეთ: თუ უნდოდეს ბეციას მუხათის მამულის სამძღვარს ფიცით შემოუაროს: «ამისმა მაღლმა, ეს მუხათის მამულია და სამძღვარიც ეს არის»; რომელზედაც ფიცით ჩაია-

[1] ჩ-ნასყიდობის.

როს — ეს მუხათისა არის და ეს სათარხნო მამულისა არის — უნდა ორნივ იმას დასჯერდნენ.

და თუ ზემოხსენებულისაებრ ვერ ჩაივლის ბეცია, მაშ როგორც ბაბათასშვილის ჯელწერილში ეწეროს — ეს და ეს ადგილი არის მუხათის მამულის სამძღვარი — იმას უნდა დასჯერდეს თარხანი და ბეცია.

ბატონო ეშიკაღასბაშო თამაზ! ეს ასე აღასრულებინე. მარტის ე, ქორონიკონს **უპე**.

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აპრილის **ა**, ქორონიკონს **უპე**.

ჭ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ბატონიშვილი იულონ ჩვენის თანდასწრებით ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მარტის **ზ**, ქორონიკონს **უპე**.

5. განჩინება იოანე აფხაზიშვილისა და ლუარსაბ ყორიასაულბაშის მამულის საქმეზე

1797 წ. 9 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 26. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[15] ყორიასაულბაშს ლუარსამს და აფხაზიშვილს იოანეს მამულებზე ლაპარაკი ჰქონდათ და მათი მორიგება მათმა უმაღლესობამ ჩვენ, მდივან დავითს და ლაშქარნივის ომანს გვიბძანა. ჩვენ ესენი ორნივ მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ამ თვრამეტს წელიწადს უწინ ქაიხოსრო ბებურიშვილს და ყორიასაულბაშს ლუარსამს დავით აფხაზისათვის ეჩივლათ; და მოსამართლე[ე]ბს დავით აფხაზისათვის ფიცი დაედვათ; კურტანიძის მამულს ერთს ვენახზე და გვერთს ერთი ცარიელი მიწა უძევს, იმაზე და ზემოთ ზვართან რომ ბაგა ძევს, ამაებზე დავით აფხაზს ფიცი დასდებოდა განაჩენითა, იმის დროს არ გადაწყვეტილიყო და ახლა ლაპარაკი შეჰქნოდათ. ამ სადაო მამულებში ბებურიანთ და ონანაშვილს ხატი მიეტანათ, წამდგარიყო აფხაზიშვილი იოანე, სანთლები აენთო და საფიცრათ მისულიყო და ლუარსამ ყორიასაულბაშს და ბებურიშვილებს აღარ დაეფიცებინათ.

ახლა ჩვენ ასე გავარიგეთ: რომელიც ამ ზემოთ მამულები

დაგვიწერია, ესენი აფხაზიშვილს იოანეს დარჩა, რომ ონანაშვილებს საქმე აღარა აქვსთ რა. მარტის **თ**, ქორონიკონს **უპე**.



მე, ლუარსაბმა და ჩემ[მ]ა მოწილე[ე]ბმა ასე გადავწყვიტეთ, ნინია აფხაზს დარჩა, რაც ამაში სწერია.

თავში:

ჩვენ, მეფე ქართლის, კახეთისა და სხვათა მეორე ირაკლი, ვამტკიცებ. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უპე**.

6. განჩინება დავით და ნინია უავრიშვილების უმა-მამულის საქმეზე

1797 წ. 10 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6797. დედანი. ქაღალდი 23×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ჩაილური რომ გაუყავით ჩერქეზისშვილებს, აზნაურშვილმა უავრიშვილმა დავითმა იჩივლა: მე და ჩემი სახლისკაცი რომ გავიყარენით, სულეიმანაშვილი დათუნა საუფროსოდ ამიღია თავის წისქვილითაო.

ამისი სახლისკაცი ნინია ედავებოდა: კაცი საუფროსო არის და წისქვილი საძმო არისო.

ჩვენ მოწმე[ე]ბი მოვსთხოვეთ. წამოაყენეს მოწმე[ე]ბი ბერენა ტაბატაძე, პაპა ლაბაძე, დევდარიძე და ტეტულა. ესენი დავაფიცეთ. ამათ ფიცით იმოწმეს: კაციც საუფროსო არისო სულეიმანაშვილი და წისქვილიც სულეიმანასშვილისა არისო.

რადგან ასე იმოწმეს, წისქვილიც შეიქნა სულეიმანაშვილისა. და კაციც და წისქვილიც საუფროსოდ დავით უავრიშვილს დარჩა. მარტის **ი**, ქორონიკონს **უპე**.

ორი ბეჭედი: 1. მონა ღთისა მდივანბეგი ადამ.

2. მონა ღთისა ლუარსაბ.

7. განჩინება დავით გარეჯის მამულის საქმეზე

1797 წ. 29 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5191. დედანი. ქაღალდი 41,2×19 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბატონის მეფის და მათის უწმინდესობის პატრიარხის მეფის ძის კათალიკოზის ბრძანებით წმინდის დავითის უდაბნოს მამამ წინამძღვარმა თეოდოსიმ ოქმი და განაჩენები მომიტანა მე, ხალვათხანის ეშიკაღაბაშს ბებურისშვილს აიდემურს, რომ ვანთას უნდა მივსულიყავ[1], წმინდის დავითის მამულები უნდა გაგვერჩია.

ახლა მივედით და განაჩენები ძველი და ახალი გავსინჯეთ. იმ განაჩენში ბრძანება იყო: ორს ახურელს კაცს უნდა დაეფიცნა, რომელსაც უწინ[2] დაეფიცნა იმათს შვილისშვილებს სანამდინაც დაიფიცავდნენ და გაიელიდნენ, წმიდას დავითს დარჩებოდა. თუ ამათი შვილის შვილები აღარ ყოფილიყვნენ, ორს სხვას ახურელს კაცს უნდა დაეფიცნა. თუ ვერ დაიფიცავდნენ, ოთხი პირველი საკომლო ზვარი და სამეზვრეო უნდა მისცემოდა წმიდასა მონასტერსა.

ახლა მოვიდნენ ორი მოხთაბარი ახურელნი კაცნი — ერთი მჭედლისშვილი ბეცია ქევხა, რომ იმის პაპას დაეფიცნა; ტატებაშვილი ამოწყვეტილიყო და იმის მაგიერად ხატიასშვილი გაბრიელ წამოდგა საფიცრად. ჩვენ ვეცადენით უფიცრად გარიგებასა, მაგრამ უფიცრად არ მოხდა და არც გაირჩეოდა. მოვიდნენ ეს ორი კაცი. ჯერ გაგვატარეს და გვაჩვენეს: ჩვენს მამასა და პაპასა ამ ვანთის ხევიდამ გარდის-გარდმო ბუშატის ხევამდინ ჩვენს პაპასა გაუფიცნიაო. მოურავი ჯანდიერისშვილი ფრიდონ და ჯაფარიძე დავით და ერთობით ვანთელებიც იქ იყვნენ. ამ ცარიელის გავლით ხათრიჯამი ვერ შეიქმნენ.

მასუკან ბეცია ქევხამ მჭედლისშვილმა და ხატიასშვილმა გაბრიელმა აბანო რომ არის, იქ ხატი და სახარება გამორთეს. ახურელნი ორნი მღვდელნი[3] დავით და დიმიტრი და შვიდნი[4], რომელნიც მოხუცებულნი კაცნი იყვნენ, ისინც აქ დაესწრნენ და ასე დაიფიცეს: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმან, ამ[5] აბანოს დასწვრივ ვანთის ხევამდინ და ამის გარდასწვრივ ბუშატამდისინ ჩვენს მამასა და პაპასა ასე დაუფიცნია, ამას ზევით წმინდის დავითის არისო».

ჩვენ გაუარეთ, ერთი მიჯნა აბანოსთან ჩავსვით, აბანო ქვეით დარჩა; ამის გასწვრივ ბუშატის ხევამდინ შვიდი მიჯნა ჩავსვით[1]. ერთი მიჯნა ბუშატის ხევიდამ რომ გზა ამოვა, ამ გზას ქვემოდამ ჩავსვით, რომ შეიქნა რვა მიჯნა. ამ მიჯნებს ზემოდამ სამართლით მონასტერს დარჩა.

კიდე გზას ქვეით თუთახჩიასშვილის მამულიც წმინდას დავითს დარჩა. მაგრამ ის მამული გამიჯნული იყო. ჯაფარიძე ედავებოდა, რომ ეს მამული ორი საკომლო არისო, რომ მიჯნები თუალით ჩანსო[2]. მაგრამ ეს მოფიცრები ასე ემოწმებოდნენ: გაურილი ძმისა არისო.

თუ ჯაფარიძემ მოწამე იშოვნა, ერთის მეტი თუთახჩიაშვილისა არ არისო, ეს ერთი მამული ჯაფარიძეს დარჩება. თუ მოწამე ვერ წამოაყენა, ეს საკომლო მონასტერს დარჩა.

ეს სამართალით ასე გაგვირიგებია. ამ ფიცში[3] და გარიგებაში[4] წინამძღვარს თეოდოსის ახლდა მღვდელმონაზონი ვახნაძე ილარიონ და კიდევ ახურის მოურავი თარხანი ლუარსაბ. და მე, მღვდელს დამიწერია გიორგის და თან დამსწრეცა ვარ. მაისს **კთ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: მონა ღთისა ბებურისშვილი ეშიკაღასბაში აიდემურ.

ხელთვა: ფრიდონ, ლუარსაბ, დავით.

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ვამტკიცებთ, როგორც აიდემურ ეშიკაღასბაშსა და სხვათ ეს მონასტრის მამული გაუმიჯნავთ და გაურჩევიათ. სექდემბრის **ა**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

8. განჩინება შანშე მილახვრისა და ზაალ დავითიშვილის მამულის საქმეზე

1797 წ. 6 ივნისი

ცსსა ფ. 1448. № 5641. დედანი. ქაღალდი 62,5×38,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, ერთი, ორი ან სამი წერტილი. შდრ. 1797 წ. 18 დეკემბრის განჩინებას ამავე საქმეზე (ანვე, საბ. № 12).

ქ. მილახვარი შანშე უჩიოდა თავის განაყოფს დავითიშვილს ზაალს: ფცას ამირეჯიბის რამინისაგან მამულები ვიყიდე, ისევ ამ ჩემის ბიძაშვილის ზაალის

[1] მივსულიყავ. [2] + დაეფი. [3] + ორნი მღვდელნი. [4] + რომელნი. [5] + ამ.

[1] ჩაესხით. [2] ჩამსო. [3] ფიცსში. [4] გარიგებასში.

რჩევით და მოწმობით; სამოცის წლის ხარაბას ადგილში ციხე ავაშენე, შენობა ჩამოვაგდე და ახლა მედავება და ჩემს ნასყიდს მამულებში მოიყვანა და თავისი კაცნი დაასახლა და თავისგან დამოწმებულს ჩემს ნასყიდობას, მამულებს მართმევსო.

ამათს სასამართლოდ ჩვენ, ბატონიშვილი იულონ, ფცას მიველით მისი უმაღლესობის, ბატონის მამის ჩვენის, მეფის ირაკლის ბრძანებით. ზაალ დავითაშვილი და ამირეჯიბი რამინც მოვაყვანინეთ და მილახვარი შანშე და ესენი სამართალში ერთად ვალაპარაკეთ.

რამინმა სამართალში თქვა: შანშე მილახვარი ალალახათ მონასყიდე არისო, თითონ ამ ზაალმა არ იცისო, რომ შიგ დასწრებული არისო ამ საქმეშიო და ნასყიდობის წიგნშიაც მოწმათ ეგ ზაალ სწერიაო.

ზაალ მიუგებდა: რაც შენ მამული მილახვრის შანშესათვის მიგიყიდნიაო, მე იმას არ გედავებიო; ეს კოშკიც სოფლის სასფლაოში გიდგასო, რომ ჩემი საწილო არისო; და ქვრივიშვილის მამული შენ რომ რამინისაგან გიყიდნიაო, იმ ქვრივიშვილის სასახლე ჩემს კაცს მოუცვლიაო, რომ ის მოცვლილობის წიგნიცა მაქვსო; და სასოფლო შარას იქით, დასავლეთის მჯრისაკენ, შენ რომ მაჭავარიანისა და ქვრივიშვილის მიწას ეძახიო, ისიც ჩემის კაცის, რამაზაშვილისა არისო; რომ ეს მიწა ჩემის მალვით მახვილაძის ზაალისათვინ მიეყიდნაო და მოწმათ ამ რამინის კაცები სწერიანო.

ამავბზე ბევრი ილაპარაკეს.

ციხის უთხრა შანშე მილახვარმა: ეს სწორეთ ჩემის ნასყიდის ქვრივიშვილის სასახლეზე დავდგიო.

ზაალ ეუბნებოდა: ქვრივიშვილის სასახლეც ჩემი მოცვლილი არისო; და თუ სასაფლაოში დგასო, მაინც კიდევ ჩემი საწილო არისო.

მილახვარი შანშე მიუგებდა: თუ შენი იყო, როდესაც საკრე დავდგიო და კოშკის საძირკველი გავსჭერო ამ ციხისო, მაშინ რატომ შენის პირით არ მითხარო, რომ ეს მამული ჩემი არისო, ნუ აკეთებო, და ან მოციქული არ მომიგზავნეო?

ზაალმა მიუგო: შენ რომ საძირკველი გაგეჭრაო, მაშინ მე ავათ ვიყავ, იქ ვერ დაგესწარო; და როდესაც მოვრჩი და მოველო, საძირკველი მიწას ზეით ამოგეცილებინაო, გითხარო, მავრამ ჯელი არ აიღეო.

ამისი მოწმე მოვთხოვეთ ზაალს და ვერავინ იშოვნა.

მასუკან შანშემა თქვა: ბატონმა რომ მუშა მათხოვა, იმისი იასული იაკობ ფალავანდიშვილი იყოო, იმასა ჰკითხეთო; ზურაბ ფალავანდიშვილიც ბევრჯელ დაგვესწრა აქაო და ზურაბ ავალიშვილიცაო.

ამათ ვკითხეთ დიდის ფიცით.

იაკობ ფალავანდიშვილმა ასე იმოწმა: მე რომ ქვა მივატანინე სოფლებსაო, კოშკის საძირკველი ორი პირი ამოყვანილი იყოო, მილახვარი შანშეც იქ იყო და ზაალიცაო; მე ზაალისაგან არ გამიგონიაო, რომ ეს ეთქვასო: მაგ კოშკს ჩემს მამულში სდგამსო და დაეშალოსო, და სადავითიშვილო კაცნიც დიაღ ბეჯითად მუშაობდნენო; და ეს კი არ ვიცი, მილახვარი შანშე ფასს აძლევდა, თუ არაო; მასუკან მე რომ ქვა მიუტანინე, შინ წაველო. ორს კვირას უკან შანშე ძაღინას ჩემთან ამოვიდაო და ზაალ დავითიშვილთან ნულს წამიყვანო. მიველით. ზაალ ავათ იყო, ის ვნახეთო. მასუკან შანშემ აგური სთხოვა აბანოს თავის სასახლიდამო. ზაალმა დასტური დასცაო და ასე უთხრაო: ნეტამც იქ გაკეთდეს რამეო, თორემ არც აგურს დაზოგაო და არც ჩემს თავსაო და არც ყმასაო.

კიდევ ზურაბ ფალავანდიშვილმა იმოწმა: იმ კოშკს, შანშე რომ აკეთებდაო, მაშინ ქართლში ლეკის თარეში ხშირად იყო ხოლმეო და მორიგით იქ ვიდეკითო. ზაალ დავითიშვილი რამდენსამე დღეს უკან იქ მოვიდაო, შანშე და ზაალ ერთად იყვნენო. მე უთხარ შანშესაო: ფცაში სხვათაც ბევრს უტევს წილიო და ან ამ ზაალის წილში იყოს ეგ კოშკი და ან დავა დაგწყოს ვინმეო, რას ეტყვიო? ამ სიტყვაზე შანშე მილახვარმა დაატანა: ნახე, როგორ ჩხუბს გვიგდებსო. მასუკან ზაალ დავითიშვილმა [თქვა:] თქვენ ნუ სწუხართ, ჩვენი საქმე გარიგებული გვაქვსო, შანშეს მაგისი ფიქრი არა აქვსო. მაშინ ზაალისაგან დავა არ გამიგონია.

ზურაბ ავალიშვილმა ასე იმოწმა: სურამს მივდიოდი და შანშემ ჩამომახდინა, ზაალ დავითიშვილიც იქ იყო და ელიზბარიცა. სადილათ ყველანი ერთად ვიყავით და ლაპარაკი და დავა სხვა არა გამიგონია რა. შანშე მილახვარმა აგური სთხოვა ზაალს და ზაალმა ასე უთხრა: ნეტამც შენ გააკეთო რამეო, თორემ აგურს ვინ დაგიჭერსო.

ამ სამის თავადიშვილის მოწმობით გამოჩნდა, რომ იმ ციხის შენება არც დაუშლია ზაალს და არც უთქვამს, ჩემი მამული არი-

სო. ეს ციხე დარჩა სამართლით შანშე მილახვარსა, რომ ამ ციხის საქმეზე ზაალ შანშეს ვეღარას მიედავება.

ქვრივიშვილის სასახლის გაცვლილობას რომ ამბობდა, ის წიგნი მოვთხოვეთ ზაალს; ზაალმა ერთი წიგნი მოიტანა, რომელსაც ქვრივიშვილი აძლევს ზაალის კაცს: ჩემი სასახლე გაგიცვალეთ და ამისი სამაგიერო სამი და ოთხი ზომა მეტი მოგეცათ, და ორი ძროხაც სართად გამოგართვიო. მაგრამ ამ გაცვლილობის წიგნში მთლად [ს]ტრიქონნახევარი წაშლილი იყო, რომ არ წაიკითხება და არც ამისი მახსოვარი კაცი არის, რომ ენახოს ის სასახლის ადგილი ზაალის კაცს სჭეროდეს და არც სამაგიერო აჩვენა ზაალმა.

ამისი ასე განვსაჯეთ: რადგან არც მენახსოვრე არის, რომ ის სასახლის ადგილი ზაალის კაცსა სჭეროდეს და იმ გაცვლილობის წიგნშიაც სტრიქონნახევარი წაშლილი არის, და არც სამაგიერო უჩანს და ამ გვარად წაშლილს წიგნს არც სამართალი შეიწყნარებს და იმ ქვრივიშვილის მამულიც, ზაალის რჩევით და მოწმობით შანშეს უუიდნია, ის ქვრივიშვილის სასახლეც შანშეს დარჩა, რომ ზაალს იმაში საქმე არა აქვს რა. ზაალმა თავისი მამული თითონ იპოვნოს.

გზის ზეით, დასავლეთის მჯრისკენ, ზაალ რომ მიწაზე დაობს, იმისი ერთი წიგნი მოიტანა ზაალმა თავისის კაცისაგან დაწერილი, რომელშიაც ეწერა: მოგყიდე მე დავითიშვილის კაცმა, რამაზაშვილმა, შენ, ზაალ მახვილაძეს ჩემი მამული, აღმოსავლეთ მჯრისაკენ მაჭავარიანის მიდგმამდინ, სამხრეთისაკენ შარამდინ, დასავლეთის მჯრისაკენ მანშიაშვილის მიდგმამდინ და ჩრდილოეთის მჯრისაკენ ბოჟაძის მიდგმამდინ; და ამაში რამინის კაცებიც მოწმათ სწერიან, მაგრამ სამართალში კი ვერცე[რ]თი ვერ მოიყვანა. და ასე ამბობდა: ეს მიწა ჩემს კაცს ჩემის მალვით მახვილაძისათვის მიეყიდნაო; რომ შეეტყუე, თეთრი ისევ უკანვე მიუბრუნებინე და ჩემი მამული მევე გამოვართვიო.

რამინ და შანშე მიუგებდნენ: ამ მიწაში არც სულ შენს კაცებს საქმე არა აქვს რაო; ნახევარი აღმოსაელეთის მჯრისაკენ მაჭავარიანისა არისო, რომელიც უწინვე ამ მილახვრის შანშესათვის მიმიყიდნიაო და ამასა ჰქონდაო, და ამაზე შენ რომ ლაპარაკი დაიწყეე, შანშე მილახვარმა გიჩივლა და პეტრე ავალიშვილი იასაულად მოიყვანა და ჯელი აგიმართა და მიაბარაო.

პეტრე ავალიშვილსა ვკითხეთ და ასე იმოწმა: შანშეს ჩემზე ოქმი აეღოო, მოველ და ჯელი აუმართეო. ზაალ და ელისბარ ორივ იქ იყვნენო, საცა ეს შანშე ამბობს, მაჭავარიანისა აქამდინ არისო, სწორეთ იქამდინ ამართე ჯელიო; არც ზაალს და არც ელისბარს, არცე[რ]თს ჯმა არ ამოუღიათო. და ამაზე ზურაბ ავალიშვილიც ემოწმებოდა: აქამდინ ამართა ჯელიო.

ამისი ზაალმა ასე მიუგო: ეს წიგნი, რომელიც ჩემს კაცს ზაალ მახვილაძისათვის მიეცა, იქ არა მჭონდაო. მასუკან, როდესაც ვიპოვნე, მდივანბეგებთან ჩაველ და ამ წიგნის ძალით ეს განაჩენი მომცეს; მოველ, ჯელი მოვგლიჯე და ჩემი მამული მევე დავიჭირეო.

შანშე მიუგებდა: მაგ შენს წიგნში, აღმოსავლეთის მჯრისაკენ, სადაც შენ ამბობ, მაჭავარიანის მიჯნა ეს არისო, იმ მიჯნასა და ამ ქვემოთს მიწას შუა რომ ეს დიდი სასოფლო შარა ძევსო, როგორც სამხრეთის მჯრისაკენ შარა სწერია მიჯნათაო, მაჭავარიანის მჯრისაკენაც რატომ შარა არა სწერიაო? მაგრამ შარას ზეითაც და შარას ქვეითაც, სადამდინაც პეტრე ავალიშვილმა ჯელი ამართა, იქამდინ ორივ მაჭავარიანისა არისო; და ამ ზაალის კაცის მიცემულის წიგნის ძალითაც უფრო ასე ინიშნებოდა, და იმას ქვემოთის მიწისასაც.

რამინ ასე მიუგებდა: არც ეს არის შენის ყმის რამაზაშვილისაო, ჩემის ყმის ქვრივიშვილისა არისო, რომელიც შენის რჩევით ამ მილახვარს შანშეს ასყიდვინეო, რომ ასე გეთქვა, რამინს ფცაში ქვრივიშვილისთანა საკომლო არა აქვსო და ახლა ამ მამულებს შენ ართმეო.

ამაზე ბევრი დავა ჰქონდათ და არცე[რ]თის მჯრისაკენ ისეთი მოწმე არა ჩანდა, რომ იმითი გაგუერჩივა, სამოცის წლის ხარაბა არის ფცა და იქ მოსახლობა არვის ახსოვს[1], რომ იქაურის მამულებისა იცოდეს რამე, რომელი რომლისა არის.

და ახლა ჩვენ ეს სამართალი განვაჩინეთ ამ მიწაზე: რადგანც ეს მიწა დღეს ზაალს უჭირავს, თავისი ორი კაცი — ერთი კოკოლაშვილი ბერი და მეორე კვერნიაშვილი ჯაფარა, ეს ორნი შეფიცოს ასე, რომ: ხატი აასვენონ კოკოლაშვილმა ბერმა და კვერნიაშვილმა ჯაფარამ და სადამდინაც ეფიცებოდეს, იმ მიწას შემოუარონ და ასე თქვან: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა, რომ ეს მიწა ბატონის ჩვენის

1 ახსოვს.

ზაალ დავითიშვილის ყმის რამაზაშვილისა არის და ამაში არც მაუავარიანსა და არც ქვრივიშვილს არცე[რ]თს საქმე არა აქვს». თუ ასე იფიცეს, დარჩება ზაალს და თუ ვერ იფიცეს და დარჩება მილახვარს შაწშეს. ამ მიწის საქმე ასე გადასწყდა.

საყდრისას დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ამბობდა: ერთიანად სასოფლო არისო.

დ ა რ ა მ ი ნ მიუგებდა: სასოფლო არ არისო, საკუთრად ჩემის აზნაურშვილებისა არისო, მაჭავარიანებისა და საყვარელიძეებისაო, რომ შიგნით არცავის სასაფლაო აქვსო, და არცა ვის საყდარში უძევს წილიო; და გარეთ სასაფლაო შენს კაცსაცა აქვსო და ჩემსაცაო. ამაზედაც დიდი დავა ჰქონდათ.

ამაზედ ფიცი რ ა მ ი ნ ა მ ი რ ჯ ი ბ ს დავადევით. რამინმა წაიყენოს ორი თავისი კაცი მოძღვარიანი და ისე შეაფიცოს, რომ: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა, რომ ეს საყდარი ბატონის ჩემის აზნაურშვილებისა მაჭავარიანებისა და საყვარელიძეებისა არის, და შენს კაცებს რაც გარეთ სასაფლაო არა ჰქონიათ, იმის მეტი საქმე ამ საყდარში არა აქვსთ რა. თუ ასე იფიცეს, დარჩება საყდარი საკუთრად შაწშეს, რადგანაც მაჭავარიანებისა და საყვარელიძეების მამული შაწშეს აქვს ნასყიდი რამინისაგანა.

და თუ ვერ იფიცეს და როგორც დავითაშვილი ზაალ ამბობდა, ისე სასოფლოთ დაიდება. ეს ამათი სადაო, რაც ჩვენთან ილაპარაკეს, ასე გადავწყვიტეთ.

ა ბ ა შ ი ძ ე სალთხუცესო გ ი ო რ გ ი! ეს როგორც გადაგვიწყვეტია, ისე გაარიგე. თიბათვის **ვ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

[დამტკიცებები]

ქ. ამ განაჩენზედ კიდემ ლაპარაკი ჰქონდათ ზაალ დავითიშვილს და შაწშეს შვილებს და მათს უმაღლესობას, ბატონს დედოფალს, ჩვენ მათის შვილის ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა თ ვ ი ს ებძანა, მოსამართლებიც გვერთ იახელო და ამათი საქმე გარდასწყვიტეო. ჩვენ ბძანებისაებრ, კახეთის მოსამართლებიც თან დავისწარით და ვალაპარაკეთ ესენი. ზაალ დავითიშვილს ისეთი საბუთი დაწერილი არა ჰქონდა რა, რომ ეს ჩვენის ძმის განაჩენი დაეყენებინა. ჩვენც ბევრი ვჩხრიკეთ ეს განაჩენი, მაგრამ ამაში მოსაშლელი და დასარღვეველი არა იყო რა, და ისევ ეს განაჩენი დავამტკიცეთ. დიახ, კარგათ გამოუძიებიათ და კარგათ გაურიგებიათ. ამაში

ზაალ დავითისშვილს სიტყვა აღარა აქვს რა, ტყუის. ღვინობისთვის **კდ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი:

1. რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.
2. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანბეგი ს უ ლ ხ ა ნ.
3. ი ო ა ნ ე.
4. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ქ ა ნ.
5. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა.
6. მიწა ვარ, დავითრგუნები დ ა ვ ი თ.
7. მდივანი ნაზირი ს ვ ი მ ო ნ.

ქ. მის უგანათლებულესობის ჩვენის ჯელმწიფის მეფის ძის იულონისაგან რაგვარადაც ამ განაჩენით გვებძანა, ა ბ ა შ ი ძ ე სალთხუცესს გ ი ო რ გ ი, იმის ბრძანებისაებრ მიველ ფ ც ი ს იმ მამულში და რაგვარადაც ეს განჩინება აცხადებდა, ისე გავშინჯეთ[1] და მიჯნები ჩავყარეთ იქ. შაწშეც თავის შვილებით იქ იყო და ზაალ დავითიშვილი კი არ იყო და იმისი შვილი როსტომ იყო. იმათ კაცთავე სიტყვით ქვრივიშვილის სასახლე გავარჩიეთ და მიჯნები ისე ჩავსხით, კ ო კ ო ლ ა შ ვ ი ლ ი მამასახლისი ბ ე რ ო ა ს სიტყვით და კ ვ ე რ ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ჯ ა ფ ა რ ა ს სიტყვით. ამ განჩინებით ბძანება ასე აღმისრულებია.

მთიბათვის **იდ**, ქორონიკონს **უპე**. გიორგი

ქ. მე, გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე, ამასა ვწერ ამ განაჩენის ძალით: ფ ც ა ს მიველ, რადგან ზაალ დავითიშვილი იქ არ იყო, რომელთაც ფიცი ედვათ, ხატიც ჩამოუსვენეთ, მაგრამ არ დაიფიცეს იმისმა კაცებ[შ]ა. შვილიც იქ იყო, რომ ასე მოხდა. არ დაიფიცეს იმისმა კაცებმა. დეკემბრის **ჱ**, ქორონიკონს **უპე**.

ქ. დეკანოზიც იქ იყო. გიორგი

ქ. მე, გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე, სალთხუცესი ამ განაჩენის ძალით, იასაული ვიყავ, მიველ ფ ც ა ს, გაუგზავნე ზაალ დავითისშვილს კაცი და ის კი არ ჩამოვიდა, იმისი შვილი როსტომ კი იქ იყო. მილახვარმა შაწშემ ხატიც ჩამოასვენებინა და დეკანო-

[1] გავშინჯნეთ.

ზიც ჩამოაყვანინა. რომელსაც კაცებს ფიცი ედოთ, იმათ არ დაიფიცეს. ღმერთსა ვფიცავ და ჩემს ყელმწიფესა, რომ ასე იყო. დეკემბრის **ც**, ქორონიკონს **უპე**.

ეს წაშლილი რომ არის, მე წავშალე. [გიორგი]

ქ. ბატონისშვილი იოანე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. გიორგობისთვის **ე**, ქორონიკონს **უპე**. [იოანე]

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი ბაგრატ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ოკდ[ო]ნბრის 21, წელსა 1797. [ბაგრატ]

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეორე ირაკლი ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივნის **კ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი, დადიანის ასული დარეჯან, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ღვინობისთვის **კა**, ქორონიკონს **უპე**. [დედოფალი დარეჯან]

კიდეზე:

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი, განჩინებასა ამას ვამტკიცებ. ოკდონბრის **კა**, ქორონიკონს **უპე**.

ხელთა: კათალიკოზი ანტონი.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს უფლისწული, მეფის ძე გიორგი, ამ ჩვენი ძმის იულონის განჩინებულს სამართალს ვამტკიცებთ. ივნისის **კე**, ქორონიკონს **უპე**. [გიორგი]

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი ვახტანგ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ღვინობისთვის **კა**, ქორონიკონს. **უპე**.

ბეჭედი: რატოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივნისის **კგ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: დავითის რტო სახელ მძესა ალექსანდრე მეფის ძესა.

ქ. ჩუენ, სრულიად საქართუელოს მეფის ძე ფარნავაზ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ოკდომბერს **ე**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: ღთისმშობელმან წიაღით მფარნა, ვაზ კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

9. განჩინება მეხანჯლე ავეტიქას სახლის საქმეზე

1797 წ. 1 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 5. საბ. № 139. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[137 v] ბატონი მელიქ-მამასახლისის დარჩიასთან და ქეთხუდებთან მეხანჯლე ავეტიქა ჩიოდა: მეწუღე ოჰანეზას თეთრი მმართებსო და მთხოვსო; და ავეტიქაც ეუბნებოდა: ჩემი ნასყიდი სახლის სიგელი რომ გიროდ აქვს აფრასიონთაგან მოსყიდული, ის ჩემი ნასყიდობის სიგელი მამეცო და შენს თეთრს მოგცემო.

ოჰანეზას ის სიგელი აღამამადხანმა რომ ქალაქი წაახდინა, მაშინ დაჰკარგოდა და ჰეშმარიტობითაც მოვიკითხეთ, რომ ავეტიქას ეყიდნა აფრასიონთაგან. ეს აფრასიონი პატრიარხის ყმანი ყოფილა და იმათ ქეთხუდა ყმებსაც ვკითხეთ და იმათაც იმოწმეს, რომ ავეტიქას ნასყიდი ყოფილა.

თუ ის ნასყიდობის სიგელი გამოჩნდეს, ავეტიქას უნდა მისცეს. **[138]** და თუ ის სიგელი აღარ[1] გამოჩნდეს, იმ სიგლის მაგიერათ ეს ჩვენი მიცემული წიგნი[2] უნდა ავეტიქას ეჭიროს ხელში.

არის ამ სახლის ნიშანი ერთი გვერდი: ბისტინინთ არუთინას სათორნის კედელი, მეორე გვერდი ჰუჰუღანთ გურგენას სახლის გვერდი, მესამე გვერდი მეწუღე გაფუას სახლის გვერდი, ერთი გვერდიც შარისაკენ თავის შესაველგამოსაველითა და თავის თოვლისა და წვიმის გზითა საითკენაც ძველთაგან უდენია, კიდევ იქიდამე უნდა იდინოს.

მე, პენტელანთ მწერალი გიორგის შვილს მწერალს მიქელს დამიწერია ეს წიგნი. მკათათვის დამდექს **ა**, ქორონიკონს **უპე**.

[1] + არ. [2] + სიგლის მაგიერათ.

წელიწადში ერთხელ ერთი ჩარექი წმინდა სანთელი სვეტიცხოველს უნდა მივართო მე — ავეტიქამ.

ამ სახლის სიგელი რომ ამ არეულობაში დაკარგულიყო ამ მოწმე[ე]ბის მოწმობით ეს მოწმობა მოვაწერე, რომ ეს სახლი ავეტიქას ნასყიდი ყოფილა და ეს სიგლის მაგიერათ უნდა ეჭიროს.

მელიქ-მამასახლისი დარჩია. 

ამ სამართლის წიგნის მოწამე ვარ მოღნინის ყოველთა წმინდის უღირსი მონა ტერ-გრიქურ. 

ამ წიგნის მოწამე ვარ ციხის დიდის ეკლესიის უღირსი მონა ტერ-არაქელ. 

მე, მისის უწმინდესობის მამასახლისი შადინათ იასაიას შვილი თომა, ამ სიგლის სამართლის მოწამე ვარ. 

მე, ოქუანთ ზურაბა, ამისი მოწამე ვარ რომ ის სახლი ამ კაცის ნასყიდი იყო. ხელრთვა: ზურაბ.

ამ მოწმე[ე]ბის სიტყვით ამისი მოწამე ვარ თაყოვი ისია.

ეს ზემო სიგლის მოწამე ვარ. ეს სახლი ავეტიქამ იყიდა აფრასიონთაგან. ოჰანეზა ძე დავით ოქოანთი. ✝

10. განჩინება ზაზა სოლაღაშვილისა და იესე მსაჯულის შვილების სასისხლო საქმეზე

1797 წ. 10 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14635. დედანი. ქაღალდი 287,5×26,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მათის უწმინდესობის კათალიკოზ-პატრიარქის მოლარეთხუცესს სოლაღაშვილს ზაზას მათის უმაღლესობის მეფისათვის არზა მიერთმევია და იესე მსაჯულის შვილებისათვის ეჩივლა: ბორბალას ნახევარ-დღის მიწისა უთხარ ჩემს კაცს, მიდი, შენ გათიბე. სათიბავათ როს მისულიყო და თიბვა დაეწყო, იესე მსაჯულის შვილების კაცნი შეყრილიყვნენ, მიხდომოდნენ და ჩემი კაცი გამოეგდოთ. მოვიდა ეს გამოგდებული კაცი, შემომჩივლა. იმათს კაცებს დაუძახე. ჩემთან მოვიდნენ, უთხარ რათ შფოთავთ, რა გაჩხუბებსთ, რად შეიყარენით ერთად, რად მიუხდით ჩემს კაცს, თიბ[ვ]ა გაუშვებინეთ და გამოაგდეყით. ჩემ[მ]ა კაცებმაც რომ შეიტყონ ეს ამბავი, ერთმანერთს უქომაგონ, უფრო ავი საქმე მოხდება და სისხლი ჩამოვარდება შუაში, შფოთს ნუ აგდებთ, ჩვენი ჩვენ და თქვენი თქვენ, და ისე რიგიანად გაუშველდეთო.

ეს კაცნი თურმე ქალაქს ჩამოვიდნენ, იესე მსაჯულის შვილებს შეატყობინეს, მაშინვე სამნივ ძმანი დაიარაღებულიყვნენ — ზაზა, გიორგი და ივანე, შუაღამისას ციხის კარის გასაღებათ ერთი აბაზი მიეცათ, კარი გაეღებინებინათ და ჩემს მოსახდომად და ამოსაწყვეტლად წამოსულიყვნენ. პარასკევ დილა რომ გათენდა, ჩემს სახლს წინ, ჩემის კაცის სახლის ბახზედ ქერი მოეატანინე დასაბეგვავათ; ფარაღათად დახრილი ვიყავ და ჩემის ჯელით ვაკეთებდი და ჩემი ცოლშვილიც იქავ, ჩემს სახლს წინ ფიცრის საყდარი მიდგას, იმის დერეფანს ქვეშ ისხდნენ და მიყურებდნენ. იმ დროს ზაზა დაჭიმულის თოფით მომიხდა და შემომგვინა. დახრილმა მაღლა ავიხედე და უთხარ: რას მემართლები, რად მაგინებ. ამის პასუხად მეორედ კიდევ შემომგვინა და დაჭიმულის თოფით შემომიტია, თოფის ტუჩი ნეკნებში მკრა და ნეკნები ჩამიდრიკა.

მე და ზაზა ერთმანერთს შეეჯიდენით. ზაზას ძმა გიორგი მოვიდა, სამჯერ, რაც შეეძლო ისე, გამომეტებით თოფის ტუჩი ვულის ფიცარში მკრა, მაშინვე უგონო ვიქმენ და დავბნდი. ამასაც არ დამაჯერეს: მომეხვივნენ სამნივ ძმანი, თავში, ცხვირსა და პირში მრავალი მცეს, თვალები ჩამისისხლიანდა, ცხვირის ძვალი დამიჭეჭმა, გულის ფიცარი ჩამემტვრა და ფერდის ქარიც დამეძრა. ამ ყოფაში ჩემი ცოლ-შვილი ჩემის სახლიდამ ახლოს მოყურებდნენ; თითონ ჩემი სახლობა ჩხუბში მოვიდა, ჩემის სისხლით შეისვარა და სისხლით შესვრილი ეხვეწებოდა: ქმარს ნუ მომიკლავთო. ხუთის თვის ორსულმა სიკვდილზედ მიწურვილი. რომ ვნახა, ელდა ეცა, დილიდამ მოკიდებული საღამომდის უგონოთ იდვა, მრავალი წამლები მიაყარეს და ისე მოასულიერეს და ჯერაც ღმერთზედ ჰკიდია მისი მორჩენა და ასე ავად არის, იქნება მუცელიც წაუხდეს. ჩემი სახლობა ამას ეხვეწებოდა: ქმარს ნუ მომიკლავთო. სიკვდილის პირობაზედ რომ მიმწურეს, მასუკან

ჯელი აიღეს და ასე დაიძახეს: მაგ შენის ცოლისათვის გვიპატიებია, თორემ შენთვის თავი უნდა მოგვეჭრაო. ცოტას ხანს უკან ამისი ძახილიც შეჭვეს: შენის ცოლის ლეჩაგი გეხუროს, თუ არ გამოხვიდე.

მე როდესაც მოვსურიელდი, მაშინვე ცხენს შევჯექ და სამართალს მოვმართე. სამნივ ძმანი სასიკვდილოდ უკან გამომიდგნენ, ცხენი გამოვაჩქარე და ჯელში აღარ ჩაუვარდი. ასე უსამართლოდ ავად მოპყრობისათვის, ჩემს სახლსა და ცოლს შვილს ახლოს მოხდომისათვის, ჩემის სახლობის სისხლში შესვრისათვის და ელდით უგონო ქმნისათვის სამართალს ვითხოვო.

ამისი სამართალი მათს უმაღლესობას მეფეს ჩვენ, სარდალ-სახლთუხუცეს ორბელიანის იოანესათვის და საქართველოს მსაჯულთმეკრებილებისათვის ებძანათ.

იესე მსაჯულის შვილი ზაზა და მისი ძმები სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. არზა მოსცეს სამართალს და ასე ჩაიდნენ: თათრის მოედანზე ზაზა სოლაღაშვილს და ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდა და დაგვექადა: თუ კაცნი ხართ, ბორბალას ამოხვალთ: ჩვენ უთხარით: ჩვენს ყმასა და მამულში რად ვერ ამოვალთ: ამგვარმა ლაპარაკებმა გაიარა და გაგვაშველეს.

რამდენსამე დღეს უკან დაქადებული ბორბალას მივიდა. ჩვენი სამი კომლი მემკვიდრე კაცნი იქიდამ აგვიყარა და გამოლალა. მოვიდნენ, ტირილით შემოგვჩივლეს. ჩვენ ეს უთხარით: თქვენ ისევ იქ მიდით, ჩვენ წამოვალთ და ვიკითხავთ: რას გვემართლებოდი, რომ ეს კაცნი გამოგვიყარე.

რადგანც ქვეითნი ვიყავით, სიცხის მიზეზით ღამე დავიწყევით სიარული და წირვის დროს ბორბალას მივედით. ჩვენ რომ დაგვინახა, ზაზა სოლაღაშვილი ახალუხით თავის სახლიდამ გამოვიდა და იქ მოვიდა, სადაც ქერს აბეგვინებდა. ჩვენ მივედით ჩვენის ყმის ღობესთან და იქიდამ დაუძახეთ: რას გვემართლებოდი, რომ სამი კომლი კაცნი გამოგვიყარე. ამის პასუხად, იმან ავის პირით შემოგვაგინა.

ჩვენ უთხარით: რას გვემართლები, კაცს ეგ ლანძღვა როგორ ეკადრება. ასე შემოგვძახა: შე მეკურტნის შვილო, დაგაჩოქებ და თავს ისე გაგაგდებინებო. მასუკან ჩვენც ვაგინეთ და უთხარით: შენ შეფის ერეკლეს დროს თავს როგორ გაგვაგდებინებ. მოიწია ჩვენზედ და თავისმა მღედელმა დაიჭ[ი]რა; რომ ვეღარ შეიმაგრა, წამოუვიდა. მე ჩემი თოფი ალაგზე დავდე. თოფის დასადებად დახრილი მანამ თავს ავიღებდი, ოთხი-ხუთი მუშტი ბეჭებში და

გვერდებში დამკრა, მეც ჯელი შეუბრუნე, ორჯელ მუშტი ცხვირსა და პირში დავჰკარ. ამ შემოკვრაზედ გამიშო, საცა ჩემი თოფი იდვა, მივიდა, აიღო და იღლიის ძირში გამომიმართა. მეც ქვას ჯელი წამოვაელე. ჩემ[მ]ა ძმამ გიორგიმ ჩემზედ თოფი გამომართული რომ დაინახა, თოფის ტუჩი ჰკრა და მომაშორა. თბილელის კაცი მოვიდა და იმან გაგვაშველა.

ჩემი თოფი ზაზა სოლაღაშვილს ჯელში ეჭირა, ჩემი კაცი გვერთს მიდგა, უთხარ: ხომ ნახე, ჩემის თოფით ეგ კაცი სიკვდილს მიპირებდა, მიდი, თოფი გამოართვი და მომიტანე; მივიდა, თოფი გამოართო და მომიტანა. მასუკან ის ცხენს შეჯდა, წამოვიდა და ჩვენც ქვეითები წამოვედით.

ამას გარდა ზაზა სოლაღაშვილს წარსულს წელიწადებში ჩვენზედ ეს დანაშაული აქვს: მსახური გაგვილახა და იმ გალახვის მიზეზით მოკვდა; კიდევ გაგვილახა მოხუცებული მამასახლისი და თავი გაუტეხა; კიდევ გაგვილახა მამასახლისის სახლისკაცი ნასყიდა; კიდევ გაგვილანძღა დედა და უპატიურად გახადა; კიდევ გაგვილახა ამ გავლილს თებერვალში ძმა და იმის გალახულობით ოცი დღე იწვა.

ორისავ მხრის საჩივარი მოვისმინეთ და ღმრთის შიშ ქვეშ ამათის ჩხუბის საქმის გამოძიებაში და ჰეშმარიტების ცნობის ცდაში შევედით. ამ საქმეზედ მათის უმაღლესობისაგან იას[ა]ულად ჩენილი გაბასშვილი ტეტია და სამსაჯულოს წევრი თურქისტანისშვილი ნინია კანონის მიცემით და დიდის სიფთხილის დარიგებით და საშინელს ფიც ქვეშ შეგდებით ბორბალას გავგზავნეთ, იქ რადგანც ჩხუბი მოსულოდათ, ამათის ჩხუბის ვითარების სიმართლის ცნობისათვის, რომ: იესე მსაჯულის შვილების მისელა ვითარის სახით ყოფილა, პირველად ჩხუბი ვის აუწყია, ჩხუბი რას ალაპს მოსულიათ და სადაც ჩხუბი მოსულიათ, იქიდამ ზაზა სოლაღაშვილის სასახლეს რა სიმორე აქვს. შე[ე]კრიბათ ბორბალას მყოფი სამღთო და საერო კაცნი და დედაკაცნი და დიდის ფიცით ეკითხათ და რაც იმათ ემოწმებინათ ის დაეწერათ და სამართალში მოიტანეს.

სათიბი მიწა, რომელიც ახლა მიზეზ ქმნილა ჩხუბისა, ის მიწა ზაზა სოლაღაშვილის მამას იორამს იესე მსაჯულის შვილების ყმის ვარსიმაშვილებისათვის დაუნებებია. ამ მიწაში სოლაღაშვილს თავის კაცი სათიბათ გაუგზავნია და ვარსიმაშვილებს არ დაუნებებიათ. გამობრუნებულა ის კაცი, ზაზა სოლაღაშვილთან მისულა და შეუჩივლია. ზაზას ვარსიმაშვილები

მოუყვანინებია და უთქვამს: ბატონს თქვენთან მიდით, ამოვიდეს, მამულები გავიყოთ, თქვენი წილი თქვენ და ჩვენი — ჩვენ; მუდამ ნუ შფოთავთო. ეს იესე მსაჯულის შვილების კაცნი ზაზა სოლოღაშვილს არც აუყრია, არც გამოურეკია, არც უგინებია და არც ავათ მოჰპყრობია. მხოლოდ მშვიდობიანის სიტყვით ულაპარაკნია. ქალაქს მოსულან და თავეთის ბატონებისათვის შეუტყობინებიათ.

იესე მსაჯულის შვილი ზაზა და მისი ძმები ამ ამბავზედ ბორბალას მისულან. ზაზა სოლოღაშვილი თავის ყმის სახლის ბანზე ფარაღათად მდგარა. ახლოს მისულა იესე მსაჯულის შვილი ზაზა თავისის ძმებით დაიარაღებულნი და ორჯელ გინებით შეუძახნიათ. მასუკან სოლოღაშვილსაც უთქვამს: ვის აგინებთ თქვენ ავო კაცნოო. მესამედ კიდევ იესე მსაჯულის შვილს ზაზას შეუგინებია. ამ გინებაზედ ზაზა სოლოღაშვილს უწევია და თავის მღვდელს არ გაუშვია. შემდგომად ამისსა იესე მსაჯულის შვილი ზაზა წასულა, საცა სოლოღაშვილი ზაზა მდგარა, იქ მისულა და ერთმანერთს სძგერებიან. პირველად იესე მსაჯულის შვილს წაუკრავს თოფი, მასუკან თოფი ძირს დაუდვია და დაჭიდებულან; და ამასვე მუშტით უცია. იესე მსაჯულის შვილს გიორგის ჭიდილი რომ უნახავს, თავის ძმას ზაზას მიშველებია, ორჯელ თოფის ტუჩი წაუკრავს ზაზა სოლოღაშვილისათვის.

ამ ყოფაში ზაზა სოლოღაშვილის სახლობა თავეთს კოშკის კარზედ მდგარა და იქიდამ უყურებია. შეშფოთებული გამოჭრილა და თავის ქმართან მოსულა, ლეჩაგი თავისის ქმრის სისხლით შესვრია, გაუშველებია და თავისი ქმარი წაუყვანია.

გაშველების შემდგომად იესე მსაჯულის შვილის ზაზას თოფი ძირს გდებულა. ზაზა სოლოღაშვილს აუღია და დაუძახნია: ამ თოფით მკლევდიო. ზოგთ უთქვამსთ: თოფი რომ აიღო, გაუმართა და ისე დაუძახა, ამით მკლევდიო; და ზოგთ უთქვამსთ: აიღო თოფი, არ გაუმართავს, ისე ჭელთ ეჭ[ი]რა და დაუძახა, ამით მკლევდიო. თოფი მაშინვე გამოურთმევიათ და იესე მსაჯულის შვილის ზაზასათვის მიუციათ.

იესე მსაჯულის შვილებს ესეც დაუძახნიათ: შენის ცოლისათვის გვიპატიებია, თორემ ჩვენ ვიცოდით, რასაც გიზემდითო.

ჩხუბი რომ დამყუდროებულა, ზაზა სოლოღაშვილის სახლობას გულს შემოჰყრია; ასე გამხდარა, რომ წმინდის საიდუმლოს მისაღებათ მღვდელი მოუყვანიათ, მუცელიც უხდენია, წამლები

მიუყრიათ და მუცელი დასდგომია და ახლაც კიდევ ავათ არის და შეუძლოთ ამ ჩხუბის მიზეზითაო.

ზაზა სოლოღაშვილი რომ შინათკენ წაუყვანიათ, იესე მსაჯულის შვილებს დაუძახნიათ: თუ კაცი ხარ, კარში გამოხვალო.

ორისავ მხარის სარჩელი და ლაპარაკი მოვისმინეთ და ეს სამართალი მივეცით.

იესე მსაჯულის შვილებთან ბორბალადამ რომ თავეთი კაცნი მოვიდნენ და შემოსჩივლეს, მაშინ ესენი საჩხუბრად არ უნდა წასულიყვნენ; თავეთი საჩივარი ან მეფისათვის უნდა მოეხსენებინათ და ან მსაჯულთშეკრებილებასთან გამოეცხადებინათ. რადგანც ეს რიგიანი და მართებული საქმე არა ჰქმნეს და წავიდნენ, ბორბალას რომ მივიდნენ, სახლში უნდა დამდგარიყვნენ, იარაღი შემოეხსნათ, მოციქული მიეგზავნათ და ისე ლაპარაკი დაეწყოთ. იმავ მისვლაზე არც სახლში დადგნენ, არც მინდორში დადგნენ, არც იარაღი შემოიხსნეს, არც მოციქული მიუგზავნეს; თავისის ყმის სახლის ბანზედ ფარაღათად მდგომს მაშინვე მისვლის უმალ იარაღებით შეჭურვილნი მიუხდნენ იმ თავის ყმის სახლის ბანზედ, რომ იმ ბანიდამ მისი სასახლე, საცა ცოლ-შვილით დგას, ჩვენგან გაგზავნილთ კაცთ გაეზომათ, ოცდათორმეტი ადლი გამოსულიყო. ასე ახლო თავის სასახლესა და ცოლ-შვილზედ თავის ყმის სახლის ბანზედ ფარაღათად მდგომს დაიარაღებულნი მიუხდნენ, ახლოს ცოლ-შვილი თვალით უყურებდნენ ავად მოპყრობას და სისხლში შესვრას, გამწარებული ორსული ცოლი გასაშველებლად მივიდა, თავის ქმრის სისხლით შეისვარა, გულს შემოეყარა და უგონოქმნილი კარგა ხანს იყო და ძლივ მოასურიელეს.

სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წიგნი ორმოცდათორმეტს რიცხვში — თავის სასახლის ახლო მდგომს გლეხს კაცს რომ მიუხდეს, იმ სახლის პატრონი რისაც გვარისა არის — მთელის სისხლის ნახევარს უჩენს.

ზაზა სოლოღასშვილი მესამე თავადად აღირაცხა. სანატრელის მეფის ვახტანგის წიგნი ოცდარვას რიცხვში მესამე თავადს მთელს სისხლს სამასოთხმოცდაოთხს თუმანს უჩენს. ამისი ნახევარი სასახლეზედ ახლოს მიხდომისათვის გაუჩინეთ ზაზა სოლოღაშვილს, რომ იქნება ასოთხმოცდათორმეტი თუმანი.

რადგანც მათის უწმინდესობის კათალიკოზის მოლარეთხუცესი არის, მოხელობის პატივისათვის მეფის მოხელის მსგავსად სისხლი არ დავაორკეცეთ. ამას მოხელობის პატივისათვის მეფის მოხელის პატივის სისხლის ნახევარი გაუჩინეთ, რომ იქნება მო-

ხელობის პატივის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი. ესეც რომ ზემორე გაჩენილს სისხლს დავადგათ იქნება ორისავ ერთად ჯამი ორასოთხმოცდარვა თუმანი.

თოფის ტუჩით რომ წაეკრათ, ის წაყვლეფილი ადგილი გაუზომეთ. ათის ქერის მარცვლის ზომა გამოვიდა. რადგანც მახვილით არა ჰქონდა ჭრილობა, სამართლის წიგნის ძალით მახვილით ჭრილობის ნახევარზედ ვიანგარიშეთ. მესამე თავადის ერთის ქერის მარცვლის ჭრილობის სისხლი ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი არის. ამისი ნახევარი გაუჩინეთ, რომ იქნება ათის ქერის მარცვლის თოფის ტუჩით წაყვლეფილის და დაჩნეულის სისხლის ჯამი ოცდათორმეტი თუმანი; მოხელობის პატივისათვის დაურთეთ თექვსმეტი თუმანი, რომ იქნება ორისავ ერთად ჯამი ორმოცდარვა თუმანი. შეიქნა ზემორე წერილების სისხლებისა ერთად ჯამი სამასოცდათექვსმეტი თუმანი.

ავის დროსა და შეუძლებლობის მიზეზით სამართალმა იპატივა მესამედი, რომ იქნება ასთორმეტი თუმანი. ამას რომ ზემო ჯამიდამ გამოვიდეთ დარჩება ძირს ორასოცდაოთხი თუმანი, რომ ეს ორასოცდაოთხი თუმანი იესე მსაჯულის შვილებმა ზაზა სოლაღაშვილს უნდა დაუურვონ და მისცენ — ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინსი.

ზაზა სოლაღაშვილი ფერდის ქარის დაძვრას რომ ჩივის, ეს თუ აქ[ი]მით სამართალში დაამტკიცა, რომ ამ ჩხუბის მიზეზით ფერდის ქარი ჩამოუვიდეს და დასნეულებული შეიქმნას, იმისას რასაც სამართალი მისცემს, ეგდენი სისხლი გაუჩნდება.

და თუ ზაზა სოლაღაშვილის ცოლს ამ ჩხუბის მიზეზით მუცელი წაუხდა, მუცლის წახდენისათვის როგორც მეფის ვახტანგის სამართალი უჩენს, მთელი სისხლი უნდა მისცენ იესე მსაჯულის შვილებმა.

ზაზა სოლაღაშვილს ცხვირი რომ დაჩეჩქილი ჰქონდა და ნუშტის ცემით თვალები ჩასისხლებული, ეს იმაში ჩაუტარეთ: რადგანც იორამ სოლაღასშვილმა საერთო მიწა იესე მსაჯულის შვილების კაცთ დაანება და დაიჭირა, ზაზა სოლაღაშვილს იმ მიწაში თივის სათიბლად კაცი არ უნდა გაეგზავნა, და ჩხუბის მიზეზი შექმნილიყო. რადგანც ჩხუბის მიზეზი შეიქნა, ცხვირის დაჩეჩქისა და თვალების ჩასისხლების სისხლი[1] ამისთვის ჩაუტარეთ.

[1] სისხლის.

იესე მსაჯულის შვილები ზაზა სოლაღაშვილს თავზედ თოფის გამომართვას რომ უჩივიან, ამისი მოწმე[ე]ბმა ზოგთ თოფის გამომართვა თქვეს, და ზოგთ თოფის ჯელთ აღება და გამოუმართაობა თქვეს. მაგრამ თოფი მაშინ აუღია, რომ სისხლით შესვრილი ყოფილა, არც ჩახმახი დაუცემინებია, არც ჩახმახისათვის ჯელი მოუკიდნია, მაშინვე ჯელში მისწდომიან, თოფი დაუნებებია, გამოურთმევიათ და ი[ე]სე მსაჯულის შვილისათვის მიუციათ. გამწყარებულს თოფის ჯელში აღებისათვის და ამის თქმისათვის: ამით მკლევდაო, სამართალი ამაზედ არას გაუჩენს.

სამის კაცის აყრას და გამორეკას რომ ჩიოდნენ, ამაზედ ზედ მიწევნილი ვიქმენით; არც აეყარა და არც გამოერეკა და არც ავათ მოჰპყრობოდა.

გაელილს წელიწადებში მსახურის გალახვას და იმ გალახვის მიზეზით სიკვდილს, მამასახლისის გალახვას და თავის გატეხას, ამ მამასახლისის სახლისკაცის ნასყიდას გალახვას, თავეთის დედის გალანძღვას, ჭმის გალახვას და იმ გალახულობით ოცს დღეს წოლას — ამ თვითოეულად ხსენებულს საჩივრებზედ საბუთები ახლა არა უჩნდათ რა, რომ სამართალი მიგვეცა. და როდესაც ამის საბუთებს იესე მსაჯულის შვილები სამართალში მოიტანენ, სამართალი მიეცემათ.

და ზემორე გაჩენილი სისხლი კი ახლა უნდა დაუურვონ იესე მსაჯულის შვილებმა სოლაღაშვილს ზაზას.

იასაულო გაბაშვილო ტეტიავ! ეს ასე აღასრულე. ივლისის **ი**, ქორონიკონს **უპე**, ქალაქსა შინა ტფილისს.

შვიდი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბუომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748.
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვეედრებ ვიქმნა მარჯულად, ჭ ა ი ხ ო ს რ ო
3. ზ ა ა ლ
4. ბ ე ჟ ა ნ
5. ჯავახის ძე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი
6. მონა ღთისა თუმანშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ.
7. მდივანბეგი დ ა ვ ი თ.

ჭ. ჩვენ, სოლაღაშვილები ი ე ს ე, ზ ა ზ ა, ნ ი ნ ი ა და ი ო ს ე ბ ამ განჩინებას ესრედ ვაწერთ, რომ: რაც ამ სამართლით თქვენ, მსაჯულის იესეს შვილებს ზაზას, გიორგის და დავითს ჩვენი სის-

ხლი დაგედვათ, ამ საქმეზედ მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, იმისი უწმინდესობა მეფის ძე კათოლიკოზი ანტონი და მეფის ძე მირიან შუა შემოიყვანეთ და ჩვენ ამ უმაღლესთ მორჩილებისა და პატივცემისათვის და თქვენსა და ჩვენს შორის ნათესაობისათვის რაც ამ განჩინებაზედ სამდივანბეგო გაგვსლოდა და ან ავანტყოფობაზედ და სხუა ხარჯი მოგესლოდა, ის გამოგართვით; და სხვა გაპატიეთ და ჯელი აგეღვით. რომ ამ სისხლის საქმეზედ დღეს და დღეის იქით არც ჩვენ და არც ჩვენს შთამომავალთ არც თქვენთან და არც თქვენს შთამომავალთთან სადაო და სალაპარაკო აღარა გვაქვს რა.

ერთი სხვა გარდაწყვეტილობის წიგნიც სხვა მოგვცემია და ამ განაჩენზედ მოწერითაც ესრედ გარდაგიწყვიტეთ და გაგაბათილეთ ამ მოწერითა, რომ თქვენთან ამ სისხლის საქმეზედ სადაო აღარ გვქონდეს რა. და ეს განჩინება ამისთვის არ მოგეცით, რომ ოჯახში დავდევით ჩვენის პატივისათვის. და თქვენთან სადაო კი აღარა გვაქვს რა დღეის იქით, ეს განაჩენი ბათილი არის.

მე, მდივანმა ბეგთაბეგმა სოლოღაშვილების სიტყვითა და ყაბულობით მოვაწერე ეს გარდაწყვეტილობა და მოწამეცა ვარ. აღიწერა იანვრის ა, ქორონიკონს **უპჱ**.

ქ. მე მისის უწმინდესობის მოლარეთხუცეს სოლოღაშვილს ზაზას ამ გადაწყვეტილობის ყაბული მაქ[ვ]ს. ეს ჩემი ხელია და ბეჭედია.

ბეჭედი: მაკრთობს სიკვდილის ანდაზა(?) ზარი(?).

ქ. მე სოლოღაშვილს იოსებს ამ გადაწყვეტილობის ყაბული მაქვს ეს ჩემი ხელი არის. იანვრის ა, ქორონიკონს **უპჱ**. ხელრთვა: იოსებ.

ქ. მდივანი ბეგთაბეგ ამისი მოწამე ვარ. ბეგთაბეგ

თავში

ქ. ჩვენ, ყოელისა საქართველოჲსა და კახეთისა და სხვათა მეფე ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივლისს **ჸგ**, ქორონიკონს **უპე**.

ქ. ამას ეს აქლია რომ, რომელმაც ეს დასწერა, ამის ბანდები მდივანბეგებისათვისაც უნდა დაებეჭდინებინა და თითონაც უნდა დაებეჭდა. და მეორეც ეს რომ, ასე გძლად არ უნდა დაწერილიყო და მოკლეთ უნდა დაეწერათ. მაგრამ რადგანც უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: ორისა და სამის მოწმით დაემტკიცოს ყოველივე სიტყვა*, ამ სამართალს შვიდნი ემოწმებიან და შვიდის კაცის ბეჭდები სხედს და ჩვენც იმას დავემოწმენით და დავამტკიცეთ უფლისა ჩვენის ბძანების მიხედვით.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ნოემბრის **იბ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: გიორგი

11. განჩინება სანუე ერისთვისშვილისა და იაკობ ფალავანდიშვილის მამულის საქმეზე

1797 წ. 17 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4775. დედანი. ქაღალდი 35×14,2 სმ. მხედრული. ალგ-ალგ წერტილი ან ორწერტილი.

ქ. იმისის უმაღლესობისაგან ბძანებოდა მის უგანათლებულესობას მეფის ძეს იულონს ერისთავის შვილის სანუშესი და იაკობ ფალავანდიშვილის საქმისა და მამულების მორიგება და განსამართლება.

მისმა უგან[ა]თლებულესობამ მე, დიმიტრი დიასამიძე მიმბაშს, მიბძანა. მოვედი ამათთან ავენევს.

სანუშეს იაკობ ედავებოდა რომელსამე სავენახე მიწებსა. წავედი და თან წავიყვანე მოხუცებულნი და დამსწრენი კაცნი და ვნახეთ ის ადგილები; რომელიც ღმერთმან გვაგონა, დია გამოვეძიეთ და წინაშე ღმრთისა ესრეთ განვსამართლეთ და ესენიც დასჯერდენ.

ბერიკაშვილის ვენახი და შუბითიძის ვენახი უმიჯნობით გაერთებულიყო, მიჯნა და სამნები აღარ იყო. ჩვენ განვარჩიეთ დამსწრე კაცებითა სანუშეს კერძი ვენახი და იაკობის კერძი და სამნები ჩავსხით. ბამახაძის ვენახისაკენ სანუშეს დარჩა და ომანიძის მიწისაკენ — იაკობსა.

ამას გარდა ბერიკაშვილის ნავენ[ა]ხობს დაობდენ. ესეც იაკობს დარჩა სამართლით: ერთი გვერდი ჩხერილაშვილის მიწამდე, მეორე მხარე დასავლეთისაკენ ყუზაშვილისა და

* შდრ. იოანე 8,17.

ნონიაშვილის მიწამდე თავს ყორემდინ, ბოლოს ალანაშვილის ვენახამდე.

კიდევ იაკობ ედავებოდა ჭილლაძეს ნაბალევარსა. ეს ისევ ჭილლაძეს დარჩა — ზეით ყუზაშვილის მიწამდე, ქვეით ბალამდე ერთი მხარე მონდობილაშვილის მიწამდე და მეორე მხარე კიდევ ყუზაშვილის ნაბოსტნარამდე.

ბალის გვერდზე მიწას დაობდენ. სანშეს დარჩა — თავს ნაწისქვილარამდე, ბოლოს ყუზაშვილის მიწამდე, ზეით გვერდი გობეჯისშვილის მიწამდე, ქვეითი გვერდი ერისთვიანთ მიწის მიდგმამდე.

ეს ასე განვსამართლეთ შეწევნითა ღმრთისათა. ამათთან[1] არა დარჩა რა, არცა დავა და არცა ლაპარაკი ერთმანერთში სიყვარულისა და მეგობრობის მეტი. ღმერთმან ორსავე თავ-თავეთი მამული მშვიდობაში მოახმაროს.

მე ამათთან თან დამსწრე და ამისი დამწერი ანჩისხატის დეკანოზისშვილი ჰარონ სანშესა და იაკობის ბძანებით და სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. ხელრთვა: ჰარონ. დაიწერა ენკენისთვის **იზ**, ქორონიკონს **უპე**.

ეს განჩინება იაკობისა არის სანშესაგან ჯელმოწერით მოცემული.

ქ. არიან ამისი დამსწრენი და მოწამენი: ზედგინიძე ბეჟან†, მოურავი როსტომა †, დიასამიძის აზნაურიშვილი მახვილაძე†, სიკტურაშვილი დათუა †, მამასახლისი ჭიყლაძე გლახა †, სიკტურაშვილი ღვთისია †

კიდეზე

ქ. მე, მიმბაში დიასამიძე დიმიტრი ამ მამულების განმსამართლებელი, სანშესა და იაკობის ნებაყოფლობითა ამ განჩინებას ვამტკიცებ.

ბეჭედი: მონა ღთისა დიმიტრი.

---

1 ამათათან.

12. ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲛ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲘᲐ ᲨᲘᲜᲯᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲡᲮᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ

1797 წ. 16 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5681. დედანი. 44,5×16 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მის უმაღლესობას ბატონს დედოფალს ჩვენ, მათის მონათ მსაჯულთათვის ებძანებინა ოქმით:

ჩვენს მთაში პანკისში, ხაშმურსა, პატარძეულელსა და ნინოწმინდურს მეღორეებს ღორი ჰყოლიათო. ჩვენი მოხელე კობიაშვილი ლუარსამ მისულა და საბალახე უთხოვნიაო, არც სამთო საბალახე მიუციათ და ჩხუბიც უქნიათ და სასიკვდილოთ გამოუმეტებიათ და ამ ლუარსამისათვის თოფი უსროლიათ და დაუცდ[ე]ნიათ; მეღორეებიც თქვენთან მიაყვანინეთ და სამართალი მიეცითო.

ჩვენ მეღორეები ყველანი ხელში ვერ ჩავიყარეთ და ზოგნი, რომელნიც ხელში ჩავიყარეთ, ისინი მოვაყვანინეთ და სამართალში ვალაპარაკეთ.

შინჯიკაშვილი ნინია უარს იყო: მე რომ თოფის დაცემინებას მეწამება, ჩხუბი რომ მოგვივიდა, მართალი[ა], თო[ფი კი შეუმიზნე] და დაცემინებით კი არ დამიცემინებიაო; და ნარიმანიშვილის მეღორემ კიდეც ესროლა და კიდეც დააცდინაო.

ეს ჭეშმარიტებით გამოცხადდა, რომ ჩხუბიც უქნიათ, არც სამთო საბალახე მოუციათ და თოფიც დაუცდენიათ კობიაშვილის ლუარსამისათვისა.

თოფის დაცდენისათვის ვახტანგ მეფის სამართალი[1] ნახევარს სისხლს აჩენს, რასაც გვარისა იქნება.

ეს კობიაშვილი ლუარსამ აზნაურიშვილიც არის და მოხელეცა, [შ]უის აზნაურიშვილათ დავდევით, რომ შუის აზნაურიშვილის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი არის და ამ ოთხმოცდათექვსმეტის თუმნის ნახევარი — ორმოცდარვა თუმანი სისხლი თოფის მსროლელმა მეღორემ და ხუთმა იმისმა ამხანაგმა ლუარსამს უნდა მოსცენ. მაგრამ თოფის მსროლელმა სხვის თავის ამხანაგებზე მეტობით უნდა გაიღოს.

ამ ჩხუბში ექვსნი მეღორენი ყოფილან: ერთნი ნარიმანიშვილის მეღორე, მეორე ხეჭრელაშვილი ნინია,

---

1 სამართალში.

მესამე ყვარელაშვილი თევდორე, მეოთხე ნაცვლის მეღორე, იმერელი გოგიტელა, მეხუთე ბლუ გოგიას შვილი ზაქარია, მეექვსე შინჯიკაშვილი ნინია. ამ ექვსთ ეს ორმოცდარვა თუმანი უნდა მოსცენ კობიაშვილს ლუარსამსა. მაგრამ თოფის მსროლელმა მეტობით უნდა გაიღოს სხვას თავის ამხანაგებზე.

ამათი ამხანაგი მეღორეები სხვანიც ყოფილან იმ მთაში, მაგრამ ჩხუბში კი არ დასწრებიან.

და ამას გარდა კიდევ ესეც ასე განგვიწესებია, რადგანც ბატონის მთა იყო და ბატონის აღგილში არც სამთო საბალახეს აძლევდნენ და ეს შფოთიცა ჰქნეს, დიდი ჯარიმა დაედებოდათ, მაგრამ გძლათ აღარ გამოვეკიდენით. და რაც სამართლიანი სამთო საბალახე არის, ისიც ერთიორად უნდა გამოერთვასთ და ბატონს მიერთვას.

ხერხეულიძე რევაზ და დიასამიძე დავით! ეს როგორც გაგვიჩენია, ახლავ ისე გაარიგეთ. ნოენბერს **ივ,** ქორონიკონს **უპე.**

ხუთი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჭან
2. მონა ღთისა მდივანბეგი ოტია
3. ზაალ
4. მიწა ვარ, დავითრგუნები დავით
5. იოანე

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალი დარეჯან, ამ სამართალს ვამტკიცებთ. გიორგობისთვის **ით,** ქორონიკონს **უპე.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

კიდეზე:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ, ასე უნდა აღსრულდეს. მარტის **კ,** ქორონიკონს **უპვ.**

ბეჭედი: გიორგი

13. განჩინება შანშე მილახვრისა და ზაალ დავითიშვილის მამულის საქმეზე*

1797 წ. 18 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1763. დედანი. ქაღალდი. 43,5×21,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აჭა-იქ ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

მათს უმაღლესობას ბატონს დედუფალს ჩვენ — მათის შვილის ვახტანგისათვის შანშე მილახვრის შვილების სამართალი ოქმით ებძანებინა. ჩვენ მოვაყვანინეთ დავითიშვილი ზაალ და მსაჯულთ თანდასწრებით სამართალში ვალაპარაკეთ. ჩვენის ძმის იულონის განაჩენი რომ ჰქონდათ შანშე მილახვრის შვილებსა, კიდევ გამოძიებით გავსინჯეთ, რომ ყველა გარჩევით და რიგიანად ეწერა. იმ განაჩენში შესაცვლელი არა იყო რა.

ქვრისშვილის სასახლის აღგილი რომ სამართლით შანშე მილახვარს დარჩენოდა, იასაულს აბაშიძე სალთხუცესს გიორგის მიჯნები ჩაეყარა.

მისულიყო ზაალ თავის კაცებით და ის სამართლით ჩაყრილი მიჯნები ამოეყარა, რომ ეს თვით ზაალ დავითისშვილმა სამართალში თავს იდვა და დანაშაულზე თავი დაედვა.

ეს დიდათ უჯერო და კადნიერი საქმე უქმნია, რომ მეფის შვილის გასამართლებული და მისის ბრძანებით ჩაყრილი მიჯნები ამოუყრია. ამას სამართალი არ შეარჩენს.

ამისი ასე განგვიჩენია: სამართლის წიგნის ძალითა რომ ღირსია მარჯვენის მოჭრისა და რადგანაც ასე არის, რაც ზაალ დავითისშვილის მარჯვენის სისხლია, უნდა გამოერთოს და ჩვენს ძმას ბატონისშვილს იულონს საუპატიოს ჯარიმად მიერთოს. და რომელიც მიჯნები ამოუყრია, იმავ აღგილს უნდა ჩაიყაროს და შანშე მილახვარს დანებდეს ის მამული.

და გზას ზეით, დასავლეთის მხრისაკენ, რომ ზაალ დავითისშვილის კაცებს — კოკოლაშვილს ბერასა და კვერნიაშვილს ჯაფარას რომ ფიცი სდებიათ, სამართალში აღმოჩნდა, რომ ვერც იმაზე დაუფიცნიათ.

პირველ, ამითა რომ: ამ სადაო მამულზე მისულა სალთ-

* შდრ. 1797 წ. 6 ივნისის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 8).

ხუცესი აბაშიძე გიორგი და იქ ყოფილა ზაალის შვილი როსტომ და მათი კაცები და გიორგი აბაშიძეს მოფიცარის კაცებისათვის უკითხავს: დაიფიცავთო თუ არა. იმათ უთქვამს: დავიფიცავთო. ამ სიტყვით ატოცის წმინდის გიორგის ხატი ჩამოუსენებიათ და ვეღარ დაუფიცავთ.

მ ე ო რ ე დ, კიდევ რვას ივლისს ჩვენს ძმას იულონს ოქმი მიუწერია გიორგი აბაშიძისათვის: როგორც განაჩენში სწერია, ასე აღასრულეო. მისულა აბაშიძე გიორგი, ზაალ დავითიშვილი დაუბარებია და კიდევ არ მოსულა.

მ ე ს ა მ ე დ, კიდევ ჩვენს ძმას იულონს ივლისის ოცს წიგნი მიუწერია სალთხუცესს აბაშიძე გიორგისთან, რომ: რომელიც შანშე მილახვარს უფიცრად მამული დარჩა, ის ახლავ მიაბარე; და თუ იქ ზაალის კაცები იდგნენ, აჰყარეო; და რომელზედაც ზაალის კაცებს ფიცი აძევსთ, თუ ოცს დღემდინ არ დაიფიცეს, ისიც მილახვარს შანშეს დარჩებაო.

ზაალ დავითიშვილს არც ამაზე ეხმარა მორჩილება არც ვადამდინ კაცნი დაუფიცებია, არც მამული დაუნებებია და არც უფიცრად შანშეს დარჩომილის მამულიდამ კაცნი გამოუყვანია.

მართალია, ზაალ დავითისშვილი ამბობდა: კაცებს ახლა შეეფიცებო, მაგრამ ასეთი საქმეები ვნახეთ, რომ თუნდა ახლა კიდეც დაეფიცებინა, კაცები აღარ შეიწყნარებოდა; ამიტომ, რომ ჩვენ კ ო კ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს ბერის ძმას გ ო გ ი ა ს ვჰკითხეთ: თქვენ ფიცი შეგიძლიანთ თუ არა იმათ სამართალში, ახლა კიდევ აღიარა: არ შეგვიძლიან ფიცით.

ზაალ ამბობდა, რომ იასაულისაგან იმ სადაო მამულზე დაფიცებულად მოსვლა არ შეშინებულაო. ამაშიაც გამტყუნდა, რომ თეითონ კოკოლაშვილმა გოგიამ ფიცითა სთქვა: ჩვენს ბატონს ზაალს მრავალჯერ შევეხვეწენითო, ამ დავას მოგვარჩინეო, თუ დაფიცებელნი ვართ, დაგვაფიცეთ, თუ არა კელი აგვაღებინეთო. მაგრამ ზაალმა ეს გვიპასუხაო, რომ დამაცალეთ ან ბატონისაგან და ან ბატონისშვილისაგან სხვა რიგად გავარიგებო.

ამით გამოჩნდა, რომ მუდამ შეუტყუვია და თავი მოურიდებია. ახლა ამაზე ფიცი აღარ ერგებოდა. ეს მამულიც შანშე მილახვარს დარჩა უფიცრად. ჩვენის გონებით ეს ასე განვსაჯეთ და ნება მათის სიმაღლის დედოფლისა არის.

ორი ბეჭედი: 1. მდივან-ნაზირი ს ვ [ი მ ო ნ]
2. შ ი ო შ

ზაალ დავითისშვილი ამბობდა: შანშე მილახვრის შვილებმა ჩემის თხოვნით ოთხის თვის ვადა მამცესო ფიცისა.

მილახვრის შვილები უარობდნენ, რომ არ გვიყაბულნიაო. ამაზე მილახვრის შვილები ჩვენის ძმის იულონის ოქმებმა გაამართლეს, რომ ვადა მიცემული არ ყოფილა.

ზაალს ძალი უხმარნია. და მილახვრის შვილებს ოქმები [ა]უღიათ; და ზაალის კაცები რომ გუთანზე მიხდომიან, იმას სამართლი[ს წიგნით უნდა გადაუწყვიტონ]. თუ სამართლის წიგნი არ არის, არ იქნება და ახლა აქ არ გვქონდა. დეკემბერს **იზ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

თავში

ქ. ჩვენ, საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ ი პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ, ვამტკიცებთ ამ სამართალს. დეკემბრის **ით**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

ქ. ამ განაჩენის დაწერის შემდგომად ზაალმა კიდევ არ დაიშალა და ორი სიტყვა სამართალს მოახსენა:

პირველი, ესე რომ: უწინ ხატი მე მოვითხოეო და არ მოასვენესო და მეორედ ესა, რომ ოქმი არ მინახავსო.

ხატის მოთხოვნისა გიორგი აბაშიძემ ფიცით დაამტკიცა, რომ მართალია, ზაალმა ხატი მოითხოვაო და მოსასვენებლად რომ მოემზადნენ, ისევ ზაალმა დაშალაო.

და ოქმის უნახავობას პასუხად მილახვრის შვილებმა ზაალ დავითისშვილისაგან გიორგი აბაშიძესთან **ლ** აგვისტოს მოწერილი წიგნი წამოაყენეს, რომ ოქმის შეტყობას აცხადებდა. თუ ზაალ იტყვის უწინდელი ოქმი იყოო, იმაში ახლავ აღსრულება სწერია; და თუ მეორეს ოქმს იტყვის, იმაში ოცი დღე ვადა სწერია. ამაშიაც ზაალ ასე გამტყუნდა ორსავ სიტყვა.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

14. განჩინება ყორღანაშვილების ამბების საქმეზე

1797 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დაფთ. № 19. საბ. № 27. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[28] მათს უმაღლესობას ბატონს დედუფალს ყორღანაშვილის ფრიდონისა და ციხელის პოლტიკაშვილის გიორგი მჭედლის შვილების მოსიასი, პეტროზასი და მათის ბიძაშვილის ავეტიქასა და დავითას სამართალი ჩვენ — მსაჯულთშეკრებილებისთვის ებძანა. ჩვენ ბძანებისამებრ ორივ მხარე სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ფრიდონ ყორღანაშვილმა სამართალს მოახსენა და თვით თუშთ მოურავის წერილით დაამტკიცა რომ ამ კაცების მამა თუშთ მოურავს სახლებია და გაყრის დროს საუფროსოთ აუყვანიათ. ამ დროს მოსულა გიორგი მჭედელი ადიბეგა და ფრიდონ უნახავს და გამოუცხადებია, რომ ჩვენ თქვენის ახლო სახლის კაცის ყმანი ვართო, გაყრაში საუფროსოთ აგვიყვანესო, გვიშველეთ რამ, თორემ საუკუნოდ დავიკარგებითო.

ამაზედ ადიბეგასა და ფრიდონს მათის უმაღლესობის მეფისათვის მოუხსენებიათ, სამართალში ულაპარაკიათ და სამართლით თუშთ მოურავისათვის გამოურთმევიათ, იქიდამ აუყრიათ და თელავს მო[V]უყვანიათ. ამ საქმეზე მამუკა ხიდირბეგის შვილი არეშა შვილი პეტროზა, ალამდარი მურადა და სახია წერილით ემოწმებოდნენ, რომ ამ კაცებს კიდეც იმსახურებდნენო ადიბეგა და ფრიდონ. ფრიდონმა ესეცა სთქვა, რომ თელავიდამაც მიმიყვანდნენო, მაგრამ სხვათ ოსტატობით დამაცლევინესო, რომ ზამთრის მიზეზით აღარ აეჰყარეო და მერე სიცრუით ბატონს არზი მიართვესო და ოქმი გამოიტანესო, რომ ჩვენთან საქმე არავისა აქვსო.

პოლტიკაშვილები მიუგებდნენ: თქვენ ჩვენთან საქმე არა გაქვსთ, თქვენის გაყრილის სახლისკაცის — ასიტაშვილის ავთანდილას ყმანი ვართო. და ამას გარდა სხვა ოქმებიცა ჰქონდათ და მდივანბეგების განაჩენიც, რომ ასიტაშვილის ავთანდილას ყმობით აცხადებდნენ, რომელნიც ადიბეგას მამასთან და ბიძასთან გაყრილნი ყოფილან.

მაგრამ ბოლოს ყამს ფრიდონმა ერთი წყალობის სიგელი წამოაყენა ქორონიკონს **უო** დაწერილი მათის უმაღლესობის [29] მეფისაგან ბოძებული და ეგრეთვე მისის სიმაღლის დედუფლისა და ბატონის შვილებისაგან დაბეჭდილი, რომლითაც ყორღანაშვილის კვესიასი, აბაზასი და ასიტას ბეითალმანი ყმა და მამული მეფეს ადიბეგასა და ფრიდონ ყორღანაშვილისათვის წყალობად ებოძებინა; და ესეც ასე გარჩევით ეწერა, რომ სადაც იმათი უბანი არიან, ისინიც თქვენი იქნებიანო.

ჩვენ რომ ეს წერილი ვნახეთ, სხვა წიგნი და საბუთი აღარ ეჭირებოდა სამართლითაც და ბატონის წყალობითაც ეს ციხელი პოლტიკაშვილები გიორგი მჭედელ[ს] შვილი მოსია, პეტროზა და ამათი ბიძაშვილი ავეტიქა და დავითა ყმათ ადიბეგასა და ფრიდონ ყორღანაშვილს დარჩა.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათის უმაღლესობის დედოფლისა არის. აღიწერა დეკემბერსა კ, ქორონიკონს **უპე**.



თავში

ჩვენ, მეფ[ე] ირაკლ[ი] მეორე, [V] ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. თუ ამას წინათ ჩვენგან ოქმები და ან დედოფლისაგან ქონია, ის დაგვიყენებია. რადგან დიანბეგებს სამართლის განჩინება მიეცათ, იმის მიზეზით დავაყენეთ. დეკემბრის კჱ, ქორონიკონს **უპე**. როგორც დედოფალს დარეჯანს დაუმტკიცებია, ჩვენც ისე ვამტკიცებთ.

ჩვენ, სრულიად საქართველოს დედუფალი დარეჯან ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. და რომელიც ამ დავაზე ძველი საჯანჯლო წიგნები აქვსთ, ისიც უნდა ჩამოერთოსთ; რადგანც სამართალი გარდაწყვეტილია, იმის მიცემა საჭირო აღარ არის.

ეშიკაღაბაშო ავალიშვილო გიო! ეს ასე აღასრულე.

დეკემბერს კბ, ქორონიკონს **უპე**.



15. განჩინება გიორგი XII-ისა გვეტარიშვილების გაყოფის საქმეზე

1798 წ. 6 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2466. დედანი. ქაღალდი. 35,7×15 სმ. მხედრული. ალავ-ალავ თითო წერტილი.

ქ. გვეტარიშვილები ეშიკაღასაბაში აიდემურ და იმის ძმისწული ზაქარია თაეთის ყმისა და მამულის გაყოფას ითხოვდნენ.

და ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემ გიორგიმ, მდივანბეგების თანდასწრებით ესენი ვალაპარაკეთ.

და ჩვენ ესენი საუფროსოსა და საუმცროსოზედ გავაშველეთ, რომ ზაქარიას თავისგან გამორჩეული საუფროსოთ მიეცა ორი გლეხი — ერთი კარდანახს ილაშვილი მღვდელი დავით და მეორე ბაკურციხეს ბეჟაშვილი ბეჟანი, დღეს რისაც მამულის მქონებელნი არიან.

და საუარესოთ აიდემურმა მისცა კალაურს გოჩიაშვილი დათო, თავისის მამულით და კარდანახს თამაზელას ობოლი, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის.

და კარდანახს რომ სასახლე აქვსთ, ის სასახლე საუმცროსოთ სრულად ერგო აიდემურს. და იმ სასახლის ალაგის ტოლი ალაგი ასეთს ალაგს უნდა მოუხაზოს აიდემურმა ზაქარიას და მისცეს, რომ დაიდგომებოდეს და მტრისა არ ეშინოდეს და არც სადაო იყოს.

და ამისი გაზომა და შემზგავსება და სხვა რაც გასაყოფი აქვსთ, იმისი გაბარათება და გაყოფა მდივანბეგის[1] დავითისა და მდივანბეგის ზაალისათვის გვიბძანებია, ერთის მდივნის თანდასწრებით ასე გაუყონ და გაუბარათონ.

და ენდრონიკაშვილო ხალვათხანის ეშიკაღასბაშო იოსებ! ესენი კარდანახს შეყარე და ასე აღასრულებინე, როგორც ამ განაჩენში დაგვიწერია.

თებერვლის ვ, ქორონიკონს უპვ. [გიორგი]

16. განჩინება მელვინეთხუციშვილებისა და ალექსიშვილების მამულის საქმეზე*

1798 წ. 14 მარტი.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7286. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1449. № 663.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძემ ფარნავაზ, მდივანბეგის თანდასწრებით მელვინეთხუცისშვილები და ალექსიშვილები სამართალში ვალაპარაკეთ.

მელვინეთხუცისშვილები მიუგებდნენ: ჩვენ

1 მდივანბეგმის.

* შდრ. 1798 წლის 24 მარტის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 18).

კაცს შენთვის სანახევროთ მიწა მოუცია, ხუთ წელიწადს მამულათ უნდა აკეთო და მასუკან შუაზედ უნდა გაუყო, მაგრამ რადგანაც ის კაცი ჩვენი ყმა არის, ის მიწა უჩვენოთ არ უნდა გამოვერომევინაო.

ალექსიშვილები მიუგებდნენ: ოთხი თვე ვიმუშავეთ, მამულათ გავაკეთეთ, რატომ აქამდის არ გვითხარით რაო.

თომამ და პაატამ უთხრეს: მოციქულიც მოგიგზავნეთ და შემოგითვალეთ ჩვენს მამულს ნუ მუშაობო, მაგრამ არ დაიშალე და კიდევ კეთება დაუწყევ.

იმ ჟამებში იმ მამულის ბარობაზედ შელაპარაკებიყვნენ და ხიშუბი მოსვლოდათ და ორსავ მხარეს თავი გატეხილიყო და ხანჯალიც ხმარებულიყო.

ამათი სამართალი ასე გადასწყდა: რადგანაც ორნივ ჩვენი აზნაურშვილები არიან, ორსავ თავის გატეხა ერთმანეთში გავატარეთ; და ხანჯლის ხმარებისათვის ჩვენი საჯარიმონი იყვნენ, ისიც ვაპატიეთ.

ორი მუხტაბარი გორელი კაცი და ორი ხიდისთაველი მოძღვრიანი და მართალი კაცი უნდა მივიდნენ, რაც იმათ ისულმიერონ, ის ნამუშევარი ნახონ და რაც ნაჭირნახულევი იყოს, და[ა]ფასონ და ალექსიშვილებს მისცენ მელვინეთხუციშვილებმა.

როდესაც ჩვენ ოქმი მივეცით, რომ ის სადაო მიწა ალექსიშვილებს აღარ უნდა ემუშავნათ, იმის შემდგომ თუ გაუკეთებიათ რამე, იმისი არა მიეცემათ რა. და რაც ოქმს წინ ნამუშევარი არის, ის კი უნდა მისცეს.

აბაზაძე დავით იასაულო! უნდა მიხვიდე ხიდისთავს, როდესაც ალექსიშვილებს თავის საჭირნახულო მიეცეს, იმ სადაო მიწაზედ ხელი უნდა აუმართო და მელვინეთხუცისშვილებს მიაბარო. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიალით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარნა.

17. განჩინება ჯანდიერიშვილების მამულის საქმეზე

1798 წ. 20 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1535. დედანი. ქაღალდი 41,5×20,5 სმ მხედრული. თავი და მარცხენა კიდე დაზიანებულია. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას სრულიად საქართველოს მეფეს ჩვენს ძმას ბატონს გიორგის ჩვენ — მათის ძმის, მეფის ძის ფარნავაზისათვის ებრძანა: ჯანდიერიშვი-

ლი სფირიდონ და მისნი ძმანი თავეთს სახლის კაცებს კალაურის მოურავს ომანს და მისს ძმებს უჩივიანო, კახეთის ორი მდივანბეგიც შენთან დაისწარ, ამათი საჩივარი გამოძიებით მოისმინეთ და ჭეშმარიტი სამართალი მოეცითო.

მათის უმაღლესობის ჩვენის ძმის ბრძანებისამებრ მდივანბეგი ბეჟან, მდივანბეგი ოტია და მდივანი იოანე ჩვენთან დავწარით და ამათი სამართალი გამოვიძიეთ.

სფირიდონ და მისნი ძმანი კიკოლა და ჯანდიერ შვიდს აზრს უჩიოდნენ ნაოთხალს მამულზე.

პირველ, ეს: ჩვენი წილში ნარგები საკომლო სასახლის მაგიერად თქვენ ჩვენს სახლის კაცებს ომან მოურავს და შენს ძმებს გიჭირავსთო. და რომელიც ჩვენ სასახლეთ გვიჭირავს, ის სასახლე თარხნიანთაგან და ბარათიანთაგან წილში საუმცროსოთ თქვენს ოჯახს და ჩვენს ოჯახს საერთოთ რგებიათო. და მამა თქვენი და მამა ჩვენი რომ გაყრილან, მაშინ საუმცროსოთ ჩვენ გვრგებიაო, მაგრამ მაინც უფიცრათ არ დაგინებებიათ, ხატი ჩაგისვენებიათ, დაგიფიცებიათ და ფიცით გამოგვიტანიაო; მეორე, ნაზერევის თავში გიჭირავსთ, რომელიც ბასოშვილის მოსყიდული მიწა არისო; მესამე, ნაზერევს მიწას ამბობთ, ნასყიდი არისო; მეოთხე, ზალდასტანას ხოდაბუნი და ღუჭელაურისა; მეხუთე, გარდი-გარდმო მიწა გიჭირავსთო; მეექვსე, მამა-პაპათ ნაწისქვილარი წისქვილი დააბრუნეთ და წილს არ გვიდებთო; მეშვიდე, შენ, ომან, რომ დაბადებულხარ, რამდენისამე დღის მიწა მამა შენს წეტა გოგას სამახაროლოთ გაუციაო და იმის ფარდი ჩვენ არ გვიჭირავსო.

სფირიდონ და ამისნი ძმანი ომანსა და მისს ძმებს ამ შვიდს აზრს ასე რომ უჩიოდნენ, ომანმა მათის უმაღლესობის სანატრელის ბატონის მამის ჩვენის ოქმი წამოაყენა ქორონიკონს **ულზ** — ამ თარიღში დაწერილი, ესრეთ ებრძანებინა: ედიშერისაგან გამოფიცული სასახლე ზაზასა და პაპუას რომ უჭირავსთ, ამ სახლის ნახევარი გოგია წეტას უნდა მიეცესო. და თუ მეტ-ნაკლები რამ იქნება, იმას ჩვენ გავარიგებთო. ხოდაბუნები რაცა აქვსთ, ის ძმაზედ უნდა გაიყონო.

მათის უმაღლესობის სანატრელის ბატონის მამის ჩვენის ბრძანებისამებრ ომანსა და მისს ძმებს სასახლე დღეს ჯელში უჭირავსთ, მაგრამ რაც ან მეტი მოსულა და ან გაუყვიათ, იმის შემდგომი ოქმი კი აღარა ჩანს.

ჩვენის მიხვედრით ესრეთ გავბჭევით, რომ: რადგანც ზაზასა და პაპუას წილში ნარგები საკომლო იყო, საკუთრათ ამათ რათ უნდა მიეცათ, მეოთხე ძმა არის და საერთოდამ ნაოთხალი წილი ხვდებოდათ, და ის უნდა მისცემოდა; რომელსაც სასახლე აკლია საერთოდამ ოთხისავ ძმის წილობამ უნდა შეუსრულონ და მისცენ. და რაც ნაოთხალის წილიდამ სფირიდონს და მისს ძმებს ერგებათ, ის უნდა მისცენ და ის თავეთი საკომლო ისევ უნდა დაბებდესთ; უმცროსის ძმის სასახლის ზომაზედ უნდა შემოიფარგლოს, მეტნაკლებობა არ იქნება.

მეორე ეს: ბასოშვილისაგან რომ მიწა უყიდნიათ ნაზვრევის თავში, ამაე ნასყიდობის წიგნში აცხადებს: ეს, რომელიც მიწა მოგყიდე, ვაჩნაძისაგან არის მოსყიდული და ვაჩნაძის ნასყიდობის წიგნიც თქვენ მოგართვითო. რადგანაც ამ ნასყიდობის წიგნში დღიურობით არ აჩენს — ამდენის დღის მიწა მოგყიდეო, ომანმა და მისმა ძმებმა ვაჩნაძის წიგნი წარმოაყენონ. იმაში თუ გარჩევით ეწერება: ამდენის დღის მიწა მოგყიდეო, იმ წიგნის ძალით იმდენის დღის მიწა ომანს და მისს ძმებს დარჩებათ. და თუ იმაზედ მომატებული ეჭირებათ, ის ოთხთ უნდა გაიყოს და ნაოთხალი სფირიდონს და მისს ძმებს მიეცესთ.

და თუ ვაჩნაძის წიგნი დაჰკარგვიათ, ბასოშვილის წიგნში ხომ ის სწერია რამდენის დღისობა. ამაზედ ომანს ფიცი დავადეეთ, ხატი ჩაისვენოს, წადგეს და ესრეთ თქვას: «ამისმა მაღლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმან, ბასოშვილს რომ ჩვენთვის მიწა მოუყიდნია, მიჯნები დაუნიშნოს, რომ აქამდინ და აქამდინ არისო».

თუ ასე ფიცით არწმუნებს, სფირიდონს და მისს ძმებს ამასთან საქმე აღარა ექნებათ რა. და თუ ასე ფიცით ვერ განსწმინდეს, იმ მიწის ნაოთხალი სფირიდონს და ამისს ძმებს უნდა მიეცესთ.

მესამე: ბაგასთან რომ მდივანბეგს პაატას მიწა უყიდნია, რომელსაც ნასყიდობის წიგნშიაც აცხადებს, თუ ბაგაც ნასყიდი არის, იმის ნასყიდობის წიგნიც წარმოაყენონ ომანმა და მისმა ძმებმა და იმით სწორეთ გაირჩევა. და თუ წიგნს ვერ წარმოაყენებენ, როგორც ზემორე ფიცი გაგ[ე]ჩენია, ან ისრე ფიცით უნდა არწმუნონ და ან აქედამაც ნაოთხალი წილი სფირიდონს და მისს ძმებს უნდა მიეცესთ.

მეოთხე: ზალდასტანას ხოდაბუნს და ღუჭელაურის ხოდაბუნს ომან რომ ამბობს — პაატა მდივანბეგის ნასყიდი არისო, თუ

სამართლისაგან შესაწყნარებელს ჰეშმარიტს ნასყიდობის წერილს წარმოაყენებს და იმაში ეწერება: ამდენის დღის მიწა მოგყიდეო, სფირიდონს და მისს ძმებს საქმე არა ექნებათ რა. და თუ წიგნს არ წარმოაყენებს, ლიტონს სიტყვას სამართალი არ შეიწყნარებს. ამაზედაც ფიცით გული უნდა აჯეროს ომანმა.

მ ე ხ უ თ ე: და კიდევ [ს]ფირიდონ რომ ამბობს: გარდიგარდმო ოთხის დღის მიწა უჩირავს ომანსაო, და ომან მიუგებს — პაატა მდივანბეგის ნასყიდი არისო, და ნასყიდობის წიგნი კი არა ჩანს, ამაზედ ომანმა ორი თავისი კაცი შეაფიცოს და ფიცით გული აჯეროს, რომ ეს ოთხის დღის მიწა პაატა მდივანბეგის ნასყიდი არის და წიგნი კი არა გვაქვსო.

თუ ასე ფიცით განსწმენდენ, დარჩება ომანს და მის ძმებს. თუ არადა, ერთის დღისა სფირიდონს და მისს ძმებს უნდა მიეცესთ.

მ ე ე ქ ვ ს ე: და კიდევ ამას ჩივიან სფირიდონ და მისნი ძმანი: ომანმა გასაყოფს ადგილში წი[სქვილი] დააბრუნა და ჩვენ წილს აღარ გვიდებსო. ამისიც ესრეთ უნდა მოხდეს: უნდა გაზ[ომონ], რომელიც ომანის წილი მიწები არის; თუ წყალიც ომანს გამოუტანია და წისქვილიც თავისს მამულში დაუბრუნებია, ხომ სფირიდონ და მისნი ძმანი ვერას შეუვლენ.

და თუ [ს]აერთოს მამულში დაუბრუნებია, ომანს რაც ხარჯი მოსულია, იმის ნათხალი ხარჯი სფირიდონმა და მისმა ძმებმა უნდა მისცენ; და წისქვილის ნათხალი წილი უნდა დაედვასთ სფირიდონს და მის ძმებს.

მ ე შ ვ ი დ ე: და ომანის დაბადების სამახარობლოთ წეტა გოგიას რომ მიწა გაუღი[ა, ი]ს მიწა უნდა მოზომონ და იმის ნათხალი მიწა ომანმა და მისმა ძმებმა უნდა მისცე[ნ სფი]რიდონს და მისს ძმებს.

ჩვენ ეს სამართალი მივეცით და ნება და ბრძანება მათის [უ]მაღლესობისა აღსრულდეს.

გ ო შ ტ ა შ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ო დ ა ვ ი თ! ეს ასე აღასრულე. მარტის კ, ქორონიკონს უპვ.

ქ. ზემორე ზოგიერთს აზრზე ომან მოურავის[აგ]ან ხატის ჩასუენებით ფიცით განწმენდა რომ დაგვიწერია, ეს ამ მიზეზით ინება სამართალი. ომანის ოჯახს და ამ სფირიდონის მამასა და ბიძასა რომ სასახლეზე დავა ჰქონია, ამ სფირი[დონი]ს მამისა და ბიძისათვის ფიცი შეუგდიათ, ხატი ჩაუსვენებიათ, დაუფიცებიათ და სასახლის წილი ფიც[ით] დაუნებე[ბ]იათ.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიაღით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარნა.

...* საკუთარ მამულში არის ის [წისქვილი], რომ გავზო[მეთ] ის ადგილი. და ნება მათის უმაღ[ლესობისა არის]. გ ო შ ტ ა შ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ი [დ ა ვ ი თ].

კიდეზე:

ქ. რო[გო]რც ამ განაჩენით ფიცი ედონ ომან მოურავს და მისს ძმებს, ისე შეფიცეს...** სფირიდონის ძმებს; და ის მიწები მოურ[ავს და]რჩა. მე, გ ო შ ტ ა შ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ, ამათი...**მოასილი ვიყავი [უ]მაღლესობის...** ბრძანებით; და ასე გარდა[წყდა] ამათი საქმეც...*

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა [და] კახეთისა და სხვათა მეფე გ ი ო რ გ ი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აპრილის ვ, ქორონიკონს უპვ. [გიორგი]

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გ ი ო რ გ ი, ამათის იასაულისაგან დამტკიცებულს წიგნს მეორედ ვამტკიცებთ, როგორც იასაულს მოუწერია ამაზედ. აპრილის კთ, ქორონიკონს უპვ. [გიორგი]

18. განჩინება მელვინეთხუციშვილებისა და ალექსიშვილების მამულის საქმეზე***

1798 წ. 24 მარტი

ზელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7295. დედანი. ქაღალდი. 43,5×17 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათს უგანათლებულესობას ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლს ფ ა რ ნ ა ო ზს მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ი ს ა და ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი ს სადაოს ვენახისა მე, დ ა ვ ი თ ა ბ ა ზ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს ებრძანებინა განაჩენით.

ბრძანებისაებრ თ უ თ უ ნ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა და ბ ა ბ ა-

* აკლია რამდენიმე სიტყვა.
** აკლია ერთი სიტყვა.
*** შდრ. 1798 წ. 14 მარტის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 16).

ლაშვილი ავთანდილ, ტლაშაძე იასე დანონიკასშვილი ივანე — ეს ოთხი კაცი ამ მეღვინეთხუცესშვილისა და ალექსიშვილის გამორჩევით და ნებაყოფლობით იმ სადაოს მამულში მივიყვანე; და როგორც მათს უგანთლებულესობას ებრძანებინა, ის მამული ისე გაშინჯეს.

და ალექსისშვილს რაც იმ მამულში ჭირნახული ექნა, უანგარიშეს; და იმ მამულის პატრონს მეღვინეთხუცესშვილის ყმას მაწონაძეს ივანეს დაედვა ოთხი თუმანი თეორი. ეს ოთხი თუმანი ალექსიშვილს უნდა მიბარდეს. ეს მამული დარჩა მეღვინეთხუცესშვილის კაცს.

ამ მამულის საქმე ასე გადასწყდა, რომ დღეს და დღეის იქით ერთმანერთთან სადაო არა აქვსთ რა ამ მამულზედა. მარტის **კდ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: აბაზაძე დავით

ქ. მე, ბაბალასშვილი ავთანდილა, ამა[1] სამა-
[რთალ]-დაფასებაში დავესწარი ხელოვა: ავთანდილ.

ქ. მე, თუთუნასშვილი დავით, ამა სამართლისა დამსწრე ვარ. ბეჭედი: მონა ღთისა დავით

ქ. მე, იასე მდივნის შვილს დავითს, ამ მოსამართლე[ე]ბის ს[ი]ტყვით დამიწერია. მარტს **კდ**, ქორონიკონს **უპვ**. ხელოვა: დავით.

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს სანატრელის მეფის ირაკლი მეორის ძე ფარნავაზ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ნომბერს **იზ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: ღთისმშობელმან წიაღით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარნა.

ქ. ამ განაჩენის ოთხი თუმანი მიბარდათ ალექსისშვილებს და ამ მამულში საქმე აღარა აქვსთ რა. ასე გარდასწყდა.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიაღით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარნა.

1+ ამა.

19. განჩინება აბრამა გაშარულის საქმეზე

1798 წ. 14 აპრილი

საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, საბუთი № 425.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძეს იოანესთან როჭიკაშვილის ნაზირის სახლობამ თინათინმა იჩივლა, რომ ჩემის სიძის ფიცხელაურის მსახურმა ბაშარულმა აბრამამ ჩემი გაზრდილი მხლებელი მომტაცაო და ცოლად შეირთოო, ამის სამართალს ვითხოვო.

რადგანაც ასე ყოფილა და ამათს უკითხავად მოპარვით მოუტაცნია, სამართალი ეს არის: იმ ბაშარულმა აბრამამ ამ როჭიკაშვილს ოცდაოთხი თუმანი უნდა მისცეს და ან ყმად უნდა მიუდეს. სამართალი ეს არის და ასე უნდა აღსრულდეს. ჩვენი განჩინება ეს არის. თითონ თუ კარგად მორიგდებიან, ნება აქვსთ. აღიწერა აპრილის **იდ**, ქორონიკონს **უპვ**. იოანე

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ და, ხერხეულიძე ეშიკაღაბაშო გიორგი, ეს ასე უნდა აღსრულოს. ოქტომბრის **ით**, ქორონიკონს **უპჳ** — 1799 წ. მეფე გიორგი

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფის ძე იოანე, მეორედ ამ განჩინებას ესრეთ ვამტკიცებთ, რომ ბაშარულმა[1] აბრამამ თეთრი ვერ უშოვნა და დარჩა ყმად როჭიკაშვილის გლახა ნაზირის სახლობას თინათინს. იულისის **კვ**, ქორონიკონს **უპჸ** — 1800 წ. იოანე

verso

ქ. ეს აბრამ ბაშარული ჩვენ სისხლში გვერგო. ამ განაჩენის სამართლით ჩვენ ჩვენს ქალს მივეცით სოფიოსა, მზითვათ მიგვიცია. ეს ბაშარული აბრამა თავისის ცოლ-შვილით ასე მიგვიცია, რომ თუნდა გაყიდოს, თუნდა მზითვათ მისცეს. სოფიოს მეტს ქალი არავისა აქვს. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უპჸ** — 1800 წ.

ნაზირი მალეკო

1 ბაშალურმა.

20. განჩინება ქისტაურებისა და მდივანბეგ ბეჟანის ყმების საქმეზე.

1798 წ. 1 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1032. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. სახასო ქისტაურები უჩიოდნენ მდივანბეგს ბეჟანს, რომ: ბატონმა რომ შენ ბოჭორმელები გიბოძა სიგლით, იმ ბოძებულს უკან შენის მძლავრებით ოთხი-ხუთი კომლი კაცი წაგვართვეო. ბატონის ოქმიც მოვიტანეთ, მაგრამ შენ მაინც არ მოგვეცო.

ბეჟან მდივანბეგი ეპასუხებოდა: ბატონმა მიბოძაო და იმისის ძალით მიჭირამსო.

ჩვენ, საქართველოს დედოფალმან დარეჯან, მოსამართლეებიც ჩვენთან დავისწარით და ბეჟან მდივანბეგს სიგელი მოვატანინეთ. ბატონს სიგელი უბოძებია ქორონიკონს **უპბ** — ამ წელში და უბრძანებია: მუქუელი სოფელი გიბოძეთ, რაც კაცნი შიგ სახლობან იმითიო. და თარიღს ქვეით უბრძანებია, კიდემ რომელნიც ქისტაურელნი ჩვენი სახასონი სახლობენ, იმათ კი მამულს ვერ მოუშლითო. ამ ბრძანებით გამოცხადდა, რომ ქისტაურები არ უბოძებია.

ამის შემდგომ ბეჟან მდივანბეგს ოქმი აუღია ქისტაურის მამულისა და ბოჭორმელთ მამულის გარჩევისა. ბატონს მდივანბეგის ოტიასათვის, ხარჭაშნელის გრიგოლისათვის და ალექსანდრე ეშ[ი]კალბაშისათვის უბრძანებია, რომ მიდით, გაურჩიეთო; და იმავ ოქმში სწერია: ქისტაურელნი ან შვიდნი კომლნი არიან და ან რვანიო.

მისულან ესე ზემოხსენებულნი მოსამართლენი და განაჩენი მიუციათ მდივანბეგის ბეჟანისათვის, რომ ქისტაურელნი კი არ მოგვიდგნენო; და რვა კომლი კაცი რომ ეწერა ქისტაურელნიო, ჩვენ ათ კომლად შევასრულეთო. და სხვანი კი ბეჟან მდივანბეგს მივეციო. ეს განაჩენი ბატონისთვისაც მიურთმევია და არ დაუმტკიცებია ბატონსა.

ამის შემდგომად ხსენებულნი ქისტაურელნი ხლებიან ბატონსა და მოუხსენებიათ: ხუთი კომლი კაცი წაგვართვა ბეჟან მდივანბეგმაო.

ბატონს ოქმი უბოძებია ქორონიკონს **უპგ** — ამ წელში, რომ: ბეჟან მდივანბეგს, რომ მამული უბოძეთო, თუ იმას უწინ იქ სახლებულანო, ბეჟანს საქმე არა აქვსო; და თუ მასუკან დასახლებულან, ბეჟან მდივანბეგისანი იქმნებიანო. ამ ოქმითაც გამოცხადდა, რომ არ უბოძებია ქისტაურელები.

რადგან სიგელშიაც ისრე არის გამოცხადებული და ეს ოქმიც ამგვარი აქვსთ ქისტაურელთ, ამ ხუთ კომლს კაცთან ბეჟანს საქმე არა აქვს რა. რომლისაც სახლები ბატონის ოქმში სწერიან, ისინი ისევ სახასონი არიან.

ეშ[ი]კალბაშო გიო! შენ მიდი და რაც ბატონის ბოძებულს სიგელს შემდგომ ქისტაურელთათვის მდივანბეგს წაერთმეინოს ან კაცი ან მამული, კოშკები ან მთა, ისევ სახასოთ დასდე.

და თუ ბეჟან მდივანბეგი ასეთს წიგნს მოიტანს სიგლის შემდგომს, რომ სამართალში შეიწუნარებდეს, იმას გავშინჯამთ და სამართალს მივცემთ. მაგრამ ბეჟან მდივანბეგმა ამ ერთს თვეზედ უნდა მოიტანოს და გამოაცხადოს წიგნი.

მაისის **ა**, ქორონიკონს **უპვ**. დედოფალი დარეჯან

ქ. ეს ქისტაურელნი მისის სიმაღლის ჩვენის ჯელმწიფისაგან ჩვენს შვილს მირიანს აქვს ბოძებული წერილით და ჩვენის შვილის მირიანისანი არიან ეს ქისტაურელები. დედოფალ დარეჯანი

მდივანი სულხან	მდივანი დავით	მდივანი ნაზარი სვიმონ	ოქან	მანუჩარ	მილახვარი იოსებ

21. განჩინება მერაბ ნაზირის შვილისა და მისი ბიძაშვილის იოანეს ყმა-მამულის საქმეზე

1798 წ. 4 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 53. საბ. № 16. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[13] მის უმაღლესობას ბედნიერს ჯელმწიფესთან მერაბ ნაზირის შვილს და მის ძმას იოსებს თავისის ბიძაშვილის იოანესათვის ექვს აზრზედ ეჩივლათ და ამათი სამართალი მათ მონათ — მოსამართლე[ე]ბს გვებძანა. ესენი ორნივ სამართალში ვალაპარაკეთ და ამათი წერილის პირი რომ გავშინჯეთ, რომელიც სამართალმა გარდაუწყვიტათ, ამას ქვევით დაიწერა.

პირველი, მერაბ და იოსებ შილდაში თავიანთ ყმის მათიაშვილის ორის დღის მიწას რომ ედავებოდნენ, იოანე ეპასუხებოდა: სულხან ეშიკალბაში მამაშენს და მამაჩემს

რომ გაჰყრია, ის მიწა ჩვენს ყმას ცეცხლაშვილს სჭერია. შემდგომად მამაშენი და მამაჩემი რომ გაყრილან, ცეცხლაშვილი წილში ჩვენა გვრგებიაო და ის მიწაც ამას გამოჰყოლია, ამას უჭირავს და დღევანდლამდისინ არ გიდავ[v]იათო.

რადგან იოანემ ამ თავისის ნათქომის სიტყვის საბუთი უყო პირისპირ იოსებს, სამართლით ეს ორის დღის მიწა ცეცხლაშვილს დარჩა. მერამცა და იოსებს ამაში საქმე აღარ აქვთ რა.

მ ე ო რ ე. იოსებ იოანეს ახმეტას ხ ი ხ ო რ [ა] ს შ ვ ი ლ ს ა და იმის მამულს რომ ედავება, იოანე ეპასუხება: სულხან, ეშიკაღაბაში რევაზ, მამაშენი და მამაჩემი ერთობის ჟამს ფშავში რომ დახიზნულან, ეს მამული მაშინ გაუყიდნიათ, კაცი აყრილა[1] და გაქცეულა. სულხან მამაშენი და მამაჩემი რომ გაყრილან, წილში არ ჩაუგდიათ. მასუკან კიდევ მამაშენი და მამაჩემი რომ გაყრილან, არც მაშინ ჩაუგდიათ წილში. გამოსულა რამდენიმე ხანიაო, ეს ხოხორასშვილ[ს] მამა ჩემს მოუყვანიაო და თავის წილში ნარგებს მამულზედ დაუყენებიაო.

როგორც იოანე ამას ამბობს, თუ ამის ასეთს საბუთსა იქმ ძოწით, რომ სწორეთ ასე ყოფილა, მერაბს და იოსებს საქმე აღარა ექნება რა. და თუ ამის საბუთს ვერა იქმს იოანე, ვინ იცის, როგორმე ის მამული და კაცი გასაყოფათ დარჩომით სამისავე საწილო იქნება — გ ა რ ს ე ვ ა ნ ეშიკაღაბაშისა, იოვანესი და იოსებისა; როგორც ერთმანეთთან წილი აქვთ, ისე უნდა გაიყონ.

მ ე ს ა მ ე, საუმცროსოში ბერს ნაზირს მ ე გ უ თ [ნ] ი ს შ ვ ი ლ ი რომ რგებია თავისის მამულით, იოსებ ეუბნება იოანეს: მამული მე მიჭირავსო, კაცი რევაზ ეშიკაღაბაშმა ჩვენ გაყრას უკან აგვიყარ[ა]ო.

იოსებმა თუ წინანდლიდამ მახსოვარი კაცი იშოვნა, რომ საუმცროსოში ნარგები მეგუთნისშვილი გაყრას უკან ეშიკაღაბაშს აეყაროს, იოანემ იმისი მაგიერი უმამულო კაცი [14] მერაბს და იოსებს უნდა მოსცეს. და თუ ამისი მოწამე ვერ იშოვნა, ამ მეგუთნისშვილის სადაოს საქმეზედ ნუღარ ილაპარაკებს იოსებ.

მ ე ო თ ხ ე, იოსებ ნაზრევზედ რომ ელაპარაკებოდა იოანეს, ამისი ერთობის სიგელი წარმოაყენა იოანემ, თავიანთ ყმის ბ ე ჭ უ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს მიუციათ ეს ნაზრევი. და რადგან ერთობაში მიეცათ ამ თავისის ყმისათვის, სამართალში აღარ მოუშალა, დარჩა იოანეს ნაზრევი.

[1] უყრილა.

მ ე ხ უ თ ე, კოკიაური იოანეს საუფროსოში ნარგები რომა აქვს, იოსებ ედავებოდა, ეგ კ ო კ ი ა უ რ ი შენი არისო და კ ა ნ კ ი ა უ რ ი გასაყოფი გვაქვსო. თუ იოსებმა ამისი მოწამე მოიყვანა რომ კოკიაური სხვა არის და კანკიაური სხვა საკომლო, კოკიაური იოანესი იქნება და კანკიაური უნდა სამათ გაიყონ ეშიკაღასბაშმა გარსევანმა, იოანემ და იოსებმა, როგრც წილი აქვთ ერთმანეთში.

მ ე ე ქ ვ ს ე, გ ო გ ნ ა ნ შ ი და მ უ კ უ ზ ა ნ შ ი რაც გაყოფილი აქვთ, იმას გარდა რაც დარჩომილი აქვთ, შეფარდებით უნდა შუა გაიყონ წილის.

ქ. იოანე იოსებს ეუბნება: ჩემი წილი ხოდაბუნი მ ი [ი] მ ძ ლ ა ვ რ ე და შენს ხოდაბუნს შეუმატეო. ამისი ასრე გარდასწყდა: გაზომონ და მეტ-ნაკლები გ ა [ა] ს წ ო რ ო ნ.

წ ი ნ ა ნ დ ლ ს იოსებს წინ[ანდლ]ის წილს მიწაში წისქვილი რომ დაუბრუნებია, იოანე ეუბნება: თუ ძველს რუეს ზევიდამ ბრუნავს, ჩემიაო. და თუ ქვემოთ ბრუნავს, შენი იქნებაო. ეს გასინჯონ და ვისიაც მამულში ებრუნება, იმას დარჩება. მაგრამ რაც ხარჯი ექნებათ იმ წისქვილის გაკეთებაში, ის კი უნდა მიუბრუნოს, რომელსაც დარჩეს.

ბ ა ლ ს ა დ გ ო მ ი ს მიწაზედ და უ რ ი ა თ უ ბ ნ ი ს ხოდაბუნზედ რომ ლაპარაკობენ, ესე[ე]ბიც გაზომონ და შუა გაიყონ შეფარდებით [v] უმეტნაკლულოთ.

მ უ კ უ ზ ა ნ ს იოანეს საწილოსა და თავის საწილოს ალაგში საზღვრეთ რომ შამოუღობავს, ერთმანეთის ნებით თუ ფარდი მისცა იოსებმა, იოანეს სიტყუა ნუღარა აქვს. და თუ ფარდით ერთმანერთი ვერ შაიჯერივეს, შუა გაიყონ სწორეთ.

იოანეს შ ო შ ი ტ ა ი მ ე რ ე ლ ი რომ მოსვლია, რამდენიმე წელიწადი ამასთან ყოფილა და დაუქორწინებია და მასუკან იოსებთან მისულა. იოსებს საქმე არა აქვს რა, იოანეს დარჩა სამართლით.

მ უ კ უ ზ ა ნ ს რომ საერთო წისქვილი ჰბრუნებიათ, იოანეს თავის წილი თავის კაცისათვის მიუცია და იოსებს თავისი კაცისათვის და ორთავ ეს კაცები აჰყრიათ და ეს წისქვილი იოსებს უჭირავს საკუთრათ. ეს ორისავ საზიარო არის — ნახევარი იოსებისა არის და ნახევარი იოანესი.

ამათი საჩივრების საქმეები ასე გავარიგეთ და გარდავწყვიტეთ. და თუ ამას გარდა კიდევ ერთმანეთთან თუ სხვა სადაო ექნებათ რამე, ის კიდევ მასუკან სამართალში ილაპარაკონ.

მაისს **დ**, ქორონიკონს **უპვ**.

22. განჩინება მანუჩარ მდივნისა და იოსებ ალაპაპაშვილის ვალის საქმეზე

1798 წ. 20 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1026. დედანი. ქაღალდი. 33,4×21,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის ბრძანებით ჩვენ, ქვემოხსენებულნი მონანი მანუჩარ მდივნისა და ალაპაპაშვილი იოსებას სამართალში დავესწარით.

ქორონიკონს **უო** — ამ წელს ჩარჩიშვილს შაქარას და ალაპაპაშვილს პაპას გორის იჯარა სა[ა]მხანაოთ სჭეროდათ. ამ იჯარისათვინ თეთრი დასჭირებოდათ, მანუჩარ მდივანსა ესესხებინა სიით.

მერმე, ქორონიკონს **უობ**, ამ წელს აპრილში მდივანს შაქარასათვინ ანგარიში გაეწმინდა, რაც მდივნის თეთრი დამდგარიყო. შაქარას ეთქვა: ცხრა თუმანი მე და პაპამ საერთოთ უნდა მოგცეთო და სხვა რაც მეტი არის, მე უნდა მოგართვაო.

თავისი წილი ოთხთუმანნახევრისა და სხვა რაც მეტი მართებოდა, ერთიანი თამასუქი მიეცა შაქარას მდივნისათვინ. და პაპას წილი ოთხთუმანნახევარისაც ერთი ყაბზი მიეცა: თუ ეს ოთხთუმანნახევარი პაპაზედ არ იყოს და ჰაშა ქნას და საბუთი ვერ უყო, ესეც მე მოგართვაო.

მერმე, ქორონიკონს **უოგ**, ამ წლის თებერვალში პაპასთვის ეთხოვნა ეს ოთხთუმანნახევარი და ერთი თუმანიც პატარა სი[ი]თ პაპას მართებოდა.

ამ ხუთთუმანნახევრისა პაპას ერთი წიგნი მიეცა მდივნისათ[ვ]ნ. შაქარას რომ უთქვამსო, ეს თეთრი პაპამ უნდა მოგცესო, მე ეს პირობა მოგართვი: მე და შაქარამ იჯარის დავთრები ჩამოვიტა[ნ]ეთ, ვიანგარიშოთ; მე დამედვას, მე მოგართვაო; თუ შაქარას და[ვ]ედვას, შაქარამ მოგართვასო. თუ აღდგომამდინ ვერ უანგარიშო[ე]ს, ეს ხუთთუმანნახევარი მე მოგცეო.

ამ წერილს უკან პაპას ოთხი წელიწადი უცოცხლია. და შაქარა ხან აქ ყოფილა და ხან ახალციხესა. მდივანს პაპასთვინაც უთხოვნია და შაქარასთვინაც უთხოვნია ეს თეთრი, გამირიგეთ, მომეცითო.

ამათ ანგარიში ვერ გაუწმენდიათ, ამისთვის რომ შაქარა აკლებული ყოფილა, დავთრები აღათანგი ხერხეულიძეს წაუღია. და მდივანისათვის პაპას უთქვამს: შაქარამ უნდა მოგცესო.

დღეს მდივანი ამ თეთრს იოსებსა სთხოვს: აღდგომამდინ ვადა მეწერა, ვადას უკან შენ უნდა მამცეო.

ჩვენ ამათ სამართალი ასე დავინახეთ: რადგან პაპას და შაქარას იმ დავთრების დაკარგვის მიზეზით ანგარიში ვერ გაუწმენდიათ, ერთი თუმანი რომ საკუთარ პაპას ვალი ყოფილა, ის ისევ საკუთარათ იოსებამ უნდა მისცეს. და ოთხთუმანნახევარი, ოცდაორი მინალთუნი და ათი შაური შაქარას ვალი იქნება და იმისმა წილობამ უნდა მისცეს. და ნახევარი — ოცდაორი მინალთუნი და ათი შაური იოსებამ უნდა მისცეს, რომ გახდება იოსებაზედ სამი თუმანი, ორი მინალთუნი და ათი შაური.

მაისს კ, ქორონიკონს **უპვ**.

ქ. მე, უღირსი მღვდელი თომა, ამ სამართლის დამ[ს]წრე ვარ.

ქ. მე, თომა დავრეშაშვილი, ამ სამართლის დამსწრე ვარ ხელრთვა.

ქ. ამ სამართლის დამსწრე ვარ მე, ზუბალაშვილი იოვანე ხელრთვა.

ქ. ამ სამართლის დამსწრე ვარ მე, ყუზანასშვილი აბელა ხელრთვა.

ქ. ამ სამართლის დამსწრე ვარ მე, ფეშნგიანთ პეტრეს შვილი სტეფანა ხელრთვა.

23. განჩინება გოგია დარჩაშვილისათვის მამულში წილის დადების თაობაზე

1798 წ. 22 მაისი

ცსსა. 1448. № 870. დედანი. ქაღალდი. 26,2×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. დარჩაშვილის თევდორეს ქვრივს ანას და ამის შვილს გოგიას მათის უმაღლესობის მეფისათვის არზა მიერთმევინათ და ბილანიშვილის სტეფანეს

მღვდლისათვის მამულზედ ეჩიენათ, იმათი სახლისკაცი ვართ და მამულში წილს არ გვიდებსო.

ამისი სამართალი მათს უმაღლესობას ჩვენ მსაჯულთშეკრებილებისათვის ებძანათ. ესენი მოვაყვანინეთ და სამართალში ერთად ვალაპარაკეთ და ამათი სარჩელი მოვისმინეთ, გამოძიება ვყავით და ზედმიწევნით შევიტყევით, რომ გოგიას მამა რჯულიერს ცოლთან ნაშობი არ იყო და ცოდვის შვილად აღმოჩნდა. წერილ არს: «არა დაიმკვიდროს ძემან მხეცისაგან ძისა თანა აზნაურისა»*.

რადგანც ამ გოგიას მამა ცოდვის შვილად აღმოჩნდა, სამართლით ბილანისშვილს სტეფანე მღვდელს მამულში წილს ვერა სთხოვს. თუ ეს გოგია თავისთავს ყმად მისცემს, სტეფანე მღვდელმა მამული უნდა მისცეს და ყმად დაისახლოს. თუ ყმად არ დაუსახლდება, თავისუფალი არის, ვისთანაც უნდა მივა და იმას ეყმობა. და მამულში კი სახლისკაცობით წილი არ დაედება სამართლის ძალით. აღიწერა მაისის **კბ,** ქორონიკონს **უპვ.**

შვიდი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ჟ ა ნ.
2. მდივანბეგი დ ა ვ ი თ.
3. მონა ღთისა მდივანბეგი ა დ ა მ.
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ.
5. მდივანი ი ო ა ნ ე
6. არ ირჩევა
7. ზ ა ა ლ

ქ. ჩვენ გ ო გ ი ა ფ ო ც ხ ვ ე რ ა ს შ ვ ი ლ ი და ი ო ს ებ ბ ო ს ტ ა ე ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი ამათი იასაულნი ვიყავით. რაგვარათაც ამ მსაჯულ[თ] განაჩენში ანცხადებს, ამათი საქმე ასე გარდაწყდა. მაისს **კთ,** ქორონიკონს **უპვ.**

ხელრთვა: გ ო გ ი ა. ი ო ს ე ბ.

ქ. ჩვენ, საქართველოს მ ე ფ ი ს ძ ე ი ო ა ნ ე, ამ მსაჯულთ განაჩინებას ვამტკიცებთ. მაისის **კთ,** ქორონიკონს **უპვ.** ი ო ა ნ ე

* შესაქმეთა, 21, 10.

24. განაჩინება გიორგი ციცისშვილის მოვალეების საქმეზე

1798 წ. 6 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5441. დედანი. ქაღალდი. 22×17,6. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. გ ი ო რ გ ი ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ამ თამასუქის ვალზედ ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ს და ამის შვილს ი ო ს ებ ს რომ ელაპარაკებოდა, ეს ოცდახუთი ალთმიშლული თავს იდო, უნდა მივცეთო. ვინემდინ მისცემდნენ, რომელიცა ამ თამასუქში თ ე დ ო ზ ა ს შ ვ ი ლ ი ა ნ დ რ ი ა უწერია, ვინემ ამ თეთრს მისცემდნენ, ეს კაცი გიროგი გიორგი ციცისშვილს უნდა ეჩიროს, და როდესაც მისცემს, კაცი ისევ უნდ[ა] და და[ა]ნებოს.

ამას გარდა ერთი სხვა თამასუქი ჰქონდა გიორგი ციცისშვილს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა და ამილღაბარისაგან აღებული ათის თუმანისა, თუმანი ორ შაურად, ქორონიკონს **უპა,** ამ წელს აღებული. გიროგი დ ო ე ს ი ეწერა, მაგრამ აღარ დაენებებინათ. ამ ათის თუმნიდამ ხუთი თუმანი ნიკოლოზს მიუცია თავისის სარგებლით გიორგი ციცისშვილისათვის, ხუთი თუმანი ამილღაბარს დაედო.

ეს თავნი და სარგებელი ორ შაურად რომ ჩავაგდევით, დადგა სამი თუმანი სარგებელი*, და თავნი და სარგებელი იქნება რვა თუმანი. ამ რვა თუმანში და ზემოთ რომ ოცდახუთი ალთმიშლული უწერია, ამ[ა]ებში გირაოთ თედოზასშვილი ანდრია მისცა ამილღაბარის შვილმა იოსებმა. ვინემ თეთრს მისცემს, ეს კაცი გიორგი ციცისშვილს უნდა ეჩიროს; სარგებელს კი ვეღარ აიღებს. მთიბათვის **ვ,** ქორონიკონს **უპვ.**

ეშიკაღასბაშო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე! როგორც ამ განაჩენში ეწეროს, ეს ასე უნდა გა[ა]რიგო. ციცისშვილო მიმბაშო გიორგი. ეს თედოზასშვილი ანდრია თავისის ძმებით ბატონის სიმამრს გიორგის უნდა მოაბარო, ვინემ რაც ამ განაჩენში თეთრი სწერია მისცემდეს.

ექვსი ბეჭედი:

1. მდივანბეგი დ ა ვ ი თ
2. მდივანბეგი ი ო ა ნ ე
3. არ ირჩევა
4. ს უ ლ ხ ა ნ ი

* „სარგებელი“ ჩაწერილია სტრიქონის ზემოთ სხვა ხელით.

5. მდივანი იოანე
6. მდივანი ნაზირი სვიმონ.

ქ. ავიღე მე, ამილღაბარ ციცისშვილმა, შენ, ბატონისშვილის სიმამრი ციცისშვილი გიორგისაგან, ოცდახუთი ალთმიშლუღი. ამისი გირაოთ მოგეცი თედოზაშვილი ანდრია. მანამ შენი თეთრი არ მოქცე, იმასთან საქმე არა მქონდეს. არის ამისი მოწამე მელი-

ქისშვილი ავთანდილ [ავთანდილ] ქაიხოსრო მდივანბეგი

[ ] და მე, ტატოაშვილი ნონეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა აპრილს კდ, ქორონიკონს უპვ.

ქ. მე, იოსებს, ამისი ყაბული მაქს, ე[ს] ჩემი ხელია [იოსებ]

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლის, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ივლისის ფ, ქორონიკონს უპვ. [ეორგი]

25. განჩინება იაკობ და ბერი ქარუმიძეების ყმების ჯილაძეების საქმეზე

1798 წ. 14 ივნისი

ცსსა ფ. 1448. საბ. № 4035. დედანი. ქაღალდი. 43,8×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ლეჩხუმიდან ორნი ძმანი ჯილაძე სვიმონიკა და დათიკა გადმოსულიყვნენ, თორტიზას მოსულიყვნენ. უმფროსი ძმა სვიმონიკა იაკობ ქარუმიძესთან დამდგარიყო მოჯამაგირედ და ამისი ძმა დათიკა ბერ ქარუმიძეს დასდგომოდა მოჯამაგირედ.

სვიმონიკას იაკობ ქარუმიძის ყმის, ბატონისა შვილის დათუას და ცოლად შაერთო და წიგნით თავისი თავი ყმად იაკობ ქარუმიძისა და მისის ძმებისათვის მიეცა.

ამის ძმას დათიკასაც რომ თავისი მოჯამაგირობის ყაული გაეთავებინა, ბერი ქარუმიძიდამ გამოსულიყო და თავის ძმასთან მისულიყო.

ბერ ქარუმიძეს მათს უგანათლებულესობას ბატონისშვილს იულონთან ეჩივლა. და ამათი სამართალი ჩვენ, მათის მონის მდივანბეგის მეთოდის და მდივანბეგის ვახუშტის და მდივნის გივისათვის ებძანებინა. ჩვენც მათის ბძანებისაებრ ესენი სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ქარუმიძე ბერი ასე ამბობდა: ეს სვ[ი]მონიკა და დათიკა რომ თორტიზას მოსულიყვნენ, ჩემთან მოვიდნენო. ჩემმა ძმისწულმა იაკობმა მითხრა: მოჯამაგირედ ერთი ძმა მე მამეცო. მეც აედეგ და ძმათ სიყვარულისათვის სვიმონიკა იაკობს მივეც და დათიკა მე დავიჭირეო. ახლა რომ სვიმონიკა იაკობს ყმად მიუვედა, ეს ჩემი მოჯამაგირე დათიკაც გადამბირეს და ჩემგან გაიყვანესო. პირველად ორნივ ძმანი ჩემთან მოვიდნენო, სვიმონიკა რომ მაგას მივეც და ახლა ყმად მისულია, ეგ ღმერთმა მოახმაროს. ეს დათიკა ჩემთან იყო მოჯამაგირედ და ჩემს ყმობასაც ნდომობდაო. ახლა გადამბირეს, ჩემგანაც გამოვიდა და აღარც ჩემს ყმობასა ნდომულობსო. მაგრამ მე ამ დათიკას თავს ვერ დავანებებო.

დათიკამ მიუგო: მე და ჩემი ძმა რომ თორტიზას მოვედით, ჩემი ძმა იაკობთან მივიდა და მე შენ მოჯამაგირედ დაგიდექ, ყმობის პირობა არ მამიციაო, თუ შენი ყმობა მეთქო, წიგნს გამამართმევდიო, მე შენი ყმობა არ მითქვამს, მოჯამაგირედ გიდექ, ყაული გამითავდა, გამოველ და ახლა ჩემი საჯამაგირო უნდა მამცეო.

ჩვენ რომ ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ, ესრეთ განვსამართლეთ: სვიმონიკა რომ თავისი წერილით იაკობთან ბატონყმობით შეკრულა, ეს სვიმონიკა იაკობის ყმა არის. და ამისი ძმა დათიკა რომ ბერთან მოჯამაგირეთ ყოფილა და ბატონყმობის წერილი არ მიუცია, ვერც საბატონყმოთ მიედევება და თავის ჯამაგირიც უნდა მისცეს ბერმა ქარუმიძემ. ეს დათიკა თავისუფალია და ვისთანაც უნდა, საბატონყმოთ იმასთან მივა, ბერს საქმე არა აქვს.

ჩვენ ესრეთ განგვისამართლებია და ნება მათის უგანათლებულესობისა აღსრულდეს. მთიბათვის იდ, ქორონიკონს უპვ.

სამი ბეჭედი. 1. მეთოდე
2. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
3. გივი

26. განჩინება ზაზა და დავით ამირეჯიბთა უმის საქმეზე*

1798 წ. 16 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10546. დედანი. ქაღალდი 39.5×18,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ზაზა ამირეჯიბი ჩიოდა: სანატრელს ბატონს წყალობად ვთხოვე ბერუა ბასანიძის ბიძაშვილის მამული, ბეითალმა[ნი] იყო და გაუყოფელი გვაქვს; იმ მამულის პატრონი ბასანიძე ზურაბა ქსანზედ ყოფილიყო, ახლა მოვიდა, თავის მამულზედ დადგა და იმის წყალობა მიყავ, სანატრელმა ბატონმაც ინება — წყალობა მიყო და თიღვის საჭირნახულოდ მიბოძა ზურაბა ბასანიძე თავის მამულით, ამდენი ხანია ბატონისავან ნაბოძები მყავს, ჩემი ძმა დავით არ მანებებს და ამის სამართალს ვითხოვო.

დავით ამირეჯიბმა მიუგო: ბატონს რომ ბასანიძე ზურაბა შენთვის ებოძებინა, მე ჩაველ, არზი მივართვი და ისევ მე მიბოძაო.

ზაზამ მიუგო: შენ რომ ჩასულიყავ და არზი მიგერთმია, არზით ასე მოგეხსენებინა — ჩემი ბარათში ნაბოძები კაცი გიბოძებიათო, ბატონსაც ოქმი ებოძებინა, რადგანც შენი ბარათში ნარგები არის, შენ არ ჩამოგართმევთ და ზაზას არ მივსცემთო. ის ზურაბა შენი ბარათში ნარგები არ იყო, კიდევ ბატონს მოვახსენე და ისევ ოქმით მე მიბოძაო.

ჩვენ, მეფის ძემ იულონ, მსაჯულთ თანდასწრებით ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ და ორისავ მხრის ოქმები გავშინჯეთ. ზაზას ასე ჰქონდა ოქმები, რომ ბასანიძე ზურაბა თავისის წილის მამულით თიღვის საჭირნახულოდ შენთვის გვიბოძებიაო. და დავითსაც თავისის მირთმეულის არზით მოხსენებულის შესაფერი ოქმები ჰქონდა, რომ რადგანც ბასანიძე ზურაბა შენი ბარათში ნარგები არის, შენ არ ჩამოგართმევთ და ზაზას არ მივსცემთო.

ამ ოქმების შემდგომად მდივანბეგებთან ეჩივლათ. და ზაზამ მდივანბეგის განაჩენიც მოიტანა, რომელშიაც ასე ეწერა: დავით ამირაჯიბს რომ ბატონისათვის მოუხსენებია — ზურაბა ბასანიძის მამული ჩემი ბარათში ნარგები არისო, თუ ბარათი მაიტანა, რომ ზურაბა ბასანიძის მამული იმ ბარათში ეწერება, დავითს დარჩება; და თუ ამისთანა ბარათი ვერ მოიტანა, ეს ზურაბა ბასანიძე ბატონს ზაზასათვის უბოძებია თიღვის საჭირნახულოდ.

ჩვენ ეს ბარათი მოვთხოვეთ დავით ამირაჯიბს და მოვატანინეთ, რომელშიაც ასე ეწერა: ბერუა ბასანიძე თავის მამულით დღეს რისაც მჭონებელი არის, ერგო მზეჭაბუკსაო.

ამით აღმოჩნდა, რომ ზურაბა ბასანიძის მამული ბერუა ბასანიძეზედ არ ყოფილა დადებული, თორემ როგორც რომ ზაზა ამირეჯიბს უწერია ორსა და სამს ბარათში: ერთს — მუმლაძე ბერის ბარათში, რომ ხიხაძის ნაფუზარი ზედ დაედო და ერგო ზაზასაო; მეორეს — ლანჩავიშვილის გლახას ბარათში, რომ ათანას მამულით ერგო ზაზასაო; მესამეს — სამხარაძის ელია მღვდლის ბარათში, რომ ხახანაშვილის ობოლი ზედ დაედო და ერგო ზაზასაო.

თუ ბერუა ბასანიძეზედ ზურაბა ბასანიძის მამული ზედ დაედოთ, როგორც ზაზას წილს ნარგებს ბარათში ეწერა ზედ დადებული, ისე ბერუა ბასანიძის ბარათში ეწერებოდა, მაგრამ რომ არ ეწერა, ამით აღმოჩნდა, რომ ბასანიძე ზურაბას მამული ბეითალმანი ყოფილა და გაუყოფელი დარჩომილა.

რადგანაც ასე ყოფილა, ზაზას სანატრელის ბატონის მამის ჩვენის წყალობის ოქმები ჯელში უჭირავს და ამით ზურაბა ბასანიძე თავის მამულით დარჩა ზაზა ამირეჯიბს, რომ დავითსა და მზეჭაბუკის ობლებს საქმე არა აქვს.

იასაულო ხიდირბეგიშვილო ავთანდილ! ზურაბა ბასანიძეს ახლავ ჯელი ამართ[ე] და ზაზა ამირაჯიბს მოაბარე. დავით ამირეჯიბს რომ ზურაბა ბასანიძის კამბეჩი ჰყავს წართმეული, ისიც გამოურთვი და თავის პატრონს მიეც. მთიბათვის ივ, ქორონიკონს **უპვ**.

სამი ბეჭედი:

1. მეთოდი
2. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.
3. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი.

კიდეზე:

ჩვენ, მეფის ძე იულონ, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მთიბათვის **ივ**, ქორონიკონს, **უპვ**.

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

* შდრ. 1800 წლის 24 მარტის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 79).

27. განჩინება თუშთ მოურავის დურმიშხანის შვილების გაურის საქმეზე

1798 წ. 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7117. დედანი. ქაღალდი. 43×19,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და სამწერტილი.

ქ. თუშთ მოურავის დურმიშხანის შვილები ძმობაში ერთად ვეღარ მოთავსდნენ და ამათი სამართალი მათმა უმაღლესობამ მეფემ გიორგიმ ჩვენ, მათს შვილს იოანეს, გვიბძანა.

ჩვენც ქართლისა და კახეთის მოსამართლენი ჩვენთან შევეჰყარეთ, თუშთ მოურავს დურმიშხანს სამართალში მოუწოდეთ და ეს საქმე გამოუცხადეთ: მამა ხარ და თუ შენი ნება არ არის, ჩვენ ამათს სამართალში ვერ შევალთ.

დურმიშხან მოურავმა სამართალს ნება მოსცა, რადგანაც ერთად ვეღარ მოთავსდნენო, ჩემი ნება არისო, ერთმანეთს მოაშორეთო და როგორც ძმობის რიგი იყოს, ისე გაჰყარეთო.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და ასე გავყარეთ, როგორც ამის ქვემოთ დაიწერება.

ხუთნი ძმანი არიან და მეექვსე მამა. ედიშერ პირველად საუფროსოდ უნდა აიღოს; და მასუკან დანარჩომი როგორც რიგი არის, ექვს წილად უნდა გაიყონ შეფარდებით ბარათით და წილის ყრით.

და რაც მოურავის წილად გავიდეს — მოურავისა, იმის მეუღლისა და სნეული ქალი ნინოს სიკვდილს უკან — ეს მოურავის წილიც ძმებმა უნდა გაიყონ.

ედიშერმა აიღო საუფროსოდ: ლალისყურს ბუშური ქიტო თავისის ძმებით; და კიდევ ლალის ყურს ველუაშვილი თამაზა. ეს ხუთი კომლნი, დღეს რისაც მამულის მჭონებელნი არიან, საუფროსოდ ედიშერს მიეცა.

სასაშუალოდ დიმიტრისა და ორს იმის ძმას — ტიმოთესა და იოსებს მიეცათ: ბარხუდარაშვილი ანდრია თავისი ძმისწულებით და კიდევ ხატელიშვილი სვიმონა დღეს რისაც მამულისა და საჭონლის მჭონებელნი არიან, მიეცათ სასაშუალოდ.

უმცროს ძმას გლახას მიეცა საუმცროსოდ სასახლე, დღეს რომელშიაც თუშთ მოურავი დურმიშხან დგას, თავისის შენობით და გარეშემოთი. ამ სასახლის ზომაები ოთხთ ძმათ მიეცათ.

მგელაშვილი რომ მამულიდამ ააყენეს, იქ რომ ედიშერს თითონ სახლები გაუკეთებია, ის სახლები და იმისი გარეშემო, რომელიც თითონ შემოუფარგლავს და დღეს ჯელთ უჭირავს, დიმიტრისა, ტიმოთესა და იოსებს მიეცათ.

ამავე გელას მამულში რაც ედიშერის სასახლის ზომა არის, სამი იმდენი ამ სამთ ძმათ უნდა მოიზომონ გელაშვილის ვენახსა, სახლკარსა და იმის გარეშემოში. და რაც დააკლდესთ, ისევ იმ გელას მამულიდამ უნდა შეუსრულდესთ.

და დანარჩომი გელაშვილის მამული სოფელს გარეთ რაც იყოს, ხუთთავ ძმათ სწორეთ ზომით უნდა გაიყონ. და ეს გელაშვილი თავისუფალი არის, ვისთანაც უნდა, იმასთან მივა.

ამას გარდა რაც ყმა ჰყვანდათ, ყველა შეფარდებით წილის ყრით ექვსად გაგვიყვია: ერთი თუშთ მოურავის დურმიშხანისათვის მიგვცია და ხუთი ხუთის ძმებისათვის; რომ ედიშერ ცალკე გავიდა; დიმიტრი, ტიმოთე, იოსებ და გლახა ერთად გავიდნენ; ეს ოთხნი და თავ-თავისი ბარათები ყველას ჯელთ უჭირავსთ.

ზეარი, ხოდაბუნი და რაც მამულები ჰქონდესთ, საბელი უნდა დაადგან და ექვსად უნდა გაიყონ: ერთი წილი თუშთ მოურავს დურმიშხანს და ხუთი წილი ხუთთ ძმათ. აგრევე ორი წისქვილი რომ აქვსთ, ესეც ექვსად უნდა გაიყონ — ერთი წილი დურმიშხან მოურავს და ხუთი წილი ხუთთ ძმათა.

ქვევრზედ ერთი რომელიც უნდოდეს, ედიშერმა აიღოს საუფროსოდ და დანარჩომი ქვევრი ექვსად უნდა გაიყონ.

ტიმოთე რადგანაც მოსწრებული საქორწილო კაცი არის, ამას უნდა მისცენ საერთოდ ოცდახუთი თუმანი საქორწილოდ.

სხვა რაც ვალი აქვსთ, ისიც ექვსთავ საერთოდ უნდა გადაიხადონ.

და სხვა თუ რამ აქვსთ, ცოლების მზითევს გარდა, თვალი თუ მარგალიტი, ოქრო თუ ვერცხლი, ცხვარი თუ ძროხა თუ სხვა რამ პირუტყვი, ისიც ექვსთავ უნდა გაიყონ.

იარაღები, რომელიც მამას განსაკუთრებით არავისთვის მიეცეს და ადგილს იყოს, ისიც ექვსთავ უნდა გაიყონ.

ედიშერის დედის მზითევი რაც არის და საბუთსა იქს, ისიც ედიშერს უნდა მიეცეს, როგორც სამართალი არის.

ამ განაჩენის ორი პირი დაიწერა: ერთი ედიშერს მიეცა და ერთი თუშთ მოურავს დურმიშხანსა; და ოთხს იმის შვილს, რადგან ის ოთხნი უმცროსი ძმები მამასთან გავიდნენ, — ერთად.

იასაულო! ასე გაარიგე. თიბათვის **კ**, ქორონიკონს **უპვ**.

სამი ბეჭედი: 1. ი ო ა ნ ე
2. მდივანბეგი დ ა ვ ი თ
3. ბ ე ჟ ა ნ

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ივლისს **ე**, ქორონიკონს **უპვ**.

გიორგი

28. განაჩინება ბერძნიშვილების მამულის საქმეზე

1798 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. № 5614. დედანი. ქაღალდი. 68,5×23,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, ერთი, ორი ან სამწერტილი.

ქ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი ბ ე ც ი ა უჩიოდა თავის განაყოფს ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს: ამას წინათ ჩვენ რომ მამულებზე ვდაობდითო, მისმა უმაღლესობამ სანატრელმა მეფემ სამართალი გვიყო, განაჩენი დაგვიწერეს და მოგვცესო და მასუკან გორელი ქედხუდები, ქცხნვალის მამასახლისი და ქცხინვალის ქედხუდები გამოგზავნა და როგორც იმ განაჩენში ეწერა, მამულები გარჩევით თითო-თითოდ დაწერეს და ისე მისცეს ნ ი ნ ი ა ს ა ო. და ის ქედხუდების დაწერილი განაჩენი ბატონმაც დაამტკიცა და კელთ უჭირავსო.

და ახლა თავისის მძლავრებით წაგვართვა ნინიამ სასაფლაო, რომ სამართლით მიცემული არა აქვსო; კიდევ წაგვართვა ნ ა ს უ ი დ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა ბ ა ს მამული, რომ ეს საბა უმამულოთ მისცემია ქედხუდების განაჩენითაო; და კიდევ წაგვართვა ნ ა წ ა ლ კ ო ტ ე ვ ი ს ათის დღის მიწაო; კიდევ აქვე კარზე წაგვართვა სამი კალო საბძლის ადგილიო; კიდევ თავის ბაღს უკან წაგვართვა ერთის დღის ნაფუზარიო; კიდევ ერთის დღის მიწა გაუცვალეთ, თავისი მიწაც მაგას უჭირავს და ჩვენგან გაცვლილი მიწაცა.

ამ ექვს აზრზე იჩივლა ბეციამ და მუჩალგაც მოაწერა: «თუ მე ამაში გავმტყუნდე, სამი თუმანი ჯარიმათ მომირთმევიაო».

ნ ი ნ ი ა მოვაყვანინეთ და ეს აზრები წაუკითხეთ. ნინიამაც მუჩალგა მოაწერა: «თუ მე ამ ექვს აზრში წამერთმიოს რამეო. და ყველაზი რიგიანი საბუთი არა მქონდესო, სამი თუმანი მე დამიდვია ჯარიმათაო».

ორნივ სამართალში დავაყენეთ და ვალაპარაკეთ. ბ ე ც ი ა რომ პირველად სასაფლაზე ჩიოდა წამართვაო, ნ ი ნ ი ა მ ამისი განაჩენი მოიტანა, რომ სასაფლაო სამართლით მისცემია.

ამაზე ბ ე ც ი ა მ ასე უ პ ა ს უ ხ ა: ეგ რომელსაც ახლა შენ სასაფლაოდ ეჭიდები წმინდის გიორგის ეკლესიასა, ეგ კი არ არის შენი სასაფლაო, ეგ საკუთრად ჩემი არისო და ერთს ძველს დაქცეულს ნასაყდრალს ეუბნებოდა, იქა გქონია სასაფლაოო, მე მოწმები მყავსო, რომ იმ წმინდის გიორგის ეკლესიაში შენ წილი არა გაქვსო.

ამისი ნ ი ნ ი ა მ ასე უ პ ა ს უ ხ ა: როდესაც პაპაჩემი ზ ა ვ რ ა დ პაპა შენს გაჰყრია, მოსულა და თავის საკუთარს ადგილში ალიზის ეკლესია გაუკეთებია და ჰქონია; ერთი უშვილო გაყრილი ძმა ჰყოლია ა რ დ ა შ ე ლ, იმას უთქვამს: ამაზე ქვითკირის ეკლესიას[1] გავაკეთებო, მე დავიმარხებიო და მასუკან საკუთრად შენ დაგრჩებაო; ის მომკვდარა და დამარხულა და ახლა საკუთრად ჩემი არისო, შენ საქმე არა გაქვს რაო, და არც სხვას ბერძნიშვილებსაო; და ამ ჩემს სიტყვას საქმით დავამტკიცებო:

ე რ თ ი ე ს, რომ ამ საყდრის გარეშემო მიწები ოთხისავ კუთხიდამ ასე ჩემი არისო, შენ არც სულ ერთის ფეხის დადგმა არა გაქვსო და აბა საიდამ შეხვიდოდიო იმ ეკლესიაშიო.

მ ე ო რ ე ე ს, რომ მამა ჩემი როდესაც დაკარგულა, პაპაჩემი ზ ა ვ რ ა დ ი ს მამული არავგის ერისთვიანთ მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რომ მიუციათ და თქვენც მიგიყიდნიათ, მოსულან და სწორეთ იმ წმინდის გიორგის ეკლესიასთან დამდგარან და ვინც მოჰკდომიათ, შიგ დაუმარხავსთ. თუ კი ზავრადისა არ იყო, იმ საყდართან მირზაშვილებს როდის დააყენებდით თქვენს მამულში და ან მკვდარს როდის დაამარხვინებდით.

ეს ორი აზრი, რომელიც ნინიამ იჩივლა, ორივ ძალიანი საბუთი არის და ორივ თვალითაც გვიჩვენა, რომ იმ საყდრის გარეშემო მიწები სულ ნინიასი არის; და მირზაშვილს როდესაც ზავ-

[1] + ეკლესიას.

რაღის მამული უშოვნია, მისულან და სწორეთ იმ საყდართან დამდგარან და დამარხვითაც იმ საყდარში დამარხულან.

ბ ე ც ი ა კიდევ ამას ა მ ბ ო ბ დ ა: შენ არა გაქვს წილიო, საკუთრად ჩემი არისო.

მაგრამ ტყუოდა; ერთი ამიტომ, რომ იმ საყდრის გარეშემო მიწები სულ ნინიასი არის, რომ ბეციას საქმე არა აქვს; და მეორე კიდევ ეს უფრო დიდი ნიშანი — მირზაშვილებს ზაერადის მამული რომ უშოვნიათ, მისულან და იმ წმინდის გიორგის ეკლესიასთან დამდგარან და შიგაც დამარხულან. და თუ ზაერადისა არა ყოფილიყო, მირზაშვილებს არც იმ საყდართან დააყენებდნენ და არც მკვდარს დაამარხვინებდნენ.

და ასე განსაჯეთ: ის წმინდის გიორგის ეკლესია ნახევარი ულაპარაკოდ ბერძენიშვილს ნინიას დავანებეთ; და ნახევარიც ასე განგვისჯია: ბეცია რომ ამბობს მოწმეები მყავსო, თუ ამ თუთხმეტს დღეზე სამსა და ოთხს სარწმუნოს მოწმეებს მოიყვანს, რომ წილი ჰქონოდეს, ნახევარი ეკლესია ბეციას დარჩება. და თუ ამ თუთხმეტს დღეზე სამი და ოთხი სარწმუნო მოწმე ვერ მოიყვანა, და ის წმინდის გიორგის ეკლესია საკუთრად ბერძნიშვილს ნინიას დარჩება.

კიდევ ჩ ო დ ა ბ ე ც ი ა: ერთი კომლი ნ ა ს ყ ი დ ა შ ვ ი ლ ი ს ა ბ ა უმამულოთ მიეცაო და ახლა იმისი მამულიც წამართვაო.

ბერძნიშვილმა ნ ი ნ ი ა მ ამისი განაჩენი მოიტანა ქედხუდების ბატონისაგან დამტკიცებული, რომ სწორეთ მამულით მისცემია და გამართლდა ნინია.

კიდევ ჩ ო დ ა ბ ე ც ი ა: ნ ა წ ა ლ კ ო ტ ე ვ ი ს წამართვა ათის დღის მიწაო. ეს ნაწალკოტევი ნახევარი ნინიასია და ნახევარი გ ი გ ი ა ს ი, რომ ბეციას საქმე არა აქვს. ამაშიაც ნინია გამართლდა.

კიდევ ჩ ო დ ა ბ ე ც ი ა: აქ კარზე წამართვა სამი კალო-საბძლის ადგილიო.

ამისი ნ ი ნ ი ა მ ასე უ პ ა ს უ ხ ა: ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ გოგია რომ ბ ე ჟ ან ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ს მიაბარა, მაშინ გ ო გ ი ა წამომედავა, ბეჟან ამილახვარიშვილი მოიყვანა, იმასთან ვილაპარაკეთო. ბეჟანმა გამტყუნა და მე დამირჩა და გოგიას სიცოცხლეშიაც ჯელთ მეჭირა და ახლაც ჯელთ მიჭირავსო. ამაშიაც ნინია გამართლდა, ბეციას საქმე არა აქვს რა.

კიდევ ჩ ო დ ა ბ ე ც ი ა: თავის ბაღს უკან წამართვა ერთის დღის ნაფუზარიო.

ამისი ნ ი ნ ი ა მ ასე უ პ ა ს უ ხ ა: არ წამირთმევიაო, შენის განაყოფის გოგიასი არის ის მიწაო, საღალთ მოვჭანო, რაც გაწოვიდა, ავწყევე, რაც ღალა ერგო, ჩემს შვილს გიორგის ავკიდე და გოგიას ქვრივს მიუტანეო. ამაშიაც ნინია გამართლდა, რომ ეს წართმევია არ არის.

კიდევ ჩ ო დ ა: ერთი მიწა გაუცვალე კარმიდამოზე, ის გაცვლილი მიწაც მაგას უჭირავს და თავისი მიწაცაო.

ამისი ასე უ პ ა ს უ ხ ა ნ ი ნ ი ა მ: მართალია, ერთი გოგიას კაცი იყო, რომ ყმასავით მემსახურებოდა, ის შემომეხვეწა გამეცვალეო და გაუცვალე; ის კაცი ამოსწყდა, გოგიაც მოკვდა და ახლა ჩემს მიწას აღარ მივცემო.

ეს გოგიას წილი ყოფილა, ბეციას საქმე არა აქვს რა, გოგიას მამული ბეითალმანია და ჩვენი არის.

ამათი სადაო საქმეები ასე გადასწყდა. ენკენისთვის ე, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

29. განჩინება ვანთის მამულების საქმეზე

1798 წ. 13 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 393. დედანი. ქაღალდი. 21,3×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მის სიმაღლის მეფის ოქმი გვებოძა ჩვენ — ვ ა ნ თ ი ს მოურავს ფ რ ი დ ო ნ ს, ასე რომ წინამძღვარს მოეხსენებინა: მინდორში სახნავს არ გვანებებენ და არ გვიშვებენ და არც საბალახეს გვაძლევენ არც მთისასა და არც ბარისას. წყალობას ვთხოვთ, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ ვანთის მოურავს ფრიდონზედ, ვინც მაგისთანა მახსოვარი კაცნი იყოს, შეყაროს[1] და კიდეც როგორც მახსოვართ კაცთ თქვან, ისე გაგვირჩიოსო.

ბრძანება იყო: მოურაო, შეყარე უფროსნი კაცნი და რაც იმათ თქვან, მონასტერს თავისი წილი მიწები მიეც და წინამძღვარს მიაბარეო.

ჩვენ ბრძანებისებრ მოვიკითხეთ და ა ხ უ რ ი ს ქ ე ვ ხ ა ბ ე ც ი ა და ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი გ ა ბ რ ი ე ლ მოვიდნენ და საცა იმათ თქვეს, ეს მიწები მონასტრისა[ა] და ეს სახასო[ო], რაც მონასტრისა თქვეს, მონასტრისათვის დავდევით და რაც სახასო იყო, სახასოთ დავდევით.

1 შეყაროს.

საბალახისა ასე გავარჩიევეთ. ამ მახსოვრების ძალით მონასტრის მამული უფრო აღმოჩნდა სახასოსაგან; რადგან მონასტრისა მეტია, საბალახე ნახევარი მონასტერს მიეცეს და ნახევარი სახასოთ დაიდვას.

ჩვენ ამ მახსოვრების ძალით ასე გავარჩიევეთ და ნება მათის უმაღლესობისა არის.

სეკდემბერს **იგ,** ქორონიკონს **უპვ.** ფრიდონ

30. განჩინება ზაალ დავითისშვილისა და შანშე მილახვრის მამულის საქმეზე

1798 წ. 18 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. № 5596. დედანი. ქაღალდი. 54×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობის ბრძანებით, ჩვენ, მდივანბეგებმა, მოვისმინეთ საჩივარი დავითისშვილის ზაალისა რამაზისშვილის შანშე მილახვრისა.

ზაალ ამბობდა: შანშეს ჩემთან წილი არა აქვს, ჩემი სახლისკაცი არ არისო. მე გარდავსულვარ ქართველ ბატონთან და ჩემთვის მამული უბოძებიაო. მასუკან ეგენი გარდმოსულან და ჩემს მამულში მაგათთვის წილი არავის დაუდვიაო.

შანშემ პირველის მეფის ერეკლეს წიგნი მოიტანა, რომელიც რამაზაშვილებს უწერს დავითიშვილების სახლისკაცობასა, რომ რამაზისშვილმა ელისბარმა ყეენის რაყამი მოიტანაო, ელისბარისშვილს ელაპარაკა და თავისის სამკვიდროს მამულის წილი გაიტანაო. მერმე ეს განაყოფებიც გაიყარნენ და ის დავითიშვილებიდამ გამოტანილი მამული გაიყვესო; ლევანს იმ რაყმის გამოტანაში ყეენის კარზედ თეთრი დაეხარჯაო. ამის სამუქფოდ და საჭირნახულოდ, ლევანს მივეცით რიკაძე დათუნა თავის მამულითაო, აბანოს — ქავთარაშვილი ბერუკა, ლიპაშვილი გიორგი, ლიპარიტიშვილი გიორგი და კოკოლაშვილის გლეხის სანაცვლოდ მახანაშვილი გურგენაო.

ჩვენ ეს წიგნი რომ გავშინჯეთ, აქიდამ დავინახეთ, რომ რამაზაშვილები დავითიშვილებისა სწორეთ სახლისკაცები ყოფილან. რომელიც ან ზაალს და ან შანშეს სანატრელის მეფის ირაკლი მეორის წიგნები აქვსთ, თუმცა ჩვენ მდივანბეგებს იმათი ჯელის შეხება არ შეგვიძლიან, მაგრამ ის წიგნები იძულებულ მეყამედ გვეჩვენებიან.

და ამისთვის ჩვენ ასე განვსაჯეთ: რადგან თვალდამწვარი დავით გარდასულა და მამულის შოვნისა პირველად მიზეზი ის შექნილა, ამისთვის სამი წილი სადავითისშვილოს მამულისა თვალდამწვარის შვილებს ზაალსა, იმის შვილებსა და ელისბარიშვილებს უნდა ჰქონდესთ და მეოთხედი ამ სადავითისშვილოს მამულისა რამაზიშვილებს მილახვარს შანშეს, ამის შვილს როსტომს და სოლომონს დაანებონ.

ნაიბ ეშიკაღასბაშო შანშე და აბაშიძე გიორგი, სადავითისშვილოს მამულის მეოთხედზედ ზაალსა და სხვათ ჯელი აუმართეთ და შანშე მილახვარს, იმის შვილს როსტომს და სოლომონს მოაბარეთ. აიწერა სეკდემბრის **იჱ,** ქორონიკონს **უპვ.**

სამი ბეჭედი: 1. მდივანბეგი დავით
2. მდივანბეგი იოანე
3. მიწა ვარ დავითრგუნები დავით.

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. სეკდემბერს **კე,** ქორონიკონს **უპვ.**

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

ქ. ჩუენ, ქართლისა და კახეთისა და სხუათა დედუფალი[1] მარიამ, ამ განაჩენს[2] ვამტკიცებთ. სეკდემბრის **კე,** ქორონიკონს **უპე.** დედოფალი მარიამი

კიდეზე:

ქ. ჩუენ, საქართველოს უფლისწული და მემკვიდრე დავით, ვამტკიცებ. დეკემბრის **ი,** ქორონიკონს **უპვ.**

დავით

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იოანე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. იანვრის **კდ,** ქორონიკონს **უპჳ.**

იოანე

[1] დედუფალი. [2] განჩჩენს.

ქ. ჩუენ, მეფის ძე ბაგრატ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.

სეკდემბრის კე, ქორონიკონს უპვ.  1798.

ქ. ჩუენ, მეფის ძე თეიმურაზ, განაჩენსა ამასა ვამტკიცებთ. სეკდემბრის კე, ქორონიკონს უპვ. ხელთჳ: თეიმურაზ.

ქ. ჩუენ, მეფის ძე მიხაილ, განაჩენსა ამას ვამტკიცებთ, სეკდემბრის კე, ქორონიკონს უპვ.

31. განჩინება მოურავ ომანისა და ფრიდონის მამულის საქმეზე

1798 წ. 20 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 52. საბ. № 124. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[102 v] კალაურის მორავ[ი]ს ომანისა და ამათის ძმებისა და ამათის სახლისკაცისა შაშიანის მოურავ[ი]სა და ამისის ძმების სარჩელი[ს] მისაცემად თუმანიშვილი[1] მდივანი სულხან, ჯიმითის მოურავი იოსებ და მდივანი თუმანიშვილი დიმიტრი მათის უმაღლესობის ჩვენის ხელმწიფისაგან წარიელინენ.

ამათ რაც ამათთვის სამართალი მიეცათ, ორისავ მხრის ნებითა განაჩენი დაუწერიათ და ერთიმეორესაგან ყაბულობით განაჩენზედ ხელმოწერით გაურიგებიათ, რომ განაჩენი ჩვენის ხელმწიფისაგან დამტკიცებული ხელთ უჰირავსთ.

ბეჟანაურის ვენახი[2] ფრიდონისა და ამისის ძმების ბარათში წილად ნარგები არის; ეს ვენახი ომანის მამას გაუკაფ[ი]ა და სასახლეთ აუშენებია, რომ დღესაც შიგ დგანან. და მას აქეთ იმ ვენახის გამოსავალი ფრიდონსა და ამის ძმებს აკლიათ. და ამ ბეჟანაურის ვენახის საფარდოთ ზემოხსენებულთ მოსამართლეთ ორისავ მხრის ნებით ბრატიაულის ვენახი მოუზომიათ და ფრიდონისა და ამისის ძმებისათვის მოუციათ.

და წელს იმ ვენახის ნახევარს გამოსავალს ომან და ამის ძმები ფრიდონსა და ამის ძმებს არ ანებებენ. ეს სამართლის წინააღმდეგი არის. ამათ იქამდინ თავის წილში ნარგების ვენახის მთელი გამოსავალი აკლიათ. და დღეს რომელიც ამათ საფარდო მოუციათ, იმისი ნახევარი [103] რატომ არ უნდა მოეცესთ.

[1] + პირველი. [2] ვენახით.

წლევანდელის გამოსავლის ნახევარი, რაც იმ ვენახისა არის ფრიდონსა და ამის ძმებს უნდა მოეცესთ. და მემრის ვენახიც ამათი არის. ომანსა და იმის ძმებს ხელი აღარა აქუსთ ამ ვენახის გამოსავალზედ.

მათის უმაღლესობისაგან სამი ოქმია ბოძებული და მაინც კიდევ არ დაუნებებიათ.

იასაულ[ო] ტოლღიკაშვილო რევაზ და რუზამ შვილო რევაზ! იმ ვენახის წლევანდლის გამოსავლის ნახევარი ფრიდონსა და ამის ძმებს მოაბარეთ და ის ვენახიც ამათ დარჩებათ.

ჩვენ, მათის უმაღლესობის ბრძანებით, ეს სამართალი მიეცით და ნება მათის უმაღლესობისა არის. სეკტემბრის კ, ქორონიკონს უპვ.  

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. სეკტემბრის კა, ქორონიკონს უპვ. 

32. განჩინება ნინია ჩხეიძის ძმების ნოზაძეების საქმეზე

1798 წ. 21 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 25. საბ. № 63. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[77v] ჩვენ, საქართველოს მეფის ძემ იოანემ, ჩხეიძე ნინია და ეს ნოზაძეები ვალაპარაკეთ და [ნ]ოზაძეე[ბი] ჩხეიძის ყმათ აღმოჩნდა და ჩხეიძეს დარჩა.

ეშიყაბაშო გიორგი, ეს ნოზაძეები სადაც იყვნენ, თავიანთის ცოლშვილით ჩხეიძე ნინიას მოაბარე. ენკენისთვის კა, ქორონიკონს უპვ. 

თავში:

ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე მე-ა[თ]ცამეტე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ.

აპრილის ბ, ქორონიკონს უპზ.

33. განჩინება ყოჩისშვილებისა და გოცირიძეთა მამულის გაყოფის საქმეზე

1798 წ. 2 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8686. დედანი. ქაღალდი 19,3×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები არ იხმარება. ბ-მეტი

ქ. ყოჩისშვილები ბესლო და სარიდან და ხათო გოცირიძისგანა ნასყიდს მამულის გაყოფას ელაპარაკებოდენ ბატონს აბაშიძე ლევანთან, ბატონს მინბაშ ზაზასთან გოცირიძეს გოგიას და იმის ძმისწულებს ბერს და გაბრიელს.

ჩ[ვ]ენ გვიბძანეს თირის მონასტრის დკანო[ზ]ს და მისი ვაშვილს მარდახს ამათი მამულის გაყოფა. წავედით და რაცა ღმერთმან გვაგონა, ასე გავყავით.

ამ წისქვილის რუს ზეით ამ შარამდინა[1] რაცა გატეხილის მიწის ბაღლათა მივეცით გოცირიძეს, ამ შარას ზეით რომ სამნები ჩავსხით აქამდინ, ამ სამნებს ზეით კიდეც მოუზომეთ ამ ბესლოს და მივეცით და სამნები ჩაუსხით; ამის ბაღლათა და რუს და შარას შუა რომ გაუტეხ[ელი] ჭალა არის, ამების ბაღლათ ამ მეორეს სამნებს ზეითა რაცა მიწა ან ტყე არის ტყის გზამდინა, გოცირიძეს დარჩა. და ტყის გზას ზეით ან ახო ან ტყე ან გაუყოფელი სხვა მამული დარჩა — სასაფლაო, წისქვილი თავისი გზითა გასაყოფი არის.

ამის დამხდური და მოწამე: მოურავი მაწაწისშვილი ბერი მჭედელი, გურიელი გლახა, ჭულუხაძე გოგია.

დაიწერა ნო[ე]ნბერსა **ბ**, ჭორონიკონს **უპვ**.

ქ. მე, მამისთვალაშვილი მარდახი, ამ ზემოწაწერის დამწერი და გამრიგე ვარ. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, იოსებ დეკანოზი, ამისი გამრიგე და დამსწრე ვარ; ეს ჩემი ხელია. იოსებ.

ქ. მე, აბაშიძე ლევან, ამ წერილის მოწამე ვარ და დამსწრე: კიდეც დამიმტკიცებია.

გიორგობისთვის **კზ**, ჭორონიკონს **უპვ**.

---

[1] შარამდინა.

34. განჩინება მირზა აფრიამასა და ზამანოღლების საქმეზე

1798 წ. 7 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5286. დედანი. ქაღალდი 19,6×16 სმ. დაზიანებული. ალაგ-ალაგ ამომწვარი, კიდეები მოკრეცილი. მხედრული. განკვეთილობის წიშნად ნახმარია წერტილი. საბუთის პირები დაცულია. ფ. 1449. საბ. № 536; ფ. 1450. დავთ. № 13. საბ. 12. დაზიანებულ ადგილებს აღვადგენთ პირის მიხედვით.

ქ. მათს უ[მაღლეს]ობას მეფეს ბატონს მამაჩვენს მათის შვილის იოანესათვის მირზა აფრიამასა და ამისის კაცების ზამან-[ოღლების სამა]რთალი რომ ებძან[ებინა], მოსამართლეები ჩვენთან დავისწარით [და ერ]თათ ვალაპარაკეთ; და ჩვენ ეს სამართალი ასე მივეცით.

ამ ზამან-ოღლებმა წყალში უნდა იბანონ. [და მასუ]კან ეს ოთხი კომლი კაცი უნდა მივი[დნენ და ასე] თავიანთ ყურანზე უნდა დაიფ[იცონ, რომე] მკვიდრნი ბაიდრელნი იყვნენ.

და ამათ რომე ასე დაიფიცონ, უნდა მივიდეს სულთნის შვილი აღა და წყალი დაასხას თავის ოჯახში ცეცხლს და [ა]სე თქოს: «თუ ეს ზამან-ოღლები სწორეთ მკვიდრნი ბაიდრელები არ იყვნენ და ეს მეჯოგეც თუ ბაიდრელი არ იყოს და ყაზ[ახელი] იყოს, ჩემი ოჯახი როგორც ამ წყალმა [ცეცხლი] დაშრიტა, ისე ჩემი ოჯახი და[იშრიტოს]».

თუ ასე ქმნა სულთნის შვილმა აღამ, ხომ დარჩება აღას. და თუ ვერ დააფიცა, დარჩება მირზა როსტომას და მირზა აფრიამას. ფიცით თუ სულ რაც [ჰ]ალავარში მოუგია[თ და მირზა აფრია[მა სა]ბუთს უზამს როგორც რიგია, ის ზამან ოღლებმა მირზას უნდა მოსცეს.

ეშიკაღასბაშო ალექსანდრე! როგორც ამ განაჩენში დაგვიწერია, ეს ასე უნ[და აღასრულო].

დეკემბრის **ზ**, ჭორონიკონს **უპვ**.



თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსი და სხვათა მ[ფე გიორგი, ამ] განჩინებას ვა[მტკიც]ებთ. დეკემბერს **ი**, ჭორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

*ღმრთისადმი განსვენებული მეფე გიორგი რომ ბებერაებში ბრძანდებოდა, მაშინ ერთი ოქმი იყო მეფისა ჩემზე. ამას გარდა მირზა აფრიამამ მომიტანა, რომ ოთხს კომლს კაცებზედ დაობდა და სამართალი მეფის ძემ იოანემ და მსაჯულთ ასე გარდაწყვიტეს; და იასაული მე ვიყავ და ბიცვაბარე ეს კაცნი მირზას. ეს ასე იყო.

კოლესკის სო[ვ]ეტნიკი ალექსანდრე მაყაშვილი.

35. განჩინება ბაიდრის სულთნის შვილებისა და მირზა აბრამას მამულის საქმეზე.

1798 წ. 14 დეკემბერი.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5288. დედანი. ჭაღალდი 41,4×22,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ბაიდარის სულთნის შვილები მირზა აბრამს საწისქვილოზედ უჩიოდნენ. ამ სადაო საქმეზედ მათის უმაღლესობის მეფის გიორგისათვის არზა მიერთმიათ და ამათი სამართალი ჩვენ — ორბელიანის სარდლის იოანესათვის ებძანათ. ბაიდრის სულთნის შვილები და მირზა აბრამ ორნივ ერთად ვალაპარაკეთ.

ბაიდრის სულთნის შვილები ამას ამბობდნენ: მირზა აბრამს რომ ბატონისაგან ნაწყალობევი ჰალავარი უჭირავს, იმის საზღვარს გარეთ ბაიდრის მამულში წისქვილი ააშენა და იმ მამულს ჰალავრის მამულს ეძახის და უსამართლობით გვართმევსო.

მირზა აბრამ ამას უპასუხებდა: ოცდაათი წელიწადი მეტი იქნება ჰალავარი ბატონისაგან წყალობად ჩვენ გვბოძებია და იმ საწისქვილოს ადგილს რომ ახლა თქვენ მედავებით, ამის მეტათ ამდენს ხანს გაუვლია და არ გვდავებიხართო.

ბაიდრის სულთნის შვილები მიუგებდნენ: დღეს რომ ჰალავრელები დგანან, ის ადგილი ბაიდრის მამული არის და ძველადვანაც ბაიდრელნი იქა სახლებულანო და ნაწისქვილარიც ჰალავრის საზღვარს გარეთ ბაიდრის მამულში არისო.

ჰალავრელები ამას უპასუხებდნენ: სადაც ახლა ჩვენ ვდგეარით, ის ადგილი სამკვიდრო ჩვენი მამული არისო. არც იმ ადგილს ძველთაგან ბაიდრელნი მდგარან და არც ბაიდრის მამული არისო, უსამართლოდ გვჯით და უბრალოდ გვაცოდვილებთო.

ჩვენ ამათი ლაპარაკი რომ მოვისმინეთ, ორსავ მხარეს წიგნი და მოწმე[ე]ბი მოვსთხოვეთ, არც ერთის მხრიდამ არც წიგნი გამოჩნდა და არც ასეთი მოწმე[ე]ბი რომ სამართალი იმაზედ გარდაგვეწყვიტა.

ჩვენ წავედით, სადაო ადგილები დავიარეთ და გავსინჯეთ. სამართლის ძალით და ორისავ მხრის ყაბულობით ფიცი განვაჩინეთ. რადგანაც დღეს მამული ჰალავრელებს ჯელთ ეჭირათ, სამართლით ფიცი იმათ დაედოთ.

წადგნენ ერთობით მემკვიდრე ჰალავრელები და თავეთის სჯულისაებრ ასე იფიცონ: «დღეს სადაც ვდგეგვართ, ეს ადგილი მამა-პაპით ჩვენი სამკვიდრო მამული არის და ამ ადგილს ძველთაგან არც ბაიდრელნი სახლებულან და არც ბაიდრის მამული არის. ეს მამა-პაპათაგანაც ასე გაგვიგონია და ჩვენს მოსწრებაშიაც ასე გვინახამს და ასე ვიცითო».

ამას გარდა, სადამდინაც ეფიცებოდესთ ჰალავრის მამულათ, ჰალავრელებმა გარს შემოუარონ და ფიცით დაამტკიცონ: «ნადირშაის დროს, მეფის თეიმურაზის დროს, მეფის ერეკლეს დროს ვიდრე დღევანდლამდის აქამდის ჩვენი სამკვიდრო მამულია, ჩვენის მამა-პაპათაგანაც ასე გაგვიგონია და ჩვენს მო[ს]წრებაშიაც ასე გვინახავს და ღალაც ამ მამულისა ჩვენ გვიღია და არცავინ ამ ადგილს წამოგვდავებია ამ ჟამამდის».

როგორც ზემორე დაგვიწერია, თუ ჰალავრელებმა ასე იფიცეს, სადაც ფეხს დაადგმენ და გარს შემოუვლიან, იქამდის ჰალავრელებს მამულად დარჩებათ და მაშინ უნდა გაიმიჯნოს და ბაიდრისა და ჰალავრის მამული მიჯნით გაირჩეს. თუ საცა ჰალავრელები ფეხს დადგმით და გარს შემოვლით დაიფიცევენ, საწისქვილო ადგილი იმას შიგნით დარჩა, ჰალავრელებისა იქნება. და თუ გარეთ დარჩა, სულთნის შვილებისა იქნება.

ჩვენმა გონებამ ეს სამართალი შეიძლო და ნება მათის უმაღლესობისა არის. ქრისტჱშობის **იდ**, ქორონიკონს **უპვ**.

ორი ბეჭედი:

1. ვინც დავითს სტომობს სჭესობით, სპასპეტ მყო სალთხუცესობით იოანე.
2. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

თავში:

ქ. ჩვენ, ყრვლისა საქართველოს ქართლისა და კახეთისა და

* ეს მინაწერი მხოლოდ საბუთის პირშია.

სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. დეკემბრის ივ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

36. ბანჩინება ზაზა ციციშვილისა და ალიყულას ქვრივის ყმის საქმეზე

1799 წ. 9 იანვარი.

ცსსა. ფ. 1450. დაეთ. № 51. საბ. № 230. ჰარი. ქაღალდი. მხედრული.

[201 v] მათს უმაღლესობასთან არზით ეჩივლა წეკელს ალიყულას ქვრივსა და ობოლს: ბატონმა ჩემ[მ]ა ციცისშვილმა ზაზა უზბაშმა, ერთი კომლი ყმა გვყვანდა, კოწხურას დაისახლა და თითონ იმსახურებსო. რაც წავკისში მამული გვაქვს, იმისი ღალაც იმან აიღო და ახლა თორმეტის წლის ობოლი შვილი მომტაცა და მსახურად წაიყვანაო.

[202] ამათის სამართლის გამოძიება მათს უმაღლესობას ჩვენთვის ებძანა. აზნაურშვილის მებატონე ყმასა და მამულს ჩამ[ო]ართმევს, თავისუფალი შეიქნება, ვისაც მამულში დადგება, თავისი მებატონე ვეღარას მიედავება. ზაზა უზბაშს თუ უნდოდეს, ამ ალიყულას შვილის ყმა ბაბაშაშვილი კოწხურას რომ უსახლობს, აჰყაროს და წავკისს თავისავ სამკვიდროს მამულზედ დაასახლოს და ამ ქვრივსა და ობოლს დაანებოს და ნურც ამათს მამულში ღალას აიღებს. ღალაც ამათვე დაანებოს და ის ობოლი თავის შვილს დათუას ა[ა]ხლოს და როგორც აზნაურშვილის რიგი არის, ისე იმსახუროს.

და თუ არც მამული დაანება და არც ყმა, ეს ალიყულას შვილის ობლები თავიანთი ნასყიდის მამულით სახასონი შეიქნებიან.

ყორიასაულბაშო თარხნიშვილო დიმიტრი! თუ ზაზა ციცისშვილმა ამ ალიყულას შვილის ობლებს ყმა და მამული დაანება, როგორც დაგვიწერია, ამ ალიყულას შვილებს მოაბარე. და თუ არ და[ა]ნებოს ის, ალიყულას შვილს ობლისა გამოართვი და თავის დედას მოაბარე; და ესენი თავეთის ნასყიდის მამულით სახასოდ დააყენე. ციცისშვილს ზაზას ამათთან ხელი აღარ ექნება. [v] იანვრის თ, ქორონიკონს უპზ.

37. განჩინება ესტატე გიგაურისა და სფირიდონ დეკანოზის ფისქვილის საქმეზე

1799 წ. 17 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14044. დედანი. ქაღალდი 44×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს მეფის ძეს იოანესთან გიგაურმა ესტატემ არზით უჩივლა ანანიაშვილს დეკანოზს სფირიდონს, რომ მამის ჩემისაგან ნასყიდი წისქვილი მქონდაო, ანანიაშვილის აბელას მოეყიდაო, აქამდინ მეპირაო და ახლა დეკანოზმა წამართოო და გამიყიდაო.

სფირიდონ დეკანოზი და ესტატე გიგაური დიამბეგს ვახუშტისთან[1] და მდივან მანუჩართან გავგზავნეთ, ესენი თქვენთან ალაპარაკეთო და შეშმარიტი. სამართალი უსაჯეთო. იმათ ესენი ელაპარაკებინათ.

და დეკანოზს საბუთები მოეტანა, რომ ეს საწისქვილო და ერთის დღის ნაფუძარი ოცდაშვიდი წელიწადი არის დავიხსენო და მე მიპირავსო და არ მდავებიხარო. და ოცდაათი წელიწადი სულთნის ყმას გირაოთ ეპირაო და იმისგან დავიხსენო და აქამდე მე მიპირავსო, არც იმისთვის გიდავიაოთ და არც ჩემთვისაო.

გიგაური ეპასუხებოდა: აბელისაგან ნასყიდობის წიგნი მქონდაო, ის წიგნი დავკარგეო, შენ გეპოვნა, დამალე, აღარ გამომიჩინეო და ამიტომ ვერ გედავებიო, თორემ ჩემი ნასყიდიაო და მოწმე[ე]ბიცა მყავსო.

მოსამართლეთ მოწმე[ე]ბიც მოეკითხათ და დიდათ გამოეძიათ, მაგრამ სწორე და შეშმარიტი ვერ შე[ე]ტყოთ. და შემდგომად ჩვენთან მოვიდნენ და ამათი დავა ჩვენთან გამოცხადდა. ჩვენც ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ და გავშინჯეთ და გამოვიძიეთ დიამბეგისა და მდივნის თანდასწრებითა და ვერარა ვიპოვეთ — ვერც წიგნი და ვერც შეშმარიტი მოწმე.

რადგანაც ასე მიფარებულად ჩნდა, რომ ამათი უფიცრობა არ იქნებოდა და უამისო ამათი დავა არ გაირჩეოდა, ფიცი შეუდგევით. რადგან გიგაური ესტატე დეკანოზს წიგნის დამალვასაც ეწამებოდა და იმ წისქვილსა და მიწასა მართალი მოწმე არ უჩნდა, ფიცი გიგაურს დაედო.

[1] ვახუშტისთან.

გიგაური ესტატე შვილითა და იმისი სახლისკაცი ივანე გიგაურის შვილი წადგეს და მიძინების ხატზედ დაიფიცოს ასე, რომ: «ამისმა მადლმა, ის წისქვილიცა ნახევარი და ერთის დღის ნაფუძარიც ნ[ა]ხევარ[ი] ნასყიდი მჭონდეს და წიგნიც შენ დაგემალოს».

თუ ასე იფიცონ, გიგაურებს დარჩება წისქვილი და მიწა. და თუ ასე ვერ იფიცეს, დეკანოზს დარჩება. ასე განგვიჩენია.

იასაულო ბეჟანავ! ეს ასე უნდა გა[ა]რიგო. აღიწერა იანვრის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

ქ. რომელსაც მიწა დარჩება, ეკლესიას თავი დებულება ღალა უნდა ყოველთვის აძლიოს.

ორი ბეჭედი: 1. ი ო ა ნ ე
2. ჯ ა ვ ა ხ ი ს ძ ე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი.

ხელრთვა: მ ა ნ უ ჩ ა რ.

ქ. ამ სამართლით ხომ ფიცი გიგაურს დაედო, რომ უნდა შე[ე]ფიცნა და ნახევარ[ი] წისქვილი დარჩებოდა. მაგრამ ჩვენ, მოსამართლეთ, ასე გავარიგეთ, რომ აღარ დავაფიცეთ. ამიტომ რომ დეკანოზიცა და გიგაურიცა ბრალში იყვნენ. და ორნივ ამ ფიც[ი]ს ბრალიდამ გამოვიყვანეთ და მოვარიგეთ. ასე, რომ იმ მონასყიდეს მ ე რ ა ბ ა შ ვ ი ლ ს მ ა ხ ვ ი ლ ა ს თუმანნახევარი დეკანოზმა მისცეს და თუმანნახევარი გიგაურმა; და ის ნახევარი წისქვილი და ნახევარი დღის ნაფუძარი ამ გიგაურს დარჩება.

ეს ჩვენ ასე გავარიგეთ და აღარ დავაფიცეთ ერთმანეთის უაბულობითა. იასაულო! ეს ასე გა[ა]რიგე. იანვრის **იზ**, ქორონიკონს **უპზ**.

ქ. რადგან დეკანოზი სამღუდელო კაცი იყო, შუა შემოვედით; ეს გიგაური აღარ დავაფიცებინეთ; დეკანოზიცა, ჩვენცა და გიგაურიც ბრალიდამ გამოვედით. ეს განაჩენი გიგაურს მიეც იასაულო, რომ გა[ა]რიგო.

ბეჭედი: ჯავახის ძე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი
ხელრთვა: ი ო ვ ა ნ ე

38. არზა გიორგი XII-ის მამიდაშვილის მარიამისა ყმის თაოგბაზე მდივანბეგთა განჩინებით

1799 წ. 22 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი №30. საბუთი №204. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[არზა]

[157 v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თქვენის მამიდაშვილის მ ა რ ი ა მ ი ს ა გ ან. ისე თქვენი ორგული [158] იყოს შეწუხებული, როგორც მე გახლდეთ. სულზედ ვძევარ — დღეს თუ ხვალ ჩემი სიცოცხლე; მე როგორღა უნდა თავი გაწყინოთ, მაგრამ რომ არ მოგახსენოთ, უფრო საქმე გაგვიჭირდება.

მამიდა თქვენის ბოძებულმა და ჩემ[მ]ა გაზდილმა ბიჭმა უმაღლესობას გაგაშინჯათ, რომ სახასო ვარ[ო]. ჩემო ხელმწიფევ! მოგეხსენებათ, საბრალო დედაჩემი რაღაც ქურდი გახლდათ, ისინ მოცემულის წიგნით პატარა გავზარდე შვილსავით. თუ ქურდობით მყოლია, მე ერთი ბიჭი მომცემია და ახლა ექვსნი არიან, მომირთმევია. ჩემის მამულიდამ მოგებული რაც აქვს, ის გამოვართვი, თავსაც მართმევს, არა თუ მარტო თითონ თავის შვილებსაც და საჭონელიც უნდა წაგვართოს.

თუ ამას ინებებთ, ჩემი თავიც და ჩემი ყმაც ჭირის სანაცვლო იყოს, ოღონდ ეს რომ ერთი პატარა ყმაწვილი მყავს და ლამის ჯავრით მამიკუდეს. შემიბრალეთ მკუდარი დედაკაცი იასაულის ელდისაგან, უაღსარებოთ არ მოვკუდე. იანვრის კ ქორონიკონს **უპზ**.

[განჩინება]

მათს უმაღლესობას მეფეს ებრძანა ჩვენ — მათის შვილის ბ ა გ რ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს: მოსამართლე[ე]ბიც შენთან დაისწარ და ამათი სამართალი შენ მოეც.

ჩვენ ბრძანებისაებრ მოეყუანინეთ, რომელსაც კაცს ეს ჩვენი პაპიდასშვილი [v] უჩივის და ვალაპარაკეთ. ამ გ რ ი გ ო ლ ა ს არაფერი სიტყვა არა ჰქონდა რა და არცარა წერილი, თვისერ ლიტონის სიტყვით ამბობდა: სახასო ვარო, შენი ყმა არა ვარო.

ჩვენს პაპიდასშვილს წიგნი ჰქონდა კურთხეულის ჩვენის პაპიდას ბატონისშვილის ანასი იმისგან დაწერილი და დაბეჭდილი: ბოღოლისშვილი შენთვის მომიციაო, ჩემის ხემწიფეთაგან ნაწყალობევიო.

მოსამართლე[ე]ბიც ჩვენთან დაგვესწრნენ და ჩვენის გაშინჯვით და სამართლით ეს ბოღოლისშვილი გრიგოლა ჩვენის პაპიდასშვილის არის, ამისთვის რომ თავის დედას მიუცია, თავის ნამზითვი პატარა ბიჭი გაუზდია და მამულზედ დაუსახლებია. ოცდაათის წლის წიგნია ბატონისშვილის ანასი, აქამდის რატომ არ ელაპარაკა, თუკი სალაპარაკო ჰქონდა რამე. მაგრამ არაფერი სალაპარაკო არა აქვს რა, ამისია. იანვრის კბ, ქორონიკონს უპჯ.

გოშტაშაბისშვილო! ხელი აუმართე და ენისელთ მოურავს იოანეს მიაბარე, ამისის ბეჭდის მზითვის ყმა არის.

39. განჩინება პეტრე მამაცაშვილისა და გერუა ოსყოფილის სასისხლო საქმეზე

1799 წ. 28 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8605. დედანი. ქაღალდი. 38,3×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მისს უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეფის ძეს იოანეს ჩვენ მათის მონის დიამბეგის ვახუშტისათვის და მანუჩარ მდივნისათვის მამაცაშვილის პეტრესი და ოსყოფილის ბერუას სამართალი ებრძანა, ესენი თქვენთან ალაპარაკეთო და ჭეშმარიტი სამართალი მიეცითო. ჩვენ ბრძანებისაებრ ესენი ჩვენთან მოეყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

მამაცაშვილი პეტრე ჩიოდა: ჩემს ყმას იმერელს ჩხუბი უყოო, ბევრი სცაო და მოკუდაო, სამართალს ვთხოვო.

ამას პასუხს ბერუა მიუგებდა: მართალია, ჩხუბი მოგვივიდაო, მაგრამ ჩემის ნაცემობით არ მამკუდარაო, ათი დღე იცოცხლა, კარგად იყო და შემდგომად ავად გახდა და მოკუდაო.

პეტრე მიუგებდა: სხვა იმას არა სჭირვებია რაო, სწორეთ შენის მიზეზით და გალახულობით მოკუდაო; და ამისი მოწმე[ე]ბი მთლად რუისი არისო.

ჩვენ ამათ[ი] საჩივარი რომ მოვისმინეთ, უმოწმოთ ვერც ერთს ვერ ვერწმუნენით და მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ.

პეტრემ ორის სარწმუნოს მღვდლის მოწმობა და სხვათ ათისთორმეტის რუისელის კაცის მოწმობა მოიტანა; და ბერუამ ვერც ერთის კაცისა მოიტანა და იმ მოწმობებში ბერუა მტყუენად აღმოჩნდა.

რადგან ამ მოწმობით ბერუა ბრალეულათ აღმოჩნდა და იმ კაცის სიკუდილი მისის მიზეზით მომხდარა და ბრალი დასდებია, მთელი კაცის სისხლი — თორმეტი თუმანი უნდა გარდაიხადოს ბერუამა და მამაცაშვილს პეტრეს და იმ კაცის ცოლსა და შვილს უნდა მისცეს.

ბერუას სისხლი თორმეტი თუმანი დაედვა. ამ თორმეტის თუმნიდამ ოთხი თუმანი რომ მესამედი არის, ეს სამართალმა აპატივა და დაედვა რვა თუმანი. ამ რვა თუმნიდამ ორი თუმანიც მოსამართლე[ე]ბი შუა შამოვიდნენ და აპატიეს და ბერუას დ[ა]ედო ექვსი თუმანი.

მამაცაშვილს პეტრესა და იმის ყმას ჭვრივსა და ობოლს ბერუამ უნდა სისხლათ მისცეს. და ბერუასთან სხვა საქმე არც მამაცაშვილსა და არც ჭვრივსა და ობოლს საქმე აღარა აქუთ რა.

ამას გარდა ბერუას ი[ზ] ჭ[ვ]რივის რაც ღვინო ან პური ან სიმინდი ან ფეტვი და ან სხვ[ა] რამ ნივთ[ი] დარჩომია, ის მთლად და უკლებლად უნდა მიეცეს ბერუასა და მკუდარზედ ხუთ[ი] კოკა ღვინო და ორი კოდი პური დახარჯულა, ის აღარ გამოერთმევა. და სხვა რაც დარჩენია, სრულებით უნდა მიეცეს ბერუასა. ჩვენ ეს სამართალი განგვიჩენია და მისის უგანათლებულესობის ნება აღსრულდეს.

იასაულო ზალიბეგაშვილო! ეს ასე უნდა აღასრულო. აღიწერა იანვრის კბ, ქორონიკონს უპჯ.

ბეჭედი: ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი

ხელრთვა: მანუჩარ.

40. განჩინება რუსეთ მაუაშვილისა და დავით ნაზირის მამულის საქმეზე

1799 წ. 1 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 657. დედანი. ქაღალდი 33,7×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის საქართველოს მეფის ბრძანებით დიქმით მივედით ჩვენ ჯელმწიფის მონანი: ფარეშთხუცესი ბანცურის შვილი ანდუყაფარ, ალამდარბაში ჯომარდიძე

ჭაიხოსროე და ალამდარი პაატა როსებ მაყაშკილს მინბაშთან და ნაზირ დავითთან.

რომელიც მისის უმაღლესობის ბრძანება გექონდა, რომ როსებ მინბაშს უნდა მოეცა ნაზირის დავითისათვის სასახლის ალაგი, რომელსაც ადგილს ბატონის ბრძანება იყო დანიშნული, კიდეც გაუმოჭნეთ და მივაბარეთ.

ამას გარდა[1] ზვრისაც უმაღლესობის ბრძანება იყო: სოფლებიდამ კაცნი მოიწვიეთ მაყაშვილი გოშპარ და მგალობლისშვილი ბეჟან და სხვანი გლეხნი კაცნი ერთობით მიეცით[2] ზვარში და ერთმანერთის ნებაყოფლობით მოვარიგეთ და მოშველდნენ.

დავით ნაზირი სასახლის მიზეზ[ზ]ე ბევრს ეხვეწა მინბაშს როსებს: თუ მანდ თქვენს სიახლოეს ჩემს სასახლეს არ ინებებო მოცემასო, სადაც შენ გენებებოდეს, იქ მომეც სასახლეო. მაგრამ იმას გარდა არსად მიეცემოდა ადგილი, რომ დავით ნაზირი დამდგარიყო და რომელსაც ადგილს მისის უმაღლესობის ბრძანება გვქონდა სასახლის მიცემისა, იმ ადგილს მივეცით სასახლის ადგილი.

ნაზირი დავით ამასაც ეუბნებოდა თავის ბიძას, მინბაშს როსებს: თუ გინდა შენის სახლის კაცებიდამ გამოიცვალე ადგილი და ის მომეც და თუ გინდა გლეხის კაცის ადგილი მომეც. მაგრამ არც ერთიდამ არ მოსცა.

და ჩვენ რომელიც მისის უმაღლესობის ბრძანება გექონდა, იმ თავეთის ერთობის სასახლის ზომა მოუზომეთ და მივეცით რომელიც სამართლის განწესება იყო და მივაბარეთ ნაზირს დავითს. თებერვლის **ა**, ქორონიკონს **უპზ**.



თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, როგორადაც ჩვენგან გაგზავნილის კაცებისაგან გარიგებულია, ამ წერილით ამას ვამტკიცებთ. ფებერვლის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჟდი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

[1]+და. [2]+ერთობით.

41. განჩინება გიორგი ნასახჩიბაშისა და ნონია სადაღაშვილის მამულის საქმეზე

1799 წ. 3 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დათ. №36. საბ. №245. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[160 v] გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბი თავის ყმას ოსიაურელს სადაღაშვილს ნონიას რომ უჩიოდა, ესენი ჩვენთან ვალაპარაკეთ და თავეთის ნებით ასრე გაშველდნე[ნ] და გარიგდნენ, რომ: ამ სადაღაშვილმა ნონია ყოველს თავის მამულზედ სამკვიდროსა თუ ნასყიდზედ ოსიაურისა **[161]** თუ სურამში რისაც[1] მამულის მქონებელი არის, ყველაზედ ხელი აიღო და ამ გიორგის ვეზირისშვილს დაანება.

და ამ გიორგამაც იმ სადაღაშვილის ბატონყმობაზედ ხელი აიღო, რომ დღეის იქით ამ გიორგის იმ გლეხს კაცთან საბატონყმოთ საქმე არა აქვს რა და [ა]ღარც იმ სადაღაშვილებს იმ თავეთ მამულში საქმე აქვსთ რამე. დღეის იქით როგორც ამ გიორგის ნება აქვს, იმ სადაღაშვილების მამულს ისე მოიხმარებს.

ესენი ჩემს წინ ასე გარიგდნენ თავეთის ნებით და ჩვენც ასე დაეუმტკიცეთ და ეს წერილი მივეცით.

მარტის გ, ქორონიკონს **უპზ**.

42. განჩინება შალვაშვილისა, სიხარულიშვილისა და გოისშვილის მამულის საქმეზე

1799 წ. 7 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. №948. დედანი. ქაღალდი. 36×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. შილდელი შალვაშვილი იასე უჩიოდა სიხარულაშვილს ტურს და გოისშვილს. ივანეს ოთხის დღის მიწას, რომ ჩემი ოთხის დღის მიწა გირაოთ უჭირავსო.

ეს ზემოხსენებული სიხარულაშვილი და გოისშვილი მიუგებდენ: სამოცი წელი არის ჩვენ გვჭირაესო. ბატონი შენები

[1] ვისაც.

ცოცხლები იყვნენ, რატომ არ გვედავნენო, ან მამაშენი რატომ არ გვედავაო, ნასყიდი გვაქვს და გვიჩივლესო.

ჩვენ წიგნი მოვთხოვეთ ნასყიდობისა, არა ჰქონდა. ეს გვიპასუხა: შილდა, დიახ, ბევრჯელ დაიწო და ვინ იცის, როდის დაგვწო.

ჩვენ ფიცი შევაგდეთ: მაშ, მიდი, დაიფიცე[1], რომ შენი ნასყიდი ყოფილიყოს და გირაო არაო. წავიდნენ საფიცრათ და შალვაშვილი აღარ გაჰყვა.

რადგან ამთენის ხნის საქმე იყო და აქამდის არ სდა[ვ]ებოდა და ახლაც ფიცში არ მიჰყვა, დარჩა ის მიწა ისევ ამათ. და თუ სხვას საბუთს მოიტანს რასმე, ან მოწამეს მოიყვანს, რომ გირაოდ ყოფილიყოს, მაშინ კი სამართალი მიეცემა; თუ არადა, ვერას შეუა. მარტის ზ, ქრონიკონს უპზ.

ორი ბეჭედი: 1. მდივანბეგი დავით
2. მდივანი ნაზირი სვიმონ.

43. განჩინება დავით უთნელიშვილის ძმის კაპანაძის საქმეზე

1799 წ. 9 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1101. დედანი. ქაღალდი 36,5×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ, ბატონიშვილს ი[უ]ლონთან იჩიელა უთნელიშვილმა დავით: ერთი იმერელი მოსულია მამაჩემს ყმათა — კაპანაძე გოგია; ამას სამი შვილი ჰყოლია — იესე, დათუა და პაატა. ეს სამოცი წელიწადი მეტი არისო, რომ ჩვენი ყმანი ყოფილანო, ახლა ამეყარა, ბეშოეთს გადავიდა და იქა დგასო.

ჩვენ კაცი გავგზავნეთ და სამართალში დავიბარეთ ეს კაპანაძეები, მოვიდნენ და ერთად ვალაპარაკეთ.

უთნელიშვილი დათუა ჩიოდა: ამ კაპანაძე დათუას მამა მამაჩემს მოსულია, ესენი აქ დაბადებულნი არიანო. რამდენიმე ხანი ქსუის[ს] მესახლენო. იქიდამ აიყარნენო და ისევ იმერეთს გადავიდნენო. და ისევ ჩვენ გადმოვიყვანეთო და ხარშილაურში დავასახლეთო. მასუკან ჩვენ რომ ოსების მიზეზით ხიფათები მოგვადგა, კიდევ აიყარნენ ეს კაპანაძეები, ავნევს გადავიდნენ და იესე ამილახვარს ეყმნენო.

[1] დაიფიცე.

იესე ამილახვარს მოვახსენეთ და გავაშინჯეთო. ზედგინიძე ბეჟან იასაულათ მოგვცა, აგვიყარა და ისევ მოგვცაო. და ამისი მოწმე[ე]ბიც ბევრი ჰყვანდა უთნელიშვილს დავითს.

კაპანაძე დათუა უპასუხა — ეგები მართალი არისო, მაგრამ ჩემი საჩივარი ეს არისო: ავნევიდამ იასაულით რომ გადმომიყვანე, დამიჭირე და ორმოში ჩამაგდევ და რაც რამ მჭონდა ჩემი სულთ აქეთი სულ წამართვიო. ათი სული ჯარი, კამბეჩი და ძროხა, ერთი თოფი თხუთმეტ მინალთუნად ნასყიდი, თოფის იარაღი, სახლის ავეჯულობა და სულადი ასე წამართვი, რომ ჩემს ბედობაზე აღარა დააგდევ რა. მრავალს გეხვეწე და ერთის დაშავებულის ჯარის მეტი აღარა მომეც რაო. ცოლშვილი წავიყვანე, მერეთს აველ და ჩერქეზიშვილის კაცისას დავდექი. იქ ვიყავ რამდენიმე ხანი. და მადლისათვინ იმან გამომზარდაო. იქიდამ ისევ ავიყარე და ხარშილაურში ჩაველ, სადაც უწინ გეყენე. დაგიწყე იქიდამ ხვეწნა და ჩემს საქონელს თხოვნა და არ შემიწყალეო და ჩემი საქონელი აღარ მომეცო.

მასუკან ბატონიშვილს იულონს არზი მივართვი და ესეები შევჩივლე. ოქმი მიბოძა ჩერქეზიშვილს ფირანზე: თავისი საქონელი გამოურთვი და მოეცო, თორემ თუ თავისი საქონელი არ მოსცაო, ამ კაცთან საქმე აღარა ექნება რაო. მოველ, ჩერქეზიშვილს მოუტანე, ბევრს ეცადა, მაგრამ ვეღარა გამომირთვა რა.

კიდევ მეორეთ მოვახსენე ბატონიშვილს იულონს. კიდევ ამგვარი ოქმი მიბოძა, რომ ჩემი საქონელი უნდა მოგეცა, მაგრამ კიდევ არა მომეც რა.

მასუკან კიდევ სანატრელს მეფეს ირაკლის მოვახსენე, იმანაც ოქმი მიბოძა და კიდევ არა მომცა რა. ბევრს გეხვეწე, რომ ჩემი საქონელი მოგეცა, მაგრამ არც საქონელი მომეც და აღარცა რა დამდევე. ამ ხვეწნაში ორი წელიწადი მეტი გამოვიდაო და არა მეშველა რაო.

მასუკან ავიყარე ხარშილაურიდამ, დღისით ფლავზე შენს კარზე გამოვიარე და ჯმა არ გამეცო. თუ შენთვის ყმათ გინდოდი, რატომ არ მითხარო, სად მიხვალო და ერთის სიტყვით გული არ დამიხვიეო. შენ რომ არა მითხარ რა, მეც დავიწყეე სიარული და წაველო. და ეს თექვსმეტი წელიწადი არის, რომ ბერშოეთსა ვდგავარო. შენ რომ ამბობო: ბეჟან მინდაშს მიგაბარეო, ერთხელ როგორ არ მითხარ, არ მოხველო, ჩემი ყმა ხარო და ან არა მიმსა-

ხურე რაო. რა აგრე ბევრი ყმა გყვანდაო, რომ ერთი კომლი კაცი, თუთხმეტ-თექვსმეტს წელიწადში აღარ მოგაგონდაო?

ამათი ლაპარაკები ორისავე მჯრისა კარგად გავშინჯეთ. საქართველოს რიგ[ი] არის: იმერეთიდამ მოსული კაცი და კახეთიდამ მოსული კაცი ვისთანაც მივა და ეყმობა, მასუკან ველარ წაუა. და ამ დათუა კაპანაძის მამა — გოგიაც უთნელიშვილს სალთხუცეს[ს] ნიკოლოზს მოსვლია ყმათა და ველარც წაუღიდა.

მაგრამ რომელსაც ეს დათუა კაპანაძე ჩივის, თუ სწორეთ ასე ყოფილა, რომ რაც თავისი საცხოვრებელი ჰქონია, ასე წაურთმევია, რომ ერთის დაშავებულის ჯარის მეტი აღარა მიუცია რა: მასუკან ჩვენ შემოგვხვეწნია — მიეცო და არ მიუცია; მასუკან კიდევ მეორეთ მოუხსენებია ჩვენთვის და ჩვენ კიდევ ოქმი გვებოძებია ფირან ჩერქეზიშვილზე — მიეცო და არ მიუცია; მასუკან კიდეც სანატრელს მეფესთან უჩივლია, იმასაც ოქმი უბოძებია: თავისი საქონელი მიეცო და არ მიუცია.

თუ ესეები ასე ყოფილა, დავით უთნელიშვილს ამ კაპანაძე დათუნასა და ამის ძმებთან საქმე აღარა აქვს რა.

და ეს თავისი სიტყვა კაპანაძე დათუამ ან სარწმუნოს მოწმე[ე]ბით უნდა დაამტკიცოს, რომ მოსამართლის გული დააჯეროს. და თუ მოწმე[ე]ბი ვერ იშოვნოს და უნდა სამთავ ძმათ დაიფიცონ — იესემ, დათუამ და პაატამ, რომ როგორც იჩივლეს, უთნელიშვილს ეს უსამართლოები ექნას ამათთვინა და ოქმებიც მიეტანოსთ და არ გაეგონოს.

თუ ან სარწმუნო მოწმე[ე]ბი იშოვნეს და ან დაიფიცეს, რომ როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე ყოფილიყოს, დავით უთნელიშვილს ამ კაპანაძეებთან საქმე აღარა ექნებათ რა. და თუ ვერც მოწმეები იშოვნა და ვერც დაიფიცეს და დავით უთნელიშვილს დარჩება ყმობითა.

ამირეჯიბო სოლომონ! ეს ასე გაარიგე, როგორც დაგიწერია. მარტის **თ**, ქორონიკონს **უპზ**.

ქ. ერთი მოწამეც უნდა მიიყოლიონ ამ სამთ ძმათა, ვინც თითონ უნდოდესთ და ეს ჩაატანონ ფიცში: საქონელი რომ წაართვეს, კიდეც დაეთხოვოსთ, საითაც გინდა წადითო.

ბეჭედი: ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

ამ განაჩენზედ ხელს[1] ვაწერ დავითის სიტყვით მსაჯული თავადი ზაქარია თუმანოვი.

ამ დავით უთნელისშვილის უაბულობით ჯელს ვაწერ და მოწამე ვარ თავადი გიორგი. ხელთვა:

მარცხენა კიდეზე.

ქ. ამ განაჩენში რომელიც არის განჩინებული, რომ მე — დავით უთნელიშვილს უნდა დამეფიცებინა დათუა კაპანაძე და აგრეთვე პა[ა]ტა, და მე აღარ დავაფიცე. რომელიც მჭონდა დავა ყმობაზედ ამ დათუა კაპანაძეზედ, დღეის იქით ამაზედ არც მე, არც შვილსა და შვილისშვილს ჩემსასა ამაზედ დავა აღარა გვქონდეს. მშვიდობიანათ შეიჯერია ჩემი გული.

და ამისთვის ამაზედ ხელს ვაწერ არა საბატონყმოთ და [ა]რა სადათ მე, უთნელიშვილი დავით. ხელთვა: დავით

მე, თავადი ქაიხოსრო, ამ წერილის მოწამე ვარ. ხელთვა: ქაიხოსრო ბარათოვი.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მარტის **კჱ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა. და სხვათა გიორგი

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იოანე, ამ სამართალს ვამტკიცებ. აპრილის **გ**, ქორონიკონს **უპზ**. იოანე

ქ. ამ განჩინებაზედ ხელს ვაწერ დავითის სიტყვით კეთილშობილი სოლომონ მსაჯული. ხელთვა.

44. განჩინება ზაალ და როსტომ დავითისშვილების ყმა-მამულის გაუოფის საქმეზე.

1799 წ. 10 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4997. დედანი (?). ქაღალდი 48×18 სმ. მხედრული. განკუეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო ან ორწერტილი.

ქ. მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის გიორგის განჩინების ბრძანებით დავითისშვილი ზაალ და მილახვარი შანშე ერისთვის შვილს ეშიყაბაშს შანშეს დაბა-

1 ხელზს.

შიძე გიორგის უნდა გაეყოთ, ასე რომ: სადავითისშვილოს სამი წილი ზაალისათვის უნდა მიეცათ და მეოთხედი შანშე მილახვრისათვის უნდა მიეცათ. ზემოხსენებულთ იასაულებისათვის ზაალს დაცადება ეთხოვა, იმათაც დაეცადათ.

ექვსს თვეს უკან მის უგანათლებულესობას ბატონისშვილს დავითს ოქმი ებოძა: მდივანბეგო ვახუშტი და ერისთვის შვილო ელიზბარო! როგორც მის უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს უბძანებია და განაჩენი აქვს როსტომს, ისე სადავითისშვილოს მეოთხედი ახლავ მოაბარეთო.

ჩვენ ავნევს მივედით და ზაალ დავითიშვილს მისის უმაღლესობის განაჩენი და ოქმი და მისის უგანათლებულესობის ბატონისშვილის ოქმი გამოუცხადეთ და შევსთ[ვ]ალეთ: თუ დაგვიბარებთ, მანდ ნულს გიახლებით და როსტომსაც მანდ დავიბარებთო და მანდ გაეყოთო. და თუ გინდათ, ფცას გადვიდეთ და როსტომც იქ არის და იქ გაეყოთო.

ზაალ თავისის შვილებით ავნევს ჩამოვიდა და კიდევ მისის უმაღლესობის ბძანება გამოუცხადეთ.

ზაალმა ეს პასუხი მოგვცა: ბატონმა ასე მიბძანა, უჩემოდ გაყოფა არ იქნებაო. ახლა არც გაუყოფ და არც საცა თქვენ იქნებით, იქ მოვალო.

ჩვენ ბატონის ოქმი მოვსთხოვეთ: რადგან დაცადება უბძანებია ბატონსა, ოქმს გიბოძებდაო.

ზაალმა თქვა: ისე სიტყვით მიბძანაო.

რადგან ზაალს ოქმი არა ჰქონდა, ჩვენ ზაალის სიტყვას ვერ ვერწმუნენით და ბატონის ბძანების აღსრულება უთხარით.

ზაალმა გვითხრა: მე არც მამულს გაუყოფ და არც ერთის დღის მიწას უსიკვდილოდ დავანებებო.

მას უკან ფცას გადავედით როსტომთან და რაც ზაალმა პასუხი მოგვცა, როსტომს უთხარით. როსტომმა გვითხრა: ზაალ, დიაღ, არც მოვა და არც თავისის ნებით მამულს გამიყოფსო. მაგრამ რადგან ბატონის ბძანება თქვენზე მაქვს, თქვენ უნდა ბატონის ბძანება აღასრულოთ და ჩემი წილი მამული მომცეთო.

ჩვენ კიდევ ზაალს ფციდამ წიგნი მოვსწერეთ, რომ: აქ გადმოდი, ბატონის ბძანებას წინ ნუ აღუდგები, თავისი წილი მამული როგორც ბატონს უბძანებია, ისე მიეცო.

ზაალს მოეწერა: ჩემი სიტყვა აქავ მოგეციოთო, ჩემგან არც მოსელა იქნება და არც მამულის გაყოფაო.

რადგან ზაალ არ მოვიდა, როსტომმა სადავითისშვილო კაცნი ოთხ ფარდად გააკეთა.

ერთს ფარდათ: ორი კომლი ლომიძე თავისის ყმით, ტატისშვილი თამაზა თავისის ყმით, ორი კომლი ჭავჭავაძე, სამი კომლი რაზმაშვილი, ბერაშვილი, ყეროშვილი, პეტრიაშვილი და მესხი.

მეორეს ფარდათ: ორი კომლი ტატისშვილი ყმით. ციმაკურიძე, ორი კომლი ჯოხაძე, ორი კომლი ცერცაძე, ტიღა, ოქრუაძე, ოსაძე, სეფიკვერაშვილი, შილდელაშვილი და ნადირაძე.

მესამეს ფარდათ: ტატისშვილი სვიმონ, რიკაძე გლახა, რიკაძე თომა, სამი კომლი კოკოლაშვილი, ორი კომლი გვრიტაძე, კვენიაშვილი შიო და მისელაშვილი.

მეოთხეს ფარდათ: რიკაძე ლევან თავისის ყმით, ზურაბ ტატისშვილი თავისის ყმით, მანფურაშვილი თამაზა, ბერუაშვილი, ჭურცაძე, ხორგუაშვილი, ქიტიაშვილი, ჯაფარა, კვენიაშვილი და იანტბელიძე.

და ამ ოთხში ერთი წილი, რომელიც ზაალს უნდოდეს, ის მომცესო.

ჩვენ ნუსხა ზაალს გაუგზავნეთ და მივსწერეთ: ამ ოთხს წილში ერთი რომელიც გინდოდეს, როსტომს დაანებე და სამი წილი შენ აიღეო.

ზაალს პასუხად დავით ხერხეულიძისათვის მოეწერა: მე არც მამულს გაუყოფ და არც შეფარდებულებში წილს მივსცემო.

მასუკან გიორგი ზაალის შვილი მოვიდა და ლაპარაკე დაგვიწყო და ორის კვირის მულათი გვთხოვა.

ჩვენ უთხარით: მამის შენის პირობის წიგნი მოგვიტანე, რომ თუ ორს კვირაზე ბატონის ბძანება არ მოგვიტანო ხელის აღებისაო, მოხვიდე და მშვიდობიანათ ბატონის ბძანებისამებრ თავისი მეოთხედი წილი როსტომს მისცეო.

გიორგიმ ამისი წიგნი არ მოგვცა და არც გაყოფა აღსთქვა.

ამისთვის ჩვენ მეოთხე წილი: რიკაძე ლევან, ზურაბ ტატისშვილი, მანფურაშვილი თამაზა, ბერუაშვილი, ჭურცაძე, ხორგუაშვილი, ქიტიაშვილი, ჯაფარა, კვენიაშვილი და იანტბელიძე — როსტომს მივეცით.

და ერთი თვე პაემანი დაუდევით; თუ ამ ერთჳს თვეზე ზაალმა თქვას, რომ: როსტომის წილი მეტი არისო[1], თავისის სამის წილისაგან ერთი წილი როსტომს მოსცეს და როსტომის წილი თვითონ დაიჭიროს. და თუ ამ ერთს თვეზე არ გამოუცვალოს, ზაალ მას უკან ნუღარ ედაევება.

ჩვენ ასე გარდავსწყვიტეთ და ნება მისის უმაღლესობისა აღსრულდეს. მარ[ტ]ის **ი**, ქორონიკონს **უპზ**.

45. განჩინება დავით დავითაშვილისა და ფირალიშვილების წისქვილის საქმეზე

1799 წ. 15 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5230. დედანი. ქაღალდი 70×46,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. მათს უმაღლესობას სრულიად საქართველოს მეფეს გიორგისთან ეჩივლა დავითაშვილს მღვდელს დავითს ფირალაშვილებისათჳს; და ჩვენს კელმწიფეს ჩვენ — მათის ძმის ფარნავაზისათჳს ებრძანებინა ამათი სამართალი. და ჩვენ ორნივე სამართალში მოვაყვანინეთ.

დავით მღვდელი ფირალაშვილებს წისქვილს ედა[ვ]ებოდა და გარეშემოს მიწებით ასე, რომ: ლიპუაშვილი თავისის სრულის მამულით ჯავახიშვილებს სვეტისცხოვლისათჳს შეწირვით მტკიცეს გუჯრით. და ეს ლიპუაშვილი ამოწყვეტილიყო. და ამ ლიპუაშვილის ნაჭონი მამული მათს უწმინდესობას, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხს, სანატრელის მეფის ირაკლის მეორის ძეს, ანტონის ამ დავით მღვდლისათჳს ებოძებინა. და ეს მღვდელი გუ[ჯრით და] იმ [ლი]პუაშვილის ნასყიდობის სიგლებით ედა[ვ]ებოდა.

და ფირალიშვილები ესრეთ მიუგებდნენ დავით მღვდელს: შენ ჩვენთან რ[ა საქმე გაქვს, ძველადგან ჩვენი ნასყიდი არის და არცავინ გედაევებიან. ერთხელ მამუკა თარხნისშვილი წამოგვედავა და იმ დავაშიაც იქ დაგვესწრა, თუ ლიპუაშვილისა იყო, რატომ არ იდაჟაო.

და ამას გარდა ფირალაშვილებმა ერთაწმიდის დეკანოზის პეტრეს მოწმობაც მოიტანეს და ასე ეწერა: მამუკა თარხნისშვილი ფირალაშვილებს წისქვილზედ რომ ედა[ვ]ებოდა, მე იქ დაველსწარ, ფირალაშვილებმა გული აჯერეს მამუკას და წისქვილი ფირალაშვილებს დარჩათ; ლიპუაშვილი პაპაჯანაც იქ იყო მათს დავაში და არა ულაპარაკნია რაო.

დავითაშვილმა მღვდელმა პასუხად მიუგო: ასეთი კაცი იყო, რომ ლიპუასშვილს იმ მამუკამ სხვა მიწაც გაუყიდა და მოწმად თითონ ლიპუაშვილი დაწერა.

მეორედ ესეც უპასუხა: თუ ეგ წიგნი ჭეშმარიტი არის, რომლითაც მამუკას გული აჯერე, რატომ ისინი არ დასწერეთ მოწმათ და სხვანი რათ დასწერეთო. ამ მიზეზითა არა მჯერა, რომ თქვენი წიგნი მართალი იყოს; თუ სხვა ნასყიდობის წიგნი არა გაქვსთ, მამუკას წიგნი არ შეიწყნარება და არც ყაბული მაქვს; ამისთჳს, რომ ამგვარი საქმე მამუკას ბევრი უქმნია. მამუკას წიგნისაგან ჩემი გუჯარი და ნასყიდობის წიგნი უფრო ჭეშმარი[ტი] არისო, ამის[თვი]ს, რომ თუკი სიმართლით გაძლევდა მამუკა წიგნს, რატომ ყარაღაჯულს რუზედ არ დაგიწერა, თეძამზედ რათ გიწერდ[ა].

და კიდევ ესე რომ: როდესაც პაპაჯან მ[ოკუ]დ[ა], მაშინ დაეწყო იმ საწისქვილოს შენება. და იმისი შვილი მოვიდა და დაგიშალა — ნუ აშენებ, ჩემიაო.

ჩვენ ფირალაშვილებს ძველი ნასყიდობის წიგნი მოვთხოვეთ და ასე თქვეს, რომ: ქსანში ურემი გადაგვიბრუნდა, სხვა მრავალი წიგნებიცა იმ წისქვილის და მიწ[ებ]ის ნასყიდობის წიგნებიც იქ დაგვრჩებოდა.

რადგანც ფირალაშვილებს ძველი სიგელი არა ჰქონდათ, ეს მამუკასაგან მიცემული წიგნი მოვატანინეთ. და მამუკას წიგნიც ასე უცხადებდა: წამოგედავე საწისქვილოს, მოხველ და გული გაჯერე, რომ უწინაც შენი ყოფილიყო, და ახლაც შენვე დაგანებებ თეძამზედ საწისქვილოო.

ეს რომ გავსინჯეთ, დ[ავი]თ მღვდელს გუჯარი და ლიპუაშვილისაგან ძველი ნასყიდობის სიგელი ორივ მოვატანინეთ, ძველს ნასყიდობის წიგნში ასე უცხადებს: მოგყიდე მე, ფიყნიას შვილმა ზურაბამ და ძმათა ჩემთა შენ — ლიპუაშვილს და ძმათა შენთა ყარაღაჯულს რუზედ ორის დღის მიწა, კიდევ ერთის დღის მიწა რუს შუა ჯანდილას შვილის სამზღვრამდის, მერე კიდევ მოგვიცემია საჯალჯე შენსავე წისქვილის ზედათ ყარაღაჯულს რუს იქით ჭალა. ამას გარდა ჯავახიანთაგან შეწირულობის გუჯარიც ჩოჩეთის პირდაპირ ჭალით და საწისქვილოთი შეწირულობას უცხადებდა.

[1] +და.

ეს წერილები რომ ვნახეთ და ორსავ მხრიდამ საბუთები გავსინჯეთ და ამათი საჩივარი მოვისმინეთ, რადგანაც ფირალაშვილები დავით მღვდელს ასე ეუბნებოდნენ — შენ ჩოჩეთის პირდაპირ გიწერია და ჩვენი წისქვილი ზევით არისო, დავით მღვდელი ამის პასუხად მიუგებდა: როდესაც ჩოჩეთი თავ-თავის მამულზედ მდგარან, მაშინ სწორეთ პირდაპირ იქნებოდა.

ჩვენ ამისთვის წაველით და იმ წისქვილის მდებარეობა და გარემო მიწები გავსინჯეთ, ჩოჩეთის პირდაპირ იქნებოდა უწინ ეს წისქვილი. ამას გარდა კიდევ ჩვენ რომ იმის სამზღვარს და მიჯნებს ვსინჯვედით, ფირალაშვილებმა თავისთავის გასამართლებლათ ერთი წიგნი მოიტანეს, რომელიც ესრეთ ეწერა იმ წიგნში: მოგყიდე მე ვეფხიასშვილმა შენ — ნარ დავითასშვილს ჩემს ნასყიდს ჭალაზედ შენს ნასყიდს ლიპუაშვილის მიწას ზემოდამ ჩემს მიწაში დუს რუს წაკერვით ერთი საწისქვილო რუ.

ამ წიგნის ძალით მტკიცედ აღმოჩნდა, რომ წისქვილის ზემოდ ლიპუაშვილისა არის. კიდევ გუჯრის წერილის ძალით და ნასყიდობის წიგნით ამ დავით მღვდელს რჩებოდა წისქვილი და იმის გარემო მიწები.

მაგრამ რადგანაც ფირალაშვილები სამს საბუთს ამბობდნენ: პირველად ამას, რომ ძველადგან ნასყიდი გვა[ქ]ვს მანოელის შვილისაგან და სიგლები დაკარგული გვაქვსო; მეორე, რომ ამდენი ხანია, არავინ გვდა[გ]ებიან და ჩვენ გვიჭირავს; მესამე, რომ ერთაწმიდის დეკანოზის მოწმობა მოიტანეს, ლიპუაშვილი იყო იმ წისქვილის დავაში და არა უთქვამს რაო იქ ყოფაში.

ჩვენ ამ სამმა აზრმა და საბუთმა იჭვში შეგვიყვანა. ამ ჩვენის იჭვის განწმედისათვის ფირალაშვილებს ფიცი დავსდ[ე]ვით, ექვსი მოფიცარი შევაგდევით: სამი სამართლმა იპატივა, სამი მოფიცარი კი უნდა იწოვნოს — ერთი ფირალაშვილის გამორჩეული უნდა იყოს და ორი მღვდლისაგან შეგდებული;

რომ სამის მოფიცრით ასე უნდა იფიცოს, ჯვარსა და წმიდას სახარებაზედ კელი უნდა დასდვას და ასე სთქვას: «ამისმა მაღლმა და ამისმა განმაცხოვებელმა ღმერთმან, რომ ეს საწისქვილო ლიპუაშვილისათ არც მამის ჩემისაგა[ნ] გამიგონია და არც მე ვიცოდე; მანოელაშვილისაგან ნაყიდი მჭონდა და იმის ნასყიდობის წიგნები დავკარგე; მას აქეთ ჩვენ გვიჭირავს და არავინ გვდავებია; და ლიპუაშვილი პაპაჯანაც იქ დაგვესწრა, როდესაც მამუკას ვედავენით და არ უდავიაჯ. თუ ასე იფიცა, რასაც ის ფიცით შეთანხმდა, ის წისქვილი ფირალაშვილს ფირალას და იმის ძმას გოგიას დარჩებათ.

და თუ ასე ვერ იფიცეს ფირალაშვილებმა, ამ დავითაშვილს დავით მღვდელს დარჩება ის წისქვილი, რუს შუა მიწა და ყარაღაჯულს რუს ქვევით წისქვილს წინ რიყემდინ მიწა და ჭალაც.

და რადგანც კიდევ იმ პაპაჯანას ობოლი მისულა და დაუშვლია, ნუ აშენებო, ჩემიაო, და არას შეპოებია და აუშენებია, ამისთვის მეფის ვახტანგის სამართლით **რიზ** ამდენის რიცხვიდამ ესრეთ უსჯიდა; რადგან ეკლესი[ი]ს მამულია, ამისთვის შენობისა არა ეძლეოდათ რა ფირალიშვილებს; მაგრამ ჩვენ კიდევ ასე უსაჯეთ, რომ ის წისქვილი უნდა დაფასდეს ყოელისფრით — შენობით, ქვებით და თავის იარაღებით და მღვდელმა დავითმა ნახევარ[ი] ფასი უნდა მისცეს მიწებს გარდა.

და კიდევ ესე, რომ: რა ერთიხანიც ფირალაშვილებს იმ წისქვილის შემოსავალი უჭამიათ, იქიდამ ნახევარი მღვდელს უნდა მისც[ე]მოდა სამართლით; მაგრამ რადგან შეუძლებელნი იყვნენ ეს ფირალაშვილები, ამისთვის ვაპატიეთ.

და ეს ზემოწერილი ასე განუჩინეთ ქსნის ერისთვის შვილის გიორგის თანდასწრებით, მდივანბეგის ჯავახიშვილის ვახუშტის, მათის უწმიდესობის მღვდელ-მონაზონის იოსტოსის და დიკასტირიის წევრის, ანჩის[1] ხატის დეკანოზის სოლომონის თანდასწრებით.

ჩვენო ეშიკაღაბაშო ერისთვის შვილო თორნიკე! ფირალაშვილებმა უნდა შეაფიცონ; და თუ ვერ შეჰფიცონ, კელი აუმართე და დავითაშვილს მღვდელს დავითს მოაბარე. მარტის ია, ქორონიკონს **უპჯ**.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიაღით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ შეც შემიწყნარნა.

ხელრთვები: გიორგი, ისტოსი. სოლომონ.

ჭ. მათის უმაღლესობის ოქმის ძალითა ალექსანდრე ეშიკაღაბაშის ბძანებით მოვედით ახალქალაქს ჩვენ: ასაგელი ნინია, იასაული ბექიტაშვილი ლუარსაბ ფირალაშვილისა და ფაშის შვილის საქმეზე, სადაო წისქვილის საქმეზე.

ფაშისშვილი გამოვიყვანეთ წისქვილთან და ფირალაშვილებიც გამოვიდნენ თავის მოწმებითა და თან მოიტანეს ღვთისმშობლის ხატი და ჯვარი და სახარება და წისქვილთან დაასვენეს და

[1] ანჩის.

უთხრეს მღვდელსა: მოდი, აიღე და ჩაგვისვენეო და ჩვენს მამულს შემოუვლითო.

მ ღ ვ დ ე ლ მ ა უ თ ხ რ ა: არცერთი არა მწამსო, მ ე ტ ე ხ ს უნდა წამოხვიდეო და იქ უნდა დაიფიცოო, იმისი მამულიაო.

ფ ი რ ა ლ ა შ ვ ი ლ მ ა უ თ ხ რ ა: ჩემი მამულიც წმინდის უსტათისააო, იქ შემოგფიცამო. ფაშის შვილმა არც ის ინება.

წადგნენ ფირალაშვილები: ერთმა მღუთისმშობლის ხატი ჩაისვენა, ერთმა სახარება და ერთმა ჯვარი; თან ორი მოწმე უკან მიყვნენ და ისე შემოუარეს თავის მამულსა. იქ დაგვესწრენ ამ ფიცში: ტ ო რ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ ლ ა ხ ა, გ ი რ მ ი შ ა შ ვ ი ლ ი დ ე მ ე ტ რ ე და ხ ო ე ლ ი პ ა პ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა და მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ე ლ ი ზ ბ ა რ.

მე, ჯვარის მამის მღვდელს ი ო ს ე ბ ს, ამ იასაულებმა ეს რომელიც ჩემი ხელია დაწერილი, ამისი შავი მომიტანეს და ამათის სიტყვით დავსწერე ეს მოწმობა. იანვრის **ბ**, ქორონიკონს **უპწ**.

მათის უმაღლესობის, ოქმი გვიცხადებდა: ფირალაშვილმა თუ დაიფიცოს, წისქვილიც იმას მიეცით და ეს განაჩენიაო. და რადგან ფირალაშვილმა დაიფიცა, ბრძანებისაებრ წისქვილიც ამ ფირალაშვილს მივეცით და ეს განაჩენ[იც]. ქორონიკონს **უპწ**, იანვარს **ბ**.

თავში:

ჩვენ, მ ე ფ ე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ა თ ა ც ა მ ე ტ ე გ ი ო რ გ ი, ამ ჩვენის ძმისაგან მიცემულს სამართალს ვამტკიცებთ, ასე უნდა აღუსრულოთ. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

46. განჩინება დავითისა და ფარსადანის ყმა-მამულის საქმეზე

1799 წ. 29 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 46. საბ. № 109. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[75 v] მის უგანათლებულესობას ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ბ ა გ რ ა ტ ს ებძანა მათ მონათ კალაურის მოურავს ო მ ა ნ ი ს თ ვ ი ს, თ ა რ ხ ნ ი ს ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა თ ვ ი ს და შაშიანის მოურავის ფ რ ი დ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს: ფარსადან რომ დავითას უჩივის ამათი საქმე თქვენ გაურჩევეთო.

ჩვენ ასე გავარჩიეთ: დ ა ვ ი თ და ფ ა რ ს ა დ ა ნ რომ დაობდნენ, ა ხ მ ე ტ ა ს ორი კომბლი კაცი ყვანდათ დ ა ვ ი თ ა ს, პ ე პ ი ნ ა ს და ფ ა რ ს ა დ ა ნ ს გაუყოფელი. ის ერთი კომბლი კაცი პ ე პ ი ნ ა ს დავითისათვის მიეყიდნა და ფარსადანს დავა დ[ა]ეჭირა: ერთი რომ იყიდე და ერთი წილში დაიჭირე, მე რას მეუბნებითო. დავითს წიგნი მიეცა: აქ ეს ორი კაცი[1] მე დამანებე და კალაურში რომ ჯ ა მ ა ს პ ი შ ვ ი ლ ი ს ნავენახობი გვაქვს, მამულის ბადლათ ის მამული მომიცია და კაციც ბადლათ ღ ა ღ ი ა შ ვ ი ლ ი; ფარსადანა შეჯერებოდა. დავით იმ კაცებსა და მამულს იხმარებდა და ფარსადანს ნავენახობი მისცემოდა; და ახლა ოთხი წელიწადია ესეც წაურთმევიათ და არც ახმეტიდამ წილი მიუციათ. ფარსადანას უსამართლო დამართებოდა.

ჩვენ ასე გავარიგეთ: თუ ამ ჯამასპიშვილის ნავენახობს სახლით და გარეშემოთი და წისქვილით არ მისცემს, ეს თხუთმეტი წელიწადი ნახნავით მეტი იქნება, რომ ამ ფარსადანს ახმეტის მამულის სამსახური აკლია. რაც აქამდი აკლია, ფარსადანმა უანგარიშოს და რაც დავითს დაედვას, მოსცეს ფარსადანს. და მასუკან ახმეტასაც რაც საკომბლო აქ[ვ]სთ, ორი საკომბლოს კომბლისა სამათ გაიყონ. და ეს ჯამასპიშვილის ნავენახობიც — ორი წილი დავითას და მესამედი ფარსადანს. მაგრამ რადგან დავითის წიგნი უჭირავს ფარსადანს ჯამასპიშვილის მამულ[ი]სა, უნდა და[ა]ნებოს.

ჩვენ ეს სამართალი ვყავით და ნება მათის უგანათლებულესობისაა. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპზ**.

ი ო რ ა მ, ლ უ ა რ ს ა ბ, [ ]

ჩ ვ ე ნ, მ ე ფ ი ს ძ ე ბ ა გ რ ა ტ, ამ განჩინებას ვამტკიცებ. მ[ა]თის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**. [ ]

[v] ჩვენ კახეთის მოსამართლ[ე]ბი ამ სამართლის თანახმა ვართ.

[ ] [ ]

[1] +აქ.

47. განჩინება გარავიზშვილთა გაურის საქმეზე.

1799 წ. 29 მარტი.

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №46. საბ. №113. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[77 v] მის უგანათლებულესობას[1] ბატონიშვილს ბაგრატს ებძანა: კალაურის მოურაო ომან, თარხანო ლუარსაბ და შაშიანის მოურავო ფრიდონ! ბარამიშვილს ფარსადანს და ამის სახლისკაცებს რაც სადაო მამულები ჭონდესთ, თქვენ გაურჩევეთ და გაუყავითო. ამ იოვანეს, ფარსადანს და პეპინაშვილს ზა[ა]ლს ასე გაუყავით:

ზევით სასახლეში რომ პეპინას გრდანელისათვის რომ გარდიგარდმო მიწა მიეყიდნა, ის გავზომეთ და ორი იმისი ტოლი იოვანეს და ფარსადანს მიევცით და პეპინაშვილი იმ სასახლიდამ უწილო გამოვიდა. სილოვანეს მიჯნებს აქათ [ი]ოვანეს და ფარსადანს მიევცით. ამ ორთ შუა [78] უნდა გაიყონ.

კიდევ იქაე რომ ბასილ ღდლისათვის მიწა მიეყიდნა, კიდევ მინდორში კალაურის მოურ[აე]ისათვის და მოსე ღდლისათვის რომ მიწები მიეყიდნია პეპინას, ეს ზემო მიწები და კიდევ პატარა მიწა რომ ზა[ა]ლმა აიღო, ეს ოთხი მიწა უნდა გაიზომოს და იოვანემ და ფარსადანმა მუნის მიწაში ამადასტურთან რომ გარდიგარდმო მიწა აქსთ, იმ მიწაში თელს მიწაში და ხოდაბუნის მიწაში მუნის მიწა ცაცაბაშვილს მიწას შუა და ფიჯნის მიწას შუა რომ მუნის მიწას ეძახიან, — ამ ოთხს მიწაში უნდა აიღონ გასყიდულს მიწების ბადლათ და იოვანემ და ფარსადანმა გაიყონ. ამ მიწებში თუ მეტი მოვიდა, ზა[ა]ლს წილი ექნება, და თუ არ გამოვიდა, იმ მიწების ტოლი იმავ მინდორში ზა[ა]ლმა უნდა შეუსრულოს საერთოს მიწებიდამ. და სხვა რამ მიწები დარჩათ, სამათ უნდა გაიყონ იოვანე ფარსადანმა და ზა[ა]ლმა.

სილოვანეს მამას რომ მოსე ღდლისათვის[2] მიწა მიეყიდნა, გავზომეთ და პეპინას მისყიდულზე მეტი მოვიდა. ამის ბადლა მეგრელიშვილს ბაგის ბოლოს ფრიდონს რომ მიწა უჭირავს, იმის გვერდზე ის მიწ[ა] ფარსადანს და ზა[ა]ლს მივეცით. სილოვანეს იმ მიწაში აჭმე არა აქვს.

და სილუანეს რომ კვირაცხოვლის მიწებში რომ გარდიგარდმო არის, ის მიწა აიღო და ქვეითი მუნიას მიწა მისცა იოვანეს, ფარსადანს და ზა[ა]ლს; იმ მუნის მიწაში სილოვანეს ხელი აღარა აქ[ე]სთ.

აფხაზიანთეული ხოდაბუნი შუა უნდა გაიყონ, ნახევარი სილოვანისა და ნახევარი იოვანეს, ფარსადანისა და ზა[ა]ლისა.

ჩვენ ასე გავარიგეთ და ნება მათის უგანათლებულესობისაა[1].

მარტის კთ, ჭორონიკონს უპზ. [ ] ხელრთვა: ზურაბ.

ჩვენ, მეფის ძე ბაგრატ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

მაისის კბ, ჭორონკონს უპზ. [ ]

ჩვენ მოსამართლე[ე]ბი ამ სამართლის თანახმანი ვართ.

[ ] [ ]

48. განჩინება ანტონ წინამძღვრისა და გაბრიელ ჯაჯანაშვილის ყმის საქმეზე.

1799 წ. 31 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №24. საბ. №71. პირი, ქაღალდი. მხედრული.

[86] ქვათახევის წინამძღვარი ანტონი გაბრიელ ჯაჯანაშვილს თავისს გლეხს მონასელიძეს ეკლესიის ყმობით ედავებოდა და ამათი სამართალი მათს უმაღლესობას ჩვენ — მეფის ძის იოანესათვის ყოველად სამღდელოთ ბოდბლისა, თბილელისა, ჯვარის მამის ანტონის და მსაჯულთ თანდასწრებით ებძანა.

გაბრიელ ა[მ]ბობდა: მონასელიძე მეფეთაგან ბოძებული ჩემი სამკვიდრო ყმა არისო; წიგნი თუმცა დავკარგე, მაგრამ ქვეყანამ იცის ჩემნი ყმანი არიან და ამ ასსა და ორას წელიწადში არც ეკლესია და არცავინ სხვა არა მდავებიაო.

და მოხუცებულთ მახსოვართ და ქვათახევის კანდელაკად მყოფის მღვდლის მოწმობის წერილიც მიართვა სამართალს, რომელნიც ფიცით ამტკიცებდენ, რომ მონასელიძეს ჯაჯანაშვილის ყმად ვიცნობთო და ჩვენს დროში მცილე და მოდავე არავინ გვინახავსო.

---

1 უგანათლესულებისა. 2 + რომ.

1 უგანათლესულებისა.

აგრეთვე [v] ბატონის ბებიის ჩვენის დედოფლის დარეჯანის ოქმი წარმოაყენა, რომელშიაც ეწერა: მეფის ვახტანგის მამის ლევანის წიგნი თვით მე წამიკითხავსო, რომ მონასელიძე ჯაჯანაშვილის ყმა ყოფილაო.

და კიდევ მაღალაანთ სახლიდამ ერთი განაჩენის პირი გაბრიელ მოიტანა — მეფის ვახტანგის მამის ლევანისაგან მიცემული — ჯაჯანაშვილი მონასელიძეს მაღალაშვილს გედავებოდაო, საბუთით გაიმტყუნე, რომ ჯაჯანაშვილის მამისაგან გეყიდნაო.

ამ საბუთებს გარდა ამავ მოდავის წინამძღვრის ანტონისაგან მათს უმაღლესობას მეფესთან მოწერილი წინამძღვრისავე ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი მოსამართლეთ მოართვა გაბრიელმა, რომელშიაც სწერს წინამძღვარი: უმაღლესო მეფეო, მონასელიძეს ეკლესიის ყმობით არა ვდაობო, რაც ეკლესიის გუჯარში მონასელიძეს დებულობა სწერია, იმას ვედავებიო.

გუჯარი თავიდამ[1] დასასრულამდის წაიკითხეთ, რომელშიაც ეკლესიის ყმათ [87] ერთიანად სახელდობ გუჯარი ცალკე აცხადებს და ყმების რიცხვში მონასელიძეს არ ახსენებს. და სადაც სახასონი მოაღაპენი სწერიან, იმათში მონასელიძეც მოაღაპედ სწერია.

ამ ზემო დაწერილის საბუთებით აღმოჩნდა, რომ: როდესაც დედოფალს მონასელიძისათვის აღაპი დაუდვია და სითარხნე უბოძებია, შემდგომად ჯაჯანაშვილს ყმად უშოვნია; და მას აქეთ ყმად უსახლობს, რომ მეფის ვახტანგის მამის ლევანის დროს ერთი მო[ნ]ასელიძე მაღალაშვილისათვისაც მიუყიდია.

სამართლით დარჩა მონასელიძე ჯაჯანაშვილს; და რაც აღაპი სდებია მონასელიძეს, რომელიც გუჯარში უწერია, ეკლესიას უნდა მსახუროს.

მაგრამ ჯაჯანაშვილი მონასელიძეს სითარხნეს ვერ მოუშლის, ამისთვის, რომ აღაპისათვის სითარხნე მეფეთაგან ეკლესიის შეწირულია, მეფეს სითარხნე ეხარჯება ეკლესიასთან და აღაპი გლეხისა იხარჯება.

მონასელიძეს როგორც ძველს სიგელში სი[v]თარხნე უწერია, რომ ჩვენ მოსამართლეთ წაგიკითხეთ, ჯაჯანაშვილი ვერც კულუხს, ვერც კოდის პურს ვერ გამოართმევს.

[1] +თავიდამ.

რამდენს სახლთაც არიან, თითო მსახური უნდა იახლოს. და თუ მსახურს არ იახლებს, კოდის პურსა და კულუხს მაინც ვერ გამოართმევს.

და რადგან თავისს მამულზე უსახლობს, ღალის გამორთმევით და სხვა ყოველისფერის სამსახურით როგორც სამკვიდრო ყმანი, ისე იმსახუროს.

მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპზ**.

ხელრთვა: არსენა. ანტონ.

თავში:

[85 v] მისის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ფებერვლის **კბ**, ქორონიკონს **უპთ**.

49. განჩინება გლახა როჭიკაშვილისა და ციციანთ უმეტის საქმეზე

1799 წ. 5 აპრილი.

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 37. საბ. № 225: პირი. ქაღალდი. მხედრული.

[126] როჭიკაშვილი ნაზარი გლახა ჩიოდა: სკრა საკუთრათ ჩვენია, რომ სხვას არას კაცს იქ ჭელი არავისა აქვსო და ახლა ციციანი იქ რამდენსამე კომლს კაცს დაობენო. ამაზედ ლაპარაკი და დავა სანატრელს ჭელმწიფე მამაჩვენთანაც იყო და ბევრჯელ ჩვენთანაცა; და მოურავის სახლს გარდა ციციანთ ყველამ ჭელი მოუწერეს ამ როჭიკაშვილს, რომ არას ციციშვილს სკრაში ჭელი არა გვაქვს რაო. მაგრამ ქაიხოსრო ლოპინაშვილი და ოთარ ციციშვილი განჯას ნადირშჰასთან ჩაიდნენ და იმისგან იშოვნესო და მერმე ქაიხოსრომ და ფარსადანმა გაიყვესო. ის წიგნი სანატრელმა ბატონმა ნახა და ჩვენც ვნახეთ, რომ შესაწყნარებელი არ იყო, ამისთვის რომ იმ წიგნში სხვაც ბევრი რამ ეწერა და ისინიც სულ ჩამორთმეოდა და ამისთვის აღარც ამ სკრისა შეიწყნარა სამართალმა.

და ამას გარდა კიდევ ერთი წიგნი მოიტანეს ციციანთ, რომ ვინღაც თურმანა ყოფილა, ის ფარსადან ციციშვილს აძლევს, რომ მე შენ დაგმოყვრდი და ჭალი მოგეც და რაც სკრაში მამული მჭონდა, ისიც მზითვად მოვეცო. ეს წიგნი როსტომ მეფისა-

განაც იმტკიცება, მაგრამ ეს ყველამ ვიცით, რომ ის ფარსადან ციციშვილი [v] გიორგი მეფის დროს იყო, რომ ეს გიორგი მეფე როსტომ მეფიდამ მესამე იყო და ამ ფარსადანსაც ათთან მუხრანის ბატონის ქალი ჰყვანდა და სხვა ცოლი არა ჰყოლია.

და ამით ჩანს, რომ ამ მიზეზებით არც ეს თურმანას წიგნი არის შესაწყნარებელი. და თუ იტყვიან, როსტომ მეფის დროსაც იყო ვინმე ფარსადანაო, მაშ იმ დროს მყოფი ფარსადან ციციანთი საერთო პაპა იქნებოდა, და რატომ ყველას არ ედვა წილი, რომ თვითან ციციანი უწერენ ჯელს, რომ წილი არავის გვაქვსო.

და ეს კიდევ უდიდესი საბუთი როჭიკაშვილისაგან რომ მეფის გიორგისა, მეფის ვახტანგისა და მეფის ბაქარისა წიგნები აქვს, რომ რომელზედაც ციციანი კაცებზედ ედავებიან, ის კაცები სახელდობრივ უწერია წყალობის წიგნში, რომ ყმათ ჰბოძებია მაზიაშვილები, მამუკაშვილები, ფუჭიშვილი და კაკობაშვილი. და ამ[ა]ებით დამტკიცდა, რომ ციციშვილებს არც სკრაში და არც ამ კაცებში ჯელი არა აქვსთ.

და ამას გარდა კიდევ ქართველიშვილი ავთანდილ დაობდა ამ ზემოწერილს გლეხებს ორს კომლს მამუკაშვილებს და კოკობაშვილს, რომ ჩემნი ყმანი ყოფილანო. ქართველიშვილი სკრაში მემკვიდრე არა ყოფილა, მისული კაცი ყოფილა. არც წიგნი უჩნდა და არც სარწმუნო მოწმე და ცარიელის სიტყვით ლაპარაკობდა და არა ჩნდა, რომ სწორედ სჯერიყო რამე; და ასევ ვახტანგ მეფის დროს იყო ეს ქართველიშვილი გამოსული სკრიდამ.

და ამთენის მიზეზებით დამტკიცდა, რომ არც ციციანთა აქვსთ საქმე სკრაში და ამ გლეხებთან და არც ქართველიშვილსა. ამ საქმეზედ თუ ოქმები [127] არის რამე ან მამის ჩვენისა, ან ჩვენის ან ჩვენის ძმებისა, ყველა დაგვიყენებია და მტკიცე ეს არის.

ეშიკაღასბაშო ალექსანდრე! ამაზედ ერთი იასაული აჩინე და ამ კაცებზედ ჯელი ა[ა]მართვინე და ნაზირს როჭიკაშვილს გლახას მოაბარე. აღიწერა აპრილის ე, ჭორონიკონს უპზ.



ჩვენ, მეფის ძე თეიმურაზ, ვამტკიცებთ მარტის კზ ჭორონიკონს უპთ.



ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იოანე, მისის სიმაღლის ბოძებულს განაჩენს ვამტკიცებთ. ივნისის იგ, ჭონიკონს უპკ.



ჩვენ, საქართველოს მეფის ძე კამანდარი და კავალერი ბაგრატ, ვამტკიცებთ სანატრელის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს განაჩენს. თებერვალს კთ, ჭორონიკონს უპთ.



ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთის დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, მისის უმაღლესობის ჩემის შვილის მეფის ნაბოძებს განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. მაისის დ, ჭორონიკონს უპჯ.



ჩვენ, ქართლისა, კახეთისა და სხვათა დედოფალი მარიამ, ამ მისის უმაღლესობისაგან ნაბოძებს განჩინებას ვამტკიცებთ.



ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე დავით, ვამტკიცებთ ამ განაჩენს, მისის უმაღლესობისაგან ნაბოძებს. მაისის ბ, ჭორონიკონს უპჯ.



თავში:

მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოჲსა, კახეთისა და სხვათა მემკვიდრე და მმართებელი დავით ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ასე, რომ ამაზედ ზოგიერთმა ციციშვილებმა და ქართველიშვილმა კიდევ ლაპარაკი დაიწყეს. ჩვენ [126] ქართლისა და კახეთის მდივანბეგები და დარბაისელნი ერთად შევჰყარეთ და სამართალში ვალაპარაკეთ. და როგორც ამ განაჩენში გალახა ნაზირს უწერია, ეს საბუთები ყველა ჯელთ ეჭირა და სამართლით როჭიკაშვილს გლახა ნაზირს დარჩა; და ციციშვილები და ქართველიშვილი გამტყუნდნენ, რომ დღის იქით არცერთს საქმე არა აქვსთ და ველარცრასლა მოედავებიან.

მარტის იგ, ჭორონიკონს უპთ.

50. განჩინება ზაალ ტერიშვილისა და გოძია ლომიტაშვილის მამულის საქმეზე

1799 წ. 6 აპრილი.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5319. დედანი. ქაღალდი 43,5×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ამ საბუთის პირი დაცულია Qd ფონდის № 12-შიც.

გრემის ხევის მოურავმა ტერიშვილმა ზაალ უჩივლა თავის სახელოს ლომიტაშვილს გოძიას და იმის ძმას ჭიტესას: ჩემის ყმის საურმაგიძის ერთის დღის მიწა უჭირავსო და ვენახად აშენებსო; მოიკითხეთ და სამართალი მიყავითო.

ჩვენ ლომიტაშვილები სამართალში მოვაყუანინეთ და ვალაპარაკეთ.

ლომიტაშვილებმა უპასუხეს: ნასყიდი გვაქუს და დიდი ხანია, რომ გვიჭირავს და არავინ გუდაეებიაო და ნასყიდობის წიგნიც მოიტანეს. ნასყიდობის წიგნი გავშინჯეთ და გვარი სულ არ ეწერა და სახელებიც წაშლილი იყო და სხვა სახელები იყო ჩაწერილი.

ჩვენ, ბატონიშვილმა პატრონმან ვახტანგ, ზაალს ამდონს ხანს უდაობის მიზეზი ვკითხეთ.

ზაალ ამას ამბობდა: ჩვენი ყმა და მამული სულ ჩაშორთმეული იყო და სულ სხვათ ეჭირათო. იმ საურმაგიძის მამული ზოგი სხვათ ჰქონდათ დაყოფილი და ეს ერთი მიწა მაგას ეჭირაო. და ამიტომ არ ედავნენო. ახლა თქვენი მოწყალება რომ დამემართა და მისის უმაღლესობის სანატრელად ხსენებულის მამის თქვენისაგან წყალობა დამემართა და მებოძა, მე ეედავებიო.

და ჩვენც ვიცით, რომ ზაალს ეს თავისი ყმა და მამული ოცდათორმეტი წელიწადია, რომ ებოძა. მაგრამ ასეთი დრო და ჟამი იყო, რომ იმ მამულს ვერ მიუდგებოდა და ის სოფელი სულ ხარაბა იყო. და ამას წინათ რომ ჯიმშერის სოფელი აუშენებია, მაშინ ზაალის მამასა და ბიძებს ყმები ჩამორთმეული ჰქონიათ. და მერე რომ აყრილა, ოცი წელიწადი ხარაბა იყო; და ჩვიდმეტი წელიწადი იქნება, რომ ჩვენ დავასახელეთ ის სოფელი თავის ადგილსა; და რა რომ დასახლდა, ახლა დავა შაქნეს.

ჩვენ ამისი სამართალი ასე განესაჯეთ: თუ იმ წიგნში გამყიდავის გვარი ეწეროს და ის ნასყიდობის წიგნი ისე განრყუნული არ იყოს, ზაალ ვეღარას შეუვიდოდა. მაგრამ რადგან არც გამსყიდავის გვარი სწერია და სახელებიც მოშლილია და ჩაწერილი, ამისთვის ლომიტაშვილებმა ორი სარწმუნო მახსოვარი კაცი იშოონ და წარმოაყენონ, რომ იმათ თქვან, რომ ეს მიწა საურმაგისძისა არის და ლომიტაშვილებს ალალ-ახად ნასყიდი აქუსო; და ლომიტაშვილებს დარჩებათ მიწა.

თუ მახსოვარი ვერ იშოონ, ზაალმა ორი თავისი მეზობელი უმტერ-უმოყურო კაცი შეუგდოს. ლომიტაშვილებმა ორში ერთი იშოო[ნ], ერთი თვითონ მიიყოლიოს. ამ ორის მოწმით წადგეს გოგია და ასე იფიცოს: «ამისმა მადლმა და ამისმა განმაცხოველებელმან ღმერთმან, რომ ეს მიწა საურმაგისძისა არის და იმისგან მიყიდია ამ სამძღურით ამ სამძღურამდის და არც ეს წიგნი ჩემის სიტყვითა და არც ჩემის ვისგანმე მოშლილი და განრყუნილი არისო».

თუ ასე იფიცა გოძიამა, დარჩება ეს მიწა ამას და ზაალ ვეღარას ედავება. და თუ ვერ დაიფიცა, ზაალს დარჩება.

ბოქოულთხუცესო ბეჟან! ამ მომავალს კვირაცხოველობას უკან შენ მიდი და როგორც ამ განაჩენში ეწეროს, ისე აღასრულე. და რომელსაც დარჩეს ის მიწა იმას მიაბარე. აპრილი ვ, ქორონიკონს უპზ.

ბეჟედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ქ. ამისი იასაული ვიყავ მე, იოსებ ბოქოულისშვილი. გოძიამ მოწამე ვერ იშოვა და ვერ დაიფიცა. და ეს მიწა დარჩა ზაალს და ამას მიეაბარე. იელისის კზ, ქორონიკონს უპზ.

თავში:

ქ. რადგანც ვერ უფიცავთ და სამართლით ეს მიწა ზაალს დარჩა, ჩვენც გვიბოძებია და ვამტკიცებთ. აგვისტოს თ, ქორონიკონს უპზ.

ბეჟედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

51. განჩინება გიორგი XII-ისა შილდელთა და ყვარლელთა ეკლესია-მამულის საქმეზე

1799 წ. 10 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9590. პირი. ქაღალდი. მხედრული.

შილდელნი, რომელნიც სანეკრესელო კაცნი არიან, ესენი უჩივლნენ ყვარელთ წმინდის სამების ეკლესიაზედა, ასე რომ ეკლესიაც ჩვენი არისო და რასაც ეკლესია ჩაიტანს, ის მამულიც ჩვენი არის დასაველთის მხარეო.

ამათ ბევრჯელ ედავნათ ერთმანეთისათვისა და ელაპარაკნათ ამ სადაოზედა. კურთხეულს ბატონს მამა ჩვენთანაც ედავნათ და კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ბრძანებული წერილიც ემოწმებოდა და ესეც ებძანებინა: არც მამის ჩვენის დროსა, არც ბიძის ჩვენის დროსა და არც ჩვენს დროში ამაზედ დავა არ გამოგონიაო და არც მინახავსო, რომ შილდელნი ყვარელთ სდა[ვ]ებოდნენო, რაც დოსითეოს ნეკრესელმა არ ასტეხა ამ ხუთსა და ათს წელიწადშიაო ეს დავაო, — კურთხეულის მამის ჩვენის მეფის ერეკლეს წერილი ასე აცხადებდა.

ესენი ჩვენთან მოვიდნენ, ამ საქმეზედ ბევრი დავა და ლაპარაკი ჰქონდათ და ჩვენ მოვიდომეთ, რომ ამათი დავა და ლაპარაკი რასაც დაობდნენ, უფიცრათ გარდაწყვეტილიყო. მაგრამ არც ერთის მხრიდამ ასეთი წერილი და საბუთი არ იყო რა, რომ იმით გარჩეულიყო და გარდაწყვეტილიყო და არც თითონ ინებეს უფიცრათ გარდაწყვეტა.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფემან გიორგიმ, საქართველოს მსჯულთშეკრებილების თანდასწრებით ეს სამართალი მივეცით:

სამართლის ძალით ფიცი ყვარელთ დაედებოდათ, მაგრამ რადგანც რომ ეკლესიის ყმანი იყვნენ და დაობდნენ და მათი საქმეც იყო და თითონაც იყაბულეს და ფიცი შილდელთ დაედვათ.

და ყვარელებმა ათი კაცი უნდა შეუგდონ შილდელებსა. და ეს შეგდებული კაცნი უმტერ-უმოყვრო კაცნი უნდა იყვნენ. და ამ შეგდებულის ათის მოწმიდამ ხუთი უნდა იშოვნონ შილდელებმა. და ნეკრესლის ყმამ უტურაშვილმა მღვდელმა გიორგიმ ოლარი უნდა დაიკიდოს და წმინდა ჯვარი ჭელთ აიღოს; და ეს ხუთი შეგდებული მოწმე[ე]ბი თან უნდა მიიყოლიოს და როგორც ფიცის განწესება, ისე უნდა დაიფიცოს და ასეც უნდა თქვას:

«აღდგომის მესამეს დღეს, სამშაბათს, ამ სამების ეკლესიის დღესასწაული რომ არის და ამ ეკლესიის დღესასწაულის გარდასახდელად შილდელნი და ყვარელნი ხალხნი როდესაც მივსულვართ, დასავლეთის მხარე, რომელიც შილდის მხარე არის, ჩვენდა გამოწყალობებიაო და რომელიც ყვარელთ მხარე არის აღმოსავლეთის მხარე — ყვარელნი მღვდელნი და ამწყალობლებდენო».

ასე უნდა იფიცონ ამ საყდარზედა. ამ საყდრისა დასავლეთის მხარე შილდელთი იქმნება და აღმოსავლეთის მხარე — საყდრის ნახევარი ყვარელთი იქმნება და თავ-თავის მხარეს დამწყალობლებენ. და ამ საყდრიდამ რასაც აღგილს ფიცით ჩაივლიან, ის მამული — დასავლეთის მხარე შილდელთ დარჩებათ და აღმოსავლეთის მხარე — მამული, რომელზედაც ვერ ჩაივლიან, ის მამული ყვარელთ დარჩებათ. ამაზედ უნდა დადგნენ.

და თუ რომ შილდელებმა ვერ დაიფიცეს, კუის წყარომდის ყვარელი დარჩებათ.

ეს სადაო მარტო სანეკრესლოს საყმოსი არის. ამაში არც ვეძისხვეველთ, არც რუსიშვილებსა და არც ამათ ყმასა და არც სხვათ შილდელთ საქმე არა აქვსთ რა, მარტო სანეკრესლოს ყმისა და ყვარელთია. ეს სადაო ასე გარდასწყდა: წმინდის სამების საყდარი ნახევარი შილდის მხარე შილდელთ უნდა დაიფიცონ და დასავლეთის მხარე — საყდრის ნახევარი ყვარელთ დარჩებათ.

ეს როგორც გვიბძანებია, ასე უნდა გა[ა]რიგო და ამაზედ დააყენო მაყაშვილო ეშიკაღაბაშო ალექსანდრე! ამაზედ ჯანდიერისშვილი წეტაშვილი როსებ უნდა გაგზავნო და ეს ასე უნდა გაარიგოს, როგორც გვიბძანებია.

და ეს როგორც გარდაწყდეს, ამ იასაულმა ამავ განაჩენზედ ჭელი უნდა მოაწეროს, რომ ეს ასე გარდასწყდაო. აპრილის **ი**, ქორონიკონს **უპჯ**.

ქ. თუნდა დაიფიცონ შილდელთ, აღმოსავლეთის მხარე საყდრის ნახევარი მაინც ყვარელთ დარჩებათ. [ ].

საქართველოს ჭელმწიფის უმაღლესის მეფის გიორგის ბძანება და განაჩენი როგორც ბძანებს, მათის უმაღლესობის მონამ წეტაშვილმა როსებ აპრილის **კ**, ქორონიკონს **უპჯ**, ბრწყინვალეს ოთხშაბათს, შილდიდამ მოფიცრები რომელსიც ყვარელთ შეუკვეთეს, ისინი სამების მოსალოცავთან წავასხი. და ყვარელებს შილდიდამაც შევატყობინე და კიდევ იქიდამაც კაცი გაუგზავნე და არ მოვიდნენ.

და მერმე თვით შილდელნი მოფიცარნი ყვარელში მივიდნენ და იმ ღამესაც იქ დადგნენ. და მეორეს დღეს — ხუთშაბათს ორნივ მხარენი სამების მოსალოცავთან ამოვიდნენ.

ყვარელთ მღვდელთ ჯვარი, ხატი და სახარება მოასვენეს და შილდელთ მოფიცართ ერის კაცებს უთხრეს: თქვენ ჩამოგვართვითო და თქვენ დაიფიცეთო.

მერმე იმათ ასე უპასუხეს: ბატონის განაჩენი ასე აცხადებსო,

1 ჩილდელთ.

გიორგი მღვდელმა ჯვარი უნდა ჩამოართვასო და ჩვენ კი თან უნდა მივყვნეთო. და თუ არ დაიშლითო, თქვენც ერის კაცებს მიეცითო და მაგათ ჩვენ ჩამოვართმევთო და არც ჯვარის მეტი ბძანება არისო.

ამაში ყვარელებმა ეს არ ქმნეს. და ამაზედ ორნივ მხარენი ამ დღეს მოიშალნენ.

მერმე ამის მესამე დღეს, შაბათს, წმიდის გიორგის დღესასწაულს, ორთაენ მხარეთ ნებით შილდიდამ წამოვიდა გიორგი მღვდელი უტურაშვილი, პატრიარხის ყმა ასაბაშვილი, ტურა თევდორე, მორდლის ყმა ბურდიაშვილი გიორგი, ბარამის ყმა მკერლისშვილი პაპა, ცეცხლაშვილი იოსებ და ორნივ ჩახატაურები — ტეტო და დიმიტრი.

ესენი მოფიცრად სამების ეკლესიასთან მოვიდნენ და ყვარელიდამაც კიდევ ჯვარი, ხატი და სახარება მოასვენეს და იმათმა ერის კაცებმა შილდელთ ერის კაცებს მოსცეს და მღვდელმა მღვდელს მოსცა; და როგორც ფიცის რიგი იყო, შილდელთ ისე დაიფიცეს.

და სადაც ნეტარხსენებულს მეფეს იმ ქედსა და წვერზედ ჯოხი დაეკრა და ებძანა, ღმერთსაც გაურჩევიაო და მიჯნაც ეს არისო, შილდელებმაც ეს აქედამ ასე გამოიფიცეს. იმ ქედის ჩამოდენება და იმ ეკლესიის ნახევარი დასავლეთისაკენ სამწყალობლოთაცა და მამულადაცა ნეკრესის ეკლესიას დარჩა; ასე, რომ ყვარელებს აქეთ საქმე არა აქვსთ და შილდელებს იქით — აღმოსავლეთისაკენ საქმე არა აქვსთ.

და წიწრიაშვილს ნაცვალს რომ ქედზე ეკლესია აუშენებია, იმის ნახევარიც მზის ჩასვლისაკენ დარჩება და ნახევარი მზის ამოსვლისაკენ. და შილდელთ რომ დაიფიცეს, ნაცვალმაცა და ყვარელთაც შილდელთ ასე უთხრეს: რადგან დაიფიცეთო, დასავლეთისაკენ ღმერთმან მოგახმაროსთო, ჩვენ საქმე არა გვაქვსო და აღმოსავლეთისაკენ ჩვენი არისო.

ამათი საქმე ასე გარდასწყდა. აპრილის **კგ**, ჭორონიკონს **უპჯ**. მე, მათის უმაღლესობის მონა როსებ.

ჩვენ, მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი ამ განაჩენს კვალად ვამტკიცებთ, რომ დაუფიცნიათ შილდელთ. და ეს არის გარდასწყდა ამათი სამართალი, რომ ამაზედ უნდა დადგნენ. და ამ საქმეზედ [დღ]ეის იქით შილდელთ და ყვარელთ სადაო აღარა [აქვსთ].

52. განჩინება ავთანდილ კოგიაშვილისა და მთიულეთის მოურავიანთა მამულის საქმეზე

1799 წ. 10 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №45. საბ. №91. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[48] კობიაშვილს ბოქოულთხუცესს ავთანდილს მოეხსენებინა მისი უგანათლებულესობის ჩვენის ხელმწიფის მეფის ძის ვახტანგისათვის: როსებ სალთხუცესისაგან მიწა მაქვს ნასყიდი, იმ ნასყიდ მიწაში ჩემს ყმას კუდურიშვილს სახლი გავათხრევინე და მთიულეთის მოურავიანი არ აგებინებენ, სამჯერ ხე მოუტანია და გაფუჭებია, ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი გვაღირსეთო.

მათმან უგანათლებულესობამ გვიბძანა ჩვენ თვისთა მონათა — სალთხუცესს ოთარს, პირმისაშვილს ნაზირს გოგიას და კარის მღუდელს ჰონჭაძეს შიოს: თქვენ მიდით, ნასყიდობის წიგნი გაშინჯეთ, ის ადგილი [v] თვალით ნახეთ, მოიკითხეთ და ერთმანერთს მოაშველეთო.

ჩვენ ბრძანებისაებრ მივედით, ადგილი ვნახეთ, მოვიკითხეთ, ერთად ვალაპარაკეთ, ნასყიდობის წიგნი მოვატანინეთ, გავსინჯეთ, უგვარად დაწერილი იყო, ასე ეწერა: «მე, როსებ სალთხუცესმა მოგყიდე ჩემის ყმის გამრეკელისშვილისა · დღისა და ნახევრის მიწა შენ, ბოქოულთხუცეს[ს] ამირანს და შვილთა შენთა მეჟანს და ავთანდილსა». არც სოფლის სახელი ეწერა, არც დანიშნული ადგილი, არც სამძღვარი და არც საზომი, ამისთან ყრუ და გაუგებელი იყო. ჩვენ ბოქოულთხუცესს უთხარით: ამ წიგნით ეს მიწა არა სჩანს და არცარა გაიგება, ეგების სხვას სოფელში სადმე იყოს.

მთიულეთის მოურავის ძმებმა ნასყიდამა და ნიკოლოზმა თქვეს: ჩვენ ვიცით, ამ წიგნში რომ სწერია, სწორედ ეს მიწა არისო და ნასყიდობაც მართალიაო. მაგრამ ეს დიდს ადგილს ეჭიდება და იმდონი არ არისო.

ბოქოულთხუცესი ამბობდა: აქ არც გალავნი იყო არც[1] სოფელი იდგაო. ერთი კომლი ახალშენაშვილი მდგარა და იმას გზა ქონია, მინდვრიდამ რომ გზა ჩამოვა, შარაწყაროს უკან უნდა გაიაროს, სწორედ ჩაიაროს და ახალშენაშვილის კარზედ მიეიდესო; გზას ქვეითი რაც დარჩება, ჩემია და ზეით ახალშენაშვილისო. მოიტანეს, გზაზედ გალავანი ჩადგეს, ნახევარს გალავა[ნ]ს ჩემი მიწა უჭირავსო, სოფელი გაქეთდა, მრავალი ხიზანი დასახლდა, ზოგი სახლმა[2] დაიჭირა ადგილი, ზოგი გარ[49]ეშემოდ მოუნდათ, გალავანი მაგათი აგებულია და თავისას ეძახიან, სამძღვრები აირივა და დაიმალა, გზას ჩემს მიწაზედ მოვარდა და ახლა გარეთაც მეცილებიანო; ეს ერთი ბურჯი და ნახევარი გალავანი ამ ჩემს ნასყიდს მიწაში არისო; აბრამ მღვდელს მე ავაგებინე სახლი და ჩემსა ეძახოდენ, მაშინ საამიც ცოცხალი იყო და ელისაბარაც და სხვანი ჩვენი სახლისკაცები უფროსები, მაშინ არა თქვეს რა და ახლა მოუნდათ და მართმევენო.

ნასყიდამა და ნიკოლოზ უპასუხეს: აბრამ მღვდელიც ჩვენ დავაყენეთ და ჩვენს სახლზედ იდგაო და აბრამ მღუდელს რომ კალო ქონდა, შუა კალოში სამძღუარი იჯდა, იმის ზეით შენ ხელი არა გაქუსო და ახალშენაშვილის გზაც იმ სამზღუარს ქვეით არისო, მოწმე[ე]ბი მყვანანო ორი მღუდელი. მოწმე[ე]ბი მოვიკითხეთ და ვერავინ გამოჩნდა და სამართალი საზომზედ მივარდა.

კაცები გავგზავნეთ ორთავ ნებითა და ერთის დღის საზომის მიწა გავაზომინეთ. მერე ეს სადაო მიწა გავზომეთ და როგორც ბოქოულთხუცესი ა[მ]ბობდა, ერთ-ერთი ქვეითი ბურჯი და გალავანიც დაიზომა. მთიულეთის მოურავიანთ არ იყაბულეს, მიზეზი ეს თქვეს: იოანე არის ჩვენი უფროსი, ის ხომ შინ არ არის, ჩერქეზში არის, უიმისოდ სამართალს ანუ გადასწყუეტთ, ის მოგვაცდევინეთო.

ჩვენ წამოვედით და ის საქმე დარჩა შეუსრულებელი. როდესაც იოვანე მოვიდა, შეუძლოდ იყო და ლაპარაკი არ შეეძლო, ზედ [v] ჭალაქს წავიდა აქიმთან, იქ უფრო ავად გახდა, იქ დაუგვიანდა, იქიდამ მოვიდა და მიიცვალა. კიდევ დაგვიანდა ამით სამართალი.

მერე კიდევ არზი მიერთმივა ბოქოულთხუცეს და მოეხსენებინა: ვეველრები თქვენ მოწყალებასა, მე რომ მოგახსენეთ და სალთხუცესი და შიო მღუდელი გვიბოძეთ, მოვიდნენ და გვალაპარაკესო და გაზომის პირობა დადვესო; გაგზავნეს კაცები და საზომის მიწა გაუზომინეს, მოვიდნენ და აქაც ზომა დაუწყესო; ერთი საბელი კიდევ გასაზომი იყო, გადაუდგენ წინა, რომ ულუფში აღარ მოუხდათ და აღარ გააზომინესო, სამძღურები გაბედეს და აღარ ჩააყრევინესო; ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩვენო ხელმწიფევ, ბოწმე[ე]ბი მოგვაყვანინე ჩვენცა და იმათაც და შფოთს მოგვაშორეთო.

ამ არზაზედ ოქმი ებრძანებინა მეორედ: სალთხუცესო ოთარ და მღუდელო შიო! რომელიც გასაზომი მიწა დაგრჩომოდესთ, გაუზომეთ და მორჩით, როგორც ჩვენი ბძანება გაქუსთ, ისე მოარჩინეთ ამ საქმესაო.

ჩვენ კიდევ მეორედ მივედით ამ ბრძანებითა და კიდევ ვალაპარაკეთ. კიდევ მიზეზი თქვეს [მ]თიულეთის მოურავიანთ: ზაალ არ არის შინა, ის არის ახლა ჩვენი უფროსი, უიმისოდ ჩვენ ვერ გადავსწყვეტთ, ის უნდა მოგვაცდევინოთ, თუ უსამართლოს ქნა არ გინდა. და ამით დარჩა ეს საქმე. და გამოვიდა ერთი წელიწადი.

კიდევ მოეხსენებინა ბოქოულთხუცესს ავთანდილსა და ბატონს კიდევ ოქმით ებრძანებინა: ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებს სალთხუცესო ოთარ და მღუდელო შიო, [50] მერე ახლავ უნდა მიხვიდეთო კობიანთ კარსა და მთიულეთის მოურავიანი და ბოქოულთხუციანი სახლის ალაგზედ რომ დაობენ, ზაალიკა რომ აქ არ არის, გუშინდელი ბიჭი არის და იმან რა იცის; ნასყიდა ზურაბ და კიდევ სხუანი არიან, რომ იმათ უკეთ იციან; როგორც ბრძანება გაქუსთ, ისე უნდა გასინჯოთ და რასაც მიხუდეთ, ღმრთის წინაშე გაუსამართლეთ; ბოქოულიანთი იყოს ის სახლის ალაგი — ბოქოულიანთ დაანებეთ და მთიულეთის მოვრავიანთ იყოს; მთიულეთის მოვრავიანთ დაანებეთ. თუ მთიულეთის მოვრავიანთ არ დაიჯერონ ჩვენ ბრძანება, ხელი უნდა ამართოთ და ბოქოულთხუციანთ მოაბაროთ. ის სახლის ალაგი ამდენი ხანია დარჩენილია და გაუსწორეთ ღმრთის წინაშე, რასაც მიხუდეთო.

ეს მესამე ბრძანება რომ მოგვივიდა, კიდევ მივედით და გამოვიკითხეთ, მრავალი ვალაპარაკეთ, ორთავ მოწმე მოვთხოვეთ.

მთიულეთის მოურავიანთ თქვეს: სადაგდიაშვილმა დათუნამ იცის, მაგისი ყმა არისო, იმას კითხეთ და ოჰანამ იცისო, ჩვენ იმათ ვჯერვართო; და მუჩალგა დადვეს — რასაც ეს ორი კაცი იტყვის, ჩვენ ყაბული გუაქუს და დავსჯერდებითო.

[1] +არც. [2] საღმა.

ამათის სიტყვით მოვიყვანეთ ორნივ და დიდად დავაფიცეთ და ვკითხეთ.

სადაგდიაშვილმა დათუნამ ასე იმოწმა: მე მამაჩემს პატარა დავსდევდიო, როდესაც მიწაზედ დავა იყო, ახლა რომ კუდურისშვილის ეზო არის, იმაზედ ახალშენაშვილს კალო ჰქონდა და ნეხვი რომ უყრია კუდურისშვილსა იმაზედ საბძელიო და დღეს რომ ახალშენაშვილს საბძელ-კალო აქუს და ამას ზეით ძნას რომ სდგამს, იმაზედ ბაღი შეღობა და [v] ხეხილი ჩაყარაო. ეს ბატონი ჩემი დუშეთს იყო ბატონთანა და იქიდამ გამოიარა, იმ ბაღთან რომ მივიდა და გაიკრა ხმალს ქელი და რაც ხეხილი ჩაეყარა, გარდაკაფა. შეექნათ ამაზედ ლაპარაკი და დიდი დავაო. იმ დროს საამის მამა ზურაბ მთიულეთის მოურავიც ცოცხალი იყო და საამ და იმისი ძმებიცა. ახალშენაშვილს საბძელ-კალო იქედან ააღებინეს და თავის მამულში გაატანინეს და დღესაც[1] იმაში აქუსო. მამაჩემმა კარგად იცოდა, ხნიანი და მახსოვარი იყო და ის მიიყვანეს და სამძღუარი ჩასხეს, დღესაც ისევ არისო. მერე ახალშენაშვილმა იმას ზეით სახლი ააგო და მეორე ყადიმი სამძღუარი იმაში გამოჩნდა და დღესაც სჩანსო, მე ამისი დამსწრე ვარო. და მეორე ამისი დამსწრე ვარ: აბრამ მღვდელმა რომ სახლი ააგო, მანამ ბატონმა ჩემმა არ უთხრა, ვერ ააგო.

ოჰანამ ასე იმოწმა: მე ამის მეტი არა ვიცი რა; ხუწუხი რომ მოვიდა, მასუკან ახალშენაშვილმა მთიულეთის მოურავიანთ დავა დაუწყო. დღეს რომ საბძელი უდგათ მთიულეთის მოურავიანთ, ერთი საყოვე იმის მიწაში ქვეით ჩაეწივა, ის ერთი საყოვე ააღებინა და ახლა რომ ბოლოს ბოძი უდგა, იმის ძირში ჩასუესო და ერთი სამძღუარი ახალშენაშვილმა რომ სახლი ააგო, იმაში ზემო თავს გამოჩნდაო. ეს სამძღვარი თვითონ ჩვენც გვაჩვენეს და ვნახეთ. აბრამ მღუდელი ვისის სიტყვით იდგა, ის კი არ ვიცი და ახალშენაშვილს გზა კი გალავანს ქვეით მისცესო.

ბოქოულთხუცესმა ავთანდილ თქვა: აბრამ მღუდელი[ს] დაჩოფიკაშვილს ყაზიბეგსა ჰყვანდა და თვითონ ყაზიბეგ თავისს შვილით აბრამ მღუდელთა[ნ] იდგა, გაბრიელ აქ გაიზარდა, გაბრიელს კითხეთ, თუ ჩემსა არ ეძახოდენ და მე არ დამეყუნებინოსო; ბორძიკულს დათუნას და კოხტაშვილსა კითხეთო, ჩვენნი მეზობელნი არიანო, ჯანგირაშვილი არღუნელია და ახალშენაშვილის ქალი ყავს, სახლიც იმან აუგო და სამძღვარი რომ გამოჩნდა, [51] იმან კარგად იცის, იმას კითხეთ.

გაბრიელ[ს] ვკითხეთ და ასე თქვა: მამული ვისია, ის კი არ ვიცი და ბოქოულისას ეძახოდენ და ჩვენც იმისის სიტყვით ვიდეგითო, მაშინ არცარა დავა ყოფილა ჩემობასაო.

ბორძიკულმა დათუნამ ასე იმოწმა: მე ასე გამიგონია მახსოვრებისაგან, არც ერთი ბურჯი იმის მამულში არა დგასო.

კოხტაშვილმაც ასე თქვა: ამის მეტი არცარა მე ვიცი და ეგრე მეც გამიგონიაო.

ჯანგირაშვილმა ბერმა ასე იმოწმა: მე ბოქოულთხუცის სახლს ვა[შე]ნებდიო და რომ გაუთავე, წამოველ, ახალშენაშვილთან მოველ, ჩემი მოყარე იყო; იმან მითხრა: ასის თუმნის ქალი მოგეც და სხვათ კი სახლს უგებო, მეც რომ ამიგო, რა იქნებაო. მე უთხარ: ცული აქა მაქუს და მე აქა ვარ, და ახლა შენ აგიშენებო, ხე მზასა ქონდა, დავადეგ და ხეს თლა დაუწყეო; უკანა საგვერდულის ბოძი ჩაეგდოთ და საშუბლე რომ გავსდევით, არ გაიწყო, გავხედე რომ ბოძი წინ იყო, სახლს უკან ყამირი ქონდა, ჩამოვათხრევინე, ბოძისათვის უკან უნდა მიმეწივა და გამესწორებინა და რომ ჩამოაქცივეს, ერთი ქვა ჩამოვარდა და მეორე დიდი ქვა გამოჩნდაო. მე უთხარ ახალშენაშვილს: ეს ქვა რომ ჩამოვარდა და ეს მეორე დიდი ქვა გამოჩნდა, აბა გაშინჯე სამძღვარი არ იყოსო, უკანაც მოუთხარა და მეორე ქვაც კიდევ გამოჩნდა, მოწმად უჯდა, სწორედ სამძღვარი იყო, მრავალმა ნახა. ამაზედ ბოქოულთხუცესი მოვიდა და ახალშენაშვილს ჩხუბი დაუწყო, აქათ გამოგიწევიაო, იქიდამ ნიკოლაოზ მოუხდა, უკან გამოგიწევიაო, ლაპარაკი შეექნათ დიდი.

ზედ მთიულეთის მოურავი საამ გამოვიდა, სძინებოდა, ისე ფარაღადათ იყო, სახლები (sic) გამოყრილი ქონდა ბოქოულსა, ძმას ჯავრობა და გინება დაუწყო, რა გაჩხუბებთო; ასე უთხრა: თქვენ ხომ შვილებით [v] საესენი ხართ და ჩემი რა ვიცი, ღმერთი მომცემს თუ არაო. იმ სამძღვარს დახედა, მერე შეიხედა ზეით გალავნისაკენა. გალავნის ძირზედა ბაკი ჰქონდა საქონლისა სა[ა]პინათა, სიგძე ქვეითა ქონდა ბაკსა, იქ მივიდა და იმ ბაკს ქვეიდამ ფეხი დაადგა, ერთი სამძღვარი ამაში არისო. ამას იქით შენია ავთანდილ ბოქოულთხუცესო და ამას ზეით ჩემიო და ახალშენაშვილს გზა ამ სამძღვრებს ქვეიდამ არისო.

[1] დღემაც.

ჩვენ ამათის ლაპარაკის მიხედვითა და ამათის მოწმე[ე]ბის სიტყუის მიხედვითა და ამ ნასყიდობის წიგნის ძალით შეტყობით ამათი საქმე ასე დავინახეთ და ასე ჩნდა: როდესაც ის გალავანი არა ყოფილა და არც იმდონი ხიზანი მდგარა, ერთი ახალშენაშვილი მდგარა მარტო და თავისთვის ტყისა და შეშის გზა ზედამ ქონია და კიდეც ასე იქნებოდა, ამას ორნივ მოდავენი ასე ა[მ]ბობენ. და ბოქოულთხუცესს რომ ეს მიწა უყიდნია, ეს მიწა ამ გზას გარეთ ქვეით მხარეს ნაკად დებულა, იმ წყაროს რეი რომ ჩამოვარდება, იმ რუს გაღმა კობიაშვილის სარიდანის მამისა ყოფილა, და გამოღმა ახალშენაშვილისა გზა ყოფილა თავისის სახლის კარის გასწურივ და გზას გარდა რაც მიწა დარჩება, გამრეკელაშვილისა ყოფილა. ახლა გალავანი რომ აშენებულა და გარს ამდონი კაცი შამოსახლებია, იმ ყადიმის გზის ბინა მოშლილა და გზა გალავანს ზედამაც გაკეთებულა სხეის მიწაზედ ქვეითაც და უკანიდამაც, ამ მიზეზითა და ჩვენის მიხედვით ახალშენაშვილის გზა გალავანს ეჭირა.

რადგან გალავანი და სიმაგრე ქვეყნის შესამატია და მოშლა ქვეყნის დასაკლისი და ზარარია და დიდი ჭირნახულიც არის, ამისთვის ხელი ვერ შევახევით და არც ბატონი ინებებდა. და ამას წინათაც მთიულეთის მოურავის ზურაბისა და მისის შვილის სა[ა]მიის დროსაც რომ ლაპარაკი ქონდათ, ახალშენაშვილისათვის გზა გალავანს ქვეით მიუციათ.

და ამას გარდა რაც შეიძლება რომ გზა მიეცეს, ახლაც იმავ გზაზედ უნდა იაროს, წყაროს თავზე [52] გამოიაროს, გალავნის ქვეით ბურჯი რომ არის, იმაზედ გაბრუნდეს, გალავნის ქვეით გვერდზედ გაიაროს და თავისის სახლის ზემო თავში რომ სამძღვარი გამოჩენილა, იმ სამძღურის სწორად მივდეს, დაბრუნდეს დაღმა და თავის კარზე მივიდეს.

ბოქოულთხუცემა გალავანს ქვეით ამდენი გზა უნდა დაუგდოს, რომ ახალშენაშვილმა ურემი, მარხილი და ნალო, თუ ხე გაარო[ნ]ოსა, არ დაუშალოს. და სხვა რაც გზას გარეთ დარჩება, თავისია — აბრამ მღდლის ნასახლარიცა და კუდურიშვილს რომ სახლი უთხრია ისიცა, როგორც უნდა მოიხმარებს. და ამ დანიშნულს გზას ქვეით ვისაც სახლი აქვს თუ ბაკი, ის სულ უნდა მოიშალოს.

ჩვენ ასე მივხუდით და ასე დავინახეთ და ნება მათის უგანათლებულესობისა ჩვენის ხელმწიფისა არის. მაისის ი, ჭორონკონს ღჯ.

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძე სრულიად არაგვის მპყრობელი ბატონიშვილი ვახტანგ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მაისის **ი**ზ, ჭორონკონს **უ**პჯ.

53. განჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე

1799 წ. 20 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14152. დედანი. ქაღალდი 36,2×26 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ჭ. მათის უმაღლესობის ბრძანებით ჩვენ, საქართველოს უფლისწულმან დავით, მდივანბეგების თანდასწრებით ონანაშვილების ლუარსაბისა და ზაქარიასი და ბებურიშვილის სეიმონისა და აფხაზიშვილის იოანეს საჩივარი მოვისმინეთ.

ონანაშვილები და ბებურისშვილი გოშპარ მოურავის ნასახლარს და გარეშემო მისს მიწებს აფხაზს საძმოდ ედავებოდნენ. ამაზედ პირველად მისს სიმაღლეს კურთხეულს პაპას ჩემთანაც ეჩივლათ, რომელსაც ქეშიჭიბაში აბაშიძე იოანე, მდივანბეგი ოტია და გავაზის მოურავი დავით გაეტანებინათ სასამართლოდ.

იმ ლაპარაკში აფხაზს დავითს ეპასუხნა: ეს მამული ჩვენს მამა-პაპას ნადირაშვილებისათვის დაედვათ, რომ უნდა გამოეფიცათ. და კიდევ ზაქარია მოურავისშვილს რომ მამული ეყიდნა აფხაზისაგან, ისიც ამ ნადირაშვილებს ფიცში უნდა ჩაეტანათ. თუმცაღა ეს საქმე რამდენსამე ხანს რომლისამე მიზეზით დატეგებულიყო.

და ჯელაჯა ახლაც რადგან განაახლეს ეს საჩივარი, ჩვენ ასე განვაწესეთ: რადგან ნადირაშვილები აფხაზის მოსისხლეები არიან და მამულისაგან მოკლებულნი და გარდაცვივნილნი, ერთი კაცი, რომელიც აფხაზის ყმა იყოს და ლუარსაბმა შეუკვეთოს და მეორე, რომელიც აფხაზს უნდოდეს — ესენი ნადირაშვილების მაგიერ აფიცონ ასე, რომ: ეს მამული ნადირაშვილებს სჭეროდეს ერთობაში და ზაქარია მოურავისშვილის მისყიდული მამულიც, როგორც ძველს განაჩენში სწერია, ისე უნდა გამოიფიცონ ამ კაცებმა.

თუ გამოიფიცეს, მაშინ ონანაშვილებს და ბებურისშვილს საქმე არა ექნებათ რა. და თუ ვერ გამოიფიცეს, საძმოდ უნდა გაიყონ აფხაზმა და ამათ.

ჩვენო ეშიკაღაბაშო ერასტისშვილო იოანე! ეს ასე აღსრულე. მაისის კ, ქორონიკონს უპზ.

შვიდი ბეჭედი:

1. დავით
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჟან
3. მდივანბეგი დავით
4. ზაალ
5. ჯავახისძე მდივანბეგი ვახუშტი
6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
7. მდივანბეგი იოანე

თავში:

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მაისის კზ, ქორონიკონს უპზ.

54. განჩინება მორდლისა, რუსისშვილებისა და ჩახბაურების მამულის საქმეზე

1799 წ. 20 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 133. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მისის უმაღლესობის მეფის ბრძანებით მივედით შილდას ჩვენ — ფარეშთხუცესი ანდუყაფარ და მეღვინეთხუცეშვილი იოსებ ჩახტაურების საქმეზედ.

როგორც ნეტარად ხსენებულის მეფის ოქმი აცხადებდა და მისის უმაღლესობის ოქმი, ჩვენ ამ ოქმების ძალით კაცი ოთხს წილათ გავყავით, ბოლოც ოთხს წილათ. სამი წილი მორდალსა და რუსისშვილებს ერგო, ერთი წილი ჩახტაურებს ერგო.

აღმოსავლეთისაკენ ზმარტლის დუბის პირამდის, ბოლოს ფაშაანის მიჯნამდის, დასავლეთის მჯარეს ტურის ციხის მიჯნამდის — ერთის წილისა ეს ერგოთ. მეორეს წილისა — თავს დიდი შარა აღმოსავლეთისაკენ ხოდაბუნში რომ მიჯნა ზის, იქიდამ დაწყებული დასავლეთის მხარეს საბუის მიჯნამდის.

და რომელიც გასაყოფი მიწები დარჩათ, ისინიც ასევე ოთხს წილათ უნდა გაიყოს, როგორც დაგეიწერია თავისის მეოთხედის მთითა და ბარით, სალამათით და საბალახით.

ჩვენ ასე გავარიგეთ და ნება მისის უმაღლესობისა არის. მე, სვეტისცხოველის ყმა ასაბაშვილი დავით მღვდელი ამ გაყოფაში დავესწარ, დამწერი და მოწამეცა ვარ. აღიწერა მაისის კ, ქორონიკონს უპზ.



თავში:

ქ. ჩვენ, ყო[ვ]ლისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აგვისტოს ია, ქორონიკონს უპზ.



ქ. ჩვენ, დედოფალი ყოველისა საქართველოსა მარიამ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ოქტომბრის გ, ქორონიკონს უპზ.

55. განჩინება ბეჟან და დავით ყორჩიბაშისშვილების გაყრის საქმეზე

1799 წ. 4 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. 30. საბ. № 5. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[4v] მათს მეფობის უმაღლესობას ჩუენ — მათის შვილის დავითისათვის ებრძანა ყორჩიბაშისშვილების ბეჟანისა და დავითის სარჩელის მოსმენა. ჩვენ ბრძანებისაებრ საქართველოს მდივანბეგების თანდასწრებით ესენი ვალაპარაკეთ.

ესენი სამნი ძმანი ყოფილიყუენ და პირველად მის სიმაღლეს სანატრელს მეფეს მეორეს ირაკლის გაეყარა. ბეჟანისათვის ებოძებინა ერთი წილი და ცალკე გაეყუანა და დავითისა და მისის უმცროსის ძმისათვის ებოძებინა მეორე წილი და ცალკე გაეყუანა. თუმცა დავითის ძმა კვეთებული ყოფილიყო და იმისი გაყრა ბეჟანს უარეთქვა, მაგრამ მაინც მისს სიმაღლეს არ ენებებინა და ეს კუეთებული ძმა დავითთან ყოფილიყო.

სამართლის წიგნში სჯე სწერს: კუეთებულს ვისმე ნათესავებ-

მა რომ არ მოუარონ და სხვამ უცხოებმა მოუარონ, მაშინ იმისს წილს ყმასა და მამულს შემნახავნი დაეპატრონებიანო.

და რადგან დავით თანაშობილებით ძმა არის და მისს სიმაღლესაც ის უმცროსი ძმა დავითთან გაუყვანია და ავათყოფნობაში დავითს მოუვლია [5] და მკვდარიც ამასვე დავითს დაუმარხავს, რასაკვირველია, რომ იმისი წილი ყმა და მამული უცილებლად დავითს დარჩებოდა. მაგრამ ამავე სანატრელს მეფეს ესენი შემდგომად ისევე შეეყარა; და შეყრაში პირობის წერილი დაუდვიათ, რომ: ვინც კიდევ გაყრა მოინდომოს და გაყრის მიზეზი მისცეს, უწილოდ გავიდესო.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა ამათ ლაპარაკი მოსლოდათ. ბეჟან ეწამებოდა დავითს, რომ: თოფით და იარაღით კარზედ მომიხდა სასიკვდილოდ და ამაზედ რაოდენისამე მოწმისაგან მოწმობის წერილიც წარმოაყენა. და რომელზედაც იმ მოწმობის წერილზედ ჩვენ დიდად გამოძიება ვჰყავით და ყოველითურთ ცრუდ შეთხზულად აღმოჩნდა მოწმობისა მის წერილი.

ჩვენ ყოვლისა გამომძიებელთა და მჩხრეკელთა ესრეთ განვაწესეთ: თუ ბეჟანს მიუცია პირველად მიზეზი დაშორებისა, ჰკვავს რომ ბაჟანისაგან შეყრის სახე ვერაგობით ყოფილა, რომ ვითამც იმ მესამის ძმის წილიდამაც ოდ[v]ესმე რომ გაეყრები წილს გავიტანო, — ამისთვის ბეჟანს იმ მესამის ძმის წილში სრულებით საქმე არა აქვს რა. და თუ ბეჟანს თავისს მესამედს წილში — ყმაში თუ მამულში აკლია რამე, დავითამ უნდა შეუსრულოს.

ამათს სამართალს სანატრელს მეფესთანაც ბევრჯელ მოუვლია, განაჩენებიც ხელთა აქვსთ და ბეჟან ვერას შესვლია დავითას. და კიდევ როდესაც ესენი შეყრილან, პირობის წერილი და-[უ]დვია[თ]; და ის პირობის წერილი მოვსთხოვეთ ბეჟანს და არ მოიტანა, თურმე თითონ აენებს ის წერილი, ამისთვის არ მოიტანა. ამის გამო ჩანს, რომ ბეჟან უსამართლო არის და არც მესამის ძმის დიმიტრის წილი მამული არის, სრულებით დავითისა არის, რომ ბეჟანს იმასთან საქმე არა აქვს რა. ეშიკაღაბაშო იოვანე!

ეს ასე აღასრულე. ივნისის **დ.** ქორონიკონს **უპზ.**

თავში:

ჩვენ, ყოველისა საქართველოჲსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დარჩა უმცროსის ძმის წილი მამული დავითს, ბეჟანს იმაში ჯელი აღარა აქვს.

ივლისის **დ.** ქორონიკონს **უპზ.**

56. განჩინება იოანე და ბარძიმ ამილახორისშვილების მამულის საქმეზე

1799 წ. 12 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9699. დედანი. ქაღალდი. 60,7×22,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას საქართველოს მეფეს ჩუენ, მათის ძის იოანესათვის ამილახორისშვილების იოანესა და ბარძიმის სამართალი ებრძანა და ჩვენ ვახუშტი დიანბეგის თანდასწრებით მათი საჩივარი მოვისმინეთ.

ბარძიმ ამილახვარის შვილი თავის ბიძაშვილს ივანეს იალღუზიშვილისა და ბედიანაშვილის მამულს ედავებოდა და ასე ეუბნებოდა: მისს უმაღლესობას სანატრელს მეფეს ერეკლეს მამის ჩემის დავითისათვის და მამის შენის მიმბაში გოგიასათვის უბოძებია და ამ მამულში მეც წილი მიძეო.

ივანე მიუგებდა: თავისს დისწულს დედას ჩემს ეფემიას სანატრელმა მეფემ ერეკლემ უბოძაო, ამ მამულში შენ წილი არ გიძეო.

ჩვენ ივანე ამილახვრისშვილს წყალობის წიგნი მოვჰსთხოვეთ იმ მამულისა. და ივანემ თქვა — თუ ვიპოვნე, მოგართმეო. და ერთი ოქმი მოიტანა სანატრელის პაპის ჩვენისა, რომელიც კურთხეულის რევაზ ამილახვრისათვის მოეწერა: მოიკითხე, დავით ამილახვრისშვილი გოგია მიმბაშს რასათვის ეყრებაო, თუ მამულიდამ მეტი რამ დაუხარჯამს, ჩვენ გამოურთმევეთო და ნუ გაეყრებაო. და თუ გაყრას არ დაიშლის, იალღუზისშვილისა და ბედიანაშვილის ნახევარი მამული ჩვენის დისწულის ეფემიას გულისათვის მივეცით, იმ მამულთან დავითს საქმე არა ექმნება რაო. და თუ არ გაეყრება, რასაც გოგია მეტს დახარჯამს, ჩვენ იასაულით გამოვართმევეთ და დავითს მივჰსცემთო.

ჩვენ ეს ოქმი ოჯახის გაუყრელობის შესაშინებლად შევრაცხეთ. ჩვენ ივანე ამილახვრისშვილს ოთხი დღე პაემანი დაუდევით. თუ ამ ოთხს დღეზედ ის წყალობის წიგნი მოიტანა, რომელიც სანატრელს პაპას ჩვენს უბოძებია და იმაში დაეთ ამილახვრისშვილი არა სწერია და საკუთრად გოგია მიმბაშს და ეფემიას ბოძებია, ბარძიმს საქმე არა ექმნება რა.

და თუ ამ ოთხს დღეზედ არ მოიტანა, იალღუზისშვილისა და ბედიანაშვილის მამული შუა უნდა გაიყოს. მაგრამ რადგან ეფემიას მიზეზით ეს მამული უშოვნიათ, საჭირნახულოდ ივანეს მიეცემა ბეითალმანი მამული ოდიკაძისა, რომელსაც თითონ თუმნად აფასებდენ. და სხვა დანარჩომი მამული შუა გაიყოს.

ამას გარდა ბარძიმ გრაკალსაც ედავებოდა ივანესა და ეს დავა და ამისი სამართალი რევაზ ამილახვართან გარდაწყვეტილა. ბარძიმს საქმე არა აქვს რა გრაკალში და თითონაც უაბულს გახდა. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

რატისშვილო ეშიკაღაბაშო! ეს განჩინება ასე უნდა აღასრულო. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ორი ბეჭედი: 1. იოანე
2. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი.

57. განჩინება გლახა მილახვრისა და ფასიტა ფასიტაშვილის მამულის საქმეზე

1799 წ. 13 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №30. საბ. №10. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[9] მილახვარმა გლახამა არზით უჩივლა ფასიტაშვილს ფასიტას: ერთს ჩემს ყმას მაგისის ყმის ხატაშვილისათვინ ღვინო მოუპარავს და იმას საზღაურად ერთი ჯარი დასდები[ა], და ჯარი რომ ვერ უშოვნია, ჯარის მაგიერად მამული მიუციაო; მერე ის ჩემი კაცი და ის მამული [v] იმასთან დარჩაო. მამაჩემმა ორჯერ ჯარი მიგვარა[1] — ეს შენი ჯარიო და ჩემი გირაო დამახსნევინეო. არც ის ჯარი ინდომა და არც მამული დაგვანება. ახლა ის ხატაშვილიც ამოსწყდა და ის მამული ფასიტას უჭირავსო. ამას გევედრებით, ორნივ თქვენს სამართალში გვალაპარაკოთ ღმრთის წინაშე და რომელიც სამართალია, ის ინებოთო.

[1] + მიგვარა.

ჩვენ, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, ფასიტაშვილი ფასიტა მოვაყვანინეთ და სამართალში ერთად ვილაპარაკეთ.

ფასიტა უპასუხებდა: ღვინოც მოუპარავს და ჯარიცაო, საზღაური დაზდებია, ვერა უშოვნია რა, ღარიბი ყოფილა და ერთის დღის მიწა იმაების საზღაურში ნასყიდობით მოუციაო, გირაოდ კი არაო. დიახ, დიდი ხანია, ჯერ ჩემს ყმას ეჭირა და ახლა მე მიჭირავს აქამდი, რატომ აქანამდინ[1] არავინ დაიხსნაო, თუ გირაო იყოო. მამაშენი ხომ შემძლებელი კაცი იყო და მამაჩემი შეუძლებელიო და უღონო, რატომ იმან არ წა[ა]რთო მამაჩემსაო. ერთხელ გუთანი გუება იმ მიწაშიო და ვხნევდითო; ბაბანა მილახვარი მოვიდა და გუთანს გვიგდებდა, მამაჩემი კვალში ჩაწვა, შიგ მოკვდებიო და არ დაგანებებო. მილახვარი გაბრ[10]უნდა და წავიდა, ხმაც აღარ გასცაო. ახლა შენ მედავები და ნება სამართლისა არისო.

ამათ ორთავ საჩივარი ასე მოვისმინეთ და მოწამე მო[ვ]სთხოვეთ; და არავინ ყოფილიყო მახსოვარი. ერთი დიდად მოხუცებული დედაკაცი მოიყვანეს იმ მამულის პატრონის ხატაშვილის ქვრივი, ამან იცისო; ორთავ იყაბულეს, ამას ვსჯერვართო. იმ დედაკაცს ვკითხეთ და ასე იმოწმა: მე კი არ დავსწრებივარ და ჩემ[მ]ა ქმარმა თქვისო: ყაჭიაშვილმა ერთი ქვევრი ღვინო მომპარა და ერთი ჯარიო; არაფერი არა ებადა რა, ღარიბი იყოო და ერთი ის მიწა მომცაო, არ ვიცი ჩემ[მ]ა სულმა, ერთის დღის მიწა არის, ორისა, მეტი თუ ნაკლებიო. ერთხელ ვხნავდით, ბაბანა მოვიდა და ჩემს შვილს ერთი ჯოხი დაკრაო, მე უთხარი: შენი ჭირიმე, შვილს ნუ მომიკლავ, არ მინდა, წავალ, ვითხოვ და ისე დავარჩენო. გაბრუნდა და წავიდა. მასუკან აღარა უთქვამს რა. ზედ ჩვენც წავხდითო, არა ვიცი რა ჩემ[მ]ა სულმა, საზღაური არის თუ გირაო, იმ კაცმა თქვის, მამაჩემისაგან გამიგონიაო, მომსწრე[2] არც [v] იყოო.

ჩვენ ამათი სამართალი ასე ვსაჯეთ და სამართალიც ასე არის. ამდონის ხნის საქმე რომ არის, თუ უნდა მოპარვითაც სჭეროდა ფასიტას, მილახვარი ვეღარას შეუიდოდა. გირ[ა]ობა რომ მაქვს, გირ[ა]ოდ მიცემული არისო, ამითი სამართალში შამოვა, ამისთვის, რომ ვალი არ დაბერდება და მოვალე როდესაც შეიძლებს, თავის გირ[ა]ოს მაშინ დაიხსნის.

[1] + აქანამდინ. [2] მომსწრე.

ამისთვის ასე განუჩინეთ: რადგან ფასიტა საზღაურად ამ-
ბობს[1] და მილახვარი გირ[ა]ობას და მოწამე არც ერთისა სჩანს
და მამული ფასიტას ხელში უჭირავს, ფიცით უნდა განსწმიდოს.
და რადგან ფასიტა აზნაურშვილი არის, ასე ცოტაზედ არ დაეფი-
ცება. ერთი თავისი ყმა შეაფიცოს ფასიტამა. და ასე იფიცოს იმ
დამფიცებელმა: «ამისმა მადლმა და ამისმა განმაცხოველებელმან
ღმერთმან, რომ ეს მიწა სწორედ საზღაურში არის მოცემული და
გირ[ა]ო არისო».

თუ ასე დაიფიცა, მიწა ფასიტას დარჩება. და თუ ვერ დაი-
ფიცა, მილახვარს დარჩება. და რისაც გირაო არის, ის კი უნდა
მილახვარმა ფასიტას მისცეს[2] და თავისი გირ[ა]ო დაიხსნას.

იასაულო ბოქოულთხუცესო ბეჟან! მიდი და როგორც ამ
განაჩენში ეწეროს, ისე აღასრულე. თუ დ[ა]ფიცოს, ფასიტას
დ[ა]ნებე: და [II] თუ ვერ დაიფიცოს, მილახვარს დარჩება. რი-
საც გირაო არის, ის კი გამოურთვი, ფასიტას მიეც და მიწა მი-
ლახვარს მიაბარე. ივნის[ს] **ოგ, გორონიკონს უპჳ.**

მისის უმაღლესობის ბრძანება მქონდა მე, იოსებას ბო-
ქოულთხუცესშვილს; როგორც ამ განაჩენში ეწერა, ისრე[3] აღვას-
რულე. ფასიტამ ვერ დაიფიცა; რისაც გირაო იყო, გამოვართვი,
ფასიტას მივეცი და იმ მიწაზედ ხელი აიღო[4], მილახვარს დანებდა,
მეც სამნები ჩავსხი, მილახვარს მივაბარე. ორთავეს რაზით ეს ასე
გადასწყდა[5], ეს ჩემი ხელია, ბეჭედი არა მქონდა.

58. განჩინება დეკანოზ სფირიდონ ანანიაშვილის სარგოს საქმეზე

1799 წ. 20 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 594. დედანი. ქაღალდი. 49,2×24,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მათს უწმინდესობას ბატონს ბიძაჩვენს მოეწერა: სფი-
რიდონ ანანიაშვილი რომ თავის განწესებას ითხოვს,
ესეც გასინჯე და ეცადე კიდეც შეარიგო ყოველად სამღუდელო
მთავარეპისკოპოსსაო.

დეკანოზის სფირიდონის სარჩელი მათს ყოველად უსამღუდე-

[1] ამბობს. [2] მიცეს. [3] ვისრე. [4] აგიღო. [5]+ სწყდ.

ლოესობას მთავარეპისკოპოს პაისიოს გამოუცხადეთ
და ამათს ლაპარაკში დიანბეგი ვახუშტი და ჩუენი მოხელენიც
თან დაესწარით.

ყოვლად სამღუდელო მთავარეპისკოპოსმან მოგვიგო:
იოსებ ანანიაშვილი და ნიკოლაოზ მღუდელი ანა-
ნიაშვილი სფირიდონ დეკანოზის სახლის კაცნი არიან, მოწლენი
არიან და სამს მთავარეპისკოპოს[ს]აც მოსწრებიან. იმათ ღმერთი
აფიცეთ და მიძინების ხატი და რასაც ისინი ფიცით მოგახსენებენ,
რომ მთავარ ეპისკოპოსის კირილეს, ბესარიონის და
იოასაფის დროს სფირიდონს ჰქონდეს სახელო ჯამაგირი, თუ
სამწყსოდან სარგო, მეც ხელს მოუწერ და მივსცემო.

ჩვენ იოსებ ანანიაშვილს და ნიკოლაოზ მღუდელს ღმრთის
ფიცით ვჰკითხეთ და ასე იმოწმეს: დეკანოზობის ჯამაგირი არც ბე-
სარიონ მთავარეპისკოპოსის დროს და არც იოასაფის დროს არ
გვინახამს, რომ ამათ მიეცესთ რამე სფირიდონისათვისაო, თორემ
ბარათები ექნება; და თუ საიდუმლოდ იღებდა, არ ვიცითო.

დრამიდან მესამეს ვიღებდით და ახლაც ვიღებთ. საკანონო-
ში წილი არა გუაქვს, მაგრა ჩუენს სამამათმთავროში საკანონოს
ჩვენ გავარიგებდით და რომ მოვართმევდით, გვიბოძებდა რასმე
თუ არა, თავისი ნება იყოო; და ჩვენს განწესებას სამოხელეოს კა-
ნონს ქვეშ მყოფისაგან ავიღებდითო.

ნიშანს რომ ავიღებდით და მოვართმევდით, ერთს რასმე გვი-
ბოძებდა; და ჩუენს განწესებულს სამოხელეოს მიცუალებულის
პატრონისაგან ავიღებდითო.

მთავარეპისკოპოსის წილი სამამათმთავარო რომ არის, მამა
ჩუენებიც ბევრს ცდილან, ჩუენც ბევრს ვეცადენით, ამ სფირი-
დონის მამაც ბევრს ცდილა და ეს სფირიდონც ბევრს ეცადა,
მაგრა ვერ ვიშოვეთო; ამ მთავარეპისკოპოსმა პაისიოსმა რა მი-
ზეზით დაჩემა არ ვიცითო.

და ჩუენ ასე განუჩინეთ: მთავარეპისკოპოსის წილი მამათ-
მთავრობა, რადგან ამ ყოვლად სამღუდელოს მთავარეპისკოპოსს
პასიოს მიუცია, ამისი ნება მისის ყოვლად უსამღვდელოესობის
მთავარეპისკოპოსის პაისიოსისა არის, მისცემს თუ არა.

ნიშანი თავის სახელოში სფირიდონ დეკანოზს ააღებინოს,
რომ მიართოს; რასაც უბოძებს, ნება მთავარეპისკოპოსისაა. და
განწესებული სამოხელეო მიცვალებულის პატრონისაგან აიღოს.

საკანონოს თავის სამამათმთავროში სფირიდონ დეკანოზს გა-

არიგებინებდეს. საკანონოში საქმე არა აქუს რა სფირიდონსა; და თუ უბოძებს რასმე ყოვლად სამღვდელო მთავარეპისკოპოსი, თავის ნება არის; და თავის განწესებას სამოხელიოს კანონს ქვეშ მყოფისაგან აიღებდეს. დრამიდან მესამედი თავისი წილი უნდა მიეცეს.

დეკანოზობის ჯამაგირისა, რადგანც სანატრელს პაპას ჩუენს უბძანებია, დეკანოზის საქმეს ჩუენ მოვკითხამთო და თუ სამართლიანი მიცემა იქმნება, ჩუენ გაუჩენთო, ეს მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩუენისა და მისის უწმიდესობის ბატონის ბიძის ჩუენის ნება არის. ივნისის კ, ქორონიკონს **უპზ.**

რადგან რომე კურთხეულს ბატონს პაპაჩემს ეკლესი[ი]ს შემოსავალი შუა გაუყვია, ნახევარი საყდარს უნდა მოხმარდეს და ნახევარი მთავარეპისკოპოსმა უნდა მოიხმაროს, ამ ჯამაგირის საქმე ამისთვის დავაგდევით. ნება ახლა მისის უმაღლესობისა და მათის უწმინდესობისა აღსრულდეს.

ორი ბეჭედი: 1. ი ო ა ნ ე
2. ჯავახის ძე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი.

თავში:

ქ. ჩუენ, მე[ფე] სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ა თ ს ა მ მ ე ტ ე გ ი ო რ გ ი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. სეკდემბერს **ლ**, ქორონიკონს **უპზ.** მეფე გიორგი

კიდეზე:

ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს უფლისწული მ ე ფ ი ს ძ ე დ ა ვ ი თ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უპზ.** დავით

ქ. მეფის ძე ბ ა გ რ ა ტ ვამტკიცეფ. ნოე[მ]ბრ[ი]ს 16, წ[ლ]ის 1800. მგძბ

ქ. მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ ვამტკიცებ. ნოემბრის **ივ**, ქორონიკონს **უპზ.** თეიმურაზ

59. განჩინება მეგთაბეგიშვილების გაყრის საქმეზე

1799 წ. 6 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 27. საბ. № 305. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[211] მათის უგანათლებულესობის საქართველოს უფლისწულის მეფის ძის დავითისაგან [v] ბეგთაბეგისშვილების ბეგთაბეგის და ესავის გაყრის სამართალი ჩვენ მდივანბეგს გვებრძანა. ჩვენ ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ.

ესავ ამბობდა: ავთანდილ მდივანმა მამაჩემს საუფროსო დაუდო და ქალაქში სასახლე აიღოო. ვაყას გარდა სხვას სოფელში ყმაზედ საუფროსოს არ მოგცემთო.

ბეგთაბეგ მიუგებდა: სასახლე შეფარდებით გავჰყვეთ სამს ადგილას ქალა[ქ]ში თქვენ გერ[გ]ოთ, ათი თუმანიც სართად მამაშენს მივეცით და ერთს ადგილს სასახლე ჩვენ ავიღეთო. ბიძაჩემმა სულხან მდივანმა მამაჩემს პირობა მოსცა: რაც ყმა გეყავს დაფანტული, ამას მოვაგროვებ და საუფროსოს ნუ აიღებო. კაცნი ვეღარ მოაგროვა და საუფროსოზედ ხელს რად ავიღებო.

ჩვენ რომ ამათი სარჩელი მოვისმინეთ, ავთანდილ მდივანი სასახლის გულისათვის საუფრო[ს] არ დასდებდა, ამისთვის რომ რაც საუფროსო ყმა და მამული ერგებოდა, იმითი ორს იმისთანას სასახლეს გააკეთებდა. ჩანს, რომ ყმის მოგროებისათვის დაუცს და ვეღარ მოეგროებია, არც პირობის წიგნი ჩნდა და ლიტონის სიტყვით ვერ ვერწმუნენით.

დღეს სადაც ყმა ჰყავსთ და ან მამული აქვსთ, ყველაზედ ბეგთაბეგმა საქართველოს სამართლის განწესებით საუფროსო აიღოს; ქალაქში რომ ოთხს ადგილს სასახლე აქვსთ, რადგან საზოგადოდ მტერმა მოაოხრა, დღეს რაც ადგილი და შენობა ჩანს, უნდა დაფასდეს და ისე მორიგდენ.

ამას გარდა [212] სხვა რაც სადაო და სალაპარაკო აქვსთ, სამართალში ილაპარაკონ და სამართალში მორიგდნენ.

ბეგთაბეგ რომ უფროსის კაცის შვილი არის სამართლიანის ჭით საუფროსო აიღოს და ეგრეთვე ესავმა საუმცროსო.

სასახლენი ადრევ დაჩემებული და გაყოფილი ჰქონიათ. ესავ ღარ უაბულობს და დაფასებას ამბობს. ამის გამო რაც ქრცხინვალს დარუისს რომ მამულები გაუყვიათ, იმ ყმის მიხედვით ის მამულებიც უნდა დააფასონ და ისე მორიგდენ.

ორბელიანო მილახვარო გიორგი! ეს განჩინება ასე აღასრულე. ივლისს **ვ**, ქორონიკონს **უპზ**.



თავში:

ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ივლისის **ც**, ქორონიკონს **უპზ**.



ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე დავით, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ივლისის **ზ**, ქორონიკონს **უპზ**.



60. განჩინება თამაზ ორბელიანისა და თურქისტანიშვილების მამულების საქმეზე

1799 წ. 7 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №18. საბ. №95. ჰარი. ქაღალდი. მხედრული.

[117] მათს უმაღლესობას ყოვლისა საქართველოსა მეფეს ჩუენს მოწყალეს მამას ჩუენ — მათის შვილის საქართუელოს უფლისწულის დავითისათვის ოქმით ებძანებინა: მუხრანის ბატონი სარდარ-სალთხუცესი იოანე და მდივანბეგები დაისწარით, თურქისტანიშვილები ბეცია, იოანე, ნიკოლაოს, ზაქარია და ფრანგისტან ეშიკაღასბაშს ორბელიანს თამაზს ერტისის მამულების მიმძლავრებას უჩივიან და სა[v]მართალი მიეცითო. ჩუენ მათის ბრძანებისამებრ ორნი მოდავენი ვალაპარაკეთ.

თურქისტანიანნი ჩიოდნენ: საფარაშვილმა ადიბეგამ ჩუენს მამულში ყიზილბაშობას გალავანი ააშენა და ისე დასწურივ მამულები მას აქეთ ვაშლოვანელთ დაიპირეს, კურთხეულს ბატონთან მრავალჯერ ვიჩიელეთ ოქმი და იასაული გვიბოძა, ჯელი ამართეს ჩვენი მამული მოგვაბარეს, მაგრამ არ დაგვნებდაო.

ეშიკაღასბაშმა თამაზმა მიუგო: საფარასშვილის ადიბეგას ციხის ადგილი მკვიდრობით ვაშლოვანელთი არის, დასავლეთისაკენ რომ ხევი უძეს, ერტისისა და ვაშლოვანის მიჯნა ის არის და რასაც ის ხევი დაიტანს, მუხათის მიჯნამდინ ვაშლოვნის მამული არისო.

რადგან ასე შეხირდნენ, ამათის მიჯნების გასაჩხრეკად ჩუენ წავედით მდივანბეგი ბარათაშვილი ზაალ და მდივანბეგი ჩოლაყაშვილი იოანე თან ვიახელით. ამათის სოფლების სინორები გავსინჯეთ, სარწმუნო მოწმე[ე]ბი და წ[ე]რილი ორსავ მჯარეს მოვსთხოვეთ. ვერცერთთ ვერ დაგვარწმუნეს და სამართლის ჩუეულებისამებრ ვაშლოვანელთ ფიცი დავსდევით, სოფლეულად ხატის კელთპყრობით უნდა ჩ[ა]ეველოთ და [ა]სე ფიცით უნდა გაემიჯნათ თურქისტანიანთ წერილის მიხედვით.

ფიცი აღარ მოახდინეს. ორისავ მოდავეთ ნებით ვაშლოვნისა და ერტისის მამული ასე განვსაზღვრეთ: ადიბეგას გალავანს ქვეით წმიდის მარინას ნასაყდრალს დასწურივ დასავლეთის მჯარეს ხევის პირზედ თავად მიჯნა ჩავსვით; მეორე მიჯნა ხოდაბუნად რომ ამბობდენ, იმაში ჩავსვით; ამის დასწურივე მესამე მიჯნა შარის პირზედ ჩავსვით; ამის დასწურივაც მიჯნები დავსხით; ერთი მიჯნა ნარგიზის წყაროსთან ხევში ჩავსვით; ერთს მიჯნად საბას ნიგოზს რომ ამბობდენ, ის ნიგოზი არის და იმ [118] ნიგუზის დასწურივ მუხათის მიჯნამდინ ასე გავსაზღვრეთ: დასავლეთისაკენ ერტისის მამული არის და აღმოსავლეთისაკენ ვაშლოვნელთი.

ნარგიზ[ზ]ედ ვისაც ვენაჯი ჰქონია და ურწყავთ ერტელთ თუ ვაშლოვნელთ, როგორც დასჭირდებათ, ნარგიზის წყაროთი რიგით უნდა რწყონ, წყალი არ დაეჭირბათ, როგორც ძველადგან გამიჯნული ჰქონიათ, ისევ ისრე უნდა ეჭიროსთ. მთაში ერთმანერთს ვერას შეუვლენ.

ვაშლოვნელთ რაც ერტისის მიწებში ნასყიდობა აქუსთ და რაც ერტელთ ვაშლოვნის მამულში ნასყიდობა აქუსთ, წიგნით და მოწმით უნდა დაინებონ. და თუ წიგნი და სარწმუნო მოწამე ვერ წარმოადგინონ, როგორც სამართლის ჩვეულება არის, ფიცით გაიტანონ. დღეის იქით ვაშლოვნელთ ერტისელთ მიჯნებზედ სადაო და სალაპარაკო არა აქუსთ რა.

მაკარისშვილს რომ სამკვიდრო მამაპაპეული ნაენახობი აქუს, ის ნაენახობი თავისის სინორითა და საწნახლით საბა მაკარისშვილს დარჩა. ამას გარდა მიჯნების დასწურივ სარწმუნო ნასყიდობას გარდა მიჯნებს შიგნით არც ვაშლოვანელთა აქუსთ ჯელი და [ა]რც ერტელთა.

ამ საქმეზედ ორი განაჩენი დაიწერა: ერთი ეშიკაღასბაშს თაშაზს მიეცით და ეს განაჩენი თურქისტანიანთი არის.

ეშიკაღასბაშო ანდრონიკას შვილო იოანე! ეს ასე აღასრულე. ივლისის ზ, ქორონიკონს უჯზ. 

ქ. მე, მდივანი დავით, ამ სამართალში დავესწარ, რომ ეს ასრე გარდასწყდა. 

ქ. მე, თარხნისშვილი მეითარი სოლომონ, ამათს სამართალში დავესწარ, რომ ეს სამართალი ასრე გარდასწყდა.



თაშში:

ჩვენ ყოვლისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი. ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ივლისის ი, ქორონიკონს უჯზ. 

61. განჩინება იულიოს ურბნელისა და რუისელების მამულების საქმეზე

1799 წ. 14 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2530. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათს უმაღლესობას ყოვლისა საქართველოჲსა მეფეს გიორგის ჩვენ — მათის ძის იოანესათვის ებრძანა სამართალი, რომელიც ყოველად სამღუდელოს იულოს[ს] ურბნელს წმიდის პირველმოწამის სტეფანეს მამულისა და სამზღურების საჩივარი მოეხსენებინა.

შემდგომად ჩვენ მივედით ურბნისს. ყოველად სამღვდელოს ურბნელს თავისის ეკლესიის გუჯრები მოვსთხოვეთ და ის გუჯრები სამართალს მოერთვა. სანატრელთ მეფეთ შემოწირულის მამულების გუჯრები ესრეთ აცხადებდა: შემოგვიწირავს კამკამაების წყალი და წისქვილი, ნონეს ქედის, საჯვარის[ს] ხოდაბუნი და გუგულის ქედი.

ყოველად სამღდელო ურბნელი ამას ჩიოდა: კამკამაების წყალსა და ნონეს ქედს საშუალი სამანი მოსაბილი არისო.

შემდგომად რუისელები ამას მიუგებდნენ: ჩვენსა და ურბნის[ს] შუა სამზღუარი არა ყოფილაო, მამულები ერთმანერთში შეთხზული გვქონიაო.

და ჩვენ ამათი სარჩელი წვრილად მოვისმინეთ. და ამათ სიტყუას ვერ ვერწმუნენით. ამისთვის, რომ კამკამაების წყალზედ ჩვენ მივედით და ვნახეთ სამნის დიდროვანი ლოდები ეყარა.

და ყოველად სამღუდელო ურბნელი ამბობდა: ეს სამნის ჭუები ამოყრილიაო.

და რუისელები მიუგებდნენ: ეს სამანია, მაგრამ წყლისა არის და არა სამზღვრისაო.

ყოველად სამღუდელო ურბნელი მიუგებდა: თქვენ გული მარწმუნეთ, რომ წყლისა იყოს და არა სამზღურისაო ეს სამნის ჭუებიო.

და ჩვენ ვახუშტი დიანბეგისა და ქართველთ თავადისშვილთ თანდასწრებით ამათი სამართალი ესრეთ ვსაჯეთ: გუჯრების ძალით და ამ კამკამაების წყლის სამნის ძალით დავინახეთ, რომ ამათი საშუალი სამზღაური ექმნებოდა. მაგრამ არც სარწმუნო კაცნი გამოჩნდენ, რომ საშუალი სამზღუარი გამოეცხადებინა და ჩვენ უფიცრად სამართალი გვესაჯა.

რადგან ფიცზედ დადგა სამართალი, სამოვლომ, სახასომ, საცციანომ და ფანიაშვილებმა — ამ ოთხმა გუარმა კაცმა სარწმუნო კაცნი უნდა გამოარჩიონ ოროლნი, რომ იქმნება რეა გლეხი კაცნი. ოთხი თითონ იშოვნონ; და ოთხი რუისელი კაცნი ყოველად სამღუდელო ურბნელმა შეუგდოს. და ამ კაცთ ეკლესიას გული უნდა აჯერონ, რომ სამზღუარი ეს არის რუისისა და ურბნისისა; და იმ ადგილას სამნები ჩაიყაროს. თუ ვერ დაიფიცონ, რომელსაც ალავს ურბნელებს ამას წინათ სამზღურად უთქვამთ, იქ ჩაიყაროს სამნები.

ამას გარდა ოთხს კომლს კაცს რომ დაობს რუისში ყოველად სამღუდელო ურბნელი — ჟოჟონაშვილს რევაზას, თავისის ნასყიდის მამულითა და სახლკარითა ვახტანგ მეფისაგან შემოწირულს; და გიორგი მეფისაგან შემოწირულთ გლეხთ სახასოდამ: ბუსუნაშვილი, საყვარელაშვილი და სარიდანაშვილი თავისი მამულებით, და ესენი ამოწყვეტილნი არიან, და ამათ მამულებთაგან ეკლესია უნაწილო არის; და კუალად იქავ რუისს ურბნელისაგან ნასყიდობა მამულები

არის, რომ ეკლესიას არ უჭირამს, — თუ ამათი მამულები დღეს ჩნდეს, ეკლესიას დაანებონ.

და თუ არა ჩნდეს, კიდევ ამ რვათ რუისელთ კაცთ გული აჯეროთ ურბნელს, რომ არ იცოდნენ ის მამულები და არც მამა-პაპა თაგან გაეგონოსთ, ურბნელიც ხელს აიღებს.

და რომელიც ეკლესიას სამზღუარს შიგნით მამულები დარჩება თავისის წყლით და ამ მამულს შორის რაც გარეშეთ კაცთ მამულები აქვსთ, თუ სიტყვა აქვსთ, ჩვენს სამართალში ელაპარაკონენ.

თუ ნასყიდობა აქვს ვისმე ეკლესი[ი]ს მამულისა, ეკლესიის მამული არ გაიყიდება; ამისთვის რაც დებულება აქვს იმ მამულებს, ეკლესიას უნდა მიეცეს.

და კუალად ფილიპე ურბნელს რომ მამული გაუყიდნია ეკლესიისა, ეს უკანონო საქმეა[1] და ამ ურბნელმა ის მამული უნდა დაიხსნას. და ვინემ დაიხსნიდეს, იმ მამულმა ეკლესიას ღალა და კულუხი აძლიოს.

და თუ მეფეთაგან და ანუ დედოფალთაგან წყალობად მისცემია ვისმე, ეს მათმა უმაღლესობამ განსაჯოს.

ამას გარდა ორს ხოდაბუნსაც დაობს ურბნელი. აქამდის სახსოთ ყოფილა და აწ ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

ეგრეთვე რუისს რაც მამულები ურბნელს დარჩეს, რაც ერთს იმოდენს მამულს წყალი ეძლევა, იმასაც ის უნდა მიეცეს.

ჩვენ ეს სამართალი შეძლებისაებრ ჩვენისა ესრეთ ეჰსაჯეთ და ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

ეშიაღაბაშო გაბრიელ რატიშვილო! ეს ასე აღასრულე. ივლისის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**. [იოანე]

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ ჩვენის შვილის იოანესაგან განჩინებულს სამართალსა ამას ვამტკიცებთ. მაისის **ც**, ქორონიკონს **უპც**. [მეფე სრულიად... გიორგი]

კიდეზე:

ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს: პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. და რომელიც ურბნელთ ეკლესიის მამული გაუყიდნიათ ან გარეთ გაუციათ, იმ მამულების გასყიდვა თუ გაცემა სჯულის-კანონის ბრძანებისამებრ უკანონოდ მომხდარა და ისევ უკანვე უნდა ეკლესიას და[ა]ხსნევინონ. ოქტომბრის **ა**, ქორონიკონს **უპზ**.

ხელთვა: კათალიკოზი ანტონ.

[1] საქმია.

62. განჩინება ტეტია და ბეჟან ჩუბინიშვილების სასისხლო საქმეზე

1799 წ. 29 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4712. დედანი. ქაღალდი. 43×18,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ჩუბინიშვილი ტეტია უჩიოდა თავის ბიძაშვილს ბეჟანს: იმის იმერელი ბიჭი ჩემის ბოსტნის ღობეს გლეჯდაო, ის ბიჭი დაეტუქსე და გავაგდეო. გამომიხდა ჩემი ბიძაშვილი ბეჟან ერთი ჯმალი მკლავში მცა, ინდაყეი გამაგდებინა და მეორე ჯმალი თავში მცა და ძალიან დამშრაო. მკლავი დაშავებული მაქვს და თავში ძალიან დაჭრილი ვარო. და ამის გარდა კიდევ ამ შემოდგომაზე ორგან თავი გამიტეხაო.

ჩვენ ეს ჩუბინიშვილები ყველანი სამართალში მოვაყვანინეთ და ერთად ვალაპარაკეთ, მოწმე[ე]ბიც მოვთხოვეთ ორსავ მჯარესა და ამათი ჩხუბი, როგორც ტეტიამ იჩივლა, იმ ბოსტნის ღობის ფიჩხის აღებაზე მომხდარიყო.

ბეჟან მიუგებდა: მართალია, პირველად მაგაზე მოხდა ჩვენი ლაპარაკიო, მაგრამ შენ ცოლი წამომძახე და რძალიო; და იმისმა გაანჩხლებულმა მეც ჯმალი გეცო.

ტეტია მიუგებდა: მე არც ცოლი გამილანძღავს შენიო და არც რძალიო. როდესაც შენ მე ჯმალი მეცო ერთი თავში და ერთი მკლავშიო, ჩემი ძმა მოიჭრა და გაანჩხლებულმა ლანძღვა დაგიწყოო.

და წაძახება რომ მოწმე[ე]ბისაგან მოვიკითხეთ, ცოლის წაძახებას რომ ჩიოდა, ის წაძახება არ არის, რადგანც კაცის სახელი არ დანიშნულა; და ლანძღვა კი არის. ამ გვარს ჩხუბში ერთმანეთის ლანძღვა და გინება ბევრი იქნება, მაგრამ წაძახებად არ ჩაიგდება. და რძლისა კი არ უნდა ეთქვა იმ გზითა.

ბეჟან რომ ამბობს, რომ ეს გინება და წაძახება ჯლის ცემის უწინ იყოო და ტეტია მიუგებს — არა, ჩემს დაჭრის უკან იყოო, ეს მოწმე[ე]ბისაგან სწორეთ ვერ გავარჩევეთ. ზოგნი ამბობდნენ

უწინ იყოო და ზოგნი ამბობდნენ უკან იყოო. და ამისი სამართალიც ბოლოს დაიწერება.

ტეტიას მკლავი გაუშინჯეთ და დაშავებული აქვს, თავში ჴლმით ჭრილობა გაუზომეთ და ხუთის ქერისა და ნახევრის ზომა გამოვიდა. შემოდგომის თავგატეხილობა გაუზომეთ და ხუთის ქერის მარცვლის ზომა გამოვიდა, რომ შეიქმნა ტეტიასი მკლავის დაშავების გარდა ათის ქერისა და ნახევრის ზომა თავის დაჭრილობა და გატეხილობა.

ეს ჩუბინიანი მესამე აზნაურნი არიან და ამათი მთელი სისხლი არის ორმოცდარვა თუმანი. მკლავის დაშავებისათვის გაუჩნდება მესამედი სისხლი, რომ იქნება ორმოცდარვა თუმნის მესამედი თექვსმეტი თუმანი — ივ ამდენი. ერთის ქერის მარცვლის ჭრილობასა და ზომაზე გაუჩნდება რვა მინალთუნი, რომ შეიქნება ათის ქერის მარცვლისა და ნახევრის ჭრილობისა და გატეხილობისა რვა თუმანი და ოთხი მინალთუნი — ჱ წ ამდენი.

ამაში ბ ი ძ ი ნ ა მ ლაპარაკი დაიწყო: ამ ჩემ[მ]ა ძმისწულმა დამჭრა და განაჩენი ჴელთ მიჭირავსო, ხუთი თუმანი უნდა მომცესო და არ მოუციაო.

ქაიხოსრო მიუგებდა: ეგ ხომ მომიციაო, მაგდენი აღარა დამრჩომილა რაო; მაგრამ შენ და შენმა შვილმა თავი დამამტვრიეთო, ათის ქერის მარცვლის ზომა გატეხილობა მქონდაო და ამ ბატონიშვილმა შეგვარიგაო და ეს ბატონიშვილის წიგნიცა მაქვსო.

და ის წიგნიც მოიტანა სამართალში და გვაჩვენა და ასე ეწერა: თუ კიდევ ბიძინამა და ამისმა შვილებმა ქ ა ი ხ ო ს რ ო-ზ ე დააშავა რამეო, ამისი პასუხიც უნდა გასცესო და ჩვენც ჯარიმა უნდა მოგვცესო.

ამაზე მეტი დანაშაული რაღა იქნება, შვილი დაუჩეხა ჴმლითა. ამ ათის ქერის მარცვლის ზომას გატეხილობაში ქაიხოსროს გაუჩნდა რვა თუმანი — ჱ ამდენი; რომ შეიქნა ქაიხოსროსი და ამის შვილის სისხლიც ერთად ჯამი ოცდათორმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი — ლბ წ ამდენი.

ბექან რომ ჩივის რძალი წამომძახაო და ეს შფოთი და დაჭრა ამისთვის მომიხდაო და ტეტია მიუგებს: როდესაც მე დამჭერო, მასუკან ჩემი ძმა გამოიჭრა და იმან მე რომ ასე დაჭრილი მნახაო, გაანჩხლებულმა წამოგძახაო.

ეს ტეტიამ ფიცით უნდა გაწმინდოს. თუ ასე იფიცა ტეტიამ, რომ: «სანამდინ მე არ დავიჭერ, მანამდინ ბექანისათვის არავის წაეძახოს», ბექან ველარას შეუა, ამიტომ, რომ ძმა რაღგან ისე დაჭრილი ნახა, აღარას დაზოგავდა და ბევრს რასმე იტყოდა. და ეს ოცდათორმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი მთლად უნდა ბიძინამ და იმისმა შვილმა ქაიხოსროსა და იმის შვილს მისცენ.

და თუ ტეტიამ ვერ შეჰფიცა და დაჭრის უწინ წაუძახნია რძალი, ამისთვის თექვსმეტი თუმანი მოგვიჭრია, ამიტომ, რომ ამ შფოთის მიზეზი ის სიტყვა ყოფილა; და იმ დედაკაცის მესამედი სისხლი არის. და დანარჩომი თექვსმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი კი უნდა მისცეს.

და თუ ტეტიამ დაიფიცა, როგორც ზემოთ დაგვიწერია იმ გზითა, და ოცდათორმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი სრულად უნდა მისცენ.

ეშიკაღაბაშო ქ ა ვ თ ა რ ა შ ვ ი ლ ო ი ო თ ა მ! ეს ასე უნდა გაარიგო.

[მ]კათათვის კთ, ქორონიკონს უპზ.

ქ. თუ ტეტიას ჴელი დაშავებული არ გამოუდგა, იმის ანგარიშს უკანვე გამოვალთ ასე, რომ: ტეტიას მკლავის დაჭრილობა ათი ქერის მარცვალის ზომა არის; ამისი სისხლი იქნება რვა თუმანი. ეს რვა თუმანი კი უნდა მისცეს და რვა თუმანი კი უნდა გამოვიდეთ. და თუ მკლავი სწორეთ დაშავებული გამოუდგა[1], ეს თექვსმეტი თუმანიც მთლად უნდა მისცეს.

ბეჭედი: ღმრთის მშობლის სასოიანი ი უ ლ ო ნ დავითიანი.

63. განჩინება აფხაზიშვილის ყმის სულიაშვილის საქმეზე

1799 წ. 5 აგვისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 7. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[5] ა ფ ხ ა ზ ი ს შვილისათვის თავისს ყმათ ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ს ი ა კ ო ბ ს და გ ე ლ ი ა ს მის სიმაღლესთან ეჩივლათ, ჩვენ იმისი ყმობა აღარ გვინდაო.

მისს სიმაღლეს ჩვენ — მათის შვილის დ ა ვ ი თ ი ს ა თ ვ ი ს ებრძანებინა. ჩვენ გავსინჯეთ და ასეთი მიზეზი და წყენა არა მიეცა რა აფხაზს თავის ყმისათვის, რომ ბატონყმობისაგან გაყრის ღირსი ყოფილიყო და არცარა ერთგულებისა და მსახურების

1+და.

მეტი ქვეყანაზედ და მეფეზედ არა ჰქონდა რა, რომ შეცოდებისათვის თავისი ყმა გამოერთმეოდა.

და ეს სულიაშვილები ამისი ყმანი არიან და ურჩების სახე შეუმოსნიათ. მხოლოდ ამ მიზეზით იყვნენ სამართალში მთქმელნი, რომ მაგისი ყმობა არ გვინდაო. ეს, დიაღ, სუსტი და უმიზეზო სიტყვა არის.

რადგან აფხაზს წყენა და მიზეზი არა მიუცია რა, ამისთვის ის კაცი დასჯის ღირსად აღმოჩნდებოდა, მაგრამ ამავე კაცისაგან მირთმეულს არზაზედ ოქმით უბრძანებია მათს უმაღლესობას აფხაზის შვილისათვის, რომ ამ კაცების შუა ვართ და შეირიგეო.

სამართლისა და ამისთანას ბრძანების გამო ეს კაცნი როგორც აქამდე ყმანი ყოფილან, დღეის შემდგომადაც ისევ ისეთნი ყმანი უნდა იყვნენ; და როგორც ბატონყმობის კანონია, ისე უნდა იმსახუროს, რომ [v] ამისი იყვნენ და ამასვე დავანებეთ, ამასთან სადაო არავის [ა]რა აქვს.

ბატონო ხისიყის მოურაო ზაქარიაგ! ეს ასე აღასრულე.

აგვისტოს **ე**, ქორონიკონს **უპზ**.



თავში:

ჩვენ, ყოელისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს **ი**, ქორონიკონს **უპზ**.

64. განჩინება აღათანგ ხერხეულიძისა და თაქთაქიშვილეზის მამულის საქმეზე

1799 წ. 26 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1958. დედანი. ქაღალდი. 37,8×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის იოანეს ბრძანებით ერისთავისშვილმა ელიზბარმა ქვემო ხვითისა და ყელქცეულის სამზღვარზედ ხერხეულისძის აღათანგისა და თაქთაქიშვილის იესესი და ლუარსაბის სარჩელი მოვისმინეთ.

და რომელსაც იასე ხვითის სამზღვარს ამბობდა და რომელსაც აღათანგი ყელქცეულის სამზღვარს ამბობდა, გავსინჯეთ; და ორისავ მხრიგ წერილები წარვიკითხე და მოწმე და მენახსოვრეთაგანაც გამოვეძიეთ. მაგრამ არც სამზღვრით და არც სამნით, არც მოწმით და მენახსოვრით და არც წერილებით ყელქცეულისა და ხვითის ჰეშმარიტი სამზღვარი არა ჩნდა.

და ამგვარი ბნელი საქმე სამართლის ძალით ფიცით უნდა განათლდეს. და რადგან ზაალის ბაგას გადასწვრივ დვანის საზღვრამდის ზეით ხვითისაკენ ამ თორმეტს წელიწადში თაქთაქიანთ სჭერიათ და ღალა უღიათ, ამისთვის სამართლით ფიცი თაქთაქიანთ დაედვათ.

მაგრამ აღათანგიმ თვით თაქთაქიანი ფიცზედ უკუითხოვა და ოთხი გლეხი მოფიცრად შეუგდო — მეტრეველი პაპუნა, ლაცაბიძე სესია, ბითაძე სესია და ჯაყელი. მეტრეველსა და ლაცაბიძისაგან მოფიცრად ერთი უდნა იშოვოს და ბითაძისა და ჯაყელისაგან ერთ-ერთი მოფიცრად უნდა იშოოს.

და ამ ორ კაცს აღათანგიმ მოუსვენოს ხატი ყოველად წმიდისა თავდებისა ღმრთისმშობლისა, და ზემოხსენებულმა მოფიცარმა ორმა კაცმა აღიღონ ხატი ყოველად წმიდისა, სადაც ჰეშმარიტი ხვითისა და ყელქცეულის სამზღვარი იცოდნენ, დვანის სამზღვრიდამ ზაალის ბაგას ზემოთ გაიარონ რუმდის და მერმე შეჰყუნენ რუს გაღმა სალთვის ხვითისაკენ და ასე იფიცონ: «ამისმა მაღლმა და ამისმა განმაცხოველებელმა ქრისტე ღმერთმა, რომ რომელსაც ალაგზედ სამზღვარად ჩვენ გავიარეთ, ხვითისა და ყელქცეულის სამზღვარიც ეს იყოს, და არცარა ამას ზეით შენ საქმე გქონდეს».

ხუთს სექტემბრამდის პაემანი დავსდევით. თუ ამ პაემნამდის აღათანგიმ თაქთაქიანი თვინიერ დიდის მიზეზისა, ზაალის ბაგამდის ხვითის მამულათ თაქთაქიანთ დარჩებათ.

და თუ პაემანზედ აღათანგიმ ხატი ყოველად წმიდისა მოუსვენა და თაქთაქიანთ შეგდებული მოფიცარნი ვერ შეაფიცეს, თელის ხოდაბუნის თავის გადასწვრივ ყელქცეულის მამულად აღათანგის დარჩება.

და როდესაც ფიცით თუ უფიცრობით სამზღვარი გაირჩევა, მერმე რასაც ნასყიდობის წიგნს თაქთაქიანი მოიტანენ, ხვითის სამზღვარს ყელქცეულის მამულიდამ აღათანგიმ თაქთაქიანთ უნდა მისცეს. აგვისტოს **კვ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: ელიზბარ

65. განჩინება საამ უანუე შვილისა და მირიმაანთ სტეფანას ვალის საქმეზე

1799 წ. 1 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 123. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[122 v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფე დედოფალი დარეჯანისათვის შანშე შვილს სა[ა]მს მოუხსენებინა, რომ მირიმანანთ სტეფანა[ს] ჩემის დისა [123] ათი თუმანი მართებს თამასუქითაო.

და მათს უმაღლესობასაც ამათი საქმის გასინჯვა ჩვენ — მათ მონათათვის ებძანებინა და ჩვენც ვალაპარაკეთ სამართალში.

სა[ა]მა ერთი თამასუქი ამოიღო ათის თუმნისა მირიმანანთ სტეფანასაგან მიცემული, და ასე ამბობდა: ზოგი რამ სარგებელი მოგვცემიაო და ეს თეთრი თავის სარგებლით უნდა მამცესო.

ამის პასუხათ სტეფანამ ერთი ნუსხა ამოიღო ფარჩისა რომ ჩემს წასვლის უკან $\overline{ვ}$ თუმნის საქონელი ავეტიქანთ სტეფანას დედას ანას, რომელიც არის შენი დის დედამთილი, ჩვენადამ წაუღია, რომ გავყიდი, ჩვენის ათის თუმნის თანხას ავიღებო, და დანარჩომს მოგიტან, მოგცემო. როცა წაუღია, დაუხუთავს, რომ ათი თუმანი მამიტანე და შენი ფარჩა წაიღეიო. ახლა იმ ფარჩის თეთრისა შენი დის ათი თუმანი აიღევი და და დანარჩომი მამეციო.

სა[ა]მ უპასუხებდა: მართალია, ფარჩა მოუტანიათ, მაგრამ მაგტელი არ ყოფილაო. და თუ რამ მოუ[v]ტანიათ, ისეე უკანვე წაუღიათო.

ჩვენ ამათ მრავალ რიგათ ვალაპარაკეთ.

ამის შემდგომად სა[ა]მა ერთი ანდერძის წიგნი ამოიღო ანასი, რომ თავის სიძე ტერ-დავითას დაწერილი იყო, რომ იმ ანდერძში თავ[ი]სი საქმე დაეწერებინა; და ამ სტეფანასიც ასე დაეწერა, რომ: ათი თუმანი თავენი არის მოსაცემიო და სარგებლისაც სამი თუმანიო; და ამ $\overline{ოგ}$ თუმანში მიეჩირამს გირაოთა; თითი ყალამქარი ა, ყალამქრის საბნის პირი ა, ზარის ჩიქილა თათრის აშია ა, ნაჭერი ზარის ფარჩა ა, ქარუბარის კრიელოსანი და გ მაკრატელიო; ამისგან ბ მაკრატელი და ა კრიელოსანი გამიყიდნია, სარგებელში ამიღიაო, სხვა ჩემთან არისო.

რადგანც ანდერძის მთქმელიცა და დამწერიცა მამკვდარიყვნენ, აღარ გავამტყუვნეთ და შევიწყნარეთ იმ ანდერძში დაწერილი საქონელი. თუმცა სტეფანე[1] ბევრს აფასებდა, მაგრამ ჩვენ ცხრა თუმნათ ჩაუგდევით; ეს $\overline{თ}$ თუმანი თავში რომ გამოვედით, დარჩა თავისაც $\overline{ა}$ (ერთი თუმანი) [124] და სარგებელიც იყო ანდერძის ძალით $\overline{გ}$ (სამი თუმანი) თავიდამ დარჩომილი ერთი თუმნის სარგებელი ერთიორად ჩავაგდეთ, იქმნა $\overline{გ}$; ეს ორი თუმანი და სარგებლის $\overline{გ}$ (სამი თუმანი) შეიქნა $\overline{ე}$; ეს ხუთი თუმანი სტეფანემ უნდა სა[ა]მს მისცეს და თავისი თამასუქი დაიხსნას.

მართალია, სტეფანე! მრავალჯერ ამბობდა, რომ ჩემი საქონელი მაგათთან არის, მაგრამ სა[ა]მ არ უაბულობდა. მერმე სა[ა]მს წერილი გამოვართვით, რაც ნუსხით რო[მ] სტეფანა საქონელს ედავება, იმისი რაც ანდერძის წიგნში სწერია, ის ხო[მ] ჩანს. იმის გარდა თუ ორი და სამი კალამი რამე[ს] იპოვნის და საბუთს უზამს მოწმე[ე]ბით, ის უნდა სამართლიანის გზით სა[ა]მმა პასუხი უნდა გასცეს სტეფანეს.

როგორც თავის მოცემულ წერილშიაც გამოცხადებული არის, ეს ხუთი თუმანი ერთს თვემდისინ ისე სტეფანასთან უნდა იყოს. თუ ამ ვადამდინ იმ თავის ნუსხის საქონლისა საბუთს და მოწმეს წამოაყენებს, ხომ ზემო წერილისამებრ პასუხი უნდა გასცეს სა[ა]მმა. და თუ საბუთს და მოწმეს ვერ იშოვის თავის თავზედ, $\overline{ე}$ (ხუთი თუმანი) უნდა მისცეს სტეფანამ სა[ა]მსა.

ჩვენი გონება ასე მიხვდა, [v] ბრძანება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს. სეკდემბერს ა, ქორონიკონს უპზ.

თავში:

ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე ეიორგი, ვამტკიცებთ ამ სამართალს. სეკდემბრის ე, ქორონიკონს უპზ.

66. განჩინება დავით გარეჯის მამულის საქმეზე

1799 წ. 16 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1449. № 2021. პირი. ქაღალდი. მხედრული. ამავე საქმეს ეხება № 2025 საბუთიც.

ქ. წმინდის დავით გარესჯის მონასტრის მამულს ჩობახურზედ რომ არხიმანდრიტი თეოდოსი და მდივანი დავით-მდივანი იოანე ლაპარაკობდნენ, ამათი ლაპარაკი

[1] სტეფანემ.

მრავალჯერ თითვეულად მოვისმინეთ; და ან რაც ამას წინათ წმინდის დავით გარესკის არხიმანდრიტს ამ ჩობახურის საქმეზედ სამართლის წერილები და ან განაჩენი კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგან მისცემოდა და ან მოსამართლეთაგან, ესე[ე]ბიც ყველა თითვეულად გავშინჯეთ, მაგრამ მდივანი დავით და მდივანი იოანე მაინც იმას არა სჯერდებოდნენ და დაობდნენ.

და ჩვენ ეს სამართალი მივეცით, რომ მდივანმა დავით და იოანემ თუ ასეთი სარწმუნო და შესაწყნარებელი ან წერილი და ან უეშმარიტი შესაწყნარებელი მოწამენი წარმოაყენეს, და გვარწმუნეს, რომ ჩობახური აღმოსავლეთისა, დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის — ამ ოთხსავ მხარეს სარწმუნოს წერილით და მოწმით გა[ა]რჩივეს, რომ ჩობახური მონასტრის მამული აქამდის და ეს არისო, ხომ ის იქნება.

და თუ ვერც ამისთანა სარწმუნო წერილი და ვერც მოწამენი ვერ წარმოაყენეს და ვერც გა[ა]რჩიეს, მაშინ მდივანმა დავით, მდივანმა იოანემ და, რადგან ამათი სახლისკაცი და ამათთან მამულის მოწილეკერძე არის, მდივანმა სიმონ — ამ სამთავე უნდა სამი პირველი სარწმუნო და მოძღვრიანი გლეხი კაცნი თან უნდა მი[ი]ყოლონ; ხატი ჩაისვენონ, მდივანმა დავით, იოანემ, სვიმონ და ასე უნდა იფიცონ და თქვან: «[ამისმა] მადლმა, რომ ჩობახური მონასტრის მამული აქამდისინ არის და აქამდის არაო». გარს უნდა შემოუარონ და ფიცით ასე გა[ა]რჩიონ.

და თუ რომ იფიცეს ასე, და ფიცით გა[ა]რჩ[ი]ეს, მაშინ[1] წინამძღვარი თ[ე]ოდოსიც უნდა დასჯერდეს. და თუ ვერ იფიცეს ასე, და მასუკან ჩვენ ისევ პირველსავე სამართალზედ დავაყენებთ. ეშმარიტი არის.

და ხალვათხანის ეშიკაღაბაშო ენდრონიკაშვილო იოსებ, ღვინობისთვის გასულამდის შენ ასე უნდა აღასრულო. ამ ვადამდის, რომ ამას იქით ამისი აღსრულების დაგვიანება აღარ იქნება. სეკდემბრის **ივ,** ქორონიკონს **უპზ.**

და მდივანმა სვიმონ თუ ფიცი შორს დაიშიროს და თქვას, რომ არ დავიფიცამო[2], ამაზედ კი უნდა დაიფიცოს და გვარწმუნოს მდივანმა სვიმონ, რომ ჩობახურის მონასტრის მამულისა არ იცოდეს რა. მეფე გიორგი

[1] +უნდა. [2] დაიფიცამო.

67. განჩინება სალუქაშვილებისა და ყანჩელების მამულის საქმეზე

1799 წ. 22 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11018. დედანი. ქაღალდი. 33,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ბედნიერის ხელმწიფის ძეს იოანესთან იჩივლეს სალუქ[ა]შვილებმა — ყანჩელებმა ნავენახობი წაგვართვესო, ღრომს ოსები და[ა]სახლეს და იმათ აღარ დაგვანებსო.

და მის უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეფის ძეს იოანეს ოქმი ებოძა მე — გოსტაშაბისშვილს ქაიხოსრო ოთვის, რომ ეს სალუქანი და ყანჩელები ერთათ შეყარე და ალაპარაკეო და ერთმანეთს გული აჯერონო და ასე გა[ა]რიგეო.

ჩვენ როგორც ოქმი გვიცხადებდა, მოვაყვანინეთ ყანჩელი ბიძინა და ზა[ა]ლ და სალუქაშვილები, შიგ იმ სადაოს მიწაში ვალაპარაკეთ.

სალუქა[ა]ნთ უთხრეს: ეს მამული თქვენგან ნასყიდი გვქონდაო და წიგნი კი დაგვეწვაო.

ყანჩელებმა მიუგეს: ამ ნახევარს ზევით ჩვენც ვიცით რომ შენიაო და ნახევარს ქვეით ჩვენიაო; და ამ ქვემოთს მხარეზედ ყანჩელების წისქვილიც დაებრუნებინათ და ერთი საბძელი კალოც გაეკეთებინათ.

სალუქაშვილები ანბობდნენ: ჩვენც გვახსომსო და ღალაც წაგვიღიაო.

ყანჩელებმა უპასუხეს: მაშ რადგანც აგრე არის, შემოგვფიცეთ, სადამდინაც თქვენი არის და დაგანებებო.

სალუქაშვილებმა მიუგეს: ჩვენი მამული არის ნასყიდიო და ჩვენს მამა-პაპათ სჯერიათ და უჭამიათო და ჩვენ რათ დავიფიცამთო, თქვენ შემოგვფიცეთო და დაგანებებთო.

ყანჩელებმა ფიცის შორს დაიშიროს[1].

მერმე ჩვენ უთხარით: ღ[მრ]თის სამართალზედ ორთავე წილი იყარეთ და რომელსაც გერგოსთ[2], იმან შეფიცეთ მეთქი. ესენიც ორნივ ყაბულს გახდნენ. ყარეს წილი და ფიცი სალუქა[ა]ნთ ერგო.

[1] + ყანჩელებმა ფიცი შორს. [2] გეროგოსთ.

სალუქაშვილმა პა[ა]ტამ, შიომ, გლახამ და შიომ — ამ ოთხთავ ამ სადაოს მიწაზედ ზედ ჩ[ა]იარეს და შეფიცეს, რომ ეს მამული ჩვენია, თქვენგან მოსყიდულიო და თქვენ ამაში საქმე არა გაქვსთ რაო.

ყანჩელებმაც ვეღარ უთხრეს რა, რადგან და[ი]ფიცეს; და დარჩა ეს მიწა და საწისქვილო სალუქა[ა]ნთა.

არის ამისი მოწამე და დამსწრე: ბუქიაშვილი გიორგი, + შაღლანდორელი ხინჩლაშვილი თოფი + იმისი მამა შიო +, მახარიკა იმერელი +, ქუჯაშვილი რამინა + და ბ[ა]შისშვილები.

და მე, გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, რომ ეს ასე იყო ჴეშმარიტათ. და ნება სამართლისა აღსრულდეს. სეკდენბრის **კბ**, ქორონიკონს **უპჯ**.

ხელრთვა: ქაიხოსრო.

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ვამტიცებთ. ივნისის **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის გიორგის მეათცამეტის მემკვიდრე ძე და რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი დავით ვამტიცებ. დავით

68. განჩინება გიორგი XII-ისა ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე.

1799 წ. 27 ნოემბერი.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8962. პირი. ამ საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ცენტრარქივში. ფ. 1450. დავთ. № 37. საბ. № 199.

ხიმშიანთ მამუკას შვილები დათუა, ქაიხოსრო, გრიგოლ, იოსებ და გოგიჲ უჩიოდნენ ხიმშიაშვილს სულხანის შვილს გოგიასა. ასე, რომ: ეს გოგია ჩვენი სახლისკაცი არისო, ამის ყმაში და მამულში წილი გვიძევსო და ჩვენის წილის სამართალს ვითხოვთო.

ხიმშიაშვილი გოგია მიუგებდა: თქვენ არც ჩვენი სახლისკაცნი ხართ და არც ხიმშიაშვილები ხართ და არცარა ჩემთან წილი გაქვსთ რამეო, ხიმშიანთ ბუშის შვილები ხართო, თქვენ ზემო ქართლში ფალავანდიშვილის ყმანი ხართ ბარათში წილად ნარგებნი და იმავ ფალავანდისშვილს თავისავეს ფრინავის სოფელში სახლებიხართ, თქვენ ჩემთან არაფერი საქმე არა გაქვსთ რაო.

ამ ჩემგან მოხსენებულის დამამტკიცებელი მეფეთაგან ბოძებული წიგნები და აგრეთვე ქართველთ თავადთა და დარბაისელთაგან წერილით მოწმობა ხელთა მაქვს, რომ ამ წერილს კურთხეული მეფე მეორე ირაკლი ამ მოწმობას ამტკიცებს და განაჩენს ზედავ ამ მოწმობაზედ აწერს, რომ თქვენ ჩემთან საქმე არა გაქვსთ რა და ამავ კურთხეულს ბატონთან სამართალშიაც გელაპარაკე და გამტყუნდით.

აგრეჱე ყოვლად სამღვდელოს მროვლისაგან მოწერილი მოწმობა ხელთა მაქვს, რომელშიაც რომ ასე სწერია გუჯარშიაო: ფრინავს მსახლობელს ხიმშიაშვილს საწირავი აქესო. ეს წერილები ხელთა ჰქონდა ხიმშიაშვილს გოგიასა.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეფემან მეათცამეტემან გიორგიმ, თანდასწრებით საქართველოს მდივანბეგებითა ესენი ჩვენთან ვალაპარაკეთ და ეს წერილებიც გავშინჯეთ, რომ ეს წერილები და მოწმობაები სწორე და სარწმუნო წერილები არის. ამ წერილებს ფიცი აღარ ეპირებოდა.

მაგრამ იჭვის განსაწმენდათ ამ ხიმშიაშვილს გოგიას ფიცი დავადევით ამ რიგათ: გოგიამ ან თავისი შვილი და ან თავისი ძმისწული და ორიც თავისი პირველი გლეხიკაცი თან მი[ი]ყოლიოს, წადგეს და ასე იფიცოს: «ამისმა მადლმა და ამისმა განმაცხოველებელმან ღმერთმან, ეს მამუკასშვილები ჩემის სახლისკაცობას რომ ამბობენ, ესენი არც ჩემი სახლისკაცები იყვნენ და არცარა ჩემს ყმაში და მამულში წილი რამ უძესთ და ხიმშიანთ ბუში[ს] შვილებიც არიან».

თუ ასე იფიცა გოგიამ, ამ მამუკა[ს] შვილებს — დათუას, ქაიხოსროს, გრიგოლს, იოსებს და გოგიას ამ ხიმშიაშვილს გოგიასთან საქმე აღარა ექნებათ რა და ვეღარცარას ედავებიან დღეის იქით. და რაც წიგნები აქვსთ მამუკას შვილებს განაჩენები თუ სხვა რამ წერილები, ძველი თუ ახალი, ყველა უნდა ჩამოერთვასთ.

და თუ ასე ვერ იფიცამს გოგია, რასაც მამულს ედავებიან გოგიას, ის მამული მამუკას შვილებს უნდა დაენებოს.

იასაული მაყაშვილო ალექსანდრე! ეს ასე უნდა

გა[ა]რიგო, როგორც გვიბძანებია. ნოემბერს **კზ,** ქორონიკონს **უპზ.**



ქ. მაყაშვილი ალექსანდრე ამათი იასაული ვიყავ; ოთხჯერ და ხუთჯერ მოვიდა გოგია ხიმშიაშვილი თავის ძმისწულით და ორის გლეხის კაცით საფიცრათ. სანთელიც თან მოიტანეს და ეს მოდავები არ მიყვნენ და არ დაიფიცეს. ბოლოს რომ ძალა დავატანე — მიყევით და დაიფიცეთ მეთქი, მულათი მთხოვეს, ორშაფათს დავაფიცებთო. ორშაფათს კიდევ გოგია მოვიდა ჩემთან საფიცრათ და ესენი ვაძებნინე, გაპარულიყვნენ და ხელი მოუწერე გოგიას ეს ასე. ოკდომბერს **იგ,** ქორონიკონს **უპზ.** ალექსანდრე.

ქ. ჩვენ, მეფე მეათცამეტე გიორგი, ამ განჩინებას მეორედ ასე ვამტკიცებთ. ასე, რომ ეს მაყაშვილი ალექსანდრე იასაული იყო ამათი და დასაფიცებლათ მოემზადებინა გოგია ხიმშიაშვილი და მამუკა[ს] შვილებს, რომელიც დღე პირობათ მიეცათ, იმ დღეს აღარ მისრულიყვნენ და კიდეც დამალულიყვნენ და წასულიყვნენ. ამ მამუკა[ს] შვილებს ამ ხიმშიაშვილს გოგიასთან საქმე და სადაო აღარა აქვსთ რა ამ საქმეში. დეკემბერს **იდ,** ქორონიკონს **უპზ.**



69. განჩინება გოგია და გლახა დავითაშვილების ყმის საქმეზე

1799 წ. 15 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. 46. საბ. № 11. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[7] მათს უმაღლესობას სრულიად ქართლისა და კახეთის ჯელშეფეს ებრძანებინა მათის შვილის იოანესათვის დავანბეგების თანდასწრებით დავითისშვილების გოგიასა და გლახასი სამართალი.

გოგია უპასუხებდა: მე ამისი სახლისკაცი ვარ სამი კომლი სამკვიდრო და ორი კომლი ნასყიდი ყმა საერთოდა გვყავს და გლახა წილს არ მიდებსო.

მერე გლახა მ[ი]უგებს: მე და შენი სახლი დიდი ხანია გაყრილი არის, ის სამი კომლი ჩემი საკუთარია და ორი კომლიც ჩემის ბატონის ამილახვარის იესეს კარზე ნაშოვრის თეორით მამაჩემს უყიდნია, შენ წილს არ მოქცემო.

ჩვენ, მეფის ძე იოანე, დივანბეგების თანდასწრებით, ამათ მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ, ორთავ მოწმე[ე]ბის წიგნები წარმოადგინეს. და ჩვენ არ ვერწმუნენით და ესე განვაჩინეთ: გლახა ორის სარწმუნოს კაცით წადგეს, ეკლესიაში დაიფიცოს, რომ: «იასე ამილახვართან მისულამდე გაყრილი ყოფილხარო[1] და ეს სამი კომლი — დოშიძე [v] და თიველასშვილი და ვარმელასშვილი ჩემი საკუთარი არის, შენ წილი არა გაქვსო»; თუ ასე ვერ იფიცავ[ს], ნახევარში წილი უნდა დაუდვას; «და [ა]გრეთვე მგელაშვილი და კოკლაშვილი საერთოთ მოცემული ასი თეთრით ან მამულის შემოსაელიდამ არ გეყოფიდნოს»; თუ ესეც ასე იფიცა მოწმე[ე]ბით, ხუთივე გლახას დარჩება საკუთრად. და თუ ვერ იფიცა, ესეც შუა უნდა გაუყოს.

მე[ე]ქვსეს კომლს ზალაძეს რომ დავობდნენ, ამაზედ ამილახვარს ხელი აუმართავს, ვისაც მისცემს ნება იმისი არის.

იასაული ნინავ! ეს ასე აღასრულე. ის ორი მოფიცარი კაცები სა[ა]მილახვარო კაცი უნდა იყოს, ერთი გოგიამ შეუგდოს, ერთიც გლახამ იშოოს, უმტერ-უმოყრო კაცი უნდა იყოს. დეკემბრის **იე,** ქორონიკონს **უპზ.**

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს — ქართლის და კახეთის და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. დეკემბრის **ით,** ქორონიკონს **უპზ.**

70. განჩინება ლუარსაბ ყაფლანიშვილის კაცის ხარების მოპარვის საქმეზე

1799 წ. 22 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6390. დედანი. ქაღალდი. 43,5×23,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მისს სამაღლეს ჩვენს მოწყალე ჯელმწიფე მამას ოქმით ებრძანა: ყაფლანიშვილის მინბაშის ლუარსაბის კაცი ყამარლოელს ისას ხარების მოპარვას ედავება და ამათ ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთო.

[1] ღოფილხარო.

ჩვენ, მეფეს ძმამან თ ე ი მ ურ ა ზ, მდივანბეგების თანდასწრებით ორნივე მოდავეები ვალაპარაკეთ და ამათი სარჩელი მოვისმინეთ.

ყაფლანისშვილის კაცი უჩივოდა; გუთანი მიგვჭონდა ბ ო ლ ნ ი ს სახნავად, ყ ა მ ა რ ლ ო ს რომ მივახლოვდით, მოვიდა ეს ისა და ამისი მამა, გვითხრა: ამაღამ აქ დადეგით, მინდორში ხარები არ დაჰკარგოთო; ამხანაგებს მოგვაცილა, თავის სახლში დაგვაყენა და ხარებიც იქ დავაბინა. მამლის ყივილის დროს ვნახეთ, საბლები დაჭრილი იყო და ხარები წაესხათ. ჩვენ იმავ ღამეს კვალის მოძებნას ვაპირებდით. ამათ, მამა-შვილთ გვითხრეს: ახლა რას გაიგებთ, გათენდება, ჩვენ ვიპოვით და მოგცემთ, ხარზე თვითო ალო გვიხანთო. მეორეს დღეს მიიარ-მოიარეს და გვითხრეს — ვერ ვიპოვეთო.

ი ს ა მ ი უ გ ე ბ დ ა: მართალი არის, ჩვენთან დაგაყენეთ, ხარებიც იქ დაგეკარგათ, მაგრამ ჩვენ კი არ მოგვიპარავს თქვენი ხარებიო; მეორე დღეს თქვენის გულისათვის დავშვერით, ვეძებეთ და ვერ ვიპოვეთო, ამაში ჩვენ რა ბრალი გვაქვსო.

თუ ამისთანა საბუთი გვეპოვა რამე, რომ სწორედ ისასაგან ყოფილიყო მოპარული, ქურდულად გარდახდებოდა. [დ]ა რადგან ეს არ არის, ისასაგან გზიდამ დაბარუნებისა, თავისთან დაყენებისა და საძებნელად გაუშვებლობისათვის — ამ სარწმუნოს საბუთებით ჩვენ ასე ვსაჯეთ, რომ ის მოპარული სამი ხარი ისამ უნდა უზღოს; და თუ შემდგომად ქურდი იპოვეს, იმას შეიდეულად გარდახდეს და ამათ შუა გაიყონ.

ი ა ს ა ულ ო გ ო გ ი ა მდივნის შვილო! ეს ასე აღასრულე. დეკენბრის **კბ**, ქორონიკონს **უპჯ**.

ოთხი ბეჭედი: 1. თ ე ი მ ურ ა ზ
2. ზ ა ა ლ
3. ჯავახის ძე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი.
4. მონა ღთისა თუმანშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ.

თაშში:

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. დეკენბრის **კჱ**, ქორონიკონს **უპჯ**.

მეფე გიორგი

71. გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ესავ ბეგთაბეგისა და სულხან თაქთაქისშვილის მამულის საქმეზე

1800 წ. 18 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. №18. საბ. №33. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[38] ბ ე გ თ ა ბ ე გ ი ს შვილს მდივანს ე ს ა ვ ს და მისს ძმებს ი ა ს ე თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ან ქ ვ ე მ ო ხ ვ ი თ ს ე ს ი ა შ ვ ი ლ ი ს მამული ეყიდნა სარწმუნოს ნასყიდობის წიგნითა, რომელშიაც ხსენებულის ესიაშვილის ნაქონი მამულები უველა სახელდობ და გარჩევით სწერია და იმ ნასყიდობის წიგნზე თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ი ს უ ლ ხ ა ნ კ ელს აწერს, რომ ამ ნასყიდობის სიგლის ყაბული მაქვსო, [v] მაგრამ სულხან თაქთაქისშვილს იასე თაქთაქისშვილისათვის წიგნი კი გამოურთმევია, რომ შენგან გასყიდულს მამულებში ჩემი საწილო რამ დაჰყოლოდეს, იმისი მაგიერი უნდა მომცეო. შემდგომად სულხანს იასესთან დავა შეჰქნოდა, რომ ესავ მდივანს რომ მამული მიჰყიდე, იმაში ჩემი მამულები გაჰყოლიაო.

სულხანს მათის უმაღლესობის ძის ი ო ა ნ ე ს ოქმით თავის სადაო მამულებზე კელი აუმართვინებია, მერე ესავ მდივანს მოუსვენებია და ის თავისი ნასყიდი მამული, რომელიც კელმართული ყოფილა, მათის უმაღლესობის მეფის ოქმით თითონვე დანებებია.

ახლა კიდევ უჩიოდნენ ერთმანერთს და მათს უმაღლესობას სრულიად საქართველოს მ ე ფ ე ს გ ი ო რ გ ი ს ამათი სამართალი ჩვენ — მსაჯულთშეკრებილებისათვის ებძანა. ჩვენ მოვაყვანინეთ ორივე მხარე, თაქთაქისშვილები და მდივანი ესავ ერთად სამართალში ვალაპარაკეთ.

ე ს ა ვ მ დ ი ვ ა ნ ი ამას ა მ ბ ო ბ დ ა: მე ალალი მონასყიდე ვარო, ამ ხსენებულის ესიაშვილის მამულისა და სულხან თაქთაქისშვილისაგანაც კელმოწერილი მაქვსო, ჩემი ნასყიდი მამული ვე დამანებეთ. და თუ მაგათ ერთმანერთთან სადაო აქვს, მაგათ იდაონო.

ჩვენ რომ [39] ამ ესავ მდივნის სიტყვა გავსინჯეთ და ნასყიდობის წიგნი წავიკითხეთ, სულხან თაქთაქისშვილს ესავ მდივანთან საქმე არა აქვს რა. იესესაგან უყიდნია და თითონ სულხან ხელს უწერს, რომელიც ნასყიდობის წიგნში სახელდობ ესიაშვილის მამულები უწერია, ის სრულად სამართალმა ესავ მდივანს და[ა]ნება.

თუ სულხანს სამართლიანი სიტყვა აქვს და საბუთს უზამს, რომ იესესგან გასყიდულს მამულში სულხანის საწილო მამული დაჰყოლია, იესემ იმისი მაგიერი სხვა მამული უნდა მისცეს და სულხანის გული შეიჯეროს.

და ესავ მდივნის კაცს ე ლ ა შ ვ ი ლ ს რომ ჴელის ასამართავად ხარი წართმევია, უსამართლოა, ის ხარიც უნდა მიეცეს. იასაულო! ეს ასე აღასრულე. იანვარს იჱ, ქორონიკონს უპჱ.

ქ. რაც წელს სულხან თაქთაქის შვილს ესავ მდივნის ნასყიდის მამულიდამ ღალა აუღია თუ კულუხი, ისიც უკლებრად ესავ მდივანს უნდა დაუბრუნოს და მას იქითაც დაეხსნას. ამასთან საქმე არა [ა]ქვს რა. თორემ თუ არ მოეშვა და კიდევ უბრალოთ მიზეზი მისცა, სამართალი მოჰკითხავს და გარდა[ა]ხდევინებს.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეათცამეტე მ ე ფ ე [V] გ ი ო რ გ ი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. მაისის ით, ქორონიკონს უპჱ.

72. განჩინება ივანე და რევაზ მირიანაშვილების მამულის საქმეზე

1800 წ. 24 იანვარი

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი. № 1461. რვეული № 13. საბ. № 165. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ს პ ე ტ რ ე ს შვილს ი ვ ა ნ ე ს ეჩივლა თავის ბიძის და ბიძაშვილებისათვის მათს უმაღლესობასთან: მამა ჩემმა დ ა უ თ ა ლ ა ბ ი ს წყალობის მამული რომ შემოიტანა ბიძა ჩემებთან, როგორც ქისიყის განწესება არის მამულის მოცემისა, ისე არ მაძლევენო.

პეტრე რომ თავის ძმებს გაჰყროდა, მამულში სწორეთ აეღო და ერთის დღის მიწად სხვაზედ ჴელი აეღო და ძმებისათვის დაეთმო. პეტრე რომ ამიერ სოფლით გარდაცვალებულიყო, თავის ბიძაშვილებს ის ერთის დღის მიწა აღარ დაენებებინათ და შფოთი შეჰქნოდათ.

პეტრეს შვილს მათს უმაღლესობასთან ეჩივლა. მათს უმაღლესობას ზ ა ქ ა რ ი ა მოურავზედ ოქმი ებოძა: როგორც ქისიყის განწესება იყოს, იმაზე დააყენეო. მოურავს ანაგის ქევხისა და მეულუფისათვის ებრძანა და იმათ მოეშველებინათ და პეტრეს შვილს ბიძაშვილები არ დასჯერებოდენ.

პეტრეს შვილს კიდევ მათის უმაღლესობისათვის არზა მიერთმევინა და ეჩივლა. მათს უმაღლესობას ამათი სამართალი ჩვენ — მათ მონათა ყოვლად სამღვდელოს ბ ო დ ბ ლ ი ს ი ო ა ნ ე ს ა თვ ი ს, ნაცვლის თ ა რ ი მ ა ნ ი ს ა, ასისთავისა და ანაგის ქევხისათვის ებრძანა. ჩვენ ბრძანებისაებრ მათისა ორნივ მოდავენი მოვასხმევინეთ და ვალაპარაკეთ.

ესენი ასე მოვარიგეთ: რომელიც ვენახი აქვსთ, იმ ვენახში დაუთალაბის საჰირნახულოდ და თავის წილად იმ ვენახიდამ ნახევარი პეტრეს შვილს ივანეს დავანებეთ და ნახევარი ორთავ ძმებს რევაზს და იმის ძმისწულებს.

რომელიც ბახჩა იყო და სამართლით პეტრეს შვილს ივანეს მისცემოდა, ის ბახჩა ისევ პეტრეს შვილს ივანეს მივეცით, რომ იმის ბიძაშვილებს იმასთან ჴელი არა აქვსთ სადაოთ და სალაპარაკოთ.

ერთის დღის მიწა რომ მისცემოდა პეტრეს უწილოდ, იმის ნახევარზედ ხელი ავაღებინეთ პეტრეს შვილს: ნახევარი პეტრეს შვილს ივანეს მივეცით, ნახევარი ერთს ძმასა; მესამემ ძმამ ნახევრის ტოლი მიწა სადაც უნდოდეს, იქ აიღოს.

სხვა ყოველი ფერი სასახლე, საჴნავი, ქვევრი და მარანი როგორც უწინ გაყოფილი ჰქონდათ, ისევ იმ გაყოფაზედ დავაყენეთ ერთმანეთის ნება-წადილით. ასე მოვაშველეთ და მოვარიგეთ. დღეის იქით ამათ ამ მამულების სადაოთ და სალაპარაკოთ საქმე აღარა აქვთ რა. ასე მოშველდნენ. ჩვენ ჩვენის მიხედვით ეს სამართალი უსაჯეთ. და ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

აღიწერა იანვრის კდ, ქორონიკონს უპჱ.

იოანე

ქისიყის ნაცვალი თარიმანი

73. განჩინება მესტვირიშვილისა და მიღდისის ვალის საქმეზე

1800 წ. 30 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 5. საბ. № 15. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[15] მათს უმაღლესობასთან ბედნიერს ქელმწიფესთან არ-ზით ეჩივლა ბაღინაანთ მიღდისი აქიმ მერაბას დას, რომ მესტვირისშვილს ჩემი ოცდაორი თუმანი მართებს, თამასუქი მაქვს და ამ თამასუქში გირაოდ თავის ნასყიდი ვენახი დამიწერაო და თითონ ამათი ბატონი რევაზ ქელს მიწერს ყაბულობისაო; ან ჩემი თეთრი მომცენ, რომ მეჭირვება და ან ჩემი გირაო დამანებოსო.

ამათის საქმის გარიგება ჩვენს ქელმწიფეს მამას ჩვენ მათის შვილის ბაგრატისათვის ებრძანა ოქმით, რომ: როგორც ამათი სამართალი ამას წინათ გარდაგიწყვეტია, იმ სამართალზე დააყენე და თეთრი გამოურთვი და მოე[ცო].

ჩვენმან ამის სამართალი ადრითგანვე გასჯილი იყო. და ჩვენ მესტვირისშვილს წინა ჟამებში მამულზედ ქელის ამართვას უპირობდით. [v] ამათი ბატონი რევაზ და გლახა მოვიდნენ და შემოგვეხვეწნენ, ვადა დაგვიდევს, ამ დრომდინ დაგვაცალეთ და ამ მამულს ჩვენ დავიხსნითო.

ვადა რომ გარდასცილდა და აღარ დაიხსნეს ნინია ჯაბადარს ოქმით გამოუცხადეთ, რომ უნდა წასულიყო და ექვსი უფროს-უფროსნი სოფლის კაცნი სულიანნი და შვილიანნი მოეყვანა და ეს ვენახი დაეფასებინათ, საწნახელ გარდა როგორც დააფასებდენ, თუ რასაც ვალს ედაებოდა ეს მიღდისი გიორგი, იმ ფასად იქნებოდა დაფასებული, ხომ ის გირაო ამისი იყო. და თუ მეტად დაფასდებოდა, ოცდაორს თუმანს გარდა რაც მეტი თეთრი დაედებოდა ამ მიღდისს გამოურთმევდით და მესტვირისშვილს მისცემდით.

ნინია ჯაბადარი წასულიყო, ორი კაცი კურდღელაური-დამ ორი გულგულიდამ შეეყარა და ეს მესტვირიშვილის ვენახი დაეფასებინა ოცდაორ თუმნად[1]. ამ გირაოს დამხსნელი აღარავინ გამოჩნდა.

რევაზმა რაც დრო დაგვიდვა, იმ დროსაც გარდავიდა. რომ ვეღარ დაიხსნა, უმაღლეს ქელმწიფესაც ებრძანა ამათის საქმის

[1]+დაეფასებინათ.

გარდაწყვეტა. რაჴგან ის მამული გირაოდაც ეწერა და რაც ვალი იმ მესტვირიშვილს ემართა და სწორედ იმ ფასად დაფასდა ეს ვენახი, სამართალის განჩინებისამებრ ეს ვენახი ამ მიღდისს დარჩა. სადაოთ საქმე აღარავის აქვს, უნდა გაყიდოს და უნდა თითონ მოიხმაროს.

მაინც თუ კიდევ რევაზმა ამ გირაოს დახსნა მოინდომა, ამ მიღდისმა ეს ვენახი ოცდაორს თუმნად უნდა დაახსნევინოს. ჩვენ ეს სამართალი ასე ვასაჯეთ და ნება მათის უმაღლესობისა არის.

იასაულო ჯაბადარო ნინიავ, როგორც ამ განჩინებაში [16] აცხადებს, ისე [უნდა] აღასრულო, მესტვირისშვილს ქელი აუმართე და ამ მიღდისს მოაბარე. იანვრის ლ, ქორონიკონს უპჳ.

74. განჩინება იოანე მუხრანბატონისა და თამაზ ორბელიანის სარწყავი არხის თაობაზე

1800 წ. 22 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4256. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მისის უმაღლესობის ყოვლისა საქართველოს მეფეს ჩვენს მოწყალეს მამას ჩვენ — მათის შვილის იოანესათვის ოქმით ებრძანა: მუხრანის ბატონი სარდარ-სალთხუცესი იოანე და ორბელიანი ეშიკაღადბაში თამაზ არხზედ ლაპარაკობენ, მდივანბეგები დაისწარ, სამართალი უსაჯეო.

ჩვენ ამათის არხის გასასინჯავად ჩოლოყაშვილი მდივანბეგი იოანე გავგზავნეთ და როგორც გულსმოდგინეთ გამოძიებით ენახა და გაეჩხრიკა, წერილით მოგვახსენა: ბოლნისის ფოლადაურის წყლიდამ ამოღებული არხი გამოიღის სახასოს მამულსა და შემოვა ჭაპალის მამულში და ირწყვის ჭაპალის მამულები; გამოიღის ეს არხი და შემოვა მუხრანის ბატონის მამულშია. აქა-იქა დანაკლულდება და რწყამს მიწებსა; მოადგება ეს არხი მანხუტისა და სარკინეთის ხევი რომ ჩამოვარდება, ამ ხევზედ გაღმა-გამოღმა ქვიტკირით გაკეთებული არის, ხედ ნავით წყალი ყოფილა გატანილი და ურწყამს მუხრანის ბატონის მამულები; მოვა ეს არხი არამ თაფასთან, სადაც მუხრანის ბატონისა და ამილახვარიანთ ყოჩაქილისის მიჯნები სხედს; აქ გაწყდება ეს არხი.

თამაზ ეშიკაღადბაშმა იასე მეფისა ერთი ოქმი მოიტა-

ნა: ჭაპალელნო, ბარახლუელთ თქუენის წყლიდამ ორი თავი წყალი ათხოვეთ თქვენს მამულს გარეთა და როდესაც მაშავრიდამ წყალს ამოიღებენ, თქვენს წყალთან საქმე აღარ ექნებათო.

ჩვენ[1] ეს ოქმი მუხრანის ბატონის საწინააღმდეგოდ ვერ დაინახეთ. ბარახლუ ბორჩალოშია არის; და თუ მაშინ რომლისამე მიზეზით ჭაპალის ახლო მდგარან, ჩანს, რომ მუხრანის ბატონის მამული დიდი მინდორი არის და ამას თავისი წილი წყალი არ ეთხოება. და ჭაპალის წილის წყლიდამ ორი თავი წყალი უთხოებიათ.

თამაზ ეშიკაღაბაში ამბობდა: ბარახლუ მუხრანის ბატონის მამულისა ჰქვიანო. ჩვენ ეს მოვიკითხეთ და სარწმუნო შევიქენით, რომ ბარახლუ ბორჩალის გარდა ამ ძიერობაზედ არსად რქმევია.

მუხრანის ბატონმა მოხუცებული და სარწმუნო კაცნი მოწმად წარმოადგინა, რომ ეს არხი მუხრანის ბატონს ძველადგანაც ჰქონია და არც ამის მეტად დავა გაგვიგონიაო.

რადგან ეს არხი მუხრანის ბატონის მამულის ბოლოს დასწყდება და ვერც ეს არხი ბარახლუში ჩავიდოდა და არც მაშავრიდამ ამოღებული არხი მუხრანის ბატონის მამულს სრულად სარგებელ ეყოფოდა და არცავინ მებატონე ამ მინდორს უწყლობით მოაცდენდა და არცავინ ნათხოვრის ორის თავის წყლისათვის ამ სიდიდეს არხს გასჭრიდა და არცავინ ქვიტკირით წყალს გაიტანდა. რადგანაც სათავე სახასოს მამულში ამოღებული არის და მუხრანის ბატონის მამულს გაივლის და ყორაჭილისის სამძღვართან დასწყდება, ჩანს, რომ მუხრანის ბატონის ძველათგან სამკვიდრო არხი არის.

მუხრანის ბატონმა და თამაზ ეშიკაღაბაშმა რაც წყალი მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, შუა გაიყონ. და დღეის იქით ერთმანერთის წილს წყალს ნუ შეეცილებიან.

და თუ არხს სათავიდამ გაკეთება რამ მოუნდეს, მუხრანის ბატონის და თამაზ ეშიკაღაბაშის ყმათ ერთათ იმუშაონ და არხი გააკეთონ და წყალი შუა გაიყონ.

ასაულო ფალავანდიშვილო ზაალ! ეს ასე უნდა გამოუცხადო და ასე აღასრულო. აღიწერა ფებერვლის კბ, ქორონიკონს უპმ.

[1] თქვენ.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეათცამეტე მეფე გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ, როგორც სამართალი მიუციათ და გარდაუწყვეტიათ. მარტის ა, ქორონიკონს უპმ.

75. განჩინება ჩაჩიკაშვილისა და გიორგი ოქროშვედლის ქვრივის ვალის საქმეზე

1800 წ. 27 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 18. საბ. 128. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[144] ბატონს მელიქს ჩაჩიკაშვილის კოლნაოზის და ოქროშვედელი გიორგის ქვრივის ლაპარაკის გასინჯვა შემოეკვეთნა.

ჩაჩიკაშვილი ასე ამბობდა: ამისი სახლი ოცდაათ თუმნად დაგირავებული მჭონდა. აღა მახმადხანის მოსვლაზე ეს ჩემი გირაო სახლები დაიწო. მას აქეთ ოთხი წელიწადი არის, კარდაკა[რ] დავდივარ, არც სახლის პატრონი ვარ და არც თეთრისაო. რამდენჯერ პირობა მთხოვა მოჰლათისა, დავჯერდი და აღარ მამცა თეთრიო.

გიორგის ქვრივი ეპასუხებოდა: მე თეთრი არა მაქვსო, ან კიდევ მოჰლათი მამე, ან შენ აიღე შენი გირაო სახლების ალაგიო.

და ის ახლავე სთხოვდა თავის თეთრსა. შუა მარხვამდინაც უნდა დააცალოს. დღეს [v] სახლების ალაგი დაიფასებინათ აღლი ცხრა აბაზათ. შუა მარხვაში გიორგის ქვრივმა ან თეთრი უშოროს, როგორც დამწვარ სახლების სამართალია, ისე თავისი თეთრი მისცეს და ან არა, თავისი გირაო ადგილი როგორც დაფასებული აღლი ცხრა აბაზათ, ისე უნდა მისცეს; და სიგელიც დაიწეროს ნასყიდობისა.

ასე მოხდა ამათი სამართალი. ნება ბატონი მელიქისა არის. ფებერვლის კზ, ქორონიკონს უპმ.

ქ. ამ სამართლის მოწამე ვარ ჭალაჭის მელიქი დარჩია.

76. განჩინება მარტიროზასა და თამაზას ძვრივის ვალის საქმეზე

1800 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7197ა. ქაღალდი. 34,5×20,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისის უმაღლესობის ოქმითა და მელიქის მარიფათითა ქრისტეს საფლავის ყმა მ ა რ ტ ი რ ო ზ ა და ლიპელი თ ა მ ა ზ ა ს ქვრივი და ობოლი ვალაპარაკეთ.

თ ა მ ა ზ ა ს ქ ვ რ ი ვ ი ასე ჩ ი ო დ ა: ქრისტეს საფლავის ყმას ჩვენი ოცდახუთი თუმანი ემართა თამასუქითა, სახლები გირაოდ ეწერა. ამ მარტიროზას ეთქო თამაზასათვინ: შენის თამასუქის თეთრს მოგცემო და სახლებს მე დავიჭერო. ცამეტი თუმანი მიეცა თამაზასათვინ და სახლებში ეს მარტიროზა დამდგარიყო; და თორმეტი თუმანი აღარ მოგვცა, სამართალი მაღირსეთო.

მ ა რ ტ ი რ ო ზ ა მ ი უ გ ე ბ დ ა: ხელმწიფის ბძანებით თამაზას ვალებში გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა[ა]ლს მივეცი ცხრა თუმანი და ექვსი მინალთუნი, თ ა ვ ს უ ბ უ ქ ს ბ ე რ უ ა ს მ ი ე ც ი ცამეტი თუმანი და ფ ე ტ ვ ი ა შ ვ ი ლ ს ი ო ვ ა ნ ე ს მივე სამი თუმანი მ ე ლ ქ უ ა ს დასწრებითაო, რომ იქნება ჯამი კე, ხ (25 თუმანი და 6 მინალთუნი). ამების თამასუქები დავიხსენ, დამეკარგაო.

თამაზას ქვრივმა იმ სახლის გირაოს თამასუქი მოიტანა ოცდახუთის თუმნისა, ზურგზე მოწერილი: ამ ოცდახუთის თუმნის თანხაში ცამეტი თუმანი მე, თამაზას, მამბარდაო.

თორმეტის თუმნისა მარტიროზას არც სხვა თამასუქი ჰქონდა დახსნილი და არც ასეთი მოწამე ჰყვანდა, რომ სწორეთ სცოდნოდა, ამ თამასუქის ოცდახუთს თუმანში სრულად მარტიროზამ მიწაო.

ეს სამართალი მივეცით: მარტიროზას ერთი თვე ვადა დაუდევით. თუ ამ ვადაზე მარტიროზამ გურამისშვილის ზა[ა]ლითა, თავსუბუქი ბერუათი და მელქუათი თამაზას ქვრივი და ობოლი ხათრიჯამი გახადა, რომ იმ თამაზას ოცდახუთის თუმნის თამასუქის ოთხი კე თუმანი იმ სამთა თამაზას ვალში მიცემულ იყოს, ქვრივი და ობოლი მარტიროზას ვეღარას ედ[ა]ვებიან.

და თუ ზა[ა]ლმა, ბერუამ და მელქუამ თამაზას ქვრივი და ობოლი ხათრიჯამი ვერ გახადეს, მარტიროზამ თორმეტი თუმანი უნდა მისცეს თამაზას ქვირივსა და ობოლსა.

ჩვენმა მცირე გონებამ ასე დაინახა და ნება მისის უმაღლესობისა არის.

თებერვლის კმ, ქორონიკონს უპმ. სომხ. ხელთა: ფ ა რ ს ა დ ა ნ.

77. განჩინება მოურავ ფრიდონისა და ომანის მამულის საქმეზე*

1800 წ. 6 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5328. დედანი. ქაღალდი 60,3×31 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისს უმაღლესობას ყოვლისა საქართველოს მეფეს ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს ჩვენ — მათის შვილის ბ ა გ რ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს ოქმით ებრძანა: მდივანბეგი ბ ე ჟ ა ნ, მდივანბეგი ზ ა ა ლ და მდივანბეგი ი ო ა ნ ე დაისწარ, ფ რ ი დ ო ნ შაშიანის მოურავი და ამისი ძმები ნ ი კ ო ლ ო ზ და ჯ ა რ დ ა ნ თავეთს სახლისკაცს ო მ ა ნ ს და იმის ძმებს ამოწყვეტილის პ ა ა ტ ა მდივანბეგის შვილის ზ ა ზ ა ს მამულზედ უჩივიან, სამართალი უსაჯეთო. ჩვენ ესენი მოვაყვანინეთ და სამართალში ვალაპარაკეთ.

ფ რ ი დ ო ნ ჩ ი ო დ ა: ზაზა ჩემს მამასა და ბიძას შეჰყრია და შეყრილობის წიგნიც მოუცია. მასუკან რომლისამე მიზეზით გამოსულა და ჩვენსავე ახლო ცალკე დამდგარა; ომანის მამასა და ბიძას კაცი შეუჩენიათ და მოხუცებულის კაცისათვის თოფი უკვრევინებიათ და მოუკლევინებიათ. იმავ დღესვე იმის ცოლს შესვეან და რაც მამულისა და ყმის ბარათი და ან წიგნი ჰქონია ნასყიდისა თუ უსყიდისა, სულ წაურთმევიათ ყმაცა და მამულიც, თავეთთვის ზავი გაუხდიათ. ამ საქმეზედ ჩვენი მამა და ბიძა უმაღლეს კარზედ კურთხეულს ბატონს მ ე ფ ე ს ი რ ა კ ლ ი ს საჩივლელათა ხლებიან და ბატონის კარზედ ზ ა ზ ა ს შეყრილობის წიგნი მამას ჩვენსა და ბიძის ჩვენისაოის მაგ ომანის მამას წაურთმევია. მას აქეთა ვჩივით და ჩვენს მამულსა ვდაობთო.

ო მ ა ნ მ ა და ამის ძ მ ე ბ მ ა უ პ ა ს უ ხ ე ს: მართალია, თქვენს მამასა და ბიძას შეჰყრია და წიგნიც მოუცია, მაგრამ მასუკან გამოსულა და ჩვენს მამასა და ბიძას შეჰყრია და თქვენთან შეყრილობის წიგნი ჩვენს ოჯახში მოუტანია. მკვდარი ჩვენ დაგვიმარხავს და მანამდისინ ზაზას ქვრივი ცოცხალი იყო, ჩვენ ვინა-

* შდრ. 1800 წ. 22 დეკემბრის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 119).

ხემდით, მერმე ისიც ჩვენ დავმარხეთო და ამ მამულის წყალობის წიგნიც ჩვენა გვაქვსო.

ჩვენ ომანს შეყრილობის წერილი და ბატონის წყალობის წიგნი მოვთხო[ვ]ეთ.

ომანმა ერთი ოქმი მოიტანა: ზაზასაგან მამულს ნურავინ იყიდით, თორემ მამულიც ჩამოგერთმევათ და თეთრიც დაგეკარგებათო.

ჩვენ რომ ამათი ლაპარაკი გავშინჯეთ, ჩანს, რომ ეს ოქმები ოსტატობით აღებული არის და არც ამ ოქმებს მამულის წყალობის წერილს გვარი აქვს. ჩვენ კიდევ ომანს ზაზას შეყრილობის წიგნი მოვთხოვეთ.

ომანმა და ამისმა ძმებმა ასე გვითხრეს: ზაზას შეყრილობის წიგნი არ მოუცია, ჩვენი შეყრილობის წიგნი ეს ოქმები არისო.

ჩვენ რომ ამათი სარჩელი გავშინჯეთ, როგორ იქნება, თავდისშვილი, აზნაურშვილი და ან გლეხნი კაცნი სახლისკაცათ შეიყარნენ, შეყრილობის და პირობის წიგნი ერთმანეთში არ დასდვან. და თუ ზაზამ ფრიდონის მამისა და ბიძის შეყრილობის წიგნი გოგაიას მისცა ან იმაზედ მოუწერდა: ამ ჩემის ბიძაშვილებთან შეყრილობის წიგნი ახლა შენთვის მომიცია, იმათ ჩემს ყმასა და მამულთან საქმე არა აქვსთ, ჩემს უკან ღმერთმან შენ მოგახმაროსო: და ან ცალკე წიგნს მისცემდა.

ჩანს, რომ ცოტა სამდურავისათვის ცალკე გამოსულა; და თუ თავისი მამული ფრიდონის მამისა და ბიძისათვის არა ნდომოდა, შეყრილობის წიგნს თავისავე სიცოცხლეში გამოართმევდა და ომანის მამასაც შეყრილობის წიგნს მისცემდა. ომანის მამას ზაზასათვის ან შეყრილობის წერილი უნდა გამოერთმევინა და ან ზაზას სიკვდილის შემდგომად ბატონისაგან წყალობის გვარზედ წყალობის წიგნი უნდა აეღო.

ომანმა რომ ბატონის ოქმები მოიტანა, ამით ზაზას შეყრილობას ვერ დაამტკიცებს; ამისთვის, რომ მასუკან ფრიდონისათვის ბატონს ოქმი უბოძებია და იასაული გამოუცხადებია, რომ ამ საქმეზედ კალაურის მოურავი ჩვენთან სამართალში ალაპარაკეო.

ფრიდონის მამისათვის ომანის მამას რომ ზაზას შეყრილობის წიგნი წაურთმევია, ის წიგნი ომანს მოვსთხოვეთ და სამართალს ასე მოახსენა: მქონდა, მაგრამ დავჰკარგე და ვეღარ მიპოვნიაო.

სამი თვეა, რომ ამ ზაზას შეყრილობის წიგნის მოსატანათ მათის უმაღლესობის ოქმით ომანს იასაული ადგია და რატომ არ მოიტანა? ამით ჩანს, რომ დაუხევია, ამათი ეს შეყრილობის წიგნი

მათს უმაღლესობასაც უნახავს და მდივანბეგებიც ამბობენ — ჩვენც გვინახავსო, რომ ფრიდონისა და ამის ძმებისა იყოო. და ამათ უნდა ჰქონოდათ და ჩანს, რომ მძლავრობითა ჰქონიათ წართმეული.

მაგრამ რადგანც ამათს საქმეს ამდენს ხანში ასე გაუვლია, ზაზას წილი ყმა და მამული, ნასყიდი თუ უსყიდი, ყველა შუა გაუყავით: ნახევარი ომანსა და მის ძმებს დავანებეთ და ნახევარი ფრიდონსა და მისს ძმებს. და აქედამ ზაზას ნასყიდს მამულში ომანს ვენახი რომ გაუკეთებია და ჭირნახული აქვს, რაც ვენახათ შემოღობილი არის, ის სამართალმა საკუთრად ომანს და მისს ძმებს დაანება. რადგანც იმაზედ მრავალი ჭირნახული ჰქონდათ, ეს ერთი ვენახი მამულების რიცხვიდამ უნდა გამოვიდეს. და სხვა როგორც ზემორე სწერია. და იმ ვენახს გარეშემო რაც მამულები არის ზაზას ნაჭონი, ყველა უმეტ-ნაკლებოთ შუა უნდა გაიყონ.

ამათის უშფოთველობისა და ამას იქით სიყვარულით ყოფნისათვის ეს ასე განვსაჯეთ და გარდავწყვიტეთ და ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

იასაულო ფარეშთხუცესო ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ! ეს ასე აღასრულე. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უპმ**.

ოთხი ბეჭედი:

1. მ გ ძ ბ (მეფის გიორგის ძე ბაგრატ)
2. ზ ა ა ლ
3. მდივანბეგი ი ო ა ნ ე
4 მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ჯ ა ნ.

თავში:

ჭ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხათა მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპმ**. რაც წიგნები ყოფილა ან აქეთ და ან იქით, ყველა გაგვიბათილებია. და სწორე და ჭეშმარიტი სამართალი ეს არის და დაგვიმტკიცებია. ამ საქმეზედ ჭეშმარიტი სამართალი ეს არის და ამ სამართალზედ დაადგა.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

ჭ. ჩვენ, ყოვლისა ქართლისა, კახეთისა და სხვათა დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მთიბათვის **ჱ**, ქორონიკონს **უპმ**.

დედოფალი მარიამ

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს მემკვიდრე მეფის ძე დავით, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ივნისის ვ, ქორონიკონს უპჱ.

დავით

78. განჩინება ზაზა მდივნისა და ავეტიქა შერმაზანაშვილის დუქნის საქმეზე

1800 წ. 8 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 26. საბ. № 30. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[31v] მსაჯულის შვილები მდივანი ზაზა და ამისი ძმა დათუა და მოქალაქე ავეტიქა შერმაზანაშვილი ჩიოდნენ, რომ მათი დუქანი ოცდაათ თუმნად ავეტიქას ჰქონოდა და სარგებელი იმ დუქნიდამ უნდა ავიღო. ის დუქანი აღამამადხანის მოსვლაზედ დამწვარიყო და ამ ავეტიქას აეშენებინა.

და ჩვენ — ქვემო აღმბეჭდველთ ეს სამართალი მივეცით: რაც ავეტიქას სარგებელი ზაზას და დათუას ედებოდა, დამწვრის მიზეზით ჩავატარეთ. და ეს თავნი ოცდაათი თუმანი და ათი თუმანი დუქნის ასაშენებლად მივეცით, რომ შეიქნება ორმოცი თუმანი. ეს ორმოცი თუმანი მდივანმა ზაზამ და დათუამ ავეტიქა შერმაზანაშვილს უნდა მისცეს და თავის დუქანი ამათ დაანებოს. ამათი დავა რაც იყო ორთავეს მხარეს განაჩენი თუ სხვა რამ, ყველა ამ სამართლით დაყენებული უნდა იყოს. ასე გარდაუწყვიტეთ და მოვარიგეთ. მარტის ჱ, ქორონიკონს უპჱ.

მე, ზაზას და დავითს ამ სამართლის ყაბული მაქვს.
მე, როტინაანთ ავეტიქას ამ განაჩენის ყაბული ვარ.

79. განჩინება რამაზ და გივი ჩერქეზიშვილების გაყრის საქმეზე

1800 წ. 9 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1144. დედანი. ქაღალდი. 61×21 სმ. დაზიანებული. მარცხენა კიდე ჩამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე ან წერტილ-მძიმე.

ქ. რაც რამაზ ჩერქეზიშვილს და გოგიას ობოლს გივს თავეთს გაყრაში სადაო სარჩელი დარჩომოდათ მათის უმაღლესობის ბრძანებით ჩვენ, ბატონიშვილმან თეიმურაზ მდივანბეგების თანდასწრებით ორნივ მოდავენი

სამართალში ვალაპარაკეთ და განაჩენითა ამით ასე გარდავწყვიტეთ.

სასახლის ფარდი რომ დაჰკლებია რამაზს, იქავ ახლოს საერთოს მამულიდამ სადაც რამაზს უნდოდეს, სასახლედ მოიზომოს.

ჩაილურში რომ მამა-პაპის ზვარი აქვსთ, შუა უნდა გაიყონ.

სასახლის ეკლესიაში გამოცვლილი წისქვილი რომ გივს დანებდა, რომ იმ წისქვილში რამაზს საქმე არა აქვს, რადგან აუშენებელი ყოფილა და გაყრის უწინ ერთობაში აუშენებიათ; იმ წისქვილთან ოთხის დღის გამოცვლილს მიწას რომ დაობდენ, საერთო არის, შუა უნდა გაიყონ.

ქვევრებზე საუროსო რამაზმა აიღოს და სხვა შუა გაიყონ.

შავერდაშვილები რომ გაყრაში ბარათით გაუყვიათ, ერთის დაკარგულის შავერდაშვილისა როგორც პირობა დაუდვიათ, ერთმანეთს შეუსრულონ.

გოგიას სისხლი რაც ლაბაძისაგან აუღიათ, თუ რამაზ საბუთით დაამტკიცებს, რომ სარგებლით გაცემული ჰქონდესთ, თავნიცა და სარგებელიც საერთო არის.

კამბეჩს რომ ედავება რამაზ, თუ გივის დედისაა, რამაზს საქმე არა აქვს. და თუ საბუთს უზამს, რომ ოჯახისა იყოს, სანახევროა.

რამაზ რომ ცალკე გამოსულა, მასუკან რაც თავის საკუთრად ჯარები ან სხვა რამ უშოვია, გივს საქმე არა აქვს. აგრევე გივს რაც უშოვია, რამაზს საქმე არა აქვს.

ცალკე გამოსვლას უკან რომ რამაზს ექვსი თუმანი ვალი დასდებია, გივს საქმე არა აქვს, რამაზმა უნდა გარდასწყვიტოს.

საერთო ვალი რომ საკუთრად სამი თუმნის თამასუქისა რამაზს დაუხსნია, რაც იმ თამასუქში გაუღია, ნახევარი გივმა რამაზს უბრუნოს.

თაღლიაურში რომ მიწა რგებია რამაზს, რომელშიაც ორი წისქვილი არის, რადგან ძველადგანვე ერთის წ[ისქ]ვილის მეტი არ ყოფილა და მამა-პაპათაგან მოუხმარებელს ადგილს რამ[აზს] ცალკე გამოსვლას უკან თითონ მოუგონია და საკუთარის ხარჯით აუშ]ენებია, საერთოს წილში სრულად არ ჩავარდება. მისთვის და იმ ცარიელის მიწის სფარდოდ რომ გივს ნიგვზებით სავსე მიწა რგებია, ამაებისათვის რამაზს მეორეს წისქვილში ნახევარი წილი მივეცით ნიგვზებისათვის, ველარას ედავება.

რამაზს რომ საუფროსოდ ეშმაკურა აუყვანია, როგორც ბარათში უწერია, რისაც მქონებელი იყოსო, რაც გაყრაში მამული სჰერია, არ უნდა დააკლონ. და თუ დააკლებენ სამართალი რამაზს ნებას მისცემს, რომ სხვა რომელიც უნდოდეს საუფროსოდ, ის აიყვანოს.

გივი ედავებოდა: რამაზის მამას ერთი პაჭიჭი თეთრით სავსე დარჩაო, მოწამე მყავსო; თუ მოწამეს სამართალში მიიყვანს, სამართალი მიეცემა.

ხატებზე რომ რამაზს გივი ედავებოდა, რომელიც ხატი გივის დედისა არის, რამაზს საქმე არა აქვს და საოჯახო ხატები შუა უნდა გაიყონ.

ვეფხისტყაოსანი საერთო არის.

ალაშვილის აზნაურშვილის ბეითალმანი მამ[ული] შუა უნდა გაიყონ.

გივი რამაზს ერთის კაცის საფარდოს ედავებოდა. [რამაზ]მა ბარათით ფარდად აკუა უპოვნა. აკუას რაც დარჩომია, სულ გივისა [არის].

გივის კაცის ვენახი რომ რამაზს დაუკრეფია, თუ ის კაცი გივისა ბარათით ნარგებია, სრულებით უკან მისცეს.

კიდევ დაობდა გივი: ერთობაში რამაზის მამას დაუხარჯავს ერთი შალი, ერთი რახტი და საყბეურიო. ერთი რომ ძველი საქმე იყო; და მეორე, რამაზც ამის მაგიერ გივის მამისაგან დანახარჯს ორს თუმანს, ერთს თოფს, კიდევ თხუთმეტს თუმანს და ორს ფარჩას ედავებოდა. და რადგან რამაზის ბებიის მზითევი ყოფილა და ქალს თავის მზითევი სასახლოდ დაუხარჯავს თითონვე, სადაოდ არ შემოიტანებოდა.

და ამ ახალს გივის მამის გოგიასაგან ნასყიდს საყბეურს რომ გივს რამაზ ედავებოდა, ეს კი საერთო არის, ამით რომ, გოგიამ თუ კარზე შოვნით იყიდა რამაზისა და იმისის მამისაგან, სახლში დიდს გარჯასა, ცალიერის მამულების აშენებას და საჩერქეზისშვილოს კერძისა და წილის გამოტანას რამაზის მამისაგან ამტკიცებენ.

და ეს საყბეური გივის ნათქვამს საყბეურსა, შალსა და რახტში ამიტომ არ ვიანგარიშეთ, რომ ესეები ამათის ბებიის მზითევი ყოფილა და თავისი მზითევი თითონვე დაუხარჯავს.

საქვრიო ერთობაში გათხოვებულისა შუა უნდა გაიყონ.

დირბელი კაცი რომ მიხდომია, რამაზს თოფი უსროლია და ცხენი მოუკლავს. თუ ის კაცი ჩაიგდეს, რასაც სისხლს აიღებენ,

როგორც გივის მამის სისხლი, ისე ეს საერთო არის; თავ-თავის სისხლიდამ ცოტას რასმე მეტს აიღებენ და სხვა შუა გაიყონ.

იასაულო გაბრიელ და ჩუთლაშვილო იოსებ! თქვენ უნდა წახვიდეთ და როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა აღასრულოთ. მარტის **თ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ქ. გოგიას ნასყიდი საყბეური რომ სწერია ზემორე განაჩენში, რამაზს წილი უძესო, გივმა განაჩენის დაწერას უკან სამართალს მოახსენა: ეს საყბეური დედაჩემს მუახლის მაგიერ თავისმა დედამ მზითევად მოსცაო. თუ ამას საბუთით გივი დაამტკიცებს, რამაზს საქმე არ ექნება, საკუთრად დარჩება გივის დედას.

ხუთი ბეჭედი:

1. თეიმურაზ
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბექან
3. ზაალ
4. მდივანბეგი იოანე
5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მარტის ივ, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

80. განჩინება თუმანიშვილების ყმა-მამულის საქმეზე

1800 წ. 12 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 10. საბ. № 172: პირი ქაღალდი. მხედრული.

[191 v] მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითისათვის არზით მოეხსენებინა თუმანისშვილს ფარსია შვილს ბირთველს, რომ ჩემს სახლისკაცს ელისბარიშვილს ელისბარს და იოვანეს ჩემთან მოციქული მოეგზავნაო, რომ შენთან ხუთიოდ კალამს საქმეზედ სადაო მაქვსო და გამისწორდითო. ჩვენ სახლის კაცებთან მივყე სალაპარაკოდო, და ამათ მა**[192]**რტო ვერ შეიძლეს ჩვენის სამართლის მოცემაო. წყალობას ვითხოვ: ორიოდ გორელი ქედხუდა კაცნი გვიბოძოთო, ჩვენის სახლის კაცების თანდასწრებით, ამათ ჩვენი სადაოები გაგვირჩიონო.

მისის უგანათლებულესობისაგან ოქმი ჰბოძებოდა და ებრძანებინა ჩვენ — ქვემო აღმბეჭდველთათვის ამათის სადაოს გარჩევა.

დავსხედით ჩვენ და ბირთველიც, იმის ძმებიც და ელისბარ და შის[ე] ძმა იოანე მოვაყვანინეთ და ორისავ მხარედამ რაც ერთმანეთთან სადაოები ჰქონდათ, ვალაპარაკეთ და რაც ძველათაც ერთმანეთთან სადაოები ჰქონდათ და წერილები[1], ისინიც გამოგვიცხადეს და გავსინჯეთ; და რაც ღმერთმან შეგვაძლებინა და დავინახეთ იმ წერილების მიხედვით ეს სამართალი მივეცით, როგორც თვითვეულად ამ განჩინებით გამოგვიცხადებია.

პირველად, ტერ-მარკოზაშვილი მელქუაშვილი დავითა ბირთველს რომ უჩივავს, აღმოჩნდა წერილით, რომ ის კაცი ელისბარა და იოანესი სამკვიდრო კაცი იყო და ბირთველს, რომლის მიზეზითაც სჯეროდა, ის მიზეზი სამართალმა არ შეიწყნარა თავეთის წერილის ძალით; და ის კაცი მელქუაშვილი დავითა ისევ ელისბარს და იმის ძმას იოანეს დარჩა, რომ ბირთველს და იმის ძმებს იმ კაცთან საბატონყმოთ საქმე აღარა აქვსთ.

მეორედ, ტერ-მარკოზაშვილის ნაფუზარზედ რომ ლაპარაკობდენ, ამისი ასე [v] გავსინჯეთ და ასე გავარჩიეთ. იმ ნაფუზრის საფარდო ელისბარის მხარეს გავსინჯეთ. მაგდენი სათქმელი ნაკლები არა იყო რა; და თუმცა ცოტა რამ ნაკლები იყო, იმას ამისთვის აღარ გამოვეკიდენით, რომ ბირთველის მამას გიორგის მრავალი ღვაწლის დადება ჰქონია ელისბარის საკერძო მამულზედ; რომ დღეს რაც ელისბარს მამული უჭირავს, ზოგ[ი]ერთს საქმეზედ თუ გიორგი არ გარჯილიყო, იმ მამულიდამ ბევრი აკლდებოდა, რომ არც თითვანთ უარი ჰყვეს და ის ნაფუზარი სრულად და საკუთრივ ბირთველს და იმის ძმებს დაეანებეთ, რომ ამაზედ ელისბარ და იოანე ნუღარ ედაეება და [ა]რც საქმეღა აქვსთ.

ზეთანის მიწებზედ რომ ლაპარაკობდენ, იმისი ასე გაურჩიეთ. ის მიწა რადგანც ძველადვე საერთო ხოდაბუნი ყოფილა და ახლა შიგა და შიგ თავეთის გლეხის კაცებისათვის დაუჩემებინებიათ, ის მიწა ისევ საერთოდ შუა უნდა გაიყონ ასე, რომე: ღვთისავარა შვილის მიწიდამ მოკიდებული საზენაჭროთ ბუძგურის მიწამდის საბელი უნდა დაადგან და სწორედ შუა გაიყონ, რომ ერთმანეთზედ მეტ-ნაკლები არ მიეცემა; ნახევარი საქვენაჭრო მხარე ბირთველსა და იმის ძმებს უნდა ეჭიროსთ და ნახევარი საზენაჭარო მხარე ბუძგურის მიწამდის ელისბარას და იო[193]ანეს უნდა ეჭიროსთ.

და რომელიც ამ სახასო ხოდაბუნში ამათს გლეხკაცებს დაჩემებული აქვსთ, თუ ბირთველის კაცისაგან დაჩემებული მიწა ელისბარის საწილო მხარეს მოვიდეს, იმაზედ ბირთველის კაცმა ხელი უნდა აიღოს; და ბირთველმა თუ უნდა, იმის ზომა იმ თავის კაცს თავის წილში მოუზომოს და მისცეს.

ავრეთვე ელისბარის კაცისაგან დაჩემებული თუ ბირთველის მხარეს მოვიდეს, ისიც ისე უნდა მოხდეს, როგორც ზემორე ბირთველისა დაგეწერია, რომ ის მიწა სწორედ შუა გაყოფილი უნდა ეჭიროსთ.

სასახლის ადგილის გარჩევაზედ და ამ სასახლეს წინ რაც კალო-საბძლის ადგილი და[ა]ნ გლეხების ნასახლარები ჰქონდათ, ამების გარჩევაზედ, რომ ლაპარაკობდენ, ამისი ასე განვასაზღვრეთ. იმაებზედ ზოგიერთს ადგილებზედ ძველთაგან წერილები ჰქონდათ; ზოგი იმ წერილების მიხედვით და ზოგი რომელიც უწერილო იყო და ბნელად იყო და ჩვენგან შეძლებულის დანახულობით ეცანით, ასე გამოვაცხადეთ:

ამათს სასახლის თავს რომ გარდიგარდმო კედლი არის, რომ ის კედელი ბირთველის კოშკზედ ოცდათოთხმეტის აღლით ზემოთკენ არის, იმ კედლის საშუალოზედ საბელი დაეადევით, რომ იმ კედელს თამაზას კედელს ეძახიან. იმ საშუალო კედლიდამ დაჭერილი სიგძეზედ ჩავზომეთ ქვემო ბოლომდის, ავაქაშვილის სასახლა[v]რის პირზედ რომ სამანი ჩავსვით, იქამდის არის აღლი ასოცი. ამავე სამნის გარდასწორ აღმოსაელეთისაკენ — ხევის პირისაკენ ბირთველის გზის პირამდის რომ სამანიც ჩავსვით ქართველიშვილის გიორგის ნასახლარის გვერდზედ, იქამდის გარდიგარდმოთ გადავზომეთ, აღლი არის ოცდაორნახევარი. ამას ზევით ეს ბირთველისა და იმის ძმების წილად დაედევით სასახლის ადგილად და კალო-საბძლის ადგილად. ამ ზომაებზედ მეტს ვეღარ დაიჭერენ.

და ბირთველის სასახლის გზა რომ ხევის პირისაკენ მისცემია, ის გზა ისევ ისე მიეცით, სასოფლო ბოგირის შარა რომ გამოვა იმ შარამდის, რომ ის გზაც, რომელიც ბირთველს მიეცით, იმისი განიც მოუზომეთ და სამანი ჩაუსვით, რომ სამანს აქეთ ვეღარ გადმოვა ელისბარისაკენ.

და ელისბარის წილობისაც ასე გავარჩიეთ: ზემოთ სასახლის კედელი რომ არის გარდიგარდმო, იმ კედლის შარის პირიდამ დაჭე-

[1]+გამოგვიცხადეს.

რილი გადმოვზომეთ გარდიგარდმოთ ბირთველის პირობამდის, ადლი არის განი ოცდათექვსმეტი. ამის ქვემოთ ბირთველის კოშკის პირდაპირ კიდევ შარის კედლიდამ გადმოვზომეთ, ადლი არის ოცდაცამეტ[194]ნახევარი; კიდევ ამის დაცილებით შუა წელზედ შარის კედლის პირიდამ გადმოვზომეთ, განი ადლი არის ოცდარვა ნახევარი.

სიგრძეზედ რომ ბირთველის წილობა ადგილი ჩავზომეთ ასოცი ადლი და სამანი ჩავსვით, იმ სამნის გასწვრივის შარის კედლიდამ გადმოზომილი იმ სანამდისი ადლი ოცდათი და ნახევარი — ესეც ამ ზომით ელისბარისა და იოანესი არის. ამაზედ მეტს ვერ დაიჭერენ.

და კიდევ რაც ამ სამნებს ქვემოთ ადგილი დარჩება ქვემოთ შარამდის, რომ ის შარა სასოფლო ბოგირზედ რომ გამოვა, ის არის და აღმოსავლეთისაკენ — ხევის პირისაკენ ბირთველის გზამდის სულ ელისბარისა არის და იოვანესი არის; ბირთველს იმაში საქმე არა აქვს, არც იმის ძმებს.

და ესეც მოვიხსენოთ: ამათს სასახლის ზემოთს კედელს რომ ვწინშავთ, რომ იმ კედელს თამაზას კედელს ვეძახით, იმ კედელს გარეთ ზემოთკენ ისე როგორც ის კედელი გარდიგარდმოთ გარდასჭრის, იმას ზეით იქითი გვერდი ხევამდის და [ა]კეთი გვერდი საზენაჭროთ შარამდის და თავი ისევ ამ ბირთველის სახლამდის — ესეც საკუთრივ ბირთველისა და მის ძმებისა არის, რომ ელისბარს და იმის ძმას იმაში საჭმე არა აქვს, რომ იმ ადგილისა ნახევარი ხევისაკენ ბირთველის სამკვი[v]დრო ყოფილა და არის. და ნახევარიც მეორე გვერდი შარისაკენ ელისბარიანთ ყოფილა და [ა]მ ბირთველიანთ ოჯახს ჰქონია გამოცვლილი და ახლა ამ ბირთველისა და მის[ი] ძმებისა არის.

ამათი სადაოები ერთმანერთთან რაც იყო, ასე გაუსამართლეთ და ასე გაურჩიეთ, რომ დღეის იქით ამ ჟამის უწინდელს სადაო საქმეზედ ერთმანეთთან სადაო საქმე აღარა დარჩომიათ რა, და აღარცარა გამოუცხადებიათ ჩვენთან. ამ ჟამამდის რაც დავა ჰქონდათ ერთმანერთთან, ახლა დასრულდა. და მას იქით ერთმანეთთან ღმერთმან სადაო და სალაპარაკო ნუღარა მისცესთ რა სიყვარულობის მეტი.

ამ განჩინებისა ორი დაიწერა. ორივე ერთი პირი და ერთი სახე არის. ერთი ბირთველს და იმის ძმებს მივეცით და მეორე ელისბარს და იოანეს მივეცით.

აღიწერა მარტი **იბ**, ქორონიკონს **უპ**.

ამ განჩინების დამწერნი და აღმბეჭდველნი არიან: თუმანიშვილი ნიკოლოზ, ბაბალასშვილი ავთანდილ, ქარუმიძე მოურავი ფარსადან.†

მე, თუმანიშვილი იოსებ, ამ ზემო ბატონი კაცების თანდასწრებით და თანხმობით ამ განჩინების დამწერი ვარ. იოსებ.

81. განჩინება ზაალ და ლევან გურამიშვილების წისქვილის საქმეზე

1800 წ. 20 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 14. საბ № 44. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[64 v] ქ. ზაალ გურამისშვილი თავის განაყოფს გურამისშვილს ლევანს ავჭალას წისქვილზედ უჩიოდა. ზაალის საჩივარი ეს იყო, რომ: მე უფროსის კაცის შვილი ვარ და მამულის მონახევრე; ნახევარი მამული ჩემი არის და ნახევარი მამული ჩემის განაყოფისაო და რადგან მამულის მონახევრე წყალიც ნახევარი ჩემი იქნებაო და იმ წყლით დაბრუნებულს წისქვილში მეც წილი უნდა მეღვასო.

ლევან ამას ეპასუხებოდა: სასოფლოდ რუ გამოვიტანეთ, იმ ჩემს განაყოფ[65]ებსაც უბრუნავს წისქვილი, შენც გიბრუნავს და მეც ჩემს ნარგებს მამულში ავაბრუნე წისქვილიო. ჩემს წილს მამულში რომ წისქვილი მებრუნოს, შენ წილს რად დაგიდებო?

ამისი სამართალი მათს უმაღლესობას ბედნიერს ჯელმწიფეს ჩვენ — მსაჯულთათვის ებძანათ. ამათი საჩივარი რომ მოვისმინეთ, ეს სამართალი მივეცით. რადგან წისქვილის რუ სასოფლოთ გამო[უ]ტანიათ და იმ რუზედ ზაალსაც უბრუნავს წისქვილი, სხვას განაყოფებსაც და ლევან გურამიშვილსაც თავის ნარგებს მიწაში წისქვილი აუბრუნებია და იმ წისქვილის დაბრუნებას არცარა სხვას წისქვილებისათვის დაუშლია, არც მცირე რამ დაბრკოლების მიზეზი მ[ი]უცია, სამართლით ზაალ ლევანს ვერას შეუა. დარჩა საკუთრად თავის ნარგებს მიწაში თა[v]ვისი აბრუნებული წისქვილი ლევანს, რომ ამ წისქვილში არც ზაალს და არც სხვას განაყოფებს წილი არა აქვსთ, საკუთრად ლევანს დარჩა. მარტის კ. ქორონიკონს **უპ**.

ქ. ზაალ გურამისშვილი ჩიოდა: ჩემს საკუთარს მიწაში ჩემის ხარჯით წყალი გამოვაჩინე და რომლითაც რუთ წისქვილები ბრუნავს, ის ჩემი ხარჯით გამოჩენილი წყალი ამ რუს

ერთისო, იმ წყალს საცა მინდა მე, წავიყვან და როგორც მინდა, ისე მოვიხმარებო.

ამისი ასე გაგვიჩენია: აქჭალელთ უნდა ეკითხოს: თუ იმათ ასე ისულღმერთეს, რომ ის წყალი ზაალს თავის საკუთარს მიწაში თავისის ხარჯით ახლა გამოეჩინოს და უწინ კი იმ ადგილს წყალი არა ყოფილაყოს, დარჩება ის ახლა გამოჩენილი წყალი ზაალს; და საცა უნდა, იქ წაი[66]ყვანს და მოიხმარებს.

და თუ ასე ისულღმერთეს, რომ ის წყალი უწინვე იქ ყოფილა და ზაალს თავის სარგებლის გულისათვის იმ ადგილს უმუშავნია და წყალი მეტობით გამოსულა, ამისთვის ზაალს იმ წყლისა საკუთრათ თავისთვის წაყვანა არ შეუძლიან, როგორც წრსჭვილის რუში დენილა საერთოდ, ახლაც ისევ უნდა იდინოს.

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. თუ ეს წყალი მამაპაპით ძველადგან ზაალისა ყოფილა და ამას სჭირია, ხომ ამისი იქნება. და თუ კიდევ ამას გამოუჩენია ის წყალი და გამოუტანია, ხომ უფრო კარგი. ეს სამართალი ასე არის. აპრილის **იდ, ქორონიკონს უკმ.**

თუ არადა, როგორც ყოფილა, ისე უნდა იყოს.

82. განჩინება ვახტანგ ბარათაშვილის ყმის ტერტერაანეზას საქმეზე

1800 წ. 21 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2830. დედანი. ქაღალდი 62×22,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობისათვის ორთაშუა სოფელს ტერ-ოჰანეზას ლორელობით არზა მიერთმევინა: მე ლორელი სახასო ვარო და ბარათაშვილი იასეს შვილები ყმობით მედავებიანო, დაც წმამართვეს და თავეთს ბიძაშვილს მზითევში გაატანესო.

მათს უმაღლესობას ამათი სამართალი ჩვენ — ქვემო აღმბეჭდველთათვის[1] ებრძანებინა. ორიენი მოვაყვანინეთ და სამართალში ვალაპარაკეთ.

[1] აღმბეჭდველთათვის.

ბარათასშვილი იასეს შვილი ვახტანგ მიუგებდა: შენ ორთაშუა სოფელი ხარ და ბიძის ჩვენის ვახტანგისათვის ყვარელის ციხეში შესვლის საჯილდაოში უბოძებიხარ მათს უმაღლესობას კურთხეულს მეფეს ირაკლის, და ბიძა ჩვენი ვახტანგ რომ მიცვალებულა, კურთხეულს მეფეს იმისი ყმა და მამული ჩვენთვის უბოძებიაო.

სამართალში წყალობის წიგნი მოვითხოვეთ. ვახტანგმა სამართალს მოახსენა: თუ რამ წიგნები მაქვს, ავი დროს მიზეზით სულ კახეთსა მაქვსო. აღდგომამდის პირობა დაგვიდვა სამართალში მოტანისა. რადგანაც წყალობის წიგნზედ მივარდა სამართალი, ჩვენ ერთი უკაი[1] გამოგვართვა ხანგულაშვილმა ტერ-ოჰანეზამ: თუ აღდგომამდის წყალობის წიგნი არ ჩამოეტანა და მათის უმაღლესობისათვისაც არ დამტკიცებინა, მასუკან სამართალი აღარ შეიწყნარებდა იმ წერილებსა.

ბარათაშვილს ვახტანგს მაშინვე კაცი გაეგზავნა, ის წყალობის წიგნიცა და სხვა ერთი განაჩენიც მოიტანეს; რომ იმ განაჩენისა არცარა ამ ბარათაშვილს ვახტანგს სცოდნოდა. უწინარეს ამისა ბარათაშვილის იასეს სიცოცხლისავე დროს ლორელებს უჩივლიათ ამ ხანგულაშვილზედ. განაჩენი მიუციათ საფიცრისა. იასეს მოწმე[ე]ბს დაუფიცავსთ და ეს კაცი სამართლით იასეს და ამის ძმებს დარჩომიათ, რომ დაფიცებაც განაჩენსვე ზედ მოუწერიათ.

წყალობის წიგნის დამტკიცება რომ დაეწერეთ, მათის უმაღლესობისაგან დამტკიცება აღარ ეჭირება, მათის უმაღლესობისაგან ორჯელ არის დამტკიცებული.

რადგან ტერტერამ სამართალი მოატყუა და განაჩენი დაგვტყუა, იმ სიმტყუნისათვის სამი თუმანი ჯარიმა განვაწესეთ, რომ ტერტერას უნდა გამოერთვას და ეს ტერტერაც სამართლით იასე ბარათაშვილის შვილებს დარჩათ. და ნინია უზბაში[ს] შვილებს, რომელიც ჩვენგან განაჩენი აიღო ტერტერამ, ისიც უნდა გამოერთვას და ამ ბარათაშვილებს მიეცეს.

ბრწყინვალეო თავადო, ბატონო ეშიკაღასბაშო ალექსანდრე! ამაზედ ერთი კაცი უჩინეთ, რომ ეს ასე აღასრულოს და ყველიც ამართოს. და ხანგულაშვილი ტერტერა ამ ბარათაშვილებს მოაბაროს. მარტის **კა, ქორონიკონს უკმ.**

მდივანბეგი დავით

ზაალ

ხელთა.

[1] ოჯახი.

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი, ამ განჩინებულს სამართალსა ამას ვამტკიცებთ. მარტის კვ, ქორონიკონს **უპმ.**

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ, ამ განჩინებულს სამართალსა ამას ვამტკიცებთ. აპრილის გ, ქორონიკონს **უპმ.**

დედოფალი მარიამ

კიდეზე:

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით ჩუენ, სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე და მმართებელი რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დ ა ვ ი თ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას.

მარტის იგ, ქორონიკონს **უპთ.**

დავით

83. განჩინება ზაალ გურამიშვილისათვის საუფროსოს მიცემის შესახებ

1800 წ. 23 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 19. საბ. № 121. პირი. ქაღალდი. მზედრული.

[172 v] ზ ა ა ლ გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ს მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფისათვის არზა მიერთმია და თავის განაყოფებისათვის ეჩივლა: უფროსი კაციშვილი ვარ და ა ვ ჭ ა ლ ი ს სოფელში საუფროსოს არ მაძლევენო.

ამათი სამართალი მათს უმაღლესობას ჩვენ — მსაჯულთათვის ებძანათ. ესენი ერთად სამართალში ვალაპარაკეთ.

ზაალს თავისი განაყოფები ამას მიუგებდნენ: ჩვენი მამაპაპანი დიდი ხნის გაყრილნი არიანო; გაყრის ბარათები გექნებაო, სამართალში წამოაყენე, თუ გაყრაში საუფროსო გრგებია და ბარათით აღმოჩნდება, რა სიტყვა გვექნება, რომელსაც ბარათი საუფროსად დანიშნავს, იმას დაგანებებთო.

ზა[ა]ლმა პასუხად ეს მისცა: მე გაყრის ბარათები აღარ მაქვს, ავის დროს მიზეზით დაგვკარგვიაო.

ზა[ა]ლს თავისმა განაყოფებმა ეს მიუგეს: იქნება ავჭალის სოფლის საუფროსო სხვას სოფელში აეღოსთ თქვენს ჩამომავლობასაო, და ახლა კიდევ მეორედ საუფროს[ოს] აღარ მოგცემთო.

ამათი სიტყვა რომ მოვისმინეთ, ავჭალას სოფელს გარდა ამ მდგომარეს ჟამში გურამიანთ სხვას თავეთს სოფლებში შენობა არსადა ჰქონდათ, რომ იქ მოგვეკითხა და ისე გაგვერჩია ამათი საქმე. მახსოვა[ვ]რნი კაცნი ასეთნი არავინა ჩნდნენ, რომ იმათი ნათლად ემოწმათ და იმათის მოწმობით გაგვერჩია და ეს სამართალი მივეცით:

რადგანც ზაალ უფროსის კაცის შვილია და გურამიანთ მამულის მონახევრე და ახლა ავჭალის სოფელს იყოფენ, უფროს[ს] საუფროსო საქართველოს სამართლის ძალით არ დაეჭირვის. ავჭალის მამული უნდა გაიზომოს და რამდენის დღის მიწაც დადგეს[1], ათზედ ერთი საუფროსოდ ზაალს უნდა მიეცეს, სარწყავისა — სარწყავში და ურწყავისა — ურწყავში.

და საუფროსო[ს] გარდა სხვა შუა უნდა გაიყონ, ნახევარი ზაალს და ნახევარი მის განაყოფებს.

იასაულო ფალავანდიშვილო ზაალ! ეს ასე უნდა აღასრულო. მარტის კგ, ქორონიკონს **უპმ.**

ზა[ა]ლს როგორც მამულში აქვს წილი, სარწყავად წყალიც ისე უნდა მიეცეს.

თავში:

ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე[2] გ ი ო რ გ ი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მაისის თ, ქორონიკონს **უპმ.**

84. განჩინება ზაზა და როსტომ ამირეჯიბთა ყმის საქმეზე*

1800 წ. 24 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10547. დედანი. ქაღალდი. 41×16,7 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

ქ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ზ ა ზ ა ჩ ი ო დ ა: მე და ჩემი ძმა დ ა ვ ი თ რომ გავიყარენით, ერთი კომლი კაცი ჩვენი ყმა თიღველი ბ ა ს ა ნ ი ძ ე ზ უ რ ა ბა აყრილი იყო და იმისი მამული ბეითალმანი იყო და რაც კაცი მამულზე მდგომი იყო, ის კი გავყავით

1 დადეს. 2+მეფე.

* შდრ. 1802 წლის 12 თებერვლის განაჩენს ამავე საქმეზე (აქვე, № 170).

და აყრილი კაცი და ბეითალმალი მამული გასაყოფად დაავალდებულებით და დღესაც გასაყოფი გვაქვსო. ეს ზემოხსენებული ბასანძე გაბრიელი[ს] შვილი ზურაბა ქსნიდამ აიყარა, მოვიდა თიღვას, თავის სამკვიდრო მამულზე დადგა, სამისამ ძმის საერთო იყო, მაგრამ რადგანაც თიღვის შოვნაზე მე ვიყავ გარჯილი, სანატრელს მეფეს ერეკლესა ვსთხოე და საჭირნახულოდ მე მიბოძაო.

ეს რომ ჩემს ძმას შეეტყო, ჩასულიყო და სანატრელის ბეფისათვის მოეხსენებინა: ჩემს ძმას თქვენთჳს ტყუილად გაუსინჯებიაო, ბასანძე ჩემი ბარათში ნარგები არისო და ბასანძე ბერი მაგისი ბარათში ნარგებიც არისო და ბარათიცა აქვსო. ის ბარათიც ეჩვენებინა ბატონისათჳს. და ოქმი ებოძებინა და ასე ებძანა: ამის ბარათში ნარგებს კაცს შენ საჭირნახულოდ ვერ მოგცემთო, ამასვე დაანებეო.

მასუკან მე მოვახსენე და მოწმობაც მივართვი მაგავ დავითის ყმებისა, რომ ბერი ბასანძე და ზურაბა გაყრილნი ყოფილან ძველადგანვე, ბერი მაგათი ბარათში ნარგები არის და ზურაბა სამისივ ძმისა საერთო არისო. და ბატონს მეორედ კიდე ოქმით ებოძებინა ზაზასათჳს.

ამირეჯიბი როსტომ მიუგებდა თავის ბიძას: ბერი და ეგ ზურაბა გაუყრელნი არიანო, დიდის ხნის აყრილი იყო, ქსანზედ იდგა და მამაჩემმა აჰყარა, მოიყვანა და თავის გაუყრელს ბიძაშვილთან დააყენაო და ამის მოყვანაზედ ხარკიც მოუვიდა, ჩვენი ყმა იყო და ჩვენ გვემსახურებოდაო. შენ მიხველ, მეფეს ყალთად გაასინჯე და ოქმი გიბოძაო. მასუკან მამაჩემი მივიდა, მოახსენა ბატონს და რომ გასინჯა, ისევ იმას უბოძაო.

ამგვარად ოქმები იმასაც ბევრი აეღო და ამასაც. ახლა კიდევ ამირეჯიბს ზაზას მისის უმაღლესობის მეფის გიორგისათჳს არზი მიერთმია და ეჩივლა. მის უმაღლესობასაც თავისის შვილის დავითისათჳს მოეწერა: ამათი სამართალი შენ მოეცო. და ბატონიშვილმა დავითმაც ჩვენ, ვახუშტი მდი[ვ]ანბეგსა და ომან ლაშქარნივისს, გვიბძანა ამათი სამართალი.

ჩვენ ესენი ორთავენი ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეცით. თუ ზურაბა ბერის გაყრილი ყოფილი იქნებოდა ძველადგანვე, ზაზა ამირეჯიბს დარჩებოდა, როსტომს საქმე არა ექნებოდა რა. და თუ გაუყრელი იქნებოდა და როსტომს დარჩებოდა. ეს სიტყვა ორთავ იყაბულეს და მოწმობა ვსთხოეთ. ამირეჯიბმა ზა-

ზამ ბევრის მოწმით დაამტკიცა და ისევ დავით ამირეჯიბის ყმების მოწმობითაც, რომ ბერი ბასანძის მამა და ამ ზურა ბასანძის მამა ძველადგან გაყრილნი ყოფილან, ბერი ბარათით მზეჭაბუკს რგებია და ეს ზურაბა თავის მამულით გაუყოფარი ყოფილა და ბატონს ამირეჯიბის ზაზასათჳს უბოძებია საჭირნახულოთ. და სამართლით ეს ზურაბა თავისის მამულით დარჩა ზაზა მინბაშს, რომ როსტომს და მზეჭაბუკ[ს] შვილს ამაში საქმე არა აქვსთ რა.

ჩვენ ესე განგვისჯია და ნება მათის უგანათლებულესობისა არის. მარტის კდ, ქორონიკონს უპჳ.

ეშიკაღაბაშო ენდრონიკაშვილო იოანე, ეს ასე აღასრულე. და ეს ზურაბა თავისის მამულით ზაზას მოაბარე.

ორი ბეჭედი: 1. ჯაყახის ძე მდივანბეგი ვახუშტი.
2. ომან.

კიდეზე: ჩვენ, სულიად საქართველოს უფლისწული მეკვიდრე მეფის ძე დავით, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ.

მარტს კზ, ქორონიკონს უპჳ. დავით

85. განჩინება დიმიტრი ჯოჯარდიძისა და თომა ჭელვინეთხუცისშვილის მამულის საქმეზე

1800 წ. 29 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5393. დედანი. ქაღალდი. 18,5×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ჯოჯარდიძე ღვდელი დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილს თომა ნაცვალს რომ სავენახეს მიწას[1] ედავებოდა, ჩვენ — ბატონიშვილმან იოანემ მდივანბეგების თანდასწრებით ფიცი მოვშალეთ და ერთმანერთის ნებადართვით ასე[2] მოვარიგეთ:

იმ სადაოს მიწის თავში რომ მიჯნა ზის, იმას იქით უღაოდ თომას კაცს მაწონაძეს საკუთრად დავანებეთ და მიჯნას აქეთ ჯოჯარდიძის ვენახამდის ნახევარი ჯოჯარდიძეს და ნახევარი მაწონაძეს დავანებეთ. ის მიწა საბლით გაიზომოს და ნახევარი ჯოჯარდიძის ვენახისაკენ ჯოჯარდიძემ თავის ვენახს შეუმატოს და ნახევარი მაწონაძემ თავისთვის შემოღობოს.

---

1 ქრომ. 2 ასე.

ასე გადასწყდა ერთმანერთის ნებადართვით. დღეის იქით რომელიც ამაზედღა იდავებს, მთლად უნდა ჩამოერთვას. მარტის კთ, ქორონიკონს უპმ.

ორთავე ჩამოერთვას თუ კიდევ ამ მიწაზე დავა დაიწყონ.

იოანე

86. განჩინება თამაზ ორბელიანის ყმის ფანოზაშვილის საქმეზე

1800 წ. 30 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. 20 საბ. № 18. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[20 v] ორბელიანის ეშიკაღასბაშის თამაზის ყმას ფანოზაშვილს გოგიას მათის უმაღლესობისათვის მოეხსენებინა: მე ქვემო ბოლნელი თქვენი სახასო ყმა ვარ და ეშიკაღასბაშში თამაზ ყმობით მეჭიდება, ამის სამართალს ვითხოვო.

მათს უმაღლესობას ჩვენს ჯელმწიფეს ბატონს მამაჩვენს ამათის სამართლის გამოძიება ჩვენ — მათის შვილის ბაგრატისათვის ებძანებინა. დავით მდივანბეგიც ჩვენთან დავისწარით და ესენი სამართალში ვალაპარაკეთ. ფანოზაშვილს წერილი მოეთხოვეთ. არცარა **[21]** წერილი ჰქონდა თავის სამართლებელი და ვერც არავინ მოწამე იშოვნა, რომ იმის ძალით თამაზ ეშიკაღასბაშის ყმობიდამ განთავისუფლებულიყო.

და თამაზ ეშიკაღასბაშმა თავისი მემკვიდრეობისა ასეთი საბუთები უთხრა, რომ მაშინვე ის კაციც დაემოწმა და აღიარა ამის ყმობა და ასე თქვა: ამისთვის უარვჰყავ შენი ყმობა, რომ შენს აზნაურისშვილს მიმეცით, შენი სახასო ვარ და შენს ყმათ უნდა მწმყოფოვო.

და რადგან მხურვალეს გულით ასე ითხოვა, ამისთვის სამართალი შუამდგომელ ექმნა, რომ თამაზ ეშიკაღასბაშმა ეს ფანოზაშვილი აღარ გასცეს, თავის სახასოდ ამყოფოს და ჩივილის ჯავრით მწუხარება არა მიაყენოს რა. და თუ უნდა, ამის სამაგიეროდ თავის აზნაურშვილს სხვა კაცი მისცეს. ჩვენ ეს სამართალი მივეცით და ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს. მარტის ლ, ქორონიკონს უპმ.

თავში:

ჩვენ, სრულიად საქართველოსა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი მეათსამეტე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აპრილის ი, ქორონიკონს უპმ.

87. განჩინება ციციშვილების გაურის საქმეზე*

1800 წ 1. აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2607. დედანი. ქაღალდი. 156×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის სრულიად საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ბრძანებით ჩვენ — მეფის ძემან იოანემ მდივანბეგები იოანე და მდივანბეგი სოლომონ თან ვიახელით და ციციანთ გასაყრელათ მათს სასახლესა და მამულში მივედით. სამართალში ვალაპარაკეთ და მათი გასაყოფი მამული, სახნავი, შენობა და სასახლეები თვით ჩვენ გავსინჯეთ და ასე გავჰყარეთ და თავ-თავის წილი ცალ-ცალკე გარჩევით გაუმსაზღვრეთ და დავანებეთ, რომელიც ქვემორე ამისი დაიწერება.

პირველად ქარელი გაიყო. ციხე ერგოთ ნიკოლოზ მდივანბეგსა და ამის ძმას ამილღაბარს და პაატას შვილს ეშიკაღასბაშს გოგიას: დიდის კარის მხარეს ნახევარი ქვეითიცა და ზეითიც მხარე, რაც ქვიტკირის ნაშენობა არი[ს], რომ ამ ციხის საშუალო სამანიცა გდია, კოშკებიც შიგ არის დაყოლილი; ამ ციხეში რომლისაც წილობაში სასახლის ნაშენობა დაჰყვება[1], ის უნდა დაფასდეს და რომელსაც მხარეს ნაშენობა დაჰყვეს, იმ ნაშენობის ფასი შენობის პატრონს მისცეს.

ბაღები და ვენახი როგორც სჭეროდათ, ისევ ისე დარჩათ ოთხთავ მხარეს, რომ ერთმანერთს აღარ მოუშალეს.

კიდევ ქარელის მამულიდამ ერგოთ პაატას შვილს გოგია ხალვათხანის ეშიკაღაბაშს და მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამის ძმას ამილღაბარს: მოურავის ბაღის ბოლომდინ, რომ სამანიც იქავ გდია და ამისა გადმოსწვრივ დემეტრეს ბაღი რომ არის ფშანთან, რომ სამანიც ამ დემეტრეს ბაღის გვერდზე გდია, რასაც ეს სამნები გაიტანს მტკვრის პირამდინ, რომ გოხებიც შიგ დაჰყვება, პაპუნას შვილსა და ლოპინას შვილის მამულს გარ-

* შდრ. 1800 წ. 18 ოქტომბრის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 113).

[1] იმ სასახლის ნაშენობა დაჰყვება.

და, რაც ამაში სანოდარიშვილო მამული დაჰყვება, ერგო ეშიკაღადბაშს გოგიას და მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს ნიკოლაოზს.

მდივანბეგის ბაღის თავში გარედამ რომ წყარო არის და სამანიცა გდია, ამ წყაროს თავში ამას შესწვრივ რომ მიწა არის, ეს მიწა გაუყვივით.

სარდალ-მოურავს გიორგის ერგო დემეტრეს ბაღისა და მიწის მხარე და სამნებიცა ჰყრია თავსაცა და ბოლოსაცა ამავ მიწისა.

ნიკოლაოზ მდივანბეგს და ამილღაბარს ერგოთ ციხისა სოფლისა და საყდრის მხარეს; და სამნებიცა ჰყრია, რომ ამ მიწის გაყოფას ეს ჩვენგან ჩაყრილი სამნები გაარჩევს.

ამას გარდა მტკვარსა და ფშნებს შუა რაც საჭარელო ჭალა არის და ჭალის მიწები დარჩომილი, ეს კი გაუყოფელი არის და საძმოთ არის დარჩენილი.

ამას ზემოთ საჭარელო რაც სწერია, ამისი ფარდი სარდალს გიორგის და მოურავს ევსტათის ერგოთ აქავ ქარელში, რომ წერილიც ხელთ უჭირამსთ.

მდივანბეგს ნიკოლაოზს, ამის ძმას ამილღაბარს და გიორგი ხალვათხანის ეშიკაღადბაშს ერგოთ: აფნისი სრულებით თავის სამძღვრით საზენაჭროთ ქარელისა და ლეთეთის სამძღვრის მიდგმამდინ, საქვენაჭროთ ხვედურეთის მამულის სამძღვრის მიდგმამდინ. ამ მიჯნებს რაც მტკვრის პირამდინ მიწა თუ ჭალა დაჰყვება, ამ აფნისისა არის — მთა თუ ბარი, სარწყავი თუ ურწყავი და გოხები, ეს ასე სრულებით ნიკოლაოზს ამილღაბარს და გიორგის ერგოთ.

სტეველისშვილი აზნაურშვილი რომ სახლებულა აფნისში, ამ სტეველიშვილს რაც აფნისში საზნაურშვილო მამული აქვს და ბარათი უცხადებს, ეს სტეფლისშვილი თავისის მამულით ნიკოლაოზისა და ამილღაბარისა არის.

ამას გარდა რაც საფნისო მამული არის, ეს აფნისი ნახევარი ნიკოლაოზ მდივანბეგისა და ამილღაბარისა არის და ნახევარი პაატას შვილის ეშიკაღადბაშის გოგიასი, პაპუნას შვილისა და ზაჭარიას შვილის მამულს გარდა. და ამის ფარდათ ერგოთ ლეთეთში რაც სანოდარისშვილო მამული არის.

ერგოთ აფნისის ფარდათ სარდალ-მოურავს გიორგის და ქალაქის მოურავს ევსტათის: ძამის წყალი რომ წამოვა, წავლის რუს რომ ეძახიან, ეს რუ ნახევარი სარდალ-მოურავის გიორგისა და მოურავის ევსტათესი არის და ნახევარი ნიკოლაოზ მდივანბეგისა და ეშიკაღადბაშის გოგიასი. რომ ამ წყალმა ნახევარმა ღეთეთს უნდა იდინოს და ნახევარმა აფნისში და მერუეებიც თავიანთი უნდა დააყენონ, რომ თავ-თავისი რიგის წყალი არ დაკლდესთ*.

ხვედურეთს ერგო ნიკოლაოზ მდივანბეგს და ამილღაბარს: მასურას ვენახის თავიდამ სოფლის სახლებამდინა რომ მასურას კალო-საბძელი და ვენახი და მღვდლის პოსტანი შიგ დაჰყვება; ამისი ზომა არის საბელი ორნახევარი, რომელიც ჩვენგან ჩაყრილი არის გარჩეული აქავ სახლები.

ერგოთ სარდალ-მოურავს გიორგის და მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს: საბელი ორი რომ ეს ამათ გაუყოფელი აქვსთ აქავ, ხვედურეთს სარუისო გზას შიგნით.

ერგო მდივანბეგს ნიკოლაოზს საბელი ორი პაატას შვილის გოგია ეშიკაღადბაშის მიდგმამდინ. კიდევ ერგო მდივანბეგს ნიკოლაოზს საბელი ერთი სოფლის შარის გზაზე რომ სამნები ჰყრია, ამ სამნებიდამ მტკვრამდინ.

კიდევ ერგო მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს საბელი ოთხი, ამის მიჯნა არის საქვენაჭროთ მოურავის ესტატის მიდგმამდინ, საზენაჭროთ პაატას შვილის გოგია ეშიკაღადბაშის მიდგმამდინ, რასაც ეს სამნები ჩაიტანს მტკვრამდინ — სახნავი თუ უხნავი და ჭალა ერგო მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს. კიდევ ამათვე ერგოთ აქავ, ხვედურეთს, საბელი[1] ერთი კემუხტაშვილის ნაფუზარში, რასაც ეს საბელი ზომას გაიტანს მტკვრამდინ.

ამას გარდა რაც ხვედურეთის მამული არის — არ გაყოფილა, თავ-თავის შეფარდებულს გარდა, სრულ ოთხთავესი არის საერთო.

სარწყავი, ურწყავი, ჭალა, საწყლისპირო, სოფელი, მთა თუ ბარი და ამ ნოდარის შვილების საწილო წყალიც მეოთხედი ნიკოლაოზისა და ამილღაბარისა არის, აგრევე საყდარი.

დოესში ერგო მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს: სამი პირველი საბელი ქვახრელიდამ მომავლის გზიდამ საზენაჭროთ[2] პაატას შვილის ეშიკაღადბაშის მიწის მიდგმამდინ, საქვენაჭროთ სარდალ-მოურავის გიორგის მიწის მიდგმამდინ, თაიდუს რუმდინ, ბოლო მტკვრამდინ; რასაც ეს მიჯნები შემოფარგლამს და შიგ დაჰყვება — სიგძე თუ განი, ასე ერგოთ ნიკოლაოზ მდივანბეგს და ამილღაბარს.

1+ საბელი. 2 საზენაკროთ.

* აქ გასწვრივ მარცხენა კიდეზე უზის ბეჭედი: „მდივანბეგი იოანე“.

ერგოთ კიდევ ნახევარი საბელი; ამისი მიჯნა შიგ ვენახებში არის ჩაყრილი და ამის მემიჯნავე არის საზენაჭროთ მოურავი ევსტათი, საქვენაჭროთ სარდალ-მოურავი გიორგი; ეს საბელი — ქვეით მტკვრამდინ და ზეით დუს რუმდინ; რაც ამ ზომაში ნაფუზარი და ვენახები არის, ისიც შიგ დაჰყვება, რომელსაც ჩვენგან ჩაყრილი სამნები გაარჩევს.

კიდევ ერგო ნიკოლაოზს: ციხეს ქვეით ვენახები და ვენახების ფარგალი ციხემდინ, საზენაჭროთ პაატა შვილის გოგია ეშიკაღაბაშის მიდგმამდინ და ციხემდინ მოურავის ბაღს ჩაჰსპრის, რასაც ეს სამნები შემოიტანს ციხემდინ.

სარდლის ხოდაბუნის ბოლო გაუყავით მტკვრამდ[ი]ნ, ნიკოლაოზ მდივანბეგს და ამილღაბარს ერგოთ ნახევარი საბელი; ამისი მიჯნა საზენაჭროთ პაატას შვილის გოგიას მიდგმამდინ, საქვენაჭროთ მოურავის ევსტათის მიდგმამდინ.

დოესის ციხეში ერგო ნიკოლაოზ მდივანბეგს და ამილღაბარს პაატასა: კარისაკენ რომ კაცი შევა, მარჯვნივ კოშკი მოურავისა არის, კოშკიდამ მოკიდებული მარცხნივ რომ გაჰყვება ხუციაშვილის სახლამდინ, სახლები და კოშკი რაც ამაში დაჰყვება ნარიყალამდინ, და ნარიყალაც ნახევარი ნიკოლაოზ მდივანბეგისა არის და ნახევარი პაატას შვილის გოგიასი.

კეზლის სახლიდამ რომ გამოვა ეზო დადერეფანი ჭონიას შვილის სახლამდინ, დიდის კოშკის ძირამდინ ნახევარი მოურავისა არის და ნახევარი ნიკოლაოზ მდივანბეგისა და ამილღაბარისა.

მოურავის კოშკის ძირში და გალავნის გვერდზე კლდესთან რომ სამანი ზის, საქვენაჭროთ მოურავი არის ნიკოლაოზ მდივანბეგის მესამძღვრე და საზენაჭროთ პაატას შვილი ეშიკაღაბაში გოგია; რასაც ეს სამნები შეიტანს დუს რუმდინ — სახლები, ნაფუზრები და ვენახები — ესენი მდივანბეგს ნიკოლაოზს ერგო.

რომელსაც სამნები არჩევს საბძელსა, კალოსა და მინდორსა კიდევ ქ ვ ა ხ ვ რ ე ლ ი ს გადასახედავს გზამდის საზენაჭროთ ევსტათი მოურავის მიწების მიდგმამდინ და საქვენაჭროთ სარდალ-მოურავის გიორგის სამნის მიდგმამდინ, ორი პირველი საბელი ამათ შუა მდივანბეგს ნიკოლაოზს და პაატას შვილს გოგიას ერგოთ.

ამ სოფელში ორი საყდარი დგას, ეს საყდრები და ამა საყდრების გარშემო სამო არის. ამას გარდა სოფლის მხარესა და ზედა ველაზე დუს რუს გაღმა, რაც მამული არის, სამოთ ძეს; ამას საბელი არ დასდებია და არც გაგვიყვია. ნახევარი დოესის წყალი რაც არი[ს], ოთხისავ ძმისა არის და ნახევარი ლოპინაშვილისა და პაპუნაშვილისა არის.

და ასრევე მტკვრის საწყულისპირო, მთა და ბარი, რაც ამ ფარგალში ვენახები დაჰყვა, — ეს სრულად მდივანბეგს ნიკოლაოზს და ამილღაბარს ერგო.

რომელიც ამათს საწილოს მამულში ვენახი დაჰყოლოდეს და ან ბაღი, როგორც საქართველოს სამართლის განწესება არის, ისე უნდა გარიგდნენ და იმ სამართალს უნდა დასჯერდნენ, ვისიც ყმა უნდა იყოს. აპირილის ა, ქორონიკონს უპწ.

ხუთი ბეჭედი: 1. ი ო ა ნე
2. მდივანბეგი ი ო ა ნე
3. მდივანბეგი ი ო ა ნე
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.
5. ჭალაქის მოურავი ე ვ ს ტ ა თ ი.

88. ბანჩინება იულიოს ურბნელისა და მღვდელ პანტელეიმონის საძმეზე

1800 წ. 2 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1455. დედანი. ქაღალდი. 33,3×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და ორწერტილი.

ქ. მისს სიმაღლეს, ბატონს მამა ჩვენს, მ ე ფ ე ს გ ი ო რ გ ი ს ებრძანა ჩვენ — მათის პირმშოს შვილის ღერენალ-ლეიტენანტის და კავალერის დ ა ვ ი თ ი ს ა თ ვ ი ს ყოვლად სამღვდელოს ურ ბ ნ ე ლ ი ს ი უ ლ ი ო ს ი ს ა [და] პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ მ ღ ვ დ ლ ი ს საპართალი და მორიგება.

ჩვენ მათი სარჩელი მოვისმინეთ და ვსცანით, რომ პანტელეიმონს დეკანოზობისათვის შფოთი აღედგინა. ი უ ს ტ ი ნ ე უ რ ბ ნ ე ლ ს ათას შვიდას ოთხმოცს წელში დეკანოზობა პანტელეიმონ მღვდლისათვის მიეცა. შემდგომად ამავე იუსტინეს ჩამოერთმია და პართენ მღვდლისათვის მიეცა ათას შვიდას ოთხმეოცდა ცხრას წელწადში და ა ნ ტ ო ნ ი კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ს ა ც დაემტკიცებინა.

შემდგომად ოთხის წლისა პანტელეიმონ მისულა და მისის უწმინდესობისაგან დეკანოზობა უშო[ვნ]ია ივლისის ორს. ამავე ივლისის ოცდაცხრას ესევე პართენ მისს უწმინდესობას ხლებია,

თავისი სიგლები გაუსინჯებია და დეკანოზობა ამავე პართენისათვის უბოძებია.

ამდენის წართქმისა და უკუთქმისათვის უმჯობესი სამართალი ვერა ვიპოე რა ამას გარდა: რომელსაც უკანასკნელი წიგნი აქვს, დეკანოზობა იმას უნდა მიეცეს. რადგან მის[ი]ს უწმინდესობისა და იუსტინე ურბნელისა უკანასკნელი წიგნი პართენ მღვდელსა აქვს, დეკანოზობა პართენ მღვდელს უნდა ჰქონდეს.

და კიდევ ავალიანი და ფანიაშვილი მოწმობდნენ — დეკანოზობა პართენისა არის და არა პანტელეიმონისაო. რადგან უსენი ურბნელის სამწყსონი არიან, ამათი მოწმობა შეიწყნარებოდა, და ამისთვის დეკანოზობა პართენს დაუმტკიცეთ.

პანტელეიმონ ჩიოდა: ურბნელმა ჩემგან ხარი იყიდა და ფასი აღარ მომცაო. ჩვენ გამოვიძიეთ და ვს[ც]ანით, რომ მაგიერი მისცემოდა.

კიდევ ხუთს მინალთუნს ჩიოდა, ურბნელმა ვალად ამაღებინა და აღარ მომცაო. თუ პანტელეიმონმა მოწამე იშოვა, რომ არა მიეცეს, ურბნელმა უნდა მისცეს; და თუ სარწმუნო მოწამე ვერ იშოვა, პანტელეიმონ განმტყუნდება.

კიდევ პანტელეიმონ ვენახის წართმევას ჩიოდა, გამოვიძიეთ და ვსცანით, რომ ვენახი ისევ პანტელეიმონს მისცემია და უჭირავს და ვერც ურბნელი მოუშლის.

პანტელეიმონ ყოვლად სამღვდელოს ურბნელის მრავალს საწყენს საქმეში შესულა და წინააღმდგომი ყოფილა, დრამიდამ[1] სამამთავროს სარგოს რა საჯილდაოდ მის[ც]ემდა; მაგრამ პანტელეიმონის საკუთარი სამი კოდი პური რომ ურბნელს დაუხარჯავს, ის კი უნდა პანტელეიმონს ურბნელმა მისცეს.

პანტელეიმონ ოცს კოდს ღომელაურის ქერს დაობდა. თუ პანტელეიმონისათვის ნიკოლაოზ ურბნელს მიეცა, მაშინვე ნიკოლაოზ ურბნელის დროს უნდა წაეღო და ან ნიკოლაოზ ურბნელისათვის ბარათი გამოერთმია. პანტელეიმონ ამაზე ტყუოდა.

პანტელეიმონ ჩიოდა: ღალა არა მძღს და ჩემს მაშულზედ ღალას მართმევს ურბნელიო. რადგან პანტელეიმონს ღალა არა სძღს, ურბნელი პანტელეიმონს თავის საკუთარს მამულზედ ღალას ვერ გამოართმევს.

პანტელეიმონ ჩიოდა: წერაქვი, აღვირი და კვესი

[1] დრამიდან.

ინათხოვრა და აღარ მომცაო. თუ ამაზედ იმოწმა [ვი]ნმე პა[ნ]ტელეიმონმა, რომ ეთხო[ვე]ბინოს ურბნელისათვის და ა[ღ]არ მისცემოდეს, ურბნელმა უნდა მისცეს.

ურბნელი იულიოს ჩიოდა, რომ: პანტელეიმონ მღვდელმა ბატონთან დამაბეზღა; და ბატონთან დამაბეზღებელმა პანტელეიმონმა ბატონის წყრომის ოქმი მომიტანაო, რომელიც ის ოქმი ყოველად სამღვდელომ ურბნელმა იულიოს ჩვენ გვაჩვენა, რომ ის ოქმი დიდს წყრომას აცხადებდა.

ჩვენ ურბნელის საქმე გამოვიძიეთ და ყოვლად სამღვდელოს ურბნელს იულიოს არცარა ეკლესიაზედა აქვს დანაშაული და არცარა ეკლესიის კრებულზედა. და სჩანს, რომ პანტელეიმონს ყოვლად სამღვდელო ურბნელი სიცრუით შეუსმენია.

მღვდელმთავრის შესმენისათვის მეორე კრება მსოფლიო ასერგასისთა წმიდათა მამათა თავსა მესამესა, რიცხვსა მესამესა სწერს: «ვითარმედ არიან მრავალნი, რომელთა საეკლესიოსა შერყევა და გარდაქცევა ნებავსთ და მტერობითა და ცილის მწამებლობითა მიზეზთა რაიმეთა შემარყეველთა განმგებელთა ეკლესიისათა მართმადიდებელთა ეპისკოპოსთა შეამთხვევენ, რათა შფოთი აღადგინონ ერთა შორის. ამისთვის ბძანებს წმიდა კრება, რათა არა შეიწყნარებოდნენ ყოველნი შემსმენელნი ეპისკოპოსთანი».

კუალად მეოთხე მსოფლიო კრება ბრძანებს თავსა ოცდაერთსა: «ვითარმედ მოყვასნი რომელნი განსდგნენ თვისისა ეპისკოპოსისაგან და სამეუფოდ მიივლტოდნენ და ძვირსა აღადგენდენ, უნებლიედ წარისხნენ, უკეთუ არა ინებონ».

ძრძანებითა ამა კანონთათა პანტელეიმონ განიხ[ე]ბოლა, ვინაჲრამ რადგან პანტელეიმონ მოხუცებული და დიდის ხნის იქ ნამყოფი იყო, ამის თვის ეკლესიისაგან არ გამოვამხევით და მყუდროდ და მორჩილებით ქცევა ვსწვართეთ; და რადგან უსარჩოდ გაძლება არ შეეძლო, ამისთვის კანდელაკობა და კანდელაკის სამწყსო მივეცით თვინიერ მამათმთავრობისა და მოღალობის[ა]*. და კანდელაკს მამათმთავრობა და მოღალობა მივეცით.

ეკლესიის შემოსავლის თავლიდრობას თუ უნდა ურბნელი იულიოს პანტელეიმონს მისცემს, და თუ უნდა — სხვას ვისმე. და ბრძანებით განწესებული თავლიდრი ეკლესიის შემოსავლისა,

* „მამათმთავრობისა და მოღალობის“ ჩაწერილია სტრიქონს შუა დავით პატონიშვილის ხელით.

როდესაც ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსთ განუწესდებათ, ურბნელსაც მაშინ განუწესდება; და მარტო ურბნელისა უკანონო იქნება.

ურბნელი მსახურის უყოლობას ჩიოდა. ვისაც ურბნელის ყმას მსახური, ხაბაზი თუ მზარეული სდებიათ, ახლაც ყოველად სამღვდელოს ურბნელს იულიოსს უნდა იახლნენ. თვინიერ დიდის მიზეზისა უარის თქმა არ იქნება.

შემდგომად ამისა თუ კიდევ მისს ყოველად სამღვდელოებას არ დაეგო და კიდევ[1] შფოთი რაიმე შეამთხვია, დიკასტირი[ი]საგან განიკანონება და ჩვენგანაც დაისჯება.

აღწერა აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უპმ**. დავით

89. განჩინება თარხნიშვილების მამულის საქმეზე

1800 წ. 3 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6207. დედანი. ქაღალდი. 40,6×33 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია სამწვრტილი.

ქ. მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის საქართველოს მეფის გიორგის ბრძანებით ჩვენ — მათმა ძემ იოანემ ვალაპარაკეთ თარხანი გიორგი და მისი ძმისწული ლუარსაბ, ტეტია და გლახას შვილი დავით და მისი ძმები თარხნიშვილი მეითარი სოლომონ და მისი ძმები.

ჭაღიას მამულზედა და დავალაძის მამულზედ რომ დაობდნენ, ამ სარჩელზედ სოლომანს და გიორგი თარხანს ბევრი ელაპარაკნათ და განაჩენებიც ჰქონდა სოლომანს, რომ ჭაღიას მამულისათვის თარხნის გიორგის ორის მოწმისათვის ფიცი დაედოთ, ასე რომ, თუ დაიფიცევნენ, თარხანს გიორგის დარჩებაო; და თუ ვერ დაიფიცევნენ, სოლომანს დარჩებაო. ეს ფიცი რომლისამე მიზეზით დარჩომილიყო.

მაგრამ ჩვენც ისევ ამ სამართალზედ დაგვიყენებია. თარხანმა გიორგიმ და გლახას შვილმა დავით ეს ორი კაცი უნდა შეაფიცოს — კელაპტარი ბერუა და გლახას შვილის კაცი ზალინაშვილი ზალინა ამ ჭაღიას მამულზედ უნდა და[ა]ფიცონ. თუ დაიფიცევნენ, გიორგი თარხანსა და გლახას შვილს დავითს დარჩება. და თუ ვერ დაიფიცეს, სოლომანს დარჩება.

[1] კიდიდევ.

ამას გარდა დავალაძის მამულზედ სოლომანს რომ უდავნია და ბეცია თარხნიშვილს რომ ომან მდივნის თანდასწრებით გარდაუწყვეტია და განაჩენიცა აქვს სოლომანსა და ბეცია თარხნიშვილისაგანცა ხელმოწერილია, თუ უნდათ, გიორგი თარხანი და ლუარსაბ და ტეტია ამ გარიგებულს დასჯერდენ და თუ უნდათ, კიდევ როგორც ბეციას დაუწერია, ის ასის დღის მიწა მოუზომონ და ასის დღისათ შეუსრულონ დავალიძეს.

ამას გარდა სოლომანს გიორგი თარხნის ხოდაბუნი რომ მოუხნავს ჯარიმის გულისათვის, ამაში სოლომანს ჴელი არა აქვს. თუ თარხანი ჭაღიას მამულს გაიტანს, ჯარიმას სოლომანს გარდა[ა]ხდევინებენ; და თუ სოლომან გაიტანს, თარხანს გიორგის გარდახდება. მაგრამ რომელიც გამტყუნდება, მერე მისს სიმაღლეს უნდა მოხსენდეს. და ენებება ბატონი გარდაახდევინებს და ენებება არ გადაახდევინებს; ესენი ერთმანეთს ვერას გარდა[ა]ხდევინებენ.

ამას გარდა ფიცი ახლა რომ არ იქნება და კვირაცხოლობის კვირაში თარხნის მოწმე[ე]ბს რომ ფიცი აძევს, მაშინ უნდა შეფიცონ სოლომ[ა]ნსა. თუ დაიფიცეს, ჭაღიას მამული თარხანს გიორგისა და გლახას შვილს დარჩება. და თუ ვერ დაიფიცეს, სოლომანს დარჩება.

ჩვენ ეს სამართალი განგვიჩენია და ასე გაგვირიგებია და ნება მისის უმაღლესობისა აღსრულდეს. ეს ასე გარდაწყდა. და თუ რამ სხვა სალაპარაკო აქვთ, მასუკან ვალაპარაკებთ.

ეშიკაღასბაშო რატიშვილო გაბრიელ! ამაზედ იასაული უჩინე და ასე გა[ა]რიგე. აღწერა აპრილის **გ**, ქორონიკონს **უპმ**.

იოანე

ქ. რომელიც ბეციასაგან მიცემულს წერილს მოიტანს, ამაში ლუარსაბ ვერას უარს იტყვის, და[ა]ნებებს. იოანე

90. განჩინება მუსხელაშვილების გაჯრის საქმეზე

1800 წ. 20 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 871. დედანი. ქაღალდი 38,3×22,6 სმ. ალაგ-ალაგ ამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მის სიმაღლეს, ჩვენს [ხელმწი]ფეს, მეფეს [გ]იორგი[ს] ებრძანა ჩვენ — მათის მონის დიანბეგის ჯავახიშვილის[1] ვახუშტისათვის[2]: მუხრან ბატონის აზნაურშვილები[3] მუსხე-

[1] +ათ. [2] ვახუსტისათვის. [3] აზნაურშვილების.

ლასშვილები[1] მამულზედ ლაპარაკობენ და გაყოფაზედ; და მუ[ხ]რანის ბატონიც წიგნს მოგწერს, ადი და ესენი გა[ა]რიგეო.

ჩვენ ბრძ[ა]ნებისაებრ აველ ბრეძას და ეს მუსხელაშვილები ვალაპარაკე. ერთის ძმის შვილი შოშია იყო და ერთის ძმის შვილი როსტომ. და მუხრან ბატონსაც ებრძანებინა: რაც დღეს მამული ეჭიროს, ის გაუყავო, თავიანთი მამისაო. და რაც სხვ[ა] მამული იყოს სალაპარაკო, ის კი დარჩეს ჩვენს ნახვამდინ.

რომელიც საქართველოს რიგი იყო, ისე გავყარე: უფროსს საუფროსო მივეც; უმცროს სუმც[როს]ოთ, რომელიც მამა-პაპათ სასახლეთ[2] შემოუფარგლავთ და ფუძეთ უჭირამთ და დგანან, ეს უმცრო[სს] საუმცროსოთ მივეცით. სხვა რ[ა]ც ეჭირათ — ან ყმა, ან ვენახი, ან მიწა — ესენ[ი] გაუყავით და ნახევარი შოშიას, გოგიას და სოლომანს მივეცით და ნახევარი [რო]სტომს და კიკოლას მივეცით და ბარათებიც ხელში უჭირამსთ.

ამას გარდა სხვა მამული რაც დარჩა ამათი საწილო, იმისის ღალას უნდა აიღებდნენ და [ას]ე გაჰყოფდნენ: თორმეტს შოში[ა], გოგია და სოლომა[ნი] აიღებდეს და ათ[ს] როსტომ და კიკოლა[3] აიღებდეს.

და ქვევრ[ი რა]ც ქონდეთ, საუფროსო შოშიამ, გოგიამ და სოლომანმა აიღოს და სხვა შუა გაი[ყონ; სხვა რაც] კი რამ აქვსთ, რაც თავიანთ წილი იყოს, ის შუა გაიყონ. ეკლესიაში რაც წილი ქონდეთ სასაფლაო, ისიც შუა გაიყონ. წისქვილში რაც წილი ქონდეს და ამათი იყოს, ესეც შუა გაიყონ. რაც ამ სასახ[ლ]ეს გარდა თავიანთი წილი დარჩეს სოფელი, ის[ი]ც შუა გაიყონ.

ჩვენ ეს სამართალი მივეცი[თ] და ნება მისის უმაღლესობისა იყოს. აპრილის კ, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მდივანბეგი ჯავახიშვილი ვახუშტი.

კიდეზე: ქ. ჩუენ, საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე, რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით, ამას ვამტკიცებთ.

აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

[1] მუსხელასშვილების. [2] შსაასახლეთ. [3] კიკოლას.

91. განჩინება თეიმურაზ და გლახა ფავლენიშვილების ვალის საქმეზე

1800 წ. 25 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 156. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[**104 v**] ფავლენიშვილი თეიმურაზ უჩიოდა თავის განაყოფს დათუა[ს] შვილს გლახას: მამაშენს ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი მართებსო და თამასუქიც მოიტანა. სხვა ფავლენიანიც დაემოწმნენ — სწორეთ დათუას ხელი არისო.

ამაზე ბიძინა[ს] შვილმა ნინიამ ლაპარაკი დაიწყო და ასე უპასუხა: მაგ თამასუქის თეთრი გადაწყვეტილი არისო, ბათილამა გვაქვსო.

ჩვენ, მდივანბეგებმა, ეს სამართალი მივეცით: ცოტნიაშვილი სეხნია თავისის მამულით ამ თეიმურაზს გირაოთ ეჭიროს თავისის ორს თუმანსა და ოთხ მინალთუნში, თიბათვის გასვლამდინ ვადა. თუ ამ ვადამდინ ბათილამა მოუტანა თეიმურაზმა, თავისი თამასუქიც უნდა მისცეს გლახასა და ორი თუმანიც კიდევ თეიმურაზმა უნდა გლახას მისცეს. ამიტომ, რომ გადაწყვეტილს ვალს მეორეთ რაღათა სთხოვს.

და თუ ბათილამა ვერ მოუტანა და ტყვილად შარით ლაპარაკობდეს, და ეს ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი გლახამ თეიმურაზს ერთიორად უნდა მისცეს. და სანამდინ ამ ოთხს თუმანს და რვა მინალთუნს [მისცემდეს], ეს ზემოხსენებული ცოტნიაშვილი სეხნია თეიმურაზს უნდა ეჭიროს თავის თეთრის გირაოდ და ამას მსახურებდნენ. აპრილის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

რევაზ ფავლენისშვილო! ამათი იასაული შენ ხარ, ეს ასე აღასრულე, ეს კაცი თეიმურაზს მოაბარე.

92. განჩინება იასე ბრაჭულისა და ბერი ინაშვილის მამულის საქმეზე

1800 წ. 11 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1030. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ზემო ქაისხევს ჩვენი სახასო ბეითალმანი ბრაჭულთკარი გვთხოვეს ინაშვილმა ბერმა და იმისმა ძმამ გრიგოლმა და ამათმა ძმის წულებმა და ჩვენც უბოძეთ, რადგან ერთგულად მოსამსახურენი იყუნენ. ეს რომ შეეტყო ბრაჭულს იესეს, მოვიდა და დავა დაიწყო, ჩემი მამული არი-

სო, ბრაჭულთკარი ჰქვიან და ბრ[ა]ჭული მე ვარო, მოიკითხეთ და სამართალი მიყავითო.

ჩვენ, ბატონისშვილმან არაგვის მპყრობელმან პატრონმან ვახტანგ, ორთავ მოწმე[ე]ბი მოვსთხოვეთ. და ამაო ოთხი მოხუცებულნი თავის მეზობელი წარმოაყენეს, ამათ იციან, ამათა კითხეთო. ჩვენ ვაფიცეთ და ვკითხეთ.

ცილიკმა ქიტესამ ასე იმოწმა: ღმერთსა ვფიცა[ვ] და თქვენს მზესა, რომ სიმართლით მოგახსენებთ. რომელზედაც ადგილზედ ესენი დაობენ, იმ ადგილს ბრაჭულთკარს უძახოდენ და ახლაც ეძახიან. მაგრამ ჩემობას ბრაჭული[1] იქ მდგარი კი არ მინახავსო და არც ბრაჭულისაგან მოხნული მინახავს ის მამულიო. და იმისი ღალა თქვენს სარჭარს მოერთმეოდა ხოლმეო. ამ იასეს მამული გორანეთს არის და მამა ამისი შარმაზან იმას ეძახოდა თავის მამულსა, კიდეც პატრონობდა, კიდეც სთიბდა და კაკალსაც ბერტყდა; და იმ მამულის დავა მე არ გამიგონია. გორანეთი და ბრაჭულთკარი[2] ამ სიშორედ არის, ერთმანერთზედ რომ დიდებანთკარი და პირმისანი არიანო.

გაგელიძე გიორგიმ ასე იმოწმა: რა თვალი ამხელია, ჩემობას ის მამული ბრაჭულთკარად გამიგონია და ახლაც ბრაჭულთკარს უძახიან და ბრაჭულისაგან მოხნული მე არ მინახავსო. ჯიმშერ, ერისთვის დროს ერთხელ მე მოუხან ის მამული, მაგრამ ღალა არავის უთხოვნია და არცავისთვის მიუცია. შარმაზანა ბრაჭულიც შინჯარაძის კარს იდგა, მაგრამ არც იმას უთხოვნია და არცარა უთქვამს; გორანეთს თავის მამულს კიდეც სთიბამდა და კაკალსაც ბერტყდა, ამბობდა: ჩემი ნასახლარი აქ არისო. და გორანეთი და ის ბრაჭულთკარი ამ სიშორ არის, რომ დიდებანი და პირმისანი არიანო. ამის მეტი არა ვიცი რაო.

მამნიაშვილს გიორგის ვკითხეთ და იმანაც ამათ მსგავსად იმოწმა.

ხულუხაურმა გიორგიმ ასე იმოწმა: იმ ადგილს ბრაჭულთკარს ეძახიან. ერთხელ გაგელიძემ მოხნა ის მამული. ბრაჭულიც შინჯარაძის კარს იდგა, მაგრამ არც ღალა უთხოვნია და არც იმისგან მოხნული მინახავსო, გორანეთს თავისას ეძახდაო და კიდეც ხმარობდაო.

იასე ბრაჭულმა კიდევ სამი მოწმე წამოაყენა თავისი გამორჩეული, ამათ უკეთ იციანო, ამათ კითხეთო. ჩვენ ამათაც ვკითხეთ.

მამნიაშვილმა შალვამ ასე იმოწმა: ამის მეტი არა ვიცი რა, რომ ბრაჭულთკარს ეძახიანო; ერთხელ გაგელიძემ მოხნა და ღალა ვის მისცა არ ვიცი, იმ დროს ბრაჭული შარმაზანც შინჯარაძის კარს იდგა და ჩვენცაო, აქამდის იმის ღალას საბატონოდ იღებდენ; და ეს ორი წელიწადია, რომ მაგ იასეს თქვენ უბოძეთო.

ბანცურმა ივანემ ასე იმოწმა: ბრაჭულთკარს კი ეძახიან, ამის მეტი არა ვიცი რაო; არც ეს ვიცი მაგ ბრაჭულისაა, არც ეს ვიცი ავენი[ს] რომ ბრაჭულია, იმისია და არც ვიცი, თუ საღირის შვილის ბრაჭულისა არისო.

ნამგალაურმა გიორგიმ ასე იმოწმა: უწინდელი[1] მე არა ვიცი რა არც მამისაგან და არც სხვისაგან, იქ არ დავბადებულვარ და არა [ვ]მდგარვარ. ჯერ სოფელი მივიდა და დადგა, მერე მე მიველ და დავდეგ, თხუთმეტი წელიწადი თუ მეტი იქნება. ყველანი ბრაჭულთკარს ეძახოდენ და მეც ის დაუძახე. ამის მეტი არა ვიცი რაო. ის ადგილი გოგია ბაბულაშვილს სალაღოდ ეჭირა, ხიზანი იყო და ჯნევდა, ღალას ბოქოული ართმევდა და ხან მოურავი. მერე ხომ იასეს უბოძეთ და ეგ იღებსო.

ჩვენ ამ შვიდის მოწმის სიტყვით ის მამული საჩვენოთ დავინახეთ და ჩვენის ყმისა ბეითალმანი ყოფილა: პირველად ამით, რომ იმდონს ხანს უხნავთ და ღალა საჩვენოდ ურთმევიათ, ბრაჭული შარმაზან იქა ყოფილა და არ უთქვამს რა და არც უდავიცა;

მეორედ, რომ მამული გორანეთს ჭონია კიდეც უხმარებია; და ის ბრაჭულთკარი შორს არის იმის მამულზედა;

მესამედ ამით, რომ ბრაჭულები სხვანიც მრავალნი ყოფილან და კიდევაც არიან და არავინ იცის რომლისა ყოფილა. რადგან ასე არის, იასე ბრაჭულს იმაში ჯელი არა აქვს, ჩვენი სახასო არის.

და ჩვენ ამ ინამვილებისათვის გვიბოძებია, ამ მიზეზით, რომ ამას წინათ, ივლისის თვეში, ჩლუქ წელსა და ქართულსა ქორონიკონს უპდ ღართისკარში კრცხილებთან ლეკის ჯარზედ ღმრთის მოწყალებით სახელოვნად გაგვემარჯვა. და იმ ომში ინაშვილი იასე ჯარში ჩვენ გვახლდა, დიდად ერთგულად გაისარჯა და იმ ბრძოლაში ჩვენს წინ მოკუდა. და ამ ნამსახურობის

[1] ბროუული. [2] ბარჭულთკარი.

[1] უწინდელი.

სამუქაფოთ ის ბრაჭულთკარი, მამული და რაც იმაზედ მდგომის ნაქონი ბეითალმანი იყო: სახლკარი, საბძელ-კალო, სახნავ-უხნავი, წყალი, წისქვილი, ტყე და მინდორი, სახმარი და უხმარი სრულებით იმ ინაშვილს ბერს და იმის ძმას გრიგოლს და ამათს ძმისწულებს — იასეს ობლებს უბოძეთ და ამათს შვილთა და მომავალთა.

ბოქოულთხუცესო ბეჟან! ქელი ამართე და ის ბრაჭულთკარი ამ ინაშვილებს მოაბარე. დღეის იქით იასე ბრაჭულს ქელი აღარა აქვს და ნუღარც ედავება.

მაისის **ია,** ქორონიკონს **უპწ.**

თავისის სამართლიანის სამზღურით ის ადგილი ამათთვის მიბოძებია. 

იასე ბრაჭული კიდე მესამედაც სამართალში შემოვიდა, ის მამული ჩემი არისო. ჩვენ ის შვიდნი მოწამენი პირს წამოუყენეთ, მაგრამ მაინც ლაპარაკი არ დაიშალა. მერე ფიცი დავადეთ: ორი შეგდებული მოწამე იშოვნე და ორი შენ მოიყოლე და დაიფიცე, რომ სწორედ შენი სამკვიდრო მამის შენისა იყოს და სხვისა არ იყოს და შენ დაგრჩესო.

ფიცი ვერ შეიძლო და იმ მამულზედ ქელი აიღო. და ამ სამართლითაც დარჩა ინაშვილებსა. და ჩვენც კიდევ ამ გზით დაუმტკიცეთ.

მაისის **კწ,** ქორონიკონს **უპნ.** 

93. განჩინება ფალავანდიშვილების ყმის საქმეზე

1800 წ. 13 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10371. დედანი. ქაღალდი 34×20,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ფალავანდიშვილ ზურაბს ეჩივლა მის უგანათლებულესობას ბატონისშვილ დავითთან ფალავანდიშვილის გლახას და გოგიასათვის: თიანეთს რომ ბეჟანაშვილი ივანე არის, ის კაცი ჩემი არისო.

ეს გლახა და გოგია უპასუხებდა: შენი კი არ არის, იმისმა მამამ ჩვენი მოახლე მოიტაცა და იმისი შვილი არისო.

ამათი სამართალი ჩვენ — მდივანბეგის ვახუშტისა და ჯიმშერის შვილის მდივანბეგის ივანესათვის ებძანა. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და ერთობით ფალავანდიანში და იმათს საყმოში მოვიკითხეთ.

გლახამ და გოგიამ მუჯალმა მოიტანეს ფალავანდიანთი სამღუდელოსი და გლეხის კაცებისა, რომ ის მოახლე გლახასი და გოგიას სახლისა ყოფილა. და ეს ივანე ბეჟანაშვილი სწორეთ იმ მოახლის შვილი არისო.

ჩვენ ეს სამართალი განვაჩინეთ: რადგან ის მოახლე ძალით მოტაცებული ყოფილა, მეფის ვახტანგის სამართლის წიგნის ძალით მოახლის მოტაცების სისხლი ოცდაოთხი თუმანი არის. ამისი მესამედი სამართალმა იპატივა; და თექვსმეტი თუმანი იმ ბეჟანაშვილმა ივანემ უნდა მისცეს გლახასა და გოგიასა. და ოუ ვერ შეიძლებს ამ თეთრის მიცემასა, თავისი თავი უნდა მისცეს ყმათ.

ჩვენ ეს სამართალი ასე მივეცით და ნება იმის უგანათლებულესობისა არის. მაისის **იგ,** ქორონიკონს **უპწ.**

ორი ბეჭედი:

1. ჯავახისძე მდივანბეგი ვახუშტი
2. მდივანბეგი იოანე

კიდეზე:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს უფლისწული—მემკვიდრე მეფის ძე დავით, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. მაისის იგ, ქორონიკონს **უპწ.**

94. განჩინება ნინია ბარაბანჩიკისა და შერჟანჩის სახლის ალაგის თაობაზე.

1800 წ. 21 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2046. დედანი. ქაღალდი 38,7×25,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას სრულიად საქართველოისა მეფეს გიორგის ებძანა ჩვენ — მათის შვილის იოანესათვის: სინია ბარაბანჩიკი შერჟენტს სახლზე უჩივისო და შენ მოარიგეო. ესენი ორნივ ჩვენთან ვალაპარაკეთ და ორისავე საჩივარი მოვისმინეთ.

შერჟანტი ამას ამბობდა: მე იმ სახლის ალაგი გირაოდ მიჭირავს და ჩემი არისო.

ნინია ბარაბანჩიკი ამას მიუგებდა: ეგ სახლის ალაგს რომელსაც ამბობ, შენი კი არ არისო, ბატონის ბეითალმანი იყო და სანატრელმა ბატონმა მეფემ იაკლიმ მე მიბოძაო. წიგნიცა მქონდა და აღამამადხანი რომ მოვიდა, სახლიც დამეწეროო, წიგნიც მაშინ დავკარგე და რაც სახ[ლში] მებადა, ისიც სრულად დავკარგეო. და მე ომში დავრჩი და ღმერთმან გამომიხსნაო.

ჩვენ ამაში მოწამე მოვისთხოეთ, რომ მართლად სანატრელს ბატონს ებოძებინოს და წიგნიცა ჰქონოდეს.

ნინია ბარაბანჩიკმა ერთი სარდლის მსახური მოიყვანა — ავგაროზაშვილი იოსებ, რომელმაც ფიცით სამართალში ესე თქვა: აღამამადხანის ოთხს წელიწადს წინ ეს ნინია მოვიდაო და სარდალს დავითს შემოეხვეწა, რომ ჩემს სახლთან სახლის ალაგი არის ბეითალმანი და ბატონთან გამირიგეო; მაშინვე გაურიგა და სიგელიც გამოუტანაო. და კიდეც ეჭირა ის სახლიო, მე ასე ვიცი.

ჩვენ კიდევ იმას ასე არ ვერწმუნენით, იასაული თან გავატანეთ, ღმერთი თავისი სარწმ[უნო... და]* სული ვაფიცეთ, რომ: წადი და შე[ჰფიცე, რომ ის] სახლი ბატონმა უბოძა და ეჭირა.

წავიდა და ფიცით იმ ალაგს ფეხი დაადგა და უთხრა, რომ ეს სახლი ბატონმა უბოძა და სარდალმა დავითმა გაურიგაო, წყალობის სიგელი [მის]ცაო.

ჩვენი ამისის მოწმობის ძალით, რადგანც ბეითელმანი ყოფილა და სანატრელს ბატონს უბოძებია, ჩვენც ისევ ამ ბარაბანჩიკს ნინიას დავანებეთ, რომ შერჟანტს საქმე აღარ აქვს რა.

იასაულო ბუნტურო ნინიავ! ეს ასე აღასრულე. მაისს კა, ქორონიკონს უპჱ. იოანე

ხუთი ბეჭედი:

1. მდივანბეგი დავით
2. ზაალ
3. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან
5. მდივანბეგი იოანე

* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსი — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეთსამეტე გიორგი, ვამტკიცებ ამ გადაწყვეტის სამართლის წიგნსა. მაისის ლ, ქორონიკონს უპჱ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

ქ. ჩვენ, დედუფალმან სრულიად საქართველოსი — ქართლისა, კახეთისა და სხვათა პატრონმან მარიამმან, ვამტკიცებ ამ გარდაწყვეტის სამართლის წიგნსა. მაისი ლ, ქორონიკონს უპჱ.

დედოფალი მარიამ

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული დავით, ვამტკიცებ ამ გარდაწყვეტის სამართლის წიგნსა. მაისი ლ, ქორონიკონს უპჱ. დავით

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი ბაგრატ, ვამტკიცებთ. გიორგობისთვის კ, ქორონიკონს უპჱ. მეფე

ქ. მეფის ძე თეიმურაზ ვამტკიცებ. ნოემბრის კა, ქორონიკონს უპჱ. თეიმურაზ

95. განჩინება თედოზაშვილის მამულის საქმეზე

1800 წ. 5 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1875. დედანი. ქაღალდი. 32×17,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობისაგან გვებძანა ჩვენ — მათს შვილს იოანეს მოსამართლების თანდასწრებით ციციანთ გაყრა და მორიგება. როგორც რიგი და სამართალი იყო, ისე გაეყარეთ და თავ-თავისი დავანებეთ. მაგრამ თედოზაშვილის მამული წმინდის გიორგის სარვის შეწირული იყო და წილში არ ჩავაგდევით, რომ არას ციცისშვილს საქმე არა აქვსთ რა, რომ თედოზაშვილის სამკვიდრო იყო; და ეს კაცი ციციშვილის ნიკოლოზის და ამილღაბარის ნარგები იყო. ამასთან საქმე არავისა აქვს. ივნისის ე, ქორონიკონს უპჱ. იოანე

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მ ე ფ ე მეათცამეტე გ ი ო რ გ ი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივნისის **ჱ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფის ძე დ ა ვ ი თ მ ე მ კ ვ ი დ რ ე, რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით ვამტკიცებ. ივნისის **თ**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

96. განჩინება ბეგთაბეგაშვილების გაყრის საქმეზე

1800 წ. 6 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 27. საბ. № 307. პირი. ქაღალდი. მხედრული. ანგრევი დავთ. № 32. საბ. № 79.

[214v] მისის უმაღლესობის ბძანებით ბ ე გ თ ა ბ ე გ ი ს შ ვ ი ლ მა მდივანმა ბ ე გ თ ა ბ ე გ მ ა და მდივანმა ე ს ა ვ მ ა ნ ხელწერილი მოგვცეს ჩვენ — მდივანს ს უ ლ ხ ა ნ ს, მდივანს ო მ ა ნ ს და ი ო ვ ა ნ ე თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ს: რასაც თქვენ ჩვენის სადაოს სამართალს მოგვცემთ, ორნივ ვჯერვართო.

რადგან ასე ხელწერილი მოგვცეს, ვალაპარკეთ და დღეს რაც კაცი ჰყვანდათ ქართლში თუ კახეთში, ავარიცხვინეთ; უფროს[ს] საუფროსო მივეცით და უმცროს[ს] — საუმცროსო. სხვა რაც დარჩა, შეაფარდეს, თავეთგან შეფარდებული გაუყავით და **[215]** თავ-თავისის წილისა წერილები მივეცით.

ბ ე გ თ ა ბ ე გ ჩ ი ო დ ა; ჯავახი ბ ე რ ო ა და მ ა მ უ ლ ა დიდი ხანია მამაჩემს მოუვიდნენო, მაგათ საქმე არა აქვსთო; ხ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, კ ვ ე ს ა ძ ე და კ ვ ი რ ი ა — ესენი საერთო არიანო; მ ა ლ ი ძ ე ჩვენი ყმა არის; და სადაო უნდა ერთათ ვიდავოთ და ერთათ გამოვიტანთოო. ხარაზიშვილი რადგან ესავს და ამის ძმებს მოსულიათ, კვესაძე და კვირია უყიდიათ, დარჩა განსაკუთრებით ესავს, მდივანს იოანეს და ამათ ძმებს. ხარაზიშვილი, კვესაძე და კვირია და მალიძე რადგან სადაო არის, ერთათ იდაონ და თუ სამართლით გამოიტანონ, საძმო იქნება. ჯავახი ბერია და მამულა ბეგთაბეგს და ამის ძმას დარჩათ, რადგან ამათ მოსულიათ.

ც ხ ი ნ ვ ა რ ს დ ა რ უ ი ს[ს], რაც საერთო მამული ქონიათ და თავ-თავისთვის დაუჭერიათ, უნდა იმაზე საუფროსო აიღოს ბეგთაბეგმა, ოცის დღიურიდამ თერთმეტი ბეგთაბეგს და ცხრა ესავს და მის ძმებს.

სხვაგან რაც უკაცო ბეითალმანი მამული აქვსთ და თუ სახასო, ისიც იმავ **[v]** ანგარიშით: ოციდამ თერთმეტი დღისა ბეგთაბეგს და ცხრა ესავს.

ბ ე გ თ ა ბ ე გ ამასაც ჩ ი ო დ ა: ჩვენმა სახლისკაცმა ზურაბ[ა]ნ ხ ვ ი თ ა ს ა სამის დღის მიწა მამაჩემს აჩუქა წერილითაო, რომ ზურაბის სიცოცხლეში ვერ დავიჭირეთო. ახლა ესენი არ გვანებებენო.

ე ს ა ვ მ ა ნ მ ი უ გ ო: თუ წიგნი მოგცა, ერთხელ მამაჩემს რატომ არ აჩვენე და ან ერთხელ არ წამოგვედავენით, რა ერთი ხანია ჩვენ გვიჭირავსო.

ამისი ასე გავაჩინეთ: თუ ამ ორ თვეზე ბეგთაბეგმა სარწმუნო მოწმე მოიყვანა და უმოწმა — ზურაბისაგან მიცემული წერილიც მინახავს და ზურაბის სიცოცხლეში ბეგთაბეგს ეჭირაო, არავინ სდავებიაო, ბეგთაბეგს დარჩება ის მიწა. და თუ ამ ვადაზედ ვერ მოიყვანს ამისთანა მოწმეს, ბეგთაბეგ ვეღარას ედავება; ესავს და მის ძმებს დარჩება ის მიწა.

ბ ე გ თ ა ბ ე გ ჩ ი ო დ ა: დივანმა სულხანმა კახეთში ჩემი საწილო კაცი გაყიდა, უნდა ის ფასიც მე მომცენ ჩემი წილი.

ამისი **[216]** ჩვენ ასე შევიტყევით სამართალში, რომ ამის სამაგიერო კაცი ახალქალაქს მოსახლე მაშინვე ბეგთაბეგს დაუჭერია.

ბ ე გ თ ა ბ ე გ ამასაც ასე ჩ ი ო დ ა: საერთოს ყმიდამ ამათ ხლებელი გამოიყვანესო, მეც მაგიერი მამეცითო. რათგან მაშინ გაუყრელნი იყვნენ, ერთის მხლებლის გამოყვანისათვის ბეგთაბეგ ვერას შეუვა. ამათ რომ გამოიყვანეს, მაშინ ბეგთაბეგსაც უნდა გამოეყვანა.

ერთობაში საქვრივო აიღეს. ბეგთაბეგ ჩიოდა: წილი არ მამცესო. ამათმა მსახურმა ბერიამ თქვა: ამ საქვრიოს მაგიერი ბეგთაბეგმაც აიღოო. ეს წერილი დავა რაც რომ იყო, ყველაზე ასე გავასწორეთ, რომ ამას იქით ერთმანერთთან სადავო არა აქვსთ რა.

და როდესაც ბეგთაბეგმა თავეთნი კაცნი აღრიცხა, ოთხი კაცი დაწერა, ესენიც ჩემი ყმანი არიან, ზოგნი ქართლში, ზოგნი კახეთში არიანო, ესენიც უნდა გავიყოთო.

ე ს ა ვ მ ა ნ მ ი უ გ ო: ეგ კაცნი ჩვენ არ გვინახავს და არც ვიცით, არიან თუ არაო, მაგრამ საუფროსო[ს] მიზეზისათვის ამრავლებო.

ბეგთაბეგმა [v] მიუგო: თუ თქვენ არ იცით, მე ვიციო. იმათ მე კაცებს შევაფარდებ, იმათი ფარდი თქვენ აიღევითო, ისინი მეო. რადგან ასე იყაბულა, ჩვენც ბეგთაბეგის თქმისაებრ შევაფარდებინეთ, ის კაცნი ბეგთაბეგს მივეცით და იმისი ფარდი ესავმან აიღო სამართლით.

და თუ იმ კაცებში რომელიმე აღარ იქნება და დააკლდება, იმათზედ რაც მეტი საუფრო[სო] აიღო, ის დაკლებული იმ საუფროსოთი შეუსრულდება. იმ კაცების აღება ბეგთაბეგის თქმით და ყაბულობით მოხდა; ამისათვის ამათზედ ველარას შეუვა მდივანი ბეგთაბეგ მდივან ესავს.

ორი განაჩენი დაიწერა, ორივ ერთი პირია — ერთი ბეგთაბეგისათვის, ერთი ესავისათვის.

მისის უმაღლესობის ბძანებით ამათი მოასილი შენ ხარ მორდალო ზა[ა]ლ! ამაზედ ასე უნდა გარიგდენ, როგორც დაგვიწერია.

იუნისს ვ, ქორონიკონს უპჱ.

97. განჩინება ციციშვილების მამულის საქმეზე

1800 წ. 12 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 869. დედანი. ქაღალდი 71,5×44 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილ-მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის საქართველოს მეათსამმეტეს მეფის გიორგის ბრძანებით სამართალში წარმოდგომილნი ციციშვილები ზაქარია[ს] შვილი იოანე და დავით და ედია[ს] შვილი დიმიტრი ჩვენ, მეფის ძემან იოანე, სარდალ-მოურავის გიორგისა და საქართველო[ს] მსაჯულთ-შეკრებილების თანდასწრებით სამართალში ვალაპარაკეთ.

ედია[ს] შვილი დიმიტრი ამბობდა: საქართველოში მყოფთ დიდთა და მცირეთ იციან ერთბამად ქართველთაო, რომ პაპაჩემი ქალანთარი ოჯახში უფროსი და მთლად საციციანოს მამულისა დიდად მოჭირნახულე ძმა იყოო; და პაპის ჩემის ქალანთრის სიკუდილს უკანასკნელ, როდესაც მამა ჩემი დაობლდა, [მ]აშინ ბებია თქვენმა დედოფალმა ანნახანუმ პაპაჩემი ბუშად გამოაცხადა და მაშინდელთ მოსამართლეთ უსამართლოს მბრძანებლობით ბუშობის განაჩენი დააწერინა, რომლითაც თავისის სამკვიდროს

მამულიდამ მძლავრებისაგან ულონოთქმნილი მამაჩემი უწილოდ გაიყვანაო.

როდესაც რუსეთიდამ ჩემის ოჯახის წიგნები მომივიდა, რომელნიც ქალანთრის ძმობასა და სახლის უფროსობას აცხადებდენ და მისმა უმაღლესობამ მეფემ ირაკლიმ გასინჯა, ამ ოქმებით მაშინვე თქვენი განაჩენი დააყენა და სამართალში შემიყვანაო. ეს ოქმები უმაღლესის პაპის ჩვენისა დიმიტრისაგან კარგის წიგნების ქონას და მეორედ სამართალში შესვლას აცხადებდა და ბატონის ბებიის ჩვენის დედოფლის დარეჯანის მოწმობაც წერილით გვიბრძანებდა დიმიტრის წიგ[ნ]ები მე მებარა, დიაღ, კარგი წიგნები იყოო, მაგრამ რომელში რა აზრები ეწერა, ის კი აღარ მახსოვსო.

თუმცა დიმიტრის წიგნები თბილისის მოოხრებაში იყო დაკარგული, მაგრამ მოწამენი ცხოველნი და ერთჯმად ქართველნი დიდნი და მცირენი თანამოქამენი მერალიბეგ ქალანთრისანი საციციანოს მამულზე დიდს მოჭირნახულეობას ამტკიცებდენ და თანა ეწამებოდენ შენებულნი ქალანთრისანი სასახლენი, ციხენი და სოფელნი მემკვიდრეობით პატრონობას.

ამას გარდა მოჭქონდათ სიგელი დოესისა საუკუნოდ ნეტარების ღირსისა პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზისა, დედოფლის ანნა ხანუმისა და მეფის ძის ვახტანგისაგან დაბეჭდილი, რომელიც შაჰყულიხანისა და ამილახვრიშვილის დიმიტრისაგან გამოხსნილს დოესს ციციშვილებთან სა[ე]რთოდ ქალანთარს საშვილიშვილედ უმტკიცებდა.

ამ ზემოხსენებულის საბუთებით ქალანთარი სწორედ ბუშიც რომ ყოფილიყო, რადგან ძმად მიღებული ყოფილა და გარდამატებული მოჭირნახულეობაცა აქვს, ჩვენ უიჭველად როგორც ძმასა და მოჭირნახულეს ვაძლევდით სრულსა, დაუკლებელს წილს.

მაგრამ ამ სამართლის სჯასა და გამოძიებაში ზაქარია[ს] შვილებმა მოგვართვეს წერილი მოწმობისა სამთ მოხუცებულთა აზნაურიშვილთა თვისთაგან დაწერილი, რომელნიც ფიცით ედიას ბუშობას აცხადებდენ. და საკუთრად იმათს მოწმობას სამართალი არ შეიწყნარებდა, მაგრამ ედია[ს] შვილი დიმიტრი თავისის მამის ბუშობაზე მუჩალგით შემოჰყვა სამართალში ზაქარია[ს] შვილებს, დააწერინა მუჩალგად ოცის თუმნის ჯარიმა და თვითვან ზედ მოაწერა.

იმოწმეს ზაქარია[ს] შვილებმა თომა მღვინეთხუცისშვილი, რომელიც მოუწოდეთ და თავის მოხუცებულობის შესაფერისად ვაფიცეთ. და ფიცით იმოწმა ესრეთ: ქალანთარმა ედიას დედა კონია, თავისი ნარძლევი, თათრობაში ცოლად მოიყვანაო და მე რომ ლეკებში დავიკარგე, ქალანთარი მაშინ მონათლულიყო და კონია ჩემს დაკარგვას უწინვე მკუდარი იყოო.

მივსწერეთ სამსაჯულოდამ სამღუდელოთა და საეროთ: საშინელის ფიცით ვინ როგორც იცოდეთ ედიას ბუშობისა რაბამ დავითაობა, წინაშე ღვთისა ჭეშმარიტებით მოგვწერეთო.

თარხნიშვილს ათანასი წინამძღვარს მოეწერა: კათალიკოზს ვახლდი დიაკონად, როდესაც ქალანთარი მონათლა, ედიას დედა კონია ადრევე თათრობაში მოჰკდომოდაო.

თარხანს გიორგის მოეწერა: ქალანთარმა რომ თავისი ნარძლევი კონია ცოლად მიიყვანა, თათრობაშივე მოუკუდა და მერე მოინათლა და სხვა ცოლი შეირთოო.

წინამძღვარმა ტრიფილემ სამსაჯულოში იმოწმა: კათალიკოზმა ანტონიმ ქალანთარი რომ სვეტსცხოველში მონათლა, დიმიტრი დაარქვა, კონია — ედიას დედა ადრევე მოჰკდომოდა; და შემდგომად მონათვლისა უბძანა: დიმიტრი ქალანთარო, კონიას სულს ღმერთს შეავედრებდე, რომ შენთან უსჯულოდ ცხოვრობდაო.

დემეტრე ციციშვილის ჯალაბმა მონაზონმა იმოწმა: ედიას დედა კონია ჩემი მაზლის ზაზას სჯულიერის ქორწინებით მეუღლე იყოო, ზაზა ქალანთრისა ბიძაშვილი იყოო, ქალანთარს თავისი ნარძლევი კონია თათრობაში ცოლად მიეყვანაო, როდესაც ციც[ი]აანთ რძლად მიმიყვანეს, კონია მკუდარი დამხვდაო და ქალანთარი მერე მოინათლაო.

ნინოწმინდელს მიხაილს მოეწერა: ქალანთარს თავისი რძალი კონია თათრობაში ცოლად შეერთო და თათარს ჯვარს ვინ დასწერდაო. მეფე თეიმურაზ რომ ქვეით წაბრძანდა, კათოლიკოზმა სამწყსო დაიარა და მაშინ ქალანთარმა ძამის ციხეში დაჰპატიჯა, შვილი მოანათვლინა; თვითონ თათარი იყო და კონია ქრისტეანე, კონია მოკუდა; და მერე მცხეთას კათალიკოზმა მონათლა და დიმიტრი უწოდეს. და მასუკან ოთარ მდივნის და შეირთოო.

მოეწერა ჯვარის მამას ანტონს: ამისი მნახავი და დამსწრე ვარო, ქალანთარმა კათალიკოზი ანტონი ძამის ციხეში რომ

დაჰპატიჟა, შვილიც მოანათვლინა და ჩხეიძის ქალი კონია
ცოლად ჰყავნდაო. ის ქალი ჩემიც ნათესავი იყო, ქალანთარი თა-
თარი იყოო და კონია ქრისტეანე; კონია რომ მოუკვდა, იმის შემ-
დგომად კათალიკოზმა მცხეთას მონათლა და დიმიტრი დაარქვა.
მცხეთის ეკლესიის დიდი კარი რომ შევა, მარჯვნივ იქავ კართან
დიდი ემბაზი რომ დგას სრულის კაცის მოსანათლავი, იმაში მო-
ნათლა; ამისი დამსწრეცა ვარ და მახსოვარიცა და ნება მსაჯულთა
არისო.

ესოდენთა პატიოსანთა და სარწმუნოთა თანამოქამეთა და
დამსწრეთა გვამთაგან ბუშად ქალანთრისა აღმოჩნდა ედია, რო-
მელსაც სჯული ეკლესიური და გარეშეცა არა უმკვიდრებს ძესა
უჯეროსა ძისა თანა სჯულიერისა.

და კანონიცა სულიერი წმინდათა კრებათაგან არა რაცხს ჯე-
როვნად ცოლსაცა მეოთ[ხ]ესა, რომლისათვისაცა უმეტესად
ქრისტეანეთა ყოველთაგან უცილებელად სჯული სამღთო და კა-
ცობრივი განაგდებს მემკვიდრეობისაგან მამულისა ხასად მყოფის
რძლისაგან ნაშობსა ედიას, რომელსაც არა აქვს წილი ყმისა და
მამულისა არცა ერთი ზაქარია[ს] შვილებთან საუკუნოდ, გარდა მო-
ნასყიდეობისა მამისა ანუ პაპისა თვისისაგან.

მაგრამ ჩვენ მოსამართლეთ თხოვისაებრ ედია[ს] შვილის დიმი-
ტრისა დავსდევით პაემნად დღე ორმოცი. ამ ორმოცს დღემდის
კიდევ იძიოს დიმიტრიმ ღონე განმართლებისა. და თუ ამ ზემო
აღწერილთა მოწამეთაგან განსამართლებელს რასმე საბუთს
იშო[ვ]ის, მიიღებს მაშინ განმართლების განაჩენს.
და თუ ვერ იშოვის, მას დღეს იქით ზაქარია[ს] შვილებს ძმად
და მ-წ-ლედ ველარას ედავება. ივნისის იბ, ქორონიკონს უპჱ.
ქ. ·ეშიგალასბაშო იოსებ! განაჩენი ესე ასე აღასრულე.

ცხრა ბეჭედი:

1. იოანე
2. გიორგი
3. მდივანბეგი ჯავახისძე ვახუშტი
4. ზაალ
5. მდივანბეგი დავით
6. მდივანბეგი იოანე
7. მონა ღთისა მდივანბეგი ადამ
8. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანბეგი მეფისა სოლომონ
9. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

ქ. ამ განაჩენში რომ ვადა სწერია, რომ ორმოცს დღეზედ ედიას შვილს საბუთი უნდა ეშოვნა, თუმცა ედიას შვილმა მოწმობის წერილები მოიტანა, მაგრამ ასეთი საბუთები არ იყო, რომ ამ განაჩენში მოხსენებული ძლიერი და სარწმუნო მოწმე[ე]ბი დაერღვია.

და ამას გარდა ედია[ს] შვილის დიმიტრის დედიდამ ნაიბის ქალმა ბეგუმმაც ასე იმოწმა: ედიას ცოლი ჩემი და იყოო და, დიაღ, კარგად ვიცი, რომ ჩემი სიძე ედია ქალანთარს თათრობაში ჰყოლოდაო. ამით უფრო დამტკიცდა და საბოლოოდ გარდასწყდა, რომ ედიას შვილი ზაქარიას შვილებს ველარას ედავება. ოკდომბერს **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ექვსი ბეჭედი:

1. იოანე
2. მდივანბეგი დავით
3. გიორგი
4. მდივანბეგი ჯავახის ძე ვახუშტი
5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
6. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეფე გიორგი მეა[თ]სამმეტე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ოკტომბერს **ზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მეფე გიორგი

კიდეზე:

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოს-პატრიარხი, ძე სანატრელისა ჴელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი, განჩინებას ამას ვამტკიცებთ. ოკდონბერს **ი**, ქრისტეს აქეთ **ჩყ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთის მემკვიდრე მეფის ძე დავით, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. გიორგობის **კგ**, ქორონიკონს **უპჱ**. [დავით]

ქ. ჩვენ, მეფის ძე ბაგრატ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ოკდონბრის **ჱ**, ქორონიკონს **უპჱ**. [მგძბ]

ქ. მეფის ძე თეიმურაზ ვამტკიცებ. ოკდომბრის **ჱ**, ქორონიკონს **უპჱ**. [თეიმ ურაზ]

98. განჩინება სოლომონ და ლუარსაბ თარხნიშვილების მამულის საქმეზე

1800 წ. 13 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2505. დედანი. ქაღალდი. 31,7×21,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას ყოვლისა საქართველოჲსა მეფეს გიორგის ჩვენ — მათის შვილის, საქართველოს მემკვიდრის, რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტის და კავალერის მეფის ძის დავითისათვის ებრძანებინა: საქართველოს მსაჯულთ თანდასწრებით თარხნისშვილებისა სოლომონ მეითრისა და ამისის ბიძაშვილის ლუარსაბის საჩივრის მოსმენა და სამართლის მიცემა. ჩვენ ესენი ბრძანებისამებრ მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

სოლომონ მეითარი ჩიოდა: ჩვენს საწილოს მამულზედ მოკრული მუხათი იყო, და ლუარსაბის სახლმა ბაბათაშვილისაგან და ჩემი საკუთარი საწილო სათარხნო მამულიც შეიგდო, რომ ესეც მუხათისა არისო.

და ამათგან ამ სარჩელს კულავაც გაევლო მოსამართლეებთან, რომლისაც განაჩენი სოლომონ მეითარმა მოგვიტანა, რომელშიაც ფიცი განჩენიათ. და ჩვენც ისევ იმავ განაჩენს შევუდეგით, რადგან ჯეროვანი სამართალი იყო. და ჩვენც ისევ ფიცი განვაჩინეთ, რომ როგორც იმ განაჩენში არის გარდაწყვეტილი, მინბაშმა ლუარსაბმა იმავ სახით იგივ კაცნი უნდა შეაფიცოს იმ განაჩენში დაწერილისა ძალისამებრ.

ამას გარდა კიდევ მეითარს სოლომონს ოთხს ხოდაბუნზედ უჩივლია და სამართლით მეითარს სოლომონს დარჩენია, რომ ამაზედაც მოსამართლეთაგან განაჩენი სოლომონს ჴელთ უჭირავს; და ესევ განჩინება ბეცია თარხნისაგანაც ჴელმოწერილი არის, რომ ნება მაქვსო.

რადგან ეს ასე არის, მინბაშმა ლუარსაბმა და ამისმა ძმამ ასის დღის მიწად უნდა შეუსრულონ და მეითარს სოლომონს და ამისს ძმებს უნდა მოსცენ. და რაგვარადაც ლუარსაბის ხოდაბუნსა აქვს წყალი, ეს უნდა მსახლობელთა და მახსოვართაგან უნდა გამოიკითხონ; და თუ ამასაც ქონებია, მაშინ სოლომონსაც უნდა რომ წყალი მოსცენ.

და ლუარსაბს საბათგორის ხოდაბუნთან რომ მეითრის ყმის შაჰყულას მიწა მოუხნავს, ისიც ისევ თავისს პატრონს შაჰყულას უნდა დაანებონ.

უშიკაღასბაშო ერასტისშვილო ნინიაე! ეს ასე აღასრულე. ივნისის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**. დავით

§9. განჩინება ზაალ დავითიშვილისა და შანშე რამაზიშვილის მამულის საქმეზე

1800 წ. 13 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6418. დედანი. ქაღალდი 49×33,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობას ჩვენს ქელმწიფეს ბატონს მამა ჩვენს ჩვენ — მათის შვილის იოანესათვის დავითისშვილის ზაალისა და რამაზისშვილის შანშესი და იმის შვილების სამართალი ებრძანა.

სამართალში ვალაპარაკეთ და ასეთი საბუთი არა ჩნდა რა, რომ უფიცართ გარდაწყვეტილიყო. და სამართლით ფიცი ზაალ დავითისშვილს დაედვა. რვა თავადით და აზნაურით უნდა შეეფიცნა — შეგდებულითა და შეუგდებელითა. შანშეს შვილებმა შეუგდეს თავადის შვილები და აზნაურშვილები, რომელნიც იმ ჩვენგან მიცემულს ფიცის განაჩენში ნიშნეულად და გარჩევით სწერიან, შანშეს შვილებმა ისინი შეუგდეს და კიდეც დასჯერდნენ იმათს ფიცს.

და მდივანბეგი იოანე ჩოლოყაშვილი ამის იასაული იყო. იმ სამართლის განჩინებისამებრ მიუყვანია ეს მოფიცარ-მოდაევნი და მოფიცრად შეგდებულთ ფიცი მოუნდომებიათ და შანშე[ს] შვილებს არ დაუფიცებიათ, რომ იოანე მდივანბეგს კელი მოუწერია, როგორც მომხდარა; და ზაალ დავითისშვილს კელთ უჭირავს, და სხუანი მოწმებიც კელს აწერენ, რომელნიც მოფიცრად მიჰყოლიან; ზაალს სანთლები კელთ სჭერია, რამაზისშვილები მიუპატიჟნია, რომ მომიძეხით, დამაფიცეთო და როსტომ და სოლომონ არ გაჰყოლიან.

რადგანც ასე მომხდარა, ახლა თუ ის იმადგან შეგდებულნი მოწმენი სარწმუნო კაცნი არ იყვნენ, რად შეუგდეს. ლუარსაბ მაჩაბლისა და გლახა ავალიშვილის მოფიცრობა ჩვენ მაშინვე მოვშალეთ და არც იქნება. რომელიც სხუანი მოფიცრები შანშე[ს] შვილებმა თავეთის ნებით შეუგდეს, რომ იმ განაჩენში სწერია, თუ უნდოდესთ, იმათს ფიცსვე დასჯერდნენ; თუ არადა, როგორც იმ განაჩენში სწერია, ისრე უნდა აღსრულდეს. და ამათი სადაო მამული ზაალ დავითისშვილს დანებდეს. ივნისის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**.

ქ.* ეს ასე უნდა აღასრულო. შეგდებულნი მოფიცრები — თავადნი და აზნაურნი ესენი ყოფილან: ფალავანდიშვილი იაკობ, ამირეჯიბი ზაზა, მირზაშვილი გოგია და კვალიაშვილი დავით. და შეუგდებელნი მოფიცარნი: მაჩაბელი ავთანდილ და ხიდირბეგისშვილი ქაიხოსრო და აზნაურიშვილი ბარამაშვილი გრიგოლ და სანთლიკუდაშვილი ბესარიონ.

ესენი შანშე[ს] შვილებისაგან შეგდებულნი ყოფილან, და საფიცრათ რომ მისულან, აღარ დაუფიცებიათ შანშე[ს] შვილებს. და რადგანაც ესენი შეუგდეს მოფიცრათ და მასუკან აღარ დაუფიცეს, სამართლის გვარით დაფიცებულნი არიან.

მაგრამ რადგანც შანშე[ს] შვილები კიდევ ლაპარაკობენ, თუ უნდოდესთ, ამ თავეთგან შეგდებულს მოფიცრებსვე დაუფიცონ; თუ არადა, სხუათა შეგდება აღარ იქნება. სამართლის ძალით ზაალს დარჩება, გარდაწყვეტილი ეს არის. იოანე

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩასაწერად.

100. განჩინება ვარდისუბნელთ, მგალობლიანთა და მერელთ მამულის საქმეზე

1800 წ. 20 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10393. დედანი. ქაღალდი. გრაგნილი. 70×49 სმ. მხედრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე, წერტილი ან ორწერტილი. საბუთს ვათარიღებთ მეორე (სწორი) განჩინების მიხედვით.

[პირველი განჩინება]

სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ — პატრიარხის და აშბა ალავერდელ მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოჲს სანატრელის მეფის მეორის ირაკლის ძის, ანტონის წინაშე ეჩივლათ ვარდისუბნელთ მერელებისაგან თავიანთ მამულების მიმძლავრებაზედ; და ამ მერელებთან მგალობლიანთაც უჩივოდნენ ვარდისუბნელნი; და ვარდისუბნელებს ამაზედ იმისის უწმიდესობისათჳს სამართალი ეთხოვათ.

ამისათჳს იმისმა უწმინდესობამ ჩუენ, მოსამართლენი, შეგვკრიბა და ამ ვარდისუბნელთ და მერელთ საჩივრის გამოძიება და სამართალი გვიბრძანა. და ამათმა ლაპარაკმა მრავალრიგად გაიარა.

მგალობლიანნი და მერელნი ვარდისუბნელებს ეუბნებოდნენ: დიდი ხანია გვიჭირავს და არავინ გუდავებიაო.

ვარდისუბნელნი უპასუხებდნენ: მართალია, გიჭირავსთ, მაგრა უსამართლოდ და მძლავრობით არეულობის დ[როება]ში დაგიჭერიათ და სხუას ალავერდელებთანაც ადგილი ვერ ვიშოვნეთ ლაპარაკისა და ვერც ისინი გვიზემდენ სამართალს. მაგრამ რადგანც ახლა ჩუენი ბატონი და პატრონი მისი უწმიდესობა მეფის ძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი და ალავერდელი ბრძანდება, ამისთჳს ამას ჩუენი საჩივარი მოვახსენეთ და გვედავებითო.

მერმე ჩუენ, მოსამართლენი, მისის უწმიდესობის ბრძანებით წარვედით და ამ ვარდისუბნელების სადავო მამულები დავიარეთ და კარგად გავსინჯეთ, რომელიც თჳთ მისს უწმიდესობასაც ენახა, და ეს მამულები სრულებით დავსწერეთ, რომ [არი]ს ორასთერთმეტის დღის მიწა. შემდგომ ამისსა მოვატანინეთ მერის გუჯარი, რომელშიაც ჰსწერს და შეუწირავს სანატრელს მეფეს ალ[ექ]სანდრე]ს ალავერდის წმიდის დიდის მთავარმოწამის გიორგისათვს მერის სოფელი საწინამძღვრო და სამი კომლი ბაქრაძე აზნაურიშვილები რაჭიდამ [ეულ]ნი ქორონიკონს **ხი.** და აგრეთვე დიდს მეფეს ირაკლის შეუწირავს სოფელი ვარდისუბანი კახაბრისავე ნებით და მოჴსენებით ქორონიკონს ტდგ.

და ასე სხუა და სხუა ყოფილა ეს სოფლები და ამათი მამულები; თუმცა ახლა ორივ წმიდის დიდის მთავარმოწამის გიორგის ყმანი არიან, მაგრამ ამათი მამულები კი გარჩეული ყოფილა და არც ერთმანეთში არეული ექნებოდათ, ამისთჳს რომ მერე სახასო საწინამძღურო ყოფილა და ვარდისუბანი სათავადისშჳლო კახაბრისა: და აბა როგორ იქნებოდა, რომ სახასოს სოფლის მამულები სათავადისშვილოს სოფლის მამულებში სამზღუარს შიგნით — შიგა და შიგ შერევით ყოფილიყოს.

და ჩუენც გავსინჯეთ, რომ ვარდისუბნის მამულები აღმოსავლეთისაკენ არის თავისის სამზღურით და მერის სოფლისა დასავლეთისაკენ არის თავისის სამზღურით. და კიდევ ესეც რომ, თუ ამათი მამულები ერთი იყო, მერელებს ვარდისუბნის მამულებში შიგა და შიგ შერთჳთ რომ უჭირავსთ მამულები, რატომ ამ ვარდისუბნელებსაც არ უჭირავსთ მერელების მამულებში ასე ამგუარად შიგა და შიგ შერთჳთ.

და ამ წინამდებარეს მიზეზებით ჰსჩანს, რომ მერელებს ამ სავარდისუბნოს სამზღაურს შიგნით არ უნდა ჰსჭეროდათ მამულები, თუ არ წყალობისა და ან ნასყიდობის წერილებით. ჩუენ ეს წერილები რამდენჯერაც მოვსთხოვეთ სამართალში, იმდენჯერ ასე გვიპასუხეს: არც ერთი არა გუაქუსო, მაგრა დიდის ხნის ჭერას კი ამბობენ.

და ჩუენ რომ მერელებისა და ვარდისუბნის მამულები დავიარეთ, ამ მერელთ თავიანთ საზომზე თავიანთსავე სამზღაურს შიგნით დასავლეთისაკენ თავსა თუ ბოლოს გარდამეტებითაცა აქუსთ მამულები, ამაზედ სამართლით არც ერთ მჴარეს ფიცი არცკი შეხუდებოდათ, ამისთჳს, რომ ზემოწერილისაებრ ამათის მამულების სამზღურები ცხადათა ჰსჩანს.

ჩუენ მგალობლიანთ და მერელთ მოწმით ფიცი დავსდევით ორის მიზეზისათჳს — ერთი ამისთჳს, რომ დიდის ხნის ჭერას ამბობენ; მეორედ ამისთვის, რომ ამ ვარდისუბნელების სამზღაურს შიგნით უჭირავსთ, ასე რომ მგალობლიანთ უნდა იშოვნონ უმტერ-უმოყვრო თავისნი ამხანაგნი საყდრიონიდამ ორი აზნაურშჳლნი და ამ ორიდამ ერთი სარწმუნო აზნაურშჳლი მოიყოლიონ. და

აგრეთვე მერელებმა უნდა იშოვნონ უმტერ-უმოყვრო თავისნი ამხანაგნი ამ ოთხის სოფლიდამ — არტოზნიდამ, რუისპირიდამ, გულგულიდამ და თელავს კურდღელაურიდამ — ოთხ-ოთხი კაცი, რო[მ] იქნება თექუსმეტი კაცი, აქედამ რვა სარწმუნო კაცი მოიყოლიონ.

მგალობლისშვილებმა თავიანთის მოწმითა და მერელებმა თავიანთის მოწმებითა ასე დაიფიცონ წმიდას სახარებაზედა და წმიდას ჯუარზედა, რომ: «ამ წმიდის სახარებისა და ჯუარის მადლმა, თქუენ ვარდისუბნელნო, დღევანდლამდინ არავინ გუდავებიაო და კახაბრის დროსაც ეს მამულები ასე შიგა და შიგ შერთჳთ გუჭერიაო». თუ ასე დაიფიცევენ, დარჩებათ მგალობლიანთ და მერელთ; და თუ ვერ დაიფიცევენ, დარჩებათ ვარდისუბნელთ.

ბოქოულთხუცესო ნათანისშჳლო გრიგოლ და ბოქაულთხუცესო ფარემუზისშვილო დავით! ეს ასე უნდა აღსრულოთ. აღიწერა წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა **ჩლჳმ**, ხოლო ქართულსა ქრონიკონსა **უპვ**, თთუესა იუნისსა **ა**.

ხუთი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბეჟან.
2. იოანე. ხელრთჳა: იოანე
3. მიწა ვარ, დავითრგუნები დავით
4. მდივან-ნაზირი სვიმონ
5. მდივანი იოანე.

თავში:

ჭ. ჩუენ, დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ივნისს **ა**, ქორონიკონს **უპვ**. ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

კიდეზე:

ჩუენ, სრულიად საქართუელოჲსა კათოლიკოს-პატრიარხი და ალავერდელ მიტროპოლიტი, მეფის მეორის ირაკლის ძე, ანტონი, მოსამართლეთაგან განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. წელსა **ჩლჳმ** იუნისს **ა**.

ხელრთჳა: კათალიკოსი ანტონი.

[მეორე განჩინება]

მათის უმაღლესობის სრულიად საქართუელოსა და სხვათა მეათსამეტეს მეფის გიორგისა და მათის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდლის მეფის ძის ანტონის ბრძანებით შევკრებით სამსაჯულოდ ერთობით საქართუელოს მსაჯულთა შეკრებულება, სალთხუცეს არმის ეშიგაღასბაში ალექსანდრეს ნაზირი დავით.

ვარდისუბნელნი, მერელნი და მგალობლიშვილები სამართალში ვალაპარაკეთ, ამათი სამართალი და სიტყუისგება ყოველი მოვისმინეთ, სამართალი გამოვიძიეთ და ეს პირველშიცემული განაჩენი გავჩხრიკეთ, რომელშიაც ორისა მჯრის საბუთები სიმართლით იყო აღწერილი, მაგრამ ვერ სიმართლით იყო გარდაწყუეტილი: ერთი ამისთვის, რომ ორასის წლის ნაქონებს მიწებზე სამართალი ფიცს არა ბრძანებს; და მეორედ, მოსამართლეთ როგორმე დაჰკლებიათ, რომ სასოფლო სადაოს მიწებზე გარეშე მოწამენი ოფიცრად შეუგდიათ.

ჩუენ მეფის ვახტანგის სამართლის წიგნიდამ ასე განვაჩინეთ. რადგან ამ ორასს წელიწადში მგალობლიანთა და მერელთაგან ამ სადაოს მიწების ქონებას თვით ვარდისუბნელნი მოდავენი ემოწმებოდნენ, ფიცი სრულებით საჭირო აღარ იყო. მაგრამ დავის გარდაწყუეტისა და საბოლოოს შშვიდობისა[v]თვის თვით მერელთა და მგალობლიანთ სამართლიდამ ფიცი ითხოეს.

წარდგნენ წმინდის გიორგის ეკლესიაში მგალობლიშვილები სახლიდამ ერთი და იმ სადაოს მიწების მოწილენი ბაქრაძეები და სუმბაძეები, მიჰყუნენ ვარდისუბნელნი მოფიცართ რიცხვით თანასწორნი და ასე შეჰფიცონ: «ამისმან მადლმან და განმაცხოველებელმან ღმერთმან, ვარდისუბნელნო, ის მიწები რომელსაც გვედავებით, მერელთიც იყოს და არც მამა-პაპის დროს და არც ჩუენ დროს თქუენ და თქუენნი მამა-პაპანი ჩუენ არა გვედავებოდეთ».

თუ ასე შეჰფიცეს, დარჩებათ ეს სადაო მიწები მგალობლიანთ და მერელთ და განაჩენიც ამათ მიეცემათ. და თუ ვერ შეჰფიცეს, დარჩებათ ვარდისუბნელთ და განაჩენიც ვარდისუბნელთ უნდა მიეცესთ.

ბატონო სალთხუცეს არმის ეშიგაღასბაშო ალექსანდრე და ბოქოულთხუცესო ფარემუზისშვილო დავით! როგორც მეორედ განსჯილსა ამას განაჩენში სწერია, ასე აღასრულეთ. ივნისის კ, ქორონიკონს **უპზ**, წელთა **ჩუ**.

ექვსი ბეჭედი:

1. მდივანბეგი დავით
2. ზაალ
3. მონა ღთის მდივანბეგი ადამ

4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ*

5. მონა ღთის თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ

6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ*.

ჭ. მათის უმაღლესობისაგან მებრძანა ამ სამართალში დასწრება და ბრძანებისამებრ მათის უმაღლესობისა ამათს სამართალში დავესწარ და მეც თანახმა ვარ ამ სამართლისა. სახლთუხუცეს არმის ეშიკაღასბაში ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

ბეჭედი: ეშიკაღასბაში სალთხუცესი მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

ჭ. მათს უმაღლესობისაგან მებძანა ამ სამართალში დასწრება და ბძანებისამებრ მათის უმაღლესობისა ამათს სამართალში დავესწარ და მეც თანაჯმა ვარ ამ სამართლისა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ნაზირი.

ბეჭედი: მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი თ ა ვ ი თ.

თავში:

ჭ. ჩვენ, მ ე ფ ე სრულიად საქართველოისა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი, ამ მეორეს სამართალს ვამტკიცებთ. ეს როგორც მსაჯულთ განუსჯიათ [მგალობლი]ანთ დაფიცება უმოწმოთ, [ჩ]ვენც [ასე ვამ]ტკიცებთ. და ის პირ[ველი] განაჩენი [უსწორო არის] და სწორი და ჭეშმარიტი სამართალი ეს [ა]რის. მთიბავთის **იზ** (?), ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

101. განჩინება პაპუა ტატიშვილისა და ნინიას სასისხლო საქმეზე

1800 წ. 23 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11421. დედანი. ქაღალდი. 25,3×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჭ. ტ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ი პ ა პ უ ა უჩიოდა თავისის განაყოფის ზურაბის კაცს — ივანეს შვილს ნ ი ნ ი ა ს. თივის თიბ[ვ]აში ჩხუბი მოსლოდათ და ტატისშვილისათვის თავი გაეტეხა ივანეს შვილს.

ჩვენ — მეფის ძემ თ ე ი მ ურ ა ზ და მ ი ლ ა ხ ვ ა რ მ ა ო თ ა რ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ.

ის კაცი ამბობდა თავისგამტეხი: ეგ მომიხდაო, გამლახაო და მეც თავი გაუტეხეო. ტატიშვილი ამბობდა: ეგ მომიხდაო.

* ერთიდაიგივე ბეჭედი.

ამაში არავინ დასწრებოდა სხვა უცხო კაცი, რომ შეგვეტყო პირველად ვინ მიხდომოდ[ა]. მაგრამ რომ გავშინჯეთ, ეს ტატისშვილი თავგატეხილი იყო ორგან, რომელიც გავზომეთ და ხუთი ქერის მარცვალი გამოვიდა და ნახევარი. და [ა]მ ტატისშვილის თავის გამტეხი რომ გავშინჯეთ, არც ნაცემი ჰქონდა და [ა]რც გატეხილი; ორს ალაგს პირის სახეზედ გაფხაჭნილივი ჰქონდა. ამის მეტი ნაცემი არა ჰქონდა რა.

და უმცროსისაგან უფროსის თავის გატეხა, დიახ, მძიმეა. და ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ში **მთ** რიცხვში არის განწესებული შუა აზნაურისა ქერის მარცვალზედ თექვსმეტი მილანთული. მაგრამ ჩვენ ეს სისხლი გაუშვით. და რადგან გლეხია და ეს აზნაურშვილი, ჩვენ საუპატიოდ თორმეტი თუმანი განუწესეთ. აქედამ მეოთხედი სამართალმა იპატივა. ერთი წილი თეთრი უნდა მისცეს და ორი წილი ჯინში.

იასაულნო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ო გ ო გ ი ა ვ და მოურავის შვილო ზ უ რ ა ბ! ეს ასე აღასრულეთ. ივნისის **კგ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ორი ბეჭედი:

1. თ ე ი მ ურ ა ზ
2. მონა ღთისა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ო თ ა რ(?)

თავში:

ჭ. უგანათლებულესო შვილო ბატონო თ ე ი მ ურ ა ზ! მერე როგორც ამისთვის სამართალი მოგიცია, ჩვენც ეს დაგვიმტკიცებია. ბოლოს სამართალი ეს არის და ამაზედ უნდა დააყენო. სექტემბრის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**. მეფე გიორგი

კიდეზე:

ჭ. დ ა ვ ი თ ა ბ ა შ ი ძ ე! ამ სამართალზე უნდა დადგეს. სხვა სამართლისაც დაგვიყენებია. ასე აღასრულე. სექტემბრის თ, [ქორონიკონს] **უპჱ**. დავით

102. განჩინება თბილელის ეკლესიის თეთრის ანგარიშის თაობაზე

1800 წ. 2 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3108. დედანი. ჭაღალდი 34×16,8 სმ. მხედრული. განკუეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათსს უმაღლესობას, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხუათა მეფეს გიორგის ჩვენ — მათის შვილის იოანესათვის, თუმანისშვილის ნიკოლოზისა, მდივნის სულხანისა და მანუჩარის და ევსტატის მღვდლის ებძანა, რომ: მელიქი დარჩია და ფითუაშვილი აღა თან დაისწარ და ამათი ანგარიში ნახეო, რომელიც თბილელის ეკლესიის თეთრი არისო.

ჩვენ ბრძანებისაებრ ესენი მოვაყვანინეთ და ანგარიში ვნახეთ, რომელიც დღეს თამასუქები ჯელთ ეჭირათ და სიაზე კურთხეულის ბატონისაგან ჯელმოწერილი იყო ქორონიკონს **უპბ** — ამ წელს ყოფილიყო ერთი ანგარიში და თეთრი დამდგარიყო **უპთ** (ოთხას ოთხმოცდაცხრა) და ახლა იქიდამ მოკიდებული ვიანგარიშეთ რომელიც თავნი და სარგებელი იყო სრულად **ღგ ჰს** (შვიდასორი თუმანი, ხუთი მინალთუნი და ერთი აბაზი) ესენი უნდა სრულად აიკრიფოს და რომელსაც მისმა უმაღლესობამ, ბატონმა მამაჩვენა უბძანოს, ეს თეთრი იმას უნდა მიბარდეს. და ეკლესი-[ა]ს არა დაეკარგოს რა.

იასაულო, ამაზედ ბეჯითად უნდა მოიქცე და ასე აღასრულო. ივლისს **ბ**, ქორონიკონს **უპმ**.

verso

ქ. რუისს ელიამ ჭერი კოდი **ჱ**
ქ. უმეკაშვილისა პური კოდი **ბ**
ქ. ღონღაძეზედ პური კოდი **ა**
ქ. თედიასი ქებიაშვილისა პური კოდი **აი**
ქ. ბუღუტაურისა შარშანდელი კოდი **გ**
ქ. ხუჭიაშვილს ბასილაზედ ჭერი **აი** გიორგის.

მინაწერი: საყდრის თეთრის ანგარიში რომ ნახეს, იმისი ნუსხა[1] არის.

[1] ნუხსა.

103. განჩინება ნინია ხიდირბეგიშვილის ყმების საქმეზე

1800 წ. 4 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 25. საბ. № 40. პირი. ჭაღალდი. მხედრული.

[51] ხიდირბეგიშვილს ნინიას სურამელი თავისი ყმები ურიანი ისაკ, აბრამ და იმისი ძმები რომ სვეტისცხოველის ყმობით ედავებოდენ და ურიათ განაჩენით ფიცი დაედვათ, შემდგომად იმ განაჩენის დაწერისა ხიდირბეგისშვილს ნინიას მათის უმაღლესობის მეფისათვის მეფის ვახტანგის დავთარი მიერთმია, რომელშიაც ამ მოჩივართ ურიათ ისაკ, აბრამასა და მის ძმათ მამა-ბიძებისა და განაყო[v]ფის სახელები სურამში ხოდირბეგისშვილის ყმად ეწერა.

მათს უმაღლესობას მეფეს მეფის ვახტანგის დავთარიცა და ორნივ მოდავენი ჩვენ — მსაჯულთშეკრებულებასთან წარმოეგზავნა და ოქმით ებძანა — ეს დავთარი გაჩხრიკეთ და სამართალი ისე უსაჯეთო. ჩვენ მეორედ უმაღლესის ბძანებისაებრ გამოძიება ვყავით და სამართალში ვალაპარაკეთ.

ურიანი ამბობდნენ: ამ მეფის ვახტანგის დავთარში რომ მანაშერა ურია ხიდერბეგისშვილის ყმად სწერია, ჩვენ იმისი შვილები ვართ, ცხინვალიდამ ავიყარენით, სურამს ხიზნად მოვედით და მძლავრებით ყმად დაგვიჭირეს და ხიზნის შვილებად დავთარში დაგვწერესო.

ხიდირბეგიშვილი მიუგებდა: თქვენ ჩემი მკვიდრნი ყმანი ხართ, როგორც ძველი დავთარი აცხადებსო და დოკუმენტი კათალიკოზის სიგელში რომ სვეტისცხოველის ყმად მანაშერა ურია, ისაკა, შალომა, და იოსებ სწერია, ისინი სხვანი არიანო.

რადგან შესწამებს ხიდირბეგიშვილი, რომ თქვენ იმათი შვილები არა ხართ, ისინი სხვანი არიანო და მეფის ვახტანგის დავთრით ყმად ეჭიდება, ამისთვის მარტო მოჩივართ ურიათაგან ფიცი მისაყოფელად ვერ შევრაცხეთ; და ჩვენ რომ განაჩენით მარტო მოჩივართ ურიათ ფიცი დავადევით, იმავ განაჩენს მეფის ვახტანგის დავთრით, რომელშიაც ხიდირ[52] ბეგისშვილის ყმად აცხადებს, მხოლოდ ეს შევსძინეთ, რომ ორის შეგდებულის მოწმით შეჰფიცონ, ორი ურია სურამიდამ და ორი ურია ცხინვალიდამ, რომელიც ხიდირბეგისშვილს უნდოდეს, შეუგდოს; ოთხში ორი იმო-

ონ და ხუთთავ ძმა ორის მოწმით ავალიანთ დაბადებაზე ასე შეჰფიცონ, რომ: «რომელიც დომენტი კათალიკოზის სიგელში ურიანი — მანაშერა, ისაკა, შალომა და იოსებ სწერია სვეტისცხოველის ყმად, ჩვენც იმათი შვილებიც ვიყვნეთ და სვეტისცხოველის ყმანიც ვიყვნეთ. თუ არ მძლავრებით, სამართლით თქვენ ჩვენთან საბატონყმოდ საქმე არა გქონდესთ». თუ ასე შეჰფიცეს, დარჩება სვეტიცხოველს; და თუ ვერ შეჰფიცეს, დარჩებათ ხიდირბეგისშვილს.

ბატონო სალთხუცესო არმის ეშიგაღასბაშო ალექსანდრე! ასე აღასრულე. ივლისის **დ**, ჭორონიკონს **უპშ**.

ქ. ამ ურიაების მხარეს მოდავენი რომ ამბობდენ, ურიათ მოფიცარი არ აძესო, ამაზე გამოძიება ვყავით. ახალდაბელმა ურიამ ისაკამ მოგვახსენა მოსამართლეთ: დედოფალთან სარჩელი გვქონდა და განაჩენით ლეჩხუმელთ ურიათ შეგდებული მოფიცარი დაედვათო. კიდევ ამირაჯიბმა ზაზამ იმოწმა: მე იასაულათ ვიყავ რომ ფალავანდიანთ ურიაებს შეგდებული მოფიცარი დაედვათ და ისე შეჰფიცესო.

ამით უმეტესად დავამტკიცეთ, რომ როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა აღსრულდეს.



104. განჩინება ტერნიკოლოზას და უუზანაანთ აკოფას ვალის საქმეზე

1800 წ. 5 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1315. დედანი. ქაღალდი. 34,2×21,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის ბძანებით და ბატონის მელიქის მარიფათით ვანქის ტერ-პოღოზა შვილი ტერნიკოღოზას და ყუზანა[ა]ნთ მათოზა შვილი აკოფას სამართალი გავსინჯეთ.

ტერ-ნიკოღოზა ასე ჩიოდა: შვიდს წელიწადს წინად ჩემი და ამ აკოფოას ძმას მოსესას მივათხოვე, ოცდაათი თუმანი ნაღდი თეთრი გაუგზავნე. ხანი გამოიარა; ჩემი და დატყვევდა და ტყვეობაში მამკუდარიყო. ჩემს სასიძე მოსესას ჩემი მიცემული თეთრი ვთხოვე. იმანაც ჟამი მთხოვა, რო[მ] მამცეს. ხანი აღარ დასცალდა, მიიცვალა. რაცა ჰქონდა, ამ თავის ძმას აკოფასთან არისო. მე მოვალები უმოწყალოთ მაწუხებენ, მამცეს ჩემი თეთრი, მივცე ჩემს მოვალებს და სული დავიხსნაო.

აკოფა ეპასუხებოდა: ჩემი ძმა ჩემგან გაყრილი არისო; თუ რამ იმისი იყო ჩემთან, რო[მ] მოკუდა ჩემი ძმა, სულზე დავხარჯე, ჩემთან აღარ არის რა ჩემის ძმისაო. და რაც იმისი კერძი მამული დარჩომილა, შენი თეთრი იქიდამ აიღეო.

ჩვენ, ქვემოდ აღმბეჭდველნი, მოსესასი რაც დარჩომოდა თავის ძმასთან, ისიც მოვიკითხეთ და რაც დაეხარჯა, იმისი ნუხსაცა. აკოფა[მ] ერთი ნუხსა გამოიტანა. იმაში თავის ძმისგან მიცემული ნივთებიც ეწერა და სულზე დანახარჯიც, რაც მოჰნახიბი დანახარჯი იყო, ჩავაგდეთ. ძირს დარჩა ხუთი თუმანი, რადგანც მოსესა არ იყო ცოცხალი და მალიათისაც არ დარჩომილა მამულისა ერთი სახლის მეტი, იმ ოცდაათის თუმნისა სარგებელიც ჩავატარეთ და თხუთმეტი თუმანიც თავიდამ მოუჭერით. ამ აკოფამ ან ეს თხუთმეტი თუმანი თავის ძმის ვალი მისცეს და თავის ძმის კერძო სახლს მოეპატრონოს, და ან ის ხუთი თუმანი მისცეს ტერ-ნიკოღოზას. და დანარჩომი მოსესასი რაც იპოოს — მამული თუ ქონება, იქიდამ აიღოს.

მაგრამ ტერ-ნიკოღოზა ამბობდა: მაგ სიას გარდა კიდევ არის შენთან საქონელი შენის ძმისაო. თუ საბუთს უზამს, იმასაც გამოართმევს.

ჩვენ ასე გავარიგეთ ამათი საქმე, ნება მათი [უმაღლესობისა] აღსრულდეს. ივლისის **ე**, ჭორონიკონს **უპშ**. სომხ სომხ

ქ. მე, ნორაშენის დეკანოზი ტერ-მელქისათას შვილი ტერ-მოსესა[1] ამ სამართლის დამსწრე ვარ. ხელრთვა: ტერ-მოსესა.

ქ. ამ სამართლის დამსწრე ვარ მე, ყამაზანთ მურადას შვილი ოჰანეზ.

ქ. ამ სამართლის დამ[ს]წრე. ვარ ასლან ძე სტეფან...* ხელრთვა: ასლან.

ქ. ამ სამართლის დამ[ხ]დური და მოწამე ვარ მე, ფულათ სტეფანას შვილი სააკ.

ქ. ამ სამართლის დამსწრე და მოწამე ვარ მე ალადაღას ძე ნასყიდა. ნასყიდა

[1] ტერ მოსესამ.
* ერთი სიტყვა არ ირჩევა.

ქ. ამისი მოწამე ვარ მელიქ-მამასახლისი დ ა რ ჩ ი ა. დარჩია

ქ. სრულებით ჩემ თეთრი მამებარა. ამ თამასუქის მეტი არა მაქვს მე — ტერ-ნიკოღოსასა მოყრობის მეტი რა. ეს ჩემი ქელია. †

ქ. ამ განაჩენის მობალალი ჩემს ხელთ ტერ-ნიკოღოს მოჰბარდა. ამაოში ძმობის და სიყვარულის მეტი არ დარჩომილა. ამ საქმის დამსწრე ვარ მე — ფირყულანთ ნაზარბეგის შვილი გიორგი, თეთრს დავაჯერეთ.

ქ. მე, ტერ-ნიკოღოსას, როგორც სწერია, სულ მამბარდა. ეს ჩემი ხელია. ††

105. განჩინება აღალოასა და მიროას ვალის საქმეზე.

1800 წ. 9 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. № 1160. დედანი. ქაღალდი 31,5×18,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბ[ე]დნიერის ჯელმწიფისათვის ა ღ ა ლ ო ა ს არზით მოეხსენებინა: მ ი რ ო ა მ სხვისა თეთრი ამაღებინა ვადითაო, ვადამ გაირა, ვთხოვ და არ მაძლევსო.

ბედნიერს ჯელმწიფეს ამის სამართალი ოქმით ჩვენთვის ებრძანებინა. ჩვენ მიროაც მოვაყვანინეთ, აღალოა, და ის ორნივ ერთათ ვალაპარაკეთ.

მ ი რ ო ა ამას ე პ ა ს უ ხ ე ბ ო დ ა: ჩემგან დანახარჯი გქონდა და დედოფალს რომ სამღებროს ართმევდნენ, ეს თეთრი იმიტომ დაგატყუეო, რომ შენს დანახარჯში ამეღოო.

ა ღ ა ლ ო ა ამას ე პ ა ს უ ხ ე ბ ო დ ა: მე რომ ეს შენგან დამიხარჯამსო, მამაშენთანაც და შენთანაც ძველი და ახ[ალ]ი ანგარიშები გვაქვსო და შენგან მილახვარიც ხარჯევდაო და იმ მიხედვით[1] მეც დავხარჯეო, რომ მილახვარი თავის დანახარჯთან ამასაც თავის ანგარიშ[შ]ი ჩაგიგდებსო. ამ თავის დანახარჯისა აღალოამ მიროას მილახვრის ბარათიც მოუტანა.

[1] მიხედვით.

მაგრამ მიროამ არ იყაბულა, ასე უთხრა: ჩვენ მილახვრისა არა ვართ რა მისაცემსაო და არც ამ ბარათს ავიღებო.

რადგან მიროამ ასე თქვა, ჩვენ ამის სამართალი ასე მივეცით: თუ მიროას გული ევალებოდეს, რომ ან მამა იმისი, ან თითონ მისცემს იყვნენ, აღალოას თავის დანახარჯისა რომ მილახვრის ბარათი აქვს, მიროამ ჩამოართოს და თეთრი მისცეს, როგორც თავისი მიცემული ჯელწერილი უცხადებდეს.

და თუ გული არ ევალებოდეს, მანამ მილახვართან თავიანთი ანგარიში გადაწყვიტონ, ეს უნდა დადგეს. მერე თუ ან ავთანდილას ან მიროას მილახვრისა დაედოსთ, როგორც მიროას ჯელწერილი აცხადებდეს, იმ წერილის თარიღიდამ რაც ხანი გაიაროს, როგორც თავისი მიცემული ჯელწერილი აცხადებდეს, ისე თავნიცა და ს[ა]რგ[ებელ]იც მიროამ აღალოას უნდა მისცეს.

და თუ მილახვრისა არც ავთანდილას, არც მიროას არა დაედოსთ რა, აღალოამ თავის დანახარჯი თავში უნდ[ა] უანგარიშოს მიროას უსარგებლოთ და მეტ-ნაკლები ერთმანერთს ისე უნდა [და]უბრუნონ. [მ]კათათვის თ, ქორონიკონს უპშ.

106. განჩინება ქაშვეთის ეკლესიის დუქნების საქმეზე

1800 წ. 13 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 674. დედანი. ქაღალდი. 51×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. სრულიად საქართველოს მეფის ძის მ ე[მ]კ ვ ი დ რ ე, რუსეთის ღენარალ-ლეიტენანტი[სა] და კავალერის[1], დ ა ვ ი თ ი ს ბრძანებით ჩვენ — ქვემო აღმბეჭდველნი დავსხედით ქაშვეთის წმიდის ვიორგის ეკლესი[ი]ს შეწირულის დუქნების საქმეზედ, რომ ფ ი ლ ი პ ე დეკანოზი და იმ დუქნების აშენებელი ნალბანდის შვილები ლაპარაკობდნენ.

ფილიპე დეკანოზმა ერთი განაჩენი მოიტანა ჭორონიკონს უჲდ, ამ რიცხვის იანვრის იზ დაწერილი, მელიქისა და ქეთხუდების დაბეჭდილი, ასე სწერია: მეჰმანდარი მ ი რ ზ ა ს დუქნიდამ მოკიდებული ფურნის დუქნამდინ, რომ ეს ფურნის დუქანიც ქაშვეთისა არის. ნალბანდებს რომ დუქნები აქვსთ აშენებული ისიც ამისიაო, რომ შეიქნა ნალბანდების დუქნით ხუთი დუქანი, ნალბანდების შე-

[1] კალაერის.

ნობა თავისიაო. მანამ ნალბანდებს ფილიპე[1] თავიანთ ნაშენის ფასს მისცემდეს, ნალბანდებს ეჭიროსო და ადგილის ქირა ნალბანდმა აძლიოსო და როცა[2] ფილიპე შენობის ფასს მისცემს, მაშინ აშენებული დუქნები ფილიპეს დარჩებაო.

მანამ სპარსნი დასწვევდნენ, ფილიპეს შენობის ფასი არ მიუცია და ადგილის ქირა კი ურთმევია ნალბანდისათვის. სპარსთ რომ დაწვეს ნალბანდის აშენებული სარდაფის საძირკვლები, სარდაფისა თუ კედლებისა აშენებული ყოფილა და სამ კედელიც ისევ აშენებული დარჩომილა. ⁂ სარდაფი და დუქნები ნალბანდის ნასყიდის ჩამოქცეულის მასალით[3] აუშენებია.

ჩვენ კალატოზების ოსტატი და კალატოზი გავგზავნეთ. პირველად როგორც ნალბანდებს აშენებული ჰქონიათ, ხუთი დუქანი და სარდაფი როგორც აშენდებოდა, დააფასეთო. ოცდაოთხ თუმნად დააფასეს. სპარსთ რომ დაწვეს, ჯერ ხომ დამწვრისა არ უნდა ჩაგვეგდო, ამისთვის მაშინვე ფილიპე დეკანოზს თავისი დანახარჯი უნდა მიეცა. მაგრამ რადგან ეკლესიისა არის, ნალბანდს ხე-ტყე და ოსტატების ხარჯი ჩაუტარეთ, იქნება თოთხმეტი თუმანი. ეს თოთხმეტი თუმანი იმ ოცდაოთხს თუმანში რომ გამოვიდეთ, დარჩება ათი თუმანი. ეს ათი თუმანი[4] ფილიპემ ოთხის წლის სარგებლით უნდა მისცეს ნალბანდებს, რომ სარგებელი იქნება ოთხი თუმანი და რვა მინალთუნი; რომ შეიქნა თავნი და სარგებელი თოთხმეტი თუმანი და რვა მინალთუნი. ეს თოთხმეტი თუმანი და რვა მინალთუნი ფილიპე დეკანოზმა ნალბანდებს უნდა მისცეს.

ამას გარდა ნალბანდის შვილებს ეკლესიის მამულზედ მიკვრით ბატონის ადგილში რომ არის მეიდანი, იქ ერთი დუქანი აუშენებია ოთახით და სარდაფით. ეს ახალი, ნალბანდის აშენებული დუქანი და სარდაფი და ოთახი — ეს ადგილი არ არის შეწირული, მაგრამ ამ ადგილის ქირაში ფილიპე დეკანოზს ურთმევია ნალბანდის შვილებისათვის.

ფილიპემ სია მოგვცა სამი თუმანი ცხრა მინალთუნი და ორი ჭაური დაეხარჯა ნალბანდის შვილებისაგან. ეს ნალბანდის შვილებისაგან ბატონის ადგილში აშენებული დუქანი, ოთახი და სარდაფი ისევ ნალბანდის შვილებს უჭირავსთ. ფილიპეს რომელიც შეწირულობის წიგნები უჭირავს ძველისა და ახალის შეწირულობის წიგნების ძალით, ეს ახალი ნალბანდის შვილების ახალი დუქანი, ოთახი და სარდაფი მეიდნის ალაგია.

[1] ფილიპემ. [2] როიცა. [3] მასალით. [4]-ეს ათი თუმანი.

ეს ახალი შეუწირველი მეიდნის ალაგი ნალბანდებს რომ აუშენებიათ, ესეც კალატოზების ოსტატს დავაფასებინეთ. თოთხმეტ თუმნად დააფასეს. ეს ადგილი ხომ ბატონისა არის, მაგრამ ვისაც ეს ადგილი დარჩება, ნალბანდის შვილების დანახარჯი და ფილიპესაგან გამორთმეული ქირა, სამი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ორი შაურიც იმან უნდა მისცეს. და ნალბანდის შვილებმაც ადგილის ქირა უნდა მისცენ.

და ნება მის უგანათლებულობის მ[ე]ფის ძის მემკვიდრის დავითისა აღსრულდეს. ივლისს **იგ,** ქორონიკონს **უპმ.**

ქ. ამისი დამხედური ვარ და დამსწრე თ ა ყ უ ა შ ვ ი ლ ი.

ქ. ამის დამხდური ვარ და დამსწრე მე, ფ ი რ ყ უ ლ ა ა ნ თ ნა-

ზარბეგის შვილი გ ი ო რ გ ი სომხ.

ქ. ამისი დამხდური ვარ და დამსწრე ვარ ჰამაჭარა მუშრიბი

ი ო ა ნე პ ე ნტ ე ლ ო ვ იოვანე

თავში:

ქ. ჩუენ, საქართველოს მ ე მ კ ვ ი დრ ე რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დ ა ვ ი თ, ამას ვამტკიცებთ. ივლისის **იდ,** ქორონიკონს **უპმ.** დავით

107. განჩინება დათვია და ხოსრო გედოიძეებისა და მათი განაყოფის მამულის საქმეზე

1800 წ. 25 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2089. დედანი. ქაღალდი. 20×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ბ ე დ ო ი ძ ე დ ა თ ვ ი ა მ ა და ხ ო ს რ ო მ იჩივლეს: მამა ჩვენსა და ბიძას მამული უშოვნიათ თავისის ამოწყვეტილის სახლისკაცისა მეფის ერეკლესაგან; აქამდის გუქონდა და არავინ გ[ა]დავებიაო; ახლა ჩვენი განაყოფი გვედავება, მეც წილი უნდა დამიდვაო.

ჩვენ, ე რ ი ს თ ა ვ მ ა ბ ე ჟ ა ნ, ესენი ვალაპარაკეთ და წიგნები მოვსთხოვეთ. დათვიამა და ხოსრომ მ ე ფ ი ს ე რ ე კ ლ ე ს წყალობის წიგნი მოიტანეს, რომ ამათის მამისა და ბიძისათვის

ებოძებინა; და მერმე ვახტანგ ბატონიშვილთან ელაპარაკნათ და იმასაც ამათთვისვე დაემტკიცებინათ.

ჩვენ იმათის წიგნის მოშლა არ შეგვეძლო და ჩვენც ისე დაუმტკიცეთ და მიეეცით, როგორც იმ წყალობის წიგნში უწერიათ. მკათათვის კე, ქორონიკონს უპჱ.

ბეჭედი: მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბექან.

108. განჩინება ალათონიკე ამილახვრისშვილის მიერ ცოლის დაგდების თაობაზე

1800 წ. 20 აგვისტო.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 823. დედანი. ქაღალდი. 78×27,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. ყორჩიბაშიშვილი ნაზირის იოანეს შვილი დათუა ჩიოდა: ეს ცხრა წელიწადი არისო, რომ ჩემი და მელანია ამილახვარიშვილმა ალათონიკემ ითხოვაო, ქართველნი და კახნი მადლის გარდახდაში იყვნენო. და ამ მადლის გარდახდას გარდა ჩემს სახლში მოსვლა, იმ ქალის ნახვა, ხვევნა, კოცნა, ჰიდება, დღე და ღამე ერთად ყოფნა — ეს ქვეყანამ იცისო. ავად გახდა, ავადმყოფიც ჩემს სახლში დააწვინეს, ორი კვირა ცალ მხარეს დედა იწვა და ცალ მხარეს შვილი და რომ მორჩა, სამი თვე თავისის მსახურებით მუდამ დღე და ღამე ჩემს სახლში იყვნენ.

და ამას გარდა სანამდინ ქალაქი აირეოდა, ასე ჩემს სახლში იყო, რომ თავის სახლსავით ჰქონდა; და, დიაღ, მრავალი ხარჯი გვაქვს თოფის მიცემით, ხლმის მიცემით, ტანჩაცმით თუ თავისის დაპატიჟებით, და ბატონისშვილის თავლაში რომ იდგა, იქ ძღვნის გაგზავნით.

ასე, რომ იმ ოთხს წელიწადში დღე არ გავიდოდა, ან ჩვენს სახლში არ დაგვეპატიჟნა და ან იქ თავის სადგომზე არ გაგვეგზავნა სასმელ-საჭმელი, რომ ას თუმანზე მეტი ხარჯი გვაქვსო. და ახლა ჩემს დაზე ჴელი აიღო და გაუშვა, ამის სამართალს ვითხოვო.

ამაზე მათის უმაღლესობის მეფის გიორგის ოქმიც მოგვიტანა: ალათონიკეს სამჯერ ოქმი მივსწერეთო, სამართალში დავიბარეთ და არ მოვიდაო და სამართალი მიეცითო.

ჩვენ რომ მოვიკითხეთ და ვიცით, თხოვნა და მადლის გარდახ-
დაც მართალი არის, და ავადმყოფისა ამათს სახლში დაწვენა, ამათ-
გან მოვლა და მორჩომოცა და უფროსი ერთი ამათს სახლში იმ
ყმაწვილის ყოფნა და ბევრი ხარჯები — ესეები ყველა მართალი
არის. და ხარჯი რაც მოსვლოდათ, ჩვენ წვრილად რად გვეცოდი-
ნებოდა. და ამისი სია ვთხოეთ; და სიაც სახელდობ ნიშნეულად
დაეწერათ და მოგვცეს.

ჩვენ სამართლის წიგნი დავიდევით და გავსინჯეთ: მეფის
ვახტანგის სამართლის წიგნში სწერია ოზ [77] ამდენს
რიცხვშია: გამოჩენილად მოწმით ნათხოვნი ქალი, ან ნიშანმიტანი-
ლი ქალი მამამ რომ გაუთხოოს ან სხვამ კაცმა წაართვას, მესამედი
სისხლი მისცეს; თუ ამაზე შესცილდნენ, რომ არ მომითხოებიაო,
ისევ მოწმით და ჯერით გაარიგონ.

ეს მესამედი სისხლი, ქალის მამამ რომ ნათხოვნის ქალი
მთხოვნელს კაცს გაუთხოვოს, იმან უნდა მისცეს, რომ ქალის პატ-
რონს ქალიც გათხოებული ჰყავს და არცარა სირცხვილი და ნაკ-
ლებობა იმ მთხოვნელს კაცს მიადგება. მაგრამ როდესაც მთხოვნე-
ლი კაცი ნათხოვნს ქალს, ნახულს, გვერდთჯდომილს, ნახვევნს, ნა-
კოცნს გაუშვებს, ეს სწორედ იმ ქალის სიკვდილი არის და მთელი
სისხლი უნდა მისცეს ქალსა, როგორც სწერია მეფის ვახტანგის
სამართლის წიგნში ოგ ამდენს რიცხვშია: თუ კაცმან მისგან უდი-
დებულესის ქალი დააგდოს, რასაც გვარისა იყოს, იმტოლი მთელი
სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოებისო.

ამისი ძალი ეს არის: ის დიდი კაცი თავისს სისხლს ნუ დაუწ-
ყებს თხოვნასაო იმ მთხოვნელს კაცსაო, რასაც გვარისა ეს მთხოვ-
ნელი კაცი იყოსო, რაც სისხლი იმას სდიოდესო, ერთი მთელი სისხ-
ლი მისცესო.

და ამ სამართლის ძალით დამტკიცდა, რომ ალათონიკემ ნაზი-
რის იოანეს ქალს ერთი მთელი სისხლი უნდა მისცეს. ყორჩიბაში-
შვილი მესამე თავადი არის; და მესამეს თავადის სისხლი სამას
ოთხმოცდაოთხი თუმანი — არის ტპდ ამდენი, და ეს სამას ოთხ-
მოცდაოთხი თუმანი ალათონიკემ ნაზირის იოანეს ქალს მელანიას
უნდა მისცეს.

სამართლის წიგნში მესამედის სისხლის პატიება რომ სწერია,
სამართალმა უნდა აპატიოსო, ამას ამისთვის არ გამოვედით, რომ
ალათონიკე მათმა უმაღლესობამ სამჯერ ოქმითა და იასაულით სა-
მართალში დაიბარა და არ მოვიდა. ეს დიდს ბრალად დაედვა და

ამისთვის მესამედს აღარ გამოვედით. და ეს სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი მთლად უნდა მოსცეს: ნახევარი ჯინსი და ნახევარი ნაღდი.

ამას გარდა, რაც აღათონიკეზე ხარჯი მოსვლიათ, ამისიც სახელდობ სია გაეკეთებინათ და მოგვიტანეს, ას თუმნამდინ იყო. მაგრამ ჩვენ ზოგი გადაუშვით და ოთხმოცი თუმანი დავაყენეთ. თუმცა ეს ოთხმოცი თუმანი ერთიორად ერგებოდა ამ ცხრა წელიწადში, მაგრამ ჩვენ ამას აღარ მივხედეთ, და ამ დანახარჯებში მარტო ის ერთი ოთხმოცი თუმანი უნდა მისცეს.

ჩვენ ხომ ამ ხარჯებისა სწორედ არ ვიცოდით, რადგანც აღათონიკე აქ არ იყო. და თუ აღათონიკე მოვა და სამართალში ილაპარაკებს, ეგ ხარჯი ტყუილად დაუწერიათო, თუ გამართლდება. იმ ხარჯს გამოვალთ. და თუ გამტყუნდება, რომელზედაც ილაპარაკებს, იმას ერთიორად მივაცემინებთ სამართლითა.

სამართალი ასე გადასწყდა, რომ შეიქნა სისხლისა და დანახარჯის ჯამი ერთად **უიდ** — ოთხას სამოცდაოთხი თუმანი. ეს ახლავ უნდა მისცეს.

სალთხუცეს არმის ეშიკაღაბაშო ალექსანდრეზ! ამაზე იასაულები გაგზავნე და ეს ახლავ ასე გაარიგებინე. აგვისტოს **კ,** ქრონიკონს **უპჱ.**

ხუთი ბეჭედი:

1. მდივანბეგი დავით
2. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
3. მდივანბეგი იოანე
4. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
5. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს — ქართლისა, კახეთისა და სხუათა მეფე გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. სექდენბრის **ვ,** ქრონიკონს **უპჱ.**

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა სხვათა გიორგი.

verso

მე, ქარუმიძე ნინია, ღმერთსა ვფიცავ და ჩემს სარწმუნოებასა, მე ჩემის ჯ[ე]ლით გიორგი ამ ილაჯრისათვის თხუთმეტის თუმნის ოქრო მივართვი ორის თვის დაცლისათვის, რომ თეთრი ორთავეს უკან გამომართვიო. ნინიამ წერა არ იცოდა, ღვთის წინაშე მე — ტერ-მარტიროზას შვილმა სტეფანამ დავწერე ნინიას სიტყვით.

109. განჩინება ღმრთაების ეკლესიისა და ნორიელთა მამულის საქმეზე

1800 წ. 21 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 191. დედანი. ქაღალდი. 41×21,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილმძიმე და ორწერტილი.

ქ. ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს რომ ნორიელნი სახნავს მიწებს ეცილებოდენ, რომელიც ძველთა მეფეთაგან გუჯრით ღმრთაების ეკლესიის შეწირულია ჰოპარტის სოფელნი და მამულები, რუსთველი იმას არ სჯერდება და ჩვენ მამულებს გვართმევსო.

ჩვენ, მეფის ძემან იოანე, მდივანბეგი სოლომონ, მარტყოფის მოურავი ზაალ, კახნი თავადიშვილები, ნაცვალი, მღვდელი ქრისტესია, მარტყოფელნი და ნორიელნი გვერთ ვიახელით, ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს მოუწოდეთ.

პირველად ღმრთაების ეკლესია და წმინდა საფლავი ანტონისა მოვილოცეთ და მერე ეკლესიის გუჯარი მოვსთხოეთ და ჰოპარტის მთაზე ამოვედით, გუჯარი წვიკითხეთ და რომელსაც მამულებს ნორიელნი რუსთველს ეცილებოდენ, მიჯნით-მიჯნამდის დავიარეთ და გავსინჯეთ. სწერს ღმრთაების ეკლესიის გუჯარში: ლილოს მთაზე რომ საყდარი დგას და სერები მოსდევს და ჰოპარტის წვერს გადმოხედავსო, იმას ზეით ღმრთაების ეკლესიას ანებებს.

რომელიც ჩვენს გონებაში მტკიცესა და ჭეშმარიტს მიჯნებად აღმოჩნდა, და მახსოვართ მოწამეთაგანაც დამტკიცდა, რომ ერთობით ნორიელთა და რუსთველის ყაბულობით ორს სახასოს და ერთს რუსთველს ყმას ფოდიაშვილს, დელუბაშვილს და იმერლიშვილს ჰოპარტის მთიდამ ჩამოეყოთ და ლილოს მთის სისწვრივ ამოსულიყვნენ, ჩვენც ეს მიჯნები დავამტკიცეთ და შეუდგინეთ მტკიცესა და უცვალებელს ღმრთაების ეკლესიის გუჯარს.

დღეის იქით, რომელმაც გუჯარში მიჯნებად დადებულს ჰოპარტის წვერსა და პირდაპირ ლილოს მთას ზემოთ ეკლესიის შეწირული მამული მოხნას, ღალა რუსთველს უნდა მიართვას.

და სათიბს ალაგებში, რომელიც ყოვლად სამღვდელომ რუსთველმა თავისთვის დანიშნოს, მისს გათიბას ნურვინ იკადრებს.

და თუ ვინმე გათიბოს, თივაც რუსთველს მიერთვას და მეფისაგან ჯარიმით გარდახდეს.

ეს ასე გარდასწყდა. მაგრამ რუსთველისავე ყაბულობით ამ განაჩენს ეს შეემატეთ, რომ: თუ კიდევ ნორიელთ ამაზე ცილობა და სარჩელი დაიწყონ, რომელნიც ნორიელთ თავეთის ყაბულობით ზემორე სახელდობ დაწერილნი სამნი მოწამენი მიჯნებზე ჩამოუტარებიათ, ისივ მოწამენი და მეოთხე განჯაშვილი დათუნა, რომელიც ჩვენთან წარმოდგა მახსოვრად და მოწამედ — ამ ოთხთ ღმრთაების ხატი კელთ იპყრან, ოთხნიც უფროსი კაცნი ნორიელნი ღმრთის მოშიშნი, რომელნიც ყოელად სამღვდელომ რუსთველმა ირჩიოს, ისინიც თან მიჰყვნენ და როგორც ფიცი შეეძლოსთ, ისე გაიფიცონ და ჩვენმა იასაულმა მიჯნები ჩაჰყაროს.

რადგან ეს ფიცი სრულებით საჭირო აღარ იყო, ამისთვის რომ თვით გუჯარში დაწერილი მიჯნები არჩევდა, მაგრამ რუსთველისავე ყაბულობით მოხდა, ოცი დღე ვადა მიგვიცია. და ამ ოცს დღეზე ვერ დაიფიცვენ, მერე ფიცი აღარ იქნება და დარჩება საბოლოოდ როგორც გუჯარში სწერია: ჰოპარტის წვერი პირდაპირ ლილოს მთამდის სისწვრივ გადმოსჭრის, იმას ზეითი უცილებლად ღმრთაების ეკლესიას და ქვეითი ნორიელთ.

და ჩვენმა იასაულმა ლილოს მთიდამ ჩასწვრივ ჰოპარტის წვერამდის ათს ალაგს მიჯნები უნდა ჩა[ა]სხას. იასაულო ხერხეულიძე თეიმურაზ, ეს ასე აღასრულე. აგვისტოს კა, ქრონიკონს **უპმ**.

ქ. ღმრთაების ეკლესიის შეწირულს სათიბს ალაგებში ვინც ბალახი გათიბოს, ხუთი — გამთიბავს და მეექვსე ღალდ რუსთველს მიერთვას.

ორი ბეჭედი:

1. ი ო ა ნ ე

2. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ა ს ო ლ ო მ ო ნ.

110. არზა მირიმანისა ვალიც თათბაზე მდივანბეგთა განჩინებით

1800 წ. 25 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 742. დედანი. ქაღალდი 33,8×18,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

[არზა]

ქ. მათის უგანათლებულესობ[ის] სრულიად საქართველოს მეფის ძის ღერანალფელცის მეისტრის ი ო ვ ა ნ ე ს წინაშე მოხსენება მათის მონის მ ი რ ი მ ა ნ ი ს ა გ ან.

სამღებრო ჯერ ჩემის ჯელმწიფის მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ლ ი ს წელათ არ დადებულიყო, ათს დღეს უწინა რვა თუმანი თეთრი დამჭირდა, ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ღ ა ლ ო ა ს დავესესხე, ათის დღის სარგებლად სამი მინალთუნი მივე და თამასუქიც მივე; თუ ათს დღეზედ არ მიმეცა, დღეში ერთი აბაზი სარგებელი უნდა მიმეცა.

და იმ ათის დღის შესრულებამდის დ ე დ ო ფ ა ლ ს დარეჯანს სამღებრო ჩამოერთვა და დედოფლის მარიამის წილად დაიდვა. და იმ დრომდინ სამღებროს იჯარის ანგარიშიდამ აღალოას ჩემგან დახარჯული ჰქონდა. და უმაღლესის მეფისა და მარიამ დედოფლის მოხელე[ე]ბმა ანგარიში გამომართვეს მე და ჩემს ამხანაგებს, იმის დანახარჯის ბარათები არ ჩამიგდეს.

მასუკან აღალოას შეუთვალე: შენ რომ ჩემგან გაქვს თეთრი დახარჯული და მე შენი მმართებს, ანგარიში ვნახოთ, თუ ჩემი დაგედვას — მიბოძე; და თუ მე დამედვას — მი[ი]რთვი და ჩემი თამასუქი მიბოძე.

მასუკან მოვიდა ჩემს დუქანზედა, მითხრა: ჩემი ბარათები ჰომიტანეო, ანგარიში ვნახოთ და თუ სრულად დამიხარჯავსო, შენს თამასუქს მოგცემო. ბარათები რომ სრულად წინ დაუწყე, მომტაცა და წაიღო უანგარიშოთ. რაც მე იმისი მმართებს, იმის მეტიც დაეხარჯა ჩემგან. ამასთან უსამართლო ძალა იხმარა და ჩემი თამასუქი ისევ ჯელთ უჭირავს.

იმას მრავალი შემწე და მოკიდებული ჰყავს და მე თქვენის წყალობის მოიმედეს თქვენთვის მომიმართავს და ამის სამართალს გვეედრებით. აღიწერა აგვისტოს კ, ქრონიკონს **უპმ**.

თავში:

ქ. ბატონო მდივანბეგო ს ო ლ ო მ ო ნ და ფ ი თ ო ა შ ვ ი ლ ო ა ღ ა! ამ არზით მირიმან რომ ასე ჩივის, ეს კარგად გამოიძიეთ და ამაზედ ჭეშმარიტი სამართალი მოეცით.

აღალოას რომ ამასთან აღებ-მიცემა ჰქონია, რომელსაც ამ არზით აცხადებს და ამისთვის ბარათებიც წაურთმევია უანგარიშოთ და ამის თამასუქი ისევ ჯელთ უჭირავს, ამაზედ ჭეშმარიტი სამართალი თქვენ მოეცით.

და თუ რამ ო ს ე ფ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს ავთანდილთან და ან ავთანდილს ოსეფასთან ანგარიში აქვსთ რამე, ორნივ ცოცხალნი არიან და ისინი უნდა მორიგდნენ, ამას საქმე არა აქვს იმ ანგარიშში, ამაში სადაო ეს არის და სამართლით ამაზედ მოარიგეთ. აგვისტოს **კდ**, ქრონიკონს **უპმ**.

ქ. სოლაღაშვილო ნინიავ! ახლავ ესენი ერთმანერთს შემოჰყარე და ამის სამართალი გარდააწყვეტინე. იოანე

[განჩინება]

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის იოანეს ბრძანებით ამ მირიმანისა და აღალუას სარჩელი მოვისმინეთ, სწორედ მილახვრის ანგარიშში რომ დაეხარჯა, აღალუას თავისი ბარათები არ უნდა წაერთმია. ორი კვირა ვადა მივეცით, ბარათები აღალომ უნდა მოიტანოს, რადგან აღალუას ჯელით დაწერილები არის, თუ მირიმანის ჯელი არ აწერია, აღარ შეიწყნარება. და თუ აწერია, ბარათით გამოჩნდება.

თუ სამღებროდამ არის დახარჯული, რაც თამასუქის ჯამზე მეტი იყოს, აღალუამ უბრუნოს და თამასუქიც მოსცეს. თუ ნაკლები იყოს, მირიმანამ შეუსრულოს და თამასუქი გამოართვას.

და თუ იოსეფას ანგარიშში დახარჯულად აღმოჩნდება, იმაში უანგარიშოს. მაგრამ თუ ვადაზე აღალუამ ბარათები არ მოიტანოს, იასაულმა მირიმანას თამასუქი აღალუას გამოართვას და პატრონს მოსცეს.

იასაული*, ეს ასე აღასრულე. აგვისტოს **კე**, ქრონიკონს **უპწ**.

თუ ოსეფას ანგარიშზედ არ არის გამოცხადებული ბარათი, ეს აღალუას ვალი იქნება.

სამი ბეჭედი:

1. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
2. აღა ფითოევი
3. იოანე.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით, ვამტკიცებთ სამართალსა ამას. მარტის **კწ**, ქრონიკონს **უპთ**.

დავით

* დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩასაწერად.

111. განჩინება კოხტა გასპარაშვილებისა და იოანე ამილახვრის შვილის საქმეზე

1800 წ. 12 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3857. დედანი. ქაღალდი. 33,5×21. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან წერტილ-ძძიმე.

ქ. კოხტა გასპარაშვილებისა და იოანე ამილახვრისშვილის სადაო, მათის უგანათლებულესობის, საქართველოს მემკვიდრის, მეფის ძის დავითის ბძანებით, ჩვენ, მდივანბეგებმა, ასე გარდავსწყვიტეთ:

არუთენა რომ სამკლავეზე ედავებოდა: ჩემმა ძმამ გათხოვა და მომეციო, ნინია ამბობდა: მაჩუქაო. ის სამკლავე არუთენასთან გიროათ ყოფილა. გირაოს სხვას ვერ აჩუქებდა. ისევ უნდა მისცეს ნინიამ სამკლავე.

ქ. ა სიით რომ კიდევ არუთენა შვიდის-რვა თუმნის საქონელს ედავებოდა — ჰალას მაგის სახლში ხურჯინით საქონელი მომპარეს, ზოგი ისევ გამოვაჩენინე და ესენი აღარ მამცესო, ამისი ასე უნდა იქნას: მაშინ რომ არუთენას თავისი დანაკარგისა სია მიუცია, იოანემ ეს სია მოიტანოს, თუ მაშინ, იმ სიაშიც არ წერებულა, ვეღარ იდავებს, თუ სია აღარ გამოჩნდა, არუთენამ იფიცოს, რომ ესენიც იმ ხურჯინით დაჰკარგოღეს. და რომელიც ქურდი იოანემ ჯელში მისცეს, იმან გასცეს პასუხი.

ქ. კიდევ არუთენა ოთხმოცის ცხვრის ნახევარს ედავებოდა, რომ ჩემი ძმა პეპანა და ეს იოანე ამილახვრისშვილი ბატონისშვილმა ალექსანდრემ ამხანაგათ ელიაღასათ გაგზავნა, ოთხმოცი ცხვარი ერგოთ, წილი არ მოგეცაო.

იოანემ იმისი ამხანაგობა დიდათ აშა ჰქნა.

მოწმე[ე]ბი მოვიკითხეთ. იოსებ ყაფლანისშვილმა და საამისშვილმა საამმა ასე იმოწმეს: იმ ელში ჩვენ ვიყავით. ბატონისშვილს ორჯელ-სამჯერ ჩვენთან მოეწერა ოქმი, რომ ჩვენ დავებარებინეთ და ელი ორისათვის ერთად მიებარებინა. ჯერ არც კი ვანებებდით, მაგრამ მესამეთ რომ ოქმი მოგვიტანეს, მერე დავანებეთ.

რადგანაც ოქმით ორისთვის ერთად მიუცია ელ[ი]აღისობა, იმ ნაშოერის ნახევარი ნინიამ არუთენას უნდა მისცეს. რაც შესანახავათ წაუყვანიათ, იმას გარდა.

ჭ. კიდევ არუთენა სამს ცხენს და იმაზედ კიდებულს ბარგზედ ედავებოდა იოანეს: მე ვიშოვნე და წამართვესო.

ამაზე ერასტი ამილახვრისშვილმა ასე იმოწმა: მაგ ცხენების წილი ნინიამ სხვათ არავის მისცაო. გავს, რომ ამის ნაშოვნი ყოფილა, თორემ ნინიას თავის ამხანაგები წილს გამოართმევდნენ. ამისი ასე გავარიგეთ: ნახევარი არუთენას მისცეს ამ ნაშოვარიდამ და ნახევარი ისევ ნინიას დავანებეთ.

ჭ. ამას გარდა ნინია ამილახვრისშვილს რაც სიტყვა აქვს, ან მოწმით, ან საბუთით დაამტკიცოს და იმაზე სამართალი მიეცემა.

იასაულებო, მორდალო სვიმონ და დავითელა, ეს ასე გა[ა]რიგე. სეკდემბერს **იბ,** ქორონიკონს **უპშ.**

ხუთი ბეჭედი:

1. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
2. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
3. მდივანბეგი იოანე
4. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლაოზ
5. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

თავში:

ჭ. ჩვენ, ყოველისა საქართველოსა და სხვათა მეფე გიორგი მეათსამეტე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. სეკდემბერს **კზ,** ქორონიკონს **უპშ.** მეფე გიორგი

ჭ. ჩვენ, მეფის ძე დავით, ვამტკიცებთ. სეკდემბერს **იდ,** ქორონიკონს **უპშ.** დავით

112. განჩინება დავით და იოანე მდივნის გაყრის საქმეზე

1800 წ. 7 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4268. დედანი. 33,2×21 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმრთითა და სამართლით მდივანს დავითს ერგო კისისჯვის სასახლე თავისის მიწებით და მეიდნით და რამაზა ხუჯელას მიწის მიდგმამდის და გზირიშვილის თევდორეს მამულის მიჯნამდის, თაეს და ბოლოს შარამდის, რომელიც სასოფლო შარა არის, ამას აძევს დავითელა ჭიჭინაშვილი თავისის მამულით, დღეს რასაც მამულის მქონებელი არის; და კიდევ ამასვე აძევს მღუდელი ათანასე თავისის მამულით, დღეს რასაც მქონებელი არის; და კიდევ ამას აძევს კონდოლს ზვარი, თავისის სამართლიანის სამ[ზ]ღვრებით.

ჭ. ღმრთითა და სამართლით მდივანს იოანეს ამის ფარდად ერგო ართოზანს გალავანი თავისის მეიდნით ბაღის თავამდინ და საბზელ-კალო თავისის ზევითისა და ქვეითის ვსებით. და ამავ გალავანს აძევს ბაღი თავისის სამართლიანის სამზღვრებით.

და ამას გარდა თავეთი ყმა და მამული შეფარდებით უნდა ვაიყონ.

ამ საქმისა და გარიგების დამსწრენი ვართ: სალთუხუცეს არმის ეშიკაღასბაში მაყაშვილი ალექსანდრე ბეჭედი: ეშიკაღაბაში ალექსანდრე; კანდელაკი დავით ბეჭედი: მონა ღთისა მღუდელი დავით; მაყაშვილი გოგია; კახიშვილი გრიგოლ ბეჭედი: გრიგოლ; ბაზიერთხუცეშვილი დიმიტრი და მუშრიბი კალატოზიშვილი იოსებ. და მე, მელიქიშვილს ლაშქარნივისს იოსებს, დამიწერია და დამსწრე და მოწამეცა ვარ.

ეს დავით მდივანს მივეცით და ამის პირი იოანე მდივანს. ამაში არც წაშლილი არის, არც წაბღალული, არც ამოფხეკილი და არც ჩამატებულ-ჩაწერილი. ოქტომბრის **ზ,** ქორონიკონს **უპშ.**

სამი ბეჭედი:

1. ეშიკაღაბაში სალთხუცესი ალექსანდრე
2. მონა ღთისა მღუდელი დავით
3. გრიგოლ

თავში:

ჭ. ჩვენ, ყოველისა საქართველოსა და სხვათა მეფე გიორგი მეათსამეტე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

არმის ეშიკაღაბაშო ხერხეულიძევ გიორგი! შენ უნდა მახვიდე და ეს ასე გა[ა]რიგო, როგორც გაურიგებიათ. ოქტომბერის თ, ქორონიკონს **უპშ.**

ბეჭედი: მეფე გიორგი

113. განჩინება ციციშვილების გაყრის საქმეზე*

1800 წ. 18 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2608. დედანი. ქაღალდი 78×26 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილმძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის საქართველოს მეათსამმეტეს მეფის გიორგის ბრძანებით ჩუენ — მეფის ძემან იოანე მდივანბეგების თანდასწრებით გავყარეთ ციციშვილები ვახტანგი[ს] შვილი სარდარ-მოურავი გიორგი, ალექსანდრე სარდლის შვილები, პაატა[ს] შვილი ეშიკაღასბაში გიორგი და ნოდარი[ს] შვილი მდივანბეგი ნიკოლოზ.

ამათ რაც თავეთი წილი მამული ერგოთ წილისყრითა და შეფარდებთ ცალ-ცალკე მიგვიცია.

და კიდევ ქარელის ციხე ერთ წილად ერგო ხალვათხანის ეშიგაღასბაშს ციციშვილს გიორგის და მდივანბეგს ნიკოლოზს დიდის კარის მჭარეს ზეითიცა და ქვეითიც, რაც ქვითკირის შენობა არის, საშუალზე სამანი გდია. და ბაღები და ვენაჯები როგორც სჭერიათ, ისევ ისე დავანებეთ.

და რადგან ეშიგაღასბაშს ციციშვილს გიორგის აკლდა, სვიმონს რომ ბაღი და ბოსტანი სჭერია, ნიკოლოზ მდივანბეგის ბაღი უნდა გაიზომოს და იმ ზომით ეშიგაღასბაშს გიორგის საკუთრად დანებდეს.

კიდევ საქარელოს მამულიდამ ერგო ხალვათხანის ეშიგაღასბაშს გიორგის და მდივანბეგს ნიკოლოზს მოურავის ბაღის ბოლომდის და სამანიც იქ არის, ფშნამდის და მტკვრის პირამდის რაც სანოდარიშვილო მამულია, ლოპინაშვილს მამულს გარდა.

კიდევ ერგო ეშიკაღასბაშს გიორგის ფშანს გაღმა მეორე ფშნამდინ; და მოურაესა და ეშიგაღასბაშს სახლების ზომა რომ დაეკლდათ, გიორგი სარდალმა და მდივანბეგმა ნიკოლოზ ორ საბელნახევარი უნდა მოსცენ.

მდივანბეგს ნიკოლოზს ლუსათვის რომ საყდრის გვერდზე მიწა მიეცა, იმისი ზომა მდივანბეგმა ნიკოლოზ იმავ მიწის გვერდზე ეშიკაღასბაშს გიორგის უნდა მოსცეს.

რაც ჭალის მიწა დარჩა გაუყოფელი, ისიც საერთო არის. ამისი ფარდი სარდალსა და მოურავს უჭირავსთ.

* შდრ. 1800 წ. 1 აპრილის განჩინებას ამავე საქმეზე (აქვე, № 87).

კიდევ ერგოთ ლეთეთის ფარდათ აფნისი ეშიგაღასბაშს გიორგის და მდივანბეგს ნიკოლოზს მთითა, წყლითა, მინდვრითა და ჭალითა; და წყალი ლეთეთიდამ უნდა ეძლიოს, ხაჭარია შეილებისა და დემეტრეს წილს გარდა, ნახევარი.

ხვედურეთს ერგო ეშიგაღასბაშს გიორგის მეოთხედი — საბელი ორი და ნახევარი არხოშოშვილისა და ახალკაციშვილისა და რომლისაც ვენახებ[ი] და ბოსტანი შიგ დაჰყვება, იმის ჩასწვრივ ჭალა, სარწყავი და ურწყავი მტკვრამდის. კიდევ ერგო კემუხტაშვილის ნაფუძარი და იმის ჩასწვრივ მიწები იქით სარდლის სამნამდის, აქეთ ნიკოლოზის სამნამდის საბელი ექვსი. კიდევ ერგო ეშიგაღასბაშს გიორგის საბელი სამი მოურავსა და ნიკოლოზს საშუალ. კიდევ ერგო ხვედურეთში გიორგი ეშიგაღასბაშს სოფლის თავში სარდალსა და მოურავს საშუალო ორი საბელი და ნახევარი თავისის წყლითა, რაც ნოდარა[ს] შვილებს წყალი ერგებათ, იმისი მეოთხედი. რაც გაუყოფელია, ის საერთო არის.

ერგო დესში ეშიგაღასბაშს გიორგის საბელი სამი მდივანბეგის მიწის გვერდზე მოურავის მიწის მიდგმამდის მტკვრამდის, ურწყავი და სარწყავი; იქავ ვენახებში ერგო საბელი ორი და ნახევარი, რასაც ვენახები დაიტანს წყლამდის, საყდარი და სახლები შიგ დაჰყვება, სამნები ვენახბეთან არის ჩაყრილი; ამისი მემიჯნავე არის საზენაჭროთ მოურავი და საქვენაჭროთ მდივანბეგი ნიკოლოზ. კიდევ ერგო სარდლის ხოდაბუნის ბოლოში ნახევარი საბელი. კიდევ ერგო ციხე დოესისა ეშიგაღასბაშს გიორგის, ციხის დოესისა ბურჯი და რაც სახლები დაჰყვება იმის გასწვრივ სარდლის სამნამდის და წინ ნიკოლოზ მდივანბეგის სამნის ნიშნამდის.

ერგო კიდევ ეშიგაღასბაშს გიორგის ქვახერელისაკენ და ორსაბელნახევარი დააკლდა, ის უნდა შეუსრულონ.

ამაებს გარდა ზედაველაზე რაც გაუყოფელი მამული არის, საამო და საერთო არის.

რაც სანოდარიშვილო მამულია, იმისი მეოთხედი წყალი და მთისა და ბარის სარგო ეშიკაღასბაშს გიორგის უნდა მოეცეს დაუკლებრად.

და რაც ზემოხსენებულის სამნების ფარგალში ვენაჯები დაჰყვება, ვისიც ყმანი იყვნენ, როგორც საქართუელოს სამართლის განწესება არის, იმას უნდა დასჯერდენ. აღიწერა ოკდომბერს **იჱ**, ქრონიკონს **უაჱ**.

ხუთი ბეჭედი: 1. ი ო ა ნ ე
2. მდივანბეგი ი ო ა ნ ე
3. ზ ა ა ლ
4. გ ი ო რ გ ი
5. ქალაქის მოურავი ე ვ ს ტ ა თ ი.

114. განჩინება თაზიშვილების ყმა-მამულის საქმეზე

1800 წ. 29 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2451. დედანი. ქაღალდი. 60×24,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი ან წერტილ-მძიმე.

ქ. თაზიშვილი სვიმონ უჩიოდა თავის სახლისკაცებს მოსეს და თეოდოსის: როდესაც ბიძა ჩემს ტარიელს კათოლიკოზი შემოჰკდომია და მამაშენი პაატა დაუჭრია, ტარიელ ხომ მოუკლავსთ და ჩვენი წილი ყმა და მამული და სახელოები კათალიკოზს წყალობით სიგელით თქვენთვის უბოძებია; და მე ობოლი მიქელ დეკანოზისაგან ვიზრდებოდი; როდესაც შევიძელ და მათს უმაღლესობას მეფეს და მათს უწმინდესობას კათოლიკოზს ვედრება დაუწყე, მაშინ თქვენ მოხვედით და გამომიცხადეთ: შენს ყმასა, მამულსა და სახელოებზე ბატონს თავს ნუღარ აწყენო, ოთხი თუმანი საბეჭდავად მოგვეცო, შენის ყმისა და მამულის და სახელოების ძველს წყალობის სიგელსაც შენ მოგცემთ და სხვას ახალს წიგნსაც დაგიწერთო. რაც თეთრი მთხოეთ, მოგეც და თქვენ ძველი წყალობის სიგელი მომეცით, რომელშიაც ეწერა: უკეთურმა ტარიელმა კათოლიკოზი მოკლა და შენ პაატა დაგჭრაო; ამისთვის იმისი ყმა და მამული და სახელოები შენ გიბოძეთო. ის წიგნი ცეცხლში დავწვი და ეს ახალი წიგნი თქვენ დამიწერეთ, რომელიც მათს უწმინდესობას კათოლიკოზსაც დავამტკიცებინე, რომ ამ თქვენგან მოცემულის წიგნის ძალით ჩემი ყმა, მამული და სახელოები სრულებით უნდა დაგენებებინათ, დღეს აღარ მანებებთო. და კრწანისის მოურაობისა ძველის განაჩენებით რომ წელიწადში ოცი მარჩილი უნდა მომცეთ, აღარც იმას მაძლევთო.

მოსე და თეოდოსი მიუგებდნენ: ჩვენ, მართალია, შენის ყმისა და მამულის წიგნი მოგეცით და დაგანებეთ, მაგრამ სისხლი არც მოგვიცია და კიდეც გედავებითო. და განაჩენით კრწანისის მოურაობის სარგოს ოცს მარჩილს რომ მედავები, არც ტარიელისაგან კათოლიკოზის სიკუდილს უწინ და არც შემდგომად არას დროს არ აგიღიაო.

ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ: რადგან სვიმონს კრწანისის
მოურაობის სარგოს ოცის მარჩილისა მოჰთაბარი წერილები აქვს
სამცხეთოს პირველთ მოხელეთაგან დაბეჭდილი, და მოსე ლიტონის
სიტყვით მიუგებდა: არას დროს არ მოგვიციაო და მამის ჩემის პა-
ატასაგან არც მიცემა და არც მიუცემლობა არ გამიგონიაო; ამ
ცარიელის სიტყვით უმოწმოდ და უწერილოთ სვიმონის განაჩენი
და წერილები არ დაირღვეოდა და სამართლით წელიწადში ოცი
მარჩილი კრწანისის სარგო სამოურაო მოსემ და თეოდოსიმ სვი-
მონს უნდა მისცენ.

და სვიმონმა პაატას ჭრილობის სისხლი უნდა მისცეს. პაატას
ჭრილობის სისხლი ჭელისა და თავისა მეორეს აზნაურისა გაუჩი-
ნეთ, ორმოცი თუმანი. და რადგან სვიმონის ყმა და მამული და სა-
ხელოები მოსესა და თეოდოსის პაატას სისხლში ჰქონიათ მიცემუ-
ლი, ამისათვის რაც კრწანისისა და ან სხვა სარგო სვიმონის წილი
ჰქონიათ, სისხლში უნდა უანგარიშონ, ორმოცი თუმანი სისხლი
რომ გაუჩინეთ; რადგან იმავ თავით როდესაც პაატა დაჭრილა, ნა-
ხევარი ნაღდი მიეცემოდა და ნახევარი ჯინსი, ჯინსზე ხომ სარგებე-
ლი არ მიეცემა და ოცის თუმნის ნაღდისა სარგებელი რვას წე-
ლიწადში ერთიორად ორმოცი თუმანი იქნება; და თავნს რომ სარ-
გებელი გაუსწორდება, დადგება უსარგებლოდ, რომლითაც შეიქ-
ნა სისხლი პაატას ჭრილობისა სამოცი თუმანი. რადგან სამოცი
წელიწადი მეტია, რომ კრწანისის სარგო წელიწადში ოცი მარ-
ჩილი სვიმონის წილი მოსეს, თეოდოსის და იმათს სახლს აუღიათ,
ამ სამოცს თუმანს სისხლში გაუბარეთ და მეტი ჩავატარეთ და შე-
იქნა სისხლი პაატასი გარდაწყვეტილი სვიმონისაგან.

და დღეის იქით კი ოცი მარჩილი წელიწადში კრწანისის მოუ-
რაობის სარგოდამ სვიმონს უნდა აძლიონ, როგორც ძველი განა-
ჩენები უცხადებს. ეს ასე გარდასწყდა.

და თამასუქით ექვსს თუმანს და კიდევ კომლეურად კაცებს
რომ ედავება სვიმონ მოსესა და თეოდოსის, იმისი განაჩენით სხვა
სამართალი მიეცემა.

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ო დ ა ვ ი თ! როგორც ამ განაჩენში სწე-
რია, ეს ასე აღასრულე. სეკდემბერს კვ, ქორონიკონს უპჱ.

ქ. სვიმონ რომ ძველის წყალობის სიგელისას ამბობს ცეცხ-
ლში დავწვიო და სხვა მოწამე არვინ ჰყავს, რომ იმაში ასე წერე-
ბულიყოს: უკეთურმა ტარიელ კათოლიკოზი მოკლა და შენ პაა-
ტა დაგჭრაო და ამისთვის ტარიელის ყმა, მამული და სახელოები
შენ პაატას გიბოძეთო, ამაზედ სვიმონს ფიცი განუჩინეთ: წადგეს

წმინდას ეკლესიაში სახარებასა და ცხოველმყოფელს ჯვარს დასდებას ჯელი და თქვას: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმან ღმერთმან, ძველს წყალობის სიგელში ასე ეწერა, რომ: უკეთურმა ტარიელ კათოლიკოზი მოკლა და შენ პაატა დაგჭრა და ამისთვის ტარიელის ყმა, მამული და სახელოები შენ გიბოძეთო, და სისხლიაც გჭონდესთ მოცემული».

თუ ასე შეჰფიცა, როგორც ზემო დაგვიწერია, სისხლს სარგოში ვაუბარებს და დღეს იქით უნდა ძლიონ. და თუ ვერ დაიფიცავს, ვერც ყმისა ვერც მამულისა და ვერც სახელოს სარგოს ვერ უანგარიშებს, სისხლიც დღეს უნდა მისცეს და თავისი კერძი სარგოც დღეიდამ უნდა გამოართვას.

ოთხი ბეჭედი:

1. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
2. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზი
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, ძე სანატრელისა მეფის მეორისა ირაკლისა ანტონი, ვამტკიცებთ ამ დიამბეგებისაგან განჩინებასა. ოკდობერს **კთ**, ქორონიკონს **უპშ**.

ხელთა: კათალიკოზი.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს უფლისწული მეფის ძე დავით ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. დეკემბრის **იდ**, ქორონიკონს **უპშ** დავით

115. განჩინება თურქისტანიშვილების ფრანგისტანისა და იოსებ მღვდლის მამულის საქმეზე

1800 წ. 2 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2765. დედანი. ქაღალდი. 58,5×33 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი ან წერტილ-მძიმე.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობას ებრძანა ჩვენ — საქართველოს უფლისწული დავითისათვის საქართველოს მსაჯულთ-შეკრებილების თანდასწრებით თურქისტანიშვილების ფრანგისტანისა და იოსებ მღვდლის სარჩელის მოსმენა და სამართლის მიცემა.

მღვდელი იოსებ ახალდაბას ოთხს საკომლოს ჩიოდა და ზვრის მეშვიდედსა და ამისი ბარათებიცა ჰქონდა. ამათგანი ორი ფრანგისტანს ეპირა, ერთი ბეციას და ერთი კი დაკარგული იყო.

ფრანგისტანს მიზეზი მოვსთხოეთ ორის საკომლოს ჭერისა. იმან ეს მიზეზი გვითხრა, რომ შაჰნავაზ მეფისაგანა მაქვს ნაწყალობევიო, რომლისაც წერილი მოიტანა, რომელშიაც ესრეთ ეწერა: ჩვენ ოდეს იუალთოს ციხეს ჯარით ვიდექით და ბატონიშვილი ერეკლე თავს დაგვესხა მთიურის ჯარით და შენ თამაზა კარგა გაისარჯე იქა და ამის სანაცვლოდ წყალობად ორი კომლი ახალდაბას ქეჭებურაშვილის წილი ყაზანა პაპიაშვილი და ირემაშვილი მოგეცითო.

კვალად მღვდელმანვე მოიტანა შაჰნავაზ მეფისაგან წერილი, რომელშიაც ეწერა, რომ: შეგიწყალეთ და შენი ნაქონი მამული ახალდაბას ისევ გიბოძეთო.

შემდგომად ამისა ფრანგისტანმა მოიტანა მეფის გიორგის წიგნი, რომ გოდერძი ქეჭებურაშვილი ჩუენის რისხვით მოიკლა და ახალდაბას იმის ნაქონი ყაზანა პაპიაშვილი და ირემაშვილი შენ მოგეცითო.

მღვდელი იოსებ მიუგებდა: მართალია, მეფემ გიორგიმ წყალობა და შენ გიბოძა, მაგრამ მეფის ერეკლეს ერთგულობისათვის მიყოო. და როდესაც მეფე ერეკლემ მეფობა მიიღო, მაშინ იმის ერთგულობისათვის რომ წამხდარი ვიყავ, იმან ისევ შემიწყალა და მიბოძაო; და ჩემს ობლობით პატარაობაში ამისი წერილი მამამშენმა თამაზამ მომპარაო. და ამ წერილის ქონებას ჩაჩიკაშვილი ზურაბ[ი]ც დაამტკიცებდა; კიდეც დაობდა და ჩიოდა.

შემდგომად ამისა ერთი წიგნი ჰქონდა მეფის ვახტანგისა ბაქარისაგან დამტკიცებული თურქისტანიშვილს ბეციას, რომელშიაც ეწერა, რომ: ქეჭებურაშვილის მამული რომ ებოძებინა მეფეს გიორგის, ის ისევ ჩამოგართვით და ამის სამაგიეროთ ამოწყვეტილის თაყაშვილის უსუფბეგის მამული გიბოძეთო. და მას აქეთ რაც სომხითში იოსების მამა-პაპათ ნაქონი მამული არის, დღესაც იოსებს უჭირავს.

ამით სჩანს, რომ ახალდაბასაც ისევ ებოძებოდა; ამიტომ, რომ სხვაგან თუ უბოძეს და მისცეს მაგისვე მამული სრულად, ახალდაბას ორს საკომლოს რაღათ წაართმევდნენ; და თუ კი მეფე ვახტანგ და ბაქარ მეფის გიორგის წიგნსა შლიან, რასაკვირველია, რომ რომლისაც ერთგულობისათვის წახდა იოსებ, ის ამას წიგნს

უბოძებდა და ბეციასაც რომ თავისი სინიდისი და სამართალი აწვევდა, ამისათვის თითონ იმ ერთს საკომლოზედ მოურიგდა.

ამ სამართლის ძალით ის ორი საკომლო ფრანგისტანისა ახალდაბას იოსებს დარჩა. და დაკარგული დედაბრისშვილი ხომ იოსებისა იყო. ახლა თურქისტანისშვილებმა ყველამ თავეთის წილს ჯელი უნდა მოჰკიდონ ახალდაბაში; და იოსებს თავისი უნდა დაენებონ. თუ ამ სამის საკომლოებიდამ კაცი სადმე გამოუჩნდა ცოცხალი მღვდელს იოსებს, ის კაციც ამას უხდა მოეცეს.

ეშიკაღაბაშო ორბელიანო ასლან, ეს ასე აღასრულე. ნოემბრის **ბ**, ქორონიკონს **უპშ**.

ბეჭედი: დავით

ქ. დედაბრისშვილი რომელიც არც გაცემული ყოფილა, და ამ იოსებს ჰქონდა ამისი ბარათი, და ამაზედ ხომ ვერას ელაპარაკებოდნენ და ვერცა რა ამის მამულზედ. და ამას გარდა ეს ზემოხსენებული სამი კომლიც ამ განაჩენის ძალით ამას დარჩა. თურქისტანიან[ნ]ი ვეღარას ილაპარაკებენ ამაზედ.

ხუთი ბეჭედი:

1. დავით
2. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
3. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
4. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
5. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

თაგში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ ჩვენის შვილის დავითის და მსაჯულთაგან განჩინებულის სამართალს ვამტკიცებთ. ნოენბრის **გ**, ქორონიკონს **უპშ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფის ძე იოანე, განაჩენსა ამას ვამტკიცებთ. ნოენბრის **ით**, ქორონიკონს **უპშ**. [იოანე]

ქ. ჩვენ, მეფის ძე ბაგრატ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ნოენბრის **ით**, ქორონიკონს **უპშ**. [მეძე]

ქ. მე, მეფის ძე თეიმურაზ, ამ განა[ა]ჩენს ვამტკიცებ. ნოენბრის **ით**, ქორონიკონს **უპშ**. [თეიმ ურაზ]

verso:

ამ განაჩენით ახალდაბას მამული მეფეს და მოსამართლეთ მოუციათ ჩვენთვის. ეს მამული ირემაშვილები რომ ჩვენს წილად სწერია, ამ საკომლოებით მე ეს ირემაშვილი მამაჩემს თქვენთვის მოუყიდნია, ფასი ზოგი დარჩომილაყო და დანარჩენიც მე გამოგართვით თქვენ, ჩემს განაყოფთ იოანესა, ზაქარიასა და სოლომანსა. და ეს განაჩენიც დღეს და უკუნისამდე საბოლოოთ და საშვილისშვილოთ თქვენია, რომელ არა მე და არა მემკვიდრე ჩემი არ წამოგედაოს. პაპაშვილი და დედაბრისშვილი სადაც აღმოჩნდნენ, ის კაცნი უმამულოდ ჩემნი არიან. ამისთვის ჯელს ვაწერ სფირიდონ თურქისტანოვი. **ჩყით**-სა წელსა, იანვრის **კგ**-სა დღესა.

ამ ნაწერის თანდამსწრე და მოწამე ვარ თავადი იოანე ბარათოვი.

ამ ნაწერის თანადამსწრე და მოწამე ვარ თავადი რევაზ ბარათოვი.

ამ ზემო დაწერილის და მისეთ ცალების თანადამსწრე და მოწამეცა ვარ მაიორი იოსებ გარსევანოვი.

116. განჩინება მელიქი შაქარას ქალის თინათინისა და იასაია გარდაუკეტაშვილის ვალის საქმეზე

1800 წ. 25 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დაეთ. № 11. საქ. № 150. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[152v] მელიქის შვილის შაქარას ქალი თინათინ უჩიოდა გარდუკეტა შვილს იასაიას: ჩემი სამოცი თუმანი თამას[153]უქით უნდა მომცეო.

იასაია მიუგებდა: მართალია, შენი ორმოცდათერთმეტი თუმანი მემართა; რუსეთს რომ მივიდოდი, მოხველ და მთხოვე. ჩემი სამოცი თუმანი უზბაში შვილს შაქარას ემართა და გითხარ: შაქარას შეგაპირებ და გამოართვი.

შენ მითხარ: შაქარას კი არ შევპირდები და, თუ სარუხანასშვილს შემაპირებ, იმას კი ვენდობიო. რადგან ის მოინდომე, უზბაში შვილი შაქარა სარუხანაშვილთან მივიყვანე და შეგაპირე: ამ შაქარას ჩემი სამოცი თუმანი მართებს, შენ გამოართვი და ორმოცდათერთმეტი თუმანი ამ თინათინისა მმართებს, ამას მოეც და ცხრა თუმანი მე შემინახე.

გიორქამ იყაბულა და შაქარა გიორქას შეჰპირდა. გიორქამ ჩემს თამასუქზე მოაწერა: ეს ჩემი ვალი არისო; ჩემი სამოცი თუმანი უზბაში შვილს გეურქამ გამოართვა და თუ შენთვის არ მოუცია, შენ იცი და გეურქამ, ჩემთან საქმე აღარა გაქვსო.

და მეორე ესე, რომ: როდესაც სარუხანაშვილს ჩემი ვალი დ[ა]ედვა და გამოვართვი, მაშინ შენ მდივანბეგებთან სამართალში მელაპარაკე და შენ გაგამტყუნეს და ეს გამართლების განაჩენი [v] მომცეს, რომელიც ისაიას ჭელთ ჰქონდა მეფისაგან დამტკიცებული.

თინათინ მიუგებდა: პირველი ესე, რომ როდესაც მდივანბეგებმა ჩემი სიმართლე სცნეს, შენი განაჩენი გააბათილეს და შემდგომი განაჩენი მე მომცეს და თბილისის წახდენაში დავკარგეო. და მოწმე[ე]ბითაც და[ა]მტკიცა თინათინმა, რომ შემდგომი განაჩენი ჰქონია.

და კიდევ სხვებრ სარჩელი ესე მაქვს, რომ: თუ სარუხანაშვილი, რომელსაც შემაპირე, შენვე არ აგეკლო და შენვე არ გაგეტეხა, მე შენთან საქმე არა მქონდაო. მაგრამ რადგან ყოვლის საცხოვრებელით შენ აიკელ, შენა ხარ ჩემი მოვალეო; შენგან ჩემს ვალში შეპირებული სამოცი თუმანი უზბაში შვილმა თუ გეორქას არ მისცა, ხომ სამართლით შენ უნდა მომცეო. და თუ მისცა, რომ გეორქას საქონელთან ისიც შენ წაიღეო, ჩემს ვალში შეპირებული თეთრიც შენვე მიგაქვს და შენც უარს მეუბნები, რომელი სამართალი შეიწყნარებსო.

მათის უმაღლესობას მეფის ოქმით და ბრძანებით ჩვენ — საქართველოს მსჯულთშეკრებულებამ ამათი სამართალი ასე განვაჩინეთ: ისაიას რომ თინათ[194]ინ გეურქასათვის შეუპირებია და გეორქა შაქარასათვის, რადგან თვით ისაიავე სწამებს, რომ თინათ[ინ]ისათვის შეპირებული სამოცი თუმანი შაქარას გეორქასათვის მიუცია, გეორქას საქონლიდამ ისაიას ჯერ თინათინის ვალი უნდა მიეცა და დანარჩომი თითონ წაეღო.

პირველი ამისთვის, რომ იმის ვალში იყო შეპირებული და მეორედ ამისთვის, რომ ისაიას საკუთარი ვალი იყო, რადგან უზბაში შვილისაგან თინათინის ვალში მიცემული სამოცი თუმანიც გეორქას საქონელში ყოფილა და სრულად ისაიას წაუღია, ერთის წლის სარგებელი თბილისის წახდენამ ჩა[ა]ტარა და თავისას თამასუქისა თავი და სარგებელი ისაიამ თინათინს უნდა მოსცეს.

თურქისტანიშვილო იოანე და შახი იოანე! მათის უმაღლესობის მეფის ბრძანება და ოქმი შენა გაქვს, როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა აღასრულოთ. ნოემბერს **კე**, ქორონიკონს **უპწ**.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე მეათსამეტე გიორგი, ამ განჩინებას ასე ვამტკიცებთ, როგორც სამართალი მიუციათ. დეკემბერს **ი**, ქორონიკონს **უპწ**.

ნებითა იმისის იმპერატორების დიდებულებისათა ჩვენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და ხელმწიფისა ჩემის ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით, ვამტკიცებთ განჩინებასა. ფებერვლის **ც**, ქორონიკონს **უპთ**.

117. განჩინება თადია და დავით მაყაშვილების მამულის საქმეზე

1800 წ. 29 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3247. დედანი. ქაღალდი. 43,3×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილმძიმე.

ქ. საგარეჯოს მოურავის ქვრივსა და ობოლს თადიას მათის უმაღლესობის მეფისათვის არზი მიერთმია — უჯარმაში ჩვენს სამკვიდროს მამულს დათესილს ხოლბაუნებში მაყაშვილი ნაზირი დავით გომურებს ათხრევინებს და გლეხს კაცებს ასახლებსო.

ამისი სამართალი მათს უმაღლესობას ოქმით ჩვენთვის ებძანა. ჩვენ, საქართველოს უფლისწულმან მეფის ძე იოანე, მსაჯულთშეკრებულება, კახნი და ქართველთ თავადები ჩვენთან დავისწარით და სამართლით ასე განვაჩინეთ:

რადგან უჯარმაში მამული სამკვიდრო ჩოლოყაშვილის თადიასი უშენი და ხარაბა იყო და მათმა უმაღლესობამ მეფემ აშენება ინება, რომლისაც შენობა ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო არის, ამისთვის ქვრივსა და ობოლს თავი აღარ უწყენიათ და უკეთილმსახურესს მეფესაც მცნებისათვის ღმრთისა და საღმრთოთა სჯულთათვის, რომელსაც სწერს მოციქული იაკობ: «მსახურებაჲ წმიდაჲ და შეუგინებელი ღმრთისა მიერ [და] მამისა ესე არს: მიხედვაჲ ქვრივთა და ობოლთა სასჯელსა შინა»*.

* იაკობ 1, 27.

ამ ღმრთის მსახურებით მისს სიმაღლეს მეფეს სამი ოქმი უბოძებია მტკიცეს ბრძანებით, რომ: რომელიც მიწები უჯარმაში საგარეჯოს მოურავს და ობლის თადიას კაცებს გაუტეხიათ და უხნავსთ, იმისი წართმევა არ იქნებაო და ტყეში შესვლასაც ვერ დაუშლიანო.

ობოლმა თადიამ რომ ეს ოქმები წარმოაყენა, ჩვენთან დამსწრეთ მსაჯულთა და თავადთ ერთკმად ადიდეს კეთილმსახურება მეფისა და ჩვენც შედგომილნი სალმრთოთა ჯმათა მათის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის მეფისაგან ბოძებულს ოქმებს განაჩენითა ამით და სამართლით ვამტკიცებთ.

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ო ნაზირო დ ა ვ ი თ! რომელიც მიწები საგარეჯოს მოურავს და იმის კაცებს გაუტეხიათ და თავეთს სამამულეთ უხნავსთ, იმისი წართმევა არას გზით არ იქნება; საღმრთო სჯულისაც დახსნა იქნება და მეფისაგან ბოძებული ოქმებისაც. და ვერც ტყეში შესვლას დაუშლი თადიას და მისს კაცებს, როგორც ოქმები უცხადებს. და არც ამას ინებებს სამეფო განგეობა, რომ ახლის შენობისათვის დამკვიდრებული შენობა მოიშალოს.

შენ უნდა მიხვიდე და ობლის თადიას დათესილს ხოდაბუნებში რომ გომურები გაუთხრიათ, კელი უნდა ამართო და თადიას მოაბარო. ნოემბერს **კთ**, ქორონიკონს **უპ**ზ.

სხვა ვინც მემკვიდრენი არიან უჯარმელნი, იმათ ხომ თავეთი მამული ეჭნებათ და ამათ თავეთი სამკვიდრო მამული უცილებლად უნდა დანებდესთ.

ოთხი ბეჭედი: 1. ი ო ა ნე
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბ ე ჭ ა ნ
3. მდივანბეგი დ ა ვ ი თ
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

118. განჩინება ფარსადან ბარათის შვილის ყმის სიმონიკა იმერელის საქმეზე

1800 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 46. საბ. № 110. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[76] მის უმაღლესობასთან ბედნიერს მეფეს გ ი ო რ გ ი ს თ ა ნ ს ი მ ო ნ ი კ ა იმერელს არზა მიერთმია და ეჩივლა: ბ ა რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ფ ა რ ს ა დ ა ნ ბატონყმობით მედავება და სამართალი მიბოძეთო. მის უმაღლესობას ჩვენთვის ებძანა ამათის სამართლის განჩხრეკა.

ჩვენ ბრძანებისაებრ ორნივ სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. სამართალში აღმოჩნდა, რომ ეს სვიმონიკა იმერელი ამ ფარსადანის მამას რ ე ვ ა ზს მსახურათ ხლებია და იმასვე დაუსახლებია. ოცდაათი წელიწადი მეტი არის, ამის ყმათ ყოფილა. და სამართლით სვიმონიკა იმერელი თავისის ცოლშვილით დარჩა ყმათ ფარსადანს და ამის ძმას.

მარამ ფარსადანმა ამ სიმონიკას მამული უნდა მისცეს. თუ მამული არ მისცა, ყმათ ვერ დაიმკვიდრებს, ამისთვის რომ მამულისათვის ყმობია.

ერთი ამის პირი სვიმონიკა იმერელს მიეცა და ეს — ფარსადან ბარამისშვილს. დეკემბრის **ი**, ქორონიკონს **უპ**ზ.

შვილის გასყიდვა რომ მოეხსენებინა სიმონიკას, ის ტყვილი ყოფილა.

119. განჩინება კალაურის მოურავის ოვანისა და მისი სახლისკაცების ყმა-მამულის საქმეზე*

1800 წ. 22 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1986. დედანი. ქაღალდი. 21,7×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. კალაურის მოურავს თავისი სახლისკაცი ფ რ ი დ ო ნ და კ ი კ ო ლ ა ყმასა და მამულზედ რომ უჩიოდნენ, ამათი სამართალი მათმა უმაღლესობამ, ბატონმა მამაჩვენმა მე მიბძანა[ა].

ამათი საჩივარი რომ გავსინჯეთ, ორმოცს და ორმოცდაათს წელიწადს გაეცლო, კურთხეულის ბატონის პაპის ჩვენის დროს გაყრილი ყოფილიყვნენ; ვხედავდით, რომ ფრიდონ დიდათ უსამართლოთ ედავებოდა. და ვერც სამართლით შეუვიდოდა რასმე.

მაგრამ რადგან ამათი საქმე სხვებრ იყო, ჩვენ იძულებით განაჩენი მიეცით ფრიდონს და მის ძმებს. და ის განაჩენი ისევ ამ წერილით გაგვიბათილებია და დაგვიყენებია. რაც იმ განაჩენით ყმა და მამული ო მ ა ნ კალაურის მოურავს ჩამაერთო, ისევ იმასვე უნდა მიეცეს.

* შდრ. 1800 წ. 6 მარტის განჩინებას ამავე საქმეზე (იქვე № 77).

ჩვენ ეს სამართალი ასე მივეცით და ნება ახლა მემკვიდრის ჩვენის ძმის დავითისა არის. დეკემბრის **კბ**, ქორონიკონს **უპწ**.

სამი ბეჭედი: 1. ბაგრატ
2. ბეჟან
3. მდივანბეგი იოანე

კიდეზე:

ქ. ჩვენ ამ ჩვენის ძმის ბაგრატის განჩინებას ვამტკიცებთ. დეკემბრის **კთ**, ქორონიკონს **უპწ**.

დავით

ქ. ჩუენ, მეფის ძე იოანე და კავალერი, ჩვენის ძმის დავითისაგან დამტკიცებულს განჩინებას ამას ჩვენც ვამტკიცებთ. ფებერვლის **დ**, ქორონიკონს **უპთ**.

იოანე

120. განჩინება მოურავ მერაბისა და სახლთუხუცეს ნოდარის მამულების საქმეზე

1800 წ. 26 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 304. დედანი. ქაღალდი. 39,7×21,5 სმ. დაზიანებული თავში და შუაში. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი ან სამი წერტილი.

მოურავი მერაბ და სახლთუხ[უ]ცესი ნოდარ მამულებზე და მიწაწყალზე და მთასა და ბარზედ შეცილდენ. ბატონს მოახსენეს და შესჩივლეს; და ბატონმა ამათი სამართალი კარზედ ეფისკოპოზ[თ] და დარბაისელთ უბძანა, დას[ხდ]ენ და სამართლები ქნეს. გრემზე ფიცი მოურავს დაზდევს და სხვას ს[ა]ცილებლებზე სა[ხლ]თუხ[უ]ცე[სს] ნოდარს ედვა.

მოვედით გრემს ბატონის ბძანებით ჩვენ...* [მდი]ვანბეგი რამაზ, ბოქოულთუხ[უ]ცესი გიორგი...* და ამას ვეც[ა]დენი[თ], ფიცი არ [მომხდარიყო], მაგრამე არცერ[თი] დასჯერდა და უფიცრობა არ მოჯდა.

და გრემის მთა მოურავმა გაიფიცა: მაღლიდამ ტრნისის თავს გაივლის აბნოს ვეძში ჩავა, აბნოს ვეძიდამ აბნოს ვეძის გორს რომ რიგის ხებს შე[ე]ყრების, — ესები გიჯნკევის საძღვარია. ამას იქით ოღოიანი, ამას ზემოთ და ქვემოთ ლო[ტ]ის გაღმა-გამოღმა ართანის სამძღრამდის, ახლა მობრუნებით [ლ]დი[ს] მაღლიდამ წვერი წამოვა, თელიანის გორს შემოეყრების — ესები ასე ფიცა: «როდესაც ჩვენი მამა-პ[ა]პ[ა]ნი გაყრილანო, გვერდისძირი თავისის მთითა და ბარით გ[ა]ყრ[ი]ს უკან მიშოვნიაო, რაც კაცი არ მოსახლობსო და საკომლო არა გაქუსო, მის მეტი არც მთის გამოსავალში და არც სოფელში და სოფლის გამოს[ა]ვალში კელი არ გქონია და არა გაქუსო, ჩემი საკუთარი ყოფილა და არისო». ფიცა და გაიტანა, მოურავს დარჩა. ნოდარ სახ[ლთხ]უცეს[ს] კელი არა აქუს. საბური ღორი და ალმატური გრემის მთაში შევიდეს, საბალახე აიღოს. მთა საკუთრივ მოურავს დარჩა. რარიგადაც გრემს და ალმატს ძველთგან რუქონოდეს, ვერ მოუშალოს.

წმინდის ბ[ა]რბარის ს[ა]ყდარი და მისი შეწირულობა მამული საერთოდ დარჩა.

ორი ბეჭედი: 1. რამაზ
2. მონა ღთისა გიორგი. ხელთა: გიორგი

თავში:

ქ. ჩვენ, ყოელისა საქა[რ]თველოსა — ქართლის, კახეთის და სხვა[თა] მეფე გიორგი, იმ განჩინებას ვამტკიცებთ.

ბახუტაშვილო იოსებ! რომელიც ამათი მთ[ა და] მამული იყოს შე[მოფ]არგლული, იმისი საბალახე უკლებართ შენ უნდა აიღო და ამას უნდა [გაუ]რიგო. დეკემბერს **კვ**, ქორონიკონს [უპ]წ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

ქ. რაგვარადაც ამ ჩვენს მო[სამართლ]ებს [ს]ამართალი უქნია და ან ამ განაჩენში სწერია, ჩვენც ასე დაგვიმტკიც[ებია].

თეიმურაზ

121. განჩინება ჯაფარიძეთა სასისხლო საქმეზე

XVIII ს. II ნახ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3112. დედანი. ქაღალდი 44×34 სმ. დაზიანებული. შუაზე გახეული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება როსტომ და ლომინა რაჟის ერისთავების მიხედვით.

ქ. დავსხედით ბჭევნი და მოსამართლენი ღვთის შიშს ქვეშ. ბძანდებოდა თავათ ბატონიშვილი გიორგი, ერისთავი როსტომ და ლომინ[ა], მისი შვილი გიორგი, წერეთე-

* აქლია ორი სიტყვა.

ლი ნიკოლოზ და თამაზა მესხი, მთლათ ბატონისშვილის [და ე]რისთვის დარბაისელნი. სოფრომ ჯაფარიძე, გიორგი და ვახტანგ გავაბჭვეთ.

სოფრომ ჯაფარიძემ უჩივლა გიორგის და ვახტანგს: ცოლი მომიკვდა, საშაოს ვბოჭდი მ[ამუ]ლში. თემი გამიგულიანეთ. თემ[ე]ი ოქაც გამლახა და შინაც მომიხდენ და ავათაც მომეპყრენ.

[გი]ორგიმ და ვახტანგ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ გიორგი და [ვა]ხტანგ და ასე უაშორონ: «არც ჩვენის გაგულიანებით, არც შინ მოგხდომოდენ, არცა რა ეკადრებიოს თემს შენთვინ». თუ ასე უ[ა]შორონ, სოფრომ თავის კაცებს გაულახავს. უმფროსი გაჩნდებოდა, მარა სამი თავი მოხელდახელე ხელათმქნელი სოფრომს მისცენ. თუ ვერ უფიცონ, მესამედი სი[ს]ხლი მისცენ სოფრომს. თუ უფიცონ, რავარც სხვიმის მოკრეფილიყოს, საშაოც დაანებონ და მოკრიფოს სოფრომ.

ქ. ვახტანგ სამჯერ თემისგან გალახვა იჩივლა. სახლისკაცებს არც სწამობს და არც გაულახვინებია სახლისკაცს. და გალახვა რომელსაც თემს შესწამოს, ელაპარაკოს და სამართალი წაიღოს.

ქ. სოფრომ და ვახტანგ უჩივლეს გ[იო]რგის: თაყამ თავდებათ დაგვაყენა ბატონთან, უმტყუნა და წავიდა და სამასი მარჩილი [გა]რდაგვახდევინა ბატონმა.

გიორგიმ უპასუხა: ძმა თქვენ გამიბრიყვეთ, თქვენ გაგზავნეთ და ბატონის ღალატი თავს დაგვადევით და ამაზედ ეს ძმაც მომიკვდა.

სოფრომ და ვახტანგ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ვახტანგ და მ ე რ ა ბ და ასე უფიცოს: «რა ბატონს მძეულები მივეცით, ჩვენის სიტყვით მას უკან არც ჩვენით და არც ჩვენის სიტყვით შენი ძმა თაყა ოსეთს არ წასულიყოს». თუ ასე უფიცონ, გიორგის მისი კერძი თეთრი ჩაუგდონ და მათი კერძი თეთრი ვახტანგს და მერაბს გიორგიმ მისცეს. თუ ვერ უფიცონ, მათი გაგზავნილი ყოფილა, თეთრმაც გაიაროს და ნახევარი სისხლი გიორგის მისცეს ვახტანგ და მერაბმა.

ქ. სოფრომ და გიორგიმ უჩივლა ვახტანგს: ორი გლეხი ხუთას მარჩილათ გაყიდა მამაშენმა და ოცდარვა მტყვე, — ესენი ყველა ხრეული.

ვახტანგ აშორო უთხრა:

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ვახტანგ და რვა აზნეურშვილი თან ჩამოიტანიოს და ასე უფიცოსთ: «ხრეითის მამული რომ გაუყავით, მას უკან არც თეთრათ არც მტყვეთ და არასფრად ხრეითის სადეო თქვენი არაფერი შემომრჩენოდეს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლებიან ვახტანგს. და რომელიც ვერ ჩა[ი]ტანოს ფიცსში, მათი კერძი სოფრომს და გიორგის მისცეს ვახტანგმა. და თუ უფიცოს, გარიგებული ყოფილან და ვახტანგს არას ემართლებიან.

გიორგიმ ვახტანგს უჩივლა: შენს პირობაზედ ზალიკამ კაცი გამიყიდა.

ვახტანგ უპასუხა: ზალიკას თუ უფიცე, შენ იცი და ზალიკელამ. თუ ვერ უფიცე, რასაც შემომიხვალ, მოგცემო.

ქ. ვახტანგ უჩივლა სოფრომს: ღ ე ბ ი მქონდა სახელოთ და შენით დამეკარგა.

სოფრომ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს სოფრომ ან მამა და ან შვილი და ასე უფიცოს: «ჩემის[1] მიზეზით შენ ღები არ გამოგრთმევდეს». თუ ასე უფიცოს, არას უმართლება. თუ ვერ უფიცოს, თავისი თეთრი სარგებლით ვახტანგს მისცეს სოფრომ.

სოფრომ და გიორგიმ ვახტანგს ცამეტი მ[ტ]ყვე უჩივლეს.

ვახტანგ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ვახტანგ, ასე უაშოროს: «ამაში თქვენს ნამეტანი მამას ჩემს არაფერი დაეზარჯოს». და [რო]მელიც ვერ ჩაიტანოს, გარღუხადოს. და თუ უფიცოს, არას ემართლებიან.

ქ. გიორგიმ ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ძ ი ს გაყიდვა უჩივლა ვახტანგს. ჩ ა გ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ყოფილა ის ვახტანგაძე. ამაში ვახტან[გ]მა გიორგის რ უ ჩ ა გ და ფ ა რ ს ა დ ა ნ ჩ ა გ ა ლ ი შ ვ ი ლ ი დაანება. ერთი ძმა სოფრომს წაუყვანია მანამდი და მორიგებული ყოფილან.

გიორგიმ და ვახტანგ ერთმანეთს ფიცის წევა უჩივლეს. გავსინჯეთ მოსამართლემ. მარა არაფერი გამოსადევი იყო და გავაროსინეთ.

ქ. ვახტანგ ბ უ ჭ უ კ ას სიკვდილი იჩივლა: თ ა ნ დ ი ლ ამ ბუჭუკა მომიკლა.

გიორგიმ უპასუხა: ჩემი ძმა თანდილა გზაზე მოვიდოდა და თავის გინებაზე თავს წამოდგა და მაგიერი სიტყვა რომ უთხრა, ბუჭუკამ ხელიც წაკრა და ხელწაკრულმა მოაშურა და ა[მა]ზე მოკლა.

ვახტანგ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოცდაოთხი ბუჭუკას ტოლი კაცი

1 ⊥ შვ.

და ასე შეაფიცოს: «სანამდი თანდილამ ბუჭუკას პირაქით არ შემოუტევა და სასიკვდილოთ არ გამოიმეტა, პირიქეთ ბუჭუკას თანდილასათვინ იმ დღეს[1] არც შეეგინებიოს და არც ხელი წაეკრას». თუ ასე უფიცოს, მთელი სისხლი მისცეს. თუ ვერ უფიცოს თავის დანაშაურზე მომკვდარა და გაიაროს.

ქ. გიორგიმ კაცის ქალის გაყიდვა უჩივლა.

ვახტანგ უპასუხა: თავისმა ბიძამ ვალში მომცაო, ნახევარი ბაქრაძეს მივეცი. და ორი კაცი ასე შეაფიცოს: «ამის მეტათ არ გამსლოდეს და იმ კაცს ჩემი ამდენი მართებოდეს». თუ ნამეტანი მოვიდეს, რაც ერგოს, სოფრომს და გიორგის მისცეს.

ქ. ვახტანგ უჩივლა გიორგის: ჩემს კაცს — ცუგურიას ბეჟ(?) ლაშქრუაშვილის გლეხი ეწინდა და თაყამ დაყიდა.

გიორგიმ აშორო უთხრა: [ც]უგურიამ. რომ კაცი და ბიჭი წაიყვანა, ამაში ცუგურიას სადეო არა ქონებოდეს.

აწ ასე გავაჩინეთ: გიორგიმ ოცდაოთხი კაცი ასე შეაფიცოს: «ცუგურიამ კაცი ბიჭი რომ წაიყვანა, ამაში სადეო აღარაფერი შემომრჩენოდეს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, საერთო ყოფილა და სწორად გაიყოს.

ქ. ვახტანგ აფრასიონ იჩივლა.

სოფრომ უპასუხა: დედის ჩემის დახსნილი იყო.

ვახტანგ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: ვახტანგ ის გლეხი კაცი ასე შეაფიცოს აფრასიონ: «არც დედის შენის დახსნილი ყოფილიყოს და არც არაფერი იმაში ხელი თქვენ გქონდესთ». თუ ასე უფიცოს, კ[ცი] ვახტანგის ყოფილა და სისხლიც ვახტანგს დარჩეს. თუ ვერ იფიცოს, სწორი ყოფილა და [მი]სი სისხლიც სწორი გაიყოს.

ქ. ვახტანგ იჩივლა: დედაჩემს გოგო მოსტაცეს, სამოცი მარჩილი საუპატიო ამოიგე და დახარჯეთ. სახლისკაცს გარჯა არ დაემადლება, ვახტანგს დედამისის საუპატიო თეთრი მიეცეს.

გიორგიმ თანდილას სისხლი ორასი მარჩილი იჩივლა: რას ემართლებიან გიორგის, თანდილა[ს] სისხლი რომ აუღიათ, გიორგის მისცენ.

სოფრომ იჩივლა: შიომ და ბეჟან წაიკიდა, ამაში ჩემი შვილი დაიჭრა.

[1] + პირიქეთ.

გავსინჯეთ, სამართლის წიგნს ვკითხეთ, მარა არაფერი გამოვიდა, მაზაობლობაში დაჭრილა და არაფერი გაჩნდა.

ვახტანგ სურა იჩივლა. სალაპარაკო არაფერი არის; ვახტანგს მისი სურა მიეცეს.

გიორგიმ და ვახტანგ სოფრომს ოცდარვა მტყვის გაყიდვა უჩივლეს. სოფრომ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ სოფრომ და სამი თავისი ტოლი კაცი თან [ჩა]ეტანოს და ასე უაშოროს: «ამ მტყვეებში თქვენს ნამეტანი არაფერი წამეღოს». რომელიც ვ[ე]რ ჩაატანის, გარღუხადოს ვახტ[ა]ნგს და გიორგის. და თუ უფიცოს, არას ემართლებიან.

ვახტანგ ოთხმ[ოცი] მარჩილი იჩივლა და თა[ვ]ის ურიის. იმათ უარი ვერ უთხრეს. ვახტანგის საკუთარი ყოფილა, რას ემართლებიან, მისცენ.

ბეჭედი: ბატონიშვილი(?) გიორგი(?)

122. განჩინება პაპუა მოურავის, ქაიხოსროსა და დათუას გაყრის საქმეზე

XVIII ს. II ნახ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4029. დედანი. ქაღალდი 38×15 სმ. თავი და ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება საქმის გამრჩევ მოსამართლეთა მიხედვით.

... [მ]ამული ეყიდნა...* [ნასყიდობ]ის წიგნიც დათუას ქონდა; ის ნასყიდი მ[ამული სამად უნდა გაი]ყონ პაპუა მოურავმა, ქაიხოსრომ და დათუამა.

ქ. გუზლის მამული რომ ქონდათ გასაყოფი, ის მამულიც სამად უნდა გაიყონ პაპუა მოურავმა, ქაიხოსრომ და დათუამ.

ქ. მარაწში ერთი ქვევრი დათუამ საუფროსოდ უნდა აიღოს; სხვა ქვევრები პაპუამ, დათუამ და ქაიხოსრომ სამთავე სწორედ უნდა გაიყონ.

ქ. ბაღი რომ აქვსთ, რაც მამა-პაპას შემოუფარგლავთ და შემოუმიჯნავთ, ის ბაღი სამთავე სწორედ უნდა გაიყონ პაპუამ, ქაიხოსრომ და დათუამა.

ქ. ჯოლბორდიშვილი და მებატიშვილი სამთავე საძმოა.

* აკლია ხუთი-ექვსი სიტყვა.

ჭ. მჭედელაძეზე მოურავმა სახლის კაცებს ან კაცი შეაფიცოს და ან თუ კაცი ვერ შეაფიცა, სახლის კაცებს წილი უნდა დაუდვას; ამისთვინ უნდა შეაფიცოს კაცი, რომ მოურავი ამბობდა, საკუთრივ მე მიყიდნიაო.

ჭ. რაც სამკომლო ფურცელაძე[ე]ბს დღეს მამული აქვსთ ნასყიდი თუ უსყიდი, სათავნოს გარდაისად დღეს სწორედ უნდა გაუყონ.

ჭ. სასახლოთ გასაყოფი ბეითალმანი

ჭ. გურჯა[ა]ნში ზვერიასშვილის ბეითალმანი.
. აქვე გურჯა[ა]ნში ცისკარაძის შვილის ბეითალმანი.
ჭ. ვეჯინს მთავარშვილის ბეითალმანი.
ჭ. აქვე წნორაშვილის ბეითალმანი.
ჭ. აქვე მოვიდაშვილის ბეითალმანი.
ჭ. აქვე შათირისშვილის ბეითალმანი.

ეს ექვსი საკომლო რისაც მჭონებელი იყოს ვენახით, სასახლით, მიწებით — სამთავე საძმოა, სწორედ უნდა გაიყონ.

ჭ. ამ ექვსის ბეითალმნიდამ რაც თამაზისა და დათუას წილი იქნება, ორისავე წილი დათუასათვინ საუმცროსოდ მიგვიცია.

ჭ. ოთხი ბეითალმანი პაპუა მოურავმა და ჭაიხოსრომ უნდა გაიყონ.

ჭ. მოურავს პაპუას რომ თანდილაშვილის მამულს ედავებოდენ ჭაიხოსრო და დათუა, ეს მამულიც სამთავ უნდა გაიყონ.

ჭ. მოურავი პაპუა ბიაშვილს ედავებოდა, ბეითალმანი გიჭირავსო. თუ ამ ბიაშვილმა ასე შეფიცა მოურავს და ჭაიხოსროს: «ეს ბეითალმანიცა და მარცვალი ობლებიც აბელ მოურავმა ისევე სახლისკაცად შემომყარაო და მამულიც მე მიბოძაო», ხომ ბიაშვილს დარჩება. და თუ ბიაშვილმა ვერ დაიფიცა, ის მარცვალს ბეითალმანი ისევე სამთავ სწორედ უნდა გაიყონ.

ჭ. მოურავი და დათუ[ა] ბაღოშვილის მამულზე რომ ერთმანეთს ედავებოდენ, ეს ბაღოშვილის მამული ორი წილი მოურავისა ყოფილა და მესამედი დათუასი.

წისქვილის მესამედზე თუ მოურავს კაცი შეაფიცა დათუამ, წისქვილის მესამედიც დათუას დარჩება. თუ ან კაცი ვერ შეაფიცა ან სარწმუნო მოწმე ვერ იშოვნა დათუამ, ის წისქვილი მთლად მოურავს დარჩება.

ჭ. სამს კაცზე რომ მოურავი და დავით დაობდენ, ორი კაცი დათუას დარჩა. მოურავს ჯელი არა აქვს. მესამე კაცი ჩიგლაშვილის მოყვანილი ყოფილა მოურავის საწილოს კაცისა და დათუა ამბობდა: ოქმი მაქვს, ბატონმა მიბოძაო. ეს ნება ბატონისა[ა].

ჭ. ჭაიხოსრო დათუას ედავებოდა: ახო გასტეხე და მე წილი არ მომეო. დათუამ თუ იმავე თარგზე იმტოლა ტყე მოუჩენა გასატეხი, ტყეს უნდა დაჯერდეს ჭაიხოსრო. თუ იქვე იმტოლი ტყე ვერ მოუჩენა, ის ახო ნახევარი ჯერ დავითისა იქნება და ის ნახევარიც მერმე სამთავე სწორედ უნდა გაიყონ.

ჭ. ჭაიხოსრო და დათუა ბუჭყიაშვილების ხიზნებზე რომ დაობდენ, პაპუნასა და იასეს შეყრამდინ ის ხიზნები თუ პაპუნას მოუსხამ[ს], ხიზნებიც დათუას დარჩება. ჭა[ი]ხოსროს ჯელი არ ეჭნება. და თუ პაპუნა და იასე რომ შეყრილან და მაშინ მოუსხამთ, ის ხიზნები ერთი დათუას დარჩება და ერთი ჭაიხოსროს.

ჭ. კიდემ ჭაიხოსრო და დათუა ათანას მამულზე რომ დაობდენ, კიკონის რომ დღეს წიგნი უჭირავს ათანის მამულობისა, რომ დღეს ჭაიხოსრო კაცურას სასახლობით ედავებოდა, ამისი ასე გავაჩინეთ: თუ დღევანდლამდინ კიონის მოურავის წიგნი[ს] ძალით ის მამული სჭერია, დავითის კაცს ათანას დარჩება. თუ არადა, ჭაიხოსროს კაცს კაცურას სჭერია, მამული კაცურას დარჩება — ჭაიხოსროს კაცს.

ჭ. ჩვენ, კახეთის მოსამართლებმა, სარიდანმა, რამაზმა, ზაალმა ამ მოურავიანთ დავა და საჩივარი ასე გავაჩინეთ და გაუსამართლეთ, სამართლის ძალით როგორათაც [ამ ზემო განაჩენ]ში და[გვე]წერია და გაგვისამართლებია, ასე...* [თავიან]თის ნებამყოფლობით შევა[რიგეთ]...* ამაზე არცა რა სიტყვა... უწინა[ა]ღმდეგე[ე]ი[თ]...**

123. განჩინება ცაიშელისა და კოგახიძეთა სასიხლო საძმეზე

XVIII ს. II ნახ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2282. დედანი. ქაღალდი. 31,2×21,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება მანუჩარ დადიანის მიხედვით.

ჭ. დავსხედით ბრჭენი და მოსამართლენი და ყოვლად სამღვდელო ცაიშელი და კოგახიძენი გავაბჭვეთ.

ცაიშელმა უჩივლა: რადგან ამ ქვეყნის მწყემსი ვარ,

* აკლია ორი-სამი სიტყვა.
** ბოლო აკლია.

ჩემგან რიგია, რაც რომ უსჯულოება და უმართებულო საქმე იქმნება, უნდა მოვიკითხო. ერთი ღმრთის მტერი მემრავლე სოფელში დაიარებოდა და ეშმაკობას ლაპარაკობდა და ყოველს კაცს ეშმაკისკენ მიაქცევდა. დიდის ხნით ვცდილობდი რომ დამეჭირა, მაგრამ ერთის დღემდის ვერ მოვახელე. შევიტყევ, რომ ჩემის კაცისას მოსულიყო, გავგზავნე კაცი და დავაჭირვინე. დახვდი შენ და შენი სახლისკაცი, ის კაციც წაართვი და ჩემი კაციც გალახე და იარაღი აყარე.

მოდგა კობახიძემ და ასე უპასუხა: მე შენს ლაპარაკს ვერ მივბედავ და არც რიგია. ჩემ[მ]ა ამხანაგმა ჩემი თავი დაგასმინა და მან მიყო. შესახვეწათ გიახელი; მე მკითხავის რას დავეძებ, ჩემს სტუმარს ვე[ძე]ბდი, თორემ სხვა საქმე არ მქონდა. ერთი კაცი — რავარი კერძი კაცი არის ჩემი, ქვეყანამ იცის — ჩემი მეძღვნე უბარალოთ დამიჭირეს, გამიცარცვეს და მეორეს დღეს ამის შემხვეწეთ გიახელით, მაგრამ არაფერი სამართალი მიბოძე. ჩემი კაცის ნა[ცა]რცვი თოფი და ლეკური, სატევარი და ნაბადი დღესაც ხელში გაქვსთ; და ჩემგან შენს კაცს ან რა აკლია და ან რა ვკადრე?

მოდგა ცაიშელის კაცი იმ დღის გალახული და ასე უჩივლა: ბატონმა ჩემმა გამაგზავნა ერთს ღმრთის მტერს კაცსზე. კაცი დავიჭირე და მომყავდა და მისი თაბუნი კაცი მად დამესწრა, თოფით მკვლიდა და მართალია, სასიკვდილოდ თავი არ დავანებე და თოფი წავართვი. ამაზე დამხვდი შენ და შენი სახლიკაცი, ის დაჭირული კაციც გამაშვებინე და მეც თოფი წამართვი და ბევრი მირტყი და ჩემი თოფი იმ კაცს გაატანე და დღესაც მას აქვს.

მოდგა კობახიძემ და ამისი აშორო ასე უთხრა: რაც რომ მე და ჩემი სტუმარი ტყუილა არ გამლახე, იმ დღეს ჩვენის ხელით შენ არაფერი გკადრებოდეს დ[ა] არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინოს.

აწ ამისი საქმე ასე გავსინჯეთ და გავაჩინეთ: წამოდგეს ჯოღორია და ლევანიკა და ან იმათი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და თორმეტმა კაცმა ასე უფიცოს ცაიშელს: «რაც რომ ტყუვილს არ გვეწამება, იმ დღეს ჩვენ არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინებინოს, არც იარაღი წაგვერთმიოს და არც ჩვენის ხელით რამე კადრებოდეს». თუ ასე უფიცოს, ცაიშელი რას ემართლება.

და კობახიძე, რომ თავი[ს სტუ]მრის გალახვას ჩივა, თუ კობახიძემ ის მისი სტუმარი იშოვნოს, სამართალი შეიძლოს, რომ მის სტუმარს იმ დღეს არ ეშუღლებინოს ცაიშლის კაცისათვინ, თოფი იმ კაცს შერჩეს და საუპატიო კობახიძეს მიეცეს.

თუ კობახიძის სტუმარმა სამართალი ვერ შეიძლოს, თოფიც მოიტანოს და მიართვას ცაიშელს და მისმა გალახვამაც გაიაროს. დასტურ თუ სამართალი შეიძლო, თოფიც შერჩება კობახიძის სტუმარს; და რაც ნა[ცა]რცვია კობახიძის სტუმრის, ისიც მიეცეს. და საუპატიო როგორც რიგია, ისე კობახიძეს მიეცეს.

თუ სამართალი ესე თო[რ]მეტმა ვერ შეიძლოს, როგორც სამართლის წიგნმა გააჩინოს, ისე მიერთვას ცაიშელს.

ბეჭედი: დადიანი მანუჩარ.

124. განჩინება გოდერძი ჟურხულისა და მარეხაშვილის მამულის საქმეზე*

XVIII ს. ბოლო

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1461. რვეული № 13. საბ. № 137. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. გოდერძი ჭურხულს ეჩივლა დავით გარესჯის ყმის მარეხაშვილისათვის: ჩემი ნასყიდი მამული რამდენიმე ხანია უპირავს. წიგნი დაკარგული მქონდა და მოწმე არა მყვანდა, ახლა ვიპოვნე და სამართალს ვითხოო.

მათს უმაღლესობას მეფეს ამათი სამართალი ჩვენთვის ებძანა. ჩვენ, ჩოლაყაშვილმა სალთხუცეს საგარეჯოს მოურავმა გიორგიმ, გარეჯელთ მოხელეთა, სამღვდელოთა და უფროსუფროსის კაცთ თანდასწრებით ამათი საჩივარი გავსინჯეთ.

დავით გარესჯის წინამძღვარმა ყორჩიბაშისშვილისაგან გასყიდულის იმ მამულის ნასყიდობის სიგელი მოიტანა, რომ ერთი საკომო მამული ყოვლის მისი სამართლიანის სამძღვარი მიეყიდნა. მაგრამ სად რამდენი მამული ქონოდა იმ საკომოსი, არც მომიჯნავე დაეწერათ და არც მიჯნა. დღეს რომ გოდერძის საბუთი მოაქვს, იმაში ყველა გარჩევითა სწერია.

დავით გარესჯის წინამძღვარი თეოდოსი ამბობდა: ამდენი[1] ხანია მონასტერს ეს მამული უპირავს, დავა არავის გაუგონია და სიგელიც სარწმუნო ქონდათ.

მაგრამ გოდერძი ამას ეუბნებოდა: დღევანდლამდის ამ მამულისა არა ვიცოდი, შენი იყო თუ ჩემიო. დღეს რომ პაპის ჩემის ნასყიდობის წიგნი ვიპოვნე, ახლა ამითი გედავებიო. რაც

1 ამდენი.

* შდრ. 1792 წლის 12 თებერვლის განჩინებას (ქართ. სამართ. ძეგლები, V, № 322).

ამაში მოწმითა და მიჯნებით მამული მიწერია — ჩემია; და ამის იქით რაც მამული დარჩება შენიაო.

ჩვენ წინამძღვარს თეოდოსის მოვახსენეთ: ან ასეთი უჯათი უნდა იშოვნოთ, სად რამდენი დღის მიწა გიყიდნიათ — ეწეროს და ან ასეთი სარწმუნო მოწამე იშოვნოთ, რომ იმ მოწამემ იცოდეს და ეს გოდერძის წიგნი გააბათილოს, და ეს მამულიც მაშინ თქვენი შეიქნებაო; კაცის პირითაც შეუთვალეთ და ჩვენც უთხარით ვადამდის. მაგრამ იმ ყრუთ დაწერილი სიგელის მეტი ვერა იშოვნეს რა.

გოდერძი თავისი ნასყიდობის წიგნით მიჯნები გავიმძღვარეთ, რომელიც მიჯნა და მომიჯნავე იმაში ეწერათ, სწორეთ გვაჩვენა და სოფელიც ამას ემოწმებოდა.

ამ წერილის ძალით ეს მამული გოდერძის დავანებეთ და ახლად მიჯნებიც ჩაუსხით. მაგრამ თუ როდესმე დავით გარესჯის წინამძღვარი ან ასეთს საბუთს იშოვნის, რომ გოდერძის წიგნის წინაალმდეგი იყოს და ან მოწმე[ე]ბს იშოვნის, მაშინ სხვა სამართალი იქნება.

წინაზედ იყო ამათი დავა და განაჩენიც მაშინ მივეცით. მაგრამ არეულობაში რადგანც დაკარგულიყო და წიგნებიც ქალაქს ჰქონოდა და...* მათის უწმინდესობის კათალიკოზის ბძანებით იმ განაჩე...**

125. განჩინება ქაიხოსრო აგიაშვილისა და ცირეკიძის მამულის საქმეზე

XVIII ს. ბოლო

ქუთ. სახელმწიფო ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 765. დედანი. ქაღალდი. 27,4×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთის თავი დაზიანებულია.

ქ. ქაიხოსრო აგიაშვილი და ცირ[ეკიძე გავაბჭევთ].

[აგიაშვილმა უჩივლა: საციხისთო] ჩემის აზნაურისშვილის ტყავაძის ალაგ-მამული [წამართვი] და ჩემი რაშიდ გიპირ[ა]ვსო.

ცირეკიძემ უპასუხა: მართალია, ძველათ საციხისთო

* აკლია ერთი სიტყვა.

** ბოლო აკლია.

ყოფილა ის ტყ[ავაძ]ე და მისი ალაგიც, მაგრამ მხეიძესა და ციხისთავს შუა სისხლი ჩამოვარდნილა და ის ტყავაძე და მისი ალაგიც სისხლშიდ მიუცემი[ა] და მხეიძემ ფასი გამოგვართა და წყალობაც გვიყო და წიგნიც მოგვცა მხეიძემ და შიდ ვსახლობვართ.

ციხისთავმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ციხისთავმა ორმოცდარვა გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც სისხლში ჩვენს ძველს ის ტყავაძე მიეცეს და მისი ალაგი და მამული და არცარა მხეიძეს იმაშ[ი] ხელი ქონდეს». თუ ასე უფიცოს, ალაგ-მამული ციხისთავს დაუტევოს ცირეკიძემ. და თუ ვერ უფიცოს, ადგილი ისევე ცირეკიძეს დარჩეს. თუ ციხისთავმა უფიც[ო]ს, [ცირე]კიძემ აჯით შეატყობინოს და ისე მიაბაროს ალაგ-მამული ციხისთავს ცირეკიძემ.

მეორე პარტახი კიდე[ვ] ტყავაძისსოული ყოფილა და გვენეტაძეს გაუყიდია. და გვენეტაძემ და ცირეკიძემ უნდა ისამართლოს და ციხისთავს ულაპარაკოთ დარჩა ის ადგილი.

126. განჩინება საგინაშვილებისა და ჩხიკვთელების დავისა გამო წყლის თაობაზე

XVIII ს.

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 30. საბ. № 76. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[60v] საგინაშვილები და ჩხიკვთელები ბოსტნის წყალზე სარჩლობდენ. ორისავ საჩივარი გავიგონეთ. ჩვენ ასე გაურიგეთ, რომ: თვეში სამს კვირას საგინიანთ[1] იდინონ და ერთი კვირა ჩხიკვთელთ[2] იდინონ.

127. განჩინება შოშიტა და სოფრომ ჯაფარიძეების საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 15016. დედანი. ქაღალდი. 33,6×17,5 სმ. მხედრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. უთარიღო.

შოშიტა ჯაფარიძე და ჯაფარიძე სოფრომ გავაბჭევთ.

სოფრომმ[ა] უჩივლა: შენმა კაცმა შეყრილაძემ თოფი მესროლა და ხე[ლა]თქნელათ გამიჩთა სამართლით და შენც თამასუქი მომეცი იმ კაცის უდევობის და ის ჩემი ხელათქნელი ისევ

1 საგინიანი. 2 ჩხიკვთელნი.

შენ და შენმა კაცმა წ ე რ ე თ ე ლ ს შეახვეწეთ და იქ ქრთამი დამეხარჯა სამოცი მარჩილი. და იქიდამ რომ ამოვიყვანე, მერმეთ ქართლ[ს] გამიგზავნეთ და სამსახური დამიკარგეთ, რას მემართლებით.

შოშიტამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს შოშიტამ რუა გლეხი კაცი ან ამავალი აზნაურიშვილი და ასე სამართალი მისცეს სოფრომს: «მე რომ წიგნი მოგეცი შენს თოფის მჰსროლ შეყრილაძეში, ის ბ ე რ ი კ ა არც მე და არც ჩემს კაცს წიგნის მოცემას მერმე არც წერეთლისთვის შეგვეხვეწებინოს, არც ქართლს გაგვეგზავნოს და არც შენი სამსახური რაც იმაში გამოგხვთებოდა და არც ის წაგვერთმიოს».

თუ ასე უფიცოს რას ემართლება სოფრომ. თუ ვერ იფიცოს შოშიტამ, მერმე სოფრომმა აჯით შეატყობინოს, რაც ქრთამი დახარჯვია ან სამსახური დაკლებია, რეთი ათი მარჩილის გამოვიდეს, იმდენი გლეხი კაცით ან ამავალი აზნაურიშვილით და შოშიტამ გარდაუხადოს.

ქ. შოშიტამ უჩივლა: მე თუ ღმერთმა შემაძლებინა გიმართლდები, მარამ შენ რა პასუხს მაძლევ ეს ბ ე რ ი კ ა შ ე უ ყ რ ი ლ ა ძ ე თქვენი ხელათმქნელი[1] წიგნით მოგართვი, მარამ სხვა ძმები რაც დამრჩა, ყველა დამიჭირე, დ[ა]ფიცე, თავდები დაიყენე ბატონყმობის და რაც ქონდა ყოფა, წ[ა]რთვი და ოთხმოცი[2] მარჩილი გადა[ა]ხევინე.

სოფრომ[მ]ა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოცდაოთხი[3] გლეხი კაცი ან ამავალი აზნაურიშვილი ნახევარში და ასე სამართალ[ი] მისცეს შოშიტას: «ჩემმა[4] ხელათმქნელმა[5] ბერიკელა შეყრილაძემ რომ მიეორგულა, ის რომ დავიჭირე, შიშისათვ[ი]ს შენს კაცს ხელი მოვკიდე, თორემ არც შენი კაცი შეყრილაძე[ე]ბი არც საბატონყმო[თ] დამეფიცებოის, არც საბატონყმოთ თავდები გამომერთმიოს. [ა]რც შენი საწილო კაცებისთვის არაფელი წაგვერთმიოს არც მე და არც ჩემს მიყოლილს კაცს, არც არაფელი გადამეხთ[ე]ვინებიოს შენი შეყრილაძე[ე]ბისათვის».

თუ ასე უფიცოს სოფრომმა, შოშიტა რას ემართლება; სიკვდილის შიშისთვის თავის სახლისკაცის კაცები დაუჭირავს და გაუშვია და გაიაროს. თუ ვერ იფიცოს, გლეხი რომ მოუთხ[რია] და საბატონ-

1 ხელამთქნელი. 2 ვოთხმოცი. 3 ოცდაოთხი. 4 ჩემი. 5 ხელამთქმელი.

უმოთ შეუფიცავს, ამისთვის გლეხზედ გლეხი [ჯაფარიძე]ს შოშიტას მისცეს. და რაც წაერთმიოს და გადაეხ[თ]ევინებიოს, ს[ა]მ[ართალში] დაიაჯოს, რომ ამის მეტი არ გარდამეხთევინებიოს და წამე[რთმიოს], თავისი მისცეს შოშიტას სოფრომმა. თუ ბატონყმობის სამ...* ძლოს და გარდახდევინების და წანართმევს გამოტყდეს ის, აჯით [მისცეს თა]ვისი სოფრომმა. თუ იმ ზეით შოშიტამ ვერ იფიცოს, ნუ[არც სოფრომს აფიცებს. და რაც სოფრომს შოშიტას კაცისათვის წაურთმევ[ია და] დაუჭირავს ყველამ გაუაროს შოშიტას და მის კაცს. ამისთვის რომ ხელათქნელათ გარდაუბირავსთ ბატონს და ყმას და მათ სახლში ყოლიათ თავისი ძმა; და რაც უყო სოფრომმა ხელათქნელის ძმებს, გაუაროს.

ქ. სოფრომმა უჩივლა: ჩემი ძმის და ჩემი საერთო ადგილი ჩემი ძმის გ ი ო რ გ ი ს ა გ ან იყიდე. მერმე დაგითხოვე და დეკმა დაგიწყე. საუდავო წიგნი მომეცი ასე, რომ: სამს თვეს მაცალე და ამ შენი ძმის მონაყიდს მამულს [უ]პასუხოთ დაგიტევთო. ამ წიგნით დავსჯერდი და ვიმუშავე; და ეს წიგნი მიმტყუნე და ნამუშევარი წამართვი ასი მარჩილის. რათ არ მომცემ?

შოშიტამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს შოშიტამ ათი გლეხიკაცი და ან ამავალი აზნაურიშვილი ნახევარში [ა]სე სამართალი მისცეს: «შენი ნამუშევარი არც ღვინო არც მე და არც ჩემს კაცს არ [წა]გვერთმიოს». თუ ესე უფიცოს, სოფრომ რას ემართლება. თუ ვერ იფი[ცოს, რასაც გამოტყდეს, გარდაუხადოს. რასაც არ გამოტყდეს, სამართალი მისცეს სოფრომს. ალაგზე ისევე გარიგებულან და ალაგი[სევე შოშიტას და მის კაცს ჭონდეს, როგორც თამასუქში ეწეროს.

ქ. სოფრომ[მა] უჩივლა: ობლები[1] ვიყავით. მერმე მამაშენი ჩვენს უფროს ძმას გაუოფილს გაებრძოლა და ჩვენ ოთხ[2] ძმას ასი მარჩილი გარდაგვახევინა. რას გვემართლებოდი არ ვიცი?

შოშიტამ უპასუხა: ბაბ[უ]აშენმა სოფრომმა გელოვანის ამ[ო]ნაგები თეთრი შეშუამა და მერმე მამაჩემი შენს უფროს ძმას გაებრძოლა. თქვენც ერთი იყავით, იმ ბრძოლაში ვარი ვერაფელი გვითხრა შენმა ძმამ და ასი მარჩილი მოგვეცით. მართალია, მოგრიგდით.

სოფრომმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სოფრომმა ათი გლეხი კაცი ან ამავალი აზნაურიშვილი ასე სამართალი მისცეს: «არც მამაშენი

1 ობლები. 2 ვოთხ.

* აკლია ერთი სიტყვა.

და ჩვენი უფროსი ძმა რომ გა[ი]ბრძო, იმ ბჭობის თაბუნი ვყოფილიყოთ ჩვენ ოთხი ძმა, არც გვეყაბულებოის ის განაჩენი, არც იმ ჩემი ძმის გიორგის თაბუნი ყოფილიყოთ ამ საქმეში, არც ბაბუაჩვენს სოფრომს მამაშენის სათაბუნო გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ამონაგები არაფერი შეეჭამოს, კიდეც ამდენი ჩვენ ოთხ[1] ძმისთვის მამაშენს გადაეხთევინებოის». თუ ასე სოფრომ გამართლდეს, რაც გარდაეხთევინებოის, შოშიტამ ერთიორათ[2] მისცეს. თუ ვერ გამართლდეს, გაბრჯობილან, გარიგებულან, შოშიტას ნუღარ ედავება სოფრომ და მისი ძმები. სოფრომს თ[უ] შოშიტას კაცი ყავდეს ნაფიცი, აუშვას.

128. განჩინება მერაბ ჯაფარიძისა და მახარა გლოველის სასიცხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13786. დედანი. ქაღალდი. 30,5×11,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. მერაბ ჯაფარიძე და [მ]ახარა გლოველი ბერიშვილი გავაბჭვეთ.

მერაბ უჩივლა: თქვენში ხიზნათ ვიყავი ბატონი ჩემის იმედით და თქვენის იმედითაც, სანამდი ჭიდრათი(?) არ ეიღეს, მანამდი ვიყავი; შემეშინა, ხიზანი ვეღარ დამაგრდება თქვა და სიდეთაც საშველი მქონდა, იქით წევიყვანე. დახვდი შენ წინ, ცოლი და შვილიც გამილახე და კაცებიც ყველა დამილახე და ოთხფეხი რაც მყავდა, ყველა წამართვი და ჩემი ცოლშვილი გაგლეჯილი გამოუშვი.

მახარამ უპასუხა: შენმა კაცმა ღორი მომიკლა, გამოვიჩინე, ბევჯელ ესთხოვე, მაგრამ სამართალი არ მომცა. და მართალია, შენმა კაცმა ჩემს კარზე გამოიარა და ამ ჩემს ღორში ხარი წაართვი.

მერაბ უჩივლა: შენი ღორიც გაძლიე და კარგი თხა ზედ დაგიდევი შენს ღორზე, მაგრამ არ დამჯერდი, მაინც და მაინც ცოლი და შვილი დამილახე და რაც ოთხფეხი მყავდა, ყველა წამართვი.

მახარამ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს მახარა გლოველი ოცდაოთხის კაცით და ასე უფიცოს: «არც ჩემი გამთაველ გეძლიოს, არც შენი ცოლი და შვილი იმ კაცის სიახლოვეს ყოფილიყოს და არც არაფერი შენს ცოლსა და შვილს იმ დღეს ჩემგან კაღრებოდეს რამე და არც არაფერი ოთხფეხი შენ ჩემგან დაგკლებოდეს, იმ ერთის ხარის მეტი».

თუ ასე უფიცოს, თუ ის ღორი მოპარული გამოვიდეს, ხუთეულეთა მისცეს მერაბმა გლოველს; და ხარი ისევე მერაბს მიერთვას. და თუ მოპარული არ გამოვიდეს, მთავნი ღორი მისცეს გლოველს და ხარი მაინც მერაბს მიერთვას.

და თუ ვერ უფიცოს, თუ შესძლოს გლოველმა სისხლი და რაც დაკარგვია მისი გადახდა[1], თვარამ ხელათმქმნელი მიეცეს მახარა გლოველი მერაბს.

[1] ოთხ. [2] ერთიორათ.

129. განჩინება ლაზარიკა და პეტინ ქაშაკაშვილების საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2890. დედანი. ქაღალდი. 22×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ლაზარიკა ქაშაკაშვილი, პეტინ ქაშაკაშვილი გავაბჭვეთ.

ლაზარემ უჩივლა: ორი ცხვარი შენ მომპარე და მესამე შამაშენმა; ხუთი კოკა ღვინო მამის მოპარული, ხუთი ჩაფი კიდო შენ მომპარე; ამას მერმეთ მოყვარემ ცხენი მომპაპარა, მეოთხედი მე მომცა, მომპარე შენ და ცხენზე მიეშვი, მხარი იტკინა. მოვიდა ჩემი მოყვარე და ცხენი მან წაიყვანა, მოყრობისაგანაც გამაგდო და ცხენიც წამართვა. ჩემის შეტყობილობით ამდონი ზიანი[2] დამემართა შენგან.

პეტინმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან პეტინი, სამი კაცი სხვა ჩეტანოს და ასე შეფიცოს. «შენ რომ ცხვრების მოპარვას მეწამები და სახლის გატეხას, არც მე შენთვის ცხვარი მომეპაროს და არც შამა ჩემს, არც შენ რომ ღვინო შემოგ[ე]წამე, არც მე და არც მამა ჩემს არ მოეპაროს და არც ცხენი ჩემს ცხენზე მიმეშვას, შენს მოპარებულს ცხენს ჩემით არაფერი სტკენოდეს».

[1] + გლოველმა. [2] ზნიანი.

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება. თუ ვერ უფიცოს და გამოტყდეს, ხუთეულათ მისცეს პეტინმა ლაზარიას და ცხენზე ცხენი დაუდვას.

130. განჩინება გოგია ამილახვრისშვილისა და ზაზა ხერხეულიძის სასისხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 789. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ამილახვარისშვილი ომანის შვილი გოგია*, ხერხეულიძე დავით უზბაშის შვილს ზაზას მიხდომას, ცემას და ხლმით დაჩეხას უჩიოდა. და იმის უმაღლესობას სანატრელს ბატონს მამაჩვენს და ბატონს დედოფალს დედაჩვენს ოქმების ბოძებით ამათი სამართლის მიცემა ჩვენს ბატონისშვილის იულონისათვის ებძანებინა. მოსამართლეთ თანადასწრებით ესენი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

დავით ხერხეულიძე ასე ჩიოდა: შარშანსწინ არბო[ო]ბას ჩემი ძმისწული გიორგის შვილი ლუარსაბ ხატის კარზე სალოცავად იყო მისულიო და თვითონ შენ — გოგიაც იქ ყოფილიყავე, დაუნაშავებლივ ჩემი ძმისწული ცხენიდამ გარდმოგეღებინებინაო, კაცები მოგესივაო და მრავალი გეცაო და ცემით ასე გაგეხადნაო, რომ სიკვდილის პირზედ გაგეშო ის გალახული ყმარწვილიო, იმ ყოფით ცოცხალ-მკვდარი შინ მოგეგვარესო; რაერთი ხანი გვიწვაო, რომ რის ყოფით მოვარჩინეთო. მასუკან ერთი წელიწადი სამართალში გიწვევდიო. თვით ამ ჩვენს ბატონისშვილს იულონს რამთენჯერ მოვახსენეო ამაზე სამართლის ბოძებაო. ოქმიც გიბოძა, დაგიბარა და სამართალში არ იახელო. თუ შენ რიგიანათ სამართალში მოსულიყავო, სამართლით როგორც იქნებოდა, ჩვენის საჩივრის საქმე გარდასწყდებოდაო და ეს ამისთანა საქმე აღარ მოხდებოდაო და ამისი ბრალიც შენა გაქვს, რომ სამართალში არ მამყევო.

ამის პასუხათ გოგიამ ასე მიუგო: რასაც დროს თქვენ ბატონისშვილის იულონისათვის მოგეხსენებინათ და ოქმის ბოძებით მე სამართალში დავებარებინე, მაშინვე მე და ჩემი ძმა ვიახელით გორს, იქ კი აღარ მოგვიხდა ლაპარაკი. ბატონიშვილი ვანათს წაბძანდა. ჩვენ ჩვენის ბიძის ბეჟანით და თქვენც იქ თან ვიახელით და ორივ-სამი დღე იქ გვალაპარაკა და ვილაპარაკეთ. და ორისავე მხრის საჩივარი მოხსენდა და მაშინ ამისთვის გარდაუწყვეტელათ დარჩა ჩვენი საქმე, რომ ბატონიშვილი ოსებში შებძანებას ეშურებოდა და იქ შებძანდა. თქვენცა და ჩვენც გამოვბრუნდით.

ამის პასუხათ დავითმა ასე მიუგო: ბატონისშვილი ოსებიდამ რომ გამობძანდა, ჩვენ კიდევ ვიახელით და სამართლის მოცემა მოვახსენეთ. ოქმი გიბოძათ, სამართალში დაგიბარათ და არ იახელით.

ამისი გოგიამ ასე მიუგო: მეორეთ რომ სამართალში დავებარებინეთ, მე შინ არ ვახლდი, ბატონისშვილს ალექსანდრეს ვახლდით და ჩემი ძმა იოვანე უჩემოთ არა ხლებოდაო, თორემ სამართალში მოსვლაზე არასდროს არ მოგრიდებივარო. და არბოობის დღეს ჩხუბისა პირველი მიზეზი შენმა ძმისწულმა მამცაო. თუკი იმთენი ხანი მოითმინეთო, მასუკან შინ რომ მოველო, რატომ აღარ მელაპარაკენითო; მაგრამ ჩემი სიკვდილი გეწადათო და დროს დახელებასაც ეძებდითო, თორემ მე რომ შენმა შვილმა ზაზამ ცხინვალს მნახა, ბატონიშვილიც ხომ გორს ბძანდებოდა, რატომ თუ სიმართლე გჭონდათ, რატომ სამართალში არ მელაპარაკენით. მაგრამ თქვენი სამართალში ლაპარაკი მაცთურობა იყო, რომელიც გულში გედვათ, კიდეც აღასრულეთ: მე ორის კაცით ბატონისშვილის ალექსანდრეს ნაბძანებს სამსახურზედ ვიყავ ცხინვალს მისული; შენმა შვილმა იქ დამზვერა, გამობრუნდა ერგნეთს, შინ მოვიდა, ოცდაათამდინ [კაცი] იარაღით და კეტებით შემოიყარა და ისე უცოდინარეს და დანდობილს მომიხდა. იმთენის კაცისავან კეტებისა და ხლმის ცემით ასე დამკაფესო და კეტის ცემით ჯერაც ჩემი ტანი თავის ფერზედ არ მოსულაო. მკვდარი რომ გამაგდესო, მღვდლის მოსაყვანათ აზნაურიშვილი გედევანისშვილი სოლომან წასულიყო; იმასაც გზაზე დახვედროდით, თოფი გესროლათო და დასცდენოდაო.

ამის პასუხათ დავითმა ასე მიუგო: ჩემის შვილისაგან კაცების შეყრა და წამოსვლა არ შემიტყვიაო, თორემ როგორც იმთენს ხანს მოთმენილი მჭონდაო და მინდა სამართლით გავრიგებულიყავო, მაგრამ შენ არ მოხველ სამართალშიაო. მე ამისთანა შფოთს ვერიდებოდიო და სამართალს იმისთვის მდომობდიო, არ მომყევ და ამისი მიზეზიც შენ შეიქენო. და არცარა ახლა დაგვაკელო, თოფიც გვესროლეო და შვილიც დამიჭერო, ისიც სიკვდილს ძლივს გადურჩაო.

ამისი გოგიამ ასე მიუგო: თუ შემძლებოდა და იმოდენი კაცი მეცა მყოლოდაო, ვინცავინ მომიხდნენ, სულ რომ დამეხოცაო,

* „გოგია“ ხაზგადასმულია.

სამართლით ვერას შემომიხვიდოდით. მაგრამ სამოცს კაცს საომრათ მოსულს სამი კაცი შეუტყობელი როგორ უპირდაპირებდაო.

ჩვენ რომ ესენი პირისპირ ვალაპარაკეთ და ორისავ მხრისა საჩივრები მოვისმინეთ, ცხინვალს მიხდომის დროში დამსწრე მოწმე[ე]ბი მოეთხოეთ. იქ დამსწრები და მნახავი გედევანისშვილი სოლომან, მირზასშვილი ქაიხოსრო და ჯავახისშვილი სოლომან და ცხინვალის მამასახლისი ღთისავარ — ეს ოთხნი ყოფილიყვნენ. ესენიც მოვაყვანინეთ და სასამართლოს ბძანებისამებრ ფიცით ვკითხეთ და როგორც ზემორე ომანისშვილის გოგისაგან ნალაპარაკევი საჩივარია მოხსენებული, ამ მოწმე[ე]ბმა ისე იმოწმეს.

სამართლის განჩინების ძალით და ჩვენის გაშინჯულობით ამათი საჩივრის საქმე ასე ვსაჯეთ:

პირველათ არბოობას ხერხეულიძე ლუარსაბ ომანისშვილმა გოგიამ რომ გალახა და მასუკან ხერხეულიძე ზაზა ცხინვალს მიუხდა კეტებით გოგას და გალახა, ეს ორისავ მხრის გალახვა ერთმანერთის შეფარდებით ჩავატარეთ.

გოგია რომ სამართალში მერე დაბარებაზედ აღარ მოვიდა, ამისთვის ხერხეულიძის ზაზასაგან მიხდომის სისხლიც ჩავატარეთ; ამიტომ, თუ მეორეთ დაბარებაზე მოსულიყო, იმ სუბუქს გალახვის საქმეზე სამართალი მიეცემოდათ და ეს ძძიმე მიზეზი აღარ მოეცემოდათ დაჭრილობისათვის.

ახალს დაჭრაზედაც გავგზავნეთ გამშინჯველათ მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ი მგალობელი პ ა [ა] ტ ა და ამირაღასშვილი ბ ა ბ უ ა. ამათ ენახათ ომანისშვილი გოგია შვიდს ალაგს ხლმით და ხანჯლით დაჭრილი და ძძიმეთ გალახული. მაგრამ[2] ჭრილობის მზომელობა მაშინ არ ყოფილებინებია და ახლა გამთელებულზედ ავიდევით ზომა. ხუთის ხლმის ცემით თავში აქვს ჭრილობა; ამ ხუთისავ ჭრილობის ზომა არის ოცდასამის ქერის მარცვალი. მხრის თავში აქვს ხლმის ცემით ჭრილობა; ამისი ზომა არის ექვსი ქერის მარცვალი. ეს ექვსი რიგის ჭრილობის ჯამია ოცდაცხრა ქერის მარცვალი. ეს ამილახვარისშვილი გოგია შუა თავადათ აღვრიცხეთ. შუა თავადის ჭრილობის სისხლი ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი თ მთ თავში ერთის ქერის მარცვლისა თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი არის. იქნება ოცდაცხრა ქერის მარცვლის ჭრილობის სისხლის ჯამი სამასსამოცდათერთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი. სუკში დაცემულის ხანჯლის ჭრილობისა ზეიდამ პირზე გამთელებულის ზომა არის სამის ქერის მარცვლისა; სანახავის რკინისა და მისაცემის ფილთისა უწინვე ზომა არ აღებულა და ამ გამთელებულის სამის ქერის მარცვლის ჭრილობის მიხედვით და ზომით იქნებოდა სიღრმეზედ წასული ხანჯლის პირი თუთხმეტი ქერის მარცვლის ზომა, მაგრამ სამის ქერის მარცვალიც ჩაუტარეთ და თორმეტი ქერის მარცვლის სისხლიც ამავ მთ თავში არის გამოცხადებული ერთიორად, რომ იქნება ოცდაოთხის ქერის მარცვალი. ამ ოცდაოთხის ქერის მარცვლის სისხლის ჯამი იქნება ორმოცდათექვსმეტი თუმანი.

მიხდომაში ჭრილობისათვისაც სისხლის მესამედს სამართალი უმატებს. მესამედიც იქნება ოთხმოცდახუთი თუმანი, სამი მინალთუნი. სუკში დაცემულის ხანჯლის ჭრილობის სრული სისხლის ჯამია სამასოცდაჩვიდმეტი თუმანი. სრულად ერთობით გოგიას ჭრილობისა თავისა, მხრის თავისა და თუ სუკისა ერთობით ჭრილობისა ცულუ ჯამი არის სისხლისა შვიდას რვა თუმანი და ნახევარი. ამისი მესამედი სამართალმა განწესებისამებრ იპატივა სლვ. ც (ორას ოცდათექვსმეტი თუმანი და ორი მინალთუნი), ამდენი. ამას რომ გამოვიღეთ, დარჩება უოჯ. ძ (ოთხას სამოცდათორმეტი თუმანი და სამი მინალთუნი) ამისი ნახევარი ნაღდი და ნახევარი ღირებულის რაც რამ ფერი ჯინსი მოსცენ.

დაჭრილი ზაზა სამართალში დავიბარეთ, რომ იმისი ჭრილობაც გაგვეშინჯა; არ მოიყვანეს. როდესაც გაიშინჯება, ისიც გაიზომება და დაცემულ ხანჯლის სისხლის შესაფარდათ თავის გვარისშვილობის რიგზედ იანგარიშება და რაერთიც დადგება, ის ზემო ორის წილის გაჩენილის სისხლიდამ უნდა გამოვიდნენ და დანარჩომი მიეცეს.

ამას გარდა [მღ]დლის მოსაყვანათ მიმავალებულის აზნაურის სოლომანისათვის თოფი რომ დაუცდენიათ, ამასაც მესამე აზნაურის ნახევარ სისხლათ ოცდაოთხი თუმანი გაუჩნდა.

და ამ[ას] გარდა ორსავ მხარეს მსახური იმერლები სუბუქათ დაჭრილიყვნენ, ისინი აღარ მოვიხსენეთ და ორივ მხრიდამ ჩავატარეთ.

1 გალახვე. 2 + მაგრამ.

131. განჩინება ნანეისშვილისა და ბუთეისშვილის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4492. დედანი. ქაღალდი. 17,7×22,7 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საბუთი თარიღდება გრიგოლ დადიანის მიხედვით, რომელიც გარდაიცვალა 1804 წელს.

ქ. ნანეისშვილები და ბუთეისშვილი გავაბჭვეთ.

ნანეისშვილმა უჩივლა: ბაბუაშენი თათრისაგან კათალიკოსის ალნებით დავიხსენი, ცოლ-შვილიანათ მყავდა და ამდენი ბატონობა გამოიცვალა, რომ კაცი არ დამდაევებია. ახლა შენ ტყუილათ თავს მართმევო.

ბუთეიშვილმა თათრისაგან ბაბუის დახსნის ვარი ვერ უთხრა, მაგრამ მამაჩემი უმანდელი შვილი არისო და ჩემში ხელი არა გაქო.

მოდგა ნანეისშვილი და წიგნიც მოიტანა და თავდებებიც მოაყენა. თავდებებმა ვარი ვერ უთხრეს. ბუთეისშვილიც გატყდა, ერთი მოძმე შენი არისო.

აწ ეს გავსინჯეთ და ამისი ასე გავაჩინეთ: ერთი მოძმე რომ იტეხა ბუთეისშვილმა, ის უფიცრათ ნანეისშვილს მიეცეს*.

და სხვაში წამოდგეს სამი კაცი ბუთეისშვილი და სამი თავდები თან ჩაიტანოს და ექვსმა ასე დაუფიცოს ნანეისშვილს: ამ ერთს მოძმეს გარდა სხვაში ჩვენთან შენ არაფერი ხელი გქონდეს, რომელიც რომ ნანეისშვილს თავდები ყავს, ისინი ჩაიტანოს ამ ფიცში.

თუ ასე უფიცოს, იმ ერთის მოძმის მეტს ნანეისშვილი ვერას შეუა. და თუ ასე ვერ უფიცოს, მთლად მისი ყოფილა და ნანეისშვილს მიეცეს ბუთეისშვილი. და რომელიც ბუთეისშვილს ნანეისშვილის წყალობა ქონია, ისიც ნანეისშვილს მიეცეს.

ბუთეისშვილმა რომ წანართმევი უჩივლა, ამ სამართალში რომ გაისტუმროს ნანეისშვილი, მას მერეთ ეს წანართმევი რაც იყოს, და ნანეისშვილს ბუთეისშვილისათვის რაც წყალობა ექნას, ორივე ერთმანერთს შეაფარდონ და რომლისაც ნამეტანი შეიქნას, ერთმანერთს გარდმოუთავონ.

ბეჭედი: დადიანი გრიგოლ.

* სტრიქონს ზემოთ: „ჩვენიც იყოს?“

132. განჩინება ლორთქიფანიძეებისა და იოსელიანების მამულის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3295. დედანი. ქაღალდი. 41,5×17,3 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. სვიმონ ლორთქიფანიძის შვილები და შვილის შვილები ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და იოსელიანი როსტომ, ბეჟია და ზალიკას შვილები გავაბჭვეთ[1].

ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ უჩივლა: ბიძაჩემი და მე ერთს ადგილშიდ დავესახლეთ. დასახლებაზედა არ დაგითხოვივართ. მასუკან ხან ცეცხლი წამოგვკიდეთ, ცხენი მოგვეკალი, ხარი და ზროხა, თხა და ცხვარი, ღორები არაფერი შეგვარჩინეთ. ამდენი მარცხი რომ გვიყავით, ამას რატომ გვიშობითქო.

მასუკან უფრო ვარესი გვიყავი, ბერს წულუკიძეს დავესმინე, მოიყვანე ბერი წულუკიძე, ავათ მოპყრობას გვიპირებდა, ათასი მარჩილის წიგნი და თავდები გამოგვართვა: ამ ერთს-ორს თვეშიდ [უნდა] აიყაროთ აქედამ და სხვაგან წახვიდეთო. შეგვეშინდა, თოლშიდ ავიყარეთ, ხარები არ შეგვრჩენია დაუხოცელი და ჩვენ ცოლიან-შვილიანათ თქვენით ამოწყვეტილი ვართ. ყანა იმაშიდ გვქონდა; სათებზე, საღობავი იმაშიდ გვქონდა, ახლაც ყანები იმაშიდ გვიძევს, თქვენ რას მედევებით, არ ვიცით.

იოსელიანებმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ის იოსელიანები თავის ტოლის აზნაურ[რ]შვილებით, სამოცდათორმეტმა ასე დაიფიცოს: «ჩვენი სიტყვით და ჩვენის საქმობით თქვენ არ აყრილიყოთ, არც ცეცხლი წამოგეკიდებოს, არც არაფერი ჩვენით რამე დაგმარცხებოდეს. ამ სადეო ადგილს შემოუარონ, რაზედაც შემოუარონ — არც ეს ადგილი სალორთქიფანიძო ადგილი იყოს, არც საღოღაბერიძო, არც ჩუნეშის ადგილი იყოს, ჩვენიანათ თუ ქონებოდეს, თორემ ლორთქიფანიძეს არც თქვენ და [ა]რც სხვას ამ ადგილშიდ ხელი არ გქონდეს და არც იმის მეტათ ამაშიდ შენ და შენს ძველს ყანა არ გეებოდეს».

თუ ასე დაუფიცოს, არაფერს ემართლება და ის ადგილი იოსელიანებს დარჩეს. და თუ ასე ვერ დაუფიცონ, თავის ადგილშიდ უბრალოთ აუყრიათ, მრავალი მარცხი და ზიანი უყვიათ. თუ შეიძ-

[1] გავამჭვეთ.

ლონ, მთელი სისხლი მისცენ, და ის ადგილიც ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს დარჩეს. თუ სისხლი ვერ შეიძლონ, რომელიც დაწვასა და აყრაშიდ რეოდეს იოსელიანი, თავისი ყოფით ხელათმქნელათ მიეცეს.

ბეჭედი: წერეთელი ვახუშტი.

133. განჩინება თამაზა ინაკავაძისა და მამისთვალ ჟორჟოლიანის ყმის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3334. დედანი. ქაღალდი. 28×11 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ინაკავაძე თამაზა და ჟორჟოლიანი მამისთვალ გავაბჭვეთ.

მამისთვალ უჩივლა: ჩემი სახელო კაცი მარდალაშვილი მახარებელი გაყიდე ცოლიან-შვილიანათ, ექვსი სული მონდობილი გყავდა უფასოდ.

ინაკავაძემ უპასუხა: ის კაცი ნაყიდი მყავდა, დავიჭირე, ტყვედ მყავდა, მოდი შენ, თავსმდებად დამიდეგი, ამაშვებინე.

მამისთვალმა თავსდებობა ვერ იუარა, მაგრამ საუდეო წიგნი მოიტანა და ასე უპასუხა: იმ კაცის ფასი მოგეცი, გაგისტუმრე და ეს საუდეო წიგნი შენ მოგვეცი. მერმე მოგვგვარე ბოქაულები და აყარე ის მარდალაშვილი, ექვსი სული მტყვე დაყიდე.

ინაკავაძემ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ინაკავაძე და ოცდასამი თავის ტოლი კაცი თან ჩაიტანოს, ასე დაუფიცოს: «მამაჩემს ის მახარებელა მარდალაშვილი უყიდლად არ ყოლოდეს, არც საუდეო წიგნი მომეცეს, არც იმ ჩემის კაცის შვილის ერთის გოგოს ფასის მეტი შენ არაფერი მოგეცეს, არც ბოქაულები მომეყვანოს, არც შენ რომ მტყვეებს მეწამები, ის ტყვეები არ წამეყვანოს და დამეყიდოს, არცარა მრგებოდეს მათი ფასი».

თუ ინაკავაძემ პირველ იმ კაცის ნაყიდობა და საუდეო წიგნის მიცემა დაიფიცოს და მას აქეთ მტყვეების დაყიდვა ვერ დაიფიცოს, მისი ნაყიდი ყოფილა და ვერას შეუა.

თუ ბოქაულის მოყვანა და ტყვეების დაყიდვაც დაიფიცა, სხვას მიუყვანია ბოქაული და ტყვენიც სხვას დაუყიდნია. თავსმდებმან მოძებნოს და მისცეს ინაკავაძეს.

თუ პირველ კაცის ნაყიდობა და საუდეო წიგნის მიცემა ვერ დაიფიცოს ინაკავაძემ, ექვსი სული ტყვე ტყუილად უბრალოდ გაუყიდია, სულის სისხლი მისცეს და ხორცის ფასი.

134. განჩინება ზურაბისა და მისი ძმების ქაიხოსროსა და იესეს საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10666. დედანი. ქაღალდი 22,5×16,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ზურაბ და მისი ძმები ქაიხოსრო და იესე გავაბჭვეთ.

ზურაბმა უჩივლა: წევას ვიყავი ჩვენი საერთო კაცისას, თოფი სახში დავტევე, მე წირვაზე მივედი. იმ კაცებმა ოჯახობით არჩიეს თოფის წართმევა. ჩვენს კაცებსა და აბაშიძეს ჩხუბი მოსვლოდათ. დაიძახეს[1] — აბაშიძე მოვიდაო, გამოვარდი გარეთ, თოფი ველარ ვიშონე, იმ საერთო კაცისაგან გაგლეჯილი დავრჩი და შინ წამოვედი.

ქაიხოსრომ და იესემ უპასუხა: მართალია, ის თოფი იმ კაცისაგან გქონდა ნათხოვარი და გთხოვდა და არ მიეცი; და ერთი ბიჭი გაბრიყვებულიყო, სხვა არაფერს შუვას არის; და სხვისი აშორო უთხრეს ქაიხოსრომ და იესემ იმერეთის ბიჭის მეტს.

ამისი ასე გავაჩინეთ და გავსინჯეთ. და ის თოფი კი ქონოდა ნათხოვარი, მაგრამ ყმისაგან ბატონი არ გაიგლიჯება. და წამოაყენონ ქაიხოსრომ და იესემ ოცდაოთხი იმ კაცის ტოლი კაცი და ან ამ[illegible]ლი [illegible]ნაურშვილი და ასე შეაფიცონ ზურაბს: «[illegible] ერთი ბიჭის მეტი იმ თოფის წართმევაში არც რევოდეს და არც ცოდნოდეს იმ ოჯახის კაცს».

თუ ასე უფიცონ, ის ერთი ბიჭი ზურაბს მოხელდახელეთ მიეცეს; და სხვა საერთო დარჩეს. და თუ ვერ უფიცონ, რომელშიდაც გამოტყდენ, ის მოხელდახელეთ ზურაბს დარჩეს; და რომელშიდაც არადა, საერთოთ დარჩეს და იმ კაცის ალაგ-მამულიც საერთოთ დარჩეს.

ქაიხოსრომ და იესემ უჩივლა: ღაბუაშვილს სახლი ესთხოვეთ, ერთათ მოგვცა, შენ გაქვს და ჩვენ არ გვარგე.

ზურაბმა აშორო უთხრა.

---

[1] დაიძასეს.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ერთი გლეხი კაცი და ასე შეაფიცონ: «თქვენათ საზიაროთ არც მე მეთხოვ[ო]ს და არც ღაბუაშვილისათვის ეს სახლი და არც მას მეეცეს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლებიან. და თუ ვერ უფიცოს, სახლი ზიარი ყოფილა და ძმობაზე გაიყონ.

ზურაბ უჩივლა იესეს: ერთობაში სახლი ავაშენეთ საერთო კაცით და საერთო ხარჯით და ახლა შენ გაჭვს და მე არ მარგე, რას მერჩი, არ ვიცი.

იესემ აშორო უთხრა.

ამისი ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ერთი გლეხი კაცი და ასე შიაფიცო[ს]: «შენი საერთო ერთი მარჩილის ხორცის უფროსი არც სასმელი, არც საჭმელი არ დახარჯულიყოს, არც შენათ საზიაროთ გამეკეთებიოს».

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება ზურაბ. თუ ვერ უფიცოს, ზიარი ყოფილა და სწორა გაიყონ ის სახლი.

135. განჩინება ესიკა ხუნდაძისა და ბიჭიელა კაკაცეიშვილის სასისხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6768. დედანი. ქაღალდი 23×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი და სამი წერტილი.

ქ. ესიკა ხუნდაძე და კაკაცეიშვილი ბიჭიელა გავაბჭვეთ.

ესიკამ უჩივლა: შინ მომიხედი, ოჯახიდამ ხარი და ზროხა წამართვი, სახლის კარი დამიმტვრიე და წისქვილი დამიმტვრიე, შინ შამოდი და სახლიდამ ხარი და ზროხა წამოიყვანე, რას მემართლებოდი, არ ვიცი.

კაკაცეიშვილმა უპასუხა: მართალია, ხარიც კი წაგართვი, ზროხაც კი წაგართვი, მაგრამ ბატონმა ჩემ[მ]ა და მე თავდები დაგიყენეთ და თეთრი გამოგიგზავნეთ და გავრიგდით.

ხუნდაძემ უპასუხა: თავდები რომ მომეცი, მერმე მემტერე.

მჭედლმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ და თერთმეტი თავის ტოლი კაცი თან ჩეიტანოს და ნახევარში ან ამავალი კაცი; და ასე სამართალი მისცეს და ასე დაეფიცოს: «მე და ჩემ[მ]ა ბატონმა რომ

თავდები მოგეცით და გაგისტუმრეთ, მერმეთ არც შენს სახლში შამოესულიყო[1] და ხარი და ზროხა წამეყვანოს, არც შენს ოჯახში არც მე და არც ჩემი გამოგზავნილი კაცი სამტერავათ მოვსულიყოს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება. და თუ ვერ უფიცოს, სისხლი მისცეს მთელი — ოთხას[2] ოთხმოცი მარჩილი მჭედელმა ხუნდაძეს. მჭედელმა თუ დეიფიცოს, არას ემართლება და გარიგებული ყოფილან.

და თუ ხარისა და ზროხის წამოყვანაში გამოტყდეს, რაც უმტერებია, მაინც ზედნადებით მისცეს.

და შინ მისვლაში მაინც უნდა გამართლდეს მოფიცრით.

136. განჩინება საყვარელ და სეხნია თავართქილაძეების სასისხლო საქმეზე*

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14884. დედანი. ქაღალდი. 46×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. თავართქილაძე საყვარელი და თავართქილაძე სეხნია გავაბჭვეთ.

სეხნიამ სტუმარი თათრის გალახვა და ბაჟის ნამეტანის გადახდა და წართმევა უჩივლა.

საყვარელმა აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: წამოეყენოს ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენი სტუმარი თათარი არც მეკრას და არც წამებიძგებიოს». თუ ასე უფიცა, არას ემართლება იესე. თუ ასე ვერ უფიცოს, საუპატიო მისცეს საყვარელმა.

იესემ ერთი კაცი ასე შეაფიცოს: «უმალ ჩემს სტუმარს თათარს უკრავთ არ გადახდებოდეს ბაჟობით და დებულობით». თუ ასე იესემ დაუფიცოს, მერმეთ საყვარელმა შეაფიცოს, როგორც ზემოთ სწერია. თუ იესემ ვერ შეაფიცოს კაცი, ნურც საყვარელს აფიცებს.

სეხნიამ უჩივლა: ბიძაჩემ[მ]ა და მამაჩემ[მ]ა ავი ქნა თუ კაი, ბატონმა გადა[ა]გდო და რაც კაცი გვყავდა, ზოგი გადახვა და ზოგი სახლისკაცებს მივაბარეთ. და ერთი კვამლი კაცი კვერენჩხი-

[1] სამოსულიყო. [2] მთელი ოთხას]ოთხა მთელი.

* ეს გურიის მდივანბეგთა განჩინება უნდა იყოს.

ლაძე მამაშენს მიაბარა. ახლა ჩვენს ქვეყანას რომ მოვედი, მამაჩემ[მ]აც, ჩვენც ვსთხოვეთ და აღარ მომეცი და ახლა გთხოვ.

საყვარელმა აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს საყვარელმა ორმოცდარვაი კაცი, ასე შეაფიცოს: «არც მამაშენს ეს კვერენჩხილაძე მამიჩემისათვის მიებარებიოს, არც სისხლშიდ დაკავებული გყოლოდეს და არც ყმათა გყოლოდეს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება სეხნია. თუ ასე ვერ უფიცოს, მისი კაცი უკლისად მისცეს საყვარელმა სეხნიას.

სეხნიამ მტყუეების გაყიდვა, თოიძის თეთრის თავდებულობა და ცხენების წართმევა უჩივლა.

საყვარელმა აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: ოცდაოთხი კაცი ასე შეაფიცოს: «არც მამიჩემის სიცოცხლეშიდ სამართალი დაგეკავებიოს და არც ვიცოდეთ, ახლა რომ ჩემს სახლშიდ კაცია, თუ ტყვეღია თუ მართალი ეს, მტყვეს, თეთრს და ცხენს რომ გვეწამები». თუ ასე უფიცა არას ემართლება სეხნია. თუ ასე ვერ უფიცოს, რომელიც იტეხოს, გადოუხადოს საყვარელმა.

საყვარელმა უჩივლა: შენი სტუმრის ცოდნით და დამაშაგობით ძმა მომიკლეს.

სეხნიამ აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: წამოდგეს სეხნიამ და თორმეტი აზნაურშვილი და თორმეტი სხვა კაცი ასე შეაფიცოს: «ჩემი სტუმარი თათრის ცოდნით და დამაშაგობით შენი ძმა არ მომკვდარიყოს». თუ ასე უფიცა, არას ემართლება. თუ ასე ვერ უფიცოს, სისხლი მისცეს და გინდა თეთრი. თუ თათარი მისცეს, სხვას ნურაფერს სთხოვს საყვარელი.

სეხნიამ უჩივლა: შენმა ძმამ გრიგოლეთს თათარი მოიყვანა და ორივე ძმას გვკვლიდა.

საყვარელმა აშორო უთხრა:

წამოდგეს საყვარელმა და თორმეტი აზნაურშვილი და თორმეტი სხვა კაცი ასე შეაფიცოს: «შენდა სასიკვდილოთ და სახდომათ ჩემს ძმას სიმონიკას თათარი არ მიეყვანოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება სეხნია. თუ ასე ვერ უფიცოს, ორივე ძმას სისხლი მისცეს ცალ-ცალკე.

137. განჩინება გოგია კოკონაშვილისა და ხიტიბა ურიას ვალის საძებნელ

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Od 7991. დედანი. ქაღალდი. 35×10 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთის ბოლოს ზოგიერთი სიტყვის ტექ-ტი გადასულია.

ქ. გოგია კოკონაშვილი და ხიტიბა ურია გავაბჭვეთ.

კოკონაშვილმა უჩივლა: თექვსმეტი მარჩილის ქამარი, ერთი თოფი დაგიწინდე ორ მარჩილათ და ერთი თოფი რვა მარჩილათ დაგიწინდე და ორივე დამიკარგე, ერთი ცხენი — ესენი ყველა დამიხარჯე; და ამაში ყურასშვილები დამეკარგა ოთხი; და ერთი თვალი გამომართვი ორასორმოც მარჩილათ.

ხიტიბამ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ხიტიბა და ერთი ურია თან ჩაიტანოს და ასე უფიცოს: «შენგან არც თვალი, არც ქამარი, არც ცხენი და არაფერი უფასურათ უყიდლათ და უმაგიეროთ არც ამელოს და არცარა ამაში შენი მე მემართოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, რაც ამაში ხიანი კოკონაშვილს მოსლოდეს, ხიტიბამ გარდუხადოს.

თოფები რომ უჩივლა კოკონაშვილმა, საწინდარი ყოფილა, თეთრი კოკონაშვილმა მისცეს, რავარც დაპირებოდეს და თოფები ხიტიბამ მისცეს.

ხიტიბა ურიამ უჩივლა: ჩემი ოთხმოცდათორმეტი მარჩილი გმართებს, ოცდათვრამეტის თამასუქი მოიტანა და სხვისი ანაწერი.

კოკონაშვილმა თამასუქი ვერ იუარა, მაგრამ [უპასუხა:] მაგ თამასუქში გასტუმრებული მყავხარ, ეგ თამასუქი ტყუილად გიჭირავს, თვარამ შენი აღარაფერი მმართებს.

ხიტიბამ უპასუხა: ამ თეთრში ორმოცდაათი მარჩილი სარგებელში ჯაფარაშვილმა მომცა, თვარა სხვა ვრაფერი მომცემია.

კოკონაშვილმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: კოკონაშვილმა წამოაყენოს და ცხრა კაცი ასე შეაფიცოს: «ჯაფარაშვილმა რომ გაგისტუმრა, ამ თამასუქის და

ამ ანაწერის არც მთავნი და არც სარგებელი მე შენი აღარაფერი შემომრჩენოდეს».

თუ ასე უფიცოს, ხიტიბა არას ემართლება. ხიტიბამ თავის თამასუქი კოკონაშვილს მისცეს. თუ ვერ უფიცოს, თამასუქში რავარც ეწეროს, ისე სარგებლით მისცეს; და ანაწერში რაც ეწეროს, ის უსარგებლ[ოთ] გარდუხადო[ს] კოკონაშვილმა ხიტ[იბას].

ხიტიბამ უჩივლა: გლოვლას(?) ორი ცხენი მყავდა გაბარებული, შენ გამოტყუე და წამართვი.

კოკონაშვილმა აშორა უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: კოკონაშვილმა ორი კაცი ასე შეაფიცოს: «ის ცხენები არც შენი ყოფილიყოს და არც[1] იმ ცხენებში შენ ხელი გქონდეს».

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, მისი ცხენები კოკონაშვილმა ხიტიბას მისცეს.

138. განჩინება ელია კლდიაშვილისა და ზარნაძის ყმის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიწა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7881. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 29,7×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება მდივანბეგ დავით კვინიხიძის მიხედვით.

ქ. კდიაშვილი ელია და ზარნა[ძე ნიკოლო]ზა გავაბჭვეთ.

ზარნაძემ უ[ჩივლა]: მოჯამაგირეთ დამაყენე შამომ[იჩ]დ[ი] და საყმოთ მომინდომე, ბატონისშვილს გიორგის ქთამი მიართვი და წიგნიც ეიღე და აღარსად გამიშვი.

ელიამ უპასუხა: დაჭირული იყავი, თათარს გაძლევდენ; მამაჩემი მღდელი იყო, მივიდა, შე[ე]ხვეწა ბატონისშვილს, სამოცდათუთხმეტი მარჩილი მიართვა, სხვა აპატივა; აღარ გაყიდეს და მამაჩემს უბოძა; წიგნიც მოიტანა წყალობის.

ზარნაძემ აშორა უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ზარნაძე ექვსი კაცი თან ჩაიტანოს, ასე უფიცოს: «მამუკა ზარნაძე არც დაჭირული ყოლებოდეს ბატონისშვილს, და არც თათრის მისაცემათ სდომებოდეს, და არცარა ერთის ძროხისა და ერთის ცხვრის მეტი და ერთი ფრუნტის მეტი შენ იმაში დაგხარჯოდეს».

[1] + არც.

თუ ასე უფიცოს, ნახარჯი რაც ქონია, იმან გაუაროს და კაცი ქრისტეს საფლავის ყოფილა და მისთვის იყოს. თუ ვერ უფიცოს, თათრისათვის ნაძლევან, ამას დაუხსნია, წიგნიც აქვს] და კაცი ისევე ელიას დარჩეს.

და თუ ზარნაძემ გადასახადი შეიძლოს, ელიამ აჯით შეატყობიოს, ამდენი დამხარჯოდეს და ზარნაძემ მისი თეთრი გარდაუხადოს ელიას; და კაცი ისევე ქრისტეს საფლავისათვის დარჩეს.

ბეჭედი: მდივანი დავით.

139. განჩინება მაძსიმე კათალიკოზისა და ეფთვიმე გენათელის მამულის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიწა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8041. დედანი. ქაღალდი. 28,4×10,8 სმ. დაზიანებული. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საბუთი თარიღდება მდივანბეგ დავით კვინიხიძის მიხედვით.

ქ. [დავსხედით ბრჭ]ენი: არხიმანდრიტი მოძღვარი ქრისტეფორე, სალთხუცესი წერეთელი ზურაბ, მდივანბეგი დავით.

კათოლიკოსი მაქსიმე და გენათელი ეფთვიმე გელათის [გალავ]ანშიდ მიწას დეობდენ, მაცხოვრის კარისა და კათალიკოსის პალატს შუა რომ ადგილი არის.

კათალიკოსმა ბძანა: წმინდის გიორგის საყდრის არისო და საკათალიკოზოო.

გენათელმა თქვა: ჩემის საყდრის მიწა არისო, მადამდის გენათლის წინამძღვარი ყოფილა და დღესაც გენათლის წინამძღვარი დგას.

გავშინჯეთ და ვისაც ადგილი უჭირავს, სამართალი მისი არის. თუ მცოდნე ვინმე გამოჩდეს და იმ ადგილის ამბავი იცოდეს, ორი კაცი წამოდგეს და კათალიკოსს ჯელი ჩამოართვას: «რაც საგენათლო არ იყოს, ის მიწა საკათალიკოსო არ ყოფილიყოს».

თუ ეს არ იქნეს, გენათელმა ოთხი მსახური შეაფიცოს, ზემოთ რომ დაგვიწერია. თუ ვერ შეაფიცოს, გენათელმა ადგილი დაუტეოს კათოლიკოსს.

ბეჭედი: მდივანი დავით.

140. განჩინება ჯვარისმამა არსენიოსისა და ძველი ნანეისშვილის უმა-მამულის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13855. დედანი. ქაღალდი. 31,4×11,7 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება მდივანბეგ დავით კვინიხიძის მიხედვით.

ქ. ჯვარისმამა არსენიოს და ნან[ე]ისშვილი ქველი გაეაბჭვეთ.

ჯვარისმამამ უჩივლა: ერთი ჩემი კაცი დაკარგულა, შენ დაგიხსნია, მანამდელი შვილი ყოლია და ისიც შენ წაგიყვანია და გყავს. შენი ნაყიდი კაცი მომკვდარა და ესენი ქრისტეს საფლავის კაცი არის.

ქ. ნან[ე]ისშვილმა უპასუხა: მართალია, შენი კაცი თათარმა წაიყვანა[1], თავში შვილი გაიღო და შამომეხვეწა და თათრისაგან დავიხსენი და მყავს.

ჯვარისმამის კაცმა აშოროთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს მესხიშვილი და ოცდაოთხი კაცით ასე შეფიცოს: «ბაბუაჩემს თავის სახსრათ მამაჩემი არ მოეცეს».

თუ ასე უფიცოს, ნან[ე]ისშვილის ნახსარი კაცი მომკვდარა და ახლა მესხისშვილი რაც იყოს, ჯვარისმამას დარჩეს. თუ ვერ უფიცოსდა, მესხისშვილს თავის სახსრათ შვილი გაუცვლია, ნანეისშვილს დაუხსნია და რაც გასლოდეს, დაიაჯოს ნანეისშვილმა, და ნახარჯი ჯვარისმამამ მისცეს.

თუ ჯვარისმამამ არ დაიხსნას და ნანეისშვილს დარჩეს, ნაყიდი ყოლია.

ქ. ნან[ე]ისშვილმა ნამარცხის გადანახადი[2] ასოცი მარჩილი უჩივლა.

ქ. მესხიშვილმა ერთი გოგოს და მეორე ბიჭის გამორთმევა უჩივლა და სხვა მართებულობაც.

გავშინჯეთ ეს. და ნანეისშვილი ბატონი ყოფილა და უვლია და უხდია და მესხისშვილი კაცი; და გადანახადი[2] და გამონართმევი ერთქმანეთში გავ[ა]ჩრონიეთ.

ჯვარისმამის კაცმა თუ შეფიცოს, მიწა ნანეისშილის არის და მიწა-ალაგი დაუტო[ო]ს და კაცი ჯვარისმამამ წაიყვანოს.

ბეჭედი: მდივანი დავით.

[1] + შვილი. [2] გარანახადი.

141. განჩინება ლორთქიფანიძეების დავისა გამო ცხენის თაობაზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13817. დედანი. ქაღალდი. 34×11 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება მდივანბეგ ოთარ ლორთქიფანიძის მიხედვით.

ქ. ბეჟან ლორთქიფანიძე სიმონის შვილი და ბეჟან დავითის შვილი გავაბჭვეთ.

ბეჟან, სიმონის შვილმა, უჩივლა: მოყვრის ცხენი მებარა — დათიკა ჩიქვანის ცხენი და მომიხდი და წამართვი, მარა რას მემართლებოდი, არ ვიცი.

ბეჟანმა, დავითის შვილმა, უპასუხა: შენს პირობაში ორი ცხენი ფუტკარაძემ წამართვა და ერთი საბან[ლ]ღვინო, სიმონდი და ცხენის იარაღი და ნაბადი თუ სხვა რამე.

ბეჟანმა, სიმონის შვილმა, აშოროთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ექვსი გლეხი კაცი და ან ამაღელი აზნაურის შვილი და ასე სამართალი მისცეს, რომ: არც შენ და არც შენი კაცებისათვის ჩემს მევალეს შენთვის ჩემ პირობაზე არაფერი წ[ა]ერთმიოს, არც შენ რომ ცხენები წაგართვეს, იმ კაცების მე არაფერი მემართოს.

და თუ ასე სამართალი მისცეს, არას ემართლება. და თუ ვერ უფიცოს, ცხენები წართმეული ყავს და გაგლეჯილი არის. და სამართლის წიგნს ვკითხოთ და რავარც სამართლის წიგნმა სთქვას, ისრე მიეცეს ბეჟანს.

[ბეჟან], სიმონის შვილმა, უპასუხა: მოყვრის ცხენი მებარა ჩემი სახლის შვილის გასასყიდლათ და სიმონიკა კეჩალემ წამართვა.

სიმონიკამ აშოროთხრა.

წამოდგეს სიმონიკა თავათ, ოთხი კაცი თან ჩეიტანოს და ასე სამართალი მისცეს, რომ: «შენ რომ ჩიქვანის მობარებული ცხენი გყავდა, მე ის ცხენი არ წამერთმიოს, არც მე და არც ჩემ კაც[ს] სიმონიკა კეჩალეს ის ცხენი არ წაერთმიოს, არც გვყავდეს, არც ვიცოდეთ, ვის ყავს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება. და თუ ვერ უფიცოს, ტყუილა უმტერებია, რავარიც ცხენი იყოს, იმისანა ცხენი დაუდვას ტოლი თავში.

თუ ბეჟა[ნ]მა, სიმონის შვილმა[1], ვერ გოუმართლდეს, კეჩალეს აღარც ფიცი ერგება და არც საუპატიო. და ორი[ვ]ემ ერთმანეთს[2] სამართალი მიცეს, ცხენი სადაც გამოჩნდეს, ნაჭურდლათ ეძიონ.

ბეჭედი: მდივანბეგი ლორთქიფანიძე ოთარ.

142. განჩინება საუვარელისა და იესეს სასისხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9160. დედანი. ქაღალდი. 32×15 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი. საბუთი თარიღდება ხელის მიხედვით.

ქ. საყვარელმან უჩივლა: ამ ბატონმა კაცმა ჩემს სტუმარს თათარს თოფი წაართვა და რას ემართლებოდა?

იესემ უჩივლა: თათრების დასაჭირაეათ მოვედით და ჩვენს მტერს მიეხმარა და ჩვენ გვავნო და[3] ჩვენი დაჭირული კაცის თოფი გამოვართვი, ამისთვის არაფერს გეტყვი.

საყვარელმა აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: მოაყენოს ორი კაცი საყვარელმა და ასე შეაფიცოს: «პირის საფერათ თურმე ქნა ჩე[მ]ა სტუმარმა თათარმა, თვარა თქვენდა საზიანოთ და სასიკვდილოთ, არც იმ დაჭირული თათრის მოსახმარებლად ჩახმახი შეემართოს[4] და არც იმ სანთელშიდ ფიში იეღოს მოლა ხასანას ზენადებით».

თუ ასე უფიცოს, თოფი მისცეს და სანთელი კი წაუღია და რას ემართლება საყვარელი იესეს. თუ ასე ვერ უფიცოს, ნურც თოფს სთხოვს და სანთელიც მისცეს საყვარელმა.

143. განჩინება იესე და დავით კორძაიების მამულის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ჭუთაისის სახელმწ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1231. დედანი. ქაღალდი. 19×12,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. კორძაია იესე და დავით გავაბჭვეთ.

დავითმა უჩივლა: ბიძაჩემი უშვილო იყო და მისსოულს აქრთამებდა ბატონი; და შენ მოდი ჩემთან და ეს საქმე გვკითხე და ბორჯი მოვეცით თეთრის, სადამდის თეთრს მოვახერხებდით, შენი საკუთარი თეთრი გაიღეთქო და შენ[1] საკუთრათ წიგნი დაიწერე ბატონისაგან და ის ბიძის ჩემისსეული შენ დაიკავე. მე სახლკარი, ხარი, ზროხა დავყიდე, თეთრი მოგაყენე, მაგრამ აღარ გამომართვი.

იესე[ვ] უპასუხა: ბატონი ბიძის ჩემისსეულს[2] სხვას აძლევდა, მიბრძანა: ერთგული ხარ ჩემი, ჩემი სასახკუთრო არის უშვილო კაცისსეული, შენ წყალობას გიზამ, ქრთამს თუ მომცემ, თორემ სხვა გვარის კაცს მივსცემო; შენ გითხარი, მაგრამ მაშინ არ შამომიდექი, აღარც ბატონმა ინება, თავისი უშვილო კაცისსეული საკუთრათ წიგნით მიბოძა და მაქვს.

ეს საქმე სამართლის წიგნით გავშინჯეთ; და ბატონის სახასო არის უშვილო კაცისსეული და ვისაც უბოძებს სიტყვა არ აქვს. იესესათვის წიგნით **უბოძებია ბატონს და** დავით ვერას შეუპა იესე[ვ]ს.

ბეჭედი: წერეთელი ვახუშტი.

144. განჩინება დავით აბაშიძისა და საჩინო ჯაფარიძის მამულის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 205. დედანი. ქაღალდი 32×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. თავადი აბაშიძე დავით და ჯაფარიძე საჩინ[ო] და მისი სახლისკაცები დადავდენ[3] კაცხის მაცხოვრის ეკლესიის მამულზედ და გავაბჭვეთ.

დავით აბაშიძემ მეფე გიორგისგან შეწირულობის დავთარი წამოაყენა, რომელიც აცხადებდა ვაჭევის სამნათ რკინის ჯვარს; და რკინის ჯვარი დაკარგული იყო და აღარსად ჩნდა; და ქვის სამანზედ მიგვიძღვა დავით აბაშიძე და ასე უჩივლა: ამას აქეთ მაცხოვრის შეწირული არის და თქუენ ართმევთ, რასთვის არ ვიცი.

საჩინომ და მისმა სახლის კაცებმა უპასუხეს: მეფეს გიორგის თავისი სახასო კაცები აუყრია ხრეითს ცერცვაძეები— ჩვენი კაცების სახლისკაცი და ვაჭევეს დაუსახლებია; და ხრეითს რომელიც სამკვიდრო მიწა-წყალი ქონია, იმიანათ კაცხის მაცხოვრისათვის შეუწირავს. და ეს სამანი ჩვენი კაცების ჩაგდებული არის. ამ სამგლიათას ეგ თქვენ[ი] კაცები ხრეთიდგან წამოყვანილი

[1] + თუ. [2] ერთმანეთს. [3] + და. [4] შეამართოს.

[1] + შენ. [2] + ბატონი. [3] დადვდენ.

ცერცვაძეები და ეს ჩვენი ცერცვაძეები ერთობის სამკვიდრობით ხმარობდენ, თვარამ მიწა ხრეითის არის.

დაეით აბაშიძემ ამოროო უთხრა.

ჩვენ ასე განვაჩინეთ: რამდენს ათს მარჩილათ ის სადეო ალაგი ღირდეს, იმდენი გლეხიკაცი და ან ამავალი სხვა კაცი წამოაყენოს დაეით აბაშიძემ, სამანზედ შედგეს და საზღვარზედ შემოუაროს და ასე უფიცოს: «ამ სამანსა და საზღვარს აქეთ არც ხრეითის მიწა იყოს, სანამდის მეფე გიორგიმ არ აყაროს ხრეითს ცერცვაძე და ვაჭევს არ დაასახლა და მაცხოვრის ეკლესიას არ შესწირა, მანამდის არც შენს ცერცვაძეს და არც მე რომ ცერცვაძე მყავს, იმას სამკვიდრობით ამ სამანსა და საზღვრის აქეთ ხელი არ ჭონებოდეს და კიდეც მაცხოვრის შეწირული ვაჭევის მიწა იყოს. და ამ დავთარშიდ რომ რკინის ჯვარი სწერია, კიდეც ის ადგილი ეს სამანი იყოს.

თუ ასე უფიცოს, კაცხის მაცხოვრის ეკლესიის შეწირული ყოფილა და ეკლესიას დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ხრეითის მიწა ყოფილა და მაცხოვრის შეწირულმა ვაჭეველმა ცერცვაძემ და ხრეველმა ცერცვაძეებმა იმ პირველ გაყრის ძმობაზედ გეიყონ ეს სადეო მიწები.

ხრეველებმა ნასყიდობის წიგნები მოიტანეს და რომელშიდაც გამსყიდველი ვაჭეველი კაცი გამოტყდეს, ის ადგილი ხრეველებს დარჩეს; და რომელიც გარდაიუაროონ, სამართალი მისცენ ვაჭეველებმა ხრეველებს.

ზურაბ

145. განჩინება დათიკა წერეთლისა და გერიკელა გოდაბრელიძის სასიცხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 242. დედანი. ქაღალდი 20×10 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. დათიკა წერეთელი და ბერიკელა გოდაბრელიძე გავაბჭეთ.

დათიკამ უჩივლა: ჩემთვინ მევიდოდი გზაზე მ[ო]ყვრიდან, დამხვდი და ჩახმახი მიკარი, ხელი მამჭერი და სისხლი მადინე, და რას მემართლებოდი, არ ვიცი.

გოდაბრელიძემ აშოროო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს გოდაბრელიძე და ოცდასამი თავისი ტოლი კაცი თან ჩეიტანოს და ან ამავალი გლეხიკაცი და [ა]სე უფიცოს: «არც მე შენთვის ჩახმახი მეკრას, არც იმ დღეს ჩემგან შენ სისხლი გდენოდეს, რაც ის არ გითხარი: ყმაწვილო, რას მემართლები, ჩემთვინ მიეალ გზაზე, იმის მეტი მე შენთვის არაფერი მეკადრებიოს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, ჩახმახი უკრავს, იარაღი სისხლი უდენია და სისხლი მისცეს გოდაბრელიძემ დათიკას*. მისცემენ და იმისი წილიც ამათი იქნება.

რადგან ოჭანას ჭირნახული ყველა მეტი აქვს, სტეფანემ ათი თუმანი ოჭანას საკუთრივ სათავნო უნდა მისცეს. აქედგან ეს მიზეზები იყო და ეს სტეფანას ქონებაც გამოცხადებული არ იყო და ამ სტეფანას მრავალი ჯანჯალი საქმე ქონდა.

ჩვენის გონების დანახვით ჩვენ ესენი ასე მოვაშორეთ, როგორც ამას ზემო დაგვიწერ[ი]ა. ეს სტეფანა და პეტრუსა ერთად გასულან. ამათი ხერ[ი] და შარ[ი] ამათი ორთავესია; მარტირუზას შვილების ხერ[ი] და შარ[ი] თავიანთია; და ოჭანას ხერ[ი] და შარ[ი] თავისია.

მარამ არუთინას ცოლი ამას ანბობდა: მამის ჩემის მოცემული ჩემთვის იარაღის ფასათ ⅁ (რვა თუმანი) მოსულა ამათ ოჯახში და შვიდ თუმანნახევარი ვალად ამიღია, ზოგი ქალაქის წახდენის უწინ დამიხარჯამსო და ზოგი ახლა ტყეობიდამ მოვედი, მაშინ დავხარჯეო.

ეს დედას ფიცით ვკითხეთ [39] და დედამ ასე თქვა: მართალია, რვა თუმანი მოვიდა, მარამ არუთინას ქონდა, არ ვიცი რა უყო; და ვალს რომ ანბობს, არ ვიცი და არც შემიტყვია. რადგან ასე არის, ეს რვა თუმანი ამას უნდა მისცეს.

ოჭანას ცოლიც ანბობდა: ეს რ[ვ]ა თუმანი ჩემი იარაღის ფასი მქონდა და ექვს თუმანნახევარი პირის სანახავში ვიშოვეო, და ექვს თუმანნახევარი ჩემი ნიშნის ჯვარი[1] იყო, ეს[ე]ნი ოჯახში დახარჯულა, უნდა მამცეო.

ეს[ე]ც დედას ვკითხეთ. ამისი ასე თქვა: თურა[2] თითონ ქონდა ვაცემული გირაოები, მარჩინაო და პირისსანახავი ყველასი დახარჯულა და მაგის[ი]ც დაიხარჯაო. და ნიშნის ჯვარი თავისი ტანისამოსისთვის და[ა]გირავა და იქ დაიკარგაო.

[1] ჯვარი. [2] უთრა.

* საბუთის ზურგზე სხვა ხელითა და მელნით მიწერილია ტექსტი, რომელსაც განჩინებასთან კავშირი არა აქვს.

ამის მოწმობისა ოჰანა ასე ანბობდა: დედაჩემს ჩემგნით გული აკლია, იმიტომ აგრე ანბობსო. და თითონ ოჰან[ა]ც და ამისი ცოლიც საშინელის ფიცით ფიცავდნენ, რომ ეს[ე]ნი რაღაც კაცობთ, სულ ოჯ[ა]ხში დახარჯულა.

146. განჩინება ძმები მიქელაძეების სასიხლო საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ქეთ. სახელმწ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1058. დედანი. ქაღალდი. 43,×35,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო ან ორი წერტილი.

ქ. შაქარ მიქელაძის შვილები: ლევან, დავით და ზაალ და მათი ძმა სვიმონ მიქელაძე გავაბჭვეთ.

ლევან, დავით და მათმა შემწე ძმებმა უჩივეს: ივანე, ჩვენი ძმა, უცოლშვილო კაცი იყო და მოკუდა; და ჩვენ და შენ ერთათ შევკრბით და ყველამ წიგნი დავდევით ასე, რომ: ამ ივანე ჩვენის ძმის დამარხვასა[1] და მოვლაშიდ ერთი ვიყოთ, და არც ამისი მამულის საქმე უერთმანეთისოთ არ ვისაქმოთ. და წიგნიც მოიტანეს. ის ივანე მართალი არის ჩვენი მოცილებული იყო და შენთან იდგა და შენთან მოკუდა, მაგრამ ის წიგნი რომ დავდევით, ის ჩვენი ძმა ყველამ ერთათ დავმარხეთ და ერთათ ვემსახურეთ.

და მერმეთ ამ საქმეშიდ გვიტრელე, ბატონს მეფეს შეეხვეწე: ჩემი ძმა ივანე ჩემთან მოკუდა უშვილოთ და მისი მამული მე მიბოძეო. ბატონმა ის ჩვენი წიგნის დადება არ იცოდა და ივანეს მამული წიგნით გიბოძა; და რასთვის გვიყავი ეს საქმე, არ ვიცით.

სვიმონ მიქელაძემ აშორო უთხრა[2].

ჩვენ ასე გავაჩინეთ: თვითონ სვიმონმა ის წიგნი ხელშიდ დაიკაოს და ასე დაუფიცოს[3]: «ეს წიგნი ჩემი სიტყვითა და მოწმობით არ დაწერილიყოს და არც ამ წიგნშიდ ხელი ჩამერთოს».

თუ ასე დაუფიცოს[3], მისი ძმა ივანე მასთან მდგარა, მასთან მომკუდარა და ბატონსაც უბოძებია მისი მამული. და იმ ივანეს საკერძო გლეხი და მამული და ან ვაჭარი რაც იყოს, სვიმონს დარჩეს. და თუ ასე ვერ დაიფიცოს, როგორც გაერთების წიგნშიდ ეწეროსთ, მისი ყოფა ისე გაიყონ ყველა ძმებმა. და სვიმონს ჭრთამი რაც დახარჯოდეს, თავისი ძმები ყველა შეუდგეს. და თუ ისე სიტყვით არ დაუჯერონ, ჭრთამი რა გასლოდეს, სვიმონმა აჯით შეატყობინოს[1] და იმით გარდაუხადონ.

დავით მიქელაძემ უჩივლა: შენმა მოყვანილმა ბოქაულმა ჩემი ურია ისხრაკა თავისი სახლიდამ ძალათ შენთან წამოიყუანა, ექუსი წილი ჩემი იყო ის ურია და ორი წილი შენ და ივანეს სარგო იყო; და ჩემდა შეუტყობლათ ძალათ რომ წამოიყვანეს, ჩემს ეზოზედ გამოარონინეს. და ამბის საკითხავათ ჩემი ცოლი და შვილი და ჩემი მოახლე გამოვიდენ; ცოლს ლაჩაქი მომიგლიჯეს და გამილახეს, მოახლე გამილახეს და დამიჩეხეს და თოფი ისროლეს და თოფის ხმაზედ ბოვში შეშინდა და გარდირია. ის საქმეები შენით დამემართა, რასთვის მიყავი, არ ვიცი.

სვიმონმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: თვითონ სვიმონმა ოცდასამი თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: «წერეთლის გაგზავნილი კაცი შენს სასახლეშიდ მაშინ არ ჩამოსრულიყოს, არც შენის ცოლისა და შვილისათვის არც ხელით და არც სიტყვით არაფერი ეკადრებიოთ, არც მაშინ მათი ნებით თოფი დაცლილიყოს». თუ ასე დაუფიცოს, არას ემართლება. და თუ ასე ვერ დაუფიცოს, თავის ეზოშიდ შესვლიან, ცოლი და შვილი გაულახავსთ და ერთი სრული სისხლი მისცეს სვიმონმა დავითს.

სვიმონმა უჩივლა: ის ჩემი ურია რომ მოყავდათ ჩემთან წერეთლის კაცებს, დახუდათ შენი მოახლე და მოსამსახურეები და ის კაცები დალახეს, თოფის კონდახები დაუმტურიეს და წაართვეს და ის თოფები ახლაც იქავ არის, რასთვის არ ვიცი.

დავითმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: თორმეტი ცალმოგვი აზნაუ[რ]შვილი და თორმეტი მსახური ასე შეაფიცოს: «არც ჩემი მოახლე და არც ჩემი სახლშიდ მყოფელი თქვენს გაგზავნილს წერეთლის კაცებს არ დახდომოდენ, არც გაელახოსთ და არც თოფის კონდახები დამტურიოსთ და არც წაართმიოსთ». თუ ასე დაუფიცონ, მოახლის გალახუას გამოტეხილი არიან სვიმონის გაგზავნილი კაცები. და თუ დაჭრილი იყოს, რამდენი ქერის მარცულის ოდენი ჭრილობა ჰქონდეს, თითო მარცულის ოდენზედ თექუსმეტი მარჩილი მისცეს სვიმონმა. და თუ ისე დაუჭრელათ გაელახოსთ, ორმოცი მარჩილი მისცეს გალახვის საუპატიოთ დავითს სვიმონმა. და წერეთლის კაცის თოფები დავითმა მოსცეს[2].

[1] დამარხოსა. [2] უთხრათ. [3] დაუფიცოსთ.

[1] შეატყობინოსთ. [2] მოსცესთ.

თუ ასე ვერ დაუფიცონ, გზაშიდ დახდომიან, უჩხუბებიათ და იარაღები წაურთმევიათ; და ორას ორმოცი მარჩილი ცალმოგვი აზნაურ[შ]ვილის და ასოცი მარჩილი მსახურის ნახევარს სისხლებშიდ მისცეს[1] დავითმა სვიმონს[2]. პირველ მიხდომასა და ცოლშვილის გალახუაშიდ თუ ვერ დაუფიცოს, დავითს ფიცი აღარ დასჭირდება კაცების გალახუაშიდ, ნუღარავის შეაფიცებს, როგორც ზეით დაგეწერია, ისე ყონ.

სვიმონმა უჩივლა[3]: ბატონმა რომ წყალობა მიყო და ჩემი ძმისსეულობა მიბოძა, ამისთვის თქვენ გარეშემომადექით და ცოლშვილით დამამწყუდიეთ, არც მოყუარესთან და არც სხუაგან აღარ გამიშვით, თხრილშიდ სასიკუდილოთ კაცები გამომარაგეთ, ხუცესი მომიკავეთ, საყდარზედ არ გამიშვით, ვენახი მომიკრიფეთ და ყურძენი წაიღეთ; ჭუვიშურშიდ ღომი მქონდა და იმისთვის გამოსატანათ ნავი ვინათხოვრე და დახუთით თქვენ, ღომი დაიბნიეთ და წყალს მიეცით, რასთვის არ ვიცი.

დავითმა და მისმა ძმებმა აშორო უთხრეს.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: ლევანმა, დავითმა და ზალიკამ ოცდაერთი თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანონ და ასე დაუფიცონ: «არც შენ და არც შენი შვილის სასიკუდილოთ გზა შეგვეკრას, არც შენს სახლშიდ შემოგვეკრა, არც ხუცები მოგვეკავებიოს, არც საყდარზედ მისულა მოგვეშალოსთ, არც შენი ვენახი მოგვეკრიფოს, არც შენი ღომი დაგვებნიოს და წყლისთვის მიგვეცეს». თუ სრულათ ასე გაუმართლდენ, არას ემართლებათ. და თუ ყველაშიდ გამტყუნდენ და ასე ვერ დაიფიცონ, ორი სრული სისხლი მისცენ სვიმონს. და თუ გზის შეკურასა და შინ შემოკურაშიდ გაუმტყუნდენ, ერთი სრული სისხლი მისცენ; თუ ხუცისა და საყდრის მოკავებას გამოუტყდენ, ნახევარი სისხლი მისცენ; თუ ღვინო და ღომი წაერთმიოსთ და ან წაეხდინოსთ, ერთიორად გარდაუხადონ სვიმონს დავითმა და მისმა თაბუნმა ძმებმა.

სვიმონმა უჩივლა: ჩვენ ძმები რომ გავიყავით, ბატონმა გასამყოფლოთ ჩვენი საერთო ურია ლევია და მისი შვილები აიყვანა. და მერმეთ ბატონს შევეხვეწეთ; და ბატონმა ქრთამი გუთხოვა და ის ურია ისევე გვიბოძა და ბორჯი დაგუადებინა. და მე ისე მალე თეთრი ვერ მოვახერხე და თქვენ ჩემს საზიარო ურიებს უჩემოთ მალვით ოთხას[ი] მარჩილი ერთ ურიას ლევიას გარდაახდევინეთ და ოთხასი მეორე ისხრაკა ურიას და ბატონის მისართმევი თეთრი ის იყო, იმითი გაისტუმრეთ. და ეს მე არ ვიცოდი და ჩემი საკერძო ურიის ნაყიდობის წიგნი გამომართვი, რასთვის არ ვიცი.

დავითმა აშორო უთხრა.

და ჩვენ სვიმონის სარგო თეთრი ვიანგარიშეთ და ასორმოცდაათი მარჩილი გამოვიდა და ასე გავაჩინეთ: თხუთმეტი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურ[შ]ვილი ასე შეაფიცოს: «შენ რომ შენი საზიარო ურიების ნამალევათ თეთრის გარდახდევინებას მეწამები, სანამდი შენი საზიარო ის ლევია და ისხრაკა ურია იყო შენი საკერძო და შენი სარგო, შენდა ნამალევათ მათთვის მე არაფერი გარდამეხდევინებიოს». თუ ასე კაცები შეაფიცოს, არას ემართლება. და თუ ასე ვერ შეაფიცოს, თავისი სარგო თეთრი ერთიორათ გარდაუხადოს დავითმა სვიმონს.

სვიმონმა უჩივლა: ბაბალია ურიის შვილები ჩვენი სამამო არის და რას მერჩი, ჩემს საწილოს რომ არ მომცემ.

დავითმა უპასუხა: იმ ურიის საქმეზედ ჩვენ ყველა ძმები ერთობით გაბჭობილი ვართ და ბოქაულთუხუცის განაჩენი გუაქუს.

ამისი ასე ყონ: ის განაჩენი ნახონ. თუმც სვიმონი ეწეროს, როგორც გაჩენილი იყოს, ისე ყონ ყველამ. და თუ სვიმონ იმ განაჩენშიდ არ ეწეროს, დავითმა პასუხი უნდა მისცეს სვიმონს.

ბეჭედი: ლორთქმანიძე როსტომბეგ.

147. განჩინება ზაალ ჯაფარიძისა და მამუკა ინათაიშვილის საქმეზე

XVIII—XIX სს. მიჯნა

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 537. დედანი. ქაღალდი 35×8,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ზა[ა]ლ ჯაფარიძე და მამუკა ინათამიშვილ[1] გავაბჭვეთ.

ინათამიშვილმა უჩივლა: ჯარს ამოუძეხი და გამცემი შენ იყავი, დამლუპე ყველისფერიანათ; და ექ[ვ]სი გლეხი დამეკარგა.

ზა[ა]ლმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ზაალ და თავათ ასე უფიცოს: «რაც ჯარშიდ არ ვერიე, ჩემით შენ არა დაგკარგოდეს რა». თუ ასე უფი-

[1] მისცესთ. [2] სვიმონმა. [3] უჩივლათ.

[1] იოთამიშვილი.

ცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს და გამცემიც ყოფილა და მისით დაკარქვია, რაც დაკარქვია. და ინათამიშვილმა აჯით შეატყობოს და ზა[ა]ლმა გარდაუხადოს.

ინათამიშვილს ცხენი წაურთმევია ზა[ა]ლისათვის. და ზემო ნაწერიდ რომ სწერია, თუ ის უმართლოს თავი ზა[ა]ლმა, ინათამიშვილმა ცხენი ერთიორათ მისცეს. და თუ ვერ უმართლოსდა, ეს ცხენი ქვე ჩეიგდოს და სხვა ქვე მისცეს ზა[ა]ლმა ინათამიშვილს.

ბეჭედი: ერისთვის ძე ანტონ.

148. განჩინება გოგია გზირიშვილისა და იმაჯანიშვილების სასისხლო საქმეზე

XIX ს. დასაწყ.

ქუთაისის სახელმწიფო ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1856. დედანი. ქაღალდი 37×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო ან ორი წერტილი.

ქ. იმანჯანისშვილები იესე, დათიკა და გზირისშვილი გოგია გავაბვევთ.

იმანჯანისშვილებმა უჩივლა: ქართლიდამ სავაჭრო მოგვქონდა ცხენის საპ[ალ]ნით და ჩხარს გამოვიარეთ და რომელიმე ვივაჭრეთ და კიდეც გავყიდეთ. და ერთი ქოში შენ მოგყიდეთ და ის ქოში შინ წაიღე და ჩვენ ფასი მოგვეცი და შენი მოცემული თეთრი ყალბი გამოვიდა და ისევე გამოგაცვლევინე. და შენ მაშინ არც ქოშის შემომგუნება გითხრობია, თუ არ დამიჯდა ისევე შემოგამგუნებო და არც მას მერე. რამდენსამე ხანს ჯელთ ქონდა, მარა არც მერე გითხრობია, ვინემდის ბარგი არ შევეყარით და ცხენს არ ავციდეთ. მას მერე მოვიდა შენი ძმა, მართალია, და ქოში მოიტანა, მაგრამ შემგუნების ვარი უთხარით და არ შევიმგუნეთ: ვინაც იყიდა, მანვე მოიტანოს და ჩ[ე]ენს სიტყვას მას ვეტყვითქო. ამ სიტყვისათვის სიტყვით ბევრი გვაგინა და ჯელით ქვა ბეუური დაგვშინა თავყბა დაგვამტვრია, სისხლი გვადინა და მერე შენთან წამოვიდა და შენ წამოეხმარე და შენ ვარესი გვიყავი, ვინ ხარ მამაცი, დაიგდე, თემი შეგვისიე და დაგვლახე ორივე ამხანაგი და სიკუდილზედ მიგვაყენე და ბარგი რაც გვქონდა წაგვართვი, მაგრამ რასთვის არ ვიცით.

გოგია გზირისშვილმა უპასუხა: ქოში ვიყიდე შენგან და შინ გაუგზავნე[1] სანახავად და შინ აღარ დაუჯდათ და ისევე ჩემის ძმის ხელით გამოგიგზავნე შესამგუნებლად; და ჩემი ძმა გამილახეთ, სისხლი ადინეთ; და მართალია, ჩემი ძმა რომ გალახული ვნახე, მე რაც შემეძლო, ხელი გამოვიღე და თუ რამე გაწყინე, ჩემის ძმის გალახვისათვის და ჩემის გალახვისათვის გიქენი.

იმანჯანისშვილებმა აშოროდ უთხრა:

ჩვენ ასე გავაჩინეთ: მოქალაქენი არიან და წამოდგეს თვითონ ისე და ასე სამართალი მისცეს: «შენ რომ გალახვას მეწამები მე და ჩემს ამხანაგს, არც ჩემგან და არც ჩემის ამხანაგისაგან არც შენ და არც შენს ძმას არასფელი კადრებოდეს არც სიტყვით და არც ჯელით, ქოშის შეუმგუნებლობის მეტი არასფელი დაგეშავებიოს და არც ქოში ბოროჯით მომეყიდოს, რაც ტყულათ-უბრალოდ არ დაგელახე».

თუ ასე გაუმართლდეს, ტყულად-უბრალოდ გაულახავს ორივე ამხანაგი და საპ[ალ]ნიანი ცხენი წაურთმევია. და რაც რამე გალახულობა არის იმანჯანისშვილებზედ, ყოველისფერის საუპატიოთ ორას ორმოცი მარჩილი მისცეს ორივე ამხანაგს საუპატიო დათიელას და იესეს გზირისშვილმა.

და თუ ვერ გაუმართლდეს, ტყულა ქოშის შემგუნებისათვის ორივე ძმები გაულახავს და ას სამოცი მარჩილი მისცეს გზირისშვილს და გალახვამ გაუაროს იმანჯანისშვილებს, ამისთვის რომე ქოშის შემგუნებისათვის უჩხუბებია, ტყულად და უბრალოდ დაულახავს თავის ქვეყანაშიდ და ქალაქშიდ. და ეს გარდასახდი რომ მისცეს იმანჯანისშვილებმა, მერე რაც იმანჯ[ანის]შვილებს დაკავებოდეს ან ცხენი და ან საპა[ლ]ნე, გზირისშვილმა ისევე მისცეს.

ბეჭედი: დავით.

149. განჩინება შანშაშვილების ძმა-მამულის საქმეზე

1801 წ. 23 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1784. დედანი. ქაღალდი 29×19,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. შანშაშვილები მეგობრე პაპა და ზურაბა და ამათი ბიძაშვილი სვიმონა და დავითა რომ მდივანბეგ ეშიქალაბაშს თეიმურაზს, მდივანს ბეგთაბეგოვს სოლომონს, მოლარე გოგიას და იაგულაშვილს ზაალს

[1] + და.

შუაკაცობით გაეყარათ. რაც ამათი გასაყოფი ყოფილიყო რამე, ორ ფარდათ გაეკეთებინათ და შუა გაეყოთ.

და შუაში გასაყოფათ დარჩომილიყო ერთი ბიჭი ბაინდურაშვილი საქუა. ამ ბიჭის ფასი პაპასა და დავითას ყაბულობით ოთხ თუმნათ გადაუწყვეტიათ მოლარე გოგიას, ყორღანაშვილს ონანას და იავნულაშვილს შუაკაცობითა. ეს ოთხი თუმანი შაჭარასათვის გამოურთმევიათ და საქუა იმისთვის ნასყიდობით მიუციათ.

ამ ხსენებულის საბუთით საქუა შაჭარას სამკვიდრო ყმათ დანებდა. დღეის იქით ვეღარ ედავებიან, ვეღარც შეუშლიან, როგორც ალალად ნასყიდი იმისთანა ყმა არის შაჭარისი.

და შაჭარა რომ თავის ბიძის ამოწყვეტილის სვიმონას მამულზე ელაპარაკებოდა დავითას, რადგანც გაყრაშიაც წილი ერთად გაეტანათ და მერე კიდევ შეყრილობის წიგნით დავითთან შესულიყო, სვიმონის მამული სამართალმა დავითს დაანება.

და საქუა შაჭარას დარჩა. ფასის მომატებას უპირებდნენ, მაგრამ აღარ მოვამატებინეთ და როგორც გადეწყვიტათ და ფასი გამოერთმიათ, იმავ ფასად შაჭარას დავანებეთ.

იასაულო თაქთაქიშვილო ელისბარ, ეს ასე აღასრულე. იანვრის **კგ,** ქორონიკონს **უპთ.**

ოთხი ბეჭედი: 1. ზაალ
2. ჯავახიშვილი მდივანბეგი ვახუშტი
3. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

ჭ. მე, გიორგი შანშაშვილი, ამ სამართლის დამსწრე ვარ. როგორც დივანბეგებს გაუსამართლებიათ, ჩვენც ასე გავუსამართლებით[1]. ხელრთვა: გიორგი.

ჭ. ამ სამართლის თანახმა ვარ, როგორც ბატონს დივანბეგებს გაუსამართლებიათ, მე, იავნულაშვილი ზაალ.

ხელრთვა: ზაალ.

ჭ. ამ სამართლის თანახმა ვარ, როგორც ბატონს დივანბეგებს გაუსამართლებიათ, მე, ყორღანაშვილი ონანა.

ხელრთვა: ონანა.

მარცხენა კიდეზე:

ჭ. ჩვენ, სარდალ-სახლთუხუცესი ორბელიანი იოვანე, ამ სამართლისა თანახმა ვარ. თებერვლის **ა,** ქორონიკონს **უპთ.**

[1] გავაევსამართლებინთ.

ბეჭედი: ვინ დავითს ტომობს სქესობით, სპასპეტ მყო სალხუცესობით იოანე.

150. არზა გოშაბაშაიშვილებისა უმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მდივანბეგთა განჩინებით

1801 წ. 26 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10041. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთი განჩინებით იწყება, მაგრამ დედანში ჯერ იქნებოდა არზა, მერე ოქმი, ხოლო შემდეგ განჩინება.

[განჩინება]

მათის დიდებულების ბძანებით სრულიად საქართველოს მემკვიდრეს დავითს ჩვენ შეკრებილთათვის ებძანა: გოსტა შაბიშვილის ნიკოლოზს, როგორც თავისის სახლისკაცს ერასტისაგან მოციქულების პირით პირობა მიეცეს ზურაბის წილის ყმისა და მამულისა წილის დადავებასა, ალაპარაკეთ და სამართალი ისე მიეცით. მათს ბძანებისაებრ ერასტის შვილი დავით მოვაყუანინეთ და ვალაპარაკეთ.

დავით ასე ჩოდა: ჩვენი სახლისკაცი ზურაბ უშვილო იყო, ამ წიგნით შემოგვეყარა, თითონ ზურაბ ცოცხალი იყო, შევეხეთ; მოკვდა, დავმარხეთ. ორი ქალი ჰყვანდა — ერთი უწინვე გაუთხოვეთ, მეორე ქალი ცოცხალი შეუნახეთ; მოკვდა, ისიც დაუმარხეთ. და ზურაბმა სიცოცხლეში ეს წიგნი მოგვცა, კვდებოდა, ანდერძით დაუწერინა თავის მოძღვარს მიხაილ დეკანოზს: ჩემი წილ ყმა და მამული ერასტისათვის მიმიციაო, მე ამ საბუთებით მიჭირაესო.

ნიკოლოზმა მიუგო: პირველად მამაშენმა ბიძა ჩვენი ზურაბ შეიყვანა, ჩვენ არც მამულის მოცემა ვიცოდით და არც მაგ წიგნის მოცემა, თორემ თუ ეგ შეგვეტყო, ზურაბისავე სიცოცხლეში ვიჩიელებდით, მისთვის რომ ზურაბ ჩვენზე უფრო ახლო იყო; და ზურაბ როდესაც მოკვდა და შევიტყევით მაგ წიგნის მოცემა, მაშინვე სანატრელს მეფეს ერეკლეს შევჩივლეთ, ოქმით უბძანა თავის ძეს გიორგის: ამათ სამართალი მიეცითო.

ეს ჩივილი და ოქმი რომ შეიტყო ერასტიმ, მოციქულები მოიგზავნა, რათ ჩივიო; რაც ზურაბზე ხარჯი მაქვს, როდესაც მომცემ იმაზე ხარჯს ნახევარს, მეც ზურაბის წილის ყმისა და მამულიდამ ნახევარს მოგცემო. ამას არ დავჯერდი, ჩივილს ვაპირებდი. მამის

შენის მოძღვარი იმ ზურაბისა და ჩვენი დეკანოზი მიხაილ იყო, მამა შენს ჩვენთვის გამოეგზავნა, ფიცით არწმუნე იმ შენს მოწაფეს ნიკოლოზს, შენმა მადლმა, რაც ზურაბზე ხარჯი მაქვს, ის ნახევარი ხარჯი მომცეს, ზურაბის წილს ყმასა და მამულს ნახევარს მივცემო.

რადგან თავისი მოძღვარი გამომიგზავნა და ჩვენი მოძღვარიც ისიე იყო, ვერწმუნე და აღარ ვიჩივლე; რომ დავაპირეთ ხარჯის ანგარიში, ერასტი ქვეით წავიდა, ქვემოდამ მოვიდა, აქ არეულობა შეიქნა, ქალაქის აღებაში ერასტი მოკლეს.

იმას უკან სანატრელს მეფეს ერეკლეს შევჩივლეთ, რაც ამ დავითთან საჩივარი გვქონდა, ისიც მოვახსენეთ და იმ ზურაბის წილის მამულისაც. იმ სანატრელმან მეფემ ერეკლემ მოსამართლეთ ამ ოქმით უბძანა: რაზედაც ჩივის, სამართალი, მიეცითო. მეფე მ[ი]ცვალა. დარჩა გაღაუწყვეტელი. ამ ოქმების ძალით ვჩივი და სამართალს ვითხოვო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და ნიკოლოზს წერილები მოვთხოვეთ, ნიკოლოზმა ერთი წერილი მოიტანა, რომელშიაც ასე ეწერა: მე, ი ო ა ნ ე თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ამისი მოწამე ვარ, ერასტიმ მოციქულად მომგზავნა ამ თავის ბიძაშვილს ნიკოლოზთან: მართალია, ზურაბ ჩემი შეყრილი იყო, მაგრამ რაც ზურაბზე დამეხარჯა, თუ იმ ხარჯში მომიდგები, იმის წილს ყმასა და მამულს შუა გაუყოფო; ამაზე რა ჩივილი და ლაპარაკი უნდაო.

მეორე მოწმობა მოიტანა, რომელშიაც ასე ეწერა: მე, ფ ა რ ს ა დ ა ნ ე ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ამისი დამ[ს]წრე და მოწამე ვარ: ჩემი სიმამრი ზურაბ რომ მიიცვალა, იმის ყმასა და მამულზე ერასტის და ნიკოლოზს ლაპარაკი ჰქონდათ, ერასტიმ მიმგზავნა ნიკოლოზთან: მართალია, ზურაბ ჩემი შეყრილი იყო, მაგრამ რაც იმაზე ხარჯი მაქვს, როდესაც იმაში მომიდგები, იმის ყმასა და მამულს შუა გაუყოფო; ამაზე ნურც ჩივილი და ლაპარაკი უნდაო, ჩემი სიტყვა ეს არისო. ეს სიტყვა ნიკოლოზმაც იყაბულა და ამ პირზედაც დადგნენ.

მესამე მოწმობის წერილი მოიტანა, რომელშიაც ასე ეწერა: მე, დეკანოზი მ ი ხ ა ი ლ, წინაშე ღმრთისა ამისი მოწამე ვარ: ზურაბ და ერასტი ორნივ ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ზურაბ რომ მ[ი]ცვალა, იმის ყმასა და მამულზე ნიკოლაოზ და ერასტი ლაპარაკობდენ. ნიკოლაოზ ერასტის ეუბნებოდა: საკუთრად ზურაბის ყმასა და მამულს არ დაგანებებო, წილი უნდა დამიდო. ერასტიმ მითხრა: უწინაც შემითვლიაო ნიკოლოზისათვისაო და შენც ახლა ასე არწმუნეო, რაც ზურაბზე დანახარჯი მაქვსო, როცა იმაში მომიდგება, მეც იმის ყმასა და მამულს შუა გაუყოფო; შენ ასე არწმუნე, ამაზე რაღა ჩივილი უნდაო, ჩემი სიტყვა ეს არისო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და ამ მოწამეთაგან მოწმობის წერილი ვნახეთ, დამტკიცდა სამართალში, რომ: ზურაბის სიკვდილს უკან ნიკოლოზს სანატრელს მეფესთან უჩივლია; და ოქმითაც უბძანებია: სამართალი უნდა მისცეთო. ერასტის რომ ეს შეუტყვია, თავის მოძღვრის მოციქულობით ნიკოლოზს დაურწმუნებია — ნუღარ ჩივი, ხარჯი მომეც, მამულის წილს მოგცემო. ერასტის ხარჯის ანგარიშის ნახვა აღარ დასცალებია, მოუკლავსთ და ეს სადაო ასე დარჩომილა.

ახლა სამართალმან ამ წვრილიადის გამოძიებით ასე გა[ა]სამართლა და მისცა ზურაბის წილის ყმისა და მამულის ნახევარი ნიკოლოზს და მის ძმებს.

პ ი რ ვ ე ლ ა დ იმისთვის, ზურაბ ნიკოლოზ[ზ]ედ უფრო ახლო ყოფილა.

მ ე ო რ ე დ ამისთვის: თუ ერასტი ზურაბს ამ წიგნს ჭდიებით ართმევდა, მათთვისაც უნდა დაებეჭდვინა, რომ ზურაბისაგან მიცემული წიგნი მოიტანა. და თუ ამ სიგელშიაც ასე ეწერა: ჩემი ყმა და მამული მე, ზურაბმა შენ მოგეც, ერასტის სხვათაგან მოწმობა ეწერა და ამ თავის სახლისკაცთაგან არც მოწმობა ეწერა და არც ბეჭედი ამათი იჯდა.

მ ე ს ა მ ე დ ამისთვის: ნიკოლოზ ჩივის, ერასტი მოციქულებით უთვლის, ნუ მიჩივი, იმის ყმისა და მამულის ნახევარს მოგცემ, ხარჯი მომეციო.

მ ე ო თ ხ ე დ ამისთვის: სამართალში აღმოჩნდა, თუ ნიკოლოზ ერასტისაგან არ დარწმუნებულიყო, როდის დააყენებდა იმ ოქმს და საჩივარს.

მ ე ხ უ თ ე დ ამისთვის: ნიკოლოზს თავისი მოძღვარი არწმუნებს თავის მოწაფის ერასტისაგან დარწმუნებულ მოციქულებას, სულარ ჩივის, ზურაბის წილს ყმას და მამულს შუა გაუყოფო; მოძღვარს მოწაფე დაურწმუნებია და აღარ უჩივლია.

ამ მტკიცის წერილებით აღმოჩნდა, რომ ერასტის თავის[ს]ავე სიცოცხლეში ზურაბის წილი ყმა და მამული საძმოდ დაუდგია და უნდა ასე იქნას: რაც ერასტის შვილმან დავითმან ზურაბზე ხარჯის სია მოიტანოს, რომ ესენი დამიხარჯავსო, ის უნდა იანგარიშონ და ნიკოლოზმა ზურაბის წილის მამულის შემოსავალი უანგარიშოს. დავითისაგან დანახარჯი და ზურაბის წილის მამულის და ყმის შემოსავალი ორივ იანგარიშონ; თუ დანახარჯი მეტი მოვიდეს შემოსა-

ვალზე, ნიკოლოზმა და ზაალმა და ქაიხოსრომ მისცენ დავითს, და ზურაბის წილი ყმა და მამული შუა გაუყონ შეფარდებით და წილის ყრით.

ქ ა ლ ა ტ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ო! ამათი მოასილი შენ იყავ, ეს ასე აღასრულე. თებერვლის კვ, ქორონიკონს უპთ.



[ო ქ მ ი]

უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ესენი ორივ თქვენთან მიაყვანინეთ, რაც წიგნები და ბარათები ჰქონდესთ, ისიც მოატანინეთ და ამ არზის პატრონი რაზედაც უჩივოდეს, ჰეშმარიტი სამართალი უსაჯეთ. კარგად გამოიძიეთ და რიგიანის ოქმით ერთმანეთს მოაშორეთ, ამაში უსამართლო არა მოხდეს რა. მაისის კ, ქორონიკონს უპე.



[ა რ ზ ა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი გ ო შ ტ ა [შ ა] ბ ი ს შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს და ჩემს ძმებს მოგვცეს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს: ჩვენი ადგილი რომ წამხდარა მტრისაგან, მამაჩვენი ზემო ქართლში წასულა, იქ ყოფილა დიდ ხანს. აქ ჩვენს ბიძაშვილს ტ ე ტ ი ა ს და იმის მამას ჩვენი საერთო ყმა და მამული გაუყიდიათ და ჩემი წილიც თან გაუტანებიათ. მამაჩვენი იმ ხანად აქ არ ყოფილა რომ არ გაეყიდვინებინა. ახლა აჩენენ ნასყიდობის წიგნებს, რომ მამის ჩემისა არცავის ბეჭედი უზის და არც ხელი აწერია, ჩვენ შეუტყობრივ გაუყიდნიათ.

ამ წყალობას ვითხოვთ: ვრთი ოქმი გვებოძოს მდივანბეგებზე, რაც ჩვენი საერთო წიგნები, ბარათი და კაცნი გვყავდეს, სულ ყველაზე სამართალი მოგვცენ და რაც საერთო ყმა და მამული გაეყიდოს მეო...* მოხსენება ეს არის ჩვენი.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ორი სიტყვისათვის.

ბიძაჩვენი ზ უ რ ა ბ ჩვენი და ტეტიასი* გაყრილი იყო. ეს ზურაბ ჩვენზედ უფრო ახლო იყო. ტეტიამ შეყრილობის წიგნი გამოართვა. ჩვენ კი ასე გვეუბნებოდა: როცა ეს მოკვდებაო, ამის ყმასა და მამულს ისევ საძძოდ დავდებო ტეტიამ, რომ ამისი მოწმე[ე]ბი გვყვანან. იმ ჟამად მამაჩვენი შეუძლებელი იყო და ჩვენ წერილები გახლდით. ამ მიზეზით დარჩა, რომ ჩვენი წილი ვერ გამოვართვით.

ამ საქმეზედ ამას წინათაც არზი მოგართვით, ოქმი გვებოძა, მაგრამ ქალაქის წახდენაში დავკარგეთ. წყალობას ვითხოვთ, ოქმი გვებოძოს მდივანბეგებზე, რომ სამართალი მოგვცენ. თქვენი უმაღლესობა ხომ ჩვენთვის ვერ მოიცლის, მრავალი საქმე გაქვსთ. მაისის ი, ქორონიკონს უპე.

151. განჩინება ზაალ დავითიშვილისა და შანშე რამაზიშვილის ყმა-მამულის საქმეზე

1801 წ. 5 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6401. დედანი. ქაღალდი 59×26 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მისის უმაღლესობის სანატრელის მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს, მამის ჩვენის ბძანებით დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ და მისი შვილები და რ ა მ ა ზ ი შ ვ ი ლ ი მილახვარი შ ა ნ შ ე და იმისი შვილები ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ი ო ა ნ ე მ, სამართალში ვალაპარაკეთ.

რამაზიშვილი შანშე და იმისი შვილები დავითიშვილს ზაალს და იმის შვილებს ყმასა და მამულზე ედავებოდნენ. თუმცა დიდი ხნის ბავშვი იყო, რომ დავითიშვილს ჯელთ სჭეროდა და ეჭირა, მაგრამ მანც კიდევ ფიცი დავითიშვილს ზაალს დავადევით.

ოთხი თავადიშვილი უნდა მიეყოლებინა და ოთხი აზნაურშვილი: ორი თავადიშვილი და ორი აზნაურშვილი შეგდებული და ორი თავადიშვილი და ორი აზნაურშვილი შეუგდებელი, ვინც თითონ სდომოდა, ისინი უნდა ეშოვნა, რომელიც თავადიშვილები შანშემ და იმისმა შვილებმა შეუგდეს და აზნაურშვილები ზაალმა უკლებლად ოთხივ იშოვნა და ორი თავადიშვილი და ორიც აზნაურშვილი თითონ ვინც უნდოდა მიეყოლია, როგორც ჩვენს განაჩენში სწერია.

რამაზიშვილებმა ა ტ ო ც ს მიიპატიჟეს საფიცრათ დავითიშვილები. დავითიშვილი ზაალ თავისის მოფიცრებით მიჰყვა და რამა-

* აქ გადამწერი შენიშნავს: „დიდიხნის მოშლილი“.

ზიშვილებმა აღარ დააფიცეს. ამაზე კიდევ ბევრი ლაპარაკი შე-ექნათ.

თუმცა რამაზიშვილს შანშეს და იმის შვილებს დავითიშვილებ-თან საქმე აღარ ჰქონდათ და სამართლითა და ველარც ფიცს შეუგ-დებდა, მაგრამ ჩვენ კიდევ ამ საქმის გაწმენდისა და გარდაწყვეტი-სათვის ასე განვაჩინეთ:

დავითიშვილი ზაალ წადგეს თავისის ორის შვილით, თავისი ოთხის აზნაურშვილით და ოთხის მსახურითა და როგორც ჩვენს დიდს განაჩენში სწერია ფიცი[1], ის განაჩენი და დიდის მეფის ერეკლეს ბარათი რამაზიშვილებსა აქვსთ. ის ორივ წიგნი დავი-თიშვილმა ზაალმა ჴელთ უნდა დაიჭირონ და როგორც იმ განაჩენ-ში სწერია, დავითიშვილებმა ისე უნდა დაიფიცონ.

თუ ისე შეჰფიცეს და ან რამაზიშვილებმა აღარ დაიფიცეს, დავითიშვილები გამართლდებიან და რამაზიშვილს შანშეს და იმის შვილებს საქმე აღარა ექნებათ რა. დავითიშვილები გამართლებულ-ნი იქნებიან. და რომელიც განაჩენები ან წიგნები ამ საქმეზე რამა-ზიშვილებსა აქვს, ყველა უნდა ჩამოერთვასთ და დავითიშვილებს უნდა მოცესთ.

და თუ დავითიშვილებმა ვერ იფიცეს და როგორც უწინდელს ჩვენს განაჩენში სწერია, დავითიშვილმა ზაალმა შანშე რამაზიშვილს ყმაშიცა და მამულშიაც ისე წილი უნდა მისცეს.

უნდა აღასრულო როგორც დაგვიწერია. ამისი მოასილი შენა ხარ. მარტის ე, ქორონიკონს უპთ. | იოანე |

152. განჩინება ქალაქის მოურავის ევსტატისა და მინბაში გიორგის მამულის საქმეზე

1801 წ. 6 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 871. დედანი. ქაღალდი 37,2×25,8 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე, წერტილი და ორ-წერტილი.

ქ. ჩუენ, მეფის ძემ იოანე კავალერიმ[2], ჩუენთან და-ვისწარით მსაჯულთშეკრებილებანი. ქალაქის მოურავი ევსტატი, ბიძა ამისი მინბაში გიორგი და კოსტანტილე ვალაპა-რაკეთ.

[1] + ფიცი. [2] კალავერიმ.

მოურავი ასე ჩიოდა: ამ ბიძა ჩემან გიორგიმ ოთხის დღის მიწა დემეტრეს წილი ვენაჴათ ააშენა ქარელში საერთოს კაცის მუშაობით. ის ვენახი ისევ მევე უნდა დამანებოს. იმის სანაცვლო ექვსის დღის მიწა რომ არის, ისევ გავყოთო.

მინბაშმა მიუგო: კურთხეულმა მოურავმა ჩუენი საერ-თო მიწა მისცა დემეტრეს და იმის სანაცვლოთ ეს მიწა გამოართო, რომ იმავ მიწის გვერდზედ ორის დღისა და უფრო მეტისა მამა თქვენმა მოურავმან სესიკელა ალამდარს მისცა გასაკუთ-რებით და ასე თქვა: ამის სამაგიეროთ ეს ოთხის დღის მიწა დაიჭი-რონ ამ ჩემა ძმებმანო[1]. იმის ნებით იმისივე სიცოცხლეში დავიჭი-რეთ, ჯამაგირის მიცემით ვენაჴათ ავაშენეთო.

რადგან დემეტრეს გაუცვლია, დემეტრეს ნაქონი მიწა ამათ დაუჭერიათ და ამათი წილი დემეტრეს. ამ შეცვლილობის შეშლა აღარ იქნება. ექვსის დღიდამ ორის დღისა იმავ ვენაჴთან ხომ სესი-კელასთვის მიუცია მოურავს. ის ორის დღისა სესიკელას უნდა ჰქონ-დეს და ოთხის დღისა რომ მოურავს ამათ წილად დაუსხავს და ამათ მაშინვე ვენაჴათ აუშენებიათ, ის ვენაჴი დარჩა სამართლით მინბაშს გიორგის და კოსტანტილეს.

ამას გარდა დლეს ბაღზე ჩიოდნენ. ამ ბაღის საქმე როგორც პირველს განაჩენში სწერია, ისე უნდა აღსრულდეს. მარტის ვ, ქო-რონიკონს უპთ.

ხუთი ბეჭედი: 1. იოანე
2. ზაალ
3. მდივანბეგი ჯავახის ძე ვახუშტი
4. მდივანბეგი იოანე
5. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლაოზ

153. განჩინება ზაზა სოლაღაშვილისა და ზაზა ბარათოვის ყმების საქმეზე

1801 წ. 10 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 17. საბ. № 53. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[55] მოლარეთხუცეს[ს] სოლაღაშვილს ზაზას მათის უგანათლებულესობის საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითისათვის არზა მიერთმევინა და მსაჯულის იესეს ძის ბარათოვის ზაზასათვინ ეჩივლა: სამი კომლი კაცი ჩემი საწილო უჭირავსო და წილს არ მიდებსო.

[1] ძმებანო.

ამაზედ მის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის ოქმი იყო, რომ სამართალში უნდა ელაპარაკნათ. ესენი ორნივ მოვიდნენ და ჩვენ შემოგვეხვეწნენ — ხერხეულიძე ლაშქარნივისა ომანს და თურქისტანიშვილს იოანეს და გვითხრეს: ჩვენ ორთავ თქვენ გამოგირჩივეთო და ჩვენი სამართალი თქვენ უნდა ჰქმნათო.

ჩუენ უარი უთხარით სამ[v]ერ და ოთხჯერ და არ მოგვეშვენენ. დავსხედით წინაშე ღმრთისა და ვალაპარაკეთ.

სოლაღაშვილი მოლარეთხუცესი ზაზა ჩიოდა: ვარსიმაშვილი ნასყიდა, ირამაშვილი დავითა და ვარსიმაშვილი გულიას შვილი ნინია ჩემი საწილო არისო და საკუთრად მაგას უჭირავსო და წილს არ მიდებსო.

და კიდევ ერთი ოქმიც მოიტანა: მეფის ირაკლისათვის სოლაღაშვილს იორამს არზა მიურთმევია და იმ არზის ზურგზე თავის ყმების სახელები სიათ მოუწერია, რომ ეს კაცნი ამ იორამის მემკვიდრე ყმანი არიანო და ამას დაანებეთო. სოლაღაშვილმა ზაზამ გვითხრა: აი მაგისის მამის ხელიო და მაგას რაღა სიტყვა აქვსო.

იესე მსაჯულის შვილმა ზაზამ მიუგო: მართალია, ეგ არზა თითონ მამაჩემს მიურთმევია ბატონისათვინა და ეგ ოქმიც მამის ჩემის დაწერილი არისო, მაგრამ ზურგზე რომ სია არის დაწერილი, სხვა სულ სწორე არისო და ორი კალამი ოქმის დაწერის შემდგომად მოგვწერიათო და ეს მამის ჩემის ხელითწერილი რომ როდესაც ეგ ოქმი მამაჩემს უნახავს, ანდერძით დაუწერია, რომ ის ორი კალამი ოქმის დაწერის უკან მოუწერიათო.

ეს წერილი სწორეთ იესე მსაჯულის კელი არის; და იმ ოქმზე ის ორი კალამიც გავსინჯეთ, რომ მასუკან მოწერილი არის, კალამიც სხვა არის და მელანიცა. და ესეც ასე უთხრა მსაჯულის შვილმა ზაზამ: ამ ორს მასუკან მოწერილს კალამშიაც ეს ერთი [56] შენიაო და ეს ერთი ჩემიაო, რომ შენ საქმე არა გაქვს რაო.

და კიდევ გვითხრა მსაჯულის [შვილმა] ზაზამ: მე ჩემს სამართალს მაგათის მოცემულის წერილებით დავამტკიცებო. მოიტანა მანუჩარ სოლაღაშვილის მიცემული ნასყიდობის წიგნი, რომ მანუჩარ სოლაღაშვილი აძლევს იესე მსაჯულს — იესესა და ელისბარის წილი ყმა და მამული შენთვის მომიყიდნიაო, ზოგს კაცების სახელებს შიგ უწერს და ამასაც ასე ურთავს: სადაც იმათი წილი კაცი გამოჩნდესო, ისიც შენიაო. და ამაზე სოლაღაშვილი ზაზას მამა იორამაც კელს უწერს: მე, იორამს, ამ სიგლის ყაბული მაქვსო.

და კიდევ გვაჩვენა ერთი წიგნი მსაჯულის იესეს შვილმა ზაზამ, რომ სოლაღაშვილი მანუჩარ და იორამ აძლევენ იესე მსაჯულსა: ჩვენს რძლებს რომ კაცი ახლავს მსახურათ, სანამდინ ცოცხლები იყვნენ, იმათ მსახურობ და იმათს სიკვდილს უკან შენი არიანო, ჩვენ საქმე არა გვაქვს რაო.

და ზაზამ კიდევ ესეც დაურთო ამ წერილებსა, იმ შენს რძალს იესეს ცოლს რომ კაცი ახლდა, ვარსიმაშვილი ნასყიდა იყოო და შენი რძალი რომ მოკვდა, ის ნასყიდა თელავში ასე მკვიდრათ დარჩა, რომ თელავის ბაზრის ხარჯში ჩააგდეს, იქიდამ რის ყოფით და დახარჯვით და ამ ნასყიდობის წიგნების ძალით აჰყარა და გამოიყვანა მამაჩემ[მ]აო; ირემაშვილი ძ[ე]ვერიდამ ავყარეთ მრაელის დახარჯვით და ვარსიმაშვილი ძულიას შვილი ხოდაშენს იდგაო, ტყეობიდამ [v] მოსული იყო, ამასაც გული მოუგეთო, ბევრი მივეცით და ესეც ავყარეთ და მოვიყვანეთ და ეს სამნივ ბორბალას დავაყენეთ მამულზე.

და ეს სამნივ კომლნი ბიძიშენის იესესა და ელისბარის წილი არიანო, რომ ბიძიშენის მანუჩარისაგან მიყიდნია, იესესა და ელისბარის წილი და მამაშენი იორამც კელს მიწერს, რომ ამ სიგლის ყაბული მაქვსო.

სოლაღაშვილი ზაზა მიუგებდა: მართალია, მანუჩარს მიუყიდნიაო, მაგრამ რომელიც კაცი შიგ სიგელში სახელდობ არ გიწერია, ის ჩემი არისო. სოლაღაშვილმა ზაზამ მიუგო, რომ ეს [სწორეთ ასე არისო და ამაზედ ვდგავარო, რომ რაც სახელდობ სიგელში არ გიწერია, იმის მეტს არას დაგანებებო.

მსაჯულის იესეს შვილმა ზაზამ მიუგო: ბორბალას რომ ეს კაცნი მოვიყვანეთ და დავაყენეთ, თუთხმეტი წელიწადი მამაჩემი იესე ცოცხალი იყო და მამაშენი იორამც იქ იყო; თუკი წილი ედვა, მას უკეთ არ ეცოდინებოდა, რატომ ერთხელ არ უთხრა, ეს კაცები ჩემი არისო; და მამაჩემი რომ მოვიდა, მასუკან მამაშენმა შვიდიერა წელიწადი კიდევ იცოცხლა, რატომ ის არ გვედავა; ჩვენ კიდევ ეს ზემოხსენებულნი გლეხნი აგვეყარნენ და კახეთს წავიდნენ, რატომ მაშინ არ ილაპარაკეს და აყრაშიაც არ მოგვეხმარნენ, თუ საწილონი იყვნენ და საქმე ჰქონდათ რამე.

ჩვენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ და ნასყიდობის წიგნები გავსინჯეთ და ბატონის ოქმები ვნახეთ, ჩვენის გასინჯვით [57] სო-

ლაღაშვილს მოლარეთხუცეს[ს] ზაზას ამ ზემოხსენებულ კაცებთან საქმე არა აქვს რა. დარჩა მსაჯული[ს] შვილებსა ბარათოვს ზაზას.

მარტის **ი**, ქორონიკონს **უპთ**. [ ] იოვანე

154. განჩინება დავით და დიმიტრი მაყაშვილების მამულის საქმეზე

1801 წ. 18 მარტი

ცსსა. ფ. 1448. სან. № 2981. დედანი. ქაღალდი 42,8×24,2 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრეს დავითს ებძანა ჩუენ მსაჯულთათვის მაყაშვილს ნაზირს დავითს და ამის ბიძაშვილს დიმიტრის რაც საჩივარი ჰქონდეს, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო.

მათის ბძანებისაებრ ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეცით: დავით და დიმიტრი რომ გაყრილან, სამართლის კანონისაებრ უფროს[ს] საუფროსო მისცემია და უმცროს საუმცროსო. სხვა კაცნი შეფარდებით და ბარათით მისცემიათ. მარა უფროსის ძმისშვილს დავითს სასახლის ზომა მიწა არ მისცემია და სამართლიდამ ითხოვდა იქაე სასახლის ახლო. მარა არც ამათ თავეთი მიწა ჰქონდათ და არც სხვა ბეითალმალი, რომ იქიდამ მიგვეცა.

მაგრამ ორისავ ნებით ასე გავარიგეთ: მთავარანგელოზის საყდართან დავითისა და დიმიტრის საერთო მიწა არის ზევით თუ ქვეით ხევისპირამდინ, მთავარანგელოზის[1] საყდრის წინ არის ის მიწა, და ამ წმინდის ნინოს ხოდაბუნში რაც ამათი წილია ზემო ომანის ხოდაბუნამდინ, დასავლეთისკენ ჩხუბიანისშვილის მიწამდინ, აღმოსავლეთისაკენ ალექსანდრე სალთხუცის მიწამდინ, ბოლოს გოშპარის მიწამდინ — ეს მიწები განსაკუთრებით დავითს მივეცით.

სასახლის ზომისათვის ნაზირს დიმიტრის მამულში რომ ჩალური უდგას, თუ უნდოდეს დიმიტრის, ის ჩალური აიღოს და საცა ნაზირმა ადგილი დაუნიშნოს, იქ დაუდგას ახლის ჩალით. და თუ დიმიტრი იმ ჩალურს თავისთვის დაიჭერს, იმის სამაგიერო ახალი ჩალური დაუდგას დიმიტრიმ დავითს.

რომლის მხრიდამ თუ გზიდამ დავით ნაზირის ზვარი მოირწყვის, რომ მოურწყავი არ დარჩეს დავითის ზვარი, წყლის გზას ვერ დაუშლის დიმიტრი.

საცა ბეითალმალი მამული აქვსთ, იქიდამ თერთმეტი ადლი ნაზირს, ცხრა დიმიტრის.

კოშკი უნდა დაფასდეს, ფასი უნდა დიმიტრიმ მოსცეს ნაზირს და კოშკი დიმიტრის დარჩება.

კახიშვილო გრიგოლ! ეს ასე აღასრულე. მარტს **იზ**, ქორონიკონს **უპთ**.

ქ. დავითს რომ სასახლის ზომის წერილი აქვს ანდუყაფარისა, ქაიხოსრო ჯომარდიძისა და პაატასი, რომ ამათგან მიცემული წერილი სანატრელს მეფეს დაუმტკიცებია, რადგან ორისავ ნებით იმ სასახლის ზომაზე ჭელი აიღეს და ამ ადგილს დასჯერდნენ და დიმიტრიმაც მისცა, ამისთვის ის წერილი დაყენდა და ამით ასე გარიგდნენ და ასე უნდა აღსრულდეს.

ეჭვსი ბეჭედი: 1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის ოვისა მსაჯულად მაგო ბეჟან
2. ზაალ
3. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
4. მდივანბეგი იოანე
5. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
6. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

155. განჩინება მაღალაშვილების სასისხლო საქმეზე

1801 წ. 31 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1493. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათს დიდებულებას სრულიად საქართველოს მემკვიდრეს დავითს ებრძანა ჩუენ — მსაჯულთათვის იაკობ მაღალაშვილი მაღალაშვილის ივანეს და გიორგის რომ უჩივის, სამართალი მიეცითო.

მათის ბრძანებით მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

იაკობ ასე ჩივოდა: ჩოჩეთს წვაელ ჩემს სახლში, მინდოდა ხნულში წყალი ჩამეგდო; მოურაესა და მის ძმებსა შეეტყოთ, ცხენზედ დამსხდარიყუნენ შვილებით და დისწულებით, სახლში მაშინდნენ, დამ[ა]ჯავეს, ხელი ასე დამიშავეს, კეტით მრავალი მცეს, ჩემის კაცის სახლში შევარდი, იქამდინ მამყუნენ, დედაკაცებმა გამოაბრუნეს, სახლში იწევდა და იძახდა: დაგვანებეთ, უნდა მოვკლა-

[1] მთავარანგელოზის.

თო; რომ გააბრუნეს, ჩემის სახლის ბაწზე ჩემი საცმელი ტყავი ეგდო, აიღეს, კლმით სულ დასჭრეს. ამაების სამართალს ვითხოვო.

მოურავმა მიუგო: ჩოჩეთს წყლის ჩასაგდებად არ წახველ, ჩემს საჩხუბრათა[1] წახველ, რომ მაშინვე კეტებით მზათ დადექით. ჩვენ თქვენს საჩხუბარათ არ წამოსულვართ; ჩემის შვილებისათვის რომ ეთქვათ — დაგიბარეს, თუ კაცი ხარ წახვალო; ჩემი შვილი რომ წასულიყო, ჩემს ძმას შეეტყო, გამოსდგომოდა, შფოთი არა ჰქნან; მერე მე შევიტყე, გამოუდეგ; ჩემს ძმას და შვილს შეეტყო, გამოსდგომოდა, შფოთი არა ქნან; მერე მე შევიტყე, გამოუდეგ ჩემს ძმას და შვილს, იმათთან ჩხუბი არ მოუხდესთ.

საცა ჩხუბი მოუხდათ, იქ ძლივ მივეწივე; მაგათს სახლში არ მიესულვართ, მაგას ჯოხი არ მოხვედრია, კმალი მაგან უწინ შემოჰკრა ჩემს შვილს, მერე ჩემ[მ]ა ძმამ დასჭრა — იაკობმა ორჯერ კმალი მოუქნივა, ეს კეტები შევაშველე, ამას მოახვედრა, თორემ უშვრო დამშრიდაო.

იაკობმან მიუგო: მუჩალა დავდოთ, თუ პირველად კმალი მე მოგიქნივე; მოხდომითაც შენ მამიხე, კლმითაც პირველათ შენ შემამიტევე, დაჭრითაც პირველად შენ დამჭერ, რომ საუკუნოდ კლავი ასე დამიშავეო.

სამართალში აღმოჩნდა ამათის ჩივილით ღვდლის დავითის მოწმობის ძალით, რომ იაკობს მოურავი და მისი ძმა საჩხუბრათ მიხდომიან, თავში დაუჭრიათ, გავზომეთ: ექვსის მარცელის ზომა იყო. გვერდზე ცემით რომ დაწყრულებული ქონდა, ესეც ოთხის ქერის მარცელის ზომად ჩავაგდევით, რომ სულ ჭრილობა შეიქნა ათის ქერისა.

ამის სიმაღლეს, სრულიად საქართველოს მემკვიდრეს დავითს, ებრძანა სიგლით სასამართლოსათვის; როდ[ესაც] სანატრელს ცხებულს მეფეს თეიმურაზ პაპას ჩვენს ნიკოლოზ მაღალაძე მდივანი და ეს სვიმონ რუსეთს წაბრძანებაში იახლენ, მაშინ სანატრელმა პაპა ჩვენმა თავადათ გამოაცხადა. და ამის შემდგომად სანატრელმა პაპა ჩვენმა მეფემ ირაკლიმ ქართველთ ბრწყინვალეთ და კეთილშობილთ გვარების რიცხვები რუსეთს რომ მისწერეს, იმაშიაც ამილბარ სალთხუცესი თავადათ არის გამოცხადებულიო; და ამ მდივნის სახლიც ამილბარ სალთხუცის სახლი და გვარი არისო და ამათაც თავადის სისხლი ზდისო; და სხვა მაღალაანთ აზნაურის სისხლი ზდითო.

[1] საჩხუბართა.

ამ ბრძანებით მესამე თავადათ აღვრიცხეთ. მერმე მესამე თავადისა ერთის მკლავის დაშავების სისხლი არის განჩენილი ას ოცდარვა თუმანი. ამავ ანგარიშით მესამე თავადის ერთის ქერის მარცვალი ჭრილობის სისხლი არის ექვსი თუმანი და ოთხი მინანთული. ათის ქერის ჭრილობის სისხლი და ერთის მკლავის დაშავების სისხლი არის ას ოთხმოცდათორმეტი თუმანი.

რადგან მათის უწმინდესობის მდივნობა ამათს ოჯახში არის, ამისთვისაც ზემო სისხლის[1] ნახევარი რომ არის ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი, ესეც მოხელეობისათვის დაერთოთ, რომ შეიქნა ორას ოთხმოცდა რვა თუმანი.

რადგან იაკობ თავის მამულში ყოფილა და ესენი იქ მიხდომიან, ამისთვისაც სანატრელის მეფის ვახტანგის სამართალი მესამედს სისხლს უჩენს. უნდა მიხდომისათვისაც ამ სისხლი[ს] მესამედიც ზე დ[ა]ერთოს, რომ სულ შეიქნება ოთხას ოცდა თორმეტი თუმანი.

აქედამ სამართალმა ჩვეულებისამებრ მესამედი იპატივა — ას ორმოცდაოთხი თუმანი; დარჩა ორას ოთხმოცდარვა თუმანი. ეს ნახევარი ნაღდი და ნახევარი ვეჯი უნდა მოსცენ მეტეხის მოურავმან ივანემ და მისმა ძმამ გიორგიმ იაკობს და მის ძმებს.

თუმცა მოურავი ამასა ჩივოდა: ჩემი შვილიც დასჭრესო და ხლმითაც მეც შემჭრიდნენ, მაგრამ კეტებს ავატანინეო, მეც ამ ჭრილობის სისხლი გამოჩინეთო.

რადგან მოურავის მხარე მიმხდომად აღმოჩნდა და კლმით პირველ შემტევებლად და დამჭრელად[2], ამისთვის განწესებით მოურავის მხარეს ჭრილობის სისხლი არ გაჩნდა[3] რა. და ეს ზემო განჩენილი სისხლი უნდა მოურავმა მოსცეს.

მათის სიმაღლის ბრძანებით ამათი მოასილი ბოქოულთხუცესო იოვანე და დავითიშვილო დავით, თქვენ ხართ. ეს ასე აღასრულეთ. მარტის **ლ**, ქორონიკონს **უპთ**.

ჩვენ, საქართველოს მემკვიდრე-მართებელი რუსეთის ღენერალ ლეიტენანტი და კავალერი დავით, ვამტკიცებთ. აპრილის კ, ქორონიკონს **უპთ**.

[1] სისხლის. [2] დამჭრელად. [3] განჩდა.

156. განჩინება გლახა მამაცაშვილისა და გეგთაბეგიშვილების მამულის საქმეზე

1801 წ. 6 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1101. პირი. აგრეთვე ფ. 1450. დაეთ. № 48. საბ. № 13.

ჭ. სრულიად საქართველოს მემკვიდრეს დავითს ებძანა ჩვენ — მსაჯულთათვის: მამაცაშვილი გლახა რომ უჩივის ბეგთაბეგის შვილს მდივანს ბეგთაბეგს ესავს და იოანეს, სამართალი მიეცითო.

გლახა ასე ჩიოდა: სანატრელის მეფეების სიგლებით კეჩხაძეების მამული და ფარეძისა მამული ამ წყალობის სიგლებით ჩვენ გვჭერია. პაპაჩემი რომ მომკვდარა, მამაჩემი — პატარა ობოლი იმერეთს გადავარდნილა, იქ აღზრდილა. იმერეთიდამ რომ გარდმოვიდა საქართველოში, ნახა, რომ ეს ჩვენი მამულები სხვათ დაეჭირათ. სანატრელს მეფეს ირაკლის მოახსენა: ჩემი მამულები სხვათ უჭირავსთო. ამ ოქმით ებძანა: ვისაც ამისი მამული გეჭიროსთ, დაანებეთ. ზოგთ აჩვენა და ზოგთ მძლავრობით ვერ აჩვენა; და თუ აჩვენა ვისმე, არცარა პასუხი მისცეს. მეორედ მოვიდა, იჩივლა. საჩივრის კარზედ მოკვდა მამაჩემი. ახლა მე ვჩივი, სამართალს ვითხოვო.

მდივნებმა ბეგთაბეგმა, ესავმა და იოანემ მიუგეს: ასი წელიწადი იქნება ეს მამული ჩვენ გვიჭირავს, ქვემო ციცისშვილისაგან მოსყიდული. რომ გავიყარენით ჩვენ და ყარამან მდივანი, ეს მამულები გავიყავით. მეორედ კიდევ მამაჩემმა და ბიძაჩვენმა გაიყვეს ეს მამულები. მერე კიდეც გავყიდეთ ზოგიერთი ამ მამულებიდამ. თუკი საეკლესიო იყო, ან რატომ იშათმა ყოველდ სამღუდელოებამ არ დაგვიშალეს, ან იქაურთ მოხელეთ და მეზობელთ — ეს ეკლესიისა არის, ნურც ყიდულობთ, ნურც სყიდით და ნურც იყოფთ. მაგრამ რომელიც მამულები დღეს ჩვენ გვიჭირავს, ალალ-ახათ ნასყიდი გვაქვს ციცინათაგან. ნასყიდობის წიგნები დავკარგეთ, ახლა იმიტომ გვედავებაო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და წინაპართ მეფეთ წყალობის სიგლები ვნახეთ, ქორონიკონს **ტიდ** — ამ წელს დიდი მეფე თეიმურაზ სიგლით ასრე ბრძანებს: ჩვენს ერთგულს მამაცაშვილს პაპუნას და შენს ძმებს გიბოძეთ რუისს თვალიაშვილის ნაქონი მამული, რაც რამ ჰქონდა და გლეხი ფარეიძე მისის სამართლიანის მამულითაო. ქორონიკონს **უმვ**-ამ წელსავე იყო ბოძებული მეფის როსტომისაგან სიგელი, რომელშიაც ასე უბძანებს მამაცაშვილებს: თქვენს სამკვიდროს მამულს ღმრთაების საყდრის შეწირულს, მეჭუდურის მამულსა და მაზედ მსახლობელს კეჩხაძეს მისის მამულით ციცისშვილი შემოგცილებოდაო. ჩვენ მოკითხული ვქენით, რომ ძველთა ჯელმწიფეთაგან შეწირულობის სიგელი და გუჯარი მოგვიტანეთ. გავშინჯეთ, რომ ამისი გამოწირვა სჯულიერის კაცისაგან არ იქნებოდაო. ჩვენც სიგლითა ამით ხატსა ღმრთაებისასა შევსწირეთო. ეს სიგელი მეფეთ და დედოფალთაგან დაბეჭდილი იყო.

შემდგომად ამისსა მეფე შაჰნაზ სიგლითა უბძანებს მამაცაშვილებს: თქვენის სამკვიდროს მამულებისა, გლეხებისა კეჩხაძეების და მეჭუდურის სიგლების გაახლებას დაგვაჯენით. ჩვენც თქვენი მოხსენება ვისმინეთ; რუისს თქვენი სამკვიდრო მამული და კეჩხაძეები მეჭუდურის მამულით გიბოძეთ, რომ შენთან ჯელი არავისა აქვს. ქორონიკონს **ტია** — ამ წელს იყო ბოძებული მეფეთ-დედოფალთაგან და ბატონისშვილებისაგან დაბეჭდილი, ჯელმოწერით იყო ბოძებული.

ამ საბუთებით აღმოჩნდა, რომ ეს სადაო მამულები — კეჩხაძისა და ფარეძის მამულები პირველ ჯელმწიფეთაგან შეწირული ყოფილა და სხვათაგან შეცილების მიზეზით ამ წინაპართ მეფეთ განუახლებიათ და ეკლესიისათვის დაუნებებიათ. მარა ჟამთა ცვლილობისაგან ამ გლახას მამა ობოლი რომ ყოფილა, უცხოს ქვეყანას გადავარდნილა და ამისი წილი მამული სხვათ დაუჭერიათ. როდესაც ადგილი მოსცემია თავის მშობლის მამულზედ მოსვლისა, მოსულა და სანატრელის მეფის ირაკლისათვის შეუჩივლია, ოქმით უბძანებია: რომელთაც ამ მამაცაშვილის მამული გეჭიროსთ, დაანებეთ; მარა არ დაუნებებიათ. მაგრამ ისევ ჩამოსულა, უჩივლია; საჩივრის კარზე მომკვდარა.

შემდგომად სიკვდილისა მამისა თვისისა გლახა ჩამოსულა, ჩივის და ამ მეფეთაგან შეწირულს და ბოძებულს მამულებს ითხოვს.

რადგან მეფე როსტომ სიგლით ბძანებს: კეჩხაძის მამულს ციცინშვილი შემოგცილაო, მოკითხული ვქენით, რომ ეკლესიისა იყო, ისევ თქვენვე დაგანებებეთო; და ბეგთაბეგიანი ამბობენ: ქვემო ციცინათ მოგვყიდესო, რომელიც ეკლესიას ტყუილად შესცი-

ლებია, მეფეს გამოურთმევია, ისევ ეკლესიისათვის დაუნებებია. იმ ტყუილად შემცილებელს ჟამთა ცვლილობისაგან ეკლესიის მამული ტყუილად გაეყიდოს, სამართალი როდის გაასყიდვინებს.

ამ წვრილიადის გამოძიებით, თუნდა ციციანთაგან ეყიდნოსთ, ის სყიდვა მოიშლება, მამული ეკლესიას დარჩება. მყიდველი გამსყიდველს უნდა ედაოს.

მაგრამ ბეგთაბეგიანთ რომ თქვეს: რომელიც მაგ სიგელში კეჩხაძის და ფარეიძის მამულები გიწერია, ესენი ის არ არისო, ამის გამო სამართალმა ფიცი გააჩინა.

რადგან დღეს ეს სადაო მამულები ბეგთაბეგიანთ უჭირავთ, მამაცაშვილმა გლახამ იმავ მამულზედ მეზობლად მსახლობელნი, სამროელოს ყმას გარდა, ვისიც ყმანი უნდა იყვნენ, იმათგან ოთხი კაცი შეუგდოს — ოთხიდან ორი იშოვონ ბეგთაბეგიანთ. წადგნენ და ასრე იფიცონ: «გლახავ, ამისმა მადლმა, რომელიც მაგ სიგელებში მამულები გიწერია, ეს ბეგთაბეგიანთ რომ უჭირავთ, ეს მამულები ის არ არის, ბეგთაბეგიანთ არც ჭონიათ, არც გაუყიდიათ და არცა აქვსთ, არც ვიცით კეჩხაძის და ფარეძის მამული».

ეს თუ ასე იფიცეს, გლახა ბეგთაბეგიანთ ვეღარას შეუვა, სხვაგან მონახოს თავისი მამულები. და თუ ასრე ვერ შეჰფიცეს, ეს სადაო მამული კეჩხაძისა და ფარეიძის მამული ეს ყოფილა და უნდა მოჰბარდეს მამაცაშვილს გლახას, საც[ა] რამ მამული ჭონიათ ამ ზემოხსენებულთ გლეხთ.

ამისი მოასილი, ბოქოულთხუცესო იოანე და თომავ, თქვენა ხართ, ეს ასრე აღუსრულეთ. აპრილს ვ, ქორონიკონს **უპთ**.



ჩუენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი ღუნარალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აპრილის ი, ქორონიკონს **უპთ**.



157. განჩინება დავით და დიმიტრი მაყაშვილების ქონების გაყოფის საქმეზე

1801 წ. 10 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. სან. № 6816. დედანი. ქაღალდი 69×27,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრის დავითის ბრძანებით მაყაშვილი ნაზირი დავით და დიმიტრი ჩუენ — მსაჯულთ ვალაპარაკეთ. ყმა და მამული გაეყოთ.

საეკლესიოს სამკაულზე და სახლის ნივთზე ჩიოდნენ, რაც ჭონდათ, უველა ნუსხით აგვინუსხეს და რომელი რომელს ერგო, ამას ქვეშით დავსწერეთ.

წმინდა ბარძიმი რომ აქვსთ, საძმოა, უნდა გაიყონ; პარაკლიტონი და ზადიკი საძმოა, უნდა გაიყონ; ღმრთისმშობლის ხატი დავითის სახლობას რომ მოუშედინებია, ის ხატი დავითისა არის; თორშეტის საუფლოს ხატი რომ აქვსთ, ის დიმიტრის არის; ყელსაკიდი ხატი საძმოა; რაც საქონელი ყავსთ, უნდა გაიყონ; საფენი რაც აქვსთ, უნდა გაიყონ; რასტი საძმოა, უნდა გაიყონ; მარილის ქვები რაც ჭონიათ და აქვსთ, უნდა გაიყონ.

დიმიტრის დედა რომ ამათვე ერთობაში მომკვდარა, უნდა ისევ ერთათ დაემარხა ოჯახს, იმის სამარხათ ხუთი თუმანი უნდა დავითმა დიმიტრის მოსცეს.

არსენს უნდა საჭორწილოთ დავითმა თავის წილის ყმებიდამ ათი თუმანი მოუკრიფოს და მოსცეს.

ჩაჩქანი და სამკლავე უნდა გაიყონ; სპილენძის ჯინჯილი და უთო რომ აქვსთ, საძმოა, უნდა გაიყონ; ყიფიანისაგან კაცი რომ უყიდიათ, საძმოა, უნდა გაიყონ.

დავითმა ერთი სია მოიტანა, ამდენის კაცისა ეს თეთრი გვმართებსო, უნდა ერთათ მივცეთო, რომ ბიძაჩემმა როსებმა კარგად იცისო, ის დაიბარეთ, თვითეულად გაარჩევსო. რადგან როსებ ძოხუცებულია, ჩამოსვლა არ შეუძლიან, უნდა ამათმა იასაულმა როსებს კითხოს, რომელი ვალი როგორ დაიხარჯა. თუ როსებმა თავს იდვა, ეს ვალი ასე საერთოთ ავიღევით, უნდა ისევ ერთათ მისცენ. და რომლის ვალისა თქვას, ეს საერთოთ არ აგვიღია, მაშ უნდა ისევ დავითმა ერთი თავისი კაცი შეაფიცოს, რომ ეს ვალები საერთოთ არის აღებული და ერთათ უნდა მისცენ. თუ არც როსებმა თავს იდვა, არც დავითმა კაცის შეფიცებით საბუთი უყო, იმ ვალისას ვერას შეუვა.

დიმიტრის დედას თავისი მზითევი რომ ხუთი თუმანი ჭონია და ჩივის საერთოთ სახლში დაიხარჯაო, უნდა დავითმა ორთუმანი ხევარი მოსცეს დიმიტრის.

ლეკი რომ ჰყავთ, და თუ ისევ დავითს სახლში ყავს, საერთო ყოფილა, უნდა წილი დაუდოს დავითმა დიმიტრის იმ ლეკში.

ამათ სახლის ნივთებზე, იარაღებზე, ცხენებზე, მოახლეებზე ლაპარაკი და სარჩელი ჰქონდათ, მარა რომელიც სამართალმა ზემორე საქმოდ და გასაყოფად დაადგა, ესენი უნდა გაიყოს.

და რომელიც სამართლისაგან შეუწყნარებელი იყო, ის არ მო-

ვახსენეთ. რომელი რომელს ძმას ცხენი ჰყავს, მოახლე თუ იარაღი და აქ მოუხსენებელია, ის ისევ უნდა ჰყვანდესთ. ეს კი ასე უნდა გაიყოს, რომელიც აქ მოხსენებულია.

ყოფიანისაგან კაცი რომ უყიდიათ და ზემორე მოხსენებულია, ის კაცი რადგან წილში ჩაუგდიათ, იმისი ფარდი დავითს რგებია; და ეს ნაყიდი კაცი დიმიტრის რგებია, იმ ბარათით დიმიტრისა არის.

სახარებასა და მარხვანს გარდა ყველა საძმოა და უნდა გაიყონ საეკლესიო წიგნ[ნ]ი და სამკაული.

ამისი მოასილი მოლარეთხუცისშვილო ზაქარიავ შენ ხარ, ეს ასე უნდა აღასრულო. აპრილის **ი**, [ქორონიკონს] **უპთ**.

ექვსი ბეჭედი: 1. სპარსული
2. მდივანბეგი დავით
3. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
4. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
5. მდივანბეგი იოანე
6. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

თავში:

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მემკვიდრე და მმართებელი დავით, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

158. განჩინება სუსანაშვილების გაყრის საქმეზე

1801 წ. 12 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 1. საბ. № 36. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[57v] ბატონი მელიქის მარ[ი]ფათით ჩვენ — ქვემოთ აღ[მ]ბეჭ[დ]ავნი დავსხედით. მელიქის ყმა მეჯურჭლე სუსანაშვილები მარტირუსა, ოჰანა და სტეფანა ვალაპარაკეთ.

მარტირუსა და ოჰანა სტეფანას ედავებოდნენ[1], ჩვენი გაუყრელი ძმა ხარო, მოდი, რაც გაქვს, გავიყოთ, ჩვენ წილიც მოგვეციო.

სტეფანამ მიუგო მარტირუსას: მამის ჩვენის დროს თქვენი წიგნი არის დადებული. იმ წიგნის ძალით შენ ჩვენთან წილი არა გაქვს და სამართლით მამის ჩვენის მამულიდამაც წილი არ გერგება.

ის წიგნი მოვიკითხეთ და მოვატანინეთ, რომელშიაც სწერია[2], რომ: ჩვენ სუსანაშვილები ვიყრებოდით და აღარ გავიყ[ა]რენით და ეს პირობა დავდევით, რომ ყველამ ერთად გავისარჯოთ, რაც ღმერთმან მოგება მოგვცეს, მამაჩვენს მივცეთ და ოჯახსაც მამა გაუძღ[ვ]ეს; და ჩვენიდამ რომელიც თავის-თავად ვალი აიღოს, იმაში არც სხვა ძმები მიუდგეთ და არც ოჯახის ვალი გავხადოთ; და რომელიც ჩვენიდამ ცალკე გავიდეს, იმას არაფერ წილი არა ჭონდეს, ცარიელი უნდა გავიდეს.

ამ წიგნს მარტირუსას ხელი მოუწერია და იმავ ღამეს ამათ მოშორებია[1] და თავისთვის[2] გასულა. იმ წიგნის ძალით მარტირუსას წილი არ მიეცემა და არც[3] ერგება[4], რათგან [მა]შინვე გასულა.

ოჰანასაც ამ[5] პასუხს აძლევდა სტეფან: ქალაქის წახდენის უწინ მამაჩვენიც ცოცხალი იყო [58] და მეც მრავალი დამიხარჯამს და ჩემს გარეობაში თუ რამ დაგიხარჯამს, მე რომ მოვსულვარ, ერთადა მამიცია. ქალაქის წახდენის ჟამს ჩემი ცოლი ვალს იღებს, გაძლევს შენაო და შენ იმ[6] თეთრს არომენ და იმით შენ შენი ცოლშვილით ვადიხარო. ჩემს ცოლსაც აქ უშვებ და დედასაც და მამასაც და ჩვენს [რ]ძალსაც, რომ მერე ჩემი ცოლი ჩემს ძმას პეტრუსას გაუყვანია და მამა თათრებს მ[ო]უკლამთ, დედა და [რ]ძალი დატყვე[ვე]ბულან.

წახდენას რომ მორჩომილან, ჩემს ძმას პეტრუსას უთქომს ამ ოჰანესათვის: მოდი ძმაო, ჩვენ ერთადა დავდგეთ, დედაჩვენსაც და ჩვენს [რ]ძალსაც ჩვენთან მოვიყვანო, მე და შენ შევინახოთ. ამისიც სება არ მიუცია ამ ოჰანას თითონ თავის ცოლშვილით თელავს მისულა, აქ დამდგარა. არც ჩემის ცოლისთვის და არც დედის ჩემისოვის და არც ჩვენი [რ]ძალისათვის უნაღვლია. ჩემი ცოლიც ჩემს ძმას პეტრუსას მოუყვანია და ჩემს მოსვლამდისინაც ამ პეტრუსას შეუნახამს, ჩემი ძმაც ეს არის, სხვას არავის აქვს ჩემთან საქმე. თუ ჩემი ძმობა უნდოდათ, ჩემს ცოლს ამისთანა დროს არ უღალატებდაო.

ჩვენ რომ ამათ[ი] ლაპარაკი გავიგონეთ, მართლა წახდენის ჟამიანთ ოჰანას ჭირნახული და გარჯილობა აქვს, მარამ იმ ჟამში რომ თავისი ძმას და [რ]ძალს უღალატა [v], ამასაც დანაშ[ა]ული აქვს. მარამ სტეფანამ ეს უნდა ქნას: თავისი მამეული ქარხანა რომ ხადაკოანთ კაკალასთან გირაოთ არის, ის უნდა დაიხსნას და მარტირუზას შვილებ[ს] და ოჰანას და არუთინას და[ა]ნებოს, რომ ამ

[1] ედავებობდნენ. [2] საწერა.

[1] მოშორებითა. [2] თავისთავის. [3] + და. [4] ერგერგება. [5] ეს. [6] ის.

სამის ძმისა უნდა იყოს. თუ არუთინა მოვა, ხომ თავის მამულს მოუვლის. და თუ აუტყდეს რამე, თავიანთ [რ]ძალს მარტირუზა[ს] შვილები და ოჰანა სამართლიანი სამარხს მისცემენ და იმისი წილიც ამათი იქნება.

რადგან ოჰანას ჰირნახული ყველა მეტი აქვს, სტეფანამ ათი თუმანი ოჰანას საკუთრივ სათავნო უნდა მისცეს. აქედგან ეს მიზეზები იყო და ეს სტეფანას ქონებაც გამოცხადებული არ იყო და ამ სტეფანას მრავალი ჯანჯალი საქმე ქონდა.

ჩვენის გონების დანახვით ჩვენ ესენი ასე მოვაშორეთ, როგორც ამას ზემო დაგვიწერ[ი]ა. ეს სტეფანა და პეტრუსა ერთად გასულან. ამათი ხერ[ი] და შარ[ი] ამათი ორთავესია; მარტირუზას შვილების ხერ[ი] და შარ[ი] თავიანთია; და ოჰანას ხერ[ი] და შარ[ი] თავისია.

მაგრამ არუთინას ცოლი ამას ანბობდა: მამის ჩემის მოცემული ჩემთვის იარაღის ფასათ ჱ (რვა თუმანი) მოსულა ამათ ოჯახში და შვიდ თუმანნახევარი ვალად ამიღია, ზოგი ქალაქის წახდენის უწინ დამიხარჯამსო და ზოგი ახლა ტყვეობიდამ მოვედი, მაშინ დავხარჯეო.

ეს დედას ფიცით ვკითხეთ **[59]** და დედამ ასე თქვა: მართალია, რვა თუმანი მოვიდა, მარამ არუთინას ქონდა, არ ვიცი რა უყო და ვალს რომ ანბობს, არ ვიცი და არც შემიტყვია.

რადგან ასე არის, ეს რვა თუმანი ამას უნდა მისცეს.

ოჰანას ცოლიც ანბობდა: ეს რ[ვ]ა თუმანი ჩემი იარაღის ფასი მქონდა და ექვს თუმანნახევარი პირის სანახავში ვიშოვეო, და ექვს თუმანნახევარი ჩემი ნიშნის ჯვარი[1] იყო; ეს[ე]ნი ოჯახში დახარჯულა, უნდა მამცეო.

ეს[ე]ც დედას ვკითხეთ. ამისი ასე თქვა: თურა[2] თითონ ქონდა გაცემული გირაოები, მარჩინაო და პირის სანახავი ყველასი დახარჯულა და მაგის[ი]ც დაიხარჯაო. და ნიშნის ჯვარი თავისი ტანისამოსისთვის და[ა]გირავა და იქ დაიკარგაო.

ამის მოწმობისა ოჰანა ასე ანბობდა: დედაჩემს ჩემგნით გული აკლია, იმიტომ აგრე ანბობსო. და თითონ ოჰან[ა]ც და ამისი ცო-

[1] ჯავარი. [2] უთრა.

ლიც საშინელის ფიცით ფიცავდნენ, რომ ეს[ე]ნი რაღაც კაცობთ (sic), სულ ოჯ[ა]ხში დახარჯულა.

რადგან ასე არის და ამ ოჰანასაც მო[ს]წრებული ქალები ჰყავს გასათხოვარი, ხუთი თუმანიც ამას უნდა მიეცეს და მამაც რომ დასამარხია, სამი თუმანიც ამაზე უნდა დახარჯო[ს], ათი თუმანიც დედას უნდა მისცეს სამარხი.

და მარტირუზას რომ მანუჩარ **[v]** [მ]დივნისა თეთრი მართებს, ეს მარტირუზას ობლებს ხომ შეძლება არა აქვს, [მ]დივანსაც ოთხი თუმანი ს[ა]ერთოდან უნდა მისცენ; რომ გახდა ეს საერთო ვალების ჯამი ოცდაათი თუმანი.

ამათი რომ მამეულის სახლის ალაგი აქვთ და ქარხანასთანაც ალაგი აქვთ, ესენი უნდა დაფასდეს და სტეფანამ და პეტრუსამ ალონ და ეს ვალებიც იმათ მისცენ. და თუ მ[ი]ემატოს, ხუთმა ძმამა გაიყონ; და თუ დააკლდეს[1], კიდევ ამათ შეასრულონ. მარამ პეტრუზა სტეფანას მორჩილი უნდა იყოს, როგორც უფროს-უმცროსების რიგი არის ისე.

ჩვენმა გონებამ ასე დაინახა, ნება მელიქისა. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უპთ.**

მე, ყამაზთ ოსეფა, ამ სამართლის მოწამე ვარ და დამ[ს]წრე +

ამ სამართლის დამ[ს]წრე და მოწამეც ვარ მე, წვრილმანების ოსტატი ასლან ძე სტეფან ზოჰრაბოვ.

ამ სამართლის დამსწრე და მოწამე ვარ მე, ფეთხაინის დეკანოზი ტერ-სტეფანა.

ამ სამართლის დამსწრე და მოწამე ვარ ქამოანთ საყდრის დეკანოზი ტერ-აკოფ.

ამისი მოწამე ვარ, რომ ამათი საქმე ასე გადაწყდა.

[1] დახელდეს.

159. განჩინება იოსებ და შერმაზან ციხისთვისშვილების სასისახლო საქმეზე

1801 წ. 29 აპრილი

საქართველოს სიძველენი, ტ. 1, ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, 1899 წ. საბუთი № 197.

ქ. ც ი ხ ი ს თ ვ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ო ს ე ბ ი ს ეზოში ღორი გ[ა]ერეკა ამისი სახლის კაცის შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს მეღორეს. ამ იოსების შვილს გამოერეკა, ამ შერმაზანს გაელახა ის ყმაწვილი.

ეს იოსებ შინ არ ყოფილიყო, როდესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო.

მასუკან ის შერმაზან თავის ვენახში ყოფილიყო, გადმომხტარიყო და მისულიყო იოსებთან თავის სახლის კარზედ. ქვემოდან შვილი გაქცეულიყო და მიხდომოდნენ და ორთავე მამა-შვილთ გაელახათ თავის კარზედ.

მოვიდა, იჩივლა იოსებმა, ისიც მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ასე ყოფილიყო ამათი შფოთი.

მეც ეს სამართალი მივეც საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მთელი სისხლი გაუჩნდა, მაგრამ ზოგი ლანძღვაში ჩაუტარეთ, ზოგი სამართალმა იპატ[იე]ა და თექვსმეტი თუმანი კი დაედო, რადგან ახნაურშვილები არიან, ეს თექვსმეტი თუმანი ორი წილი ვეჯი უნდა მისცეს და მესამედი თეთრი შერმაზანმა ამ იოსებს.

აპრილის კთ, ჭორონიკონს უპთ.

მდივანბეგი სვიმონ

160. განჩინება ბეჟან ამილახვრისშვილის და ზაზა ციციშვილის ვალის საქმეზე

1801 წ. 30 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1548. დედანი. ქაღალდი 28,8×18,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს შ ვ ი ლ ი ბ ე ჟ ა ნ უჩიოდა ზ ა ზ ა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს: ორის თამასუქით ამას ქ ი ტ ე ს ა ნალეკრისა რვა თუმანი ემართა, ქიტესას ჩემი ემართა, ამისგან მიცემული თამასუქები მე მომცა, შენ გამოართვიო, მაშინ ვერ გამოვართვი. ახლა ამ თამასუქების ძალით ჩემს თეთრს ვთხოვო.

ზაზამ მიუგო: მართალია, ბ თუმანი მემართა ქიტესასი, ქიტესას მაშინვე მივეც, თამასუქები შერჩომოდა. ქიტესა რომ შენ ბატონის ბძანებით აიკელ, ეს თამასუქები მაშინ წ[ა]ართვი. რადგან გადაწყვეტილი მქონდა, მაშინვე ბიძა ჩემ[მ]ა მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ მ ა თ ე მ უ რ ა ზ მ ა გამოგართო, რომ დღესაც მზათ არის დახსნილი ასლი თამასუქებიო. ეს ამისი პირია და უბრალოდ მედავებიო.

თუმცა ბეჟან ფიცით ამბობდა: ჩემი თეთრი ემართა ქიტესასაო, ჩვენ იმის ფიცს ვერწმუნენით, რომ ქიტესას მართებია ბეჟანისა, მაგრამ ზაზას კი არ მართებია ბეჟანისა; ამისთვის, რომ ზაზასი თამასუქი არა აქვს ბეჟანს, რომ მართებოდეს, და ასლი თამასუქები დღეს ზაზას აქვს დახსნილი,

და რადგან ბეჟან ამბობდა: ეგ თამასუქები ძალით მდივანბეგმა წამართო, თორემ ნებით არ მიმიციაო, ამისთვის ზაზას უთხარით: ფიცით გვარწმუნე, რომ შენთან არა დარჩომილიყოს რა.

ზაზამ ქელი მოჰკიდა თავის შვილს: «ამაზედ და ამის ძმებზედ გამწარებული შევიქენა და საშინელის რისხვით ცოლ-შვილით ამოვწყდე, თუ მე ანდა ქიტესასი მემართოს რამ და ან ამ ბეჟანისაო».

რადგან ასლი თამასუქებიც ზაზას დახსნილი ქელთ აქვს და სასამართლოშიაც ასე დაიფიცა და ამისმა სიმაღლემაც ოქმით ასე ბძანა: თუ ბეჟანს ამისთვის არ უსესხებია, ამასთან რა საქმე აქვსო, არც სამართლით ჰქონია ბეჟანს ქელი. და არცა აქვს ამ სამართლიანის კანონით და ამის სიმაღლის ბძანებით. და ვეღარც ედავება ბეჟან ზაზას.

და თუ ბეჟანს სიტყვა აქვს სამართლიანი, ქიტესას შვილებს ედაოს. აპრილის ლ, ჭორონიკონს უპთ.

ექვსი ბეჭედი:

1. მეფეშან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბ ე ჟ ა ნ.
2. მდივანბეგი ი ო ა ნ ე
3. მონა ღთისა მდივანბეგი ა დ ა მ
4. ჯავახის ძე მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი
5. მდივანბეგი ციციშვილი ნ ი კ ო ლ ა ო ზ
6. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ

161. განჩინება დავით გოსტაშაბიშვილის ყმა-მამულის საქმეზე

1801 წ. 3 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2439. დედანი. ქაღალდი. 63×27 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ჭ. მათის იმპერატორების დიდებულების სათნო ჩინებით ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა მემკვიდრეობით განმგებელმან და მბრძანებელმან დავით, შენ — გოსტაშაბიშვილის დავითისაგან არზასთან მორთმეული წიგნები გავსინჯეთ.

პირველი ადრიდგან შენის ოჯახიდამ გაყრილის გოსტაშაბიშვილის ზურაბისა მამას შენს ერასტისთან შეყრილობისა და ძმობის წიგნი, რომელშია სწერს მრავლის პატიოსნის მოწმების თანდასწრებით და ორბელიანის სარდლის დავითის დამტკიცებით ასე:

«მე, გოსტაშაბაშვილი ზურაბ, შენ, ჩემს გოსტაშაბიშვილს ერასტის, ამ ძმობის პირობით შეგეყარე, რომ რაც მამაჩემს ბეჟანს, ან თავისი საჭირნახულო, ან სამკვიდრო ყმა და მამული თქვენ ამილღაბარის შვილებისა და გოსტაშაბისაგან გაეტანოს, ან ნასყიდი, ან მასუკან შემატებული, უძრავი მამული და ყმა, ესე ყოველი შენთან საძმოთ შემომიტანია და შენს მამულთან შემომირთავს. და შენც ჩვენგან გატანილი მამული აგრევე ჩემის რძლის ბებიის შენის ნასყიდობა შემორთე. სანამ ცოცხალნი ვიყუნეთ, ერთათ ამ მამულებით ვიცხოვროთ, და აღსასრულიც ერთმანერთის ხელში გვქონდესო — ამას ამტკიცებს თავისის უკანასკნელის ანდერძის წიგნითა, რომ აქ ხსენებული მამულები შენ ერასტისათვის მომიციაო».

ჩვენ, რა ეს წიგნები გავსინჯეთ, სჯულიერად და კანონიერად დავინახეთ: რადგან ამ ზურაბის აღსასრული თქვენს ქელში ყოფილა და იმისი დანარჩომი ქალები თქვენ დაგიზრდიათ და დაგითხოვებიათ, როგორც თითონ ბიძაშენი ზურაბ თავის შეყრილობისა და ანდერძის წიგნში ყოველის კაცის ქელშეუვალად ერასტისა და შენ, იმის შვილს დავითს, გაძლევს, ჩვენც იმისი დანარჩომი ყმა და მამული შენ, გოსტაშაბისშვილის დავითისა და მომავალთა შენთათვის გვიბოძებია. გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან დიდის რუსეთის ქელმწიფის იმპერატორისა და ჩვენს ერდგულებასა შინა.

აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა გამგენო, სარდალსალთხუცესო და მსაჯულონო, ეს ჩვენი წყალობის წიგნი თქვენ ყოველთავე ასე დაუმტკიცეთ. აღიწერა მაისის **გ**, წელსა **ჩყა**.

დავით

შვიდი ბუჭედი:

1. ვინ დავითს ტომობს სქესობით, სპასპეტ მყო სალთხუცესობით იოანე
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბეჟან
3. მდივანბეგი დავით
4. მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ
5. მდივანბეგი იოანე
6. ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი
7. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

162. განჩინება პეტროზასა და ფარსელას სასისხლო საქმეზე

1801 წ. 29 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6559. დედანი. ქაღალდი 28×23 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ სამწერტილი.

ჭ. ტერტერას ძმას პეტროზასა და პატარა ფარსელას ჩხუბი მოსლოდათ ნოსტეს თივაზე და მეტად უწყალოთ ეცემა ფარსელას პეტროზასთვინა. და ბატონმა მიმბაშმა დავითმა გვიბძანა ჩვენ — ახალქალაქის დეკანოზს ტერ მექისადეგს და წვერიანაშვილს ზურაბასა და მამაცაშვილს ელიზბარსა: წადით, ნახეთ გალახული კაცო.

და ვნახეთ[1] რომ თავი და პირი დაჩეჩქვილი ჰქონდა და პირიდამ სისხლს იღებდა. და ვკითხეთ, თუ რა მიზეზი იყო თქვენი ჩხუბი.

პეტროზამ ეს გვითხრა, თუ: სხვის მამულში ტერტერას ცოტა რამ ბალახი მოეთიბა, მიველ და იმას ვაკეთებდი. და ფარსელა მოვიდა და გინება დამიწყო: უწინ მე ვნახეო, ჩემი დანიშნული იყოო და შენ რათ მოგითიბიაო? შემამაგინა და მეც შევაგინე, ემ საბაბისათვინ მამკლაო.

ეს მი[მ]ბაშს მოვახსენეთ და მიმბაშის კითხულით ეს სამართალი დავდევით, რომ: არც თავის მამული იყო და არც ბატონს ებო-

[1] + და ვნახეთ.

ძებინა, არც ბატონისათვინ მოეხსენებინა და თავის თავათ გადეხდევევინა, რადგან ეს კაცი ასე უსამართლოთ გე[ე]ლახა, ჩვენ ეს განუწესეთ, რომ სამი თუმანი უნდა მისცეს ფარსეღამ პეტროზას[1] ჯარიმათა და საექიმოთა.

და თუ რომ მოკვდეს[2], სისხლი უნდა მისცეს. დაიწერა თიბათვის **კთ**, ქორონიკონს **უპთ.**

ბეჭედი: მონა ღთისა მოურავი დავით.

163. განჩინება გულისანთ ნასყიდასა და საჰაკაშვილ დავითას ვალის საქმეზე

1801 წ. 26 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 14. საბ. № 128. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[160] ივან გულისანთ ნ[ა]სყ[ი]და უჩიოდა მელიქ ყოფილი საჰაკას შვილი დავითას[3]. ამათ ორთავ ვალაპარაკეთ.

თამასუქი ქორონიკონს **უპა**, ამ მარტის **კ** დაწერილი გამოიტანა ნასყიდამ დავითას ხელწერილი ასი თუმნისა, ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზისა, და დავითას სახლკარი სულ გირაოთ ეწერა, სიგელიც ნასყიდას აქვს, გირაოთ სახლში ნასყიდა მდგარა და სარგებელი უნდა მისცეს.

ამას გარდა ქორონიკონს **უპგ**, მარიამობის **ა** გასულს [v] ერთ თამასუქით კიდევ სხვა თალაბი აქვს ნასყიდას ამავ დავითასაგან ორმოცდაათის თუმნის კიდევ დავითას ხელწერილითა.

დავითა[ს] ამაების პასუხი სამართლის შესაწყნარებელი სიტყვა არა ქონდა, თავის მოვალეობის და შეუძლებლობის მეტი რომ სხვა ვალებიც მაქვსო. მარამ ქალაქის განწესებით და სამართლით გირაოს რა გაეწყობა, მოუშლელი და მტკიცე არის.

მარამ ალამაჰმადხან რომ მოვიდა ქალაქს, ის სახლები დამწვარიყო; როგორც ქალაქის რიგი არის და განწესება, თუ დავითს უნდოდეს, ას თუმანში რომე გირაოდ უწერია, მეოთხედი გამოვიდეს დამწვრისა. და რაც სარგებელი აკლია, თავნისაგან დარჩომილი სამოცდათხუთმეტი თუმანი თავისის სარგებლით მისცეს. და თუ არ უნდა და ვერ მისცემს, სახლების სიგელი უნდა დააწერინოს, ხელი აიღოს სახლებიდამ.

ეს ერთი თამასუქის საქმე ასე გადაწყდა.

1 პეტროზამ. 2 + თუ მოკვდა. 3 დავითასაგან.

და მეორე ორმოცდაათი თუმნის თამასუქი რომე აქვს, როგორც სხვათ უგირაო მოვალე[ე]ბს დაემართება, ისე ამას — ეს მეორე ასლებს. ამის მეტს სხვა სალაპარაკო არა აქვსთ რა. კათათვის **კვ**

ქორონიკონს **უპთ.**

ამ სამართლის დამხდური ვარ **[161]** თაყუა შვილი ისაალა.

ამ სამართლის დამხდური ვარ ფირყულანთ ნაზარბეგი

შვილი გიორგი.

ამ სამართლის დამხდური ვარ ფითუნოვ.

164. განჩინება მამისთვალ ყიფიანისა და სვიმონ აბაშიძის საქმეზე

1801 წ. 20 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 517. პირი. ქაღალდი. მხედრული.

კეთილშობილმა ყიფ[ი]ანმა მამისთუალმა არზა მოართო მართებელლობას, რომ: ბატონმა ჩემ[მ]ა აბაშიძემ სვიმონმა ჩემს ძმას თავის სახლში ავათქცევა შესწამა, რომ ამის უნებურად ყვანდათ, ამაზე თავ[ი] არ ამართლებინეს, მოკლეს ის ჩემი ძმა, დაუნაშავებელი მამა და[ა]მიკლეს; მეორე ჩემი ძმა, ამათგან მონათლული, ახალციხეს წარმართ[თ] მიჰყიდეს, ფასი აიღეს, რომ დღესაც კონსტანტინეპოლში არის; ჩემს წვრილს[1] შვილებს მიხოცდნენ და მე სიკვდილად მდევდნენ, ყმა-მამული ამათ დაიპყრეს, ვითხოვ სამართალსაო.

აბაშიძე სვიმონმა მიუგო: პაპა მისმა პაპაჩემს ციხეაართო და შეწუხებაში მისცა. მეორე, ეს ქალი მყუანდა გასათხოვარი, დიდებულნი ირთევდნენ, გვიმტერა, იმათ არ შეერთო, მოახლე გამიწბილა, მერმე ქალი გამიწბილა და შვილი აყოლა. ესენი ველარ მოუთმინეთ. ძმაც, მართალია, მოუკალით, მამაც, ყმა და მამულიც ჩამოვართვით. ახლა ნება სამართლისა არისო.

ამათ ასე რომ ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეცით: აბაშიძენ[ი] რომ ჩივ[ი]ან, პაპაჩვენს აწყენინესო, იცის[2] საქართველოს ერმა, რომ ამათი პაპა უფრო შემძლებელი იყო, თუ მცირე შესცოდა, თითონ გარდა[ა]ხდევინებდა; და თუ დიდი რამ შესცოდა, წინა-

1. წვლილს. 2 ისცის.

პართა სანატრელთ მეფეთ სასჯელით დასჯიდა. პაპის შეცოდების მაგიერის გარდახდევინების ადგილი არა ჰქონდათ შვილის შვილებს, რომ იმისთვის ექმნათ, ქალს სხვაგან ვათხოვებდიო, მრავალი ძვირი ალაპარაკეს, ამისთვისაც დიდად უნდა დაეტუქსა და მცირედ გარდაეხდევინებინა.

ქალი შეიყურა, შვილი აყოლაო, ესეც დამტკიცებით სამართალმა იცის, რომ თუ იმ ქალის ნება არ ყოფილიყო, ყმა ვერ შეჰბედავდა, თუმცა შეჰბედა და განცხადდა, კანონი ეს იყო: დაფარულად სჯულიერის მსაჯულთათვის შეეჩივლა, მერმე ხორციელის სამართლისათვის სასჯელად მოეცა. თუმცა ესენი ბატონ-ყმის ხარისხმა არ მოითმინა და თავისთავად დასჯეს. იმ ერთს დამნაშავეს გუამს მოჰკლევდნენ და არა მ[ა]მას შვილის დანაშაულისათვის, რომ ყოვლის სჯულის სამართალი ჰსწერ[ენ]: შვილის დანაშაულისათვის მამა არ მოიკვლის და არცა ძმა ძმისთვისაო.

ამათ სამართლის და სამეფოს ტახტის წინააღმდეგი უქმნია, დამნაშავისათვის გარდაუკდევინებიათ, დაუნაშავებელი მოხუცებული მოუკლავთ თავეთგან მონათლული და ამ საქმეში უბრალო სული წარმართ[თ]ათვის ფასით მიუყიდნიათ და ფასი აუღიათ; რომელიც ჯელი მირონდამ შობს ქრისტიანედ, ისევ ჯელი წარმართთა აძლევს და ფასს იღებს და ამ ერთს გუამს და ბრალში უბრალოს სიკუდილად ჰსდევენ, ყმასა და ამის მამულს იმძლავრებენ.

როდესაც ეს უყვეს, იმ ჟამად ადგილი არ მისცემოდა და აჭურს[1] მეპატრონეს რომ ესენი მოეკითხა, რადგან ამ ჟამად დიდებულის ჯელმწიფის ძალმა ეს საქართველო თავის სამართლით გაბრწყინვებულს ქვეყანას შეაერთა და მართებელობა გაიწყო, მძლავრებულთ ადგილი მიეცა ჩივილისა და მოსამართლეთაგან სამართლის მიცემისა.

ამ ყიფიანის მამის მამული თუ ყმა, რაც რამ არის, ყველამ უნდა ამ მამისთუალს მოჰბარდეს; და თავის სამკვიდრო მამულზედ დასახლდეს და ისევ აბაშიძეს ბატონყმურის წესით მსახურებდეს.

უბრალოს სულის მოხუცებულის ამის მამის დაკვლა, ამის ძმის ქრისტიანის უბრალოს სულის წარმართ[თ]ზედ გაყიდვა, გუბერნი[ა]ს უნდა მოხსენდეს და პასუხი იქიდამ მოგცესთ.

მაგრამ თუ ამას იქით ამ ყიფიანს უსამართლოდ შეცოდეს და ან იმერულათ უმტერეს, რომ ყველა ახლა მოეკითხებათ; და მართებულობა აღარ დაჰსცხრება პასუხის მიუგებლობისათვის. სეკდემბრის კ, ქორონიკონს უპთ.

თავადი ზაალ ბარათოვი
თავადი ეგნატი თუმანოვი

165. განჩინება გიორგი თუხარელისა და ივანე მესტუმრის მამულის საქმეზე

1801 წ. 1 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 35. საბ. № 165. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[117v] მესტუმრე ივანე უჩიოდა თუხარელს გიორგის საფანელაძის წყაროსთან მიწებზედ. მოვაყვანინეთ თუხარელი გოგია და სამართალში ვალაპარაკეთ.

მესტუმრეს მიუგებდა თუხარელი გოგია: რა საბუთით მედავებიო, შენ ხომ მკვიდრად თუხარელი ხარო, სამკვიდრო მამული რომ რეხზედ არა გქონია რაო და თუ ან ნასყიდი და ან ნაწყალობევი გაქვს ვისგანმეო, წარმოაყენე წერილიო და როგორც იმ წერილმა გამოაცხადოსო, ისე დაიჭირეო.

მესტუმრემ[1] ვერც ნასყიდობის წერილი წარმოაყენა და ვერც წყალობისა, რომ ამ ნასყიდობით და ან წყალობად ჰქონებოდეს იმ რეხის ხევზედ მამული.

ამისთვის ჩვენ ეს სამართალი მივეცით: რომელს მამულზედაც ედავება მესტუმრე, თუ წერილით საბუთი არ წამოაყენა ნასყიდობისა ან წყალობისა, უნდა ასეთი მოწამე იშოვოს, რომ იმ მოწამემ ხატი ხელში ჩაისეენოს, მივიდეს და იმ მიწას გარს შემოუაროს და ფიცით ასე თქვას: «ამისმა მადლმა და ამისმა გამაცხოებელმა ღმერთმან რომ ეს მიწა მესტუმრისა არის».

თუ ასე შეჰფიცა, ხომ ის მიწა, რომელზედაც ის მოწამე დაიფიცავს, დარჩება მესტუმრეს. და თუ ვერ დაიფიცა ასე, ვერას ედავება. მაგრამ ის მოფიცარი მოწამე სარწმუნო და მოძღვრ[118]იანი კაცი უნდა იყოს.

იასაული ბოქაულთხუცესო იოსებ და ტატისშვილო ტეტავ, ეს ასე აღასრულეთ.

და გარეშემო სახლკარზედ რომ ედავება იმაზედაც ან წერილით და ან მოწმის ფიცით თუ საბუთი ვერ უყო, ვერცარას იმაზედ შეუვა. დეკემბრის ა, ქორონიკონს უპთ.

თავადი გიორგი ამილახვარი.

[1] აჭარეს.

[1] მესტუმრეძე.

166. შუაკაცთა განჩინება სოლაღაშვილების გაყრის საქმეზე

1801 წ. 8 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8109. დედანი. ქაღალდი 38,5×20,3 სმ. დაზიანებული. ალაგ-ალაგ ამოხეული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. სოლაღაშვილები ძმობაში ვეღარ მოთავსდნენ, აშლა და ლაპარაკი მოუხდათ. მოვიდნენ ჩვენ — აბაშიშვილს დავითთან, ხერხეულიძე ომანთან და თურქისტანიშვილს იოანესთან და შუაკაცათ დაგვსხეს.

ოთხნი ძმანი ა[რი]ან: იესე, ზაზა, იოანე და იოსებ, დავსხედით და ვალაპარაკეთ.

ზაზას ბეგ[რ]ი ნასყიდობა ექნა და სახლისთვისაც ბევრი შეემატებინა. ნასყიდობის წიგნში თავისის ძმების სახელებიც დაეწერა და სამართალში ლაპარაკობდა: ჩემს ძმებს ჩემს ნასყიდობაში წილს არ [და]უდებო, სასახლო არა მიმიცია რაო და რაც გამსვლია, თითონ მაგათვე იციანო, თეთრი მომცენო და წილი ისე წაიღონო.

ეს, დიაღ, სამართლიანი სიტყვა [იყ]ო და არც სიტყვა ჰქონდა ძმებსა. მაგრამ ჩვენ არ მოვეშვით ზაზასა და ძმობის გულის[თვის] ჩამოვიყოლიეთ. ზაზა[ს] ნასყიდი არის და აშენებულ[ი ქალა]ქის სასახლე ას თუმნად ღირს; ასურეთის სოფლის ნახევარი და ორი კომლის ასურელი კაცი უყიდნია ორმოცდაცამეტ თუმნად; კიდევ უყიდნია[1] ორი კომლი კაცი მონასტრელი თვრამეტ თუმნად; ბორბალას უყიდნია ერთი ნავე[ნა]ხობი თორმეტ მინალთუნად, კოშკი აუშენებია ბორბალასა, ზვარი გაუკეთებია ბორბალასა; შინდისის სოფლის მეოთხედი შემოუტანია; ტაბახმელის მერვედი შემოუტანია.

ეს ნასყიდები და დანახარჯები რომ სულ ჩავაგდოთ, რაც ან ძმებისათვის თავისი საკუთარი საქორწილოები მიუცია, იქნება ერთად სამასის თუმნისა. აქედამ ზაზას მივეცით უწერლოდ თავისის ნასყიდის ასურეთიდამ, ნახევარი რომ იქნება ასურეთისა ერთი ჩარქი. კიდევ მივეცით თავისის ნასყიდის კაცებიდამ ორი კომლი კაცი: ერთი ასურელი ბიძინაშვილი იესე და ერთი მონასტრელი ბარათაშვილი იოსებ და ერთი კომლი საერთო კაცი კახეთს ყანდიაურში რომ დგას მამუკაშვილები — ესენი ზაზას მივეცით. და რაც ციხის აშენების ვალები მართებსთ, ესეც მივეცით, იმან უნდა გარდიხადოს.

და ამ ზემოხსენებულს გარდა ყველა საქმოთ დავდევით, არა თუ სამართლითა — ერთმანეთის ნება დართვითა. ბორბალას ზვარი, როგორც გლეხს კაცებს გაუყვიათ და მიჯნები ჩაუყრიათ, იმასვე დავაჯერეთ.

ტაგნაგეთის ნაზვრევი ოთხათ გაუყვიათ — ტაგნაგეთის მხრისაკენ იესეს ერგო და სამთ ძმათ ქვემოთ იესე მდივნის ზვრისაკენ ერგო. ქვემოთ იესე მდივნის ზვრისაკენ ცოტა რამ ნაშენობა არის რომ ორის ძმის წილში დარჩება. და ამ ორს ძმას იმ ორმა ძმამ უნდა სართად რვა მინალთუნი მოსცენ, ოთხი მინალთუნი იესეს უნდა მისცენ და ოთხიც მეორეს ძმას უნდა მისცენ, რომელსაც იესესაკენ უშენები ერგო.

სხვა ნავენახობები რაცა ჰქონდათ ბორბალასა თუ ტაგნაგეთში სულ ჰაპნით გაუყვიათ, ათზე ერთი იესეს მივეცით საუფროსოდ, ოცზე ერთი ზაზასა და იოანეს სასაშუალოდ; და სხვა ოთხთავ ძმათ სასწორიოდ გაუყვიათ და ყველგან მიჯნები ჩაუსხით.

და სხვაგან სოფლებში ნავენახობები სადაც ჰქონდესთ, ყველგან ასე გაიყონ როგორც მორბალისა და ტაგნაგეთისა გაუყვიათ.

სახნავი მიწები სადაც აქვსთ ბორბალასა თუ ტაგნაგეთსა თუ სხვას სოფლებში, ჩვენ არსად გაგვიყვია და ისიც ასე გაიყონ. გაზომონ, ათზე ერთი იესემ აიღოს საუფროსოდ და ოცზე ერთი ზაზასა და იოანემ სასაშუალოდ აიღონ. და სხვა ოთხთავ ძმათ სასწორიოდ გაიყონ.

იესემ აიღო საუფროსოდ გვარიშვილი გოგია და ვლახა უმამულოდ. ძმებმა მისცეს იესეს ტაგნაგელი არუთინა უმამულოდ საუარესოდ.

რაც კაცი ჰყვანდათ აქ თუ კახეთში საუფროსო ყველგან მიგვიცია. კახეთს რომ კაცნი ჰყვანან, იმას რომ მოიყვანენ, იმაზე ვეღარც საუფროსოს იყვანენ და ვეღარც სასაშუალოსა.

იესემ აიღო კიდევ სამოსახლოების საუფროსოდ ტაგნაგეთს უულიაშვილის სამოსახლო სასახლე, კალო-საბძელი, ქვევრი და მარანი და შიგ რომ ნიგოზი დგას ისი და აქ ტაგნაგეთს ჰეპუას რომ ნიგოზი სჭერია, ის ნიგოზი. მაგრამ ეს ნიგვზები რომელსაც მიწებში დგას, ის მიწები სამმო არის, ზომით უნდა გაიყონ.

ზაზამ და იოანემ აიღეს სასაშუალოდ ერთი კომლი კაცი მოსტრელი ბარათაშვილი გოგია და ბეჭანა უმამულოდ.

იოსებს მივეცით საუმცროსოდ ტაგნაგეთის სასახლე, რაც შე-

[1] + კიდევ უყიდნია.

მოზღუდვილი არის, თავისის მარნით, კალო-საბძლითა და მეიდნითა.

ქვევრებში ერთი იესემ აიღოს საუფროსო და სხვა ოთხთავ ძმათ სასწორიოდ გაიყონ. კოშკიც საძმო არის.

იოსებს დაუდევით სასახლის შენობისათვის ერთი კომლი კაცი — მურადაშვილი [თა]თულა უმამულოდ; და საქორწილოდ ათი თუმანი თეთრი სამთავ ძმათ იოსებს უნდა მისცენ.

დედას უნდა [მ]ისცენ ოთხთავ ძმათ წელიწადში პური კოდი ოცი, ღვინო საპალნე ერთი, წელიწადში თექვსმეტი მინალთუნი თეთრი, რომ იქნება ერთის ძმის მისაცემი ოთხი მინალთუნი, და პატარძეულს რომ ამათი კაცი დგას ილურიძისშვილი იოსებ უმამულოდ.

ამათი საქმე ასე გადავსწყვიტეთ და გავარიგეთ. მაგრამ რაც კაცები გაუყავით და ბარათები მიეეცით, ისინი უმამულოდ გაგვიყვია. მამული როგორც ზემოთ დაგვიწერია, ისე უნდა გაიყონ. და ნავენახობები რომელსაც კაცს დღეს ჴელთ უჭირავს და შემოუღობავს, ის იმისთვის არ ჩამოგვირთმევია და იმისი ზომა სხვას ძმებისათვინ სხვაგან მიგვიცია.

რაც კაცები ამ განაჩენში დაგვიწერია: საუფროსო, სასაშუალო, საჭირნახულო თუ საუმცროსოს სასახლეზე რომ შენობისათვის კაცი დავადევით, ყველასი ბარათები მიგვიცია და თავთავისი ბარათები ყველას ჴელთ უჭირავსთ.

რაც იოსების სასახლის ზომა არის თავისის მეიდნითა, იმდენიმდენს სამნივ ძმანი სადაც უნდა მოიზომენ საერთოს მამულშია, ზვარსა და ხოდაბუნს გარდა. აღიწერა დეკემბრის **ც**, ქორონიკონს **უპთ.**

ხელრთვა: აბაშისშვილი დავით

ბეჭედი: ომან

ხელრთვა: იოანე თურქისტანოვი

167. შუაკაცთა განჩინება ლუარსაბ და ზაქარია ვაჩნაძეების ყმების საქმეზე

1802 წ. 30 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6778. დედანი. ქაღალდი 71,3×26 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ვაჩნაძე ყორიასაულბაში ლუარსამ და ამისი ბიძაშვილი ზაქარია ლაპარაკობდნენ. მოვიდნენ ჩვენ — მაყაშვილს სახლთხუცეს ალექსანდრესთან, მანავის მოურავ ჩერქეზიშვილს ნიკოლაოზთან, ჯანდიერიშვილს ველისციხის მოურავს სვიმონთან, კახისშვილს გრიგოლთან, ჯანდიერისშვილს ნიკოლოზთან და ხერხეულიძე ლაშქარნივის ომანთან და შუაკაცათ დავუსხეს.

რაც ამათი სადაო იყო, ილაპარაკეს: ორი კომლი კაცი ლუარსამს ეყიდნა — ერთი წივილაძე და მეორე ნიკოლიშვილი და ამ ნასყიდობის წიგნში ზაქარიას სახელიც დაეწერინებინა. და ეს ორი კომლი კაცი მასუკან გაყრილიყვნენ, რომ დღეს ოთხი კომლნი არიან.

ზაქარია ამბობდა: ნასყიდობის წიგნში ვსწერივარო, მეც წილი მიძევსო.

ლუარსამ მიუგებდა: მართალია, ნასყიდობის წიგნში დაგწერეო, მაგრამ შენი საწილო არა მიმიცია რაო, წილს არ მოგცემო.

ჩვენ ერთმანეთის ნებამყოფობით ასე მოვარიგეთ: ლუარსამს ერთი კომლი კაცი ჰყვანდა მეფის გიორგისაგან ნაბოძები ვართანა და ამისი ძმა გლახა, რომ ამაში ზაქარიას წილი არა ჰქონდა. ზაქარიას წივილაძეზე და ნიკოლიშვილზე ჴელი [...]ლებინეთ და ეს ვართანა და გლახა რომ დღეს ორს კომლათ არიან გაყრილნი, ეს ვართანა თავისის შვილებით და გლახა ზაქარიას მივეცით.

და მეორეს ამას ჩიოდა ზაქარია: ჩალაუბნის ქვეზე ორი წისქვილი გვიბრუნავს, ჩემი საწილო არისო და წილს არ მაძლევსო.

ლუარსამ მიუგებდა: შენი საწილო არ არისო. ზოგი მე მიყიდნია და ზოგი ჩემის ბარათის კაცისა იყო გამოყოლილი, მე მიშენებია და შენ წილს არ მოგცემო.

ზაქარია მიუგებდა: ორის ბუჭულის ალაგი გიყიდნია, ის შენი არისო. და შენის ბარათის კაცისას რომ ამბობო, ის ჩვენს გაყრამდინ იმ კაცს ჩამოართვითო და წისქვილი გავაკეთეთო და ორი სამი ბუჭულა კიდევ სხვა იყო ჩვენის კაცებისა. ესენი ერთად მოვკრიფეთ და ორი წისქვილი გავაკეთეთო.

ლუარსამ ამის პასუხს კიდევ სხვას ეუბნებოდა. მაგრამ ძმობისა და ერთობის გულისათვინ აღარ ვალაპარაკეთ და ერთმანეთში მოვარიგეთ. ეს ორი წისქვილი ლუარსამს დავანებეთ.

და ამ წისქვილზე ლუარსამმა ზაქარიას თვეში ერთი ურემი

პური უნდა დააფქვევინოს უმინდოთა, რომ იქნება წელიწადში ურემი თორმეტი.

და ამას გარდა კიდევ კირკლებს ქვემოდამ ჩალაუბნის გზა რომ გავა, იქ ორი საწისქვილო აქვსთ ლუარსამსა და ზაქარიას, ისინიც ზაქარიას დავანებეთ. ასე რომ იმ წისქვილის რუ ლუარსამმა უნდა გამოუტანოს. და სახლი და სხვა რაც გაკეთება მოუნდეს, ზაქარიამ გააკეთოს, ლუარსამს იმაში წილი არა აქვს.

ამათი საქმე ამ ნასყიდს კაცებში და ამ წისქვილებში ასე გადავსწყვიტეთ ერთმანეთის ნებადართვითა. და თუ რამ ამ საქმეზე ან ლუარსამსა და ან ზაქარიას განაჩენი და ოქმები ჰქონდესთ, ყველა უნდა დაიხას.

ამ განაჩენისა ორი პირი დაიწერა: ერთი ლუარსამს მიეცა და ერთი ზაქარიას. აღიწერა იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჟ.**

ქ. ზემოთ რომ ორი წისქვილი დავსწერეთ კირკლებს ქვემოდამ, ის ერთი წისქვილი რომ გააკეთონ და დააბრუნონ, ზაქარიას თუ ის არ მოეწონოს, ლაშქარაშვილებს რომ წისქვილი უპირავს, ის ზაქარიას დაანებოს ლუარსამმა, და ის ახალი გაკეთებული ერთი წისქვილიც ლუარსამს დაანებოს ზაქარიამა.

ხუთი ბეჭედი:

1. სალთხუცესი ეშიკაღაბაში ალექსანდრე
2. მონა ღთისა, ყმა მეფისა, მოურავი მანავისა, ნიკოლოზ.
3. მეფის ორგულთ სისხლი შევსვი მონამა.
4. გრიგოლ
5. ომან

ქ. მე, ლუარსაბს, ამ გარიგების უაბ[უ]ლი მაქ[ვ]ს. ეს ჩემი ხ[ე]ლი არის და ბეჭედი.

ბეჭედი: მონა ღთისა ლუარსამ.

ქ. მე, ზაქარიას, ამ გარიგების უაბული მაქ[ვ]ს. ბეჭედი არა მჭონდა, ეს ჩემი კელია. ხელრთა: ზაქარია.

ქ. მე, თავადი სერგის ქობულოვი მდივანი, ამ გარიგების თანამოწმე ვარ ორისავ უაბულობით. იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჟ.**

ბეჭედი: ვარ ადამის... მდივანი ქობულოვი სერგი.

168. გაუოქრების წიგნი გაბრიელ მიქელაძვილისა მეუღლე თინათინისადმი ნეკრესელის განჩინებით

1802 წ. 31 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 845. დედანი. ქაღალდი. 33×18,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ესე მთელი და ჰეშმარიტი წიგნი მივეც ჩემს ცოლსა და მეუღლესა, ბატონო უფალო ნეკრესელო, ასე, რომ[1]: მე ამასთან ჩემი გულისთქმა ვერ შევასრულე და ვეღარცა რა ჩემს თავს დაეატყ[ე]ვ.

ნება და თავისუფლობა მომცია, ღმერთთან თავისს გზაზედ უშველოს და სადაც ნება მაგისია, იქ ქმარი შეირთოს. და მეც გევედრები ნება უბძ[ა]ნოთ და წიგნიც დაუმტკიცოთ ჭრმის შერთვისა. იანვრის **კთ,** ქორონიკონს **უჟ.**

მე, სოლ[ო]მანს ქურულს, დამიწერია გაბრიელის სიტყვითა, მოწამეცა ვარ.

ქ. იოსებ დეკანოზო, ადამ მღდელო, დავით მღდელო, თქვენის მოწმობითა მე, მიქელაშვილმა გაბრიელმა, ცოლი აღარ შევირთო და უქმათ ვიყო.

მე, სოლ[ო]მ[ო]ნს, დამიწერია ესეც, მოწამეცა ვარ. იანვრის **კთ,** ქორონიკონს **უჟ.**

თავში:

ქ. ჩვენ, ნეკრესელი, ასე ვწერ. დღეს მესამე წელიწადია, ეს ცოლ-ქმარნი ასე უქმად და დაუწოლელად არიან. ამათი საქმე დიდად გამოვიძიე და კიდეც შემოვაცდევინე და ყარაულებიც დაუყევსე. და თვითან აქიმებიც დაიყენა და იმედი გადაიწყვიტა. მაგრამ მე კიდევ მეძნელებოდა ამათი გაშორება.

უფალმან უწყის, ახლა ასე გადაუწყვეტია თავის ნებით და მოწმე[ე]ბით და ჩვენც ნება მიგვიცია და შენდობა.

რომელიც მღდელი ბძანდებოდე, ამ წიგნში დაწერილს თინათინს ჯვარი დასწერეთ, შენდობა მიგვიცია. იანვრის **ლა,** ქორონიკონს **უჟ.**

ხელრთა: ნეკრესელი.

---

1 + ასე რომ.

169. მედიატორეთა განჩინება როსებ და დავით მაყაშვილების საქმეზე

1802 წ. 1 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8818. დედანი. ქაღალდი. 33,8×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მაყაშვილმან მიმბაშმან როსებმან და ნაზირმან მაყაშვილმან დავით ჩვენ — ყოვლად სამღუდელოს ბოდბლის იოანესაგან და ქობულოვის მდივნის დავითისაგან და მათის ღირსების მოძღვართ-მოძღვრის იოაკიმისაგან თავეთის სალაპარაკოს სამართალი გულსმოდგინებით შემოგვეხვეწნენ, ღმრთის გულისათვის ჩვენი საქმე თქვენ გა[ა]სწორეთ და გაგვაშველეთო.

ჩვენ რადგან თავეთი ვალი დაგვდეს, ჩვენც ეს წერილი ვთხოვეთ, რომ ორთავ ასეთი წერილი და ფიცი მოგვეცით: რადგან თქვენ სამართალში შეგვიყვანთ, ღმრთის წინაშე ჩვენის მიხვედრით და სამართლით თქვენის სარჩელის [ს]ამართალი დაგიწეროთ, თქვენც დასჯერდეთო.

ჩვენ ამათ ეს წერილი მოგვცეს ფიცით და ბეჭდით, რომელიც ამათს მოცემულს წერილში აცხადებს. და მას უკან ჩვენც შევედით ამათ სამართალში; რომელიც რომ ამათი საჩივრის [ს]ამართალი იყო, თითეულად ამას ქვემორე დაგვიწერია.

ქ. როსებ რომ წმიდა ბარძიმზე დაობს, რადგან როსებზედა სწერია, უნდა დაფასდეს და ნახევარი როსებს მიეცეს და ნახევარი დათუასა და გოგიას. მარამ დავით ნაზირმა კი უნდა დაიხსნას. სხვას სიწმიდის იარაღთან როსებს საქმე არა აქვს.

ქ. დავით რომ ვერცხლის ჯვარზედ დაობს, როსებმან ფიცით დაგვარწმუნა, რომ თავისის მეუღლის მზითევი ყოფილა, დავით ვერას შეუვა.

ქ. ღმრთისმშობლის ხატი მოჭედილი დავით ნაზირსა და გოგიას მიეცა.

ქ. თორმეტ[ი] საუფლო ხატი და სამოციქულო როსებს მიეცა.

ქ. წმიდა სახარება გიორგი მეფეს უბოძებია დავით ნაზირისათვის, ამაში როსებ ვერას შეუვა.

ქ. მარხვისა და სამის თვის სადღესასწაულო დავითსა და გოგიას მიეცა.

ქ. ზატიკი და ბარაკლიტონი როსებს მიეცა.

ქ. ხლმებზედა და თოფებზედ რომ დაობენ, ლუარსაბს მინბაშს თავისავ სიცოცხლეში როგორც ყმაწვილებისათვის დაურიგებია და ან თავისის ძმისა და ძმისწულებისათვის მიუცია, ისე უნდა ქონდეს. ჩვენ სამართლით ვერ ჩამოვართმევთ.

ქ. ლუარსაბს რომ ტახტი მოუტანია ასპინძიდამ, უნდა დაფასდეს და ნახევარი როსებს მიეცეს და ნახევარი დავით ნაზირსა. დახსნით კი დავითმან დაიხსნას.

ქ. როსებ[1] რომ ცხენის [ს]ეკვდილს ედავება, ეს თათულა მღებარს ეკითხოს. თუ ფიცით და[ა]მტკიცებს, ცხენის ფასი დავითმა და გოგიამ უნდა მისცენ როსებს.

ქ. მარილი რომ მიუტანია გოგიას, სულზედ უნდა გაიყონ. ან თავისის ურმით მ[ო]ეტანოს ან სათაო აეღოს, აქედამ ორი წილი დავითსა და გოგიას მიეცეს და მესამედი როსებს მიეცეს.

ქ. იასეს თოფი რომ გაუყიდნიათ თავისის მამის მიცემული და ეს თოფის თეთრ[ი]თ პური უყიდნიათ და სასახლოდ დაუხარჯავსთ. ეს თოფის ფასი, როგორც გასყიდულა, ნახევარი დავითმა და გოგიამ უნდა მისცეს იასესა და ნახევარი როსებმა.

ქ. დავით ნაზირის სახლობის ელენესი თხუთმეტი მინალთუნი სასახლოდ დაუხარჯავთ, ამისი ნახევარი დავითმან მისცეს და ნახევარი როსებმა.

ქ. ტასიასი რომ ხუთი ცალი ღვინო დაუხარჯავსთ სასახლოდ, აგრევე ნახევარი დავითმა მისცეს და ნახევარი როსებმან.

ქ. დავითის ჯალაბის ელენესი ორი თუმანი რომ დაუხარჯავსთ სასახლოდ, საბძელი გაუკეთებინებიათ და პური უყიდნიათ, ამისი ნახევარი დავითმა მისცეს და ნახევარი როსებმან.

ქ. როსების ჯალაბის დარეჯანისა ოცდასამი მინალთუნი სასახლოდ რომ დაუხარჯავთ, ესეც ორთავ უნდა მისცენ.

ქ. როსებ რომ ამბობს — ჩემის მეუღლის ღვინო და პური და ქერი სასახლოდ დავხარჯეთო. ეს როსებმან ფიცით დაამტკიცოს, რა ერთიც დაუხარჯავს, ესეც ორთავ უნდა მისცენ. და თუ ფიცით ვერ და[ა]მტკიცებს, არა მიეცემა რა.

ქ. მინბაშის ჯალაბის ელენესი კაბის ფასი თექვსმეტი მინალთუნი რომ დახარჯულა, ეს დიმიტრიმ დარეჯანას წერილით კითხოს, რა როგორ გაუყიდნია, ან თეთრი ვის მიბარებია. თუ სასახლოდ დაუხარჯავთ, ორთავ ერთად უნდა მისცენ. და თუ სასახლოდ არ დახარჯულა, როსებს საქმე არ ექნება.

---

1 როსებმ

ქ. ერთი თუმანი ვალი რომ გ ო გ ი ა ს აუღია, ესეც ორთავ უნდა მისცენ.

ქ. სამის ქალის მზითვის სია რომ წამოაყენა დავით ნაზირმან, ჩვენ ეს ნუსხა როსებს წაუკითხეთ, რომელსაც რომ როსებ დაემოწმა, ჩვენ ის ჩავაგდევით. რომელსაც არ დაემოწმა, მოვშალეთ კალმით.

და სხვა რაც ნივთი იყო თეთრად ჩავაგდეთ და თითო თითო ნაჰერი დავაფასეთ, რომ იქნა ჯამი კდ (ოცი თუმანი და ოთხი მინალთუნი) ამთვენი. აქედამ ერთის ქალის მზითევი მიეცა ტ ა ს ი ა ს, ნაზირის დას, ექვსი თუმანი და რვა მინალთუნი.

ამ ზემოთის ჯამიდამ დარჩება იგ ვ (ცამეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი) ამთენი. ამ ზემო ნაწერის თეთრის ჯამიდამ ათი თუმანი და ორი მინალთუნი როსებისა იქნება და აგრეთვე ნახევარი დავით ნაზირისა. ამ თეთრიდამ როსებმან სამი თუმანი და ოთხი მინალთუნი ტასიას მისცეს, სამი თუმანი და ოთხი მინალთუნი დავითმა მისცეს.

დარჩება როსებთან ამ ზემო ნაწერის ქალების მზითვის თეთრიდამ ხუთი თუმანი და რვა მინალთუნი.

ქ. დავით ნაზირს თავისის რძლის დარეჯანისა რომ ხუთი თუმანი სამარხი სამართლიდამ დასდებოდა, ეს ზემო ნაწერი ხუთი თუმანი დავით ნაზირმა სამარხში უნდა მისცეს, დარჩება რვა მინალთუნი დავითისა.

ქ. გოგიას რომ საქორწილო მისცემია მეუღლისა თუ მხლებლისა და ან აგრეთვე თავისის თავისა, ამისი ნახევარი ა რ ს ე ნ ს უნდა მიეცეს საქორწილოდ.

ქ. სასახლო ვალი ამასდა გარდა სხვა სი[ი]თ რაც ქონდა, გაგვიყვია და თავ-თავისი წილი სხვის სიებით თავ-თავისთვის დაბეჭდილი მიგვიცია, ისე უნდა მისცენ თავ-თავის მო[ვ]ალეს.

ქ. დავით რომ ციხის ბურჯის თეთრს დაობს, ეს პირველ სამართალში განაცხადონ და სამართალი იქიდამ გამოიტანონ. აგრეთვე გ ა ნ ჯ ი დ ა მ მოყვანილს გოგოებზედა და ბიჭზედ რომ დაობენ, ესეც იქ სამართალს მოახსენონ.

ერთი ამ წერილის პირი როსებისათვის მიგვიცია და ეს წერილი დავითისათვის მიგვიცია.

ჩვენი სამართლითა და გაშინჯვით ასე გაგვირიგებია და ნება მათი არის და უპირველესის სამართლისა. თიბერვლის ა, ქორონიკონს **უჟ**.

170. განჩინება ზაზა და როსტომ ამირეჯიბთა ყმის საქმეზე

1802 წ. 12 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10551. დედანი. ქაღალდი. 21×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს რ ო ს ტ ო მ ს მმართებელობისათვის მოეხსენებინა და ეჩივლა თავის ყმა ბ ა ს ა ნ ი ძ ე ზ ე, რომ ჩემს ძმას უჭირავს და არ გვანებებსო.

მმართებლობას ჩვენ — გ ო რ ს განწესებულთს მოსამართლეთათვის ებრძანებინა ამ საქმის გამოძიება და სამართლის მიცემა. და ესეც ებრძანებინა, რომ ის კაცი ბასანიძე, რომელსაც შემდგომის ოქმით მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა გ ა ნ ჰბოძებოდესო, იმას მიეცემაო.

ბრძანებისამებრ მოვაყვანინეთ ზ ა ზ ა ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი და ეს როსტომ ამირეჯიბი, ორნივ სამართალში ვალაპარაკეთ. მეფის გიორგის ბოძებული წერილი ორთავ მხარეს მოვთხოვეთ და წარმოაყენეს ორთავ რაც წერილები ჰქონდათ და გვიჩვენეს. მაგრამ ერთი ოქმი ჰქონდა როსტომ ამირეჯიბს მეფის გიორგისაგან ბოძებული, რომ შემდგომი ოქმი იყო, რომლითაც ბასანიძე ამ როსტომს დანებებოდა.

ზ ა ზ ა ა მ ი რ ე ჯ ი ბ მ ა თ ქ ვ ა: მაგის შემდგომი ოქმი მეფის გიორგისა მე მაქვსო, მაგრამ ახლა კი აქა არა მაქვსო.

იმ ლაპარაკს აქეთ ორმოცდაათმა დღემ გაიარა და ზაზამ ის შემდგომი ოქმი აღარ მოიტანა, რომ სასამართლოში გამოეცხადებინა. ჩვენ ეს სიმტყუვნედ დავინახეთ და ამისთვის როგორც მართებულობას ებძანებინა, შემდგომის მეფის გიორგის ბოძებულის ოქმით ის ბასანიძე ამ როსტომ ამირეჯიბს უნდა მოჰბარდეს თავის საცხოვრებლით.

იასაულო ბოქოულთხუცესო ი ო ს ე ბ! ეს ახლავ ასე აღასრულე და მოაბარე ამ როსტომ ამირეჯიბს. ფებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უჟ**.

თ ა ვ ა დ ი გ ი ო რ გ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი.

171. განჩინება ზაზა ქარუმიძისა და პართაშვილების ჩხუბის საქმეზე

1802 წ. 6 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2207. დედანი. ქაღალდი. 27,2×20,5 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ ა რ უ მ ი ძ ე ზ ა ზ ა უჩიოდა თავის ბიძაშვილის ყმას პ ა რ თ ა შ ვ ი ლ ე ბ ს ჩხუბში გალახვას.

ჩვენ, გიორგი ამი[ლახორმან, ამა]თი ლაპარაკი მოვისმინეთ და ის ადგილიც სა[დაო იყო, ჩვენის თვალით ვნახეთ.

მაგრამ რომელს ადგილზედ[აც შ]ფოთი მოსულოდა ზაზას, ის ადგილი წერილით ზაზასაგან [ქ]არუმისათვის მიცემული იყო და იმაზე ზაზას სიტყ[ვა აღა]რა ჰქ[ო]ნდა რა; არც უნდა ეჩხუბა, არც ის თუთები დაეგლიჯა.

მაგრამ რადგანც იმ ადგილში საშფოთრად მისულა ზაზა, ეს სწორედ მიხდომად ჩაიგდება; და მომხდომი კაცი რომ გაილახოს, [ს]ისხლი არ მიეცემა.

მაგრამ მოვიკითხეთ, რომ პარათაშვილებს არაფერი დანაშაულობა არა ჰქონიათ რა; არც ჭელი, არც ჯოხი არ დაუკრავსთ და არც ჭოჩორი უგლეჯიათ. ამაზედ გამართლდნენ პარათაშვილები.

და გზაზე რომ ლაპარაკობდნენ, საწნახლიდამ მოკიდებით თავამდი რაც გზა აქა, იმ გზის ზომა ბოლოდამ ზაზამ უნდა მოუჭრას თავის მამული და იოსებს მოსცეს და გზა ზაზას დანებდება.

სალთხუცის სესიას სახლი რომ არის, იმ სახლის მარჯვნივ კედელი რასაც გამოიტანს, ოთახის სამი თახჩა რომ არის, იმ[ა]ზედ ხომ ჩვენ შუა შემოვედით და სესიამ უნდა დ[აა]ნებ[ოს] ზაზას.

ბაკის გაწევას რომ უჩივის ზაზას, იმისი ასე უნდა იქმნას: სამი ნერგი რომ ჩაუსვამს, ის მესამე ნერგი ამყოლთან რომ დგას, იქიდამ მოკიდებით კოშკის კუნჭულამდის უნდა გაავლოს მარგილი; იმას იქით ზაზასი იქნება და აქეთ სალთხუცის სესიასი და ქარუმისა.

თუ კიდევ დღეის იქით ან ზაზამ ამ თავის ძმასა და ძმის წულებს უშფოთა; და ან ძმამ და ძმისწულმა იმ ზაზას უშფოთეს, ასე იცოდნენ, მძიმეთ მოეკითხებათ მოსამართლისაგან. მშვიდობიანად უნდა იყვნენ ერთმანერთთან. მაისის ვ, ქორონიკონს **უჟ**.

რომელიც უწინ მიზეზს მისცემს შფოთისას, ბრალი იმას დაედებ[ა] და იმას გარდახდე[ბა].

ბეჭედი: ამილახვარი გიორგი.

172. განჩინება ნოდარ მიწოგლიძის ნაშვილების მარკოზას საქმეზე

1802 წ. 22 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3666. დედანი. ქაღალდი ორ ფურცლად. 33,7×22. მარჯვენა ქვემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მისმა უწმიდესობამ საქართველოს პატრიარქმა, მეფის ძემ, კათალიკოზმა ანტონიმ მოგვიწოდა თავისთან ჩვენ, ჩოლაყაშვილი სალთხუცესი ქაიხოსრო, ბარათაშვილი მდივანბეგი ზაალ და ხერხეულიძე მდივანბეგი ომან. და გვიბძანა: მიწობლიძე ნოდარ და მარკოზა ჩიეიანო და ესენი ალაპარაკეთო. მოვაყვანინეთ ორნივე და თვით მის უწმიდესობასთან ვალაპარაკეთ.

მარკოზა ჩიოდა: ეს თოთხმეტი წელიწადი არისო, რომ იმ ნოდარ მიწობლიძემ მიშვილაო, წიგნით და პირობით დამიმტკიცო.

ნოდარ მიწობლიძე მიუგებდა: მართალია, შვილათაც მინდოდი, ამის უწმიდესობას კათალიკოზსაც მოვახსენე; წიგნის დაწერაც უთხარ, რომ სიონის დეკანოზს უნდა დაეწერაო და როგორც რიგი არის, შენც მამაშვილობის წიგნი უნდა დაგეწერა და მოგეცაო. შენ რომ წიგნი არ დამიწერე მამაშვილობისა და არ მომეცო, მეც იმ წიგნზე აღარც ჩემი ჭელი მომიწერია და არც ბეჭედი დამისვამსო. გნახე, რომ ჩემი არაფერი გამოსაყენებელი არ იყო და რომელიც შენი ვალი იყო წიგნისა და პირობის მოცემა, თუ ჩემი გამოსაყანებელი ჰყოფილიყავ, იმას აღასრულებდიო. არც წიგნი მომეც და რომელიც ეკლესიური რიგი არის საყდარში შვილობილობის ლოცვების წაკითხვა, არცერთი არ მოინდომე და არც აღასრულეო. და ამაების მიზეზით წიგნზე აღარც მე მოგიწერე ჭელი და არც დაგიბეჭდეო.

მარკოზამ ერთი წიგნი წარმოაყენა, რომელიც იოანე სიონის დეკანოზს მოეწერა მისის უწმიდესობის კათალიკოზის ანტონისათვის, რომ: ნოდარ მიწობლიძემ მე მომგზავნა თქვენთან მოციქულათა, დიდად შემომევედრა, რომ ეს მარკოზა ვიშვილეო და თქვენც ინებეთო. ნოდარმა რომ წიგნი დამაწერინა ის წიგნი დაჰკარგვიაო და იმისი პირი დავსწერე და მოგართვიო, ეგება ლექსი იყოს შეცვლილიო, აზრი კი არ არის შეცვლ[ლ]იო.

ნოდარ ამბობდა: ეგები ყველა მართალი არისო, მაგრამ რადგანაც მ[ამაშვი]ლობის წიგნი შენ არ მომეცო, აღარც მე მოგიწერე ჭელი და აღარც დაგიბე[ჭდეო]. თითონ მაგასვე ჰკითხეთ, თუ მაგას ჩემთვის შვილობილობის წერილი მოეცეს, სულ მტყუანი ვიქსებიო.

მარკოზას ვკითხეთ და თავისის პირით აღიარა მარკოზამა, რომ შვილობილობის წერილი მე არ მიმიციაო. დეკანოზის წიგნში ეწერა: ნოდარმა რომ წიგნი დამაწერინა, ის წიგნი თქვენც დაუმტკიცეთო.

ამისასაც ასე ამბობდა ნოდარ: ეგების ამისმა უწმიდესობამაც

დაუმტკიცაო, მაგრამ მასუკან ეს წიგნი მე აღარც მინახავს და აღარც ჩემთან მოუტანიაო, არც ხელი მომიწერია და არც დამიბეჭდავსო და არც დეკანოზს დაუწერია, რომ იმ წიგნზე ნოდარის ჯელი ეწერაო და ან ბეჭედი იჯდაო, ეს ასე გაურჩევლად იყო.

სამართლის წიგნი გავშინჯეთ. და მეფის ვახტანგის გაკეთებული სამართლის წიგნი რომ არის, იმაში სწერია **100** რიცხვში სომხურში: «ვინც ვისი შვილი ანდერძით და წიგნით იშვილოს, მამობის წიგნი მისცეს და ყმაწვილმან შვილობისა, დაპატრონოს საპატრონოსა, — დაპატრონდეს. და თუ ვინ იცის, რომ მოხდეს და მასუკან მისის საპატრონოდამ განყენება მოინდომოს, ასრე გავიდეს წინაშე მოსამართლესთან, როგორც მართალი შვილი მოსამართლესთან სამართლითა»*.

და აქ ნოდარ ამბობს: უთხარ დაწერაო, დავაწერინეო, კათალიკოზსაც შეეხვეწეო და მაგან რომ წიგნი არ მომცაო, აღარც მე დაუბეჭდეო. და თვით მარკოზა ემოწმება: მართალია, მე შვილობილობის წერილი არ მომიციაო. და ეს დიდი ბრალი არის მარკოზასი.

კიდევ სწერია **159** რიცხვში აღბუღასი: «თუ უწიგნოდ შესულიყვნენ, შეტანილი და ჭირნახული გაჰყვესთ და შესმულ-შეუმული არა იხსენოს»**.

კიდევ სწერია **102** რიცხვში სომხურს სამართალში: «ვინ გინდა ვინ აიყვანოს შვილად ვისიც შვილი კემწიფის მოსამართლის ბძანებითა და წიგნითა, და მასუკან გაგდება მოინდომოს, არ მისცემს ბძანებასა რიგი მის უწილოდ გაყვანისა; და ამგვარის საქმეების ჰქმნა არავის ძალუც უხემწიფოდ და უსამართლოდ»***.

კიდევ სწერია **126** რიცხვში სომხურში: «თუ უნდოდეს ვისმე ვისიც შეყრა ძმაფიცად წიგნით, და შეიყაროს და შეიქნას ამათში ერთობა, რაც რამ ჰქონდესთ და ან მოიგონ, საერთო იყოს, იქნეს თუ არა? მიგება სიტყვისა: შეკრას რიგმან — ამისთანა საქმე დაუმტკიცებელი საქმე არის, ისინი რომ სჯერ იყვნენ, ერთმანეთის ძმობაც ვერ იქმონენ ცოლნი და შვილნი მათნი ერთობასა მათ უკან»****.

ეს სამართლების გვარი და რიგი არ ამტკიცებს ამათს მამაშვილობასა, რადგანც უკანონოდ მოქცეულან. და უნამეტნავესად ესე, რომ ნოდარ მიწობლიძე აზნაურშვილი არის და მარკოზა გლეხი. არ არის ნოდარ შემძლებელი უმეფოდ რომ მარკოზა აზნაურშვილობის პატივში აღიყვანოს; ამისთვის, რომ გათავდება და გააზნაურშვილება თვით მეფეზე არის მოკიდებული.

და რადგან ეს საქმე უმეფოდ მომხდარა, ვერ მიიღებს სიმტკიცესა; თუნდა ნოდარის ხელმოწერილიც იყოს, მაინც დაიხსნება.

და მარკოზას ნოდარის შვილობაში და იმის ყმასა და მამულში საქმე არა აქვს რა. და ნოდარმა მარკოზას თავის ნაჭირნახულევისა და გარჯილობის სამაგიეროდ უნდა მისცეს ოცდაათი თუმანი.

ჩვენ ასე განვსაჯეთ ვახტანგ მეფის სამართლის ძალით. და ნება მათის უწმიდესობისა არის. და თუ რომელიმე მჭარი არ დაჯერებს და სადაც უნდა ილაპარაკონ. დეკემბრის **კბ**, ქორონიკონს **უჟ**.

თავადი ქაიხოსრო ჩოლაყაევი

თავადი ბარათოვი ზააღ ხელრთვა: ზააღ.

თავადი მდივანბეგი ომან ხერხეულიძე ხელრთვა: ომან.

173. განჩინების წერილი ანტონ II-ისა გოდერძიე ჟურხულისადმი

1803 წ. 6 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 670. დედანი. ქაღალდი. 53,7×20,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, ქართლისა და კახეთისა და ყოველისა საქართუელოჲსა კათალიკოს-პატრიარხმან, ძემან სანატრელისა მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონიმ გიბოძეთ ესე განჩინების წერილი შენ, გარეჯელს ქურხულს იასაულს გოდერძის ასე, რომე:

მათის უმაღლესობის სანატრელის მეფის ირაკლის ბრძანებით ჩოლაყაშვილს სალთხუცესს გიორგის, მდივანბეგს ბეჟანს, ნაზირს სვიმონს და ლაშქარნივისს იოანეს თქვენი სამართალი განჩინათ და განესაჯათ*. მარეხაშვილი რომ საგარეჯოს მამულს გედაეებოდა, ორის მოწმით ფიცი დაედოთ, მარეხაშვილს ვერ ეფიცნა.

* სამართალი სომხური, მუხ. 100 (ქართული სამართლის ძეგლები 1, 1963, გვ. 254).

** სამართალი აღბუღასი, მუხ. 158 (ძეგლები 1, 1963, გვ. 469).

*** სამართალი სომხური, მუხ. 102 (ძეგლები 1, 1963, გვ. 254).

**** სამართალი სომხური, მუხ. 126 (ძეგლები 1, 1963, გვ. 259).

* შდრ. 1792 წ. 12 თებერვლის განაჩენი (ქართ. სამართ. ძეგ. V, № 8).

ეს განაჩენი სანატრელის მეფის ირაკლისაგანაც დამტკიცებული გქონდა და ჩვენგანაც; რადგან ვერ დაეფიცნა, იასაულებს ქელი აემართათ და შენთვის მოეცა; ორის სამის იასაულის ქელმოწერილიც გქონდა განაჩენზედ.

მაგრამ შემდგომად სანატრელის მეფის ერეკლეს გარდაცვალებას უკან მარეხაშვილი კიდევ ჩიოდა და მამულს არ განებებდა. ჩვენ კიდევ ქელი ავამართვინეთ ჩვენს ბოქოულთხუცეს[ს], მამული შენ მოგაბარეთ. მარეხაშვილი სამართალში მრავალჯერ მოუწოდეთ, საბუთი ვერა შემოიტანა რა სამართალში, ვერც იფიცა და ის მამული შენ დაგრჩა და ჩვენც შენთვის დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია. რადგან მარეხაშვილმა ვერც იფიცა და ვერც მოწამე იშოვნა, დღეის იქით იმას ამ მამულზედ შენთან სადაოთ საქმე აღარა აქვს.

გურამისშვილო დავით და გედევანიშვილო დავით! ქელი აუმართე და ქურხულს გოდერძის მიაბარე. თებერვალს ვ, წელსა ჩყგ, ქორონიკონს უჟა.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი.

174. მედიატორეთა განჩინება ყორღანაშვილების თეთრის საქმეზე

1803 წ. 30 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2023. დედანი. ქაღალდი. 22×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჩვენ, ქვემო ხელმომწერელნი, თავიანთ ნებით დაგვისახეს თავიანთ სალაპარაკო საქმეზე ყორღანაშვილმა გიორგიმ, ფარსადანამ და ონანამ.

ამათ ჩვენთან ილაპარაკეს. ამათი წერილი ვნახეთ, რომ პირველათ სამთავ ხელი მოუწერიათ და გიორგი მეფეს ამათი ძმისწულის სახლი, ყმა და მამული რომ ბეითალმწათ დაუდვია, ის ამათ უშოვნიათ; ამაზე რაც დახარჯულა, თავიანთი ხელმოწერილი წიგნის ძალით, ოთხთ უნდა დაეხარჯათ, მაგრამ სულ გიორგის და ფარსადანას დაეხარჯა.

პირობა ეს ყოფილიყო: თუ ამათი ბიძაშვილი ქაიხოსრო ტყეეობიდამ მოსულიყო, დანახარჯი უნდა გამოერთმევინათ და თავისი სახლი და ყმა-მამული უნდა დაენებებინათ.

ღმრთის წყალობით ქაიხოსრო მოვიდა და თავის ყოვლიფერს ხელი მოჰკიდა. თუ რამ შენობა გიორგის და ფარსადანს ექმნა, ის გამოურთმევიათ და რაც ბატონზედ და კარზედ დახარჯვიათ, ფარსადანას ჯაფასა და გარჯას გარდა, არის თერთმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი.

ამ თეთრის მესამედს გიორგი და ფარსადან თავიანთ ძმისწულ ონანას სთხოვდნენ: სამი წელიწადია გვაკლია, სარგებლით უნდა მოგვცეო. ამაზე ბევრი ილაპარაკეს.

ჩვენ ასე მი[გ]ხვედით: პირველ ხელმოწერილში რადგან ოთხთ დაუპერიათ ეს საქმე, ონანას მეოთხედი შეხვდებოდა. მაგრამ რადგან მეფეს გიორგის ამათი ძმისწული მარამასთვის არ უბოძებია და წყალობის წიგნი ამ სამთ სახელზე ბოძებულა, ღმერთს ნუ ექნა, ქაიხოსრო ტყეეობიდამ რომ არ მოსულიყო, იმის სახლს, ყმა-მამულსა და ასალებს რადგან ეს სამნი გაიყოფდენ, ამიტომ მარამა აღარას მისცემს.

და მესამედი რომ სამი თუმანი იქნება, ეს ონანამ თავის ბიძებს — გიორგის და ფარსადანს უნდა მისცეს უსარგებლოთ. სარგებელ-გასამრჯელო იმიტომ ჩაუტარეთ, რომ რამდენსამე თვეს იმ სახლებში მდგარან. ამ მესამედის ნახევარი ცხრამეტი მინალთუნი ონანამ გიორგის მიაბაროს და ნახევარი ცხრამეტი მინალთუნი ფარსადანს. ჩვენ ასე მივხვედით. იანვრის ლ, ქორონიკონს უჟა.

ქ. მე, კვეზერელი დავითა, ამ ზემოთა ხ[ა]წერის მოწმე ვარ, დავით.

ქ. კეთილშობილი მუშრიბი იაგორიჩი დავით.

175. განჩინება ვანუჩარ და სისოა არღუთაშვილების ყმის საქმეზე

1803 წ. 13 მაისი

ცსსა. ფ. 1448. სან. № 5851. დედანი. ქაღალდი. 33×21,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. არღუთაშვილს მანუჩარს ღმრთისადმი განსვენებულის მეფის გიორგისათვის არზი მიერთმევინა და თავისის სახლისკაცის სისოა არღუთაშვილისათვის ერთს კომლს კაცს დემინაშვილზედ ეჩივლა.

და მისის მეფობის სიმაღლეს ჩვენ, სარდალ-სახლთხუცის იოანე ორბელიანისათვის, ოქმით ებრძანებინა ამათის სამართლის განსჯა. და ჩემთან დავისწარ არღუთაშვილი სოლომონ მინბაში და არღუთაშვილი თაყა და ესენი

ვალაპარაკეთ და კარგად გამოვიძიეთ და წერილობით და საბუთებით ის კაცი დემინაშვილი ამ მანუჩარის ყმათ აღმოჩნდა.

მაგრამ იმჟამად სხუასა და სხუას საქმეებში გართული ვიყავით და მოუცლელობის გამო განჩინება ვერ მივეცით და დარჩა ისრე.

და ამის მსვლელობა უფალი ღენერალ-მაიორი გარდაცვალებული ივან პეტროვიჩი ლაზარიო რომ ფანბაკში ჯარით წავიდა და იქიდამ მოქცევაზედ სანაჰინს მივედით, იქაც მოვიკითხეთ ამ კაცის ვითარება. და სარწმუნოს გვამთა მოწმობითაც ამის ყმადვე აღმოჩნდა, რომლისათვისაც სრულად არღუთაშვილებმაც უმოწმეს და ამის ყმად აღმოაჩინეს და არა სისოასად. და წერილებით, მოწმობით. და საბუთებით ამას დარჩა. მაისის **ოგ**, ქორონიკონს **უჟა**.

ბეჭედი: ვინ დავითს ტომობს სქესობით, სპასპეტმყო სალთხუცესობით იოანე.

176. განჩინება დავით ალექსიძისა და უთრუთის შვილების მამულის საქმეზე

1804 წ. 9 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9964. დედანი. ქაღალდი. 31×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

ჭ. ჩვენ — ალექსიძე დავით მღდელმა და უთრუთის შვილებმა უთრუთ და იოსებ, თქვენ — ბატონ ციციშვილს მდივანბეგ ნიკოლოზთან და აზნაურშვილს დომენტი და ალექსი მღდელთან და ორს ერისკაცთან — ჭყოიძე სესიასთან და ღონღაძე ბერუასთან, — ესენი ჩვენის ნებით მოვიწვიეთ და თან გაახელით; და ორისავ მხრით ხელითწერილი გამოგვართვით, რასაც ღმერთი გაგონებდათ, მღვთის წინაშე სამართალი უნდა გექნათ.

ერთმანეთში დიდის ხნის დავა იყო პირველ მამის ჩვენის ნიკოლაოზისაგან; და შემდგომად ჩვენ, შვილებმა, ვიდავეთ. ის ჩვენი მამული ჩინჩალაძე ქაიხოსროს ეჭირა გირაოთ.

და როდესაც ჭარელს ჯარი შემოადგა, ჩინჩალაძე ამოსწყვიტეს და აღარ დარჩენოდა რა დამმარხველი; ის ჩემი* მიწა დემეტრე პაპუნაშვილს სამკვიდროთ თქვენ — დავით მღვდლისათვის მოეცა და რომელიც რიგი და მართებული აზნაურ-

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი სიტყვისათვის.

შვილობისა იყო, ისე დაგემარხა. ჩვენ, უთრუთის შვილები, გედავებოდით და ჩვენ* მამულს არ განებებდით.

წასულიყავ და ნეტარად ხსენებულ მეფე გიორგისთან გეჩივლა და ოქმი აგეღო, რომ საწირავში აღებული მიწა არ წაერთმევაო. მაგრამ ჩვენ კიდევ არ მოგეშვით და მათთან სასამართლოში შემოვედით. და რომელიც ღმერთმა აგონათ, მღვთის წინაშე სამართალი მოგეცა, რომ დავით მღვდელმა თავის პირით აღიარე ჩვენი სიმართლე, ორი თუმანი ჩვენგან სამარხში მოგეცა დავით მღვდელს და ჩვენი* მამული ჩვენ დაგვრჩა.

მე. დავით მღვდელს, ჩემი საწირავი მამბარდა და შენი მამული ღმერთმან შენ მოგახმაროს. მე, დავითს ალექსიძეს მღვდელს, ყაბული მაქვს, ღმერთმა მოგახმაროს. დაიწერა მაისის თ ამდენს, ქორონიკონს **უჟბ**.

ბეჭედი: მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლაოზ**.

ჭ. წინამძღვრის შვილი მღვდელი დომენტი ამ ბატონის დიანბეგის თანადამწრე ვარ.

ჭ. ფრანგიშვილი მღვდელი ალექსი ამ ბატონის დიანბეგის თანდამსწრე ვარ.

177. განჩინება სოლომონ II-ისა ჟუთათელ დოსითეოსისა და მიქელაძეების მამულის საქმეზე

1804 წ. 11 ოქტომბერი

ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 145—146.

ჭ. ყოვლად უსამღვდელოესმან ჭუთათელ მიტროპოლიტმან, განმგებელმან საკათოლიკოზოთა მამულთამან დოსითეოს სამართალში მოიტანა დავთარი ბიჭვინტის ღმრთისმშობლისა შეწირულნი მეფეთაგან, რომელშიაც აცხადებდა შეწირულობასა ორწყალშუა ტყითა და მამულითაო. და დავთრითა მით ედავებოდა ორწყალშუა მამულსა და ალაგს მიქელაძეებს.

მიქელაძეებმა აშორო უთხრეს, ასე რომ: რომელიც თქვენ დავთარში ორწყალშუა შეწირულობა გიწერიათო, არც ის ორწყალშუა მამული ეს იყოსა, არც შეწირული იყოს ღმრთისმშობლისა და არც სამართლით თქვენ საქმე გქონდესთო.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი სიტყვისათვის.
** ბეჭედი დასმულია ორჯერ.

ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ: მივიდნენ ამ ზემოხსენებულის მამულის სამანზე მიქელაძე დავით, შაქარაშვილი, ზურაბაშვილი დავით და მიქელაძე მერაბ და ასე უფიცონ: «რომელიც შეწირულობის დავთარში ორწყალშუა ტყე და მამული გიწერიათ, ბატონო ქუთათელო, ეს ადგილი არც ის ორწყალშუა ადგილი იყოს და არც არა საქმე გქონდეს».

თუ ესე დაიფიცეს, დარჩებათ მიქელაძეებს. და თუ ვერ დაიფიცეს, დარჩება ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის ეკლესიას, როგორც დავთარში უწერია. ოკტომბერს **ია**, ქორონიკონს **უჟბ**.

თუმცა ასე მცირეს მამულზე ამისთანა თავადების ფიცი არ გაჩდებოდა, მაგრამ რადგან ეკლესია ედავებოდა შეწირულობის დავთრით, ამ მიზეზით განვაჩინეთ და ასე უფიცონ.

ბეჭედი: მეფე იმერთა სოლომონ.

178. განჩინება ანტონ II-ისა დავით გაბონიშვილის და მისი მეუღლის ელენეს გაყრის საქმეზე

1805 წ. 3 იანვარი

დედანი დაკარგულია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სპუთის პირი (Sd 2170), გადაწერილი XIX ს. პირველ მეოთხედში; აქლია თავი და ბოლო, რასაც რუსული გამოცემის მიხედვით აღვადგენთ (Акты,... т. II, 1868, გვ. 179, 180).

ИССЛЕДОВАНИЕ И ОПРЕДЕЛЕНИЕ, УЧИНЕННОЕ КАТОЛИКОСОМ ГРУЗИНСКИМ ПРИ ПРИСУТСТВИИ ЧЛЕНОВ ДИКАСТЕРИИ

(Грузинского подлинника не оказалось)

Получал я троекратно от царевича Давида Георгиевича жалобы, писанныя ко мне из России в одном и том же году, т. е. 1804 года: первую февраля от 20, вторую марта от 13, а третью того же месяца 20 числа, в коих, поставляя в вину показания свои противу своей супруги, испрашивал суда, дабы мы по правилам церковным и по законам исследовав, учинили развод ему, царевичу Давиду, с супругою его Еленою.

Но ответы на таковыя его жалобы оставлены были за исследованием.

В продолжении же того царевичем Давидом поднесено Е. И. В. всеподданнейшее прошение того же вышепомянутаго года июля 17-го дня, в коем просит всеподданнейше, дабы по многим достаточным причинам разведен был он, царевич Давид, с супругою своею.

Таковое прошение его по Высочайшему Е. И. В. повелению получено мною от обер-прокурора св. Синода кн. Голицына, при отношении его ко мне от 17-го сентября того же года, для исследования и решения на основании законов и правил церковных; да при том с оными получил я истекшаго 1804 года, декабря 27-го дня, и четвертую от царевича Давида жалобу, писанную того же года сентября 5-го, которая вместе с отношением ко мне от онаго обер-прокурора кн. Голицына получена была кн. Павлом Дмитриевичем Цициановым, а им отправлена была ко мне из Цхинвала, при своем сношении от 22-го декабря.

На другой же день, созвав дикастерии нашей членов, в присутствии их приступили к подробному дела сего разсматриванию и вопервых прочитано было поднесенное е. в. царевичем Давидом вышепомянутое прошение, а потом и полученную мною от него же жалобу, в коей написано:

«Святейший владыко! Четырехлетняя горесть жизни моея побудила меня представить в. с. жалобу мою, но не получа ответа и скорбя о том, дерзнул я донести Е. В. по причине той, дабы я освобожден был от толикаго несчастия, во мне вгнездившагося. Не подумайте, св. владыко, чтобы я к разрешению от супружества побуждаем был преступлением закона, или подражанием новым некоторым моим сверстникам; нет, поелику я истинный христианин — наблюдающий божественное повеление».

И потом начаты были им показании винностей супруги его, которыя ниже сего будут упомянуты.

Сию его, царевича Давида, письменную жалобу послали мы к супруге его с двумя верными духовными особами, дабы и она прислала письменный ответ на оную, которой и будучи от нея прислал по прошествии двух дней с оными же особами, прочитан был, также в присутствии членов дикастерии нашей, коего содержание было следующее:

«Св. пастыреначальник! Супруг мой вступил со мною в супружество не без разсматривания и разсуждения, ибо он за 6 лет до того просил родителей моих выдать меня за него, да и в публике о том говаривал. Отправляясь он в первый раз в Россию, в проезд свой через Душет говорил матери моей, тогда там находившейся, дабы, дожидаясь его 15 месяцев, не выдавали меня в замужество; в противном случае должна она ведать, что дом наш будет признан врагом или изменником ему. Да и до сочетания браком со мною видел он меня два раза при матери и при братьях моих. Если он клевещет меня в ворожбе по причине сопребывания моего с ним, то тогда, когда ни я его, ни он меня

не знал, чем я его могла привлечь в супружество и ко обвенчанию со мною».

И в сем прошении описала она противу винностей, царевичем Давидом на нее клевещемых, опровержения, кои следуют ниже сего.

Потом прочитаны были винности, клевещемыя царевичем Давидом на супругу свою и от нея противу оных опровержения.

[1r] საჩივარი მეფის ძის დავითისა

პასუხი მეფის ძლის ელენესი

1. განუსჯელობითა ჩემითა შევჰსცთი განგოზილებისაგან კედლისა, და შინაგან დამხვდა ძუალები შიშველ და დამპალი.

მეუღლეობა ცოლისა და ქმრის პატიოსნებისათვის იქმნება და არა თუ ფულისა და სარგებლობისათვის, თუმცა მრავალნი არიან, რომ ფულისა და სიმდიდრისათვის იქორწინებენ; მაგრამ ჩემს სახლს ვინ მისცა იმდენი სიმდიდრე, რომ მეფის შვილი გაემდიდრებინა.

და თუ ჩემი სამშობლო სახლი გარედამ მდიდარი ეგონა და შინ კი არა დახუდა რა, მე ხომ არ შემიკვეთია იმისთვის ჩემი ქმრობა, არც კაცი გამიგზავნია და არც წიგნი მიმიწერია; თითონ თავით თვისით დაბადა და მოიგონა ჩემი ცოლად მიღება.

თითონვე არ უფრო კარგად ეცოდინებოდა შთამომავალობით თავისი ყმის სახლის შეძლება და სიმდიდრით განგოზილება, რომელიც მრავალჯერ სმენოდა და განსუენებულისა პაპისა თვისისა მეფისა ირაკლისა და მამისა თვისისა მეფისა გიორგისაგან.

და როდესაც ჩემს მშობელთ ჩემი თავი ცოლადა ჰსთხოვა, მაინც დედა ჩემი და ძმანი ჩემნი არ ენდუნენ, ამ სიტყვით რომ: «შენ შრავალს ოჯახსა სთხოვე ქალი და არ შეირთევო, და თუ ჩვენც მოვსტყუვდებოდეთ, დაგვეხსენო».

მაინც არ მოეშვა და ნიშანი გამოგზავნა. და მერმე დედა ჩემმა შეუთვალა: «თუ მამის შენის მეფის გიორგის ბრძანებას მოგვიტან, ჩვენ შვილს მოგცემთ; თუ არა და, ეს ნიშანი უკანვე წააღებინე და საიდუმლო იყოსო».

ამ სიტყვისათვის მეორეს დღეს მეფის გიორგისაგან ნების წერილი შემოეგზავნა. და ძლივ მაშინ დედა ჩემმა და ჩემმა ძმებმა ნება დართეს. ჯუარი დაიწერა ჩემზე და ჯუარდაწერილი ჩემს სამშობლოს სახლშივე ცხრა თთუესა ვჰყუანდი.

და ჩემის სამშობლოს სახლისთანას სახლისაგან მეტი როგორღა შეიძლება, ხუთასი თუმნის მზითევი მე გამომატანეს, რომლისაც მზითვის წერილი ერთი მე მაქუს და ერთი თითონ ბატონისშვილსა.

და მზითვის ანგარიშშივე ნაღდათ მისცეს ჩემს მეუღლესა ორი ათასი ოქრო, რომლისაც მიბარების ბარათები თითონ ბატონისშვილისაგან დაწერილი მე მაქუს. და მაშინ ოქრო იყო აქა ოთხ მილანთუნად და ორ აბაზად, რომ სულ შედგება რუაას ოთხმოც თუმნად.

ამ ოქროს ანგარიშში ორასი თუმანი იყო ტფილისის ვეცხლის ფული; და ეს ორასი თუმანიც არა თუ მიიღო თუმნობით, არამედ ოთხი მილანთუნი და ორი აბაზი გარდითუალა ერთს ოქროდ. და სრული ჩემი მზითევი შედგება ნაღდი და ვეჯი ათას სამას ოთხმოც თუმნად.

2. პირველსა დაახლოებასა, არა დაეცვა სიკეთე და პატიოსნება ქალობისა.

და ეგონებ, რომ საქართველოს სახლებიდამ ამ ახლოს საუკუნეოებში ამდენის მზითვით ქალი არ გათხოებულ იყოს. და თუ უფულობისათვის ცოლი ჰსჯულით გაიშვება, ჩემი თავიც გააშვებინეთ; თითონ ინება — ცოლად მიმიღო და ახლა უფულობისათვის რად მიშვებს?

ჩემის სიკეთისა და პატიოსნების დაცუვა ვინც მამის ჩემის სახლს იცნობს, იმათ ეკითხოსთ, თუ როგორის კრძალვით და მოწი-

წებით და დაცვით აღვზრდილვარ მამისა, დედისა, ბიძებისა და ნათესავებისაგან ჩემისა. და ამისს უდიდეს დამამტკიცებელს ნიშანს ვერ ვიტყვი ცხადად უპატიოებისათვის ჩემისა და მისისა.

და რადგან თვით **[v]** უშუერის სიტყვით სტყუის, მომეცეს ნება, რომ ერთის საიდუმლოს წერილით თითონ იმას მივჰსწერო და მხოლოდ თავისს სინდისს წინ მოვაგონო და ვაცნობო მაშინდელი ჩემთან ქცევა და ვითარება საქმისა; და ვგონებ ამაში მოწამედ ვერავინ წარმოსდგეს, თუ არ ჩუენივე სვინდისი.

და შემდგომად თუმცა იქმნენ მოწამედ სხვანიცა პირნი, რომელთაცა თვის ეყოლა შემეცნება მდგომარეობისა მის, მაგრამ უმჯობესი იყო, თუ მართალი კაცი არის, რომ მეც მყუანდა მოძღუარი და თითონაც ჰყუანდა მოძღუარი, და ერთ-ერთის მოძღუარისათვის გამოეცხადებინა საქმე იგი და ჟამზედ ემოწმებინა.

ჩემზედ ჯუარი დაიწერა **ჩჯ** წელსა, იანუარს თ, და ამ რიცხვიდამ სამს კვირას ჩემთან განუყრელად იყო. და როდესაც თავის წადილით, ჩემის აღრჩევით და მეფის გიორგის ბრძანებით ჩემი მართლმადიდებლობაზედ დადგინება დამტკიცდა, იმისს წინა დღეს წავიდა.

და ჩემს სარწმუნოებაზედ მოყუანის განგებისა და გარიგებისათვის თავისს ნაცულად განმგებლად თავადი სოლომონ თარხანოვი მომიჩინა.

და მეფის ბრძანებით ელევთერ წინამძღუარმა მცხო წმინდითა მირონითა მსგავსად კრებათა განწესებისა. იანუარს **კთ**, ღამესა კურიაკისასა; და **თ** იანურიდამ **კ** იანურამდინ ჩემთან განუყრელად იყო, რომელი-

3. მეორე დღეს ქოლაგირს წაველ, ხაქართველოდამ გასვლას ვაპირებდი, და მეფემ გაშვება აღმითქვა მაშინ, როდესაც სურამს დავიპურობდი. მაგრამ გარსევანის მოლოდებამ და მერმე მეფის სიკვდილმა დააბრკოლა.

ცა იციან სოლომონმა, ელევთერიმ და სხუათა მრავალთა.

და მეფე გიორგი როგორ აღუთქმიდა ჩემს გაშვებასა, რომელსაც დიდად ეუყუარდი როგორც სძლობისათვის, ეგრეთ მართლმადიდებლობაზედ მოყუანისათვის?

და როდესაც მეუღლემან ჩემმან ზაკვით დაიპყრა სურამი, მაშინ ვაიაობის დღეს მიბოძა მეფემან გასაღები პავლე პეტროვიჩისაგან ბოძებულისა გრამმატისა.

და თუ სურამის აღების შემდგომად ჩემი გაშვება აღუთქვა, როდესაც ბატონიშვილი ჩამოვიდა ქართლიდამ, რასათვის ნაცულად გაშვებისა მიბოძა მაისს **ლ** წერილი სოფლისა გურჯაანისა წელსავე **ჩუ**?

თუ ჩემი გაშვება ჰნებავდა მეფესა, და გარსევანის მოლოდებამ, და მეფის სიკვდილმა დააბრკოლა, როდესაც თითონ ცემკვიდრეობა და ძალი მიიღო, რატომ მაშინ არ გამიშვა, მაშინ არ უფრო ბევრს შემწეებს და თავისის ჰაზრის დამამტკიცებელთ იშოვიდა?

4. გამომიგზავნა ლობიო შემზადებული სიყვარულისა წამლითა, და შეზავება მისი წინათვე ვიცოდი, ძალებს ვაჭამე და ათის დღის შემდგომად დაიხოცნენ.

მე ხომ მზუარეული არ ვიყავ, რომ ლობიო მოშეხარშა, და სიყუარულის წამალი ამერია. ჩემი და იმისი მზუარეულნი ერთნი იყუნენ, თუ მზუარეულებს გავაზავებინე წამლითა, ისინი არ უფრო თვალით მხილველნი მოწამენი იქმნებოდნენ, რომ სამ-სამნი მზვარეულნი იყუნენ?

და თუ კი წინათვე იცოდა წამლით ლობიოს აღზელა, რატომ როდესაც ვაზავებდი ორისა ანუ სამისა მოწმით ზედ არ მომადგა და იმათთან არ მითხრა: «გახსოვდეს მაგისი გაკეთებაო». აღზელა და მირთმევა რად დამაცალა, რომელი კაცი დააცდის სხუასა, აცა, მომკლასო?

და როდესაც აჭამა ძაღლებსა, რასათვის იმ

ძაღლების მოწამედ პატრონები ანუ სხუანი იქ არ დაისწრო და არ უთხრა: «ეს ლობიო ცოწამლული არის და უყურეთ ამ ძაღლებს რას უზამსო». თუ მართლა ქმნილი და სარწმუნო არის მარტომ რად აჭამა? თუ მე ბოროტის მოქმედი ვიყავ, არც ხომ შესარცხვენელად დამზოგევდა; რატომ უფრო ცხადად და საქეყნოდ არ აჭამა? და თუ აჭამა და მოწამლული [2r] იყო, ათის დღის უკან რად დაიხოცნენ?

და თუ მოწამლვა, მოჯადოება და სიყუარულის წამლის მიცემა მინდოდა, ცხრა თვე ჩემს სამშობლოს სახლში ვჰყუანდი; და სადილით და ეახშმით, თუმცა არა ყოველთვის, მაგრამ უფრო ხშირად ჩემთან ჰსცხოვრებდა; სამზუარეულო, მზუარეული, ბურჭელი და ყოველი სასმელი და საჭმელი ჩემის სახლისა იხარჯებოდა. რატომ ან არ მოვსწამლე და ან არ მოესჯადოე? ყავა, ჩაი, შაქარი და სხუა მრავალგუარი ტკბილი სასმელები სულ ჩემის მშობლისა იხარჯებოდა. და ყოველთვის მჭონდა დრო, და რატომ მაშინ არ მიჩივის მოწამლუასა?

და ან როდესაც შეზავებული ლობიო მივართვი, რად დაკრძალა, თუ წინათვე იცოდა, ჩემთვისვე, მოეტანა ორს სარწმუნოს გუამთან და ებრძანებინა: «ეს ლობიო შენვე უნდა ჰსჭამოო»; და როდესაც არ ვჰსჭამდი, მაშინ არ უფრო ცხადად დამტკიცდებოდა ლობიოს აღზელა?

5. უგოლოვნისა პალატსა შინა მწადდა განცხადება, მაგრამ კნორინდიხ წიგნმა დამაბრკოლა და ამისთვის მატანს განვაძე.

თუ კნორინღის წიგნი მოუვიდა, მაშ ჰსჩანს, რომ კნორინღი მეორედ ჯერ აქ გარდმოსრული არ ყოფილა და უგულოვნის პალატა სად იქნებოდა განწესებული?

მე რომ მატანს გამგზავნა დეკემბრის პირველი იყო, და კნორინღ აღდგომის მახლობელს დღეებში გარდმოვიდა; და უგულოვნის პალატა მაისში განაწესეს. აქა ჰსჩანს

ცხადი ტყუილი, რომ კნორინღის გარდმოსვლამდინ ოთხის თვით უწინეე ვჰყუანდი მატანს გაგზავნილი, აქ უგოლოვნა არ იყო განწესებული.

ეს რომ ეთქუა მდივანბეგებთან ან მმართებლებთან მწადდა განცხადებაო, ეგების რომელსამე გონებას მართალი ჰგონებოდა, მაგრამ ღმერთს და განგებას სიტყუა შეუცვლია. მე მაშინ მატანს გამგზავნა ამისთვის, რომე დედა შენმა მზითევი ცოტა მოგცა და ან რატომ მე ფულს არ მაძლევსო.

და ჩემის მწუხარებისა და უცხოებაში ყოუნისათვის ჩემს უნახავად დედა ჩემი რუსეთს წასულიყო, რადგან ფულისათვის ჰსტანჯავს ჩემს შვილსა, წავალ და რუსეთიდამ ფულს მოვუტანო. და მაშინდელი მისაცემელი ფული შარშან ბატონიშვილმა, ახლად პეტერბურღს მისულმა, გამოართვა და მორჩა.

6. ჰქმნა მან სისხლი ჯამთა შინა, რომელიცა უწინარეს ევგრაფინას და არა მახსოვს ანუ სხუასა ვისმე ეხილვა, და მერმე მეცა ვიხილე იატკანსა შინა მისსა.

ჯამით სისხლი თუ მქონდა და მერმე თავისის თუალით თუ ნახა ჩემს ზანდუკში, რატომ ისიც იატკნიდამ არ ამოაღებინა, და როგორც ლობიოსათვის სწერს, სისხლიც რატომ არ დაკრძალა?

თუ ჩემის უბედურებისა და სიკუდილისათვის ერთი ნიშანი არ ეყოფოდა და სხუასაც ეძებდა, რადგან სხუა მეორე ნიშანიც ნახა, ორი ნიშანი და მიზეზი არ უფრო უძლიერესი იქნებოდა? და რადგან ნახა, თავისს შესაწუხებელს ნივთს როგორ მოითმენს კაცი რომ ნახოს სადმე, შეეძლოს იმისი წამოღება, იქავ დააგდოს და თან არ წამოიღოს, ან ამისთვის რომ ჩემი მტერი ჩემს ვნებას ვეღარ შეიძლებსო, ან ამისთვის სამოწმებელად ვიხმარო ვისთანმეო?

თუ ჩემს მეუღლეს ეუყვარდი, უნდა მაინც წაეღო, რომ თითონ განსაცდელისაგან მორჩომილიყო და მეცა ავის ადამიანობისაგან

დაეფარე, რომ ეს იმისი საკადრისი იქმნებოდა.

და თუ ჩემს მეუღლეს ვჰსძულდი და ან თუ ჩემი გაშვება უნდოდა, უფრო მაინც უნდა წაელო და ვი[v]საც ჰსჯულით ჩვენი განყრა შეეძლო, იმისთვის საჩვენებელად და სამოწმებელად უნდა ჰქონებოდა.

და თუ არც ესები ინება და არც მაშინ განაცხადა, ცხადადა ჰსჩანს, რომ მოგონებული და ტყუილია. და ტყუილის დამამტკიცებელს ნიშნად კმარა, რომ ევგრაფინას მოწმობს: და ამასთანვე ჰსწერს ოსტატურის მნიშუნელობით, რომ სხუათაც თუ ნახეს, ნამდვილ არა მახსოვსო.

7. მარქარას, მსახურსა ჩემსა, ენახა კაცი მოარული, საჭურველიანი.

ესე მარქარა შარშან ჭირისაგან მოკუდა, და ამა მომკუდარსა დარჩა მცირე რამ სათქმელი ბეითალმანი.

და ჩემთან მყოფთა მსახურთა მეუღლისა მის ჩემისთა მისწერეს: «მარქარა მოკუდა, და იმისის ბეითალმანისათვის რას ინებებო?». იმან იცის აქედან მიწერილებით მარქარას სიკუდილი, და მომკუდარსა კაცსა მოწმობს, რომ ვითამც ეეღარავინ ჰკითხაეს და იმისგან დაწამებული სიტყვა ჭეშმარიტებაში მოეიდეს.

მაგრამ თუ ნახა თავისს საწინააღმდეგოდ საჭურვლიანი კაცი ვინმე და შეიტყო ჩემგან შეჩენილობა მისი, ერთს კაცს მრავალერიანი მეფის შეილი ხომ ადვილად მოერეოდა. რატომ არ დააჭერინა, მრავალი არა ჰსცემა და ჭეშმარიტება საქმისა სწორედ არ ათქმევინა?

და თუ მე იმას მოვკლევდი, ჩემთვის იმაზედ უკეთესს სხვას ვიღას შევირთევდი? და თუ სიყვარულისა წამალსა მწამობს, სიკუდილს რაღად მადებს? და თუ სიკუდილსა მწამობს, სიყუარულის წამალსა რაღად მიგონებს?

8. უკანასკნელ შეემზადა ჯადუ წერილითა და მოეპარათ ყუთით მისით. და მერმე, ჩემს სკივრში დაბეჭდილი, რუსეთს რომ წაველ ჩემის ბარგის აკლებასთან გაუტებია ბეჭედი ჩემი, ცემით და გუემით წაურთმევია ევგრაფინასა და იახსუმახთვის.

როდესაც ჩემი მეუღლე რუსეთს წავიდა, ათი დღე გამოვიდა, რომ იმისს ბარგსა და ნივთებს არ მიეკარებივარ. ამისთვის ბატონიშვილს ანანურიდამაც შემოეთუალა: «ვითამც რა გლოვა არის, რომ ჩემს ბარგს არ მიჰკარებიხარ, ეგების სულ დამპარესო». და მე მაინც არ მივეახლევე.

და როდესაც გიორგი ორბელიანმა, ანდრია ნაზირმა, ბეცია თურქისტანიშვილმა, იოსებ მუშრიბმა, მელიქოვმა და სხუათა ყოველი უკანასკნელი ნივთი თვითოეულად ასწერეს, სია მოხელეებს წაეღოთ.

მაშინ მოვიდნენ, მითხრეს: «შენის ქმრის ნება ასე არის, ბარგი შენ უნდა მოგბარდეს». და მერმე, ათის დღის შემდგომად, აველ და ბარგი მივიბარე.

თუ ეს ჯადუ წერილი მართალი არის და ყო, ეს მოხელენი ხომ ნახეედნენ და ასწერდნენ?

და ან თუ ევგრაფინა და იახსუმა მე მიგვემია, ხომ შეიტყობდნენ?

მაგრამ თუ სწორედ ჩემის ყუთიდამ მოიპარეს, როგორ იცოდნენ, რომ სწორედ ჩემს ყუთში იდვა, მივიდნენ და პატრონსავით ყუთიდამ ამოიღეს?

9. გთხოვ, გამოიძიოთ მოახლეებისა და რეკტორისაგან.

იმ ჩემს მეუღლეს ასამდინ თავადნი, აზნაურნი და მსახურნი ახლდნენ; და ამათგანნი უმრაელესნი ღამე და დღე განუყრელად იმასთან იყუნენ.

თუ იმ ჩემის მეუღლისაგან შეწუმასნილი სიტყუები და ჰაზრები მართალი არის, რად მოჰყაეს მოწმად დასაბამითგანნი ჩემი მტერნი და საცხადოდ წინაამდგომნი?

ესეც საკვირველი არის: თანწაყუანილი ქალუა რატომ არ უმოწმებია, როგორ მიიღება, რომ ჩემი ბოროტის მოქმედება ყოველთვის მხოლოდ მოახლეებმა ნახეს; და

ერთხელ სხვამ ვინმე, ან ქალმა და ან კაცმა, არავინ ნახა?

და რომელსაც ქამში მე ეს ჯადუ წერილი მომიგონეს, იმ ქამებში იმავ სასახლეში იდგნენ მრავალნი იმისი ამალათაგანნი; და რასათვის ერთსა იმათგანსა არავის მოწმობს?

10. [ᲛᲬ] თუ სამართალს არ მომცემ და ჩემს გულს არ შეასრულებ, მაშინ როგორც რუსეთის ღენერალი, ისე ვიჩივლებ.

თუ ჰსჯულმა არ გააშვებინა ჩემი თავი, მაშინ ხომ ძალითაც მიშვებს. და თუ ძალითაც გამიშვებს, ტყუილების შეწმასნა როგორის ძლიერის საქმეა?

იმან დამაშორა მამასა, დედასა და სახლსა; გამომართვა ფული და არც მართლმადიდებლობაში მინდობს და მკლავს უსახო სიკუდილითა. იმას ძალი, მე სიმართლე, იმას მოახლეები, მე ქრისტე და მშობელი მისი შემეწეოდეს.

11. ეს ჩემი თხოვა საიდუმლო იყოსო.

მრთელს რუსეთს გამოუცხადა, აქ ქართლში გადმოგზავნა და საიდუმლო იყოსო. ეს სხვა არა არის რა, თუ არ ესე, რომ ვითამც ვინცა ჩემნი შემწენი იყუნენ, გამოუცხადეთ და ვინც ჭმეშმარიტების შემწენი იყუნენ, ნუ გამოუცხადებთო. ამითიც ჰნიშნავს მხოლოდ მოახლეებთან გამოცხადებას და არა თუ მართალთა და სარწმუნოთა კაცთა თანა.

თქუენის უწმინდესობისა და უნეტარესობისა და უმოწყალესისა ჴელმწიფისა უკანასკნელი მხევალი და უმდაბლესი მოსამსახურე

მეფის სძალი ელენა

ჩყვ წელსა, გ იანუარს, ტფილისს.

Будучи прочитаны как вышепомянутыя царевича Давида показания вин, так и от супруги его представленныя опровержения оных, не могли мы быть уверены ни теми, ни другими.

И потому, паки продолжая исследование, спросили духовнаго отца супруги царевича Давида, но он с изумлением удивлялся таковым клеветам, не слышавши никогда ни об одном из вышепомянутых дел; потом приведены были и свидетели, царевичем Давидом письменно назначенные, и будучи 4 раза в разныя времена порознь допрашиваны, под

присягою, все единогласно сказали, что они ничего не знают, да и ни от кого ничего не слышали.

Сверх же сего в бытность здесь царевича Давида ничего мы сами не слыхали о сем деле, да и никакой жалобы и просьбы не доходило, также ни от кого из здешних обывателей.

Потом супруга царевича Давида, в удостоверение наше в своей невинности, прислала к нам и письма от царевича Давида писанныя к ней из С.-Петербурга, в коих пишет к ней следующее: «Царская невестка Елена! Весь мой экипаж и домашния вещи, какие только у меня тут остались, прими в свое ведомство, да и дом есть твой»...

Из сего мы усмотрели, что царевичем Давидом клевещанныя завороженное писание и лекарство привлекательное к любви, в унесени коих клевещет он супругу свою, если бы были справедливы и у него оныя были, то для чего он в письме своем позволил ей принять в ведомство дом и экипаж, с коим бы она взяла и лекарство привлекательное к любви и завороженное писание; но видно, что того не было и выдумано ложно; да при том, когда всему экипажу царевича Давида сделали подробную опись свидетели те, Давидом представленные, каковая опись оставалась у них, в оной не упомянуто ни о ворожбе, ни о лекарстве привлекающем к любви. И посему оказалось, что оныя не деланы.

Также видели письмо от царевича Давида, из С.-Петербурга к своим свидетелям, 1804 года августа 31-го писанное, в таком содержании: «Что он свое дело представил в Синод, но не прямым прошением» (что по слову Грузинскому значит «несправедливое»), да и другия письма, царевичем Давидом своеручно писанныя, — по силе коих и по таковым доказательствам совершенно мы удостоверились в невинности царской невестки Елены.

Наконец по исследованию и по решению на основании законов и правил церковных, уведав мы от многих духовных и светских особ все дело царевича Давида и супруги его, не могли найти никакой истинной вины к упразднению бракосочетания и к разрешению их от супружества, и для того не могли упразднить брак их и без вины коснуться повеления Господня, как-то: Их же Бог сочета, человек да не разлучает (Мат. 19, 6).

Тако нами исследовано и решено.

В г. Тифлисе, февраля 4-го дня, лета от Воплощения Слова Божия 1805 года.

Подлинный подписал:

каталикос патриарх Мцхетский и всея Грузии и пастырь Алавердский Антоний.

Члены дикастерии его святейшества:
смиренный митрополит Тифлисский, Манглисский и Болнисский и кавалер Арсений.
Крестовой церкви архимандрит Трифилий.
При е. святейшестве крестовой строитель Неофит.
Мцхетской великой церкви протоиерей Иоанн.
Е. святейшества дикастерии писец, священник Димитрий.

179. შუაკაცთა განჩინება გიორგი გასტამაშვილის ყმის გურგინეგეაანთ ალავერდას საქმეზე

1806 წ. თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 877. დედანი. ქაღალდი. 72×50 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე. ეს განჩინება ნიმუშია იმისა, თუ როგორ გაზეიადებულად და უხარისხოდ იწერებოდა განჩინებები რუსეთის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ. იხ. აგრეთვე №№ 195 და 196 საბუთები.

ჭ. მათის უმაღლესობის საქართველოს პატრიარხის მეფის ძის ანტონისათვის მოეხსენებინა ბასტამოვს გიორგის: ჩემი ყმა, გურგინეგეაანთ ალავერდა, ჩემი ყმა არის და თქვენს ყმობას და თავის თავის შემოწირვას მოგახსენებსთ, ან თქვენთან ინებეთ ჩვენი სამართალი და ან ჩვენის ნებით შუა კაცნი დავსხათ და რაც სამართალია, ის მოგვცენო.

მისს უწმინდესობას ოქმით ებძანა: შუაკაცნი დასხით, ვინც თქვენი ნება იყოს, ილაპარაკეთ და სამართალი მოიღვიეთო.

რადგან მათს უწმინდესობას ესრეთ ებრძანა, ორთავ მოდავეს თავეთის ნებით აღმოგვირჩიეს ჩვენ: მოურავი თავადი ევსტათი ციციანოვი, თავადი მდი[ვ]ანბეგი ომან ხერხეულიძე და იოანე თურქისტანოვი. ამათ ორთავ მოდავეთ ხელწერილი მოგვცეს: რასაც თქვენ სამართალსა იქთ, ორნივ ვჯერვართო, თუ თქვენს სამართალს გადვიდეთ, მტყუანნი ვიქნებითო. რადგან ასე წერილი მოგვცეს, ამის გამო დავსხედით და ვალაპარკეთ.

გიორგი ასე ჩიოდა: ეს ალავერდა პატარა დატყვევებულ იყო ლეკებში. ჩემს სიმამრს ივანგულაანთ ალავერდა დაეხსნა, შინ მოეყვანა, გაეზარდა, ცოლი შეერთო და სარძია მიეცა და სიკუდილამდის იმათ ყმათ იყო. გურგენა რომ მოკუდა, იმათის ანდერძით და სანატრელის მეფის ირაკლის ბძანებით გურგენას სახლი, კარი, თეთრი, უძრავი და მოძრავი საქონელი მე მომცეს და იმ გურგენას ქალი და ზედსიძეთ დამასახლეს და ყოველი ქონება ეს დავიჭირე.

მოცემის შემდგომად ესრეთი განსაცდელი და მძიმე საჩივარი მოგვიხდა სამეფოს კარზედ, რამდენიმე წელიწადი იმის მიზეზით ბატონს ამ კაცის საჩივარი ეელარ მოვახსენეთ, დარჩა ისევ სამეფოთ, ართმევდენ ხარჯსა, როგორც სხვათ მოქალაქეთ ყმათ, ისე ამას ართმევდენ.

ახლა ამის უწმინდესობას ჰყმობია თავისთავად, მაგრამ ყმობის შემდგომად ისევ სამეფოს ხარჯში იყო და ჩემის სიმამრის ყმობით იწერებოდა ამ ოცდაათი წლიდამ მოკიდებული ვიდრე ამ რიცხუამდინ.

და გიორგი მეფის მეფობაშიაც იმის შვილს ხარჯსა სთხოვდენ, მოვიდა, შემომეხვეწა, მეარზეს ეს არზი დაუწერინა: მე ივანგულაანთ გურგენას ყმა ვარო. გურგენას ვარისი და ჩემი აღა ბასტამაშვილი გოგია არის, როდესაც სხვათ მოქალაქეთ ყმებს გამოერთმევა, მეც მაშინ გამომერთოსო.

მეფე გიორგიმაც ეს ოქმი უბოძა: რადგან ეს გოგია ივანგულაანთ ვარისი არის და ბასტამაშვილის ყმა ყოფილა, ამაზედ ქელი აიღევითო; როდესაც მოქალაქეის ყმებს შესწერდება, ამასაც მაშინ შესწერდებაო; და ეს გოგიას ყმა არისო.

მეორე ეს, დროსა მეფის ირაკლის და მეფის გიორგისასა დავთარში სულ ივანგულაანთ და მოქალაქის ყმათ სწერია.

და პენტელაშვილს მოეწერა: აღამამადხანის მოსულის უწინ მოქალაქების ყმებთან დამიწერია ალავერდა, ხარჯსაც ისე ვართმევდი, მეფის გიორგის მეფობაში ქალაქი ავწერე, ყველა სახელდობრივ არის დაწერილი, მანდ მომირთმევია, ნახეთ, ვის სახელზე დამიწერიაო.

აგრევე ნორაშნის დეკანოზს ტერ-აკოფას დაუწერა: ივანგულაანთ მეუდელი ვიყავ, ასე ვიცი, ალავერდა ნასყიდი ყმა არის ლეკებისაგან დახსნილიო.

და ახლაც რომ იმ რიცხვში მწერალნი კარდაკარ კითხულობდენ ვის ყმობას და ვინაობას, თითონ ამ ალავერდას უთქომს: ივანგულაანთ ალავერდა ვარ და სამეფო დავთარში როგორც სხვათ მოქალაქეთ ყმანი დაწერილა — ისე ის.

თუ საკათალიკოზო იყო, რატომ ან მეფე[ე]ბის ქამში არ დაიწერა საკათალიკოზოს დავთარში და ან ახლა; რომელიც რომ ამ ზემორე ჩემგან მოხსენებისა თვითეული წერილები და საბუთები მოჰირთმევია, ვითხოვ, ესენი მოიხსენეთ და სამართალი მომეცითო.

ალავერდამ მიუგო: მე ნახჩოვნელი ვიყავ, პატარა ლეკებმა დამატყვევეს, ლეკებიდამ ერთმა იმ გურგენამ და ხუთმა სხვამ სამადლოდ დამიხსნეს. გურგენამ მითხრა: მოდი, ჩემთან იყავ, თეთრსაც მოგცემ და კიდეც დაგასახლებ, შენთვის თავისუფალი იყავო. მოველ გურგენასთან. მართალია, ცოლი შემრთო, დავსახლდი, ჩემთვის თავისუფალი ვიყავ.

როდესაც გურგენა და მისი ძმა ოსეფა მოკუდა და ჩემთვის თავისუფალი ვიყავ, მიველ, ამის უწმიდესობას მოვახსენე: თავისუფალი ვარ და მნებავს სვეტიცხოვლის შემოწირვა და მისი სამსახური.

ამისმა უწმინდესობამ მიბძანა: მანამდის ბატონს მამაჩემს — მეფეს ირაკლის არ მოახსენებ, შენის შემოწირვით არ იქნებაო. რადგან ეს მიბძანა, სანატრელს მეფეს ირაკლის არზით მოვახსენე ჩემი ვითარება, თავისუფლება და სვეტისცხოვლის შეწირვა.

რადგან ჩემი ვითარება-თავისუფლება ინება იმისმა უმაღლესობამ და ზედ ოქმი მომიწერა — შემოწირვიხარო, რადგან შენც მოგინდომებიაო. ეს ოქმი რომ მებოძა, მოვართვი ამის უწმინდესობას და ამისმა უწმინდესობამ ოქმი იგი რომ მიირთო, ნახა და ისევა მევე მიბოძა, შენ შეინახეო და მჭონდა შენახული. და ძალითა იმ ოქმისათა საკათალიკოზოს ყმებში ხარჯს ვაძლევდი კათალიკოზის მოხელეთ და არა სამეფოს ხარჯის მთხოვნელთაო.

პირველი ეს, რომ წიგნით არ ვიყავ ამ გურგენასაგან ნასყიდი, რომ ისევ წიგნით განვეთავისუფლებინე.

მეორედ ეს, რომ როდესაც ძმა გურგენასი ოსეფა თავის მოძრავს თუ უძრავს საქონელს სწერდა ანდერძათ, და შენ — გოგიას გაძლევდა თავის სახლის ვარისობას, სახლი და სხვა ნივთი რომ დაწერა და ერთი ბიჭი აბრამაც რომ დაწერა, თუ იმათ კიდევ ჭელი ჰქონდათ ჩემთან, რატომ მეც არ დამწერაო ანდერძში და შენ არ მოგცა; არც ჰქონდა ჭელი, არც დაგიწერა და არც აქამომდე შენ ჩემთვის გიდავნიაო.

როდესაც აღამახმადხანმა ქალაქი წაახდინა, მაშინ რაც მქონდა, სულ დავკარგე და სანატრელის მეფის ირაკლისაგან ბოძებული ოქმი შეწირულობისაც დავკარგე.

შემდგომად მიცვალებასა მეფისა ამის უწმინდესობას მოვახსენე ამ არზით ჩემი ვითარება და იმ ოქმის ქონა. და ახლა მოხელეთაგან შეუწუხებლობა ამის უწმინდესობას რომ ახსოვდა, გარჩევით მომიწერა და მიბოძა: ალავერდა ესე სანატრელის ბატონის მამის ჩვენის ბეჭდით და წერილით შეწირული იყოო სვეტიცხოვლისაო. ეს ოქმი რომ მივიღე ამის უწმინდესობისაგან, ვიყავ საკათალიკოზოს ყმებში აღრეული.

და დროსა მეფის გიორგის მეფობისასა მაგ ოქმის აღებას და არზის წერას რომ ამბობს, მე მაშინ ამ ქვეყანაში არ ვიყავ. ჩემის ამ პატარა შვილისათვის საზოგადო ხარჯი ეთხოვნათ სამეფოთ. ამას მისის უწმინდესობისათვის მოეხსენებინა და მისს უწმინდესობას ბარათი ებოძა: ეს საჩვენო ყმა არის, ამას დაეხსენითო. მაგრამ იასაულებს გირაო წაერთმევათ.

მერე თითონ ეს გოგია და შარუაშვილი გაბრიელ მისულიყვნენ, მოეტყუებინათ ეს პატარა და ეთქვათ: მოდი, მოარზესთან თქვი ამ გოგიას ყმობა და ხარჯში აღარ გაგრევენ; მეარზესთან მიეყვანათ და ისე დაეყენებინათ. გაბრიელს და გოგიას როგორც ეთქვათ მეარზისათვის, ისე არზი დაეწერა, ამათვე გამოერთმევინათ და ამის მაგიერად მიერთმევინად; და ოქმი ამავ გოგიას აეღო და ამგვარად ოსტატურად აღებული ოქმი აქვსო, თორემ ამას სხვა ოქმი არა აქვს რა ჩემთან სადაოსიო. მე მაჭვს ამის უწმინდესობისაგან ბოძებული ოქმი წინამძღვრის ანტონისაგან დამოწმებული მოწმობა, როგორც სანატრელმა მეფემ ირაკლიმ იმის შუამავლობით შემწირა და შეწირულობის ოქმი მჭონდაო და კიდევ ამის უწმინდესობის მოხელეთაგან ნახული ოქმი და მათი მოწმობაო.

სამეფოს ხარჯის გამორთმევას რომ მიჩივის, იქნება როდისმე საზოგადო ხარჯი ყოფილიყოს შეწერილი და ხარჯი იგი ჩემს აქ უყოფნელობაში ჩემს ხიზანს წართმეოდეს, თორემ მე ყოველთვის საკათალიკოზო ხარჯი მიძლევია კათალიკოზის მოხელე[ე]ბისათვისაო, რომელ მოხსენებისა ამის ჩემისა აზრებისაცა დასამტკიცებლად ოქმები, წერილები მომირთმევია, მოიხსენეთ და სამართალი მომეცითო.

შემდგომად ამისა ბასტამაშვილმა გოგიამ მოიტანა ერთი არზი და ოქმი, რომელ არზაში ესრეთ წერებულ არს: ალავერდის შვილისაგან როსტომის მოხსენებაო, მამაჩემი ჰარში ივანგულაანთ გურგენას დაეხსნა ლეკისაგან, აქ მოეყვანა, დაესახლებინა; მამაჩემი ახლა აქ არ გახლავსთ; ივანგულაანთ ვარისი ბასტამაშვილი გოგია არის. თუ მოქალაქის ყმებს შესწერდეს ოქრო, მეც სიტყვა არ მექნება; თუ არა, ვითხოვ წყალობას ოქმი მებოძოს — ხელი აიღონო. ქორონიკონს უპგ, მარტის კ.

და იყო მოწერილი ამავ არზაზედ: მელიქო დარჩიავ და

იასაულებო! მერე ბასტამაშვილი გოგია რადგან ივანგულასშვილის გურგენას ვარისი არის და რომელსაც ამ არზით ასე მოუხსენებია, გოგია ბასტამაშვილის ყმა ყოფილა, ამაზედ ხელი აიღევით, როდესაც მოქალაქის ყმას შესწერდება, ამასაც მაშინ გამოერთმევა, ეს გოგიას ყმა არის. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უპჟ**, მეფე გიორგი, ბეჭედი.

თავილდარი ნასყიდა და მეწვრიმანების უსტაბაში ასლან მოწმობენ წერილით: ჩვენ ქალაქის აწერაში ივანგულაანთ სახელზედ გამოვართმევდით ხარჯსა ალავერდას და ივანგულანთ სახელზედ დამიწერიაო.

აგრევე ერთი დავთარი მოიტანეს. მეფის გიორგის მეფობაში ქალაქი აუწერია პენტელაშვილს იოანეს და დავთარსა ამას შინა ქალაქს მოსახლენი აუწერიათ სამეფო — სამეფოთ, საკათალიკოზო — საკათალიკოზოთ. ყველას ყმა მუხლებში თავ-თავისი ბატონები უწერია. იმაში ეს ალავერდა სწერია ივანგულაანთ ალავერდა მოქალაქისა.

აგრევე ალავერდამ მოიტანა მისს უწმინდესთან მირთმეული არზი, რომელშიაც ასე მოხსენებულ არს: მე ივანგულაანთ გურგენასთან ვიყავ, გურგენა მოკვდა; რადგან უცხოს ქვეყნიდამ მოსული ვიყავ, ჩვენის ნებით სვეტიცხოველს შევეწირე და მოვმართე, ხარჯის მიცემაში მაწუხებენ, ჩემთან მოქალაქებს რა საქმე აქვსთ, ან მელიქის კაცს, ან პენტელაშვილს და ან მამასახლის[ს] თომასაო. თქვენგან ბოძებული წყალობის წიგნები მქონდა, დავკარგე და ახლაც მიბოძეთ ერთი ოქმი, რომ ჩემთან არავისა არა ჰქონდეს რა. თქვენს მეტი ბატონი და პატრონი არავინ არ მინდა, ბაყი ვოგერთმევით სანთელი და საკმელიო. დეკენბრის **იზ**, ქორონიკონს **უპზ**.

და ზედ მოწერილი ესრეთ მისის უწმინდესობისაგან: ბატონო მელიქო დარჩიავ, მამასახლისო თომავ და ქევხუდებო! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ეს ნახჩოვნელი ალავერდა კარგა ხანი არის სვეტიცხოველს ეყმო ნეტარად ხსენებულის მეფის ბძანებით; ეკლესი[ი]ს სანთელს, საკმელს და ბაყს ემსახურება; ამას ხარჯში ნუ გარევთ, დიაღ გლახა და შეუძლებელი არის, ყველამ ჭელი აიღევითო. დეკენბრის **კ**, ქორონიკონს **უპზ**, ჩართული ხელი მისის უწმინდესობისა.

კიდევ ერთი არზი მოიტანა ალავერდამ, რომელშიაც ესრეთ წერებულ იყო მათს უწმინდესობასთან მირთმეული როსტომისაგან: ჩვენ ნახჩოვნელი ვიყავით და მამაჩემი ივანგულაანთ იყო,

გურგენა რომ მიიცვალა, სვეტიცხოველს შევეწირენით, სანატრელმა მამათქვენმა ერთი წიგნი ჩვენ გვიბოძა და ერთი თქვენ. ახალი მელიქი დარჩია ხარჯზედ გვაწუხებს, ქვათახევის წინამძღვარმა ათანასემ კარგად იცოდა ჩვენი შეწირულობისა, იმას ჰკითხეთო. ქორონიკონს **უპჟ**, მარტის **ლა**.

ამ არზაზედ მისს უწმინდესობას წინამძღვარს ათანასესათვის წერილით უკითხავს: როგორც იცოდე, ისე მოაწერე ამავ არზაზედაო. წინამძღვარს ათანასის მოეწერა: ამ ალავერდას ეთხოვნა შეწირვა სვეტიცხოველისაო და ბატონს მეფეს ირაკლის რომ მოხსენდა ყველა ამის საქმე, მერე შესწირაო. და შემდგომად შეწირვისა მელიქმა ხარჯი სთხოვა ამ ალავერდას, ალავერდამ მის უწმინდესობას[1] კათალიკოზს მოახსენა: მელიქი ამ ბარათებით ხარჯსა მთხოვსო; კათალიკოსმა სანატრელს მეფეს ირაკლისთან გამოგზავნა და მოვახსენე და მივართვი ბარათებიცა. ბატონმა ასე მიბძანა: წადი და ეს ბარათები თავზე დაახივეო და დავახიეო.

აგრევე ივანგულაანთ ოსეფას ქვრივს ქალუას დაეწერა: ჩემის მაზლის და ქმრისაგან ასე გამიგონია, ალავერდა არც ჩვენი ყმა არის და არც ყმის შვილი. ლეკის ქვეყანაში ექვსმა სოვდაგარმა დაიხსნა, იმათგან ერთი ჩვენც ვიყავით, თათრის ხელიდამ ჩვენის სულის გულისათვის დავიხსენით და აზატობა მივეცით; და ამან ნებით თვისით ჩვენთან მოსვლა მოინდომა და ჩვენც საქმეზედ დავაყენეთ ჩვენის სულისათვისაო.

აგრევე მეფის გიორგის მეფობაში შემდგომად ალავერდამ ბარათები მოიტანა საკათალიკოზოს საყმოს მამასახლისის თომასი, რომელშიაც სწერია: ალავერდას ეს შეხვდა ამ სათხოვრიდამაო და ის უნდა მოგვცესო.

ორისავ მხრის სარჩელი და მოწმობა ზემორე მოიხსენა. და აწ ვიწყოთ სჯა ამისა.

ალავერდა არის სწორედ ივანგულაანთ დახსნილი და სიკუდილამდისაც ივანგულაანთ ყოფილა. შემდგომად მათის სიკუდილისა ზემორე მოხსენებულის მიზეზით ველარ მოუკითხავს; პირველად, რომ ანდერძის წიგნში არა სწერებია სახელდობრივ და მეორედ, რომ იმ ჟამად სამეფოს კარიდამ დამკრთალი ყოფილა.

და ამ ალავერდას თავის ალრჩევით მოუნდომებია შეწირვა სვეტიცხოვლისა, მოუხსენებია მისის უმაღლესობისათვის: ვარ თავისუფალიო და მინდა შეწირვა სვეტიცხოვლისაო; და სანატრელს

[1] უწმინდებას.

მეფესაც ამის თხოვნისამებრ ოქმი უბოძებია, რომ ოქმი იგი ამის უწმინდესობას პატრიარხს, მეფის ძეს, ანტონის მორთმევია: რომ ამისმა უწმინდესობამ თვითეულად გვიბძანა, რომ: ეს ალავერდა ჩვენთან მოიყვანეს, ეს თავის უფალი არისო და უნდა შემოწირვა სვეტიცხოვლისაო; ჩვენ ამაზედ ნება არ მივეცით და უბძანეთ, მოახსენოს ბატონს მამაჩვენს და თუ ინებებს შეწირვას, მაშინ შემოეწიროსო; საქმე თვისი არზით მოეხსენებინა და სანატრელს ბატონს მამაჩვენს ოქმი ებოძა შემოწირვისა; და ოქმი რომ ენახეთ, მაშინ ნება მივეცით შემოწირვისა და ის ოქმიც ალავერდას მივეცით და იქიდამ მოკიდებული აქამომდე ჩვენს ყმათ იყოო: და ოქმი იგი ლექსის ლექსამდის კი არ მახსოვსო.

ამის უწმინდესობისაგან ეს ბძანებული ესრეთ მივიღევით, როგორც დღეს მხილველთა, რომელ ასე ჰეშმარიტების ხსოვნით ბძანა. და დავეწერეთ ბრძანებულსა ამას ჰეშმარიტებითსა, რომ ყოფილა ოქმი სანატრელის მეფის ირაკლისა და ამაზედ ეჰვი აღარა გვაქვს რა.

მაგრამ მოდავენი ამბობენ იმ ოქმში ეწერებოდა, თუ სიტყვა აქვს შენს მოდავეს მოგვახსენოს; ეს უწერია ალავერდას და ამისთვის მალავს და აღარ აჩენსო. თუ ასე არ იყო, შემდგომად იმ ოქმისა მოქალაქების ყმებთან ხარჯს რათ აძლევდა, რატომ საკათალიკოზოდ არ იწერებოდა. აგრევე ამისმა შვილმა ჩემს ყმათ რათ დაწერინა არზაო:

ამ არზის მწერალს იოსებ ქანანოვს ვკითხეთ, ვინ დაგწერინა არზა. იოსებმა თქვა: ამ ალავერდას შვილი მოიყვანეს ჩემთან, თითონ ეს გოგია და შარუაშვილი გაბრიელ შემოჰყვნენ, მითხრეს — არზა დაუწერეო; ვკითხე, რადგან იმ ჟამად პატარა იყო ეს ალავერდას შვილი, ვისი ყმობით დაგწეროო; და მითხრა, თითონ ამ ბასტამაშვილის გოგისიაო; მხოლოდ ეს თქვა. და სხვა აზრები გოგიამ და გაბრიელმა მითხრეს, დაუწერე და მიეცი. შემდგომად დაწერისა იმავ დღეს ამ ალავერდას ცოლი მოვიდა და მითხრა, არზაში ვის ყმად დაწერეო. უთხარ გოგისიო. დიდათ იწყინა და წავიდაო.

მეფის გიორგისაგან ბოძებულს ოქმში რომ სწერია: რადგან ამ არზის პატრონს ასე მოუხსენებია, ეს გოგიას ყმა არის, ხელი აიღევით, ხარჯს ნუ სთხოვთ, როდესაც მოქალაქების ყმებს ეთხოვებათ, ამასაც მაშინ გამოერთმევაო. ამისი მეარზემ ზემორე მოხსენებულისაებრ თქვა, ალავერდას შვილმა დამაწერინა გოგიას და გაბრიელის იქ ყოფნითაო; და როდესაც ალავერდას ცოლს შეეტყო იწყინა და მოვიდაო; აღმოჩნდა, რომ არც დედის ნება ყოფილა და იმ ჟამად მამაც აქ არა ჰყოლია, ყმაწვილობით დაუწერინებიათ.

მაგრამ სამეფოს და ქალაქის მწერალნი იწერებიან: ეს ალავერდა მოქალაქის ყმებთან დაგვიწერია და სამეფო ხარჯი გვირთმევიაო და საკათალიკოზოს მოხელენი მოწმობენ და იწერებიან: საკათალიკოზოს ხარჯში იყო, ეს ჩვენი დავთარი და ბარათებიაო. გოგია ეწამებოდა: ამ დავთრებით ივანგულაანთ და მოქალაქის ყმათ დაწერილ ხარ და ხარჯიც სამეფოს ყმებში გიძლევიაო. ალავერდა მიუგებდა: რა შეეწირე სვეტიცხოველს, სულ საკათალიკოზოს ხარჯს ვაძლევდიო.

თუმცა ამაზედ ფიცი ალავერდას ერგებოდა, მაგრამ ჩვენთან მსწრაფლად სწამა, დავიფიცაო, რომ: შემდგომად შეწირვისა საკათალიკოზოს ხარჯს ვაძლევდიო და არა სამეფოსაო; და თუ სხვათ კათალიკოზის ყმებს ძალით წაართმევდენ, მეც იმის ანგარიშით წამართმევდენო.

რადგან თითონ ჩვენს უთქმელად ფიცავდა, ამის გამო ფიცი ალავერდას აღარ დავადევით და მისის უწმინდესობის ყმების მამასახლისს თომას დავადევით. წადგეს თომა შადინაშვილი მამასახლისი და ასე იფიცოს: «ამისმა მაღლმა, გოგიავ, ეს ალავერდა მეფის ირაკლის ოქმით რომ შემოეწირა, მას აქეთ სულ ჩვენს დავთარში ყოფილა, ხარჯი მე მირთმევია საკათალიკოზოთ; და თუ ძალით სამეფოსი მოქალაქების ყმებთან წაურთმევიათ, იმისი კი არა ვიცი რა, თორემ თავის ნებით ყოველთვის ჩვენს ხარჯში ყოფილა და ჩვენ გვირთმეეიაო».

ეს თუ ასე იფიცა, დარჩება სვეტიცხოველს სანატრელის მეფის ირაკლის ოქმის ძალით. და თუ ასე ვერ დაიფიცა, დარჩება ივანგულაანთ ყმათ და რადგან ივანგულაანთ ყმა და მამული ამ ბასტამაშვილის გოგიასი არის, ესეც გოგიას დარჩება.

თებერვლის... დღესა, ჩყე-სა წელსა, ქორონიკონს უძგ.

სტაცკი სვეტნიკი თავადი ევსტათი ციციანოვი.

როგორც საქართველოს ფიცის რიგია, ისე უნდა ეკლესიაში დაიფიცოს თომამ მამასახლისმა; ფიცში ესეც ჩაიტანოს — ის შეწირულობის ოქმი კიდეც დაჰკარგოდეს, თავისი ნებით არც დაეხიოს, არც დაეწოს და იმ შეწირულობის ოქმში არცარა იმ შეწირულობის წინააღმდეგი წერებულიყოს.

ქ. თავდი ომან ხერხეულიძე
იოანე თურქისტანოვი
მარცხენა კიდეზე

ქ. მის უწმინდესობის მილახვარ პაატამ ამ განაჩენის ძალით თომა მამასახლისი დასაფიცებლად მოღინინში მივიყვანე და ვერ დაიფიცა.

თავდი გედევანოვი პაატა.

ამათი იასაული ვიყავი და ორჯელ-სამჯერ მიველ თომასთან და არ დაიფიცა. და დარჩა ეს კაცი ბასტამაშვილს.

ხელთაა: პაატა.

180. მეფიაბორეთა განჩინება დიმიტრი ციციშვილისა და გიორგი დავითიშვილის ყმის საქმეზე

1805 წ. 17 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 616. დედანი. ქაღალდი. 29,7×22,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ერისთვის ძე საქართველოს მა[რ]შალი შანშე, ამილახვარი გიორგი და ერისთავი ქსნისა მიხაილ ნებისაებრ თვისისა აღგვირჩიეს დავითისშვილის ზაალის მიერ ნებადართვითა წარმოგზავნილმან უმცროსმან ძემან გიორგიმ და ციციშვილმან დიმიტრიმ, და მოგვცეს სრული ნება და პირობისა წერილთა შეიკრნენ, რომელნიცა ჩვენ მიერ განსჯილსა სამართალსა თანაჯმა ექმნებიან.

წარმოდგა ციციშვილი დიმიტრი და მოიტანა ხუციშვილისაგან მიცემული ბატონყმობის წერილი, რომ განთავისუფლების წერილის ძალით თავი ეყმო ხუციშვილს გიორგის ციციშვილის დიმიტრისათვის.

ამის პასუხად დავითიშვილი გიორგი მიუგებდა: შენ ხუციშვილს მოუტყუებიხარო, ჩემი სამკვიდრო ყმა არისო, თუმცა ედიშვრ დავითიშვილს იოკიმე შვილის მღვდლის მიქელისათვის მიუყიდნია ეს ხუციშვილი გიორგი, მაგრამ როდესაც განთავისუფლების წერილი მიუცია იოკიმე შვილს ხუციშვილისათვის, იმავ წამს ჩვენთან მოსულაო და გვყმობიაო, რომ ქვეყანამ იცისო, პაპაჩემები რომ გაყრილან, პაპაჩემს გიორგისა რგებიაო, რომ ეს მეფის თეიმურაზის ბეჭდით დაბეჭდილი ბარათი ხელთ მიჭირავსო.

ჩვენც ვნახეთ, რომ ჭეშმარიტი იყო ეს ბარათი და ნასყიდობის წიგნის შემდგომი ბარათი იყო. ეს ბარათი ხუციშვილის ქვრივს ელენეს წაუკითხეთ და იმანაც ასე იმოწმა: მართალია, როდესაც იოკიმე შვილმა თავისუფლობის წერილი და ნასყიდობის წიგნი მოგვცა, წამოვედით და დავითიშვილის მამულში დავდექით. ხან აბანოს ვიდექით და ხან გვერდის ძირზედ; და ყველგან დავითიშვილის სახელზედ გვართმევია სუ[რ]სათი, სამასპინძლო და მორიგეო.

ჩვენ ის წერილებიცა ვნახეთ, რომელიც იოკიმე შვილს მღვდელს მიქელს წერილები მოეცა ნასყიდობისა და განთავისუფლებისა, რომ სრულის ძალის მქონებლობა აკლდა, ამისთვის, რომ იოკიმე შვილი აძლევს დავითიშვილს ერთს წიგნსა: ისევ შენვე მოგცემ ამ შენს ყმას ხუციშვილსაო.

მეორე ესე, რომ ხუციშვილის ქვრივი ელენეც ამას ამბობს, მართალია, დავითიშვილის სახელზედ გვერთმეოდა საქვეყნო ხარჯიო. ამ სიტყვის სხვანიც მრავალნი ამტკიცებენ, აზნაურათ ვიცნობთო.

ამ ზემოხსენებულის წერილებისა და მოწმობის ძალით დავითიშვილს ზა[ა]ლს დარჩა და იმის შვილებს როსტომსა და გიორგის ხუციშვილი ქვრივი და ობოლი გოგია. ციციშვილს დიმიტრის საქმე აღარა აქვს ხუციშვილთან საბატონყმოთ.

თუ კიდევ ხუციშვილზედ ციციშვილმა იდავა სადმე, თავისის მოცემულის წერილის ძალით სიმტყუნით აღმოჩნდება. რომელი წერილებიც დავითიშვილსა ჰქონდა ან ხუციშვილსა, ყველა გავშინჯეთ და გამოვიძიეთ და ეს სამართალი განვსაჯეთ წინაშე ღმრთისა.

ამ ზემოხსენებულთა თავადთა მიერ ბრძანებითა აღვსწერე განაჩენი ესე ბიბილურმან, ერისთავის მდივანმან, პაატამ. მაისის იზ, ქორონიკონს უჟგ.

სამი ბეჭედი: 1. შანშე
2. მიხაილ
3. ამილახვარი გიორგი

181. განჩინება ზაალ ბარათოვისა და მანუჩარ არღუთოვის უმეტის საქმეზე

1805 წ. 23 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6714. დედანი. ქაღალდი. 72,7×46,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ხახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. თავადს ზაალ ბარათოვს და თავადს მანუჩარ არღუთოვს ვარნაკელს[1] დემინაშვილებზე ლაპარაკი ჰქონოდათ.

ჩუენ, ქვემორე ხელმომწერელნი თავადნი, თავეთის სადაოს გარდასაწყვეტად აღმოგვირჩიეს, რასაც თქვენ სამართალსა იქთ, ორნივ ვჯერვართო. რადგან ამათ უს ხელწერილი მოგვცეს, ამის გამო ესენი ვალაპარაკეთ.

მანუჩარ ასე ჩიოდა: ეს დემინაშვილები მკვიდრნი ჩემნი ყმანი არიან ვარნაკელნი[2]; ავის დროს მიზეზით მოსულან თქვენს სოფელში, ხიზნად დამდგარან; მამაჩემი და ბიძა ჩემი ელიზბარ მოსულან ასაყრელად. პაპის შენის ძმას რევაზ ბეგს ეს წერილი მოუცია ჩვენთვის: შენი ყმანი აქ ჩემს სოფელში დგანან, წელიწადში ოთხი თუმანი მახტად მოგცენ, მანამ იქ დგომილან, უძლევიათ; მერე იქიდამაც აყრილან და დაფანტულან. ჩემი კაცნი მამასა და ბიძაჩემს ემსახურებოდნენ და ზოგნი მამაშენს დაუჭერია, უმსახურნია. ახლა ჩემს კაცებს სამართლით ვითხოვო.

ზაალ ბარათოვმა მიუგო: სამოცი წელიწადი მეტია. ეს დემინაშვილები პაპაჩემს და მამაჩემს ყმურად მსახურებდენ. ამის მეტად ამაზედ საჩივარი არა მსმენიაო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ მანუჩარ არღუთოვს მოვთხოვეთ საბუთი: თუკი ეს დემინაშვილები შენი ყმანი იყვნენ, როდესაც შენის ადგილიდამ დაიფანტნენ, ან მეფეს თეიმურაზთან ან მეფეს ირაკლისთან და ან მეფეს გიორგისთან რატომ არ გიჩივლიათო.

მოგვიგო პასუხად ამისა: გვიჩივლია, განაჩენი და ოქმებიც უბოძებიათო. და წარმოაყენა მანუჩარამ არზა და სწერს არზასა შინა: დემინაშვილები ჩემი ყმანი ყაზახში არიან და ვითხოვ იქიდამ აყრასაო. და ბძანებს ოქმით მეფე თეიმურაზ: იასაულო ფირმაჰმად, შენ უნდა წახვიდე ეს კაცნი აჰყარო და თავის მამულზე დაუყენოო, ბეჭედი: მეფე თეიმურაზ.

[1] ვურანაკელს. [2] ვურნაკელნი.

მეორე არზი და ოქმი მოიტანა მეფის ირაკლისა, რომელ არზაში ესრეთ ეწერა: ჩვენს კაცს დემინაშვილებზედ საჩივარი გვაქვს ზურაბისშვილს დავითთან და სამართალს ვითხოვთო. და ბძანებს ოქმითა მეფე ირაკლი: ჩვენო შვილო გიორგი, შენი ძმები და მოსამართლენიც შენთან დაისწარ, ესენი რომ ასე ჩივიან, სამართალი მიეცითო.

მესამე არზი და ოქმი მოიტანა მანუჩარამ. მეფის გიორგისათვის მოუხსენებია: ჩემს კაცს დემინაშვილს ერთს კომლს კაცს სისუა არღუთოვი მართმევს სამართალი მაღირსეთო. მეფეს გიორგის სარდლის იოანესათვის ოქმით უბძანებია სამართლის მიცემა. სარდალს იოანეს თავადნი სოღომონ და თაყა არღუთოვნი თავისთან დაუსწრია, ესენი ულაპარაკებია. იმათის სამართლით მანუჩარ არღუთოვს დარჩომია დემინაშვილი.

თუმცა ამ საბუთებით რჩებოდა ამ მანუჩარს, მაგრამ უმეტესის ჭეშმარიტების ცნობისათვის ყაზახიდამ გარდიშა დემინაშვილი მოვაყვანინეთ და ვკითხეთ: რომლის ყმა ხარ ზაალ ბარათოვისა თუ მანუჩარ არღუთოვისაო? წერილი მოგვცა ესრეთ: ჩვენი სახლისკაცი ჩალაუბანს სარჭისა რომ ხიზნად დგას, იმან კარგათ იცის, რომლის ყმობასაც იტყვის, იმისნი ვართო.

ამან რომ ეს წერილი მოგვცა, მერე შინიხიდამ მეორე კომლი დემინასშვილი ახვერდასშვილი არუთინა მოვაყვანინეთ და ვკითხეთ რომლის ყმობა. ამ ახვერდამაც წერილი მოგვცა, რომლის ყმობასაც სარჭისა იტყვის, მეც იმისი ყმა ვარო.

რადგან დემინაშვილი ასლიკა ამ მანუჩარს მამულს სანაინს იდგა, ის კი აღარ მოვაყვანინეთ. ამ ორმა სახლისკაცმა რომ ეს წერილი მოგვცეს, ვისსაც სარჭისა იტყვის, იმისი ყმანი ვართო. სარჭისა ჩალაუბნიდამ მოვაყვანინეთ და ვკითხეთ. ცარიელის სიტყვის თქმით ჭეშმარიტება ვერა თქვა, მერე კანონისამებრ სამართლისა ღმრთის ჯელთ ქუეშ ვაძლევდით საფიცრად, უნდა აღიარო ჭეშმარიტება, თორემ ეკლესიაში ფიცით გათქმევინებთო.

ეს ფიცი რომ ესმა, საყაშენის ეკლესიის ტერ-მოსესასათვის დაეწერინებინა ამ სარჭისას წიგნი: მე, მკვიდრი ვ[ა]რნაკელი ელიზბარის ყმა დემინანთ ევნოზასშვილი სარჭისა, ამ წერილს გაძლევ შენ, ბატონ ჩემს ელიზბარს, ძმისწულსა შენსა მანუჩარ არღუთოვსა ასე, რომ: ძველათვე პაპა ჩვენები ოთხნი ძმანი ყოფილან მიტიჩა, ოანეზა, არუთინა და დოლმაზა; რომელიც რომ

ევნოზ ჩემი პაპა არის, მიტიჩა გარდიშას პაპა არის, არუთინა ასლიკას მამა არის და დოლმაზა ახვერდის მამა არის.

ეს ოთხნი კომლნი მკვიდრნი ვ[ა]რნაკელნი ვყოფილვართ და ელიზბარის ყმანი. ჩვენ რომ აპირს ვიდექით ხიზნად ზურაბის შვილის კედლად, ოთხი კომლნი ბიძაშვილები ვიყავით; ეს ოთხნი კომლნი კიდევე ელიზბარს ვემსახურებოდით. მერე ელიზბარმა იქიდამ აგვყარა და ჰაცუტის თავს დაგვაყენა; და შემდგომ ლეკიანობა რომ შეიქნა, იქიდამ დავიფანტენით და ყაზახს წავედით, მაგრამ ღმრთის წინაშე მანუჩარის ბიძის ელიზბარის ყმანი ვართ, რომ მკვიდრნი მამა-პაპით მანუჩარის ყმანი ვართო, ვარნაკში საყდარი და კარგი მამულიცა გვაქვსო, იელისის ია-სა დღესა, ჩყე-სა წელსა.

რადგან ეს ზემო მოხსენებულნი თავადისშვილები ასე დაობდნენ და განსვენებულნი სამნი მეფენი ამ დემინაშვილებს ამ მანუჩარის მამის ყმათ აცხადებდნენ, ამათის არზით მოხსენებით და ზედ ოქმების დამტკიცებით და უმეტესი ეს ზემორე მოხსენებული, რომ დემინაშვილებმა წერილები მოგვცეს; რომლისაც ყმობას დემინაშვილი სარქისა ჩვენი სახლისკაცი იტყვის, იმისი ყმანი ვართო; სარქისა მოვაყვანინეთ და დაწერა მკვიდრი ვ[ა]რნაკელნი ვართ და ამ მანუჩარ არღუთოვის ყმანი ვართო. ეს ზაალ ბარათოვს გამოუცხადეთ, ეს მეფე[ე]ბის ბძანება სადაოს გლეხთაგან ასე დაწერა.

ზაალმა თქვა: ამ სარქისს და ამათ სახლისკაცს პაპის და მამის ჩემისათვის ყმურად უმსახურნიათო. და რადგან სამართლით მანუჩარის ყმად გამოცხადდება, მე სამართლის მორჩილი ვარო.

მეფის თეიმურაზის, მეფის ირაკლის და შემდგომად მეფის გიორგის ოქმების ძალით და ამ სადაოს გლეხების წერილების მოცემის ძალით და ამ მოდაავეთ საჩიერით ეს დემინაშვილები სარქისა, არუთინა, დემინანთ ასლიკასშვილი, დემინანთ ახვერდაშვილი არუთინა, მისი ძმები და გარდიშა მკვიდრი ვ[ა]რნაკელნიც ყოფილან და ამ მანუჩარ არღუთოვის ყმანიცა.

პირველად, ამისათვის რომ თითონ ზურაბაშვილის პაპუნა ბეგის და ახპატის ვართაპეტის წერილები მოიტანა, რომელშიაც ეწერა: ელიზბარ არღუთაშვილო, შენი კაცნი აქ ახპატს დგანან, მანამ აქ იყვნენ ამათი მახტა ჩვენ უნდა გაძლიოთო; და სხვა წერილებიც თითონ ამ დემინაშვილებისაგან პირობის წერილების მიცემა, აყრა და ამათი ყმობა.

მეორედ, მეფის თეიმურაზის ოქმი ახყრისა და ამ არღუთოვის მობარებისა.

მესამე, მეფეს ირაკლისთან ამ დემინაშვილებზედ ჩივილისა.

მეოთხედ, მეფის გიორგის ოქმით სამართალი გან[ს]ჯილა დემინაშვილის მანუჩარს ყმობისა.

მეხუთედ, თითონ დემინაშვილის სარქისისაგან ამ მტკიცის წერილის მიცემისა, რომ მკვიდრნი ამ მანუჩარ არღუთოვის ყმანი ვართო.

ამ ზემორე ძლიერის საბუთებით დარჩნენ ის ზემო მოხსენებულნი დემინაშვილები მანუჩარ არღუთოვს. მაგრამ ზურაბისშვილის პაპუნა ბეგისაგან მიბარების წიგნი რომ აქვს ამ მანუჩარს, ეს კაცნი რომ ამ მანუჩარს მოჰბარდნენ, თავის პაპის წიგნი ისევ თავადს ზაალ ბარათოვს უნდა მისცეს მანუჩარმა.

სეკდენბრის კგ-სა დღესა, ჩყე-სა წელსა, ქორონიკონს უყგ.

თავადი დავით აბაშოვი.
თავადი კავალერი დავით ქობულოვი.
ქ. თავადი ზაზა ბარათოვი.
ქ. იოანე თურქისტანოვი.

ზემოთ ორნაკის სახელი რომ აშლილია, ეს მდივანს მოსლოდა. ეს სიგელი სრულია და ამაში საეჭო არა არის რა.

თავადი მდივანბეგი აბაშოვი დავით.

სოფლის ვურნაკელის სახელთან მოშლილად რომ ჩანს, ის ადგილები მწერალს მოსცლოდა, საეჭო არა არის რა. სწორედ ვურნაკელენი არიან და ამ მანუჩარ არღუთოვის ყმანია.

თავადი მსაჯულისძე საეტნიკი ზაზა ბარათოვი.
მსაჯული იოანე თურქისტანოვი.

182. მედიატორეთა განჩინება სოლომონ თარხანმოურავისა და გოჯალასშვილის მამულის საქმეზე

1805 წ. 15 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4279. დედანი. ქაღალდი 33,5×22,2 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

უფალი თავადი თარხანმოურავი სოლომონ მეითარი ედავებოდა თავადს თავის ბიძაშვილს გლახას ძეს დავითს, რომ: შენს ყმას გოზალაშვილს ჩემის ყანდინასშვილის სახლკარი და კიდევ მიწა უყიდნია ახალქალაქს ჯანდიერისაგანაო; და მე ვერ ვერწმუნები მარტო ჯანდიერისაგან მოცემულს სიგელსაო; იმისთვის რომ, თუ პაპაჩვენმან ჯან-

დიერს მიჰყიდა, სამართალი მასწავებს, რათა ვიკითხო პაპისჩვენისაგან ჯანდიერზედ გასყიდულობის წერილი, რომელი და ვიხილოცა და ესრედ შევჯერდეო.

ამ ლაპარაკებისა და ამის მიგებისა და საქმისა განსარჩევად ჩვენ — ქვემო ქელმომწერალთ გვიწოდეს და გვიბრძანესცა სამართალი მებრ თავიანთ მოცემულს ქელწერილთა და ითხოვეს სამართალი. გამოვიძიეთ ესენი ვიდრემდისაცა გონება ჩვენი მისწვდებოდა და წინაშე ღმრთისა ასე ვსაჯეთ, რომ:

ახალქალაქს სანახიროს პირზედ მისაქციელში დღენახევრისა მიწა, რომელიც ზემო ქსენებულ არს, ჯანდიერისაგან გოზალაშვილზედ გამოსყიდული ესე მიწა ამავ გოზალაშვილს ჩვენის სამართლით დარჩა.

თუმც ჩვენ ამ უფლის მეითრის პაპისაგან ჯანდიერის შვილზედ გასყიდულობის სიგელი მოვიკითხეთ და ვერ წარმოგვიდგინეს, მაგრამ ვერც ამ ჯანდიერისაგან გამოყიდულობის სიგელი ვერ მოვშალეთ; ამისთვის, რომ თუ ჯანდიერს ჰეშმარიტებით არა ჰქონდა ნასყიდი, ჯანდიერი ვერ შემძლებელ იყო, რომ თარხნისშვილის მამული გამოეყიდნა ახალქალაქელს სომეხზედა.

კვალად გამოვიძიეთ სახლკარისა სიგელი, რომელშიაც აცხადებს, რომ: მოგყიდე მე, ჯანდიერმან მამუკამ, შენ — გოზალასშვილს ჩემი ალალი ნასყიდი ყანდინასშვილისეული ნასახლარი თავისის ქვევრებითაო.

ესევე წერილი გავჩხრიკეთ, რომელიცა გამოცვლილ არს და პირველ დაწერილზედ ვერ დაუდგინებიესთ და ჩამატებული ასოები ასე ჩანს: მოგყიდე მე, ჯანდიერმან მამუკამ შენ, გოზალასშვილს ჩემი ალალი ნასყიდი ყანდინასშვილისეული ნასახლარებიო თავისის ქვევრებითაო. რომელშიაც ი-ნი ე-ზედ შეუცვლიესთ და ბ-ანი და ი-ნიც მეტობდა, რომელნი ასოებიც რომ ვეღარ დატეულ იყვნეს, სხვას ლექსზედ შემჯდარიყო. და მარტო ეს ასოები მთელს სიგელში უკანონოდ ასე სხდეს.

რა გამოვჩხრიკეთ ესე, ამის სამართლიც ასე ვქმენით: რადგანაც გაყიდულობა ყოფილ არს ერთისა ნასახლარისა და ჩამატებულისა ასოებით წარუპარავთ სხვაცა ნასახლარებიცა, ჩვენის სამართლით ქელაღებულ იქმნა ამ ნასახლარებისაგან გოზალაშვილი. და დარჩა ეს ხსენებული ნასახლარები თავადს სოლომონ მეითარს. აღწერილ იქნა ესე ნოემბრის **ია**, ქორონიკონს **უჟგ**.

ეს წერილი მიეცა თავადს სოლომონ მეითარს და ამისებრი თავადს დავითს.

ქ. ახალქალაქს მემკვიდრე მცხოვრებელი ჰაოსიანთ ერის მღვდელი ტერ-ისაი დანდუროვი.

ქ. ახალქალაქს მცხოვრებელი მამაცაშვილი ელიზბარა.

183. მედიატორებთა განჩინება ფარეში გოგიასა და ნიკოლოზა გაღინოვის საქმეზე

1805 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1803. დედანი. ქაღალდი. 34×21. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ძალა ამ წერილისა ეს არის ქორონიკონს **უჟბ**, მაისი **იზ**. ფარეში გოგია და თავისი ზედსიძე ნიკოლოზა ბაღინოვ თავიანთ ნებით და თხოვნით ჩუენ — ქვემორ ხელის მომწერნი თავიანთ შუაკაცათ და მოსამართლეთ ამოვერჩივენით და წერილიც მოგვცეს, რომ: რაც ჩუენ სამართალი გვესარჯა, ორთავეს უნდა ეყაბულნათ; ჩვენც ესენი ვალაპარაკეთ და ამათის საქმის გამოძიებაში ვიყავით.

ამაში საწყალობელი გოგია ფარეში მი[ი]ცვალა. მერე ამისი შემდგომათ ეს გოგიას ქვრივი ანა მისულიყო ქალაქის კამანდატი დავით სჰაკაძესთანა, იმასაც ისევ ჩუენთან[1] გამოეგზავნა ქორონიკონს **უჟგ**, იანვარში.

ახლა მეორე წერილი მოგვცეს ფარეში გოგიას ქვრივ ანამ და ეს თავისი სიძე ნიკოლოზამ, ასე რომა ჩუენს სამართალს ორნივ უნდა იყაბულონ.

ჩვენც ეს თავიანთ მოცემული წერილების ძალით ესენი ვალაპარაკეთ და ამათი საჩივარი ორისავეს მხარეს წერილათ გამოვიძიეთ და ასე დავანახეთ, რომა: წახდენის უწინ გოგია ფარეში ეს ნიკოლოზას თავის ქალს აძლევს და თავისი სახლში ზედსიძეთ შეჰყავს. და თუ რამ ამ ნიკოლოზას მამეული ქონება აქვს, ისიც თავის ხელში და თავისი იხტიარობაში იგდებს.

რამდონსმე ხანსა ჯვარი[2] დაუწერაეს — ინახამს, ამიტომ, რომ ეს ნიკოლოზა ურმაწვილი ყოფილა. მერე აჭორწილებს და ისევ თავის სახლში ინახამს, მარამ შვილობის წიგნს არ აძლევს.

მერე ეს ნიკოლოზა მოზდოკს მიდის. ამისი მოზდოკს ყოფ-

1 ჩუენთან. 2 ჯვარი.

ნაში გოგია ფარეში ამ ნიკოლოზას სახლს გვერდით ნიკოლოზას სახლისკაცის სახლის ალაგს ყიდულობს ვალით და ამ ნიკოლოზას სახლებსაც აქცევს და ერთიანს სახლებს აშენებს.

ამისი შემდგომათ ა ღ ა მ ა ჰ მ ა დ ხ ა ნ ი მოდის, ქალაქს ახდენს. გოგია ფარეში თავისი ცოლშვილით ტყვეედება, მაგრამ სახლს არ უწვენ, ტყვეობის გარდა. ამ გოგიას ქონებაც იყარგება და თუ ნიკოლოზასი ჰქონია, ისიც იყარგება. გოგია ტყვეობიდამ თავის თავსაც და ცოლშვილსაც ისხნის.

ამისი შემდგომათ, ქორონიკონს **უპე** — ამ წელს რომ ქალაქში ჭირი გაჩნდა, ამ ჭირით ეს ნიკოლოზას დანშენული უკვდება. ამასაც ეს თავისი მამა გოგია თავის საფერად მარხამს.

მერე რამდონსმე ხანს უკან ეს ნიკოლოზა მოდის, ისევ ამ გოგიასთან მცხ[ოვ]რობს და ამას ახლა სხვა ქალს ურთმენ და ისევ იმ მამაშვილობის წე[სზე ც]ხოვრობენ.

ამაში ახლა ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ ოთხმოცი თ[უმანს] ვალათ იღებენ, რომელიც იქიდამ ოცი თუმანი თავიანთ სიძე მენაღარია[ნთ გ]აბრიელას აძლევენ სარგებლით. და ოცი თუმანი გოგია ფარეში ვალ[ში ა]ძლევს, რომა ამას ანბობს: ნიკოლოზას სახლს გვერდით რომა სახლის [ალაგი] ვიყიდე, ეს იმისი ვალიაო და ოცდაათი თუმანი ნიკოლოზა სამთავნოთ იკე[თებს] და ათი თუმანი გოგია ფარეში სათავოთ იკეთებს.

ამისი ერთმანერთის ანგა[რიშ]ის თხოვნაში ამათ შფოთი[1] მოსვლოდათ; რომელიც ნიკოლოზა თავის მამეული ქონებას და თავისის სახლების ფასათ დუქნების ჭირასა და ამის რაც ასაღები აეღო გოგიასა, — ესენი ნიკოლოზა ითხოვდა. გოგიას ქვრივი ანა სახლის შენობის ხარჯსა და ნიკოლოზასი და ამის ცოლის შენახვის ხარჯსა და ცოლის დამარხვის ხარჯსა ითხოვდა.

ამის გამოძიებაში ორისავეს მხარს ფიცი შემოდიოდა, როგორც უნდა მამხდარიყო, ჩუენის[2] დანახვით თუმც სახლები ამ ქვრივს ანას დარჩებოდა, მაგრამ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ოთხმოცი თუმანი ვალი თავის სარგებლით ამ ანას დაედებოდა; რადგან ეს ქვრივი იყო და ამ ვალის მიცემა[ს] ვერ შეიძლებდა, ამისი მიზეზით და ამ ორსავეს ნებით ისევ პირველს პირობის მიერ დედაშვილობის წესზე ესენი ერთმანერთს მოვაშორეთ ასე, რომა გოგია ფარეშისა და ამ ანას ვარისი ეს ნიკოლოზა გახდა. ბატონისშვილის დავითის ვალიც ამან უნდა მისცეს.

1 შიფოთი. 2 ჩუენის.

და თუ სხვა ვალი არის გოგიასი და ან ამას იქით გამოჩნდება, სულ ნიკოლოზამ უნდა მისცეს. ასრეთვე სახლებიც და ქონებაც რაც არის და ან ამას იქით გამოჩნდება სულ ნიკოლოზასი არის. გოგიასი რომა ამბარდარზე ასაღები არის, ისიც ნიკოლოზასია, ამან უნდა გამოართოს გოგიასი.

და ამ ანას სამარხი გაუჩინეთ ოცდახუთი თუმანი. ეს ოცდახუთი თუმანი ბატონისშვილის თეთრიდამ რომა ოცი თუმანი მენაღარიანთ გაბრიელასათვის მიეცათ, ხუთი თუმანიც სარგებელი გამხდარიყო. ამისი თამასუქი ანას მივეცით, იმან უნდა გამოართოს. ნიკოლოზას საქმე არა აქვს.

სახლის ავეჯულობაც რაც ანასი რიგი იყო, ის მივეცით და ერთი ნიკოლოზას მივეცით.

ჩუენის[1] მცირეს გონების დანახვით ჩვენ ასე ვამჯობინეთ და ახლა ნება მაღალ მოსამართლისა არის. ქორონიკონს **უჟგ**.

სხვა ხელით:

ამ განაჩენის ყაბული ვარ გუბერცკის რეღისტრატორი ნ ი კ ო ღ ო ზ ბ ა ღ ი ნ ო ვ ი.

ქ. მე, ფარეში მიცვალებული გოგიას მეუღლე ა ნ ა მ, ამ განაჩენის ყაბული მაქვს. ამ ანამ წერგნი არ იცოდა. ამისი მოძღ[ვ]არი ტერ-ი ო ვ ა კ ი ნ. ტ ე რ-ნ ი კ ო ღ ო ს ო ვ ამ ანას ყაბულობით დამიწერია და მოწამეც ვარ. ✝

ქ. ა ზ ნ ა უ რ ი ს ტ ე ფ ა ნ ბ ა ს ტ ა მ ო ვ ი.

ქ. ო ჰ ა ნ ე ზ დ ი ნ ი ბ ე გ ო ვ. ბეჭედი: მონა ღთისა ო ჰ ა ნ ე ს.

ქ. ნ ი ნ ი ჯ ა ნ ღ ო ვ.

ქ. გ ა ს პ ა [რ] შ ნ [ა] თ ო ვ.

ქ. ამისი დამხდური ვარ მეწერილმანების უსტაბაში, მცირე

მონა ა ს ლ ა ნ... ასლან

184. განჩინება დიკასტერიისა ბასილი გზირიშვილისა და ფიოდვიმის მამულის საქმეზე

1806 წ. 6 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1540. დედანი. ქაღალდი. 33×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

მისის უწმინდესობისათვის მოეხსენებინა კ ა ს პ ს მსახლობელს ამილახურიანთ ყმას ბ ა ს ი ლ ი გ ზ ი რ ი შ ვ ი ლ ს, ასე რომ: ძველადგან ბოძებული გვჭონდა ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს ი ა ს ე ს ა გ ა ნ

1 ჩუენის.

მიწა და ავაშენეთ ვენახად, რომელშიაც გამოდიოდა რაოდენნიმე კოკა ღვინო და ვაძლევდით კულუხსა შიომღვიმეს. და ღ ე რ ო ნ ტ ი შიომღვიმის წინამძღუარი გვედავა იმ ადგილს და იმისმა ღირსებამ და ჩუენ გამოვირჩიეთ საქმისა ამის მოსამართლენი, რომელთაცა ჰსჩხრიკეს და განსაჯეს ჩუენი საქმე.

რადგანაც შიომღვიმის მიწა ყოფილიყო, ამისთვის დასდვეს ისევ შიომღვიმის მონასტრის მამულად. მაგრამ რადგანც მჭონდა დიდი ღუაწლი და ჭი[რ]ნახული, ამისთვის დაფასებით მომცეს ჭი[რ]ნახულისთვის ნახევარ ფასი ვენახისა მის ოცი თუმანი. და ამ ოცის თუმნიდამვე დამაკლეს ოთხი თუმანიც. და უნდა მოეცა ღერონტი წინამძღუარს თექვსმეტი თუმანი — ნახევარი ვეჯი და ნახევარი თეთრი, რომლისაც მოცემის წერილი მიჰირავს წინამძღურის ღერონტისაგან. და შემდგომად მოცემისა არღა მექმნებოდა საუკუნოდ საქმე ვენახთან. და აწ აღარას მაძლევს.

მისმა უწმინდესობამ ჩუენ, დიკასტირიის შეკრებულებას, გვიბრძანა საქმისა ამის გამოძიება. და ჩუენ უწვლილესად გამოვიძიეთ და ვნახეთ ამათგანვე გამორჩეულთა მოსამართლეთაგან გარდაწყვეტილობის წერილი, რომლითაც ჭეშმარიტებით განსჯით განუსჯიათ არა სამართლისა გარე საქმე ესე, რომელშიაც ცხადჰყოფდა გერონტი წინამძღურისაგან თექვსმეტის თუმნის მიცემასა.

და ჩვენ იმათგან განჭსჯილი ჭეშმარიტებით სამართალი არ დაგვიყენებია. და განვაჩინეთცა ესრეთ: ან უნდა მისცეს გერონტი წინამძღუარმა თექვსმეტი თუმანი აღრევე განჩენილი გამორჩეულთა მოსამართლეთაგან ან იმ ვენახის მაგიერი სხუა იმოდენი მიწა; და ან მანამდინ მისცემდეს თეთრსა, სარგებელი აძლიოს თეთრისა. და თუ არ მისცეს სარგებელი, უნდა მისცეს ვენახი ისევ სანახეროთ გზირისშვილს ბასილას, მანამდინ თავის თეთრს მისცემდეს; ამისთვის, რომ ეკლესიას უსამართლოთ მიმძლავრებული არა უნდა რა.

და თუ გზირიშვილს არ ეძლივა კულუხი, მაშინ საჭი[რ]ნახულო აღარა მიეცემოდა რა. და საჭი[რ]ნახულოდ ჩაუვარდებოდა დარჩენილი კულუხი. ესრეთ განისაჯა დეკასტირიასა შინა. მარტის **ვ**, წელსა **ჩყვ**.

მდაბალი მიტროპოლიტი მიქაელ

მისის უწმინდესობის დეკასტირიის წევრი არხიმანდრიტი ტრიფილე

მისის უწმინდესობის დეკასტირიის წევრი დეკანოზი ხელითა: ს ო ლ ო მ ო ნ.

მისის უწმინდესობის დეკასტირიის მწერალთმთავარი ხელითა: დ ი მ ი ტ რ ი.

185. განჩინება დიკასტერიისა შიომღვიმის მამულის საქმეზე

1806 წ. 27 აპრილი

თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896 წ. გვ. 85—86.

განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტერისა მიერ.

მისის უწმინდესობის დიკასტერიის შეკრებულებისა შორის მოვიდა ქუაბთახევის და მღვიმის მაღალღირსი არხიმანდრიტი დოსითეოს, არზი მოიტანა დიკასტერიაში და არზის გარდა სხუა წერილებიც, მტკიცე და ჭეშმარიტი, მოიღო დიკასტერიაში სრულიად დიდთა და მცირეთა ამილახორის შვილთაგან დამტკიცებული წიგნი, გორის უეზდნის სასამართლოსაგანაც დამტკიცებულ იყო. რომელიც თავის მონასტრის მამული მეორედ დაებრუნებინათ და ისევ მონასტრისთჳს შეეწიერათ და ვინ უწყის, რომ თავისი საკუთარი სხუა მამულიც შესწირონ, ვინ კელჰყოფს შლად მისა.

ამ წერილებისა ჩუენგან უწინარეს განხილვისა გ ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი დიკასტერიაში მოვიდა და გაბათილებული წერილი ჭეშმარიტებად გამოგვიცხადა და ჩუენგან წერილიც მიიღო სიცრუით და მზაკუარებით; არ უნდა გაებედნა ამას, რომ სიცრუით დიკასტერიაში შემოსულიყო და წიგნი დაეტყუენა.

ამ სიცრუით დიკასტერიაში შემოსვლისათვის და ჩუენის მოტყუებისათვის კანონი განუწესეთ ეკლესიის სამსახურისა: რომ შიომღვიმის მონასტერს ხუთი ლიტრა სანთელი უნდა მიართოს აწ და არა ყოველ წლივ. და ეს აღშენებული ვენახი საუკუნოდ მონასტერს დარჩა.

და როდესაც აღშენებულა ის ვენახი, მუნიდგან აქამომდე, კულუხს გარდა, ნახევარი მონასტრისათვის უნდა ეძლივა; და იმას კულუხის მეტი არა უძლევია რა. ამისათვის არცარა იმ მამულიდამ საჭირნახულო მიეცემა და არცარა სხვა რამ ნივთი. და ის ვენახი საუკუნოდ მონასტერს დარჩა.

და ის ჩუენი წერილიც დაგვიყენებია და გაგვიბათილებია, ამისთჳს რომ სიცრუით შემოგვატყუა ის გაბათილებული წერილი და დაგუაბეჭდვინა.

და ღვინო რომელიც მძლავრებით მიუტაცნია ამ ვენახისა, ისიც სამართლის განწესებისამებრ მონასტერს უკანვე უნდა მიართოს.

ესრეთ განგვისჯია და განგვიჩენია. აპრილის **კზ.** წელსა **ჩყვ.**

მდაბალი მიტროპოლიტი მიხაელ.

მისის უწმინდესობის დიკასტერიის წევრი არხიმანდრიტი ჯუარის მონასტრისა ტრიფილე...

დიკასტერიის წევრი ანჩისხატის დეკანოზი სოლომონ...

მწერალი გაბრიელ.

თავში:

დიკასტერიისა ჩუენისა მსაჯულთა მიერ განსჯილსა განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აპრილის **კზ,** წელსა **ჩყვ.**

ხელთაჲ: კათალიკოზი ანტონ.

186. განჩინება გაბონისშვილის ედიშერის მოახლის გაყგილების საქმეზე

1806 წ. 18 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7731. დედანი. ქაღალდი. 8,8×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ლევან მუხრან ბატონის შვილისშვილს ედიშერს თავისის მოახლის გაწბილების განაჩენი რომა აქვს საქართველოს მსაჯულშეკრებილებისაგან მიცემული თორმეტის თუმნისა, რომ ედიშერს უნდა მიეცეს, ამ თორმეტს თუმანში ოთხი თუმანი კოსტანტინე მუხრან ბატონმა მისცეს ედიშერს, ოთხი თუმანი ბაგრატ ბაგრატის შვილმან მისცეს ედიშერს და ოთხი თუმანი ლეონის შვილებმა თავის წილად ჩაიგდონ.

ორი თუმანი ედიშერმა თავის წილად გაითვალოს, რომ შეიქნება სისხლის გარდახდა თორმეტს თუმნად საქართველოს მსაჯულთშეკრებილების განჩინებისაებრ.

და ის ბრალეული გამაწბილებელი მუხრან მსახლობელი ჰაპურელი ბეჟანას შვილი ტეტია სამთ მოწილეთ მუხრან ბატონის შვილთა: ქ. კონსტანტინეშან, ქ. ლეონის შვილთა გიორგიმ და ედიშერმან, ქ. და ბაგრატმან საერთოდ დაიდონ და ისე წილში ჩაიგდონ. მაისს **იზ,** ჭორონიკონს **უჟდ.**

ოთხი ბეჭედი: 1. ზაალ
2. ამილახვარი გიორგი
3. დავით
4. ნიკოლაოს

ხელთაჲ: ესტათი.

187. მედიატორეთა განჩინება თუთუნაშვილისა და თაყინასშვილის ვალის საქმეზე

1806 წ. 10 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3694. დედნის შავი. ქაღალდი. 45×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი, ორწერტილი და ტირე.

უფალი კამანდათის ბრძანებით თუთუნაშვილმა დავითამ და თაყინასშვილი ზა[ა]ლის ცოლმა ჩვენ ქვემო კელის მომწერნი თავათს სალაპარაკოს სამართალში დაგვისწრეს და წერილიც მოგვცეს — თქვენს სამართალს დავჯერდეთო.

დავითს ერთი თამასუქი ჰქონდა ზაალისა, რომელი იყო ოცდახუთის წლისა და იმ თარიხიდამ თუმანს ორ შაურად სარგებლით სთხოვდა. და ერთიც ოთხის თუმნისა, ეს იყო ოცდასამის წლისა, და ამაში ერთი დუქანი გირაოთ ჰქონდა.

ზაალის ცოლი უპასუხებდა: ათის თუმნისა, მართალია, მოვალე ვარ. სხვისაც ბევრისა მმართებს. როგორც შეეიძლება, ან რასაც სამართალი იტყვის, უნდა მოგცეო, მაგრამ ჩემი ბევრი გიჭირავსო, ის უნდა მაგაში ჩაიგდოო: მორდლისაგან რომ დუქანი დაეიხსენით ქორონიკონს **უპე,** იმ წლის ქირა არის შენზედ თორმეტი მინალთუნი; ქორონიკონს **უპვ** ამ წლის ქირა არის შენი დუქნისა ორი თუმანი და პეტრეს დუქნისაც ორი თუმანი; რომ შეიქნა ხუთი თუმანი და ორი მინალთუნი. ოთხი თუმანი დუქანში უნდა დაგეჭირა და დუქანი დაგენებებინა, ჩვენი კიდევ დაგედებოდა თორმეტი მინალთუნი და დუქანიც გთხოვეთ და მაგ შენი ათის თუმნისაც ზაალის მოწერილი წიგნით გითხარით: გვიანგარიშე. ეს ქირები ჩაიგდე და ორისავ თამასუქისას თეთრს მოგცემთ. შენ არც გვიანგარიშე, არც დუქანი დაგვანებე. იმ თარიხში ჩემი დუქანი დახსნილი არის. მას აქეთ დუქნის ქირაც უნდა მომცე, ის თორმეტი მინალთუნიც.

დათუაშვილისაგანაც აგიღია ჩემი დუქნის ქირა ორის წლისა და ნახევრისა. ჩემი დუქნის ქირას შენ რათ იღებდი? ესენი ყველა მაგ თამასუქში მიანგარიშე და რასაც სამართალი დამადებს, იმასაც მოგცემ.

ამაებზედ ამას წინათ ზუბალაშვილს ანდრიასთან და მოქალაქე გასპარასთან ელაპარაკნათ და დავითს ესენი არ ეუაბულებინა. ასე ეთქვა: ჩემი დუქნის ქირა ე-ნის წლისა მორდალს მივეც და ვ-ინის წლისა ტერ-საააკას მივეც და პეტრეც

ერთი წლის მეტი არა ჯდომილა. თორმეტი მინალთუნი ქელში მივეც და თუთაშვილს მე რათ გამოვართმევდი, არა გამომირთმევია რაო. ეს იმათ განაჩენში სწერია.

ახლა ჩვენთან ასე თქვა: ჩემი დუქნისა ე-ნის წლისა მორდალს მივეც და ვ-ინის წლისა თუ ტერ-სააკასთვინ არ მიმიცია, ბარგაშტისა უნდა გამოვიდეს და სხვა ჩემზედ იქნება. პეტრეს დუქნისა ჩემზედ არა არის რა და თუთაშვილისაგან თუ ამიღია რამე, რაც თუთასშვილმა თქვას, ჩამიგდევითო.

თავისი დავთარი მოიტანა: ე-ნის წლისა მორდლისათვინ მიმიციაო, მაგრამ ის დავთარი ჰაზრის განმასვენებელად ვერ დავინახეთ. მორდლისაგან დახსნილი თამასუქი ვნახეთ, რომ ზუბიაშვილს მიბარებოდა თეთრი იანვარს **იე**, ქორონიკონს **უპე** და ტერ-სააკასთვინ დაუგირავებიათ იანვარს **იე**, ქორონიკონს **უპვ**.

ტერ-სააკასაც ვკითხეთ და ასე თქვა: ჩემი თეთრი მორდლისთვინ არ მიუციათ, უწინ დახსნილი ჰქონდათ და მერმე მე დამიგირავესო.

ამაზედ დიდად ეჭვი გვაქვს, რომ ორსავ თარიხში იანვრის თხუთმეტი სწერია და ზედმიწევნით ვერ დავინახეთ დავითას ე-ნის წლისა მიუციაო თუ არა. და ამისთვის ასე ვიანგარიშეთ: ე-ნის წლისა მისცეს დავითამ თავისი დუქნის ჭირა თორმეტი მინალთუნი.

ვ-ინის წლისა ტერ-სააკას ვკითხეთ და ასე თქვა: ვ-ინის წლისა მე[1] არ გამომირთმევიაო. და ვერც გამოართმევდა, ამისთვის რომ სამი დუქნისა რვა თვის ჭირა ზაალისგან ქელში სჭერია. იმ წლის ჭირა ორი თუმანი ყოფილა. სამი თვე ბარგაშტი უნდა გამოვიდეს ხუთი მინალთუნი და უნდა მისცეს თუმანნახევარი. ეგრეთვე პეტრეს დუქნისაც უნდა მისცეს თუმანნახევარი.

ამას გარდა კიდევ თუთაშვილისაგან აუღია ორის წლისა და ნახევრისა სამი თუმანი და ორი მინალთუნი. ჯამი იქნება შვიდი თუმანი და ოთხი მინალთუნი.

ამაში დავითასი ნუსხით[2] ზაალის დანახარჯი დასდებია რვა მინალთუნი და ორი აბაზი, რომ იმაზედაც ულაპარაკნიათ. ეს რომ გამოვიდეს, დარჩება ექვს თუმანნახევარი და სამი აბაზი.

ამას გარდა ის გიორგი დუქანი რომ ჰქონია, იმისი ჭირა ქორონიკონს **უპდ**, ამ წელიწადს თორმეტი მინალთუნი გამხდარა. მას აქეთ თორმეტი მინალთუნი ჭირა ყოფილა, ზოგჯერ მეტიც ყოფილა. მას აქეთ ბარგაშტს გარდა ათი წელიწადი არის, იმისი ოთხი თუმნის სარგებელი ოცდაოთხი აბაზი არის და იმაში დუქ[ა]ნს არ აჭმევდნენ.

ამ ათს წელიწადს დუქნის ჭირა აუღია დავითას თავის სარგებელზედ მეტი — წელიწადში შვიდი მინალთუნი და ერთი აბაზი, რომ იქნება ათის წლისა შვიდი თუმანი და ორი მინალთუნი. სულ გახდება, რაც დავითას უჭირავს, ცამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და სამი აბაზი.

თუ დავითას რაც სჭერია, ან დაწერილი ჰქონოდა, ან სიტყვით თავს ედვა და უარი არ ეთქვა, ის ექვს თუმანნახევარი და სამი აბაზი ათის თუმნის სარგებელში უნდა სჭეროდა და დღეს კიდევ ოცი თუმანი ერგებოდა. მაგრამ რადგან არც დაწერილი ჰქონია და არც სიტყვით სრულებით იყაბულა, დღეს რაც უჭირავს, იმის ერთი ორად უნდა შეუთავდეს.

ის ზემო ცამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და სამი აბაზი რომ ოცდაოთხს თუმანში გამოვიდეს, დარჩება ზაალზედ ათი თუმანი და თორმეტი აბაზი. და დღეს ათი თუმანიც მისცეს ზაალის ცოლმა. ამათი სამართალი ჩვენ ასე დავინახეთ. ივნისის **ი**, ქორონიკონს **უჟდ**.

188. განჩინება ყორღანაანთ გაყრის საქმეზე

1806 წ. 24 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6007. დედანი. ქაღალდი. 36,5×22 სმ. მხედრული. განკვეთილების ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ყორღანაანთ უთრუთას შვილები ისაია, ბეჟან და როსტომ ჩიოდნენ თავეანთ გაყრაზედა. და ჩვენ ქუემორე ქელმომწერელთ ქელწერილი მოგვცეს: ჩვენ სამნი ძმანი ვართ, გაყრა გვნებავსო[1], ვითხოვთ სამართლით გაგვყარეთ და რასაც თქვენ გარდასწყვეტთ საქმესა ჩუენსა, ეჯერვართო; და რომელიც თქვენ გარიგებულს სამართალს გადავიდეს, მტყუანი იყოსო.

და შემდგომად ამისა ამათს მამას უთრუთს ნება ვთხოვეთ, გნებავს ამათი გაყრა, თუ არაო; და მოგვცა ნება გაყრისა. რადგან ამათმა მამა[მ]ც ნება და შვილებმაც ეს ქელწერილი მოგვცეს, ამის გამო ვალაპარაკეთ.

ისაია ასე ჩიოდა: ოცი წელიწადი მეტია მე დავქორწილდი, მზითევში შემოჰყვა ათი თუმანი რომ ეს ი თუმანი სახლში დახარ-

1 + ვინის წლისა მე. 2 ნუხსით.

1 გვენებავსო.

ჯეს, უნდა სარგებლით მოეცათო; ხანი გამოვიდა, სარგებელი იყო იმ ჟამიდან ი̑ თუმანი, სარგებელი მოსცეს და ათი თუმანი თავნიც უნდა მოსცენო კიდევ დარჩომილის სარგებლითაო. ნიშანი, პირის სანახავი და ოქროს რომ მოაგროებენ — ესენი სულ დადგა ოცდათექვსმეტი თუმანი. ეს ოცდათექვსმეტი თუმანიც საკუთარი ჩემის მეუღლისა იყო; ესეც საერთო სახლში დახარჯესო, უნდა ესეც სარგებლით მოსცენ ჩემს მეუღლესაო. რადგან ეს სახლი მამა ჩვენმა იყიდა, შენობა მტრისაგან დაიწო და დაწვის წინარე სარიშტით ცალ-ცალკე ვიყავით და საკუთარის ჩემის თეთრით სახლი ავაშენე, ოცდაშვიდი თუმანი დავხარჯე. იმ დღეს ქელწერილი მივეცით დაფასებისა, დააფასეს შენობა ოცდასამ თუმნად, ესეც უნდა მომცენო, რადგან სახლს ესენი იჰერენო. და მამაჩემი ხომ ცოცხალი არის, რაც რამ აქვს და ენებოს თავისათვის დახარჯოს; როდესაც მიიცვლება, მაშინ როგორც განწესება არის დარჩომილისა, ისე მოხდებაო.

ბეჟანამ მიუგო: მზითვის თეთრი ი̑ თუმანიც მოგეცით სახლიდამ, ნიშანიც და პირის სანახავიცა, განაჩენიც იყო მოსამართლე[ე]ბისაგან დაწერილი ამ სადაოზედ გარდაწყვეტისა, მამა ჩვენს ჰქონდაო; მეორე ეს, რომ: სახლის შენობა მეტი უთქომთ, ახლა დააფასონო; მესამე ეს, რომ: მამიჩვენის ნება არის, აქვს რამე თუ არა, ვისიც ნება არის, იმას მისცემსო.

მესამემ ძმამ როსტომ[მ]ა იჩივლა: მე არც ამის ნიშანი მინახავს და არც მზითვის თეთრი, არც დავქორწინებულვარ, არცარა სახლიდამ დამიხარჯავს და არცარა ხარჯი ჰქონიათ ჩემზედაო ჩემს სახლსაო, საქორწილოც მინდა; ამათს მეუღლე[ე]ბს რომ ათ-ათი თუმნისა უფრო მეტი ნიშანი მისვლიათ სახლიდამ, მეც უნდა მომცენო.

ამათმა მამამ უთრუთმა თქუა: ამ ოცდარვას წელიწადს წინათ ჩემს შვილს ისაიას ამ თამასუქით კ̑ თუმანი ვასესხე, უნდა მომცეს, არ მოუციაო; სახლი ჩემი ნასყიდია, გაუყავით ამათო, ჩემს უმცროს შვილს როსტომას საქორწილო არ მისცემია, უნდა ამ სახლიდამ მიეცესო; თუ შემიძლიან რამე ჩემის სამარხიდამაც შევეწევიო. ესენი ასე რიგათ მოაშორეთ, რომ ერთმანერთთან შფოთი აღარა ჰქონდესთ რაო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ, მოვითხოეთ წინარე მოსამართლე[ე]ბისაგან დაწერილი განაჩენი. უთრუთმა ერთი ბარათის ტოლი ქაღალდი მოიტანა, ბეჭდები იჯდა. იმ პირველ მოსამართლე[ე]ბისაგან დაწერილი განაჩენი სულ დავხიეო; ამისათვის, რომ ჩემს შვილებს შფოთი არ მოუხდესთ რაო. ერთი თამასუქი წარმოაყენა, ერთობაში ოცი თუმანი ვასესხე, არ მოუციაო და უნდა მომცესო.

ეს ასეთის აზრით და ფიცით აღმოჩნდა ჩვენთან, რომ ეს ოცი თუმანი მაშინვე მიცემული ყოფილა და ახლა რადგან მამა უწყრება, იმიტომ პირველ აღებულს მეორედ უბრუნებს, ამის გამო ვერას შეუვა. იმ ბათილის თამასუქით განაჩენი რომ დაუწერიათ პირველს მოსამართლე[ე]ბს, იმაში თვითეულად იქნებოდა გარჩეული: ან მზითევი რა იქნებოდა, ან პირის სანახავი, ან მოგროვებული ოქრო, ან რა მისცემოდა, ან რაღა აკლდებოდა, იმაში ყოველივე ნათლად სახილველი ყოფილა.

და ახლა ჩანს, რომ უწყრება ამ ისაიას და იმით ამის სიმართლე იქნებოდა, რომ განსამართლებელი დაუხევია. თუ მამის პატივებით არ მიგვეხედა, რადგან უკანონო საქმე უქნია და დაუხევია, რასაც შესწამებდა ოცდათექვსმეტი თუმანი იყო შიგ დაწერილიო, უნდა ეს თეთრი მთლად სარგებლით მიეცეს. მაგრამ მამობის პატივით პატივ-ვეცით და სარგებლით აღარ დაუწერეთ შეუძლებლობის მიზეზით. და ეს ოცდათექვსმეტი თუმანი უსარგებლოთ ისაიამ და ბეჟანამ უნდა მისცენ; ისაიამ — თავის მეუღლეს და ბეჟანამ — თავის რძალსა.

რადგან ამათ საქმეს ვხედავთ, თუ ამ სახლის ადგილში ერთათ დგანან, მუდამ შფოთი ექნებათ. და ამათი აქ ერთათ დგომა აღარ იქნება. ამისათვის ის სახლის ადგილი უნდა გაიზომოს, ოსტატებისაგან დაფასდეს და რადგან ნებითა მამისათა ბეჟან და როსტომ დგებიან იმ სახლში, ადგილის ფასიდამ ი̑ თუმანი უწილოდ როსტომს საქორწილოდ უნდა მიეცეს. სხვა რაც მორჩეს, სამათ გაიყოს ფასი: ერთი წილი ისაიას, ერთი ბეჟანას და ერთი როსტომს. ოცდასამ თუმნად რომ თავიანთ გამორჩეულის კაცებისაგან ნაშენი დაფასებულა, ესეც უნდა ამ სახლებში მდგომმა ბეჟანამ და როსტომამ მისცენ ისაიას; სახლი შენობითა და ადგილით ბეჟანისა და როსტომისა იქნება.

და რადგან როსტომ სახლიდამ ქონებიდამ უნაწილო დარჩომილა და მამამაც თქვა, თუ შემიძლიან რამ, მე მივცემო; ამისთვისაც განვაჩინეთ, რომ რაც თავისი ნება არის, ამ შვილს შეეწიოს საქორწილოზე და დასახლებაზედა.

და აგრეთვე ვეგულვებით დედ-მამას თავეთს სარჩოსა და სამარხსა; ამისათვის თავეთის ნებაზედ მივაგდევით, მანამ ცოცხალნი არიან, დარჩებიან. და თუ სამარხს გარდარჩებათ რამ, რომლისაც

შვილის ნება არის, იმას მისცემს მამა თავისის ნაშოვნიდამა, თუ რამ დარჩებათ.

ესენი რომ ასე დავწერეთ და თავისი გაუყავით, მაგრამ თუ მამულზედ მივლენ, მაშინ როგორც ძმობის წესია, მამულიც ისე გაიყონ.

ამ მაზმუნზე სამი განჩინება დაიწერა: ერთი მიეცა ისაიას, ერთი ბეჟანს და ერთიც როსტომს. ივნისის კდ, წელსა ჩყვ-ს.

მსაჯული თავადი ზაზა სოლაღური.
მსაჯული იოანე თურქისტანოვი.
კეთილშობილი ყორღანოვი ფარსადან ხელრთვა: ფარსადან.
კეთილშობილი შანშოვი გიორგი.
კეთილშობილი იაგულოვი ზაალ.
მდაბალი მღვდელი მიღდისი ტერ-სიმონ მოღწინისა.

189. განჩინება ბესარიონ ჰყონდიდლისა და ფაღავების მამულის საქმეზე

1806 წ. 11 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. სან. № 1301. დედანი. ქაღალდი 33×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი და აბზაცის ბოლოს ორწერტილი ხაზით : —

ქ. მათი ყოვლად სამღუდელოება უფალი ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ და ფაღავები — პეპუ მურძაყანის შვილები და ზაალის შვილები — გაიბჭვენ.

ჰყონდიდელმან იჩივლა: პირველითგანვე ჩვენი ეკლესია ერთ მთავრობაში აღშენებული ყოველთავე იციან; და აგრევე სეფიეთი სოფელი აზნაურითა და გლეხებით იმ ეკლესიის ყოფილა, თავისის საკმაოთ ალაგ-მამულითა და საყანით თუ ტყით; და იმ ჟამითგან ჩვენს ეკლესიასა და მათს ყმებს მოდავე და მოცილე არავინ გამოსჩენია. დღეს თქვენ მიდით და ჩემს უდავებელსა და უცილებელს ალაგშიდ გლეხები ჩამისახლეთ. მე მაშინვე დაგითხოვეთ, ხალიაბიც დავაწვევინეთ, მაგრამ არ გარდამეცალეთ და მიზეზი რა გაქუსთ, არ ვიცი.

ფაღავებმან უპასუხეს: ჩვენ თქვენის ეკლესიის საწყენი და თქვენი შესაცოდებელი საქმე თუ რამე ვქენით, არ ვიცით. ერთი ჩვენი სასაკუთრო და კაცისაგან შემოუცილებელი ვერანი ალაგი იყო და დღემდის სახმარად არ დაგვჴ[ი]რვებია და ახლა გლეხები შეგვიწუხდა სამოსახლოზედ და ჩვენს საკუთარს ალაგშიდ ჩვენი გლეხები დავასახლეთ, მართალი არისო.

ჰყონდიდელმან აშორა სთქვა.

აგრევე ფაღავებმაც აშორა სთქვეს: «ეკლესიის არაოდეს არ ყოფილიყოს და არც სეფიეთელის კაცის ალაგი ეს იყოს, რაც ახლა ჩვენ რომ სოფელი გვაქვს ბანძა და მოსახლობა რომ გაქვს ნაშეგელუ, ამისი ალაგი არ არის, დამსახლებელის ბატონის წყალობით არა გვაქვს, არც საჰყონდიდლო იყოს და არც საეკლესიო».

ჩვენ დავხედეთ, მაგრამ ჰყონდიდის ეკლესია ერთმთავრობისა და მეფობის ჟამშიდ აღშენებული და განმდიდრებული დარჩა და ფაღავები უფრო ჩვენის ქვეყნის მპყრობლისაგან დასახლებული და რჩენილი არის. და ამ პირველობისათვის აშორო ეკლესიასა და მასზედ მდგომს მღდელმთავარს დავარჩინეთ. აგრევე ის სადეო ალაგიც უფრო საეკლესიო ძველის მოსახლე კაცების მახლობელიც არის და აშორო ვეღარ წავართვით.

აწ ამ ალაგებზედ მივიდენ, ხატი ფაღავებმან მიუსვენოს და ის ალაგი დამფასებელისაგან დაფასდეს და რამოდენის ათის მარჩილის იქნეს, იმოდენი სეფიეთელი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაური იქაურივე ასე შეაფიცოს ფაღავებს, რომ: «ახლა ჩვენ რომ ალაგი შემოვიარეთ არასდროს დადიანის სახასო ალაგი ეს არ ყოფილიყოს, არც ნაშენგელუს შემავალი ადგილი ეს იყო და არც არას ფაღავას ამაშიდ ხელი ქონდეს, რაც მკვიდრი საეკლესიო საჰყონდიდლო ადგილი არ არის».

თუ ასე იფიცონ, მას მერმეთ ის შემორებული ნაფიცი ალაგი ხელშეუვალათ ეკლესიას დარჩეს და ფაღავებმა ხელი აიღოს და გლეხებიც გარდააცალოს.

შენობა რომ რამე ყოფილიყო, ისიც სამართლის წიგნის ბრძანებით ეკლესიას დარჩებოდა. მაგრამ აღარაფერი შენობა არის.

და ყანები რაც არის დღეს, იმისაგან ჰყონდიდელმან წრეულს მოდი აიღოს და სამერმიოთ და საუკუნოდ ალაგებიც შერჩეს.

თუ სეფიეთელი კაცი ვერ აუვიდეს, სხვა საელესიო კაცი შემოიმატონ მოფიცრათ. თუ ვერ იფიცონ[1], ფაღავას დარჩეს. ქრისტეს აქეთ ჩყვ, ივლის[ს] იე, ბანძას.

[1] + და.

რჟა ბეჭედი:
1. სრულიად ოდიშის დედოფალი ნინა.
2. დადიანი ლეონ
3. ბატონიშვილი გიორგი
4. არ ირჩევა
5. ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ
6. ბატონიშვილი დავით
7. სახლთუხუცესი ჩიქოანი გიორგი
8. იოსელიანი ბერი.

190. განჩინება მაღალაზვილების სახელოების თაობაზე

1806 წ. 17 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8822. დედანი. ქაღალდი. 34,7×21,7 სმ. სამ ფურცლად. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი. ამ საბუთის მეორე დედანი დაცულია ამავე ფონდის № 5648-ში.

მათმა უწმიდესობამ ყოვლისა საქართუელოჲსა და კახეთისა კათოლიკოს-პატრიარხმან, მეფის ირაკლის მეორის ძემან, წმიდის ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერმან, ანტონი მეორემან, ჩვენ — ქვემო მომწერელთ მაღალაშვილების გაბრიელისა და სხვათა ამილბარ სალთხუცის შვილებთა და მდივნის იოსების საჩივრის მოსმენა და სამართლის მიცემა გვიბრძანა.

რომელთაგანნი გაბრიელ და იოანე ჩიოდნენ: ჩუენი მამა-პაპათ ბარათში გამოყოლილი მდივნობა და მორდლობა ამ იოსების სახლს უჭირავს; ვითხოვთ, ჩვენ მოგვეცესო.

იოსებ მიუგებდა: მართალია, გაყრაში სახელოები გაგვიყვია, სანატრელთ პატრ[იარ]ხთ დასტურითა სალთხუცობა თქვენს სახლს ჰრგებია, მდივნობა, მორდლობა, ქადაგობა და მამათმთავრობა ჩვენ გამოგვყოლიაო.

სამართალმა ამ ორთავე მოდავეთა წერილები მტკიცეთ დამტკიცებისათჳს მოსთხოვა.

სალთხუცის ამილბარის შვილებმა მოიტანეს ნაზარალიხანის წყალობის წიგნი, რომელსა შინა წერილი იყო ესრეთ: «ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან და ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთივ-ზეცით გვირგვინოსანმან, იესეიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან მეფეთ-მეფემან და თჳით ჴელმწიფემან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანნა, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან იმამყულიხან და პატრონმან მამადყულიმ და პატრონმან თეიმურაზ ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცუალებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულად თავდადებით ნამსახურს მაღალაშვილს ამილბარს ასე: მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და[1] თქვენს მამა-პაპათ სამკვიდროს სეეტიცხოვლის სალთხუცობას დაგვეპჳენით; და სულკურთხეულის ჩვენი მამა-პაპათ და [შთა]მომავალთ ნათესავთ წიგნებიც გჴონდათ მეფეთაგან და კათალიკოსთაგანცა. ჩვენ ვისმინეთ აჴა და მოხსენება თქვენი. და ბიძა ჩვენს ბატონს კათალიკოზს იოანესაც თქვენთვის ებოძებინა სუეტისცხოვლის სალთხუცობა და ჩვენც შენ, მაღალაძე ამილბარს, გიბოძეთ სუეტისცხოვლის სალთხუცობა ბატონის კათალიკოზის ბრძანებით და მცხეთელთ ნებადართულობით ყოვლის კაცის უცილებლივ. აგრევე როგორც თქვენი მამა-პაპათ კახეთის სეეტისცხოვლის მამულების სალთხუცობა და ჯანიშნობა ძუელთ ქელმწიფეთ ჩვენთა მამა-პაპათაგან გჭონებოდათ. ახლა ჩვენც მათი ბრძანება წიგნი დაგიმტკიცეთ; და გიბოძეთ სალთხუცობისა და ჯანიშინობის წიგნი, გიბოძეთ ამა წესითა: პირიქით და აქეთ საგარეჯოსა, ჯიმითისა, ახალშენს, ვერძისჴევს, ერწოსა, ბიწმენდს, საგურამოს რაც სეეტისცხოვლის მამულები არის და ჯუარის სახასო მამულებში სთუელს თქუენ აიღებდეთ; პურს, საბალახეს, ჯურუმს და რუზედ ბრინჯსა სათაოსა არაფრისაგან არა დაგაკლდებოდეს, ყოვლისფრისაგან აიღებდეთ და თქვენის ქელით კათალიკოზს და სეეტისცხოველს მიართმევდეთ. სხვა კაცს ჴელი არა აქუს. ვერცავინ ჩვენი ბრძანება მოგიშალოს. აგრევე თქვენი მამა-პაპათ ნაჭონი სამკვიდრო მდივნობა და ბეჭედი; და მცხეთას მაჩქათელას კონი და საფიჩხულე; ციხედიდს ზვარი, მარანი, ხოდაბუნი და ბეთუაშვილი და გელიხაურები; ძეგველი დემეტრე; აღაიანში ვარდიაშვილი; ზერტს მამულაშვილები და სხვა გლეხები და მეღალობა; და დიდგორაზედ მოხისის მოურაობა; ერტისს გოგაშვილი თევდორა, მისის ძმით და მამულით — ესენიც კათალიკოზს ისევ ებოძებინა შენთვის და შენის ძმებისათვის. და ჩვენც ისევ გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილობლივ;

[1] + და.

გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტისცხოვლისა და ჩვენსა სამსახურსა შინა. არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა მეფეთა და კათალიკოსთაგან. აწე[1] გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნი და სხვანო მოსაჭმენო! ეს ჩვენი ბრძანება და ნიშანი თქვენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით, როგორც ამ ჩვენგან ნაბოძებსა სიგელსა შიგან ეწერაო. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე მკათათვის **კთ, ქ**-ჯს **ტპშ,** ქელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის შიოშისათა». სიგელსა ამას ამტკიცებენ ნეტარ ქსენებულნი მეფე ირაკლი მეორე და კათალიკოსი ანტონი პირველი.

შემდგომად ამისა იოსებ მდივანმა მოიტანა ევდემონ პატრიარხის წიგნი, რომელიცა ჰსწერს ესრეთ: «ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ღმრთისმშობლისათა და შეწევნითა სუეტისცხოვლისა და კუართის საუფლოჲსათა ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოსმან, პატრიარხმან ევდემონ დიასამიძემან ეს წყალობის წიგნი გიბოძე შენ მაღალაშვილს პაპუას ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: სახლისუხუცოსა ძუელითგან ნასისხლათ თქვენ გჭონდათ და ბიძათქვენს იოანესაც ჰქონდა. როდესაც იოანე მოკვდა, მისგან ჩუენ გულს გვაკლდა და ცოტახანს გამოვართვით და შენ კიდევ დარბაისელნი შუა შემოიყუანენ და თბილელ ეპისკოპოზმა ელისემ მეფე როსტომ შუა შემოიყვანა და თითონაც შემოგვეხვეწა; დავდევით პატივი და გიბოძეთ სახლისუხუცოსა სამცხეთოსი, ასე რომე: არაკაცი არ გეცილებოდეს არა შენი სახლისკაცი და არა სხვა შენს შვილსა და შენს ძმებს გარდა, და არცარა სხვა სამცხეთო კაცი იყოს შენის სახლისუხუცოსა მშლელი და წინააღმდგომი; და ეს ასრე გაგითავდეს ჩვენგანცა და სხვათა მეპატრონეთაგან. ვინც შემდგომად ჩვენსა კათალიკოსნი იყვნენ, არც მათ მოგიშალონ; გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა ჩვენისა ერთგულებასა შინა. ვინც კელჰყოს ამისა შლად, სვეტისცხოვლისამც უარის ყოფისა კანონსა ქვეშე არის. დაიწერა უცუალებელი სიგელი ესე ქორონიკონს **ტკზ**».

და ჰსთქუა: როდესაც ჩვენნი მამა-პაპანი გაყრილან, სალთხუცობა თქვენის სახლისათვის წილში მიუციათ; მდივნობა, მორდლობა და სხვანი ჩვენ დაგვრჩომია. დიდ მტკიცე დასამტკიცებელად ამა სახელოთა კელში ჴერა და არავისგან გამორთმევა მაქვსო.

[1] აწვე.

ერთხელ ოდესმე მჯადისჯვარს სანატრელთ მეფეთ თეიმურაზს და ირაკლის ხუნძაყთ ბატონზე გაემარჯვებინათ; გიორგი, პაპა თქვენი, ბრძოლას ვერ მოჰსწრებოდა. მეფეს თეიმურაზს სალთხუცობა ჩამოერთმევინა და დავით მაღალაშვილისათვის ეგბოძებინა. რადგან პაპა თქვენი უსახელოდ დარჩა, მაშინ ჩვენს წილში ნარგები მდივნობა სალთხუცეს ყოფილს გიორგის მიეცა; ქადაგობა, ბეუედი და მამათმთავრობა გალმა მხრისა ნიკოლაოზ მამაჩემს დარჩაო, რომელსაც ეწამებოდნენ **ჩლპე** წელსა მიცემულითა წერილითა ყოველად სამღვდელო ნინოწმიდელი მიხაილ, არხიმანდრიტი ტრიფილე და დეკანოზი მიქელ.

ამას შეჰსძინა იოსებმა: როდესაც სანატრელთ ცხებულმან მეფემან თეიმურაზ და პატრიარხმან ანტონი პირველმან პაპა ამათი გიორგი კუალად შეიწყნარეს და მცხეთის სალთხუცობასა ზედა კუალად აგეს, მდივნობა ისევ მამა ჩემს ნიკოლაოზს უბოძეს; ამიტომ, როგორც სალთხუცობა ამა ყოველთა სახელოთა ფარდად ჩაგდებული იყო. ამასვე ჟამსა წარმოადგინა დავით ამილბარ სალთხუცის ძმამ მაღალაშვილმა სანატრელის პატრიარხის ანტონი პირველის ღრამბატა, რომელიცა ჰყოფდა სალთხუცობისა შემოსავალსა და სხვა სახელოებთან წილში აგდებდა. აგრევე ამილბარის შვილებმა უწმიდესის ანტონი მეორის განაჩენი წარმოადგინეს, რომელიცა არა ჰყოფდა შემოსავალსა და საკუთრად ამილბარს აძლევდა. მაგრამ ამანვე მეორემან ანტონი ჰბრძანა ამა ორთავე განაჩენთა დაყენება და კათალიკოზის ევდემონის განაჩენის მიხედვით განყოფა და სამართლისაც ასე მიცემა. და სჰთქუა: ჩვენ ეს ევდემონის განაჩენი არ გვენახაო.

და რადგან ამას გარდა სხვა წიგნები სამართალში არ მოუტანიათ რა არც ერთის მხარეს, ამის გამო ჩვენ მსჯულთ ასე განვსჯეთ: თუმცა იოსებ მდივანმა, ნიკოლაოზის შვილმა, წიგნი ვერა მოიტანა რა და ჰსთქვა: ქალაქის აღოხრების ჟამს დავჰკარგეო; და მეორეს მხარეს ამილბარის შვილებს ამის მეტი არა მოჰქონდათ რა, რომ მჯადისჯვარში გამარჯვების შემდგომად გიორგის სანატრელი მეფე გასწყრომოდა, სალთხუცობა დავით მაღალაშვილისათვის ებოძებინა, მაშინ მდივნობა როგორც სახლის სახელო ყოფილიყო, ისე ნიკოლაოზისათვის ჩამოერთმევინათ და გიორგი სალთხუცეს ყოფილისათვის მიეცათ. და როდესაც ისევ გიორგი შეეწყალებინათ მეფესა და პატრიარხს, სალთხუცობა ისევ ამისთვის მიეცათ; და

მდივნობა, მორდლობა, ქადაგობა და მამათმთავრობა ნიკოლაოზისათვის ებოძებინათ.

აჭადამ ჰსჩანს, რომ სალთხუცობაც წილში ჩაგდებული ყოფილა, და სახლისა როგორც სხვა სახელოები ამა ორთავე სახელოთა ესოდენი ხანი დაუყვიათ ორთავე მოდავეთა ჯელთა შინა, რომ თუნდა წერილიც არ ყოფილიყო, სრულიად მდინარეობა ჟამისა და ცუალება პატრიარხთა საბუთად და წერილად ქმაროდა; როგორც მდივანს იოსებს არ შეუძლია თხოვნა ამათგან სალთხუცობისა და გატანა, აგრევე ამილბარის შვილებს არ შეუძლიათ მდივნობის და სხვათა გამოტანა და თვისად წოდება. ამითი დარჩა მდივნობა, მორდლობა, ქადაგობა და მამათმთავრობა იოსებს და იმის სახლს; რომელსაც თუ არ შეცოდება თვისგან და კათალიკოზის რისხვა, მდივნობას და სხვებს ვერვინ ჩამოართმევს.

სალთხუცობა თუმცა არის მკვიდრად მამულებრ შეტანილი ამილბარის სახლში, გარნა რომელსაც გუამს იმ სახლში უნეტარესმან კათოლიკოს-პატრიარხმან უბოძოს, იმისდა ჯერ-არს ქონებად. ხოლო ძმასა გინა ბიძასა თვისსა, რომელნიცა დღეინდელადმდე ამა სახელოსა შინა ჰმოქმედებდენ ანუ ჰმოქმედებენ, ამათ ასეთს წილს მიჰსცემდეს, როგორიც თავისთვინ აეღოს. ესრეთ, რომ, თუ: სალთხუცის ამილბარის შვილებს ებოძოს, დაითს — ბიძა მათს შვილებითურთ [ყოვლ]ის შემოსავლიდამ, რომელიც სალთხუცობას აძევს, უნდა წილს მისცემდენ ნახევარს. და თუ დავითს ებოძოს, მჰსგავსად მისა გაბრიელს და იოანეს და სხუათა ამილბარის შვილებთა სრულს წილს მიჰსცემდეს; ესე იგი, ყოვლის შემოსავლის ნახევარსა არა საკუთრად.

[არა] ჩვენ, მოსამართლეთა, ამისი ასე განჰსჯაჲ ჯელვყავით, არამედ პირველად ბუნებამ განუწესა ძმას წილი; და შემდგომად ევდემონ კათალიკოსმან ცხადად დასწერა არავისგან შეცილება და წილის თხოვნა სალთხუცობის შემოსავლიდამ ძმასა და შვილებს გარდა; მაშასადამე, ძმას სწორე წილი ჰსდებია მჰსგავსად ზემო თქმულისა ბუნებითისა ჰსჯულისა, რომლისა ჯელთაგან ვერცა ერთი მსჯული ვერ განერების.

მაგრამ ჩვენ შეძლებისამებრ ჩუენისა ესრეთ განვჰსჯეთ და ნება მათის უწმიდესობისა იყავნ. ამისთანა სამი პირი დაიწერა: ერთი დავით მაღალაშვილს მიეცეს, ერთი ამილბარ სალთხუცის შვილებს გაბრიელს და სხუათა და ერთი მდივანს იოსებს. აღიწერა ჩყვ წელსა, იულისის იზ დღესა.

თავადი პოლკოვნიკი ბარათოვი მდივანბეგი ხელრთვა: ზაალ
კოლეჯსკი სოვეტნიკი თავადი სულხან თუმანოვი
თავადი ბეჟან ერისთოვი არაგვისა
მდივანბეგი თავადი დავით ჩოლაყაშვილი.

ეს სამართალი იქმნა განაჩენსა ამას შინა მოხსენებულისა ძველისა წერილებისა მიხედვითა; და რომელნიც აქ არიან მოხსენებულნი, ამათს გარდა არა რომელნიმე საბუთნი არა წარმოუდგენიათ რა, რევაზ სალთხუცის შვილების ამილბარის და სოლომანის გაყრილობის განაჩენიც არ წარმოუდგენიათ, და არც გიორგი სალთხუცისა და ნიკოლაოზ მდივნისა გაყრილობისა. მაგრამ ამილბარ სალთხუციდამ და სოლომონ მდივნიდამ კარგა ხანია, რომ ეს სახელოები — სალთხუცობაცა და მდივნობაც ასე თავ-თავისად უჭირავთ და ჰქონიათ, ამ მიზეზებით ესრეთ განიჩინა.

პოლკოვნიკი თავადი ბარათოვი მდივანბეგი ხელრთვა: ზაალ
კოლეჯსკი სოვეტნიკი თავადი სულხან თუმანოვი
თავადი ბეჟან ერისთოვი არაგვისა
თავადი დავით ჩოლაყაშვილი.

191. განჩინება სვიმონ თაზიშვილის ძმის ბაგულაშვილის საქმეზე

1806 წ. 13 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5939. დედანი. ქაღალდი. 66,8×25 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ჭ. მისს უწმიდესობასთან ეჩივლათ ბატონყმობაზეც თაზისშვილს სვიმონს და ხეკორძელს მოსე ბაბულაშვილს. მის უწმინდესობას ჩვენთვის ებძანა ამათის საქმის გამოძიება.

ამათ ორთავე მოდავეთ ხელწერილი მოგვცეს ჩვენ ქვემორე ხელმომწერელთ: რასაც თქვენ სამართალსა იქთ, ვჯერვართო; რომელიც თქვენს სამართალს გარდვიდეს, მტყუვანი იყოსო.

რადგან ამათ ეს ჯელწერილი მოგვცეს და მისმა უწმიდესობამც გვიბრძანა და ამის გამო ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ.

სვიმონ ასე ჩიოდა: ჩემს ყმასა და მამულს ბიძის ჩემის ტარიელის მიზეზით ვეღარ მოგვეჰიდენით, ჩამორთმეული მჭონდა, ჯელი ვერ მოვკიდე, რადგან იმას ის განსაცდელი შემთხვეოდა, ყაცნიც თავისუფლად იმყოფებოდნენ და მამულიც უჭმი იყო ჩემთვისა. როდესაც ჩემი მამული სამართლით ვიშოვნე, მამულსაც ჯელი მოვ-

კიდე და კაცებსაც ვეძებო. ეს ჩემი მემკვიდრე კაცი ბაბულაშვილი მოსე ვიპოვნე და სამართალით ვედავებიო.

მოსემ მიუგო: მართალია, მე თაზიანთ ყმა ვიყავ, მაგრამ მამა ჩემმან თავი დაიხსნა, თავდახსნილობის წიგნი მქონდა, ქალაქის წახდენაში დავკარგეო. მამას არ უმსახურნია და მე ქალაქში ვდგევარ, მუდამ კათალიკოსისათვის მიმსახურნია, რომ ხარჯის მომკრეფელთ კარგათ იციანო, მაგრამ წიგნის მნახველნი კი არავინა მყავსო და ხელით წერილიც მოგვცა.

ამათ რომ ასრე იჩივლეს, მისის უწმინდესობის მამასახლისებს ეკითხეთ და გზირსაც. მამასახლისებმა თქვეს: ჩვენს სამსახურში არა ყოფილა და არც დავთარში სწერიაო. გზირმა თქვა პეტრე მოლარე რომ იყო, ის მართმევინებდა ხარჯს თავისთვისაო.

რადგან მოხელეთ თქვეს, ჩვენს დავთარში არ ყოფილაო და გზირმა თქვა პეტრემ კი გამომართმევინა ხარჯიო, ჩანს რომ საკათალიკოსო დავთარში არ ყოფილა ჩაწერილი და სახელმწიფოთ უფრო ვერ იქნებოდა; და ამბობს თავდახსნილობის წერილი მქონდაო, სვიმონ მიუგებს: არც ყოფილხარ თავდახსნილი, არც გქონია წიგნიო.

ჩვენ ამ მოსეს ფიცი დავადევით: ორი კაცი ქრისტიანე მოძღვრიანი იშოვნოს წადგეს ეკლესიაში და ასე იფიცოს: «ამისმა მადლმა, ტარიელ თაზისშვილისაგან თავდახსნილნიც ვიყავით, თავდახსნილობის წიგნიცა გვქონდა, მაგრამ დავკარგეთო». ეს თუ ორის მოწმით ასე დაიფიცა, მისის უწმიდესობის ყმა შეიქნება, რადგან თავდახსნილია და მისს უწმინდესობას ჰყმობია. თუ ორის მოწმით ვერ დაიფიცა, ეს მოსე ბაბულაშვილი სამართლით სვიმონ თაზისშვილს დარჩება.

თურქისტანიშვილო ქილიფთარო გურგენ! ეს ასე აღასრულე

მარტს **ივ**, წელს **ჩყვ**, ქორონიკონს **უჟდ**.

სოვეტნიკი თავადი მაღალოვი ხელრთვა: დავით

მსაჯული თავადი სოლაღოვი ხელრთვა: ზაზა. მისის უწმინდესობის ნაზირ-ფარეშთუხუცესი ელიოზის ძე ხელრთვა: ნიკოლოზ.

მაღალოვი მდივანი ხელრთვა: იოსებ.

თავში:

ქ. ჩვენ, მცხეთისა და სრულიად საქართუელოჲსა კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ირაკლის მეორის ძე, ანტონი განჩინებითსა ამას წერილსა ვამტკიცებთ. დეკემბერს **იგ**, წელსა **ჩყვ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

192. განსჯა და განჩინება მისის უწმიდესოჲსა დიკასტერიისა მიერ

1807 წ. 10 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1468. დედანი. ქალაღდი. 34,3×22,3 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, ერთი ან ორწერტილი.

წელსა **ჩყზ**, მაისის ა მისის უწმიდესობის დიკასტირიის შეკრებილებას მოგვცა რომელნიმე გარემოებითნი მიზეზნი განხილვად ქალაქში მცხოვრების ტფილისელის მანდანაშვილის როსტევანასი და როსტევანასაგან აღყვანილისა სიძევით შობილისა დიმიტრისა, რომელსაცა როსტევანასა მას აღუყვანია ორის თვისა ყრმა იგი და მრავალი ღვაწლდებულება დაედუა. აღზრდისა მისისა განჰსჯისამებრ ჩუენისა მრავლის მიზეზის გამო მივეცით ყრმა იგივე დიმიტრი როსტევანასა, ესრეთ აღზარდოს მართლმადიდებლობასა ზედა და ჰყვანდეს მას, რომელთაც არავის ძალუცსთ შეცილებად მისსა. მაისის **ი**, წელსა **ჩყზ**.

მისის უწმიდესობის დიკასტირიის წევრი მდაბალი მიტროპოლიტი მიხაილ

მისის უწმიდესობის დიკასტირიის წევრი არხიმანდრიტი ტრიფილე

მისის უწმიდესობის დიკასტირიის წევრი დეკანოზი სოლომონ.

მისის უწმიდესობის დიკასტირიის მწერალთმთავარი დეკანოზი დიმიტრი.

193. განჩინება ილმისა და წევის ეკლესიების წმიდა ნაწილების თაობაზე

1807 წ. 14 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4769. დედანი. ქალაღდი 28,3×21,7 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს, ესრეთ განვაწესე და განვაჩინე:

ილმელი სამღუდელო და საერო შემომეველნი, რომ ჩვენის

ეკლესიის ნაწილი დაგვეკარგა და წ ე ვ ი ს ეკლესიაში ასვენია და ჩვენი არისო.

ამისთვის წეველი სამღვდელო და საერო დავიბარე და ჩვენთან მოვიყვანეთ, და ამათი საჩივარი განუცხადე. მაგრამ წეველებმა უარი თქვეს, დასაფიცრათ წამოდგენ.

და ჩვენ ასე შეგდებული სამართალი განუწესეთ: ოთხმა მღუდელმა, რომელიც ილმელებმა გამოირჩიოს, თავის მღუდელთმთავარს კელი ჩამოართვას შეჩვენებით. და ეგრეთვე ხუთმა ერისკაცმა, რომელიც ამათ დაუსახელონ, ილმელების ეკლესიაში ასე შეფიცონ: «თქვენ რომ ნაწილებს გვედავებით თქვენის ეკლესიისას, ეს ის ნაწილები არ იყოს; და არც ძველათ და არც ახლათ ეს ნაწილები თქვენის ეკლესიის ყოფილ იყოს».

თუ ასე სამართალი მოსცენ სამღუდელომ და საერომ, ხომ არას ემართლებიან, წეველების ყოფილა და მათ დარჩეს. და თუ ვერ უფიცონ ილმელების ეკლესიის ყოფილა და მათ მისცენ. და თუ ამ ნაწილების ქურდი იცოდენ, ის ქურდიც დაუსახელონ. მაისის **იდ**, წელთა **ჩყზ**.

ბეჭედი: ყოვლად სამღდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს.

194. მედიატორეთა განჩინება მუმაწოღანთ ოსეფასა და მისი დედინაცვლის მალალას გაურის საქმეზე

1807 წ. 1 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3872. დედანი. ქაღალდი. 75×27 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. წელსა **ჩყზ**-ს, ივნისის პირველს მ უ მ ა წ ო ღ ა ნ თ ა ე ვ ე ტ ი ქ ა ს შვილი ო ს ე ფ ა და ამისი დედისნაცვალი მ ა ლ ა ლ ა და თავის ნაშობი შვილი ბ ე ჟ ა ნ ა თავიანთ გაყრაზე ერთმანეთთან ლაპარაკი ჰქონიათ. მისულან პოლიციაში, არზით გამოეცხადებინათ და პოლიციის ბძანებით მოვიდნენ.

ჩვენ, ქვემორე ქელმომწერელნი, თავიანთ ლაპარაკის გამოსაძიებლად მედიატორად აღმოგვარჩიეს და მოგვცეს კელწერილი რომელ: რაც ჩვენმა გონებამ დაგვანახოს, ამათ სამართალი უსაჯოთ, და რომელმანც ჩვენგან გადაჭრილს სამართალს უარჰყოს და სხვას ალაგს ჩივილი მოინდომოს, იმისი სიტყვა ყოველ სასამართლოში შეუწყნარებელი იყოს. ეს წერილი რომ გამოვართვით, ვინებეთ ამათი ლაპარაკში შესვლა.

და რადგან ოსეფას უმცროსი ძმა ბ ა ღ დ ა ს ა რ ა რუსეთს იყო, ოსეფას დედის ნაშობი, და თავის მამისგან ცოტა რამ ჰქონდა გატანებული, ეგრეთვე თავისი უმფროსი ძმა ოსეფასაგანაც და ის აქ არ იყო და არც ამათგან ქელაღებული და გაყრილი იყო და არც არავის თავის პოვერ[ე]ნათ გაეხადა, ამათაც არ ინებეს უიმისოთ გაყრა და ვერც შეიძლეს საყვარულით ერთათ დგომა.

ჩვენც ამათ სრულათ ვერ გავყარეთ ბაღდასარასგან პასუხის მოსვლამდინ და, როგორც ერთმანერთს გავაშორეთ ჟამამდინ, ამის ბოლოს დაიწერება ნიშნობლივ.

ცხონებული ავეტიქას სიკვდილს უკან ორ წლამდინ ერთათ ყოფილან ოსეფა და თავის დედისნაცვალი; და მასუკან ცალ-ცალკე მდგარან.

მალალას თავის სამშობლოდგან მოტანილი ან მზითევი, ან თეთრი ჰქონია, ან რაც თავის უწინდელი ქმრის ასაღებიდგან აუღია და ოჯახში შემოუტანია, რომ ავეტიქასგან ქელწერილიცა აქვს, და ან თავის ცალკე დგომაში თავის სარჩოსთვინ ვალი აუღია, აგრეთვე ოსეფასი რაც ან თავის ნაშობი დედის თეთრი ყოფილა ოჯახში, ან თავის ჯალაბის თან მოყოლილი თეთრი იყო, ან თავისი ნაქნარი ვალი ჰქონდა, და ან რაც საერთო სახლების ძველი გირაოს ვალი იყო მამის დროინდელი (თუმცა ორსავ მხარესაც ზოგიერთს რასმეს მეტნაკლებს ანბობდნენ), ჩვენ რომელიც საბუთიანი შემოსატანი იყო ორისავ მხრისა, სრულობით ამის ბოლოს დაიწერება ნიშნობლივ.

ჭა (ორმოცდაერთი თუმანი) ქ. მალალას თავის სამშობლოდგან მოტანილი და ან თავის უწინდელი ქმრის ასაღებიდამ გამორთმეული ჰქონიყო, რომ თავის ქმარს ავეტიქას ანდერძათ დაეწერა და ზემო ბაზრის დუქანი გირაოთ ჩაეწერა, ჯამი იყო ჭა (41 თუმანი); რომ ზოგი დუქნის ქირიდამ უნდა აეღო და ზოგიც სარგებლით უნდა მისცემოდა, როგორც ავეტიქას მოცემული წერილში აცხადებს.

ოჯახის შეუძლებლობის მიზეზით ეს სარგებელი ვაპატიებინეთ.

თ (ცხრა თუმანი) ქ. ქალაქის წახდენაში ეს დუქანი დამწვარა. მერე თავის ქმრის სიკვდილის უკან აუშენებია, დაუხარჯავს ცხრა თუმანი, რომ

შეიქნა ორისავ ჯამი ნ (50 თუმანი). ამ ორმოცდაათ თუმანში ის დუქანი მალალასთან გირაოთ არის.

ე (ხუთი თუმანი) ქ. ამას გარდა ჰასარათა[ა]ნთ ოჰანეზასგან ასაღები ჰქონია ჩე (ხუთმეტი თუმანი). ამისი ათი თუმანი თავის ქალისთვის მიუცია და ხუთი თუმანი თავის ქმრის ავათყოფობაში დახარჯულა ოჯახში.

ზ (სამი თუმანი) ქ. უწინდელი ქმრის ასაღებიდგან ბერძენს გამოურთმევია სპილენძი ოთხის თუმნისა. გაუყიდნია სამ თუმნათ.

თ (რვა თუმანი) ქ. მინას ვართაპეტისა მართებს სარგებლით. თავნია თ (8 თუმანი). ამ თარიღამდინ სარგებელი მიცემულია.

ეს თეთრი ავეტიქას ვალში არის მიცემული.

ზ (სამი თუმანი) ქ. ამავ ვართაპეტის დედისა მართებს საჭინისთვინ აუღია.

ბ (ორი თუმანი) ქ. ფიქარი მარტირუზასი მართებს. გირაოცა აქვს.

ზ (სამი თუმანი) ქ. უუზინანთ ვართანასი მართებს.

ბ (ორი თუმანი) ქ. თავის ზითვის ხავედის დოშაკი ოსეფას დისთვის მიუცია.

ა (ერთი თუმანი) ქ. ა ვერცლის თასი ჰქონია, ოჯახში დაკარგულა.

ბ (ორი თუმანი) ქ. თავის ქალი კატარინესი მართებიათ.

ვ (ექვსი თუმანი) ქ. კიდევ ერთი ნუსხა შემოიტანა, რომ თავის ზითვის მარგალიტის ღილი და მაჯები და ზოგიც ავეტიქას ნასყიდი შალი, ნაკერი ლეჩაკი და სხვა რაგინდარა გაეყიდნა და ოჯახში დახარჯულა. ჯამი იყო ი (ათი თუმანი).

რადგან ოჯახი შეუძლებელი იყო, ამისი ოთხი ჩავატარეთ და ექვსი უნდა მიეცეს მალალას.

ვე (ოთხმოცდახუთი თუმანი) ვე ქ. იქნა ზემო იბ კალმის ჯამი მალალას ვალისა ოთხმოცდახუთი თუმანი.

დ (ოთხი თუმანი) ქ. ოსეფასი თავის ნაშობი დედისა იყო ოჯახში შემოტანილი თეთრი ჩვიდმეტი თუმანი. ამისი ცამეტი თუმანი თავიანთ ყმა გოგიაზე არის, რომ თამასუქიც თავის სახელობით არის და იმის სახლის სიგელიც გირაოთა აქვს. ესენი ოსეფას თითონ უჭირავს. დარჩა ოჯახზე ვალი.

კ (ოცი თუმანი) ქ. თავის ჯალაბისა შემოსულა ოჯახში ტანისამოსის ფასათ ნაღდი თეთრი ოცი თუმანი.

ჭ (შვიდი თუმანი) ქ. ბუძგულანთ მარტირუზას სახლობისა მართებს თამასუქით.

ბ (ორი თუმანი) ქ. ნაზარბეგიანთ თომასი მართებს, რომ ჭურჭლები გირაოთა აქვს.

ბ წ (ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი) ქ. სიძე გაფრილასი მართებს.

ივ (თექვსმეტი თუმანი) ქ. კიდევ თავის ცოლის ზითვისაგან რაგინდარა ტანისამოსისა გაყიდულა. ოჯახის ვალებზე დახარჯულა.

ნა წ (ორმოცდათერთმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი) ნა წ ქ. იქნა ზემო ვ კალმის ჯამი.

კ (ოცი თუმანი) ქ. ამის გარდა თავიანთ ზიზდედასთან ერთი სახლი აქვსთ გირაოთ, მამის დროეული, ოც თუმნათ.

თ (ცხრა თუმანი) ქ. კიდევ თავიანთ გვერდის ოთახი აქვსთ გირაოთ, მამის დროეული, ცხრა თუმნათ.

კთ (ოცდაცხრა თუმანი) ქ. იქნა ამ ორის კალმის გირაოს ვალის ძველი მამის დროეულის ჯამი.

რჲე წ (ასსამოცდა ხუთი თუმანი და ოთხი მინალთუნი) ქ. შეიქნა ზემო ორივე კალამი ჯამების ჯამი და ყარშუს ერთი კალამი მალალას ვალის ჯამი.

ამისი ზემოთ ხსენებული ოსეფას ჯალაბის თექვსმეტი თუმნის რაგინდარა გაყიდულის თეთრში, ჩორსოს თავზე რომ დუქანი აქვსთ, ის მიეცით ოსეფას ჯალაბს გირაოთ.

რადგან ოსეფა ზის, ეს დუქანი ავეტიქას უწინდელი ცოლისაგან მოსულა ავეტიქასთვინ ტანისამოსის ფასათ. მერე ავეტიქას ზდომებია თავის ქალის მზითევში მიცემა.

რადგან შვილების პატრონი ყოფილა და შვილებსაც არ უყაბულნიათ, სხვაგნით ვალი აუღია, მიუცია ქალისთვის და დუქანი დარჩომილა.

ახლა ეს დუქანი მივეცით ოსეფას ჯალაბს გირაოთ ზემოხსენებული ⁘ⴋ-ში (თექვსმეტი თუმანში). იმას უნდა ეჭიროს, მინამ თავის ქმარი ოსეფა და მაზლი ბაღდასარა ეს თექვსმეტი თუმანი მისცენ. მერე ის დუქანი საშუალო ორის ძმისა იქნება.

მალალა და თავის ნაშობი შვილი ბეჟანა საქმე არა აქვსთ, რადგან იმათი დედის მოტანილია.

ეს თექვსმეტი თუმანი რომ გამოვედით, დარჩა ოსეფასი საკუთარი ვალი ოჯახზე ⁘ⴋ (34 თუმ. და 4 მინ.), რომ ეს თეთრი გაყრის დრომდინ უსარგებლოთ უნდა იყოს.

ამ თექვსმეტ თუმანს გარდა შეიქნა ოჯახის საკუთარი საერთო ვალის ჯამი თუ მალალასი, თუ ოსეფასი და თუ სახლების გირაოს ფული ერთიანათ ⁘ⴋ (ასორმოცდარვა თუმანი და ოთხი მინალთუნი) ამდენი. რაც ამათი კანონისამებრ შესაწუნარებელი ვალი იყო, ეს არის, რომ დაგვიწერია ამაში.

აწ ამათი ქონება დაიწერება, რომ აქვსთ ერთი დიდი სახლები დარბაზი, შანიშინი, სარდაფი, ტახტი, გარეთ ეზოში დაქცეული სათორნის ალაგი თავის შესავალ-გასავლითა. გვერდზედ ერთი ოთახი, რომელიც ზემოთ აცხადებს, ცხრა თუმნათ გირაოთ აქვსთ. კიდევ ერთი სახლი, რომელიც თავიანთ ზიზდედასთან ოცის თუმნის გირაოთ არის. შუა ბაზარში ერთი დუქანი, რომელიც მალალასთან გირაოთ არის. საშუალო ამათი ქონება ეს არის.

და ის ჩირსოს თავის დუქანი მარტო ოსეფასი და ბაღდასარასია.

ამას გარდა, როგორც ახლა დგანან სახლებში — ერთნი დარბაზში და მეორე შანიშინში, ამ ექვს თვემდინ, მინამ ბაღდასარას წიგნი მისწერონ, ისევ ისე უნდა იდგნენ და ოსეფამ ხუთიოდ თუმანი უნდა აიღოს, სარგებელი თითონ მისცეს. ოჯახის საშუალო ვალი იქნება. იმით ეზოში ერთი ფათერი გააკეთოს. რუსს მისცეს და თითონ ფარაღათათ იდგნენ.

და როდესაც ბაღდასარას წიგნის პასუხი მოვიდეს, თუ თითონ მოვიდეს და ამათთან სიყვარულით ძმობა და გაერთება მოინდომოს, ხომ დიაღ კარგი იქნება. და თუ არ მოინდომებოს ძმობა და მოსვლა და მოსწეროს, რომ: «მე ჭელი ამიღია, არც თქვენი ჭერი მინდა, არც შარი, მე მანდ მამსვლელი არა ვარ, ღმერთმა გიშველოსთო»; მერე, მაშინ როგორც რიგი და კანონია, ისე გაიყარონ. ვინცა ვინ იმ თარიღში ამათი შუა კაცნი იყვნენ, მიხედონ ოჯახის შეძლებასა და იმ კვალად ოსეფას თავის საკადრისი საუფროსო მისცენ, ბეჟანას საქორწილო და მალალასაც თავისი ამდენის წლის ამ ოჯახში ჰირნახულის საკადრისათ სამარხი მისცენ.

ამის გარდა, როგორც ზემოთ დაგვიწერია: თუ ამ ექვს თვეზედ ბაღდასარა ან თითონ არ მოვიდეს, ან გადაჭრილი პასუხი არ მოსწეროს, ექვს თვეს უკან მალალას ოთხმოცდახუთ თუმნის ვალისა, რაც იმ დუქნიდამ ქირა ეძლეოდეს, დანარჩომი თეთრის სარგებელიც გაყრამდინ ოჯახიდამ უნდა მიეცეს მალალას რომ იმით იცხოვროს.

ამ ექვს თვეში რაც დახარჯონ ორსავ მხარეს, თავიანთი იქნება. ოჯახში ვალს ვერ შემოიტანენ.

ამას იქით თუ სხვა ვალი გამოაჩინონ ორსავ მხრისა, თავიანთი იქნება. და თუ მამეული საბუთიანი ვალი გამოჩნდეს, საშუალოდ უნდა გასცენ პასუხი. ეგრეთვე ასაღები გამოჩნდეს, საშუალო არის.

ამას იქით ამათში დავა და სალაპარაკო აღარა დარჩა რა ძმობის და სიყვარულის მეტი. ჩვენ ჩვენის გონების მიხედვით ასე გადაჭ[ს]წყვიტეთ ამათი საქმე.

ამას გარდა, ამას იქით რომელ მხარეს ან სიტყვით ილაპარაკონ, ან წერილი გამოაჩინონ, ბათილია.

ამ განჩინებისა ორი დაიწერა, ორივე ერთ მაზმუნათ. ერთი ოსეფას მივეცით და მეორე მალალასა.

ამათის ნებით ამის დამსწრე ვარ თავადი ა ბ ე ლ მ ე ლ ი ქ ო ვ ი

ქ. ამათი[ს] ნებით ამის დამსწრე ვარ ვანქის ტ ე რ-ო ჰ ა ნ ე ზ.

ქ. ამისი დამხდური და გამრიგე ვარ საჰაკ ძე ს ტ ე ფ ა ნ ფ უ ღ ი ნ ო ვ ი.

ქ. ამისი დამხდური და გამრიგე ა ზ ი ს ა ი თ ა ყ ა ო ვ ხელითვა.

ქ. ხსენებული უფალი მედიატორების მარიფათით ამ განჩინების დამწერი და მოწამე ვარ ყოვლად უღირსი მიღმისი ტ ე რ-ს ი მ ო ნ ტერ-ოსეფოვი მოღწინისა. ხელითვა: ტ ე რ-ს ი მ ო ნ.

195. მედიატორეთა განჩინება დავითისშვილების ყმა-მამულის საქმეზე

1807 წ. 14 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7604. დედანი. ქაღალდი. 36,4×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ჩვენ, ქვემო ქელმომწერელნი, აღვგირჩივეს თავენთის კეთილის ნებითა თავადთ გიორგიმ და ბიძაშვილმან მისმან იოანემ დავითისშვილებმან და შეიკურნენ წერილითა **ჩყზ** წელსა, ივნისს **კ**ზ დღესა.

საქმისათვის ამისა შევკრფით. და ჯსენებულთა თავადთა მოიტანეს ყოველივე საბუთი დაწერილი და შექმნეს სარჩელი ძმობასა ზედა. და ჩვენ ლაპარაკი ყოველივე თვითეულად გამოძიებით მოვისმინეთ და ორთავეს წერილები ერთი ერთს უდგინეთ.

დავითისშვილის ელიზბარის შვილმან იოანემ წარმოადგინა განაჩენი საქართველოს მსაჯულთა მიერ დამტკიცებული და უმაღლესის მეფის ირაკლის მეორის მიერ ნამდვილითა ბეჭდითა აღბეჭდილი ქორონიკონს **უოა**, ივნისს **კდ** რიცხვს. ამ რიცხვში აღწერილი განაჩენი აცხადებდა ესრეთ:

დავითისშვილი ელიზბარ ჩიოდა გოგის სოფელზედაო, ჩემი და ჩემის სახლისკაცის ზა[ა]ლისა არისო და საკუთრად ზაალს უჭირავსო, რომე მე წილს არ მაძლევსო. ამისთვის მიეცათ განჩინება და გაეყოთ ხსენებული გოგის სოფელი შუა — ნახევარი ზაალისათვის მიეცათ და ნახევარი ელიზბარისათვისა. და რადგან უფროსი კაცშვილი ზაალ ყოფილიყო, საუფროსო ზა[ა]ლისათვის მიეცათ და საშუალო რაც დამდგარიყო, სამი წილი ელიზბარისთვის მიეცათ და მეოთხედი ზაალისთვისა. და ამავ განაჩენში აცხადებდა ყოველის მათის მამულისასა ადრევე ამ სახით გაყოფასა საუფროსოს და საშუალოს და სხუას დანაშთომისს შუა გაყოფასა. და პირველსავე გაყრაში გასამყრელოში აეყვანა ტატისშვილები თავენთის მამულით სანატრელს მეფეს თეიმურაზს და ამ გასამყრელოს ტატისშვილებს ბაღათარას შვილს ივანეს მისი ძმისწული პაპუასი და იოთამის და მათი ძმისა და სახლის კაცისა.

თავადმან გიორგიმ დავითო[ე]მან წყალობის წიგნი წარმოადგინა ღმრთისადმი განსვენებულის მეფის ირაკლისა, რომელშიაც

უცხადებდა საკუთრად ზაალისა და მისი შვილებისათვის ბოძებასა ქორონიკონს **უიზ**, იანვრის **ყ**.

და ამავ სიგლის წინააღმდეგად დავითისშვილმან იოანემ წარმოადგინა ტატისშვილის თამაზის ქვრივისა და ობლის იოთამასა და პაპუას არზა და არზაზედ მიწერილი სანატრელის მეფის ოქმი მსაჯულთშეკრებილობაზედ ფიცით მიწერილი.

და მსაჯულნიც ამტკიცებდენ წერილით რომ ეს ტატისშვილი აქამდინ ზაალს ეშირა და ახლა სამართლით დარჩა ელიზბარ დავითისშვილსაო, რომელიც იყო აღწერილი იგი განაჩენი ქორონიკონს **უო**, მაისს **კზ**. და ამასთან ავრეთვე წარმოადგინა საქართველოს მსაჯულთშეკრებილების განჩინება იოანემ, რომელშიაც აცხადებდა: ეს ტატიშვილი იოთამ, პაპუა და ივანე დავითისშვილის ელიზბარის ახნაურშვილნი არიანო და რომელსაც განჩინებას უმაღლესი მეფე ირაკლი ამტკიცებდა ქორონიკონს **უოა**, თიბათვის **ყ**. მსაჯულთაგან განჩინებულის წერილით და მეფის დამტკიცების ძალით ტატიშვილი იოთამ, პაპუა და ივანე თავენთის ყმითა და მამულით ელიზბარს დარჩომოდნენ და ელიზბარის შვილს იოანეს წილნი არიან საკუთრად; და გიორგის წარმოდგენილი წყალობის სიგელი დაყენებული შეიქნა ამ ზემოხსენებულის განჩინების ძალითაო.

თავადმან გიორგი დავითისშვილმან წარმოადგინა სანატრელის მეფის ირაკლის სიგელი დავითის დავითის ყმისა და მამულისა, რომ დავითისშვილს ზაალსა და იმისს შვილებისათვის ებოძებინა, რადგან ეს ხსენებული დავით უშვილოთ ამოვარდნილიყო და ცოცხალს-მკვდარზედაც შენ ჰირნახული გჭონიყო და დავითის წილი ყმა და მამული ხუთად შე[ე]ფარდებინა: სამი წილი ზაალისათვის ებოძებინა და ორი ელიზბარისთვის ქორონიკონს **უპ**, სექტემბრის **იბ**.

და ამას წინააღმდეგად იოანე დავითისშვილმან ამ სიგლის გამოუცხადებლობა და შეუსრულებლობა სამართალს მოახსენა და ავრეთვე ამასთან წარმოადგინა სიმართლით მოხსენება, რომ დავითის წილი ადრევე შუა გაყოფილი ჰქონებოდათ და სანატრელის მეფის ირაკლის ოქმიც წარმოადგინა, რომ დავითის წილი ნახევარი ელიზბარის შემდგომად ტატიშვილს ზურაბის და ციმაკურიძე სესიას და სხუა გლეხების ელიზბარის ობლების უმობას აცხადებდა, ქორონიკონს **უპბ**, ივლისს **ვ**.

და ამ ოქმის ძალით და გოგის სოფლის განჩინების ძალით ქორონიკონს **უოა**, თიბათვის **კდ** სამართლამან დაამტკიცა დავითის წილისაცა და სხუა ყოვლისავე ნახევრის რგება ყმისა და მამულის

დავითისშვილის ზაალისა და იმისი შვილებისათვის; და ნახევრისა რგება ელიზბარის შვილის იოანესი.

თავადი გიორგი დავითისშვილი ჩიოდა: დავითის წილი ყმა და მამული შანშე მილახვარმან იშოვაო და ამის ლაპარაკის გამოტანაზედ მრავალი შრომა და ხარჯი მომივიდაო.

ამისთვის იოანე მიუგებდა: მამას ჩემს ელიზბარს სიცოცხლის დროს დავითის წილი ყმა და მამული საერთოთ დარჩა და არავის ჩამოერთმევინაო. და რადგან მამის ჩემის სიკვდილის შემდგომად შენ ჩამოგართვეს, მაშ ვინ უნდა გარჯილიყო, რომ შენ არ გარჯილიყავ და არ გამოგეტანაო. და მე პატარას ჩჩვილსა ან რა ლაპარაკი შემეძლო და ან რა გარჯა. და ჩვენს საერთო ყმასა და მამულსაც შენ იხმარებდი და ჩვენის ყმიდამ და მამულიდამ თეთრიც მრავალი მოჰკრიფე და რაც დახარჯეო ჩვენის საერთოს ყმიდამ და მამულიდამ დახარჯეო.

და ჩვენ ამ საქმეზედ რომ ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ, ამისი სამართალიც ასე განვაწესეთ: იოანეს წილს ყმასა და მამულს ნახევარს სადავითისშვილოს გამოსავალი რა ერთს ხასსაც ზაალის შვილების ხელთ ყოფილა, რომე იოანე ობოლი არის და მოვლა არ შესძლებია და იმ ყმისა და მამულის გამოსავალიც უნდა სამართლით ანგარიშში ჩავარდეს და იმ გამოსავლის ფასი გამოსცხადდეს.

და ანუ თუ ყმიდამ და მამულიდამ გიორგი დავითისშვილსა დავითის წილს ყმისა და მამულის შოვნაზედ ხარჯი მოუკრეფია რამე, ისიც უნდა იანგარიშონ, ერთათ რიცხვი და[ა]ყენონ და მერმე, რომელსაც პეშმარიტებით და[ა]მტკიცებს დავითისშვილი გიორგი, რომ დავითის წილს მამულის შოვნაზედ დაუხარჯავს, და თუ ყმისა და მამულის შემოსავალი და ანუ მოკრეფილი[1] ყმისაგან თეთრი თუ ნეთი გოგის დანახარჯის სამაგიერო არ იქნება, რაც დაეღება, იოანე უნდა მოუდგეს ნახევარ ხარჯში.

ამას გარდა, თუ პირველსავე გაყრას დასჯერდებიან, რომ განაჩენიც აცხადებს ყმისა და მამულის შუა გაყოფასა და თავ-თავის წილის ხსოვნაცა აქვსთ, ხომ იმ პირველს შუა გაყოფილს და[ა]დგრნენ. და თუ იმ პირველ გაყოფილის ხსოვნა არა აქვსთ რამე, ის ახლა შუა უნდა გაიყონ. და კიდევ თუ პირველის გაყოფისა ბარათები აქვსთ რამე, და ის ბარათები ერთმანეთში საცილობელი არის, ბარათებიც გა[ა]რჩიონ ფიცით და პეშმარიტის საბუთით.

1 მოკრეფილი.

ჩვენ ასე გამოვიძიეთ და ასე დავამტკიცეთ.

და პაპუას სამაგიერო რაც ზაალისაგან მისცემოდეს, ის ისევ ზაალის შვილებს დარჩება. და დავითისა და ედიშერისა კი შუა უნდა გაიყონ.

და ზემო ორის ბარათის კაცზედ და ერთის ბარათის მამულზედ რომ დაობენ, იმისი გარჩევით ასე დაგვიწერია და ასე გაგვირიგებია: კლდის წყაროელი შიო პეტრიასშვილი და თორმანეული ხუციშვილი ნინია და საჭირნახულო მამულისა ღვერთეთს ქიტისშვილისა ან ზა[ა]ლის შვილებმა ბარათი უნდა მოიტანონ, რომ ეს კაცები და ეს მამული რგებოდეს. და ან ოთხის თავის კაცი შეუგდოს იოანემ და ამ ოთხში ერთი სხვის ყმა უნდა იყოს; და იმითი შეაფიცონ. და თუ შეაფიცონ, დარჩება ზაალის შვილებსა. და თუ ვერ შეაფიცეს, დარჩება იოანესა.

გარდა ზემო გარდაწყვეტილობისა, რაც ზაალს ნასყიდობა და დახსნილობა აქვს, ისიც საკუთრად ზაალის შვილებისა არის; იმაში ელიზბარის შვილს იოანეს საქმე არა აქვს.

და ან რაც პაპუა ტატისშვილ[ი]ს[ა] და იმის ძმებისათვის თავის საკუთარი მამული მიუცია თავადს ზაალ დავითოვს, ისიც ზაალის შვილებისა არის, პაპუას საქმე აღარა აქვს, რადგან იოანეს დარჩა პაპუა.

გორის უეზ[დ]ნის სასამართლოში რომე ულაპარაკნიათ ზაალ დავითოვსა და როსტომ შანშეს შვილსა, და რაც მაშინ მამულის გამოტანაზედ ხარჯი მოსვლია ზაალსა, იმისი ნახევარი უნდა მოსცეს ივანემა ზაალის შვილებსა თავისის ანგარიშით. ზაალს რაც საკუთრად კაცი მოსლოდეს, იმაში იოანეს საქმე არა აქვს რა.

ზემო რომ დავწერეთ პაპუას სამაგიეროსი დავითისა და ედიშერის წილი შუა უნდა გაეყოთ. დაწერის შემდგომად ზაალის შვილმან გიორგიმ მეფის ირაკლის ოქმი წარმოადგინა, რომელიც პაპუას სამაგიერო სრულებით ზაალისათვის უბოძებია; ის ოქმი გავშინჯეთ, შუაში ჩამატებული იყო ლექსი რაიმე, მაგრამ ჩვენის გაჩხრეკით ერთი ხელი იყო ის ოქმი.

და რადგან უბოძებია მეფეს ირაკლის და არც დასაყენებელი ოქმი ქონდა იოანე დავითოვსა, ამისთვინ ჩვენ იმის ბრძანებას ხელი ვერ შევახეთ. და ეს დავითისა და ედიშერის წილს, რომელიც პაპუასი სამაგიეროთ მიუციათ, ის დარჩათ სამართალით ზაალის შვილებსა. და იოანეს იმაში საქმე არა აქვს.

და ორმოცის კოდის პურისა ბარათი რომე აქვს ივანეს, ის გიორგიმ უნდა მოსცეს იოანეს.

და რაც დანახარჯის და ან აღებულის ანგარიშებია, აქ ჩვენთან უნდა მოიტანონ და ჩვენთან უნდა გარდასწყდეს.

ამისი ორი დაიწერა: ერთი მიეცა ელიზბარის შვილს იოანესა. და ეს იმისი თანამზგავსი მიეცა გიორგისა. ივლისის **იდ, ჩყზ** წელსა.

გორის უეზდის მარშალი თავადი გიორგი **კელს** ვაწერ თუ, სწორეთ იმ განაჩენის პირია. ხელთაჲ: ამილახვაროვი.

ხელრთულები: მსაჯული თავადი იოანე მაღალოვი
თავადი ბირთველ თუმანოვი
სტეფანე ალადათოვი

196. მედიატორეთა განჩინება ფალავანდიშვილების ყმა-მამულის საძმეზე

1807 წ. 30 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8021. დედანი. ორად გაკეცილი ქაღალდი. 35,5×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი, მძიმე და ორწერტილი.

ქ. თავიანთის კეთილის ნებითა აღგვირჩიეს მედიატორეთა თავადმან იაკობ ფალავანდოვმან და მისმან ბიძაშვილმან დიმიტრი ფალავანდოვმან ჩვენ — ქვემო ამისა **კელის** მომწერელნი და შეიკვრენ ჩვენთან წერილისა მოცემითა; და ჩვენცა თანამდებობისამებრ ჩვენისა მოვსთხოეთ ორსავ მხარეს წერილები და საბუთები თვისი და გავშინჯეთ მიწდომითა ჩვენითა; და ლაპარაკიცა ამათი ორისავ მხრიდამ მოვისმინეთ; და როგორც სამართლით გონებამან ჩვენმან დაგვანახვა საჩივრისა მათისა გარდაწყვეტა თვითეულ პუნქტებათ ქვემორე ამისა აღიწერება.

პირველი.

განსვენებულისა ტეტია ფალავანდოვის საწილოს ყმასა და მამულზედ ჰქონდათ ლაპარაკი: რომ ის ტეტია პირველად რევაზ ფალავანდოვს შეჰყროდა და შემდგომად მისსა რევ[ა]ზიდამ გამოსულიყო და შეჰყროდა ზაალ ფალავანდოვსა; და ამაზედ რევაზ ფალავანდოვს ეჩივლა მეფეს ირაკლისთან და მეფეს ოქმი ებოძებინა რევაზ ამილახვარზედ.

და რევაზ ამილახვარს ბრძანებისამებრ მეფისა გარდაეწყვიტა და განაჩენი მიეცა, რომელშიაც ასე აცხადებს: რომ ტეტიას წილი

ყმა და მამული ესრედ გაუყავითო, რომ ორი წილი[1] **ყაფლანსა** და მის ძმას **ბერს** და ერთი წილი რევაზ ფალავანდოვსაო; და რაც ტეტიას ვალი გამოჩნდეს, ვალიც ესრედ მისცენო: ორი წილი ყაფლანმა და მისმა ძმამ ბერმაო და ერთი წილი რევაზმაო. და ამაზედ ბარათებიც **კელთ** ეჭირათ, რევაზ ამილახვრისაგან მიცემული.

ჩვენ რომ გავშინჯეთ ეს წერილები, იაკობ ფალავანდოვს მოვჰთხოეთ საბუთი და იაკობმა წარმოადგინა მეფის ირაკლისაგან მოწერილი ოქმი ამილახვარს იასესა ზედან; გარნა ოქმითა მით არარა მისცემია ამილახორისაგან გარდაწყვეტა საქმისა და ოქმი იგი უქმათ ჰქონია იაკობ ფალავანდოვსა.

და ჩვენ რომ გავშინჯეთ პირველს ბრძანებითა მეფის ოქმით გარდუწყვეტია ამილახვარს რევაზსა და დაგვანახვა ჩვენმან გონებამან, რომ განაჩენი იგი ამილახვარის რევაზისაგან მიცემული მტკიცე არს. და სარწმუნოს გვამს როსტომ ფალავანდოვსაც ეჰკითხეთ ამ საქმის ვითარება და მანც ესრედ აღმოაჩინა, როგორათაც ამილახორს რევაზს გაურიგებია.

და ხედება ტეტიას საწილოდამ ორი წილი ყმა და მამული ბერის შვილს დიმიტრი ფალავანდოვს; და მესამედი ნაწილი ტეტიას საწილოსი ხვედრი არს იაკობ ფალავანდოვისა. და ეგრეთვე თუ ვალი აღმოჩნდება, ვალიც ასე უნდა გარდუხადონ ტეტიასა და საკელმწიფო ხარჯიც ამავ რიგად უნდა გაიღონ.

როგორც რევაზ ამილახვრისაგან მიცემული და გარდაწყვეტილი განაჩენი და ბარათები აცხადებს, ჩვენც ისე გარდავგიწყვეტია და ისე უნდა განიწილონ ტეტიას საწილო ყმა და მამული.

მეორე.

საერთოს ყმას სიქტურაშვილებზედ ჰქონდათ ლაპარაკი; და იაკობ ფალავანდოვი აჩენდა თავისგან გარჯილობით საჩივრით გამოტანასა და ითხოვდა სიქტურაშვილებსა და მათს მამულზედ საჭირნახულოსა.

და მოვიკითხეთ ჩვენ ფალავანდიანთში ავნევის მამულსა და სიქტურაშვილის გამოტანაზედ გარჯა და გვარწმუნეს ჩვენ როსტომ ფალავანდოვმა და სხუათაცა, რომ აქვს გარჯილობა იაკობსაო.

და მეფის ვახტანგის კანონის მიხედვით ამ სიქტურაშვილებისა და ავნევის მამულის გამოტანისათვის მივეცით იაკობ ფალავანდოვს საჭირნახულოდ სოფელსა თამარაშენსა ექვ-

[1] + ორი წილი.

სის დღის მიწა ზვარსა და ხოდაბუნს გარდა საგლეხოს მამულიდამ*; მიიღოს იაკობ ფალავანდოვმან იმ თამარაშენშია, საცა უნდოდეს, საგლეხოშია.

და სიქტურაშვილები ავნევის მამულით თავიანთის შეფარდებით გაუყავით და რადგან ბერის შვილს დიმიტრის საუფროსო ერგებოდა, რჩევა ითხოვა და ვარჩევინეთ სიქტურაშვილი ბერი თავისის ძმებითა და მამულითა, რომ ცალკე ბარათები მივეცით. და რაც ამ სიქტურაშვილებიდამ და ავნევის მათის მამულიდამ საუფროსო ერგებოდა, ამ რჩევით აყვ[ა]ნაში მიითვალა დიმიტრიმან.

მესამე.

ბერს ფალავანდოვს კნოლეს ციმაკურიძის მამულიდამ ნახევარი რომ შემარზანაშვილისათვის მიუყიდნია და შემდგომად სიცოცხლესავე ბერი ფალავანდოვისასა ის მამული იაკობ ფალავანდოვს უყიდნია; და იმ მამულის სყიდვაზედ ბერი ფალავანდოვი აღარ გამოჰკიდებია იაკობსა. და ვჰკითხეთ შერმაზანოვსაცა ვითარება მამულისა მის სყიდვისა. დაგვანახვა სამართლით გონებამან ჩვენმან: იმ ნასყიდს მამულზედ ვეღარას შეუვა იაკობსა და ის ციმაკურიძის მამული ნასყიდიცა და სხვა დანარჩომიცა დარჩა იაკობსა, რადგან თავისავე სიცოცხლეში ბერს გასყიდვით თითონვე განუწილავს და გაუყვია.

მეოთხე.

ბერს ფალავანდოვს აჭარაძისათვის რომ მიწა მიუცია და მცირე რამ გამოურთმევია, რომ ჩვენ ზედმიწევნით გამოვიძიეთ, ის მიწა აჭარაძეს ვენახათ აუშენებია და აჭარაძე აყრილა და კახეთს გასულა და ბეითალმანათ დარჩენილა; და ის ვენახი იაკობ ფალავანდოვს შეუმუშავნია; წრევანდლობით იმ ვენახის გამოსავალი იაკობ ფალავანდოვმან უნდა საყუთრად მიიღოს. სთველს უკან ის ვენახი უნდა გაიყონ: ორი წილი ბერი[ს] შვილს დიმიტრის და მესამედი იაკობს, როგორც ტეტიას წილის მამულის ნაწილი ხვდებათ.

მეხუთე.

ბერის შვილი დიმიტრი ამას რომ უჩიოდა, რომ ჩემს წილად ნარგები ნებალაძე იაკობ ფალავანდოვმა გამიყიდაო, ეს გავ-

* აქ ჩამატების ნიშანია, ხოლო მარჯვენა კიდეზე გასწვრივ მიწერილია: „ამ პუნქტში იაკობისაგან ექვსის დღის მიწა რომ სწერია თამარაშენს საჭირნახულოდ, საერთოს გაუყოფელის მიწიდამ უნდა საგლეხოდამ მიიღოს და მიეცეს. და სხვა დანარჩომი როგორც წილი ხვდებათ, გაიყონ. ბეგთაბეგოი“.

შინჯეთ ჩვენ, რომ იმ ნებალაძეზედ დიმიტრი იაკობს ვეღარას შეუვა და ვერც ედავება. იაკობმა ასეთი საბუთი აღმოაჩინა, რომ თვით დიმიტრიმაც დაინახა იმ ნებალაძეზედ სიმართლე იაკობისა.

მეექვსე.

იაკობ ჩიოდა: ნასრაძე ბიძაჩემმა ბერმა გაყიდაო. ამაზედ პასუხი მოვჰთხოეთ ბერი[ს]შვილსა, წარმოადგინა იმ პაპუჩაშვილის ნასრაძისა განაჩენიცა და ბარათიცა, რევაზ ამილახვრისაგან განაჩენით მიცემული, წილში ხდომილი საკუთრად ბერისა ყოფილა ის ნასრაძე პაპუჩა[ს] შვილი; იმ ნასრაძეზედ ვერას შეუვა იაკობ დიმიტრისა. და იმ ნასრაძის მამული გასაყოფი არის ამ რიგად, რომ ტეტიასაც წილი აქვს იმაშია; და რადგან ორი წილი ტეტიას მამულისა ხვდება დიმიტრისა, იმ ნასრაძის მამულიც იმ რიგად უნდა გაიყონ.

მეშვიდე.

რომელიც ნასყიდი სასახლე აქვსთ ძაღინასა წილში ხდომილი და რგებია ბერს ფალავანდოვსა და არის იმ სასახლის მარანში ქვევრები და ანუ გარეთ ბაღის ქვევრი და ამაზედ ჰქონდათ ლაპარაკი, რომ გასაყოფი არისო. ამ ქვევრების ვითარება ვჰკითხეთ ჩვენ სარწმუნოს გვამსა როსტომ ფალავანდოვსა და აღმოაჩინა, რომ გასაყოფი არისო. და ჩვენც დაგვანახვა გონებამან და მიწდომამან, რომ იმ მარნის ქვევრებისა და ანუ სხვა გარეთ ქვევრებისა განწილვა არ უჩნდათ და არც წერილი ჰქონდათ.

დავსდევით ქვევრები გასაყოფად. როგორც ამ პუნქტსა შინა განცხადებულ არს, უნდა იმ ქვევრებიდამ ანგარიშით კანონისამებრ მეფის ვახტანგისა აიღოს საუფროსო ბერის შვილმა დიმიტრიმა; და დანარჩომი შეფარდებით სამ წილად გაიყონ: ერთი წილი ბერი[ს]შვილს დიმიტრისა, ერთი წილი იაკობსა. და მესამედი რომ ტეტიას წილად დაიდება, იმ ტეტიას საწილოც განჩინებისამებრ უნდა გაიყონ — ორი წილი დიმიტრისა და მესამედი იაკობს.

ამას გარდა ეგრეთვე საცა მამულებში ქვევრები გამოჩნდეს, თავ-თავის წილში ხდომილს საგლეხოს გარდა, ის ბეითალმანი ქვევრებიც ამ რიგად უნდა გაიყონ. და თუ იაკობს საერთოდამ ქვევრი აქვს მოტანილი და საბუთს უჩამს დიმიტრი, ისიც ამ რიგის ანგარიშით იაკობმა თავის წილად ჩაიგდოს. და თუ იაკობს იმ მარნიდამ ქვევრი ერგოს, ნუ მოუთხრის იმ მარანში, დიმიტრის დაანებოს და მაგიერი ქვევრი სხვა მიიღოს ამისთვის. და ამისთვის განეშოროს, რომ შფოთი არა მოუხდესთ რა.

მ ე რ ვ ე.

რომელიც თავ-თავის საწილოდ ხდომილსა ყმისა და მამულის სიები აქვსთ და უჯირავსთ და დღეს იაკობს დაჩემებული აქვს, და დიმიტრი რადგან ყმაწვილი და ობოლი არის და არც მაგდენი თავისის მამულის განრჩევა იცის, ამისთვის თანამდებ არს იაკობ ფალავანდოვი, რომ განურჩიოს მამული და მოსძებნონ და თავ-თავისი საწილო მამული იპოვნონ. გასაყოფი როგორც წილი ხვედებათ, ისე გაიყონ.

და რომელიც მამულები უჭირავს იაკობს საგლეხოები, იმაზედ უნდა არწმუნოს დიმიტრისა საბუთით და მოწმითა, რომ თავისი საწილოს ყმის მამული იყოს და არა საერთო და მისი მაგიერი უნდა უჩვენოს დიმიტრისა.

და თუ საბუთითა, მოწმითა და გულის ჯერებით ვერ განურჩევს და არც მაგიერს უჩვენებს, თუ იაკობს მეტი რამ მამული დაუჩემებია, ის მამული გასაყოფი იქნება, უნდა როგორც წილი ხვედებათ, ისე გაიყონ.

მ ე ც ხ რ ე.

ტეტიას რომ გივი[ს] შვილის სისხლი დასდებია და იმისი სისხლი რევაზს გარდაუხდია, რომ გივი[ს] შვილის ს ვ ი მ ო ნ ი ს ა გ ა ნ გარდაწყვეტილობის წიგნი ჯელთა აქვს იაკობსა, და მ ე ფ ე ს ი რ ა კ ლ ი ს თ ა ნ ა ც უჩივლია, რომ ტეტიას ვალში მამაჩემს რვა თუმანი თეთრი, ოთხმოცი კოდი პური და ოცი კოდი ქერი მიუციაო. ამაზედ ბერის შვილს დიმიტრის პასუხი მოჰთხოვეთ და ეს პასუხი მოგვცა: მანამდინ მამაჩემი ცოცხალი იყო, რატომ იმას არ სთხოვაო. და ამისი ვითარება სარწმუნოს გვამს როსტომ ფალავანდოვსაცა ვჰკითხეთ და მანც აღმოაჩინა და გვარწმუნა, რომ საერთობა[1] კი არ ვიცი, და ტეტიას ვალზედ დანახარჯი აქვს იაკობის მამას რევაზსაო.

ამ საბუთების მიხედვით ხვდება[2] დიმიტრისა, რომ რადგან ტეტიას წილისა ორი წილი ყმა და მამული მიიღო, ამ იაკობის მისაცემიც რაც ტეტიაზედ დანახარჯი აქვს, ორი წილი უნდა მიეცა. მაგრამ რადგან დიმიტრი ამას ამბობს, რომ არ დაგიხარჯავს რა ტეტიაზედაო და არც იმისი ვალი გარდგიხდიაო, ამისთვის ფიცი ხვედება დიმიტრის; იაკობმა ოთხი გლეხი კაცი უნდა შეუგდოს თავისის საყმოსი და ოთხიდამ ორი კაცი უნდა წარმოადგინოს და ჯვარსა და

1 რაერთობა. 2 ხვედება.

სახარებაზედ ფუცონ, რომ არც დანახარჯი ჰქონდეს იაკობსა და არცარა ტეტიას ვალი გარდაეხადოს.

თუ ასე იფიცევენ, იაკობ ვეღარას შეუვა და ვეღარც ედავება. და თუ ვერ იფიცევენ, რადგან დიმიტრი ყმაწვილი და ობოლი არის და არც ხსოვნა და ცოდნა აქვს ამ საქმისა, ამისთვის მოვჰჭერით და შეუმსუბუქეთ: თუ კაცნი ვერ შეაფიცა, ექვსი თუმანი უნდა მისცეს დიმიტრიმ იაკობსა.

ამათი სამართალი ესრედ გარდასწყდა. თვესა სეკდემბერსა **ლ**, წელსა **ჩყზ**.

თავადი ბ ე გ თ ა ბ ე გ ბ ე გ თ ა ბ ე გ ო ვ ი
თავადი მ ხ ა რ გ ძ ე ლ ი ი ო რ ა მ ფ ა ვ ლ ე ნ ო ვ ი
თავადი ე ლ ი ზ ბ ა რ თ ა ქ თ ა ქ ო ვ ი.

197. განჩინება ხონის ეკლესიისა და ფალავნების ყმის საქმეზე

1807 წ. (?)

დედანი დაკარგულია. ტექსტი გაუმართავად დაბეჭდილია: ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქ. საეკ. საბ. II, გვ. 158.

ქ. დავსხედით ბჭენი და მოსამართლენი და მთავარეპისკოპოსის მაგიერი კაცი მ ა ხ ო ბ ა ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე და მ უ რ ძ ა ყ ა ნ ფ ა ღ ა ვ ა ს ა და ზ ა ალ ფ ა ღ ა ვ ა ს შვილები გავაბჭვეთ.

მ ა ხ ო ბ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: დასაბამიდგან ხონის ეკლესია და წმინდის გიორგის ხატი რომ ხონს გაკეთებულა, მას დღეს აქეთ წ ი რ ქ ვ ა ძ ე ნ ი თავისი ყოფა-ცხოვრებით ხატის არის, და თქვენ გვართმევთ და არ ანებებთო, და ვდაობთო.

ფ ა ღ ა ვ ა მ უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, წირქვაძენი ხატის ყმა არის და არც გეცილებით და არც გედავებით, მაგრამ ეს ერთი მოსახლე კაცი ჩვენს პაპას ყოლია, ჩვენ მამის მამას ყოლია, და ჩვენმა მამამ ჩვენ დაგვიტოვა და გვყავს; ეს არც ხატის არის და არც სხვისი არის; ჩვენი ჩვენ გვყავს, თქვენ ხელი არა გაქვსთო.

მ ა ხ ო ბ ა მ ა შ ო რ ო ს თ ქ ვ ა: თქვენს ძველს და არც ახალს იმ გლეხშიდ ხელი არ გქონდესთ, რაც ხატის არ არისო.

აწ ეს გავსინჯეთ, მაგრამ სიგელი არც ფალავას აქვს და არც ხატისა და ეკლესიის არის; და ვერც სწორი და მომსწრე მოწამე ვნახეთ. და ეს გლეხი დიდის ხნით ფალავას ყოლია, დღესაც ფალავას ყავს და სამართალი ფალავას დარჩა.

და ასე გავაჩინეთ: იმ გლეხშიდ რამდენიც კაცისული იყოს, იანგარიშონ და თითო კაცისულზედ ექვს-ექვსი გლეხი კაცი დააფი-

ცოს ფაღავამ, ასე რომ: «ჩემის პაპისა და მამის და ჩვენის ძველის რაც არ არის, ის ერთი გლეხი წირქვაძე არც ხატის და არც ეკლესიის არ იყოს; და არც ჩვენს მამა-პაპას და არც ჩვენ იმაშიდ შემცილე კაცი გვყავდეს».

თუ ასე დაიფიცონ, რას ვინმე ემართლება. და თუ ვერ დაიფიცონ, ტყუვილა დაუკავებია ფაღავას, დღემდის ძალით სჭირვია და დღეს ხატსა და ეკლესიას უნდა დაუტოვოს. ფაღავას იმ გლეხშიდ ხელი აღარ ექმნება.

ორი ბეჭედი:

1. ბატონიშვილი ნიკოლოზ.
2. ლეჩხუმის სარდალ-მოურავი გელოანი ბერი.

198. მედიატორეთა განჩინება ამილახვართა ყმა-მამულის გაყოფის საქმეზე

1808 წ. 10 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6480. დედანი. ქაღალდი. 35×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და წერტილმძიმე.

წელსა ჩყჱ, თებერვლის ი თავადთა ამილახორიანთაგან გაყოფისათვის თავეთის ყმისა და მამულისა ჩვენ — ქვემორე ამისა ჯელის მომწერელთა აღმორჩეულთა მედიატორთაგან თანდასწრებით და ოთხთავე ძმათაგან შეფარდებით მიეცათ თავ-თავის ხვედრად ქვემორე ამისა ხსენებულნი და სახელისდებით აღწერილნი აზნაურნი თავეთის ნაქონების ყმითა და მამულით, დღეს რისაც მჭონებელნი არიან. ნიკოლოზის

ქ. ერთს წილად ერგოთ ომანის შვილის შვილს ნინიას და ბეჟანის შვილს იოანეს:

ტარშაიჰაშვილი ლუარსაბ ყმითა და მამულით, დღეს რისაც მჭონებელი არის;

მათუნაშვილი დავით ყმითა და მამულით, რისაც მჭონებელი არის იმით და თავისის სასახლისკაცოს მამულით;

ბასილაშვილი გიორგი ყმითა და მამულით, რისაც მჭონებელი არის;

ბასილაშვილი დავით თავისის ყმითა და მამულით, დღეს რისაც მჭონებელი არის;

მურაჩაშვილი დავით ყმითა და მამულით, რისაც მჭონებელი არის;

ჩიკოიძე ნინია ყმითა და მამულით, დღეს რისაც მჭონებელი არის. ნიკოლოზის

ქ. ამის ფარდათ ერგო ამილახვარს გიორგის თავისის ძმებით:

უანჩაელი ბიძინა ყმითა და მამულით და თავისის ძმისწულით;

ზაალიშვილი ზურაბ თავისის ყმითა და მამულით;

ალექსიშვილი ეფთვიმე ყმითა და მამულით;

ქარუმიძე ზაზა ყმითა და მამულით;

ბასილაშვილი სოსია ყმითა და მამულით;

ალექსიშვილი ნინია ყმითა და მამულით.

ესენი თავეთის ყმითა და მამულით დღეს რისაც მჭონებელნი არიან, ერგნენ ზემოხსენებულის წილის ფარდათ გიორგი ამილახვარ[ს] თავეთის ძმებით. ნიკოლოზის

ქ. ამათს ფარდათ ერგო ამილახვარს ოთარს და აღათონიკეს და ერასტის თავისის ძმებით:

ლიპარიტიშვილი ზურაბ თავისისა და თავისის ბიძის ყმითა და მამულით;

ჩიკოიძე რევაზიშვილი ჩიკო ყმითა და მამულით;

ქარუმიძე გლახა ყმითა და მამულითა;

ზაალიშვილი ზურაბ თავისის ყმითა და მამულით;

უანჩაელი ზაალ;

ფეშანგათი ყმითა და მამულით;

ძაგანიშვილი გოგია ყმითა და მამულით.

ესენი თავეთის ყმითა და მამულით, დღეს რისაც მჭონებელნი არიან, ერგნენ ამილახვარს ოთარსა და ერასტის თავეთის ძმებით. ნიკოლოზის

ქ. ამათს ფარდათ ერგოთ გივის შვილებს ბარძიმსა და იოანეს:

ქარუმიძე სესია ყმითა და მამულით;

პაატიშვილი სოლომონ ყმითა და მამულით;

ჩიკოიძე ზაალ ყმითა და მამულით.

ეს სამი კომლი აზნაურშვილი თავეთის ყმითა და მამულით დღეს რისაც მჭონებელნი არიან, ერგოთ ბარძიმსა და იოანეს. ეს

გივის შვილების ფარდი ამისთვის არის ზემოხსენებულს ფარდებზედ ნაკლები, რომ ამათი ნახევარი წილი ადრევე დემეტრე ამილახვარიშვილის წილად იყო გატანილი.

თებერვლის ი, ქორონიკონს უჟვ.

ტარშაიჭაშვილზედ აძეს თავისივე ბიძაშვილის ბეითალმალი მამული ბეშოეთს. ნიკოლაოს

ქ. ამ ფარდებში არცარა ჩაწერილია და არცარა ამოფხეკილი და ყოველის ფარდის დასასრულზე ბეჭედი დაგვისვამს და ალარცარა ბეჭედს უკან მოგვიწერია.

კოლეჟსკი[1] სო[ვ]ეტნიკი თავადი ალექსანდრე ხელრთვა:

იოანე თურქისტანოვი.

ტიტულარნი სოვეტნიკი ნიკოლაოს ონიკოვი.

კიდეზე: კეთილშობილი ალექსის ძე დავით რექტორი.

199. მედიატორეთა განჩინება ვახტანგ ორბელიანისა და ზაალ ზურაბოვის მამულის საქმეზე

1808 წ. 20 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10075. დედანი. ქაღალდი. 35×22,6 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი და მძიმე.

ჩვენ, ქვემო ხელის მომწერელნი ალგვირჩიეს ბჭედ მათმა ბრწყინვალებამ თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა და თავადმა ზაალ ზურაბოვმა და კანონისამებრ ჩვენთან წერილითაც შეიკრნენ და გვთხოვეს: მაშავრის ხეობაზე სოფლის ღორისთავისა და სოფლის ისპიანის სამძლვრებზედ ცილობა გვაქვს, გამოგვყევით, ის სამძლვრები გაშინჯეთ და სამართალი მოგვეცითო.

თხოვისაებრ მათისა გავყევით და მივედით იმ სადაო სოფლებში და ამ სოფლების სადაო სამძლვრები გავშინჯეთ.

თავადმა ზაალ ზურაბოვმა იარალისშვილისაგან სოფლის ისპიანის ნასყიდობის წიგნი წარმოაყენა, რომელშიაც სოფლის ისპიანის ოთხისავ მხრის მიჯნები ნიშნეულად გარჩევით ეწერა.

1 კოლესკს.

მათმა ბრწყინვალებამ თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა თქვა: როგორც ეგ ნასყიდობის წიგნი ნიშნამს, მაგისი ყაბული მაქვსო.

ამ ისპიანის სოფლის სამი მხარე არც სოფლის ღორისთავის სამთი იყო და არც დაობდა ამ სამ მხარეს თავადი ვახტანგ ორბელიანოვი; მხოლოდ ღორისთავის სოფლისაკენ რომ საბადური ჩამოვარდება და ღელეო, ამაზე ჰქონდა ცილობა.

რომელიც მახლობლად ზედ ისპიანისა არის მაშავრის მდინარისაკენ წაკიდებული მაღალი კლდიანი ადგილი, ამასა და ისპიანის სახნავს მამულს შუა ჩამოივლის პატარა წყლიანი ხევი; და ამაებს ნიშნევდა საბადურად ღელეთ თავადი ვახტანგ ორბელიანოვი, რომ ეს აქამდის ჩემის სოფლის ღორისთავის მამული არისო; და საბადური და ღელეც ეს არისო.

მაგრამ თავადი ზაალ ზურაბოვი სხვასა და სხვას ალაგებს უჩვენებდა, ეს არის საბადური და ღელეო; და ჰქონდათ ამაზე ცილობა.

და ამ ზემოხსენებულის ნასყიდობის წიგნსა კიდე არც წერილი, არც საბადურის ნიშნეულად მცოდნე კაცი არავინ ჩნდა.

და ამ ზემოხსენებულის ნასყიდობის წერილის ძალით ეს საბადურად დანიშნული ადგილი დიდის გამოძიებით გავშინჯეთ, ვნახეთ, რომ ეს მაშავრის მდინარის წყლისაკენ წაკიდებული მაღალი კლდიანი ადგილი ჩავარდება, ღელე ჩაუვლის, გზა არის და წავა ღორისთავის სოფლისაკენ.

ამ ხსენებულს ადგილში არის ნასახლარები ქვით შენებულნი, საწნახლები, ქვევრი, კალოს ადგილები და სასაფლაო სოფლისა. და ამათ გამო გამოჩნდა, რომ ეს ადგილი სწორეთ სოფლის ისპიანისა და სოფლის ღორისთავის სამძლვარი ყოფილა და ისპიანის სოფლის მამული; და ზედ სამძლვარზედ მდგარა სოფელი ისპიანი.

და ჩვენც ასე დავინახეთ, რომ ამაშიდ თავადს ვახტანგ ორბელიანოვს საქმე არა ჰქონდა რა; და დავანებეთ თავადს ზაალს ზურაბოვს; რომ ამაში თავადს ვახტანგ ორბელიანოვს დღეის იქით სადაოთ საქმე აღარა აქვს რა.

ამ ზემოხსენებულის ადგილიდამ მოკიდებული ღორისთავის სოფლის მხარეს რაც ჭალა და ადგილი არის, სრულებით ღორისთავის სოფლის მამულად აღმოჩნდა და სამართლით დავანებეთ თავადს ვახტანგ ორბელიანოვს; რომ ამაში თავადს ზაალს ზურაბოვს სადაოთ საქმე აღარა აქვს რა.

მეორესაც ამავ ღორისთავის სოფლის ბოლოზედ ეცილებოდა თავადი ზაალ ზურაბოვი, რომ ამ მაშავრის გამოღმა პირზედ ამ შენის სოფლის ბოლოს მეც მამული მაქვსო.

თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა მოგვიყვანა ამ თავის სოფლის ბოლოს და გვიჩვენა თავისი ნაზვრევი, ბაღი და წისქვილი და გვითხრა: ესენიცა და ეს ძეძვნარიანი სახნავი ალაგიც ჩემი არისო და ამ[ა]ს ამ გამოღმა საქმე არა აქვს რაო. და კურთხეულს მამა მაგისს ნაზირს დავითს გაღმა კიანეთი ამ რამდენსამე წელიწადს წინათ შენათ ჰქონდაო და რატომ მაშინ ის არ მედავაო. და იმ ჟამად თვითონ მამა მაგისმა დამატარა და მაჩვენა გაღმა და გამოღმა, რომ ესე[ე]ბი სულ შენი მამულები არისო.

მაგრამ თავადმა ზაალ ზურაბოვმა პირველის ირაკლის მეფის დროსი ერთი წერილი მოიტანა მეჯინიბეთხუცის რუსებ იაროსლაშვილისა და ინდო გაბაშვილისა; ისინი სწერენ ესრეთ: მოვედით მეფის ირაკლის ბრძანებით რევაზ ზურაბის შვილისა და ყაფლანის შვილის სულხანის მამულების გასარჩევათაო. და გაურჩევიათ თავს კიანური და ჯალდმური სამძღვარი.

და მასუკან კიდევ სწერენ: წყალს გაღმა კიანური და ღორისთული სამძღვრები ვნახეთო და გაუსამძღვრეთო: სერსერი ჩამოიტანს, სახნავამდის ძეძვნარი, იმის ჩამოსწვრივე წყლის პირამდის და საწყლისპირო დარჩა სულხანსაო, და სერს იქიდამ სახნავით წყლის პირამდის დარჩა რევაზსაო.

ამის პასუხად უგებდა თავადი ვახტანგ ორბელიანოვი, რომ: ეგ წერილი გაღმა ჯალდბისა და კიანეთის თავისა და ბოლოს განსაზღვრასა ნიშნამსო, რომელიც კურთხეულს მამაშენსაც ჩემთვის უჩვენებიაო; და წყალიც ის არის, ქოსასპირის პატარა წყალი რომ ჩამოდის და ძეძვნარიც იქ არისო. და იმ ქოსასპირის წყლის გაღმა, ჯალდმის მხარეს, მაშავრის წყლის პირამდის სულხანისათვის დაუნებებიათო, და კიანეთის მხარე ესრეთვე მაშავრის პირამდის რევაზისათვის დაუნებებიათო. და უწინ ჯალდამს ღორისთავი სწოდებიაო, რომ ამის წერილს მოგიტანთო. და არც ამ გამოღმა ჩემის სოფლის ღორისთავის ბოლოზედ ამას არც მამული აქვსო და ტყუილათაც მედავებაო.

ამის პასუხად თავადმა ზაალ ზურაბოვმა წერილითაცა და მრავალჯერ სიტყვითაც და[ა]მტკიცა, თუ ჯალდამს რომელსამე დროს ღორისთავი სწოდებოდესო და ამის წერილს მოიტანსო, ჩემი სიტყვა ამ საქმეში მტყუანი იყოსო.

შემდგომად ამისსა წარმოადგინა თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა მოთაბარი ნასყიდობის წერილი თამაზის შვილის შიოშისა, მისის ძმებისა და შვილებისაგან მიცემული, რომელშიაც ესრეთ სწერენ: მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი და სამკვიდრო უცილობელი მამული ჯალდამს, რომელსა ეწოდების ძველადგან ღორისთავი. და ამან დაამტკიცა, რომ პირველ ჯალდამს ღორისთავი სწოდებია.

ამათი ლაპარაკი და სადაო ალაგებიც რომ გავშინჯეთ და ამისი სხვა მახსოვარი და ნიშნეულად მცოდნე კაცი არავინ ჩნდა. ამის გამო სამართლის ძალით ამათს საქმეს ფიცით გაწმენდა ეპირებოდა და ჩვენ ორისავე კერძოდ უფიცრობა სამჯობინარად დაგვინახეთ და სადაოც მცირე რამ იყო.

და ამ ზემო თქმულთ მიხედვითაც და სამართალმაც ასე დაგვანახვა, რომ ამ სადაო ალაგში თავადს ზაალ ზურაბოვს საქმე არა ჰქონდა რა. და ესეც დარჩა თავადს ვახტანგ ორბელიანოვს. რომ დღეის იქით სოფლის ღორისთავისა არც თავსა და არც ბოლოს სადაოთ საქმე აღარა აქვს რა თავადს ზაალს ზურაბოვს. თავადის ვახტანგ ორბელიანოვისა არის სრულად ღორისთავი სოფელი თავსაცა და ბოლოსაც, როგორც ამ წერილით გავარჩიეთ და გარდავსწყვიტეთ.

ამისთანა ორი დაიწერა: ერთი თავადს ვახტანგ ორბელიანოვს მივართვით და მეორე თავადს ზაალ ზურაბოვს.

აღიწერა **წელსა ჩყჱ, ფებერვლის კ.**

თავადი ელიაზარ ფალავანდოვი.

თავადი სომიხითის მელიქოი მინბაში. ხელრთა:

200. განჩინება დემეტრე ციციშვილისა და ლუარსაბ ლოლაძის სასისხლო საქმეზე

1809 წ. 7 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 830. დედანი. ქაღალდი. 21×17,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ხიმშიაშვილი დემეტრე უჩიოდა ლოლაძეს ლუარსაბს: შენმა შვილმა მუახლე გამიწბილა; და ჩემ[მ]ა მეუღლემ შეუტყო, თავისი გოგო დაიჭირა და გალახა; და იმისი ცემა რომ შეტყუევით, ორნივ მამა-შვილნი მისცვინდით და მრავალი სცემეთ ჩემს მეუღლეს და ათრიეთ და თმებიც აგლიჯეთო.

ლოლაძემ ლუარსაბ უპასუხა: მართალია, შენი ცოლი მოგვიხდა, უშვერის პირით გვლანძღა და ქვის სროლა დაგვიწყო. და ჩვენც მართალია, დავკარით ხელი.

მოვაყვანინეთ დემეტრეს ცოლი; ვნახეთ, რომ დიაღ მძიმედ გალახული იყო, და თმების ნაგლეჯიც გვაჩვენა. ჩხუბში დამსწრები ვინც იყვნენ, იმათაც ვკითხეთ. იმათთაც თქვეს დემეტრეს ცოლისაგან ლოლაძის ცოლის ლანძღვა და ქვის სროლა; ლოლაძისაგანაც გალახულობა დემეტრეს ცოლის იმათაც იმოწმეს, ჩვენც ვნახეთ, რომ მძიმეთ იყო გალახული.

და ჩვენც სამართლის წიგნი გავსინჯეთ. დიდის კაცის მუახლის სისხლი მსახურის სისხლათ სწერია: თუ მუახლე ან გააგდო ან გა[ა]ხეიბრა, სრული მსახურის სისხლის სდის; თუ არც გა[ა]ხეიბრა და არც გა[ა]გდო— ნახევარ[ი] სისხლი თორმეტი თუმანი ეწერა.

რადგან დიდი კაცის მუახლის თორმეტი არის, ჩვენ ამისი ასე გავაჩინეთ: მუახლეს ხომ ვერ გა[ა]გდებს და ვერც გა[ა]ხეიბრებს; ამისთვის გავაჩინეთ მუახლის სისხლათ სამი თუმანი; გალახვისათვის გავაჩინეთ თუთხმეტი თუმანი.

თუმცა მეტი გაუჩნდებოდა ისე მძიმეთ გალახვისათვის, მაგრამ რადგან ამ დემეტრეს ცოლს პირში ასე ავათ უგინებია, იმ გინებისათვის თხუთმეტი თუმანი მოუპერით; და თხუთმეტი თუმანი კი უნდა მისცეს დემეტრეს ლოლაძემ და სამი თუმანიც მუახლის სისხლი უნდა მისცეს, რომ იქს სულ ერთიანათ თვრამეტ თუმანს.

დავით აბაშიძე! შენ უნდა ეს ასე გა[ა]რიგო. ლოლაძეს იასოულათ უნდა და[ა]დგე და თვრამეტი თუმანი დემეტრესათვის უნდა მიაცემინო. სეკდემბრის **ზ**, ქორონიკონს **უუზ**.

ხელრთვა: მიხაილ*

201. მედიატორთა განჩინება ზაალ ბარათოვისა და შაქარა შანშიაშვილების საქმეზე

1810 წ. 24 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2580. დედნის შავი. ქაღალდი. 33×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი.

ჭ. აღმოვგვირჩივეს მიდიატორედ ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, თავადმა მარშალ-მორდალმა ბარათოვმა ზურაბის შვილმა ზაალმა და შანშიაშვილმა შაქარამ და დავითმა, ჩვენ თქვენის სიმართლის ყაბულნი ვიქნებითო ორნივე მხარენიო და წერილით შეიკრვნენ ჩვენთან.

* გვარი არ ირჩევა.

შანშიაშვილი შაქარა მიუგებდა: ჩვენის სოფლის სახუნდრელი სარუხანასშვილი სარუა ჩვენი მკვიდრი ყმა არის და მაგას ემსახურება. ამდენი ხანია მაგის სამსახური მაკლიაო.

მორდალი ზაალ მიუგებდა: ეს ბიჭი ჩემის ყმის შვილი კი არ არის, მაგრამ პატარა მოგვივიდა, გავზარდეთ, დიდძალი ღვაწლი მაქვს მაგაზედ და ჩემი მოსული ყმა არისო. თუ მოჰკვდომია რამე, ისიც მე დამიმარხავსო. ამდონი ხანია, თუ შენი ყმა იყო, რატომ არ მოიკითხე, რათ მაზრდევინებდიო.

შაქარამ მიუგო: მე აქამდის ობოლი ვიყავ და უნუგეშოთ დარჩომილი, პატრონი ვინა მყვანდა, რომ გდავებიყოო. თუ ჩემი ყმა არ არის, ეს მოწმე[ე]ბი და მეფის ვახტანგის დავთარიო.

მოვატანინეთ მეფის ვახტანგის დავთარი; ამოვსწერეთ, შანშიაშვილის ყმათ ეწერა, შანშიაშვილის პაპასი პატარა სახუნდარს ტირუმაშვილი სარხუნაო.

ამას გარდა მოიტანა მოწმობა ქამუანთ საყდრის დეკანოზის ტერ-აკოფასი და ჩვენც ფიცით ასე გვითხრა: ეს ბიჭი ჩემის შვილის ტერ-დავითას ნათლულია, მამაჩემი ამათი მოძღვარი იყო და მეც მაგათი მოძღვარი ვარო, რომ სწორედ სახუნდრელი არის ეგ ბიჭი, შანშიაშვილის ყმა არისო.

კიდევ აზნაურიშვილების მოწმობა მოიტანა მოხუცებულის კაცებისა: ტაიაშვილის ზურაბასი, ყორღანაშვილის შაქარასი და ბაჰყალის სარჭისასი, რომ ის ჩიკორიძე ყაზარა თავის ძმით სახუნდრელი გაგვიგონია შანშიაანთ ყმათაო. და სხვანიც მრავალი სიტყვით ამბობდნენ — შანშიაშვილის შაქარასი და დავითას ყმა არისო.

ჩვენ ეს საქმე დიდის ღონისძიებით გამოვიძიეთ; და თვით ჩვენცა ვკითხეთ — ეს მოწმობის წერილები თქვენგან არის დამოწმებულიო? ყველამ თქვეს: რაც დაგვიწერია, აგრე ვიცითო. განვიხილეთ, რომ ეს სარუა ბიჭი სწორედ ამ შანშიაშვილის შაქარასი და დავითის ყმათ აღმოჩნდა.

დღეს და დღეის იქით ბარათოვს ზაალ მორდალს ამ სარუასთან საქმე არ აქვს რა. დარჩა შაქარასა და დავითს. ვერც ზაალ მიედავება აქამდის იმ ბიჭზედ ხარჯის მოსვლას და ვერც შაქარა მიედავება აქამდის იმ ბიჭის სამსახურს. ფებერვლის **კდ**, ქორონიკონს **უუწ**.

თავადი მსაჯულის ძე ზაზა ბარათოვი.

202. განჩინება სასულიერო სასამართლოსი ტფილელ მიტროპოლიტ არსენის საქმეზე

1810 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2159. დედანი. ქაღალდი. 34,5×21,8 სმ. შეიცავს 12 ფურცელს. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

[1] ჩყი-სა წელსა ფებერვლის კზ-ესა დღესა სასულიერომან სასამართლომან, ჟამიერად შედგენილმან ოთხთა მიტროპოლიტთა და ოთხთა არხიმანდრიტთაგან გამოსაძიებლად საჩივართა ტფილელ მიტროპოლიტსა არსენის ზედა სხუა და სხუათა გუამთაგან მოღებულთა ეგრეთუე არაშესაფერთაცა მისისა ხარისხისადმი მოქმედებათა, მიიღო მისისა უწმინდესობისა მცხეთისა და სრულიად საქართუელოსა კათოლიკოს-პატრიარხისა ანტონისაგან ამისუე წლის იანურის კე-სა დღესა შემდგომი წინადადება.

ბრძანება კათოლიკოს-პატრიარხისა

«წარმოგიწერთ ყოველად სამღუდელოთა მღუდელმთავართა და მაღალღირსთა არხიმანდრიტთა საქართუელოჲსათა, რომელნიცა ჩემ მიერითა მწყემსმთავრობითითა ბრძანებითა მოგიწოდეთ და შემოგკრიბენით ქალაქსა ტფილისს დიკასტირიასა შინა, სახლსა ეზოსა საპატრიარხოსა ჩემისასა, ყოველად სამღუდელოსა ტფილელისა არსენის საქმეთათჳს გამოსაძიებლად, რომელნიცა აღწერილ არიან მას ზედა შესმენანი ბრალთანი, რაჲცა რა უქმნიეს მას, რომელთაცა ზედა თანამდებ ხართ, რათა ძალისაებრ საეკლესიოსა სჯულის კანონისა ჰყოთ განსჯა და სამართალი.

ამისთჳს ვინათგან მრავალგზის მოიწეოდენ ჩემდამო საჩივარნი ტფილელ მიტროპოლიტს არსენის ზედა წინააღმდეგგთა ხარისხისა მისისადმი და უგუანთა ქცევათათჳს მისთა, მით რომელ: არათუ ოდენ კელის ქჳშეთ[თ]ა თჳისთა მწუხარე ჰყოფდის სხუა და სხუათა შეუირვებათა ლანძღვათა და გიობათა მიერ უგუანთა ლექსებითა და ვიდრეღა გუემათა მიერცა კელითა თჳისთა, არამედ არა ჰრიდის მოპყრობად ესე ვითარითაჳე სახითა უცხოთა და გარეშეთა კაცთამდიცა.

გარნა მე პატივისმდები ხარისხისა მისისა მოვითმენდი და ვმეცადინობდი დაფარვად საქმეთა მისთა და ვიდრეღა ურჩებათაცა ჩემდამო მისგან არაერთგზის განცხადებულთა თანა წარვხდებოდი

მომლოდნე, რომელ იგი მხილველი მოთმინებისა ჩემისა აღკრძალვიდა თავსა თჳისსა ესევითართა მოქმედებათაგან და მოსრული სისასულად, იპყრობდა სიმკაცრესა, რათა არა გარდაჴდებოდეს გულისცხელებითა თჳისითა კანონთა მათ, რომელნიცა შესაბამ არიან სამღუდელოთა ხარისხისა მექონეთათჳს და იმეცადინებდაცა განცხადებად ჩემდა შესაბამისა და მორჩილებისა და ჯეროვანისა ჩემდამო პატივდებისა.

აწ უკუე განვიხილავ მე რომელ, კეთილი ჰაზრი ჩემი იქმია მან პიროტად მოთმინება ჩემი ექმნა მას მიზეზად უმეტესისა ურჩებისა და არა პატივდებისა ჩემდამო, და მოთმინებამან ჩემმან მოიყუანა იგი უდიდესსა ამპარტავნებასა და აღზუაებასა შინა, ვითარცა ცხადყოფენ მოქმედებანი ახლოსა ჟამსა მისგან ნამოქმედარნი, რომელთაცა აღწერანი შთავდევ ამას შინა სხუათა თანა წერილთა და წარმოვზავნე თქუენდამი.

შედი მუქლი ტფილელისაგან ნამოქმე[დარი]:

ა. მღუდელმონაზონი დიმიტრი, რომელიცა დაყენებულ არს მღუდელ-მოქმე[v]დებისაგან და მოსრულ ჴსენებულისა ტფილელ მიტროპოლიტისადმი თჳინიერ მღუდელმთავრის ნებართჳსა აყურთხა მან მოუხსენებელად ჩემდა არხიმანდრიტად, რომელთაცა:

პ ი რ ვ ე ლ ა დ გარდაჴდა იგი კანონთა წმიდათა მსოფლიოთა კრებათა მიერ დადგენილთა, ვინათგან ესევითარისა სამღუდელოჲსა კაცისა არა თუ ჯერ იყო აღყვანებად უმაღლესსა ხარისხსა ზედა, არამედ არცაღა შესაბამ იყო შეწყნარებაჲ;

მ ე ო რ ე დ, შეურაცხჰყო უმაღლესი ბრძანება, ამად რომელ მე, დაფუძნებულსა მას ზედა, არა ერთგზის წარმიწერიეს, რათა არაუინმე კურთხელ იქმნეს არცა ერთსა სამღუდელოსა ხარისხსა ზედა.

მ ე ს ა მ ე დ, დაარღჳა ძველთაგანვე მყოფი აჲაურთა სამღუდელოთა შორის განწესება მით, რამეთუ არცა ერთსა მღუდელთმთავარსა ჰჭონიეს უფლება თავით თჳისით არხიმანდრიტად კურთხეუისა.

და მ ე ო თ ხ ე დ, გაბედა მიტაცება თჳსდა პატივისა არა ოდესმე ხარისხისა მისისადმი განკუთუნილისა მით, რომელ არცა ერთსა წინა მოადგილეთა მისთაგანსა ჰყოლიეს არხიმანდრიტი.

ბ. აწნაურის თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი ს შ ჳ ი ლ ი ს მეუღლის დამარხუაზედ, სადაცა იყუნენ შეკრებილ მრავალნი სამღუდელონი და საერონი გუამნი, მას — ტფილელ მიტროპოლიტსა შემოსილსა — ეცა ხელითა თჳისითა ი ე რ ო დ ი ა კ ო ნ ი ს ა ჩემისა ქ რ ი ს ტე-

ფორესთეის სტიხარ მოსილისა და ედინა კბილებში სისხლი, რომლითაცა გარდამხდომმან წმიდათა კრებათა კანონთამან შეურაცხჰყო მასზედა მწყემსთ მთავრობა ჩემი.

გ. ოდეს უფალ საქართველოს მთავარმმართებელსა მიეღო უმაღლესი ბრძანება მაუწყებელი უძლეველთა როსსიის მჭედრობათა მიერ იზმაილისა და სხვათა ციხეთა მიღებისა და მეცა მივიღე მისისა მაღალ აღმატებულებისაგან უწყება ესე ვითარისა სახარულევანისა შემთხუევისა და თხოვაცა, რათა სიონსა შინა აღსრულებულ ქმნილიყო სამადლობელი პარაკლისი, მაშინ მე არა სრულიად სიმრთელით მყოფმან, წარვუგზავნე კაცი ტფილელსა მას, რათა მეორესა დღესა აღესრულებინა საღმრთო ლიტურღია და პარაკლისი.

ხოლო მას პასუხ ეგო ესრეთ: «მე დიდად მტკივა ფეხებიო და ვერ შევიძლებ წირვასაო. თუ თვითონ ინებებს მობრძანდესო და არხიერს ვარლაამს[1] კი არ ვაწირვინებ და არც შემოუშვებო». არა არსა ესე შეურაცხჰყოფა ჩემი და ყოველად სამღვდელოსა არხიეპისკოპოსისა და უწმიდესისა სინოდის წევრისა ვარლაამისა?[2].

დ. სიონის დეკანოზის იოსებისთვის, რომელსაც ლაპარაკში ეხსენებინა სახელი ჩემი, ეთქვა ტფილელსა მას ეკლესიისა მის სამკუთ[ხ]თელოში მწუხრზედ: «შენც შეგარცხვინოს და ისიცაო, შენც შეჩვენებულ იყავ და ისიცაო; ის ხომ გავაგდე და შენც თან გაგაყოლებო». არა არსა ესე თავკედობითი ჰაზრი მისი?

ე. ოდესცა მეათორმეტესა 12-სა რიცხუსა წარსრულის დეკენბრისასა, ესე იგი, მაღალ სადღესასწაულოსა დღესა მისის იმპერატორების დიდებულების შობისასა მნებავდა მე აღსრულება სიონსა შინა საღმრთოჲსა ლიტურღიისა და წინა დღესა ვაცნობე ესე მას ტფილელ მიტროპოლიტსა, მაშინ შემოეთვალა მას ჩემდა: «არხიმანდრიტს დოსითეოს ნუ ჩამოიყვან არ ვაწირვინებო». მიხედეთ განუსჯელსა მისსა ჩემდამო არა პატივ მდებლობასა.

ვ. მასვე ყოველად უსახარულევანესსა დღესა ჭელმწიფისა იმპერატორის შობისასა, ოდესცა აღვასრულებდი მე საღმრთოსა ლიტურღიასა სიონსა შინა და ოდესცა იყო მუნ უფალი საქართველოს მთავარმმართებელი და ყოველი აჭ მყოფი პატივცემული საზოგადოობა, შემოვიდა ტფილელ მიტროპოლიტი იგი საკურთხეველსა შინა და მყისვე დაუწყო ლანძღვა ფრიად უგუანითა ლექსებითა

1 ვალრაამს. 2 ვალრაამისა.

ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირექტორს პროტოიერეის ალექსი პეტრიევსა, შეიპყრო იგი ანაფორის სახელით და იწყო განგდება მისი ეკლესიითგან, ვითარცა ყოველივე განცხადებულ არს არზასა შინა კსენებულის პროტოიერეის პეტრიევისაგან უმაღლესსა სახელოსა ზედა მისის იმპერატორების დიდებულებისასა მირთმეულსა უფლისა მთავარმმართებელისადმი და მისგან ჩემდამო წარმოვლენილსა უწყებისა თანა, რათა მოჩივარსა მას მიეცეს სამართლიანი კმაყოფილება, ხოლო ბრალეული მოპყრობილ იქმნას სჯულთამებრ.

შემდგომად მიუკდა იგი სამკუთლოში მდგომარეთა ყოველად სამღვდელოსა არხიეპისკოპოსს ვარლაამს და არხიმანდრიტს დოსითეოსს და არათუ არა რიდა მათ გიობა ფრიად უშვერითა ლექსებითა, არამედ განგდებაცა მათი მოიწადა და გაუბედაცა თქმა, რათა მყისვე განვიდნენ ეკლესიითგან და მასთანავე უთხრაცა მათ: «დაგამხეთოო». და როდესაც ჰკითხა არხიმანდრიტმან, როგორ დაგვამხეო. ტფილელმან უპასუხა: «დამხობაც ასრე უნდა, როგორც მე თქვენ დაგამხეთოო».

ყოველად სამღვდელომან ვარლაამ, ფრიად განცვიფრებულმან მას ზედა ესრეთ უგვანსა და უგლიმურსა ქცევასა, კნინღა არარაჲ პასუხ უგო. ხოლო არხიმანდრიტი დოსითეოს მხილველი მისისა ესოდენ განძვინებისა და მფიქრველი, რათა არა უმეტეს ძვირ შემთხუეულ ჰყოს იგინი, იძულებულ იქმნა პასუხის გებად შესაბამითა ქცევისადმი ტფილელისა მის ლექსებითა, ვითარცა თვით იგინი განაცხადებენ.

რაჲ არს მიზეზ ესოდენ უგვანისა და უგლიმურისა ქცევისა მისისა, უკეთუ არა აღზუავება [v] მისი და ყოველითურთ დაეწყება თანა მდებობისა მისისა?

მან ესე ვითარითა მოქმედებითა თვისითა უპატიურ ჰყო ადგილი წმიდა-წმიდათა საკურთხეველი ტრაპეზი უზენაესისა და საღმრთო ლიტურღია შეურაცხჰყო მაღალ-სადღესასწაულო და ყოველად უსახარულევანესი დღე შობისა ყოველად უმოწყალესისა ჭელმწიფისა ჩვენისა, ოდესცა ყოველთა ქუეშემვრდომთა გვაჭეს თანა მდებობა, რათა აღვავლენდეთ ეკლესიასა შინა მჯურვალეთა ვედრებათა სიმრთელისათვის და დღეთა სიგრძისათვის მისისა იმპერატორების დიდებულებისა.

არარად შემრაცხა მე და უფალი საქართველოს მთავარმმართებელი და ყოველიცა პატივცემული საზოგადოობა და დამვიწუებელმან ყოველთა ამათ პატივისდებათა მიზეზთამან, მიაპყრო ესრეთ

მოუთმენელი ძვირშემთხუეულება პატივცემულთა სამღვდელოთა გვამთა და ნებაუდაცა განდევნა მათი თავკერდობითა თჳსითა ეკლესიით, სადაცა ყოფად მაშინ აქუნდათ მათ მიუცილებელი თანა მდებობა.

ზ. სიონის დეკანოსთან იოსებ მიქაძეთ და სხუათა სამღვდელოთა ჭელის ქუეშეთ[თ]ა ტფილელ მიტროპოლიტისათა და სიონის დეკანოსად მყოფის იოანეს შვილთან სოლომონ მიქაძე მომართუეს მე არზა, რომელსაცა შინა ჰსჩიენ სხუა და სხუათჳსის ქმნილთა მისგან მათდამი შეპირებათა და განაცხადებენცა მრავალთა წინააღმდეგთა მისთა მოქმედებათა; ამას ყოველსა განიხილავთ ცხადათ არზისა მათისაგან».

ხოლო ამის წინადადებისა თანა წარმოვლენილ იქმნენ:

1. წერილი უფლისა საქართუელოს მთავარმმართებელისა კავალერიისა ღერანლისა ტორმაზოვისაგან უწმიდესისა კათოლიკოსისადმი მიწერილი, რომლისა თანა წარეგზავნა რეპორტი ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირეკტორის პროტოიერეის ალექსი პეტრიევისა და არზაცა მისთანა მირთმეული მისგანვე მის უფლის მთავარმმართებელისადმი უმაღლესსა სახელსა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა, რომელნიცა აქა შეირთვიან.

მოწერილი საქართველოს მთავარმმართებელისა ტორმასოვისაგან უწმიდესისასა კათოლიკოსისადმი ესრეთ:

«მორთმეულსა ჩემდა რეპორტით უმაღლესსა სახელსა ზედა მისის იმპერატორების დიდებულებისასა არზასა ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირეკტორის პროტოიერეის ალექსი პეტრიევისაგან ქმნილისათჳს მისდა ტფილისის მიტროპოლიტის არსენის მიერ საგრძნობელისა ძვირ-შემთხუეულებისა წარმოვავლენ თქუენსა უწმიდესობისადმი ამასთანა და ეგრეთუე რეპორტსაცა მისსა, რომელსა შინა განაცხადებს იგი ეგრეთუე სხუა და სხუათა წინააღმდეგთა მოქმედებათა მიტროპოლიტის არსენისათა და ვითხოვ უმორჩილესად, [3] რათა შეხვიდეთ განხილუასა შინა ამის საქმისასა და მისცეთ მოჩივარსა სამართლიანი კმაყოფილება, ხოლო ბრალეულსა მოეპყრათ სჯულთამებრ».

საქართუელოს მთავარმართებელისადმი მირთმეული რეპორტი დირეკტორისა ალექსი პეტრიევისაგან:

«რომელიცა მომაპყრა მე ტფილისის მიტროპოლიტმან არსენი 12-სა რიცხუსა ამის თვისასა ტაძარსა შინა ღმრთისასა მოუთმენელი ძვირ-შემთხუეულება და განბასრვა პატივისა ჩემისა წინაშე აქაურთა სამღვდელოთა, განიხილავთ მას არზისაგან ამასთანა ჩემ მიერ წარმოდგენილისა უმაღლესსა მისის იმპერატორების დიდებულების სახელსა ზედა. ესევითარისა გამო შესაძლო არს თქმად უბედურებითისა ჩემდა შემთხუეულებისა, მოვიღტი რა თქუენისა მაღალ აღმატებულებისადმი, ვითარცა მთავრისა და უპირველესისა აქაურისა სასწავლებლისა მზრუნველისადმი, ვითხოვ უმდაბლესად, რათა განმიცხადოთ მე ვითარცა ჭელის ქუეშესა თქუენსა მართლიადი შეწევნა და მომაგოთ მე ჯეროვანი სჯულთამებრ კმაყოფილება, ვინათგან კანონნი სარწმუნოებისა ჩვენისანი მძიმეთაცა სჯულის გარდამჭდომთა ვერღა უქმენ უდიდესსა დასჯასა, ვითარ ოდენ რათა განიდევნენ იგინი ეკლესიისაგან და განწორებულ იქმნენ მისგან. ხოლო ესეცა შეუდგების შემდგომად უგამოწველილებითესისა გამოძიებისა გარდაჭდომათა მათთასა და აქაცა იგულჳმების გამოძიებისა ესე ვითართა გუამთაგანი, რომელთადმიცა მიცემულ არს მისთჳს ჭელმწიფება.

გარნა მან, ჭსენებულმან მიტროპოლიტმან, არა-მექონმან არცაღარა უმცირესისა ჩემ ზედა ჭელმწიფებისამან, ვითარი ჰპოვა სამართალი ძვირ-შემთხუეულებად ჩემდა ესოდენ შერცხუენითა ხატითა მაშინ, ოდესცა თქუენი მაღალმატებულებაცა და უწმიდესიცა კათოლიკოსი ყოველისა საქართუელოსა იყუენით მასში იერისაჲსა შინა. და უკეთუ იგი მოლოდებისამებრ ჩემისა არა იგრძნობს არავითარსამე ამისთჳს გარდაჭდევინებასა, მაშასადამე, თანამდებ ვიქმნები მე, რათა არა მაქნდეს სამართალი მისლად ამა ეკლესიასა შინა, სადაცა შეკრებასა ზე[და] აქაურისა საზოგადოებისასა აღსრულებულ იქმნებიან ღმრთის მსახურებანი ყოველთა სადღესასწაულოთა დღეთა შინა; და რათა ამასთანავე ვიშიშვოდეცა მისგან უმძიმესსაცა ძვირშემთხუეულებასა ცნობილისა გამო ყოველთა მიერ თჳსებისა მისისა.

ამასთანავე არა მხსენებელი თჳთ ჭელმწიფებისა, რომელსაცა მიითჳსებს იგი სხუა და სხუათა შემთხუევათა შინა, გავბედავ მხოლოდ მოხსენებად თქუენისა მაღალმატებულებისადმი, რომელმან არაპატივმდებმან ყოველისა საქართველოს კათოლიკოსის და

კავალერის მეფის ძის ანტონის ბრძანებათაგანი ძალისაებრ არა ერთ გზითთა განმტკიცებათა წინამოადგილეთა თქუენთა და თქუენისა მაღალმატებულებისათა, რათა არავინ[v]მე კურთხეულ იქმნას არცაღა ვითართამე სასულიერთა ხარისხთა ზედა; და ამასთანავე არა მექონმან არცა ერთისა მონასტრისამან ეპარხიასა შინა, აკურთხა არხიმანდრიტადცა წარსულსა თუესა მღვდელ-მონაზონი დიმიტრი თვინიერ უწმიდესის კათოლიკოსის უწყებისა, რომლისაცა მაგალითი არა ოდესმე ყოფილ არს საქართუელოსა შინა, ვინათგან არცა ერთსა ეპარხიის მღუდელთ მთავართაგანსა არა ოდესმე ჰქონიეს მას ზედა ჯელმწიფება.

გარდა ამისსა თვით ესე მღვდელ-მონაზონი დიმიტრი ვითართამე გარდაჯდომათათვის აღკრძალულ იყო მღვდელ-მოქმედებათა შინა ნინოწმიდის მიტროპოლიტის სტეფანეს მიერ, რომლისაცა ეპარხიასა შინა მდგომარებდა იგი და წარმოსრულ არს თჳნიერ ნებართვისა, რომლისაცა შინა მიცემად მისდა განჯსნისა და მიშუებად მღვდელ-მოქმედებისადმი კანონთამებრ ეკლესიურთა არავინ გარდა თვით აღმკრძალველისა არა არს მექონ ჯელმწიფებისა და უმეტეს აღყუანებად ესე ვითარისა კაცისა უმაღლესთა ხარისხთა ზედა. გარნა მან, მიტროპოლიტმან არსენი, დაარღვია ვითარცა კანონნი ეკლესიისანი ეგრეთუე უმაღლესიცა ნება და მოიქცა იგი ვიდრეღა წინააღმდგომ ძველადგანვე არსისა აჭა სამღვდელოთა შორის განწესებისაცა».

არზა უმაღლესსა სახელსა ზედა პროტოიერეი ალექსი პეტრიევისა მიერ

«12-სა რიცხუსა ამა დეკენბრისასა თვისისასა მაღალ სადღესასწაულოსა და ყოვლად სახარულევანსა დღესა თქუენისა იმპერატორების დიდებულების შობისასა თანა მდებობისამებრ ყოველთა ერთგულ ჭუეშმარდომოთასა, ვიყავ რა მეცა ტფილისის სობოროს ეკლესიასა შინა ლიტურღიასა ზედა, რომელიცა აღსრულებულ იქმნებოდა ყოვლისა საქართუელოჲსა კათოლიკოსისა და კავალერისა მეფის ძისა ანტონისაგან, სადაცა იმყოფებოდა თუითაცა მთავარმმართებელი კავალერიის ღენერალი და კავალერი ტორმასოვი ღენარლებით, შტაბ და ობერ ოფიცრებით და ყოვლის საქართუელოს აზნაურებით, შემოვიდა ეკლესიად და მუნით საკურთხეველსა შინა ტფილისის მიტროპოლიტი არსენი. ჟამსა მცირისა შესლვისასა და თვით შემოსლვასაზე მისსა

საკურთხეველად, მიხილა რა მე მდგომარე სამჯრითთა კართა თანა თანამდებობისამებრ ხარისხისა ჩემისა შორის აჭაურთა სამღვდელოთა, დამვიწყებელმან პატივდებულებისამან ადგილისა მის და პატივისცემისა მან, რომელიცა მიეგების ყოველთა ქრისტიანეთაგან საღმრთოსა ტრაპეზსა ყოვლად უზენაესისასა, მყისეე თვინიერ ყოვლისა მიზეზისა იწყო კიცხევა ჩემი ფრიად სალანძღველთა ლექსებითა მიერ, რომელნიცა მე არათუ ოდენ განკვირვებულსა ესეოდენ უცხოჲსა მისისა ქცევისათვის არამედ განცვიფრებულსაცა განძეისებულისა მისისა სახისა გამო ხსოვნად არა ძალ მიცს.

შემდგომად შემპყრობმან ჩემმან ანაფორის სახელით იწყო განგდება ჩემი საკურთხეველით, მთქმელმან მასთანავე: «ვითარ გავბედე [4] მე შესლვა მისსა ეკლესიასა შინა და, რათა მე მყისეე განვიდე ეკლესიით. მე დაფარვისათჳს წინაშე ყოვლისა საზოგადოობისა სირცხვილისა მის, რომელიცა არათუ ოდენ მის მიერ ჩემდა მოპყრობილ იქმნებოდა, არამედ თვით მისდამიცა. მიიქცეოდა, იძულებულ ვჰპოვე თავი ჩემი კითხუად მისდა: ვითარისა მიზეზისათვის და ვითარისა გარდაჯდომისათვის თანა მდებ ვარ მე განსლვად ეკლესიითგანი?

შემდგომად ამისსა განშორებულმან ჩემგან რაოდენმე იწყო კუალად ლანძღუა ჩემი მწოდებელმან არა ერთგზის პლუტად და მამაძაღლად და მაშინებელმან ჩემმან ცემად მჭნეველმან ამასთანავე ჯოხისამან წმიდისა ტრაპეზისა თანა, რომელსა ზედა მე პატივმდებელმან ადგილისა მის სიწმიდისამან მიუგე მოთმინებით: შესაფერ არსა მღუდელთმთავრისადმი ლანძღუად ესე ვითარითა ლექსებითა საკურთხეველსა შინა? უკანასკნელ განგრძელებასა ზე[და] მის მიერ ლანძღვისასა მექადოდა მე თრევად ჭუჩასა შინა და მოკლვად ცემითა.

გარნა იხილა რა მან უწმიდესის სინოდის წევრი არხიეპისკოპოსი და კავალერი ვარლაამ და პირველი ადგილისამებრ საქართველოსა შინა არხიმანდრიტი დოსითეოს მდგომარენი სამკვეთლოსა შინა, სთქუა: «მოიცადე ჯერ ისინი გავრცკო». და წარვიდა სწორედ მათდამი სამკვეთლოდ; ხოლო რაჲ მანცა მათ შორის იწარმოა ჯსენებად აქ ამისსა არა დავდგენ, მე თანა მდებობად ჩემდა ამას მოპყრობილსა ჩემდა ძვირ-შემთხუეულებასა და ესოდენ ლანძღვითსა კიცხევასა შინა ვიმოწმებ მე სამღვდელოთა მდგომარეთა მაშინ საკურთხეველსა შინა, რომელთაცა ძალუცსთ სიმართლისა ჩემისა დამტკიცება ფიცით.

ყოველად უმოწყალესო ჯელმწიფე! მე განვაგრძელებ რა სამსა-

ხურსა თქვენის იმპერატორების დიდებულებისასა საქართუელოსა შინა ვიდრელა შვიდ-წელ და არა მაქვს რა სამღვდელოთა შორის ხარისხისამებრ ჩემისა არცალა ვითარიმე ადგილი თანა მდებობად ჩემდა და ვადგენდი მოსლვად სადღესასწაულოთა დღეთა შინა წირვასა ზედა ამას ეკლესიასა შინა, რომელიცა უხუებათა მიერ თქუენის იმპერატორების დიდებულებისათა განახლებულ არს, შემკულ არს და მხოლოდ შესახედავად საწინააღმდეგოთა კედელთაგან მოყუანილ არს აწინდელსა სახესა შინა ტაძრისა ღმრთისასა, სადაცა შეკრებასა ზე[და] ყოვლისა აქაურისა საზოგადოობისასა აღსრულებულ იქმნებიან ღმრთის მსახურებანი შემთხუეულთა დღესასწაულობათა შინა თვით ამას ტაძარსა შინა ღმრთისასა, რაჲსათჳს და ვითარისა სჯულის გარდაჴდომისათჳს სათანადო არს, რათა იყოს ჩემდა აღკრძალულ შესლვა და ვითართ აქვს სამართალი ჴსენებულსა მიტროპოლიტსა მოპყრობად ჩემდა აქაურთა სამღვდელოთა წინაშე ესე ვითარისა განბასრვისა და ამასთანავე ქადებაცა ჩემდა მოკლვა-ცემითა, არა ვიმყოფებით რა არცალა ვითარით კერძოით, არცა მცირედ ჴელქვეშე [V] ჴელმწიფებისა მისისა.

ხოლო გულსმოდგინებითისა ჩემ მიერ აღსრულებისათვის თქვენისა იმპერატორების დიდებულების სამსახურისა ღირს ქმნილ ვარ რა უმაღლესთა და ყოვლად უმოწყალესთა ჯილდოთა: პირველად ოქროს ჯუარისა, მეორედ საარხიმანდრიტოჲსა ჯუარისა და მესამედ წმიდისა ანნას მეორეს კლასის ორდენისა.

ამისთვის ყოვლად უქვეშევრდომესად ვსთხოვ თქვენსა იმპერატორების დიდებულებასა განსალტოლველად ჩემდა კვლავ ესე ვითარითა ძვირშემთხუეულებათაგან, რათა უმაღლესითა თქუენის იმპერატორების დიდებულების ბრძანებითა ბრძანებულ იქმნას თხოვისა ამის ჩემისა მიღება, გამოძიება და მოგება ჩემდა ჯეროვანისა კმაყოფილებისა სჯულთამებრ მოპყრობილისათვის ჩემდა ძვირ-შემთხუეულებისა და განბასრვისათვის პატივისა ჩემისა».

2. კითხვანი უწმიდესისა კათოლიკოსისაგან წარწერილნი ტფილელ მიტროპოლიტისა არსენისადმი მღვდელ მოქმედებისაგან დაყენებულის მღვდელ-მონაზონის დიმიტრის არხიმანდრიტად კურთხევისათვის უწმიდესის სინოდის ჩლენის არხიეპისკოპოსის ვარლაამის და არხიმანდრიტის დოსითეოსისადმი წყინებისა და არა შესაფერთა ლექსთა მიერ გიობისათჳს და პროტოიერეის ალექსი პეტრიევისადმი ძვირ-შემთხუეულების მიყენებისათვის, რომელთაცა ზედა არათუ წარმოედგინა მიტროპოლიტსა არსენის პასუხნი გან-

სამართლებლად თავისა თვისისა, არცაღათუ რაჲმე პასუხი ეგო მისისა უწმიდესობისადმი.

ხოლო წარგზავნილი უწმიდესისა კათოლიკოსისაგან წარწერა ტფილისის მიტროპოლიტისა არსენისადმი და კითხვანი არიან შემდგომნი ესე.

მისისა უწმიდესობისა კათოლიკოსისაგან მიწერილი ტფილელ მიტროპოლიტისა არსენისად[მი]

«მისმან მაღალაღმატებულებამან უფალმან საქართუელოს მთავარმართებელმან ალექსანდრე პეტროვიჩმან ტორმასოვმან წარმომიგზავნა მე არზა მირთმეული მისდამი ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირექტორის პროტოიერეის ალექსი პეტრიევისაგან უმაღლესსა სახელსა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა, რომელსა შინა აღსწერს თქვენგან მისდამი ქმნილთა ძვირ-შემთხუეულებათა და პატივისა მისისა განბასრვათა და მოითხოვს მისი მაღალაღმატებულება, რათა მოჩივარსა მას პროტოიერეის პეტრიევს მივსცე სამართლიანი კმაყოფილება; ხოლო ბრალეულსა მოეჰკითხო სჯულთამებრ.

ამისთვის წარმოგიწერ თქვენ რათა შთადებულთა ამას თანა კითხუათა ზედა არისა მისისაგან გამო[ŏ]წერილთა, წარმომიდგინოთ დაუყოვნებლივ ჯეროვანნი პასუხნი. და ეგრეთუე წარმომიდგინოთ პასუხიცა მისი, თუ რომლისა მიზეზისა ძლით გაჰბედეთ კურთხევა არხიმანდრიტად მღვდელ-მონაზონისა დიმიტრისა მოუხსენებლად ჩემდამო».

კითხუა უწმიდესისა კათოლიკოს პატრიარხისაგან ტფილელის არსენისადმი

«ა. 12-სა რიცხუსა წარსრულის დეკენბრისასა მაღალ-სადღესასწაულოსა და ყოვლად სახარულევანსა დღესა მისის იმპერატორების დიდებულების შობისასა ჟამსა ჩემ მიერ ლიტურღიის აღსრულებისასა, ოდეს შემოსრულხართ სიონის ეკლესიის საკურთხეველსა შინა და დაგინახავსთ მუნ მდგომარე ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირექტორი პროტოიერეი ალექსი პეტრიევი, მყისვე გიწყიეს კიცხევა მისი ფრიად სალანძღველთა ლექსებთა მიერ.

ბ. შეგიპყრიეს იგი ანაფორის სახელით, გიწყიეს განგდება მისი საკურთხევლით და გითქვამსთცა: როგორ გაჰბედე ჩემს ეკლესიაში შემოსლვა, ახლავ გადიო.

გ. შემდგომად განშორებიხართ პროტოიერეის პეტრიევსა მას რაოდენმე და გიწყიესთ ჯულად ლანძღუა და გიწოდებიესთ მისთვის პლუტობა და მამაძაღლობა; არა ერთგზის გიშინებიათ ცემითა და გიქნევიადცა ჯოხი წმიდასა ტრაპეზსა თანა.

დ. განგრძელებასაზე თქვენგან მისისა ლანძღვისასა დაჰქადებიხართ მას ქუჩაში თრევასა და ცემით მოკლვასა.

ე. უკანასკნელ ოდეს გიხილავსთ უწმიდესის სინოდის წევრი არხიეპისკოპოსი ვარლაამი და პირველი ადგილისამებრ საქართუელოსა შინა არხიმანდრიტი დოსითეოს მდგომარენი სამკუეთლოსა შინა, გითქვამსთ პროტოიერეი პეტრიევისათვის: მოიცადე, ჯერ ისინი გავრეკოო და წარსრულხართ მათდამი სამკუეთლოთ.

ვ. ოდესცა მისრულხართ სამკუეთლოთ და მიახლოებულხართ ზემოხსენებულთა გუამთადმი, მყისვე მოგიხსენებიეს ყოველად სამღვდელო არხიეპისკოპოსი ვარლაამ[1] ფრიად შეურაცხსაყოფელითა ლექსებითა და გაგიბედავსთცა თქმა მასდა, რათა განვიდეს ეკლესიით.

ზ. ეგრეთვე არხიმანდრიტსა დოსითეოსისადმი გიწყვიეს ლა[v]ძღუა ფრიად უშუერითა ლექსებითა და გითქვამსთ ეკლესიით განსლვა და დაჰქადებიხართ კელქვეშეთ[თ]ა თქვენთა მიერ განთრევნებასა და დაგიყვედრებიათ დამხობა ჩემი და მათიცა თქვენგან მოხმარებულითა ღონისძიებითა. და ოდესცა უკითხავს არხიმანდრიტსა მას, თუ როგორ დაგიმხვიართ, მიგიგიეს თქვენ პასუხად: დამხობაც ასრე უნდა, როგორც მე თქვენ დაგამხვითო.

თ. წაგიქნევიეს ჯოხი საგუემელად არხიმანდრიტისადმი და უხილავს რა მას ესე ვითარი უგვანი მოქმედება თქუენი, საჭიროდ შეურაცხავს პასუხისგებად თქუენდა შესაბამითავე ქცევისა თქუენისა ლექსებითა. და თუ არა ექმნა არხიმანდრიტსა მას ესრეთ, საფიქრებელ არს, რომელ მოიწადებდით სიტყვათა თქვენთა აღსრულებასა და გაჰბედავდითცა ჯოხისცემით გამორეკასა მათსა სამკუეთლოდთ».

ი. არზა მირთმეული უწმიდესისა სრულიად საქართუელოსა კათოლიკოსისადმი სიონის სობოროს ეკლესიის დეკანოსის იოსებისა და მისვე ეკლესიის მღვდლის ილარიონისა და მიცვალებულის ხსენებულის ეკლესიისავე დეკანოსის იოანეს შვილის სოლომონისაგან და ქაშოეთის წმიდის გიორგის ეკლესიის დეკანოსის პეტრესა და მღვდლის პავლესგან, რომელსაცა შინა სჩივიან იგინი ტფილელ მიტროპოლიტსა არსენის ზედა მის მიერთა მრავალგვართა ძვირის-ყოფათა და შეჭირვებათა და გემთათვის და სასყიდლის მიღებით ქელდასხმათა თვისცა მის მიერთა და განაცხადებენ არათუ ეკლესიის შეოსავლის განბნევასა, არამედ ნივთთაცა და მამულთა ეკლესიისათა განცემასა.

4. არზა ქაშოეთისავე ეკლესიის დეკანოსისა პეტრეს და მღვდლისა პავლესგან მირთმეული უფლისა საქართველოს მთავარმართებელისადმი და მისგან უკუნქცეული ერთეი და ზედა წარწერითა:

«არზა ესე უკუნექცევის მოჩივართა, ამისთვის რომელ ეკუთნეის იგი განხილვასა სასულიეროსა ქელმწიფებისასა და ეშესაბამების ესე მისსა უწმიდესობასსა საქართუელოსსა კათოლიკოსსსა ანტონს, რომელსაცა შინა ჰსენებულნი დეკანოსი და მღუდელი სჩივიან მიტროპოლიტსა არსენის ზედა მრავალგვართა მის მიერთა შეჭირვებათათვის. და მისთვისცა რომელ ეკლესიასა მას, სადა[6]ც იგინი არიან განწესებულ, აქუს დუქნები, რომელთა შემოსავალისაგან ჯერ-არს ყოველსა ეკლესიის საჭიროების წარმართუა, გარნა მიტროპოლიტი არსენი მიიღებს შემოსავალთა მის დუქნებისათა ჩყდ-ს წლისთგან ვიდრე აქამომდე და მით დაკლებული ეკლესია იგი შემოსავალთა თვისთა მოსრულ არს დიდსა ნაკლულეანებასა შინა.

და რომელ თუმცაღა საჩივრისამებრ მამისა მათისა მიცვალებულის დეკანოსის ფილიპესა ჰყო განხილვა მისმან უწმიდესობამან საქართველოსა კათალიკოზმან თანა დასწრებითა სამთა მღვდელთმთავართა და არხიმანდრიტთათა და განჩინებულ იქმნა, რათა შემოსავალნი მის ეკლესიისანი ეძლეოდეს დეკანოსსა მასსა. გარნა მიტროპოლიტმან არსენი შეურაცხჰყო და არა აღასრულა იგი».

5. საჩივარი სხუა მუნჯიშვილის დავითისაგან მიტროპოლიტსა არსენის ზედა:

«თუმცა გახლავარ მე ყმა სიონის ღმრთისმშობლის ეკლესიისა და აქაე სიონის გალავანში მჭონდა ნაბოძები სახლი ეკლესიის მამული, ვინათგან მე ვსახურებ ეკლესიასა ჩემის თანა მდგობის ხარკით და განწესებით, ამის მიზეზით უბოძებიათ წინა ყოფილთა ყოველად სამღვდელოთა სახლი არათუ ჩემთვის, არამედ მამისა და პაპისა ჩემისათვის, რომლისაც კსოვნა არა მაქვს მე მოხუცებულობაში მიწევ-

[1] ვალრაამ.

ნილსა ამ სახლის ბოძებასა, და მე ასე ვჰგონებ, რომ უმეტეს ასისა წლისა იყოს ეს ადგილი ნაბოძები და არა ნაკლები.

ვიდექ ამ სახლში ვიდრე ოცის წლის წინადმდე და დავიკარგე ლეკში და ტყუედ ვიყავ რაოდენსამე წელსა და დედასა ჩემსა გაეთხოებინა თავისი ქალი — ჩემი და, და ვინათგან უღონოდ გახლდათ და შეუძლებელი დედაჩემი, ის სახლი დაეგირავებინა და იმით გაესტუმრებინა.

და როდესაც გიახელ ტყუეობიდან, მე ჩემის თეთრით და ვალის აღებით დავიხსენ და ვიდექ ვიდრე ალამამადხანის მოსლვადმდე. და ოდეს მოვიდა ალამამადხანი, მაშინ დავტყუევდი და ტყუედ ვიყავ ყიზილბაშში.

და როდესაც მაგისმა ყოვლად სამღვდელოებამ ტფილელობა მიიღო, ჩემზედ ინება გამოუძიებლად და ის სახლის ადგილი თავლად გააკეთებინა.

იმჟამად მე რუსეთს გაველ ტყუეობიდამ და იქ იმისმა უდიდებულესობამ ყოვლად მოწყალე ჴელმწიფემ კეთილშობილად მიმიღო გრამმატითა და აფიცრობის ხარისხითა და ტემლავითა, რომელიც დღეს ჩანს ჩემი ნიშანი ჩემზედ და სახლსა შინა.

გიახელ ტფილისში. და ვნახე. ჩემი სახლი წაერთმევინა და მოხუცებულს ჩემს დედასაც გასწყრომოდა. მიველ და განსვენებულს მეფეს გიორგის მოვახსენე. იმან ოქმი მიბოძა: ახლავ თავისი სახლი დაანებეო. ის ოქმი წამართვა და მოახსენა მეფეს: მივსცემო. და აღარ მომცა. მეორედ კიდევ [V] მოვახსენე. დიდად გაჯავრდა და ასე უბრძანა: თუ კიდევ ეს ჩემთან მოვიდა მოჩივრად და არ დაგინებებია, დიდად მეწყინებაო. კიდევ მაინც არ მამცა.

და როდესაც გარდაიცვალა მეფე, კიდევ ვედრებით ვსთხოვე: მიბოძე ჩემი ადგილი. განრისხდა ჩემზედა და მრავალი მცემა და ორს ადგილს თავი გამიტეხა და სისხლი მადინა; რომ თავის სახლში მივეყუანინე და იქ დავეტუქსე, შეიძლებოდა რომ ვერ მეჩივლა; მაგრამ ჰონხანაში შეყრილს ხალხთან დამაჭერინა და იქ გამლახა; მერმე თითონ წამოიჭრა წუღებით და ხელში ჯოხი იპყრა და ისე მცა. და თვისთა მსახურთა ცემა არ დამაჯერა.

დროსა ლაზაროვის მმართებელობისასა იმასთან ვიჩივლე: და იმან სთხოვა უწმიდესსა კათოლიკოსსა ვედრებით, ჩემის საჩივრის განხილვა. უწმიდესმა დავით მაღალაშვილი გამატანა და უბრძანა: ამ შენს ყმას ნუ ჰკარგავ, თავისი ადგილი მიეცო. მიველ და ასე მოახსენა, მივსცემო. მაგრამ კიდევ არ დაიშალა, უწმიდესი მოატყუა და დღესაც არ მომცა.

უპირატესს მმართებელს კნიაზს ციციანოვს მოვახსენე. [illegible]ც უწმიდესობასთან მიმიწერა. კვალად გამატანა ის წიგნი და [illegible]ზავნა ტფილელთან და მიბრძანა: შენ ჩადი, მოგცემსო. ჩაველ [illegible] ვეახელ და არც მაშინ მოლბა ჩემზედ განრისხებისაგან და არც [illegible]ან მომცა. წაველ ციციანოვთან ერევანს და იქ მესამედ და[illegible]რგე. და როდესაც გიახელ, ათჯერ უფრო მეტად ვსთხოვე. კიდევ არ მომცა. ასე უწყალოება იქმარა.

მე ჩემის ცოლშვილის მოვალე ვარ. ცის ქვეშ ვერ დავაყენებ [illegible] სახლი ვერსად მიშოვნია, რომ დავდგე. ხან სადა ვარ და ხან სად. [illegible] მტანჯავს მართლმადიდებელს კაცს და ჩემის ცოლშვილის ცოდ[illegible]ღებს. ასე საქმე გაჭირვებული ვართ, რომ ყოველთვის სიკვ[illegible]ლს ვინატრით. ნეტავი ერთხელ სრულად დაგვჴოცოს ცოლით და შვილით, რომ ამ ცხოვრებას სიკვდილი უმჯობესია ჩვენთვის ამის [illegible]ილო».

II. ზემოჴსენებულთავე დეკანოსმან პეტრე და მღვდელმან პავ[illegible] შემოიტანეს ჟამიერსა სასამართლოსა ამას შინა არზა, რო[illegible]ლსაცა შინა ჰსჩივიან მასვე მიტროპოლიტსა არსენის ზედა მრა[illegible]ლთა მოუთმენელთა შეჭირვებათა და არა ერთგზისთა გვემათათვის [illegible]ისა მათისა მიცვალებულის დეკანოსის ფილიპესსა და მათთაცა [illegible] მოკლებისათვისცა ეკლესიისა სხუა და სხუათა შემოსავალთაგან.

* *

ჟამიერმან სასულიერომან სასამართლომან, განმხილველმან ყო[illegible]ლთა ზემოაღწერილთა გარემოებათამან, ჯეროვნად შერაცხა, [illegible]ათა პირველად ჴელჰყოს გამოძიებასა მოქმედებათა ტფილელ [illegible]ტროპოლიტის არსენის მიერ ნამოქმედართასა უახლოესსა ჟამსა [illegible], რომელნიცა აღწერილ არიან წინადადებასა თანა მისისა უწმი[illegible]ესობისა შვიდ მუხლად.

ამისთვის ჴსენებულნი მუხლნი იგი წარგზავნილ იქმნენ სასუ[illegible]ეროჲსა სასამართლოჲსაგან ყოვლად სამღვდელოჲსა მიტროპო[illegible]ტისა მისდამი წერილით მოთხოვისა თანა მათზედა პასუხთასა. და წარგზავნენ წერილნი იგი პატივდებისათვის ხარისხისა მისისა ჴე[illegible]ითა ილუმენისა და პროტოიერეისათა.

რომელსა ზედა პასუხ-უგო მან სასამართლოსა: ვითამცა ვერა [illegible]ცნობდეს იგი, ვინ სჩივის მასზედა. თუმცაღა პასუხი ესე იყო [illegible]ამოესი და მხოლოდ განგრძელებისათვის დროჲსა მოგონებული, [illegible]ისათგან პირველსავე პასუხის მოთხოვასა შინა გამოცხადებული [illegible]ყო, ვითარმედ იქმნების გამოძიება ესე მისისა უწმიდესობის ყოვ-

ლისა საქართველოის კათოლიკოსისა და თვით მუხლთაცა შინა ცხადად აღმოჩენილ არიან მოქმედებანი მისნი.

მაგრამ რათამცა აღსპობილიყო ყოველი მის კერძოდ მოპოებული წინააღმდეგი პასუხი, წარგზავნილ იქმნა კვალად ხელითაე იღუმენისა და პროტოიერეისათა მოთხოვა პასუხთა, რომელსა შინა აღწერილ იყო ესეცა, რომელ რასაცა იგი ვერა სცნობს, ესენი შემძლებელ არიან განმარტებათ მისდა სიტყვით. რომელსა ზედა ამათთჳს პასუხ-ეგო მიტროპოლიტსა არსენის, ვითარმედ: წარკითხვისა შემდგომად წარმოუდგენს სასულიეროსა სასამართლოსა პასუხთა თვისთა.

გარნა ვინაჲდგან არა აღასრულა მან აღთქმა თვისი, ამის გამო სასამართლოჲსაგან სასულიეროჲსა, რომელიცა დაეფუძნების კანონთა ზედა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა და აღგილობითთა კრებათათა, წარგზავნილ იქმნენ მოთხოვისათვის მისგან პასუხთა მიტროპოლიტი წილკანისა ღერვასი, ორნი არხიმანდრიტნი და კსენებულნი იღუმენი და პროტოიერეი. გარნა მიტროპოლიტსა არსენის ამათსაცა უგულებელსმყოფელსა არარაჲ პასუხ-ეგო.

შემდგომად რაოდენისამე დღისა ძალისაებრ წმიდათა მოციქულთა ოდ-ისა კანონისა, რომელსაცა შინა აღწერილ არს: «შესმენილი ეპისკოპოსი და მიწოდებული სასამართლოდ არა ისმენდეს რა ორგზის და [v] სამგზის, მივლინებითა ორთა ეპისკოპოსთა მიწოდებულ იქმნას. ხოლო უკეთუ ეგრეთცა შეურაცხჰყვნეს და არა მივიდეს. განიხილოს კრებამან ბრალი თვითოეულისა ნაწილისამებრ. და ვითარ ჰშჳენის, ღირსად დასაჯონ იგი, რათა არა საგონებელ იქმნას განრომა სამართლისა ლტოლვითა».

კვალად წარვლენილ იქმნენ ორნი მიტროპოლიტნი — ნინოწმიდისა სტეფანე და კსენებული ღერვასი წილკანისა შეგონებათ მისდა და მოდრეკად მორჩილებისადმი და პასუხის მიცემადცა კითხვითთა მუხლთა ზედა. გარნა მან, მიტროპოლიტმან არსენი, სრულიად შეუგონებელმან არა მოსცა მათცა არარაჲვე პასუხი, არამედ მხოლოდ ესე რომელ, ოდეს სასამართლო მოუწოდს მას, მაშინ მოვალს იგი მას შინა.

ხოლო ოდესცა შემდგომად სიტყვათამებრ მისთა მოწოდებულ იქმნა სასამართლოსა შინა ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი იგი წერილით, მაშინ არა თუ ოდენ ინება მოსლვა, არცაღა რა პასუხუგო.

ამის ძლით უკანასკნელ პატივდებისათვის ხარისხისა მიტროპოლიტისა მას არსენისა წარგზავნილ იქმნენ კუალადცა ორნი ზემორეკსენებულნივე მიტროპოლიტნი და ორნი არხიმანდრიტნი თანქონებითა სჯულის კანონის წიგნისათა, ვინაითგან საგულვებელ იყო, რომელ იგი წარმკითხველი მას შინა კანონთა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა, შეიგონებდა და არა უარჰყოფდა ანუ პასუხისგებად კითხვათა ზედა და ანუ მოსლვად სასამართლოსა შინა.

გარნა ყოვლად სამღვდელომან მიტროპოლიტმან არსენი, მცნობმან კსენებულთა გუამთა მოსლვისამან, მოაგება წინა კაცი და ითქმეინა ნაცველად თვისსა ესრეთ, რომელ: კათოლიკოსი არა არს მწყემსთ-მთავარი მისი და ამისთვის არა მოსცემს იგი სასულიეროსა სასამართლოსა არავითარსამე პასუხსა და დააკუტნაცა კარნი სახლისანი.

ზემოთქმულთა უკუე მიტროპოლიტსა ისმინეს რა იგი, და იხილნეს კარნიცა დაკლეტილნი, უკუმოიქცნენ არაროისამე ძვირ-შემოხუეულებისა მისდამი მქცეველნი; რომლითაცა მიტროპოლიტმან არსენი ჰყო წინააღმდეგი ხარისხისა თვისისა მოქცევად ძალისამებრ კართაგენის კრებისა ნგ-სა რიცხვსა: «ვითარმედ, რომელიცა მიწოდებულ იქმნეს კრებისა მიერ და უარჰყოს და მსასოებელმან თვისსა სიმრავლესა ზედა შეურაცხჰყოს სიყვარული მამათა, თვისისაგანცა პატივისა განიხადოს ძალითა კელმწიფებრითა».

და ამასთანავე ყოვლად სამღვდელომან მი[8]ტროპოლიტმან არცა მცირედ მფიქვრელმან მისთვის, რომელ იქმია ურჩება პასუხუგებელობითა სასულიეროჲსა სასამართლოისადმი და დამეიწყუებელმან კანონთა წმიდათა კრებათა მიერ წარმოწერილთამან, ჰყო ცილის შეწამებაცა სასულიეროჲსა ამას სასამართლოსი, შედგენილისა ოთხთა მიტროპოლიტთა, რომელთა შორის ორნი არიან უხუცეს მისსა ადგილით და ოთხთა არხიმანდრიტთაგან.

სრულიად არამართლიადთა და ფრიად უგუანთა გამოთქმათა მიერ აღმწერელმან თხოვასა შინა მირთმეულსა მის მიერ უფლისა საქართველოს მთავარმმართებელისადმი ესრეთ, რომელ: ვითამცა მივიდნენ მისდა კრებით სახითა არამშვიდთა მწყემსთა, არამედ გესლოვანთა პირთათა აჭუნდათ განზრახვა, რათა მძლავრებითა ხატითა ანუ განძარცვათ კელია მისი და ანუ წარეყვანათ თვით იგი უპატიურებით. და ამასთანავე მიუწერს იგი მსხდომარეთა ამა სასამართლოსა შინა უგლიმურსა სახესა და უწოდს მტერად აღსებულად პროტითა მზაკვარებითა და განმაცხადებელი, ვითამცა არაკითხულ არს იგი სასამართლოისაგან წერილით, სთხოვს უფალსა მთავარმარ-

თებელსა რათა აღუკრძალოს სასულიეროსა სასამართლოსა ქმნად ესე ვითარი მას ზედა მძლავრობაჲ.

სასულიერო სასამართლო ვერა ჰპოებს მიზეზსა რაჲსათვის წარმოიდგინა მიტროპოლიტმან არსენი ესე ვითარი სრულიად არა შესაფერებელი ჰაზრი და ანუ რაჲსათვის ჰგონებს იგი მოსლვასა მისდამი მიტროპოლიტთა და არხიმანდრიტთასა განძარცვისათვის კელიისა მისისა და ანუ წარყუანისა მისისათვის უპატიურებით.

და უკეთუმცა ნამდვილ ჰგონებდა იგი ესრეთ, რაჲსათჳს არა წარუდგინა საჩივარი თვისი სასულიეროსა სასამართლოსა ზედა, ანუ მხოლოდ მიმავალთა მისდამი მღვდელთმთავართა და არხიმანდრიტთა ზედა მისსა უწმიდესობასა სრულიად საქართველოს კათოლიკოსსა და არა მოიხსენა ანტიოხიის კრების კანონი **ი**ა, რომელსაცა შინა აღწერილ არს: «ეპისკოპოსი, ანუ მღვდელი, გინა დიაკონი თავით თვისით მივიდოდეს რა მეფისა მიმართ თვინიერ ბრძანებასა სამთავროსა მას შინა მყოფისა მიტროპოლიტისა ზიარებისა თანა, ჯარისკისაგანცა განიხაღოს».

ხოლო ვინაჲთგან მოკსენებულმან ყოველად სამღვდელომან მიტროპოლიტმან არსენი არა თუ არა ინება ანუ კითხვათა ზედა მოცემა წერილით სასულიეროჲსა სასამართლოისად მოთხოვილთა მას მიერ პასუხთა ანუ მოსლვა მას შინა, არამედ შეწრამებულცა ჰყო იგი ესრეთითა არა შესაფერითა ხატითა, ამისთვის სასამართლომან, შედგომილმან კ[ν]ნონთა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა მიერ წარმოწერილთა, ჰყო ყოველთა ჭეშმარიტებითა გამოძიება ექვსთა მუხლთა, აღწერილთა წინადადებასა შინა უწმიდესისა ყოვლისა საქართველოს კათოლიკოსისასა და გამოძიებისამებრ აღმოჩნდა შემდგომი:

ა. მღვდელ-მონაზონი დიმიტრი ნამდვილ უკურთხებია ყოველად სამღვდელოსა ტფილელსა არხიმანდრიტად წარსრულის წლის ნოემბერსა თთუესა თვინიერ მისისა უწმიდესობისა უწყებისა, რომელიცა თვით კსენებულმან მღვდელ-მონაზონმან დიმიტრი აღიარა სასამართლოსა ამას შინა. ესე მღვდელ-მონაზონი არს ძმათაგანი იოანე ნათლისმცემელისა მონასტრისათა, რომელიცა არს ეპარხიასა შინა ნინოწმიდისასა.

და ვინაითგან განივლტო იგი მუნით თვინიერ მღვდელთმთავრისა და თვინიერ მონასტრისა მის წინამძღვრის ნებართვისა და

სცხოვრებდა სოფელსა შინა მსოფლიოთა კაცთა თანა და თუმცაღა მრავალგზის მიწოდებულ ქმნილ არს იგი ნინოწმიდის მიტროპოლიტის სტეფანეს მიერ, რათა ანუ უკუნ იქცეს იგი თვისსა მონასტერსა შინა, ანუ მივიდეს თვით მას თანა.

არამედ ვინაჲთგან დაშთომილ არს ურჩებასა შინა და არა განშორებიეს სოფლიურსა ცხოვრებასა, ამისთვის დაყენებულ ქმნილ არს კსენებულის მიტროპოლიტისა სტეფანეს მიერ მღვდელ-მონაზონი იგი დიმიტრი მღვდელ-მოქმედებისაგან საფუძველსა ზედა კანონთა წმიდათა მოციქულთა **იე**-სა: «ყოველი მოყვასი, ესე იგი ეკლესიის მოხარისხე, დამტევებელი თვისისა ადგილისა და სხვასა ადგილსა მცხოვრები თვისისა ეპისკოპოსისა მიერ მიწოდებულ იქმნას და არა მიიქცეს, უზიარებელ არს». და წმიდათა პირველისა და მეორის კრებისა **დ**-სა: «უკეთუ რომელიმე მონაზონი თვისისაგან მონასტრისა განლტოლვილი ანუ სხვასა მონასტერსა შეივიდეს, ანუ მსოფლიოსა საცხოვრებელსა ადგილსა მკვიდრობდეს, თვით იგი და შემწყნარებელიცა მისი განიყენონ, ვიდრემდის განლტოლვილი იგი მოიქცეოდეს თვისსა მონასტერსა შინა».

ხოლო ვინაითგან მოხსენებულსა მღვდელ-მონაზონსა არა თუ შეურაცხეყო თვისისა მღვდელმთავრისა მიერი აღკრძალვაჲ მღვდელ-მოქმედებისაგან, არამედ მიეღოცა ხარისხი არხიმანდრიტობისა, ამისთვის სასულიერომან სასამართლომან ჰპოვა შესაბამად მიხდა მისგან წინააღმდეგ წმიდათა კანონთა მიღებულისა მის მიერ არხიმანდრიტობის ხარისხისა, განყენება მღვდელ-მოქმედებისაგან და წარგზავნა მისი მონასტერსა შინა წმიდისა შიო მღვიმელისასა.

ყოველად სამღვდელოსა უკუე მიტროპოლიტსა არსენის, ვითარცა შეწყნარებითა განყენებულისა მის მონაზონისა და მღვდელ-მოქმედებასა[ჲ]დმი მისდა ნებართვითა, ეგრეთუე აღყვანებითაცა ხარისხსა ზედა არხიმანდრიტობისასა, უქმნიეს განცხადებული გარდაჭრომა კანონთა წმიდათა მოციქულთა **იბ**-ისა: «შემწყნარებელი არა შეწყნარებულისა თვითცა არაშეწყნარებული იქმნების»; **იგ**-სა: «ვინცა ესევითარისა, ესე იგი თვისისა ადგილის დამტევებელისა, მეცნავი იპყრობდეს მას თვისთა, თავი თვისი დაუსჯიეს»; სარდიკიის კრებისა **იე**-სა: «რომელნიცა უწყის განშორებულ ყოფა ვისიმე თვისისა ეპისკოპოსობისაგან და ზიარებულ ჰყოფს, არა არს იგი თვინიერ ბრალისა»: კართაგენის კრების **პა**-სა: «უკეთუ

უცხოჲსა რომლისამე მონასტრისაგან დაადგინოს ეკლესიის მოყვასად, ესე იგი მოხარისხედ, გინა თვისსა მონასტერსა შინა იღუმენად, იყოს იგი უზიარებელ»; და სხუათაცა მსგავსთა ამისთა კანონთა წმიდათა მოციქულთა და კრებათათა.

გარდა ამისსა ყოველად სამღუდელომან ტფილელ მიტროპოლიტმან არსენი უწყოდა ძველთაგანვე მყოფი საქართველოსა შინა დადგინება, რომელ არაოდეს ჰქონიეს ეპარხიის მღუდელმთავარსა სამართალი კურთხევად არხიმანდრიტისა თავით თვისით თვინიერ უწმიდესისა კათოლიკოსის ნებართვისა. უწყოდა ესეცა, რომელ არცა ერთსა წინამოადგილეთა მისთაგანსა ჰყოლიეს არხიმანდრიტი უქონლობისა გამო ეპარხიასა ამას შინა მონასტრისასა.

და არა მომხედმან არცა კანონთა ზედა სჯულისათა არცა ჩვეულებათა ზედა საქართველოჲსათა შეურაცხჰყო ბრძანებანიცა უწმიდესისა კათოლიკოსისანი, ვინაითგან არაერთგზის წარწერილ არს ყოველთა ეპარხიის მღუდელმთავართადმი და თვით მისდამიცა ძალისაებრ უწყებათა საქართუელოს მთავარმმართებელთასა დაფუძნებულთა უმაღლესსა მისსა იმპერატორების დიდებულების ნებასა ზედა, რათა ნუვინმე აღუჴანილ იქმნების არცა რომელსამე ხარისხსა ზედა სამღუდელოსა თვინიერ მიუცილებელისა საჭიროებისა და მაშინცა მოხსენებულ ექმნას მისსა უწმიდესობასა.

ჱ. აზნაური თურქისტანისშვილის მეუღლის დამარხვაზედ მიწოდებული ყოფილ არს კრებული უწმიდესისა კათოლიკოსისა, და მათ შორის იეროდიაკონიცა უწმიდესისაეე ქრისტეფორე ყოფილ არს უკუე სტიხარითა მოსილი, მაშინ ყოველადსამღუდელოსა მიტროპოლიტსა არსენის შემოსილსა მანტიით უთქუამს მისთვის, ვითარმედ: «როგორ გაჰბედე შემოსლვა ჩემთანა და ანუ თუ ვითარ მოხველ აქაო». და შემდგომად უცია წინაშე შეკრებულისა ერისა ქელითა თვისითა პირში ესრეთ ძლიერ, რომელ წარმოსჩენია სისხლიცა, რომელ ესე ჴეშმარიტ არს, დაამტკიცეს ფიცით პატიოსანთა და ღირსთა რწმუნებისათა სამღუდელოთა.

ხოლო ვითარისა დასჯისა ქვემდებარე იქმნებიან ყოველნი სამღუდელოისა ხარისხისა მჭონებელნი მათ მიერისა მისდამი გუემისათვის, მას განაცხადებენ კანონნი წმიდათა მოციქულთა **[ν] კჱ**-სა: «ეპისკოპოსი, მორწმუნისა გინა ურწმუნოსა მგვემელი, განიკვეთოს»; ეგრეთვე პირველისა და მეორისა კრებისა: «უკეთუ ეპისკოპოსნი ანუ მორწმუნეთა შემცოდეთა ანუ ურწმუნოთა ძჳრისმყოფელთა სცემდენ გინა ქელითა თვისითა გინა მბრძანებელი ვისდამი განიკვეთნენ, რამეთუ ჰშუენის სწავლითა და წურთიითა და ეკლესიურთა განკრძალუათა მიერ უწესოთა წურთა და არა გუემულებათა ანუ წყლულებათა მიერი».

და ამასთანავე ჯერ უჩნდა მას ყოველად სამღუდელოსა მიტროპოლიტსა მოხსენებად ესე, რომელ იეროდიაკონი იგი ქრისტეფორე არა არს მყოფი ქელმწიფებასა ქუეშე მისსა, არამედ უსაშუალოდ ეკუთვნის უწმიდესსა ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოსსა.

გ. ოდესცა მისსა უწმიდესობასა მიემცნო მიტროპოლიტისა არსენისათვის, რათა შემთხუელსა დღესასწაულობასაზე აღებისათვის ძლევაჲ შემოსილთა როსიის მჴედრობათა მიერ ისმაილისა და სხუათა ციხეთა აღსრულებინა სამღრთო ლიტურღია, არა ვითარ ჯერ იყო მიტროპოლიტისა მისგან პასუხისგებად ესრეთ, ვითარმედ: ყოველად სამღუდელოს უწმიდესის სინოდის წევრს არხიეპისკოპოსს ვარლაამს[1] არც ვაწირვინებ და არც ჩამოუშვებ ეკლესიაშიაო; ოდესცა მისსა უწმიდესობასა არცა ეხსენებინა სახელი ყოველად სამღუდელოჲსა ვარლაამისა თვისსა მისდამი მიმცნობასა შინა. და გარდა ამისსა ვითარი ჰპოვა ყოველად სამღუდელომან მიტროპოლიტმან არსენი სამართალი არა შემუებად მღუდელთ-მთავრისა ეკლესიისა შინა; და ანუ ვითარი აქუნდა ქელმწიფება არა ნებართვად ლიტურღიის აღსრულებისა, ოდესცა მისი უწმიდესობა ინებებდა მას და თვით ყოველად სამღუდელო არხიეპისკოპოსი ვარლაამცა.

ვინაითგან თუმცაღა ყოველად სამღუდელო მიტროპოლიტი იგი არსენი არს მწყემსი ეკლესიისა მის, გარნა ვითარცა სხუანი მღუდელთ-მთავარნი ეგრეთუე თვით იგიცა არიან სრულიადსა ქელმწიფებასა და უსაშუალოსა განმგეობასა ქუეშე უწმიდესისა ყოვლისა საქართუელოჲსა კათოლიკოსისასა და ჯერ არსა, რათა ქელქუეშე ურჩევნებოდეს მთავარსა თვისსა და წინათვე აუწყებდეს: ნებასა და ბრძანებასა თქუენსა არა აღვასრულებო?

ამათ უკუე სიტყუათაგან მიტროპოლიტისა მის არსენისათა იცნობების, რომელი არღა ჰგონიეს თავი თვისი ქელმწიფებასა ქუეშე უწმიდესისა კათოლიკოსისასა და არცაღა **ახსოვს** კანონი წმიდათა მოციქულთა **ლდ**-სა: «თვინიერ თვისისა უხუცესისა, ესე იგი მიტროპოლიტისა ნურა რაჲსა იქმოდიან ეპისკოპოსნი».

[1] ვალრაამს.

დ. დეკანოზსა თვისისა სამღვდელთმთავროსა ეკლესიისა სიონისასა განრისხებოდა რა ყოველად სამღვდელო ტფილელი სხუათა შორის ეთქვა ფრიად შეურაცხნი სიტყუანი უწმიდესსა კათოლიკოსსა ზედა კსენებულსავე ეკლესიასა შინა, ესე იგი: «კათოლიკოსიც შეარცხეინა და შენცაო, ისიც და შენც შეჩვენებულნი იყავითო, ის ხომ გაეკგდე და შენც თან გაგაყოლებო».

ხოლო რომელ სიტყუანი ესე ნამდვილ არიან თქმულნი ტფილელ [10] მიტროპოლიტის არსენის მიერ, ჴეშმარიტება ესე ჰსწამეს ორთა სამღვდელოთა გვამთა გარდა კსენებულისა დეკანოსისა ფიცით წინაშე წმიდისა სახარებისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. და თუ ვითარ წინააღმდეგ არს შეურაცხება მთავრისა თვისისა და ვითარისა ღირს არს დასჯისა შეურაცხმყოფელი მისი ამისთვის აღწერილ არს კანონსა შინა მოციქულთასა ნე-სა: «უკეთუ ვინმე მოყუასმან აგინოს ეპისკოპოსსა განიკუეთენ, რამეთუ თქმულ არს: მთავრისა ერისა შენისასა არა ჰრქუა ძვირი».

ე. მისსა უწმიდესობასა განეზრახა რა აღსრულებად ლიტურღიისა მოლებინითურთ გრძელდღეობისათვის კელმწიფისა იმპერატორისა და ყოვლისა უმაღლესისა ფამილიისა დღესა მისის იმპერატორების დიდებულების შობისასა, მიუმცნო ესე ყოვლად სამღვდელოსა ტფილელ მიტროპოლიტისათვის წარმგზავნელსა მასდა ქაცისასა.

ხოლო მიტროპოლიტს მას პასუხ-ეგო, რათა: არა შთამოიყოლიოს თანა საწირავად არხიმანდრიტი დოსითეოსი, რომელსაცა ჰაზრისამებრ თვისისა არა აწირვინებს იგი.

სასულიერო სასამართლო ესე ვერა მისწვთების მიზეზსა, რომლისა ძლით მიითვისებს ყოველად სამღვდელო მიტროპოლიტი არსენი ესე ვითარსა კელმწიფებასა, რომელ მთავარსა თვისსა აღუკრძალავს დასახელებით მოყუანად ეკლესიასა შინა და ღირს ყოფად თვისისა თანა მწირველობისა სამღვდელოთა გუამთა მათ, რომელ თაცა იგი არა სათნო იჩენს.

და ესეეთარითა განუსჯელითა მოქმედებითა თვისითა შეურაცხჰყოფს კელმწიფებასა უწმიდესისა კათალიკოსისასა, რომლისაცა სრულიადსა დამოკიდებულებასა ქუეშე ჰგიეს იგი, და წინააღმდეგ ნებისა მისისა არარაჲსამე ჰქმნად თანა აძს, ვითარ იგი წარმოწერილ არს ანტიოხიის კრებისა კანონსა შინა თ-სა: «ნებითა მიტროპოლიტისათა თანა აძსთ ეპისკოპოსთა ქმნად ყოველივე და თვინიერ მისისა განგებისა არა რაისამე ყოფად».

ვ. რაიცა უკუე შეეხების ძვირ-შემთხუეულებასა და უპატიურებასა, მიპყრობილსა ტფილისის მიტროპოლიტის არსენის მიერ უწმიდესის სინოდის ჩლენის არხიეპისკოპოსის ეარლაამისსა, პირველისა ადგილისამებრ არხიმანდრიტისა დოსითეოსისა და ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის დირექტორის პროტოიერეის ალექსი პეტრიევისადმი ტაძარსა შინა ღმრთისასა ჟამსა უწმიდესის კათოლიკოსის მიერ ლიტურღიის აღსრულებისასა მაღალსადღესასწაულოსა დღესა მისის იმპერატორების დიდებულების შობისასა, ესე პატიოსანთა და ღირსთა რწმუნებასა სამღვდელოთა გუამთა ყოფილთა ჟამსა მას საკურთხეველსა შინა, დაამტკიცეს ფიცით წინაშე წმიდისა სახარებისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, რომელ ყოველივე განცხადებული არზასა შინა პროტოიერეის პეტრიევისასა და აღწერილი კითხვათა შინა მისისა უწმიდესობისასა ყოველად სამღვდელოჲსა მიტროპოლიტისა არსენისადმი სრულიად მართალ არს.

და არცაღათუ მცირედი რაჲმე მიუციეს მისდა მიზეზი წყენისა პროტოიერეის პეტრიევსა, ვინაჲ[v]ათგან მიტროპოლიტსა არსენის შემოსლუასავე საკურთხეველსა შინა და დანახუასაზე მისსა უწყიეს ლანძღვა მისი ფრიად უგვანთა სიტყვებითა და განგდება მისი მოკიდებითა ქელისათა. გარნა მაშინცა პროტოიერეის პეტრიევს არარაჲ პასუხ-უგეიეს გარდა მისსა, რაჲცა აღწერილ არს არზასა შინა მისსა.

ხალთა უკუე მცნებათა იუსტინიანე მეფისათა ესე ვითარად მომქცევისათვის ეკლესიასა შინა აღწერილ არს ოდ-სა მუკლსა ესრეთ: «უკეთუ ვინმე საღმრთოთა საიდუმლოთა, ანუ სხუათა წმიდათა მსახურებათა აღსრულებისა ჟამსა, შესრულთან წმიდასა ეკლესიასა შინა, მიაპყრას წყინება ანუ ეპისკოპოსსა, გინა სამღვდელოთა მოხარისხეთა, გინა სხვათა მსახურთა ეკლესიისათა, ჯჰბრძანებთ დასჯად მისსა სატანჯველთა მიერ და წარგზავნად ექსორიობად».

სასულიერო სასამართლო განსჯის რა ესე ვითარსა უგუანსა მოქმედებასა ყოველად სამღვდელოჲსა მიტროპოლიტის არსენისასა, ჰპოებს სრულიადსა განუსჯელობასა და მოუგონებელსა კადნიერებასა მისსა და არაპატივმდებელობასა არცაღათუ რაისამე განუეთუ დაივიწყნა მან საღმრთონი წერილნი და კანონნი წმიდა-

თა მოციქულთა და წმიდათა მამათანი, რომელნიცა ყოველთა ქრისტეანეთა და უმეტეს სამღვდელოთა გუამთა ასწავებენ სიმშვიდესა და აღკრძალვენ ქმნად წყინებისაცა მოყუსესა თვისისადმი.

რაჲსათვის არა რიდა მან და არა პატივსდუა ტაძარსა ღმრთისასა და მგმობელსა ფრიად უშვერითა სიტყვებითა პატივცემულთა გუამთა მღუდელმთავრისა არხიმანდრიტისა და პროტოიერეისათა, რომლითა ჴელმწიფებითა ეგულებოდა ჟამსა ლიტურღიის აღსრულებისასა თვით მთავრისა მისისა უწმიდესისა კათოლიკოსისა მიერ მუნ ყოფასა უფლისა საქართველოჲს მთავარმმართებელისა და ყოვლისა პატივცემულისა საზოგადოობისასა განდევნა მათი ეკლესიით მაღალსადღესასწაულოსა და ყოველდ უსახარულეანესსა დღესა ყოველდ უმოწყალესისა ჴელმწიფისა ჩვენისა იმპერატორის შობისასა, ოდესცა ყოფად ეკლესიასა ამას შინა, ვითარცა შესაკრებელსა ეკლესიასა ქალაქისა ამის, და აღვლინებად ვედრებათა თვისთა გრძელდღეობისათვის მისისა იმპერატორების დიდებულებისა და ყოვლისა უმაღლესისა მისისა ფამილიისასა თანამდებ იყვნენ არათუ ოდენ იგინი, არამედ ყოველიცა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა საზოგადოება ქალაქსა ამას შინა მყოფი.

ესე ვითარითა უკუე განუსჯელითა კადნიერებითა თვისითა ყოველდ სამღვდელოსა მიტროპოლიტსა არსენის ძვირშემთხვეულ უყვიეს არა თუ ოდენ ყოველდ სამღვდელო არხიეპისკოპოსი ვარლაამ, არხიმანდრიტი და პროტოიერეი, არამედ თვით მთავარიცა მისი უწმიდესი კათოლიკოსი ყოვლისა საქართველოჲსა, ვითარცა არღა უკუე [11] მცნობსა ჴელმწიფებისა მისისასა თვის ზედა, და ეგრეთვე უფალიცა საქართველოს მთავარმმართებელი და ყოველი ეკლესიასა მას შინა მყოფი პატივცემული საზოგადოება, დაუვიწყიეს პატივდებელობა ესოდენ უსახარულეანესისა ყოველთა ერთგულ ქვეშევრდომთათვის დღისა და შეურაცხ-უყოფიეს ტაძარი ღმრთისა და საკურთხეველი ადგილი წმიდა-წმიდათა და თვით საღმრთოჲცა ლიტურღია, ნაცვლად შერთვისა ვედრებათა თვისთა ვედრებათა თანა შეკრებულისა მუნ ერისათა და ნაცვლად თანაზიარებისა აღსრულებასაზე მოლებნისასა, რომლისადმიცა თანამდებობისამებრ თვისისა აქუნდა მას მიუცილებელი შეკრულება.

ზ. სხუათა უკუე საჩივართათვის სიონის ეკლესიის დეკანოსის იოსების და მღვდლის ილარიონის და მისივე ეკლესიის მიცვალებულის დეკანოზის შვილის სოლომონის და ჭაშოეთის წმიდის გიორგის ეკლესიის დეკანოზის და მღვდლის პავლეს და ტფილისს მცხოვრებელის მუნჯიშვილის დავითისაგან მორთმეულთა, რომელნიცა

ზემორე მოხსენებულ არიან და რომელთაცა უმეტესისა ნაწილისა სიმართლე ცხად არს კნინღა ყოვლისა აქაურისა საზოგადოებისადმი, სასულიერომან სასამართლომან ვერა ძალიდვა ქმნად გამოწვლილებითი გამოძიებაჲ ამად, რომელ საჩივართა მათ გამო ჯერ იყო მოთხოვა ყოველად სამღვდელოისა ტფილელ მიტროპოლიტის არსენისგან სხუა და სხუანი განცხადებანი.

და ვინაითგან მან არცა მისსა უწმიდესობასა ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოსსა კითხუათა ზედა მასთა პასუხ-უგო ჩვეულებრივისა მისისა ურჩებისა გამო, და არცაღა სასამართლოსა ამას მოსცა ვიეთარნიმე განცხადებანი, ოდესცა წარგზავნილ იქმნენ მასდა კითხვანი ქმნილთა მის მიერ მოქმედებათათვის, და არა თუ ოდენ არა ყურად უღო სასულიეროსა ამას სასამართლოსა და დაშთა ურჩებასა შინა, არამედ მოიღოცა მას ზედა არა შესაფერი ცილის შეწამება, ამისთვის არა საგონებელ არს, რომელ სასამართლოსა ამას მოსცემდა ყოველთა საჭიროთა განცხადებათა, ოდესცა არცაღათუ მოსლვა მას შინა ინება, თუმცაღა პირველ თვით განაცხადა, რათა მოწოდებულ იქმნას მას შინა.

გარდა ყოვლისა ზემო აღწერილისა წარმოსდგენ სასამართლოსა ამას შინა სხუა და სხუანი მოჩივარნი ყოვლად სამღვდელოსა მიტროპოლიტსა არსენის ზედა ესე ვითართა მისთა საქმეთა თვისი, რომელნიცა არა თუ ხარისხისა მისისადმი არცაღათუ ვისდამი შესაფერი არიან და რომელნიცა მოითხოვენ უსასტიკესსა დასჯასა. გარნა სასამართლომან არღა მოიხსენა იგინი და მისცა დუმილებასა შემრაცხმან მათმან ფრიად სირცხვილეულ საქმედ სამღვდელოჲსა წესისათვის.

ხოლო ვინაითგან ყოვლად სამღვდელო იგი მიტროპოლიტი არსენი [v] სხუა და სხუათა მოქმედებათა მიერ თვისთა არა თუ ოდენ ხოლოდ თავსა თვისსა შევრდომილ ჰყოფს განკიცხუასა და შეურაცხჰოფასა ქუეშე ერისასა, რომლისა შორის ქალაქსა ამას შინა არიან მრავალნი სხუა და სხუათაცა სარწმუნოებისა აღმსარებელნი, არამედ სხუათაცა სამღვდელოთა გუამთა ქვემდებარე ჰყოფს მასდამი; და ვინაითგან არაერთგზის უგუემიეს ჴელითა თვისითა პატიოსანთა სამღვდელოთა გუამთა და საეროთა თვისცა ვიდრეღა ქუჩათა და ბაზართაცა შინა და აღსრულებათაცა მიცვალებულთა წესისასა, ვითარ იგი თვით ყოველად სამღვდელოჲსა ტფილელ მიტროპოლიტის არსენის ხელით სასტიკთა გუემათა მიერ მოკლებულ აქუს მღვდელსა პეტრეს სმენა ერთისა ყურისა და ხედვაცა მიბრყვილებითა ერთისა თვალისათა, რომლისა გამო ძვილ სადამე სამღვდე-

ლოთა გვამთაგანი ვინმე შემძლებელ არს მისლუად შესაკრებელსა სიონის ეკლესიასა შინა მაღალ სადღესასწაულოთა დღეთა მოლებნათა ზედა, ოდესცა არს იგი აღმასრულებელ მისსა მცნობნი მისისა თვისებისანი.

ხოლო ამისთვის სასულიერთაჲსა სასამართლოისაგან განჩინილ იქმნა: თუმცაღა ზემოაღწერილთა მოქმედებათა და ბრალთამებრ ყოველად სამღუდელოისა მიტროპოლიტის არსენისათა და მოღებულთა ზემორე კანონთა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა მამათა ჯერ იყო განყენება მისი მღუდელთმთავრობისაგან, გარნა პატივდებისა გამო ნიშანთა განსხვავებისათა ყოველად უმოწყალესად მისდა ბოძებულთა შემცირებულ იქმნას დასჯა მისი, და ამისთვის მხოლოდ გარდაყენებულ იქმნას იგი ეპარხიისაგან, რომელიცა აწ არს განმგეობასა შინა მისსა, წარიგზავნოს სამყოფელად ერთსა რომელსამე აქაურთა მონასტერთაგანსა, სადაცა აღნიშნოს მისმან უწმიდესობამან, და ტფილისის ეპარხიის შემოსავალთაგან მიეცემოდეს მას საჭიროჲ საცხოვრებელად თითოეულ წელ თეთრი*.

წარგზავნადმდე უკუე მისსა მონასტერსა შინა ვითარცა განჩინილ არს, დაყენებულ იქმნას იგი აღსრულებისაგან ყოველისა მღუდელმოქმედებისა.

ხოლო მოჩივართა, რომელთაცა არზანი არა სრულებით გამოძიებულ იქმნენ ზემოკსენებულთა მიზეზთა გამო, მიეცესთ ჯეროვანი კმაყოფილება, მაშინ ოდესცა განჩინება ესე მოყვანილ იქმნაჲს აღსრულებასა შინა.

განჩინება უკუე ესე წარიდგინოს მისისა უწმიდესობისა ყოველისა საქართველოჲსა კათოლიკოსისა ანტონისადმი შერთვისა აჭა ანტიოხიისა კრებისა იე-ს კანონისათა: «უკეთუ ვინმე ბრალისა რაჲსათვისმე შესმენილი ეპისკოპოსი განიკითხოს ყოველთაგე სამთავროისა მის ეპისკოპოსთაგან და ყოველთაგე ერთჴმობით ერთი განჩინება განსცენ მისთვის, ესე ნურღარა მერმეცა განიკითხვის სხუათა მიერ, არამედ უცვალებელად ეგენ მისთვის ერთჴმობითი იგი განჩინება ეპისკოპოსთა მის სამთავროჲსათა».

ხელრთვები

[12] მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროისა რუისისა, გორისა და ნიქოზისა მთავარეპისკოპოზი ი უ ს ტ ი ნ ე.

* აჭ ჩამატების ნიშანია (+), ხოლო მომდევნო აბზაცის ტექსტი მიწერილია კიდეზე გასწერივ.

მდაბალი მიტროპოლიტი ხიზიყისა და სიღნაღისა ბოდბელი ი ო ა ნ ე.
მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმიდისა და არხიეპისკოპოსი რუსთავისა ს ტ ე ფ ა ნ ე.
მდაბალი მიტროპოლიტი წილკანისა და სამთავისისა ღ ე რ ვ ა ს ი.
მცხეთის ღმრთისმშობლის დაუჯდომლობის ეკლესიის არხიმანდრიტი ნ ე ო ფ ი ტ ე.
თელავის ქალაქის კარის არხიმანდრიტი ე ლ ე ვ თ ე რ ი.
ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტი დ ო მ ე ნ ტ ი.
იერუსალიმის ჯვარის მონასტრის არხიმანდრიტი ე ე ნ ე დ ი ქ ტ ე.

203. განჩინება სასულიერო სასამართლოსი ტფილელ მიტროპოლიტ არსენის საქმეზე

1810 წ. 16 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2158. დედანი. ქაღალდი. 34×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აჭა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ბრძანებითა მათის უწმიდესობისა სრულიად საქართუელოჲსა კ ა თ ო ლ ი კ ო ს-პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ს ა, მეფის ძისა ა ნ ტ ო ნ ი ს ა თ ა სასულიერომან ამან სასამართლომან, ჯამიერად შედგენილმან ოთხთა მიტროპოლიტთა და ოთხთა არხიმანდრიტთაგან, თქუენ — ყოველად სამღუდელოჲსა ტ ფ ი ლ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს ა ა რ ს ე ნ ი ს მიერ ახლოჲსა ჯამისა ნამოქმედართა საქმეთა წარმოებულთა გამოძიებისათჳს ამაჲ სასულიეროსა სასამართლოსა შინა განმპსჯელმან და შედგომილმან კანონთა წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ წარმოწერილთა, საჭიროდ შერაცხა გარდაწყუეტილობისა გამო, რათა დრომდე დაყენებულ იქმნეთ ყოველისაგე მღუდელ-მოქმედებისაგან, რომელსაცა გაუწყებსთ თქუენ სასამართლო ესე, რათა მიუცილებლად აღასრულოთ ჩუენ მიერ წარმოწერილი ესე. წელსა **ჩყი**, მარტის **ივ**-სა დღესა.

მდაბალი მიტროპოლიტი მთავარეპისკოპოსი ი უ ს ტ ი ნ ე.
მდაბალი მიტროპოლიტი ხიზიყისა და სიღნაღისა ბოდბელი ი ო ა ნ ე.
მდაბალი მიტროპოლიტი ს ტ ე ფ ა ნ ე
მდაბალი მიტროპოლიტი ღ ე რ ვ ა ს ი
მისის უწმიდესობის არხიმანდრიტი ნ ე ო ფ ი ტ ე

თელავის ქალაქის კარის ეკლესიის მდაბალი არხიმანდრიტი ელიფთერი
ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი დომენტი
არხიმანდრიტი იერუსალიმისა ვენედიქტე

თავში:

ჩუენ, სრულიად საქართუელოჲსა კათოლიკოს-პატრიარხი ანტონი, ყამიერად შედგენილისა სასულიეროჲსა სასამართლოჲსა მიერ წარმოწერილისა ყამადმდე დაყენებისა წერილსა ამას ვამტკიცებთ. წელსა ჩყი, მარტის ივ-სა.

204. განჩინება სოლომონ II-ისა პაპუნა და გეჟან წერეთლების გაყოფის საქმეზე

1789—1810 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 5086. დედნის შავი. ქაღალდი. 40×36 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ. II-ის ზეობის წლებით.

ქ. დაბრძანდა თავათ ბატონი მეფე სოლომონ, დარბაზის ერნი თან იახლენ და წერეთლები პაპუნა და ბეჟან განვყავით.

ქ. პაპუნას ერგო საუმ[ფ]როსო აზნეურშვილი: ქ. კაციელა გოდაბრელიძე მისის მამულით, ალაგით და ყოფა-ცხოვრებით.

ქ. ზალიკა აბდუშელიშვილი მისის მამულ-ადგილ-ყოფა-ცხოვრებით.

ქ. დავითელა ამანისშვილი და ზალიკა აბაზაძე მათის ყოფა-ცხოვრებით.

ქ. გლეხი კაცი საუმცროსოთ:

ქ. ჩიხას: ზამბახიძე.

ქ. სალათუბანს: ბერიკა აბრამიშვილი.

ქ. ჰორვილას: ნასიკა მჭედლისშვილი.

ქ. არგვეთს: თამაზა და ბერიკა კიპაროლიძე.

ქ. მერჯევს: ბერიკა ქემეტელიძე.

ქ. შუქრუთს: თამაზა მეფარიძე.

ქ. კოლბაურს: დათუკი ღვინიაშვილი; ქ. ფარფალა ღვინიასშვილი; ქ. გლახა კვინიკაძე; ქ. ჯვარელიძე; ქ. რუსი მამარაშვილი; ქ. ლაზარე ხუცესი გოგოლაძე; ქ. ბერიკი ჯალაბაძე.

ქ. აწ ბატონის მეფის სოლომონის წყალობა გასამყოფლო აზნეურშვილი: ქ. ბეჭუა აბდუშელიშვილი მისის მამულ-ალაგ-ყოფა-ცხოვრებით; ქ. იოთამ კურცხალია მისის მამულ-ალაგ-ყოფა-ცხოვრებით.

ქ. გლეხი კაცი კოლბაურს: ხახუტი მაზაშვილი მოსახლობით და ყოფა-ცხოვრებით; ქ. ლაზარიკა იაკობიძე და მისი სახლის კაცები მოსახლობით და ყოფა-ცხოვრებით; ქ. პაპუნა შეყლაშვილი; ქ. თამაზა და სესიკი შეყლაშვილი.

ქ. აწ სახდურში...* [ა]ზნეურშვილი: ქ. ქაქუცა მაჭავარიანი მისის მამულ-ალაგ-ყოფა-ცხოვრებით; ქ. გოგია მაჭავარიანი; ქ. დათია ფალავანდიშვილი მისი ბიძაშვილებიანათ; ქ. ბაჭუა იაშვილი და მისი ძმა; ქ. ბაჭუა გოდაბრელიძე; ქ. ზალიკა მაჭავარიანი; ქ. კოკია აბდუშელიშვილის შვილები; ქ. დავითელა აბდუშელიშვილი; ქ. გიორგი დავითაშვილი მისის ძმიანათ; ქ. ქაქუცა ღაბუაშვილი მისის მამულ-ადგილ-ყოფა-ცხოვრებით; ქ. გიორგი ციმაკურიძის შვილები მისის ბიძიანათ.

ქ. ოთანა მაჭავარიანი; ქ. დათიკო მარეხიშვილი; ქ. ხოსიკა გივსაშვილი; ქ. კიკონა ბუში; ქ. ხატელიშვილი; ქ. ბუჭა გომართელი; ქ. გიორგი ორჯონიკიძე — ესენი ყველა მათის ალაგ-მამულ-ყოფა-ცხოვრებით.

ქ. აწ გლეხი კაცი: ქ. ჯარეულთს: ქ. ხელოსანი რამაზიკი ბუღაძე; ქ. გიგიტელა ცარციძე.

ქ. სერს: ქ. შიო მაჭარაშვილი; ქ. ბაგური ღვინიაშვილი; ქ. ბერიკი მაჭარაშვილი; ქ. გიგიტი ქუტირელი; ქ. ლეკვა გამხარაშვილი; ქ. დალაქიშვილი; ქ. ივანეშვილი; ქ. ლაზარიკა მაზაშვილი; ქ. პაპუჩი ფოფხაძე; ქ. სესიკი მათირიშვილი; ქ. ყანწია მათირიშვილი; ქ. ხელოსანი მამუკელა გოგოლაძე; ბ. ბერიკი წმანელის ძმა; ქ. სუხიტი გოგოლაძე; ქ. შიუკი სარდლისშვილი მისი კერძი მამულით; ქ. მამუკე-

* აკლია ერთი ან ორი სიტყვა.

წვა გოგატიშვილი; ქ. გოგია ღომიაშვილი; ქ. შოშიკი ჯალაბაძე.

ქ. გორისას: ქ. პატიკი შეყლაშვილი; ქ. მეჟია აჭარაძე; ქ. ბორც აჭარაძე შეყლაშვილის პარტახით; ქ. მამუკი აჭარაძე; ქ. დათუკი აჭარაძე; ქ. რამაზა კურცხალიასეული პარტახი; ქ. პატიკი ტაბატაძე; ქ. ივანიკა ბერდელიძე; ქ. პაპაშვილი რომ პარტახსზე იდგა.

ქ. მერჯევს: ორი სადუნიშვილი; ქ. გიგიტი გოგატიშვილი; ქ. ხახუტი შამანაძე; ქ. გიგიტი შამანაძე; ქ. ფოცხვერაშვილის პარტახი.

ქ. სარეკში: მეტონიძე; ქ. თამაზა აბრამიშვილის შვილები; ქ. დათიკი აბრამიშვილი; ქ. ნებალა აბრამიშვილი; ქ. თანდილიკი ჭიდლაძე; ქ. გიგია აბრამიშვილის შვილები; ქ. კაციტი აბრამიშვილი; ქ. დათიკი აბრამიშვილი; ქ. სესიკი აბრამიშვილი.

ქ. დენთას: ქ. პაპუჩი ჭიჭინაძე; ქ. დათუნა ყიფიანისეული პარტახი; ქ. ბრეგვაძისეული პარტახი; ქ. ნახევარი ლაბაძისეული პარტახი. ქ. გიგიტი მოსიაშვილი; ქ. გიგიტი სირაძე; ქ. ფუტკარაძე; ქ. ასანიძე.

ქ. ცხამს: ხუჩკი გელიაშვილი.

ქ. იცქითს: ლაბუჩიძისეული პარტახი. ქ. მუკთარაძე.

ქ. საირხეს: ორი გძელიშვილი; ქ. ნადირაძე.

ქ. შუქრუთს: ოცდახუთა.

ქ. ცხრუკვეთს: კვინიკაძე; ქ. პაპუჩელა ფხაღაძე; ქ. გიგიტელა მჭელიძე და ნინიკაშვილები მათის ალაგ-მამულითა.

ქ. ბოსლევს: ორი პარტახი.

ქ. ცისას: ქ. გიგიტელა იაშვილი; ქ. კაციკი იაშვილი.

ქ. დუმთას: ბუშისეული პარტახი და ნაჩერგეზევის ბოლოზე რომ გძელი ჰალა არის.

ქ. ოფიშკვითს: სვიმონიკა ძუძუაშვილი და პაპუნიკა ძოძუაშვილის შვილები ობლები; ქ. ურიები: ხახანა ყობაშვილი; ქ. კიკოზაშვილი; ქ. ცოცია და მისი ძმები.

ქ. ფაციასოული პარტახი. ქ. იაკ[ობიძისეულ]ი პარტახი.

ქ. სალათუბანს: სასახლე; ქ. შიოშელა აბდუშელიშვილი.

ქ. სესიკი ჩოლაბელისშვილი; ქ. დათუკი ქველაძე და მისი ძმები ეთოს.

ქ. ოფიშკვითს: მჭედლიძე; ქ. იათიკი ზამბახიძე.

205. განჩინება სოლომონ II-სა ხუტუ მიქელაძის ქალისათვის მამულის დამკვიდრების თაობაზე

1789—1810 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9995. დედნის შავი(?). ბოლო აკლია. საბუთი თარიღდება სოლომონ II-ის ზეობის წლებით.

ხუტუ მიქელაძემ რომ თავის შვილს ქალს თავისი ყმა და მამული მისცა და მათს უმაღლესობას მეფეს დააბეჭდინა, ეს მიქელაძეებმა იწყინეს და შფოთი განიზრახეს, სამართალში მოუწოდეთ და არ მოვიდნენ. ვიკითხეთ მიზეზი და ამის მეტს ვერას იტყოღენ — ჩვენში არ ქნილაო.

ამისთვის ჰვემარიტი მსჯავრი და სამართალი დასაბამითგან სოფლისა გამოვიძიეთ, ვხედავთ ძველთა საუკუნეთა აღწერილთა სჯულისდებათა შორის, რომ როგორც ვაჟი, ისე ქალი არის მემკვიდრე მამისა თავისის დანარჩენის ყმისა და მამულისა.

ეგრეთვე დაბადების სამართალსა და მოსეს სჯულისდებასა შინა როგორც ვაჟს, ისე ქალს მიეცემოდათ ყმა და მამული მამათა თვისთა და ესიძებოდნენცა სახლსა მისსა სხვაგვარნი.

ეგრეთვე ყოველსა საფრანგეთსა და ევროპიასა შინა უპირველესად სჯულად და სამართლად დამტკიცებულ არს განურჩეველად მემკვიდრეობა ვაჟისა და ქალისა მამისა თვისისა მამულისა და ნაქონებთა.

ეგრეთვე სწერს იმპერატორი რუსეთისა პეტრე პირველი ნაკაზად წოდებულსა სამართლის წიგნსა შინა თვისსა: თესლი განურჩეველი არსო მშობელთა თვისთა ვაჟი და ქალი; და იგი არს უშვილო, რომელსა არა დაშთეს ქალი, გამოიძიეთო განმგებელნო და რომელიცა იყოს უმახლობელესი ნათესავი, ყმა და მამული უვაქოდ და უქალოდ მოკვდარისა მის მას მიეცითო.

ეგრეთვე თათართა, ურიათა, კერპმსახურთა და ყოველთა სჯულიერთა და უსჯულოთა შორის დამტკიცებულ არს ქალისადმი მი-

ცემა მამულისა თვისისა ანდერძითა მამისა თვისისათა და ზედსიძედ შეყვანა სხვისაც სამკვიდრებელსა თვისსა.

და ესოდენ მტკიცე არს სჯული და სამართალი ესე ცასა ქვეშე ყოელთა ერთა შორის, რომელ დიდნიცა ქელმწიფენი თვითმპყრობელსა ქმალსა და ტახტსა თვისსა დაუმკვიდრებენ ქალსა თვისსა, ვითარ იგი მოგვითხრობს სამართა[ლი] საბერძნეთისა; და სწერს მოცჳულიცა პაელე: არა არსო რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა*; და მეფენიცა ქართველთანი წოდებულნი ხოსროიანად მემკვიდრეობითა ქალისათა ზედსიძობით იყუნენ სხვა გვარისაგან მრავალთა საუკუნეთა შინა.

ყოველნი ძველნი და ახალნი სამართალნი და სჯულდებანი დამტკიცებენ მსგავსად ვაჟისა მემკვიდრეობასა ქალისასა, გარნა მოთხრობა ძველთა და ახალთა საუკუნეთა განჳრცელდების, ხოლო გავრცელება კალმისა მოსაწყინელ იქმნების მსმენელთაგან.

და ესეცა აღვსწერეთ ამისთვის, რამეთუ წიგნი სამართლისა იმერეთისა აღწერილი მეფის ვახტანგისაგან დამტკიცებულ იქმნა ყოვლისა სოფლისაგან ყოველთა კეშწიფეთაგან ღმრთისა და კაცთაგან, რათა ვერღარა იკადრონ მიქელაძეებმა თქმად რასამე წინააღმდგომისა.

და თუ ვითარ ისმინეთ სამართალიცა სწერს** წიგნი სამართლისა იმერეთისა, მეფისა ვახტანგისა, რიცხჳსა შინა **რმე**: «თუ კაცი ამოვარდეს და ვაჟიშვილი არ დარჩეს და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, მამის მისის სახლკარი, საქონელი, მამული ქალს გაჰყვესო; იმ კაცის ვალი მისმან ქალმან და ქალის ქმარმან გარდაიხადოსო»***.

ამ მტკიცესა და ჴეშმარიტის სამართლით დაუმკვიდრა თავის შვილს ყმა და მამული თვისი ხუტუ მიქელაძემ. და თუ სამართლის წიგნს ვერ დახვეენ მიქელაძეები და სხვას თითონ ვერ გააკეთებენ სამართლის წიგნს, ვერც ამას მოშლიან, სარწმუნოდ იცოდენ****.

ამას მისთვის სწერს, რომ ვაჟი არ დარჩეს და ქალი დარჩესო, აწ კიდევ რომელსაც არც ქალი დარჩეს, მისთვის ბძანებს, სწერს წიგნი სამართლისა იმერეთისა რიცხჳსა შინა **რიგ**: «უშვილო კაცი

* „ვითარ იგი... დედაკაცისა“ ჩაწერილია სტრიქონს შუა.

** „და თუ ვითარ... სწერს“, ჩაწერილია სტრიქონს შუა.

*** შდრ. ვახტანგის სამართალი მუხ. 145 (ქართ. სამართ. ძეგლები, ტ. 1, გვ. 517).

**** ეს აბზაცი მიწერილია მარცხენა კიდეზე.

ძმა იყოს ვისიმე თუ ბიძა, გინა ბიძაშვილი გაყრა მოინდომოს, თავისი წილი და კერძი არ დაეჭირვის. თუ სახლისკაცი გაიტანა რომელიმე და გაჰყვა, ვისთანაც მოკვდების, მისი მამული და ქონება მას დარჩების, სხვა ძმები და ძმისწულები ვერას მოედავებიან და ვერცარას შეუვლენ. და თუ ცალკე გავიდა და არავისთან დადგა და ისრე უშვილოდ მოკვდა, მისი მამული ქელმწიფისა არის, ვისაც უნდა უბოძოს»*.

ამ სამართლის წიგნითაც მიქელაძეებს სიტყვა არა აქვსთ, მეფეს ვისაც ნებავს, იმას უბოძებს.

წერს კიდევ წიგნი სამართლისა იმერეთისა, მეფისა ვახტანგისა, რიცხჳსა შინა **სჲა**: «თუ ერთმან კაცმან სახლში უმმობ-უსახლისკაცომ, გაყრილმა, უშვილომ ცოლმან და ქმარმან, ერთი სხვის კაცის შვილი, დედმამიანი თუ უდედმამო, ობოლი, ვინმე, გაგდებული, იყიდოს, თუ იპოვნოს იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისაებრ მიასაკუთროს და მას უანდერძოს, მასუკან ის გამზრდელი მოკვდეს, ბატონი იმ ანდერძს ნუ მოშლის, ვითამ ის არ მომკვდარა, მისი მამული და ქონება მასვე აქონიოს, ვალი და სადაო, ჭირი და ლხინი ბატონის სამსახური, მისი მამობილის მოდავის პასუხი, — ყველა მან ნაშვილებმან ქნას»**.

კიდევ ამ სამართლის წიგნით თუკი უშვილო კაცი სხვას ვისმე, ან გადაგდებულს ობოლს იშვილებს, და ყმასა და მამულს დაუმკვიდრებს, ხუტუს[ს] ხომ სწორედ თავისი საყვარელი და ბუნებითი შვილი ჰყავს, მას რომ ვაჟი მიეცეს, ხუტუმ მურზაყან დაარქვას, თავის სასიცოცხლოდ, დამმარხველად თავის უბეში გაზარდოს, რომელი მიქელაძე გაბედავს ამ უწყალობას და უსამართლოს თქმას: ხუტუ, შენც დაირჩე, ეგ შენი შვილიც დაარჩევ და მამული ჩვენ მოგვეცო.

კიდევ სწერს წიგნი სამართლისა იმერეთისა, მეფის ვახტანგისა, რიცხჳსა შინა **სნზ**: «თუ უშვილო ვინმე იყოს და ქალი დარჩეს, თუ ქმრის ჯელთ იყოს, ანდერძისაგან მიეცემისო»***.

და ხუტუმ ანდერძითა მისცა და დაუმკვიდრა.

ამ ზემოხსენებულის საბუთების ყოვლის ჭეყნების განწესებით და სამართლითა ღმრთითა და კაცით და ეგრეთვე იმერეთის სამართლის წიგნით დაუმკვიდრდა ხუტუსაგან მიცემული ყმა და მამული მის შვილსა და სიძეს.

* შდრ. ვახტანგის სამართალი მუხ. 113.

** იქვე, მუხ. 161.

*** იქვე, მუხ. 257.

და მიქელაძეები მხოლოდ ცარიელის სიტყვით რომ ამბობენ, ჩვენში არა ქნილა და არ ვიქთო, ხუტუს რომ შეძლება ჰქონდეს და სასახლეში მარმარილოს ეკლესიას აშენებდეს, არა ქნილა და არ ვიქთო, ღმრთისათვის საწამებლად ვინმე გამოჩნდეს[1] ჩვენში არა ქნილა და არ ვიქთო, ნათლისღება არა ყოფილა, არა ვიქთო, ჩვენში ტყვის სყიდვა ყოფილა და აღარ გადავაგდებთო, როგორც შეუძლებელია ამაების თქმა, უმეტესად შეუძლებელია მიქელაძეებისაგან ეს პასუხი — ყოვლის ქვეყნისა ღმრთისა და კაცისა და იმერეთის განწესებას და სამართალს ჩვენ არა ვიქთო.

თუ მეფეთაგან წიგნი აქვსთ და ბეჭედი და ასე უწერიათ: თქვენში თუ უშვილო ვინმე მოკვდეს, მისი ყმა და მამული თქვენ მიქელაძეებისათვის გვიბოძებია, მეფეს ჯელი არა აქვსო, იმ მეფეს თავის სიცოცხლეში გაცემა შეუძლიან, მაგრამ თუ ქალი დარჩება, მისი სამართლები ზემო დაგვიწერია.

და თუ არც მეფის წიგნი აქვსთ, მაინც ტყუილად თავს ნუ იწუხებენ. ცას ქვეშეთი ერნი და ჯელმწიფენი და თვით ოთხნივე პატრიარხნი, სამღთონი და ბუნებიონი სამართალნი და განწესებანი დაბეჭდვენ და დამტკიცებენ ხუტუსაგან სამართლით და სჯულიერად მიცემისა მამულისა შვილისა თვისისასა.

და მდივანბეგის სიკუდილისათვის რომ შეთქმულან მიქელაძეები, წიგნიც გამოუღიათ და კიდეც გაფიცულან, პირველი ესე, რომ სწერს წიგნი სამართლისა იმერეთისა რიცხვსა შინა **როგ**: «ქვეყანაში ამისი ყადაღა ჯელმწიფისაგან უნდა იყოს და არის, რომ რაგინდ დიდი საქმე, სისხლი და ვალი ემართოს, **ერთიმეორეს ნურც მოსტაცებს** და ნურც დაიხუთავს, თუ ვისმე სიტყვა»...*

206. განჩინება სოლომონ II-ისა ზურაბ წერეთლისა და როსტომ ნიჟარაძის სასისხლო საქმეზე

1789—1810 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1142. დედანი. 44×17,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ II-ის ზეობის წლებით.

ქ. სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ და ნიჟარაძე როსტომ გავამჭვეთ.

სალთუხუცესმა უჩივლა: ჩვენს ხელმწიფეს ბატონს

[1] გამოჩნდელს.

* შდრ. ვახტანგის სამართალი მუხ. 173. დანარჩენი აკლია.

მეფეს დამასმინე, სახლთუხუცესი გღალატობსო, ასე რიგათ დამასმინე და დააჯერე; სასიკვდილო ვიყავი, ღმერთმან დაუმადლოს, არ მომკლა, თორემ შენით მეც მომკალი; ჩემი თავის ტოლი შვილიც ჩემთან დაასმინე, ისეც მოკალი; ჩემს ოჯახს რომ მისდღეშიდ ხელმწიფის ერთგულობის მეტი არაფერი სთქმია, შენ მოღალატეთ და მკვლელათ გამომაჩინე, ოჯახობით ამომაგდე, რას მემართლებოდი, არ ვიცი.

როსტომ ნიჟარაძემ უპასუხა: ჩვენმა ხელმწიფემ ხატზედ დამაფიცა: ვინც იყო, ერთს კაცს ხელშიდ ჩამაბარა, რაც ამ კაცმა გითხრას. ჩემთან მოსახსენებელი, არაფერი დამიმალო, მომახსენეო და არც ეს კაცი გაამხილოო. და მართალია, რაც იმ კაცმა მითხრა, ჩემს ხელმწიფეს მოვახსენეო. და თავისი მოგონებით და დასმენის აშოროო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. წამოდგეს თვითონ როსტომ ოცდასამი თავისი ტოლი კაცი ან ამავალი თავადის შვილი საპატიო კაცის შვილი და აზნაურ[ის]შვილი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: «მეფემ რომ ფიცით კაცი ჩამაბარა, არც პირიქით მე იმ კაცისათვის მეთხრობიოს და შემეჩინოს მეფეს სახლთუცის ღალატი და სახლთხუცის დასაკლისი და მისი შვილის დასაკლისი და საზიანო[1] რამე მოახსენეთქო; რაც იმ მეფის ჩაბარებული კაცისაგან მეფის მოსახსენებლად დაბარებული სიტყვები მეფეს არ მოვახსენე, შენი და შენის შვილის შურითა და მტერობით ჩემით მეფისთვის თქვენი და თქვენი შვილის ორგულობა და თქვენგან ღალატობა და თქვენი საზიანო[1] არაფერი მომეხსენებიოს ჩემის მოგონებით, იმ კაცის დანაბარებზედ თქვენი საზიანო[1] სიტყვა არაფერი მომემატებიოს».

თუ ასე დაუფიცოს, ის შამომთვლელი კაცი დაუსახელოს, სხვას ვერაფერს შეუა. და თუ ასე ვერ დაუფიცოს, დიდებულის თავადის მთელი სისხლი — ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი და ერთი ამოდენი სახლთუხუცესობის სისხლი ზედ დაუდვას და ისე სახლთუხუცესს როსტომმა მისცეს.

სახლთუხუცესმა უჩივლა: პირველათ დასმენას აქეთ ბატონმა მეფემ ერთმანეთს შეგვაფიცა, გაგვარიგა და მასუკან კიდევ მეორეთ დამასმინე, ბატონს შეწყალებული ვყავდი და პირველსავით სანდო ყმათ ლეჩხუმს მაგზავნიდა და ბააკა ჩიქუანთან ლეჩხუმს აძლევდენ ბატონს. შენ მოახსენე ბატონს: სახლთხუცესს ასრე

[1] საზნიანო.

რატომ მიენდვე, რომ იქ აგზავნი ბაიკას, იქ ლეჩხუმშიდ ისევე გელოვანათ გაიკეთებს, იმერეთშიდ ეს იქნება პირველათ და როდესაც უნდა, როგორც მოინდომებენ, ისე გიღალატებენო. მე შენზედ დანდობილი ვიყავი და შენ კიდევ მომკალი, მოღალატეთ გამომაჩინე. და ბატონმა ისევე მისი მწყალობლობა მომაკლო, აღარც მენდო და აღარც გამაგზავნა.

რ ო ს ტ ო მ მ ა ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. წამოდგეს თვითონ ოცდასამი თავის ტოლი კაცი ან ამაეალი თავადისშვილი საპატიო კაცისშვილი და აზნაუ[რ]შვილი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ შენის მტერობით დასმენას მეწამები, მაშინ შენი დასაკლისი და შენ საზიანო!¹ მეფისათვის მე არაფერი მომეხსენებიოს».

თუ ასე დაუფიცოს, არაფერს ემართლება. და თუ ასე ვერ დაუფიცოს, ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი — დიდებულის თავადის სისხლი და სახლთუხუცობის ერთი იმოდენი სისხლი დაუდვას და ისე გარდაუხადოს როსტომმა სახლთუხუცესს.

სამი ბეჭედი: 1. მეფე იმერთა ს ო ლ ო მ ო ნ
2. წერეთელი ვ ა ხ უ შ ტ ი
3. მდივანბეგი წ უ ლ უ კ ი ძ ე ბ ე ჟ ა ნ.

207. განჩინება იოსებ ყორღანოვისა და სტეფანე ბასტამაშვილის ვალის საქმეზე

1801 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7929. დედანი. ორადგაკეცილი ქაღალდი. 34,5×22,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

კეთილშობილი მილახვარი იოსებ ყორღანოვი უჩიოდა ბასტამაშვილს სტეფანეს ორას თუმანზედ, ამ ორას თუმანს სარგებლით სთხოვდა.

ამათის სარჩელის განჩხრეკა საქართველოს სამოქალაქო მმართებელობამ თავადს ბებუთოვს მელიქ-მამასახლისს[ს] და პოლიციის მთავარს ოთხის იმათგან გამორჩეულის ქედხუდების თანდასწრებით უბრძანა, რომელთა თანამმართებელთა წევრი თავადი იოანე ჩოლაყოვიც ორისავ აღრჩევით დასწრებულიყო.

ამ ზემო ხსენებულთ ამათი სარჩელი მოესმინათ და ამათის სარჩელის კმაყოფა თვით ვერ შეუძლეს, ქვემო კელმომწერელი იარანალ-მაიორი და კავალერი ივან პეტროვიჩი ლაზაროვი მიმიწოდეს პოლიციის მთავარს დარჩი ბებუთოვ მელიქ-მამასახლისთან. შევკრბით, ორსავ მხრის სარჩელი მოვისმინეთ.

მოქალაქე ბასტამაშვილმა სტეფანემ მეფის გიორგის ოქმი გამ[ო]აცხადა ქორონიკონს **უპზ**, ოკდომბრის **ა** დაწერილი, რომელსა შინა წერილი არს: «ჩვენი ბრძანება არის, ვინცა ვინ ამ სტეფანე ბასტამაშვილის ვალის პატრონი ხართ, მერმე რომლისამე მიზეზით ეს სტეფანე ვალის ქვეშ ჩავარდნილა, ამ კაცს ვერ გავაფუჭებთ, ვერც მე გამოვიმეტებთ და არც თქვენ უნდა გამოიმეტოთ, უნდა გავაძლებინოთ და რიგიანის საქმით თქვენი თეთრიც თქვენ მოგეცესთ და ეს კაციც არ წახდეს. ესეც უნდა იცოდეთ: ქალაქის წახდენას აქეთ სარგებელს ვერ გამოვარომევთ, სამართალიც არის ამისთვის, რომ თუ თქვენი თეთრი ამისის სახელობით მორჩომილია და ახლა მოგეცემათ, დიდი ღვთის წყალობა არის; ამისათვის, რომ იფიქრეთ, თუ რამთენი ამისთანა თეთრი და საქონელი დაგეკარგათ, ესეც რომ თქვენთან ყოფილიყო, იქნებოდა რომ ესეც დაკარგულიყო და ამასთან მიგირჩათ. ახლა ქალაქის წახდენის თარიღის აქეთ ამ თარიღამდინ სარგებელს ვერა სთხოვთ. და [ა]მ თარიღს იქით უნდა შეაძლებინოთ და თქვენი თეთრი ერთის გზით მოგეცესთ. თუ ამის მამულს გარდა ამის ქონებას იპოვნით, ან სარგებლით გაცემულს, ან საამხანაგოთ მიცემულს, ან თავის კელში, ან ამ ქვეყანაში, და ან სხვას ქვეყანაში, მაშინ სიტყვა გექნებათ და პასუხიც უნდა გაგცესთ. თუ არა აქვს რა, მამულიც რომ გაყაყიდინოთ, არ აუ[ვ]ა. ჩვენ ზედმიწევნით ვიცით, რომ ასე არის; და როგორც გვიბრძანებია, ასე უნდა აღსრულდეს. ამისი საჩივარი არც ჩვენს შვილებთან იქნება და არც მდივანბეგებთან და არც სხვასთან. ამისი საჩივარი და საქმე ჩვენთან უნდა მოხდეს. ყველამ ასე იცოდეთ, ეს ჩვენი ჩირაღი არის, ვერავის წავახდენინებთ, მამით-პაპით ნამსახური არის».

ეს ოქმი მეფის ძეს დავითს და ღენერალ-ლეიტენატს და კავალერს დაემტკიცებინა. ამგვარი საჩივარი მეფის ძის დავითის მმართებლობის ჟამს ქ[ა]ს **უპთ**, თებერვლის **ე** მეტეხის დეკანოზის იასეს ორმოცდაათის თუმნის საჩივარზედ მდივანბეგებისაგან მომხდარიყო, თავნი მიეცემინათ და სარგებელზედ კელი აეღებინათ.

ჩვენ რადგან ოქმი განვაახლეთ და სხვას საჩივარზედაც სამართალი ასე გარდაწყვეტილიყო, სტეფანემ ორასი თუმანი თავისი კე-

[1] საზნიანო.

თიღშობილს მილახვარს იოსებ ყორღანოვს მოსცეს და სარგებელს კი ვერა სთხოვს.

ჩვენ ამთი სამართალი ასე განვაჩინეთ. და თუ იოსებ მილახვარი ამ ჩვენს სამართალს არ დასჯერდება, უმაღლესს ადგილს იჩივლოს.

ერისთოვო იოსებ ატუტენტო, ეს ასე აღასრულე. სეკდემბრის **ე**, ქორონიკონს **უპთ**.

ქალაქის წახდენას აქეთ ოქმით ბრძანებისამებრ სარგებელს ვერა სთხოვს. და ქალაქის წახდენის უწინარეს რაც სარგებელი დაედება, ეს კი უნდა მისცეს სტეფანე ბასტამაშვილმა მილახვარს იოსებს.

Генералъ-майоръ Лазаревъ
თავადი იოანე ჩოლაყაევი
თავადი ხელრთა: დარჩი ბებუდოვი
სტეფან შალიკოვი
ო[ა]ნეზ დავიდოვ ოქოვ
სტეფან ძე... ყუზანოვი(?)
ო[ა]ნეზ ძე მარტირუს ჩალოათი

208. განჩინება ივანიკა და ბათულა ბერძულის მამულის საქმეზე

1789—1811 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13937. დედანი. ქაღალდი. 24,5×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ივანიკა ბერძული და ბათულა ბერძული გავაბქვეთ.

ივანიკამ უჩივლა: ჰუმბურიძემ ალაგი დაიკავა ჩვენი ფიცით და ნაფიცი გვყავდა; მოდი თქვენ და ფიცი აუშვი და ის ჩვენი ნაფიცარი ალაგი წიგნით დაიკავე, ჰუმბურიძითგა[ნ] ბერიკელას რომ ფიცი აუშვი და შენ ქვე გიჭირავს და მე ქვე დამიკარგე.

ბათულამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე განვაჩინეთ. წამოდგეს თვითან ბათულამ და ასე უფიცოს: «შენ რომ გვიჩივი, რომ ჰუმბურიძეს ფიცი აუშვი და ალაგი დაიჭირეო, იმ ბერიკელა ჰუმბურიძისათვი[ნ] მე ფიცი არ აგვეშვას და არც მამიჩემისაგან მისი ფიცის ახსნა არ ვიცოდე, თუ აუშვა ფიცი, მამიჩემისაგან არ გამეგონოს». თუ ასე უფიცა, ამას ვერას შეუა.

და მერმე ჰუმბურიძემ თვითან ასე უფიცოს, რომ: «იმ ალაგში

რომ ნაფიცი ვიყავი, ის ფიცი ამ ბათულას მამას სვიმონ ხუცეს[ს] ჩემთვინ ფიცი არ აეშვას, არც მე შევხვეწოდე, თუ: ფიცი ამიშვი თქვა. სხეეფ ღღლობის რიგით თუ რამეზე ვაწირვინე და ვალოცვინე, თვარა ის ფიცი არ ამომეშვას სვიმონს ღდელს ჩემთვის. თუ ჩემი ნაფიცი ალაგი დამჭირდა და ფასათ მივყიდე, თორემ სხვეფერ».

თუ ასე უფიცა. ორივემ, ალაგი ნაფიცი ჭონია ჰუმბურიძეს და ბათულასათვის მიუყიდია ჰუმბურიძეს და ივანიკა ვერცერთს ვერას შეუა.

თუ ვერ უფიცონ, თუ ბერძული ზეით ვერ იფიცავს, ჰუმბურიძეს ფიცი არ უნდა. ბათულას აუშვია და ალაგი ივანიკას მისცეს.

თუ იქ ბერძულმა უფიცა და ბოლოს ჰუმბურიძემ ვერ იფიცა, ალაგი მაინც ივანიკას ქონდეს. და ჰუმბურიძემ და ბათულამ მასუკან პასუხი გასცენ ერთმანეთს.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი.

209. განჩინება დავით ღაბუაშვილისა და ზურაბ მაჭავარიანის მამულის საქმეზე

1789—1811 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10100. დედანი. ქაღალდი. 26×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამწერტილი. საბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ღაბუაშვილი დავით და მისი ძმები და მაჭავარიანი ზურაბ და მისი ძმები და მისი სახლისკაცები ერთობით გავაბქვეთ.

ღაბუაშვილმა უჩივლა: ჩემ სამკვიდრო ადგილზე ერთობით თქვენი კაცები მწეველები გამებჭო და ფიცი გოუჩათათ. სამოცმა კაცმა დამიფიცა. ახლა ღმერთმა სამართალი მომცა და ექვს კაცს ფიცმა უწია, შამომეხვეწენ ის კაცები, ფიცი ამაშობიეს და ასე წიგნი მომცა ექვსივემ: რაზედაც ჩვენ ნაფიცი ვართ, როგორც სამართლით გერგება, ჩვენს წილს იმ ადგილს ისე დაგიტოვთო. წიგნებიც მოიტანა ღაბუაშვილმა იმ კაცების მონაცემი ექვსი კაცის და სხვა ისევ ნაფიცი არის; ახლა, რომელმაც ფიცი ამაშობია და წიგნი მომცა, იმ კაცებს არც ადგილი დაანებე ჩემთვის მოსაცემათ და შენდა სამკვიდრო ადგილათ დეიჩემე ის ჩემი სამკვიდრო ადგილი, რატომ პასუხს არ მომცემთ?

მაჭავარიანმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გვეაჩინეთ. წამოდგეს თავათ ზურაბმა და სამი მისი

სახლისკაცი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ ჩვენი კაცები მწეველები ადგილზე დააფიცე, ეს ადგილი არც შენი სამკვიდრო მიწა იყოს, არც იმ ჩვენი კაცის მწეველების სამკვიდრო ადგილი არ იყოს; კიდეც ჩვენი სამკვიდრო იყოს ეს ადგილი; და არც იმ ჩვენი კაცების მწეველებისათვის ჩვენ რომ მაჭავარიანი ვართ, ჩვენის ოჯახის შვილს ის არ გეეთხრობიოს: ღაბუაშვილს ამ ადგილზე შენდა სამკვიდრო ადგილათ გეებძვე და დოფიცე-თქვა; არც შენთვის მოგვეხსენებიოს ამ ადგილზე ამ ჩვენს კაცს მწეველებს ესამართლე-თქვა, არც შენ რომ ექვსმა ჩვენმა კაცმა მწეველებმა ფიცი აგაშობია, იმ ჩვენს კაცებს შენი ფიცი არ მისლოდეს და არ ეწიოს».

თუ ასე დაუფიცოს მაჭავარიანმა, რას ემართლება ღაბუაშვილი, ადგილი მაჭავარიანს დარჩეს. თუ მაჭავარიანმა ვერ დაუფიცოს, ღაბუაშვილს სამოცი გლეხი კაცი მწეველები ნაფიცი ყოლია თავის ადგილობით და ექვს კაცს ფიცი მისვლია, გამოტეხილად აუშობიებია ფიცი. და რომელიც კიდევ სხვა იყოს ნაფიცი იმ ადგილში, ყველას ფიცი აუშვას ღაბუაშვილმა; და ადგილზე მაჭავარიანმა და მათმა კაცმა მწეველებმა ხელი აიღოს და ღაბუაშვილს დაუტოროს, მისი სამკვიდრო ადგილი ყოფილა.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი.

210. განჩინება ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა და ხოსიტელა მილორავას სასისხლო საქმეზე

1789—1811 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 920. დედანი. ქაღალდი. 15,5×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის. საბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და მისი სახელო კაც[ი] ხოსიტელა მილორავა გავამჭვეთ.

ნიკოლოზ უჩივლა: შენ და შენმა სახლში მყოფმა კაცმა და ქალმა ჩემი სიკვდილი არჩიეთ და თოფიც მესროლა შენმა შვილმა ბეჟანიკამ.

ხოსიტელა მილორავამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ხოსიტელამ და ოცდასამი[1] მისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს, ასე სამართალი მისცეს: «არც

[1] ოცდასამი.

მე და არც სხვა ჩემ სახლში მყოფი კაცი და ქალი[1], ამ ერთს ჩემს შვილს ბეჟანიკას გარდა, არც შენს სიკვდილს და თოფის სროლაში არ ვრევოდეთ, არც თუ სხვას ეთქვას ჩემთვის და არც მე მერჩიოს».

თუ ასე გამართლდეს ხოსიტელა, არას ემართლება. თუ ვერ გამართლდეს, თავისი ცოლ-შვილით, ყოფით ნიკოლოზს ყავდეს.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი.

211. განჩინება დავითელა მახარაძის ცოლის გაწბილების საქმეზე

1789—1811 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 201. დედანი. ქაღალდი. 19×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. გოგია შათირიშვილი [და] დავითელა მახარაძე გ[ა]ვამჭვეთ.

მახარაძემ უჩივლა: ცოლი გამიწბილე და წამიხთინე, რასთვის მომკალი?

შათირიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითონ გოგია შათირიშვილი და რვა გლეხიკაცი თან ჩაიტანოს ან ამავალი აზნაურშვი[ლი] — ნახევარში თავისი სოფლის კაცი, ასე სამართალი მისცეს: «შენ რომ შენი ცოლის ბოზობას მეწამები, მე შენი ცოლი არ მომეტყ..ს, არც მეარშიყებიოს».

თუ ასე შათირიშვილი გამართლდეს, მახარაძე რას ემართლება.

თუ ვერ გამართლდეს, მოტყვ..ში თუ გამოტყდეს და ის ქალი ქმარმა და[ა]გდოს, მთელი სისხლის მისცეს.

თუ ცოლი არ გაუშვას ნახევარი სისხლი მისცეს შათირიშვილმა.

თუ მოტყვ..ში გამართლდეს და აშიკობა ვერ იფიცოს, ნახევარი სისხლი მისცეს შათირიშვილმა მახარაძეს.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი.

[1] [მყოფი კაცი და ქალი] მყოფს კაცს და ქალს.

212. განჩინება როსტომ იაუშვილისა და იოვანე მესხის საქმეზე

1789—1811 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. სამ. № 848. დედანი. ქაღალდი. 37×14 სმ. ორად გაკეცილი, მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ჭ. იაშვილი როსტომ და მესხი იოვანე გავაბჭვეთ.

იოვანემ უჩივლა: დავით მეფემ გეგუთს მამის ჩემის ნაჭონი სასახლე და ექვსი კვამლი კაცი მიბოძა გეგუთს. შენ წიგნი და კაცი გიბოძა, მოურავი ხარ და თავისი მამისსეული მამული და გლეხები მიეციო, მოვედით გეგუთს და გიხმეთ და შენ თემი გამომისიე; შევიტყევე, გავეცალე, თორემ სწორედ მკვდარი ვარ შენგან; იმ დღეს აქეთ გლეხები და მამული დაკარგული მაქვს.

ჭ. იაშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. ოცდაოთხი დიდებული აზნ[ა]ურისშვილი ან ამავალი თავადისშვილი ან ამავალი აზნა[უ]რისშვილი ასე შეაფიცოს: «ჩემის თავის თუ შემეშინდა და ის იმისათვის თუ მოგარიდე, თორემ ჩემგან და ჩემის შეჩენილის კაცისაგან იმ დღეს თემს[1] შენი სიკვდილი არ სთქმოდეს». თუ ასე უფიცა, არას ემართლება. თუ ვერ იფიცა, ივანე მესხი მაშინ დიდებული აზნაურისშვილი ყოფილა, მოურავიც იყო მაშინ და სისხლი ერთიორათ მისცეს, რომ იქს რვა ქესას. და მაშინ რაც გლეხი და მიწა დაკარგვია იოვანეს, ისეც უნდა მისცეს მთავნი.

ჭ. იაშვილმა უჩივლა: შენ რომ ამბობ, მეფემ გლეხები მიბოძაო, იმისათვის მოვედიო, იმისათვის შენ არ მოსრულხარ, ამისათვის ეს გინდოდა — მიგეტყუებიე, ან მოგეკალი ან დაგეპურე: ჩემი ყოფა შენ გინდოდა.

იოვანემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. თავათ იოვანემ ოცდასამი დიდებული აზნაურისშვილი ან ამავალი თავადისშვილი ან ამავალი აზნაურისშვილი ასე შეაფიცოს: «შენ რომ ღალატს და დაჭირვას მეუბნები[2], მე რომ მამულის და გლეხის დასაკავებლად მოვედი, იმ დღეს მე შენი სიკვდილი, დაჭირვა არ მდომოდეს, არც შენდა საღალატოთ იმ დღეს მე წამოვსრულვიყო». თუ ასე უფიცა, არაფერს ემართლება. თუ ვერ

[1] ჩთემს. [2] მეუმბები.

იფიცა, შუა თავადის სრული სისხლი და ერთი იმოდენი მოხელობისათვის დიდებულის თავადის სისხლზედ შევა და დიდებულის თავადის სრული სისხლი მისცეს, რომ იქს ოცდათორმეტს ქესას.

ჭ. თუ ვერც იოვანემ იფიცა და ვერც იაშვილმა იფიცა, იაშვილს ამისათვის სასიკვდილოთ თემი გამოუსევია, იოვანეს იაშვილის ღალატი ნდომია, რვა ქესა იოვანემ თავის სისხლშიდ ჩაიგდოს, ოცდაოთხი ქესა იოვანემ იაშვილს მისცეს.

ჭ. იაშვილმა უჩივლა: მე გარდავარდნილი ვიყავი, ჩემი ქალები თავის შვილთან წულუკიძისას იყო, იმედი დედოფლის ქონდა, მიდი შენ და არ დაგანებებს, თორემ გამოთრევას უპირებდი. და ის რომ არ დაგანებებს, ლევანიკა წულუკიძეს გლეხები დაუკავე. და ესეები შენგან მჭირს და რასთვის არ ვიცი.

ჭ. იოვანემ აშორო უთხრა. მაგრამ ჩვენ ამისათვის არ გავაჩინეთ: ლორთქიფანიძის ქალი თავის შვილს წულუკიძესთან ყოფილა, მის სახლშიდ მისრულა, და თუ რამ უპატიური დედას[1] უკადრა ან მამული დაუკავა, წულუკიძე ედეოს, თორემ იაშვილი იოვანეს ვერაფერს შეუა.

ჭ. იოვანემ უჩივლა: ამ ბატონს მეფეს შევეხვეწე, გეგუთის მამის ჩემის ნაჭონი სასახლის ადგილი და ნაყიდი მიწა მიბოძა, შენ წიგნი გიბოძა — ჩააბარეო, არ დამანებე. ერთს ადგილშიდ პური დავთესე, ვენახშიდ მჭონდა ღობე, გამირღვიე, ვენახი და პური წამიხდინე, ბოქაულიც მოვიყვანე, მაგრამ მაინც არ დამანებე, რასთვის არ ვიცი.

ჭ. იაშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. რამდენს ათ მარჩილათ ის ადგილი და[ა]ფასონ, იმდენი გლეხი კაცი ან ამავალი აზნაურისშვილი ასე შეაფიცოს: «შენ რომ მეფის წიგნის მოტანას ამბობ, იმ წიგნშიდ პურის მიცემის მეტი არაფერი წერილიყოს, შენ რომ ნარჩომასშვილის ადგილის ნაყიდობის წიგნი მოიტანე, ის წიგნი ნარჩომასშვილის მოცემული არ იყოს, შენ რომ ბატონის წიგნი მოიტანე ნარჩომასშვილისსეული მიეციო, იმ წიგნშიდ არ წერილიყოს და არც ნარჩომასშვილის მოცემული ეს წიგნი იყოს და არც არაფერი ხელი იმ ადგილშიდ შენ გქონდეს». თუ ასე უფიცა, ნარჩომასშვილისსეული მეფეს თავისის კაცის შალამბერაძისათვის უბოძებია და ვერას შეუა, შალამბერაძეს ქონდეს. თუ ვერ იფიცა, ადგილი მესხს დარჩეს და რაც მესხს ზიანებია — პური ღობე თუ სხვა რამ, მესხმა აჯით შეატყობოის და რაც აჯამიდ ჩაიტანოს, იაშვილმა ერთიორად მისცეს.

[1] დედას.

ქ. იაშვილმა უჩივლა: ბოქაული მომგვარე შაქარა ლაღაძე, პატრიქეთს ჩემი კაცი დამიკავე, სამოცდათუთხმეტი კოკა ჩემის ჭირეულის ღვინო წამართვი, გლეხიც დამირბიე, რასთვის არ ვიცი.

ქ. იოვ[ა]ნემ უპასუხა: ფარცანაყანევს ბატონმა მეფემ ლაღაძეები მამაჩემს უბოძა და შაქარა ლაღაძე იმათი სახლისკაცი იყო, პატრიქეთს ესახლა და ისეც მეფემ მიბოძა. და კიდევ თავისს ნაქურდალშიდ ბატონმა დააჭირვინა; და ბატონს შევეხვეწე და ხელახლავ მიბოძა, მყავდა. ბატონი შეგვწყრა და მერეთ შენ წამართვი, ჩემი იყო; და ამ მეფეს შევეხვეწე, წყალობა მიყო, ჩემი კაცი მე მიბოძა; და დაკავებას მერეთ იმ ჩემის დაკავებულის კაცის ბეგარა შენ წამართვი და არც სამართალშიდ მომყევი; და მართალი არის, ბოქ[ა]ულიც მოვიყვანე შენის კაცსას და საბოქაულოც გარდახდა და იმ კაცისაგან ოცდახუთი კოკა ღვინო წავიღე.

ქ. იაშვილმან აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. ოცდაოთხი გლეხიკაცი ან ამავალი აზნაურისშვილი ასე შეაფიცოს: «ფარცანაყანევს მეფემ მამაშენს რომ გლეხები ლაღაძეები უბოძა, ეს ჩემი შაქარა ლაღაძე მაშინ ფარცანაყანევს არ სახლებულიყოს და არც მეფე სოლომონს მამისშენის და შენთვის არ ებოძებიოს, არც საბატონყმოთ მამაშენს ხლებოდეს, არც შენ დაგეხსნას და არც არაფერი ხელი შაქარა ლაღაძეშიდ შენ გქონდეს».

თუ ასე უფიცა, ბოქაული მიუყვანია, ბატონისათვისაც ტყუვილი მოუხსენებია; და იმ შაქარაზედ მისი ტოლი გლეხი დაუდვას და შესხმა იაშვილს მისცეს.

და მეორეთ რომ მესხს ბოქაული მოუყვანია იაშვილის კაცისას, იმ ბოქაულისაგან იაშვილს და მისს კაცს რაც დაკლებოდეს ღვინო საბოქაულო ან სხვა რამე, რეერთის ათის მარჩილის იყოს, იმდენი გლეხიკაცი მესხმა დააჯოს: «ამისგან მეტი ჩემგან და ჩემის მოყვანილის ბოქაულისაგან შენ და შენს კაცს არც ღვინოთ, არც ხორცათ და არც თეთრათ და არც სხვათ რამეთ ჩემი ბოქაულისაგან შენ და შენს კაცს არაფერი დაგლებოდეს». რომელიც მესხმა აჯაშიდ ჩაიტანოს, მთავნი იაშვილს მისცეს.

თუ იაშვილმან მესხს ვერ უფიცა, ბატონის წყალობა ყოლია პირველათ; მეორეთ ნაქურდალშიდ დაუჭირავსთ, კიდევ ბატონს უბოძებია, იაშვილს მძლავრებით და უსამართლებით წაურთმევია, არაფერი ხელი ქონია, იაშვილმა შაქარასთანა გლეხი დაუდვას და

საუპატიოთი შაქარა მესხს ყავდეს. მესხს ღვინო წაუღია ან ბოქაულს სხვა რამ გარდუხდევინებია იაშვილის კაცისათვის, იმანაც გაიაროს.

ორი ბეჭედი: 1. ჩიჯავაძე ვახუშტი
2. წულუკიძე მდივანბეგი ბეჟან

213. განჩინება ქაიხოსრო ერისთვისშვილისა და სოსიკა საკანდელიძის ყმის საქმეზე

1789—1811 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 709. დედანი. ქაღალდი. 35,5×10,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთთ თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ქაიხოსრო ერისთვისშვილი და საკანდელიძე [სო]სიკა და მისი ძმები გავამჯვეთ.

საკანდელიძემ [უჩ]ივლა: შენ და შენი ძმა ნიკოლოზ გაიყავით და ჩვენ ოთხი ძმა თქვენ ძმა ნიკოლოზს გვარგე, და ჩვენი სარგო და საწილო იყო ივანიკა ხალთაძე, შენ წავგართვი და ჩ[ვე]ნ აღარ გვაძლევ ჩვენ სარგო და საწილო კაცს, რასთვის გვართმევ და რას გვემართლები, არ ვიცით.

ქაიხოსრომ აშორო უთხრა.

და ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს ქაიხოსრომ თორმეტი გლეხი კაცი, თუ დასჭირდეს ნახევარშიდ ამავალი აზნაურიშვილი, და ასე შეაფიცოს: «მამაშენი და ლონგინოზა საკანდელიძე რომ გაიყვენ ძმები, იმ ლონგილოზასაგან არც სარგოშიდ რგებოდეს და არც მისდღეჩი მამაშენს ივანიკა ხალთაძე არ ყოლოდეს და არც ხლებოდეს სამკვიდროთ, საბატონყმოთ არც მამაშენს და არც შენ ეს ივანიკა ხალთაძე არ გხლებოდეს და არც წილსა და ბარათშიდ ბიძაშენის ლონგილოზისაგან მამაშენს დავითს არ რგებოდეს».

თუ ასე დაუფიცოს, ნიკოლოზ ერისთვისშვილი ფიცშიდ შეუდგეს ნახევარშიდ და კაცი [ის] ხალთაძე ქაიხოსროს დარჩეს. და თუ ვერ დაუფიცოს, ის ხალთაძე საკანდელიძეს დარჩეს.

და ნიკოლოზისაგან ფარდათ რომ ყოლია მიცემული ქაიხოსროს და ახლა რახანც ნიკოლოზის კაცი გლეხს წაიყვანს, მისი სამაგიერო იმოდენი კაცის სული მისი ყოფით რავარც საკანდელიძემ ის ხალთაძე წაიყვანოს, ისე თავისი საკუთარი გლეხი ნიკოლოზმა ქაიხოსროს მისცეს; ამისათვის, რომ ფარდშიდ დ[ა] ბარათშიდ ნარგები ყოლია ქაიხოსროს ნიკოლოზისაგან; და ახლა ისევე მის კაცს საკანდე-

ლიძეს რომ მიყავს, წიგნი მოიტანეს, ხელი ჭონდა დაწეპებული და გავსინჯეთ, სარწმუნო არ გამოვიდა ის წიგნი, და აღარაფერი გავაჩინეთ იმ წიგნის, საკანდელიძემ რომ წიგნი მოიტანა.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი

214. განჩინება კაციას და სიმონ ძოკუაშვილების მამულის საქმეზე

1789—1811 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 195. დედანი. ქაღალდი. 34×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. სიბუთი თარიღდება ვახუშტი ჩიჯავაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. კაციე ძოძუაშვილი და მისი ძმა სიმონ გა-
ვ[ა]ბჭვეთ.

კაცია[მ] უჩივლა: ოთხი ძმები ვიყ[ავი]თ, სამოსახლო ადგილი ოთ[ხ]ათ დევიყავით, ახლა მიდი შენ და იმ ჩემ საწილადო თქვენ სამი ძმისაგან გამოყოფილს ადგილზე ქე დეესახლე, რას მემართლები, რომ არ დამიტოვ.

სიმონმა უპასუხა: მართალია, კი დეველსახლე შენს სარგო მიწაზე, მაგრამ შენ მიალნე, მე სამაგი[ე]რო ადგილს შეგპირდი. ასე მითხარი, ჩემი ძმებისაგან მე შამოვიხსნი და მოურიგდებიო, ამ სიტყვით დეველსახლე. ახლა სით უნდა წევიდე.

კაცი[ა]მ აშოროთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. წამოდგეს კაციამ, ორ[ი] გლეხ[ი] კაცით დეიფიცოს, ათი გლეხი კაცი თან ჩ[ე]იტანოს, თუ დასჭირდეს — ნახევარში ან [ას]ნოუ[რ]შეილი და მსახური, ასე დაუფიცოს: «შენ რომ ადგილზე სახლობხარ, იმისი ასე თუ გითხარი — ძმებს რომ მოურიგდები, მაშინ თუ მოგცემ და მოგიცვლი-თქვა, თორემ არც ხელმოწყვეტის ადგილი მე შენ[თვი]ს არ მომეცეს, კიდეც დამეთხოვო, იმ ადგილში რომ ესახლებოდი». თუ ასე უფიცოს კაციამ, ის ადგილი სიმონმა დაუტოვოს. თუ ვერ უფიცოს, სიმონს ეეღარ აყრის და მაგერი ადგილი გამოართვას.

ბეჭედი: ჩიჯავაძე ვახუშტი.

215. განჩინება მთავარეპისკოპოს ანტონისა და ხანიდრავების მამულის საქმეზე

1803—1811 წწ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 982. დედანი, ქაღალდი. 33,5×22,7 სმ. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ: უფალი მთავარეპისკოპოსი ანტონი მოდგა და კურთხეულის დადიანის კაციას შეწირული ადგილის დავთარი მოიტანა ნაკვარნახოუს ალაგის შეწირულობის და თავისი ადგილი გამოითხოვა, რომელიც დადიანს კაციას შეეწირა. და ის დავთარი ჩვენ წავიკითხეთ და ასე სწერია, რომ თავისის სამართლიანის საზღვრით შემომწირავსო.

და ამ საქმეზედ ჩვენ წავედით და, რომელიც იმ ნაკვარნახოუს ადგილს მოსაზღვრე იყვნენ, ხანიდრავებიც თან წავიტანეთ; და დეიფანა და ცხენისწყალს შუა ნაკვარნახოუთ დასდეეს იმ ადგილების მოსაზღვრემ.

და ნოღელასა და დეიფანს შუა თავის საკუთართ სთქვეს ხანიდრავებმა, ასე რომ: «ჩვენი ძველი და ახალი რომელიც კი ვყოფილვართ, მისდღეჩი ეს ადგილი ჩვენი ყოფილა და ამით ვრჩენილვართო; და დღეს რა სადეო აქვს მთავარეპისკოპოს[ს] ამ ადგილზედაო».

ამ სიტყვაზედ მთავარეპისკოპოსმა თავისი მოურავი გაგვატანა ადგილის დასარებად, და ცხენისწყალს აქეთ დეიფანის ღელე რომ ჩამოდის, იმ საზღვარს გამოღმა გამოვიდა და ნოღელამდის მთლად ნაკვერნახოუთ იდევა და ასე სთქვა, რომ: «ამ ადგილიდამ მრავალჯერ მოდი წაგვიღია და ეკლესიის შეწირული ადგილიც არისო; და შარშან კიდე ერთობით ხანიდრავებმა და ჩვენაც ერთად შემოვიარეთ, ბატონის დადიანის კაციც იყო და ის ადგილებიც დავიარეთ; და ნოღელასა და დეიფანს შუა მომცროს მეტი ეკლესიისათვის დასდევით და ასე სთქვით, რომ ეს ადგილი ეკლესიის არისო და ღღეს ვარს რატომ ამბობთო».

და ამაზედ ხანიდრავებმა ვარი სთქვეს, ასე რომ: «ეს ადგილი ეკლესიის არის-თქვა, არც ის სიტყვა შარშან ჩვენ გვეთქვას, არც აქედამ მოდი წაგეღოსთ, არც ნაკვარნახოუ იყოს და არც დადიანს ეს ადგილი ეკლესიისათვის შეეწიროს, რაც ჩვენი საკუთარი არ არისო».

და ამ საქმეზედ თითონ ჩვენ დავიარეთ ის ადგილი და ათას მარჩილათ დავაფასეთ; და ფიციც ამ რიგათ გავაჩინეთ: წამოდგეს ხანიდრავები, რომელიც თავ-თავი კაცი იყოს, თითოს ოჯახიდამ თითომ და რვა ხანიდრავა უნდა იქმნეს, და ამასთან სამოცი სხვა გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურშვილი, და ასე სამართალი მისცეს მთავარეპისკოპოს[ს]:

«თქვენ რომ დეიფანს გამოღმა ნაკვარნახოუთ სდეობთ და ხატისათვის სდებთ, რაც დეიფანს გალმა არ არის თქვენის ეკლესიის შეწირული და კვარნახისსოული ადგილიც გამოღმა არც მისღებია დადიანს ეკლესიისათვის შეეწიროს, არც აქედამ მთავარეპისკოპოს[ს] მოდი წაეღებინოს, არც შარშან ჩვენ ეს გვეთქვას, რომ ნოღელასა და დეიფანს შუა ეკლესიის არის თქო და არც ეს ადგილი კვარნახისსოული იყოს».

თუ ასე უფიცონ, ხანიდრავებს დარჩეს. და თუ ვერ უფიცონ, ეკლესიის შეწირული ყოფილა და ისევ ეკლესიისთვის იყოს, რომ კაცი ვერ მოედავება.

სამი ბეჭედი:

1. სრულიად ოდიშის დედოფალი ნინა
2. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ
3. ბატონიშვილი ნიკოლოზ.

216. ბრალდებულის უანთით გამოცდის ფორმულა

1811 წ. ახლო

Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1878, გვ. 160—161.

«სასწორო და სამართალო, ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო, ღმერთო სულო წმინდაო, ღმერთო!

გეაჯები მე, საწყალობელი აბდურამან ქათამიძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამება, იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხოვაო, თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხრილიყოს ან თავშიდ და ან ბოლოშიდ, გამამტყუნე, და რაც მტყუანს უნდოდეს, ის მიქენი.

თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი, გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ უვნებლათ გამომიყვანე. და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ; შენი სწორ-მიუფერებელი სამ[ართალი] გამოაცხადე ჩემს ცოდვილს თავზე... უფალო, ამინ».

217. მედიატორეთა განჩინება იესე ბასილის შვილისა და იოანე ბეჟანის შვილის მამულის საქმეზე

1812 წ. 1 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 299. დედანი. ქაღალდი. 33,5×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

წელსა ჩყიბ, მარტის ა.

ქ. ჩვენ ოთხთავე მედიატორთა გარდავაყენეთ იესე ბასილის შვილის მამული. და რადგანც ბერშოეთის სამხროთ იდვა, ეს იესეს მამული და ბერშოეთი საკუთრად ბეჟანის შვილის იოანესი იყო; ეს იესეს მამულიც ამავ იოანე ბეჟანის შვილს დაუნიშნეთ და მივეცით, რომ ფარდი უნდა გაუკეთდეს და წილუყრელად იესეს ბასილის შვილის მამული იოანეს მიეცეს და იმისი ფარდები სხვა ძმებმა მიიღონ.

თუმცა ადგილი აქვსთ ძმებსა, რომ ჰსთქვან, წილუყრელად არ მივსცემთო. მაგრამ არ მიიღება იმათი თქმა, ამისთვის, რომ თუ ეს ასე არ გვექნა და ეს იესეს მამული სხვათა ჰრგებოდა, ბერშოეთი დიაღ, შევიწროებას მიეცემოდა სახნავსა და საძოვარზედ და ნიადაგ შფოთი ექნებოდა და საფიქრებელი იყო, რომ იმ სოფლის გაძლება თითქმის იქ აღარ შეიძლებოდა.

ჩვენ ასე განვაჩინეთ და ჭელი მოვაწერეთ.

კოლესკის სო[ვ]ეტნიკი თავადი ალექსანდრე მაკაოვი.

იოანე თურქისტანო[ვ].

კეთილშობილი რეკტორი დავით ალექსოვი.

218. განჩინება ქაიხოსრო და ვახტანგ ერისთავების ყმა-მამულის გაყოფის საქმეზე

1812 წ. 20 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6931. დედანი. ქაღალდი. 34,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. საჯევახოს ნანეიშვილისსეული გაიყვეს ქაიხოსრომ ერისთავმა და ვახტანგ ერისთავმა.

ქ. ქაიხოსროს ფარდშიდ დარჩა მოურავი მგალობლისშვილი ონა თავისის საწილაოს ოჯახით.

ქ. პეტრიელა უშვერიძე და იესელა ქაიხოსროს ხვდა თავისის ოჯახებით, წილითა და საფლავით.

ქ. ივანიკა ლორია კიდევ ქაიხოსროს ხევდა მათის ყოფითა და საწილოთი.

ქ. სიმონა ვაჩეისშვილი და ნიკოლოზი ქაიხოსროს ხევდა თავისის ყოფით, წილითა და საფლავით.

ქ. ამდღელოულაძეებშიდ ხევდა ქაიხოსროს ივანეი და ობოლი თავისის ყოფით, წილითა და საფლავით.

ქ. გოგიელა გიორგაძე ხევდა ქაიხოსროს თავისის ყოფით, წილითა და საფლავით.

ქ. ხოსიელა კეშელავა ქაიხოსროს ხევდა თავისის ყოფით, წილითა და საფლავით.

ქ. ივანეი კეშელავა ქაიხოსრომ ირჩია თავისის ყოფით, წილითა და საფლავით.

ქ. ივანიკა კეშელავა და ოთარეი ქაიხოსრომ ირჩია თავისის ყოფითა და წილითა და საფლავით.

ქ. პაპუნელეი კეშელავა ქაიხოსრომ ირჩია თავისი საწილო ადგილ-მამულით.

ქ. ივანეი გიორგაძე და ობოლი კეშელავა ქაიხოსროს ფარდშიდ დარჩა თავისის ადგილ-მამულით.

ქ. ხოსრუელეი მაღულარია და მახაროებელეი მაღულარია ქაიხოსროს ფარდშიდ დარჩა თავის ადგილ-მამულით.

ქ. მოჯალაბეშიდ კიკვაძე მახაროებელეი და ნიკოლოზი ქაიხოსროს ფარდშიდ დარჩა.

ქ. ნახისტელეი ძნელაძე და ობოლი ძნელაძე ქაიხოსროს ხევდა.

ქ. ჭოჭუკელეი ვაჩეისშვილი ქაიხოსროს დარჩა.

ქ. მიქაშავიძე ქაიხოსროს დარჩა თავისის მიწა-წყლით.

ეს ზემოთწერილი კვამლი კაცების რაც სწერია, ყველა ქაიხოსროს ბარათის არის თავისის მიწა-წყლით, ადგილ-მამულით, ყოფა-ცხოვრებით, წილითა და საფლავით და სიძებარ-უძებრით. წელსა **ჩყიბ**, მარტი კ.

რაც ამ ნანეისშვილისსეულზედ სახასო მიწა-ადგილი, გაშენებული მამული და გაუშენებელი არის, ყუელა ორივესათვის საზიაროთ შუა გასაყოფათ დარჩა და ზიარათ იხმარონ.

ბეჭედი: ვახტანგ

ხელთაწერი: ერისთავის ძე გიგო

მოწამე ვარ თანჯმობითურთ გურიელის ძე ქაიხოსრო.

ჩვენ, ყოვლად სამღუდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, ამ ჩემი ძმისწულების გარიგებაზედ თანდამსწრე ვარ და კიდეც ვმოწმობ.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი.

ქ. მე, იარანალის სიმონოვიჩისაგან ჩენილი გამრიგეთ და ბოჭაულათ გიორგი კორძაია ვარ და, კიდეც ვმოწმობ და მოწამეცა ვარ ამ მშვიდობით გარიგებისა.

ბეჭედი: კორძაია გიორგი.

219. განჩინება სვეტიცხოვლის სოფლის აღაიანის მამულის საქმეზე

1813 წ. 14 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7800. დედანი. ქაღალდი 34×19,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათმა მაღალ ყოვლად უსამღუდელოებამ სრულიად საქართუელოს ექსარხოსმან ვარლაამმან სთხოვა საქართუელოს მმართებელობას, რათა ჩვენ ქვემორე ამისსა კელის მომწერნი წარმოგზავნოს თავის მაღალ კათედრის ეკლესიის სოფლის აღაიანის მამულის გასარჩევად, ვინადგან ჟამთა ცვლილებისა მიერ სოფლისა ამის პირველნი მემკვიდრენი მი[ო]ბნეულან და მათი მამული ამავე ეკლესიის თავადთა და აზნაურთა დაუჩემებიათ; და რომელთაც ჴეშმარიტების წერილით დაეჩემებინოსთ და რომელთაც უწერილოდ, ანუ მძლავრებით ანუ ნამალეუად ეჭიროსთ, ესენი გამ[ო]იძიონ და სამართალი ჰსაჯონ.

ბრძანებისაებრ მათისა მოვედით სოფელსა შინა აღაიანისასა და რომელთაც ამავე ეკლესიისა თავადთა და აზნაურთა რომელთამე მადგანთა მართლიად დაეჩემებინათ, რაიცა ხევდრ იყო, მათეე დავანებეთ. და რომელთაცა უკანონოდ დაეჩემებინათ, ჩამოერთოთ და დაიდვა წმიდის ეკლესიის სვეტისცხოვლისათვის.

და ამავე სახით თქვენო ბრწყინვალებავ დავით მაღალოვო, ასე გჩონდეს ცნობილი, რომელ: ძველის გუჯრით და სანატრელთ მეფეთ და პატრიარქთაგან წერილებით აღმოჩნდა სოფელი ესე აღაიანი ოცდათორმეტ საკომლოდ; და ამ სოფლის ფარგალში გუჯრით და წერილით აღმოჩნდა თქვენთა მამა-პაპათაგან ნაშოვნი სამი საკომლო — ვარდიაშვილის ნიკოლაი, ვარდიაშვილის გოდერძისი და ჩალა გიორგისა.

ამ სოფლის სარწყავი, სავენახე და ურწყავი ოცდაცამეტიანის

აღლის საბლით გავზომეთ. ამ ზომით და ამ ანგარიშით ერგო თითოს კომლს სარწყავიდამ და სავენახედამ სიგძე საბელი ოცდათორმეტი, რომ იქნება სამის კომლისა სიგძე საბელი **ჟზ** — ოთხმოცდაათშვიდმეტი და აღლიც **გ** — სამი; ამისივე განი სიგძე საბელი **ია** — თერთმეტი, აღლიც **ჩ** — რვა, რომ იქნება სამის კომლისა განი საბელი **ლგ** — ოცდაათსამმეტი, აღლიც **კდ** — ოცდაოთხი. ასევე ურწყავიდამ ერთს კომლს შეხვდა სიგძე საბელი **იდ** — ათოთხმეტი, აღლიც **გ** — სამი, რომ იქნება სამის კომლისა სიგძე საბელი **მბ** — ორმოცდაორი, აღლიც **თ** — ცხრა; ამისივე განი სიგძე საბელი **დ** — ოთხი, აღლიც **ია** — თერთმეტი, რომ იქნება სამის კომლისა განი სიგძე საბელი **ოგ** — ათსამმეტი.

თქვენის სამის კომლის ხვედრი რაც იყო ეს ზემოხსენებული სავენახე, სარწყავი და ურწყავი, რომელიც თვითოეულად მოგეზომათ და მთლად მოგბარდათ თავის მიჯნებით, ის არის თქვენი საკუთარი.

მეორე ორი ვენახი რომ უჭირავს ორს თქვენს კაცებს, ისიც თავისის ზომით და მიჯნებით მოგბარდათ; ასევე თქვენის კაცების სახლები, კალო და საბძელი. ესე არს ხვედრი თქვენი სოფელსა ამას შინა აღაიანისასა.

და თუ ძველს ნასოფლარში შენობა მოხდეს და იქ დასახლება მოინდომონ, იქაც თავისი წილი სახლკარი, კალო-საბძელი უნდა თქვენს კაცებს მიეცესთ.

ამას გარდა რადგან დ ი ლ ი მ ი შ ვ ი ლ ს ნება ჰქონია იმ ქამად გასყიდვისა და ჭაობში ორის დღის მიწა მოუყიდნია, დილიმიშვილმა თავის საკუთრის მამულიდამ უნდა მოგცესთ, რადგან თავის საკუთარი მამული თვითონ გაიტანა.

ასევე ს ულ ა შ ვ ი ლ ი ს მამულის მოადგილემ მცხეთის კანდელაკმა პეტრემ ორის დღის სავენახე უნდა მოგცესთ თავის საკუთრის მამულიდამ.

რადგან ნასყიდობის წიგნი გქონია, რომ იმ ნასყიდობის წიგნს ანდერძის წიგნიც აცხადებდა, თქვენი განჩინება ასე დასრულდა. და ეს განაჩენი მოგეცათ.

და ამისი პირი მათს მაღალ ყოვლად უსამღდელოებას მცხეთის მიტრაპოლიტს და სრულიად საქართუელოს ექსარხოსს ვარლაამს მიერთო. მაისის დღის რიცხვსა **იდ**-სა, წელსა **ჩყიგ**-სა.

სოვეტნიკი თავადი დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი

მსაჯული ი ო ა ნ ე თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ო ვ ი.

220. მორიგების წიგნი ვახტანგ გურიელისა ჯუმათელ ნიკოლოზისადმი

1812 წ. 12 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1333. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის კიდეზე და სტრიქონებს შუა ფანქრით მინაწერები თ ე დ ო ქ ო რ დ ა ნ ი ა ს უნდა ეკუთვნოდეს.

*ქ. ნებითა და ჯერჩინებითა ღვთისათა, ესე მტკიცე და უეშმარიტი წიგნი მოგეცი მე, გ უ რ ი ე ლ მ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა და პირშომან ძმან ჩვენმან[1] დ ა ვ ი თ** და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე*** შენ, ჩვენს საყვარელს ყოვლად სამღვდელოს[2] ჯ უ მ ა თ ე ლ მიტროპოლიტს ერისთვის შვილს ნ ი კ ო ლ ო ზ ს.

ასე, რომ ჯ უ მ ა თ ე ლ ი მ ა ქ ს ი მ ე და ჩვენ ავიშალეთ ეშმაკის მანქანებით; და მან კარის მწირველი დამიკავა, და ეს მეწყინა და ნაცლად ჩვენც დაუკავეთ ა ფ ხ ა ზ ა ვ ე ბ ი**** და ბ ე ქ ა ნ ჭ უ ყ ო ნ ი ს ნაყმები კაცები, თუ ადგილ-მამული, საყანე*****, თუ სამოდავი.

და მას მერმეთ ორთავ ვინებეთ გარიგება და მოვრიგდით და წანართმევი რაც იყო, უნდა მიგვებარებინა. მაგრამ მაქსიმე ჯუმათელი გარდაიცვალა და მცირე ოდენს ხანს დარჩა მოურთმეველი.

და მოვედით თქვენთან, და რომელიც საჯუმათლო კაცი გვყავდა აფხაზავები, ისიც და ბეჭან ჭყონიას ნაყმები გლეხები, რომელიც ჯუმათელს ეჭირა ექვსი მოსახლე: მ ო ი ს წ რ ა ფ ე ს შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა და ნ ი კ ო ლ ო ზ მათი ცოლ-შვილით და თავისი მიწა-წყლით, საძებარ-უძებრით; მღვდელი დეკანოზი გ ი ო რ გ ი ს ა ლ უ ქ [ვ] ა ძ ე თავის ცოლ-შვილით და მიწა-წყლით, საძებარ-უძებრით; გ ო გ ი ჩ ა ი ს შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე და ი ე ს ე და გ ო გ ი ა მათი ცოლ-შვილით, თავის მიწა-წყლით, საძებარ-უძებრით; ტ უ ღ უ შ ი მ ა მ უ კ ა და გ ო გ ი ა მათი ცოლ-შვილით, საძებარ-უძებრით; მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე ი ე ს ე ლ[3] და ი ვ ა ნ ე მათი ცოლ-შვილით, საძებარ-უძებრით, რასაც მჭონებელი იქ ბეჭან ჭყონია იყო

---

1 ჩემამან. 2 სამყვდელოს. 3 + იესელა.

* მარჯვენა ზემო კუთხეში ფანქრით მიწერილია: „გრიგოლ დაიბადა 1819 წ.“.

** სტრიქონთ შუა ფანქრით ჩაწერილია: „დათა (ბიძაშვილი გრიგოლისი) + 1837 წ.

*** სტრიქონთ შუა იმავე ხელითა და ფანქრით: „+окол. 1815 წ.“.

**** სტრიქონთ შუა იმავე ხელით: „ყმები არიან საეკლესიო“.

***** სტრიქონთ შუა: „სახნავ-სათესი“.

და ანუ მისი ყმა, ყოვლითურთ უნაკლულოდ დავთარით შეწირული იყო: და ეს ისევ თქვენის მეუფებისათვის მოგვირთმევია.

და საჯუმათლო ბასილა ანთაძის კარზედ ჭურ-მარანი არის და ისიც დაკავებული იყო ბეშტისშვილის კარზე და ანუ ადგილ-მამულის და ან სამოდაის პატრონი იყო და როგორც ჰქონდა და პატრონობდა, მსგავსად მისვე მოგვირთმევია ლესის წყალს* გაღმა ბჟოლ-დამწვარიანათ და ხაჟალეიანათ. და მიუძღვენ ანგელოზთ-მთავარს მიქელს და გაბრიელს; და შეცოდების ნაცვლად ვითხოვ მოტევებას.

ვინც ამ ზემო წერილსა და განჩინებას შლად ხელი ჰყოს, ჩვენი ცოდვის მუქაბად განიკითხვის.

აწ არის ამისი მოწამე[1] ჩემი სიძე იმერეთის მდივანბეგი თავადი მიქელაძე დავით**, მაჭუტაძე ნარიმან, კეთილშობილი ნაკაშიძე გოჯასპი, ჭყონია საყვარელი, ბაილეთის მოურავი თავადი მალიკაშვილი ნიკოლოზ, კუპრაძე გიორგი, მღვდელი ჯიჯაშვილი გრიგოლ და სხვები ჩვენი ყმები უმაღლეს-უმდაბლესნი ერთობით.

აღიწერა წიგნი ესე ჰყონდიდლის[2] მდივანბეგის იოსელიანის ბერის*** ხელით. დაიწერა წიგნი ესე თვესა ივლისსა **იბ**-ს, ქრორნიკონს **ჩყიბ**.

ნამდვილისა ზედა ხელმოწერილ არს საკუთარის ხელითა ვახტანგ გურიელისა მიერ.

ქ. ოდესაც მისმა აღმატებულებამ ღენერალ-მაიორმა სვიმონოვიჩმა წარმომავლინა ვახტანგ გურიელის[3] და ჯუმათლის საქმის განსახილველად, განვიხილეთ რაოდენიცა ძალ-გვედვა. რომელიც ახლად ჯუმათის[4] ეკლესიის შეწირული ბეჟან ჭყონიას ნაყმევი გლეხები და აფხაზავები და ანუ რომელიმე ადგილ-მამული ვახტანგს ჰქონდა მოტაცებული, ესე წერილი რომელსაც აცხადებს, — ესენი კვალადეე ჯუმათის ეკლესიას და ჯუმათელს მიართვა.

სხვები რაც სადაო საჯუმათლო არის, სადაო დარჩა, რომელსაც

1 + (და). 2 ჰყონიდლის. 3 + (მიერ). 4 ჯუმათლის.

* სტრიქონთ შუა იმავე ხელით: „ლანჩხუთის ახლო“.

** სტრიქონთ შუა იმავე ხელით: „სოლომონ II და I მდივანბეგი. ჰყავდა აღათი გიორგი გურიელის ქალი — ვახტანგის და (მამიდა გრიგოლისი“).

*** სტრიქონთ შუა იმავე ხელით: „მცოდნე კაცი“.

ხელს ვაწერ და ვმოწმობ იმერეთის თავადი და მდივანბეგი მიქელაძე დავით. 

ნანდვილითგან სწორეთ და უმეტ-ნაკლებოთ გარდმოღებულ არს: გამგებელი საეკლესიო გელათის მღვდელ-მონაზონი ეფრემ*.

221. მედიატორეთა განჩინება მარდახა ძაგაშვილისა და მოსე მელანაშვილის მამულის საქმეზე

1813 წ. 12 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9046. დედანი. ქაღალდი. 22,5×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის. ა-მეტი.

ქ. წელს **ჩყიგ**, კათათვის **იბ**, ჩვენ, ქვემო ამის ხელის მამწერელი, აღმოგვირჩიეს თავიანთის ნებაყოფლობით და მედ[ი]ატორეთა დაგვსხეს ძაგაშვილმა მარდახმა და იმისმა ძმისწულებმა და მელანაშვილმა მოსემა და ბერმა ასე, რომ ხელშეკრულობის წიგნი მოგვცეს და ჩვენ ორივ მხარე ვალაპარაკეთ.

მარდახა უჩიოდა მელანაშვილებს, სიგელიც ქონდა მარდახას და ორის დღის მიწას აცხადებდა, ქვევრს და საწნახელსაც აცხადებდა, მიჯნებსაც, რომელიც მელანაშვილს მოსესა ბაგა აქს, იმასაც აცხადებდა სიგელი მარდახასი. ამ მიჯნებში ეს ბაგა შიგა ყვებოდა.

მელანაშვილი ამას ეპასუხებოდა: ჩემ[მ]ა სახლისკაცმა თავის წილი შოგყიდა, ჩემი წილი არ მოგვიყიდნია. მოწმე[ე]ბიც ყვანდა მუხტაბარი მელანაშვილსა, მოწმე[ე]ბიც ფიცემდნენ, რომ ნახევარის მეტი არა მოუყიდნიაო. ჩვენც ფიცი არ ვაუჩენეთ.

დარჩა მარდახსა ბაგის თხრილს გარეთ; რომელიც მიწა დარჩა, კალოცა და საბძელიც რომ გაგვიზომია, დღენახევრისა არის. მელანაშვილმა მოსემა უნდა მისცეს მარდახას ნახევარ დღისთვინ ორი თუმანი თეთრი.

ერთმანეთ[თ]ან ამ საქმეზე დავა აღარ იყოს, ვეღარც ბაგაზედა, ვეღარც სხვას რაზედმე მარდახ[მ]ა და იმისმა ძმისწულებმა ვეღარ ილაპარაკონ.

დარჩა მოსესა და იმის ძმებს ბაგა და საწნახელი, რომელიც თხრილი ავლია, ოთხკუთხივ შემოფარგლული.

ჩვენ ეს სამართალი უსაჯეთ და ჩვენმა გონებამ ასე გასჯრა. მე

* აქ იმავე ხელით შიწერილია: „მოდი — 1/10 (ღალა ათისთავე).

პაპისშვილს გაბრიელს დამიწერია ამ მედიატორების თხოვნით, მოწმეც ვარ ამისი. დაიწერა კათათვის იბ, ქორონიკონს ფა.
ხელრთვა: ქ. გაბრიელ მურადოვი.
ქ. გაბრიელ ხანთვი.

222. განჩინება დოსითეოს ჭუთათელისა და ქაიხოსრო ჩხეიძის ძმა-მამულის საქმეზე

1813 წ. 11 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6910. დედანი. ქაღალდი ორადგაკეცილი. 35,7×22 სმ. დაზიანებული მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს და თავადი ჩხეიძე ქაიხოსრო, ხოსია [და] სვიმონ გავაბჭვეთ.

ქუთათელმა უჩივლა: როდესაც რომ მეფე სოლომონ [ქელ]მწიფის მხედრობამ იმერითისაგან გარდააგდეს და იმერეთი ქელმწიფის საფარ[ელს] ქვეშ შევიქმენით, მაშინ სვიმონოვიჩიმ სახელმწიფო მთა¹ ხანი და კიკნა[ე]თი სახელოთ გიბოძათ და რომელიც ჩვენი ყმანი იმ მთაშიდ² იყვნენ, სოფლები თუ საბაჟო, შამომეხვეწეთ; და რადგან ჩვენი ძმის [ყმ]ები იყავით მეც ნება დაგრთეთ და წყალობა გიყავით და ჩვენი ეკლესიის [ყმები] მთაშიდ და საბაჟო, რომელიც პაპუჩა აბულაძეს სახელოთ აქვნდა, ის [წერი]ლით მოგაბარეთ, ამ გამოცხადებით, რომ: თუ ჩვენი კაის მდომი დ[ა წი]ნააღმდეგი არ შეიქმნეთ, ან ეკლესიის ყმას უსამართლობა და ძალა არ უ[ყო]თ და ჩვენი გამოსავალი არ დაგვაკლოთ, მოგვიბარებია.

და მას მერმეთ ოთხი წელიწადი არის, ამ მამულისა და საბაჟოსაგან, რომელსაც ვნიშნავთ, ჩვენ არა სამსახური გვაქ. საბაჟოს გამოსავალი თქვენ მიგქონდათ და ვინც სიყმილით და ჭირით გარდაშენდა, მათი ყოფაც თქვენ წაიღეთ. ცოცხალი ვინც არიან და სახლობან, ისინიც გარდასახადით და უსამართლობით გაღარიბეთ და გთხოვთ, რომ რაც ჩემი მამულის გარდანახადი³ წაღებული გაქვსთ, ის მომცეთ, მამულზედ და საბაჟოზედაც ხელი აიღოთ.

ქაიხოსრო ჩხეიძემ, მისმა ორმა ძმამ მოახსენეს პასუხად: სვიმონოვიჩმა სახელმწიფო მთა სახელოთ მიბოძა და თქვენი მამულიც ჩამომაბარა და მერმეთ თქვენც გევედრეთ, ქრთამი მოგართვით და

[1] ფთა. [2] ფთაშ. [3] გარანახადი.

ბეჭდით და წერილით, რომელსაც თქვენ მამულს და საბაჟოს ბრძანებთ, მოგვებარეთ.

და ვინემდის ქვეყანაში ღმრთის გულისწყრომა არ მოვიდა, მანამდის რომელიც თქვენი ყმანი იყვნენ, როგორც პირველად გმსახურებიათ, ისე გემსახურებოდათ. და როდესაც რომელნიც ამოწყდენ, ჭირის შიშით ვერ მივკარებივართ, არა თუ ჩვენ წაგვიღია დანარჩომი მათი ყოფა, არამედ შიშის გულისათვის ვერ მოგვიკითხავს. და რომელიც მოგვიკითხავს, მოგვირთმევია.

და საბაჟოს ბრძანება გვქონდა სვიმონოვიჩისაგან, ქარავანი არც აქედან და არც იქედან არ გაუშ[ათო]. და რადგან ქარავანი არ დაიარებოდა, ამისთვის არ მოგერთვა; და დღეს გზა რომ გაშლილი არის, კიდეც თქვენი მებაჟე სდგას და ბაჟს იღებს.

და [რად]გან ქრთამი მოგვირთმევია, და წერილით ჩამოგვბარებია თქვენგან, [ჩვენ] ვითხოვთ, რომ: თუ დანაშაული არ ვიყოთ, წყალობა ნუ აგვეხება და ნუ[რც] წერილი გაგვიტყდება.

გვსინჯეთ ჩვენ სამართალში და ასე გავა[ჩი]ნეთ. წამოდგეს თითონ ქაიხოსრო და სამი ტოლი თავადი ან ამავალ[ი] უმფროსი და ან უმცროსი თავადი ამოიტანოს და ასე დაუფიცოს:

«ჭუთათ[ელო], რომელიც თქვენგან მობარებული მთა და საბაჟო გექონდა, რომელ[იც] ჩვენი მოურაობის სამართლიანი გამოსავალის მეტი სხვა არც გა[რ]დაშენებულის მთიელი კაცის ყოფა და ცხოვრება, არც თეთრათ და არც საქონლათ და არც პირუტყეათ და არც სხვათ რამეთ, არც მე და არ[ც] ჩემს ძმას ხოსიას და სვიმონს არც წაგვეღოს და არც მოგვეხმაროს და გვჭონდეს; არც თქვენი გამოსავალი, რომელიც იმ მამულისაგან მოგერთმეოდათ, ჩვენ არ შეგვეჭამოს; არც ვინემდის ჭირი არ გაჩნდა, მანამდის და არც მას მერმეთ ვინც მორჩა და ესახლენ, თქვენ რომ კაცები ჩამოგვბარე, იმ კაცებისათვის არც ძალით და უსამართლობით არც თეთრი, არც საქონელი, არც იარაღი, არც პირუტყეი არ წაგვერთმიოს; არც ჩვენ და არც ჩვენს გაგზავნილს კაცს, არც თქვენი საბაჟოს გამოსავალი, არც არაფელი მოსულიყოს და არც ჩვენ წაგვეღოს».

თუ ასე სრულებით ჩხეიძე გამართლდეს, თითონ კი გამართლდება, მაგრამ რადგან მოხელე იყვნენ და მამული ჩაბარებული აქვნდათ, ყოველივე გამოსავალი უნდა მოეკითხათ; და ამისთვის რაც ჭუთათელს ჩხეიძებისაგან ქრთამი მირთმეოდეს, ქუთათელმა ჩხეიძებს უბოძოს და სახელოზედ ჩხეიძებმა ხელი აიღოს.

თუ ჩხეიძე ფი[ც]ში ან გარდაშენებულის კაცების ყოფას, ან მოსახლე კაცების გარდანახადს[1], ან საბაჟოს გამოსავალს — რასმეს ერთსა და ერთში გამოტყდეს, ისიც მიართვან მთავნი ქუთათელს და ვერც ქრთამს შეუვლენ და სახელოზედაც ხელი აიღოს ჩხეიძეებმა.

და სხვა ფიცით თავი იმართლოს, როგორც ზეით ეწეროს ჩხეიძეებმა.

ქ. ქუთათელმა უჩივლა: ფერსათი, ოფჩა, როკითი და სადემეტრავო მე არ მომიბარებია, მძლავრებით მიიღეთ, მოხელები მე აღარ მომაკარეთ, ყოველივე სამსახური და გარდაშენებულის კაცის ყოფა თქვენ წაიღეთ, ვინც სახლობან, ისინიც თქვენ გახლავან, თქვენ გმსახურობენ, თქვენი ბრძანება გავა, ყოველივე თქვენ მიგაქვთ, რათ მართმევთ მამულს, პასუხს რათ არ მომცემთ.

ჩხეიძეებმა ა[ნ]ორო უთხრა.

ამას ასე განვაჩინეთ. წამოდგეს ხოსია და სვიმონ და ექვსი ტოლი თავადი ამოიტანოს, ასე უფიცოს: «ბაღდათს რომ უმფროსისაგან დადგინებული ნაჩალიგი (sic) იყვნენ, იმათგან თუ სახელმწიფო სამსახური გვიბრძანებია და ის აღგვისრულებია, თორემ სხვა შენს მამულში ფერსათს, ოფჩას, როკითს და სადემეტრაოს არც ჩვენ და ჩვენს ძმას ქაიხოსროს, არც თქვენი დაყენებული მოურავი და ხელოსანი გამოგვეცვალოს, არც იმ კაცებისათვის გვეთხრობინოს და მოგვეშალოს, ქუთათელს ნუ ემსახურებითო; არც ქვეყნის გარდაშენებულის კაცის ყოფა არც თეთრათ და საქონლათ და იარაღათ, არც პირუტყვათ და სხვათ რამეთ, არც ჩვენ და არც ჩვენს გაგზავნილს კაცს არ წამოგვეღოს; არც გარდუშენებელი კაცისთვის გარდაგვეხთევინებინოს რამე».

თუ ასე სრულებით ჩხეიძები გამართლდეს, ქუთათელი ჩხეიძეს ვერას შეუა და ქუთათლის მამულსაც ჩამოეთხოვონ ჩხეიძები. თუ რომელიმეს ჩხეიძე გარდანახადს[1] თუ წაღებულს რასმეს გამოტყდეს, ერთი ორათ მიართვან ქუთათელს ჩხეიძეებმა.

და სხვაში ზემოებრ ფიცით თავი გაიმართლოს.

ქ. ქაიხოსრო ჩხეიძემ და მისმა ძმებმა უჩივლეს გაენათელს: ჩვენი სამკვიდრო მიწა კილაეთი მთაში მივყიდეთ და არც ის ადგილი დაანებეთ გენათელს და ექვსი კომლი კაცი ჩირგაეთს შავლაძე და ერთგულიძე შენის ბრძანებით და კაცის შეჩენილობით აგვიყარეთ, ოთხს წელიწადს თქვენს მამულში დამალული გყავდათ და გედავებითო.

[1] ვარანახადს.

ქუთათელმა აშორო უბრძანა.

ამის ასე გავაჩინეთ; წამოაყენოს ოცდაოთხი გლეხის კაცი ან ამავალი აზნაურშვილი, ასე შიაფიცონ ჩხეიძებს: «არც ჩემი კაცებისათვის მებრძანებინოს გენათლის კაცს თქვენს მიყიდულს ადგილში ნუ ჩაუ[შ]ობთქო, არც თქვენი ყმები შავლაძე და ერთგულიძე ჩემის ბრძანებით და საქმობით არ აყრილიყვნენ და არც გარდმომებიროს».

თუ ასე შეფიცოს, ჩხეიძები ქუთათელს გლეხის აყრაში ვერას შეუვლენ და ადგილი მაინც ჩხეიძებს [უჭ]ირავს. თუ ვერ იფიცოს, არც ადგილში აქვს ქუთათელს სიტყვა და ე[რთი] ორად ქუთათელმა ქაიხოსროს, ხოსიას და სვიმონს უზღოს.

ქ. ქაიხოსრომ უჩივლა: ჩემს ძმას სვიმონს თავის აზნაურშვილის კახია[ნის] კაცი შამოაკვდა და მეფეს მოახსენე და გაღმართს მამული დაუკავეს [და] ვითხოვთ სამართლით რომ, რათ შეგვასმინე მეფეს.

პასუხი გვიბრძან[ა] ქუთათელმა, მეფის მოხსენების ვარი არ სთქვა.

გავსინჯეთ ჩვენ სამართალში. მაგრამ ქუთათელი ჯერ პირველი მღვდელთმთავარი ბრძანდება და მერმეთ კათალიკოსის ადგილზედ სდგას. და მის სიახლოვეს რომ არ მოხდეს და გარეშე იქმნეს უსჯულოება რაიმე, მაინც რადგან სჯულის თავი არის, ვალი აქვს რომ მეფეს, თუ ქვეყნის უმფროს[ს] მოახსენოს და ვერც შეუა ქუთათელს ჩხეიძე სამართლით და არც გავაჩინეთ.

ქ. ქუთათელმა და ჩხეიძემ ერთმანერთს უმფროსთა შესმენა უჩივლეს, მაგრამ რადგან სასამართლო და გამოსაკიდებელი საქმე არ იყო, ამისთვის დავაყენეთ და არ გავაჩინეთ. გავაჩინეთ ოკდომბრის **ია**, წელთა **ჩყიგ**.

ორი ბეჭედი: 1. მდივანბეგი წულუკიძე ბეჟან
2. მდივანბეგი ჩხეიძე როსტომ.

223. განჩინება ტეტია იმერლიშვილისა და დიმიტრი ეგაძის მამულის საქმეზე

1813 წ. 18 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6951. დედანი. ორადგაკეცილი ქაღალდი. 35,3×21,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისმან ყოვლად მაღალ-უსამღუდელოებამ მცხეთის მიტრაპოლიტმან და სრულიად საქართუელოჲსა ექსარხოსმა ვარლაამმან მმართებელობის ბრძანებით ჩუენ, ქუემორე ჰქლის

მომწერნი, წარგვგზავნა თავისის კათედრის ეკლესიის მამულების გასარჩევად.

მივედით კოდმანს. სარჩლობა ჰქონდათ იმერლისშვილს ტეტიას და თანამოდავესა მისსა დიმიტრი ეგაძეს და მისს ძმებსა. ვნახეთ ზუმბულიძისაგან მიცემული ნასყიდობის წიგნი, რომელშიაც ეწერა ესრედ: «ბიძას ჩემს რომ მოეყიდნა, გარდა ამისა მოგყიდე მე ორის დღის მიწა, იმას გარდა დანარჩომი რაც იყო კოდმანში, მოგყიდე ერთი ნასახლარები, ხევის გამოღმა საყდარი, წყარო თავისის გარემოთი. არის ამ ჩემგან და ბიძის ჩემისაგან მოსყიდული მიჯნები: თავს ფშატების კლდემდი; მეორე მიჯნა ხევის წყალი რასაც ჩამოიტანს ქვეით საურმე შარამდი; მესამე გვერდი გარდიგარდმო პატარა მიწის პატარა ღელემდი; მეოთხე აღმოსავლეთისაკენ მლაშე წყლის დიდ გვერდამდი». ასე ამ სამძღვრებით მიეყიდა იოსებ ზუმბულიძეს ტეტია იმერლისშვილისათვის და იყო ამაზედ საცილებელი.

ესრედ ედავებოდა ეგაძე დიმიტრი და ძმანი მისნი: თუმცა ეგ ნასახლარი და ისე ჩამოდევნებული მიწა და კალო ზუმბულიძისა იყოო, მაგრამ ეგ საყდარი ძველად ჩვენი ყოფილაო.

მივედით ჩვენ ამ საცილებელს ადგილს კოდმანს და იქაურნი კაცნიც მივასხით. ვიკითხეთ მოხუცებულთაგან — ეს საყდარი ვისი გაგიგონიათ? ამათ გვითხრეს: ზუმბულიძისად ვიცითო მოხუცებულკაცთაგანო. აგრევე ამ ნასყიდობის დანიშნულნი ადგილები ვნახეთ ზევით და ქვეით. თვით მოდაევეთაგანაც გავიგონეთ, რომელ ზუმბულიძისად იტყოდეს, მაგრამ საყდარს თვისად იჩემებდნენ.

ამ ნა[ს]ყიდობის წიგნით თვით მიმსყიდველის ზუმბულიძის ამ სადაოზედ შემოტარებით, მეზობელთ მოწმის თქმით და ყოვლის გარემოებით ზემორე მიჯნებით ეს ნასახლარი ისე ჩამოდევნებული: მიწა, კალო, საყდარი თავისის ნასახლარ-გარეშემოთი თავს ფშატის კლდემდი; მეორე მიჯნის — ხევის წყალი რასაც ჩაიტანს[1] საურმე შარამდი; [მესამე] პატარა მიწის პატარას ღელემდი; მეოთხე აღმოსავლეთისაკენ მლაშე წყლის გვერდამდი დარჩა იმერლიშვილს ტეტიას, მის შვილს ანდრიას, ლაზარეს, ნინიას და იაკობს.

და დიმიტრი ეგაძეს რომ მოაქვს ორი წიგნი — ჩემიაო, ერთში ინიშნება წმიდის ბარბარეს საყდარი; მეორის წიგნში სასაფლაო მხოლოდ და არა საყდარი. თავის წიგნები რასაც ნიშნავს, ქელთ უჭირამს და თუ არ დასჯერდება, სადაც უნდა მონახოს. ზუმბულიძის საყდართან არც საქმე ჰქონია და არც საქმე აქვს დიმიტრი ეგაძესა და იმის ძმებსა.

და საყდარს წინ რომ წყარო სდის, უნდა გზა დაუგდოს ტეტიამ, რომ ის წყარო საზოგადოა. და იქ მცხოვრებელთ მეზობელთ იხმარონ. იმ წყაროს მეზობელთ ხმარებას ვერ დაუჭერს; თუმცა წყაროს ადგილი ამ ტეტიასი არის, მაგრამ ზემოხსენებულისამებრ წყარო საზოგადოდ უნდა იყოს.

დეკემბრის დღის რიცხვსა **იზ**-სა, წელსა **ჩყიგ**-სა.
სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თუმანოვი
მსაჯული იოანე თურქისტანოვი.
მცხეთის დეკანოზი ამ განაჩენის მოწმე ვარ იოანე მაღალოვი.

თავში:

ჩუენ, მიტროპოლიტი მცხეთისა და ექსარხოსი სრულიად საქართველოს ვარლაამ, მოსამართლეთაგან განჭსჯილსა წერილსა ამას ვამტკიცებთ, იანვრის **გ, ჩყიდ** წელსა.

ხელთაა: ვარლამ ექსარხოსი.

224. განჩინება ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა და მოსე წინამძღვრის მაჟულის საქმეზე

1789—1813 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 925. დედანი. ქაღალდი. 33×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება ბეჟან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და გოგნის წინამძღვარი მოსე გავამჭვეთ.

ნიკოლოზმა უჩივლა: ჩვენმა ხელმწიფემ ბატონმა მეფემ წყალობა მიყო — ოკრიბას იაშვილისსოული გლეხები და იაშვილის სასახლის ადგილი და მისი შემავალი მთა და ბარი შიბოძა. ბოქაული გამომატანა, დამიკავა და ჩამაბარა. მასუკან შენ ბატონისთვის ტყეული მოგეხსენებია და ის ჩემი ადგილები უდაბნოსთვის შეგიწირვინებია. სასახლე დამიხანი, ხეები ამიჩეხე, მართმევ, მაგრამ რისთვის არ ვიცი. ბატონის წყალობის წიგნიც მოიტანა.

მოსე წინამძღვარმა აშორო უთხრა და ბატონის შეწირულობის დავთარიც მოიტანა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: რამდენიც სადეო ნიკოლოზის ადგილი

[1] + ხევის წყალი.

იყოს და უდაბნოსა და მის შეწირულს კაცს ქონდეს, რამდენს ათ მარჩილათ ღირდეს, იმდენი გლეხი კაცი ან ამავალი აზნაუ[რ]შვილი ასრე შეაფიცოს: «ამ ბატონის წყალობა შეწირულობის წიგნშიდ რომ ადგილები გვიწერია და შენ გეკედრები, ეს ადგილები არას მეპატრონეს არც ქაიხოსრო იაშვილისათვის, არც ჯავახისათვის, არც ნიკოლოზისათვის არც მიეცეს, არც ქონებოდესთ, არც ჩემის ეკლესიის უწინ შენთვის ბატონს ეს ადგილები არ ებოძებიოს, არც დაეკავებიოს, არც ჩაებარებიოს, არც იაშვილისსოული იყოს, არც იაშვილი იმ ადგილზედ სახლებულეყოს, არც შენ რომ ტოფაძე გყავს, მისისოული არ იყოს, შენი არც არაფერი გაგეყიდოს, არც არაფერი გეეჭიროს».

თუ ასრე უფიცოს, არაფერს ემართლება; რაც ბატონის შეწირულობაშიდ უწერია, უდაბნოს დარჩეს. და თუ ასე ვერ უფიცოს, რომელშიდაც გამოტყდეს და ნიკოლოზის ყოფილეყოს, ნიკოლოზს დაუტოოს. და რომელშიდაც თავი ემართლებოდეს, მისის მოფიცრით სამართალი მისცეს და უდაბნოსთვის დარჩეს.

თუ სასახლეზედ ვერ უფიცონ, სასახლე რომ წაუხდენიათ, ხე მოუჭრიათ და მიწა დაუხნავსთ, მისთვის საუპატიოთ ის სასახლე დ[ა]ფასონ და რათაც ის სასახლე მიწა ღირდეს, მისი ფასი დაუდვან და ნიკოლოზს ისრე დაუტოონ ის სასახლე.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჟან.

225. განჩინება ზაალ ლაღიძისა და სვიმონიკა ღვინეფაძის მამულის საქმეზე

1789—1813 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1293. დედანი. ქაღალდი. 32×13,5 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთი თარიღდება ბეჟან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ზა[ა]ლ ლაღიძე და სვიმონიკა ღვინეფაძე გავაბჭვეთ.

ზა[ა]ლმა უჩივლა: ჩემის შვილ[ის] მოყვარე იყო ბეჟანიკა მაჭავარიანი და მისმა შვილმა[1] ჩემს შვილს წიგნით თავისი ალაგ-მამული მისცა.

ღვინეფაძემ მაგიერი უპასუხა: მართალია, წიგნი დიაღ გაქვს, მაგრამ კელმწიფის დაყენებულმა მოურავმა მოგცა წერილით.

[1] მის[მა შვილმა] მისი შვილ.

გავშინჯეთ, მაგრამ ადგილ-მამული უბატონოთ, უმოხელოთ სხვას გვარის კაცს არ მიეცემა. ადგილ-მამულები — ღვინეფაძეს, ლაღიძე ვერას შეუვა. და სამოც მარჩილში ლაღიძე თავდებათ[1] ყოლია მაჭავარიანს. ის თეთრი თავნი ღვინეფაძემ მისცეს. სარგებელში იკითხონ, ვისიც თავდებია[2] ლაღიძე, და იმ თეთრის პატრონმა თუ შემოუვიდეს ლაღიძეს ის კაცი სარგებელს, და იმ ერთს იქნეს გარაშენებებული (sic), კაცის სარგებელი ამანაც გარ[დ]უხადოს; და ეს მაჭავარიანის წიგნი თეთრის ღვინეფაძეს მოსცეს ლაღიძემ.

ორი კაცით ეს და[ა]ჯეროს ლაღიძემ: «რომელიც ამ თაშხუჭში სწერიან, მე არაფელი დამეხარჯოს, მაჭავარიანს თუ მოუტანე»; თორემ თუ დახარჯულ გამოუვიდეს ლაღიძეს, თვითონ ჩაიგდოს.

თუ ვინიცობა და ღვინეფაძემ ვერ შეიძლოს იმ ვალის გარ[დ]ახდა, ლაღიძემანც ასე ინება და ის ვალიც და რაც ნახარჯი მოურავისგან ღვინაფაძეს ქონდეს, ლაღიძემ გარ[დ]აიხადოს. და ის ალაგი ლაღიძეს დარჩეს მოურავის მოწმობით.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჟან.

226. განჩინება სვიმონ წერეთლისა და გიგია ფხალაძის უანის წახდენის საქმეზე

1789—1813 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5809. დედანი. ქაღალდი. 20,6×8,6 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. საბუთი თარიღდება ბეჟან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. სვიმონ წერეთელი — ბატონის მოძღვარი [და] გიგია ფხალაძე გავაბჭვეთ.

სვიმონ უჩივლა: ზვარშიდ მამიხდი, ჩამითიბე, წამიხდინე, მარამ რა დანაშაული მჭონდა?

გიგა ფხალაძემ უპასუხა: შენმა ღორებმა ყანა წამიხდინა, გავბრიყვდი, მაგიერ[ა]თ სიმიდი ავჩეხე.

გიგა ფხალაძემ თავისი წანამხდარი ყანა დეიჯოს, სვიმონმა უბოძოს. სვიმონ ბატონის მოძღვარს რავარც სამართლის წიგნმა გაუჩინოს, რომ ზვარშიდ მიხდომია, სიმიდი აუჩეხია, ისე სამართალი მიერთვას სვიმონს.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჟან.

[1] თამდებათ. [2] თამდებია.

227. განჩინება როსტომ მიქელაძისა და დავითელა შუბლაძის უმის საქმეზე

1789—1813 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 791. დედანი. ქაღალდი. 18×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ბეჭან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. გრიგოლა მიქელაძის შვილები როსტომ მისი ძმები და შუბლაძე დავითელა გავაბჭვეთ.

შუბლაძემ უჩივლა: ბიბიელა რუსია და მისი შვილები მამიჩემის ბაბუიჩემის და ჩემი იყო, წაგვივიდა; ბაბუაშენს როსტომს მიუვიდა. მას უკან ვეცადეთ, ვილაპარაკეთ ჩვენ და იმ ჩვენმა კაცმა. რუსიამ აშოროო გვითხრა: თქვენი კაცი არ ვყოფილიყოთ, ოცდაოთხი კაცით შამოგვფიცა, ფიცმა უწია, ფიცი ამაშობია და კაცი ისევე თქვენ გყავს, რას მემართებით, არ ვიცი.

როსტომმა და მისმა ძმებმა აშოროო უთხრეს.

ჩვენ ასე გავაჩინეთ. ის რუსია სამ მოსახლეთ არიან, წამოაყენონ სამოცდათორმეტი გლეხიკაცი ან ამავალი აზნაუ[რ]შვილი [და] ასე შეაფიცონ: «ბიბიელა რუსია, მისი შამა და პაპა ბიბიელა და მისი შვილები მისდღეშიდ არც შენ, არც მამაშენსა და ბაბუაშენს, არც შენ არც ნაყიდობით, არც საწინდრობით, არც არავისაგან არც წყალობათ, არც სამკვიდრობით არ გყოლებოდესთ; ძალითა და უსამართლობით თუ გაებჭვე და დააფიცე, თორემ არაფერი ხელობა ამ რუსიასთან თქვენ არ გჭონდესთ, არც ის რუსია — ჩემი კაცი ფიცის აშობას არ შეგხვეწოდეს; და ფიცი რომ აუშვი, ბევრი მოგცა რამე თუ ცოტა, რაც მაშინ მოგცა, მის მეტს მოსაცემს არაფერს შამოგპირებოდეს, არც არაფერი შენი სადეო იმ დღეს იმ ფიცის აშობაშიდ იმ ჩემს კაცს რამე დარჩენოდეს».

თუ ასე შეაფიცოს, ის რუსიები სამივე გლეხი მიქელაძეს დარჩეს თავისის ყოფით. შუბლაძე სხვას ვერც გლეხებშიდ და ვერც დის წახდენა რომ უჩივლა, ვერაფერს შეუა. და თუ ასე ვერ შეაფიცეს, ის რუსია შუბლაძის ყოფილა, წასვლია, გაბჭობილან, ფიცი გასჩენია, შენი კაცი არ ვიყოო, დაუფიცებია, ფიცს უწევია, ფიცი აუშვია; და ის რუსია სამივე მოსახლე თავისის ყოფით შუბლაძეს დარჩეს.

უწინდელს განაჩენშიდ რუსიას გალახვისა და წანართმევის საუპატიო რომ უწერია, მიქელაძე და რუსია იმაშიდ შუბლაძეს ვერაფერს შეუა.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჭან.

228. განჩინება აგიაშვილებისა და გვენეტაძეების მამულის საქმეზე

1789—1813 წწ.

ქუთ. სახელმწ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1777. დედანი. ქაღალდი. 34×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი. ი-მეტი. საბუთი თარიღდება ბეჭან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. აგიაშვილები და საგელათო კაცი გვენეტაძები ალაგზე დეობდენ და ბატონს მეფეს შე[ე]ხვეწნენ და თვითან მეფე და მისი ბრძანების მორჩილი თან ახლდენ. და ის სადეო ალაგი დაიარეს, საზღვრებიც ვანახეთ, მაგრამ აგიაშვილს რომ დავთარი აქ[ვს], როგორც იმ დავთარში სწერია, ის საზღვრებიც იმ დავთარს ემოწმენ გამოცხადებულად. მაგრამ საგენათლო კაცმა აგიაშვილის დეობა არ მოშალეს, ღელეს გაღმა ჯავშია ჩვენი არისო და რას გვემართლები, არ ვიცი.

აგიაშვილმა აშოროო უთხრა.

და ასე გავაჩინეთ. წამოდგეს აგიაშვილი და რამოდენ ათ მარჩილათ ღირდეს ის ადგილი, იმოდენი გლეხიკაცი და ან ამავალი აზნაუ[რ]შვილი ასე შეაფიცოს: «არც ღელეს გაღმა ჯავშია რომ ქვია იმ ადგილს, ის თქუენი იყოს, არც გელათს შეწირული იყოს, არც ნაყიდი ქონდეს და არც თქვენი სამკვიდრო იყოს და კიდეც საციხისთო იყოს ღელეს გაღმა ჯავშია».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება, დავთარიც აგიაშვილს აქვ[ს] და კიდეც იფიცა და ადგილი აგიაშვილს დარჩეს. თუ ვერ იფიცოს, ეკლესიის ყმის ყოფილა და ეკლესიას. და აგიაშვილმა ხელი აიღოს იმ ადგილზე და გვენეტაძეებს დარჩეს ის ადგილი.

სათაური:

აგიაშვილისა და საგელათო კაცის გვენეტაძენის განჩინების წიგნი.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჭან.

229. განჩინება მამისთვალა ხუნდაძისა და ოტიელა კალოიანის მამულის საქმეზე

1789—1813 წწ.

ქუთ. სახელმწიფო ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1260. დედანი. ქაღალდი. 30×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ბეჭან წულუკიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. მამისთვალა ხელოსანი ხუნდაძე და კალოიანი ოტიელა გავამჭვეთ.

ხელოსანმა ბატონი მეფის მაგიერათ უჩივლა: ყანა ავიღეთ, ბატონისთვის დავხანით, დაკავებული გვქონდა; მიდი შენ, ხელიც გარდაგვიგდე, ის ჩვენი დახნული ყანაც დაგვითესე; შენი ძველი მოურავი იყო, როგორც უნდოდა ისე იქმოდა, სადაც უნდოდა ყანასაც დაიღებდა, ტყესაც ინადირებოდა, თორემ მისდღეშიდ მეფის ყოფილა. და ვინც საჯავახოს მეპატრონე ყოფილა, მას ქონია. ტყის მცველათ შენი კაცი სხვისისაც ყოფილა, ახლაც არის, თორემ სხვა რა საქმე გაქვს მეფის მიწაშიდ, არ ვიცით.

კალოიანმა ამორო უთხრა.

ჩვენ ისე გავაჩინეთ. წამოდგეს თვითონ კალოიანი და რომელიც ტყის მცველები იყონ და რამდენს ათ მარჩილათ ის ადგილი ღირდეს, ადგილის მცნობელმა და ბოქაულმა და[ა]ფასონ, იმდენი გლეხიკაცი ან ჰმაეალი აზნაუ[რ]შვილი თან ჩაიტანონ და ასე დაუფიცონ: «ეს მიწა და ტყე პანკრატოანის მეფის სახასო არ ყოფილიყოს, არც ღღეს იყოს, ვინც საჯავახოს მეპატრონე ყოფილა, ეს ადგილი არავის არ ჭონებოდეს, არავინ მეპატრონე ამ ადგილშიდ ჩვენს პაპასა და ბაბუასა და მამას და ჩვენ არავინ შამოგვცილებოდეს, არც არავის ამ ადგილის მოდი აეღოს. ჩვენ და ჩვენს ძველს ამაშიდ მოკლულის ნადირის საუფლო ძღვნათ თუ ვისმეს მეპატრონესთვის მოეტანოს, თორემ ამაშიდ მოკლული საუფლო არც მეფეს და არავის მეპატრონეს არ წაეღოს, არც მოურაობით ეს ადგილი ჩვენ და ჩვენს ძველს არ გვქონებოდეს, არც ჩვენს მეტი მემკვიდრე ამას ყოლებოდეს და კიდეც ჩვენი სამკვიდრო იყოს, არც ბატონის მეფის ბრძანებით დაკავებული ხელი მე არ გარდამეგდოს, არც მეფის მოჯალაბე და ხარები არ გამელახოს».

თუ სრულებით ასე დაუფიცოს არაფერს ემართლებიან, ის ადგილი კალოიანს დარჩეს. და თუ ასე ვერ დაუფიცონ, ის ადგილი სამეფო ყოფილა და მეფეს მიერთვას. თუ ხელი გარდაეგდოს, ვერ დაუფიცოს, ცალი ხელის ფასი გარდაიხადოს და მეფეს მიერთვას. მოჯალაბე და ხარები თუ გაელახოს, რამდენი კაცის გალახვას გამოუტყდეს, იმდენი ოცი მარჩილი მისცეს.

ბეჭედი: მდივანბეგი წულუკიძე ბეჟან.

230. განჩინება ივანიკა ინაკავაძის ვალის საქმეზე

1789—1813 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14165. დედანი. ქაღალდი. 21,5×12,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება როსტომ ჩხეიძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ბატონმა ქუთათელმა და მისმა ძმისწულმა ბეჟანმა და დეკანოზმა ნიკოლოზ გაბაშვილმა უბძანეს ივანიკა ინაკავაძეს: შენს ძმას პეტრიელას თეთრი ემართა ჩვენი; ის შენი ძმა შენს სახლშიდ მოკვდა და თუ რამე ქონდა თეთრი, საქონელი, ცხენი, ხარი და ძროხა, სპილენძი, თალათინი, სამუგუე და იარაღი, ყოლისფერი შენ დაგრჩა. ახლა გედავებით, რომ ჩვენი ვალის ამავალი საქონელი მოგვეცი.

ინაკავაძემ ამორო უთხრა.

ჩვენ გავშინჯეთ და ასე გავაჩინეთ. წამოდგეს თვითან და ასე დაუფიცოსთ: «ჩემი ძმის საქონელი — არც თეთრი, არც ხარი, არც ძროხა და ცხენი, არც არაფერი სხვა რამე, არც მომეხმაროს, არც ამის მეტი არაფელი მჭონდეს და არც არაფელი ამის მეტი ეიცოდეთ; ქურციკისაგან რომ ალაგი ვიყიდე, არაფელი მისი საქონელი იმ ალაგშიდ არ გაცემულიყოს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლებიან? რომელსაც გამოტყდეს, ყველა მევალეს მისცეს და მის-მის რიგათ გაიყონ; და სხვას ვერას შეუვლიან.

და ვინც მევალე გამოჩნდეს, სხვას ნუღარავის უფიცავს ინაკავაძე, თუ ამათ გაუმართლდეს.

ბეჭედი: მდივანბეგი ჩხეიძე როსტომ.

231. მედიატორეთა განჩინება მაჩაბელთა მამულის საქმეზე

1814 წ. 3 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9059. დედანი. ორფურცლიანი ქაღალდი. 34×22,5 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. თავადნი მაჩაბლები: თეიმურაზ ფარსადანის ძე ბარძიმ რევაზის ძე, თეიმურაზ ზაზას ძე და დავით ლევანის ძე სჩიოდნენ სოფელსა ძლევის ჯვარსა ზედა.

რადგანც ხსენებულსა სოფელსა მას შინა აღრიდ ჟამითგან

სოფლისა მის აოხრების გამო არღარ უწყოდნენ გარჩევით თვისთვისი კუთნილი მამული, ამისთვის ჩვენ ქვემო ამის კელის მომწერნი თვისის კეთილის ნებით აღგვირჩიეს ამა სადაოს გასარჩელად.

როგორადაც მათის წარმოდგენილის საბუთებით ვსცანით, მათი მოწილეობა ვის რა აქუნდა, თუმცა სჩნდა მათის წარმომდგარის საბუთებით, რომ არ იყვნენ თანასწორ მოწილენი იმა სოფლსა შინა. როგორც განვიხილეთ, რომ დავით ლევანის ძის წარმომდგარი საბუთი მნიშვნელობდა მოწილეობას მეტობით სხვებზე; და შემდგომად თეიმურაზ ფარსადანის ძის და ბარძიმ რევაზის ძის წარმოდგენილნი საბუთნი გვიჩვენებდენ მეტის მოწილეობას თეიმურაზ ზაზას ძეზედ.

მიხედვითა რჯულისათა ესრეთცა უნდა ეთვისებინათ მონაწილეობა იმა სოფლსა შინა, მაგრამ რადგანც ურთიერთა შორის ჰყვეს სიყვარულისა გამო დაზავება და თანასწორ განხილვა სოფლისა მის და ჩვენც გამოგვიცხადეს ამა თანხმობასა ზედა საქმისა მათისა გარდაწყვეტა, ამისთვის ჩვენც თანა წარეხედით ყოვლისა მათისა საბუთების მიხედვით გარდაწყვეტილებასა და მიეცით ნება თანხმობასა და დაზავებასა მათსა, რათა სოფელი იგი ძლევის ჯვარი სრულიად რადცა არს, საზოგადოდ კუთნილ მათდა განიწილონ სამად: ერთი წილი თეიმურაზ ფარსადანის ძეს და ბარძიმ რევაზის ძეს და თავეთს ბიძაშვილებს; ერთი წილი თეიმურაზ ზაზას ძეს და თავის ბიძას ბარძიმს; ერთი წილი დავით ლევანის ძეს.

ამა განწილვასა ზედა არღარ ექმნებათ დღეის შემდგომ ერთმანერთთან დავა, ამისთვის რომ თავეთის ნებაყოფლობით ასე შესჯერდნენ ერთმანერთს და ასეც უნდა განინაწილონ სოფელი იგი ძლევის ჯვარი; და თავ-თავის ნაწილს ესრეთცა ითვისებდენ.

და თუ აღმოსჩნდეს რომელსამე მხარეს, რომ ერთმანერთისაგან ნასყიდობა ჰქონდესთ ნამდვილის სიგლებით, ვისგანაც გასყიდულ იყოს ის მამული, იმ გამსყიდველს უნდა მიეთვალოს თავის წილზედ და მამული მონასყიდს დარჩეს.

ამ განჩინებისა სამი დაიწერა; სამივ ერთი სახე არის, თვითოსა და თვითოს თვითო მიეცა. მარტის **გ, ჩყიდ** წელს.

ხელრთვები:

თავადი ავთანდილ ამილახაროვი
თავადი მხარგრძელი იორამ ფავლენოვი
თავადი იოსებ თუმანოვი
თავადი როსტომ ბეგთაბეგოვი

ამ განჩინების ყაბული გვაქვს ჩვენ, ქვემო ხელის მომწერთ:
თავადი მაჩაბელი თეიმურაზ ფარსადანის ძე
თავადი მაჩაბელი ღევტორ დავითის ძე
თავადი მაჩაბელი ბარძიმ რევაზის ძე
თავადი თეიმურაზ მაჩაბელი ზაზას ძე
თავადი დავით ლევანის ძე მაჩაბელი

232. მედიატორის განჩინება დავით ციციანოვისა და იოსებ მურადაშვილის საქმეზე

1815 წ. 21 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5718. დედანი. ქაღალდი. 35×22 სმ. ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი და მძიმე.

1815 წელსა, მაისის 21 დღესა, მე, ქვემო ამისა კელის მომწურელი[1], აღმომირჩივეს თავეთის კეთილის ნებითა ბჭედ უფალმან მაიორმან თავადმან დავით ციციანოვმან და ცხინვალელმან[2] იოსებ მურადაშვილმან, რომელნიცა შეიკვრნენ კელის წერილითა ჩემთან და მომცეს იგი დამოწმებული გორის უეზდის სასამართლოთი, რაჲცა მე მათ ურთიერთისადმი ჭონებულის ანგარიშითა უსაჯო, დაწესებულვყო, ორნივე იგი კერძო უნდა კმა იყოფებოდნენ და დასარღვეველად მისსა არღარა ექმნებოდესთ აღგილი რომელსამე სასამართლოსა შინა საჩივრის შეტანისა.

და ამის მიხედვით შეველ გამოძიებად და მოვსთხოვე უფალს მაიორს თავადს დავით ციციანოვს დავა მისი რაზედ მდგომარეობდა, რომელიც წარმომიდგენს შემდგომსა შინა, სახელდობ რაც დავითს მურადოვისათვის მიუცია:

1. 1809-სა წელსა, იანვრის 16-სა დღესა, ტფილისში ვერცხლის ფული თავნი თორმეტი თუმანი.

2. მასვე წელს, სეკტემბრის 7-სა დღესა, ორი თუმანი გორში ვართაპეტის ფულიდამ უანდუაშვილის თამასუქით.

3. მასვე წელსა, ნოემბრის 2-სა დღეს, გორშივე თოთხმეტი თუმანი თავნი ვერცხლის ფული.

4. 1810-სა წელსა, მარტის 3-სა დღესა, ვერეშკოვის ფულიდამ თავნი ოთხი თუმანი ვერცხლის ფული.

5. მასვე წელსა, დეკემბრის 19-სა დღესა, კამისიანერს პრებს-

[1] მომწერილი. [2] ცხინვანელმან.

ტინღს წაურთმევია სურამში დავით ციციანოვისათვის ასოცდაშვიდმეტი ჩეთვერთი ფქვილი მურადაშვილის თაობაზედ, რადგან მისი თავდები ყოფილა. მას ჟამსა სახალხოდ ფასებული პური კოდი რვა აბაზათ.

6. მურადაშვილს[1] რომ ფოდრატი ჰქონია აღებული კამისიანვრის[2] პრეპსტინღისაგან 1810-სა წელში და პირობისამებრ ვერ შეუსრულებია მურადოვს პურის შეტანა და დარჩენილა ორმოცდაორი თუმანი და თორმეტი აბაზი შეუტანელისა პურისა, რადგან ციციანოვი თავდები ყოფილა, ამისთვის უთხოვნია პრეპსტინღს ამ ორმოცდაორის [თუმნისა და თორმეტი აბაზის] პური მურადოვის ბარობაზედ, 1811-სა წელსა დეკენბერში დავითისათვის წაურთმევია.

7. [18]11-სა წელსა, აპრილის 29-სა დღესა, არჩილ ფაღენიშვილისათვის დავითს ფეტვი მიეყიდნა ორის თუმნისა და ამ ორის თუმნიდამ მურადოვს გამოერთმივა თერამეტი მინალთუნი თავნი.

8. 1811-სა წელსა, ნოენბრის 1-სა დღესა, მურადაშვილს გამოურთმევია დავითის დედისა და რძლისათვის ექვსის თუმნის პური.

9. [მუ]რადოვს რომ პრეპსტინღისაგან ფოდრატი აუღია, მას ჟამსა დავითს ორმოცდაათი ტომარა მიუცია და აქომამდე არა მიუღია რა მისგან.

პირისპირ ამისა სოსია მურადოვმა შემოიტანა: რაც მივიღე ციციანოვისაგან, ყოველივე ჩემს ვალში მიმიღიაო, რომ ჩემი ემართაო.

[ერ]თის ნუსხით მართებს ორმოცდაოთხი თუმანი და ცხრა აბაზ-შაურ-[ნაკ]ლები, ციციანოვს რომ ნივთები დუხარჯავსო 1808-სა წლიდამ დღევანდლამდის.

ცხინვალს რომ ქერი იყიდა ცხრაას ორმოცი კოდი ღენერალმაიორის შტალისაგან, ეს ქერი მე მომაბარა, უნდა მე გამომერთმევინა ცხინვალელებისათვინ[3] და დრაგუნებისათვისაც მე მიმეწყო, რომელიცა ორივე შევასრულე. მაგრამ ქერი დაჰკლებიყო დრაგუნების მისაცემად, ჩვენზე ბარათა ექნა, ვითომ ავალაშიაც მიეცი.

დავითსა ვსთხოვე რომ, რათ მიშვრები ამისთანა უსამართლოს? ჯერ იფიცა, მე არ შემტყობია.

წავიყვანე ცხინვალს, სადაცა შევჰყარე ზუბალოვი და დავით, ილაპარაკეს. ამასთვინ ქერი ძალიან საჭირო იყო და დავითმა

[1] მურადაშვილის. [2] კამისიანვირის. [3] ცხინვანელებისათვინ.

მთხოვა ესრეთ: ოღომც ახლა მიქარსაზე, და, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ამ ათ დღეში ქარელიდამ გამოგიტან; სადაც დამესწრო მამაჩემი და ბიძაჩემი ტერ-დავითა.

მეც შეუსრულე დავითას თავისი თხოვნა, ოცდათოთხმეტის თუმნისა და ექვსი მინალთუნისა ქერი უყიდე ზოგი ხახანაანთაგანა, ზოგი ჩემი ძმებისაგან, ზოგიც ავეტიქა შვილებისაგანა, მიუბარე; მაგრამა დავითმა კი არა მამცა რა, ეს ფულიც არის იმაზედაო.

როდესაც ვასილ ფეოდორიჩს ფოდრატი უყავით, მაშინ სამნი ამხანაგები ვიყავით: დავით, ზუბალოვი და მე. რაც რომ მოვიგეთ, ისევ დავითთან არის*.

233. განჩინება გიორგი ერისთავისა და მამაჯანა ტიკტიკოვის საქმეზე

1816 წ. 20 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6766. დედანი. ქაღალდი. 32,8×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. თავადმა[1] ერისთავმა გიორგიმ, დავითის შვილმა, უჩივლა მამაჯანს ტიკტიკოვს:

სელიმე ფაშის კაცები ახალციხელები თუ აჭარლები და ჩვენ ერთმანეთშიდ ვმტერობდით და ჩემმა მებაღეებმა ახალციხელ სომეხს საჰ[ალ]ნით ბამბა წაართვეს და რადგან მტერობა გვაქვნდა, აღარ მიუვეცით; ორჯელ-სამჯერ ფაშამაც წიგნი მოგვწერა, მაგრამ არ მივეცით.

და ის ბამბის პატრონი შენი სიძე ყოფილიყო და ის წართმეული ბამბა შენ დაიჩემე. და ჯერ პირველ განსვენებულს სვიმონოვიჩს[2] შეეევდრე არზით და შეგვასმინე: ერისთავმა ბამბა წამართვა. და გვიბრძანა სვიმონოვიჩიმ მოცემა, მაგრამ რადგან შენი არ იყო, ვერ მოგეცით.

მერმეთ უფალს პოლკოვნიკს მერლინიის ევედრე. და პოლკოვნიკმა მისწერა ბრძანება ბეჩერსკის და ჩამოგვიყენე ძალის ბოქაული, სალდათები; და ჩვენ რუსიც და გურიელიც გვეწყრებოდა და სასამართლოთ ვერ გაგეცით. და რვა[ს]ის ყურუშის თამასუქი გამოართვი მამაჩვენს და სრულებით გარდაახდევინეთ.

და დღეს ვითხოვ სამართალშიდ, რადგან შენი ბამბა არ იყო და

[1] თავადი. [2] სვიმონოვიჩის.

* აქ წყდება ტექსტი.

ჩვენს მტერს წავართვით, თქვენ გარდახდას და ბოქაულის მოყვანას რას გვეშართლებოდით.

მამაჯანამ უპასუხა: მე გურიას ვიყავ და ჩემს სიძეს სტეფანას ახალციხელ სომიხს ჩემთან ჩემი ბაშბა მოჭონდა. დახვდა შენი მებაჟები და ბამბა წაართვეს; და გეხვეწეთ და ჩვენი არც საქონელი მოგვეცით და არც ფასი თეთრი. და მართალია, მთავრობას ვევედრე; და სამართალშიდ ვერ გაგვეყვა მამათქვენი და თამასუქი მომცა და გარდამიხადა. და დღეს ჩემთან სადავო რა გაქვს.

და რომელიც თქვენ ჩემ სიძეს ბამბა წაართვით, მაშინაც მთლად ქუთათურებმა ვაჭრებმა იცოდა, ჩემი იყო და დღესაც მემოწმებიან.

გავსინჯეთ ჩვენ ეს საჩივრები და რადგან დავით ერისთავს თამასუქიც გაუღია და არც სჩანს[1], რომ სამართალშიდ სამმე მისრულიყენენ ერისთავი და მამაჯანა და ერისთავს ბამბის ფასიც გარდაუხდია, მეორეთ სასამართლო აღარ იყო.

მაგრამ ზეით ერისთავი ჩივის: როდესაც გარდახდის ძალის ბოქაული მოგვიყვანეთ, მაშინ სამართალშიდ ამისთვის ვერ გაგყევით, რუსის მხედრობაც გვიწყრებოდა და გურიელიც.

და ამისთვის ასე განვაჩინეთ: როგორც ჩვენს სამართლის კანონშიდ სწერია, თუ იმისთანა მოწამე ორი და სამი მოიყვანოს მამაჯანამ და იმოწმონ, ის წართმეული ბამბა მამაჯანას ყოფილიყოს, ერისთავი ვერაფელს მოედავება მამაჯანას.

თუ მოწამე განჩინებისა ამისაებრ ვერ წამოაყენოს, მერმეთ თითონ მამაჯანამ ფიცით დააჯეროს ერისთავი: ჩემს სიძეს სტეფანას რომ თქვენმა მებაჟეებმა ბამბა წაართვეს, იმ ბამბას ჩემს მეტი პატრონი არ ყოლებოდეს და ჩემი ყოფილიყოს.

თუ ასე ფიცით გამართლდეს, მაინც ვერას შეუა ერისთავი. ამისთვის, რომ თავის საქონლის ფასი გარდაუხდევნებია.

თუ ვერც ფიცით გამართლდეს მამაჯანა, თავის მტრისათვის ერისთავს ბამბა წაურთმევია და მამაჯანას ტყულათ თავისთვის დაუჩემებია და მთავრობის ვედრებით ძალით გარდაუხდევნებია. და რაც ბამბის ფასი მამაჯანას ერისთვის გარდაეხდევინებიოს, ერთიორათ მისცეს მამაჯანა ტინტიკოქ[მა] გიორგი ერისთავს. ჩყივ წელს, იანვრის კ.

სამი ბეჭედი:

1. თავადი წულუკიძე ხეხნია
2. თავადი მდივანბეგი აბაშიძე გიორგი.
3. დავით.

[1] სჩამს.

სხვა ხელით:

ამ განაჩენშიდ ერისთავი გიორგი და მე, მამაჯან, გავრიგდით ერთმანერთთან.

234. მედიატორეთა განჩინება აბაშიძეებისა და მაჭავარიანების მაჭულის საქმეზე

1817 წ. 5 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8353. დედანი. ქაღალდი. 36,7×22,3 სმ. დაზიანებული. მარჯვენა კიდე აქა-იქ გაცრეცილია. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

თავადი აბაშიძე დავით და გიორგი ღამუაშვილი და მაჭავარიანი [ერთ]ობით ილმელები, და მაჭავარიანი — ერთობით ქვრივისშვილები და ჯაშიაშვილები გავაბჭვეთ[1].

მაჭავარიანებმა უჩივლა: ჩვენ სხვა საჩივრისათვის ქუთაის[ს] სამართალშიდ შესრულ ვიყავით, და რომელიც ჩვენ და ჩვენს კაცებს მსხილაძეებს ადგილები გვეჭირა — ნაროდინევი და ნაორმალი, დიდს შარას გარდმოლმა სატობავის ღელეზედ ჩაჭრის, ნახევარი სატობავიანთ ჩხერიმელსა და ძირულას გამოღმა — ამ დანიშნულს ჩვენს საკუთარს ადგილშიდ მოწეული ნამუშევარი ჩვენმა კაცებმა თავის სახლშიდ მიიტანეს. მოგეყვანათ ბოქაული და რამდონიმე სიმიდი სასიმიდეშიდ გამოგერეკათ და ძალით წაიღებინე. რას გვემართლებოდი, არ ვიცი.

აბაშიძემ ბოქაულის მოყვანა და ძალით სიმინდის წაღება ვერ იუარა და ეს უპასუხა: თქვენ რომ ადგილს ნიშნავთ ნაროდინევსა და ნ[ა]ორმალს, ის ადგილები ჩვენი და ჩვენი მამა-პაპის სამკვიდროა. სანამ საყანეთ გატყდებოდა, სანადირო ტყე იყო და რამდონი ნადირი მოკვდებოდა, საუფლოს ჩვენ და ჩვენი მამა-პაპა იღებდა; და როდესაც საყანეთ საჭირო შეიქმნა, ჩვენ შენს კაცებს მივეცით. და რომელიც სამართალი იყო ყანის მოდის აღების, მოდს ვიღებდით. და წელს რომ ნებით აღარ მოგვეცით, მართალია, ბოქაული მოვიყვანეთ და ჩვენი ადგილის მოდი ავიღევით, თუმც ამას იქეთ ამ ადგილშიდ ყანა ვისმეს ექნება, კიდე ვითხოვთ.

მაჭავარიანებმა აშორო უთხრეს:

[1] გავამჭვეთ.

ჩვენ გავშინჯეთ და ასე გავაჩინეთ. ეს ზემოხსენებული ადგილები, რომელიც დანიშნულია, იმ დანიშნულს სამძღვრებს შიგნივ, რომელიც მაჭაყარიანებს და ან მათ ყმებს სჭეროდეს და ქონდესთ*, ადგილის მცნობელმა კაცმა დააფასოს, რამდონ ოც მარჩილათ დაფასდეს, წამოაყენონ იმდონი გლეხი კაცი და ან ამავალი მსახურ-აზნაურშვილი და ასე შეაფიცონ, ხატი ხელთ დაიჭიროს თავმა მოფიცარმა და რომელიც მაჭაყარიანებს და მათს ყმათ სჭეროდეს, მას გარ[ს] შამოუბოს*: «ეს ადგილები არც შენი და არც შენი მამა-პაპის სამკვიდრო იყოს, არც ნასყიდი და არც ბატონის წყალობა, თქუენი და თქვენის ოჯახის ეს არ იყოს, არც თქვენს მამა-პაპას ამ ადგილშიდ მოკლულის ნადირის საუფლო ამ ადგილის არაოდეს აეღოსთ, არც თქვენს მამა-პაპას ამ ადგილშიდ მოდი აეღოსთ, წრეულს რომ ძალით მოდი წაიღეთ, თორემ ჩვენ და ჩვენს კაცს თქვენთვის[1] მოდი არ გვეძლიოს და არც შენ და არც შენს კაცს ეს ადგილები არ გჭეროდესთ».

თუ ასე სრულად დაუფიცონ, რომელიც მაჭაყარიანებს და ან მათ ყმათ ამ სამზღვრებს შიგნივ სჭეროდეს და ან ხატით გარ[ს] შამოუბარონ, ის ადგილები სრულებით უდეოთ მაჭაყარიანებს დარჩეს, ღაბუაშვილი ვეღარას მოედავება. და ღაბუაშვილს რომელიც წრეულს მოდი წაეღოს, ერთიორად მოსცეს ღაბუაშვილმა მაჭაყარიანებს.

და თუ ვერ უფიცონ, ის ხსენებული ადგილები ღაბუაშვილის სამკვიდრო ყოფილა და სატობავი წყლიანათ ღაბუაშვილს დარჩეს. და მოდი რაც წაეღოს, ახით აუღიათ, და ისეც მას შერჩეს.

მაჭაყარიანებმა უჩივლეს: ჩვენ რომ ზემოთ დანიშნეთ ადგილები ვიჩიელეთ და სამძღვრები დადებულია, იმ სამძღვრებს აქეთ სრულებით ჩვენი სამკვიდროა. და ზოგი [რომ]ელიმე თქვენს კაცებს ყანათ უჭირავს, ის ადგილები ჩვენის ოჯახის მყოფისაგან და ჩვენის ყმებისაგან პირველ ფიცით ამოღებულია, რომ თქვენის ოჯახის მყოფისა[თ]ვის შეუფიცავს, ნაფიცი[2] გვაქვს და ჩვენი სამკვიდროც არის და თქვენს ყმათ რათ უჭირავს, არ ვიცით. გთხოეთ ჩვენი სამკვიდრო ნაფიცით ამოღებული ადგილები დაგვიტეო[თ].

თავადმა ღაბუაშვილებმა აშორო უთხრეს: ჩვენ გავსინჯეთ და ასე გაუაჩინეთ. რომელსაც მაჭაყარიანები ამ

[1] + ჩვენი. [2] ნაფიცი.

* აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი-ორი სიტყვისათვის.

ადგილების სამ სამძღვარს უნიშნავენ, იმ სამძღვრებს შიგნივ რომელიც ღაბუაშვილის კაცებს ის ადგილები ეჭიროს, ადგილის მცნობელმა კაცმა დააფასოს; რამდონ ოც მარჩილათ დაფასდეს, წამოაყენოს იმდონი გლეხი კაცი და ან ამავალი მსახურ-აზნაურშვილი და ასე შეფიცოს, თავმა მოფიცარმა ხატი ხელთ დაიჭიროს და გარ[ს] შამო[უ]აროს და ასე შეფიცონ: «რომელიც ჩვენ დღეს გვიჭირავს და გარ[ს] შემო[უ]არეთ, ეს ადგილები არც მაჭაყარიანების და არც მათის ყმის მსხილაძეების არც სამკვიდრო იყოს, არც ნასყიდი, არც ბატონის წყალობა არ იყოს; ამ ადგილებშიდ არც მაჭაყარიანების მამა-პაპა და ძველი და არც მათი ყმა მსხილაძეები და არც მსხილაძის მამა-პაპა და ძველი ნაფიცი არ იყონ და არც არაფერი ხელობა, მაჭაყარიანო და მსხილაძეებო, თქვენ ამაშიდ არ გჭონდეს, არც გჭეროდესთ, არც სატობავი გქონოდესთ».

თუ ასე შეფიცონ, რომელიც დღეს ღაბუაშვილსა [და მ]ის კაცს ეჭიროს და ფიცით გარ[ს] შამოუარეს, ღაბუაშვილს დარჩეს, რომ მაჭაყარიანები ვერ მოედევებიან.

და თუ ვერ უფიცონ, ადგილი მაჭაყარიანების ყოფილა, და რომელიც ზემოთ სამძღვრები დანიშნეს, იმ სამძღვრებს შიგნივ სრულებით მაჭაყარიანებს დარჩეს.

მაჭაყარიანმა უჩივლა: ერთი ადგილი ეწე[რი] წაწოლილა დიდს შარასა და პეტერა შარას შუა ალავიძის სამძღვრამდის, ჩვენი მამა-პაპის სამკვიდრო არის. ჩვენი მამა-ბაბუა და პაპა ამ ადგილშიდ რომელსამე ყანათ ხმარობდენ და რომელსამე ტყეს სახორეთ, სახარდნეთ, საწკნელეთ ხმარობდენ. ჩვენი ბაბუა და პაპა გარდაიცვალა, რომ კაცი არ დავებია. და ჩვენ რომ ჩ[ე]ვენის მუშით შამოვედით, მოხვედით თქვენის ყმით და ძალით გარდაგვდევნე და ადგილიც წაგვართვი შენ და დღესაც ხელთა გაქვსთ, რასთვის არ ვიცით.

ღაბუაშვილმა ამ დანიშნულს სამძღვრებს შიგნივ რომელშიდმე აშორო უთხრა ეჭონლობისა და რომელშიდმე ასე უპასუხა: როსაფ მაჭაყარიანს მოყვრობით ვაჭამეთ, რამდენსამე ხანს ჭონდა, ხმარობდა, მოდს ვიღებდით და სამკვიდროთ თქვენ ვერ მოგართვით. და, მართალია, ჩვენი სამკვიდრო ადგილი ისევ დაგატოვებიეთ და გვაქვს.

ჩვენ გავშინჯეთ და ასე გავაჩინეთ. რომელიც ის ადგილი ღაბუაშვილმა მაჭაყარიანების ნაყანევათ[1] დანიშნოს, იმას გარდა რაც

[1] ნაყენაევათ.

დარჩეს, ადგილის მცნობელმა კაცმა დააფასოს და, რამდენ ოც მარჩილათ ღირდეს, წამოაყენოს იმდენი გლეხი კაცი და ან ამავალი მსახურ-აზნაურშვილი და ასე შეაფიცოს: „ეს ადგილი არც თქვენი და თქვენი მამა-პაპის სამკვიდრო იყოს, არც ნასყიდი და არც ბატონის წყალობა არ გჭონდეს, არც თქვენს მამა-პაპას ჭონდეს და არც არაფერი ხელობა თქვენ ამაშიდ გჭონდეს“.

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. რომელსაც ფიცით დაამტკიცებს, ღაბუაშვილის ყოფილა და ღაბუაშვილს დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ადგილი მაჭავარიანის ყოფილა და მაჭავარიანს დარჩეს.

ღაბუაშვილმა რომელიც მაჭავარიანს ადგილი დაუნიშნა და საფიცრათ დაუტოვა, რომ როსაფ მაჭავარიანს სამოდოთ მიცემული ჭონდა ჩვენგან და მოდს გვაძლევდაო, იმაშიდ მაჭავარიანმა აშორო უთხრა.

ჩვენ გავშინჯეთ და ასე გავაჩინეთ. რამდონ ოც მარჩილათ დაფასდეს, წამოაყენოს იმდონი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურშვილი და ასე შეაფიცონ: «ეს ადგილი არც თქვენგან, არც თქვენის მამა-ბაბუისაგან ჩვენ და ჩვენს მამა-ბაბუას არც სამოდოთ მოცემული ჭონდეს, არც ამაშიდ მოდი ეძლიოსთ, არც თქვენი სამკვიდ-[რო] იყოს, არც ნასყიდი და არც ბატონის წყალობა და არც არაფერი ხელობა თქვენ ამაშიდ გჭონდესთ».

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება; ის ადგილი მაჭავარიანებს დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ის ადგილი ღაბუაშვილის ყოფილა და ღაბუაშვილს დარჩეს.

ჩყიზ წელსა, დეკემბრისა ე.

ამ ზემო მოჩივრების თავდთა და აზნაურთაგან [ამ]ე განჩინებისათვის მედიატორეთ [ა]მორჩეულ ვიყავით: მღვდელი დ ე დ ა რ ი ა ნ ი ბ ე ს ა რ ი ო ნ, მოურავი ს ვ ი მ ო ნ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ხელოვა სვიმონ, მოურავი ჩ ხ ე ი ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო ხელოვა ქ ა ი ხ ო ს რ ო, თ ა ვ ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ხელოვა ქ ა ი ხ ო ს რ ო.

235. განჩინება გიგო დიდიას ხატის საქმეზე

1818 წ. 4 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6911. დედანი. ქაღალდი. 35,5×22,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ჭ. მათს ყოვლად სამღუდელოებას უფალს მიტროპოლიტს ქ უ თ ა თ ე ლ ს დ ო ს ი თ ე ო ს [ს] მოახსენა სამართალშიდ კეთილშობილმა დ ი დ ი ა მ გ ი გ ო მ: მამა ჩემს სწყალობდი და გებრა-

ლებოდა და რადგან მამაჩემი მწყალობლად გხედევდა, ამისთვის თქვენს მეუფებას მამაჩემ[მ]ა თავის მამისეული ხატი მოგაბარათ შესანახავათ, რომელიც ხუთას მარჩილათ ღირდა. და მამაჩემი გარდაიცვალა და ხატი თქვენ გახლავს და ვითხოვთ, რადგან მობარებული არის, ისევ ჩვენ გვიბოძოთ.

მიტროპოლიტის ჭუთათლის დოსითეოსის მაგიერად თავადმა ბ ე ჟ ა ნ წ ე რ ე თ ე ლ მ ა უ პ ა ს უ ხ ა: მ ე ფ ი ს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს, არჩილის ძის, მეფობაშიდ მამაშენი მამუკა დიდია ეევდრა უფალს ჭუთათელს და მეფესთან შვამდგომლათ შემოიყვანა ამისთვის: მეფის მდივანბეგის თანდასწრებით ჩემს ძმას სამართლით გამყონ და რომელიც სამართლით ჩვენის მამულის გასამყრელოთ გლეხები მეფისათვის დაიდვას, მე მიბოძოს საკუთრად და ამისათვის ეევდრა ჭუთათელი მეფეს.

და მეფემ ინება და თავის მდივანბეგი ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ე მამათქვენს გაატანა და თავის ძმას გაყო; და თავის წილი მამული მისცეს. გასამყრელო მამაშენს უბოძა მეფემ ჭუთათლის შუამდგომლობით და მეფის მისართმევს ქრთამშიდ მამათქვენმა, რომელსაც თქვენ ხატს ჩივით, ის ჭუთათელს მოართვა და მამაშენს არ უდავენია.

მეფის შემდგომად ამდენი ხანი არის არ გიდავნიათ; და რადგან მამის შენისაგან მეფის მისართმევად აქვს მორთმეული ჭუთათელს, ამისთვის რა პასუხი მოგცეთ.

დ ი დ ი ა მ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა: გასამყრელო რომ გაურიგა ჭუთათელმა მამაჩემს, მეფესთან იმის ქრთამიც მიირთვა და მსახურებაც; და ეს ხატი მობარებულათ აქვს, თორემ არც მეფის მისართმევად და არც ფასად მამაჩემს ჭუთათლისათვის არ მიურთმევია.

გავსინჯეთ ჩვენ და ასე განვაჩინეთ. სამართალშიდ დიდია თავის ხატს ხუთას მარჩილათ ფასობს; და ოცდახუთი გლეხი კაცი, ან ამაგალი სხუა კაცი, გიგო დიდიამ ასე შიაფიცოს ჭუთათელს ან მის მაგიერს კაცს: «რომელიც მამის ჩემისაგან თქვენ ხატი მოგერთვათ, ის ხატი მამაჩემს მამუკას არც მეფის მისართმევს გასამყრელოს ქრთამშიდ თქვენთვის მოეცეს, არც მოეყიდნოს და ფასი აეღოს, და კიდეც მობარებულათ გჭონდეს».

თუმც ასე დ ი დ ი ა ფიცით გამართლდეს, ხატი ჭუთათელმა დიდიას უბოძოს, ამისთვის რადგან მობარებული ჭონებია.

და თუმც ხატი არ გამოჩნდეს ან დაკარგული შორს და ან გაცემული, მაშინ ზეით რომ ფიცი აქვს დიდიას, იმ ფიცშიდ ჩაიტანოს თავის ხატის ღირებული ფასი, როგორც სამართალშიდ განა-

ცხადა, ხუთასი მარჩილი, და ქუთათელმა უბოძოს თავის ხატის ფასი.

და ხუთას მარჩილს ზეით დიდია ვეღარ აიწევს ფიცშიდ, ამისთვის თავის პირით სამართალშიდ ღირებულ ფასათ თავისის ცნობით ასრე განაცხადა.

თუმც დიდია ფიცს ვერ აღასრულებს, ქუთათელისათვის მეფის მისართმევად დიდიას ხატი მიურთმევია და გიგო დიდიას ქუთათელთან სადაოთ საქმე არ ექნების ამ ხატის საქმეშიდ. ჩყიწ წელსა, აპრილს დ.

ოთხი ბეჭედი:

1. თავადი წულუკიძე სეხნია
2. თავადი მდივანბეგი აბაშიძე გიორგი
3. მიქელაძე დავით
4. დავით

მე, კეთილშობილს გიგო დიდიას, ყაბული მაქ ამ განაჩენის.

236. განჩინება დათია ნაზირის შვილისა და მისი შვილების გაყრის საქმეზე

1818 წ. 1 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 218. დედანი. ქაღალდი. 34,8×22,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

დათია ნაზირის შვილი ჩიოდა ჩემთან: ჩემი შვილები გამეყარნენ და უნუგეშოთ დამიტევეს მოსამართლებმაო. მოვაყვანინე დათიას გაყრილი შვილები და ორნივ ერთათ ვალაპარაკე.

მიხედვისამებრ მათის ლაპარაკისა მე ასე განვასამართლე: რათგანაც იყო მოჭირნახულე მამა და სიღრმეში მიწევნილი მოხუცებულობის გამო, მე მივეცი საკუთარი სახლი გომური და მარანი თავის ადგილით, რომელშიაც მდგომარეობას თავის სიცოცხლეში ექნება; რომ არც ერთ შვილსა საქმე არა აქვთ რა.

თუ მამის ნება არ არის, არც ერთს არ მისცემს. და თუ ნებავს, გაყიდის და თავის სამარხათ მოიხმარებს. ეს მიეცა თავის სამარხში.

რაც ქვევრი რგებია გაყრილს შვილს, იმ მარნიდან ამოიღებს და თავის წილხდომილს ადგილში ჩაყრის.

გარდა ამისცა დათიას ცოლს სამარხი უნდა მისცენ გაყრილმა შვილებმა ორი თუმანი.

და ქალი ყოლიათ კიდევ გასათხოვარი. ამ ქალისაც ერთი თუმანი განუწესებია[თ] მოსამართლებს, ესეც უნდა მისცენ გაყრილმა შვილებმა, მზითვისათვის კიდევ ერთი ვენახი.

უგანაძისა ზემოთი ვენახი მიუციათ, — ცხენი და კეცი ამ დათიასათვის, თავის სიცოცხლეში იმითი უნდა იცხოვროს, — მოსამართ[ლ]ებს. ეს ვენახიც სიცოცხლეში ექნება დათიას და შემდგომ სიკვდილისა გაიყოფენ შვილები, როგორც სხვა მამული გაუყვიათ, იმ კვალობაზე.

ესენი ასე მოვაშველე და შერიგდნენ. დღეის შემდგომ არც დათიას ექნება თავის გაყრილ შვილებთან სადაო საქმე და [ა]რც შვილსა დათიასთან.

ნოემბრის ა, წელსა ჩყიწ.

237. მედიატორის განჩინება ნაზირაშვილების გაყრის საქმეზე

1819 წ. 13 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8406. დედანი. ქაღალდი. 34×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

წელსა ჩყით-სა, დღესა [ა]პრილის იგ-სა, ახმეტაში მცხოვრებელნი ნადირაშვილები პატარკაცი, ზაზა, გოგია და დემეტრე მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს ჩასვლა და გაყრა თავიანთი.

რომელთაც ოთხისავ ძმის თხოვნით ჩაველ და დავაბარებინე ახმეტაში მცხოვრებელნი თავადი ზაალ ჩოკაევი, მაღალაშვილი იასე, ბერძენაშვილი ბერო, ქიბაროწაშვილი დავით, დარჩო ბოდაველი და ბერიკოშვილი თევდორე.

ამათის თანდასწრებით ჯერ ვჰკითხეთ ოთხთავ ძმათ ნადირაშვილებსა: საუფროსო და საუნცროსო როგორ გნებავთო. მათ გვიპასუხეს: საუფროსო და საუნცროსო გაგვიერთებიაო, რომ არცერთის აღება არ იქნებაო.

შემდგომ ვალაპარაკეთ სასახლეზედ და ვენახზედ. თუმცა ოთხისავ ძმის სასახლის ალაგი თავ-თავისათ უნდა მოგვეჭრა და ისე მიგვეცა, მაგრამ რადგან ორათ იყრებოდენ, ამისთვის კალოს ალაგი და სასახლის ალაგი სულ ვენახათ ჩავაგდევით და შემდგომ შუა გავყავით. ვენახი და სასახლეები ასე შევაფარდეთ: ქვითკირის მარანს შეუფარდეთ ერთი ფიცრულის მარანი და მეორე ფიცრულის საბძელი და ერთის გომურის ნახევარი. ვისაც ეს ფიცრულები და გა-

რეთი მარანი ერგება, ქვემოთი ვენახის მხარე იმას დაედება. და ვისაც ქვითკირის მარანი ერგება, ზემოთი ვენახის მხარე ამ ქვითკირის მარანს დაედება.

თუმცა ჩვენ გვინდოდა, რომ წილი ეყარათ და ისე გეყოთ, მაგრამ წარმოდგნენ ოთხნიე ნადირაშვილები და ასე შეჯერდენ ერთმანეთს, რომ: გოგია და დემეტრი უფრო ხელმარტონი არიანო და ჩვენ უფრო შევიძლებთ სასახლის აღებასაო; ქვითკირის მარანი ერთის გომურის ნახევრით გოგიასა და დემეტრესათვის დაგვინებებიაო. ეს მათგან მონდომებული და ნაყაბულევი ჩვენც მათი თანხმანი შევიქენით.

პატარკაცსა და ზაზას ერგო ქვემოთი მხარე ვენახისა თავისის ჩალურებით და გარეთის მარნით და ნახევრისა გომურით. გოგიასა და დემეტრეს ერგო ქვითკირის მარანი ერთის გომულის ნახევრით და ზემოთის ვენახის მხარე.

და ესეც ასე უნდა მოხდეს, რომ გარეთის მარნისა და ქვევრების ამოღებაზედ გოგია და დემეტრეც უნდა მიეშველოს ნახევარში. და რაც ამოღებაში ქვევრი გატყდება, საოჯახო და საერთო უნდა იყოს. შემდგომ უნდა მოშალონ გარეთი მარანი პატარკაცმა და ზაზამ, საცა თავიანთი ნარგები მამული არის, იქ უნდა დადგან.

და ესეც ასე უნდა მოხდეს, რომ რადგან გოგიას და დემეტრეს მზათ აშენებული ქვითკირის მარანი და საწნახელი დარჩათ, ამისთვის როდესაც პატარკაცმა და ზაზამ საწნახელს კეთება დაუწყონ, მაშინ ნახევარი საწნახელი გოგიამ და დემეტრემ უნდა აუშენონ. და თუ ამის აშენებაზედ უარი უთხრას და არ მიეშველოს გოგია და დემეტრე, ხუთი თუმანი თეთრი მოსცენ პატარკაცსა და ზაზას.

შემდგომ ამისა ერთმანეთში დავა აღარა იქნება რა; და რაც ნასყიდი აქვსთ რამე, სულ შუა უნდა გაიყონ.

მე ზემორე ხსენებულთ ნადირაშვილების თხოვნით და სხვათა თანადასწრებით ასე გავყარე ეს ნადირაშვილები მათის ყაბულობით. და თუ რომელმამე მხარემ კიდევ მოშლა მოინდომოს, მისი სიტყვა და საჩივარი იყოს შეუწყნარებელი ყოველს სასამართლოში.

თელავის უეზდის მარშალი თავადი აბელ ჩოლაყოვი.

238. მედიატორეთა განჩინება შანშე ერისთავისა და უთრუთ გიორგაშვილის ქმების საქმეზე

1819 წ. 18 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7301. დედანი. ორადგაკეცილი ქაღალდი. 36×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ჩყით წელსა, ივნისის **იზ** დღესა თავადმა პოლკოვნიკმა და კავალერმა ქსნის ერისთოვმა შანშემ და გიორგ[ა]შვილმა უთრუთმა თავეთის კეთილის ნებით აღგვირჩიეს მედიატორად თავეთის შორის სამს კომლს სადაოს გლეხთა ზედან და მოგვცეს მტკიცე შეკრულობის ქელთწერილი, რომელიც არის გორის უეზ[დ]ნის სუდსა შინა დამოწმებული **ჩყიზ** წელსა, დეკემბრის **იე** დღეს.

ვითარცა იმათი ქელთწერილი ცხადჰყოფს, რასაც ჩვენ გარდავსწყვეტთ, იმას უნდა დასჯერდნენ. და თუ რომელმანმე ვითარმე წინა[ა]ღმდეგობით უარყოს იმის სიტყვა და საჩივარი, ყოველს სასამართლოსა შინა შეუწყნარებელი უნდა იყოს.

ამისთვის შევედით ჩვენც ამათ საქმის გამოძიებაში და მოვსთხოვეთ პასუხი ორთავეს მხარეს, რომლისათვისაც თავადმა შანშე ქსნის ერისთოვმა შემოიტანა განცხადება, რომელშიაც ესრეთ წერს:

«უწყებული გაქვსთ, რომ ჩემსა და გიორგაშვილის საქმის გარდაწყვეტაზედ ვითმენ შრომასა, რომლისათვისაც თქვენ აღმოგირჩიეთ მედიატორედ, რომ ეგება თქვენ მაინც დროზედ გარდაგეწყვიტათ და, როგორც იგულისხმების, თქვენც გიორგაშვილის მიზეზით გარდაწყვეტა ესოდენი ხანია დაავგიანეთ, რომლითაც მე იძულებულქმნილმან მივართვი არზი უფალს მაიორს ოკრუჟნიის ნაჩალნიკსა და თუმცა იმისაგანაც გამოვიდა დაუყონებლივ გარდაწყვეტის ბრძანება, მაინც კიდევ დღეისამდინ სრულყოფას არარას ვხედავ. ამისთვის გთხოვთ აკმაროთ ხსენებულისა გიორგაშვილისაგან ჩემი ამ საქმის გამო სხვადასხვა საუბროებათა ჩემთავან მოცდენა და დროზედ გარდაწყვეტილობითა თქვენითა მისცეთ საქმესა ჩემსა სისრულე. რომელსაზედაც სიმართლესა ჩემსა თვინიერ ყოველსა მცირედისა იქვისა დაამტკიცებენ ბერიკაშვილისას იკორთის მონასტრის ყმობას არათუ მხოლოდ მცხოვრებელნი მის სოფლისანი, რომელშიაც ცხოვრობენ გიორგაშვილი და გლეხი ჩალაური, არამედ თვით ბიძაშვილიცა მის ჩემის მოდგმისა გლახა გიორგაშვილიცა, ამასთანავე იკორთისა, არცევისა, ქვეშისა და სხვათაცა მცხოვრებელნი; იციან რომ ხსენებულნი გლეხნი

არიან გვარად ნამდვილ ჩალაურნი და არა ბერიკაშვილნი, რომელზედაც სახელდობ ამ წერილის მოწმობის მიმღებნი ყოველითურთ დააჯერებთ გულს სიმართლესა ჩემსა ზედან. და ამას ქვემოთ აღნიშნულ არიან მოწამენი, სახელდობრ, გარეჯვარს მცხოვრებელნი: გლახა გიორგაშვილი, შერმაზანა თუშიშვილი, გიგოლა მურადაშვილი, ნინია ჯუხრუკიძე, ადამა ჯუხრუკიძე, გოგია ჯუხრუკიძე, ნონია მუნჯიშვილი; პატარა გარეჯვრიდამ: ნინია ნინიკაშვილი, გაბრიელა მეზვრიშვილი; იკორთიდამ: პეტრე მღვდელი, გიორგი არჩვაძე, ნინია ჩალაური; ფლავსმანიდამ: ღთისია ფინდიშვილი».

ხოლო რა ესე განცხადება შემოიტანა შანშე ერისთოვმა, ამისთვის დავიბარეთ ხსენებული უთრუთ გიორგაშვილი და მოვსთხოვეთ შანშე ერისთოვის შემოტანილს განცხადებასა ზედან პასუხი და აგრეთვე საბუთები; და არარაი შემოიტანა რა; და კვალად რაოდენგზის მოვიყვანეთ ხსენებული გიორგაშვილი და მოვსთხოვეთ ხსენებულისა გლეხებსა სადაოს საქმესა ზედან საბუთები და არცა ერთგზის მათ გლეხთა ზედან არარაი შემოიტანა რა სიმართლისა თვისისა და არცა შემოტანილსა ერისთოვის განცხადების პასუხი.

ესოდენ ხანგრძლივ განატარა დრო ჩყიზ-ს წლიდამ ვიდრე დღევანდელის დღედმდე, ვიყავით მთხოვნელი საბუთებისა და მკითხველნი: უკეთუ ვითარნი ყმანნი არიან შენნი ხსენებულნი გლეხნი, საბუთით ანუ მოწმით დაამტკიცე. ხოლო არცა საბუთის შემოტანითა და არცა მოწმის ჩვენებითა არა გვიჩვენა რა სიმართლე თვისი, ესოდენ ხანგრძლივ გაატარა დრო.

ამისთვის ჩვენც შევედით შანშე ერისთოვისაგან ჩვენებულთ მოწამეთ კითხვასა შინა, რომელნიცა ზემორე სახელდობრ მოწმე[ე]ბი სწერიან, ყოველნივე კანონიერის ფიცით ცხოველსმყოფელს ჯვარსა და წმიდასა სახარებასა ზედან ეკლესიასა შინა დავაფიცეთ.

და შემდგომ ფიცისა თითეულთა ჰკითხეთ, რომელთაგანაც ჩვენებით აღმოჩნდა, რომელ ბერიკაშვილებისა გვარად ჩალაურობა და იკორთისა წმიდისა მონასტრის მთავარანგელოზის ყმობა.

რადგანაც ამათის ჩვენებით ესრეთ აღმოჩნდა და უთრუთ გიორგაშვილმა საბუთი არარაი შემოიტანა რა, ამისთვის საქართველოს ჩვეულებისამებრ ეკლესიის ყმა ეკლესიის უნდა დარჩეს, თუნდ[1] უთრუთის კედლათაც მდგარიყოს, იყოს რაოდენიმე წელი, უთრუთის არ ძალუძცს, რომელ ყმობით დაიჭიროს ეკლესიის ყმაი. ამისთვის დარჩა იკორთის მონასტრის ეკლესიას.

[1] თუ უნდ.

და თუ იმ სამ კომლთაგანი[1] გაყრილ სახლისკაცს გიორგაშვილს უჭირავს რომელიმე ნაწილი, ჩვენ იმაზედ არა გვისამართლია რა, ამისთვის, რომ უთრუთ არის ჩვენთან შეკრული წერილითა.

და რომელნიც უთრუთს უჭირავს ბერიკაშვილები, რადგანაც შორის მოწამეთ ჩვენებით აღმოჩნდნენ ეკლესიის ყმათ და გვარად ჩალაურად, დარჩა ეკლესიას ყმათ, კანონითა მეფის ვახტანგის სამართლისა მეორისა წიგნის ბერძულისა მეხუთისა პუნქტსა შინა ბრძანებულისა, ვითარცა ცხადჰყოფს: «უკეთუ ვისმე ეჭიროს მონასტრის საქონელი და იმ საქონლის პატრონი კიდევ სხვა იყოს, იმ კაცმა რომ იმ საქონლის გასყიდვა მოინდომოს, ვერავინ იყიდოს; ამისათვის რომე, იმ საქონელს[2] პატრონი და უფროსი სხვა ჰყავს, მიწა არის თუ პირუტყვი, თუ სხვა რამე. ხოლო უკეთუ შუამავალი მოიყვანოს ვინმე და ის სყიდვა მოინდომოს იმ მონასტრის საქონლის ბატონისა მისის უდასტუროდ და უბატონოდ, და მოსამართლის უდასტუროდ იყიდოს ვინმე, ეს საქონელი ისევე გამოერთვას და ფასი, რომელიც მისცა, ისიც დაეკარგება; ამისათვის, რომელ იმ საქონლის უპატრონოთ რატომ იყიდა. ხოლო კანონიერი სყიდვა ყოველის რჯულში მტკიცე არის»*.

და უკეთუ ესრეთ ბრძანებს კანონი, ესე რომელ მონასტრის მებატონის შეუტყობრივ თუ მოხდა გასყიდვა, არა არს სრული, გამოერთმევა და დაიდება სამონასტროდ. მაშასადამე, ეკლესიის ყმანი ჩალაურნი რადგანაც დგომილან უთრუთის კედლად და უთრუთის მამული არა სჩერიათ რა, საქართველოს ჩვეულებითაც და ამ ზემო ხსენებულის კანონის ძალითაც, რომელიც უთრუთის უჭირავს ჩალაურნი და ბერიკაშვილებს უწოდებენ, იგინი დარჩნენ იკორთის წმიდის მთავარანგელოზის მონასტერს ყმად. დღეის შემდგომ ამა ზედ დავა აღარა შეუძლია რა.

თავადი პრ[ა]პო[რ]შ[ჩ]იკი ბეცია ფალავანდოვი
თავადი როსტომ ბეგთაბეგოვი
აზნაური გიორგი ქარუმიძე
სტეფან ფეშანგოვი ხელრთვა: სტეფან.

[1] კომლთაგანი. [2] საქონლეს.

* შდრ. სამართალი ბერძული მუხ. 5 (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 135).

239. განჩინება მარკოზა გოცირიძისა და ხოსიელა დიაკონიძის მამულის საქმეზე

XIX ს. ათიანი წლ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8294. დედანი. ქაღალდი. 27,7×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. თარიღდება იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების პირველი წლებით.

ქ. გოცირიძე მარკოზა და დიაკონიძე ხოსიელა და იესელა გავაბჭვეთ.

გოცირიძემ უჩივლა: მე და შენ ადგილზედ ვდაობდით, ჩემის კაცის ბებუნისშვილის სეული იყო და თქვენ ნაყიდობით გვედავებოდით და მეფ[ი]ს მდივანბეგთან მამა თქვენი და ბიძა თქვენი გავიბჭვეთ, გავსამართლდით. ფიცი გამიჩნდა, ოცდაათის კაცით შემოგფიცე, გაგისტუმრე, საბოქაულო გარდვიხადე. განაჩენი ხელთა გაქვს. ჩემი და ჩემის კაცისეულს ადგილზე კიდევ მე ფიცით შეგიჯერე. ეს სამი მოსავალი არის მე მიჭირავს და მაქვს.

დღეს რუსის უმფროს[ს] შეეხვეწე, ბოქაული მომიყვანე, დამიკვე და ხელთა გაქვს. და რას მემართლები, რომ ჯერ ჩემსას და ჩემის კაცისსეულს მიწა-წყალს და მერმეთ ფიცით ამოგებულს მართმევ, არ ვიცი.

დიაკონიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: და[ა]ფასოს ის ადგილი ბოქაულმა და ადგილის მცნობელმა კაცმა. რა რამდონათ მარჩილათ დაიფასოს, თავათ იესელა და ხოსიელა წამოდგეს, სხვა იმდენი გლეხის კაცი ნახევარი საერისთოველი და ნახევარი სხვა ქვეყნის კაცი და ან ამავალი აზნოურშვილი და მსახური თან ჩაიტანოს და ასე დაიფიცოს, იმ ადგილს შამოუაროს: «ამ ადგილში მამაჩვენი და ბიძაჩვენი ხოხონა, გიორგელა და ბუჭუელა არც გაგბჭობოდეს, არც განაჩენი ჩვენ გვქონდეს, არც დაგვეფიცებიო, არც შენის კაცის ბებუნისშვილისსეული არ იყოს და არც ხელი ჰქონდეს».

თუ ასე სრულებით დიაკონიძე გამართლდეს, გოცირიძეს ადგილი ძალით კავებია, თორემ დიაკონიძის ყოფილა და ადგილიც დიაკონიძეს დარჩეს. და ამ სამ მოსავალზე რაც ღვინო მოსულიყოს, გოცირიძემ ჯაჭ უყოს, ამის მეტი არ მოსულიყოს და არც არაფელი წამეხთინოს. და რაც ფიცში გამოტყდეს ღვინოც წამხდარიც გარდაუხადოს გოცირიძემ დიაკონიძეს.

და თუ დიაკონიძემ ვერ იფიცოს და გატყდეს, გამოტეხილი არის, რომ გოცირიძის კაცისსეული ყოფილა ის და კიდეც გაბჭობია და გოცირიძე უსამართლობით დაფიცებული ყოფილა. და ღღეს კიდევე ბოქაულით და რუსის უმფროსის ხელით დაუკავებია და დიაკონიძეს უჭირავს. და ის პირველი ფიციც აუშვას დიაკონიძემ გოცირიძეს და ადგილიც დაუტევოს.

და ბოქაულის მიყვანისათვის და დაკავებისათვის იმდენი და იმის ტოლი მამული საუპატიო დაუღვას და მისცეს დიაკონიძემ გოცირიძეს.

ქ. გოცირიძემ უჩივლა: დათუა გოცირიძემ მამული და სამოსახლო დაგიწინდა და საწინდრობის წიგნი მოგცა და შენ ბოლოს ნაყიდობა მოაწერე და ხელთა გაქვს და შიდ სახლობზარ და აღარ დამახსნევინე და გედავები.

დიაკონიძემ წიგნი მოიტანა, პირველი ზეით იმ წიგნში საწინდრობა არის და მერმეთ ბოლოს ნაყიდობა და თეთრის გათავება სწერია, და გავსინჯეთ ჩვენ.

და წამოდგეს დიაკონიძე, რომელიც სახლში ცოლშვილიანი კაცი[ა] და ასე დაუფიცოს, ის წიგნი ხელში დაიკაროს: «რომელიც დათუა გოცირიძემ მოგვყიდა და მოგვცა, იმის მოცემული წიგნი თუ არის, თორემ მამა ჩვენს და ბიძა ჩვენს და ჩვენ არც წიგნი გამოგვცვალოს და არც მოგვემატებიოს და კიდეც დათუა გოცირიძის მოცემული იყოს».

თუ ასე გამართლდეს, ადგილი დიაკონიძეს პირველი საწინდრად ქონებია და მერმეთ ხელმოწყვეტ მიუყიდნია. და გოცირიძე ვერას შეუა.

თუ ვერ იფიცოს დიაკონიძემ, გოცირიძისაგან საწინდრობით ქონებია, თორემ ხელმოწყვეტ ნაყიდობით არ ქონებია. და რასაც საწინდრობის თეთრს ის წიგნი აცხადებს, ის თეთრი გოცირიძემ მისცეს დიაკონიძეს და ადგილი გოცირიძეს დაუტევოს.

მოფიცარი მარტო თავათ ამისთვის გავაჩინეთ, გოცირიძეს დღემდის არ უდავებია და კაი ხნის ამბავი არის და ის წიგნი თვითონ დიაკონიძეს ამისთვის დავამტკიცებიეთ.

სამი ბეჭედი: 1. ერისთავის ძე დავით
2. არ ირჩევა
3. დავით.

240. მედიატორეთა განჩინება ანდრონიკაშვილების ძმა-მამულის საქმეზე

1820 წ. 28 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1737. დედანი. ორფურცლიანი ქაღალდი. 34,5×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჩყკ წელსა, სეკდემბრის კზ დღესა, ჩუენ — ქუემორე ამისა რომელნიც ვიყავით აღმორჩეულნი მედიატორეთ თა[ვა]დის პოდპოლკოვნიკის იოსებ მოურავისაგან და ამისა ბიძაშვილის იოვანესა და ზურაბ ანდრონიკოვთაგან თავიანთ საკუთარის საჩივარზედ, რომელზედაც დაობდნენ თათარს თულარებზედ და მელანში დათუაშვილის ნახევარსა კომლზე.

მოვისმინეთ ჩუენ ამათი ლაპარაკი, გავსინჯეთ ამათი საბუთები და მიეცით ამ ხსენებულს საბ[უ]თებზე განჩინება, რომ უნდა დაეფიცნა იოსებ მოურავს თათრებზე და საკომლოზე და დათუაშვილს უნდა დაეფიცნა ორის კაცით, იოვანეს და ზურაბისაგან შეგდებულის მოწმებით.

ამაზედ ფიცი აღარ მოახდინეს უშფოთველობისა და ძმობისათვის და გაიყუეს თათრები თულარი. იოვანესა და ზურაბს ერგო ღმრთითა და სამართლითა: დალაორუჯე ყურბანა, ზარ ოღლი ყურბანა, ყურბანა სალიანოღლი და ბაირამა — იმისი ძმა.

და დათუაშვილის ნახევრისასა რომ ედავებოდა, იმის ფარდათაც უნდა მისცენ იოსებ მოურა[ვ]მა და ადამმა. გლახა იმერლისშვილის ზაქარიას სასახლე და ენახი უნდა გაზომონ და იმისი ნახევარი უნდა მისცეს იოსებმა და ადამ[მ]ა. ნაზვრევში თავიანთის წილიდამ რაც და[ა]ლღეს, ნარაჰნის ხოდაბუნებიდამ უნდა მისცეს იოსებ მოურავმა და ადამ[მ]ა იოვანესა და ზურაბს.

ამ ხსენებულს სადაოში გაშუე[ლ]დნენ, რომ დღეის იქით ამ ხსენებულს სადაოში სალაპარაკო და სადაო აღარა აქვთ რა, თვინიერ ძმობისა და სიყვარულის მეტი.

შემდეგ ამის სახნავი რაცა აქვს იმერლიშვილს ზაქარიას, მთა თუ ბარი, წყალი თუ წისქვილი, აქედამ ამ გლახაშვილისა ყველგან, საცა აქვს, შუა უნდა გაყონ იოსებ მოურავმა, ივანე და ზურაბმა.

ხელთვები:

თავადი და კ[ავა]ლერი დავით აბაშიძე
თავადი დიმიტრი ანდრონიკოვი
თავადი იოსებ ვაჩნაძე

თავად იოსებ ანდრონიკოვს უაბული მაქს ამ სამართლისა.
თავად იოანე ანდრონიკოვს უაბული მაქვს ამ სამართლისა.
თავად ადამა ანდრონიკოვ[ს] უაბული მაქს ამ სამართლის.

241. განჩინება სიმონა თუთფერიძისა და იესიკა კაკაბაძის საახლის საქმეზე

1822 წ. 21 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 939. დედანი. ქაღალდი. 22,4×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

წელთა ჩყკბ, ნოე[მ]ბრის კა დღ[ე]სა.

სიმონა თითფერიძე და იესიკა კაკაბაძე ჩვენს სამართალში მოვიდენ.

იესიკა კაკაბაძემ უჩივლა: მიქელია იმედაძისაგან სახლი ვიყიდე ბატონის მისის გიორგი ლორთქიფანიძის ანლებით და ახლა შენ არ მანებებ, ნაჩალნიკს და თანაშემწეს აწუხებ და სახლს მართმევ, რას მემართლები[1].

სვიმონ თუთფერიძემ უპასუხა: სახლი პირველ შევიყიდე, თეთრიც პირველად მე მივეცი მახობია იმედაძეს. მოციქული კაციელა გენძეხაძე იყო და თეთრის მიმტანიც; ბატონი მისის გიორგი ლორთქიფანიძის დასტური კაციელა გენძეხაძის პირით მქონდა აღებული; და ჩემგან უმალ არც ბატონთან და არც მახობია იმედაძესთან შენ არ გქონია გარდაწყვეტილება.

შამოვიდა ამ სამართალში ბიჭელია იმედაძე — მახობიას მაგიერი სხვა და შეამდგომელი კაციელა გენძეხაძე; და მაშვალი რადგან პირ და პირ აღმოჩნდა პირველ თუთფერიძისაგან თეთრის მიმტანად, ფასის გარდამწყვეტელად, ამისთვის ჩვენ ასე განვაჩინეთ:

წამოდგეს თვითონ კაციელა გენძეხაძე და მახობიას სახლის იმედაძე ერთი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს კაკაბაძეს იესეს: «იმედაძის სახლს შენ იჩემებ პირველ ნასყიდად და ბატონ-ყმის ანლების გარდაწყ[ვ]ედილობას, ის სახლი სიმონაყა თუთფერიძის უმალ არც ბატონისაგან და არც ყმისაგან პირველად შენ არც ანლება და გარდაწყ[ვ]ედილობა გქონდეს და არც გეყიდოს და თეთრი მიგეცეს».

1 მემემართლები.

თუ ასე უფიცოს გენძეხაძემ და იმედაძემ, სახლზე კაკაბაძემ იესემ ხელი აიღოს. და თუ ვერ უფიცოს, თუთფერიძეს დავა აღარ ექნება იმ ხსენებულს[1] სახლზე.

ნამდვილსა ზედა გარდავიღე უმეტნაკლებოდ მე, თ ო მ ა ა ვ ა ლ ი ა ნ მ ა.

ორი ბეჭედი:

1. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე რ ო ს ტ ო მ ბ ე გ
2. თავადი...

242. განჩინება ზაალ ლაღიძისა და გოგია შავიანიძის ყმის საქმეზე

XIX ს. I მეოთხედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1296. დედანი. ქაღალდი. 27,3×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ლ ა ღ ი ძ ე ზ ა ა ლ და შ ა ვ ი ა ნ ი ძ ე გ ო გ ი ა გავაბჭვეთ.

შ ა ვ ი ა ნ ი ძ ე მ უ ჩ ი ვ ლ ა: ა ვ ჟ ა ნ დ ა ძ ე გლეხი ჯერ ჩემს ძველს თათრისგან დაუხსნია და კიდევ გ რ ი გ ო ლ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს ა გ ა ნ წყალობის წერილით ბოძებული ყოლია; და კიდეც მოიტანა გრიგოლ კათალიკოსის წყალობის წერილი. და ეს გლეხი შენ გყავს. გედავები ჩემს ყმას და არ მაძლევ. და გთხოვ პასუხი მომცე.

ლ ა ღ ი ძ ე მ უ პ ა ს უ ხ ა: ბაბუაშენს, გ ი ო რ გ ი ხუცეს შ ა ვ ი ა ნ ი ძ ე ს[2], ის ავჟანდაძე დათუნია მამის ჩემისათვის პირველ დაეწინდებია და მას მერმეთ ხელმოწყუეტ წერილით მიეყიდნა; და საწინდრობისა და ნასყიდობის წერილი შავიანიძისაგან მოცემული ორივე მოიტანა. და ბ ე ს ა რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს დროს, ი ო ს ე ბ ი ს დროს და მ ა ქ ს ი მ ე ს დროს მამაჩემს და მე მყავდა, არ გვდავებიენ. და ქუთათელს რომ საკათალიკოსო ჩააბარეს, ეს ოთხი-ხუთი წელიწადი არის, შენ დაობ და რა პასუხი მოგცე.

ჩვენ გავსინჯეთ ლაღიძისა და შავიანიძის საჩივარი. და ორმოცსამოცი წელიწადი არის ავჟანდაძე ლაღიძეს ყოლია და დაობის განაჩენი არ სჩანს[3]. და რადგან დიდის ხნის და ორი კათალიკოსობის დროს ლაღიძეს ყოლია და ნასყიდობის წერილიც ხელთ აქვს ლაღიძეს, ამისთვის ასე განვაჩინეთ:

[1] + იმ ხსენებულს. [2] + მამაჩემისათვის. [3] სჩამს.

წამოაყენოს ზაალ ლაღიძემ თორმეტი გლეხი კაცი და ან თითონ ზაალ და სხვა ამავალი აზნაურშვილი და ასე შეფიცოს შავიანიძეს, მოფიცარმა თავმა ნასყიდობის წერილი ხელთ დაიკავოს: «ეს ნასყიდობის წერილი ბაბუაშენს გიორგი ხუცეს[ს] რ ა მ ა ზ ა ლ აღ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს მოეცეს, არც ტყული წიგნი იყოს, არც მამაშენს და ბაბუაშენს არ ედავებიოს და კიდეც ნაყიდი იყოს».

თუ ასე ლაღიძე გამართლდეს, შავიანიძე ვერას შეუა. თუ ვერ იფიცოს, არც ნასყიდი ყოლია და კიდეც ამდენი ხანი არის უდავებია და დღეს რომელიც ცოცხალი ის ავჟანდაძე იყოს, ზედნადებით ზაალ ლაღიძემ გოგია შავიანიძეს მისცეს. დავით

სხვა ხელით:

ამ განაჩენებამდი ფიცით გამართლებული არის აზნაური ზა[ა]ლ ლაღიძე და მისი შვილი რევაზ.

მე, ბოქოული და მოურავი გიორგი ლაღიძე, ხელს ვაწერ ამა განჩინებას.

243. განჩინება ქაიხოსრო მაჰავარიანისა და პაატელა ოყრუშიძის მამულის საქმეზე

XIX ს. I მეოთხედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8372. დედანი. ქაღალდი. 34,2×22,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო, ი ე ს ე და ი ო ვ ა ნ ე და ო ყ რ უ შ ი ძ ე პ ა ა ტ ე ლ ა გავაბჭვეთ.

მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: ბიძა ჩვენი ნ ი კ ო ლ ო ზ მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი ბერი იყო. ბაბუაშენი იმ ბიძიჩვენის ნიკოლოზის დახსნილი იყო, მას ყავდა. და იმ ბიძა ჩვენმა ერთი გლეხი ქაიხოსროს მისცა, ერთი გ ი ო რ გ ი ს და თქვენი ოჯახი ბაბუა ჩვენს რ ო ს ა პ ს მისცა და სამაგიეროთ ჩვენი სამამო მკვიდრი გლეხი გაეწანათის ეკლესიას შესწირა. და თქვენი ბაბუა და მამა და თქვენ ბაბუა ჩვენს, მამა ჩვენს და ჩვენ გვყავდით, შინაყმა ჩვენ გვყავდა, ლაშქრობა ჩვენ გვაქვნდა და ძღვენი და სხვა ბეგარა არაფერი გემართათ. და წაგვიხვედი ჩვენ თქვენ და წ ე რ ე თ ე ლ ს თავი მიაყმეთ, მის მამულშიდ დაესახლეთ და თავს გვართმევთ, მარა თუ სამართალი არ წაგვართმევს, ვერ გაგიშვებთ.

ო ყ რ უ შ ი ძ ე მ უ პ ა ს უ ხ ა: როგორც თქვენ ჩივით, ბიძა თქვენმა ბაბუაჩემი დაიხსნა და ბაბუაჩემი სამღვდელო კაცი იყო და თავის დედისა და მამის საფლავზედ მომხსენებლათ დააყენა და წე-

რილი მი[ს]ცა: «ჩემი დახსნილი იყავი და მამის ჩემისა და დედის ჩემის მომხსენებლად დამიყენებიხარ. და თუ სხვამ ვინმემ გარჩინოს და შენ წასვლა ინებო, არ ვისგან დაგეშალოს».

და ეს წერილი კიდეც მოიტანა ოყრეშიძემ და როგორც პასუხობს, ასე აცხადებდა ის წყალობის და თავისუფლების წერილი. და რადგან იმ ნიკოლოზ ბერისაგან თავის დახსნილს ბაბუა ჩვენს ეს განთავისუფლების წერილი უბოძა, თქვენ ჩვენთან ხელი არ გაქვს; ჩვენის ნებით და ამ წერილის ძალით ვისთვისაც გვინდა, იმას მივეყმობით.

მაჭავარიანმა აშორო უთხრა:

ჩვენ გავსინჯეთ და რადგან ოყრეშიძეს წერილი აქვს თავისუფლების, ამისთვის ასე გავაჩინეთ:

ოყრეშიძემ მაჭავარიანს თავის ქვეყნის და გარეშემოს უმტერუმოყრო, თავის ყმას გარდაის, სხვა თორმეტი გლეხი კაცი შეუსახელოს და თორმეტისაგან მაჭავარიანმა ექვსი იშოვოს და თორმეტი გლეხი კაცი სხვა შეუსახელებელი ამოატანოს და იმ თორმეტის კაცის ან ამავალი უფროსი სხვა კაცი ასე დაუფიცოს, წიგნი თავმა მოფიცარმა ხელთ დაიკავოს: «ეს წიგნი ნიკოლოზ ბერს მაჭავარიანს ბაბუაშენისთვის და მამის შენისათვის არ მიეცეს და არც გაშვების თავისუფლობა არ ეალნებიოს».

თუ ასე [უფიცოს], მაჭავარიანი გამართლდეს; ოყრეშიძე თავის თავს ვერავის მიაყმობს, ისევ მაჭავარიანის ყმა შეიქმნეს.

და თუ მაჭავარიანი ვერ გამართლდეს, ვისიც დახსნილი ოყრეშიძის მამა და ბაბუა ყოფილა, მისგან თავისუფლების წერილი აქვს და მაჭავარიანს ოყრეშიძესთან საბატონყმოთ ხელი აღარ ექნება.

ოთხი ბეჭედი:

1. თავადი წულუკიძე სეხნია
2. თავადი მდივანბეგი აბაშიძე გიორგი
3. მიქელაძე დავით
4. დავით.

244. განჩინება დათუნა კამლაძისა და მამუკელას მამულის საქმეზე

XIX ს. I მეოთხედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1464. დედანი(?). ქაღალდი. 22×8,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. დათუნა კამლაძე და მამუკელა გავამჭვეთ.

მამუკელამ უჩივლა: ხენწიფის წყალობა აღგილი მქონდა[1] ოფჩას, გუნცაძისსოულზე ვესახლე. მოხვედი მამაშენი და შენ, ამყარე და ხენწიფის წყალობა მიწა-წყალი დამატოვებიე. ნახევარს მიწა-წყალს შამომპირდი, მამიშენისსოულს შამომპირდი, ნახევარს მე მართმევ, რას მემართლები, არ ვიცი.

დათუამ უჩივლა: ტყეეს დამპირდა, ცხენს დამპირდა, ხარს დამპირდა ძროხას, ცხვარს და თხას.

მამუკელამ უთხრა: მართალია შეგპირდი, მარა მოგეცი; ბიჭი მე მყავდა და გოგო შენ გყავდა. ჩვენ ყორიფელი გავაერთეთ: სხვი[ს]შვილი, ადგილი და მამული; შენ გოგოს შამომპირდი ამ ჩემი ბიჭის საცოლოთ, ამიტომ გავაერთეთ; გოგო აღარ მიეცი ამ ჩემს ბიჭს და გამილახე, შენი გალახულობით დამეკარგა, დიდის ცოდვილობით ნახევარი ამევიგე და ნახევარი დამეკარგა.

დათუამ აშორო უთხრა.

ამისი ასე გავაჩინეთ: წამოდგეს დათუა, შვიდი კაცი თავის ტოლი თან ჩეიტანოს და ასე უფიცოს: «ამ [მ]ენწა-წყალშიდ მესამედის მეტის არას შამოგპირებოდე არც შენ და არც მამაშენს, არც იმ გოგოს შენი ბიჭის საცოლოთ შამოგპირებოდე, არც ის ბიჭი ჩემი გალახულობით დაგკარგოდეს; ამ ბიჭს და ამ ალაგს ჩამოღმა თუ რამე ჩა[ი]ტანოს, რამდენი ათი მარჩილის ჩა[ი]ტანოს, იმდენი გლეხიკაცი თან ჩეიტანოს; რასაც რომ გამოტყდეს, ამის მეტი არა მომცემოდეს, ამდენს ქე შამომპირებოდე».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება, რაც რომ ფიცში ჩა[ი]ტანოს მამუკე[ლ]მ გა[დაუხადოს. თუ ვერ უფიცოს, ნახევარს დაპირებია; რომელიც აკ[ლ]დეს, მისცეს დათუელამ მამუკელას ყორიფელი.

245. განჩინება როსტომ ყიფიანისა და ხოსიკა კვანტრეშვილის მოახლის საქმეზე

XIX ს. I მეოთხედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1545. დედანი. ქაღალდი. 20×13,2 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ყიფიანი როსტომ და კვანტრეშვილი ხოსიკა გავაბჭვეთ.

ყიფიანმა უჩივლა: ერთი მოახლე მყავდა, ჯერ ერთს დას გავატანე მზითვათ და მაშინ არავის უდევებია. მას მერმეთ კიდევ მეორეთ გავამზითვე და მოდევე არავინ მყოლია. და ახლა ეს მოახლე მომპარე და წაიყვანე, ვეძიე და მთხრობლით გამოვიჩინე და სამთხრობლო დამეხარჯა. რას მემართლებოდი, არ ვიცი.

ხოსიკამ აშორო უთხრა.

[1] ჰჩონდა.

და ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოცდაოთხი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაუ[რ]შვილი და ასე შეაფიცოს: «შენ [რომ] ჩემი დის უდევების წიგნი გაქ, არც ეს წიგნი კვანტრეშვილს სეხნიას და დავითელას, პაატელას და გიორგელას არ მოეცეს, და არც პირველ იმ დიდს შიმშილობაზე გაგეტანოს, და არც ფასი გაგეღოს, და არც გეყიდოს, და თავისი ნებით თავისი თავი სამკვიდროთ მოეცეს იმ ჩემ ძმას საყვარელა კვანტრეშვილს, არც მისი ვალი შვიდი მარჩილის მეტი გარდაგეხადოს, არც შენ რომ ჩემ ძმას სეხნიას მოახლის წახდენას ეწამები, მე რომ შენგან დავიხსენი, ის ჩემი ძმა სეხნია[1] წამოვიყვანე, მას უკან შენი მუახლე არ წაეხდინოს».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება; კაცი უბრალოთ ყოლია მისრული თავისის ნებით. და სანამ ყოლია, მსახურებია და მას მერმეთ გამოცლია, ვერას შეუა; და თავისი მთავნი შვიდი მარჩილი ისევ მისცეს ყიფიანს.

თუ ვერ უფიცოს, ახლა რომ მოახლე წაურთმევია, იმ მუახლეზე მუახლე დაუდვას. და ძმა რომ დაუხსნია, თუ რომ დაიხსნა და მასუკან კიდევ წაუხდინა მხლებელი, იმისი ფიცი თუ ვერ [შეაფიცოს, ორმოცი] მარჩილი მისცეს კვანტრეშვილმა [ყიფიანს]. ნაშთი ბეჭდისა.

თუ ასე ლაღიძე გამართლდეს, შავიანიძე ვერას შეუა. თუ ვერ იფიცოს, არც ნასყიდი ყოლია და კიდეც ამდენი ხანი არის უდავებია. და დღეს რომელიც ცოცხალი ის ავჟანდაძე იყოს, ზედნადებით ზაალ ლაღიძემ გოგია შავიანიძეს მისცეს. დავით

ამ განაჩენებამდი ფიცით გამართლებული არის აზნაური ზაალ ლაღიძე და მისი შვილი რევაზ.

მე, ბოქოული და მოურავი გიორგი ლაღიძე, ხელს ვაწერ ამა განჩინებას.

246. განჩინება ლევან და ჯუტუ გელოვანების სასისხლო საქმეზე

XIX ს. I მესამედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1154. დედანი. ქაღალდი. 32×26 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი და ოთხი წერტილი. თარიღდება ნიკო ბატონიშვილის მიხედვით.

ქ. ლევან გელოვანი და ჯუტუ გელოვანი გაბაშვეთ.

[1] სახნია.

ჯუტუმ უჩივლა: ჩემი კაცი უაფოსანი წამოვიდა, ოთხიხუთი ამხანაგი გამოყვა. ერთი სხვა სვანი კიდევ მოიხმარა სამუშაოთ და მოსახმარებლად. და რა რომ მუშაობა გაათავეს, ისევ თავის სახლშიდ წასვლა მოინდომეს; ცხენებიც ყავდათ და ღვინით დატვირთეს და მივიდოდენ მათს სახლშიდ; დახვდენ შენი კაცები და ერთი მოკლეს, მეორე დაიჭირეს და ციხეში შეაგდეს. სხვები, რაც იყო, დაცარცვეს და თუ რამ მოჭონდათ წაართვით. ამოდენი საქმე მჭირს შენგან და შენი ყმისაგან და ღმრთის სამართალს გთხოვ, რათ მიყავ ამოდენი საქმეო.

ლევანმა უპასუხა: შენმა კაცებმა გვიყო, არას მოსისხარს მტერს არ უქნია ჩემის ოჯახის კაცისათვის. ჩემს ძმას შვილი მოუკვდა და დასამარხავად ახალ ჭალას საყდარზე წამოიღეს მკვდარი, იქ მიასვენეს. იქ თურმე საფლავი უწალკატოთ[1] ვერ გაუჭრათ და ბიჭი გამოეგზავნათ და წალკატი ჩემი ოჯახიდან წაიღეს. და საყდარს მახლობლად მისრულიყო ბიჭი და იმ დროს შენი კაცებიც იქ მინავალიყო, ამ ჩემი ბიჭისათვის დაეკრათ თავზედ და თავი გაეხეთქათ. და ამ ბიჭს ყვირილი დაეწყო. და ისრე რომელიც ეკლესიაზედ ხუცესი თუ სხვა ერის კაცი დამმარხველი მკვდრის იყვნენ, მოვიდნენ და ამბავი იკითხეს, თუ რა მიზეზი არისო. და ამათაც ბევრი ურტყით და სასიკვდილოდ გამოიმეტეთ.

და ამისთანა საქმე რომ ეჭმნათ, შევიტყვე და დავეწიე და ყაზახი შამომაკვდა. ამისთანა საქმისათვის [თვი]თ ვიზოგევდი თავს, თუ რამ ხელთაგან კი გამომივიდოდა.

ჯუტუს კაცი ყა[ვდა მის]ი, მოდგა და გელოვანს მოახსენა: «შენი ბიჭი რომ შემოგველახა, თუ ის მესაფლავე იყო და წალკატი [მიჭონდა], არ გვცოდნოდეს; და არც მე და ჩემს მხლე კაცს შენი ყმისა და ხუცისათვის ურიგობა არც ენით და არც ხელით ა[რაფერი] გვეკადრებინოს, ამ პეტერა ბიჭის გალახვის მეტი».

აწ ამისი ასრე გავაჩინეთ:

წამოდგეს უაფოსანი და [აგ]რე უფიცოს ლევანსა და შამაგს: «არც თუ ეს ჩვენი გალახული ბიჭი მკვდრის მომყოლი იყო, არ გვცოდნოდეს და არც სხვა შენი კაცისა თუ ხუცისათვის არც ენით და არც ხრმლით და კეტით ჩვენგან იმათ არაფერი კადრებოდეს».

თუ ასრე უფიცოს უაფოსანმა, მართალი შიქმნება და ლევანს დაედება იმ დღის იმათი სიკვდილისა თუ დაჭერვის და წართმევის

[1] უწალკატოთ.

სისხლი და საუპატიო. მკვდარში ორასი მარჩილი მისცეს; დაჭირუ-
ლი რომ წაუყვანია, იმას ასი მარჩილი მისცეს. ცხენები თუ საპ[ალ]-
ნები წაართმიოს, ერთიორად მისცეს. თუ მეტნაკლებობაზედ შესცილ-
დენ, აჯით უნდა მისცეს, ამის მეტი არ წაერთმიოს და ასრე გაისტუმ-
როს. თუ სისხლის მიცემა იქმნეს, მკვდარი კაცი ჯუტუს კაცი არ არის
და ყაფოსანმა გელოვანს თავსმდები მისცეს, რომ მკვდრის პატრონ-
მა ხელახლა არ მოადგეს ლევანს და არ გარდაახდევინოს. და ვინც
ამისი მოდავე მოდგეს, ყაფოსანმა მოაცილოს და როცა ამ[ვა]რს
თავდებს მისცემს, მაშინ მკვდრის სისხლიც მისცეს; და ამგვარად მო-
რიგდნენ.

თუ ვერ ფიცოს, რომ მესაფლავეს[1] ავად მოპყრობოდეს, ამ
ბიჭს გარდა სხვებიც გაელახოს და ურიგოთ გარჯილიყოს, მათმა
სისხლმა სიკვდილისმა თუ დაჭირულისმა გაიაროს და რაც წაერთ-
მიოს, მთავნი მისცეს და სისხლი და საუპატიო გაივლის. ესეც [რომ],
თუ სისხლის მიცემა იქმნეს, გელოვანის ბიჭი რომ გაულახავს ყაფო-
სანს, ამას ოცი მარჩილი მისცეს ყაფოსანმა.

ქ. ლევანმა უჩივლა: მამიჩემის ბუში მამა ჩემმა ლაშ-
ხეთს დაასახლა და კარგათაც ესახლა; კაცის სულით, ხარით და
ზროხით და პურით სავსე იყო. და მამა შენმა ხოსიამ შამოუჭნდა,
სახლკარი აუოხრა, ოცდაექვსი მტყვე წაართვა, ცამეტი ხარი და
ზროხა, ასი გორო პური. ერთს კარგს ახნაურშვილს ე[ქად]რებოდა
იმისთანა კაცის ტანისამოსი, სხვა სახლის სახმარიც — ყოველივე
წაართვა და დაუბნია და გედაი[კიდა].

ჯუტუმ ნაცვალი უპასუხა: «სამართალი შეგვიძლია,
რომ ჩვენ ამ საქმეში არაფერს შუას ვიყო[თ, რომ] ეს ასრე იყო: ჩვენ
ჩვენს სახლში ვიყავით და საყვირის კვრა დაიწყეს და ჩვენც წავე-
დით. მართალი არის, მთელი ლაშხეთელი კაცი მივიდა და ჩვენც მი-
ვედით და ჩვენს მტერობით და გამორჩევით და წი[ნამძ]ღროებით,
სიტყვით და საქმით შენს ძმას სვიმონს არც არავინ მიხდომოდეს და
არც რამე დაკლებოდეს».

აწ [ამისი] ასრე გავაჩინეთ:

წამოდგეს ჯუტუს და თერთმეტი თავის ტოლი კაცი თან ჩაიტა-
ნოს ქრისტეანი, მოუნათლავი [ნუ] გაერევა და ასრე უფიცოს: «შენი
ძმის მოთხრა თუ წართმევა ჩვენის რჩევით და სიტყვით არ ქნილი-
ყოს, [ა]რც ჩვენი წინამძღროებით და პირველობით შენს ძმას სვი-

[1] + და.

მონას არასფერისაგან არაფერი დაკლებოდეს, [ა]რც მისი წანართმე-
ვი ჩვენ რამე გვქონდეს და წაგვეღოს».

თუ ასრე ფიცოს, გაივლის. თუ ვერ ფიცოს, რომ ამათი სიტყ-
ვითა და გამორჩევით, წინამძღრობითა და პირველობით მოთხრილ
იყოს ის სვიმონა, რვაასი მარჩილი მიხდომისათვის მოსცეს და რაც
წაერთმიოს და ანუ სხვას წაეღოს იმ მიხდომაზე, ყოველივე უნაკლუ-
ლოდ, არა დააკლოს, ისრე ჯუტომ გელოვანმა უზღოს.

ქ. ლევანმა უჩივლა: ერთი ციხე მაქვს ლაშხეთს და
იმას თქვენ შეუჩნდით, რომ მეციხვანე უნდა დაგეხოცათ და ციხე
უნდა აგეღოთ და მიდი თქვენ და კაცი შეუჩინეთ მეციხვანეს, ორი
კაცი გამოიტყუეთ, ერთი დაიჭირეთ და მეორე გაგექცათ და ისევ
ციხეში შევიდა. და თქვენგან ამოდენი მოსისხრობა მჭირს და გე-
დავებით.

ყაფოსანმა ამისი უარი სთქვა: არც შენს ციხეს
შევსჩენივარ და არც კაცი გამომიტყუებია და დამიჭირავს და წამი-
ყვანია; სამართალი შემიძლია, რომ ამაების მქნელი არც ჩემი ბატო-
ნი იყოს და არც მისი ყმები.

აწ ამისი ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს ყაფოსანი და ოცდასამი
თავის ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ლევანს და შმაგის ასრე შეფი-
ცოს: «არც ჩვენი ბატონი და არც ჩვენ შენი ციხის ასაღებად არ
შევსჩენოდეთ და არც შენი მეციხვენე გარდმოგვეტყუებიოს და
დაგვეჭიროს».

თუ ასრე ფიცოს, [გაივლ]ის; თუ ვერ ფიცოს, რომ შესჩენოდეს
და მეციხვანეც დაეჭიროს და წაეყვანოს, რომელიც ციხეზედ მივი-
და [და მეციხ]ვანე გარდმოიტყუა და დაიჭირა, ისინი ხელად მქნე-
ლად გელოვანს მობარდეს თავისი მიწა-[წყლით].

ლევანმა უჩივლა: სამოცი გორო პური, ჩემს მოჯალა-
ბეს მოუხდა მამაშენი, და წამართ[ვა და გე]დავებიო.

ჯუტუმ უარი სთქვა. წამოაყენოს ჯუტუმ თორმეტი
გლეხი კაცი მონათლული და ლევანს ასრე შეაფიცოს: «მამიჩემის
სიტყვით და საქმით და გამორჩევით რომელსაც შენ პურს გეუწამე-
ბი, იმის წამრთმევი და გამომრჩეველი და წამღები მამაჩემი და მისი
ყმა არა ყოფილიყოს და არც ჩვენ და ჩვენს ყმას არ წაგეღოს.

თუ ასრე ფიცოს, გაივლის. თუ ვერ ფიცოს, ერთი ორად მოს-
ცეს ლევანს წანართმევი პური ჯუტუმ.

ბეჭედი: ბატონიშვილი ნიკო.

247. განჩინება ივანე ასათიანისა და კაცია სულწაძის მამულის საქმეზე

XIX ს. I მეოთხედი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10620. დედანი. ქაღალდი. 10,5×34,5 სმ. მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აჭა-იქ ნახმარია მძიმე. საბუთი თარიღდება ქაღალდის ჰვირნიშნისა და მდივანბეგ ბერი გელოვანის მდივანბეგობის მიხედვით.

... [წე]ლს, ნოენბერს კზ ივანე ასათიანი და კაცია სულწაძე სამართალში შამოვიდენ.

ივანემ იჩივლა: კოდზე [რომ მამული] გიჭირავს, ჩემი მამისა და ბაბუისეული და გ[ე]დავები და გთხოვ და არ მაძლევ; და რა საბუთით და მიზეზით მიკავებ, არ ვიცით.

კაციამ უპასუხა: შენ რა მიზეზით მიჩივი ჩემი ძველისა და ახლის მიწა-მამულს. მე სამართალი შემიძლია, ჩემი მოგვარე კაცი რომ დერჩს გაჩენილა, ის მამული მის დღეშიდ სხვა კაცს არ ქ[ო]ნდეს სამკვიდროთ და არც ჩემი ძველისა და ახალის მეტი კაცის ეს მამული ყოფილიყოსო.

ჩვენ გავსინჯეთ და ამისი სამართალი კაცია სულწაძეს დარჩა. წამოდგეს კაცია სულწაძე და სამი თავის ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ასე შეფიცოს ივანეს: «შენ რომ მამულს მ[ედავები, არც შენს მამა-ბიძას, არც გოგიელას, არც შენს ძველს და ახალს ის ალაგი და მამული სამკვიდროთ სჭეროდეს[1], არც შენ და არც შენს მოგვარე კაცს იმაშიდ ხელი გქონდესთო, არც ჩემი შთამომავლის მეტი მეპატრონე იმ ალაგ-მამულს ყავდეს».

თუმც ასე ფიცოს, რას ემართლება იოვანე სულწაძეს. და თუმც ვერ ფიცოს თავისი მამული, ის კოდის მიწა და მამული იოვანეს დარჩეს.

თავადი მდივანბეგი გელოვანი ბერი.

ზურგზე:

ამ განაჩენ[ი]ს ძალით ოთხი კაცის ფიცი დაგედვა, ჩვენ — ასათიანებისა ფირანასი, ივანესი, გლახუასი და ბეჟუკის, შენ — სულწაძეს კაციელას. მერმეთ მოფიცარი მოგვაყენე და [ა]რა გაფიცეთ, ასე დაგვარიგა ჩვენის ბატ[ო]ნ[ი]ს მაგიერმა სეხნია ახვლედიანმა. ასე რომე, რომელშიდაც გვაფიცებდი.

[1] სჭიროდეს.

ის მამული შენი დარჩა, და ჩვენც ხელაღებით დაგვიტოვებია, [გ]ქონდეს საუკუნოთ.

კაცთაგან ამისი მოწამე: ასათიანი ბერი, ჩიქოვანი მამუჩარ. [ასა]თიანს დათიკას დამიწერია და მოწამეცა ვარ. + + +

248. განჩინება ზოდელავასა და ჯაიანის ძმის საქმეზე

1822—1834 წწ.

ქუთ. სახელმწ. ისტ. ეთნოგრ. მუზეუმ. სამ. № 1399. დედანი. ქაღალდი. 18,5×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო ან ორი წერტილი. საბუთი თარიღდება ნიკო დადიანის მდივანბეგობის წლებით.

ზოდელავა რომ ჯაიანებს უჩივის გლეხს, ჯაიანმა წერილი მოიტანა დადიანის კაციასაგან ბოძებისა, რასაც ჩვენგან ხელი არ შეეხება. მაგრამ ამას ანბობს ზოდელავა, რომ ბატონის წყალობას გარდა სხვაც წამართვ[ი], გარდიბირე და შემოგრჩაო. და ამისას ჯაიანი უარს ანბობს.

და რადგან დაობენ დაზავებისათვის ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ერთი და ერთი ჯაიანი და ექვსი გლეხი კაცი და ანუ ამავალი აზნაური თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს ზოდელავას, რომ: «რაც ბატონის წერილშიდ მიწერია ეს ერთი გლეხი, ამის მეტი არც გადმობირეით და არც მძლავრობით მიღებული ჩემგან შენი კაცი მე არ მყავდეს, თვინიერ ბატონის წყალობას გარდა».

თუ ასე ფიცა, ვერას მიედავება ზოდელავა ჯაიანს. და თუ ვერ ფიცოს და მერმეთ ბატონის წყალობას გარდა რომელიც ყოლოდეს მძლავრობით მიღებული, რომ ბატონის წყალობად არ ყოლოდეს და გამოტყდეს, ის ზოდელავას მიუბრუნოს ჯაიანმა.

ხელრთვა:

მდივანბეგთუხუცესი ნიკოლაოს დადიანი.

თავადი როსტომ მდივანბეგი.

249. განჩინება მოსე წინამძღვრისა და კაციელა შარვაძის მამულის საქმეზე

1840 წ. 5 აგვისტო

ქუთ. სახელმწ. ისტორ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1867. პირი. ქაღალდი. მხედრული.

წინამძღუარი მოსე და შარვაძე კაციელა მხეიძის კაცი გავაბჭვეთ.

წინამძღუარმან უჩივლა: მეფე სოლომონმა და მარიამ დედუფალმან უდაბნო აღაშენა, შესწირეს სოჩხეს გლეხები, წყალწითელას გამოღმა მიწა ზეით დიდ ნაქცეს დაბლა, ქასრას იქეთ წყალწითელამდის ლათენარის სერს ზეით, შენ და ჩემის კაცის ზიარს ჩამოღმა, დავთრით შესწირა, დღემდის შენც გაძლევდა მოდსა და ახლა მოდიც წამართვი, აღარც ალაგს მაძლევ, რასათვის არ ვიცი.

კაციელამ უპასუხა: მართალია, გლეხებიც შესწირეს, შენ რომ ზღურები ბრძანე[ე], ისიც შესწირეს, მაგრამ არც მე შეუწირავ, არც ჩემი ალაგი. ჩემს სამამო ალაგს მართმევ.

წინამძღუარმან აშორო უთხრა.

ჩუენ ასე გაუაჩინეთ: წამოაყენოს ათი გლეხი კაცი, ასე შეფიცოს: «მე რომ ზღურები მიწერია, იმას შიგნი ჩემის კაცის ზიარს ჩამოღმა არც მამის შენისსეული იყოს, არც ბაბუაშენის, არც სეულობა ქონდეს; ეს მიწა პირველი დავთარი რომ დაიკარგა, იმაშიდაც წერილიყოს და ამ დავთარშიდაც ეწეროს». თუ ასე ისამართლოს, ეს სადაო ალაგი წინამძღუარს დარჩეს. თუ წინამძღუარმან სამართალი ვერ შეძლოს, ალაგი შარვაძეს დარჩეს, წინამძღუარი ვერას შეუა. ბერი მხეიძე.

ჩყმ-სა წელსა აგვისტოს ე-სა დღესა განჩინება ესე მოვიდა აღსრულებასა შინა, რომელიცა იყო ზემორე დაწერილი სადეოსა ადგილსა გოგნის უდაბნოსა ეკლესიასა, ფიცითა ქუეშე არიან შეფიცებულნი შარვაძეზედ დანიშნულნი, რომელნიცა ამტკიცებს ნიშნები, იმათზედ აღასრულა ათმა კაცმა ფიცით მთავრობის ბრძანების ძალითა, დასტურებითა ბოქოულის მოურავის ლევან ბაქრაძის ძისა გიორგი ბაქრაძესათა.

განჩინებასა ზედა ხელმოწერილ არს გიორგი ლევანის ძის ბაქრაძისათა.

250. განჩინება მამუკა გეგელიასა და ვაწაია ალანიას სასისხლო საქმეზე

XIX ს. I ნახ.

ქუთ. სახელმწ. ისტორ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1276. ქაღალდი. დედანი. 34×24,5 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჭ. მამუკა და მერი გეგელია და ალანია ვაწაია გავაბჭვეთ.

გეგელიამ უჩივლა ალანიას: ჩემი და ცოლად მოგეცი და ორი კაცის სული გამზითვე, დიდს ხანს შენს ოჯახშიდ იყავი და შენის ცუდკაცობით ოჯახშიდ ვეღარ დასდეჭი, აიყარე და აფხაზეთს წადი. ჩემი და უმოწყალოთ სხვის კარზედ დასტიროდა და რომ შეეტყვე, ჩემი და შინ წამოვიყვანე. და როდესაც აფხაზეთიდამ შენს სახლშიდ მოდი, ჩემი და ისევე შენს სახლშიდ მოგიყვანე და მოგეცი და ჩემს სახლშიდ წამოვედი. და დღეს ჩემი და დამიკარგე; და მზითევიც შენ გყავს და სხვასაც ბევრს მემტერე და წამართვი და გედავებიო.

ალანიამ უპასუხა: შენი და მე რომ მოვიყვანე, იმ ჟამად გამიჭირდა და სხვაგან წავედი და ჩემი ცოლი ჩემის მოყვრისას დავტოვე. შენ მოსულიყავი და წაგეყვანა და გელოანისთვის გაგერიგებია და ხასათ დაგეჯდინა. და მას მერმეთ როდესაც ისევე ჩემს ოჯახშიდ მოვედი, მაშინ ისევე მომიყვანე, მარა გული აღარ დასდვა, ჩიჩუას ცოლთან მივიდა და ისევე ჩემს სახლშიდ მოვიდა; მარა იმ ჟამად შენ მოდი და იეშმაე, გა[ა]ბრიყვე შენი და და ტარიელ ბატონისშვილთან მიიყვანე. და ტარიელმა რომ წაიყვანა, მას მერმეთ მე აღარ მინახავს. და ჩემს სისხლს შენ გედავები, რომ ჯერ უწინ გელოანთან შენი და ხასათ დააჯდინე და წამართვი და მას მერმეთ რომ მომიყვანე, კიდევ მეორეთ შენის ეშმაკობით ცოლი გამიბრიყვე და ტარიელის ოჯახშიდ მიიყვანე და დამეკარგა; და მართალი არის, ამისათვის ორი ცხენი და ოთხი ძროხა წაგართვი და ერთი ცხენი ფიჩხაიანი შეიქნა და ისევ მივეცი, არასფერი მითხოვია; და ოთხი ძროხა და ერთი ცხენი მე მოვახმარე. და თოფსა და ორს ხარს სხვას რომ მეწამები, სამართალი შემიძლია, არც თოფის და არც ხარების არასფერი ვიცოდე; და ჩემს სისხლშიდ ამას არ დაგჯერდები, სხვასაც ბევრს გემტერებიო.

გეგელიამ უჩივლა: ჩემი და ცოლათ რომ მოგეცი, დიდს ხანს შენს ოჯახშიდ იყო. და ერთს დღეს გელოანი კოცხერს თავის შვილთან მისულიყო — გოგი ჩიჩუას ცოლთან და შენი ცოლი იმ ჟა-

მად გოგიას ცოლთან ყოფილიყო. და გელოანს ენახა და როგორც მომხდარიყო, შენი ცოლი გელოანს ეწოვა. და შენ როდესაც აფხაზეთს წადი და ჩემი და უჭირისუფლოთ დასტოვე, მე წამოვიყვანე. ეს გელოანმა შეიტყო და შინ ჩამომიდგა და მითხრა, რომ: შენი და მე კოცხერს ვიშოვე და ახლა შენს სახლშიდ არის და გამომიყვანე და დამანებე, თორემ ძირზედ მოგთხრიო. და მე რა ძალა მჭონდა, ან რას გავბედავდი. როგორც პირველ ჩვეულება ქონდა შენს ცოლს გელოანთან, ჩემს სახლშიდაც ისე იმოქმედა და მე ბევრი ზიანი მომეცა. თორემ სამართალი შემიძლია, შენი ცოლის მაჭანკლობა და სხვისი გარიგება პირველ არც შენს ოჯახშიდ და არც ჩემს ოჯახშიდ არ მემოქმედებიოს. რაც პირველ კოცხერს რომ ენახა გელოანს და ეშოვა, რაც იმის მიზეზედ არ ჩამომიდგა, სხოთ ჩემის მაჭანკლობით და პირიქეთ შეძლევით გელოანისათვის შენი ცოლი არ შემეძლიოს და არც მას მერმეთ შენს ოჯახშიდ შენი ცოლი გამებრიყვებიოს და ჩემის მიზეზით დაგკარგოდესო.

და ამისი ასე გავაჩინეთ: გეგელია აზნაურიშვილი არის და ალანია მსახური. და ამისათვის წამოდგეს ერთი და ერთი ძმა გეგელია და თერთმეტი თავის ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და თორმეტმა ასე სამართალი მისცეს ალანიას: «შენ რომ შენის ცოლის მაჭანკლობას, გაბრიყვებას და დაკარგვას მეწამები, ჩვენგან შენის ცოლის მაჭანკლობა არც პირველ გელოანთან ყოფილიყოს და გაგვერიგებიოს, რაც კოცხერს პირველ ნახულობისათვის არ ჩამომიდგა, სხოთ ჩვენის მაჭანკლობით გელოანს ის არ ეშოვოს და არც მას მერმეთ ტარიელთან რომ მივიდა, ის ჩვენ გვეთხრობიოს და გაგვებ[რ]იყებიოს და არც ჩვე[ით] ის შენი ცოლი დაგკარგოდეს».

თუ ასე უფიცოს, მას მერეთ ალანიამ რაც გეგელიას წაართვა, და თავის პირითაც გამოტყდა ოთხს ზროხასა და ერთს ცხენს, ისინი ისევ გეგელიას მისცეს და საუპატიოთ თავის ტოლები დაუდვას ცხენსა და ზროხებზედ.

და ერთს თოფსა და ორს ხარს სხვას რომ ეწამება გეგელია ალანიას, რომ წამართვიო და ალანია უარს ამბოფს, ამისთვის ორი გლეხი კაცი თოფშიდ შეაფიცოს და ორი გლეხი კაცი ორს ხარშიდ, რომ არც თოფის და არც ამ შეწამებულის ხარების არასფერი იცოდეს. თუ უფიცოს, [რას ემართლება].

და თუ ვერ უფიცოს გარდაუხადოს ალანიამ, ამისთვის რომ დიდის ხნის ნამტერები არის და რატომ სხვას ნამტერებთან ესეც არ გაამხილა. და როდესაც გეგელიამ უფიცოს, ალანიამ თავისი ნამტერები საუპატიოთი მისცეს, მაშინ უნდა[1] მისცეს კიდე ალანიამ გეგელიას, რომელიც დღეს ხელშიდ ნამზითვი ერთი კაცის სული ყავს, იმისი მესამედი ფასი მისცეს გეგელიას ალანიამ და ორი წილი ფასი თითონ დაიკაოს. ამის მიზეზისათვის, რომ ერთი წილი თითონ ერგება ალანიას და მეორე წილი მისი ცოლის კიდევ მასვე დარჩება, იმისთვის რომ იმ ქალს თავის სიავით ქმარი დაუგდია, სხვაგან წასულა და კიდევაც მომკვდარა. ამის მიზეზედ ორი წილი მზითევი ალანიას დარჩეს და ერთი წილი, რომელიც მესამედი იქნება, გეგელიას მისცეს ალანიამ. და თუ პირველ გეგელიამ ქალის მაჭანკლობას და გაბრიყვებაზედ თავი ვერ უმართლოს, მას მერმეთ ოთხასი მარჩილი სისხლათ გეგელიამ ალანიას მისცეს. და რაც მზითევშიდ წილი ერიოს გეგელიას და ან რაც ალანიას გეგელიასათვის წაერთმიოს, ისინი გარდასახადშიდ მითვალოს ალანიამ.

ალანიამ უჩივლა გეგელიას: როდესაც შენს სახლშიდ ვიქორწილე, იმ ჟამად ქალის მოცემამდის რაც შემეძლო გემსახურე სასმელ-საჭმელით და ხარჯის მოცემით. და თქვენ ორს მზითევს შემპირდით. და ერთი გოგო სანამ ცოლს წამოვიყვანდი, მანამდის მემეცით და მამაშენის სიტყვით გავყიდეთ და სამასი მარჩილი მამაშენს მივეცით იმ გოგოს ფასი და სამაგიეროთ მამაშენი სამს კაცის სულს შემპირდა მზითევათ მოცემას. მაგრამ მას მერმეთ მისუსტეთ და აღარც ცოლი მომეცით და აღარც მზითევი და ამისთვის ბატონის დედოფლის კაცი თ ო დ უ ა დავიჭირე. და დედოფალი გაგიწყრათ, ძალით ჩემი ცოლი მომცეს და ორი მზითევი. და ჩემს სახლშიდ რომ მოვიყვანე, მას მერმეთ შენ მოდი და რომელიც უკეთესი მზითევი იყო, ის თქვენ გაყიდეთ და გლახა მე დამიტოვეთ. და მე ამას გედავებით, რომ პირველ მონაცემი გოგო მამაშენის სიტყვით გავყიდეთ და სამასი მარჩილი წაიღო და მას მერმეთ მოცემული მზითევი შ[ე]ნ გაყიდე და მე არასფერი მარგე[2] და გედავებიო.

გეგელიამ უპასუხა: ჩვენი მონაცემი გოგო შენ რომ გაყიდე, ამისთვის ჩიჩუამ დაგიჭირა და დაგ[ა]ტყვევა და მტყვის ნაფასი ოთხმოცი მარჩილი მე მოგიტანე — სამოცი ჩიჩუას ქალაბნათ და ოცი გელოანისათვის. და შენ აშობას... შემეხვეწე, მე ვისაქმე და სამოცი მარჩილი ჩიჩუას მივართვი და ოცი გელოანს და მტყვეობისაგან აგიშვი, თორემ სამართალი შემიძლია, ოთხმოც მარჩილს გარდა სხვა იმ გოგოს ფასი მამაჩემს არ შოვოდესო.

[1] +უნდა. [2] მაკრე.

ალანიამ უპასუხა: ოთხმოცი მარჩილი ქალაბნათ მოგიტანე და ორას ოცი მას მერმეთ მივეცი მამაშენს.

და გეგელიამ უარი სთქვა.

და ჩვენ ასე გავაჩინეთ: ის გოგო მზითევი ყოფილა და ორი წილი მალანიასყენ დარჩება, რომელიც იქნება ას ორმოცდა ექვსი მარჩილი და ორი აბაზი. და ამისთვის წამოდგეს ერთი გეგელია და ათი გლეხი კაცი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს ალანიას: «ოთხმოცი მარჩილი ქალაბნათ რომ მოიტანე, იმის მეტი მაინჩვენისათვის და ჩვენთვის იმ გოგოს ფასი არასფერი მოგეცეს». თუ ასე უფიცოს, მას მერმეთ სამოცდაც[ა]მეტი მარჩილი და ერთი აბაზი ალანიამ გეგელიას მისცეს. და თუ ვერ უფიცოს, მას მერმეთ რასაც ფიცშიდ გამოტყდეს, რომ მეტი არ გამოერთმიოს ოთხმოც მარჩილს გარდა, იმის ორი წილი ალანიას მისცეს გეგელიამ და ერთი წილი თითონ დაიკოს.

ბეჭედი: სახლთუხუცესი მე ჩიქოანი ოტია.

251. განჩინება ქაქუჩელა და სეხნია ყრუაშვილების ძონეების საქმეზე

XIX ს. I ნახ.

ქუთ. სახელმწიფო ისტორ. ეთნოგრ. მუზ. სამ. № 297. დედანი. ქაღალდი. 21×33,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი. აქვე დაცულია სამუთის მეორე დედანიც (№ 296).

ქ. ქაქუჩელა ყრუაშვილი და მისი ძმა სეხნია გავაბჭვეთ.

სეხნიამ უჩივლა, რომ ბაბუის ჩუენის ბუში იყო და ის უშვილოდ გარდაგვეო და შენ მიდი ბატონს ცაგერელთან და მისისეულება იქრთამე და მე არ შემატყობინეო და არც ზიარებას მიპირებ; და რადგანაც მეც მამის ჩემის შვილი ვარ და ერთ[ა]თ ვესახლეთ და ერთათ ვიყავით უნდა შეგეტყობინებინა და დღესაც გედავებიო.

ქაქუჩელამ მაგიერი უპასუხა: მართალია, რაც თქვიო, სულ მთელ ქრთამში შემიდექი ნახევარში და ვიზიარებ. აწ ჩვენ რომ დავსხედით, ქაქუჩელას სიტყვის მსგავსად გავაჩინეთ: თუმც უშვილოს კაცისეული ყოველივე ბატონის არის და ვისაც უნდა, მას უბოძებს, მაგრამ რადგანაც ბაბუისსეული იყო და ერთად ესახლენ, ქაქუჩელას უნდა შეეტყობინებია სესიტასთვის. და აწ ასე ქნან: ქაქუჩელას რაც ამაში ქრთამი გაეღოს, აჯით შეატყობინოს

1 სახევარში.

სესიტას, რამთენი ათი მარჩილი იქნეს, იმთენი კაცი შეაფიცოს, რომ ამთენი დამხარჯოდეს ქრთამი თქო და ნახევარში[1] სესიტამ გაისტუმროს ქაქუჩელა და ქაქუჩელამ ის ბუშისსეული შუა გაუყოს სეხნიას.

ქაქუჩელამ უჩივლა სეხნიას: ჩვენ ერთათ ვესახლეთ და განვიზრახეთ, რომ ბატო[ნს] ქრთამი მივართვათ და ჩვენი კაცები გავიაზატოთ-თ]ქვა. მივდექი ამაში ბატონს დადიანთან და ქრთამი მივართვი: ორი ცხენი, ერთი თოფი, ერთი ლეკური და ორმოცი მარჩილი თეთრი. და ჩვენი კაცები გავიაზატეთ. მერმეთ ვარჩიეთ და ჩვენ კაცებს ორმოც-ორმოც მარჩილი გარდავახთევიეთ; შვიდი კომლი გვყავდა და შვიდის კომლისაგან ორმოც-ორმოცმა ორას ოთხმოცი მარჩილი ქმნა. და ესეც საერთოთ ოჯახზე დავხარჯე; და ამდენი ქრთამიც დაკარგული მაქვს და ეს თეთრიცო და გედავებიო.

სეხნიამ უპასუხა: მართალია, ჩვენ კაცებზე თეთრი გავბოჭეთ და შენ გჭონდა და უბნობ, რომ საერთოთ დაეხარჯეო. სამართალი შემიძლიან, რომ მართალს ოცდაათის მარჩილის თოფი კი მაქვს ამ თეთრისაგან, თორემ არც ჩემზედ, არც ჩემს ცოლსა და შვილზედ, არც საერთო ოჯახზედ შენ ის არ დაგეხარჯოსო. ეს ორას ოთხმოცი მარჩილი ქრთამი მოგეცი ბატონისთვისო; ბატონს დადიანს ახლდი და მართლაც აზატის წიგნი მოიტანე ამ ქრთამით, თორემ ცხენს, თოფს, ლეკურს რომ უბნობ, მე ის არა ვიცი, ბატონი დადიანი გწყალობდა, ხან გამომართმევდა, ხან მოგვცემდა, ამის არა ვიცითო.

აწ ამისი ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიამ თუთხმეტი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურიშვილი და ასე შეაფიცოს ქაქუჩელას: «ეს ორას ოთხმოცი მარჩილი რომ ბატონის ქრთამად მოვბოჭეთ და შენ მოგეცი, ის ორას ოთხმოცი მარჩილი არც ჩემზე, არც ჩემს ცოლსა და შვილზედ, არც საერთო ოჯახზედ მოგეხმაროს, მართალია, ეს ოცდაათი მარჩილის თოფი კი მაქუს». თუ ასე უფიცოს სეხნიამ, მაშინ ქაქუჩელამ ეს ორას ოთხმოცი მარჩილი ჩაიგდოს.

და რასაც ნამეტანს ქრთამს ბატონის მიცემას უბნობს ქაქუჩელა, იმაშიდ რამთენიც ორას ორმოცდაათ მარჩილზე ნამეტანი იქმნეს, რამთენიც ათი მარჩილი იქმნეს, იმდენი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაური ასე შეაფიცოს სეხნიას, რომ: «ამ ორას ორმოცდაათ მარჩილს გარდა ჩემი საკუთარი ამდენი დამხარჯოდეს, არც ამაში რამე მშველოდეს და არც სხვა საქმეში ბატონისთვის მომერთმიოს, რაც ამ ჩვენის კაცების საზატოთ არ მივართვი». თუ ასე ფიცოს, რაც ორას ორმოცდაათ მარჩილზედ ნამეტ[ა]ნი დაიფიცოს ქაიხსრომ, სეხნიამ გარდაუხადოს.

სეხნიამ უჩივლა: რაც გვყავდა ჩვენი გლეხები, დავიყავით. და სამი ბიჭი ქართლს გვყავდა და ვთქვით: ისინი რომ მოვიდეს, მერ-

მედ დავიყოთო. ახლა ერთი ბიჭი ჩამოვიდა და გუეცს და აღარ მიპირობ გაყოფას და გედავებიო.

ქაიხოსრომ უპასუხა: გლეხები დავყავით. სამი ბიჭი ქართლ[ში] იყო და ასე ვთქვით, რომ ვისიც სახლი გვხთა, მის-მისი წასრული ბიჭებიც ჩვენი იყოს თქვა. და ჩამოვიდა ჩემი სახვედროს გლეხის ბიჭი და მართალია, მყავსო.

სეხნიამ უპასუხა: სამართალი შემიძლიან, რომ ქართლს რომ ბიჭები იყო, ის ჩვენ დაგვეყოს და არც ეს პირობა დაგვედვას.

ამისი ასე გაუჩინეთ: წამოაყენოს სეხნიამ სამი გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს ქაქუჩელას: «შენ რომ უბნობ, არც ეს პირობა გვეთქვას და არც ჩვენი ქართლს რომ ბიჭები იყო, ის საკუთრად და-[გ]ვეყოსო». თუ ასე უფიცოს, მაშინ ქაქუჩელამ გაუყოს ის ქართლიდამ მოსრული ბიჭი. თუ ვერ უფიცოს სეხნიამ და გაყოფილი ყოფილა და ქაქუჩელას დარჩეს ის ბიჭი.

სეხნიამ უჩივლა: ჩემი ოცდაათი მარჩილი გმართებსო. ქაქუჩელამ ზოგი იტეხა და ზოგი ივარა.

აწ ამისი ასე ქნან: რაც იტეხა, მისცეს; რასაც უარი თქვას, რამდენი ათი მარჩილი იქნეს, იმდენი გლეხი კაცი შეაფიცოს: არ მართებდეს-თქვა; და მაშინ რას ერჩის სეხნია ქაიხოსროს:

ქაქუჩელამ უჩივლა სეხნიას: დედი ჩემის დანატოვარი საქონელი მის გამდელს დარჩაო და ის გამდელი შენ გყავდა და გედევებიო. და ამაში[1] სეხნიამ ვარი უთხრა.

და ჩვენ ამისი ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიამ ხუთი გლეხი კაცი და ასე სამართალი მისცეს: «შენ რომ დედიჩვენის დანატოვარი საქონელი გამდელს ჭონდაო, რომ მეუბნები[2], თუმც რამე ჭონდა გამდელს, რომ მოკუდა, თავის სულისათვის თუ გავეცი, თორემ მე მისი არა დამჩენოდეს რა. და რაც იტეხოს სეხნიამ, ქაქუჩელას მისცეს. და რა ცარადა, ვერას შეუვა[3] ქაქუჩელა სეხნიას.

ბეჭედი: ჩიქოვანი ოტია.

252. განჩინება ზაზუტი და სეხნია კუპრაძეების სასისხლო საქმეზე

XIX ს. I ნახ.

ჭეთ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1818. დედანი. ქაღალდი. 30× 21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

ქ. ზაზუტი[4] კუპრაძე და სეხნია კუპრაძე გავაბჭვეთ.

[1] ამაჟი. [2] მევნები. [3] შეუვა. [4] ზოეტი.

მოდგა ზაზუტმა, უჩივლა: შვილი მომიკალი, რაზე მომიკალი, დანაშაული რა მქონდა?

სეხნიამ უჩივლ[ა]: ძმას თავი გადამიჩენე და მისი შიშით ძმისწული მომიკვდა, თავს სისხლი რომ ზდიოდა, მიწა-ალაგი წამართვი, ხარი და ზროხა, თხა დამიჩენე[1], ყანა წამიხთინე, ამას არა დამაჯერე კიდე, ჩემს ალაგში [ვ]მუშაობდი და ურემი მქონდა სავსე, დამიჩენე, მომიხვდა და ცოლი და დედა შემაგინე[2], სასიკვდილოთ შემომიტიე[3], ამაზე მო[ვ]კალი.

ზაზუტმა აშორო უთხრა: «მე შენზე საჩხუბრათ[4] არ მოვსულვარ, არც ჩემის შვილისგან სისხლი არ დენოდეს შენს ძმას, არც იმის შიშით შენ ძმისწული მოკდენოდეს, არც ხარი და ზროხა, თხა დამეჩეხოს; არც მიწა, არც ალაგი არ წამერთმიოს, არც ტყე და არც ყანა წამეხთინოს».

თუ ასე უაშორო[ს], ამის [ა]სე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ ზაზუტმა და ოცდასამი კაც[ი] ჩაიტანოს და ასე უფიცოს; თუ ასე უფიცოს ზაზუტმ[ა] შვილ[ს] უბრალოთ მოკდომა, და მთელი სისხლი მისცეს სეხნიამა. თუ ვინ იცის და სისხლი ვე[რ] შეიძლო, როგორც სამართლის წიგნმა თქვას ხელიომჭნელი, ისე მიეცეს.

თუ ზაზუტმა ვერ უფიცა ან ფიცმა ამ[ტყუნოს] ამაში, ზაზუტისაგა[ნ] ძმა თავგადაჩეხილი ყავს, ძმისწული კდ[არი] ყ[ა]ვს, ხარი და ძროხა, თხა დაჩეხილი ყავს, მიწა-ალაგი წართმოულია, აქ ყანა წამხთარი, აქ თავის ალაგშ[ი] ყოფილა სეხნიკა და სასიკდილოთ მოსულა, კიდე[3] თავი აქვ[ს] გაჩეხილი და მთელი სისხლი მისცეს; ძმისწული კდარი ყავს და სხვა სისხლი მ[ი]სცეს. სხვა რაც წანართმევი არის ან წანახთენი იყოს, ყოლიფერი მისცეს.

კიდე სეხნიმა უჩივლა: ხელზე ლეკური შემომკარი[5] და კიდე[ვ] აჩნია.

ზაზუტმა აშორო უთხრა: მე [შენთვ]ინ ლეკური არ შემომეკრას[6], არც ჩემს შვილს.

ამის ესე გავაჩინე[თ: წამოაყენ]ოს ზაზუტმა ექვსი კაცი, შეფიცოს. თუ უფიცოს, რას ემართლება. თუ ვერ უფიცოს და ან ფიცმა ამ[ტყუნოს, მეოთხედი სისხლი მისცეს.

ზაზუტმა უჩივლა სეხნიეს: შვილს დანა დამ[ი]კარი კლავში, ხელი წაუხთინე.

[1] ~დამიჩეხე თხა. [2] შომაგინე. [3] შომიტავე. [4] საჩუხუბრათ. [5] კვიდეო. [6] შომკარი. [7] შომეკრას.

სეხნიამ[ა] აშორო უთხრა: მე შენი შვილისთვის დანა [ა]რ და-[მეც]რას, არც სისხლი გდენოდეს.

ამის ასე გავაჩინეთ: სეხნი[ამა ასე] შ[ე]ფიცოს. თუ ასე უფიცოს, რას ემართლება, თუ ვერ უფიცოს ან ფიცმა ამტყუნოს, მეოთხედი სისხლი მისცეს.

ზაზუტმა უჩივლა: ყანა წამიხთინე და ჩემს ყანაში გადმოვდენე, რჩომა იყო. ამაზე მოდი და გამილახე შვილი.

სეხნიამა აშორო უთხრა: მე შენთვინ შვილი არ გამელახოს არც ყანა წამეხთინოს.

ამის ასე გავაჩინეთ: წამო[დ]გეს ერთმა და ერთმა ძმამ და უფიცოს. თუ უფიცოს, [ა]რას ემართლება. თუ ვერ უფიცონ, ფიცმა ამტყუნოს, როგორც გალახულიყოს, [ი]მრიგი საუპატიო მიცეს; რაც წამხთარი იყოს — მიც[ე]ს, აჯით შეატყობიოს. რაც სე[ხ]ნიას წახთენოდეს, [სე]ხნიას აჯით შიატყობიოს.

253. განჩინება იოსებ დონდოლაძისა და გიორგი მახარაძის უფის საქმეზე

XIX ს. I ნახ.

ქუთაისის სახელმწ. ეთნოგრ. მუზ. სამ. № 1397. დედანი. ქაღალდი. 20,7×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო ან ორი წერტილი.

ქ. მღვდელ-მონაზონი იოსებ დონდოლაძე და მახარაძე გიორგი გავაბჭვეთ.

იოსებმა უჩივლა: გურიელს ჯუმათის ეკლესიისათვის შავიშვილები სვიმონისა და მისი ძმების მამა-პაპა შეუწირავს და როგორც არის, შენ გყავს და გთხოვს ჯუმათის ეკლესია და ანგელოზთმთავარი მიჭაილ და გაბრიელ და თავისას რათ უკავებ და რათ არ მისცემო.

მახარაძემ[1] ნაცვალი უპასუხა: ჩვენ ეკლესიის შეწირული და მიტაცებული არასდროს არვინ გვყოლია და არც ახლა ვინმე გ[ვ]ყავს თქვენი და თქვენი ეკლესიის სადაო.

ამ შავიშვილების მამა-პაპა გურიელს უბოძებია და წიგნიც წყალობის დებ[ულ]არს. იმ დღე[ი]დან ამ დღეს შუა გვყოლია და გვყავს და არც მაქსიმე ჯუმათლამდის ვინმე გვდავებია. სამართალი შემიძლია, რომ ამ შავიშვილების მამა-პაპა არას გურიელს ჯუმათის ეკლესიისათვის არ შეეწიროს და არცა არას ჯუმათელს დახსნილი ყოლოდეს.

[1] ნამახარაძემ.

აწ ამისი ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს მახარაძე და სამოცდაოთხი გლეხი კაცი თან ჩაიტანოს და ან ამავალი აზნაურიშვილი ნახევარი და ნახევარი გლეხი გურიის მიწის კაცი, სხვა ქვეყნის არა, და ჯუმათელსა და მთავარანგელოზს ასრე დაუფიცოს:[1] «რომელსაც შენ შავიშვილებს მედავები, ამათი მამა-პაპა არას გურიელს ჯუმათის ეკლესიისათ[ვის] არ შეეწიროს და არც ჯუმათელს დაეხსნას».

თუ ასრე ფიცოს, მახარაძე მართალი შეიქნება და გლეხები მახარაძეს შერჩება და ჯუმათელი და მისი ეკლესია ვერ მიედავება.

თუ ვინ იცის და ამრიგად ვერ ფიცოს და გამოტყდეს ანუ შეწირვას გურიელისაგან და ანუ [ჯ]უმ[ა]თელისაგან დახსნას, მაშინ მახარაძემ ხელი აიღოს და მთავარანგელოზს მიჭაილ[ს] და გაბრიელს მიერთვას, არა ეთხოოს რა მახარაძისაგან ისრე ხელშეუალად.

254. განჩინება ქაიხოსრო ჯაიანისა და იესია ჯორჯიასი მამულის საქმეზე

XIX ს. I ნახ.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება. H 90. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[11] ქ. ჯაიანი ქაიხოსრო და ჯორჯიკია იესიკა გავაბჭვეთ.

იესიკამ უჩივლა: იცი და მოგეხსენება, ხობის ეკლესია რამოდენი ხნის აღშენებული არის და რომელმან მეპატრონემ აღაშენა, მიწას შესწირევდა და ამოდენი ხანი არის მიწა ეკლესიის კაცს გვქონდათ და ვპატრონობდით და ახლა გვმძლავრობთ და გვართმევთ[2], და რა არის ესო.

ჯაიანმა ნაცვალი უპასუხა: რომელსაც მიწას შენ უბნებ, ის მიწა ჩემს ძველს ქონდა და ახლაც მე მაქუს, შენ რას დაობ, არასდროს არ ქონებია ხობის მეპატრონეს, და არც არა მეპატრონეს ხობის ეკლესიისათვის შეუწირავს, მუდამ მე და ჩემს მოგვარეს გვქონებია და ახლაც მაქუს. და ეკლესიის თუ არის, დავთარი ექნება ეკლესიას და მოიტანეთ და თუ სწერია, თქვენი იქნება, თორემ ჩემი მე მაქუს და რას მედავებიო.

დაეხედეთ ამის სამართალს და გამოძიებას და აჯა ეკლესიის კაცს დავადეთო, ამისთვის რომ: ერთი რომ, ეკლესიის მახლობელი არის ის ადგილი; მეორე ეს რომ, ეკლესია და ღთისმშობელი უფრო ძველი არის და ამის მიხედვით ეკლესიის კაცმა უნდა იაჯოს.

წამოდგეს იესიკა ჯორჯიკია და [v] ოცდაორი გლეხი კაცი თან ჩაიტანოს და ჯაიანს ასრე უფიცოს: «არასდროს შენს ძველს და

[1] დუუფიცოს. [2] + და გვართმევთ.

თქვენს უმას, რომელსაც მიწას ჩვენ შამოვიელით, ის ადგილი არ გქონებოდესთ, არც არასდროს თქვენ და თქვენს უმას იმ ადგილში უანა გექმნასთ და არც ეს ადგილი თქვენი იყოს და კიდეც ჩვენი და ჩვენი ეკლესიის ხობისა ღთისმშობლის იყოს და ტყვილად გვეცილებოდე».

თუ ასე ფიცონ, მიწა ეკლესიას მიერთვას, თუ ვერ ფიცონ ამ განაჩენით, მას მერმეთ მიწა ჯაიანს მიეცეს ხელშეუალად.

როდესაც ფიცი იქნეს, ოხაჩალე ღელეს გამოღმა უნდა შამოიარონ; სხვა მიწის ცილება არ თქმულა.

255. ბანჩინება გრიგოლ დადიანისა გიორგი და სიმონ ჩიქოვანების საქმეზე

1854—1857 წწ.

საბუთის დედანიცა და პირიც დაკარგულად ითვლება. ტექსტი დაბეჭდილია სალიტერატურო ჟურნალ «კრებულში», მეხუთე წიგნი, თფილისი, 1871 წ. გვ. 125—138, შემდეგი სათაურით: «ჩვენი ისტორიის მასალები. ძველი სამართლის ნიმუშები». ტექსტი დაბეჭდილია გაუმართავად, ხელნაწერის განკვეთილობის ნიშნების დაცვით. საბუთის ბოლოს დასმული ყოფილა გრიგოლ დადიანის ბეჭედი. საბუთი უთარიღოა. ჩვენი აზრით, იგი არ შეიძლება შედგენილი იყოს სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის გარდაცვალებამდე, ე. ი. 1853 წლის 30 აგვისტომდე. დავითის დროს ასეთი საქმეები მსჯულთ-უხუცეს როსტომ ჩიქოვანს ექვემდებარებოდა, რომელიც 1854 წელს გარდაიცვალა. ჩვენი საბუთი ამის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ არა უგვიანეს 1857 წლისა, ე. ი. სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და მისი ჭუთაისის გუბერნიაში შესვლისა. ანტონ ჭყონდიდელი, რომელიც საბუთში არაერთგზის იხსენიება, ჭყონდიდლად ამ ხანებშიც ჩანს.

ქ. გიორგიტა ჩიქოვანი და მისი ძმა სიმონ მღვდელი გავაბჭვეთ.

1.* ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: ქაციელა გელენიძის შვილი საერთო იყო, ფასი აიღო და მე არაფერი მაქვს.

ქ. მოდგა სიმონ და მაგიერი უპასუხა: მართალი არის, გამორთმევა გვინდოდა, მაგრამ ჭყონდიდელს შეეხვეწა, აღარ დაგვანება გამოსართმეად; და ოცი მარჩილი გამოვართვი და სასახლოდ დავხარჯე.

ქ. მისი ასე გავაჩინეთ: სიმონმა ორი ქაცის აჯით შეატყობინოს გიორგის, რომ ამ გოგოში ამის მეტი არაფერი ამეღოს-თქვა; და რაც აჯით იტეხოს, სიმონმა ნახევარი მისცეს გიორგის.

* ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

2. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: სიმონიკა ფირცხელავას შვილი ქოჩე ყიფიანს მიყიდე სამოცათ და მე არა მაქვს რა და გედავები.

ქ. მოდგა სიმონ და მაგიერი უპასუხა: მართალი არის, მე ეს გავეცი, მაგრამ მაგიერი შენ გიორგელა კირთაძის შვილი ღაჭავას მიეცი და მეც გედავები. იმ გოგოს მამა კიდე სხვაგან იყო წასრული. ვეცადე, ჩემი ცდით ორმოცდარვა მარჩილი გამოვიღე, ამოვიყვანე და გედავები.

ამისი გიორგიმ ვარი სთქვა: არც ბოქაულთან რამე გაგსლოდეს ჩემს ნამეტანი და კიდეც, რომელიც შენი გამონაღები რამე იყოს, არცერთი ფარის მე შენი იმაში[1] არა შემ[რ]ჩენოდეს.

ქ. ამისი სიმონმა აშორო უთხრა: ამ ორმოცდარვა მარჩილში შენგან მე არა მომცემოდეს.

ქ. აწ ამისი ესე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა [სამი?] გლეხი კაცი, ესე შეაფიცოს გიორგის: «ამ ორმოცდარვა მარჩილში არც მამის, არც დედის, არც ოჯახის ამაში არაფერი რეოდეს, რაც საკუთარი ჩემის თეთრით არ დავიხსენი». თუ ესე უფიცა სიმონმა, მისი კერძი სიმონმა ჩაიგდოს[2] და ოცდაოთხი მარჩილი უზღოს გიორგიმ სიმონს. თუ ვერ უფიცოსდა, ორივეს სწორ გაუხმარია და გაიაროს.

ქ. გოგო რომ უჩივლა გიორგიმ სიმონს — ქოჩეს მიეცი, მაგიერი გიორგის ღაჭავასთვის მიუცემია და ამაში ერთი მეორეს ვერას შეუა.

3. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: ერთი უსახლკარო კაცი გვყავდა, მახარიკა კირთაძე და შენი მიზეზით გაიქცა. ოცდათუთხმეტი მარჩილი გამივიდა, ამოვიყვანე და არის, და გედავები.

ქ. მოდგა სიმონ და მაგიერი უპასუხა: სამართალი შემიძლია, რაც ანტონი ჭყონდიდელმა არ ამოიყვანა, შენ ამაში არცერთი ფარა არ დაგხარჯოდეს.

ქ. აწ ამისი ესე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა სამი კაცი, ესე შეაფიცოს: «რაც ანტონიმ არ ამოიყვანა, შენი ამაში არა გაღებულიყოს». თუ ასე უფიცა, საერთოდ დავეც. თუ ვერ უფიცადა, აჯით შეატყობინოს გიორგიმ და რაც დახარჯოდეს გიორგის, ნახევარი უზღოს სიმონმა გიორგის.

4. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: ერთი ფირ-

1 იმაჩი. 2 ჩაიგდიოს.

ცხელავას შვილი პეტრე ხუცეს მიეცი და მე არაფერი მაქვს.

ჭ. მოდგა სიმონ და მაგიერი უპასუხა: მე პეტრე ხუცეს მივეცი და შენ მეორე დაᲘ იოსელიანს მიეცი, შენ თუ იმას მოიყვან, მე იმას ამოვიყვან.

გიორგიმ კიდე[ვ სთქვა:] თხუთმეტი მარჩილი საძიძაო გამივდა[ო].

ჭ. მისი ასე გავაჩინეთ: ერთი მას გაუყიდია და მეორე — მეორეს და ერთმანერთს ვერას შეუვა დასტურ. გიორგიმ თხუთმეტი მარჩილი საძიძაო გამივიდაო, კიდეც გამიზდია, კიდეც გამიყიდია. იმაში ვერას შეუვა გიორგი სიმონს.

5. ჭ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: მეოთხე გოგო, მახარია კირთაძის შვილი, გელავანი დაპატიჟე და იმ გოგოს ფასი მას აჩუქეო.

ჭ. მოდგა სიმონ და მაგიერი უპასუხა: მართალი არის, მოკავებული გუყავდა, მაგრამ ვერ ვიშოვნეთ, მამამ დახიზნა. მერმეთ სახლთხუცის კაცმა შეირთო და რადგან ვერ მოვიყვანეთ, მართალი არის, ოცი მარჩილი ავიღე და საერთოდ დავხარჯე.

ჭ. აწ მისი ესე გავაჩინე[თ]: ოცი მარჩილი იტეხა სიმონმა და ნახევარი უზღოს სიმონმა; და თუ რამეს გამოელის კიდე იმადგან, ისიც სწორ გაიყონ.

6. ჭ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: საღარეის-შვილი მამაჩემმა გაყიდა და მისი ნაფასით გოგო დაიხსნა, იმ გოგოს შვილი ეყოლა და შენ სამოცათ გაყიდე; და დედა გყავს და მსახურობ; და გედავები.

ჭ. მოდგა სიმონ მღვდელი და ბუში რომ უჩივლა გიორგიმ, სიმონმა ანტონი ჭყონდიდლის წიგნი წამოაჩინა. და დედაში ეს უპასუხა: ჭყონდიდელი ანტონი შემობრძანდა და უჯერო ცოლ-ქმარი გაყარა. შეეხვეწა დედაჩემი და ფასი მიართვა და დაიხსნა. სამართალი შემიძლია, ექვსი რუბის მეტი მამიჩემის იმათში არაფერი რეოდესო.

ჭ. აწ ამის ასე გავაჩინეთ[2]. ბუში, ბიძიჩემის ანტონის წიგნი მოიტანა და ხელი არა აქვს გიორგის, სიმონის არის. და დედის რომ უჩივლა სიმონმა გიორგის, წამოაყენოს სიმონმა ოთხი კაცი, ასე შეაფიცოს გიორგის: «რაც დედაჩემმა არ დაიხსნა, მამიჩემის ამაში ექვსი რუბის მეტი არაფერი გაღებულიყოს». თუ ესე უფიცა, არც

[1] + შენ. [2] გავარჩიეთ.

სიმონს აქვს ხელი და არც გიორგის, ქერივის არის და მას ყავდეს. თუ ვერ უფიცადა, საერთო ყოფილა და ერთად გაიყონ.

7. ჭ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: მანამდი დიდი საურობა იყო და დათუნიკა სვანიძეს თავისი შვილი თუთხმეტ მარჩილად გასაყიდლად მიყავდა, მოაბრუნა დედაჩემმა, საურის თეთრი მან გაისტუმრა და დაიხსნა. და იმ გოგოს შენ მსახუროფ; და გედავები.

ჭ. მოდგა სიმონ და ამისი უარი თქვა: სამართალი შემიძლიან, რაც საერთო არის, დედის შენის იმაში არაფერი ერიოს და არც შენი საკუთარი ეს იყოს.

ჭ. აწ ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ერთი კაცი, ასე შეაფიცოს: «რაც საერთო არ არის, დედიშენის მაში არაფერი ერიოს საერთოთ». და გულით თუ ვერ უფიცადა, გიორგის ყოფილა ის ქალი და რას ემართლება სიმონ.

8. ჭ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: მამაჩემს მიქელმა ჭაკი ცხენი მისცა ცხენის ჭირათ და მთავნი ცხენი და ერთი ჭაკი ცხენი შენ გაყიდე და სამი კვიცები კიდე შენ გყავს. და მამიჩემისა დანატოვარი ორი საფოხლე ქვაბი, ოთხი ხარი და ძროხა — ესენი დარჩა, ზოგი მოიხმარე და ზოგი გყავს; და გედავები.

მოდგა სიმონ და ამისი ასე უთხრა: ამ ცხენის მომცემი დავით და მიქელ არი, მათ კითხეთ და მოგეხსენებათ. ხარის, ძროხის, ქვაბის — უველასი უარი სთქვა, — სამართალი შემიძლიან, არც ერთი მარჩილის არა ხარათ, არა ძროხათ და არა ქვაბათ შენს ნამეტანი არც მომეხმაროს და არცარა მჭონდეს.

ჭ. ამისი ასე გავაჩინეთ. ჭაკი ცხენი დავითს და მიქელს ვკითხეთ — ყიფიანის ქალს მივეცითო; და ქალის არის, გიორგის ხელი არა აქვს. ხარი და ძროხა და ქვაბი რომ უჩივლა გიორგიმ, წამოაყენოს სიმონმა სამი კაცი, ასე შეაფიცოს გიორგის: «არა ხარათ, არა ძროხათ, არა ქვაბათ შენს ნამეტანი მე არაფერი მომეხმაროს და არცარა მჭონდეს». თუ ასე უფიცა, რას ემართლება გიორგი სიმონს. თუ ვერ უფიცადა, რაც იტეხოს სიმონმა, ნახევარი მისცეს სიმონმა გიორგის.

9. ჭ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: გლეხი ამოგვიწყდა და ერთი ბოვში დარჩა. მამაჩემმა მე მომცა. მე დედაშენს მივაბარე. რო უყავი არ ვიცი და გედავები.

ქ. ამისი სიმონმა უარი სთქვა, შორს დაიკავა, არა ვიცი რა.

ქ. აწ ამისი ესე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონ მღვდელმა სამი კაცი, ესე შეაფიცოს გიორგის: «შენ რომ დედაშენს ბოვში მივაბარეო ანბობ, არც მიგებარებიოს და არც არა ვიცოდე მისი». თუ ვერ უფიცადა, მისი გოგო უნდა მისცეს სიმონმა გიორგის.

10. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: მახარობელა სვანიძე საურის თეთრში დაწინდებული იყო, ბორჯზე რომ მივიდა, მოდგა მოვალე და რო[მ] ვეღარა მოიხერხეს რა, გაგზავნა დედაჩემმა კაცი, გალმიდამ სამოცდახუთი მარჩილი მოატანია და ის კაცი დაიხსნა; და დღეს საერთოდ არის; და ვდეობ.

ქ. მოდგა სიმონ და ამისი უარი სთქვა: სამართალი შემიძლია, დედაშენის ამაში არცარა გაღებულიყოს და არცარა ერიოს.

ქ. აწი ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ექვსი გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს: «დედის შენის ამაში არც ერთი ფარის არაფერი ერიოს». თუ ასე უფიცა, საერთოდ დაგვიც; თუ ვერ უფიცადა, ან რაც დაუხსნია ის უნდა მიეცეს გიორგის და ან რაც თეთრი გაუღია, ის უნდა მიეცეს სიმონისაგან გიორგის.

11. ქ. მოდგა სიმონ და გიორგის უჩივლა: მახარია კირთაძე მამაჩემმა ცოლის ხარჯათ მომცაო და წიგნიც წამოაჩინა და იმ წიგნში გიორგიტას გასტუმრებაც ეწერა და მაგიერიც მიეცემა მამისაგან.

ქ. მოდგა გიორგი და აშორო უთხრა: არც მაგისი სამაგიერო მამაჩემს ჩემთვის მოეცეს და არცარა მქონდეს და არცარა მყავდეს მაგის სამაგიეროდ; და არც ჩემი[1] ცოლის ხარჯი მამაჩემს ჩემთვის მოეცეს ოთხი მარჩილის მეტი.

აწ ამისი[2] ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გიორგიმ შვიდი კაცი, ასე შეფიცოს სიმონს: «არც მაგის სამაგიერო მამაჩემს ჩემთვის რამე მოეცეს და არცარა მქონდეს და არცარა მყავდეს მაგის სამაგიერო და არც ჩემი[1] ცოლის ხარჯი მამაჩემს ჩემთვის რამე მოეცეს ოთხი მარჩილის მეტი». თუ ასე უფიცა, სწორ უნდა გაიყონ, თუ ვერ უფიცადა, ისიც გასტუმრებული ყოფილა თავის ცოლის ხარჯში და ვერცარას შეუა გიორგი სიმონს.

12. ქ. მოდგა სიმონ და გიორგის უჩივლა: მამაჩენი გარდაიცვალა და სულის საქმე ჯუნდიდელმა გვთხოვა[3] ასოცი მარჩილი. ვეცადე გელვანით, და გელვანმა ჯუნდიდლისაგან პატივი დაიდვა და მე ოცდახუთი მარჩილის ცხენი გარდამახდევინა გელვანმა; და გედავები.

ქ. მოდგა გიორგი და უპასუხა: ნება შენი არის, ქვეშ უდგიხარ ამ საქმესო.

აწ ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ორი კაცი, ასე შეაფიცოს სწორებით: «მამის ჩემის ნიშანში გელვანისათვის ოცდახუთი მარჩილის ცხენი მიმერთმიოს». თუ ასე უფიცა, ნახევარი თითონ უნდა ჩაიგდოს და ნახევარი გიორგიმ უზღოს სიმონს; და თუ ვერ უფიცა, გაიაროს.

13. ქ. მოდგა გიორგი და სიმონს უჩივლა: ოც მარჩილად ცხენი ვიყიდე. შენ მაშინ მანუჩარს ახლდი და თურმე გლეხებს ქრთამულობდი და სახლთხუცის მისაცემად ცხენი გინდოდა. შენკი გაყავდა ცხენი, მარა მჭლე იყო და დაშავებული და არ გავიდა. და ჩემი ცხენი გამომართვი და სა[ხლთ]ხუცესს მიეცი და ეს მჭლე ცხენი მე მომეცი. ვეცადე, პატივი მიუმყარი და გავაკეთე. მოდექი შენ და სამოც მარჩილს დამპირდი. გამომართვი, არც ვარ ცხენისაგან და არც თეთრისაგან; და გედავები.

ქ. მოდგა სიმონ[1] და უპასუხა: მართალი არის, სიმონიკა კურაშვილისგან ცხენი იყიდე და მმართებს.

ქ. აწ ამისი ესე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ოთხი კაცი, ასე შეაფიცოს გიორგის: «რაც საწინდრათ არ მოგეცი ამ ოცი მარჩილის ცხენში, ხელმწყვედ მე ეს შენთვის არ მომეცეს». თუ ესე უფიცა, თავისი ოცი მარჩილი მისცეს გიორგის. თუ ვერ უფიცადა, სამოცი მარჩილი უნდა უზღოს სიმონმა გიორგის.

14. ქ. მოდგა სიმონ და გიორგის უჩივლა: გაბრიელის შვილისგან ბიჭი დავიხსენი ორმოცდაექვს მარჩილად და მყავს და რას მედავები.

ქ. მოდგა გიორგი და მაგიერი უპასუხა: ამას გედავები, რომ ასე სამართალი შემიძლია, რომ ამ ბიჭში შენი საკუთარი არაფერი გაცემულიყოს, რაც საერთოდ არ ვიყიდეთო.

ქ. მოდგა სიმონა და აშორო უთხრა: არც მამის ჩემის, არც ოჯახის და არც შენი ამაში არა გაღებულიყოს რა, რაც ჩემი საკუთარი თეთრით არ დავიხსენიო.

ქ. აწ ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა ოთხი კაცი,

1 ჩემის. 2 იმისი. 3 სვთხოვა.

1 სიმომ.

ესე შეაფიცოს გიორგის: «არც მამის ჩემის, არც შენი და არც ჩვენი[1] ოჯახის ამაში არა რეოდეს, რაც სწორებით ჩემი თეთრით არ დავიხსენი». თუ ესე უფიცა სიმონმა, ორმოცდახუთი მარჩილი გამოუღია სიმონს და ოცდაორი მარჩილ ნახევარი გიორგიმ მისცეს სიმონს და კაცი სწორ გაიყონ, ამიტომ რომ ხელფეხი ძმას არ დაემაღლება. თუ ვერ უფიცადა, მაშინ საერთო ყოფილა და სწორ გაიყონ.

15. ჭ. მოდგა სიმონ და გიორგის უჩივლა: გოგო მოგაბარე და გამიყიდეო.

ჭ. მოდგა გიორგი და მიბარების ვარი სთქვა: მომყიდეო, თორემ არ მოგიბარებიაო.

ჭ. მოდგა სიმონ და აშოროთ უთხრა: რაც არ მოგაბარე, არ მომეყიდოსო.

ჭ. აწ ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს სიმონმა სამი კაცი, ესე შეაფიცოს გიორგის: «რაც არ მოგაბარე, მისი ფასი არცარა შენ მოგეცეს და არც მე გამომერთმიოს». თუ ესე უფიცა, ოცდაათი მარჩილი უნდა მიეცა გიორგის, მაგრამ ათი მარჩილი გასამზღელში ჩაგვიგდია და ოცი უნდა მისცეს გიორგიმ სიმონს. თუ ვერ უფიცადა, გიორგის ყოფილა და ვერას შეუა.

16. ჭ. მოდგა სიმონ და უჩივლა: გიორგი ჩიქო-[3]ანმა ცხენი მომცა, ის ცხენი მამაჩემს შემოაკვდა, მაგიერი ცხენი მომცა, წამართვი და გედავები.

ჭ. მოდგა გიორგი და მისი ვარი სთქვა.

ჭ. ამისი ასე გავაჩინეთ. წამოაყენოს გიორგიმ ორი კაცი, ესე შეაფიცოს: «რაც ტყული[2] არ დამწამე, მე შენთვის ცხენი არ წამერთმიოს». თუ ესე უფიცა, ვერას შეუა სიმონ; თუ ვერ უფიცადა, როგორც უჯო ისე უზღოს გიორგიმ სიმონს.

ბეჭედს ზეითი რომ გოგო უჩივლა სიმონმა, საკუთარი სიმონის ყოფილა. და თუ სიმონმა ექვსი კაცი შეაფიცოს: «რაც არ მოგაბარე არ მომეყიდოს», ათი მარჩილი გასამზრდელოთ ჩაუგდოს და ორმოცდაათი მისცეს გიორგიმ სიმონს.

(ასეა ბეჭედი გრიგოლ დადიანის).

[1] ჩვენის.

[2] ტყელი.

გურიის მდივანბეგთა განჩინებანი

(1818, 1822 წწ.)

256. განჩინება ოთარა კალანდარიშვილისა და გოგითანა ჩხატარაიშვილის საქმეზე

1818 წ. 13 ივლისი

[5] ჩყიჱ-სა წელსა, ივლისის იგ დღესა.

ჭ. კალანდარიშვილი ოთარა და მისი ძმა სიმონა და ჩხატარაიშვილი გოგითანა გავაბჭვეთ.

კალანდარიშვილმა უჩივლა: ამისი მამა და მამაჩემი კერძი კაცი იყვნენ ერთმანერთის, მოვიდა და უთხრა მამაჩემს, რომ: შენი შვილის სიმონასათვის კარგი კაცის ქალს და კარგს ქალს გათხოვიეფო. და მამაჩემმან ნება დართო და იმისმა მამა[მ] დავით ჯღენტთან მიიყვანა, ქალი ათხოვნია, გამობრუნდა და მამაჩემს უთხრა: მტყეცე გამოგატანს და თეთრი მომეცით. მამაჩემმა ასი მარჩილი მისცა ამის მამას. და გამოხდა ხანი და ქალიც გაგვითხოვეს ნათხოვარი და თეთრიც შერჩა. მერმედ თეთრი ვსთხოვე და დღემდის მეუბნებოდა: ჯღენტს ემტერეო, რომ მე ვეღარა ავიღეო და დღემდის ვარს არ მეუბნებოდა და ახლა ვითხოვ პასუხს.

გოგითანამ თეთრის გამორთმევის ვარი უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გოგითანამ ექვსი[1] გლეხი კაცი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაჩემს მამისშენისათვის, შენ რომ თეთრს მიჩოვი, არ გამოერთმიოს, და არც მამაშენს მიეცეს და არც არასდროს მეთხრობოს, რომ შენი თეთრი მმართებს და იმტერე ამ საქმეშიდ მეთქინ». თუმც ასე სრულად უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ დაუფიცოს, თეთრი ერთიორად მისცეს გოგითანამ.

[1] ექვსი.

ამასთანავე კალანდარიშვილმა ჯღენტს უჩივლა: ქალი გთხოვა მამაჩემმა ჩემი ძმა სიმონასათვის, მაღლი გარდავიხადეთ და ხარჯში ასი მარჩილი თეთრი და ერთი ხარი გამოგვართვი, ქალი გაგვითხოვე და ეს თეთრიცა და ხარიც ხელთა გაქვს; და დანაშაული რა გვქონდა, პასუხს ვითხოვ.

ჯღენტმა უპასუხა: მართალია, მამაშენი და მამაჩემი დამოყვრდენ, ქალი გვთხოვა, მაგრამ ჩვენი სიძე თათარში დაიკარგა, შენ კიდეც შამოგაძლიეთ, მაგრამ არ ინებეთ და ქალი გავათხოვეთ.

კალანდარიშვილმა თავისი ძმა სვიმონა წამოაყენა: მამაჩემმა ამისათვინ გთხოვა ქალი, თორემ სხვა სასიძო შვილი მაშინ მამაჩემს არ ჰყოლებია.

ჯღენტმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ჟღენტმა ექვსი[1] კალანდარიშვილის ტოლი აზნაურიშვილი ქალის გათხოვებაში და ევქსი გლეხი კაცი თეთრში და ერთი გლეხი ხარში და ასე შეაფიცოს: «არც მამაშენს დღეს რომ ქართველში ხართ, არც თქვენთვის ჩვენი ქალი ეთხოვნოს და არც ჩვენ დავჰპირებოდეთ თქვენ ორის ძმისათვის, რომელიც დღეს ქართველში ხართ და არც შენ რომ ხარჯში თეთრსა და ხარს მიჩივი, არც ის თეთრი და ხარი მამაჩემს მამიშენისათვის გამოერთმიოს».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს და ქალის წართმევაში გამოტყდეს[2], [v] აზნაურშვილის მესამედი სისხლი მისცეს, რომელიც იქს ასსამოცს ძველ მარჩილს; და თეთრში თუ ხარში, რომელშიდაც გამოტყდეს, ერთიორად მისცეს.

ჯღენტმა უჩივლა: ამ კაცმა ჩემი კაცი გადამბირა, შინ ჰყავდა, ბევრი ამტერა, მერმედ ბატონისშვილს ურჩია, დაიჭირა, მისცა და ბატონიშვილმა თათარში გაყიდა და რას მემართლებოდა არ ვიცი.

კალანდარიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კალანდარიშვილმა ევქსი გლეხი კაცი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მე უწინ ის გადმომებირებიოს, არც მე მემტერებიოს და არც ჩემის ბატონის რჩევით ის გაყიდულიყოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ უფიცოს, ბატონის ნასაქმები საქმე ყოფილა; სხვასაც უჩივა და ერთი მისთანა მტყვე ქართველის შვილი მისცეს კალანდარიშვილმა ჯღენტს.

[1] ევქსი. [2] + მესამედი.

257. განჩინება ბასილა ჯღენტისა და სვიმონა ჩანტლაძის სასისხლო საქმეზე

1818 წ. 17 ივლისი

ჩყიზ-სა წელთა, ივლისის იზ-სა დღესა ბასილ ჯღენტი და სვიმონა ჩანტლაძე გავაბჭვეთ.

ჩანთლაძემ უჩივლა: ქალი ვსთხოვე ამ კაცს, მოყურობა გვქონდა, ქალს ნიშანი შევაბი ჟამობას წინ და ამ ხანსა და იმ ხანს შვა მოყურობა გვქონდა. მერმეთ შენი ცოლის ძმა მოვიდა შენსას და შენის სმისა და ჭამით და შენის ოჯახით ჩემი ნანიშნი ქალი წამართვა და მეც მკვლიდა, და რას მემართლებოდა.

ჯღენტმა[1] აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ჯღენტმა[1] ოცდაოთხი გლეხი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ჩვენის ოჯახითა და სმითა და ჭამით, არც ჩხუბითა და ხერხით შენ ის ქალი წაგართმეოდეს, და არც იმ ჩემს სტუმარს და მოყვარეს შენ სასიკუდინოდ არ მოენდომებიო. ჩემის ოჯახით». თუმცა ასე სრულად შეჰფიცოს, მაშინ სიტყვა არ ექმნება ჩანთლაძეს. და თუმცა ვერ უფიცა და ცოლის საქმეში გამოუტყდეს მესამედი სისხლი მისცეს.

ეგრეთვე სიკვდილს რომ უჩივის, თუ იმაშიდაც გამოუტყდეს, მესამედი სისხლი მისცეს და შარნაც სიკვდილის სისხლი ამისთვის შეეამკლეთ, რადგანც შეწამებული იყო და ცხადად არა ჩნდა.

ჯღენტმა უჩივლა: ნიშნის შებმამდის მზითევი მივეცი და ათი ყურუში პირაქეთ გამოვართვი.

ჩანთლაძემ უპასუხა: გოგო გამოგიგზავნე მზითევში, მაგრამ შენი კაცის შვილი არ ყოფილა და მე ყაბული არა მჭონდა, მაგრამ იმ დროს მომსლელი სენი მოვიდა ქვეყანაში და ისიც მოკლა და მრავალი სხვაც. ამაშიდ გავსინჯეთ, მაგრამ მომსლელის სენისაგან მომკუდარა და ამაშიდ სამართალი არც ერთს არ ერგება და ერთმანერთს ნუღარ ედავებიან.

ჯღენტმა უჩივლა: ამ კაცისათვის არასოდეს სამართალი არ დამიკავებია, მოვიდა ჩემი კაცისას და უღლათ ხარი წამართვა, ერთის ნახევარი ჩემი იყო, გამობრუნდა, მეორეთ მოუხდა ჩემს ყაზახს, კარი შეუხეთქეს, მოთხარეს და შინ აღარავინ დახვდა, თორემ

[1] ჰყენტმა.

მისით სასიკვდინოდ და სასიაოთ მოუხდა და რას მემართლებოდა, პასუხს ვთხოვ.

ჩ ა ნ თ ლ ა ძ ე მ ხარების წართმევის და შინ მიხდომის [6] ვარი ვერ სთქვა. გავსინჯეთ, მაგრამ რადგანც ცოლის წართმევისათვის უქნია ჩანთლაძეს, მიხდომის საუპატიო მისცეს და ხარში...* მისი სახვედრი იყოს, ერთიორად მისცეს. თუმც ამაში ვერ უფიცოს, ხარის და ყაზახის საუპატიო სისხლში ჩაიგდოს ჩანტლაძემ, რაც დააკლდეს, შეუსრულოს ჯღენტმა. ამათს საუპატიოს ამისთვის ვაჩენთ, რომ სამართალი არ დაუკავებია და თავისი ხელით გაემღენია თავისი თავი და ამისთვის გავაჩინეთ.

ბატონის ბოქაული რომ უჩივლა, ბატონისა და ბოქაულის საქმეს არ აჩენენ და ამისთვინ არც ჩვენ გავაჩინეთ.

258. განჩინება ბიჭია შალიკაშვილისა და მაქსიმე ქიქოძის ცხენის საქმეზე

1818 წ. 19 ივლისი

ჩყიზ-სა წელსა, ივლისის **ით**-სა დღესა

შ ა ლ ი კ ა ი შ ვ ი ლ ი ბ ი ჭ ი ა და მ ა ქ ს ი მ ე ნ მღდელი ქ ი ქ ო ძ ე გავაბჭვეთ.

შ ა ლ ი კ ა ი შ ვ ი ლ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: ეს კაცი ყოველს დღეს ბატონს მასმენს, მთხრის; შინიდამ ცხენი წამართვა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ქ ი ქ ო ძ ე მ უ პ ა ს უ ხ ა: ცხენი ებარა ამ კაცს ჩემი, დამიკარგა, ვსთხოვე და არ მომცა. ბატონ[ს] შევეხვეწე და მოურავს, მაგრამ სამართალი ვერ ვიშოვნე მე მისი და მართალია, ცხენი ვემტერე. ბატონის ბრძანება მომივიდა და ცხენი ისევ მივეცი და ჩემს მინაბარებს ცხენს ვითხოვ.

შ ა ლ ი კ ა ი შ ვ ი ლ მ ა უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, ცხენი მომაბარე, მაგრამ, თუთხმეტი დღის ბორჯობით მივიბარე, მერმედ ცხენი შენს ძმას ვაძლიე, არ წამოიყვანა, შენ შამოგითვალე და არ წაიყვანე, მერმედ ცხენი დაიკარგა და ამისთვინ მემტერე, ეზოიდამ ცხენი გადმგვარე, რას მემართლებოდა არ ვიცი.

ქ ი ქ ო ძ ე მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენც ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქიქოძემ სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ბორჯობით მე შენთვის ცხენი მომებარებიოს და არც შენგან ის შემტყობოდეს, რომ ცხენი წაიყვანეო, შენი შამოთლილობა არც ჩემს ძმას ეთხრობიოს და არც სხვას ვისმეს და არც შენი ეზოიდამ ის ცხენი არც მე და არც ჩემს გამოგზავნილს კაცს არ წაგვყვანოს».

თუმც ასე უფიცოს, ცხენი შალიკაშვილმა მისცეს ქიქოძეს. და თუმც ვერ უფიცოს, ცხენი მისი ძმისთვის უძლევია და არ წაუყვანია, შეუთვლია და არ წაუყვანია, ბორჯობით მიუბარებია, ბორჯს შიგნით არ წაუყვანია და ბორჯს მერმედ დაკარგულა ცხენი და ნუღარ ედავება. და თუმც ვერ გაუმართლდეს, ეზოს გატეხის საუპატიო მისცეს და ერთი ცხენი, რომელიც წაუყვანია, იმისი ზედნადები.

* აკლია ერთი სიტყვა.

259. განჩინება იოსებ არხიმანდრიტისა და ბესია ჟორჟანიას ძმის საქმეზე

1818 წ. 16 ივლისი

[v] ჩყიზ-სა წელსა ივლისის **ივ**-სა დღესა.

ჭ. არხიმანდრიტი ი ო ს ე ბ და ქ ო რ დ ა ნ ი ა ბ ე ს ი ა გ ა ვ ა ბ ჭ ვ ე თ.

ა რ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: შენი ძმა ს ი ს ო ი ა კვამლ კაცში ფიცი მყავდა და მოძღვარიც ვიყავი მისი, მიხმო და ფიცი ამახსნია, დედაც უყურებდა და ცოლიც, და ის კაცი ისევ მე მომცა ფიცის ახსნაშიდ, და ახლა შენ არ მაძლევ და სასამართლით მიკაობ, არ ვიცი.

ბ ე ს ი ა მ ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ბესიამ და ერთი თავისი ტოლი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც რომელშიდაც ფიცი გყავდა ჩემი ძმა სისოია, ის ფიცი სანატყუარო ყოფილიყოს და არც ტყუილი ჩამოეფიცოს შენთვის და არც მე და არც მის დედასა და ცოლს გვეანლებიოს, რომ მოკვდება და მაინც მოგცემთ მეთქინ და არც საამქვეყნიო ჭკუა იმას მაშინ ჰქონებოდეს». თუმც ასე უფიცოს, არხიმანდრიტი ნუღარას ედავება. და თუმც ვერ უფიცოს, რომელშიდაც მისი ძმა ფიცი ყოფილა, ის კაცი მისცეს ბესიამ არხიმანდრიტს.

260. განჩინება ბერი ბერიძისა და მამუკა ვადაჭკორიას საქმეზე

1818 წ. 19 ივლისი

ჩყიჱ-სა წელსა, ივლისის ით-სა დღესა

ბერი ბერიძე და მამუკა ვადაჭკორია გავაბჭვეთ.

ბერმა უჩივლა: სამტეროს იარებოდი საერისთოში, გნახეს და დაგიჭირეს და ერისთავს მიგგვარეს. გამოგზავნა ბატონმა კაცი და გაგიშვეს ყოვლიფრიანათ; გამობრუნდით შენ და შენმა ძმა[მ] და ოთხი ზროხა და ხარი და ერთი ჭაკი ცხენი წამართვით, ერთი ზროხა დაკალი და სამს ზროხაში ოცი ასფარიანი მოგეცი და დავიხსენი და ერთი ზროხა, ერთი ჭაკი ცხენი და ოცი ასფარიანი ხელთ გაქვსთ და ვითხომ.

ვადაჭკორიამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ვადაჭკორია და ორი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც მე წამოვსულიყო და მემტერებიოს, არც ჩემი ძმა ჩემის ანლობით წამოსულიყოს და არც იმ ზროხასა და ხარში არც ცხენში და არც თეთრში მე რამე მრგებოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, რომელშიდაც გამტყდეს, ერთიორად მისცეს. და რადგანც ეს თავს მართლულობს და მის ძმას წაურთმევია, როდესაც ობოლი გამოზარდოს, მას გარდაახდევინოს ბერიძემ.

261. განჩინება გოგიელა მათითაიშვილის და მარშანუხა გვარჯალაძის საქმეზე

1818 წ. 18 ივლისი

[7] ჩყიჱ-სა წელსა ივლისის იჱ-სა დღესა

ქ. გოგიელა მათითაიშვილი და მარშანუხა გვარჯალაძე გავაბჭვეთ.

მათითაიშვილმა უჩივლა: სიმინდი მქონდა ზროხაზედ გასაყიდი. მოვიდა ეს კაცი და ზროხა შემომპირდა და თერთმეტი ქილა სიმინდი მივეცი.

გვარჯალაძემ უპასუხა: მართალია, კაცმა თავდებად დამაყენა, სიმინდი გამოგართვა და ხუთ ნახევარშიდ თავდებათ დამაყენა, მას უნდა ზროხა მიეცა და შენ უნდა თეთრი გაგეთავებია. მერმედ, რომელმანც თავდებათ დამაყენა, ის გარდავიდა, მერმედ მე თოფი მოგეცი, ხელცარიელი ვერ დაგაყენენ; და გთხოვ ჩემს საწინდარს და აღარ მაძლევ, რას მემართლები, არ ვიცი.

მათითაიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან მათითაიშვილი და ასე დაუფიცოს: «არც მე ის სიმინდი ზროხაში თუ მოგეცი, თორემ არც თეთრში და არც საქონელში სხვაში არაფერში მომეცეს და არც გამოსათავს შეგპირებოდე». თუმც ასე უფიცოს, თუთხმეტ ყურუშად რომ ღირდეს, იმისთანა დეკნა მისცეს. და თუმც ვერ უფიცოს, მათითაიშვილმა თეთრი მისცეს გვარჯალაძეს და გვარჯალაძემ თოფი დაახსნას მათითაიშვილს.

გვარჯალაძემ უჩივლა: საწინდარი რომ არ დამახსენი, იმისთვის იარაღი[1] ამყარეს. გავშინჯეთ, მაგრამ თავდების ხელით მიცემული დარჩა და აღარა გაჩნდა რა იმისი.

262. განჩინება აკოფა მეფისაშვილისა და მაჭსიმენა ღლონტის ცხენის საქმეზე

1818 წ. 26 ივლისი

ჩყიჱ-სა წელსა, ივლისი[ს] კვ-სა დღესა

მეფისაშვილი აკოფა და ღლონტი მაჭსიმენა გავაბჭვეთ.

ღლონტმა უჩივლა: სტეფანე ხანუმაშვილი მეგობარი იყო ჩემი და ჩემსას დაიარებოდა და ჩემის ოჯახშით ვაჭრობდა. ჩემის სახლის კაციდგან ცხენი ვაყიდვიე; და ამ კაცმა წაართვა და რა მიზეზისათვის წაართვა, არ ვიცი.

მეფისაშვილმა უპასუხა: მე ცხენი ვიყიდე დგებუაძიდგან ას და ოთხ მარჩილად და ქუთაის[ს] დამეკარგა, ვეძებე და ვერა შევიტყევ. მერმედ მთხრობელი მომივიდა და ორმოცი მარჩილი სამთქმელო მივეცი და ჩემი ცხენი მაჩვენა და მეც ვიცანი და კამანდათს შევეხვეწე და ჩემი ცხენი მომცა და წაიყვანე.

ღლონტმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითონ ღლონტი და ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ დგებუაძისაგან ცხენი ვიყიდეო — მიჩივი, [ვ] ხანუმაშვილს რომ შენ ცხენი წაართვი, ის ცხენი არც დგებუაძისაგან გეყიდოს, არც სხვა კაცისაგან ნაყიდი გყოლებოდეს, და არც მის ღღეში შენ ის ცხენი გყოლებოდეს, რაც ახლა ამას ძალით არ წაართვი, და არც იმ ცხენში შენ რამე გამოგეღოს»:

თუმც ღლონტმა ასე სრულად დაუფიცოს, ღლონტისაგან მიყი-

[1] იარაღი.

დული ცხენი ტყუილად წაურთმევია მეფისაშვილს და თავისი ცხენი ხანუმაშვილს ზედნადებით მისცეს მეფისაშვილმა. და თუმც ვერ დაუფიცოს, მეფისაშვილს მთხრობლით შეუტყვია და თავის ცხენი ხანუმაშვილის ხელში უნახავს და წაუყვანია მეფისაშვილს. და ხანუმაშვილს რაც ფასი ღლონტისათვის მიუცემია, ის ღლონტმა გაუბრუნოს; და სამთქმელოში მეფისაშვილმა დააჯეროს. და როგორც ნაქურდლის რიგი იყოს, ისე გარდაუხადოს ცხენიცა და სამთქმელოც ღლონტმა მეფისაშვილს, თუმც სხვა ქურდი ვერ გაუტეხოს.

263. განჩინება ივანე ჯღენტისა და იოანე ვაშალომიძის საქმეზე

1818 წ. 26 ივლისი

ჩყიზ-სა წელსა, ივლისის კვ-სა დღესა

ივანე ჯღენტი და იოანე ვაშალომიძე გავა-[ბ]ჭვეთ.

ჯღენტმა უჩივლა: შამომეხვეწა ეს კაცი და ცოლისათვის მირონი მაცხებია და ერთი ცხვირსახოცი და ერთი ფრული მაშვინ მიულოცე, ცოტა ნამსახურიც მჭონდა მე მისგან და მოვიდა, ცხენი მთხოვა, ბატონის სამსახურზედ მეჸირვებაო და ზროხა დამპირდა მეოთხედშიდ და მეოთხედშიდ ცხენი მივეცი და მან ზროხა აღარ მომცა. მერმედ მე ნიკოლოზა შალიკაშვილის ვალი მემართა; და მოვიდა შალიკაშვილი და ამის საზიარო ცხენი წამართვა, მე შენ შეგატყობიე და რადგან მე მაზედ პირი არ მიმიღებდა, შენ გითხარი, რომ წადი და შენი კერძი ცხენი ამოიყვანე მეთქინ. შენ წადი და ცხენი ამოიყვანე და მე სულ დამეკარგა და მათხოვარი ვარ.

ვაშალომიძემ უპასუხა და თავის ნამსახურის ანაწერი მოიტანა და ასე უჩივლა: ამდონი ნამსახური მჭონდა და ნახევარი ცხენი [8] მომეცი და ის ცხენი შენმა მევალემ წაიყვანა. მოვედი და გაგიკითხე და მაშინაც მიალნე, ნახევარი შენია და ამოიყვანეო. წავედი, ვიფიცე და ნახევარი ამოვიყვანე და შენი საკედარი ნახევარი თიკანაძის ვალი მართებოდა და იმაშიდ მისცა შალიკაშვილმა და მე თიკანაძისაგანაც ვითავდებე და მოგიყვანე ბორჯობით, მაგრამ არ დაიხსენით და მე რაღას მედავები, არ ვიცი.

ჯღენტმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ჯღენტმა ექვსი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც თაობაშიდ მე შენთვის მეოთხედი ცხენის მეტი მომეცეს, არც ბოლოს რომ მიჩივი, შალიკაშვილმა რომ წაიყვანა, მაშინც ნახევარი მიალნეო და შევფიცეო — არც თავშიდ და არც ბოლოშიდ მეოთხედი ცხენის მეტი არც მომეცეს და არც მეალნებიოს და არც ეს ნამსახურის ანაწერი რომ მოიტანე, შენი ნამსახური იმ მეოთხედ ცხენშიდ თუ ამითავდებოდა, თორემ სხვა შენი ნამსახური მე არაფერი არ შემრჩენოდეს».

თუმც ასე უფიცოს, ის ნახევარი ცხენი საზიაროთ დარჩა და რ[აც] იმ ცხენებისაგან წილი გამოხდომოდეს ვაშალომიძეს, ნახევარი მისცეს ჯღენტს ვაშალომიძემ გაცემულისაც და რაც ხელშიდ ჰყავს ისიცა და ჯღენტმა ფიცით აახსნევინოს შალიკაშვილს ვაშალომიძისათვის.

და თუმც ვერ უფიცოს ჯღენტმა, ბევრი ნამსახური ჰქონებია ვაშალომიძეს და ჩამოეთხოვოს ჯღენტი, ნუღარას ეძავება.

ჯღენტმა უჩივლა: შენ მითხარი: ცხენის დახსნა თუ გინდა, შალიკაშვილს თეთრი მიეცი და ნახევარს ცხენს დაგახსნისო. წავედი და ოცდაათი ყურუში თეთრი მიუტანე, ათი ყურუში დამაკლდა, ათ ყურუშ[შ]ი კარგი თოფი, ოთხმოც მარჩილად ღირდა, დავაწინდრე; და შენის სიტყვით თეთრიც დამეკარგა და თოფიც. და რომელსაც ზემოდ მიჩივი, ზროხა რომ დამპირდი, მე ცხენი კი მოგეცი და შენ ზროხაც მომატყუე და აღარ მომეცი.

ვაშალომიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თეითან ვაშალომიძე და ორი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ ჩემის სიტყვით თეთრისა და თოფის დაკარგვას მიჩივი და ზროხა დამპირდიო, არც ჩემის სიტყვითა და საქმით შენ ის თოფი და თეთრი არ დაგკარგოდეს და არც ცხენში ზროხას დაგპირებოდე, არც შენ ზროხას შემპირებოდე».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს და თეთრსა და თოფში გამოტყდეს, მისი სიტყვითა და გაპირებით დაკარგვია და გარდაუხადოს ნახევარი, რადგანც მის მევალეს წაურთმე[ვია]. და ძროხაშიდ თუ გამოტყდეს, მას ცხენი მიუცემია, ეს ზროხას შეპირებია, მოყრობა ჰქონიათ და როგორც [v] შეპირებოდეს, ისე ზროხა დაუყენოს ვაშალომიძემ ჯღენტს და ისევ ერთმანე[რ]თისათვის იყვნენ.

264. განჩინება კანდელაკებისა და გოგიტა ხავთასის საქმეზე

1818 წ. 13 აგვისტო

ჩყიზ-სა წელსა, აგვისტოს **იგ**-სა დღესა

ჭ. კანდლაკის შვილები ოტიელა და კაკაბა და ხაფთასი გოგიტაი გავაბჭვეთ.

კანდალაკის შვილმა უჩივლა: გოგო მყავდა ნამგზითევი სანდომისაი და ბოზობით წამიხდინა, გადამბირა და გამიყიდა და სუმთლათაც დამიკარგა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გოგიტამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გოგიტამ ოცდაოთხი კაცი და ასე შეაფიცოს: „არც შენი ნამზითვი გოგო სანდომისა, შენ რომ მეწამები, იმ გვარად წამეხდინოს, არც[1] ჩემით შენ ის დაგკარგოდეს და არც მე იმაშიდ რამე ამეღოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ასე ვერ გაუმართლდეს და გოგოს წახდენაშიდ გამოტყდეს, ერთი გლეხის საუპატიო მისცეს. და გოგოს წართმევაშიდ თუ გამოტყდეს, გოგოზედ ნადებით მისცეს ხაფთასმა კანდალაკს.

ხაფთასმა უჩივლა: დედაშენმა ნაძიძავებშიდ თავდებად დამაყენაო, და ანაწერიც მოიტანა.

კანდალაკმა უპასუხა: მე ამისი მომსწრე არა ვარ და არ ვიცი.

ჩვენ გავშინჯეთ, მაგრამ სამართალი ხაფთასს დარჩა; წამოდგეს თვით გოგიტამ და ასე დაუფიცოს: «ეს ანაწერი არც ტყუილი იყოს და კიდეც დავეყენებიო დედაშენს თავდებათ და არც გავესტუმრებიო ამაშიდ». თუმც ასე უფიცოს ხაფთასმა, თუ გაესტუმრებიოს ის, ვისიც თავდები იყო, კანდელაკმა ხაფთას[ს] გარდაუხადოს. და თუმც არ გაესტუმრებიოს ხაფთას[ს] და ემართოს, კანდალაკმა ან მოვალე გაუსტუმროს და ან ხაფთას[ს] მისცეს, რამდენიც ვალი იყოს.

კანდალაკმა უჩივლა: ეს კაცი რომ ჩემს გოგოს ეჩ[ვ]ეოდა, დედაჩემმა დაითხოვა და დედაც გამილახა და მრავალი უკადრისიც ჰკადრა და ამის პასუხს ვითხოვ.

ხაფთასმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ხაფთასი და სამი. კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ დედის გალახვას მეწამები, მე დედაშენი არც გამელახოს და არც უკადრისი რამე მეკადრებიოს».

[9] თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, გალახულობისაებრ საუპატიო მისცეს კანდალაკს.

ხაფთასმა უჩივლა: მამაშენმა ასი მარჩილი და თოფი გამომართვა და მათხოვარი ვარ.

კანდალაკმა აშორო უთხრა.

[1] + არც.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან კანდალაკმა, სამი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ თოფს მედავები, მამაჩემს ის თოფი არც გამოერთმიოს და არც რამე შერჩენოდეს შენი». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ხაფთასმა აჯით შეატყობინოს და კანდალაკმა გარდაუხადოს, როგორც ღირებულ იყოს.

კანდალაკმა უჩივლა: სამტეროს წამიტანა, ქარციაძეს ვევალებიო და თათრები მოიპაინა და მყიდდა, პაიმანი შეეშალა და ერთი დღე და ღამე ტყეშიდ ვხა[ვ]დი და ღმერთმა გადამარჩინა, თორემ მისით გამყიდა.

ხაფთასმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ხაფთასმა და ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «მე შენ არც საღალატოთ და გასაყიდათ მომენდომებიო და არც სამტეროს წამეტანო». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, მესამედი სისხლი მისცეს ხაფთასმა კანდალაკს.

ხაფთასმა უჩივლა: მამაშენმა ცხენში თავდებათ დამიდგა ანთაძესთან, არ მომცემია და მათხოვარი ვარ.

კანდალაკმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კანდალაკმა ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაჩემი შენ იმ ცხენში თავდებათ დაგდგომოდეს და არც შენი რამე შერჩენოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, როგორც ღირებული, ხაფთასმა აჯით შეატყობინოს და კანდალაკმა გარდაუხადოს.

კანდალაკმა უჩივლა: სამოცდაათი ყურუშის თოფი გამოართვი მამაჩემს და მათხოვარი ვარ.

ხაფთასმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ხაფთასმა ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე მამაშენისათვის არც თოფი გამომერთმიოს და არც რამე შემრჩენოდეს მისი». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, როგორც ღირებული, კანდალაკმა აჯით შეატყობინოს და ხაფთასმა გარდაუხადოს.

265. განჩინება გაბრიელ და მახარობელ ჩხაიძეების საქონლის საქმეზე

1818 წ. 18 აგვისტო

[v] ჩყიშ-სა წელსა, აგვისტოს იშ-სა დღესა

გაბრიელ ჩხაიძე[1] და მახარობელი ჩხაიძე გამოცხადდნენ.

გაბრიელ უჩივლა: ერთი ხარი მყავდა ჩემი მარჩენალი და წამართვა ამ კაცმა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

მახარობელმა უპასუხა: ჩემს ყანაში მიეჩვია ამისი ხარი და დავითხოვე ერთჯელ, ორჯელ და მრავალჯელ, მაგრამ არ დამეთხუა. მერმეთ, მარიობას, შინ მიველდი, რუსის სამსახურზედ ვიყავი და საღამოს ჩემი ყანის გვერდში ვნახე ამისი ხარი და უთხარი: ამღამ კიდევ ჩავა და დამაფსებს და ნუ მიზამ მეთქინ და არ გამიგონა; და იმ ღამეს ჩასულიყო ჩემს ყანაშიდ და სუნთლად წაეხთინა და შეეჭამა; და ქალს დაეჭირა ყანაში და მე წავიყვანე, საცაუში რომ მოვა[2], მივსცემ მეთქინ: აღარ მოვიდა, მომიხთა შინ, ცოლი და შვილი გამილახა და შვილიც წამართვა, მომთხარა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გაბრიელ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან გაბრიელ და თერთმეტი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც დამეთხოვნო და არც ჩემი ხარი შენს ყანაში და კანაფში ჩასულიყოს და არც რამე წაეხთინოს და არც შინ მოგხთომოდე და არც უკადრისი მეკადრებიოს და არც შვილი წამერთმიოს».

თუმც ასე უფიცოს, ხარზე ხარი დაუდვას. და თუმც ვერ უფიცოს, შინ მიხთენია და შინ მიხთომის სისხლი მისცეს და შვილის წართმევის საუპატიო მისცეს. ან ხარს რაც ეწყინოს, მახაროველმა აჯით შიატყობინოს და გაბრიელმა გარდაუხადოს.

მახარობელმა უჩივლა: მოყვარე მყავდა, შვილი მომაბარა გასაზდელათ და ნახევარს ზროხას მაძლევდა გაზდაში, ჩემსას მოვიდა, შენ გარდამბირე, მოყვარეც დამიკარგე და ის ზროხაც დამიკარგე და მათხოვარი ვარ.

გაბრიელ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გაბრიელმა ერთი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც შენის მტერობით და ქიშპობით მე ის გადამბიროს და არც ძალით და არც შენის მტერობითა და ქიშპობით მე ის ზროხა გამომერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, მისი გადაბირებით ზროხა დაკარგვია და გარდაუხადოს გაბრიელმა მახაროველს.

[1] ჭჩხაიძე. [2] + და.

266. განჩინება იოვანე ნაკაშიძისა და ონისიმე მენაფირეს ყმის საქმეზე

1818 წ. 19 აგვისტო

ჩყიშ-სა წელსა, აგვისტოს ით-სა დღესა

ნაკაშიძე იოვანე და მენაფირე ონისიმე გამოცხადდნენ.

ნაკაშიძემ უჩივლა: ამ კაცმა კაცი გადმბირა, ხელ[თ] ჰყავს არ მაძლევს და რას მემართლება, არ ვიცი.

მენაფირემ უპასუხა: ბატონი და თქვენ მომდურავათ იყავით და გიწყრებოდა ბატონი და მტერობაც იყო იქით-აქეთ. და შენი კაცი მიენდო ბატონს და ბატონმა ჩემდა მეზობლად დააყენა და იდგა. მე ერთი გოგო მყავდა და წამიხდინა, დამიორსულა და ის გოგო შობაზედ [10] მოკვდა; და შენი კაცის მიზეზით დამეკარგა და თუ მეთხოვება, ჩემი გოგოს სისხლსაც ვითხოვ.

ნაკაშიძემ უჩივლა: მართალია, ბატონი კი მიწყრებოდა, მაგრამ ბატონმა ახლა ყოლიფერი მიბოძა და შენ მიკაობ და მაშინ შენ და შენმა ძმამ ისაქმეთ და თქვენის ჩხუბითა და მტერობით გადმბირეთ და გოგო არადა, შენთვისაც რომ რამე ეწყინა, არა მენაღვლებოდა.

მენაფირემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს მენაფირემ თორმეტი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «შენ და ბატონი რომ მომდურავათ იყავით, იმისთვის თუ მოვიდა, თორემ არც მე და არც ჩემს ძმას იობას ის კაცი თქვენის ჯინისა და მტერობისათვის არ გადმოგვებირებიოს. და შენმა კაცმა რომ გოგო წამიხდინა, იმის მიზეზით ორსულობაზეც მომკდარიყოს და დამკლებოდე[ს] ის გოგო».

თუმც ასე უფიცოს, რადგანც გოგო მოჰკდომია მისის მიზეზით, როგორც სამართლის წიგნში სწერია, ისე ერთი მსახურის სისხლი მისცეს ნაკაშიძემ; და მენაფირემ კაცი მისცეს ნაკაშიძეს. და თუმც ვერ უფიცოს, თავის მტერობითა და ჩხუბით გარდაუბირებია. და რაც დაშავებია მენაფირეს, თავისთავს დააბრალოს და კაცი მაინც ნაკაშიძეს მისცეს.

267. განჩინება ხუტუ ღლონტისა და პაატა მეჯინიბისშვილის მამულის საქმეზე

1818 წ. 18 აგვისტო

ჩყიწ-სა წელსა, აგვისტოსა იწ-ს დღესა

ხუტუ ღლონტი და პაატა მეჯინიბისშვილი გავაბჭვეთ.

ღლონტმა უჩივლა: ჩემ[ე]ა სიმაურმა კომლი კაცი მიმგზითვა და ის კომლი კაცი გარდამივიდა, მამული დარჩა და შენ გაქვს და მათხოვარი ვარო. და წიგნიც მოიტანა ნამგზითვის.

მეჯინიბისშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს მეჯინიბისშვილმა რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ის ალაგი და იმდენი კაცი ასე შეაფიცოს: «შენ რომ იმ წიგნში კაცი გიწერია და მედავები, არც იმ კაცისსეული ალაგი ეს იყოს და არც მას ჰქონებოდეს ეს ალაგი და არც სხვა მჭონდეს მე მისისოული ალაგი».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, როდესაც გამოსდევებია მას, მერმენდელის ნაცთურიანად მისცეს ის ალაგი ღლონტს მეჯინიბისშვილმა.

268. განჩინება გიორგი და ლევან თავართჭილაძეების უმის საქმეზე

1818 წ. 13 აგვისტო

[ν] ჩყიწ-სა წელსა, აგვისტოს იგ-სა დღესა

თავართჭილაძე გიორგი და თავართჭილაძე ლევანა გავაბჭვეთ.

ლევანმა უჩივლა: ეს კაცი მოყვარე არის ჩვენი და კაცი მიეყიდე წიგნითა და პირობით და ამ კაცმა წაართვა, მაგრამ რას საბუთით არ ვიცი, თუ რამ სადაო ჰქონდა, ჩემთვის უნდა ეძავებინა, თორემ ამას რას ემართლებოდა.

გიორგიმ უპასუხა: ამ კაცმა რომ კაცი მიჰყიდა, იმ კაცის დედა ჩემს კაცს ნაყიდი ჰყავდა ართმელაძისაგან და მერმეთ ჩვენ ვიშოვნეთ და ბარჯ გივის შვილმა ბუში შეაქნა და ის კაცი მოვთხარეთ და მოეკალით და ის ქალი გავყიდე და ბუშიც. და მერმეთ ბუში ისევ დავიხსენი და ქალიც ჩემთან მოვიდა. და ქალს ისევ მისმა პატრონმა მოსდია, ვისიც ნაყიდი იყო და წაიყვანა და ბიჭი მე მყავდა და ამდონ[ი] ხანი გამოვიდა, მაგრამ არც ეს კაცი და არც სხვა მოდავე არავინ მინახამს. და ახლა ბიჭი ამან გამიყიდა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ლევანმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ლევანმა ორმოცდარვა კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «უდროობითა და გარდავარდნილობით თუ ვერ გედავე, თორემ სამართლიანის გზით ის გოგო არც შენი ყოფილიყოს, არც შენი კაცის ნაყიდი ყოფილიყოს და არც შენ გყოლოდეს და არც წყალობად ვისმეს შენთვის მიეცეს და არც რაიმე გრეოდეს ამ ბიჭს და ამ ქალში, არც შენ და არც მამაშენს, ტყუილად თუ გყავდა თორემ».

თუმც ასე უფიცოს ლევან, უდროობითა და გარდავარდნილობით ვერ უდავებია, ნაყიდი არ ყოლია და წყალობად არავის მიუცემია და არც ჰყოლია. და გავსინჯეთ, მაგრამ რადგან დღემდის არ უდავებია, ქალი ზედნადებით არ გაუჩნდა და ისევ ის ქალი მისცეს. და ბიჭი რადგანც წაურთმევია, ბიჭი ზედნადებით მისცეს.

თუმც ლევანმა ასე სრულად ვერ გაუმართლდეს, გიორგის ბიჭი გაუყიდია ლევანს და გიორგის მისი ბიჭი ისევ ხელთ ჰყავს; და ლევანს რაც ფასი აუღია ბიჭშიდ, ის ფასი გიორგის დაუდვას ბიჭზედ და მისცეს.

გიორგიმ უჩივლა: იმ ბიჭის საქმეზედ ერთი კაცი დამიჭირეს და ერთი გამილახეს და რას მემართლებოდა არ ვიცი.

ლევანმა უპასუხა: ამ კაცის მამა და მამაჩემმა რომ გაიყო, მამაჩემს ხვდა ის კაცი სახვედრში და მე მყავდა, მერმედ ჩემს მოყვარეს მე კაცი მიეყიდე და ამ კაცმა წაართვა, და მერმედ მე ჩემს კაცს შევსწამე და ეს ჩემი ძმა მოყვარე ჩემ კაცსზედ აუშვი, მართალია, დაიჭირეს და გალახეს, ჩემს ძმას იმის მამამ თოფი ესროლა და ღმერთმა გარდაარჩინა, თორემ მისით მოჰკლა; და თუ შეუალ სამართლით, ჩემის ძმის სისხლსაც ვსთხოვ.

გიორგიმ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გიორგიმ ოცდაოთხი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაჩემი და არც მამაშენი რომ გაიყო, მაშინ კვიროზაი ხუცის შვილი და მისი შვილები ნიკოლაოზა და იესე მამაშენს ხვდენოდეს სამართლიანის გზით, არც მერმედ გეშოვნოს და არც იმაში რამე მიყავდეს».

თუმც ასე უფიცოს, კაცი გიორგის [11] ყოფილა და უბრალოდ გაულახვან და დაუჭირვან; და კაცის დაჭირვისა და გალახვის საუპატიო მისცეს ლევანმა. და თოფი რომ უსროლია, ტყუილად მიხდომია

შინ, და თავისთავს დააბრალოს თოფის სროლა. და თუმც ვერ უფიცოს, ლევანს თავისი კაცი დაუჭირავს და გაულახავს და გიორგის სიტყვა არა აქვს. და რომელსაც თოფი უსროლია ადალოსათვის, იმ თოფის მასროლმა ნახევარი სისხლი მისცეს ადალოს.

გიორგიმ უჩივლა: მართალია, ჩემმა კაცმა თოფი გესროლათ, მაგრამ მაგიერი თქვენც ისროლეთ და ქალს მოხდა მღლიავშიდ.

ლევან აშოროთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ლევანმა სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «უცებ და უნებურად თუ ვინმეს გაუარდა, თორემ გამგებ არც ქალისა და არც კაცისათვის არ ესროლოს არავის». თუმც ასე უფიცოს, როგორც დაგვიწერია, ისე მისცეს ადალოს. და თუმც ვერ უფიცოს, მეოთხედი სისხლი მაინც მისცეს, რადგანც უმეტესი კაცი არის, ადალოს.

გარდა ამისა გიორგიმ უჩივლა: ამან რომ კაცი გამიყიდა, იმ ბიჭში მენაფირემ კაცი დამიჭირაო. გავსინჯეთ, მაგრამ თუმც ზემო წერილშიდ ლევანმა იფიცა, გიორგის სიტყვა არაფერი ექნება; და თუმც ვერ უფიცოს, უსამართლოდ დასჭირვია კაცი და კაცის დაჭირვის საუპატიო მისცეს ლევანმა გიორგის.

269. განჩინება ქაიხოსრო სეხნიეიშვილისა და მაჭახიმენა ბერიძის საქმეზე

1818 წ. 23 აგვისტო

ჩყიზ-სა წელსა, აგვისტოს კგ-ს დღესა

ქაიხოსრო სეხნიეიშვილი და მაქსიმენა ბერიძე გავაბჭვეთ.

ბერიძემ უჩივლა: ზაალ ერისთავმა შალიკაიშვილს ერთი კუდა ცხენი გამოართვა და ერთი ბიჭი მისცა — გაბრიელა ოსეფაიშვილი; და შალიკაიშვილს ჩვენ გამოვართვით; და ჩვენ იმ ბიჭმა შინ მოახლე დაგვიორსულა; და იმაზედ იმ ბიჭმა შეშინდა და შენთან მოვიდა. მერმედ ბუში ეყოლა გოგოს და ის ბუში მღდელმთავარმა წაიყვან[ა], გოგომ შვილის გამორთმევა იხუა და ისიც დაიკარგა და ამდენი ზნიანიც მომივიდა და ჩემს კაცსაც აღარ მაძლევ და რას მემართლები, არ ვიცი.

სეხნიეიშვილმა აშოროთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: რადგანც ახლა ორ მოსახლედ ყოფილა: წამოაყენოს სეხნიეშვილმა ორმოცდარვა კაცი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «შენ რომ გაბრიელა ოსეფაიშვილსა და მის შვილებს მედავები, ის გაბრიელა ოსეფაიშვილი არც მამაშენს, არც ბაბუაშენს და არც ბიძაშენს[1] არც ვინმეისგან ეყიდოს და დაეხსნას და არც ვინმეს მიეცეს და არც საყმოდ ჰყოლებოდეს და არც სამართალი დამეკავებიოს».

თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექმნება ბერიძეს; და თუმც ვერ უფიცოს, თავისი კაცი რამდენიც იყოს, იმდენი მისცეს და ნაცთური რაც დაჰკლებოდეს, ბერიძემ აჯით შეატყობინოს და სეხნიეიშვილმა გარდაუხადოს ისიც.

სეხნიეიშვილმა უჩივლა: ამ კაცმა ჩემს ჭიშკარზედ დამიჯდა სასიკვდილოთ, მე ვეღარ მომკლა და რვა ცხენი წამოიყვანა, ჩემს პირობაშიდ ჩემი მეზობლის ჯაყელის და ჩემი სხვისგან ნაბარევი, და ერთს შენახვაშიდ მაძლევდა ის მომბარებელი, და ისიც დამიკარგა და მათხოვარი ვარ.

ბერიძემ აშოროთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბერიძემ ოცდაოთხი გლეხი კაცი ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მე შენ ჭიშკარზედ და არც სხვაგან სასიკვდილოთ დაგჯდომოდე და არც მე რომ ცხენები წამოვიყვანე [v] და ბატონის ბოქაულებმა გამომართვეს და თავ-თავის პატრონს მისცეს; და რომელიც დამრჩა და იმაშიდ თქვენ ზროხები იმტერეთ და ოცდაათი მარჩილი კიდევ სხვა დაგვადებიეთ, იმ ცხენებშიდ მე არაფერი შემრჩენოდეს და არც შენ რამე გზნიანებოდეს».

თუმც ასე უფიცოს, გავშინჯეთ, მაგრამ რადგანც ბატონს ბოქაულით გამოურთმევია და მიუცემია და იმათაც თავისთავი თვითონ გაუმლენიათ, ამისთვის ზედნადები და საუპატიო აღარ გაჩნდა. და თუმც ვერ უფიცოს, ღალატად დაჯდომისათვის სრული სისხლი მისცეს. და სხვა რაც ზნიანებოდეს, სეხნიეიშვილმა აჯით შეატყობინოს და ბერიძემ გარდაუხადოს.

და თუმც სეხნიეიშვილმა ზემორ წერილში ვერ გაუმართლდეს, სეხნიეიშვილს კაცები წაურთმევია უსამართლოდ, სამართალი უთხოვნია ბერიძეს და არ მიუცემია და ამისთვის უქნია ბერიძესაც და ნუღარ აფიცებს ბერიძეს.

ბერიძემ უჩივლა: მოჯალაბეს დაჰპირდა მამაშენი მამაჩემს და მამაჩემ[მ]ა ერთი კარგი თოფი და რამოდენიმე თეთრიც იმაშიდ მისცა და ისიც ხელთ გუყავს და მოჯალაბეც მოგვატყოვა და მათხოვარი ვარ.

1 ბიბიძაშენს.

სეხნიეიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიეიშვილმა ექვსი[1] გლეხი კაცი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაშენს მამაჩემი მოჯალაბეს დაჰპირებოდეს და არც თეთრი და არც თოფი არც მიეცეს და არც შერჩენოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ბერიძემ აჯით შეატყობინოს და სეხნიეიშვილმა თეთრი ზედნადებით მისცეს და თოფის ფასი, როგორც ღირებულ იყოს.

სეხნიეიშვილმა უჩივლა: მამაშენს და ბიძაშენს თოფი შერჩა მამიჩემის და მათხოვარი ვარ.

ბერიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბერიძემ ექვსი[1] კაცი ანუ ამავალი და ასე შეაფიცოს: «არც მამაჩემს და არც ბიძაჩემს შენ რომ თოფს მედავები, მამაშენს არც მიეცეს და მიეხარებინოს და არც შერჩენოდეს მამაჩემს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, სეხნიეიშვილმა აჯით შეატყობინოს და ბერიძემ გარდაუხადოს, როგორც ღირებულ იყოს.

ბერიძემ უჩივლა: შაფაქიძეზედ სამტეროდ მოხვიდოდი და ნასათბვარშიდ მამაჩემი გადაგეყარა, ერთი კაცი იახლა მამაჩემს და ის კაცი შემოკალით, მამა დამიჭირეთ, შეიტყვეს, და აღარ გამატანეს და მჭირს ეს საქმეები შენგან.

სეხნიეიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიისშვილმა ოცდაოთხი კაცი გლეხი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც შაფაქიძის სამტეროთ წამოვსულვიყოთ, არც მამაშენი დაგვეჭიროს და [12] არც მამიშენის მხლები კაცი მოგვეკლას, არც ჩვენ და არც ჩვენს მხლებს კაცს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ უფიცოს, მამის დაჭირვის საუპატიო მისცეს და კაცის სიკვდილში მრთელი სისხლი, რის გვარისაც ის კაცი ყოფილიყოს.

სეხნიეიშვილმა უჩივლა: მამაჩემმა ნაშოვარი მტყვეები მიაბარა ბაბუაშენს და გაუყიდა და იმისი ფასი ორასი ფრული შერჩა და მათხოვარი ვარ. ამას გარდა ლეხოურს სიმინდი მჭონდა და ჩემი ძმა გავაგზავნე მოსატანათ და დახვდა ამან, გზა შეუკრა სასიკვდილოთ და დასაჭირავად და იმან სხვა გზით წამოვიდა, თორემ ან უნდა მოგეკლა და ან უნდა დაგეჭირა; და რას მემართლებოდი, არ ვიცი.

ბერიძემ აშორო უთხრა.

1 ექვსი.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბერიძემ ოცდაოთხი გლეხი კაცი ანუ ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაშენს ბაბუა ჩემისათვის მტყვეები მიებარებინოს და თეთრი შერჩენოდეს და არც შენს ძმას გზაზედ დავჯდენოდე და გზა შემეკრას». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს და თეთრში გამოტყდეს, ერთიორად მისცეს. და გზის შეკვრაშიდ თუ გამოტყდეს, მრთელი სისხლი მისცეს. და თუმც ყველაში გამოტყდეს, როგორც დაგვიწერია, ისე სრულად მისცეს ბერიძემ.

ბერიძემ უჩივლა: მამაჩემმა ერთი აღა თათარი დაიჭირა[1] და მამაშენს მიაბარა და მამაშენმა თავი დაახსნა, ჩვენთვის არა მოუცემია და მათხოვარი ვარ.

სეხნეიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიეიშვილმა სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მამაშენს მამიჩემისათვის თათარი მიებარებინოს და არც რამე შემრჩენოდეს მისი». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, რაც დაჰკლებია, ბერიძემ აჯით შეატყობინოს და სეხნიეიშვილმა გარდაუხადოს.

სეხნიეიშვილმა უჩივლა: ეს კაცი ბოქაულათ იყო ჩვენში და ჩავიდა ყანაში და ღომს თელვა დაუწყო. მივიდა ჩემ[მ]ა კაცმა და მოუშალა. და იმ ჩემს კაც[ს] ბევრი ცემა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ბერიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბერიძემ სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «ხუმრობით თუ ვეხუმრე, თორემ მე შენი კაცი არ გამელახოს და არც რამე უკადრისი მეკადრებოის». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ უფიცოს, გალახულობისაებრ საუპატიო მისცეს ბერიძემ სეხნიეშვილს.

270. განჩინება ქაიხოსრო სეხნიეიშვილისა და ოთარა გოგიბერიძის საქმეზე

1818 წ. 22 აგვისტო

[v] ჩყიზ-სა წელსა აგვისტოს კბ-სა დღესა

ქაიხოსრო სეხნიეიშვილი და ოთარა გოგიბერიძე გავაბჭვეთ.

ოთარამ უჩივლა: მეფის ჯარი რომ ჩამოვიდა, მაშინ

1 + მამაჩემა.

მოუძეხვი შენ და შენის დამაშაყობითა და მოძღომით ცხენი წამართვეს და მათხოვარი ვარ.

სეხნიეიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სეხნიეიშვილმა ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ჩემის და არც ჩემის შეჩენილის კაცით შენი ცხენი არც წაერთმიონ და არც ჩემით დაგკარგოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ოთარამ აჯით შეატყობინოს, როგორც ღირებულიყოს და სეხნიეიშვილმა გარდაუხადოს.

სეხნიეიშვილმა უჩივლა: შენის მოძღომითა და დამაშაყობით როსტომ ერისთავმა კაცი მომითხარა და მათხოვარი ვარ.

ოთარამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოთარამ ექვსი[1] კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ჩემის დამაშაყობითა და მიძღომით და არც ჩემის ჩხუბითა და ხერხით შენთვის ის კაცი არ მოეთხარონ». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, რაც ზნიანებოდეს, სეხნიეშვილმა აჯით შეატყობინოს და ოთარამ გარდაუხადოს.

ოთარამ უჩივლა: ბერიძის ზიარი ცხენი მყავდა, შენ გამოართვი, მოკალი და მათხოვარი ვარ.

სეხნიეიშვილმა უპასუხა: მართალია, ცხენი კი შემომაკვდა, მაგრამ მე ბერიძეს ფასი მივეცი და გავისტუმრე.

ოთარამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ერთი კაცი, რადგანც ნახევარ ცხენს ედავება და ასე შეაფიცოს: «შენ იმ ცხენში ჩემი საწილადო და ჩემს კერძში არაფერი არ მიგეცეს». თუმც ასე უფიცოს, როგორც ღირებულიყოს, ოთარამ აჯით შეატყობინოს[2] და სეხნიეიშვილმა ნახევარი გარდაუხადოს. და თუმც ვერ უფიცოს, ნუღარ ედავება ოთარაი სეხნიეშვილს, რადგანც ის კაცი სრულებით გაუსტუმრებია.

271. განჩინება იესე ოთხმიზურისა და გოგია გორგოშიძის სასიხლო საქმეზე

1818 წ. 25 აგვისტო

ჩყიზ-სა წელსა, აგვისტოს **კე** დღესა

ოთხმიზური იესე და გოგიე გორგოშიძე გაეაბქვეთ.

[1] ექსი. [2] + როგორც ღირებულ იყოს.

გორგოშიძემ უჩივლა: შარაშანიძის[1] ხიზანი **[13]** ვიყავი, მისი ალაგით ვრჩებოდი. მოვიდა ამ კაცმა და ძმა გამილახა და იმის გალახვით ძმა მომიკლდა. გა]ვრეთ უანა მჭონდა და მომეჩვია ჩემ უანაშიდ ამ კაცის ღორი და ოცი გოდორის ნამუშეირი შემიუშამა და დავითხოვე ბევრჯერ, მაგრამ არ დამითხოვა. და მას მერმეთ ღორი დავიჭირე და კაცი გაუგზავნე და შეუთვალე, რომ შენი ღორი დავიჭირე და ჩემს ნამუშეირში პასუხი გამეცი თქვა. და მეგონა, რაცხას მეტყვის თქვა, მარა პასუხის მაგიერათ მომიხვდა შინ, ცოლ-შვილი გამილახა, თვითან სატევარით დამჩეხა და მომთხარა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ამეების ოთხმიზურმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოთხმიზურმა ხუთი კაცი და მეექვსეთ თვითან და ასე უფიცოს, რომ: «შენ რომ ძმის გალახვას მეწამები, არც შენი ძმა მე გამელახოს და არც ჩემის მიზეზით შენი ძმა მომკვდარიყოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, მოსამართლეებმან გამოიძიოს და თუმც ჰეშმარიტათ შეიტყონ, რომ თუ ო[თ]ხმიზურით მომკვდარიყოს, გორგოშიძეს სრული სისხლი მისცეს ოთ[ხ]მიზურმა[2].

და გორგოშიძემ ზეით რომ უჩივლა: შენმა ღორმა ნამუშეირი წამიხდინაო და ღორი დაუჭირე და შევატყობიე და შეუთვალე — ნამუშეირში პასუხი გამეცი-თქვა, რომელიც შენმა ღორმა წამიხდინა-თქვა[3], ოთხმიზურმა იმაშიდაც აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოთხმიზურმა სამი კაცი და ასე დაუფიცოს, რომელ: «არც ჩემი ღორი შენს უანაში თუ იარებოდა და მცოდნებოდეს და არც დაგეთხოვნო, რომ შენი ღორი ჩემს უანაში ნუ იარებაო[4]; შენ მოხდომას, გალახვასა და სატევრით დაჩეხას რომ მეწამები, თუ ჩემი ღორი ავსჭარი და გაუშვი, თორემ თქვენთვის არაფერი მეკადრებიოს და არც ჩემი სატევარი შენთვის მომეხვედრებიოს».

თუმც ასე უფიცოს ოთხმიზურმა ღორის დანაშაურზედ, ღორი დაუჭირავს გორგოშიძეს და ოთხმიზურს წაურთმევია და გაუშვია. და გორგოშიძემ აჯით შეატყობინოს, რომ შენი ღორით ამდონი დამკლებოდეს და ოთხმიზურმა გარდაუხადოს.

და თუმც ვერ უფიცოს ოთხმიზურმა, გორგოშიძეს შინ მიხდომია, კაცი დაუჭრია და ღორი გაუშვია; და შინ მიხდომისათვის ნახე-

[1] სარაშანიძის. [2] + გორგოშიძეს. [3] + მაგრამ. [4] + ოთხმიზურმა უჩიელა.

ვარი სისხლი მისცეს. და დაჭრილობისათვის რარიგადაც დაჭრილია, იმრიგი სისხლი მისცეს ოთხმიზურმა გორგოშიძეს.

ოთხმიზურმა უჩივლა: ხიზანი იყავ და ჩემის ალაგით რჩებოდი. შენი ღორი ჩამოვიდა ჩემს ყანაში და ნახა ჩემის ყანის მოზიარემ და ღორი მოკლა; და რა რომ მითხარი და მკითხე, მაშინვე[1] გითხარ, რომ ჩემმა ღომის მოზიარემ მოკლა-თქვა. და მერმეთ შენ წადი და შარაშანიძეს ჩამასმინე, რომ თუთხმეტ მარჩილად მიღირდა, იმისთანა ღორი ამ კაცმა მომიკლა და ტყეშიდ ჩაალპოვო და იმ ღორში შვიდი ყურუშის მეტი არ ამიღიაო.

გორგოშიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს გორგოშიძემ და ასე დაუფიცოს რომ: «არც მე შარაშანიძისათვის ჩამესმინო და არც ჩემით ის ღორი დაგკარგოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, რაც ზნიანებოდეს, უზღოს გორგოშიძემ ოთხმიზურს.

ოთხმიზურმა უჩივლა: ერთი ღორი საზიაროთ მოგეცი და წამართვი და არაფერი მომეცი.

გორგოშიძემ უპასუხა: ყანაში მოგეხმარე და ორი ღორი დამპირდი და ერთის მეტი არ მოგიცემია და ქე მყავს.

ოთხმიზურმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: ოთხმიზურმა ცოდვის ხელი გამოართვას ასე, რომ: «ერთის მეტი არ დაგპირებოდე, და არც ის საკუთარათ მომეცეს». თუმცა ასე გაუმართლდეს, რაც დიეკლოს, ისიც უზღოს[2] და ღორი ზიარათ ჰყავდეს. თუ ვერ გაუმართლდეს, ნუღარ ედავება გორგოშიძე ოთხმიზურს.

[v] ოთხმიზურმა უჩივლა: შენს ყანაშიდ ჩალის მოსაპრეალად ბიჭი შავგზავნე, დახვდი, ბიჭი გამილახე, ჩოხა გააძრე და დანა წაართვი; და რას მემართლები, არ ვიცი.

გორგოშიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გორგოშიძემ ორი კაცი და ასე დაუფიცოს, რომ: «დანის დასაკრავათ რომ მომაშურა, დანა თუ წავართვი, თორემ არც გამელახოს, არც ჩოხა გამეხადოს და არც რამე უკადრისი მეკადრებოის». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება; და თუმც ვერ უფიცოს, თავის ყანაში დაუთხოვია და არ დასთხოვია და დანის დასაკრავათ მიუშურებია და დანა წაურთმევია და დანა ისევ მისცეს.

და თუ ვერ იფიცოს, გაულახამს, დანა წაურთმევია, და როგორც

[1] მაშვინე [2] უძღოს

გაულახამს, ისე იმრიგი გალახულობის[1] საუპატიო მისცეს გორგოშიძემ ოთხმიზურს.

272. განჩინება პეტრე ბოლქვაძისა და პეტრე მიქანაძის ვალის საქმეზე

1818 წ. 25 აგვისტო

ჩყიჱ-სა წელსა აგვისტოს კე-სა დღესა.

პეტრე ბოლქვაძე და პეტრე მიქანაძე გავაბჭვეთ.

პეტრე ბოლქვაძემ უჩივლა: შენმა ბატონმა იესე თავართქილაძემ შამომეხვეწა და ერთი თათარი მყავდა ბიჭი და მივყიდე რვაას[2] მარჩილათ. კიდევ ერთი თოფი კარგი მქონდა და ისეც მან გამომართვა ას ძველ მარჩილათ; და ძმა იყო ჩემი ის კაცი და ხან ღარიბათ იყო და ვერ შევაწუხე, ხან დაიჭირეს და კიდევ იმისთვის ვერ შევაწუხე და მერმეთ მე კიდევ გადავარდნილი ვიყავი თათარში და ამით ვერ ევიღე და ჩემი ცოლი ვასტუმრე, კიდევ ამდე[ნ]ს ხანს მაცალეო, წიგნი მომცა, თუმც გადაგიცილდება, ნამთავნს მოგცემო. და მერმე მე დამწვეს და წიგნი იქ დამეწვა; და როდესაც ვსთხოვე, იესე თავართქილაძეს ვარი არ უთქვამს. ახლა იესე რომ მოკ[ვ]და, ახლა გთხოვ და რას მეუბნები, არ ვიცი.

მიქანაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს მიქანაძემ ოცდასამი კაცი თან დაიტანოს და ოცდაოთხმა ასე დაუფიცოს: «შენ რომ ჩემს ბატონს ი[ე]სე თავართქილაძეს თათრის და თოფის მიყიდვას ეწამები, არც თათარი და არც თოფი შენგან იმას არ ეყიდოს, არც იესეს სიცოცხლეში შენგან დაობა გაგ[ვ]ონოდეს ჩვენ, რო[მ] მისი ჭირისუფალი ვართ». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება ბოლქვაძე მიქანაძეს.

თუ ვერ უფიცოს, პეტრე[მ] აჯით შიატყობინოს[3], რამდენს ათ ძველს მარჩილზე შე[ე]დაოს, ათი მარჩილის თავზე თითო კაცი შიაფიცოს ასე, რომ: «მე რომ თათარი და თოფი გიჩივლე, არც თათარი და არც თოფი მე შენდა ტყუილათ შ[ე]მომწამებიოს და არც იმ თათარში და ი[მ] თოფში არც თეთრათ და არც საქონლათ არაფერი მიეცეს იესეს ჩემთვის». თუმ[ც] ასე უფიცოს, ამ თეთრში რამდენიც შიაფიცოს ათის მარჩილის თავზე, ისე იმდენი თეთრი გარდაუხადოს მიქანაძემ ბოლქვაძეს.

[1] გალახვილობის. [2] რვ[აა]ს. [3] შიატყობოს.

273. ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲕᲣᲐ ᲑᲐᲪᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ

1818 წ. 26 აგვისტო

ჩყიწ-სა წელსა აგვისტოს კვ-სა დღესა

მამუკა ბაქანიძე და იოანე გობრონიძე გამოცხადნენ.

მამუკამ უჩივლა: კრება იყო ქვეყანაში, ამ კაცს [14] მისმა მეზობელმა შვილი გაუყიდა. მერმეთ ჭინკაძე ამის შვილს ძმათ მოხდებოდა და მერმეთ ამ იოანემ...* მის შვილი წაიყვანა, ქალი ბიჭში გამოიყვანა, ბიჭი დაიხსნა და ამ კაცის სიძე ლევანა ბოლქვაძეც თან წაყვა; რადგანც ეს ბიჭი დაიხსნეს, სამი ერთათ დადგნენ: მერმეთ დაიწყეს ამ კაცისას ბუდობა, სიარული; მერმეთ კიდავ კრება იქმნა გურიელის ბრძანებით და ამ კაცს ფიცი შეუკვეთა მღვდელმთავარმაც და ბატონმაც; მერმეთ ამ კაცმა მიზეზი დაიდვა, რომ თათარშიდ შვილი მყავსო და იქიდგან ვსაქმობ რამესო და რომ დავიფიცო, აღარ მენდობიანო; მერმეთ კიდავ დაიწყეს ამ კაციდგან საქმობა ჩემს შვილთან, დაუწყო წერა ამის შვილმა ჩემს შვილს და დამიტყუეს ჩემი შვილი და ეს კაცები შეუყარეს ამ ჩემს შვილს, და სამივე ხატზედ შეაფიცა, ხატის მიმყვანი თვითან შენი ცოლი იყო, წიგნის მწერალი შენი ქალისშვილი იყო, ახლა ისაქმეს შენის შვილებით და შენის ოჯახით და ეს ჩემი ქალისშვილი წაიყვანეს და მუახლე თან წაატანეს, გამიყიდეს; და ახლა ისაქმა ამან და ეს ჩემის შვილის გამყიდველი მისი შვილი მოიყვანა და შინ ყავს[1] და ქალისშვილი გაათხუა და ქმარს მისცა. და მჭირს ამის ოჯახისაგან და მათხოვარი ვარ.

გობრონიძემ უპასუხა: მართალია, მეკითხა ცოდვა და ჩემი შვილი გამიყიდა ჩემმა მეზობელმა სამ ქესათ; მერმეთ მოვიდა ჭინკაძე, ჩემის ცოლის დისწული იყო, მითხრა, რომ ვეცდები და შენს შვილს არ დაგიკარჭავ, თუმც კაცს შამომიყენეფო; მერმეთ მიღალატეს, ამ ჭინკაძემ და ამ ჩემმა სიძემ ბოლქვაძემ შვილი გამიბრიყვეს და ჩემი ქალისშვილი წაიყვანეს და ეს მისცეს ამ ჩემი ვაჟის სამაგიეროთ. და ეს ბიჭი ამოიყვანეს და გვერდში მოიყვანეს; მერმეთ მე შეუთვალე, რომ ამისთანა საქმე მიყავით, შვილი გამიყიდეთ, ეს ჩემი ბიჭი მაი[ნ]ც გამომიგზავნეთ მეთქინ, მარა ამის მიზეზი მითხრეს, რომ ჩვენ ისე არ წამოვალთ, თუმც თათარს არაფერი ვაწყინეთო. მობრუნდენ და ამ კაცს შვილი და გოგო წაარ[თ]ვეს; და თათარში იყო და იქიდგან მოვიდა, წაიყვანეს და მე რას მემართლები, არ ვიცი.

მამუკამ უპასუხა: შენს ოჯახის ბუდობით და შენი ცოლისა და შვილების ცოდინარობით და საქმობით ჩემი შვილი და მუახლე დამეკარგა და მათხოვარი ვარ.

გობრონიძემ აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გობრონიძემ ორმოცდარვა გლეხი კაცი ანუ ამავალი სხვა კაცი და რადგან არის მტყვე, სათათროთ გაყიდულა და ასე შეაფიცოს, რომ: «არც მე და არც ჩემს ცოლს და არც დღეს ჩემს ოჯახშიდ ვართ, არც ჩვენის მონდობილობით და არც ჩვენის ცოდინარობით შენი შვილი და შენი გოგო არ წაყვანილიყოს და არც იმ ქალის გათხოებაშიდ ვრეოდეთ, რაც მისი ნებით არ წაიყვანა ჯუმათელმა».

თუმც ასე უფიცოს და თავისი სიმართლე გადიღოს, ამას ნუღარას ედავება; და ორი ამისი შვილი რევია გაყიდვაში, სულ გამყიდველი[1] ოთხი ყოფილა და მენახევრე ესენი ყოფილა, როგორის გვარის ყოფილმან გაყიდულნი, ისე ორკეცი სისხლი მისცეს — ერთის სულის და ერთი ხორცის. თუმც საქრისტიანოში მოსულიყოს, ერთი სისხლი მისცეს; და თუმცა არ მოსულიყოს, როგორც დაგვიწერია, ისე მოსცეს. და რადგან ვაჟი მამას ამოუყვანია და ხელთ ყავს და ქალი ჯუმათელს გაუთხოებია, როგორც ერთს იმ ოთხში წილადი სისხლი, ისე სისხლი მისცეს ივანეს ვაჟის შვილმა და ქალის ქმარს წაუყვანია და იქ მოსთხოვოს მამუკამ. და თუმც ვერ უფიცოს, როგორც ზემო დაგვიწერია, ისე სრული სისხლი მისცეს გობრონიძემ ბაქანიძეს.

გობრონიძემ უჩივლა, რომ მე კი მიმართლდები, მარა შენ რომ ტყუვილზედ ჯუმათელს ჩამასმინე და უბრალოდ ჩემი თავი დააპირვიე და შინ მომთხარეს, დანაშაული[2] რა მჭონდა შენთან, არ ვიცი.

მამუკამ აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან მამუკამ და ხუთი კაცი თან დაიტანოს და ეჭვსმა ასე დაუფიცოს, რომ: «გობრონიძის შვილმა შვილი გამიყიდა-თქვა და მომკითხე-თქვა, ესეთ შევეხვეწე, თორემ შენი დაჭირვა და მოთხრა მე არა შევხვეწოდე». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება; და თუმც [v] ვერ უფიცოს, დაჭირულობის

---

1 ხავს.

* აკლია ერთი სიტყვა.

1 გამყიდველი. 2 დანაშაური.

საუპატიო მისცეს. და რაც ზნიანი მოსლოდეს, გობრონიძემ აჯით შეატყობიოს და მამუკამ გარდაუხადოს. თუმც ზემოწერილშიდ გობრონიძემ ვერ უფიცოს, ამა ქვემოთ ფიცში ბაქანიძეს ნუღარ აფიცებს.

გობრონიძემ უჩივლა: შენმა შვილმა შვილი დამიჭირა და თათარში მიყიდდა და ქვეყანამ დაატოებია და დანაშაული[1] რა მქონდა, არ ვიცი.

ბაქანიძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბაქანიძემ ექვსი კაცი და ასე შეაფიცოს, რომ: «სამართალის მოცემისათვის თუ დაიჭირა ჩემმა შვილმა, თორემ თათარში გასასყიდათ არ ჰსდომებოდეს». თუმც ასე უფიცოს, სამართლის თხოვისათვის დაუჭირავს და გაუშვია, არას ემართლება გობრონიძე ბაქანიძეს. და თუმც ვერ უფიცოს, თათარში გასასყიდათ არ ჰსდომებია და თავდებით გაუშობინებია და დაჭირულობის საუპატიო მისცეს.

ბაქანიძემ უჩივლა: შენმა შვილმა რომ შვილი გამიყიდა, ასეთს კაცს მიყიდა, რომ თათარმა შეირთო. იმის შერთვით ქაიხოსრო ბატონისშვილმა ამის მიზეზით სამას სამოცი ყურუში გარდამახდია.

გავსინჯეთ, მაგრამ რადგანც ამის შვილისაგან წაყვანილი ყოფილა, ისევ მას შევარდა ეს საქმე; თუმც იოანე, თავში რომ ფიცი არის, იმაში გაუმართლდა; და თუ ვერ გაუმართლდა, თავის შვილი შეიწიოს და ისე სრულად გარდაუხადოს იოანემ მამუკას სისხლიც და ზნიანიც და ნუღარც მამუკას აფიცებს ამაშიდ.

274. განჩინება ბუჭუ კვაშალისა და ნიკოლოზა გირკელიძის საქმეზე

1818 წ. 7 სექტემბერი

ჩყიზ-სა წელსა სექტემბრის ზ-სა დღესა

ბუჭუ კვაშალი და ნიკოლოზა გირკელიძე გავაბჭვეთ.

კვაშალმა უჩივლა: ამ კაცის ზიარი ყანა მქონდა, ყანა ამის ზიარი იყო და ალაგი ჩემი იყო და იმ ყანაში ვიყავი და მოვიდა ჩემ[მ]ა ძმამ ნიკოლოზ, და ზორდაზედ ერთი ძირი ნიგოზი იდგა, და ჩვენი ზიარი არისო და წამოდი მოურეკე და ვნახოთო და ჩვენ ჩვენი გამოვართვათო.

მე უთხარი: მე ნიგოზს ვრეკ და შენ წადი, შენ უფრო იცი, ჩვენი

[1] დანაშაური.

არის თუ არა-მეთქინ. მან არ დამიჯერა და წავყევი[1] მეც. მივედით და უთხარი: ეს ნიგოზი ჩვენი ზიარი არის და მოგვეცი-მეთქინ, გასაკითხავად მივედით; მომდგა ამ კაცმა მე, და ცოლი, დედა, მკვდარი, ცოცხალი არა შეურჩენია, ისე გამლანძღა; მერმეთ ჩემზედ გასალახავათ მოიწია და არ მოუშვეს და რას მემართლებოდენ, არ ვიცი.

გირკელიძემ უპასუხა: ჩემს ეზოში ნიგოზი მქონდა, დღემდის არც შენ და არც შენი ძმა და სახლისკაცები მოდავეთ არ მინახავხართ. ახლა ნიგოზი მოვრეკე, მომიხდა შინ ამ კაცმა, ბევრი მაგინა, ავათ მომეპყრა და მერმე მეც შევაგინე, თორემ უწინ არა მიკადრებია რა.

ბუჭუამ აშორო უთხრა.

ჩვენ [15] ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბუჭუმ სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენს გასაკითხავათ და ნიგვზისათვის თუ მოვედი, თორემ არც მოსახდომათ და საგინებელად მოვსულიყო და არც მე შენთვის მეგინებიოს და ურიგოთ მოგპყრობოდე»[2].

თუმც ასე უფიცოს, როგორც ეგინებიოს და უკადრისი ეკადრებიოს, იმგვარი საუპატიო მისცეს კვაშალს გირკელიძემ. და თუმც ვერ უფიცოს, უბრალოთ მიხდომია შინ კვაშალი და უგინებია, ავათ მიპყრობია[3] და მასაც მაგიერი უთხრობია; და კვაშალმა თავის გინება თავისთავს დააბრალოს და ნურას ედავება გირკელიძეს.

ნამუშიერის დაკლება რომ უჩივლეს ერთმანერთს, იმაშით დააჯერონ ერთმანერთი, რომ ჩემით არა დაგკლებოდესო. თუმც დაჯერეს, კარგია; თორემ მეორე აჯით შეატყობინოს, შენით ამდენი დამკლებოდესო და გარდაუხადონ ერთმანერთს.

275. განჩინება აფრასუხუ და ხუტუ ჭყონიების ვალის საქმეზე

1818 წ. 9 სექტემბერი

ჩყიზ-სა წელსა, სექტემბრის თ-სა დღესა

აფრასუხუ ჭყონია და ხუტუ ჭყონია გავაბჭვეთ.

აფრასუხუმ უჩივლა: ამ კაცს თავის ვალში მტყვე გამოჰგვარეს, შემომეხვეწა და მტყვე დამახსნია, სხვაშიდ კი გამისტუმრა და ოცი ყურუში შერჩა, ესთხოვე მრავალჯელ და არ მომცა. და გაბრიყვდა ჩემი შვილი, და ცხენი ემტერა და შინ მოიყვანა, უნაგური არ დაუდგამან, არავის უხედნია და მისი ცხენი ისევ მაშინვე მიაყუნა მრავალჯელ, მაგრამ არ ინდომა და მერმედ ს[ა]ერისთოში მიჰყავდათ და დაუწევა გათხრილზედ და ცოტა დაშავდა და აღარ წაუყვა-

[1] წავხევი. [2] მოგმყრობოდე. [3] მიმყრობია.

ნიათ, ისევ შინ ჩამოიყვანეს და ახლა აღარ ინდომა და აღარც ჩემსას მაძლევს.

ხუტუმ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ხუტუმ ერთი თავისი ყმა ცოლშვილიანი და ასე შეაფიცოს: «რაც შენ ტყულათ არ მემტრე ცხენი, შენ რომ მტყვეში თავდებათ დაგაყენე, იმ მტყვეში შენი სავალო არც თეთრად და არც საქონლათ არაფერი შემრჩენოდეს და კიდეც გამესტუმრებიო». თუმც ასე უფიცოს, ცხენი ტყულად წაურთმევია აფრასუხუს და ხუტუმ ალით შეატყობინოს, რომ ჩემი ცხენი მაშინ ამათ ღირებულიყოსო და აფრასუხუმ ზედნადებით მისცეს. და თუმც ვერ უფიცოს, თავისი თეთრი აფრასუხუს ზედნადებით მისცეს.

და ცხენი აფრასუხუს ხედნით დაშავებული და წამხდარა და [v] მისი ცხენი რომ ემტერა, როგორც მაშინ ღირებულ იყოს, ისე მისცეს აფრასუხუმ და ცხენი აფრასუხუს დარჩეს. და თუმც აფრასუხუმ ალით შეატყობინოს რომ ჩემის ხედნით შენი ცხენი არ წამხდარიყოსო, ცხენი აფრასუხუმ მისცეს და თეთრი ხუტუმ აფრასუხუს ზედნადებით მისცეს.

276. განჩინება იხტიანე ჭყონიასა და ოსიკა ჯორბენაძის სასისხლო საქმეზე

1818 წ. 12 სექტემბერი

ჩყიწ-სა წელსა სექტემბრის იბ-სა დღესა

ჭყონია იხტიანე და ლაზარა და ოსიკაი ჯორბენაძე გავაბჭვეთ.

იხტიანემ უჩივლა: საქმე მქონდა, ყანაში გარდავიარე, დამხდა ამ კაცმა, ჩახმახი დამიკრა, არ გაუვარდა და მეცენ ორნივე ძმებმა, ბევრი მცემეს, თავი გამიხეთქეს, ხელზედ დანა დამკრეს და დამშრეს[1], და რას მემართლებოდენ არ ვიცი.

ჯორბენაძემ უპასუხა: ერთს კაცს ყოველი კაცი გაფრთხილდებოდა, ყანაში გადმოიარე და გაგიკითხე — ვინ ხარ-მეთქინ, გამოვარდი, მეცი, დამცი, მიქირვიდი და ჩემ[მ]ა ძმამ მომეხმარა, მეც დამჩეხე და ჩემი ძმაც; და მართალია, ჩემ[მ]ა ძმამ მერმედ კი დაგარტყა ჯოხი[2], თორემ სხვა არც ჩახმახი დამიკრავს და არც რამე მიკადრებია.

იხტიანემ აშორო უთხრა.

[1] დამაჭრეს. [2] ჯოხი.

გავშინჯეთ ჩვენ, მაგრამ სამართალი იხტიანეს დარჩა. წამოაყენოს იხტიანემ თორმეტი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც იმ დღეს მე თქვენზედ საჩხუბრად მოვსულიყო, არც იმ დღეს მე თქვენ დამეჭრად და გამელახოთ და არც გაგდებული თუ ენახე თოფი და ავიღე, თორემ მე თქვენთვის იარაღი ამეყაროს».

თუმც ასე უფიცოს, ტყულად გაულახავს და დაუჭრია და მოსამართლემ დახედოს და როგორიც ჭრილობა და გალახულობა ჰქონდეს, იმგვარი სისხლი მისცეს ჯორბენაძემ ჭყონიას.

277. განჩინება სახრაჯა უჩიისა და სესია ებრალიძის ცხენის საქმეზე

1818 წ. 13 სექტემბერი

[16] ჩყიწ-სა წელსა, სექტემბრის იგ-სა დღესა

ისხრაჯა უჩია და სესია ებრალიძე გავაბჭვეთ.

უჩიამ უჩივლა: ცხენი ვიქირავე ამ კაცისგან და რაც ბორჯზედ შევჰპირდი, იმ ბორჯზედ მივგვარე და მართალია, ძუა მიმიჭრეს რუსებმა და აღარ ინდომა, წავიყვანე და მოყუარეს მივაბარე. ცხენი ნაჭურდალი ყოფილიყო და მოვიდა შენი უმფროსი კაცი, ცხენი გლახის ყოფილიყო, გამოართვეს ცხენი იმ კაცს და წაიყვანეს, ცხენი გლახას მისცეს გურიელის ბრძანებით. და მერმედ მე გზაზედ მივიდოდი, დამხდით შენ და შენმა შემოჩენილმა კაცმა. გამომეკიდეთ, გაგექეცი, ისე მეორეჯელ გაგექეცი, და მესამეჯელ დამხდით კიდეც შენ და შენმა შემოჩენილმა კაცმა და ავათ მომეპყარით მე და ჩემს მხლებს კაცს; და ბატონის ბრძანება არისო და ბარგი ჩამომიყარე და ცხენიც წამართვით და არ გაძლევთ; და რას მემართლები, არ ვიცი.

სესიამ უპასუხა: ამ კაცს ცხენი ვაქირავე, ცხენი ბორჯზედ ვერ მომგვარა, და მერმედ მკდარი ცხენი მომგვარა და აღარ ვინდომე და დამიყარე და მაგიერი ცხენი მომეცი, და ახლა რას მედავები, არ ვიცი.

გავშინჯეთ ჩვენ, მაგრამ რადგანც ის ცხენი ნაჭურდალი ყოფილა და გურიელის ბრძანებით თავის ხელობის კაცს გამოურთმევია ურიასათვის და ცხენი თავის პატრონისათვის მიუცემიათ, და ამაშიდ ურია უბრალო ყოფილა, სესიას ცხენი ტყულათ წაურთმევია და ურიამ დააჯეროს — ჩემი ცხენი ამათ ღირებულიყოსო და სესიამ გარდაუხადოს. და სესიას ვისგანც პირველად მიცემული ჰყოლია ის ნაჭურდალი ცხენი, იმას ედავოს სესიამ.

და სხვა თუმცა გალახულობა უჩიელეს ერთმანერთს, მაგრამ ის ერთმანერთშიდ გაიაროს.

278. განჩინება მანუჩარ ჭყონიასა და სისონიკა მელიას ცხენის საქმეზე

1818 წ. 13 სექტემბერი

ჩყიფ-სა წელსა სექტემბრის იგ-სა დღესა

მანუჩარ ჭყონია და სისონიკა მელია გავაბჭვეთ.

მანუჩარ უჩივლა: ცხენი დამეკარგა და ჩემს ცხენს ვეძებდი და მოვიდა ამ კაცმა და ჩემი ამხანაგი მიმთხრობლა, ასი მარჩილი სამთქმელო გამომართვა, სხვაგან ძებნას დამთხოვა და წიგნი მომცა: «თუმც ვარს გეტყვის, იმ შენს ამხანაგს მე გაგიტეხო; და თუმც ვერ გაგიტეხე, არც იმ კაცის მთხრობლობას ვივარებო და შენს ცხენსაც მე გარდაგიხდიო. და მე რადგანც შენგან ასე წერილი ავიღე და სამთქმელო გამომართვი და მე გული თავმად მქონდა და იმ კაცს ვემტერე და რომ ვემტერე, მოდი მერმე შენ და იმ კაცს დამთხოვე და მისი საუპატიო დამადევი და აღარც შენ მაძლევ ჩემს ცხენს, და რას მემართლები არ ვიცი.

მელიამ უპასუხა: ერთმა კაცმა ცხენი მომყიდა და ქვეყანაში ხმა დავჰყარე, რომ [v] ნაქურდალი არ დარჩეს-მეთქინ და ჩემს ხმას მოჰყვა ამ კაცმა და ცხენი დამეკარგა და მიმთხრობლო და მე ეს ცხენი უმთხრობლე და სათქმელოც გამოვართვი. მერმედ ის კაცი მოკვდა, უბრალოს კაცზედ ვეღარ მივაგდე და მე ვიდევი თავზედ და რომელი ცხენიც იმ კაცმა მომყიდა და მე უმთხრობლე, ის ცხენიც მოვგვარე, მაგრამ არ არის ჩემიო და აღარ ინდომა.

მანუჩარ უპასუხა: ჩემი ცხენის მთხრობლობაც შემომპირდა, სამთქმელოც იმაშიდ გამომართვი და თუ ქურდი ვერ გაგიტეხოვო, გარდასახადსაც შენ შემპირდი და წერილიც ისე მიცხადებს.

მელიამ ამაების აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: მანუჩარმა თორმეტი კაცი შეუგდოს თავის ხეობის უმტერ-უმოყვრო და მელიამ იმ თორმეტთაგან ორი იშოვნოს და ორი შეუგდებელი გლეხი კაცი ამოაყოლოს და ასე შეაფიცოს: «არც ამ ცხენის მეტი ცხენი მე შენთვის მემთხრობლებიოს და თუმც ეს არ არის, არც სხვა შენი ცხენის ქურდი ვინმე ვიცოდე და არც მე ვიყო და არც შენ რომ წიგნი მოიტანე ეს წიგნი ჩემი ხელჩართული და მოცემული იყოს».

თუმც ასე უფიცოს მელიამ, ის სამთქმელო ისევ მანუჩარს მოსცეს; და რადგანც უწინდელს მთხრობლობაშიდ ქორდანია გაუმართლებია და მანუჩარს რომ ნამტერების ზედნადებს ედავებიან, ისიც ჩამოსთხოვოს მანუჩარს ზედნადების დაობისაგან.

და თუმც ვერ უფიცოს, უწინაც მას უმთხრობლებია, ბოლოსაც ქურდობა თავზედ უდგია და წიგნიც მიუცემია და სამთქმელოც ისევ მანუჩარს მოსცეს და ცხენიც ნაქურდლათ გარდაუხადოს მელიამ მანუჩარს.

279. განჩინება პაატა გოგიბერიძისა და ხახუტა მენაბდის ცხენის საქმეზე

1818 წ. 30 სექტემბერი

ჩყიფ-სა წელსა სექტემბრის კი-სა დღესა

პაატა გოგიბერიძე და ხახუტაი მენაბდე გავაბჭვეთ.

მენაბდემ უჩივლა: ამ კაცმა ჩემს პირობაში ბატონიშვილს თავისი ზედსაჯდომი ცხენი წაართვა და ბატონიშვილმა მე მომთხარა, შვილი წამართვა და რას მემართლებოდა ეს კაცი, არ ვიცი.

პაატამ უპასუხა: ერთი ყაზახი მყავდა, გამიბრიყვა ამ კაცმა, ს[ა]ერისთოში წაიყვანა, ცხენი ამტერა ორი და იმ საქმეში კაცი მეკარგვის და მართალია, სამართალი ვსთხოვე და არ მომცა და ერთიც ცხენი ვიმტერე, ბატონიშვილის დარჩა და ამის გაბრიყვებით ის კაცი მეკარგვის; ახლადა რას მემართლებოდა, არ ვიცი, ოთხმოცდაათი მარჩილი ერთში მეკარგვის იმ ცხენე[17]ბში და ოთხმოცი — მეორეში.

მენაბდემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს მენაბდემ რვა კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მე შენი კაცი მხლებოდეს, არც შენის კაცის დამაშაყობითა და ადგილის კაცობით მე ცხენები მემტერებიოს, არც გამეგზავნოს და არც მე შენთვის სამართალი დამეკავებიოს».

თუმც ასე უფიცოს, ცხენი ტყულათ წაურთმევია და ცხენი ზედნადებით მისცეს გოგიბერიძემ. და თუმც ცხენის გარდახდა ვერ შაიძლოს, ვინც ცხენი წამოიყვანა, ხელამთქმელად მიებაროს.

და თუმც ვერ უფიცოს მენაბდემ, მისი კაცით უმტერებია, სამართალი უთხოვნია და არ მიუცემია. და რაც ზნიანებოდეს გოგიბერიძეს ან გარდაეხადოს ან ახდევინებდენ, მენაბდემ გარდაუხადოს.

280. განჩინება როსტომ ბოლქვაძისა და სიმონა სიამაიშვილის მოპასის საქმეზე

1818 წ. 6 ოქტომბერი

ჩყიზ-სა წელსა, ოქტომბრის ვ-სა დღესა

რ ო ს ტ ო მ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე და ს ი მ ო ნ ა ს ი ა მ ა ი შ ვ ი ლ ი გავაბჭვეთ.

რ ო ს ტ ო მ უ ჩ ი ვ ლ ა: ჩემი მოყვრისა და შენგან მტყუე ვიყიდე ფასგარდაწყვეტ ორას მარჩილათ, და ბორჯზე ფასი მოგაყენე და არ გამომართვი და ახლა მტყუე ისევ წამართვი; და რას მემართლებოდი, არ ვიცი.

ს ი ა მ ა ი შ ვ ი ლ მ ა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითონ სიამაიშვილმა და სამი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ გოგოს მედავები, ის გოგო მე შენთვის არც მომეყიდოს და არც მოშეცეს და არც ძალით წამერთმიოს, მოციქულით თუ გამომგვარე თორემ». თუმც ასე უფიცოს, თავის გოგო წაუყვანია და სიტყვა არ ექნება ბოლქვაძეს. და თუმც ვერ უფიცოს, თავისი გოგო ისევ ბოლქვაძეს მისცეს და როგორც მორიგებული ყოფილარიან, ისე ფასი მისცეს ბოლქვაძემ სიამაშვილს.

ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე მ უ ჩ ი ვ ლ ა: ეს კაცი გოგოს სათხოვრათ ჩამოვიდა, მაგინა და მრავალი უკადრისი მკადრა, და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ს ი მ ო ნ ა მ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სიმონამ ერთი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენთვის არც მეგინებიოს და არც უკადრისი რამე მეკადრებიოს, ჩემი გოგო თუ გამოგთხოვე და პირაქეთ გამლახე და მაგინე თორემ». თუმც ასე უფიცოს, სიმონას გალახულობისაებრ საუპატიო მისცეს. და თუმც ვერ უფიცოს, უგინებია, თავისი გალახვა თავისთავს დააბრალოს სიმონამ.

და ზემოს წერილში თუმც ვერ გაუმართლდეს და ძალით წაერთმიოს გოგო სიმონას, ის გოგო ისევე ბოლქვაძეს მისცეს და თეთრიც შერჩეს ბოლქვაძეს.

281. განჩინება ნიკოლოზ კობალაძისა და იესე ქაბჯარაძის საქმეზე

1818 წ. 12 ოქტომბერი

[ვ] ჩყიზ-სა წელსა, ოქტომბრის იბ-სა დღესა

კ ო ბ ა ლ ა ძ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ა და ზ ა ლ ი კ ა და ქ ა ბ ჯ ა რ ა ძ ე ი ე ს ე გავაბჭვეთ.

ქ ა ბ ჯ ა რ ა ძ ე მ უ ჩ ი ვ ლ ა: ქვეყანაშიდ ხიზნობა იყო და ამ კაცმა შემომპირდა — მოდი და გარჩენო; და მივედი, ადგილი მომცა, დავესახლე; მამაჩემი ხუცესი იყო და კარის მწირველად დამიდექიო — უთხრეს, და კარის მწირველად დაიყენეს და ნაწირავში მამული და ალაგი მომცეს და ცოტა თეთრიც მივართვით. მამაჩემ[მ]ა უწირა, ულოცა, მე მამული ვაკეთე, ადგილი ვაშენე და გავაკეთე და ახლა ის ჩემი ნაშენები ადგილ-მამულიც წამართვეს და თეთრიც. და რას მემართლებოდენ, არ ვიცი.

კ ო ბ ა ლ ა ძ ე მ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ, რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ის მამული, იმდენი კაცი და ასე შეაფიცოს: «აქ ყოფაშიდ თუ მოგეცი, თორემ შენს ოჯახზე წახვიდე და მაინც ქონდესო, არც იმას შეგპირებოდეს მამაჩემი და ბიძაჩემი და არც საწირავში მოგეცეს და არც იმაშიდ თეთრი გამოერთმიოსთ მამაჩემსა და ბიძაჩემს მამულისა და ადგილის ფასად». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება ქაბჯარაძე; და რაც ზნიანებოდეს კობალაძეს, მისის დასაყვითის (sic) გარდაუხადოს, და თუმც ვერ უფიცოს, როგორც ეჭამოს ადგილ-მამული ქაბჯარაძეს, ისე ჭამოს კიდევ.

ქ ა ბ ჯ ა რ ა ძ ე მ უ ჩ ი ვ ლ ა: ხარი მყავდა, მომიკლა ამ კაცმა, ვსთხოვ და არ მაძლევს; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

კ ო ბ ა ლ ა ძ ე მ უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, ხარი და ზროხები ჰყავდა ამ კაცს; ერ[თ] წელიწადს და ორ წელიწადს ყანა ამიოხრა და შემიჭამა და დავითხოვე, მერმედ ბახჩა შემიჭამა, მარანში შევიდა და ორმოცი საწყავის ყურძენი წამიხდინა, დავითხოვე, არ დაემეთხოვა და მოვკალი, მაგრამ მიპატივეს, და ახლა რაღას მედავება, არ ვიცი.

ქ ა ბ ჯ ა რ ა ძ ე მ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ქაბჯარაძემ და ასე დაუფიცოს: «არც ჩემს ხარ[ს] და ზროხას შენი ყანა და ბახჩა წაეხდინოს და მარანში შესულიყოს და ღვინო წაეხდინოს და არც დაგეთხოვნენ და არც მამაჩემს იმ ხარის სიკვდილი ეპატიებიოს».

თუმც ასე უფიცოს, ტყუილად მოუკლავს და როგორც ღირე-

ბულიყოს, ისიც დაიტანოს და კობალაძემ ზედნადებით გარდაუხადოს. და თუმც ვერ დაიფიცოს, დაუთხოვნია, არ დასთხოვია, ბევრი ზარალი უქნია და სიტყვა აღარ ექნება ქაბჯარაძეს.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ამისმა ძმამა ბაგრატამ ხარი წამართვა, საქორწინოს წაიყვანა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «ჩემს ძმას ბაგრატას შენთვის ხარი არ წაერთმიოს და არც რამე ვიცოდეთ». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ხარი კობალაძემ ზედნადებით მისცეს.

კობალაძემ უჩივლა: ჩემს ბიჭს ყანაში სადილი მიჰქონდა, დახვდა ამის მამამ წყლის პირზე, ბიჭი წყალში ჩამიგდო, სადილი გადაუგდო და გალახა და იმ მიზეზით ბიჭი მომიკვდა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ქაბჯარაძემ და ოთხი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც მამაჩემს ის ბიჭი გაელახოს და წყალში ჩაგდოს და არც მამიჩემის გალახვისა და წყალში ჩაგდების მიზეზით ის ბიჭი მომკდარიყოს». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექნება კობალაძეს; და თუმც ვერ უფიცოს, მისის გალახვის მიზეზით ბიჭი მოჰკდომია და იმისთანა ბიჭი მისცეს კობალაძეს ქაბჯარაძემ.

[18] ქაბჯარაძემ უჩივლა: ბეღელი მჭონდა კარგი და წასქვლას რომ დავაპირე, ბეღელი გავყიდე სამოცდაათ მარჩილად და ის ბეღლის ფასი ამ კაცმა წამართვა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ სამი კაცი და ასე შეაფიცოს, რომ: «შენ რომ შეწამები, მე შენთვის ბეღლის ფასი არ წამერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექნება. და თუმც ვერ უფიცოს, რამდენიც ყოფილა, გარდაუხადოს კობალაძემ.

კობალაძემ უჩივლა: ჩემს ტყეში სახლი და ბეღელი დათალე, რომ წავალ დაგიტოვებო, შემომპირდი და რომ წადი სახლი და ბეღელი მე მომატყუე და სხვას მიეცი, მაგრამ რასთვის მიქენი, პასუხს ვითხოვ.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სამი კაცი ქაბჯარაძემ და ასე შეაფიცოს: «არც შენს ტყეში სახლი და ბეღელი დამეთალოს და

არც შეგპირებოდე, რომ წავალ და შენ დაგიტოვებ-მეთქი». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექნება. და თუმც ვერ უფიცოს, რადგანც მის ტყეში დაუთლია და დატოვებაც შეჰპირებია[1], ნახევარი სახლის და ბეღლის ფასი ერთს ჰქონდეს და ნახევარი მეორეს.

კობალაძემ უჩივლა: ამ კაცმა ჩემს კაცს მჩხაიძეს ხარი წაართვა და რასთვის წაართვა, არ ვიცი.

ქაბჯარაძემ უპასუხა: ამათმა კაცმა ჩიკაშუამ მამული დამიწინდრა და წერილიც მოიტანა, რომ ყოველ წელიწადს ოც-ოცი საწყავი ღვინო მოგცეო და არც აქ ყოფაში მახმარა და არც რომ წავედი მერმე; და მართალია, ერთი ხარი წავიყვანე და ისევ შენი კაცის დარჩა, სხვა დანაშაული არა მაქვს რა.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ ის კაცი, რომელმაც მამული დაუწინდრა და წიგნი მისცა[2] და ასე შეაფიცოს: «მე, რომ შენ თეთრი გამომართვი, მამული დაგიწინდრე და წერილი მოგეცი და ოც-ოცი საწყავი ღვინოს რომ შეგპირდი წელიწადში, არც ის წერილი მემტყუნებიოს და არც აქ და არც იქ მე ის ღვინო შენთვის დამეკლოს და არც მამული დამეკავებიოს».

თუმც ასე უფიცოს, ხარი ტყულად წაურთმევია და ზედნადებით მისცეს ქაბჯარაძემ. და თუმც ვერ უფიცოს, იანგარიშონ და რაც დაჰკლებოდეს, იმან ღვინო მოსცეს და ქაბჯარაძემ ხარი გარდაუხადოს, როგორც ღირებულიყოს.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ამ კაცმა ორი თხაი მომპარა, ნამთხრობლით შევიტყვე და ახლა თუთხმეტი სულია და რას მემართლებოდა არ ვიცი.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ერთი კაცი კობალაძემ და ასე შეაფიცოს, რომ: «მე შენთვის თხები არ მომეპაროს და არც წამერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება; და თუმც ვერ უფიცოს, ნამთხრობლით შეუტყვია და თხები ნაქურდლათ გარდაუხადოს.

კობალაძემ უჩივლა: საშამოქმედლო ალაგი მებარა. ამ კაცმა ჰამა, თუთხმეტი წლის საყანული მაკლია და ვითხოვ.

ქაბჯარაძე[მ] უპასუხა: საყანული ყველა შენ მოგეცი და შემოქმედურებმა ორმოცი გოდორი ღომი წაგვართვეს, რატომ ჩვენ არ მოგვეციო და იმასაც შენ გთხოვო.

კობალაძემ აშორო უთხრა.

---

1 + და. 2 + ის კაცი.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ ერთი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ჩემთვის მოგეცეს საყანული და არც იმათ რამე წაერთმიოს **[v]** შენთვის». თუმც ასე უფიცოს, კობალაძემ აჯით შეატყობინოს, რამდენიც დაჰკლებოდეს და ქაბჯარაძემ გარდაუხადოს. და თუმც ვერ უფიცოს ან შემოქმედურებისაგან ამოუგოს და ან მას რომ გარდაუხდევინებია, ის მისცეს კობალაძემ.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ერთი ოღრამუში მჭონდა სიმინდი და სამოცი პინა სიმინდი წამართვა ამ კაცმა, და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «საყანულში თუ რამე მომეცი, თორემ მე ნამეტარი შენი სიმინდი არ წამეღოს და არც წამერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება; და თუმც ვერ უფიცოს, რამდენიც წაეღოს, გარდაუხადოს კობალაძემ.

კობალაძემ უჩივლა: სიმინდი მჭონდა ჩემს ალაგში, მოაყენა ნავი ამ კაცმა, ერთი ნავი სიმინდი წამართვა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქაბჯარაძემ ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენთვის სიმინდი არ წამერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, რამდენიც წაეღოს, გარდაუხადოს ქაბჯარაძემ.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ჭყონიებმა შენის დამაშაკობით ძმაი დამიჭირეს და რვა სული ცხენები წამართვეს, და რას მემართლებოდი არ ვიცი.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ თორმეტი გლეხი კაცი და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცონ: «ჩემის დამაშაკობითა და ჩხუბითა და ხერხით შენთვის არც ძმაი დაეჭირონ და არც ცხენები წაერთმიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ცხენებიც გარდაუხადოს; და რაც ძმაშიდ გამოეღოს — ისიც ქაბჯარაძეს.

კობალაძემ უჩივლა: გოთუები მემტერებოდენ, წამოიტანა ამ კაცმა ჩემის მამის სასიკვდილოთ და ჩემს კაცს მამაჩემის ტანისამოსი ეცვა, მამაჩემი ეგონენ და თოფი ჰკრეს და მოჰკლეს; და ამით მჭირს ეს საქმე.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქაბჯარაძემ თორმეტი გლეხი კაცი ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მე მამაშენის სასიკვდილოთ გოთუები წამომეტანოს და წამოვსულიყო და არც ის კაცი ჩემის ჩხუბითა და ხერხით მომკდარიყოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ან იმისთანა კაცი მისცეს და ანუ [მ],[ვ]დრის სისხლი ქაბჯარაძემ.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ჭყონიები გადაკიდული მყავდენ და ამ კაცის დამაშაკობით მომიხდენ შინ, ჩვენ გაფრთხილებული ვიყავით და უწინ დავიხიზნეთ. ჩვენ ვეღარ დაგვახელეს და ალაფი რაც იყო, ყოველივე წაიღეს და გვჭირს ამისგან.

კობალაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კობალაძემ ექვსი კაცი და ასე შეაფიცოს: «ჩემის ჩხუბითა და ხერხით და დამაშაკობით **[19]** შენ ჭყონიები არ მოგხდომოდეს და არც დამემაშაკებიო». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექნება. და თუმც ვერ უფიცოს, შინ მოთხრის საუპატიო მისცეს და რაც დაჰკარგოდეს, ქაბჯარაძემ აჯით შეატყობიოს და კობალაძემ გარდაუხადოს.

კობალაძემ უჩივ[ლ]ა: ამ კაცის ჩასმენით ბატონმა გამიწყრა, სახელო მჭონდა და წამართვა, ხუთასი მარჩილი თეთრი გარდამახდია. და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქაბჯარაძემ ექვსი[1] კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენ არც ბატონისათვის ჩამესმინო და არც ჩემთ რამე დაგკარგოდეს და ბატონი გაგწყრომოდეს». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექნება. და თუმც ვერ უფიცოს, რაც მისით ზნიანი მოსვლია და ან დაჰკარგვია, ყველა უზღოს ქაბჯარაძემ კობალაძეს.

ქაბჯარაძემ უჩივლა: ამ კაცს ცხენი ვათხოვე, დამიკარგა[2] და მათხოვარი ვარ.

ქაბჯარაძემ უჩივლა: მართალია, ცხენი კი წამოვიყვანე შენგან, მაგრამ მერეში საბალახოზე გუუშვიო — მითხარი და გუუშვი და დაიკარგა. სხვა დანაშაული არა მაქვს რა.

ქაბჯარაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ქაბჯარაძემ თვითან და ასე დაუფიცოს: «ცხენი თუ გეჭივრებოდა, მთხოვე და გათხოვე, თორემ მე შენთვის პირიქით არ მეთხრობოის, რომ წაიყვანე და საბალახოზე

1 ექვსი. 2 დამიკარგარგა.

გაუშვი-მეთქინ». თუმც ასე უფიცოს, ცხენი უნათხოვრებია და როგორც ღირებულ იყოს, ისიც დაიტანოს და კობალაძემ გარდაუხადოს. და თუმც ვერ უფიცოს, საბალახოზე გაუტანებია, გაუშვია და დაკარგულა და თავისთავს დააბრალოს ქაბჯარაძემ.

მდივანბეგი გუგუნავა სვიმონ.

მდივანბეგი თავადი გუგუნავა ბექან.

282. განჩინება გოგია ხუხუნაიშვილისა და თოხაძის საქმეზე

1818 წ. 26 ოქტომბერი

[19] ჩყიჱ-სა წელსა, ოქტომბრის კვ-სა დღესა

ხუხუნაიშვილი გოგია და თოხაძე ხუცესი გავაბჭვეთ.

ხუხუნაიშვილმა უჩივლა: ეს კაცი ჩემი ყანის მოზიარე იყო, დაუძახე, გარდმოიარა, ბევრი მცემა, ხელი წამჭამა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

თოხაძემ უპასუხა: ამ კაცმა ჩამომიხდა ყანაში, პირაქეთ გამლახა და საწერელმა ხელი წაუხდინა და მე მაბრალებს და რამ უქნა, არ ვიცი.

ხუხუნაიშვილმა აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ხუხუნაიშვილმა, ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც ყანაში ჩამოგხდომოდე და რამე უკადრისი მეკადრებიოს და არც ეს ხელი საწერლით წამხდარი მჭონდეს, რაც შენ არ წამიხდინე». თუმც ასე უფიცოს, ერთის თითის სისხლი მისცეს თოხაძემ. და თუმც ვერ უფიცოს, რამდენიც გაულახავს, იმდენის გალახულობისაებრ საუპატიო მისცეს ხუხუნაიშვილმა.

[v] თოხაძემ უჩივლა: ამ კაცის მამას თეთრი ვასესხე და ზროხა მომაზიარა და არც ზროხისა ვარ და არც თეთრის; და მათხოვარი ვარ.

ხუხუნაიშვილმა აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ხუხუნაიშვილმა და ასე დაუფიცოს: «არც მამაშენისა და შენგან თეთრი გვესესხებიოს და არც თქვენთვის ზროხა გაგეზიარებიოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, დაუკავებია და ზროხა ზედნადებით მისცეს ხუხუნაიშვილმა.

ამას გარდა რომ სიმინდი უჩივლეს ერთმანერთს — მომპარეო, იმაშიდ ერთმანერთს თვითონ გაუმართლდენ, რომ: «მე შენი სიმინდი არ წამეღოს». და თუ რომელიმე გამოტყდეს, რაც დაჰკლებოდეს, ერთმანეთს გადაუხადონ.

თოხაძემ უჩივლა: ამ კაცმა შვილი და დიაკონი გამილახა სანაოზედ და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ხუხუნაიშვილმა აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ხუხუნაიშვილმა, ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც შენი შვილი და არც დიაკონი არ გამელახოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს გალახულობისაებრ საუპატიო მისცეს.

ხუხუნაიშვილმა უჩივლა: ლობიო მჭონდა ამისი ზიარი, მისი არჩივი სხვას მისცა და ჩემი წილი გავბარგე, სამჯერ მონაპარავი ვნახე შიდ და მეოთხეჯერ გოდორი ვნახე და შინ წავიღე და ამ კაცის დარჩა.

თოხაძემ აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: თოხაძემ ცოდვის ხელი ჩამოართვას: «შენ რომ ლობიოს მეწამები, მე არ მომეპაროს და არც სალობიო გამეცეს». თუმც ასე გაუმართლდეს, არას ემართლება. და თუმც ვერ გაუმართლდეს, რაც წაეღოს, გარდუხადოს ხუხუნაიშვილს.

283. განჩინება ბექან ბერიძისა და ზურაბ თავზარაშვილის საქმეზე

1818 წ. 5 ნოემბერი

ჩყიჱ-სა წელსა, ნოემბრის ე-სა დღესა

ბექან ბერიძე და ზურაბა თავზარაშვილი გავაბჭვეთ.

თავზარაშვილმა უჩივლა: გეგეჭკორის კაცი ჩემს სიმაურს მიენდო. ჩემ[მ]ა სიმაურმა გეგეჭკორს შეარიგა, მერმედ კიდევ გამოიქცა და მიენდო ისევე და გეგეჭკორმა მიჰყიდა ჩემს სიმაურს და ჩემ[მ]ა სიმაურმა მე მომყიდა და ამ კაცმა წამართვა, გამიყიდა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ბექან ბერიძემ აშორა უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბერიძემ ოცდაოთხი გლეხი ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «შენ რომ კაცს მედავები, არც ის კაცი შენ რომ წიგნში გიწერია, ის იყოს, ა[რ]ც ის კაცი შენ გეყიდოს და არც გეგეჭკორს, არც შენს სიმაურს და არც [20] შენ არასდროს ის კაცი არ გყოლებოდესთ». თუმც ასე უფიცოს, სიტყვა არ ექმნება ზურაბას. და თუმც ვერ უფიცოს, როდესაც გამოსდავებია თავზარაშვილი, მას მერმენდელის ნაცთურით მისცეს ის კაცი ბერიძემ.

284. განჩინება ქაიხოსრო ბატონიშვილისა და ივანე ჯღერიას კვიცის საქმეზე

1818 წ. 12 ნოემბერი

ჩყიმ-სა წელსა, ნოემბრის იბ-სა დღესა

მათმა უგანათლებულესობამ ბატონიშვილმა ქაიხოსრომ უბრძანა ივანე ჯღერიას: კვიცის ნახევარი დამპირდი და მათხოვარი ვაროო.

ჯღერიამ მოახსენა: ერთმა კაცმა სამი ცხენი მომპარა, სამოცი მარჩილი ნამთხრობლი გამოვიღე, გურიელს ვეველრე და ქურდი გურიელმა დაიჭირა. მერმედ ვნახე, რომ ერთს ჩემს ჰაკ ცხენზედ ამათი კაცი მდივანი იჯდა, იმ ქურდისათვის უდევრობის წერილი მომაცემინეს, სხვა ველარა ავიღე რა და მხოლოდ ეს ჰაკი ცხენი მომცეს, მაკე იყო და იმისი კვიცი ძალით დაიპირია ბატონიშვილმა, სხვა დანაშაული არა მაქვს რა.

ბატონიშვილმა უბრძანა: შენ და ქურდი გარიგდით, წიგნი მიეცი უდევრობის[1] და მე კვიცის ნახევარი დამპირდი და ვითხოვო.

ჯღერიამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ჯღერიამ ერთი კაცი და ასე შეაფიცოს: «თქვენ თუ მიბრძანეთ — მომეცით, თორემ მე ჩემის ნებით არ შეგპირებოდე, მოგართმოვ-მეთქი». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება ბატონისშვილი. და თუმც ვერ უფიცოს, შეჰპირებია და როგორც შეჰპირებოდეს, ისე მიართვას ბატონისშვილს ჯღერიამ.

285. განჩინება გაზიერ ივანესა და გიორგი ღლონტის ცხენის საქმეზე

1818 წ. 18 ნოემბერი

ჩყიმ-სა წელსა, ნოემბრის იმ-სა დღესა

ბაზიარი ივანე და გიორგი ღლონტი გავაბჭვეთ.

ღლონტმა უჩივლა: სხვისი ცხენი მებარა[2] და ჩემს ნაჩალეგში მყავდა გაშობილი, გარდაიარა და ამ კაცის ყანაში ჩავიდა. ცეცხლის სინათლეზედ მივიდა და თოფი ჰკრა და მოკლა ამ კაცმა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ბაზიარმა უპასუხა: ყანაში მცველი რეგვენი მყავდა დაყენებული და სცვიდა და ურახუნებდა. გამოიარა ამ კაცმა და ორივე კერძონს გაარღვია და ცხენი გადაარონია და ჩემს ბიჭს დაუბარა: ჩემს ყანაში ღორი იარებაო და შენი რახუნი აშინებსო და ნუ ურახუნებო, ბიჭს გაუწყრა. და ამის სიტყვაზედ წავიდა ბიჭი და თოფი ინათხოვრა, იმანც დარაჯი დაუწყო და რაცხა ჩამოვიდა ღამე, თურმე ამის ცხენი ჩამოვიდა ისევ ამის გარღვილზედ, ბიჭს ნადირი ეგონა და მოკლა. სხვა დანაშაული არა მაქვს.

ღლონტმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე [v] გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ღლონტმა და ასე დაუფიცოს, რომ: «არც შენი ყანის ღობე მე გამერღვიოს, არც ცხენი ჩამომეყვანოს და არც შენის მცველისათვის მეთხრობიოს, რომ ჩემი ცხენი თუმც ჩამოვიდეს, მოკალო». თუმც ასე უფიცოს, ღლონტი ამეებში მართალი იქმნება. და მერმედ[1] ბაზიერმა წამოდგეს თვითან და ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «რაც ნადირი არ მეგონა, არც სიკვდილამდის მე ის ცხენად გამეცნოს და არც შენის ჩხუბით და მტერობით მომეკლას».

თუმც ასე დაუფიცოს, გავშინჯეთ, მაგრამ ცხენი ფათერაკად მკდარი დარჩა; მაგრამ ხელცარიელათ მაინც არ გაივლის. ღლონტმა აჯით შეატყობინოს და როგორც ღირებულიყოს, ბაზიარმა ნახევარი გარდუხადოს. და თუმც ღლონტმა ზემოდ ვერ უფიცოს, თავის მიზეზით მოეკვლევებოდა, თავისთავს დააბრალოს[2] და ნუღარც აფიცებს ბაზიერს. და თუმც ბაზიერმა ვერ უფიცოს, გაუცნია და მტერობით მოუკლავს და სრულად გარდუხადოს ბაზიერმა ღლონტს.

286. განჩინება ანანია ქიქოძისა და გიორგი ხუხუნაიშვილის მამულის საქმეზე

1818 წ. 17 ნოემბერი

ჩყიმ-სა წელსა, ნოემბრის იზ-სა დღესა

ანანია ქიქოძე და გიორგი ხუხუნაიშვილი გავაბჭვეთ.

ხუხუნაიშვილმა უჩივლა: ამ კაცის ბაბუა რემანოზ ჩემს სახლში იყო მდებარედ, თევქსმეტს წელიწადს ვემსახურეთ და მერმედ სიკვდილის დროს თავისი მოძღუარი რემანოზმა მოიხმო და ანდერძი დაუტოვა ერთი მამული, რომ ეს მამული ჩემს სამსახურში ხუხუნაშვილს მიეცოო, თავისი ხელად ნაშოვარი იყო და რომ მიიცვალა, კიდეც დავმარხე ქრისტეშობისთვის მარხუაშიდ,

[1] უდავრობის. [2] + მებარა.

[1] შემდგომად. [2] დააბროს.

შეძლებისაებრ აღაპი გარდაუხადე მისის მოძღვრის ბრძანებით, ის მოძღვარიც იყო და ძმისწულიც მისი; და ეს ნაანდერძევი მამული მომცაო და წერილიც მოიტანა მიცემულობის.

ქიქოძემ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქიქოძემ, რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ის მამული, იმდენი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ეს წიგნი ბაბუაჩემის რემანოზის მოცემული და ხელჩართული იყოს, არც მისის ძმისწულის[1] გაბრიელისათვის და მოძღვრისათვის დაემოწმებინოს — ეს მამული ხუხუნაიშვილს მიეცეო და არც გაბრიელ ქიქოძის საწილადო ყოფილიყოს ეს მამული». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება, ხუხუნაიშვილი და მამული ქიქოძეს დარჩეს. და თუმც ვერ უფიცოს, ნამსახურმიდ თავისი ხელად ნაშოვარი მამული მიუცემია წერილით რემანოზს და მამულიც ხუხუნაიშვილს დარჩეს; და რაც დაჰკლებია, ისიც შეუსრულოს ქიქოძემ.

ქიქოძემ უჩივლა: ბაბუაჩემს ყოველი დიდი კაცი სწყალობდა და ხუთასი მარჩილი მიიტანა ამ კაცისას თეთრი თუ საქონელი; და რომ მიიცვალა, მისთვინ არა მოუხმარებიათ, ამისას დარჩა; და მათხოვარი ვარ.

ხუხუნაიშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითონ ხუხუნაიშვილმა, ოთხი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «შენ რომ ბაბუაშენის თეთრს და საქონელს მეწამები, ერთი ძველი მარჩილისა და ერთი სათვალის მეტი ჩვენ მისი არა შეგვრჩენოდეს და არც რამე გვქონდეს».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ქიქოძემ აჯით შეატყობინოს, რაც შერჩენოდენ; და ხუხუნაიშვილმა გარდაუხადოს.

287. განჩინება იოსებ არხიმანდრიტისა და ივანე ჭყონიას საქმეზე

1818 წ. 20 ნოემბერი

[21] ჩყიჱ-სა წელსა, ნოემბრის კ-სა დღესა

მათი ყოვლად სამღრდელოების ჯუმათელ მიტროპოლიტის ნიკოლაოზის არხიმანდრიტი იოსებ და ჭყონია ივანე გავაბჭვეთ.

არხიმანდრიტმა უჩივლა: ეს კაცი ჩვენი კაცი ყოფილა და მისი კაცებიც ჩვენგან მიცემული ჰყოლია და ამისი უმფროსი ძმა ბეჟან ჭყონია უშვილოდ ამოვარდა და მისი ყმა და მამული მათმა უგანათლებულესობამ მთავარმა გურიელმა მამია ჯუმათის ეკლესიას შემოსწირა უძებარ-საძებრით, რისიც მჭონენი არიან, და დავთარიც მოიტანა შეწირულობის არხიმანდრიტმა — და ამ დავთარში რომ კაცი გვიწერია, ერთი იმისი შვილი ამ კაცს ჰყავს და არ გვაძლევს და რა მიზეზისათვის გვეკამბს, არ ვიცი.

ჭყონიამ უპასუხა: მე და ჩემი ძმა რომ გავიყავით, ერთი იმ კაცის და მე მერგო და მოახლედ მყავდა. მოვიდა იმ კაცმა, მოახლე შინიდამ წამართვა, რამოდენიმე ჩემი ყოფაც თან გაატანა და გზა შემიკრა, რომ გარდამერო, უნდა მივეკალი, მაგრამ ღმერთმან გადამარჩინა. მერმედ ის კოიტთან მივიდა, მე წამოველ და ბატონს შევეხვეწე და იქ კოიტთან ვისაქმე და იმისი ძმა დავიჭირე; და მოვიდა თვითონ ის ჩემი მოღალატე და გოგოს გამპარებელი და თავის ძმა ამოუშვა და მან ხელთ მომებარა; და დამნაშავე ჩემი ხელთ მყავს, და შენ რას მედავები, არ ვიცი.

არხიმანდრიტმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს არხიმანდრიტმა ოცდაოთხი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც შენგან გოგო გამოეპარებინოს, არც გოგოს და არც ბიჭს შენი რამე წამოეღოს და არც გზაზედ დაგჯდომოდეს, რომ გადმოიარს, მოგკლაო და არც რომ მიჩივი, ის გოგო ეკურთხებინოს». თუმც ასე უფიცოს, როდესაც გამოსდავებოდეს, მას მერმენდელის ნაცთურით მისცეს ეკლესიას თავისი კაცი ჭყონიამ.

და თუმც ვერ უფიცოს, და გზაშიდ დაჯდომაშიდ გამოუტყდეს, ორი სისხლი მისცეს. და თუმც გოგოს გაპარებაშიდ გამოუტყდეს, გოგოც და რაც წაეღოს, ზედნადებით მისცეს. და თუმც სახლში ის ბიჭი შესულა და გაუქურდავს, გამოტყდეს — ცოლისა და ქმრის სისხლი მისცეს. და თუმც ამაებში ვერ გაუმართლდეს და ვერც ესენი გარდაუხადოს, კაცი ხელათმქნელად[1] დარჩეს ჭყონიას.

ჭყონიამ უჩივლა: ძველის ჯუმათლებისაგან დავთრით მოცემული ხელობა მქონდა — ქორეპისკოპოსობა, და სხვასაც ჩემს სახლისკაცებს და ჩემი ბატონის კაცებს აქვან რომელნიმე ეკლესიის ხელობა, და მე არ მაძლევს, მაგრამ რას მემართლება, არ ვიცი.

არხიმანდრიტმა უპასუხა: მართალია, ყოფილხარ,

[1] ხელათმქნელადხელ ამ თქმულად.

[1] წმისწულის.

დავთარიც[1] გიცხადებსო, მაგრამ დღეს ჩემი კაცი არა ხარ და ამისთვის არ გაძლეო.

გავშინჯეთ ჩვენ, მაგრამ სამართალი ამაშიდ არავის ერგო. და რადგანც დავთრით[2] მიცემული ქონებია, თუმც ერთი შვილი ჯუმათელს აახლოს ჰყონიამ, ხელობა სამართლისაებრ ისევ არგონ; და თუმც არ აახლოს, ისევ ჯუმათელს ექმნების და ვისაც ნებავს, მას მისცემს.

288. განჩინება ივანე კანდელაკისა და იესე ჯიჯიეიშვილის ყმის საქმეზე

1818 წ. 25 ნოემბერი

[v] ჩყიწ-სა წელსა ნოემბრის კე-სა დღესა.

კანდელაკი ივანე და ჯიჯიეიშვილი იესე გავაბმევეთ.

ჯიჯიეიშვილმა უჩივლა: გიორ[გი] გურიელის ხელშიდ ნასყიდი კაცი მყავდა და მე მყავდა ბიძაჩემს მივაბარე და მაჭსიმენ ჯუმათელმა უბრძანა ბიძაჩემს და მამაჩემს, რომ: მე მომბარე, ჩემს ქვეყანაშიდ დაასახლე და მე შამოუვლიო; წაიყვანა, იმედი მისცა, დაასახლა. მერმედ მოთხარეს მისი ნამედევი კაცი, და რომ იხსნიდა, დავითხოვე — თუმც ჩემთვის არ იქმნება, ნუ იხსნი-მეთქინ. თავშიდაც მან მიიბარა, ბოლოსაც მას ჰყავს, ვსთხოვ და არ მაძლევს; და რას მემართლება, არ ვიცი.

კანდელაკმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს კანდელაკმა თორმეტი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს: «თათარში გაყიდიან და ჩემს მამულში დაასახლეო, მღდელმთავარი იყო მაქსიმენ ჯუმათელი და, ის თუ გიბრძანა, თორემ არც ის ეთხრობიოს, რომ მოთხარონ და დაიკარგოს — მე ამოვიყვანოო. არც სანამდის საქმე არ გარდავსწყვიტე და არ მომცა ვახტანგ ერისთავმა, მანამდის დაგეთხოვნო და არც ჩემის ჩხუბითა და ხერხით შენ ის კაცი დაგკარგოდესო».

თუმც ასე უფიცოს, კაციც ჯუმათელს დარჩეს და რაც წვერთმიოს ჯიჯიეიშვილს ერთიორად მისცეს და რაც ჯიჯიეიშვილით ზნიანი მოსლოდეს, ისიც უზღოს ჯუმათელს. და თუმც ვერ უფიცოს, მოუ-

[1] დავქთარიც. [2] დავქთრით.

ბარებია, მისით დაჰკარგვია და როგორც მიუბარებია, ისე მისცეს თავისი კაცი ჯიჯიეიშვილს.

კანდელაკმა უჩივლა: ერთი ამ კაცის შვილი გოგო კოიტი ჰყონიას ჰყავდა წართმეული და მრავალჯელ სთხოვა მაქსიმენ ჯუმათელმა, მაგრამ არ მისცა. მერმედ კოიტი დაყოლილი იყო ავათ; და იხმო ჯუმათელი, მაგრამ უწყრებოდა და არ მიეიდა. მერმედ შამოუთვალა, რომ მობრძანდიო და თქვენს სადევარს გოგოს მოგართმოვო. წაბრძანდა ჯუმათელი და მისცა კოიტმა ის გოგო; და ახლა რას მედავება ეს კაცი, არ ვიცი.

ჯიჯიეიშვილმა აშორო უთხრა:

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ჯიჯიეიშვილმა თორმეტი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ის გოგო კოიტს ჩემთვის წაერთმიოს და დაეკავებინოს და არც მაქსიმენ ჯუმათლისათვის მიეცეს». თუმც ასე უფიცოს, გოგო ჯიჯიეიშვილს დარჩეს. და თუმც ვერ უფიცოს, გოგო კოიტს მოუცემია ჯუმათელისათვის და ნუღარ ედავება ნურც ჯუმათელს და ნურც მამამის[ს] ჯიჯიეიშვილი, ისე დარჩეს ჯუმათელს.

ზემოდ წერილში მოფიცარი ნამეტარი გაუჩნდებოდა, მაგრამ სხვაგან საღევებელი აქვს კიდევ და ამისთვის შევამცირედ მოფიცარი.

289. განჩინება დავით ამაღლებელისა და ლაზარე ქილიფთარის მოპასლის საქმეზე

1818 წ. 27 ნოემბერი

[22] ჩყიწ-სა წელსა, ნოემბრის კზ-სა დღესა

ამაღლებელი დავით და ქილიფთარი ლაზარე, სიამაისშვილი სიმონა გავაბჭვეთ.

ქილიფთარმა[1] უჩივლა: ჩემს მოყვარეს სიმონა სიამაისშვილს გოგო მივაბარე და ისევ მომგვარა ჩემი გოგო და გაეყიდე; ეხლა მედავება ეს კაცი და რას მედავება, არ ვიცი.

ამაღლებელმა უპასუხა: შენ და შენმა მოყვარემ სიმონამ ის გოგო გოგია სიამაიშვილს გამოატანეთ, გასაყიდათ და მე მომყიდა, ფასი სრულად მივეცი და თქვე[ნ] მოგიტანათ. მოვიდა მერმედ და ის გოგო თავის ჭირისუფალთან და ნათესავთან გამოვატანე და ცოტა რამე გასაყიდიც წამოიღო. მერმეთ

[1] ქლიაქთარმა.

გოგია სიამაისშვილი თათრებმა მოკლეს და გოგო თქვენ წამართვით და გამიყიდეთ; და რას მემართლებოდით, არ ვიცი.

ქილიფთარმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქილიფთარმა თორმეტი კაცი — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც მე და არც სიმონა სიამაისშვილს ის გოგო გოგია სიამაისშვილისათვის გასაყიდათ არ გამოგვეტანებიოს და არც თეთრი და არც საქონელი იმაშიდ იმას ჩვენთვის არაფერი არ მიეცეს, და ვისაც მივაბარე ჩემი გოგო, მანვე მომცა, თორემ მე შენთვის ის გოგო არ წამერთმიოს».

და თუმც ასე უფიცოს, ქილიფთართან და სიმონა სიამაისშვილთან სიტყვა აღარ ექმნება და გოგო ვისაც მიუყიდია, ისევ მასვე წამოუტანებია, მას მოსთხოვოს სამართლისამებრ. და თუმც ამაშიდ ვერ უფიცოს, გოგო გაუტანებიათ გასაყიდათ და ფასიც ამათ შეუჭამიათ და გოგოც ისევ წაურთმევიათ და გო[გო] ზედნადებით მისცეს. და რაც წამოუღია გოგოს, თუმც ამათთან მოჰყოლოდეს, ისიც გარდაუხადონ ამაღლებელსა.

290. განჩინება სიმონა და გაბილა ასკურავების საქმეზე

1818 წ. 16 დეკემბერი

ჩყიზ-სა წელსა, დეკემბრის იზ-სა დღესა

ასკურავა სიმონა და ასკურავა გაბილა გამოცხადნენ.

სიმონამ უჩივლა: ამ კაცმა ხარი წამართვა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გაბილამ უპასუხა: ამ კაცმა ხალვაშს ტყუილზე შემაფიცა, ფიცი მომივიდა, ვეხვეწე ამას; მაგრამ არ აახსნევინა და მართალია, ხარი წავართვი და ფიცის ანამხსნელობში მივეცი ხალვაშს. სხვა დანაშაული არა მაქვს რა.

სიმონამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან სიმონამ, ერთი კაცი თან დაიტანოს და ასე დაუფიცოს: «არც ხალვაშისათვის მე შენ ტყუილზე შემეფიცებიო და არც ის ფიცი მოგსლოდეს». თუმც ასე უფიცოს, ხარი ტყულად [ν] წაურთმევია, ნახევარი ყოფილა და ნახევარი დაუდვას და მას [მ]თელი ხარი მისცეს. და თუმც ვერ უფიცოს, ტყუილზე შეუფიცებია, მას არ აუხსნევნებია, შეხვეწია და რადგანც თავისი ხელით აუხსნევნებია, სიტყვა აღარ ექმნება სიმონას.

სიმონამ უჩივლა: ყანა გვქონდა თაღრათ და ამ კაცის დასტურით წყალი გამოუშვი, შეგუბა ამ კაცმა წყალი და ყანა წამიხდინა; და მათხოვარი ვარ.

გაბილამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს გაბილამ და ასე დაუფიცოს: «არც ის წყალი შემეგუბოს და არც ჩემით ყანა წაგხდომოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ უფიცოს, რაც ზნიანებოდეს, სიმონამ დააჯეროს და გაბილამ გარდაუხადოს.

გაბილამ უჩივლა: მართალია, წყალი გამოგაშობინე, მაგრამ ხარი დამპირდი, შენს მოზიარეს ხარი გამოვართვი, მათხოვა, დამხდი გზაზედ, ხარიც წამართვი და მეც გამლახე და რას მემართლებოდი, არ ვიცი.

სიმონამ უპასუხა: ამ კაცმა კარდლის გაკეთება დამპირდა და ხარი იმაშიდ დავჰპირდი, კარდალი მომატყუა, ჩემი ხარი ჩემ [მ]აგიერ გამოსტყუა ჩემს მოზიარეს და ვნახე, არ დავანებე და ჩახმახი დამიკრა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გაბილამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს გაბილამ თორმეტი გლეხი თავის ხეობის და ანუ ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც კარდლის გაკეთებას შეგპირებოდე, არც შენის ანლობით ის ხარები გამომრთმიოს და არც მე შენთვის ჩახმახი დამეკრას». თუმც ასე უფიცოს, სიმონამ გალახვის საუპატიო მისცეს. და თუმც ვერ უფიცოს, გალახვამ ერთმანერთშიდ გაიაროს; და ჩახმახის კვრისათვის მრთელი სისხლი მისცეს გაბილამ სიმონას.

გაბილამ უჩივლა: ხარი რომ მომყავდა იმ დღეს, თოფი მესროლა, დამცილდა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

სიმონამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს სიმონამ ექვსი[1] კაცი და ასე შეაფიცოს: «მე შენთვის თოფი არ მესროლოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ნახევარი სისხლი მისცეს სიმონამ გაბილას.

სიმონამ უჩივლა: ამ კაცმა ხულის საკეთებლად დამპატიჟა, წავყევი[2], მომიხდენ ძმებმა, გამლახეს, ამით დამემართა და პასუხს ვითხოვ.

გაბილამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს გაბილამ და ასე დაუფიცოს:

[1] ექვსი. [2] წავხევი.

«ჩემის დაპატიჟებით და წაყვანით შენ არ გალახულიყო». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, გალახვის საუბატიო მისცეს გაბილამ, რათგანც მისით გალახულა.

291. განჩინება უჯმაჯურიძეთა ძმა-მამულისა და სასისხლო საქმეზე

1822 წ. 8 აგვისტო

[23] ჩყკბ-სა წელსა, აგვისტოს ზ

უჯმაჯურიძე როსტომა და მისი სახლისკაცი დათიკა და [კ]ილდე დათიკა და უჯმაჯურიძე ესიკა, ივანიკა და ხახუტელა ჩვენს სამოსამართლოში შამოვიდენ.

როსტომამ უჩივლა: ჩვენი საერთო კაცი მამაპაპისსოული ცინცაბაძე და კიწმარიაშვილი ხელთ გყავს, ბაბუაჩემი გედავებოდა და მამაჩემი გედავებოდა, მე გედავები და არ მაძლევ და რას მემართლები, არ ვიცი.

ესიკამ ამ კაცების აშორო უთხრა.

ჩვე[ნ] ასე გავაჩინეთ: წამუაყენოს ესიკამ და მისმა შემწე კაცმა ოცდაოთხი კაცი და თუ დასჭირდეს ნახევარში სხვა ამავალი უფროსი და ასე შიაფიცოს: «ბაბუაჩემი და ბაბუაშენი რომ გაიყო, მაშინ არც ბაბუაშენის და არც მამაშენის სადაო და საწილადო ამ კაცებში არაფელი გაყოლოდეს». თუ ასე დაუფიცოს, არას ემართლება როსტომა. და თუ ვერ უფიცოს, საზიარო ყოფილა და ძმურათ გაიყონ.

ესიკამ დოლიძე უჩივლა, საზიარო იყო და შენ დაკარგეო.

როსტომამ უპასუხა: მართალია, დაკარგული არის, მაგრამ არ გამიყიდია, ფასი არ ამიღია.

დავშინჯეთ ჩვენ მოსამართლეებმა და რადგან მისი გაყიდული არ არის, მიდგენ და ისევ საერთოდ იდაონ იმ კაცზე; და თუ ამოიყვანოთ, ისევ ამ ზემოწერილზე გაიყონ. თუ ამ თაეში იფიცოს ესიკამ, გაყოფილი ყოფილან და დოლიძეს ეელარ ედავება ესიკა როსტომას.

როსტომამ უჩივლა: ვაშაყმაძისსოული ჩემ[ი] სასაკუთრო არისო და ნახევარს მართმევ და რას მემართლები, არ ვიცი.

ესიკამ უპასუხა: მართალია, მამისა და ბაბუისსოული არის და რავაც სხვაია, ისე ნახევარი შენ გაქ და ნახევარი ჩემია.

როსტომამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წაიყვანოს ორივემ საჯერი კაცი და დააფასებინონ ის სამოსახლო ადგილ-მამული და რამდენს ათ მარჩილათ დაიფასო**ს** — იმდენი კაცი, და ველს ადგილზე — ოც მარჩილზე ერთი კაცი და ასე[1] შიაფიცოს: «შენ რომ ადგილ-მამულს მედავები, ჩემი საკუთარი არისო, არც მამისა და ბაბუაშენის[2] საზიარო იყოს და არც საოჯახო ქთამი გამოღებულიყოს, ბაბუაჩემმა მისთვის **[v]** საკუთრათ თუ იშონა, თვარა».

თუმც ასე უფიცოს, რამდენიც ხანი დავებია, ნაცთურიც მისცეს და ადგილიც რომელსაც ფიცავს როსტომა. თუ ვერ უფიცოს, გარიგებული ყოფილან და რავაც ამდე[ნ] ხანს ყოფილან, ისევ იმოზიარონ.

ესიკამ უჩივლა: კახოურა ჩვენი საკუთარი ადგილი იყო და ნახევარი გაყიდე და ნახევარი ხელთ გაქვს, გთხოვ და [ა]რ მაძლევ და რას მემართლები.

როსტომამ უპასუხა: თორმეტ ოქროში საწინდრათ მჭონდა, მერმეთ გოგო მეკარქოდა თათარში — ცისკარიძის დედა; მერმეთ შამომეხვეწა იმ ცისკარიძეს: თუ დედაჩემი არ დეიხსენ, მეც მასთან წავალო, მოდექი და ოთხას მარჩილათ ნახსარი მყავდა ის გოგო და ისიც იმაში მოგეც; და რას მემართლები, არ ვიცი.

ესიკამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე განვაჩინეთ: წამოაყენოს ესიკამ თორმეტი გლეხი კა[ცი], და თუ დასჭირდეს ნახევარში ამავალი უფროს[ი], და ასე შიაფიცოს: «არასდროს არც თეთრში და არც გოგოში, არც მამაჩემისაგან და არც ბაბუაჩემისაგან, არც საწინდათ და არც ხელაღებ არ იყოს არაფერ საქმეში ის მამული».

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება როსტომა; და რამდენიც ხანი უდავებია, ნაცთურიც მისცეს და ნახევარი მამულიც როსტომამ ესიკას და მის სახლისკაცს. და თუ ვერ უფიცოს, რაც დაკლებია იმ მამულში მისით, როსტომამ აჯით შიატყობიოს და გადუხადოს ესიკამ და მისმა შემწემ. და ადგილი მიცემული ქონია და არას ემართლება ესიკა როსტომას.

უჯმაჯურიძენი ერთმანეთს ადგილმამულს ედავებიან. ერთმანეთს ხატი მიუსვენონ და რამდენს ათ მარჩილათ დაიფასოს ადგილი, იმდენის კაცით ერ[თ]მანეთს გაუმართლდენ. და რომელიც გამოტყდეს, რადგან ზიარი კაცისსოული ყოფილა, ძმურათ გაიყონ.

ივანიკამ უჩივლა: ახლო ვიდექი, შომიხთი, დედა გამილახე, ხელები დაამტვრიე, მე თოფი წამართვი, იარაღი ამყარე, მარა რას მემართლებოდი, არ ვიცი.

---

[1] + და ასე. [2] ბაბიაშენის.

რ ო ს ტ ო მ ა მ უ პ ა ს უ ხ ა: ორი ჩემი ძმაი და ერთი გოგო შეშისდა გავგზავნე, დახვთი შენ, ძმებიც გამილახე და გოგოც; და შენ იფიქრე, ამ ხმაზე როსტომა გადმეიარსო და[1] დამხთი ჰიშ[ქ]არზე, რომ გამეეიარე და ჩა[24]ხმახი მიკარი, ჩემი სატევარი წამართვი, მესროლე და ტანისამოსში მომხთა და გეიქეცი და მართალია, გამოგეკიდე და თოფი წაგართვი.

ი ვ ა ნ ი კ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამო[ა]ყენოს ივანიკამ თორმეტი გლეხი კაცი, და თუ დასჭირდეს ნახევარში ამავალი უფროსი[2], და ასე შიაფიცოს: «რომელსაც შენ ჩახმახის დაკვრას მიჩივი, მე შენ არც გზაზე დაგხთომოდე და არც ჩახმახი დამეკრას და არც რამე მეკადრებიოს უმალეზე». თუმც ასე უფიცოს ივანიკამ, როსტომა თოფის ართმევაში გამოტეხილი არის და ნახევარი სისხლი მისცეს ივანიკას.

რომელსაც დედის გალახვას როსტომას უჩივის, როსტომამ გალახვის ვარი სთქვა. წამოდგეს თვითან როსტომამ და ასე დაუფიცოს: «მე დედაშენი არ გამელახოს». თუმც ასე გაუმართლდეს, რარიგათაც გალახულიყოს, იმგვარი საუპატიო მისცეს როსტომამ ივანიკას. და თუ ზემოთ წერილში ივანიკამ ვერ გაუმართლდეს, როსტომას ფიცი აღარ დასჭირდება.

და იარაღის აყრამ ერთმანეთში გაიაროს. და რამდენიც გალახულ იყოს და რა[რ]იგათა გალახულ იყოს, იმგვარი საუპატიო მისცეს ივანიკამ როსტომას. თუ ჩახმახის კვრასში გამოტყდეს, ნახევარი სისხლი მისცეს როსტომას.

რ ო ს ტ ო მ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ეზოს მესერს ვაელებდი, ღობერი მოვთხარე, ბაწარს[3] ვაბმიდი, მესერს რომ ვაკეთებდი. რავაც იყო ჯი გავაკეთე და მე ს ა ჯ ა ვ ა ხ ო ს წავედი. მიმიხთა ამ კაცმა შინ, ჩემი გაკეთებული მესერი გამირღვია, ჩემ[მ]ა გოგომ მუ[უ]შალა, გოგოს გასალახავათ გამიეკიდა, ჩემ[მ]ა გოგომ ჩემს საფარაშოში შევიდა, გოგოც გამილახა და შვილიც ჩემს სახლში, რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ი ვ ა ნ ი კ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ივანიკამ ექვსი კაცი და ასე შეფიცოს: «ჩემს ღობეს თუ არღვევდა შენი გოგო და ის თუ მოუშალე, თვარა არც შენს ეზოში მოგხთომოდე და არც მესერი შემერღვიოს და [ა]რც სახლში მოგხთომოდე და არც შენი შვილი და მუახლე გამელახოს». თუმც ასე უფიცოს, რას ემართლება. თუ ვერ

1 + და მეიარსო. 2 + ამავალი. 3 ბაწარი.

უფიცოს, რამდენიც გაელახოს, გალახვის გვარათ საუპატიო მისცეს ივანიკამ როსტომას.

ი ვ ა ნ ი კ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ი ვ ა ნ ე რ ა მ ი [v] შ ვ ი ლ ი ნაზიარები ჩემსას მევიდა, გამეიარე შენ, დაარტყი თავზე და თავი გოუხეთქე ჩემს სტუმარს ჩემს ეზოში, მარა რას მემართლებოდი, არ ვიცი.

რ ო ს ტ ო მ ა მ ა მ ი ს ი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს როსტომამ სამი კაცი და ასე დაუფიცოს: «სხვა სავალო საქმე თუ მქონია და ავიშალეთ, თვარა შენს ეზოში მე არ ჩამოგხთომოდე და არც შენი სტუმარი გამელახოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება, თუ ვერ უფიცოს, გალახვის საუპატიო მისცეს, რარიგათაც გალახულ იყოს.

რ ო ს ტ ო მ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: მ ჭ [ე] ლ ი ძ ე და გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე ჩემი სტუმარი იყო, ჩამომიხდი შინ და სტუმრები გამილახე, მარა რას მემართლები, არ ვიცი.

ი ვ ა ნ ი კ ა მ ა მ ი ს ი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ივანიკამ ექვსი კაცი და ასე შიაფიცოს: «შენ რომ ოჯახში მოხთომას მიჩივი და სტუმრის გალახვას მიჩივი — გოგიბერიძე და მჭელიძე გამილახევო, არც ოჯახში მოგხთომოდე და არც შენი სტუმარი გამელახოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, რარიგათაც გალახულიყოს, იმგვარი საუპატიო მისცეს ორივეს[ი] ივანიკამ როსტომას.

რ ო ს ტ ო მ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ჩემს ალაგზე ვენახს ვაკეთებდი, მომიხთა ამ კაცმა, ჭუდი გადამგლიჯა, იქ დედაჩემი იყო, ისიც გამილახა, ხელი მოსტეხა, მაგრამ რას მემართლებოდა, არ ვიცი.

ი ვ ა ნ ი კ ა მ ა მ ი ს ი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ივანიკამ რვა კაცი და ასე შიაფიცოს: «არც საზღვარს შიგნი[თ] ჩამოგხთომოდე, არც შენ და არც დედაშენი არ გამელახოს[1] და არც რამე მეკადრებიოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, რარიგათაც გეელახოს, იმგვარი საუპატიო მისცეს ორივეს.

რ ო ს ტ ო მ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ზიარი ცხენები გვყავდაო, დაგეკარგა, წევედით და ჰ ი ლ ა ძ ე ს ზროხები წავართვით. წამოვიდა ჰილაძეც, ბოქაული ჩამოგვიყენა[2] და თავი ზროხები წეიყვანა და ნამბრავლში ფიცი შამოგვიკეეთეს, ის ზროხები შენსას იყო და

1 + თუ ასე. 2 + ჰილაძემ.

მომატყუე, შემაფიცე და თურმე ნამბრავლი დარჩა და არ გამიმხილე და იმ ფიცმა შვილი მომიკლა და ვითხოვ პასუხი მომცე.

ივანიკამ ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ივანიკამ და ორი კაცი თან დაიტანოს და ასე უფიცოს: «ის რომ ცხენის მაგიორათ ზროხა მევიყვანეთ ჭილაძისაგან უფასურათ, იმ ზროხებში არაფელი მრგებოდეს». თუ ასე უფიცოს, რაც ერგებოდეს, თავის საწილო მისცეს. თუ ვერ გაუმართლდეს ივანიკამ, როსტომამ აჯით შეატყობიოს და გადუხადოს ივანიკამ.

მდივანბეგი გიორგი ერისთავი

ჩყკბ წელსა, აგუშტოსა თ-ისა[1].

292. განჩინება დავითელა და იესელა კეკელიძეების საქმეზე

1822 წ. 9 აგვისტო

[25] ჩყკბ წელსა, აგვისტოს თ-სა

დავითელა კეკელიძე და მისი სახლისკაცი იესელა გავამჭვეთ.

იესელამ უჩივლა: ბაბუისსოული ადგილ-მამული ჩემი საწილო და სახვედრი ნამეტარი [გ]ქონდა, შენდა ხმარობდი. მერმეთ მედევე სამართალშიდ, ფიცი დაგადევი, თორმეტი კაცით დაგაფიცე შენ და ფიცმა გიწია, და ფიცი ამახსნევია, და ფიცის ახსნისათვის რაც ადგილ-მამული გვქონდა, ყველა გამიზიარე, წერილით მოგვეცი და კიდეც მოიტანა.

დავითელამ წერილის მიცემის ვარი სთქვა.

ჩვენ, მოსამართლეებმა, გავსინჯეთ და ასრე გავაჩინეთ: იესელამ თავის ხეობის უმტერ-უმოყვრო რვა კაცი დაუსახელოს და იმ რვისაგან დავითელამ ორი უშოვნოს და იმ ორს ექვსი სხვა კაცი ამოაყოლოს და [ა]სრე დაუფიცოს: «რომელსაც წერილს შენ მინიშნავ, არც ის წიგნი ჩემი მოცემული იყოს, რომელსაც ადგილ-მამულში ნაფიცი გყავდი, ის ფიცი არც ტყუილი მეფიცოს და არც ამეხსნას». თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა. და თუმც ვერა უფიცოს, როგორც მიცემული წერილი უცხადებდეს, ისრე ის მამული მისცეს. და ფი[ცი]ს ახსნის შემდგომად რამდენიც[2] ხანი მამული ეხმაროს, ნაცთურით მისცეს დავითელამ იესელას.

[1] +გ. [2] +რამდენი.

[ი]ესელამ უჩივლა: ბაბუაჩემს საყდარში ასოცი მარჩილი თეთრი ქონდა შენახული, თქვენი საზიარო იყო, მაგრამ ბაბუაშენმა და მამაშენმა ი[ს] ჩემი ბაბუის საზიარო თეთრი საკუთრათ დახარჯა და გაქს, ვითხოვ პასუხი მომცე.

დავითელამ უპასუხა: მამაჩემი დეიკარგა და როდისაც თათრიდან ჩამოვიდა, გაღარიბებული იყო, ოცი მარჩილი საზიარო დახარჯე და იმის ნახევარ თეთრში ხარები მოგეცით შენს საკედაროში და გასტუმრებული ხარ.

იესელამ ხარის მიცემის ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან [ი]ესელამ და ასე დაუფიცოს: «ბაბუაშენმა და მამაშენმა რომ საზიარო თეთრი დახარჯა, იმაშიდ არც ხარი და არც თეთრი არც მამაჩემს და არც ბაბუაჩემს არ მისცემოდეს, არც რამე ი[ე]ღოს». თუმც ასე გაუმართლდეს, რადგან დავითელამ ოცი მარჩილი იტეხა დ[ა] ეს სამოცს მარჩილს ედავება, ამისი ასე გავაჩინეთ:

წამოდგეს თავათ დავითელამ და ერთი კაცი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: «რომელსაც შენ თეთრის დახარჯვას მიჩივი, ის თეთრი შენი მამის და ბაბუის საკედარო ათი მარჩილის მეტი არ დ[ა]ეხარჯოს და [ა]რც წე[ე]ღოს». თუმც ასრე და[უ]ფიცოს, სხვას არას ემართლება, მისი საკედარო ათი მარჩილი მისცეს. და თუმც ვერ დაუფიცოს, სრულებით[1] სამოცი მარჩილი მისცეს დავითელამ. მაგრამ იესელამ თუ ხარის მიცემაში ვერ გაუმართლდეს, გასტუმრებული ყოლია და დავითელას ფიცი აღარ დასჭირდება.

[v] დავითელამ უჩივლა: ბაბუაჩემისაგან გურგენიძეს სამოცი საყვითლავი ილდუზის ოქრო ებარა და ბაბუაშენმა მივიდა და გამოართვა და საკუთრად დახარჯა, და ვითხოვ[2] პასუხი მომცე.

[ი]ესელამ ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოაყენოს [ი]ესელამ სამი კაცი და ასე დაუფიცოს: «რომელსაც გურგენიძის ნაბარების თეთრის დახარჯვას შენ მეწამები, ის თეთრი არც ბაბუაჩემს და არც მამაჩემს არ დ[ა]ეხარჯოს და არც წე[ე]ღოს». თუმც ასე გაუმართლდეს, არას ემართლება. და თუმც ვერ გაუმართლდეს, დავითელამ აჯით შიატყობიოს რამდენიც ყოფილიყოს თავისი საწილო და [ი]ესელამ გარდაუხადოს.

იესელამ უჩივლა: სა[ა]დრიო ყანა მჭონდა, მოდი შენ და შენმა ძმამ ჩემს ყანაში კრეფაზე[3], კრეფა დოუწყეე, გოდორი აგეფსო[4];

[1] სურულებით. [2] ვითხუ. [3] კრებაზე. [4] აგაფსო.

წამოვიდა მამაჩემ[მ]ა, ჩვენ ბოვშები[1] ვიყავით და თან ვიახლ̣ით და ჩამოვედით დასათხუვარ[ა]თ ჩვენს ყანაში; პირაქეთ მამა და დედა გაგვილახე, ჩვენც დაგვლახე, მოკრეფული ღომი შინ წაიღე, და ვითხოვ პასუხი მომცე.

დ ა ვ ი თ ე ლ ა მ ამისი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასრე[2] გავაჩინეთ: წამუაყენოს დავითელამ ორი კ[ც]ი და [ა]სე დაუფიცოს: «მეზობლობითა და სიყვარულობით თუ ჩამოვედი[3] შენთან შენს ყანაში, თვარა არც შენდა უნებურათ[4] ჩამო[ვ]სულიყო და [ა]რც გამელახო, არც შენ და არც მამაშენი[ს] უნებურათ ღომი წამეღოს». თუმც ასრე დაუფიცოს, ვერას შეუვა. და თუმც ვერ დაუფიცოს, რამდენი გაულახავს, იმოდენი საუპატიო მისცეს თითოს და თითოს ოც-ოც[ი] მარჩილი[5]. ღომი რაც წ[ა]ეღოს, ერთიორათ მისცეს დავითელამ.

ი ე ს ე ლ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ჟამობის წელ[ი]წ[ა]ლს თხები დამეკარგა და მოვდექი და სამეზობლო სამართალი გთხოვეთ, ყველა მეზობელმა სამართალი მომცა და შენ არ მომეცი და ამისთვის დაგითხოვე, რომ ჩემს ეზოშიდ ნუ დეიარები[6]-თქვა, მაგრამ არ დამეთხო[ვე], შენმა შვილმა მოვიდა ჩემსას[7] შინ და პირაქეთ გინება დაგვიწყო; ჩემი ძმა და ის წალაპარიკდენ, აიშალენ და პირაქეთ დანა დაკრა ჩემს ძმას შენმა შვილმა და სისხლი ადინა, გალახა და მერმეთ მართალი არის, სატევარი დაკრ[ა] და სისხლი ადინა.

დ ა ვ ი თ ე ლ ა მ ამისი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს **[26]** დავითელმა და [ა]ნ მისმა შვილმა და ოთხი კაცი თან ჩაიტანოს და [ა]სრე დაუფიცოს: «რომელსაც შინ მოხთომას და დანის დაკვრას უჩივა, არც შენს ოჯახშიდ საჩხუბრათ და მოსახთომად მოვსულიყო და არც დანა დამეკრას». თუმც ასრე გაუმართლდეს, სატევარი დოუკრავს და რადგან ჭრილობა აღარ ეტყობა რომ განგვეზომა, ამისთვის ერთიორათ საუპატიო მისცეს ორ[ი]ვეს მარჩილი. და თუმც ვერ დაუფიცოს, შინ მიხთენია და ერთის კაცის იმ ოჯახის მცხოვრებელის ნახევარი სისხლი მისცეს დავითელამ, რომელიც[8] იქს ასოცს მარჩილს[9]. დანის დაკვრა და სატევრის დაკვრა ერთქმეთში გაიაროს.

ი ე ს ე ლ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ახალ წელიწადს ბ ე რ ი ძ ი ს ხატის მისვენება გვემართა და ხატი შინ დავასვენე და ბერიძესთან წას[ვ]ლას ვაპირობდი. მერმეთ მოდი შენ და შენმა ძმამ და შინ შამომიხე-

[1] ბოშები. [2] ასერე. [3] +თვარა. [4] უნებულათ. [5] მარჩ̣ილი. [6] დეირაები. [7] ჩ̣ემსა. [8] რომელის. [9] მარარჩ̣ის.

და [სა]ხლშიდ დღესასწაულზედ, დაგვლახე და გთხოვ პასუხი[1] მომცე.

დ ა ვ ი თ ე ლ ა მ ამისი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს თორმეტი კაცი და [ა]ნ ამავალი, ნახევარშიდ თუ დასჭირდეს, სხვა უფროსი კაცი და [ა]სრე დაუფიცოს: «ხატის იმ წელიწადს არც შენგან მისვენების ბორჯი ყოფილიყოს და არც შენს ოჯახშიდ საძალოთ და მოსახდომათ მოვსულიყო და არც უკადრისი რამე მეკადრებოს; ტყულათ ხატი წამუასვენე თვარა».

თუმც ასრე სრულიად[2] გაუმართლდეს, ვერას შეუვა. და თუმც ასრე ვერ გაუმართლდეს, დღესასწაულზედ შინ მიხთენია და მისთვის მთელი სისხლი მისცეს დავითელამ იესელ[ა]სა.

293. განჩინება იესე რამიშვილისა და ივანა ჩანტლაძის საქმეზე

1822 წ. 10 აგვისტო

[v] ჩყკბ წელს, აგვისტოს ათს

რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ი ე ს ე და ჩ ა [ნ] ტ ლ ა ძ ე ი ვ ა ნ ა გ ა ი მ ჭ ვ ე ნ.

რ ა მ ი ს შ ვ ი ლ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: ჩემი შვილი ჩემს ბატონს შინაყმათ ახლდა და შენმა შვილმა სიმონმ გამიბრიყვა და მ ა ქ ს ი მ ე ს თ ა ნ მი[ი]ყვანა და [ა]მ შენის მიყვანით ბევრიც სასჯელი დამემართა და შვილიც თათარში დამეკარგა და ვითხოვ, რომ პასუხი მომცე.

ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე მ ამისი ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ ჩანტლაძემ და [ა]თი კაცი თან ჩაიტანოს, და თუ დასჭირდეს, ნახევარში სხვა უფროსი ამავალი კაცი, და ასრე დაუფიცოს: «რომელსაც შენ შვილის გადაბირვას შენ მიჩივი, ჩემი სიტყვით და პასუხით, საქმობით შენი შვილი არც გამებრიყვებოის და არც მაქსიმესთან მის[ვ]ლა მეთხრობოის». თუმც ასრე სრულიად გაუმართლდეს, რამიშვილი ვერას შეუვა. და თუმც ვერ გაუმართლდეს, შვილი გაუბრიყვებია, თავის ბატონისა[თვის] მოუცილებია და სხვასთან მიუყვანია; და რაც იმით ზნიანებოდეს, აჯით შიატყობოის რამიშვილმა და ჩანტლაძე[მ] გარდუხადოს.

ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე [მ] უ ჩ ი ვ ლ ა: პირველათ შენი შვილი გაბრიელა თათარშიდ გოგოს მიბირვიდა, მართმევდა, მაგრამ ვეღარ მრმიხერხა და მერმეთ მობრუნდა ისევეთ, გოგო წამართვა და თათარ-

[1] პასიხი. [2] სურულიადა.

შიდ და შენის ოჯახით და სმევით და ჭმევით; და ვითხოვ პასუხი მო[მ]ცე.

რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა ამის ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ გავშინჯეთ და ასრე[1] გავაჩინეთ: წამოაყენოს რამიშვილმა ოცდაოთხი კაცი და [ა]სრე დაუფიცოს: «არც პირველათ და არც მეორეთ შენის გოგოის წაყვანა[2] ჩემს შვილს დომებოდეს და [ა]რც წაეყვანოს, ტყუილათ ბატონისშვილს თუ ახლდა, თვარა არც მისი სიტყვით და რჩევით და საქმობით ის შენი გოგო წაყვანილიყოს და [ა]რც წაყვანაზე ხლებოდეს და[3] არც ჩემით და ჩემის ოჯახით[4] და [ა]რც ჩემი ბუდობით და სმევით და ჭმევით [27] და [ა]დგილ[ი]ს კაც[ე]ბით შენ ის გოგო არ დაგკარგოდეს, არც ჩემ[ი] შვილ[5] შენი გოგოს[6] წასაყვანათ შენს სოფელშიდ შამოსულიყოს, სანამდის მაქსიმე[ს]თან არ მი[ი]ყვანეს, არც წაყვანაზედ ყოფილიყოს». თუმც ასრე გაუმართლდეს, რამიშვილმა აჯით შიატყობინოს რაც გადახდენოდეს და ის გარდაუხადოს.

და [ა]მას გარდა დაუსმენია და დაუჭირვენ უბრალოთ. და ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი უბრალოთ დასმენას სიკ[ე]დილის მზგავსად აცხადებს და [ა]მისთვის ორას ორმოცი მარჩილი სისხლი ნაცვლად მისცეს რამიშვილს ჩანტლაძემ.

და თუმც ვერ დაუფიცოს, რომელიც გამოურთმევია, ისევ გამოუბრუნოს ჩანტლაძემ და [ა]ნ ჩაიგდოს და რამიშვილმა ან სამაგიერო გოგო მისცეს და [ა]ნ როგორც ის გოგო ღირდა, ის ფასი და სულის სისხლისა. და თუმც გარდახდა[7] ვერ შეიძლოს, რომელიც დანაშაულია, ხელთამჭნელათ[8] მიცეს. [მ]ღდელ[მ]თავარმა უწყის და მან განაკანონ[ო]ს[9]. ზემოთ წერილშიდ ჩანტლაძემ თუ შვილის გარდაბირვაში ვერ დაუფიცოს, ბოლოს[10] რამიშვილის ფიცი არ დასჭირდება და რაც მისგან შვილის გარდაბირვით მოს[ქ]ლია, ზემოთ წერილისამებრ გარდაუხადოს.

რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: ყანაშიდ ძაღლი მოკლა შენმა შვილმა და ის მკვდარი[11] ძაღლი მოიტანა და ჩემს სახმარ წყალშიდ ჩამიგდო. და მე იმისი ვერაფელი შევიტყვე და წყალი როგორც

[1] ასრე] დასრე. [2] წაყვანე. [3] +მე რომ ძმა ვერ. [4] ოჯაით. [5] შენვილი. [6] გოგოსის. [7] გარდასახადა. [8] ხელთა მთქნელათ. [9] +ჩანტლაძეს. [10] ბოლოლს. [11] მკტაკრი.

გვიხმარია, ისე [ე]ხმარობდი; და იმ წყალმაც გვაწყინა მეც და ჩემს ოჯახშიდ ყოფილს; და [ა]მისთანა უმგვანი[1] საქმე მიქნა, და ვითხოვ პასუხი მომცე.

ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე მ ამის ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ ჩანტლაძემ და ერთი კაცი თან ჩაიტანოს და [ა]სე დაუფიცოს: «რომელსაც ძაღლის წყალში ჩაგდებას შენ მეწამები, არასდროს სახმარ წყალშიდ ძაღლი არ ჩამეგდოს». თუმც ასრე დაუფიცოს, ვეღარას შეუვა; თუმც ვერ დაუფიცოს, ამისთანა უკანონოს და უგვანის საქმისათვის სამ[ო]ცი მარჩილი მისცეს [v] ჩანტლაძემ.

ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე მ უ ჩ ი ვ ლ ა: სიმი[ნ]დ[ი]ს საც[ა]ვათ ყანაში ვიყავი და მოდი შენ და დამიტეხე, რომ ძაღლი რათ მომიკალიო. და მე არ ვიცოდი და ვარი გითხარი, მაგრამ დაიჯერე და მომაშურე სასიქ[ე]დილოთ და შევშინდი[2], გამოვარდი კარვიდან და დევეცი და დევიმტერი, სამს თვეს ლოგინზედ ვეგდე და ვითხოვ პასუხი მომცე.

რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა ამის ვ ა რ ი ს თ ქ ვ ა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ რამიშვილმა და ასე უფიცოს: «რომელსაც ყანაშიდ მოსლას და მოშურებას მიჩ[ი]ვი, მე შენთვის არც საჩხუბრათ მო[ე]სულიყო და [ა]რც გასალახავათ მომეშურებიოს».

თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა. და თუ ვერ გაუმართლდეს, გასალახავათ მიუშურებია და შიშ[ი]თ გადმოჭრილა და გალახულა, ამისთვის ოცი მარჩილი მისცეს რამიშვილმა ჩანტლაძეს.

294. განჩინება ოტია გიგინეშვილის და გოგისა კეკელიძის საქმეზე

1822 წ. 10 აგვისტო

ჩ ყ კ ბ წელსა, აგვისტოს ათსა

ბ ი ბ ი ნ ე შ ვ ი ლ ი[3] ო ტ ი ა და კ ე კ ე ლ ი ძ ე გ ო გ ი ს ა და ი [ე]ს ე ჩვენს სამართალში შამოვიდენ.

გ ო გ ი ს ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: მამაშენმა და შენ კაცი მომყიდე, მყავდა, ცოლი შევრთე, შვილი ეყოლა, წამართვი და გამიყიდე; და წერილიც მოიტანა ნაყიდობის კეკელიძემ.

ო ტ ი ა მ უ პ ა ს უ ხ ა: რომელსაც შენ კაცს მიჩივი, დედაჩემ-[მ]ა ნ[ა]მგზითი ტოლამოით დეიხსნა; მართალია, მამაჩემის იყო, მაგრამ თავის ანვა კაცში დაკარგული იყო, რადგან დედაჩემ[მ]ა დეიხსნა,

[1] უმჯობინი. [2] შეუშინდი. [3] ბიბენეშვილი.

მე მო[მ]ცა თავის სიცოცხლეში. მერმეთის კაცი შიმშილობაზე[1] თავის ნამოსახლზე მოვიდა, რომელიც შემეძლებოდა ვარჩინე. მერმეთ დაიკარგა ის კაცი; ვინც რომ წაიყვანა, ის კაცი მოვიდა და გითხარი — იმ კაცს მე თუ მედავები, ის მისი გამყიდველი კაცი აქ არის სანიკიძისა[ს]-მეთქი — გითხარი, მაგრამ შენ ვერაფელი უთხარი, თვარა რომელსაც შენ ნაყიდი კაცის წართმევას და გაყიდვას[2] მიჩივი, იმისი ვარი მომიხსენებია, არ გ[ა]დმო[მე]ბირებიოს.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ოტიამ ოცდაოთხი კაცი, და თუ დასჭირდეს ნახევარში სხვა ამავალი უფროსი კაცი, და [ა]სე შიაფიცოს: **[28]** «რომელსაც კაცის გაყიდვას შენ მიჩივი, ის კაცი მე არც გ[ა]დმომებირებიოს და [ა]რც გამეყიდოს, არც მამული უ[ყ]იდლათ და უქთამოთ რამე [მ]ქონდეს». თუმც ასრე სრულათ გაუმართლდეს, არას ემართლება. თუმც ვერ გაუმართლდეს, რადგან თათ[არ]ში გაუყიდია, სამართლის წიგნიც ისე ამტ[კ]იცებს, სულის დახორცის სისხლი მისცეს ოტიამ კეკელიძეს.

ოტიამ უჩივლა: დედაჩემ[მ]ა თეთრის თამასუქები, აღგილმამულის კაცების საბუთებიც. აგრევე სხვა რამოდენი ნივთები[3] ხელთ გა[ქ]ვს და ვითხოვ პასუხი მომცე.

კეკელიძემ უპასუხა: მართალია, წიგნებიც მოგვაბარე და სხვა რამე ნივთებიც, მაგრამ თათრებმა მომთხარა და ჩემიც ბ[ე]ვრი დამეკარგა და შენიც თუ რამე გვებარა, ისიც დაიკარგა, თვარა ვარი შემიძლია, არც დამემალოს.

გავშინჯეთ და [ა]სე გავაჩინეთ: წამოუაყენოს კეკელიძემ თორმეტი გლეხი კაცი, თუ დასჭირდეს ნახევარში სხვა ამავალი უფროსი კაცი, და [ა]სე შიაფიცოს: «თუ მომხთომმა თათარმა წამართვა, თვარა არც მტერობით ვისმესთვის მიმეცეს და არც მე მჭონდეს და არც დამემალოს». თუ ასე სრულებით გაუმართლდეს, [არას ემართლება]: თუ ვერ გაუმართლდეს, რომელშიდაც გამოტყდეს, გარდაუხადოს კეკელიძემ ბიბინეშვილს.

კეკელიძემ უჩივლა: შენ საჩინოველს კაცს გოგოს ედავებოდი, უთხარი[4] ჩემს შვილს და დასაქმე იმ გოგოის გადმობირება და გამიბრიყვე და იმ ჩემ[მ]ა შვილმა ისაქმა და მოგვარა და იმ[5] გოგოს გადმობირებით ბევრი[6] მეზნიანა.

ოტიამ უპასუხა: მართალია, გაგა[გ]ზანე, მაგრამ ქირას

[1] შიმშილობაზა. [2]+ შენ. [3] ნიქთები. [4] უთახარი. [5] მიმ. [6] ბიევრი.

დაგპირდი — ორი თოფი მაქვს[1]-მეთქი, რომელიც გენებოს, მოგცემეთქი, გითხარი.

კეკელიძემ ამის ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან კეკელიძემ და [ა]სე დაუფიცოს: „მოყოროებით და ნათესაობით თუ გაგე[გ]ზანე, თვარა ქირა მე შენთვის არ მეთხონოს და არც რამე გამომერთმიოს». თუ ასე უფიცოს, გაუგზანია და კიდეც გადახთენია. და რაც გადახთენოდეს, აჯით შიატყობიოს კეკელიძემ და გადუხადოს ოტიამ. და თუ ვერ უფიცოს, ქირით გაგზანებია და რაც დაპირებია, თუ არ წიეღოს დანაპირები, **[v]** დანაპირები მიცეს ბიბინეშვილმ[ა].

კეკელიძემ უჩივლა: ჰურები წამართვი და გამიყიდე, რას მემართლებოდი, არ ვიცი.

ოტიამ უპასუხა: ჩემი კაცისსოული ჰურები იყო, მოვთხოე და გვეცი.

კეკელიძემ უჩივლა: ის ჰურებიც და მამულიც რომელნიმე[2] ნაყიდი მჭონდა, რომელიმე ნაგზითი, მართმევ, მარა რას მემართლები, არ ვიცი: ერთი ჰურიც კიდემ[3] გაბილა კე[კე]ლიძეს მიყიდა, ისიც მე[4] ამევიღე, ისიც წამართვი.

ბიბინეშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წაიყვანოს ორევემ თავის ქვეყნის კაცი[5], ის მამული[6] რამდენს ათ მარჩილათ ღირდეს, და ველს ადგილზე ოცმარჩილზე[7] ერთი კაცი და [ა]სე უფიცოს: «შენ რომ ჩემის კაცის მამულის მოყიდვას მიჩივი, არც მამაჩემს და [ა]რც მე ის მამული არ მოგვეყიდოს და [ა]რც იმისი ფასი გამომერთმიოს და [ა]რც გვემგზათებიოს; და ჰურების წაღებას მეწამები, იმ მამულის პატრონის თუ იყო, თვარა არ[ც] შენი ნაყიდი ა[ნ] ნაშუაარი ყოფილიყოს და [ა]რც ფასი გამოგვერთმიოს». თუ ბიბინეშვილმა უფიცოს, კეკელიძემ მამულიც დაუტეოს და ჰურიც.

კეკელიძემ ხარის წართმევა უჩივლა. მაგრამ გავშინჯეთ მოსამა[რ]თლე[ე]ბმა, ტყულათ[8] წართმეული ყოფილა და კეკელიძემ აჯით ში[ა]ტყობიოს და გარდუხადოს ბიბ[ი]ნეშვილმა.

კეკელიძემ თოფის ნათხოვრობა უჩივლა, ნათხოვრათ აქ[ვ]სო. გავშინჯეთ, მაგრამ რადგან ნათხოვრათ ქონია, გადაუხადოს ბიბინეშვილმა.

[1] მაქვს. [2] რომელიმე. [3] კიდემ. [4]+ მე. [5] კიაკი. [6]+და. [7] მარჩილეზე. [8] ტყულათ.

ერთმანეთ[ს] ნახარჯი უჩივლეს ავი დროების, მაგრამ გასაჩენი არ იყო, მოყ[ვ]რები ყოფილა ერთქმეთის, ნახარჯი[1] ორივეს გაუაროს.

295. განჩინება ესიკა ბერიძისა და გოგილა რამიშვილის სასისხლო საქმეზე

1822 წ. 11 აგვისტო

ჩყკბ წელსა, აგვისტოს ათერთმეტს

ბერიძე ესიკა და რამიშვილი გოგილა იბლეის შვილი გაიმჭვნენ.

ბერიძემ უჩივლა: ჩემი კაცის ვალი ემართა სანიკიძეს და სთხოვა, არ მისცა. მერმეთ წავიდა ჩემი კაცი და შენ იმის სახელო კაცი იყავი და იმის პირობაშიდ ზროხა გემტერა და[2] წაიყვანა, [29] წამოეწიე შენ და ჩემი კაცი მოკალი და გთხოვ პასუხი მომცე.

რამიშვილმა უპასუხა: რომელსაც შენ მიჩივი, მართალი არის, მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ შენ ჩვენს ქვეყანაშიდ საველო ს[ა]ქმე [გ]ქონდა რამე, კიდეც სულ არარა მართებ[ი]ა რა, და ჩემის მეზობლის და გარემოსაგან ზროხა [მიგყავდა] და მოგეწიე.

ამისი გაგშინჯეთ ჩვენ მოსამართლე[გ]ბმა და ასე გავაჩინეთ: წამუაყენოს რამიშვილმა და ვინც ამ საქმეშიდ შემწე კაცი იყო[3] ოცდაოთხი, და თუ დასჭირდეს ნახევარშიდ სხვა უფროსი კაცი, და ასრე დაუფიცოს: «რომელსაც შენ მიჩივი, უბრალოდ მტაცებელი და ქურდი[4] თუ მეგონე, თვარა, რომელსაც შენს კაცს თუ ჩვენში სამტერო და სავალო საქმე ქონდა და პირობაში იმტერა, მე ის არ მცოდნებოდეს და [ა]რც მგონებოდეს, და [ა]რც მომტრეს კაცისაგან რომ საპიროს ნიშნის დატოვების რიგი არის, არც ის გეენახოს და [ა]რც გეცნოს ვინ იყო და ვინ არა, რაც სანამდის თოფი არ [ე]სროლე, მანამდის მისგან დატოვებული ზროხა არ მენახოს».

თუმც ასრე მტკიცედ გაუმართლდეს, ვეღარას შეუვა ამის მეტ[ს], რომ დასამარხავი მისცეს ბერიძეს. თუმც ვერ დ[ი]ფიცოს, მთელი სისხლი მისცეს ბერიძე[ს] რამიშვილმა.

296. განჩინება ივანიკა რამიშვილისა და გოგიტელა შათირიშვილის საქმეზე

1822 წ. 11 აგვისტო

ჩყკბ წელსა, აგვისტოს ათერთმეტს

რამიშვილი ივანიკა და შათირიშვილი გოგიტელა გაიმჭვნენ.

[1] ნახარჯს. [2] +და. [3] +და. [4] ქორდი.

რამიშვილმა უჩივლა: ჩვენი ქვეყანა როდისაც რუსმა დაიკავა, ჩვენ რომელიც გაგვარიგე, კიდეც პირობა გამოგვართვეს ამისთვის, რომ ცუდს კაცს და წინააღმდეგს არ ასვა და არ აუმო და [ა]რც დაზოგო. ამ საქმეს მერმეთ თათარში გადავა[რ]დნილი იყო სიკო სანიკიძე, მოვიდა შენს ოჯახშიდ, გა[ა]თვეია, უმასპინძლა[1], იმ კაცმა მშვიდობით რომ გაუშვა, მერმეთ ჩამობრუნდა და შენ ჩემი[2] საყუთარი გოგო წამართვა და თათარშიდ დამეკარგა შენის ოჯახის შეწყნარები[თ].

შათირიშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ მოსამართლე[გ]ბმა გ[ა]ვშინჯეთ და [ა]სრე გავაჩინეთ: [v] წამუაყენოს შათირიშვილმა ოცდაოთხი კაცი, და თუ დასჭირდეს ნახევარში სხვა უფროსი კაცი, და [ა]სე დაუფიცოს: «შენ რომ ოჯახის სმევით და ჭმევით და ყოფნით გოგოს დაკარგვას მიჩივი, როდესაც სიკო სანიკიძეს ჩემს მოსლას მინდშავ, არც მცოდნებოდეს მაშვინ[3] მე მისი მოსლა და [ა]რც მეხმოს, არც ჩემს ოჯახში მისგან ყოფნით, არც ჩემის სმევით და ჭმევით და შეწყნარებით, არც ჩემით და ჩემის ოჯახის ყოფის კაცით შენ ეს გოგო არ წაგართმეოდეს და [ა]რც მც[ო]დნებოდეს».

თუმც ამაებშიდ შათირიშვილი ასე სრულებით[4] გაუმართლდეს, ვეღარას შეუვა რამიშვილი. და თუმც ამაებში ვერ დაუფიცოს, თათარში ტყვე დაკარგვია მისი ოჯახის სტუმრით და მისივე შემწეობით; და [ა]მისთვის ერთი ხორცის და მეორე სულის სისხლი მისცეს შათირიშვილმა.

შათირიშვილმა უჩივლა: თოფურიას ქალი მყავდა ცოლათ, საქმე გადაწყვეტილი მქონდა და შენ მიდი და უთხარი თოფურიას, რომ: შათირიშვილის ოჯახშიდ აზნაურის ქალი ვერ გაძლებს, სხვებაც ბევრ[5] რიგათ უგინე ჩემი თავი და ჩემის მტერობით დამეშალა და [ი]ს ჩემი ნათხოვარი ქალი შენ შე[ი]რთე და ვითხოვ პასუხი მომცე.

რამისშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოაყენოს ექ[ვ]სი კაცი და [ა]სრე შიაფიცოს: «შენ რომ ქალის წართმევას და მოყ[ვ]რის მოცილებას მიჩივი, არც ჩემი სიტყვით და მტერობით შენ ქალი არ წაგართმეოდეს»[6]. თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა. და თუმც ვერ გაუ-

[1] უმასპინძლა. [2] მემი. [3] მაშინ. [4] სრულებით. [5] ბევრ. [6] წაგრთმეოთმეოდეს.

მართლდეს, მისი ნათხოვარი ქალი წაურთმევია და მესამედი სისხლი მისცეს რამიშვილმა შათირიშვილს.

რამიშვილმა უჩივლა: მეც თოფურიასაგან ქალი ვითხოვე და საქმე მქონდა გადაწყვეტილი, მტყუე მზითვათ მოყ[ვ]რისაგან დაპირება[1] [მ]ქონდა. მერმეთ შენ მიდი, ჩემს მოყვარეს ჩემი თავი უგინე, ასრე, რომ იმ შენის გინებით და სიტყვით გოგო აღარ მომც[ა] და მარტო ქალის[2] **[30]** მოცემაში ორმოცი მარჩ[ი]ლი კიდევ გარდამახთევია. შენის სიტყვით დამემართა და ვითხოვ პასუხი მომცე.

შათირიშვილმა ამის ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე განვაჩინეთ: რამიშვილს ის ქალი ცოლად ყავს[3], ამისთვის წამოდგეს თავათ შათირიშვილი და ორი კაცი თან ჩაიტანოს და [ა]სრე დაუფიცოს: «მოყ[ვ]რის გაქველებას და ჩემი მზითვის[4] დაკლებას მიჩივი; ჩემი სიტყვით და საქმობით შენ არც გოგო და [არ]ცა სხვა რამე დ[გ]კლებოდეს»[5]. თუმც ასე გაუმართლდეს, არას ემართლება. და თუ ვერ გაუმართლდეს, რამიშვილმა აჯით შიატყობიოს, [შათირიშვილმა] გარდაუხადოს.

შათირიშვილმა უჩივლა: ჩემს ქვეყანაში თათრის შიშისაგან ვეღარ დავდექი და იქიდან ავიყარე და შენს ძმასთან ჩამოვედი, ერთმანეთისასა ვიყავით, ცოლიანათ-შვილიანათ დამაყენა მასთან, სასადგომე ადგილი დამინიშნა, სადგომისთვის დასახურავი ჩალა მომცა და ვცდილობდი მოსახლობას. მერმეთ მოდი შენ და პირველათ ჩალას მართმევდი, შენის ძმისაგან მოცემული მქონდა, მეორეთ სადაც შევიტყვე მოგვიხედი, მამა და ძმა გამილახე და დედაჩემს მუცელი წაუხთა შენის შიშით; და ვითხოვ პასუხი მომცე.

რამიშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ რამიშვილმა და ოთხი კაცი თან მიიყოლიოს და ასე დაუფიცოს: «ჩემს ძმას თუ რამე ემართა და[6] იმას რაც უყავი თვარა, შენ არც გამელახო და არც შე[ნ] ჩემით რამე დაგმარცხებოდეს».

თუმც ასე გაუმართლდეს, არას ემართლება. თუ ვერ გაუმართლდეს, რაცრიგათაც გაელახოს, თავისი შესაფერი საუპატიო მისცეს და [ს]ხვა რაც დაზნიანებოდეს.

რამიშვილმა[7] უჩივლა: მამაჩე[მ]ი დაიჭირე, დაჭირული ჩემის ბიძისა მი[ი]ყვანე; მერმეთ კიდემ ბატონის შესახვედრათ მივიდოდა, დახდი და გალახე და ავათ მიემყარი და ვითხოვ[1] **[v]** პასუხი მომცე.

შათირიშვილმა ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ შათირიშვილმა და ოთხი კაცი თან წამოუდგეს, ჩაიტანოს და [ა]სრე დაუფიცოს: «შენ რომ მამის გალახვას მიჩივი[2], არადროს, არასოდეს მამაშენი არც გამელახოს მე და არც ჩემს შვილს, და [ა]რც დამეჭიროს[ს].

თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა. თუმც ვერ დაუფიცოს, დაჭირვაშიდაც, გალახვაშიდ — ორივეში გამოტყდეს: დაჭირვისათვის ნახევარი სისხლი მისცეს; მეორედა გალახვაშიდაც თუ ვერ გამართლდეს[3], საუპატიო მისცეს. ამრიგათვე თუმც ერთშიდ დ[ა]ერთშიდ გამოტყდეს, ამ რიგით მისცეს. თუ მთლად გამართლდეს, ვერცეთში ვერას შეუვა რამიშვილი.

შათირიშვილმა უჩივლა: ჩემი მწყემსი[4] დაიჭირეთ შენ და შენმა ძმამ და შვილმა ტყეშიდ, დ[ა]ბი ერთს დღეს და ღამეს; და [ა]მას გარდა მეწველე ზროხა მომიკალი და ოთხი თხა და ორი ღორი კიდევ სხვა. და ვითხოვ პასუხი მომცე.

რამიშვილმა ამის ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ რამიშვილმა, ან თავათ და ან ორი სხვა კაცი და [ა]სრე გაუმართ[ლ]დეს: «არც შენი მწყე[მ]სი დამეჭიროს და არც შენი ზროხა და არც შენი თხა და ღორი არ მომეკლას». თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა. და თუმც ვერ გაუმართლდეს, რომელშიდაც გამოუტყდეს, გარდაუხადოს[5] შათირიშვილს.

რამიშვილმა უჩივლა: გოგო დამეკარგა თათარშიდ და წავედი თავათ მე; და შენ სანიკიძეს დამასმინე მე, ჩემი საქმე ცუდათ გასინჯე და იმ შენი დასმენით დამიჭირეს და დამაბეს, რუსეთის მართებულის ძალ-ძალით ამომიყვანეს, თვარა შენგან დაკარგული შევიქენი.

შათირიშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ შათირიშვილმა და ათი კაცი თან ჩაიტანოს, თუ დასჭირდეს ნახევარშიდ სხვა უფროსი კა[ც]ი, და [ა]სრე დაუფიცოს: «ჩემის სიტყვით და რჩევით რაც საქმობით შენ თათარშიდ დასმენას რომ მიჩივი, არც[6] დაჭირულიყო და [ა]რც რამე დაგმართოდეს». თუმც ასრე გამართლდეს, ვერას შეუვა. და

[1] +დაპირება. [2] +მოცემა მარტო ქალის. [3] ყავს] გავას. [4] მზვითის. [5] +დარც სხვა რამე დაკლებოდეს. [6] +და. [7] რამიშვილმა] შათირიშვილმა.

[1] +და ვითხოვ. [2] მიჩივა. [3] გამართლდლდეს. [4] წეყსი. [5] დარდაუხადოს. [6] რაც.

თუმც ვერ გაუმართლდეს, მისი სიტყვით უსჯულოსათვის დაუჭერინებია. [31] და სრული[1] სისხლი მისცეს რამიშვილმა.

შათირიშვილმა უჩივლა: რუსისაგან წარმოგზანილი გიგო ერი[ს]თავი ავიდა სურებს ჩვენშიდ და ვინც ხემწიფის წინააღმდეგი და გოთაულათ მყოფელნი იყ[ვ]ნენ. იმას შეგვიჩინეს საღალატოთ, იმას საქმობდი და მიდი, რომელიც წამოსლას აპირობენ, გა[ა]მთხილე და[2] და[ა]ბრუნე, შენის სიტყვით და საქმით დამიბრუნდა ის საქმე; რუსისა და ჩემის უფროსის[3] კაცისაგან წყალობა დამიბრუნე და დამიკარგე და ბეური გამოსარჩენი სხვა; და ვითხოვ პასუხი მომცე.

რამიშვილმა ამის ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ რამიშვილი და [ა]თი კაცი თან ჩაიტანოს[4], ნახევარშიდ სხვა უფროსი კაცი, და [ა]სე დ[ა]უფიცოს: «რომელსაც გოთაულის გამთხილებას რომ მიჩივა»*; თუმც ასრე გაუმართლდეს, ვერას შეუვა; და თუმც ასრე ვერ გაუმართლდეს, შათირიშვილმა დაუჯოს: «შენის იმ კაცების დაბრუნებით»*, რამდენიც დანაკლისი დაუფიცოს, გარდაუხადოს შათირიშვილს.

რამიშვილმა უჩივლა: ჩემის ოჯახის მცველი ძაღლები მყავდა მეკვერნე, ასეთი რომ ჩემთვის დიდი სასარგებლო იყო და ბეურს რჩებოდი; მოდი, მომიკალი[5] შენ, და ვითხოვ პასუხი მომცე.

შათირიშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს შათირიშვილმა თავათ და თუნდა ერთი[6] კაცი სხვა შიაფიცოს ასრე, რომ: «თათრის და ჽირის თუ მეშინოდა და ჩემს სახიზ[ა]რში მოვიდა, ამისთვის თუ მოუკალი, თვარა შენის მტერობით არ მომეკლას მე შენი ძაღლი». თუმც ასრე დაუფიცოს, რადგან თავის შიშისთვის მოუკლავს, სხვას ვერას შეუვა; რადგან სასარგებლო ძაღლი იყო, ოცი მარჩილი მა[ი]ნც მისცეს. და თუ ვერ დაუფიცოს, კარგი ძაღლი ყოფილა, ორ[მ]ოცი მარჩილი მისცეს რამისშვილს შათირიშვილმა.

შათირიშვილმა გოგოს შეკვეთა და გალახვა უჩივლა. ამისთვის რამიშვილმა ორი კაცი შიაფიცოს: «არც შემეკვეთოს და [ა]რც გამელახოს». და თუ ვერ დაუფიცოს, საუპატიო მისცეს გალახულობის რამიშვილმა შათირიშვილს.

[1] სრული. [2]+და. [3] უფროსისაკან. [4]+დაუფიცოს. [5] +და. [6]+ ერთი.
* ფიცის ფორმულის საწყისი სიტყვები.

297. განჩინება მალაქა ოთიეშვილისა და გაბრიელ გიორგეიშვილის მამულის საძებნელ

1822 წ. 12 აგვისტო

[v] წელსა ჩყ[კ]ბ, აგვისტოს იბ

მალაძა ოთიეშვილი და კედემემ გაბრიელ გიორგე[ი]შვილი გავაბჭვეთ.

გიორგეიშვილმა უჩივლა: სანიკიძე და ჯღენტი და საბიეშვილი ერთმანეთზე იდგა მახლობლად და ამ სამს კაცს საზიაროთ საბეგრო მამული ქონდათ; და სანიკიძისა[1] და ჯღენტისასოული ბაბუაჩემ[მ]ა იშონა და რამოდენიმე ხანს ბაბუაჩემს ქონდა. მერმეთ ბაბუაჩემ[მ]ა ის საბეგრო ადგილი ისევე საბიეშვილს ჩა[ა]ბარა, თავისი საკ[ე]დარო დაბარა და როდისაც საბიეშვილი გადაშენდა, ბატონისგან საბიეშვილისსოული შენ იშონე და რომელიც ბაბუაჩემისაგან საბიეშვილს ებარა, ისიც წამართვა და არ მაძლევს[2]; და ვსთხოვ პასუხი მომცე[ს].

ოთიეშვილმა ამისი ვარი სთქვა.

ჩვენ ასრე გავაჩინეთ: გიორგეიშვილი[3] რომელსაც ადგილს-მამულს ედავება, ორთავე საჯეროს კაც[ს] და[ა]ფასებინონ და ოთიეშვილმა წამოაყენოს და რამდენს ათ მარჩილათ მამულიანი ადგილი და სამოსახლო ადგილი დაიფასოს, იმდენი კაცი და ისრე ადგილზე ოცს[4] მარჩილზედ ერთი კაცი და ასე დაუფიცოს: «რომელსაც ადგილს[5] საბიეისშვილის მიბარებულს შენ მიჩივი, საბიეისშვილის საკუთაროსოული ადგილ-მამული თუ მაქ, თორემ არც ჯღენტისა და არც სანიკიძისსოული ადგილი და არც მამული და არც საბეგრო არაფერი მქონდეს».

თუმც ასე გაუმართლდეს, ვეღარას შეუვა გიორგეისშვილი. და თუმც ასე ვერ გაუმართლდეს, რომელშიდაც გამოტყდეს, დაუტეოს და მისცეს ოთიეისშვილმა.

გიორგეისშვილმა ნაფიცი ადგილი უჩივლა: შენ მართმევ და პასუხს ვითხოვ.

ოთიეისშვილმა ამის ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ზემოწერილისამებრ და ეგრეთვე უმამულო ადგილზედაც ასე დაუფიცოს: «შენი ნაფიცი ადგილი ეს არის, რომელსაც შამოუაროს იმ ადგილს». თუმც ასე დაუფიცოს, ვეღარას შეუ[ვ]ა. და თუმც ვერ დაუფიცოს, რომელსაც გამოტყდეს, დაუტეოს და მისცეს ოთიეისშვილმა.

[1] სანიკიცს. [2] მაძლევს. [3] გიგორგეიშვილი. [4] ოცი. [5] ადგილის. [6]+და.

298. განჩინება ბეჟანასა და ონისიმას სასისხლო საქმეზე

1822 წ. (?)

*...[წამოაყენოს ონისიმამ] **[32]** სამი კაცი და ასე შეაფიცოს: «რომელსაც შენ ჩემს მტერობით და სიტყვით სიმინდის დაკარგვას მელაპარაკები, არც ჩემის სიტყვით და არც ჩემის მტერობით შენ ის სიმინდი არ დაგკარგოდეს და არც შენი ძაღლი და ღორი არც მე და არც ჩემს ოჯახშიდ მყოფელს არ მოგვეკლას».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ბეჟანამ დაიაჯოს, ამდენი მაკლდესო, ოცი მარჩილის თავზე თითო კაცით და ონისიმამ გარდაუხადოს.

ონისიმამ უჩივლა: თათარს ვიტყუებდი, ლაზარე ნაკაშიძე და ამის მამა წვავიტანე, თათარს შევეყარე და სიტყვა მივეც. წევიდა ამ კაცმა, მიმთხრობლა, თათარს ნამთხრობლი აართვა; ჩევედით ჩვენ ორი ძმები და ერთი ბიძა, დაგვეპირეს, თავი დავიხსენით და ისე ამოვედით და ერთი ძმაი დამეკარგა, მჭირს ამ კაცისაგან.

ბეჟანამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟანამ თორმეტი გლეხი, და თუმც დასჭირდეს ნახევარში ამავალი სხვა უმფროსი კაცი, და ასე დაუფიცოს: «არც თათრისდა ნამთხრობლი ამერთმიოს, არც მემთხრობლებიოს და არც ჩემგან შენ რამე ზნიანი მოგვსლოდეს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ძმაი რომ დაკარგვია, იმაშიდ ერთი სისხლი მისცეს. და სულის — მღვდელმთავარმა იცის. და სხვა რაც ზნიანი მოსვლოდეს, ონისიმამ ოცი მარჩილის თავზედ კაცი შეაფიცოს და ბეჟანამ გარდაუხადოს.

ბეჟანამ უჩივლა: ამ კაცმა თათრები გამოიტყუა, წაიტანა და ორმოცი მარჩილი დამპირდა და ერთი თათარი საკუთრათ მე დავიპირე, არაფერი მომცა, მათხოვარი ვარ სამართლით. გარდა ამისა, მე და ამ კაცს ადგილი გაუყოფელი გვქონდა და ერთს შეკავებულს ადგილშიდ დედაჩემ[მ]ა ხბოები გაუშვა; და მას ცხენი ყავდა გაშვებული; წამოეს[წ]რა დედაჩემს, ბევრი აგინა და სასიკვდილოთ გამოიმეტა, მარა დედაჩემ[მ]ა გამოექცა და მე რომ შინ ვყოფილიყავი[1], თავს მოვაკვლიებდი. და რას მემართლებოდა, სამართლით პასუხს ვითხოვ.

1 ყოვფილიყავი.

* დასაწყისი აკლია.

ონისიმამ აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ონისიმამ ორი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ორმოც ყურუშს თათრის დაჭირვაშიდ მე შენ შეგპირებოდე და არც დედაშენი მე მეგინებიოს და გამელახოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება და თუმც ვერ უფიცოს, რავარც რომ დაპირებია, ის ორმოცი მარჩილი მისცეს და დედის გინების საუპატიო მისცეს ონისიმამ ბეჟანას.

ონისიმამ უჩივლა: ამისმა მამამ მამაჩემი დაიმაშაკა და როსტომ თავართქილაძე გზაშიდ დაუჯდინა[1], დახვეენ და ჩახმახი უკრეს, ღმერთმან გარდაარჩინა; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გარდა ამისა მამაჩემ[მ]ა თათარი დაიჭირა, ამ კაცის მამას მიაბარა და აღარ მისცა, ვსთხოვ სამართლით.

გარდა ამისა, ამისი ბიძა თათარშიდ დაიკარგა, ხუთს ყურუშათ მამაჩემ[მ]ა დაიხსნა და იმაშიდ არაფერი მისცემია, ვსთხოვ სამართლით.

გარდა ამაებისა, ჩემი ძმანები თათრიდამ მოვიდოდენ ქრისთიანობისათვის და ამ კაცს გავანდევი და საქმობაშიდაც მერია. როდისაც რომ საქმე მოაწია, მოვიდოდა და თათრები მოყვებოდა, რომ უნდა დაგვეპირა, გადუჯდა[2] ამ კაცმა, თოფი ესროლა, ძმაც კი დამიკარგა ჩემის მტერობით და თათრებიც კი დამეკარგა; მათხოვარი ვარ სამართლით.

ბეჟანამ ამაების ვარი სთქვა.

ჩვენ ასე განვაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟანამ ოცდაოთხი გლეხი, და თუმც დასჭირდეს ნახევარშიდ ამავალი სხვა უმფროსი კაცი, და ასე [შეაფიცოს]ს*: «არც მამაჩემს მამაშენი დაემაშაკებიოს და როსტომა თავართ[ქილაძე] [v] მამიშენისათვის სასიკვდილოთ დაეჯდინოს და არც ჩახმახი დაეკრას; და რომელსაც მამაშენისაგან მინაბარებს თათარს მამაჩემზედ მელაპარაკები, არც მამაშენს მამიჩემისათვის თათარი მიებარებიოს და შერჩენოდეს, არც ბიძაჩემი მამაშენს თათრიდამ დაეხსნას და რამე გამოეღოს. და ამას გარდა შენი ძმის დაბრუნებას რომ მელაპარაკები, ჩემის ჩხუბითა და ხერხით შენ ძმა არ დაგბრუნებოდეს და არც მისი მომყოლი თათრები».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს

1 დაუჯდინა. 2 გადუჯდა.

* მარცხენა კიდეზე გასწვრივ მიწერილია: „ბეჟანას ეს ფიცი [ონ]ისიმამ აპატივა“.

და ჩახმახის დაკვრაშიდ გამოუტყდეს, მისი მოფიცარი ჩაუგდოს და ჩახმახის დაკვრის მთელი სისხლი მისცეს.

თუმც ამაშიდ იფიცოს და მინაბარებს თათარშიდ გამოუტყდეს, ონისიმამ დაიაჯოს — ამოდენათ ღირებულიყოსო, ოცი მარჩილის თავზედ თითო კაცი შეაფიცოს და ბეჟანამ გარდაუხადოს.

თუმც ამაშიდ იფიცოს და ბიძის დახსნაში გამოუტყდეს, რამოდენათ დაეხსნას, ონისიმამ ოცი მარჩილის თავზედ დაიაჯოს — ამოდენათ დამეხსნასო, და ბეჟანამ გარდაუხადოს.

თუმც ამაშიდ იფიცოს, ძმისა და თათრების დაბრუნებაშიდ გამოუტყდეს, რადგან რომ საქრისთიანოთ კაცი დაუბრუნებია თათრისაკენ, ის მღვდელმთავარმა და ბატონმა მოკითხოს.

და ონისიმას რაც რომ ზნიანებოდეს, ოცი მარჩილის თავზედ თითო კაცი შეაფიცოს — ამოდენი მზნიანებოდესო, და ბეჟანამ გარდაუხადოს.

ბ ე ჟ ა ნ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ჩემი უმცროსი ძმა თათარს ესაქმებოდა და მოხავდა, იმისთანა ყოფის კაცი იყო, რომ თორმეტ ქესას მოიტანდა, რომ დამეჭირა, მაგრამ შემიტყო ამან და ამისმა კაცმა უთხრა, რომ ბეჟანა და მისი ძმები გღალატობსო, თათრებმა[1] მობრუნდა, ამოდენი დაუკარგა ბატონსაც და მეც: ამისაგან და ამის კაცისაგან მჭირს, ვსთხოვ სამართლით.

გარდა ამისა ჩემ[მ]ა ბიძამ ს ი ა მ ა ი შ ვ ი ლ მ ა სამი სული მტყვე გამოგზავნა, რომ შემინახეო, დახვთა ამ კაცმა — მე ჩაგიყვანო, წამოიყვანა და თათარშიდ გაყიდა სამი სული მტყვე, ვსთხოვ სამართლით.

გარდა ამისა, სამი კარგი ცხენები გ ო თ ა უ ლ ს მიმიცა, ვსთხოვ სამართლით.

გარდა ამაებისა, ა კ ე თ ს რომ ა ბ დ უ ლ ა ღ ა მოიშალა, მამაჩემ[მ]ა სამი თათარი იშოვნა ამის მამის ზიარათ; წაართვა ამისმა მამამ ათასი მარჩილის თათრები, მათხოვარი ვარ სამართლით.

ო ნ ი ს ი მ ა მ ამაების ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გვაჩინეთ: წამოაყენოს ონისიმამ ოცდაოთხი გლეხი, და თუმც დასჭირდეს ნახევარშიდ ამავალი სხვა უმფროსი კაცი, და ასე შეაფიცოს:

«შენ რომ თათრის დაბრუნებას მელაპარაკები, არც მე და არც ჩემს კაცს შენი გამოსატყუებელი თათარი ჩვენ არც გაგვემთხილოს და არც იმაშიდ ჩვენით შენ რამე [გ]ზნიანებოდეს; და რომელსაც

[1] + და.

სიამაშვილის გამოგზავნილს მტყვეების წართმევას მელაპარაკები, არც ის მტყვეები მე წამომეყვანოს და თათარშიდ გამეყიდოს და არც აქ გამეყიდოს»*.

თუმც ამაშიდ იფიცოს და თათრის დაბრუნებაშიდ გამოუტყდეს, მისი მოფიცარი გარდაუშვას, ოცის მარჩილის თავზედ ბეჟანამ თითო კაცი შეაფიცოს და ონისიმამ გარდაუხადოს.

«და რომელსაც ცხენებს გოთაულის გატანებას მე შენ მელაპარაკები, არც ის ცხენები მე გოთაულისათვის გამეტანებიოს და არც მე ის [ა]ქ მომეხმაროს და არც ვინ წაიყვანა[1], ჩვენ ის არ ვიცოდეთ».

თუმც ამაშიდ გაუმართლდეს, თათარშიდ მტყვეების გაყიდვას **[33]** გამოუტყდეს, რამოდენიც მტყვე იყოს გაყიდული, იმოდენი თითო მტყვეზე თითო სისხლი მისცეს. და სულის — მღვდელმთავარმა იცის და მან მოკითხოს.

«და ამათ გარდა აბდულაღის მოშლაზედ სამის თათრის საზიაროთ შოვნას და წართმევას რომ მელაპარაკება მამიჩემისაგან, არც მამაჩემს მამიშენის ზიარათ თათარი ეშოვნოს და არც დაეკლოს და წაერთმიოს».

თუმც ამაშიდ გაუმართლდეს და ცხენების საქმეშიდ გამოტყდეს, ერთიორად გარდაუხადოს. და თუმც ცხენშიდ გაუმართლდეს და თათრის მოზიარობაში გამოუტყდეს, ოცი მარჩილის თავზედ თითო კაცი შეაფიცოს თათრის ნახევარშიდ; და ონისიმამ გარდაუხადოს.

ო ნ ი ს ი მ ა მ უჩივლა: ამ კაცს ლორთქიფანიძის კაცი ყავდა იმ ავდროობაზედ ნაშოვარი და თ ა მ ა ზ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ მოვიდა, სთხოვა, არ მისცა, პირობა სთხოვა — თათარშიდ არ გაიყიდოსო და მე თავდებათ მიმცა ლორთქიფანიძეს. მერმეთ გაყიდა ამ კაცმა, ს უ რ ე ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ს თათრის მისცა; ან ამ კაცს გაუმართლდეს და ან მე ნუღარ მადავებს.

გარდა ამისა, ამ კაცის ძაღლმა ერთი საწნახელი ღვინო წამიხთინა, მისმა ღორებმა სამოცი ჭილა სიმინდი შემიჭამა. სხვაც მრავალი ნაწყენი მაქვს ამის საქონლისაგან. და ამ საქმეშიდ ორი ღორი მოუკალი და ერთი ძაღლი. ჩემი ნაწყენი გარდამიხადოს და მე მის ძაღლასა და ღორებს გარდუხთი.

გარდა ამისა, თოფი დაუწინდრე ბორჯ[ო]ბით. ბორჯზედ რომ

[1] + ვინ არა.

* მარცხენა კიდეზე გასწვრივ მიწერილია: „ონისიმას ეს ფიცი ბეჟანამ აპატივა“.

მოვიდა, უნდა მიეყენებ[ი]ა — შენი თოფი დაიხსენიო, არ მომაყენა. მერმეთ ფარათ ვაყენე, აღარ დამიხსნა; და ესთხოვ სამართალით.

გავშინჯეთ ჩვენ, მოსამართლეებმა, და ასე განვაჩინეთ: თუმც ბეჟანამ ლორთქიფანიძესთან ონისიმის თავდებულობაშიდ გამოტყდეს — თავდებათ კი დავაყენეო, როდესაც ლორთქიფანიძე მოდგეს ბეჟანაი ლორთქიფანიძეს, ონისიმას ნუღარ ადავებს, ჩამოსთხოვოს. და თუმც რიგიანის მოფიცრით გაუმართლდეს ბეჟანამ — მე შენ ლორთქიფანიძესთან თავდებათ არ დამეყენებიოო, მაშინ ონისიმას ბეჟანასთან სიტყვა აღარ ექნება.

ძაღლისაგან ღვინის წახდენა რომ უჩიველა და ამას გარდა ღორებისაგან ყანის წახდენა[1], ძაღლისა და ღორის სიკვდილშიდ ონისიმაი გამოტეხილია; ონისიმამ ღვინოზე და ნამუშევარზედ დააჯეროს — შენის ძაღლისა და ღორებისაგან ამოდენა მაკლდესო, ბეჟანამ გარდაუხადოს; და ბეჟანამ თავის ღორებზეც დაიაჯოს და ონისიმამ გარდაუხადოს.

და ონისიმა რომ ბორჯობით თოფის დაწინდრებას აცხადებს, თუმც ბორჯზედ ფარა არ მიეყენებიოს, ბეჟანასთან სიტყვა აღარ ექმნება. და თუმც ბორჯზედ კი მიეტანოს, ბეჟანამ თავისი თეთრი გამოართვას და თოფი ონისიმას მოსცეს.

ბ ე ჟ ა ნ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: სახემწეროს ვიყავით მე და ეს კაცი, ღორმა რომ გამოვარდა, მე წინ გავეკიდე და ეს უკან მომდევდა, ჩახმახი მიკრა, რას მემართლებოდა არ ვიცი.

ო ნ ი ს ი მ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ონისიმამ თორმეტი გლეხი და ნახევარშიდ ამავალი სხვა უმფროსი კაცი და ასე შეაფიცოს: «მე რომ ჩახმახის კვრას მელაპარაკები, მე შენთვის არც ჩახმახი მეკრას და არც სასიკვდილოთ მდომებოდე». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ იფიცოს, მთელი სისხლი მისცეს*.

ო ნ ი ს ი მ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: ამ კაცის მამამ ქ ა ი ხ ო ს რ ო ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ჩემი ძმა ჩაასმინა, დაჭირული ბატონიშვილსაც და ქვეყანასაც დასაწვავათ მისცა, დასწვეს; მჭირს ამ კაცის მამისაგან, რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გარდა ამისა, ამ კაცმა ჩემი გოგო და ბიჭი გამიბრიყვა და თა-

[1] წახდენას.

* მარცხენა კიდეზე გასწერივ მიწერილია: „ბეჟანამ ეს ფიცი ონისიმას აპატივა“.

თარშიდ მიყავდა, ბიჭს ჩემი სიკვდილი შეუკვეთა; გაამხილა ბიჭმა; და რას მემართლებოდა ეს კაცი, არ ვიცი. ვითხოვ სამართალს.

[v] გავშინჯეთ ჩვენ, მოსამართლეებმა, და ასე განვაჩინეთ: რადგანაც ბატონმა და მღვდელმთავარმა ქვეყნის გამოცხადებით მტყვის ყიდვის მიზეზისათვის დასწვეს, ეს ამის მიზეზისათვის დაშთა; და სხვა საქმეებშიდ ვარი სთქვა ბეჟანამ.

ამისი ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟანამ ექვსი გლეხი და ნახევარშიდ ამავალი სხვა უმფროსი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც შენი ბიჭისა და გოგოსათვის თათარშიდ წასვლა მეთხრობიოს და არც შენი ბიჭი შენდა სასიკვდილოთ მე შამომეჩინოს». თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, მესამედი სისხლი მისცეს ორივე საქმისათვის*.

ბ ე ჟ ა ნ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: რუსი რომ ჩამოვიდა, მაშინ ტყეშიდ ვიყავი დახიზნული, ამ კაცს თათრები მოჰყავდა, მთხრიდა, დანაშაული რა მქონდა, არ ვიცი.

გარდა ამისა, ბიჭი მომყიდა და ისევ წამართვა; მელაპარაკება, რომ იმ ბიჭის ფასი ნამთხრობლში წაგართვი, ზროხა რომ მომპარეო; მარა არც ზროხა მომიპარავს და არც ნამთხრობლი მ[მ]ართებია, ბიჭი რათ წამართვა და ან ოთხასი მარჩილი რათ გარდამახდია, ვითხოვ პასუხს.

გარდა ამისა, ამ კაცმა ზროხა მომპარა, მთხრობელიც მყავს და რომ ვსთხოვე, ბატონს ჩამასმინა, სხვებ გააშინჯა და ბატონი გამაწყრომა, არც ზროხა მომცა, ვითხოვ სამართლით.

ო ნ ი ს ი მ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ონისიმამ ექვსი გლეხი და ან ამავალი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს, რომ: «არც შენი თათრის თავზე დასხმა მომენდომებიოს და არც ბიჭი შენთვის მომეყიდოს, არც [ფასი წამერთმიოს] და არც წიგნი მომეცეს და არც მე შენთვის ზროხა მომეპაროს და დამეხარჯოს».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, თავზე დასხმის ვარი ვერ სთქვას, კი მინდოდაო, ერთი სისხლი მისცეს.

და თუმც ბიჭის მიყიდვაშიდ გამოუტყდეს, ბიჭი მისცეს, რომელსაც ბიჭს ედავებოდეს.

* მარცხენა კიდეზე გასწერივ მიწერილია: „ონისიმამ ეს ფიცი აპატივა ბეჟანას“.

თუმც ამაშიდ გაუმართლდეს და ზროხის მოპარვა ვერ იგაროს, ნაქურდლათ გარდაუხადოს ონისიმამ ბეჟანას*.

ონისიმამ უჩივლა: ჩემს ადგილში ეს კაცი ღობეს ღობდა და ვერ დავანებე, ჩახმახი მიკრა, მკვლიდა და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გარდა ამისა, ამისმა შინაურებმა სახლის პატრონი მოგინეს, ბევრი უკადრისი კადრეს; და რას მემართლებოდა, არ ვიცი.

გარდა ამისა, ამის მამას მამაჩემ[მ]ა ცხენი ათხოვა, დააშავა, მამაჩემ[მ]ა აღარ ინდომა, წეიყვანა შინ და ქე მოკლა; ვსთხოვ სამართლით.

ბეჟანამ ამაების ვარი სთქვა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟანამ სამი გლეხი და ან ამაკაი სხვა კაცი და ასე შეაფიცოს: «არც [შენთვის მე ჩახმახი მეკრას და არც სასიკვდილოთ გამემეტებიო], არც ჩემს შინაურებს შენი სახლის პატრონისათვის ეგინებიოს, და არც მამაჩემს მამისშენისაგან ცხენი ენათხოვრებიოს, და არც ის ცხენი ჩვენს ოჯახშიდ მომკვდარიყოს».

თუმც ასე უფიცოს, არას ემართლება. და თუმც ვერ უფიცოს, ჩახმახის კვრაშიდ გამოუტყდეს, მთელი სისხლი მისცეს.

თუმც ამაშიდ უფიცოს და სახლის პატრონის გინებაშიდ გამოტყდეს, გინების საუპატიო მისცეს.

თუმც ამაშიდ იფიცოს და ცხენის ნათხოვრობაშიდ ვეღარ ფიცოს, ონისიმამ დაიჯოს, ოცი მარჩილის თავზედ თითო კაცი შეაფიცოს — «ჩემი ცხენი ამათ ღირებულიყოს», და ბეჟანამ გადაუხადოს. თუმც მეორეთ საჩივრის ფიცი იყო, ფიცზედ თანდამსწრე კაცი ნუ[ღარ] აფიცებს ერთის მეტს.

მდივანბეგი გუგუნავა სვიმონ.

მდივანბეგი გიორგი ერისთავი.

---

* მარცხენა კიდეზე გასწვრივ მიწერილია: „ბეჟანამ ეს ფიცი აპატივა ონისიმას“.

დანართი

299. განჩინება ალექსანდრე II-ისა ჩოლაყაშვილთა გაურის საქმეზე

1574—1605 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13903. დედანი. ქაღალდი. 32×16,5 სმ. დაზიანებული. თავი აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილ-მძიმე, ორი ან სამი წერტილი ან ორწერტილი ვერტიკალური ხაზით. საბეთო თარიღდება კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ზეობის წლებით.

... ასრე გაუჩინეთ სამკუიდროსი: რაც დღეს ზედა სახლობს ანუ მკუიდრი, ანუ დასახლებული, ანუ ღარიბი, ანუ ნასყიდი, მისი სამართლიანი საუფროსო ზაალის შვილსა ნუ დააკლდების. ამას გარეთ [როგორც სხუა სახლი]ს კაცსა გაეყოს, ისრე ამათ გაიყონ ანუ მკუიდრი და ანუ ნაოჯარი.

ჭარათალს საღაპოდ ნაოჯარი მამული ზაალის სულისათუის შეგუიწირავს, ნუ მოეშლების, იმის შვილისათუის დაგუინებებია.

კიდეგე ელისბარს რეგაზის ყმისაგან მიწა ეყიდა და წისქუილი გაებრუნა, საყდრისათუის შეეწირა თავის საღაპოდ, ისი იმას დავანებეთ.

დათუის უბანშიგა ორი კაცი რათაც მოსულიყოს, ისრე თავისთუის ელისბარ და ფარსადან წაიყვანოს.

რაც ბატონის ყმისაგან მამული ეყიდოს, ისი გასაყოფლად დაგუიდებია. მას გარეთ ანუ მამული სამკუიდროსაგან, ანუ ნასყიდი, ანუ ბატონის წყალობა, ანუ საჭელოსაგან შემატებული მამული და წისქუილი იყოს, ანუ ღარიბი იყოს, ყუელა სამთავე გასაყოფლად დაგუიდებია.

ერთი სასახლე ელისბარ დაიჭიროს საუმცროსოდ. ს[ხ]უა სასახლე ერთმანეთსა შეადარონ და გაიყონ.

ბევრსა რასმე ჩიოდეს სახლის, იარაღისასა. რაც ბოდბელის ჟამშიგა დახარჯული იყოს, არა ზედა-აც. მასუკანის რაც დარჩომილი

იყოს — ანუ ქუაბები, ანუ თეფშები, ანუ თასები — ზოგი რამე ანდერმანს და იოთამს გაუყვია, თუ რასმე ერთმანერთსა ადევებდენ, ისი ფიცითა შეაჯერონ. თუითოსა კაცსა შეაფიცებდენ ერთმანერთსა, ასრე შესჯერდენ; თუ რამე გამოჩნდეს, ისრევე სამ წილად გაიყოფდენ.

ელისბარ პურსა ჩიოდა. რაცა ანდერმანს და იოთამს გაეჩინოს, ისი ისრე ქნან.

საქორწილოსა, ბეითალმანსა და აბრეშუმსა ბევრსა რასმე ჩიოდეს. ამას თავსა ვერ აუვიდოდეს, ისი გარდაუშუით; უფრო გარდაიკიდებოდეს, ამისთუის გარდაუშუით.

ჩუენი განაჩენი ამის მეტი არ არის. რომელმანც არ დაიჯეროს, იმისი პასუხის გამცემი ბატონი არის.

ხელთჳა: ალექსანდრე.

ზურგზე მინაწერი: „საძმო განაჩენი. ქ. ჯართლის წიგნი“.

300. განჩინება როსტომ მეფისა ზაქარია ამბრისშვილისა და წედელთა მამულის საქმეზე

1650 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 531. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. წყალთობითა ღმრთისა, ესე წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღმრთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ და მემცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, პირშუმან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ, შენ — ჩვენს ერდგულსა და ნამსახურს ყმას ატენელს ამბრისშვილს ზაქარიასა და შვილსა შენსა კარისა ჩუენისა [ი]ასაულს პაპუნასა, პაატასა, თათარასა შვილს და გიორგისა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, ოდეს თქვენ და წედელნი სამძღვარზედ შეიცილენით[1] და ჩვენის კარის მდივანი ბერთველი ისაულბაში და თულბაში დოლმაზა გიჩინეთ; და მოკითხულ ექმნათ, რაც საწედისო ყოფლიყო, იმათთვის დაენებებინათ და რაც საატენო ყოფლილიყო, თქვენთვის დაედვათ.

კიოტი თქვენი სამკვიდრო და მამული იყო, თურმან ცუდათ შემოგსარჩლებოდათ. და ახლა ამის წესით დაგიმკვიდრეთ კიოტის მიწა-ალაგი ქვემოთ ხევის პირამდინ, ზედათ გზამდინ; ერთის მხრით ბერისშვილის ახორ მიდგმამდინა, და ერთის მხრით ჩუსტიაშვილის მიწის მიდგმამდინა. ეს ასრე და ხელშეუალად გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

აწე[1] გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილნო და სხუანო მოსაქმენო, თქვენც ასრე დაუმკვიდრეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე[ე]ცილებით.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონს[2] **ტლჱ**, კელითა კარისა ჩუენის მდივანმწიგნობრისა თუმანისშვილის ბერთველისათა. ხელთჳა: როსტომ.

მინაწერი:

ამისი ასლი ვნახე, რომ დამპალი იყო და აღარა ჩნდა სავადი. მე გაღმოვსწერე, არც მეტი და არც ნაკლები, და არც შეიძლებოდა. ივანე ამირაღოვი, დუშეთის საზანდარი კეთილშობილი. ქორონიკონს[2] **უჟგ**, იანვრის **ლ**-ს.

მე, ქრისტესია მღვდელმა, ამისი ასლი ვნახე და ხელი მოვაწერე. ქრისტესია. გადმოვსწერე ესე კოპიო თანასწორეთა, რაც ზემოთ სწერია, **ჩყნთ**-ს წელსა, ივნისის **ბ**-ს დღესა, კნიაზის ნაზირი სვიმონ გიგაური.

ამის გადმოწერაში დავესწარ ატენის მღვდელი დიმიტრი დავითოვი.

301. განჩინება როსტომ მეფისა პაპუნა და უაფლან ბარათაშვილების ყმა-მამულის საქმეზე

1646—1658 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14284. დედანი. ქაღალდი. 44,6×14,6 სმ. თავი და ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. უაფლანი სახლისუხუცესად 1646 წლიდან იხსენიება. ამიტომ საბუთს ამ წლითა და როსტომ მეფის ზეობის უკანასკნელი წლით ვათარიღებთ. შდრ. როსტომ მეფის განჩინებას ამავე საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგლები IV, № 48).

[ქ. გავსინჯეთ, სასაფლაოსა და სამამულის საქმეზე ისარ]ჩლებოდენ. ამისი ასრე ვქენით: ერთ...* [ებისკოპოზ]ს გავატანთ, გასინჯონ და იმაზე ისრე დავაშველებთ, რაც საქართველოში სამართალი ქნილა იმ წესითა.

[1] შეიცალენით.

[1] ასე. [2] ქორონიკონს] ქრისტეს აქეთ. [2] ქორონიკონს] წელსა ქრისტეს აქეთ.

* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

ჰრეშისა ასრე უნდა იქნას და ამაზე გარდასწყდეს. ყაითმაზაშვილი მისის სამართლიანის მამულითა და რაც თავკაცად კაცი ან ყაფლანბეგს და ან მის აზნაურიშვილს ეყიდოს, პა[ა]ტა ნურას ეცილება. და სხუას პა[ა]ტას აზნაურისშვილსა და გლეხზე სახლისუხუცეს[ს] ყაფლანს ჭელი ნუ აქუს.

ირაგელის გლეხისა ასრე ქნან: თუ საპასუხო სახლისუხუცის ყმა პა[ა]ტას ჰყუანდეს, იმან აუყაროს. და თუ საპასუხო არა ჰყუანდეს, სახლისხუცესმა დაანებოს.

საუანელის კაცისა ასრე გაგუირიგებია. თუ ქაიხოსროს დროს აყრილიყოს და ლორეს მისულიყოს, სახლისუხუცეს[ს] მოეყუანოს, პა[ა]ტა ნუ ეცილება. და თუ პა[ა]ტას სავანეთოს შოვნას უკან აჰყროდეს, დარჩეს პა[ა]ტასა.

დარბაზისა, თაწმიდისა და ბრუტიანის მთაზე რომ ისარჩლებიან, მახსოვარნი და ალაგის კაცნი გავიკითხოთ. თუ შერმაზანსა და რევა[ზ]ს ჰქონებოდეს, პა[ა]ტა ნუ ეცილების. და თუ მახსოვარით არ გარდასწყდეს, ფიცით ბოლო მოუღონ და ასრე დაშველდენ.

შაუმაშვილის მამულის საქმე ასრე გარდაგუიწყუეტია: ვითაც ძუელი მოსყიდულობისა ეცადაშვილის წიგნიცა ჰქონდა და მერმე ეცადაშვილს ყალანდარისაგან რომ ნასისხლად სიგელი მოსცემოდა, ისიც შაუმაშვილებს ჭელთ ეჭირა. ვითაც დიდის ხნით ნასყიდად ჰქონდა, მარტო რაც დღეს აქნობამდი პა[ა]ტას ყმას შაუმაშვილს ვენაკი ჰქონებოდეს, ის სამართლით იმათვე დავანებეთ. და ვენაკს გარეთ რაც მიწა-წყალი და ჰალა იყო, სახლისუხუცეს[ს] დავანებეთ.

სარკინეთის ნასოფლარს სახლისუხუცესი ყაფლან ცალკე ირჩოდა, ჩემი სამკუიდრო არისო; და პა[ა]ტაცა ცალკე ისარჩლებოდა, ჩემი ყოფილაო.

მოკითხული ვქენით. არცერთს წიგნი და სანათი ჭელთ არა ჰქონდა და ვერც ამის მახსოვარი კაცი ვიშოეთ, რომე სცოდნოდა ან ერთისათვის ფიცი დაგვეღვა და ან მეორისათუის, არამც ინდობით გამოეფიცა ვისმე და მალი დაემართებოდა და ფიცი არა სჯობდა[1]. აწე შეუჯოცრობისა და გარდაუკიდებლობის გულისათუის სარკინეთის ნაოკარი ორთავ შუა გაუყავით და ამაზედაც ასრე დავაშველეთ, რომე ერთმან[ეთთან] ჭელი აღარა ჰქონდეს.

[1] ჯობდა.

ქ. პაპუნა რომ ყაფლანს ციხეს ეცილებოდა — ჩემს ალაგში გითქსო, მოკითხული ვქენით და მართალიც შევიტყევით, ტყუილად ცილობდა და არცარა ჭელი აქუს.

საწისქუილოსი მოკითხული ვქენით და ალაგი პაპუნასი ყოფილა და სახლისუხუცეს[ს] ჰირი დაუდებია და წისქუილი აუბრუნებია. თუ პაპუნა სამუქფოს მამულით შეიჯერიოს, კაი[1] და კაი. და თუ არადა, რაც სარჯელი დაედოს, პაპუნამ ამისი პასუხი გასცეს.

ლიყურეთს ორის დღის მიწაზედ ისარჩლებოდენ. რომელიც ჩვენის ქარის კაცი გავგზავნოთ, დახედონ და ვისიც იყოს, [სამა]რთლით იმას დაანებონ.

ჯაბისა და შინდაარისა მოკითხული ქნან, ვინც წავიდეს. თუ ზურაბის დროს ზურაბსა ჰქონებოდეს, პაპუნას დარჩეს. და თუ არადა, სახლისუხუცესს ნუ ეცილებიან.

თოფრაყალის (?) ვისაც ჭუეური დაეთხაროს და ან დაემტურიო[ს, უნდა?]...* სახლის[უხუცესს?] უზღუევინოს.

302. განჩინება როსტომ მეფისა როგორ მამაცაშვილის ყმა-მამულის საქმეზე

1658 წ. 21 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 48. საბ. № 20. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[13] ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, მამისა და უფროსად ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელისა, ჩუენ ღმრთივ-გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან, ასულმან მის ნათელისა დადიანის** [მ]ანუჩარისამან, პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამ**კვიდროთ და სა[v]ბოლო[ო]თ გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ — მამაცაშვილს, ჩვენს ერგულსა და თავდადებით ნამსახურსა, რომამს, შვილსა შენსა, შვილთა და მამაჲალთა სახლისა თქვენისათა ყოველთაჲე.

მას ჟამსა, ოდეს თქვენს სამკუიდროს რუის[ს] ღმრთ[ა]ების საყდ-

[1] კაიი.

* აქლია ორი-სამი სიტყვა.

** აქედან აჭამდე გადამწერის შეცდომით, ტექსტი გადაადგილებულია.

რის შეწირულ მეჭუდიშვილის მამულსა და მაზედ მსახლობელსა და კერჩხაძეს მისის მამულითა, ციციშვილი შემოგეცალა.

ჩვენ მოკითხული ვქენით. თქვენ ძველიდგან ხელმწიფეთ შეწირულობის სიგელი და სვინაკსარი მოიტანეთ, გაესინჯეთ და იმას არას სჯულის კაცისაგან გამოწირვა და მოშლა არ გაეწყობოდა. ჩვენცა სიგლითა ამით თქვენად სამკვიდროთ მოუშლელად ხატს ღმრთ[ა]ებისას შევსწირეთ ჩვენად სადღეგრძელოთ და სასურიელოდ.

გჭონდეთ და გიბედნიეროთ ღმერთმან თქვენ და თქვენსა შვილთა დათუნასა და პაპუასა ჩვენსა ერთგულად სამსახურშიგა.

აწე ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან, ანუ მეფემან ანუ დედოფალმან, ანუ დიდმან ანუ მცირემან, ამისად შლად ხელყოს, მასამცა რისხავს დაუსაბამო დაუსრულებელი ღმერთი, ყოველნი წმინდანი ღმრთისანი ზეცისა და ქვეყნისანი, ხოროციელნი და უხორცონი და თვით ხატი ღმრთაების ფერის ცვალებისა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან.

დაიწერა ბრძანება და მოუშლელი ნიშანი [14] სიგელი ესე ჩვენი ჭორონკოს ტმე, აპრილის კა, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა შანშიანის მარტიროზშვილის სულხანისათა. [ ] [ ] [ ] ხელრთვა [ ]

303. განჩინება კათალიკოსისა და რუსიშვილების მამულის საქმეზე

XVII ს. შუა წლები

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1891. დედანი. ქაღალდი. 28,5×13,5. თავი აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. საბუთის პირი დაცულია Ad 786 გ-ში. 1645 წელს როსტომ მეფე სვეტიცხოველს სწირავს აზნაურშვილ რუსი რუსიშვილს (დოკუმენტები 1, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა. 1940 წ. სპ. № 38). ჩვენი საბუთიც ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი.

[ქ. ნებითა ღმრთისათა ესე წიგნი მოგართ]ვი თქუენ ბატონისშვილს კათალიკოზსა ჩვენ, რუსიშვილმა პა[ა]ტიმ, რუსიმ, ჭაიხოსრომ, გირგელდიმ და ზურაბ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, ასრე და ამა პირსა ზედა.

ფაშაანში მამულებზედ ცილობა შეგვექმნა და გებოძათ თქუენი სახლისხუცესი და დათუნა ერაჯისშვილი. ახლ-

შნის ნაცვალი და საგარეჯოს ნაცვალი კავიაშვილი ბასილა და ბაციასშვილი ბერიკა და ერთობილნი ვეძისკეველნი და ასაფაშვილი.

მივდექით საცილობელს ადგილსა და ვილაპარაკეთ. და ფიცი შევაგდევით ასაბასშვილს ჩიტოსა, საღირასშვილს გოგის, საღირასშვილს მახოსა და ერთობილთ თქუენს ყმათ ვეძისკეველთა. მივასვენეთ საცილობელს ადგილსა დიდი ყოველად წმიდა ღმრთისმშობელი. აისვენა საღირასშვილმა გოგიმ, ასაბაშვილმა ჩიტომა და საღირაშვილმა მახომა და ერთობით ვეძისკეველთა და დაიფიცეს ასე: «ამისმა მადლმა, გამამაცხოველებელმა ქრისტემ ღმერთმანო, რაც ამაში წმიდანი არიან, ამისმა მადლმანო, თქუენ ბატონო რუსისშვილო პა[ა]ტი, რუსი და ჭაიხოსრო და მათნი შვილნო».

და ასრე დავაფიცეთ ვეძისკეველნი, რომე ერთი კომლი ბოგანო სახლებულა თქუენი ფაშაანის თავსა და იმას ჰქონია ხუთის დღის მიწა, თორემ ჩვენ ფაშაანში კელი არა გვაქუს სამამულეთ. თუ მოვკვანთ[1] და როგორაც სხვამ კაცმა ღალა მოგართოს, იმგვარათ მე მოგართო ღალა. სხვარიგათ სამამულეთ კელი არა გვაქუს. + +

ქ. ქუემოთ ვერხვთან რომ ნაშარავები გაივლის, აქადამ რომ პირაღმა[2] გზა შეივლის ზემოთ წარაფამდე, იმის სისწორ საჩალის წყლამდი — ეგ თქვენია. სადაც ფარუხაშვილი სახლებულა, იმ სახლის გარეშამო ხუთის დღის მიწა მოგვცემია, სხვას ფაშაანში კელი არა გაქვთ, ბატონო პა[ა]ტი, რუსი და ჭაიხოსრო. +

304. ფიცის წიგნი გუდარეხელთა და ღორისთაველთა მამულის საქმეზე

1660 წ. 13 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 830. დედანი. ქაღალდი. 38,6×15 სმ. დაზიანებული. თავი აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. შდრ. როსტომ მეფის 1653 წ. 10 ივლისის განჩინებას გუდარეხელთა და ღორისთაველთა მამულის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. IV, № 36).

ქ. ესე წიგნი და [პირი მოგეცით მე, ბარათაშვილმა მეჯინიბეთუხუცესმა პა[ა]ტამა თქუენ — სარდარსა და სახლისუხუცეს პაპუნასა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე.

1 მოვაჯნათ. 2 + რომ.

ღორისთაველნი და ჩუენ მიწებსა და ალაგებზედ ცილობდენ და როსტომ მეფის ჟამში სამართალი ვჰქენით და ფიცი სამს ღორისთაველს კაცს შევარდა.

აწე ამ ბაირამს უკან, როდესაც მე შინ წავიდე, ერთი თქუენი აზნაურიშვილი თან წავიყვანო და სამ[მ]ა ღორისთაველმა კაცმა — ფანიაშვილმა ზურაბამა, ხუციშვილმა გოგიამა და მექუაბიშვილმა ჯიმშერამა ხატი აასვენონ და ასრე დაიფიცონ: «ამ ხატმა, ამისმა მაღლმა და ძალმა და ამისმა გამაცხოველებელმა ქრისტემა ღმერთმან, პა[ა]ტავ ბარათაშვილო, როდესაც ღორისთავი გუდარეჯისა ღმრთისმშობელს გამოსწიროდეს, ეს რომ ჩაგუთვლია, იმ ალაგს აქეთი საღორისთაო იყოს, რომ გუდარეჯისა ღმრთისმშობელსა და გუდარეჯელთ სამამულეთ კელი არა ჰქონდეს». თუ დაიფიცონ, დაგანებო. და თუ ვერ დაიფიცონ, არას მემართლები.

ამისი მოწამე და წიგნის დამწერელი გიორგი ქართველი არის. ქორონიკონს ტმჱ, მაის[ს]ა იგ. სპარს.

ზურგზე: „ქ. ღორისთული სამძღრის გარდაწყუეტილობისა“.

305. მორიგების წიგნი იარალიაშვილებისა სოლაღაშვილებისადმი

1665 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 753. დედანი. ქაღალდი. 27,5×15,7 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლები.

ქ[ქ. ე]სე წიგნი მოგართვით ჩვენ, იარალიშ[ვილ]მა პატრონმა იარალიმ და პატრონმა ვახუშტ[ი]მ და პატრონმა ასლამაზ და შვილმა ჩვენმა პატრონმა ქაიხოსრომ და პატრონმა მა[ნუჩარ], თქუენ — სოლა[ღა]შვილს პატრონს ელიზბარს და ზურაბს შვილთა და მამაჲალთ სახლისა თქუენისათა.

ასრე, რომე თქუენი სამკვიდრო სოფელი ასურეთ[ი] ცოტას ხანს ერთს ხოჯა კაცს ოსიას ჰქონდა. და ასურელთ სამაჩელნი მიწებს შეეცილნეს[1]. და რადგან ის ეული კაცი იყო, არცარა დიდი სამართალი ჩვენ უყავით და არცარა დიდს ის გამოგვეკიდა[2] და ორს[ა]ვ შარა შუა ორი დარგი მიწა — აქათ ხევის პირამდიის და იქით წვერამდის, მოგვარებული ქქენით და შუა გავყავით.

[1] შეიცილნეს. [2] გამოგვეკიდა.

მასუკან თქვენი სამკვიდრო სოფელი ასურეთი თქუენ იშოვეთ, დავლაპარაკდით და იმ სოფლისა იყო და არას ვემართლებოდით; და მოყვარენიც ვიყავით; ავიღეთ და მოგართვით და დაგანებეთ. ასრე, რომ არც ჩვენ და არც ჩვენს შვილსა და არც ჩვენს ნათესავს იმასთან კელი არა ჰქონდეს. ქორონიკონს ტნგ. იარაღიჲ ვახუშტი ასლამაზ

306. გარდაწყუეტილობის წიგნი პაპუნა და ხოსია ტატიშვილების სასისხლო საქმეზე

1672 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3211. დედანი. ქაღალდი. 29,6×19,2 სმ. დაზიანებული. მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. შდრ. Hd 3235 ნუსხას, რომელსაც უზის ქორონიკონი ტჲ. ამიტომ განჩინება ტატიშვილების გაყრის საქმეზე და აგრეთვე გარდაწყვეტილობის წიგნი მათ სასისხლო საქმეზე, რომლებიც შეცდომით დათარიღებულია 1674 წლით, უნდა დათარიღდეს 1672 წლით (ქართ. სამართ. ძეგლები IV, №№ 69 და 70).

[ქ. სახელითა სახიერის]ა, არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელ[ისა ღმრთისა მამისა, ძის]ა და სულისა წმინდისა; თავდებობითა, მი[ნდობითა და შუამ]დგომელობითა ყოველად წმინდისა უხრწნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმ[შობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა; თავდებობითა და მინდობითა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თვისნი ქსნისათვის ჩვენისა; თავდებობითა და მინდობითა წმიდათა მათ უკორცოთა ზეცითა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისითა; თავდებობითა და მინდობითა წმიდათა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა და სხვათა მოციქულთათა წმინდათა და წინასწ[ა]რმეტყუელთა, მღდელთმოძღვართა, მოწამეთა ქალწულთა, მამათა, მამამთავართა, ქალწულთა მეუდაბნოეთა და ერთობით ყოველთ წმინდათ ღმრთისათა, რაოდენიცა წმინდანი სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იესოს ქრისტესა და აწცა სათნო ყოფად არიან.

ამათით თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობით[1] ესე

[1] შუა მდგომელებითა.

უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი გარდაწყუეტილობისა ფიცი, პირი და წიგნი მოგეც მე, ტატისშვილმან პაპუნამან და შვილმან ჩემ[მ]ან ოთარმან, იოთამ, ჯაზდან და ათანასე შენ — ჩემსა ძმისწულსა ხოსიასა და ძმასა შენსა ბეჟანს, ასრე რომე შანაოზ ნეფემან ბატონს ციცის უბძანა ჩვენი გაყრა; და ბატონი ციცი მობძანდა და შიოშ ზედგინიძე და გაგუყარეს სამართლიანის საქმითა.

და მე და შენ ეშმაკის საფრკჯითა სასამდურაო საქმე იყო, ჩემგან დაჭრილი იყავ. და ბატონს ელისბარისაგანაც ნასამართლი იყო; და ჩემის წილისაგან მარკოზ მღდელი მისის შვილებითა და სარჩოთა დამადებინეს შენთვის საუპატიოთ. და აღარა დარჩა რა ჩვენსა და თქვენში სალაპარაკო ძმობისა და მოყურობის მეტი. [დ]ღეს და დღეის იქით კარგის მდომნი ვიყუნეთ და აღარცარა თქვენი დასამარცხებელი საქმე ვქნათ.

ამისდა გასათავებლად და დას[ა]მტკიცებლად მოგვიცემია ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი და ესე ზემო წერილნი წმინდანი ღმრთისანი.

თუ ამაში გაგიმტყუნდე, საქართველოს ჯელმწიფემან თავის მკულელად და შეცოდებად მომკითხოს და ბატონისშვილმან გიორგიმ და ბატონმან ჩემ[მ]ა.

არიან ამისნი მოწამენი და გარდამწყუეტნი: ციციშვილი ბატონი ციცი, სახლთუხუცესი ზედგინიძე შიოშ, მთავარებისკოპოზი აბაშიძე კოზმან, სლესარი ელისბარ, ერთობით საციციშვილო აზნაურშვილები და ერთობით სადავითისშვილო აზნაურშვილები.

მე, იესეს ბედისწერლისშვილს, დამიწერია, მოწამე ვარ. დაიწერა ესე გარდაწყუეტილობის წიგნი ქორონიკონს ტ[ჲ] + + + +

307. განჩინება პაპუა სახლთუხუცესისა და მამუკა შეშაბერიძის მამულის საქმეზე

1678 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1637. დედანი. ქაღალდი. 9,3×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. სახლისუხუცეს[ს] პაპუას შეშაბერიძე მამუკა შიწას ეცილებოდა. გავსინჯეთ. და ამას წინად თურმანს ვ[ა]ეყო და სამანი ჩაესვათ. ჩუენ ის სამართალი აღარ მოვშალეთ. ხევს აქეთ სამნამდი შეშაბერიძეს მამუკასა და მის ძმას დავანებეთ. და სამანს იქით სახლისუხუცეს[ს] პაპუ[ა]ს დავანებეთ. ჭორონიკონსა

ტნია.

308. განჩინება გიორგი საააძისა და ფარეიძის მამულის საქმეზე

1680 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1017. დედანი. ქაღალდი. 19×19 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე წიგნი მოგეც მე, რევაზისშვილმან ბერუკამან, შენ, საააძეს გიორგის, ძმასა შენსა შიოშს, შვილთა შენთა ძოამს(?) დემეტრეს, იესეს ასრე, რომე.

ფარეიძესა თვალიაშვილის ნაჭონს მამულსა მიწას შესცილებოდი შენისავ მიწის გრძელას გვერდითა. გელაპარაკათ და მახსოვარიც მიგეყუანათ, რომ თვალიაშვილის სახასო ხოდაბუნი ყოფილიყო. მასუკან მომჭდარიყო საქმე, რომ იმკელად აღარ გარდაწყუეტილიყო.

ახლა ჩვენს მოკელობაში ილაპარაკეთ და მახსოვარი სულაშვილი ბერუა, ყაზუაშვილი პაპუნა დამეზრისშვილი ბიძინა მოიყუანეთ, რომ თქუენი სახასო ხოდაბუნი ყოფილიყო. ვილაპარაკეთ და მახსოვრებმან ჩვენ გაგვამტყუნეს. და მიწა შენ დაგრჩა.

არის ამისი მოწამე გიკაშვილი გოგიტა, მალულიძე ბერუა მე, მღდელ-მონოზანს ელიესს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ჭორონიკონს ტნიწ. †

ზურგზე მინაწერი სხვა ხელით: „ჭ. ფარეზას შვილის ხოდაბუნისა არი“.

309. განჩინება ჟურხულების სასისხლო საქმეზე

1681 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7851. დედანი. ქაღალდი. 21×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი, სამი ან ოთხი წერტილი.

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და რანიც წმიდანი არიან მათის თავდებობითა და შუამდგომლობითა მოგეც ესე უკუნისამდე

ჟამთა და წელთა გასათავებელი წიგნი და ნიშანი[1] სისხლის გარდაწყვეტილობისა მე, ქურუხულმა პეტრემა და ბერმა და შერმაზან, ხოსიტამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ — ჩვენს ბიძაშვილს სანგოს და ბაინდურს, პაპუასა და გოდერძის, შვილითა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასრე და ამა პირსა ზედა.

სისხლი ჩამოვარდა ჩვენსა და თქვენს შუა. ჩამოგიდეგით და აგართვით სისხლი სრული და უკლებელ, რათაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდა. ჩვენსა და შენს შუა ძმობისა და მოყრობის მეტი აღარა არის რა.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და მემრე მისი წმინდანი. კაცთაგან არის ამისი მოწამე და გარდამწყვეტი და შემრიგებელ: ბატონი სუფრაჯი ფარემუზ, მოურავი დრეიძე პავლე, ნაცვალი ყორღანაშვილი რამაზა, ნაცვალი პანკელაშვილი ფოცხვერა, ეთფერაშვილი გიორგი, გიდიაშვილი ფოცხვერი, გულბათისშვილი შარმაზან, ხახვიაშვილი რამაზა, როსტიაშვილი ზუბიტა, მუჩიაშვილი პაპია, ზუკფიშვილი გიუნა, ბუტულაშვილი მამუკა, იასე დეკანოზიშვილი, მარინდაშვილი რამაზა, ბასილაშვილი პაატა, სრულ ერთობივ გარეჯელნი, მამუკა გამდლისშვილი.

რამაც ჩვენმა სახლის* კაცმა ეს მოგიშალოს, რისხავსმცა ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი მისნი წმიდანი ზეციერნი და ქვ[ე]ყნიერნი, ჯოკიელნი და უჯორცონი, სრულ ქართლისა და კახეთის ჯარი და ხატი; სულიმც მისი ნუ იხსნების ცეცხლის გენ[ი]საგან ნურას სინანულით, შიშთვილიმცა აქვს იუდასი და ღრჯენა კაენისა. ხოლო დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტესშობის თვეს ოცსა, ჭორანიკონსა **სამას სამოცდაცხრასა.** + + + + +

მე, კალობნი ბერს გაბრიაელს, დამიწერი[ა], მოწამ[ე]ც ვარ.

1 მიშანი.

* აქ ტექ.-ში ჩამატების ნიშანია, როგორც ჩანს, სიტყვა „კაცმა“ საბუთის დამწერს გამორჩენია და შემდეგ გვერდის ბოლოს მიუწერია.

310. განჩინება დავით ფალავანდიშვილისა და სამხარაძის მამულის საქმეზე

1687 წ. 25 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 499. დედანი. ქაღალდი. დაზიანებული. მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. 30,5×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

[ქ. ნებითა და] შეწევნითა ღმრთისათა და ბრძანებითა მეფეთმეფისა პატრონი[ს ჯემწიფისა] ჩვენი[სა] გი[ორგ]ისათა ესე ამერითგან და მიუკუნისამდე ჟამთა და ხანთა საბოლოოდ გასათავებელი წიგნი მოგეცით ჩვენ — მეითარმან მანუჩარ [და] შვილმან ჩემმან სუფრაჯმან პაატამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე, თქუენ — ფალავანდიშვილთ დავითის შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

ასე, რომე თქვენს ყმას ჩუბინიშვილს თიღველს სამხარაძისათვის არმგამა მიეყიდა და ნასყიდობის წიგნი აეღო. და იმ სამხარაძეს მტერი ასჩენოდა და თაი[ს] ალაგს არ დაეყენებინათ და საკვდავად სდევდენ. მოსულიყო და შენ შემოგხვეწნოდა და იმ არმგამას ნასყიდობის წიგნი თქვენთვის ქრთამად მოერთმია. და თქვენც, რომელიც გაეწყობოდა, კარგათ მოჰქმაროდით. და გამოვიდა ხანი და მოვიდა სამხარაძე და ბატონს შემოსჩივლა დავით არმგამას წიგნი ძალად წამართვაო.

და ბატონმა თქვენც მოგიყვანა და ორივე გალაპარაკათ. და იმ სამხარაძეს ჯელმწიფემ ამორო დასდვა: «ასე შეფიცე, რომე ის წიგნი ძალად გამოერთმიოს დავითსაო და არც ქრთამად მიგეცესო». ასე უნდა[1] მოწმე[ე]ბით ეფიცა.

ჩვენც შუა ჩამოვედით და ზა[ა]ლ მუსხელიშვილიცა შუა ჩამოაგდეს, და ის სამხარაძე აღარ დააფიცეს და შევარიგეთ. და იმ არმგამას ნახევარი მამული მისის სამართლიანის სამძღვრითა დავითს ფალავანდიშვილს და მისს შვილებს დარ[ჩა] და ნახევარი სამხარაძეს დაუნებეთ.

არის ამისი მოწამე მუსხელაშვილი ზა[ა]ლ, ბეგაშვილი ასიტა, მჭედლიძე დათუნა, სუფრაჯის მსახური უღულე; და ბატონისშვილის ბაგრატის ქარის დეკანოზს [ქ]რისტესიას დამიწერია და მოწამეცა ვარ.

1 უნდოდა.

ვინცა და რამანცა კაცმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, თქუენ ეს წიგნი მოგიშალოს, წყეულ, კრულ და შეჩვენებულმც იქმნების ორისავე ცხოვრებასა შინა, და ჩვენთა ცოდვათათვის[1] იგიცა დაისჯების დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა სიგელი ესე მაისს ოცდახუთსა, ჭორონიკონს **ტოე**. სპარს. სპარს. დავით †

ზურგზე: „ქ. თიღვის ჩუბინისშვილის არის“.

311. მორიგების წიგნი დათუნა დოლენჯიანისა გივი მდივნისადმი

1688 წ. 1 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 42. დედანი. ქაღალდი. 24×13 სმ. მბეჭდრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, დათუნა დოლენჯიანმა, თქვენ — მდივანს გივს, ასე რომე თქვენს ყმას გარეჯურელს სოლთანაშვილსა და დოელს კაცს ჩემის ყმის შვილის მოპარვას ვსწამობდი. მდივანბეგთან ვიჩიელე და მდივანბეგმა თქვენს კაცსა და დოელს კაცს ფიცი დასდვა. აწე თქვენმა კაცმა, ცოტა იყო თუ ბევრი, გარდამიწყუიტა. და მე ეს გარდასაწყუეტის წიგნი მამიცემია, რომე მე ამ ტყუის საქმეზედ თქვენს კაცთან ხელი არა მჭონდეს. თავისი კერძი გარდამიწყუიტა; და რაგინდ დოეზელმა კაცმა დაიტანოს, მე თქვენს კაცთან ხელი აღარა მჭონდეს და არცარას მივედავო; თქვენი კაცის კერძი გარდაგიწყუეტია და მე ვიცი და დოეზელმა კაცმა, თქუენს კაცთან ხელი აღარა მაქუს.

არის ამისი მოწამე: ბოქოულთხუცესი ბატონიშვილი იესე, მდივანი ოთარ, სიმარადისშვილი იესე, გოსტაშაბის ძმა გიორგი. მე, ნასყიდა მოლარეს, დამიწერია და მოწამეც ვარ.

თუ ამაშია წამოგედავო, დავით ერისთვის შემცოდე ვიყო.

დაიწერა იანურის **ა**, ჭორონიკონს **ტოვ**. †

მინაწერი: ...„მოცემული წიგნი გარდაწყვეტილობისა სოლთანაშვილს... სწამობდა“.

[1] ცოდვათათვის] ცოდვათა თივის.

312. მორიგების წიგნი პაპუასი და სხვათა თევდორე კევხიშვილისადმი

1688 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 18. დედანი. ქაღალდი. 27,3×14,8 სმ. დაზიანებული. თავი აკლია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

[ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩუენ]... პაპუამა, შიომ და ნიკოლაოზ, ოთარმა, ლევან შენ — კევხიშვილს თევდორეს, ძმასა შენსა პეტრეს, საბასა, შვილთა და მომავალთა ყოველთაცე სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა, ოდეს ჩუენსა და თქუენს შუ[ა] ჩხუბი გამოგვერია. ჩემი შვილი იესე იმ ჩხუბით მოკუდა. მაგრამ ზოგი სხვა სენიცა სჭირდა.

შეგვექნა სალაპარაკოთ. მიეედით ბატონიშვილის ლევანის მდივანშია და გასინჯეს ღმრთის შიშს ქვეშე, რაცა სისხლი დაგედებოდათ, დაგადვეს. ამილახორი გიორგი იასაულათ დაგაყენეთ და ტუღრინაშვილი ფარემუზ. რა გა[ა]ჩინეს, უკლებლივ გამოგართვით, აღარა დარჩა რა ჩუენი სალაპარაკო შენზედა, უკლებლივ მოგვებარა.

აწე რამანცა ჩუენმა მონათესავემ კაცმა ეს წიგნი მოგიშალოს და არ გა[ა]თაოს, რისხავსმცა თავად დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყუნისანი, ჯორციელნი და უჯორცონი.

მასმცა ედების შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კეენისა, მეხტეხილობა დეოსკორესი; ნურათმცა ნუ იხსნების სული მისი, ნურას სინანულითა, ნუცა ლოცვითა, ნუცა წირვითა, ნუცა იელუსარემს წასულითა, ნუცა ეკლესი[ი]ს აღშენებითა და ნურცა გლახაკთა მოცემითა. და კრულმცა არს ნათესავით ნათესავამდე და ჩუენთა ცოდვათათუის განიკითხვის მას საუკჟუნოსა. ამინ.

არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი: სურამის ნაცვალი, მამასახლისი აიდინა, ნაცვალი იონათამ, აბაზაძე ზა[ა]ლ, სულ ლომინაშვილები, რიკაძე ეზია, ჩაისარაშვილები, ერთპირათ სულ გორელნი, შინდისელნი და სურამელნი, სომეხნი, ქართველნი და ისრაელნი.

მე, მდივანს ზურაბს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დამამტკიცებელი და გამთავებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან. ჭორონიკონს **ტოვ**. † † † † † †

313. ბანჩინება გელანიშვილებისა და თუმანიშვილების მამულის საქმეზე

1689 წ. მაისის დამდეგს

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14930. დედანი. ქაღალდი. 23×15 სმ. დაზიანებული. თავი და ბოლო აკლია. მარცხენა და მარჯვენა კიდეები ალაგ-ალაგ ჩამოცრეცილია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი.

[ქ. ბატონის? მეფის? ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ ი ს?] ბრძანებით მოვედი მე...* ზ ა [ა] ლ და დ ა თ უ ნ ა და [ე ლ ი] ზ ბ ა რ ი ს ა და ბ ე ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ფირანისა და მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა [საქმი]ს გასარიგებლათ[1]. ესენი მამულ[ზ]ედ [შეც]ილებულნი იყ[უ]ნენ და ბატონთან ილაპარაკეს და [ფი]ცი ფირანს დაზდებოდა. და შევყარენით ჩვენ [თ]უ მ ა ნ ი შ ვ ი [ლ ე ბ ი]...** ბ ა ხ უ ტ ა და ე ს ტ ა ტ ე და ლ ი პ [ა რ] ი ტ და ზ ა ქ ა რ ი ა და ქ ი შ ვ ა რ და ქ ა ი ხ ო ს რ ო და [სახ]ლის კაცნი უფროსიცა და უმცროსიც. და [ფიცი] აღარ მოვახდინეთ და უფიცართ შევარიგეთ.

სამნები ჩავყარეთ. დარჩა ზ ა [ა] ლ ს ა და დ ა თ უ ნ ა, ე [ლ ი ზ] ბ ა რ ს: მ ე ფ ი ს ა ს შ ვ ი ლ ი ს ვენახისა აღ[მოსავლეთის-[კ]ენ თავს სამანს იქით ოცდახუთი [ადლ]ი და შუაზედ ოცდასამი ადლი; და [ბო]ლოს საწნახლის გასწორ რომე სამანი ზ[ის], იმას იქით ოცდაოთხი ადლი; და თავს სამნე[ბ]იც ზის თავამდი. ამ მამულის სა[ქმე]ზედ უწინ ფირან და ზა[ა]ლის ყმა კ ე ჩ ი ვ ა [რ ა] შ ვ ი ლ ე ბ ი წაკიდებულ იყ[უ]ნენ. და ისიც ჩაუტ[არე]თ, ერთმანერთს შევარიგეთ. ერთმანერ[თთან] ხელი აღარ აქ[ვ]თ რა.

ვინც და რამანც კაცმან — [ბატო]ნმა ან ყმამ და ან სხვამ კაცმა [და ან] ჩვენ — ეს საქმე მოვშალოსთ, ჯერ ვიყ[უ]ნე[თ ბატო]ნის შემცოდე და მერმე ღმრთისა. და ვინც [ამ საქმეზე შეცილება მოინდომოს, თორმეტი...** [ბატონს] ჯურუმი მიეცეთ და სულ...* ისრე გარდმიკვეთეთ თქვენის სა...**რომე აღარც ლხინში და აღარც ჭირ[ში] აღარ მოუდგეთ და კიდეც გარდვიკვეთოთ[2].

[ქორონიკონს] **ტოზ**, მაისის დამდეგს დაიწერა.

[1] +მოვედი. [2] გარდვიკვეთოთ.
* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.
** აკლია ერთი სიტყვა.

ამის გამრიგე...*' სბა(?) [ ]

მე, ლ ი პ ა რ ი ტ ი ც, ამის დამხვედრი და გამ[რიგე ვარ]. [ ]

მე, ზ ა ქ ა რ ი ა, ამის მოწამე და დამხდური [ვარ] [ ]

ქ. მეფისაშვილის ვენახისა დათუნას აღლობით დარჩა. იმ სამნებს აქ[ე დასა]ვლეთისაკენ სულ ფირანს დარჩა.

...*ნის დამიწერია მე, ბ ა ხ უ ტ ა. [ ]

აღ[მოსავლეთისაკენ გზის თხრილის [დათუნასია? ეს?] ზომა თხრილს გარდა რ[ასაც]...**

კიდეზე: [საწ]ნახელიც ფირანს დარჩა. [ ]

ქ. ბატონის...* საბ(?)...* [და] განაყოფებმან ასე შეგვა[რიგა]. [ბა]ტონის მოსაქმემ ასე მ[ო]გ[ვარიგა].

314. ბანჩინება ერეკლე I-ისა ლამექისშვილების მამულის საქმეზე

1697 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 495. დედანი. ქაღალდი. 38×18,7 სმ. მხედრული. დაზიანებული. ალაგ-ალაგ ამოცრეცილია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლები.

[ქ. ნებითა და შ]ეწევნითა ღმრთისითა, ჩვენ, ზე აღმართე[ბულ-მან, ღმრ]თივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ზეცით გვირგ[ვინოსანმან] იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანმა, მ ე ფ ე [თ]-მ ე ფ ე-მ ა ნ თვით ჯელმწიფემან პატრონმა ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ [ლ ა მ ე ქ ი ს შ ვ ი ლ ი ს პ ა პ უ ნ ა ს შვილის გ ი ო რ გ ი ს ა და იმის ბი-[ძაშ]ვილის ლ ა მ ე ქ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს სარჩელი და ს[ა]-ჩ[ივა]რი გავსინჯეთ და გავიგონეთ.

ლამექის ჯავახიშვილის ქალ[1] [ხორ]ეშანთან შვილი არ [დ]არჩომოდა და ლამექისცა და [ხორ]ეშანსაც გიორგისათვის შვილობისა და თავის კერძის მამულის წიგნი მიეცათ. ის წიგნიც გავსინჯეთ და ჩვენ ამათ გასარიგებლათ დ ი ა ს ა მ ი ძ ე დ ი ა ს ა მ გავგზავნეთ. იმასაც ასე გავარიგებინა: თუ ერთათ იყვნენო და ამათი ერთობა მოხდეს, მამული ერთათ სჭამონო. და თუ ერთობა ვერ მოხდე-

[1] ჭალს.
* აკლია ერთი სიტყვა.
** ბოლო აკლია.

სო და გაიყარონო, რაც მამული ქონდესთ, მესამედი თავის მთითა, ბარითა, გლეხითა, ხოდაბუნითა, წყლითა, წისქვილითა, საძებრითა და უძებრითა, სასახლითა და ზვარი ერთის საკომლო ზომა ლამექისშვილს გიორგის მოსცენ და სხუა პაპუნას შვილებს ჰქონდესთ.

რადგან იმასაც ამრიგათ გაერიგებინა, ჩვენც აღარ მოვშალეთ და ამრიგად დავამტკიცეთ. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა შემდეგთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

აწე გიბძანებთ კარისა ჩვენის ვექილ-ვეზირნო და სხვანო გამრიგ[ენნო, ბ]ძანება და ნიშანი ჩვენი ესე თქვენცა ასე გაუთავეთ და ნუროდეს ნუ მოუშლით თვინიერ თანამდგომლობისა და შეწევნისაგან კიდე.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე გიორგობის **იე**, ქორონიკონს **ტპე**. დაიწერა კარისა ჩვენის მდივანმწიგნობრის ენაკოლოფაშვილის ფარემუზის ქელითა.

ბეჭედი: მეფე ნაზარალიხან.

მინაწერი ზურგზე: „ქ. ნაზარალიხანის სიგელი რომ ჩვენ...“

315. განჩინება ერეკლე I-ისა ამილახორიშვილებისა და მურვანიშვილების მამულის საქმეზე

1698 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1077. დედანი. ქაღალდი. 32,5×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

ქ. მეფის ერეკლეს ბრძანებით დავსხედით ჩვენ, მთავარეფისკოპოზი ბატონი ქრისტეფორე, მაღალაშვილი ნიკოლოზ, იარალიშვილი ვახტანგ, ამილახორიშვილები, იესე მურვანიშვილი და მისი ძმა ოთარი დამლაწაშვილის მამულს ნასყიდობით სარჩლობდენ.

მოკითხული ვქენით და ჩვენც გავსინჯეთ, რომე აწ რაც ამილახორის შვილებს ეყიდა ან მურვანიშვილებს და ან სხვა რაც ძირს მამული რჩებოდა, ეს სამწილად გაუყავით ამილახორიშვილებსა, მურვანიშვილებსა და დამლაწაშვილს ოთარს.

და ერგო იესეს და მის ძმას ოთარს ერთ წილად მძულიაშვილები და კვინიკაძის მამულის ნახევარი, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ; ერთ წილად არჯევანიძე თამაზა, რისაც მამულის მქონებელი იყოს; ერთ წილად ჯეგაძე და კვინიკაძის მამულის ნაჴევარი, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ; ერთ წილად კოჩაძე ივანე და პა[ა]-

ტი, დღეს რისაც მქონებელ[ნ]ი იყუნენ; ერთ წილად ყბედაშვილი დათუა და ბერუა, ელიაშვილის ვენახი, მაზმნიშვილის ბაგა, ღელეს იქით მაზმნიშვილის ნაქონი მიწები. კიდევ საზვიანოს ნაქონი მიწა, ივანიშვილის ნასახლარის ნახევარი და ნაბოსტნარის ნახევარი, საყდრის ნახევარი იესეს და ოთარს და ნახევარი ამილახორიშვილს და დამლაწაშვილს.

ამასად გარდა რაც სადამლაწაშვილო მიწები დარჩა, ამილახორიშვილებმა ქელი აიღეს და მურვანიშვილებმა და დამლაწაშვილმა შუა უნდა გაიყონ; ვენახის თავის მიწა იქით ღელემდის და აქეთ ჩხეიძის მეზურემდის მურვანიშვილებმა და დამლაწაშვილმა შუა გაიყონ.

ესე[ე]ბი ამ წესით დაგვიშველებია. ქორონიკონს **ტპვ**.

ზურგზე მინაწერი სხვა ხელით: „ქ. მეფის ერეკლეს განაჩენია“.

ბეჭედი: მეფე ნაზარალიხან.

316. განჩინება ზაქარია გვერდწითელისა და ბეჟან ქავთარაძის სასისხლო საქმეზე

1699 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10215. დედანი. ქაღალდი. 21,5×10 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტ-ნაკლები.

ქ. ნებითა და შეწევნითა [ღმრთისათა] ესე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზ-შეუცვალებელი გარ[დ]აწყვეტილობის წიგნი მოგეც მე, გვერდწითელმა ზაქარია, ძმამა ჩემ[მ]ა გივმა, ძმისწულმა ჩემ[მ]ა ჯანიბეგ, რამაზ, ოტიამ, ს[აა]მ, ლომ[მ]ა, ხუციმ, გიორგიმ, დათუნამ, სახლის მამავალმა ჩემ[მ]ა შენ — ქავთარაძეს ბეჟანს, ძმასა შენსა ლევანს, ძმისწულსა შენსა დავითს, იონათამს, სახლისა მამავალთა თქვენთა.

ასრე, რომე მე და თქვენს შუა ჭრილობა იყო, დივანბეგთან ვილაპარაკეთ, სისხლი გაგვიჩინა, რაც რომ დაგადვეს, მამეცით და გარდამიწყვიტეთ, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. დღეს და დღეის იქით თქვენთან ჴელი არა მაქს ძმობის და მოყრობის მეტი.

არიან ამისი მოწამენი თავად ღმერთი. კაცთაგან: მეღვინეთხუცისშვილი რევაზ, ბუნიათისშვილი არდაშელ, გლურჯიძე ამუან, ბერძნისშვილი არდაშელ, შატელისშვილი ავთანდილ, ნამორიშვილი ხოსია, კოვზაშვილი გოდერძი, რევაზისშვილი სეხნია.

მე, ბაგრატს თურქისტანიშვილს, დამიწერია, მოწამეც ვარ. ქორონიკონს **ტპზ**, ქრისტიშობისთვის ოცს გასულს.

+ + + + ††

ორი ბეჭედი: 1. მეღვინეთხუციშვილი რევაზ.
2. მონა მღთისა ბაგრატ.

317. მორიგების წიგნი ჯანდიერიშვილებისა გურამიშვილებისადმი გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზე

XVI ს. ოთხმოციანი წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14977. დედანი. ქაღალდი. 31,5×15 სმ. დაზიანებული. მარჯვენა ზემო კიდე მთხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. საბუთის ბოლოს სხვა გვაინდელი ხელით მიწერილია: „სამართალი დავაში მორიგებისა გურამიანთა". გურამიშვილი იოთამ, შიომ და ყაფნია ნახსენებია კახთა მეფის ლეონის 1573 წლის საბუთში (დოკ. I, ნ. ბერძ. რედ. № 504). ჩვენი საბუთი XVI ს. ოთხმოციან წლებში უნდა იყოს შედგენილი.

ქ. ნებითა ღმრთისათა [ჩუენ, ჯანდიერიშვილებმა] გრიგოლ, [როსაბ...* შ]ოშ, სულხან, [...* ბე]ქან, ჯანდიერ, ხო[სრომ] და გოგიჩამა, ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი მოგახსენეთ თქუენ — ბატონსა იოთამს, შიოშს, ყაფარბეგს და თქუენთა შვილთა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე.

ჩუენსა და თქუენ შუა ბევრი რამ სარჩელი იყო გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზედა. მივდეგით ზედა, მოკითხული ვქენით და საფიცრად ვარდებოდა. ჩუენ ფიცი აღარა ვქენით, ფიცი ორთავ დაგვაზიანებდა. და მოგეცით ლომსაურთ რუ და დაგანებეთ. ასრე რომე, წყალცოტაობა იყოს — ცოტაობით არ და[ა]კლდეს ავჭალას წყალი და დიდი იყოს — დიდობით, არას დროსა და არას ჟამში არას ჩუენის ნათესავისაგან ესე არა მოგეშალოს.

არის ამისი დამხეედრი და მოწამე ანდრონიკეშვილი მიქელ და უნდილაძე თალბაზ და იარაგელი სორაზან. + + + + + + + + + + + + + + + + +

* აკლია ორი-სამი სახელი

318. განჩინება ზაზა და უთრუთ ციციშვილების ძმა-მამულის საქმეზე

1700 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14930. გრაგნილი. პირი. ქაღალდი. მხედრული. როგორც ჩანს, საბუთის დედანი მეტად დაზიანებული ყოფილა, ხოლო გადამწერი — უწიგნური. ამიტომ პირვანდელი ტექსტის აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ჩვენ, ამილახვარმან ავთანდილ, ეშიკაღასბაშმან ქაიხოსრომ, ეშიკაღასბაშმან ამილახვრის შვილ [მან] რევაზ, არქიმანდრიტმან ნიკოლოზ, წინამძღვარმან ეფთიმემ, ბაზიერთხუცესმან[1] ბეჟან, ციციშვილმან ზაზამ, ფარსადანისშვილმა ზაზამ, ნაზირმან ედიშერ, მდივანმან გივმან სარდლის შვილის ზაალისა და მისის ძმისწულისა ზაზას შვილის უთრუთისა მამულის საქმეზედ[2] სარჩელი და ლაპარაკი გავიგონეთ.

უთრუთს ეჭირა: მესამედი წერაქვი, თამაზა ფრიდონაშვილისა და მის შვილებს გარდაისად, ნახევარი წაკისი, ნიჩბისს გვარიძე და კავთელაშვილი, ქვახვრელს[3] იმედაშვილები, ყინცვისს[4] კანდელაკი შვილები. ამის სანაცვლო ზაალსაც ეჭირა და ბატონისა [გარი]გებულნი იყვნენ.

ამას გარდა, სხვას რაზედაც ცილობდნენ, დარჩომილი იყო. ეს ასრე გავარიგეთ: სასაფლაო, საყდარი და მისი გარეშემო შუა უნდა გაიყონ — ნახევარი ზაალსა და ნახევარი უთრუთს. სასახლე მისის კარმიდამოთი ზაალს დარჩა. და გარეთ სასახლე მისის კარმიდამოთი, ბაღი — ესეები დარჩა უთრუთს. მოედანი შუა უნდა გაიყონ.

პეტრეს შვილი ხუცესი ნასყიდს მამულზედ სახლობს, ზაზას აღაპი აძევს; აღაპს ზაზასთვინ გარდიხდიდეს. ერთს მსახურს უთრუთისასაც დაიმწყვდევდეს და უხუცებდეს, სხვარიგათ ზაალის არის; ხუცესი უთრუთსაც უხუცებდეს.

რაც ზაზასაგან ნასყიდი მამულები იყო, უთრუთ იმის ნახევარს ითხოვდა, ზაალ არცარას კი ემართლებოდა. ასე რომ გვექნა, ყველგან რომ გაგვეყო, დაჩლინგვით მოვიდოდა და ვერ მოთავსდებოდნენ. იმ ნასყიდის სანაცვლოთ უკუცხვირიძის მამული სრულობით და პეტრიკევერცხიშვილის მამული, რაც მისი წილი ერგებოდეს თავია[ნ]თის მთით, ბარით, წყლით, წისქვილით,

[1] ბაზიერთხუცესი. [2] მამულის საქმეზედ] მამულსა თემეზედ. [3] ქვახვრელს. [4] ყინცის.

ველით, სახმრით, სათიბით, მისი სამართლიანის სამზღვრით, ზაალს დავადებინეთ და უთრუთს დავანებეთ.

უკუცხვირიძის მიწებში ოხერელნი რომ სახლობენ, იმის მაგიერ ორის დღისა მზერის თავში და სამის დღის მიწა იქავ ზერის გარეშემო ზაალ უთრუთს დანება.

ფრიდონაშვილი ბატონს რომ უთრუთისათვის უბოძებია, ვითაც უთრუთ იმ საქმეში ბევრ რიგათ გასჯილიყო — ტყვე[ე]ბის დახსნით, თუ სხვა რიგათ, ბატონს ამიტომ ებოძა, იმ დღეს თამაზაცა და მიხაკა ბეგლიაშვილი რისაც ყმისა და მამულის მქონებელი ყოფილიყო, იმითი ახლაც უთრუთს დარჩა.

გლეხისა ზემო სწერია და ხოდაბუნი შუა გაიყონ. ზვარი უთრუთისაა, ზაალს ხელი არა აქვს.

ვინც და რამანც ადამის მონათესავემ კაცმან დიდმან ანუ მცირემან ამ მოჩივართ ნება და ჩვენგან გარიგებული განაჩენი მოშალოს, მასამცა რისხავს მამა, ძე და სული წმინდა[1], წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი; და მემრე იყოს ბედნიერის ყეენის ოჯახის ხაინი და ქართველთ ბატონის მოღალატე და ორგული.

ჩვენ, ციციშვილი ზაალ და შვილი ჩემი პაპუნა, ამ გარიგებას ასრე დავჯერებულვართ, ნება დაგვრთავს. და ჩვენ ეს რასაც დრო დაცემით მოვიშალოთ, ბედნიერი ყეენის ოჯახის მესისხლე ვიყოთ და ქართველის ბატონის შემცოდე.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტპჱ, ხელითა მდივანმწიგნობრის თუმანიშვილისითა. [ ] [ ] † † [ ]

[ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ]

[ ] [ ] [ ] [ ]

თავში:

მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ქართველთ ეპისკოპოზ-დარბაისელთ [განჩინება] ჩვენც ესრეთ დაგვიმტკიცებია, არ მოგვიშლია. მაისის კთ. [ ]

ეს ქართველთ[2] ეპისკოპოზთ-დარბაისელთ გარიგებული წიგნი და განჩენილი ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია და არ მოგვიშლია.

[ ]

[1] წმინდანი. [2] ✝-გების.

ჩვენ, მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან ბატონმან ნაზარალიხან... ესე რომ ბიძა-ძენი ორივეს ნებამყოფლობით თავია[ნ]თი მოყვარენი... სხვათ და ამ რიგათ გარიგებულ იყვნენ და ორნი შეჯერებულიყვნენ. ვინათგან აბეელობა (sic) იყო, ჩვენც ესე დაგვიმტკიცებია და ამ გვარათ გვიბძანებია, რომე ნურავინ იქნებიან დამაცილებელი სიგლისა ამისი. უკეთუ ვინმე შლად და შეეცავლებათ ხელჰყოს, სასოებასა შინა კრულ და შეჩვენებულიმც იქნებისა. [ ]

მარცხენა კიდეზე:

ბატონიშვილი ვახტანგ ვამტკიცებ. [ ]

ბატონიშვილი ბაქარ ვამტკიცებ. [ ]

ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან იოვანე, ასრე დავამტკიცეთ. [ ]

ჩვენ, სარდალმან ლუარსაბ, ამ დარბაისელთ გარიგება ასრე ვნახეთ და ჩვენც მოწამენი ვართ და ამ წიგნის მათავებელნი.

[ ]

ჩვენ, ყეენის ყული ელისბარბეგ, ამის დამხდური ვარ.

[ ]

319. განჩინება ერეკლე I-ისა ზაალიშვილებისა და ბოქოულთხუცეს საამის მამულის საქმეზე

1688—1703 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1188. დედანი. ქაღალდი. 25×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. უთარიღო. საბუთი თარიღდება ნაზარალიხანის ქართლში მეფობის წლებით. საბუთის თავში ასეთი მინაწერია: „ბუკღულეთთან რომ ჩვენ სასა...“, რაც საბუთის რესტავრაციამდე ალბათ ზურგზე იყო მიწერილი.

ჭ. ზაალიშვილები იორამ, ქაიხოსრო და როსებ და მათი ძმანი ბოქოულთხუცესს საამსა და შიოშს

შარას ზეით წყაროსა, სასარესა და ცოტას რასმე მიწას ეცილებოდენ — საბუშლულო არისო.

საამ ამისი აშოროო უთხრა: ჩემის ყმის ტბელის აბრამაშვილის მამული არისო და ტყუილადაც მეცილებიო.

ვინათგან ყმის მამულობით ირჩოდა და აშოროც ამას აძლევდა, ჩვენ ფიცი ისრევ საამის ყმას აბრამაშვილებს დავადევით. თუ წადგეს საამის ყმა აბრამაშვილი ორი იმათგან შესახელებულის ტბელის უმტერ-უმოყვაროს კაცით და ასრე იფიცოს, რომე: «ეს წყაროო და ეს ადგილი და ეს სასარე, რომელიც ეფიცოდეს, ჩემი სამკვიდროო მამული იყოს», დარჩეს საამსა. და თუ ვერ იფიცოს, დარჩეს ზაალიშვილებსა.

მოფიცარი ოთხი შეუსახელოს და ორი იშოვნოს და ისე იფიცოს. ბეჭედი: ყეენის ფეჯთა მტუერი ნაზარალიხან ვამტკიცებ.

320. განჩინება ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაურის საქმეზე

1701—1703 წწ.

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 5010ა. პირი. ქაღალდის გრაგნილი. 461×14,3 სმ. დაზიანებული. თავში მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი, ხოლო წინადადების ბოლოს სამწერტილი. უთარიღო. საბუთი თარიღდება ორი განჩინების მიხედვით ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის საქმეზე. (ქართული სამართლის ძეგლები IV, საბუთები №№ 127 და 137). საბუთის თავში შემორჩენილია გადამწერის შემდეგი სიტყვები: ...„[ენ]ახე და მე, ყორღანაშვილმა... იქიდამ გადმოვწერე“. საბუთის ბოლოს კი ნათქვამია: „მე, დავით მუშრიბმა, გადავწერე“. ყორღანაშვილი დავით მუშრიბი საბუთებში 1779—1796 წლებში იხსენიება და ჩვენი საბუთიც ამ წლებში უნდა იყოს გადაწერილი. საბუთის მეორე პირი, უშნოდ ნაწერი, დაცულია იქვე — № 5010ბ.

ქ. ერთ წილათ აზნაურშვილი ბუნიათისშვილი ბუნიათ ერთის შემატებულის კომბლის კაცითა, ამაზედ აძეს ოთანასშვილი ზურაბ, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ქურდევანიძე ფილასონ, ამაზედ აძეს თუშიძე ფარსია და მისი ძმისწულები, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ომანასშვილი ვახუშტი და იოთამ, დღეს რისაც მამულის ჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გულბათ და მისი ძმები ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ გვერ[დ]წითელი გივი და ზაქარია, ალექსიძის იოთამის მამულზედ უნდა მამული გაესინჯოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ალექსიძე იოთამ და მისი ძმისწული, გვერ[დ]წითლის მამულზე თვალი უნდა დაევალოს და ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ გედიაშვილი ლევან შემატებულის მამულით ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ალაიბეგისშვილი გიორგი, ამაზე აძეს აბრამისშვილი დათუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ალექსიძე ხოსია, ამაზე აძეს ჩაკაშვილი თამაზა ორის კომლის შემატებულის შაყულასშვილითა და ივანასშვილითა და ჯაგარასშვილი პაპუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ტერტერასშვილი პაპუა და სიმონ ერგო პაპუნასა.

ქ. ერთ წილათ ფურცელაძე ავთანდილ, ამაზე აძეს ფრანგისშვილი დავით ხუცესი, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ საბანდარი გიორგი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ზაალ წინამძღვრისშვილი და დემეტრე წინამძღვრისშვილი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ჩინჩალაძე ოთარი, ამაზე აძეს წინამძღვრისშვილი ბეჟან, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ჩინჩალაძე დავით, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ წინამძღვრისშვილი გიორგი, ამაზე აძეს დეკანოზი ზენაბ, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ფრანგისშვილი ოთარი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ფრანგისშვილი ნასყიდა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ალექსიძე ავთანდილ, ამაზე აძეს ბედიმწერლისშვილი ნიკოლოზ და გედიასშვილი ავთანდილ, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გედალის მამული სამწყერაძოს გარდა ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ბუღუტაური ედიშერ ერთის შემატებულის მამაგულაშვილითა ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბუღუტაური გივი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. მაღრაძე მამუკა[ს] შვილი იესე და გიორგის შვილი გიორგი ორთ ძმათა შვილები არიან და გასამყრელოთ აიღო ბატონმა და ნახევარი ედიშერს უბოძა ბატონმა და ნახევარი პაპუნას. და ნახევრისათვინ ქურდევანიძე ფილასონ და ფრანგისშვილი ნასყიდა და ერთი გამორჩეული გლეხი აძლია პაპუნამა. და ედიშერ არა დასჯერდა, მამულები უნდა გასინჯონო და რაც ნახევარზედ მაკლდესო, იმისი პასუხიც გამცენო.

ახლა ჩვენ, მდივანბეგმა პა[ა]ტამა და მაღალაშვილმა ნიკოლოზ ასე გავასამართლეთ:

ნახევარში რაც მისცემია, ედიშერ იმას დასჯერდეს და ერთი კომლი კაცი გამორჩეული მისცეს. და მოსაქმე წავიდეს და მამულები გაუსინჯოს და თუ რამ ედიშერს აკლდეს, კიდევ პასუხი გასცეს პაპუნამა. და თუ ვერ გარიგდენ, ორთ ძმათა შვილები არიან მაღრაძეები და შუა უნდა გაყონ — ნახევარი ედიშერს უნდა დანებდეს და ნახევარი პაპუნას.

ქ. საჭირნახულო ასე გავარიგეთ ჩვენ, მდივანბეგმა პა[ა]ტამ და მაღალასშვილმა ნიკოლოზ: ორჰოცდა[ა]თს კუამლს კაცზე ერთი კუამლი კაცი ბატონმა ედიშერს გაუჩინა და უბოძა. მაგრამ ბევრი ჭირნახულობაც ექნა და აჩნდა მამულს. და ჩვენ შვიდის კუამლის კაცის მეტი არ გაუჩინეთ — ერთი კუამლი კარგი სომეხი მძოვრეთს მივეცით; იმას გარდა ექუსი კუამლი კაცი სხვა უნდა მიეცეს ედიშერს გაუყოფელის მამულიდამე. სამი კუამლი დოეს[ს] არი[ს] გაუყოფელი — კირაკოზასშვილები, მურადასშვილები, ტურასშვილები; ექუსი კუამლი კაცი სამწყერაძო არის ხვედურეთს გაუყოფელი. ამ ცხრას კვამლში ექუსი კვამლი ედიშერს საჭირნახულეთ ამოერჩიოს და სხვა შუა უნდა გაიყონ. ერთი ხომ მძოვრეთს მივეცით და ექვსი ეს არის. და ამ შვიდის კვამლის მეტი არ გაუჩინეთ.

თუ ედიშერ საჩივარი დაიწყოს, მოსამართლემ აღარ უნდა აღაპარაკოს.

სამწყერაძო რომ გასაყოფია, ძულიასშვილი შიო, ჯავახასშვილი ბერუკა, კიდევ ჯავახასშვილი ნასყიდა, მოსეშვილი თამაზა, ლაბარისშვილი სეხნია, ძულიასშვილი ბასილა სამწყერაძოს ნაზვრევი, იმას ზეით ნაფუზარი ურწყავი შუა უნდა გაიყონ; ქვევრი, მარანი შუა უნდა გაიყონ; სამწყერაძოს ეკალაური ხოდაბუნი ბორისყურის მრუდი მიწა, ჭალა, სამწყერაძოს მიწა-წყალი — ესეები სულ შუა უნდა გაიყონ პაპუნამა და ედიშერ.

ქ. სამონასტრო რომ გაუყოფარი დაგურჩა[1] წინამძღვრის ნასყიდობა, წინამძღურისაგან გატეხილი ახო, გულანი, წინსაძღომი ჯვარი, მოჭედილი სახარება და რაც წმინდის ნიკოლოზის შეწირული ვერცხლეული არის — ესენი არ გაგვიყვია. და სხუა — სასაფლაო, ყმები, მამული ყველა გავყავით.

ქ. რაც ედიშერის დედის ბატონის ანას ნასყიდი იყოს, იმაზედ ედავებოდენ — სახასოთ არის ნასყიდიო. ამისი ედიშერ აშორო უთხრა და ბატონმა ედიშერის ყმათ ფიცი დაადვა. წადგნენ, ასე დაიფიცეს: «არც საწილო და არც სახასო ბატონს ანას ამაში არა დაეხარჯოს რაო და არცარა მიეცეს». გამოიფიცეს, დარჩა ედიშერს.

ქ. კეხისჯვარზედ შეცილდენ ედიშერ და პაპუნა. ედიშერ ასე უპასუხა: «რა ბიძაჩემი და ნდარის შვილი გაიყარნენო, კეხისჯვარი ამოანისშვილს საუფროსოში გამოჰყვა[ვ]ო, მაშინვე ბიძაჩემ[მ]ა ციცი მ წაართვაო და სახასოთ დაზდვაო».

ბატონმა ამაზედაც ფიცი დაადვა ედიშერს. ჩვენ ასე უთხარით ედიშერს: უფიცრათ შუა გაუყოფთ კეხისჯვარსაო და საზღვრისა ღვთისმშობელი თავის შეწირულობით უწილოთ პაპუნას დაანებეო. და ედიშერ არ შესჯერდა. და თუ ედიშერ თავისი ყმები შეაფიცოს, ხატიცა და კეხისჯვარიცა — ორივ შუა უნდა გაიყონ, და თუ შერიგდენ, ხატი უწილოთ თავისი შეწირულობით პაპუნას დაანებოს და კეხისჯვარი შუა უნდა გაიყონ პაპუნამა და ედიშერ.

[წუნეთს]

ქ. ერთ წილათ წუნეთს გულიასშვილი ბეროა, ამაზე აძეს შემაზასშვილის მამული, რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ადოასშვილი მიქელას მამული, რისაც მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ წუნეთს ნადირასშვილი მუქაფა და ხოსიტა, რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

[1] დაჭურჩა.

ქ. ერთ წილათ წუნეთს ასიტასშვილი თამაზა, მისი ძმა შემაზა ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ წუნეთს ოქტაშვილი მიქელა, ამაზე აძეს კახისშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ წუნეთს ზაქარა, ამაზე აძეს მამუკასშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ წუნეთს ბერიკაშვილი ქიტია, ამაზე აძეს ბარათას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ წუნეთს თამარასშვილი თანდილა, ამაზე აძეს იმის განაყოფი შერმაზანა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ წუნეთს რომანუზას მამული, ამაზე[1] აძეს ღებრისშვილის ნაჭონითა და ადოასშვილის ნაჭონი წისქვილი, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ შავერდასშვილი ნადირა, ამაზე აძეს უმამულოდ გულისადები, ერგო პაპუნას.

[ნიჩბისს]

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს ანდრიასშვილი პაპია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს ხიმშიაშვილი დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს ხოლუაშვილი ბერუკა, ამაზე აძეს გოგიჩაურის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს რიგრიაშვილი ქიტია, ამაზე[1] აძეს ამისი განაყოფი შიოს მამული, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს შიოშასშვილი შიო, ამაზე აძე[1] გოგიას მამული და იმისი განაყოფის სულხანას მამული, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნიჩბისს ხიმშიაშვილი მახარა, ამაზე აძეს დათინას მამული, ერგო პაპუნას.

1 ამაზი.

[დოესს]

ქ. ერთ წილათ დოესს მამალოას მამული, ამაზე აძეს გუნდიაშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ დოესს ყარაჯაშვილის მამული, ამაზე აძეს ტერტერაშვილის ელიზბარას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ თათანაშვილიაქელა, ამაზე[1] აძეს იმისი ძმა ბაინდურა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ თათანასშვილი გოგილა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ტუხტამაშვილი. დათუნა, ამაზე აძეს იმისი განაყოფი ზაალა, ტერტერასშვილი ტერტერა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ებიტაშვილი ზურაბა ნასყიდის მამულით, ამაზე[1] აძეს თუხტამასშვილი შერმაზანა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ავკეთს]

ქ. ერთ წილათ ავკეთს კაპრაშიძის მამული, ამაზე აძეს იისციხეს ოსეფას მამული, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ სადოასშვილის მამული, ამაზე[1] აძეს თავის განაყოფის მამული, რისაც მჭონებლის პატრონი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ავკეთს სხუისაშვილი გოგია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ სხუისაშვილი გარსევან, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[იისციხეს]

ქ. ერთ წილათ იისციხეს იორდანესშვილი პაპუნას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

1 ამაზი.

ჭ. ერთ წილათ იორდანესშვილის დათუნას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ იისციხეს მჭედლიშვილი თამაზა თავის საგანაყოფო მამულითა, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ კიკოასშვილი ოქროა გოგიჩაშვილის მამულითა, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ იისციხეს გეშიასშვილი ქიტია, ამაზე აძეს შალიაშვილის ქიტიას მამული ნონიას კერძითა, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ გეშიაშვილი მახარა, ამაზე[1] აძეს არჩვაძის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ვერეს]

ჭ. ერთ წილათ ვერეს წეროასშვილი ზურაბა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ავკეთს ხიკარიძე თევდორას და ვერეს ებიტაშვილის მამული ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ვერეს ბეჟიაშვილი გიორგი, ამაზედ აძეს ლოცილაშვილი დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ვერეს სულიანაშვილი ივანა, ამაზედ აძეს დავითასშვილი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ვერეს დედანაშვილი თამაზა, ამაზედ აძეს მირზასშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ვერეს ეგნატასშვილი გულია, ამაზედ აძეს გიგაურის მამული, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ვერეს ხეჩიკასშვილის მამული, ერთპირათ ამაზე აძეს მიჩიტასშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ვადიასშვილის ნადირას მამული რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ უენასშვილი სულხანა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

1 ამაზი.

[ატენს]

ჭ. ერთ წილათ ატენს დემეტრასშვილი დემეტრეს მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ გარდატენს ხუცისშვილის პაპუნას შვილები თავისის წილის მამულით ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ხუცისშვილი ხუცის შვილები თავის წილი მამულითა ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ატენს ანდრიაშვილი ნასყიდა თავის განაყოფის მამულის ნახევრითა, ამაზე აძეს მახიტა თავისის ნასყიდითა და ვერეს ნახევრევითა, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ატენს გიორგი, ამაზედ აძეს გარდატენს ზუბიტა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ატენს აბრამისშვილი ოქროა, ამაზე[1] აძეს აბრამიშვილი ელიზბარა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ აბრამისშვილი ტატია, ამაზე აძეს აბრამისშვილი გოდერძა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ბისს]*

ჭ. ერთ წილათ ბის[ს] იმედაშვილი თევდორა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ბის[ს] გოგნიასშვილის მამული ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ბის[ს] აჩაჩასშვილის მამული პა[ა]ტა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ოქროასშვილის ორის დღის მიწით, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ოქროასშვილი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ბის[ს] იმარინდუაშვილი ნასყიდა, ამაზე[1] აძეს იმარინდუაშვილი მახარა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ბის[ს] დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

1 ამაზი.

* ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd 804 საბუთში ნათქვამია: „ღუისკევი, ბისი, თხილნარა, იფნევი — ესეები ერთია, მაგრამ უბანსა და უბანსა ჰქვიან“.

[თხილნარს]

ჭ. ერთ წილათ თხილნარს ივანასშვილი სვიმონა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ თხილნარს დარჩია და თევდორე ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ თხილნარს ახალჩამოსული ოქროასშვილები ორივე განაყოფი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ თხილნარს ზუბიტა და მამუკა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ღუისხევს]

ჭ. ერთ წილათ ღუისხევს ლაგურაშვილი როსება, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ როინაშვილი პაპუნა, ამაზე აძეს მისი განაყოფი გიორგი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ყოზიასშვილი ინდოა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს ბანდიას მამულითა.

ჭ. ერთ წილათ კოვზიასშვილი ბასილა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას ღვინიას მამულითა.

[ქვენაფლას]

ჭ. ერთ წილათ ქვენაფლას ადოასშვილი ნარიმანა თავისი ძმებითა, ამაზე[1] აძეს ივანასშვილის მამული, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს*.

ჭ. ერთ წილათ ქვენაფლას ჰურმანიძე[2] გოგილა, ამაზე აძეს ფეიქრისშვილის მამული — მიწა, წყალი, ბოსტანი, ვენახი; კიდევ აძეს ზუბიტასშვილი ოქრუა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ქვენაფლას წირქნელასშვილის ხუცესი, ამაზე აძეს ფეიქრისშვილის ნახევარი მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[სამწევრისს]

ჭ. ერთ წილათ სამწერის[ს] მაზმისშვილი ბერი და ძამუკა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

---

[1] ამაზი. [2] ქვენაფლას ჰურმანიძე] ჰურმანიძე ქვენაფლას.

* აქ ჩართულია სოფ. სამწევრისის ერთი მეკომური, რომელიც ქვემოთ ჩავიტანეთ.

[ხვედურეთს]

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს ზურის ნახევარი საწნახლისაკენ, საუფროსოს გარდა, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს ნახევარ[ი] ზვარი ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს როინაშვილი ბერი, ამაზე აძეს ხუხუნისშვილი თევდორე, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ვარძელასშვილი გიორგი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს ვარძელასშვილი ბერუკა, ამაზე აძეს სუხიტასშვილი ბერი და ხოსროას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ქობულასშვილი ნასყიდა, ამაზე აძეს უხლუგინასშვილი შოშიტა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ჩაისერასშვილი ასატურა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ჩაისერასშვილი პაპუნა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ბატიყვლიფასშვილი ტატია თავის ნასყიდთა, რისაც მამულის მჭონე ყოფილიყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ჭოჭასშვილი ზუბიტა, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ლაბარისშვილი დათუნა, ამაზე აძეს ქერიჩასშვილი გაბრიელ, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ქერიჩასშვილი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს ჭოჭოასშვილი ზუბიტა, იმისი ძმა ხოსიტა; ამაზე აძეს აღნიასშვილი ნასყიდა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ თათიასშვილი, ამაზე აძეს გზირი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ხვედურეთს ძულიასშვილი ნადირა, ამაზე აძეს ლაბარისშვილი გიორგი დემეტრეს შვილებითა და შოშია, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბუზუზასშვილი შიო, ამაზე აძეს ვარძელასშვილი ვარძელა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ კოზიასშვილი ბაინდურა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გაბრიელისშვილი გაბრიელ, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ხვედურეთს თოთასშვილი გიორგი, ამაზე აძეს ბუზასშვილი ბასილი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ჯგირისშვილი ბეროა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ხვედურეთს ლუკიასშვილი ბერიკა, ამაზე აძეს ჭანგურიძე ადუა და თამაზა, ნახევარი მამული ადუასა და თამაზას გაუყვეს, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გაბრიელ ხუცესი, ამაზე აძეს ივანასა და მახარას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[რუისს]

ქ. ერთ წილათ რუის[ს] მირიანასშვილი დათუნა, ამაზე აძეს პა[ა]ტასშვილი შაროა, გაბრიელისშვილი გაბრიელა, მჩიხაიკვაძე კაკუონა და მისი ძმისწულები, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ დოლენჯისშვილი, ამაზე აძეს თეალათუბნელი გასიტა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[არადეთს]

ქ. ერთ წილათ არადეთს მუჩაიძე შიო, ამაზე აძეს მაზანასშვილი რევაზ, გიორგისშვილი დათუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მუჩაიძე სეხნია, ამაზე აძეს თავისი განაყოფი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[აფნიასს]

ქ. ერთ წილათ აფნიასს ფოცხვერასშვილი ზუბიტა, ამაზე აძეს ქარელში გონგლიაშვილი ნასყიდა, ბიძინასშვილი თამაზა, მისი განაყოფი ბერა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყვნენ, ერგო ედიშერს.

[ქარელში]

ქ. ერთ წილათ ქარელში ლალომასშვილი იორდანე, ამაზე აძეს მისი განაყოფი ბერი, პაპუნასშვილი ამირა, პარუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ლეთეს]

ქ. ერთ წილათ ლეთეს სხვიასშვილი პა[ა]ტა იმისი სახლისკაცითა, ამაზე აძეს ნინიასშვილი პაპუნა, ტატობა და ფილიპიძე შოშიტა თავისი შვილებითა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბეროასშვილი ბერიკა, ამაზე აძეს მემარნისშვილი პაპუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[კეხისჯვარს]

ქ. ერთ წილათ კეხისჯვარს პოღოზასშვილი ამირა, ამაზე აძეს სამწერის[ს] ღთისიასშვილი თამაზა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ კეხისჯვარს პოღოზასშვილი პოღოზა, ამაზე აძეს მონასტერს ციცის ეკუდარი, რისაც[1] მჭონებელნი იყუნენ, ერგო პაპუნას.

[სანებელს]

ქ. ერთ წილათ სანებელს ორივ ელიკასშვილები, დღეს რისაც მამულის მჭონებელნი იყუნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გოგიტასშვილები, რისაც მჭონებელნი იყუნენ, ერგო პაპუნას.

---

1 ვისაც.

ქ. ერთ წილათ ნახევარ-ზვარი საუფროსოს გარდაისად, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნახევარ-ზვარი ერგო პაპუნას.

[დაღარულაში]

ქ. ერთ წილათ დაღარულაში კოშკი და წისქვილი სანებლის[ს] საწნახლების ფარდათ ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ საწნახლები დაღარულას კოშკისა და წისქვილის ფარდათ ერგო პაპუნას.

[ქორაზნას]

ქ. ერთ წილათ ქორაზნას მანველისშვილი ივანე, ამაზე აძეს მუხურლიშვილი თავისი მამულითა, რისაც მჭონებელნი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ახუბაძე პაპუნა, ამაზე აძეს ახალკაცი გიორგი, რისაც მჭონებელნი იყვნენ, ერგო პაპუნას.

[იმერხევს]

ქ. ერთ წილათ იმერხევს მაცხონასშვილი დარჩია, ამაზე აძეს საგინასშვილი ნავრუზა, ინდუასშვილი დათუნა და ბეჟია, რისაც მამულის პატრონი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ინდოასშვილი თამაზა, ამაზე აძეს კახისშვილი პაპუნა, საგინასშვილი გოგია, დღეს რისაც მამულის პატრონნი იყუნენ, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ იმერხევს[1] ნადირასშვილი შოშიტა, დღეს რისაც მჭონებელი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნადირასშვილი თევდორა, ამაზე აძეს კალულთ საგინასშვილი საგინა, რისაც მჭონებელნი იყვნენ, ერგო პაპუნას.

[ძამის მონასტერს]

ქ. ერთ წილათ ძამი[ს] მონასტერს ხუციასშვილი ზუბიტა, ამაზე აძეს თანდილასშვილი გოგია, ხუციასშვილი ოსიყმას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნასყიდაშვილი საზვიტა, ამაზე აძეს სოსებასშვილი დარჩიადანასყიდასშვილი სეხნია, რისაც მჭონებელნი იყვნენ, ერგო პაპუნას.

[მძოვრეთს]

ქ. მძოვრეთს სასახლის წისქვილი და დავითაშვილის კარზე ანბარი საუმცროსოზე დაუდევით და ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ სუქანათუბანს მახარასშვილი სალუაზარ, ამაზე აძეს ლომიტაშვილი თევდორა, რისაც მამულის მჭონებელნი იყვნენ ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მახარასშვილის სისაური, ამაზე აძეს ლომიტასშვილი ბერუკა, რისაც მამულის მჭონებელნი იყვნენ, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ოსთუბანს მოსეშვილი თამაზა და გიორგი ორის წილის მამულით, ამაზე აძეს უმცროსა, რისაც მჭონებელნი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მოსეშვილი დათუნა და იმისი შვილები, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მძოვრეთს ყანდურალასშვილი ბეროა და ლუსოასშვილი პაპუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ წამალასშვილი ზურაბა, პაპასშვილი მამულა, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ჰაროასშვილის სახლკარი პაპუნამ და ედიშერ შუა გაიყონ.

ქ. ერთ წილათ იჩქითიძე პაპუნა, ამაზე აძეს ალიხანას მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მეწისქვილე შიო, ამაზე აძეს ზუბასშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მექვაბისშვილი შერმაზანა და თემურასშვილები ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ნალბანდი მურადა და სარაჯის ნასახლევი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ გოზალასშვილი ზურაბა ყანდურალასშვილის სახლკარითა ერგო ედიშერს.

1 იმარხებს.

ქ. ერთ წილათ ბაჟოასშვილი ელიზბარა თავისი მამულითა ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მძოვრეთს ძამუაშვილი მამუკა, მისი ძმისწული გიორგი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ საქინასშვილი პაპუა, ამაზე აძეს ზეინკლიშვილი გოდერძა, ლუსიაშვილი ესტატე, ლულას მამული — ესენი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ფარუხასშვილი დალაჭი პაპუნა, ამაზე აძეს იმისი განაყოფი ყანდია, შაქარასშვილი არაქელა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მაჩხიასშვილი სარჭისა, ამაზე აძეს პატარა დალაჭი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ფაფერასშვილი ბერი, ამაზე აძეს საფარასშვილი პაპუა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ საფარასშვილი გასპარა, მეკურტნისშვილი ბერი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ იეღოასშვილი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ იეღოაშვილი ზურაბა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. მიეცა მოსამართლეთაგან ედიშერს საჭირნახულეთ მძოვრეთს მღებრისშვილი გოდერძა, რისაც მჭონებელი იყოს და ექვსი კომლი[1] კიდევ უნდა მიეცეს იმ გაუყოფელიდამე, ზემო[თ] რომ დაგვიწერია. მამუკა კერვალი გასაყოფია.

ქ. ერთ წილათ ხოჯა, ამაზე აძეს ჭარუაშვილი ბეგლარა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ პაპნა, ამაზე აძეს ჭარუასშვილი მირველა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ჯავახისშვილი ვაძია, ამაზე აძეს ბუზულა, მამუკა ზაქარას ნასახლარით ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბეგლარა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მძოვრეთს გზირისშვილი გოდერძა, ამაზე აძეს პაპალა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

[1] კომბლი.

ქ. ერთ წილათ გზირისშვილი საზვერელი, ამაზე აძეს ზაქარასშვილი ზურაბა თავისის მამულით, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მძოვრეთს ურია ყობიაშვილი აბრამა თავისი მამულით ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ყობიაშვილი დათუნა თავის მამულით ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მათვალასშვილი მარდახი, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მ[ა]თვალასშვილი ხანანა რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ თათრისშვილი შაფათა თავისი ძმებითა ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ სომეხი კიკოაშვილი როსტომა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ შიმშონაშვილი იოსებ, ამაზე აძეს ისრაელაშვილი ბატუკა ისრაელას წილი სახლკარით, ვენახი და მიწა-წყალი გასაყოფია, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ შიმშონაშვილი დანელა, ამაზე აძეს ბოჭოულაშვილი ბერი, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ დავითასშვილი[1] ისხაკი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ყობიშვილი იოსებ, ოქაშვილი მარდახა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ჩიტაშვილი გოგია, ამაზე აძეს თავისი ძმა იაყოფ და ჩიტილაშვილი იოსებ, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბინანაშვილი შალომა რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ პაპუნასშვილი შალომა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ფუტა მათვალა, ამაზე აძეს ჩიტილაშვილი დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[1] დავითასშვილის.

[ტაბიკაურაში]

ქ. ტაბიკაურაში გაუყოფარი მიწა რომ არის — ქვევით კახისშვილის მიდგმამდი პირდაპირ ძამამდინ — ნახევარი ედიშერს და ნახევარი პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ტაბიკაურაში პაატა ურია, ამაზე აძეს ტაბიკაურაში რომ ორი ერისთვის ურიაᲘ იდგა, ის ორი სახლკარი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ცეცელაშვილი მოშა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მოძღვარი სულიერ, ამაზე აძეს ყვავილა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მოძ[ღ]ვარი ისხატი რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ფიჩხაძე კაკა, ამაზე აძეს ც[რ]ცვიაშვილი დავითა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ცერცვიაშვილი აბრამა, ხეკანაშვილი აბრამა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ წიწუასშვილი იოსებ თავისი შვილებით, ამაზე აძეს პატარა მკერვალი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ წიწო[ა]სშვილი ბათია, ამაზე აძეს მეხრისშვილი ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[უელეთს]

ქ. ერთ წილათ უელეთს ლომიტაშვილი ხუცესი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

[გვეძინეთს]

ქ. ერთ წილათ გვეძინეთს სისაური დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ გვეძინეთს გასიტაშვილი ბერი, ამაზე აძეს მჭედლიშვილი გელია, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

1 + რომ.

ქ. ერთ წილათ მჭედლიშვილი თევდორა, მისი განაყოფი ბეცია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ სისაური ბიძინა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გვეძინეთს შოშიტაშვილი პაპია, ამაზე აძეს სისაური მამუკა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ჭულუაშვილი გიორგი, მისი ძმები; ამაზე აძეს სულიას მამული, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გელიასშვილი კაკონა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ გვეძინეთს მარჭველი სეხნია, ამაზე აძეს ნინასშვილი დათუნა, რისაც მამულის მჭონებელია, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ქიმაძე გიორგის მამული, ამაზე აძეს ნინასშვილი გოჩია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ლოლაძე სეხნია, ამაზე აძეს ღომღაძე ბერი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ღომღაძე მახარა, ამაზე აძეს ლოლაძე ქუმსია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[კოდმანს]

ქ. ერთ წილათ კოდმანს კირიკასშვილი შოშია, ამაზე აძეს თიულიშვილი ბერი, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გოდიაშვილი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[მაწლეთს]

ქ. ერთ წილათ მაწლეთს მამუკასშვილი პაპუნა, ამაზე აძეს საბიაშვილი თევდორა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მამუკაშვილი ბერი რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ მედიაშვილი გიო, ამაზე აძეს ვიგ-

რიასშვილი ბერუკა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ შავშიაშვილი ბერი, კაკველიძე პაატა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ბედიაშვილი ბეჟუა, ამაზე აძეს სასონაშვილი მახარა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ კაკველიძე თედია, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ბოსლეთს]

ჭ. ერთ წილათ ბოსლეთს პაატა და შოშია, ამაზე აძეს წრომს ხოლოაშვილი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ მამუკაშვილი გიორგი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ბოსლეთს გოგინაშვილი ხოხონა და ხოსიტა, ამაზე აძეს სონღულას მამული, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ გოგინაშვილი სუხია და ოთარა რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[წრომს]

ჭ. ერთ წილათ წრომს ქლიმაძე პაპუნა, ამაზე აძეს გოგინაშვილი კაცია, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ მეხრისშვილი ბიძინა, ამაზე აძეს შატკერაშვილის დათუნას მამული[1], ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ წრომს ქლიმაძე პაპუნა, ამაზე აძეს გოგინაშვილი კაცია, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

1 მამულით.

ჭ. ერთ წილათ ჯავახი ზაქარა, ამაზე აძეს შიოსშვილი ზაქარა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ პოროქაშვილი თავისი განაყოფის ნახევარ-მამულით ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ მჭედლიშვილი ივანა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[მიწობს]

ჭ. ერთ წილათ მიწობს ძამანაშვილი შოშია, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ბედრიაშვილი იოვანე, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ გაბიოშვილი ბერი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ლალაშვილი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ მიწობს ტურაშვილი ზუბიტა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ ვეფხაძე შალუტა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ჭ. ერთ წილათ ჭანიშვილის მამული, რისაც მჭონე იყოს, ერგო ედიშერს.

ჭ. ერთ წილათ მუქათაბიძე დათუნა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[მაწნეთს]

ჭ. ერთ წილათ მაწნეთს სასონაშვილი ხუციასა და აყრილი ჭეჭელასშვილი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[თაგუეთს]

ჭ. ერთ წილათ თაგუეთს კონიაშვილი დათუნა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს*.

ჭ. ერთ წილათ თაგოეთს ტეტიასშვილი ბერი ამაზე აძეს ტეტიასშვილი იოვანე, ობლიძე ალექსა, დღეს რისაც მამულის მჭონე იყვნენ, ერგო ედიშერს.

* აქ ჩართულია სოფ. მაწნეთის მეკომური, რომელიც ზემოთ ავიტანეთ.

ქ. ერთ წილათ კტანიაშვილი შერმაზანა, ამაზე აძეს ობლიძე პაპუნას შვილები, ტეტისშვილი ბერუკა, რისაც მამულის მჭონე იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ აფთარაშვილი გელია, რისაც მამულის მჭონე იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ობლიძე გიორგი და ლომი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე გიორგი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე მამუკა, რისაც მჭონე იყოს, ერგო პაპუნას.

[დბონას]

ქ. ერთ წილათ დბონას მაზმანი ბადია, ამაზე აძეს ობლიძე შოშია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე გიორგი, ამაზე აძეს მაზმანი პაპუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ყინცვისს]

ქ. ერთ წილათ ყინცვისის[1] მონასტერს ხუციშვილი ბასილა თავისი ძმისწულით, ნახევარ-მამულით; ამაზე აძეს [მ] ჭედელი მახარა ნახევარ-საგანაყოფოთი, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ხუციშვილი ნახევარ მამულითა ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ყინცვისს უთნიაშვილი ბერი, ამაზე აძეს კრობანს[2] თოთაშვილის მამული, რისაც კრობანს მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ კრობა[ნ]ს ლოლიაშვილი დომელა და ყინცვისს კაკაშვილი კაკილა, რისაც მჭონები იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ზურაბაშვილი თამაზა, ამაზე აძეს აგარას მურადას მამული, რისაც მჭონებელი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ზურაბაშვილი შოშიტა, ამაზე აძეს

[1] ყინცისვის. [2] კარბანს.

მთავარეფისკოპოზის[1] ნასყიდი ძულა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ზურაბაშვილი ნიკოლოზ და გოგია, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ერგო ედიშერს*.

ქ. ერთ წილათ ყინცვის[ს] გოიკა, ამაზე აძეს ღვიძლი მწვარაშვილი სვეტიცხოვლისაა, მეოთხედი ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ადომა ერგო პაპუნას.

ქ. ყინცვის[ს] წმინდის ნიკოლოზის მარანი, ნამარნალი, ქვევრები ორის მარნისა შუა გაიყონ, ჰანდრისკენ ერგო ედიშერს.

ქ. მთავარეფისკოპოზის ნასყიდი ზვარი დეკანოზისაკენ ნახევარი ედიშერს და ნახევარი პაპუნას.

ქ. ყინცვის[ს] ვარსიმასშვილის სახლკარის ნახევარი კანდელაკისშვილის მიდგმადი ედიშერ და პაპუნამ შუა გაიყონ.

[აგარას]

ქ. ერთ წილათ აგარას ბარჩოყაზასშვილი ნასყიდა, თავისი განაყოფი ბერას ნახევარ[ი] მამულით, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბარჩოყაზაშვილი ბერი ნახევარი საგანაყოფო მამულით ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ აგარას დაბრუნდაშვილი ივანა, ზაზასშვილის მამული ამას უნდა დაედვას, ამაზე აძეს მწვარიაშვილი ბერი, მთავარეფისკოპოზის ნასყიდითა, რისაც მამულის მჭონებელნი იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ თათანაშვილი გიორგი, ამაზე აძეს ზაზაშვილი ქიტია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

[ჭალისუბანს]

ქ. ერთ წილათ ჭალისუბანს ნიკოლოზი, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ჭალისუბანს გოგილას და კაკონას მამული, ნახევარი გამოჰყოლია ნოდარი[ს] შვილებისაგან, და ეს ნახევარი პაპუნამ და ედიშერ შუა უნდა გაიყონ.

[1] მთავარეფისკაპოზის.

* აქ ჩართული არიან აგარისა და ჭალისუბნის სოფლების მეკომურნი, რომლებიც ქვემოთ ჩავიტანეთ.

ქ. ჭალისუბანს გელტუჩას ნაქონი ხატის ნაზერევი, ნივგზნარი, სახლკარი, ჭალა ნახევარი ედიშერს და ნახევარი პაპუნას.

[თვალათუბანს]

ქ. ერთ წილათ თვალათუბანს ივანასშვილი ბერი, ამაზე[1] აძეს ურემას ნახევარი მამული, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ მჩხიკვაძე ქიტია, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ თვალათუბანს გოგინაშვილი მამუკა, ამაზე აძეს გოგინაშვილი დათა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბებუთასშვილი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ [მ]ჰედლიშვილი მახუტა, ამაზე აძეს ხუტუნასშვილი დიაკონი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ შერმაზანა ხუცესი ხუტუნასშვილი, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ თვალათუბანს გოგინაშვილი გოგია, ამაზე აძეს თანდილა გულისაშვილის მამული და წისქვილი, რისაც მჭონებელიც იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ხუცისშვილი ბერი რისაც მჭონებელი იყოს ერგო პაპუნას.

[რეხას]

ქ. ერთ წილათ რეხას[2] ხახუჩაშვილი ტატია, რისაც მამულის მჭონებელი იყუნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ რეხას მედია უზანას ნასახლარითა და მამულითა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბარჩოკაშვილი თამაზა, რისაც მამულის მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ზითანასშვილი ბერუკა, ამაზე აძეს ვეშპიძე დათუნა და ზითანაშვილი დათუნა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

1 ამაზე. 2 რეხარს.

ქ. ერთ წილათ მეჯოგე ნადირა, რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ რეხას ლუკაშვილი ივანა, ამაზე აძეს სხალაძე ბადრია, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ლუკასშვილი შოშიტა და თათრი ბერია ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ კამსაძე თანდილა, ამაზე აძეს მაწონაძე გელია, რისაც მჭონი იყოს, ერგო ედიშერს.

[საპონაურში]

ქ. ერთ წილათ საპონაურში მახარასშვილი რისაც მჭონებელი იყოს, ერგო პაპუნას*.

ქ. ერთ წილათ საპონაურში ახალმოსული გოგილაშვილის სახლკარში რომ არის, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ საპონაურში გოდერძასშვილი გულისადები, რისაც მამულის მჭონე იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ გოდერძასშვილი ღონენა, რისაც მჭონებელი იყოს ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ საპონაურში ყოინიძე გოდერძა, ამაზე აძეს რეხას გულისადები და თამაზას სახლკარი, მიწა-წყალი, რისაც მამულის მჭონებელნი იყუნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ოქრუასშვილი ზაზუტა და თამაზა, რისაც მჭონე იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ საპონაურში ამირას სახლკარი, მიწა-წყალი, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ კისერა ივანას სახლკარი, მიწა-წყალი ერგო პაპუნას.

ქ. ნახევარი კილიკიჯვარი, ნახევარი სახორცე, ნახევარი ლიპები პაპუნამ და ედიშერ შუა უნდა გაიყონ; და ნახევარი ნადარი[ს] შვილებისა არის.

მინაწერი:

ქ. ეს თომარი მე, დავით მუშრიბმა, გადავწერე. ამისი ასლი ვნახე, ისიც ასე იყო დაწერილი. და ფარდის გადაბმულები დიდის ბეჭდით დაბეჭდილი იყო.

* ეს მეკომური ჩართულია სოფ. რეხას მეკომურთა ნუსხაში ტატია ხახუჩაშვილის შემდეგ.

321. განჩინება ედიშერ და პაპუნა ციციშვილების მამულის საქმეზე

1702 წ. ახლო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1046. დედანი. ქაღალდი. 21,6×19 სმ. დაზიანებული. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. (შდრ. ქართული სამართლის ძეგლები", IV, № 127).

ქ. სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმის[წული]ს ზაზას შვილი უთრუთ ზემო ციციშვილსა და პა[პ]უნასა და ედიშერს მაღრაძეს იასეს და მის ბიძაშვილს გიორგისა და სამწყერაძოს მამულს — ამ[ა]ებს შე[ე]ცილ-[ნენ]. ამაზედ ფიცი პაპუნამ და ედიშერ იშოვნეს. ფიც[ს] რომე [ატა?]რებდენ, მოსაქმემ და შუაკაცმან ფიცი აღარ მოახდი[ნეს] და ერთმანერთს ამგვარად შეჯერდენ, რომე.

მაღრაძე და სამწყერაძო მამული, ისევ პაპუნასა და ედიშერს და[ა]ნებეს და იმათ თავეთის წილის მამულიდამ ნიჩბის[ს] დაუდევს ზა[ა]ლსა და უთრუთს: მახარა ხიმშიაშვილი, შიო და ივანე, ოხერას დემეტრაშვილის მამული სახასოს [მ]ამულიდამ სამის დღის მიწა.

კიდე ედიშერს წილიდამ ნიჩბი[ს] შიოშაშვილი შიო და სეხნია შემატებულის მიწითა, ერთი საკომლო გოგიჩაური, ერთი დღე და ღამე წყლისდენა. ესენი თავის მიწა-წყლით და მამულით პაპუნამ და ედიშერ დაუდევს და ზა[ა]ლსა და უთრუთს დარჩა.

ახლა ამ მოცემულის მამულის გაყოფა მოინდომეს. ზა[ა]ლსა და უთრუთს გაუყავით. მიხდა უთრუთს ნიჩბის[ს]: შიოშაშვილი შიო, ბეჟუა და ბერი, გოგიჩაური საკომლო და იმათგანვე მოცემული ერთი დღე-ღამე წყალი, დღეს რისაც მამულის მჭონებელნი იყ[უ]ნენ.

აგრევე ზა[ა]ლს ერგო ნიჩბის[ს]: ხიმშიაშვილი მაჯარა და შიო, მისის ძმისწულით, ოჯერას დემეტრაშვილის მამული და იმათგან მოცემული ჯოდაბუნიდამ[1] სამის დღის მიწა — ესენი დღეს რისაც მამულის მჭონებელნი იყ[უ]ნენ, იმით ზაალს ერგო.

ქრთამი და სამდივანბეგო ორი წილი უთრუთს გაუღებინეთ და მესამედი ზა[ა]ლს.

ბეჭედი: გივი მდივანი.

[1] + მოცემული.

322. განჩინება წაღელეთა და ტკოცელთა მამულის საქმეზე

1704—1709 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3992. დედანი. ქაღალდი. 20,8×19,7 სმ. დაზიანებული. ბოლო აკლია. ტექსტი აქა-იქ გადასულია. უშნო მხედრულით ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტ-ნაკლები.

ქ. ამას წინათ წაღლელნი და ტკოცელნი ჭალას მიწებ[ზედ] შეცილებულიყვნენ. მოსულიყვნენ, მეფეს გიორგისთან ეჩივლათ. ბატონს გოგია ყორღანაშვილი გამოეგ[ზავნა]. მოსულიყო გოგია, უფიცრათ გაერიგებინა და ერთმანეთს შესჯერებულიყვნენ. ჭალის მიწები წაღლელთათვის დაენებებინა. გვერდა და ტყე და ზეით ვაკე ტკოცელთათვის დაენებებინა და ასე გაერიგებინა.

მერე კიდევე წასდაებოდენ[1] წაღლელები, კიდევე ბატონთან ეჩივლათ, გოგია მოეკითხათ, გოგია არ ყოფილიყო. მერმე მისი ძმა ბეჟან გამოეგზავნათ. მოსულიყო ბეჟან ყორღანაშვილი და წაღლელები უცოდინობით ბეჟანს დაეფიცებინა.

მერმე კიდევე ტკოცელებს და რიკაძეს მეფეს გიორგისთან ეჩივლათ. მერე კიდევე გოგია გამოეგზანათ; ასე ებძანებინათ: როგორც მაშინ გაერიგებინოსო, [ისე]ვე გაარიგეო. ბეჟან ბატონს კიდეც დაეტუქსა. მოსულიყო გოგია. როგორათაც უწინ ხელმწიფის ბრძანებით [გაე]რიგებინა, კიდევე ისრე გაერიგებინა.

მასუკან წაღლელთ ასევე მაღლამდინ ხ[ვ]ნა დაეწყოთ, ერთი ვენახიც მოეხნათ.

[მას]უკან რიკაძე[ე]ბს შა[ჰ]ყულიხანთან ეჩივლათ. შა[ჰ]-ყულიხანს მართლის შესატყობლათ და გასასინჯავათ იბაშერს ისევე გოგია გამოეგზავნა. გოგია ვეღარა წამოსულ[იყო], იბაშერ[ს] ენახა ამავ(?) და ორისავ საჩივარი [შაჰ]ყულიხანისთვის მოეხსენებინა.

მერმე ბატონი ქვეით [წაბ]ძანებულიყო, საქმე გაურიგებელი დარჩომილიყო. მ[ოსულ]იყუნენ რიკაძე[ე]ბი, კიდევე ბატონს შა[ჰ]-ყულიხანთან, ეჩივ[ლათ]. ბატონს კიდევე იბაშერ გამოეგზავნა, გოგია თან გაეტანებინა, ასე ებძანა: გ[ოგ]ია წაიყ[უ]ანეო, როგორც [ბატონს] ბიძაჭემს მაშინ გაერიგებინოს, შენ იცი, ახლაც [ისე გ]აარიგეთ[ო].

[1] წაზდებოდენ.

მოვედით ჩვენ, ბოქოულუხუცესი [ჯამასპი(?) და რარ]იგათაც მ[აში]ნ გოგიას გაერიგებინა, [ახლაც ისე] გავარიგეთ. მა[შინ ჭალის მიწები წალლელთათვის დაენებებინა] და წალლელებს მიეეც და სამნები ჩაუსხით. სამნე[ბს] ქვეით — [წალლ]ელ[თ]; სამნებს ზეით, — ანსვიდს(?) და სეფნიაურის მიწას გარდა, — ტკოცელთ.

ასე გავარიგეთ ბატონის ვახტანგის ბძანებით.

323. განჩინება ჯანდიერიშვილებისა და ვაჩნაძიანთ მამულის საქმეზე

1711 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 473. დედანი. ქაღალდი. 14×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. მეორე განჩინება ამავე საქმეზე იხ. ქართ. სამართ. ძეგ. IV, № 51.

ქ. ჯანდიერიშვილებისა და ვაჩნ[ა]ძეთ და აკურელთ მთის საქმე ასე დარჩა: შემოდგომაზედ მდივანი გორჯასპი დ[ა] მ[ა]ყა ბოქოულთუხუცესი უნდა მოვიდენ და სამართლიანის საქმით მთაც უნდა გაურიგონ და შეარიგონ.

ოთხი ბეჭედი:

1. ალავერდელი ნიკოლოზ
2. მონა მხთისა მოურავი რევაზ
3. მონა ღთისა მოურავი მერაბ
4. ქ. მონა ღთისა სახლთხუცესი ედიშერ.

324. წიგნი დომენტი IV-ისა არჩილ მეფისადმი მაღალაშვილებისათვის სამართლის მიცემის შესახებ

1789—1741 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1797. დედანი. ქაღალდი. 21×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის, შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება ქართლის მეფის არჩილ II-ის (აბდულა-ბეგისა) და დომენტი IV-ის ზეობის უკანასკნელი წლებით.

ქ. შენი ჭირი შეეყაროს ბიძა თქვენს საქართველოს პატრიაქს დომენტის, ჩემო სანუგეშოდ სახედველო და ორისავე თვალის ნათელო ძმისწულო მეფე ბატონო არჩილ*.

მერმე ამას მოგახსენებ. დემეტრე მაღალაშვილი და

* „არჩილ“ დაწერილია საბუთის ზემო კიდეზე, ხოლო აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი სახელის ჩასაწერად.

ზაზა[1] გომის მოურაობაზედ ლაპარაკობენ და თქვენთვის გვიახლებია. ამათი სამართალი თქვენ უბძანეთ და წიგნებიც გაუსინჯეთ. ვისიც სამკვიდრო იყოს და ან ძველი და ახალი წიგნები ქონდეს, იმას უბოძეთ.

ვისაც ახლა ჩვენი წიგნები ქონდეს, სამართლამდინ ბათილი არის. და ახლა ვისაც დარჩება, ჩვენც ხელახლა წიგნს უბოძებთ. და ვისიც ყოფილიყოს, თქვენც წიგნი უბოძეთ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

325. განჩინება ალექსანდრე მეფისა და დადიანისა წერეთლების გაყრის საქმეზე

1720—1738 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2161. დედანი. ქაღალდი. 44,8×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი ან ექვსი წერტილი ვერტიკალური გამყოფი ხაზით (.˙./.˙.) უთარიღო. საბუთი თარიღდება ალექსანდრე მეფის ბეჭდის მიხედვით.

ქ. წერეთლები გაჰყო ბატონმა მეფემ და დადიანმა.

ერგო პაპუნასა და მამუკა წერეთელს აზნოურისშვილი: სამნი ძმანი ფაციასშვილები, გიორგი კურცხალია, კაკა მაჭავარიანი, ფირან კურცხალია, შიოშ მაჭავარიანი, ხახუტა მაჭავარიანი, ბერი მაჭავარიანი, ფირან მაჭავარიანი, მამუკა მაჭავარიანი, ესტატე უზნაძე, პაატა ესტატეშვილი, ამოანისშვილი, გიორგი თოდაძის შვილები — სამი ძმანი, კაცია გომართელი მისის გლეხით, სეხნია გომართელი მისის ალაგ-მამულით, ბერი ოქრომჭედლისშვილი მისის მამულით[2].

ამას გარეთ გლეხი: ლაზარე მაჭარაშვილი, ზახაშვილი, ფოფხაძე, გოჩოშვილი, მაჭარაშვილი სეხნია, ბაციაშვილი, აბრამაშვილი, ძაღლუა კვიჟინაძე, ტურია, მგულია, ხელოსანი გოგოლაძე, დათუნი შათირისშვილი, ჩაბაშვილი, გიორგი შავაძე, მახარაშვილი, ბეთიაშვილის პარტახი

1 ზაზაილა. 2 + უესე?

დაგვიც, დათუნიკი შამანაძე, მამუკი შამანაძე, დავით დეკანოზიძე, ქრისტესია, მამუკი წიგნაძე, თამაზი ვეშაპიძე და მისი ძმა, სეხნია ფხალაძე, მჭელიძე[ე]ბი, ბარლი ფხალაძე, ზედა ბუღაძე, თედორა ბუღაძე, კაცია თოდაძის შვილები* მისის მამულით, შიოშ კაპანაძე**, ოთია კიპაროიძე, შოშიკი შამანაძე, სათავად პაპა ხუცესი დაგვიც, გიორგი ვეშაპიძე, ხუცესი ქრისტესია სათავად დაგვიც, ზაქუტი ქველაძე, გიორგი ბაცია, კურანი და სათავად გამიცი პარტახი დამიც, შათირისშვილი კაცია, დათუა კვინიკაძე, ზახუტა დეკანოზიძე და მისი ძმა, კაცია თოდაძის შვილები*, შუკაძე მისის პარტახებით, მაჭარაშვილისეული პარტახი, თედორასეული პარტახი, ყობია შარელაშვილი, ივანე ყიფიანი, პატიკი ზაბახიძე მისის მამულით, გოგია თოდაძე, გოგალაძის პარტახი, ბერიკალის სახლი, სეხნია და ბერი შავგიორგს ჟღენტის პარტახი დაგვიც, დათუნა გაბრიჭიძე, ცისკარაძის პარტახი დაგვიც, დალაქი მაჭარაშვილი, განგებლასეული პარტახი დაგვიც, მათვალი კვიჟინაძე, კაცია ნადირაძე, ბოჭორიშვილისეული პარტახი, ძაღლუკი ზაბახიძე, ხიეტასშვილის ცოლ-შვილი მისის მამულით, ნინიკი გძელისშვილი, ხახუტი შათირისშვილი, — ესენი პაპუნა წერეთელს და მამუკას ერგო.

ორი ბეჭედი:

1. ღთით ვიქმენ მეფედ მე მონა სახელად ალექსანდრე
2. ქ. დადიანი...

326. გარდაწყვეტილობის წიგნი ავალიშვილებისა წერეთლებისადმი

1752 წ. 1 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7258. დედანი. ქაღალდი. 25×23,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ესე გარდაწყვეტილობის[1] წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, ავალისშვილმან სვიმონ, დავით და ჩვენმა სახლისკაცებმა, შენ, ბერი წერეთლის შვილებს: ოქროპირს, გიორგის და პა[პ]ატას და იესეს შვილებს.

ასე, რომე ქ[ა]ლის საქმეზედ ვდ[ა]ობდით. და მოვედით ბატონს აბაშიძეს ზა[ა]ლთ[ა]ნ, ვილაპ[ა]რ[ა]კეთ და [ი]მისი ბძანებით გავრიგდით. და ჩვენი თუ რ[ა]მა საუპ[ა]ტიო დაგედვა, მოგვაბარე, და გარდ[ა]გვიწყვიტე.

დღეს და დღეის იქით ჩვენ შენთან ძმობისა და მოყვრობის მეტი საქმე არა [გვ]ქონდეს და არცარა დარჩომილა რა შენზე ჩვენი სადეო, ამ ნივსაძის ქალის სადეო.

არის ამისი მოწმე: ავალისშვილი დათუჩა, ჩინჩალაძე სვიმონ, ჯაშ[ა]სშვილი ბუჭუა, ქ[ა]რთველისშვილი დავით, გრიგალასშვილი მამასახლისი გიორგი.

მე, მდივნისშვილს ზურაბს, დამიწერია და მოწამეც ვარ. მ[ა]ისის ა, ჭორონიკონს ϖმ. + + +

მარცხენა კიდეზე:

ქ. არის ამისი დამსწრული და მოწმე მურვანისშვილი მურვან. მურვან

ზურგზე: „ქ. ავალიშვილის გადაწყვეტილობისა“.

327. მორიგების წიგნი ოქროპირ წერეთლისა სვიმონ წერეთლისადმი

1761 წ. 19 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1276. დედანი. ქაღალდი. 33,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე საბოლოოთ გასათავებელი მტკიცე, შეუცვალებელი და არას კაცთაგან არ მოსაშალი წიგნი და საფიცარი მოგეცით ჩვენ, ბერის წერეთლის შვილმა ოქროპირ და ჩემ[მ]ა ძმისწულებმა — იესეს შვილებმა და პაატას შვილმა ბუჭუამ, დავით, სვიმონ, ქაიხოსრომ და ბეჟან, თქვენ, წერეთელს მღვდელს სვიმონს და თქვენს ძმას გიორგის და თამაზას.

ასე, რომ თქვენი მოჯალაბის დაყიდვა გვიჩივლეთ და იმ მოჯა-

[1] გარდაწყვეტულობის.

* „კაცია თოდაძის შვილები“ საბუთში ორჯერ სწერია.

** აქ გადამწერს შეცდომით დაუწერია: „ჯორვილას მაჭარაშვილი სეული პარტახი“. შემდეგ პირველი ორი სიტყვისთვის ხაზი გადაუსვია, რადგან „მაჭარაშვილისეული პარტახი“ ქვემოთაც დაუწერია.

ლაბის დაყიდვით თქვენი წახდენა, აყრა და თითო-თითოთ, სადა გინდა დაფანტვა; მამისა და დედის, ძმის სიკვდილი გვიჩიოლეთ[1]. და სისხლი დაგვედვა თქვენი, ას ოცი მოფიცარის კაცის ფიცი დაგვედვა.

და ამაზე ჩვენ მტყუვანი ვიყავით და სამართალი ვერ შევსძელით თქვენი; და არცარა სისხლის გადასახადი შეგვეძლო; და შემოგეხვეწეთ და ბევრი გვაპატიე. და კოლბაურს ერთი მოსახლე კაცი მაჭარაშვილი ხოხონა და მისი შვილები ლაზარე და გიგია მოგეცით ამ სისხლშიდ და მოჯალაბის დაყიდვაშიდ მათის ცოლ-შვილით, მამულ-ალაგით, მთითა და ბარით, წყარო-წისქვილით და სასაფლაოთი, საძებრით და უძებრით და ყოველისფერიანით მათის საქმით თქვენთვის მოგვიცემია.

ჩვენც ნაყიდი გვყავდა ის კაცი მაჭარაშვილი, და ნაყიდობის წიგნი თუ სადმე გამოჩნდეს, ამ წიგნმა გა[ა]მტყუნოს; და ან მოდ[ა]ვე კაცი თუ ვინმე აჩნდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.

არის ამისი მოწამე. მღვდელი ესტატე[ს] შვილი უზნაძე იესე და მღუდელი იაკობიძე საბა, ყიფიანი ხოსია, მაჭავარიანი ქაიხოსრო, წერეთელი ჯიღაღი, სვიმონ და მისი ძმა გიორგი და კიდო ესტატე[ს] შვილი გიორგი.

დაიწერა ქრისტეს აქეთ **ჩღძა**, ნოენბერს **ით**, ხელითა მეფის ქარის მწირველის მღ[ვ]დლის წერეთლის გიორგისათა და მოწამეცა ვარ ამისი. + + + + + +

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ბატონი მეფე სოლომონ, ვამტკიცებთ წიგნსა ამას.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

328. მორიგების წიგნი ბუჭუა ლორთქიფანიძისა ბერი ლორთქიფანიძისადმი

1752—1770 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10277 ბ. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთი დაწერილია მეორე გვერდზე. ხოლო პირველ გვერდზე გადაწერილია ალექსანდრე იმერთა მეფის წყალობის წიგნი ოტია ლორთქიფანიძისადმი.

ქ. ესე საუდე[ო] წიგნი მოგეცი ჩვენ, ლორთქიფანიძემ ბუჭუამ, შვილმა ჩემ[მ]ა გიორგიმ და ვახტანგმა, შენ, ლორთქიფანიძეს ბერს ასე და ამა პირსა ზედა.

1 გეიჩუილეთ.

ბატონის ჩვენის სოლომონის ბძანებით გაე[ი]ყავით და გაერიგდით. რომ გვყავდა, არც ახნეურისშვილშიდ და არც გლეხზედ, მიწა-ალაგის მეტზედ, სადეო საქმე ერთმანეთშიდ აღარა დაგვრჩენია რა. და თუ ჩვენს გლეხებზედ მოდავე ვინმე მოგვადგე[ს], პასუხის მიმცემი ერთი ვიყოთ. სხვასთა[ნ] რაც რომ სადეო საქმე გვექნეს, თუ რამ ამოვიღოთ, სწორი იყოს. სხვა სადეო საქმე ერთმანეთშიდ აღარა დაგვრჩენია რა.

არის ამისი გამრიგე და მოწამე. წერეთელი პაპუნა, წულუკიძე ბერი, მიქელაძე დავით, ლორთქიფანიძე ბერი, იოსელიანი გიორგი.

მე, მდივანს ლეჟავას ქაიხოსროს, დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი.

ჩემს გაყიდულ საქმეში შენ სხვას აღარავის ედეო, თუ ეს ბეჭედი შეიშალოს, ბატონმა მისად ღალატად გვიკითხოს.

ქ. ჩვენ, სრულიად იმერთა მეფისა სოლომონისა, წინაშე მოვიდენ ლორთქიფანიძე ბერი და ლორთქ[ი]ფანიძის ბუჭუას შვილები, შამოგვეედრენ და რომელიც ერთმანეთთან სადეო ქონათ, ყოველივე გაუშვეს და ყოველსავე საქმეშიდ სრულებით მორიგდენ. და მეცა დავამტკიცე ბეჭედითაც მეფეთა.

ვინც შლად[1] ხელყოს, ზეგარდმოსა რისხვისაგან კრულ იყოს უკუნისამდე[2].

329. მორიგების წიგნი პაპუნა წერეთლისა ბეჟან წერეთლისადმი

1769—1776 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9705. დედანი. ქაღალდი. 20,5×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, წერეთელმა პაპუნამ, ზურაბ და ბერმა, თქვენ, ჩვენს ძმათ წერეთელს ბეჟანს, თქვენს ძმას ვახუშტის, გიორგის, დათუას და ქველს ასე და ამა პირსა ზედა, რომე ნიადაგ ჩხუბსა და [ს]იქ[ვ]დილზე ვიდექით ერთმანერთისაზე, და ახლა[ვ] ერთმანეთის ნებამყოფლობით გაყოფაზე დავდექით და ერთმანეთს ღთის სამართალს ქვეშ შესლვით პირობა გამოვთხოვეთ.

1 მთლად. 2 უკუნისამდე. 3 ახლას.

მე ასე წიგნი და პირობა მომიცემია, რომ რაც რომ ბატონის ჩვენის ხემწიფის წყალობა მაქ მოცემული*, იმას ჩამოღმა, თუ რამ სასამართლო საქმე მე და თქვენს შუა იქნეს, ღთის სამართალს და მოსამართლეს ქვეშ, რასაც რომ შემომიხვიდეთ, სამართალს თავი მოუდ[რ]იკო და ქვეშ შეუდგე; და რაც რომ სამართალმა მოგცეს, კიდეც მოგართვა, თუ მე თქვენგანაც პირის გატეხა არა ვნახო.

თუ ამაში მე გავმტყუნდე, ბატონის ჩემის ღალატით და მისის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს სიკ[ვ]დილათ, წმინდის კათალიკოზის ბატონიშვილის კიდევ სიკ[ვ]დილად მომკითხოს ხემწიფემაც და ყოველმა მისმა მორჩილმა კაცმა.

არის ამისი მოწამე: ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი დ ა თ უ ა, დეკანოზი ყ ო ყ ო ლ ა ძ ე პ ე ტ რ ე, მოურავი ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ზ ა [ა] ლ.

მე, მ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ს ბ ე რ ი ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ბეჭედი: მონა ღთის ქ ა ი ხ ო ს რ ო.

მინაწერი: „პაპუნასა და სალთხუცისაგან გამოცემული წიგნია. რნე“.

330. [269] მცნებაჲ და განგებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ ბერძული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმან ეფთჳმი

[1005—1019 წწ.]

ხელნაწერთა ინსტიტუტი. A 737. კრებული. ეტრატი 15×13 სმ. ნუსხური XIII საუკუნისა. თავი და ბოლო აკლია. შეიცავს 338 გვერდს. ყდა მომძვრალია და ფურცლები დაშლილია. ჩვენს საბუთს კრებულის 269—284 გვერდები უჭირავს. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. სათაური და ყოველი მუხლის პირველი ასო დაწერილია სინგურით. საბუთი თარიღდება ექვთიმე მთაწმიდელის წინამძღვრობის წლებით. ამ ნუსხის აღწერილობა პირველად დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე მ მოგვცა, რომელიც წერდა: „ჩვენ ახლა ხელთა გვაქვს ერთი პატარა ფორმატის წიგნი, რომელსაც ბოლო აკლია და გადაწერილია ვიღაც თ ე ო დ ო რ ე ს ა გ ა ნ, როგორც პალეოგრაფიული თვისება უჩვენებს, მე-XI—XII საუკუნეში იმგვარ ეტრადზე, რომელზედაც ძველი ნაწერი ცხადად ეტყობა“ (ისტორია საქართველოსი, 1889 წ. გვ. 258). მეორედ ხელნაწერი აღწერა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ (ქრონიკები, II, გვ. 82—83). როგორც ჩანს, აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ეს კრებული ხელთ არ ჰქონია. იმოწმებს რა დ. ბაქრაძისა და თ. ჟორდანიას ცნობებს აღნიშნული კრებულის შესახებ, იგი წერს: „ეს კრებული შეიცავდა, ალბათ, დარიგებას მრევლის სამღვდელოებისათვის მწყემსობრივი მოვალეობის კანონიერად და ჯეროვნად შესრულების შესახებ“ (ქართ. ლიტ. ისტ. I, 1960, გვ. 212). ხოლო სხვა ნაშრომში ექ. მთაწმიდელის დასახელებული თხზულების შესახებ იგი წერს, რომ ეს ნაშრომი „დღეს არსადა ჩანს“ (ეტიუდები, XIII, გვ. 20).

ამასთან დაკავშირებით პროფ. ვ. დ ო ნ დ უ ა, რომელმაც ექვთიმე მთაწმიდელის აღნიშნული ნაშრომის სხვა რედაქცია გამოსცა, წერს: „ჩვენ დარწმუნებულიც არა ვართ, რომ ის ნუსხა, ბაქრაძის და ჟორდანიას მიერ აღწერილი, საერთოდ იმ ნუსხის შემცველი ხელნაწერი კრებული, დაკარგული არ იყოს“ (საისტორიო ძიებანი II, 1973, გვ. 46). ეს ნუსხა დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ ხელნაწერის მიხედვით ჩვენ 1970 წელს გამოვაქვეყნეთ ექ. მთაწმიდელის მეორე კანონიკური ნაშრომი — „წიგნი, რომელი მოწერა დიდმან ეფთჳმე დიდსა ბერსა გიორგის“ (ქართ. სამართ. ძეგლები III, გვ. 5—11).

ქვემოთ მოტანილი საბუთის გადაწერილი პირი, რომელიც ერთხელ კიდევ ხსენებულ ნუსხას შევაჯერეთ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ე ლ გ უ ჯ ა გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ტექსტში ჳ კომპლექსი გადმოცემულია უე-თი.

ესრეთ განაგებდენ ებისკოპოსნი თჳსისა სამრემლოჲსა მადლთა

1*. გამცნებ თქუენ პირველად დამარხვასა მართლისა სარწმუნოებისასა, შიშსა ღმრთისასა, სიწმიდესა ჴორცთა შენთასა, შექრძალვასა ჴორცთა ყოველთა ასოთა შენთასა.

2. უკუეთუ ღირსებით და სიწმიდით იქცეოდე, აღირაცხო გუნდსა თანა უჴორცოთასა და მიიღო პატივი მსგავსად შრომის შენისა.

3. ხოლო უკუეთუ უღირსად, უკრძალველად შესწირვიდე მსხუერპლსა მას საშინელსა, უწყოდე, რამეთუ ღმრთის მკლველთა მათ ჰურიათა თანა დაისაჯო.

ახლად კურთხეულსა ესრეთ ამცნოს:

4. გამცნებ შენ, შვილო, დღესითგან კ῀ დღედმდე ჟამსა ნუ სწირავ. ეკლესიას იყავ, ჟამისწირვასა იწურთიდი. და კუალად კ῀ დღედმდე [270] უხუცოდ ჟამსა ნუ სწირავ, თანა დაიდგენდი, რაჲთა ჟამისწირვისა წესსა გაგმართოს.

---

* აქ სტრიქონთ შუა სხვა ხელითა და მელნით ჩაწერილია: „ხარ პაპუნას მამულს“.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

5. და ყოველადმცა უჭამისწირავოდ ჭამი ნუ ოდეს გიწირავს, დაღაცათუ ერცახე ზეპირით დაგეწუართოს.

6. სეფესა დედაკაცსა ნუ გამოაცხობინებ, გარნა თუ სიბერისა წესსა[1] გარდასრულ იყოს.

7. სეფისკუერსა საფუარი ურთე და მარილი და მცირედ აღფუვნეს. უფუარსა ნუ გამოაცხობ, არა შეიწირვის.

და ზედაშესა წყალი ურთე. ძმრითა ნუ სწირავ, ნუცა ტკბილითა და უქმარითა სწირავ, უსანთლოდ და უკანდლოდ ჭამსა ნუ სწირავ. ცეცხლი და საკმეელი თანა იყოს.

8. გამცნებ შენ, მიჰრონი რაჲ ებისკოპოსისაგან წარმოიღო, შენ ნუღარას ურთავ; რაჲ დაგელი[271]ოს, კულა ითხოვე.

9. ყრმასა ნუ მოჰჭრისტინავ ოდენ, ერცახე მონათლე; რაჭამს მოგიმცნას, რასაცა შურებოდე, დაადგე მსწრაფლ და წარვედ და მონათლე. თუ მოკუდებოდის, მასვეცა დღესა ნუ შეურგულდები, რომელსა იშვას, არამედ მსწრაფლ მონათლე. შუადღემდე შენ ნუ ჰპატიჟობ, თუ მოგგუაროან, მონათლე. შუადღითგან შენ ჰპატიჟობდი, რაჲთა მონათლონ. და უკუეთუ უნათლავი მოკუდეს, წარიყვანე და მკუდართა თანა დაჰმარხე, და ჭამსა ნუ სწირავ. უკუეთუ მიზეზი შენგან იყოს, მიედე და გააგონე ებისკოპოსსა; და უკუეთუ მიზეზი დედ-მამათაგან იყოს, იგინი მიგზავნენ.

10. და უკუეთუ ყრმაჲ ნათლვასა შინა მო[272]გიკ[უ]დეს და ემბაზსა არა ჩაგედვას, უნათლავი არს — დაადგე; და უკუეთუ ემბაზსა ჩაგედვას, მონათლე და ქრისტიანე არს.

11. გამცნებ თქუენ: ნათესავთა ე᾽ მამად-მამადმდე და სუნდიკნოზსა ზ᾽ მამად-მამადმდე ნუ ასუნდიკნოზებ, ნუცა ამზახებ.

12. აღტაცებულთა გჳრგუნთა ნუ აკურთხევ, რამეთუ მეძავობით შეყოფილ არნ და იგივე მეძავნი არიან.

13. ეკრძალე: სომეხსა და ქართველსა ნუ ასუნდიკნოზებ, ნუცა ამზახებ[2].

14. უკეთუ კულა სომეხი მართალსა სარწმუნოებასა აღიარებდეს, კეთილ არს, ამზახენ.

15. უკუეთუ სომეხსა მკუდარსა ზედა მიხუდე, ვითარცა ერისკაცმან ეგრე დაიტირე. ჯუარსა ნუ დასწერ, ნუცა სახარებასა წაიკითხავ.

16. უკეთუ სომეხი შენსა მოვიდეს, ეგრეთვე მან ყოს.

1 სიბერისთა წესისა. 2 ამძახებ.

17. რომელნი იქორ[273]წინებოდიან წინდვასა და ჯუართა გაცვლობასა ნუ იქმ, ერთხელ გჳრგუნნი უკურთხენ.

18. გჳრგუნთა კურთხევასა* ნუ იქმ ყველიერითგან ვიდრე მარტჳლამდე, თჳნიერ აღსებისა და ახალკჳრიაკისა. სხუთა დღეთა არა იკურთხვიან გჳრგუნნი.

19. მართლმადიდებელი, რომელი არაჯეორთა იმარხვიდეს, ჩუენგან კრულ არს, ნუ აზიარებ.

20. [უკუეთუ] ცოლოსანმან კაცმან გინა უცოლომან განჩინებით როსკიპი დაისუას, ჩუენგან კრულ არს. ჭამსა ნუ აზიარებ. დაფარულთა გულთა განმკითხველი ღმერთი არს.

21. გამცნებ შენ განკრძალვასა, შიშით ყოფასა ყოველსა ზედა ეკლესიისასა. მარადის ჰკითხვიდი თჳსსა ებისკოპოსსა და ქორებისკოპოსსა[1] წესიერად მოხუცებულსა ყოველსა წესსა მარხვისა და ლოცვისასა [და] დღესასწაულისასა.

და შენ თავით [274] თჳსით მოძღუარსამცა ჭუეშე ხარ. და თავსა შენსა კჳრად განიკითხევდი, რაჲცა წაგეკიდებოდის მძინარესა გინა მღჳძარეს, ყოველსა დაუფარველად აღიარებდი.

22. გამცნებ შენ, მარხვათა კათოლიკეთა ჭამსა ნუ სწირავ. ხოლო შაბათ-კჳრიაკეთგან და ხარებად და დიდსა ხუთშაბათსა მიმწუხრი — წირვითა მზე დაჰვიდოდის.

23. ეგრეთვე დიდსა შაბათსა[2] წუელასა ნუმცა ვინ იჭმარებს ქრისტიანეთაგანი — ბრალი არს ფრიად.

24. გამცნებ შენ შვილო, ყოვლადვემცა — უფროჲსღა მათ დღეთა ორმეოცთა მარხვასა, ლოცვასა და სიწმიდესა ზედაჲსზედა შეუთვალვიდი.

25. თავი შენი სახედ მიეც ყოველთა სათნოებითა, სიწმიდითა, მარხვითა, მღჳძარებითა და ლოცვითა, რაჲთა შენ აღგბაძდენ და შენ ძლით ღმერთი იდიდოს.

26. [275] ხოლო უკუეთუ უდბად და უწესოდ იქცეოდი, სამწყსონი შენნი შენ აღგბაძდენ. და სამწყსოთა შენთა ბრალი შენ მიგეჯადოს და შენ ძლით ღმერთი იგმოს.

28. გამცნებ, რომელსა საკურთხეველსა ზედა დამყარებულსა და ოდიკსა ზედა სხუასა წირულსა მეორედ არა სწირო. არცა სხუ-

1 ქორებისკოპოსსა. 2+და.

* მარჯჳენა კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „გჳრგუნის კურთხევათათჳს".

ამან შენსა წირულსა წიროს. ხოლო უკუეთუ ესე იქმნას, ვიდრე ებისკოპოსსა არა ჰკითხო, ჟამსა ნუ სწირავ.

29. მცირეთა საკურთხეველთა ზედა ჟამი მრავალგზის იწირვის ოდიეთა ცვალებითა*. რაჲ კუალა დიდსა საკურთხეველსა ზედა ჟამი დღით ა´-გზის იწიროს, მეორედ არღარა იწირვის.

30. ოდიესა უკუეთუ ფერჯი გამოსწყდეს[1], ანუ თაგუმან უკბინოს, ანუ წირულსა ზედა მეორედ იწიროს, ანუ წირვამან მ´ დღე დაყ[276]ოს, მას ზედა ნუღარა სწირავ; ებისკოპოსსა მიჰგუარე და სხუაჲ მოგცეს.

31. მიჰრონსა და სიწმიდესა ერისკაცსა ნუ მისცემ. და მას სახლსა მიჰრონსა და სიწმიდესა ნუ დასდგამ, სადა წიდოვანი დედაკაცი იყოს.

32. ყრმასა** მცირესა დედამან წელიწადი ერთი წუელაჲ მისცეს. ხოლო უკუეთუ დედასა ეწყალოდის — მეორესცა სცეს. ყრმისა დედაჲ შუა მარხვითგან მონანულად დაღგეს და აღვსებად ჟამსა ეზიაროს.

33. ხოლო უკუეთუ დედაკაცმან მცირე ყრმაჲ მოკლას ზედამიწოლითა ანუ დაწუას, ებისკოპოსსა თანა მიგზავნე, რაჲცა მან მოგიწეროს, იგიცა აქმნიე. უკუეთუ გულითაძი ინანდეს ანუ ზედამოჭრით, იგი ებისკოპოსსა აცნობე.

34. ყოველი კაცის მკლველი და [277] სისხლის უფალი ებისკოპოსსა თანა მიგზავნე. შენ სინანულსა ვერ მისცემ; რომელი ებისკოპოსისაგან ბრძანებაჲ მოიღო, მას ზედა აშრომენ.

35. დედაკაცმან ქმრის ცოლმან, რომელიცა დაფარული ცოდვაჲ აღგიაროს — ყრმის მოკლვაჲ, გინა ვნებაჲ, ანუ წამლვაჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე, მას ნუ გამოაცხადებ, რომელ ქმარმან არა განიშოროს. თჳთ მივედ ებისკოპოსისა და რაჲცა გიბრძანოს, იგიცა აქმნიე. და რაჲცა ვინ ცოდვაჲ აღგიაროს და შენ სინანული არა იცოდი, ებისკოპოსსა აუწყე ანუ მეცნიერსა ვისმე ხუცესსა; კაცისა საჴელსა ნუ უთხრობ, არამედ რაჲ-იგი აღეაროს, იგი უთხარ: «ესე ვისმე ცოდვაჲ უქმნია, სინანული რაჲ ხუდების, [278] მასწაჳე». და რაჲ გასწავოს, იგი აქმნიე.

36. გამცნებ შენ, შვილო, სამოსელი სამღდელოჲმცა გმოსია, არ წინ-უკანა გაპებული, ვითარცა ავაზაკსა.

[1] + გაჰურტეს.

* მარჯვენა კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „ოდიეთა ცვალებითაჲ“.

** მარცხენა კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „ყრმისათჳს“.

ჰომსა ნუ შეხვალ, რამეთუ ესე საქმე ავაზაკთაჲ არს.

მომღერეთა და მომთრვალეთა თანა ნუ აღერევი, ნუცა ემოყურები.

37. ყოველთა ყოვლითურთ სახე კეთილ ისე ქმენ და ყოველთა კეთილსა ასწავებდი, წინამძღუარ ხარ ყოვლისაჲ.

სიტყუაჲ უშუერი და ენოვნებაჲ პირით შენით ნუ გამოვალს.

38. კაცისა მისამთხუეველად არგანსა ნუ მოიქნევ, რამეთუ კაცი ხატი არს ღმრთისაჲ. შენგან სწავლაჲ ჴამს და არა მიმთხუევაჲ. და ჴელი შენი მსხუერპლისა შემწირველ არს და ამისთჳს დაყენებულ არს მიმთხუევისაგან.

39. პირუ[279]ტყუსა ნუ დაჰკლავ, რამეთუ მღდელისა დაკლული უსულოდ (!) არს.

40. იავარსა დაა ჰონავარსა თანა ნუ წაჰყვები, ნუცა ერევი, რომელი-ესე ერისკაცისათჳსცა ბოროტ არს ფრიად.

41. გულმწყრალი უჯუარებასა ნუ გაუტეობ, გინა წა-ვისმე რაჲმე-უწყდეს, თუ არა ბედისათჳს არა კეთილ არს.

გულმწყრალი, შფოთიანი, უზრახი ჟამსა ნუ სწირავ, ვიდრე არა დაეგო.

დაიცევ სიმდაბლე და მოთმინებაჲ თავს-იდევ, ვითარცა მოწაფემან ქრისტესმან და მონამან სარწმუნომან.

42. საქორწინესა სახლსა შეხვიდე რაჲ, ტაბლაჲ უკურთხო, პური ჰამე, მღერასა თანა ნუ დასდგები, შინა წარვედ: შენთა მრემლთამცა შენგან ეშინიან და შენმცა მათგან გრცხუენიან.

43. გამცნებ შენ, შვილო, შესაწირავსა მეტსა [280] ნუ შეჰვარდები, რამეთუ არა იცი დღე, თუ ოდეს მოჰკუდები. რომელი მოგცენ საფასე, ეგრე სახედ უწირეედი.

44. უკუეთუ მწუხრისა ლოცვასა ჰირის კანონსა და სეროპისასა «ნეტარ არიანთა» იტყოდე, ცისკრად გ´ კანონსა და გ´ წარდგმასა და შესუენებულსა მოჰსენებდე, დრამად უწირე, და უკუეთუ ესე წესი ვერა აგო, ნახევარ დრამად უწირე.

45. ოდეს ეკლესიად შეხვდოდი, ფსალმუნთა გზასა ნუ იტყჳ. შეევედ ეკლესიად და ფსალმუნნი წესიერად წართქუენ, შესამოსელი შეიმოსე და ჟამი ესრეთ წირე. ნუმცა რაჲ დაგაბრკოლებს ეკლესიად მისლვასა სამსა ამას ჟამსა: ცისკრად, სამხრად, სამწუხროდ.

46. და უკუეთუ ვინმე კრულ იყოს ებისკოპოსისაგან [281]

გინა ქორებისკოპოსისაგან[1], ეკლესიას ნუ შეუშუებ და მის თანა პურსა ნუ სჭამ და ნუცა ეუბნები, ვიდრე ებისკოპოსისაგან ჯუარი არ დაიწეროს.

47. გამცნებ: ხუცესთა კრებასა ებისკოპოსისაგან უწამებელსა ნუ ჩაერთვი, რამეთუ სჯულისკანონსა წმიდათა მოციქულთასა ესრეთ წერილ არს: «უკუეთუ ხუცესთა თჳნიერ ებისკოპოსისა კრება[2]-ყონ, შეჩუენებულ არიანო».

48. გამცნებ შენ, შვილო, რომელსა დღესა ჯამისწირვაჲ* გეგულებოდის — ერთსა ღამესა პირველ ქამისწირვისა და ა᷑ შემდგომად წირვისა — ესე ბ᷑ ღამენი მეუღლისაგან შეკრძალულობით დაიმარხენ.

49. კჳრიაკეთა შემომავალთა და საუფლოთა დღესასწაულთა და მარხჳათა კათოლიკეთა მეუღლისა მიახლებასა ეკრძალე. და სხუა ქამ წესიერად ურთიერთას იყვენით. და ესრეთვე შენთა მრემლთა ამცნიდი (!).

50. [282] რაჟამს ძილსა შინა დაცემაჲ შეგემთხჳოს, მას დღესა ქამსა ნუ სწირაე, ნუცა საკურთხეველად აღხუალ, ნუცა ხატსა და ჯუარსა ემთხუევი, არამედ მივედ ეკლესიად და ლოცვისა წესი აგე, ვითარცა ჯერ-იყოს.

51. ძილსა შინა დაცემისა კანონი ესე არს: «წმიდაო ღმერთოჲ», «მამაო ჩუენოჲ» — გ᷑; «მიწყალე» — გ᷑-გზის; ნ᷑ — «ღმერთო, მილხინე»; ნ᷑ — «უფალო, შეგცოდე», «კჳრიელსონი» — რ᷑**; მუკლთა მოდრეკაჲ — ნ᷑; და შევრდომითნი...

52. გამცნებ შენ, შვილო, უკუეთუ მეუღლემან შენმან[3] ისიძვოს და ჰეშმარიტი სცნა, დაუტევე, რამეთუ მისიძავთა თანა ქცევაჲ და ქამისწირვაჲ ურთიერთას არა მოეზავებიან. ხოლო უკუეთუ ესე არა ჰყო, ქამისწირვაჲ დაუტევე და შენცა ეკრძალე თავსა შენსა და ყოველითურთ წესიერად იქცეოდე, რამეთუ მდღეი მისიძავი და უწესოჲ უფლისა გამსყიდელი არს და ყოველად არა **[283]** ღირს არს წესსა მღდელობისასა წარდგომად, რამეთუ ხუცესთა და დიაკონთა-აც ბაძვაჲ ებისკოპოსთაჲ.

53. ჯერ-არს დიდითა კრძალულებითა და შიშითა აღსრულებაჲ წესსა ქამისწირვისასა სიწმიდითა გულისაჲთა, ლმობიერებითა დიდითა შემოსად სამოსელი მღდელობისაჲ: კუართი, სარტყელი, ზეწარი, საკმეველი, სანთელი და კანდელი — თჳნიერ ამისსა რამეთუ არა ჯერ-არს წირვაჲ; შიშით და კრძალვით აღსრულეთ და ერი აზიარეთ; ხოლო რომელი არა ღირს იყოს, ნუ აზიარებთ. რამეთუ მეძავი დედაკაცი ანუ მამაკაცი, თუ მეფეცა იყოს, ანუ მოძღუარი ვინმე, ნუ აზიარებ, მო-ცა-გლჳიდეს. რამეთუ ფრიად უმჯობეს არს, თუ სისხლი თქუენი ქრისტესთჳს დაითხიოს, ვიდრე ქრისტეს ჯორცი და სისხლი მიცემად არა ღირსთა, ვიდრემდის მოიქცენ და შეინანონ.

ესე და მრა[284]ვალი სხუაჲ, ვითარცა მოსცემდეს სული წმიდაჲ, ასწავოს მღდელთმოძღუარმან თჳსთა კელთდასხმულთა და ჰრქუას: «ამას გიწამებ, შვილო, რაჲთა არა ცუდ იყოს კელთდასხმაჲ ესე ჩემი თქუენ ზედა ხუცობისათჳს. ცრემლით მოგითხრობ და გასწავებ, რაჲთა ვედრი ესე ჩემი მტკიცედ დაიმარხოთ, რაჲთა საშინელსა მას დღესა მოსაგებელსა წინაშე მეუფისა მის ყოველთაჲსა უხრწნელად წარდგეთ მსახურებისა ამისაგან მისისა, რომელსა ღირს იქმნენით. მაშინ მოიღოთ მოსაგებელი შრომათა თქუენთაჲ და ჩუენ გჳხაროდის და მხიარულ იყვნენ ანგელოზნი და ყოველნი წმიდანი თქუენთჳს. ხოლო უკუეთუ არა დაიმარხოთ და გარეწრად გაქუნდეს ნიჭი ესე მცნებული თქუენდა, მაშინ სირცხჳლეულნი მონათა თანა უკმართა მიეცნეთ სატანჯველად საუკუნოდ და სიტყუაჲ...»*.

331. შეწირულების სიგელი გაგრას III-ის ნიკორწმიდისადმი

[1544 წ.]

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება. P 22. დედანი. ეტრატის გრაგნილი 6 კანფად. 311×28 სმ. ტექსტი იწყება პირველი კანფის ქვედა ნაწილზე, ზედა ნაწილი ცარიელია, ალბათ მოსახატავად დატოვებული. სიგელის ტექსტს უჭირავს ეტრატის კანფების recto, ხოლო verso შეწირულების მინაწერებს უკავია. გრაგნილის ბოლო მოგლეჯილია — აკლია ბაგრატის ხელოვნის ნაწილი. ტექსტი მხედრულია და ან-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი.

1915 წლამდე გრაგნილი ინახებოდა ჭუთაისის გუბერნიის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონების სამმართველოში. აღნიშნული წლის იანვარში სხვა საბუთებთან ერთად ოშის საშიშროების გამო გაგზავნილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც არქივი დაიღუპა სამოქალა-

* თ. ქორდანიას მინაწერი: „აქ აკლია შემდეგი ფურცელი“.

1 ქორებისკოპოსისაგან. 2 კრებაჲ. 3 + თუ.

* მარჯვენა კიდეზე გადმოწერის ხელით მიწერილია: „მცნებაჲ წირვისაჲ“.

** მარცხენა კიდეზე გადმოწერის ხელით მიწერილია: „კ᷑ნი რ᷑“.

ჭო ომის დროს. მოგვიანებით სასწაულით გადარჩენილი ეს საბუთი ეკუთვნოდა აკად. ნ. მარისათვის გადაუცია ლენინგრადში. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში საბუთი შესულია 1963 წელს და იწახება აკად. ნ. მარის კოლექციაში (იხ. С. С. Какабадзе, Грузинские документы Института Народов Азии, 1963, გვ. 76—77). საბუთი ქვეყნდება მინაწერების გარეშე.

ქ. კაცო ღმრთისაო, სარწმუნო მონაო და მნეო ქრისტეს საიდუმლოთაო, საუნჯეო მადლითა მათი[თა] სულისა წმიდისათაო, შეიწირე სიტყუა ესე ჩვენი, ვითარცა ძღუენი უნდო და შეირაცხე სამაღლობელადა ჩვენზედა ქმნულისა მის დიდებულისა საკვირველთ-მოქმედებისა შენისა.

ჰი სვეტო და სიმტკიცეო ეკლესიისაო და მნათობო ყოვლისა სოფლისა ქადაგებულო სიტყვისა მის ცხორებისაო, რამეთუ მრავალი სახელები სათნოებათა შენთა გიწოდეს შენ და არცა ერთი კეთილი საქმე მოგაკლდა შენ, უაღრესო ყოველთა მწყემსთაო და ქებულო მღრდელთმოძღვართა შორის წმიდაო ნიკოლოზ*;

რამეთუ ყოველივე მაღალნი და დიდებულნი სათნოებანი, ვითარცა საუნჯესა შინა ოქროსასა ყოველნი თვალნი პატიოსანი და მარგალიტი მრავალ სასყიდლისა ესრეთ დაუნჯნენ სანატრელსა შინა სულსა შენსა, ამისთვისცა სახელოვან იქმენ ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა[1];

და ვითარცა სანთელი ბრწყინვალე სასანთლესა ზედა ოქროსასა დაგადგინა შენ ქრისტემან ღმერთმან საყდარსა მასზედან მღრდელთ-მოძღვრებისასა განქარებად სიბნელესა მას საცთურისასა, განანათლებდე ძისა მის მორწმუნისა არა ხოლო მახლობელთა, არამედ შორიელთაცა ზედა მიფენად ბრწყინვალებასა მას ღმრთისა მეცნიერებისასა;

ჳშმარიტად აღგამაღლა შენ ანგელოზთა მობაძავმან მ[ო]ნ მოქალაქეობამან შენმან და სიწმიდემან გონებისა შენისამან, უზეშთაეს კამარათა ცისათა აღგიტაცა და წინაშე წმიდისა სამებისა წარგადგინა.

ვინაცა მოიღე უხვებით მადლი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო მამისა მისგან ნათლისა და მხოლოდ შობილისა ძისა მისისა და ყოველად წმიდისა სულისა.

აბელ მართალი ქებულ იქმნა ძღუენისა შეწირვითა, ხოლო შენ, სანატრელო მამაო, თავით თჳსით ყოველითურთ ძღუნად შესაწირავად[2] წარუდგინე ღმერთსა.

1 ქვეყანისათა. 2 შესწირავად.
* აქ მთავრდება პირველი კეფი.

ენუქ სათნო ეყო ღმერთსა და მი[ი]ცვალა, ხოლო შენ გონიერება სულისა შენისა ყოვლითურთ ზეცათა მისცვალე და მიწიე ღმერთსა და წარმავალთა წილწარუვალი იგი მოიგე.

აბრაამ საკვირველ იქმნა უცხოთა შეწყნარებითა და სანატრელ იქმნა, რამეთუ აღთქმითა შობილი იგი ძე თჳსი სიხარულით წარიყვანა შეწირვად ღმერთსა.

და ყოვლითურთ თავი შენი საკვერთხად მგრგვალად[1] შეწირულად წარუდგინე და შესწირე ღმერთსა და სული შენი დასდევ ცხოვართა შენთათვის სიტყვისაებრ სახიერებისა დაწერილი და გაგება და სიმტკიცე ჩვენი.

ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა და შაწმე და შარავაშთა მეფეთ-მეფემან და ყოველთა მეფეთა შორის ქვეყანისათა ახოვნად სახელგანთქმულმან და კიდით კიდემდე სოფლისა მძლედ და უძლეველად ქადაგებისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ჯელჰყავით[2] აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოზოდ და დავადგინე და წმიდა და ღმერთშემოსილი ანგელოზთა მობაძავი მღდელთ-მთავარეპისკოპოზი წმიდა და მეუფე მანოელ.

და შემოგწირეთ, რათამცა ღირსი და სამართალი* მსახურებად ეჰყვეთ[3] აურაცხელისა წყალობისა თქვენისა ჩემდამო; და შემოგწირეთ, ჰი წმიდაო მღდელთ-მოძღვარო ნიკოლოზ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ სულისა ჩვენისა საოხად და ბრალთა ჩვენთა აღსახოცელად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად; და შემოგწირეთ, რომელსა ზედან შენებულ არს საყდარი შენი და შევამკვე ყოვლითა სამკაულითა საეკლესიოთა, დავუნჯენ მას შინა და შევწირენ დაბანი და სოფელნი.

ნიკოლწმიდას: მჯედლიძენი კვამლი სამი; ტაჭაძე კვამლი ერთი; მურუზიძე კვამლი ერთი; გეგეშიძე კვამლი ერთი და პარტახტი სამი;

საკუთრეულზედან: მჯედლიძე კვამლი ერთი;

უყეშს: დონაძენი კვამლი სამი; პარტახტი დონაძი-

1 მგარგავალიადა. 2 ლეჰყავეთ. 3 ეყაჰვეთ.
* აქ მთავრდება მეორე კეფი.

სეული სამი; გურაბანიძე კვამლი ერთი; კვიკვიძე კვამლი ერთი; თომ[ა]ძე კვამლი ერთი;

თლუღს: ჭელმოკლიძე კვამლი ოთხი; კაცითაძე კვამლი სამი; კაბილაძე კვამლი ორი; თლუღს პარტახტი ერთი;

ზემო თლუღს: კობახიძე კვამლი ერთი;

ხოტევს: კობახიძე კვამლი ოთხი;

იწას: ჭნაძე კვამლი ოთხი; სტაჯაძე კვამლი ორი;

ხოტევს: კობახიძისა პარტახტი ერთი;

ღვარდიას: მოწონელიძე კვამლი ოთხი; ვაწაძე კვამლი ერთი;

ბაჯს: მეგრელი ერთი; ნობერიძე კვამლი ერთი; ჭუხულაშვილი კვამლი ერთი; ზაზიაშვილი კვამლი ორი; ჭღამ[ა]ძე კვამლი ერთი; კენჭაძე კვამლი ერთი; მღრიანი კვამლი ერთი;

ღადის[ს]: ხიხაძე კვამლი ერთი; მღდელაძე კვამლი ორი; ქაროზანიშვილი კვამლი ოთხი; ფოფხაძე კვამლი სამი; ფარჯანაძე კვამლი ორი;

შვარას: დვალაძე ერთი;

მეტეხარას: ფარჯანაძე კვამლი ერთი;

ზნაკვას: კიკაულიანი კვამლი ერთი; გვენცაძე კვამლი ერთი; ივანტაბელაძე კვამლი ერთი;

ხონჭიორს: ბუაძე კვამლი ერთი; ფოფხაძე კვამლი ოთხი; გვენცაძე კვამლი ორი;

ბაჯს: პარტახტი ორი;

ესე სოფელი და დაბანი ასრე ჩემი ნასამართლი შემიწირავს, რომე არას კაცისა ძალად წანაღები არ არის.

რაცა გარაყანიძისეული სოფლები არის, გარაყანიძე უშვილო იყო და მე მიანდერძა მისი მამული და მე შემოვსწირე; და მისთვის არავინ რას მემართლების. და ესე* გარაყანიძე შორს განაყოფი არის და არცარა ამასთან საქმე აქვს.

და რაცა წულუკიძისეული სოფლები არის, ყველასათვის სანაცვლო მამული მიმიცემია; და მისთვის არავინ რას მემართლებისს, ამისთვის რომე სხვით მამულითა შემიჯერებია. არას წულუკიძისა ნათესავსა კაცსა, რაცა შემიწირავს, იმასთანა საქმე არა აქვს რა.

* აქ მთავრდება მესამე კედი.

აწ იმას გარეთ გაუჩინეთ პატივი და საჯდომი, ვითა პატრიაქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს. გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხნი თოთენდაერს მთას აქადა, ოკრიბის მთას აქადა, ნაკალოებსა აქადა, მუხურის მთას აქადა, კვეშლევას, ერწოს, საჯვარეს აქადა, მთა დვალეთისა, ღები, გლოლა, ყისონ გამომდინარე რიონი და სრულად რაჭა ასკის წყალს გამოღმა.

აწ შემოგწირეთ მცირე და კნინი ესოდენი სოფელი[1] და დაბანი თქვენ, წმიდასა მღდელთმოძღვარსა ნიკოლოზს მისითა მზღვრითა და სამართლიანითა წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა[2], სათიბითა, სახნავითა, ჭალითა, სათევზოთა, ტყითა, სანადიროთა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, მთითა, ბარითა, შესაველითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა ერთობილითა ყოველითურთ უნაკლულოდ ასრე, რომე: რაცა ამა სოფელსა და დაბანსა გამოსავალი და ბეგარა გამოვიდოდეს, ესენი სრულიად წმიდასა მღდ[ე]ლთ-მთავარეპისკოპოზსა ნიკოლწმიდელსა მიებარებოდეს და არას კაცის ხელი არა მიხედებოდეს.

ესე არაოდეს არა მოეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეფეთა და დედოფალთა და შემდგომთა ჩვენთა, არას ჟამის გამოცვლილობისათვის ესე მტკიცე და შეუცვალებელი სიგელი არაოდეს არა მოეშალოს.

და* ვინცავინ მშლელად და მაქცეველად[3] და მრღვეველად გაგებულისა ამის ჩვენისა და სიმტკიცისათვის ამიერ დაწყებულთაგან ვიდრე დასასრულადმდე, ვინცა და რამანცა ჟამსა, რომლისაცა გვარისა კაცმან კ[ა]ცისა მიზეზისა მოღებითა მშლელად და მქცეველად გამოჩნდეს, —

ანუ სხვათა ადგილთა პატრიაქნი, ანუ აფხაზეთის პატრიაქი. ანუ ქართლის პატრიაქი, ანუ აფხაზეთის მეფეთ-მეფენი და დედოფალთ-დედოფალნი, გინა მღდელთმთავარნი და ეპისკოპოზნი, ანუ მეფენი, ანუ ერისთავთ-ერისთავნი, გინდა[4] ათაბაგნი და სპასალარნი, ანუ დადიანი და გურიელი, ანუ შ[ა]რვანისა და სომხითისა ერისთავთ-ერისთავნი, და გინდა ერისთავნი, და ანუ რაჭისა ერისთავი, ანუ ციხისთავნი, ანუ ნაცვალნი, და ანუ ტანუტერონი, ანუ ამირათამირა, ანუ მებაჟე და ხელისუფალი, ანუ ნატაპეტი და

1 სოფელი. 2 ვენახითა. 3 მაქცეველადა. 4 განდა.

** აქ მთავრდება მეოთხე კედი.

აბრამატი[1], ანუ კარის პუე და მანდატური, და ანუ კასტრიბი[2], ანუ მპარავთა მეძიებელნი, ანუ ტყის მცველთა უხუცესნი, ანუ ტყისმცველნი და ანუ რაცა ხელის მქონებელნი იყვნენ;

ანუ და რამანცა ადამის ნათესავთან კაცთან ანუ მცირეთან და გინა დიდთან, ამისად შლად და ქცევად ქველყოს, კრულთც არს პირველად დაუსაბამოსა ღმრთისა პირითა და უფროსად* კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისა მადლითა და პატიოსნისა ჯვარისა მადლითა და წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა და ათორმეტთა სამოციქულოთა საყდართა და მოსაყდრეთა მადლითა[3] და შვიდთა კრებათა მადლითა[3] და აფხაზეთისა კათალიკოზ-პატრიაქთა მადლითა[3] და ქართლისა კათოლიკოზ-პატრიაქთა მადლითა[3] და მათთა მიმდგომთა მიტროპოლიტთა და მთავარეპისკოპოზთა და სხვათა ეპისკოპოზთა მადლითა და ყოველთა მართ[ლ]ად მა[ა]დიდებელთა ეპისკოპოზთა მადლითა[3] და ჯვარითა.

შე-მცე-ემნების კეთრი გეზისი, ძრწოლა კ[ა]ენისი, მოშთობა გმირთა, დაწვა სოდომელთა, და[ნ]თქმა დათან და აბირონისი, დანთქმულება მეგვიპტელთა, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი[4] [და] საბიანესი; და ყოველთა მგმობართა თანამეა არს ნაწილი და სამკვიდრებელი მისი.

და ვინცა მტკიცედ იპყრას, ღმერთმან აკურთხოს და წმიდამან კათოლიკე სამოციქულომა საყდარმა და წმიდამა მრრდელთმოძღვარმან ნიკოლოზ, ამინ.

დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქრონიკონსა **ხკბ**, თვესა აგვისტოსა **თ**, ხელითა გიორგი აბაშიძისათა, ნებითა ღმრთისათა.

ხელრთვა: ბაგრატ

332. შენირულების წიგნი როსტომ გურიელისა ბიჭვინტისადმი

[1557—1562 წწ.]

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1052. დედანი. ეტრატი ორ კეფად. 52,6×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი. ეკუთვნოდა კათალიკოსად დაჯდა 1557 წელს, ხოლო როსტომ გურიელი გარდაიცვალა 1562 წელს. საბუთიც ამ წლებით თარიღდება.

დაუსაბამოსა ღმრთისა მამისა, ძისა და წმიდისა სულისა; თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა; თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა; თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, რომელსა ზედა განიპყრა უხრწნელი მკლავნი თვისნი ქრისტემან ღმერთმა ჩვენმან ხსნისათვის ჩვენისა;

თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდისა დიდებულისა და წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა, იოვანე მახარებელისითა და ღმრთისმეტყველისითა, წმიდათა ყოვლად ქებულთა მოციქულთა პეტრეს [და] პავლესითა და თორმეტთავე მოციქულთა; თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა რომელი დიდსა საუფლოსა სვინაქსარსა წმიდანი სწერიან და [ა]ღიწერებიან;

თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარმეტყველთა ღმდელთა, მოძღვართა, მოწამეთა და ნეტართა მამათა, მამათმთავართა, ქალწულთა, მესვეტეთა, მეუდაბნოეთა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ზეცისა და ქვეყანისათა, ხორციელთა და უხორცოთა ღმრთისა;

და ყოველთა ამა ზემოწერილთა ღმრთისათა თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგახსენეთ თქვენ, სასოსა და მეოჯსა ყოველთა ქრისტიანეთასა წმიდათა უწმიდესსა შვიდ ცად უმაღლესსა ყოველად წმიდასა ღმრთისმშობელსა ბიჭვინტისასა და კათო[ლ]იკე საყდართა თქვენთა, გაკდრე[1] და მოგაჯსენე მე, გურიელმან პატრონმან როსტომ და დედამან ჩვენმან ბატონმან დედოფალმან ქეთევან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ და ძეთა ჩვენთა ბატონმან გიორგი და ბატონმან ჯოსრო თანგი და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე.

შემოგწირედ სახსრად და სამეოხოდ სულისა და ჯორცთა ჩვენთათვის და შვილთა ჩვენთა გაზრდისათვის და გაწყალმართებისათვის; შემოგწირეთ ოდიშს სოფელი **ჯიბულა** მისითა სამართლიანითა მთითა, ბარითა, წყლითა, სასაფლაოთა, მისითა საძებრითა და უძებრითა ყოველთავე.

გკადრეთ[2] და შემოგწირეთ მას ქამსა, ოდეს შეგვემთკვია უმგზავსო ცოდვა: შეგვიწყალეთ და მობრძანდით ბატონი კათა-

---

[1] აბარმატი. [2] კასტარიბი. [3] მდალითა. [4] კარისტენტი.

* აქ მთავრდება მეხუთე კეფი.

[1] ჰკადრე. [2] ჰკადრეთ.

ლიკოზი ევდემონ და [ა]ღგიარეთ აღსარება ჩვენი და დაიდევით ექუს-ექუსი ჟამისწირვა თქვენ და შემდგომთა თქვენთა კათოლიკოზთა ყოველთავე სახსრად სულისა ჩემ როსტომ გურიელისათვის.

ვინცა და რომელმანც კათოლიკოზმან თქვენგან განჩენილი წირვა მომიშალოს, შე-მცა-იცვლების სჯულისა ქრისტიანობისაგან და ჩემისამცა ცოდვის პასუხის გამცემი ღმრთის წინაშე ის იქმნების.

და თქვენ, ბატონმან კათალიკოზმან ევდემონ, წიგნიცა ამ რიგი მიბოძე, ჩვენ სიგელი ესე მოგახსენეთ სიტყვით სრულქმნილი, საბოლაოდ[1] გასათვებელი, უტყუარი და უნამუსო, ჟამ-დრო უძებარი, არას ჟამსა და პატრონობასა შიგან შეუცვალებელი, ყოველისა სამიზეზოსა საქმისაგან უმიზეზოდ გამოსრული.

გისვიანოს და გიბედნიეროს ღმერთმან თქვენ, სასოსა და მოხსა სულისა ჩვენისასა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და კათალიკოზსა ბატონსა თქვენ ევდემონს და შემდგომნს და შენთა ყოველთავე კათალიკოზთა. არავინ შემოგეცილოს და არც ვისმან მოგეშალოს: არა ჩვენგან და არა [ჩვენთა შვილთაგან და არა ჩვე]ნთა შემდგომთა გურიელთაგან და არა მომავალთა სახლისა ჩვენისათა, არა დადიანისაგან და არა სხვათა შემდგომთა მისთა დადიანთაგან არა მოგეშალოს. ესე ასე გაგითაოთ და არა გიტყუოთ და არცა მოგეშალოს.

თუ ვინმე და რამანცა გვარმან კაცმან ამისად შლად ჯელყოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა; შე-მცა-იცვალების სჯულისაგან ქრისტიანობისა; ნესტორ და ორიგინეს[2] თანამცა არის ჴაწილი მისი; შე-მცა-ედების შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისი, დანთქმა დათან და აბი[რ]ონისა[3]; ნურა რათამც სინანულითა ნუ იქნების ხსნა სულისა მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან, ამინ.

ხელრთვები: + როსტომ. ქეთევან + + თამარ.

333. შეწირულების წიგნი გახტანგ გურიელისა შემოქმედის საყდრისადმი

[1572 წ. ახლო]

Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. СПБ, 1879, გვ. 130—131.

...ნებითა და ჯერჩინებითა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისათა, აწ უკუე მონამან შენმა, გიორგის შვილმან, პატრონმან გურიელმან გახტანგ, გიძღუენ შენ მთასა წმიდასა მთაბორს განბრწყინვებულსა ხატსა ღმრთაებისასა, ოდეს ცოდვათა ჩუენთა და უსჯულოებათათვის ჩუენთა შემცირდა პეშმარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩუენ ქრისტიანეთანი.

მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი სა[ა]თაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა, იწყო მოკლებად სჯულმა ჩუენმან და აღორძინებად სჯულმა მახმედისამან, მაშინ მას ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოიხრდა და აიშალა; და ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინვებული აქ გურიას ჩამოასვენეს, ვითარცა ექსორიაქმნილი; და ვითარცა ქრისტე დღეთა ჰეროდესთა, ვითარცა ეტყოდა ანგელოზი იოსებს: „აღდეგ და იქლტოდე ეგიპტედ“.

მას ჟამსა შინა აღვაშენეთ და შევამკეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს, და დავასვენეთ საძუალესა ჩუენსა წმიდა ხატი ესე შენი, მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუენისა და ძმისა ჩუენისა გურიელისა მამიას გასამარჯვებლად და ძეთა და ასულთა მისთა საოხად და აღსაზრდელად.

გაგვიწყივა ჩუენდა სასაფლაოდ ოთხმოცი კვამლის კაცით აზნაურისშვილებითა. და ამ საწინამძღვროზედ კანდელაკად მათე წინამძღვრის ძმისწული იოანე მგალობელი გოგიტიძე გვირჩენია. და ამა ტაძრისა შენისა კანდელაკობა მისთვის მიგეციემია ხუთის კომლის კაცით...

ამ კაცებით მირჩენია და შენთვის შემოგვიწირავს ჩუენის ცოდვილის სულის საოხად და საცხოვნებლად და გურიელის ჩემის ძმის პატრონის მამიას გასამარჯვებლად და საცხოვნებელად...

და ამა შენისა კანდელაკისათვის შენის მონასტრის მუდამ გაუყრელობისათვის წირვა-ლოცვისა და სამსახურისათვის წელიწადშიდ ჯამაგირი გიგვიჩენია ათი გვერდი ღომი და ხუთი ჭილა მარილი წელს მიეცემოდეს...

ამის მოწმენი არიან: შემოქმედელ მთავარეპისკოპოსი ბატონი ბესარიონ, სახლთუხუცესი მაჭუტაძე რამაზ, ართმელაძე ისაკ, ნაკაში-

1 საბალაოდ. 2 ურმოგინეს. 3 + და შიშთვილი იუდასი.

ძე მამუკა და სხუანი ჩუენნი დარბაზის ერნი ყოველნი უზედაესნი და უჭვედაესნი.

აწ ჩუენსა შემდგომად ყოველნო ბიჭვიტისა კათალიკოსნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ; ყოველნო მიტროპოლიტნო და მთავარეპისკოპოსნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ; ჯუმათელნო, ხინოწმინდელნო თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ; არქიმანდრიტნო, წინამძღვარნო, ქორეპისკოპოსნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ; ხელოსანნო, ჯელისუფალნო, ნაცვალნო, მოხელენო, ჩუენო კარის გამგებელნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ.

ხელთვა: გურიელი ვახტანგ

მინაწერი: „სპ (260) ზარზმის საყდარი რომ აღუშენებიათ, ეს ქორონიკონი ყოფილა“.

334. ბრძანება სიმონ I-ისა მეკობრის მძებნელთადმი

[1574 წ.]

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3373. დედანი. ქაღალდი. 14×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

ქ. უზედაესთა მოგახსენებთ და უჭუედაესთა გიბრძანებთ:

ვინგინდ[ავინ] კარიდალმა მეკობრის მძებნელი წარვლენილნი[1] იყუნე[თ], მერმე ხახულისა ღმრთისმშობლის ყმაზედა ნურას კელს დაიდებთ და ნურცარას შუა ხართ.

და ვისაც საყდრის ყმის ნამეკობრევი შეაჩნდეს, მისი ჯურუმი ს[აყ]დრისათუის შეგუიწირავს. და სამეკობრო პატრონისათუის გუიბოძებია.

ბრძანება და სიგელი ესე ნიშნად მოგუიხსენებია. ქორონიკონსა **სნიბ.**

ხელთვები ხვეულად: სვიმონ, ალექსანდრე? ელიმირზა?

335. შენირულების წიგნი გიორგი მეფისა ნიკორწმიდისადმი

[1591 წ.]

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება. P 22. დედანი. ეტრატის გრაგნილი 6 კეფად. ტექსტი მიწერილია მე-6 კეფის verso-ზე. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. პირველი სტრიქონის დასაწყისი მოგლეჯილია.

[ქ. ჩუენ ღმრთივ-გვირგვინოსანმან] მეფე თ-მეფემან პატ[რონ]მან გ[იო]რგი და ძემან ჩვენმან პირმშომა პატრონმან ლევან ვიგულვეთ და ვიგულისმოდგინეთ და შეშოგწირეთ ნიკოლწმიდას წმიდასა ნიკოლოზ[ს] ჩვენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად და სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და განსამარჯუებელად.

ზღვარდიას: ვაწაძე დავითაი და ბევრო-ზაი;

ქუღვარდიას: ნარიმანაული პარტახტი[1], ნანია ბერაძე, მიქელაი ბერაძე, ბერაულის პარტახტის ნახევარი, ბევროზა ბერაძე, გოგოლი ბერაძე, გიორგაი სოხაძე[2], მიხიტას სოხაძის პარტახტი, ბიჭუაი დვალი;

ხუვნიფუს: ზაქარიას ნასახლევი, ნინაი ბათხაძე, გოჩიაი ბათხაძე, მიქელაი მარკოზიშვილი, დათვიაი მარკოზიშვილი, გიორგი კენჭაძე, გოგნიაი კენჭაძე, მამუაი გაგოშიძე, ნასხიდაი კენჭაძე, ლომინაი კენჭაძე, მკერვალი კენჭაძე, მახიტაი კენჭაძე, მამუა კენჭაძე, დათინა მურუზიძე, გიორგობიანი დ[ე]მ[ე]ტრე და გოჩაი, დავით დაშრიანი;

ღვარდიას: მამუა ბერაძე;

ხოტევს: ნონია დაჩიბერიძე, გოგიჩა დაჩიბერიძე.

ამ კაცების ბეგრისაგან სრულიად შემოგუიწირავს და მოგუიკსენებია. ✝

მეტახარას: ხიზნია ომიაძე, ბეჟანა ომიაძე, გოგნა დაღუნდარიძე, სპანდია დაღუნდარიძე, ნონია დაღუნდარიძე, გიორგი ფოფხაძე, დაღუნდარიძის გიორგის პარტახტი.

ამათის ბეგრის ნახევარი და მუშაობა და სამსახური სრულობით საყდრისა ქნან. ამ ბეგრისაგან თორმეტს ლიტრასა სანთელსა ხატსა და ერთს ლიტრას...* მოაკმარებდეს და ერთსა ლიტრასა საკმელსა.

1 წარვენილნი.

1 პატრახტი. 2 საზძე.

* „და ერთს ლიტრას“ ჩაწერილია სტრიქონს შუა დედნის ხელით. ერთი სიტყვა გადასულია.

აწე ვინცა ესე ჩვენგან შემოწირული გლეხნი გამოახვას და გამოსწიროს, მოუშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ქორონიკონსა **სოთ.**

ხელრთვა: მეფე გიორგი ვამტკიცებ.

336. სითარხნის წიგნი სვიმონ I-ისა სვეტიცხოვლისადმი

[1599 წ.]

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 2329. დედანი. ქაღალდი. 16,8×14,5 სმ. დაზიანებული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

წყალობი[თა ღმრთისათა]

ჭ. მეფე მეფეთა სუიმეონ* უზეშთაესთა მო[გახსენ]ებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ. ქალაქის მოურავნო, მელიქნო, მამასახლისნო და სხუანო მოსაქმენო ვინგინდაინ იყუნეთ და ანუ ვინგინდაინ იქნებოდეთ.

მერმე ჩუენგან დადებული გუჯარი ვნახეთ და სუეტისცხოვლის მამულსა და ყმათა არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვების რა და არცარა ზდებია ერთის სათათროს საურისა და ულუფის მეტი. და ნურცა რას ჭელს თქუენ დაიდებთ, ნურცარას სთხოვთ და ნურცარას აქნევინებთ, ჩამოეხსენით. ქო-

ქორონიკონსა **სპზ.**

337. შეწირულების წიგნი მამია გურიელისა ბიჭვინტისადმი

[1610 წ. ახლო]

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2156. დედანი. ქაღალდი. 41×24,5 სმ. მზედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. შე[ნ], ცათა უვრცეულესო და ქერაბინთა უზეშთაესო და თვალებისაგანცა ანგელოზთა თვალთაგან თვალთშეუდგამო, შვიდ ცათა უმაღლესო ბიჭვინტისა ღმრთისმშ[ობელო], ჩუენ, ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მსახელმან სიწმიდისა შენისამან გურიელმან ბატონმან მამიამან და თანამეცხედრემან

* აქამდე ტექსტი დაწერილია სინგურით.

ჩუენმან დიდისა და მაღლის ჴელმწიფისა ათაბაგ-ამი[რ]სპასალარის ძემან და [ა]სულთან დედოფალმ[ან] ბატონმან თინათი[ნ], და ძემან ჩუენმან პირმშომან ბატონმან მანუჩარ და სვიმონ, შვილთა და მომავალთა ჩვენთა ყოველთავე გკადრეთ და შემოგწირეთ და მოგახსენეთ შენ, საშინელსა და ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა სახსრად და საოხად სულისა ჩუენისა და სადღეგრძელოდ[1], ძისა ჩუენისა აღსაზრდელად და ბატონობისა ჩუენისა წარსამართებლად, და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ნებსით და უნებლიეთ ცოდვისა ჩემისა სახსრად და აღსახოცელად ცოდვათა ჩუენთა, შვიდი კუამლი კაცი:

კოპლატაძე ხახუტაი, მისის[2] მამულითა, საფლავითა და ეკლესი[ი]ს კარითა, შესავალ-გამოსავალითა;

მამია ტოროზაძე, მისის სახკარითა, საფლავითა, ეკლესი[ი]ს კარითა, შესავლითა და გამოსავალითა;

იმარიდო ტრაპაიძე, მისის სახკარითა, საფლავითა, ეკლესი[ი]ს კარითა, შესავლითა და გამოსავალითა;

ხახუტაი ტრაპაიძე, მისის სახკარითა, საფლავითა, მამულითა, ეკლესი[ი]ს კარითა, მისის ყოვლისა ფერითა;

ზაქარიაი ტრაპაიძე, მისის სახკარითა, მამულითა, საფლავითა, შესავალითა და გამოსავალითა;

მამისაი მჭედლისშვილები, მისის სახკარითა, მამულითა, შესავალითა და გამოსავალითა.

ეს შვიდი კუამლი კაცი ასრე შეგვიწირავს ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის. ვინც კათალიკოზი [იყოს], მისთვის მიგვიბარებია. წელიწადსშია ოროლს ჟამს სწირებდეს მისის კრებულითა — ერთს მარიობას, ერთს ხორციელს შაბათს სულთაობასა.

და მამულს, რარიგაცა სხვა საკათალიკოზო მამულია, ისრე კათალიკოზი იხმარებდეს. და იმ კაცებს არა ეთხოვებოდეს რა საკათალიკოზოს გარეთ სხვის კაცისაგან სათემოს საქმის მეტი.

აწე რამანც ძემან კაცისამან: ან გურიელმან, ან კათალიკოზმან, ან ეფისკოპოზმან, თავადმან, ან აზნაურმან ესე ჩვენი სულისათვის შეწირული მამული ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა მოუშალოს, რისხავს ყოველნი წმიდანი ღმრთისან[ი], ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და ბიჭვინტისა ღმრთის-მშობელი; ნურა რამცა ეშველების ნურცარა ამ სოფელს და ნურცარა საუკუნოს.

1 სადღეგრძელოდ. 2 მისით.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან[1]. როდესაცა აქ მოხვიდოდე, აქ ჩემს საფლავზედა ჟამსა სწირებდე.

ხელრთვა: მ ა მ ი ა, თ ი ნ ა თ ი ნ.

338. შეწირულების წიგნი სვიმონ გურიელისა აჭის ეკლესიისადმი

[1614 წ. 3 ნოემბერი]

ცისა. ფონდი 1448. საბუთი № 534. დედანი. ქაღალდი. 79×35 სმ. დაზიანებული. კიდეები მოკრეცილია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

[ქ. შემო]გწირე მე, ტვირთმძიმობით ცოდვითა შებღალუ[ლ-მან გ]უ რ ი ე ლ მ ან პ ა ტ რ ო ნ მ ან ს ვ ი მ ო ნ მცირე ესე შ[ესაწირავი] სახსრად სულისა მამის ჩემისა ბატონის მ[ა]მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი ს ა თ ვ ი ს თქუენ — შვიდწილ უძლეველსა, სასწაულთმოქმედსა, მოწამეთა მთავარს, მხნესა, დიდსა წმიდასა გიორგის აჭისასა:

ერთი კვამლი კაცი მ ჭ ა ვ ა ნ ა ძ ე ს ი ქ ა ნ დ რ ა ი; მეორე— ი ვ ა ნ ა ტ ა კ ი ძ ე, მესამე — ბ ა ი ჭ უ ლ ა ი გ ო რ გ ი ო შ ი ძ ე; მეოთხე — მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი ს ა ლ უ ქ ა ძ ე; მეხუთე — გ ო გ ი ნ ა ი ს შ ვ ი ლ ი მ ზ ა რ ა უ ლ ი ამათის ყოვლისფერითა — ტყითა, წყლითა, მამულითა, საყანითა და საწინამძღროდ გავაჩინეთ.

და ვინც აჭის წმიდა გიორგის საყდარზედ წინამძღვარი იჯდეს, წელიწადშიდა თითო-თითო კუამლს კაცს თითო ცხვარსა მოაყუანინებდეს, ორი გვერდი ღმითა, ორი საწყავის ღვინითა, თევზი იყოს თუ ყუელი. ათს გიორგობას ვინც წინამძღვარი იყოს, ბატონი მამის ჩემისთვის დეკანოზითა და ერთის მო[ძღ]ვრითა ჟამს სწირევდეს. იმ ოთხი კვამლის ბეგარა რომ დარჩება თითო რუბი, იმ გლეხებს ხარაჯა მართებან, იმას წინამძღვარს მოუტანდენ ნაწირავში.

აწ ამ ხუთს კვამლს კაცს გარედ შემოგვიწირავს აჭ ს ტყე და წყალი უ ნ ა გ ი რ ა ს აქათ ს ა ნ ი ს ლ ო ს ჭ ვ ა ს შეკვეთს, იქიდამან ტ უ ე მ ა ვ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ს წ ი თ ლ ო ბ ა მ დ ი. წითლობი ნ ა ც ხ ა ვ ა ტ ე ვ ი ს ს ე რ[ს] რომ ჩამოსდევს, ნ ა ბ ა დ ა ი ს ა სერს აქეთი — ეს სალორფინედ შეგვიწირავს.

1 + ან.

როდესაც საყდარი გარდიჰედებოდეს ჭყიმარტით და ნაბადათ გარდიჰედებოდეს. ნაბადა დალმა ნ ა დ ი რ ა უ ლ ს ჩამოჰკუეთს, ნადირაულიდალმან მ დ ე ვ ი ს კ ა რ ს ამოღმა — ეს ხელშეუვალად წმიდის გიორგისათვის შეგვიწირავს.

რაც ამ ტყეშიდ ნადირი მოკვდეს, მარჯუენა კერძი წინამძღვარსა, მარცხენა — ვინც იმ საყდრის დეკანოზი იყოს.

რადგან შემოქმედლის სამწყსო არის და ეს აჭის საყდარი მის ხელთ ქვეშ არის, რომელიც შემოქმედლმა მოინდომოს წინამძღვარი, მან დასვას და შემოქმედლის მეტს კაცს იმაზედ ხელი არ ჭონდეს.

აწ ვინცა და რამანცა გვარმან კაცისამან ეს ჩვენგან გარიგებული და შეწირული მოგომალოს ან ამ[ის შ]ლად ხელყოს, რისხავსცა მამა, ძე და სული [წმიდა] და [ყ]ველანი [მისნი] წმიდანი ზეცისანი [და ქუეყნისანი], უხორცონი და ხორციელნი.

ან დიდებულ[მან, ან] გურიელმან, ან ებისკოპოზმან ეს მოშალო[ს], რამანცა გვარმან კაცისამან, არსმცა მის შორის კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, დათქმა დათან და აბირონისი, სოდომელ-გომორელთანამც იქნება ნაწილი მისი და ჭრისტეს ჯვარის-მცმელთანაც დაემკვიდრება, ამინ.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა **სამასდა ორსა**, თუესა ნოემბერსა სამსა, დღესა კვირიაკესა, ჟამსა მეოთხესა დღისასა. ამინ და კირიალეისონ.

ხელრთვები: 1. ს ვ ი მ ო ნ. †
2. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი
3. დ ა დ ი ა ნ-გ უ რ ი ე ლ ი გ ი ო რ გ ი

339. ზემო ქართლის სარდლობის წყალობის წიგნი რუსტოვ მეფისა გეჟან ამილახორისადმი

[1633 26 მარტი]

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2125. დედანი. ქაღალდი. 38,3×16,3. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. აქვე დაცულია საბუთის მეორე დედანიც (Hd 2126), რომელიც რედაქციულად ზოგიერთ უმნიშვნელო განსხვავებას შეიცავს. ორივე ხელნაწერის ზურგზე რვა სტრიქონიანი სპარსული ტექსტია და ქართული მინაწერი: „ზემო ქართლის სარდლობისა სასარდლოსა“.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ, მ ე ფ ე მ ან პ ა ტ რ ო ნ მ ან რ ო ს ტ ო მ, ესე წყალობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ

თქუენ — ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ამილახორს პატრონს ბეჟანს, მას ჟამსა, ოდეს ღიეხუს ზედათ და ლიეხუს ქუეშეთ ქართლის ქუეყანა თქუენის სახლისკაცის სასარდლო ყოფილა.

აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თავადისა, აზნაურისშვილისა, ბერისა და ერთობილთ ყოელის კაცის, რარიგადცა ამას წინათ თქუენი სახლისკაცი სარდარი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქუენთჳის გუიბოძებია. როდისცა ჩუენი წიგნი და ბრძანება მოგჳივიდეს, რარიგადცა მოგახსენოთ, იმრიგად შეიყარეთ და სადაც* ჩუენი ბრძანება** იყოს, იქ შემოგჳეყარენით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩუენი ბრძანება გატეხოს, რათაც სამართლით ემართლებოდეთ, გაუწყერით, გარდაკჳდეინეთ და ჩუენი ბრძანება და სამსახური გაათაეთ. ქორონიკონსა ტკა.

ბეჭედი: ყაენის ფეჯთა მტუერი როსტომ მეფე ვამტკიცებ.

340. შეწირულების წიგნი ვამეყ დადიანისა გიორგი მეფისადმი

[1659 წ.]

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2153. დედანი. ქაღალდი. 56×24 სმ, მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია.

ეჰა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყო[ფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანნას] მორჩო რტო [გარ]დაფენილო, სოლ[ომ]ონ[ის ვენახო რქა მეწამულო], დავითის ყუავილო დაბადებულთა სურნელმყოფელო, იესეს დ[იდებითა] აღუყავებულო, იუდას შროშანო, ყოველთა [დაბადებუ]ლთა სამ[კა]უ[ლო], იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებულო, ისაკის ვარდო [უბი]წოებით აღყუავებულო, აბრამის კერტო დიდებით [აღმოფრ]ჩენილო, სემის დასაბამო, ნათესავთა დიდებავო, ნოეს სუ[ლისა ს]ამოსელო დაულპოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უ[ჩ]ინო მყოფელო, ადამის დიდებავო, სამოთხეო პირმეტყუელო, ღმრთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა ღმრთისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა [დედად ქალ]წულებით უთესლოდ შშობელო, განწესებულად სულისა [წმიდისა] ტაძარო, სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთი სამებისაგან შეიწყნარე და უაღრეს ყოველთა დაბადებულთა უშევ ძე მხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყუანე ღმერთი ჭეყანად და აღიყუანე ადამ ზეცად; [შენ აღ]ამაღლე ბუნება ესე დაცემული და დასვი საყდართა ღმრთაებისათა რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნება ადამისი და შევ ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა, ამისთვისცა მიიღო, რომლისა იგი მიღებად გული უთქმდა ადამს.

შენ მშვიდობა შევ შორის ცათა და ქუეყანისათა სისხლისა ძისა შენისათა; შენ დახსენ მტერობა იგი პირველ[ი], რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქუეყანასა ზედა და მიწისა ცათა შინა; შენ, ღრუბელო ხალისავო, რომელმან ცვარი სიხარულისა და ცვარი ცხოვრებისა და ცვარი სიტკბოებისა აცვრიე და აღავსე ქუეყანა ურწყ[ული ნ]აყოფითა მრავალფერითა, რომლისაგან განუბღომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა;

შენ, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო, ჩუენო სასოებავ და შესავედრებელო, ტკბილო და მოწყალეო, მეოხო და ნუგეშინის მცემელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო!

ჩუენ, ცვა-ფარვათა. შენთა მონდობილმან და მსაზოებელმან ძისა და მეუფისა შენისამან, ჩუენ, კელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეუღლემან ჩუენმან გურიელის ასულმან დედოფალმან პატრონმან ელენე და ძეთა ჩუენთა გიორგიმ და ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულებთ მოდგინეთ, [გ]ადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულიად მისის მამულითა და ორის სასახლითა ოღუაწკითა და ღეის ტყითა, სრულიად მისის შესავლითა და გამოსავლითა ჩუენდ[ა] წასამართებელად და დღეთ[ა] ჩუენთა სიგრძისათვის და სულისა ჩუენისა საოხად;

მას ჟამსა, ოდეს მადლითა და ბრძანებითა თქუენითა გარდაიცვალა დადიანი ბატონი ღევან და ჩვენ გავბატონდით, ყოველს საყდარს ცო[ტ]-ცოტა რამე შევსწირეთ. და მერმე დაგველაპარაკა ბატონი გენათელ კათალიკოზი ზაქარია ქუარიანი. გავსინჯეთ და სრულად ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არა ქონდა კათალიკოზს, რომე დღესასწაული გარდაეხადა. და ხან ერთს ეპისკოპოზს ჩაუდგებოდა შინ და ხან მევორეს;

* ამ სიტყვის გასწვრივ მარცხენა კიდეზე უზის პატარა სპარსული ბეჭედი.
* აქ ტექსტში უზის პატარა ოვალური სპარსული ბეჭედი.

და ეპისკოპოზები მწყედ გარჯით და დაღონებით იყუნენ; და ამისთვის შევსწირეთ რომე, როდესაც კათალიკოზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯუარსა და ომფორს იქ საყდარს დაასვენებდენ.

და გავაჩინეთ ამისთვის: ვინც ვინ კათალიკოზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ, ამაღლების დღეს ჩუენის სულის სავოხად და სახსრად ჟამს გვიწირვიდენ. თვარადა, იმ დღეს ოდიშს ვერ დაესწრათ, ამ თორმეტს საუფლოს დღეშიდ იმ საყდარს ჟამს გვიწირვიდენ, რათა არა განვარღეთ სასუფეველისაგან.

ეს მამული, საყდარი, სასახლე ასე გარიგებით ბატონ კათალიკოზის ზაქარიასათვის მიგვიბარებია.

აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: დიდმან ანუ მცირემან, დადი[ანმან ანუ დ]ედოფალმან, კათალიკოზმან ანუ სხვა ვინმე ბატონმან ამისად შლად, ქცევად და გამოხმად ჭელჰყოს, მასცა რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და მხოლოდ შობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა და სული წმიდა ცხოველსმყოფელი მამისაგან გამოსრული;

შე-მცა-ედებ[ი]ს ძრწ[ო]ლა კაენისა, შიშთვილი [ი]უდასი, მეხდატეხა დივოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი, დანთქმა დათან და აბირონისი; და მას ზედამც მოიწევის წყევა მეასდარვისა ფსალმუნისა და იუდას თანამც დაისჯების სული და ჯორცი მისი; და ნურარათა სინანულითა არის ხსნა სულისა მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკუ[რთხნეს და] ბიჭვინტისა ღმრთისმშობელმან.

და მომშლელი ამისი წყეულ, კრულ და შეჩუენებულ იყოს ცათა შინა და ჟუეყანასა ზედა.

დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ჭრონიკონსა **ტმზ**, ჭელითა ჩემ ცოდვილისა კათალიკოზის მგალობლის თ ა მ ა ზ ა ს ი თ ა.

ხელრთვები: ვ ა მ ე ყ, ე ლ ე ნ ე.

341. შეწირულების წიგნი ქაიხოსრო გურიელისა აჭის ეკლესიისადმი

1660 წ. ახლო

Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1879, გვ. 192—193.

შენ, დიდებულო ღუაწლისა მძლეველო მხედარო, მრავალთა სასწაულთა მოქმედო, რომელმან იცან ერთი სამებისაგანი ქრისტე უფალი ღმერთი ჩვენი, არცხვინე ურწმუნოთა და იწამე ქრისტესთვის და მან მოგცა სამას სამოცდახუთი სასწაული მოქმედება, ზღუათა და ხმელეთთა განჭმულო, მოწამეთა მთავარო, წმიდაო გიორგი აუისაო, გეუდრები მე, გ უ რ ი ე ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო.

მას ჟამსა, ოდეს თქუენს საყდარს სიმაგრეშიდ ვიყაჟით, გამოგუიზახა დ ა დ ი ა ნ მ ან ვ ა მ ე ხ მ ა თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი იმერელნი, ოდიშარნი, შ ა რ ვ ა შ ი ძ ე; ჩუენი საპატიო კაცებიც თან ახლდენ, მოგვიხდენ და შუა გურია დაარბიეს.

და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქუენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით ოზურგეთს; სასახლეში დამაგრდენ ისინი: დავესხით თავსა, გურული ჩუენი საპატიო კაცები დავირჩინეთ, წამოვიყვანეთ; მეორეს დღეს ციხე-დარბაზი ევიღეთ. გ ი ო რ გ ი შ ო უ ს ტ ა ნ ი, დ ა დ ი ა ნ ი ს ძ მ ა ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ი, ჰ ი ლ ა ძ ე, მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ჯ ი ჯ ა ვ ა ძ ე ნ ი, ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე ნ ი, ჯ უ მ ა თ ე ლ ი ს ე ს ი ა ს შ ვ ი ლ ი სარდალი იყო, — ესენი ყველა დავირჩინეთ.

მოვედით თქუენს წინაშე გამარჯვებულნი ძალითა და შეწევნით შენითა, შემოგწირეთ ერთი კუამლი კაცი მ ა მ უ კ ა ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე, მეორე კუამლი კაცი პ ა ტ ი ა ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე, გ ე გ ი ძ ე ბერთან რომ დგას, მესამე კუამლი კაცი მ ა კ ვ ა ნ ე თ ს პ ა ტ ი ა ა ნ თ ე ლ ი ძ ე. ეს სამი კუამლი კაცი ან ხარს იშოვნიდეს ან სამს ცხვარსა; აპრილისა ოცდასამსა [და] გიორგობას წინამძღუარი, მისი კრებული ხუცები ჟამს გვიწირავდენ ამ სამის კაცის ნაწირავად.

სხუა ჩვენის ბაჟისაგან გაგვიჩენია ხუთი ოკა რკინა, ხოლო ჩვენის სასაფლაოს წინამძღუარი დაგვისვამს ი ო ს ე ბ მ ე ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე, ჩვენის სასაფლაოს მეტოქად იყონ. შ ე მ ო ქ მ ე დ ს ჯ ი ჯ ა ვ ა ძ ის ჯაჭვი, ხრმალი[1] და ლახტი შემოგვიწირავს. შეიწირე კანონიერი ესე შესაწირავი, დაგვიმკვიდრე გურია და აღზარდენ ძენი ჩვენნი გ ი ო რ გ ი ბატონისშვილი.

და რამანცა ადამის ტომმან შენ ეს გამოგწიროს და მოგიშალოს, რისხაუს შენი ძალი და ღუთისა საშინელი. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხოს ღმერთმან.

სხვა ამის დავთრები ძველს ჩვენს ნათესავთაგან შ ე მ ო ქ მ ე დ ს შეწირული არის. ტყე და წყალი როგორც შეწირულია, ჩვენ ისე გაგვიახლებია და დაგვიმტკიცებია, ამინ.

[1] რხმალი.

342. შეუვალობის სიგელი გამეუ დადიანისა აფხაზეთის კათალიკოს სვიმეონ ჩხეტიძისადმი

1661 წ.

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 2154. დედანი. ქაღალდი. 67×27,3 სმ. დაზიანებული. თავი აკლია. მარცხენა ზემო კიდე მოკრეცილია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. შემოკლებით და არა დედნის მიხედვით დაიბეჭდა: „ქართ. სამართ. ძეგ.“ II, გვ. 223—224.

[ქ. ეჰა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო. რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო. რქაო მეწამულო, დავითის ყვავილო. დაბადებულთა სურნელმყოფელო, იესეს დიდებითა აღყვავებულო, იუდას შროშანო, ყოველთა სამ[კაუ[ლო], იაკობის კიბეო ზე[ცად მიმ]ართ აღმართებულო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრამის [ცვ]რტო დიდებითა აღმოფრჩვენილო, სემის დასაბამო, ნათეს[ა]თა დიდებაო. [ნო]ეს სულისა სამოსელო დაულპოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უ[ჩ]ინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მამისაო მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა ღმრთისა მხოლოსა პირველ სა[უკუ]ნეთა მამისაგან შობილის დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელო განწესებულა[დ] სულისა წმ[ი]დისა ტაძარ-სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთი სამებისაგან შეიწყნარე და უაღრეს ყოველთა დაბადებულთა [უ]შევ ძე მხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყვა[ნე] ღმერთი ქუ[ე]ყნად და აღიყვანე ადამ ზეცად; შენ აღამაღლე ბუნება ესე დაცემული და დასვი საყდართა ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნება ადამის და შევ ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა; ამისთვისცა მიიღო, რომლისა მი[ღე]ბად გული უთქმად ადამს.

შენ შშვიდობა შევ შორის ც[ა]თა და ქვეყანისა სისხლისა ძისა შენ[ი]სათა; შენ დახსენ მტერობა იგი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქვეყანასა ზედა და მ[ი]წისა ცათა შინა; შენ, ღრუბელო ნათლისაო, რომელმან ცვარი სიხარულისა და ცვარი ცხ[ო]ვრებ[ისა] და ცვარი სიტკბოებისა აცვარე და აღავსე ქვეყანა ურწყული ნაყოფითა მრავ[ა]ლფერითა, რომლისაგან განუძღომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა.

შენ, შვიდ ცათა უმაღლესო [და] ქერაბინთა უხეშთაესო, ჩვენო სასოებავ და შესავედრებელო, ტკბილო და მოწყალეო, მეოხო და ნუგეშინისმცემელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო!

ჩვენ, ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან ძისა და მეუფისამ შენისამა, ჩვენ, ჰელმწიფემან მეფე-მეფემან დადიანმან ვამეყ და თანამეუღლემან ჩვენმან გურიელისა ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ელენე და ძეთა ჩვენთა გიორგი და ბაგრატ [გ]კადრეთ და მოგახსენეთ, მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ, ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და მას შინა დადგინებულსა ქუთათელ კათალიკოზსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმეონს.

ასრე რომე, საკათალიკოზო მამულები სადაც იყო, ყოველგან ვინგინდავის სახელოთ ჭონდა საბატიოს კაცებსა. და აწ ბატონო კათალიკოზო, თქვენ მოინდომეთ და დაგვეჯენით. და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზოს მამულზედა და ალაგებზედ ყოველგან მოურავი ჩვენს საბატ[ონო]ში.

ასრე რომე, ვერამ ჩვენმა შემდგომ[მ]ა ბატონმა და დედოფალმა და კათ[ა]ლიკ[ო]ზმან ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამულსა და ალაგებზე, თუ არ იმავ ჯატის ყმა, სხვა კაცი მოურა[ვ]ად არ დავსვათ და არცავის სახელოდ მივსცეთ; და [ა]რცავის ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამული და ყმები ჩვენ საძალოდ და საავკაცოდ[1] არავის დავანებოთ.

და ამას გარეთ სამართალიც ასრეა და ძველთაგანც ასრე ყოფილა, რომ: კათალიკოზის უკითხავათ და უნებურად ეფისკო[პო]სობა არ გაცემულა; და[2] არც ჩვენ დღეს ამას იქით თქვენდ უკითხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპ[ო]სი არ დავსვათ და არც ეპისკო[პ]სობა გავსცეთ.

და ვინცა ვინ სარჯულოს საქმეზედა თქვენ წინ აღგიდგეს და გაუწყურ[ე]ო, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ. და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მანამდის არც ჩვენ შევირიგოთ.

---

[1] საეკლესიო. [2] + დ.

და როგორაცა მის დღეშიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოში სხვათა კათალ[ი]კოზებს ჩვენგან და[1] ამ სახლის ბატონებისაგან პატივი სდებოდეს[2], არც ის მოგიშალოთ. და ჩვენც მწყალობელნი და კარგნი ვიყ[ვ]ნეთ თქვენთვის.

და აწე, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: დიდმან ანუ მცირემან, ანუ მეფემან, ანუ[1] დადიანმან, ანუ დედოფალმან და ანუ კათალ[ი]კ[ო]ზმან და ანუ ვინმე სხვამ ბატონმან, ეს ჩვენგან დადებული სიგელი და გარ[ი]გებული საქმე მოუშალოს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და ამისად შლად და გამოხმად ქელჰყოს, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და მხოლოდ შობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა და სული წმიდა ცხოველსმყოფელი, მამისაგან გამოსრული;

შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, მეხ-დატეხა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი, დანთქმა დათან და [ა]ბირონისი; და მაზედამცა მოიწევის წყევლა მეასდარვისა ფსალმუნისა; და იუდასთანამც დაისჯების სული და ხორცი მისი და ნუარათა სინანულითა არის[3] ჴსნა სულისა მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელმან. და მომშლელნი ამისნი წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქორონიკონსა **სამას მთ ორმოცდაცხრასა.**

ხელრთვები: მეფე ვამეყ. ელენე.

343. შეწირულების წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტისადმი

1660—1662 წწ.

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 2155. დედანი. ქაღალდი. 41×25,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ეჰა შენ, შვიდთავე ცათა უმაღლესო და სერაბინ და ქერაბინთა უპატიოსნესო, [უ]ბიწოდ მშობელო ქრისტეს ძისა ღმრთისა, ქალწულო თვალო და დედათა დიდებავო, ქრისტიანელთა სიქადულო, მორწმუნეთა სამკაულო, ღმრთისა და კაცთა შემაერთებელო დიდისა და ცათამდის აღწევნილისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა დედა-ქალწულისა და დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა[1] ღმრთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ, რომელმან შეე ერთი წმიდისა სამებისაგანი ქრისტე უფალი ადამინთა ხსნისა და ცხორებისათვის, რომელი ჯარ თავსმდებ და წინამძღვარ ქრისტიანელთა შენგან შობილისა ქრისტეს ძისა ღმრთისა მიმართ.

ჩუენ, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან და მოსავმან წმიდისა სახელისა შენისამან ღმრთივ-აღმაღლებულმან და ღმრთისა მიერ დამყარებულმან ნეტარისა და დავითისა მოსახელემან და ღმრთივ ზეგარდმო ცხებულმან და ღმრთისა მიერ ახალ გვირგვინოსან მყოფელმან ლიხთიმრისა და ლიხთიმრისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მჭონებელმან დიდმა მეფე-მეფემან ქელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ და დიდისა გურიელისა მამიას ასულმან დედოფალთ-დედოფალმან ბატონმან ელენემ და ჩვენგან გაზრდილ გაკეთებულმან გურიელმან პატრონმან დიმიტრიმ;

მას ჟამსა, ოდეს ძალითა და შეწევნითა შენითა და ძისა შენისათა სრულიად საქართველო დავიპირეთ, იმ დროსა ბიჭვინტის[1] ღმრთისმშობელსა შამოგწირეთ გურიას წმიდის კვირიკეს საყდარი ძიმითისა და მისი დეკანოზი და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუჟაი კბილიანისშვილი, მისის ცოლ-შვილითა, სახლკარითა, ალაგითა, ჭურ-მარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, სათიბითა და სასაძო[ვ]რეთა, ეკლესიითა და სასაფლავოთა, მთითა და ბარითა და მისი ყმა მამია ქართველაისშვილი, ნასხიდაი რამისშვილისსეული, მამისთვალი ნანაძე, გიორგისაი მგელაძე, სეხნიაი და ზაზუტაი კბილიანისშვილი, გაბრიელ კალანდარისშვილი, გიორგი მჩხაიძე ჯუმლად, რაც შინ ყმა ყავდეს, იმიანთ; ეს რვა კაცამლი კაცი მათის ცოლ-შვილითა, სახლკარითა, ჭურ-მარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელნი იყუნენ, მათის სამართლიანის ყოვლისფერითა.

---

1 + და. 2 ზდებოდეს. 3 არისი.

1 მიჭვრტის.

სხვა ამას გარეთ ამათი ხარაჯა ბიჭვინტის[1] ღმრთისმშობლისათვის შეგვწირავს. არც არავის ჯორციელის კაცისაგან ეთხოვნებოდეს. გურიას შამოგვიწირავს ჩვენდა ამა სოფელსა სადღეგრძელოთ და ჴელმწიფობისა ჩვენისა წასამართებელად და პირშეოთა ძე-ასულთა ჩუენთა აღსაზრდელად, დღესა მას საუკუნესსა სამჭვრელისასა ცოდვილისა სულისა ჩუენისა სახსრათ და სავოხათ, რათა ფარეგდენ სიწმიდე შენი ცხორებასა ჩუენსა წმიდა ვიდრე ჟამთა უკუნისამდის, ამინ.

აწ ეს ჩუენგან შეწირული და გარიგებული რამანცა ძემან და გვარმან კაცისამან გამოწიროს და მოგუშალოს, მასაც რისხავს ტაბილი დაუსაბამო ღმერთი და შენგან უბინოდ შობილი ქრისტე უფალი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი.

კვირესა მოშალოს, აღდგომა ქრისტესი რისხავს; ორშაბათსა მოშალოს, მთავარანგელოზნიმცა რისხავს; სამშაბათსა მოშალოს, ნათლისმცემელი იოვანე რისხავს; ოთხშაბათსა მოშალოს, ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი რისხავს; ხუთშაბათსა მოშალოს, ათორმეტი მოციქული რისხავს; პარასკევსა მოშალოს, ჯუარი პატიოსანი რისხავს; თუ შაბათსა მოშალოს, სული წმიდამცა რისხავს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ვიდრე ჟამთა უკუნისამდის, ამინ.

კათალიკოზი სვიმეონისთვის მიმიცემია, ღმერთმან უბედნიეროს. რამანც გვარმან კაცმან, ან დიდმან ან მცირემან, ეს მოგუშალოს, ჩვენდა ნუქაფად ის განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ.

ხელთა: ვამეყ, ელენე.

344. შეუვალობის სიგელი გიორგი გურიელისა აფხაზეთის კათალიკოს სვიმეონ ჩხეტიძისადმი

1664 წ.

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3991. დედანი. ქაღალდი. 79×28 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. შემოკლებით და არა დედნის მიხედვით დაიბეჭდა: „ჭართ. სამართ. ძეგ.“ II, გვ. 225—226.

ქ. ეჰა ასულო შენიერო, [ი]ოვაკიმის [ნ]აყოფო, სი[ტყბოებ]ით აღსავსეო[1], ანას მო[რ]ჩო, რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო რქაო მეწამულო, დავითის ყვავილო დაბადებულთა სურნელმყოფელო, იესეს დიდებითა აღყვავებულო, იუდას შროშანო, ყოველთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებულო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრაამის კვირტო დიდებითა აღმოფრჩვენილო, სემის დასაბამო, ნათეს[ა]ვთა [დ]იდებაო, ნოეს სულისა სამოსელო დაულპოლეელო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო[1], სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მამისაო მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა ღმრთისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილს დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელო გაწესებულად სულისა წმიდისა ტაძარ-სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთი სამებისაგან შეიწყნარე და უალრეს ყოველთა დაბადებულთა უშენ ძე მხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყვანე ღმერთი ქვეყნად და აღიყვანე ადამ ზეცად; შენ აღამაღლე ბუნება ესე დაცემული და დასვი საყდართა ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნება ადამის და შენ ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა; ამისთვისცა მიიღო, რომლის მიღებად გული უთქმდა ადამს.

შენ მშვიდობა შენ [შორის] ცათა და ქვეყანისა სისხლის ძისა შენ[ი]სათა; შენ დახსენ მტერობა იგი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქვეყანასა ზედა და მ[ი]წისა ცათა შინა; შენ ღრუბელო ნათლისაო, რომელთან ცვარი სიხარულისა და ცვარი ცხოვრებისა და ცვარი სიტკბოებისა აცვარე და აღავსე ქვეყანა ურწყული ნაყოფითა მრავალფერითა, რომლისაგან განუძღომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა.

შენ, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო, ჩვენო სასოებავ და შესაევედრებელო, ტკბილო და მოწყალეო, მეოხო და ნუგეშინისმცემელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა!

ჩვენ, ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მსახებელმან ძისა და მეუფისა შენისამა, ჩვენ, გურიელმან ბატონმან გიორგი და დედა ჩვენმან დედოფალმან ბატონმან ხვარამზემ და ბატონისშვილებმან მალაქიამ და ოტიამ გკადრეთ და მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ, ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და

[1] ბიჭვინტისა. [2] აღსავსეო.

[1] დიდებავო.

მას შინა დადგინებულსა ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზ-ქუთათელსა ჩხეტიძესა ბატონს სვიმეონს.

ასრე რომე, ძველადგან ამ სამს საბატონოშიგა სამართალიც ასრე ყოფილა და დღესაც ასრე არის: კათალიკოზის უკითხავად და ნებადაურთავად ეფისკოპოზობა არც გაცემულა და არცა ვის გამორთმევნია.

და არც ჩვენ დღეს ამას იქით ამ ჩვენს საბატონოშიდ თქვენად უკითხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპოზი არ დავსვათ; და არც ეფისკოპოზობა გავსცეთ, და არცავინ გარდავაყენოთ, და არცავის საწინამძღ[ვ]როები მივსცეთ თქვენად უკითხავად.

და ვინცავინ სარჯულოს საქმეზედან თქვენ წინაღგიდგეს და გაუწყრეთ და შეაჩვენოთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ. და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მადამდის არც ჩვენ შევირიგოთ.

და როგორაცა მის დღემიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოშიგა სხვათ კათალიკოზებს ამ სახლის ბატონებისაგან პატივი სდებოდეს, არც ის მოგიშალოთ. და ჩვენც გულმართლად თქვენთვის მწყალობელნი, კარგნი და მოპატივენი ვიყოთ.

და რაც ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამული იყოს ჩვენს საბატონოშიგა, არცავის საძალოდ და სა[ა]ვაცოდ ის დავანებოთ; და არცარა ძალი და უსამართლობა დავატანოთ.

აწუ, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ეს ჩვენგან დადებული სიგელი და გარიგებული საქმე მოუშალოს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა და ამისად შლად და გამოხმად ხელჰყოს, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და მხოლოდ შობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა და სული წმიდა ცხოველის-მყოფელი მამისაგან გამოსრული;

შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატება დიოსკორესი, სირცხვილი კრისენტი და საბიანესი, დანთქმა დათან და აბიორონისი და მაზედამცა მოიწევის წყევა მეასდარვისა[1] ფსალმუნისა და იუდასთანამც დაისაჯების სული და ხორცი მისი და ნურარათა[2] სინანულითა არის ხსნა სულისა მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აყურთხნეს და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელმან. და მომშლელნი ამისნი წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

1 მეასდარვეისა. 2 ნუ რარაათა.

დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქორონიკონსა **ტმიბ**, სამას ორმოცდათორმეტსა.

ხელთვება: გიორგი. ხვარამზე.

345. შეჯირულების განახლების წიგნი გიორგი გურიელისა ბიჭვინტისადმი

1664 წ. ახლო

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 2157. ქაღალდი. 42,2×28,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

[ქ. ეჰ]ა შენ, შვიდთავე ცათა უმაღლესო და სერაბინ და ქერობინთა უპატიო[სნესო, უბი]წოდ მშობელო ქრისტეს ძისა ღმრთისა, ქალწულთა თვალო და დედათა დიდებავო, ქრისტეანელთა სიქადულო, მორწმუნეთა სამკაულო ღმრთისა და კაცთა შემარეთებელო დიდისა და ცათამდის აღწევნილისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა დედაქალწულისა და დიდისა ემბაზისა ბიჭვი[ნ]ტისა ღმრთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ, რომელმან შენ ერთი წმიდისა სამებისაგანი ქრისტე უფალი ადამიანთა ხსნისა და ცხოვრებისათვის, რომელი ხარ თავსმდებ და წინამძღვარ ქრისტეანელთა შენგან შობილისა ქრისტეს ძისა ღმრთისა მიმართ.

ჩვენ, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან და მოსავმან წმიდისა სახელისა შენისამან, ჩვენ, გურიელმან ბატონმან გიორგიმ და დედაჩემმან დედოფალმან ბატონმან ხვარამზემ, მას ჟამსა, ოდეს დადიანსა ვამეყს და დედოფალსა ელენეს გურიას ჩვენი საყდარი კვირიკე წმიდა შემოეწირა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის იოვანე დეკანოზი და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუქა, მათის გლეხებითა და მამულითა.

და აწ ჩვენ გაგვიახლებია და ჩვენ შემოგვიწირავს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო წმიდის კვირიკეს საყდარი ძმითისა და მისი დეკანოზი იოვანე და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუქაი კბილიანისშვილი, მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა, ჭურ-მარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, სათიბითა და სასაძოვრეთა, ეკლესი[ი]თა და სასაფლავოთა, მთითა და ბარითა და მისი მამია ქართველაისშვილი, ნასხიდაი რამისშვილისსეული, მამისთვალი ნანაძე, გიორგისაი მგელა-

ძე, სეხნიაი და ზაზუტაი კბილიანისშვილი, გაბრიელ კალანდარისშვილი, გიორგი მჩხაიძე ჯუმლად, რაც შინ ყმა ჰყავდეს, იმიანად.

ეს რვა კვამლი კაცი მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მჭონებელი იყვენ მათის სამართლიანის ყოველისფერითა.

სხვა ამას გარეთ ამათი ხარაჯა ბიჭვი[ნ]ტის ღმრთისმშობლისათვის შეგვიწირავს, არცარა ვის ჯორციელის კაცისაგან ეთხოვებოდეს რა.

შემოგვიწირავს ჩვენდა ამა სოფელსა სადღეგრძელოდ და ბატონობისა ჩვენისა წასამართებელად და გასაძლიერებელად და ძისა ჩვენისა აღსაზრდელად და დღესა მას საუკუნესა საშჯელისასა ცოდვილისა სულისა ჩვენისა სახსრად და საოხად[1], რათა ფარეგდენ სიწმიდე შენი ცხორებასა ჩვენსა წმიდა ვიდრე ჟამთა უკუნისამდის, ამინ.

აწ ეს ჩვენგან შემოწირული და გარიგებული რამანცა ძემან და გვარმან კაცისამან გამოგწიროს და მოგიშალოს, მასამც რისხავს ტკბილი დაუსაბამო ღმერთი და შენგან უბიწოდ შობილი ქრისტე უფალი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი.

კვირესა მოშალოს, აღდგომა ქრისტესი რისხავს; ორშაფათსა მოშალოს, მთავარანგელოზნიმცა რისხავს; სამშაფათსა მოშალოს, ნათლის მცემელი იოვანე რისხავს; ოთხშაფათსა მოშალოს, ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი რისხავს; ხუთშაბათსა მოშალოს, ათორმეტი მოციქული რისხავს; პარასკევსა მოშალოს, ჯვარი პატიოსანი რისხავს; თუ შაბათსა მოშალოს, სული წმიდამცა რისხავს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ვიდრე ჟამთა უკუნისამდის, ამინ.

კათალიკოზ სვიმეონისთვის მიგვიცემია, ღმერთმან უბედნიეროს.

რამანც გვარმან კაცმან ან დიდმან ანუ მცირემან ეს მოგიშალოს, ჩვენდა ნუქ[ა]ბად ის განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ.

ხელრთვა: გიორგი გურიელი.

1 საოხად.

346. ჯამაგირისა და ულუფის გაჩენის წიგნი შაჰნაზარისა დავით გარეჯისადმი

1672 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 61. დედანი, ქაღალდი. 49,7×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

ქ. გაგუიჩენია ჩუენად სადღეგრძელოდ და სასულიერიოდ დავით გარეჯის უდაბნოს მდეგს მონაზუნებისათვის[1] ნიადაგ წლისთავის:

თეთრი მინალთუნი თხუთმეტი; სანთელი ლიტრა სამი; საკმეველი ნახევარი ლიტრა; სანთლის გული ნახევარი ჩარექი, ზურგიელი ოცი; ხიზალალა ლიტრა თოთხმეტი; ბრინჯი ლიტრა ოცდაათი; ერბო ლიტრა ხუთი; კანდელისათვის ზეთი ლიტრა შვიდი; ყუელი ლიტრა ოცი; მარილი ლიტრა თორმეტი; ლობიო² და მუხუდო ლიტრა თორმეტი; ნიგოზი ლიტრა ხუთი; ძროხის ტყავი ორი; პური კოდი ოთხმოცდა თექუსმეტი; მატყლი ლიტრა ათი; თუ თავისა მოსავალი არა ჰქონდეს, ღვინო საპალნე ხუთი.

ასრე უნდა ჩუენი კარის მოჯელნი ნიადაგ წელიწადს გაურჯელად მიაბარებდენ.

ქორონიკონს **ტნი.**

ხელრთვა: შანაზარ.

347. კათალიკოსობის ბოძების წიგნი ლევან დადიანისა დავით ნემსაძისადმი

1678 წ.

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 2141. დედანი. ქაღალდი. 38×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი ან სამი წერტილი. მარჯვენა ზემო კიდე დაზიანებულია. საბუთი უთარიღოა. დავითი კათალიკოსად დაჯდა 1673 წელს. საბუთიც ამ წლით თარიღდება.

ქ. თავად დაუსაბამოს დამბადებლის ღმრთისათა და [ყოველ]თა მისთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე საბოლოვოდ გასათა[ვებელ]ი წყალობისა წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ, დადიანმან პატრონმან ლეონ და თანამეცხედრემან ჩუენმან მეფისა ასულმან დედოფალმან ბატონმან თი-

1 მონაზუნებისათვისათვის. 2 ლებიო.

ნათინ და ძმამან ჩუენმან მანუჩარ თქუენ, კათალიკოზს ნევსაძეს ბატონსა დავითს, ესე და ამა პირსა ზედან, რომე:

მოგვადექით კარსა და გეეაჯენით; და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გავსინჯეთ და დიაღ, თავდადებ ჩუენი ნამსახური და ნაერდგულევი იყავით ჩუენზედ; და ბატონის მეფის ნებადართულობითა ავიღეთ და კათალიკოზობა მოგართვით, გვიბოძებია და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულობაშიდ.

ასრე რომე, რომელიცა სხვას კათალიკოზს დადიანისაგან კითხოდეს ამ ოდიშის ქუეყანას, აგრევე ჩუენც ისრე გკითხოთ; და თქუენად შეუკითხავად არცარა თქუენი საკითხავი საქმე რამ ვქნა და არცა უთქუენოდ ეფისკოპოსსა და წინამძღვარს გაუწყრეთ და გარდავაგდოთ; და მოგახსენოთ და როგორათაც თქუენ მოგვახსენოთ, ისრე ვქნათ.

ამას გარეთ სჯულიერს[1] საქმეზედ და სამართლით ან ეფისკოპოსს შესწყრეთ და ა[ნ] წინამძღვარსა და ან ერის კაცსა, ჩუენ ამას არ მიუდგეთ და თქუენ მოგიდგეთ.

ამისად გასათავებლად და თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, კორციელნი და უხორცონი.

არის ამისი მოწამე და შუამავალი: ჰყოინდელ-ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩვენი სახლისუფროსი და ვეზირი ლიპარტიანი კაცია და კარის მესტუმრები ჩუენი — გოშოძე ზვიადი და მელიათარი; და კელიცა გულის მართლით ჩაგვირთავს, მეღვინეთუხუცესი ლუარსაბ.

ხელრთვები: ლევან. თინათინ.

348. ხევისთაობის წყალობის წიგნი ლევან გაგონიშვილისა იესე რუსაშვილისადმი

1688 წ. 17 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2181. დედანი. ქაღალდი. 29×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ, ბატონისშვილმა პატრონმან ლევან, ძმამან ჩუენმა პატრონმა ქაიხოსრომ და ვახტანგ თქუენ — ჩუენსა ერთგულთა და მრავალფერად ნამსახურთა ყმასა რუსაშვილს იესეს, ბიძაშვილს შენთა ოთარასა, შვილთა ხოსიასა და შიოშს, მამავალთა სახლისა თქუენისათა, მას ყამსა, ოდეს მოხვედით ალის წყალს ზეით ჯევისთაობას დაგუიაჯენით.

ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალის წყალს ზეით ჯევისთაობა ყოლის კაცის უცილებლათ[1]. გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა; არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ჯელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის ზურაბისითა. ქორონიკონს **ტოა**, თიბათვის **იზ**.

ხელრთვა: ლევან.

349. ზედო ქართლის სარდლობისა და გორის მოურაობის წყალობის წიგნი გიორგი XI-ისა გივი ამილახორისადმი

1692 წ. 10 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2134. გრაგნილი. დედანი. ქაღალდი. 71×27 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალგანუზომელისა, ძლიერება მოუკლებელისა, გარეშემოუწერელისა, უნივთოსა, ურულოსა, ურაბამოსა, ყოელთა მაარსებელისა, თვით არვისგან დაარსებულისა, არამედ თვით არსისა, რომელი არს და ეგების უკუნისამდე და სუფევისა მისისა არა არს დასასრული, რომელმან შექმნა ცანი და ქუეყანა, ზღვა და საფესვნი და ყოველნი რა არს მა[ს] შინა, რომელი ზეცისა ძალთაგან სამ წმინდა [ა]რსობისა ჯმითა იდიდების, რომელსა ანგელოზთა და ძალნი შიშითა მსახურებენ, მრავალთვალნი სერაბინნი და ექვს-ექვსი ფრთენი ქერაბინნი თვალთა შეკერათ ვერ მკადრე[1] არიან და ფთითა თვისითა იფარვიან, —

ამა ყოელთა თვით სიბრძნით განმგებელსა მღთისა მამისა, მღთისა ძისა და მღთისა სულისა წმინდისა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოელად წმინდისა, ყოელად უბიწოსა

[1] რჯულიერს.

[1] უცილებლად. [2] მკადრე.

და ყოელად ბიწშეუხებელისა, რომლისა მიზეზითა შვილნი ბნელისანი ძედ ნათლისად ვიქმენით, წარწყმედულნი ვიძინეთ, ტყუ[ე]ნი გამოვიხსენით, შეცოდებულნი მოვიქეცით, არავის ცხვარი ვიქმენით, მარცხენ-მარჯვენით ვეკურთხენით, მთა ყოელისა, მთა შეყოფილისა, მთა ესე, რომელი სთნდა უფალსა დედოფლისა ჩვენისა მღთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისთა, ცხოველსმყოფელისა და პატიოსნის ჯვარისათა, რომელსა ზედან განიპყრნა მკლავი თვისნი მეფემან დიდებისამან და მთავარმან ძლიერებისამან ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან მკლავნი თვისნი და სისხლი დანსთხია ხსნისა ჩვენისათვინ, —

ამისითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმინდის წინასწარმეტყუელისა და წინამორბედისა ყოელთა ნაშვთა დედათა უზეშთესისა ნათლისმცემელისა იოვანესითა, ჭერდსა სამეუფოსა მიყრდნობილისა და ძმად უფლისად წოდებულის საყუარელის მოწამის ქალწულ მახარებლის იოანესითა, წმინდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, მიქაელ და გაბრიელისთა, ყოელთა წმინდათა მღთისათა რაოდენი დიდსა საუფლოსა სვინაქსარშიგან სწერიან და ანუ მოიხსენებიან, —

ამათისა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი სამკვიდროთ და საბოლოოთ გამოსადეგი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, მღთივ-აღმატებულმან და მღთივ ზეცით გვირგვინოსანმან იასიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატოვანმან მ ე ფ ე თ-მ ე ფ ე მ ან და კ ე ლ მწ ი ფ ე მ ან პატრონმან გ ი ო რ გ ი მ და თანამეცხედრემან ჩვენმან დ ე დ ო ფ ა ლ თ დ ე დ ო ფ ა ლ მ ან პატრონმან ხ ვ ა რ ა შ ან თქვენ — ჩვენთა ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერათ ნამსახურთა ა მ ი ლ ა ხ ო რ ს ბატონს გ ი ვ ს, ძმასა თქვენსა ყორჩიბაშს პ ა ა ტ ა ს, ძმისწულთა თქვენთა რ ე ვ ა ზ ს, ბ ე ჟ ა ნ ს, შვილსა თქვენსა ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ს, დ ე მ ე ტ რ ე ს და მომავალთა სახლისა თქვენისათა,

მას ჟამსა, ოდეს თქვენი ძმისწული ო თ ი ა და ა ვ თ ა ნ დ ი ლ გავზარდეთ და გაეკეთეთ და ნიადაგჟამს[1] მწყალობელნი ვიყავით და ბევრი წყალობაცა უყავით, მაგრამე ჩვენგნით სიკეთე და წყალობა არცერთი არ შეიწირა[2], თუმცა ნიადაგჟამს[1] ჩვენი ორგული და მუხანათი იყო, წაგვივიდა და ქართლსა, კახეთს და იმერეთს[3],

1 ნიადაგჟამს. 2 შეეწირა. 3 იმერითს.

სადაც რამ იმისი გავიდა, ჩვენს დასაკლისსა, წაჭდენასა და ორგულობას ეცადა, თქვენც საფიცარი გიტეხა და გიმუხანათა და შვილიან-თაიან თქვენ დატყვევება და დაჭოცა მოინდომა; და ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ი ს ა გ ან ერთპირათ თავისთვინ საამილახოროსი სარდლობისა, გორის მოურაობისა საფიცრები აეღო და თქვენი საქართველოდამ ამოღება დაესკვნა.

იპრიანა ღმერთმან და ჩვენ საქართველოში მოვბძანდით და ბედნიერმან ყ[ე]ნმან გვიბოძა და ჩვენი საბატონო დავიჭირეთ, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი და სულა ქართველნი შუა ჩამოიყენა, კიდევ შევირიგეთ, მამული მიუმატეთ, საფიცარი უბოძეთ და წყალობა უყავით. თურმე ის გვატყუებდა და გვეხერხებოდა და მეორესავ დღეს გვიორგულა და წაგვივიდა.

აწე ჩვენ თქვენთან ეს წყალობა გვიქნია, რომე ერთპირათ საამილახორო ზემო ქართლის სარდლობა, გორის მოურაობა და რასაც ალაგს მამულის მჭონებელნი იყვნეთ, უკლებად თქვენთვინ და შვილთა თქვენთათვინ გვიბოძებია. ასრე რომე, არც ჩვენ და არც ჩვენგან სახლისაცმან ო თ ი ა ს და მის ძმას ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და მათ შვილთ საამილახოროში არც ჯელი ჰქონდეს და არც შემოგაცილოთ და არც ყმათ ვინდომოთ, არც საქართველოში დავაყენოთ.

თუ ვინ იცის, ეგება ასეთი რამე გვმსახუროს, რომე ყმათ ვინდომოთ, არც მამულს, არც სახელოს არ გაცილო, ჩვენ სხვარიგათ დავარჩინოთ. ეს ასრე გაგითათოთ და არა მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან.

აწე ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ კაცმან, — მეფემან ანუ დედოფალმან, უფლისწულმან, პატრიაქმან, კათალიკოზმან, ებისკოპოზმან, ყოველმან სამღთოგანმან, თავადმან, აზნაურმან, ყოელმან ადამის მონათესავემან ანუ სხვამან მძლავრმან ქვეყანისა ამის მპყრობელმან, დიდმან ანუ მცირემან, — მტკიცეთ გარიგებულისა სიგლისა ამის შლად და ქცევით ჯელჰყოს, შერისხდი შენ, ღმერთო ჩვენო; ჰყვენ იგინი ვითარცა ლერწამი წინაშე პირსა ქარისასა და აღეღვას ცეცხლი თავთა ზედან მისთა ვითარცა თივათა ველისაც; იყოს სადგური და სავანე მისი ცეცხლი დაუშრეტელი, ბნელი გარესკნელი, მატლი დაუძინებელი; ანგელოზმან უფლისამან ბოროტათ ტანჯნეს იგი; მასმცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხტეხილობა დეოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი; ნურათამცა სინანულით ნუ იხსენების სული მისი ჯოჯოხეთისაგან;

და მასმცა შერისხდებიან ყოელნი ესე ზემოწერილნი წმინდანი ზეციერნი და ქვეყნიერნი, კორციელნი და უკორცონი.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან.

კაცთაგან არიან ამისი[1] დამხდუ[რ]ნი და მოწამენი და ბძანებულისა ამის დამამტკიცებელნი და თანაშემწენი სრულად ქართლისა ებისკოპოზნი, დარბაისელი, არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავით, სარდალი თამაზ, ციციშვილი ციცი, მდივანბეგი ბარძიმ, სრულად ერთპირათ ქართველნი.

დაიწერა სიგელი ესე ენკენისთვის **ი**, ჭორონიკონს **ტპ**, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობარის თუმანიშვილის გივისითა.

ხელრთვა: გიორგი.

შვიდი ბეჭედი:

1. მონა ღთისა ერისთავი გიორგი
2. დავით ერისთავი
3. ბატონიშვილი სულეიმან
4. მონა მღთისა სარდალი თამაზ
5. ბატონი ციცი
6. მონა ღთისა მდივანბეგი ბარძიმ
7. ორბელიშვილი სულხან.

350. ბრძანება მარიამ დედოფლისა სომხით-საბარათაიანოს მამასახლისისადმი ნაჭურჭლისა და ბეითალჰანის რიგის შესახებ

[XVII ს. II ნახ.]

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2098. დედანი. ქაღალდი 22,7×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. გიბრძანებთ ერთობილნო სომიხთ-საბარათიანოს სადედოფლოს სახასოს მამასახლისებო!

მერმე ჩუენი ბრძანება არის: ერთი სახლისუხუცესის კაცი უუელგან ჩუენს სახასოს ალაგებში უნდა მოვიდოდეს, სადაც ნაჭურდალი იყოს, იმის საქმეს მოიკითხევდეს; რაც ბეითალმანი იქნებოდეს, იმას უნდა შეატყობინებდეთ.

ნაჭურდლისა და ბეითალმანის ათისთავს მოურავს მისცემდეს. და სხუა საბატონო არის; და რაც იქნებოდეს, სახლისუხუცესს[1] მოაბარებდით და ის ჩვენს ქარხანაში მოაბარებს, მოურავის ათისთავს გარდაის.

რაც დაიკარგვის და ან ვინმე დამალათ, ნაჭურდალად თქუენ მოჰქელე[ე]ბს მოგკითხავთ, იცოდით.

ხელრთვა: მარიამ

351. შეწირულობის წიგნი მამია გურიელისა ბიჭვინტისადმი

1689—1701 წწ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2151. დედანი. ქაღალდი. 38×29 სმ. დაზიანებული. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ეჰა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ასულო, შვენიერებაო იაკობისაო, არონის კუერ[თხო]...* მოსეს ზე მაყლოვნით გამოჴვირობაო, იესეს ძირთაგან გამობუტეობ[ა]...* შენისა რქაო, სოლომონის ქებათა შინა გრაგნილისა მის საზეპუროო გზაო ისრაელ...* თქმისაო, ტაძარო ღმრთივ-გამოქანდაკებულო, კარაო საწამებელისა საზოგადოო და...* ართა აღთქმისათა მტკრთველო, აბრაამის სიქადულო და ბერწნაყოფობაო, ისაკის მს(?)...* და იაკობის კიბეო ცად წიაღმყუანო კრიზმოთ სიჩქარ მცვალებო[ო] და ბალამებრ(?) წმასნათ...* ხუელო წუევათა ადამისათა კურთხევად შემცვალებელო და ქელითწერილთა მათ გ...* ესა დასაბამისასა ზრახვით რჩეულო და ჩვენ მტერისა მიერ ცთუნებულთა ღმერთმყოფელო!

[შენ გა]რდამოიყუანე ძე ღმრთისა ზეცით ჭუეყანად, შენ მიერ განწმდეს თანამდებთა ბრალთაგან ადამის გამო ჩვენ ძენი მისნი, შენ იზიარე ბუნებასა ჩვენსა ბუნება უნივთო ზეც...** მამის ა...** თბეთაგან განკაცნა, რომელსა სერაბინ-ქერაბინნი ფრთითა იფარვენ პირთა მიხედვად ვერ შემძლებელნი, ანგელოზთა დასთა მიერ საქებელ-სანატრელო, წინასწარმეტყუელთა მიერ მოსწავებულო, მოციქულთაგან დადებული მღედელთმოძღუართა სამკაულო და მოწამეთა სასოებაო, მორწმუნეთა სიქადულო, მბრძოლთა შინა საჭურველო უძლეველო, დავრდომილთა ზეაღმართებაო, უძლურთა ძალო, მეფეთა გჯრგჯნო და ყოველთა ქრისტიანეთა დიდო თავსმდებო და

[1] + ამისი.

[1] უხუცესისი.

* აკლია ორი-სამი სიტყვა.

** აკლია ერთი სიტყვა.

შუამდგომელო, ურწუნოთა დანთქმაო, უსჯულოთა ლტ[ო]ლვაო, ზავთა და მაღლად უწესოთა მეტყველთა პირდაყოფაო!

ჱი საჩინო მნათობო, უფალთ-მთავარო, სახელდიდო მარიამ, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო!

ჩვენ, ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან, სიწმინდისა შენისა მსასოებელმან, ძლიერებათა შენთა მადიდებელმან და ქაცთმოყუარებისა შენისა მაქებელმან, ქაცთა ბუნებისა ჩვეულებითა ცოდვითა შემღალულმან და აურაცხელთა ბრალთა ჩემთა შენდობისათვის შენმან მორუდუნემან ჴელმწიფეთ-ჴელმწიფემან დადიანგურიელმან პატრონმან მამია ვიგულვე, ვიგულსმოდგინე, ვიგემე, ვიწადე და ვიჯერჩინებეთ, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე:

ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კუამლის ქაცით ქათალიკოზს დავითს ნემსაძეს წულუქიძისაგან ეყიდა და მას გარეთ სხვა ეყიდა, თუ წირვით ეშოვნა, ჩვიდმეტად კუამლს ქაცად გაეხადა: ხვასკალია ხაზავა, ბაბადიშაი ხაზავა, ჯუბილი მოჯალაბე; კიდე თოხულარა მოჯალაბე, ჭუჭუ დასტურაია, თომახილი დასტურაია, კოჩილი დასტურაია, მორდებული გიგიბერია, ხვიჩია ხოჭოლავა, ინალუხუ ლეფონავა...* ალა ბერაია, ბაძღალა ბერაია, ბატკუა ბერაია, დიაკონი ბერაია, ერთი ბერიკაცი მარტოხელი ქაშაგია, ქოჩუა მერცხულავა, მამახუტა წულაია; კიდე ზემო ხობს ბიბიაბორქაია, ხოსია სიჭინავა.

ესენი ქათალიკოზს დავითს თქუენთვის შემოეწირა და მასუკან ქამთა ვითარებისა მიერ გამოგწიროდათ და სადადიანო გამხდარიყო.

და რადგან ბედნიერმან ხონთქარმან დადიანობა და ოდიში ჩვენ გვიბოძა, ჯერიყო ჩემ მიერ ძალისაებრ ჩემისა სამსახური და ქუეყის მოქმედება და შემოწირვა, არა ხოლო თუ მოკლება. და წარსამართებელად და ამა სოფელსა საფარველად შენ მომიგე მტერთა ჩემთა ზედან გასამარჯვებლად და ორგულთა დასამხობელად, ჩემდა სადღეგრძელოდ და ქამიერ მყოფელად, შვილიერ მყოფელად.

ხოლო საუკუნესა მეორედ მოსლვასა ძისა შენისასა სულისა საცხოვნებელად ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს. შეიწირე დედათ ღმრთისაო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ვითარცა ლოცვა და ძღვენი იგი დიდისა მამამთავრისა და ვითარცა ორნი მწვლილნი აწდა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აწ ვინცა, რამანცა ადამის ძეთა და ტომთაგან — ჴელმწიფემან ანუ თვითმპყრობელმან ჭალმან ანუ კაცმან, ბერმან ანუ ერმან, თავადმან ანუ აზნაურმან, დიდმან ანუ მცირ[ე]მან ეს ჩვენგან შემოწირული და დამტკიცებული შეურაცხყოს, ურჩ ექმნას ანუ შლად ჴელყოს, წყეულმც და შეჩვენებულმც არის ღმრთისა მამისა და ძისა შენისა მიერ და წმიდისა სულისა მადლითა;

კრულმცა არს სამკუიდრებელი მისი, სული და ხორცი მისი; კრულმც არს სახლ-სამყოფი მისი; შეჩვენებულმცა არს ცხოველმყოფელისა ჯვარისა მიერ; წყეულმცა არს წმიდათა ზეცისა ძალთაგან; წყეულმცა არს ითვანე ნათლისმცემელისაგან; კრულმცა არს წმიდათა მოციქულთაგან; კრულმცა არს შვიდთა კრებათაგან, კრულმცა არს ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან ცათა და ქუეყანისაგან ჯორცითა და სულითა თავითა და ცოლითა, შვილითა და შვილის შვილითა;

არისმცა სოფელი ესე მისთვის მოკლე და უსარგებლო, არისმცა ცოლი მისი ქ[ვ]რივ და მწუხარე, შვილნი მისინი ობოლ, მერყეულ და დაცვინვებულ ვითარცა მართვენი ყორნისანი; უნაყოფო არს ყანა, სათესავი არღარა გამომღებელ არს თესლისა; უნაყოფომც არს ვენახი მისი და ნუ შეიკრებს ნაყოფსა; წყეულმც არს ცხენ-ზროხა [და ცხო]ვარი მისი; ნ[ურ]ცა ეპოვების ნუგეშინის საცემელი სახლსა მისსა;

კრულმცა არს თავი მისი მხ[ართა] მისთა ზედან; კრულმცა არს მხარნი მისნი წელთა მისთა ზედან; კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედან; [კრ]ულმც არს თეძონი მისნი წუყილთა მისთა ზედან; კრულმც არს წუყილნი მისნი მუ[ხლთა მისთა ზედან]; კრულმც არს მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედან; კრულმც არს კ[ო]ჭ[ნ]ი მისნი [ფერხთა მისთა ზედან]; კრულმც არს ფერხი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა მისთა ზედან; კრულმც არს ად[გილი იგი მისთვის, სადა დად]გენ ფერხნი თ[ჳ]სნი; კრულია თვალი მისი სახედველად და მხედველად, კრულია კბილ[ი მისი პურისა მჭა]მელად, ენა მეტყუელად, ხელნი საქმედ, ფერხნი სავალად, გული საქმისა გასაგონებლად;

[კრულ არს იგი და მი]სი გასაგისი სხვამან მიიღოს; კრულ

* აკლია სამი-ოთხი ასო.

არს სიცოცხლე და სიკუდილი მისი; კრულ არ[ს მისი საფლავი, სადა დაე]ფლვის. ნუ იხსნების წირვითა კათალიკოზ-ებისკობოზთათა და მღდელთათა, ნუ იხსნების იერ[უსალემს წასლვითა, ნურცა გ[ლახაკთ მიცემითა და ნურას ქუეყის საქმითა.

და ხოლო დამამტკიცებელნი მისნი აყ[ურთხნეს ღმერთმან].

ხელრთუა: დადიან-გურიელი მამია

352. ჯამაგირისა და ულუფის გაჩენის წიგნი შაჰყულიხანისა დავითბარეჯისადმი

1703 წ. 10 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 90. დედანი. ქაღალდი. 47×21,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. რადგან დავით-გარეჯას მდეგთ მეუდაბნოელთ ბერებისათვინ ძველითგანვე სამლოცველოდ ულუფა და ჯამაგირი ჰქონოდათ, ჩვენც გაუჩინეთ და არ მოუშალეთ.

წელიწადში ჯამაგირი ცხრა თუმანი; ულუფისათვინ სამი თუმანი; სანთელი ლიტრა ხუთი; საკმელი ლიტრა ერთი; სანთლისგული ლიტრა ერთი; ზეთი ლიტრა ცამეტი.

ამას ჩვენის კარის გამრიგენი ყოველს წელიწადს გაურიგებდენ და სადაც მართებული იყოს იქიდამ მისცემდენ.

ქორონიკონს **ტჟა**, ღვინობისათვის **ი**.

ხელრთუა: შაჰ-ყული-ხან

ქ. ეს ბატონის მამის ჩვენის ბრძანება ჩვენ, მეფეთ-მეფეს პატრონს იესეს, ესრეთ დაგვიმტკიცებია.

ხელრთუა: ალი-ყული-ხან

ქ. ეს კურთხეულის ბატონის პაპის ჩვენის შეწირულობა ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია.

ბეჭედი: მეფე ბაქარ

ქ. ესე კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ბრძანება ჩვენც ამგვარად გვიბრძანებია. ამ ჯამაგირსა და ულუფას რაც უწერია საღმრთო, ათისთავიდამე მისცემდენ.

ქორონიკონს **უზ**, ღვინობისთვის **იე**.

ხელრთუა: ვახტანგ

353. საამილახვროს სასლისკაცობის რიგი

1708 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2142. დედანი. ქაღალდი 22×15,16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. შდრ. სამ. № 362. სამუთები (№ № 353, 355, 359, 362, 363, 364) ქართლის სათავადოების სახლისკაცობის რიგის შესახებ გამოაქვეყნა პროფ. გ. ჯამბურიამ (მასალები საქართ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960). ჩვენი ტექსტი ალაგ-ალაგ განსხვავდება დასახელებული პუბლიკაციისაგან.

ქ. ნეფის ნაზარალიხანის ბრძანებითა და მისის კარის კაცების პირობით ბიძაჩვენს, ბატონს კათალიკოზს, ვიახელით ჩვენ — ამილახორი ბატონი ავთანდილ, ჩვენი ბიძაშვილები რევაზ, ანდუყაფარ, ბექან და ბარძიმ. და ჩვენის სახლიკაცობა ასრე გარიგდა, რომ:

1.* რაც საამილახოროს კაცისაგან და საამილახორო მამული, გლეხი, მიწა თუ ვენახი, რაც ან მამის ჩვენისაგან და ან ჩვენგან ნასყიდი იყოს, ხუთთავ სახლის კაცებს ეს პირობა დაგვიდებია, რომ უნდა სასახლოთ დავდვათ, აღარც ჭელახლა ვიყიდოთ.

2. სა[ა]მილახოროს მიწა-წყლისაგან რაც გ[ა]მსყიდველი ალაგს იყოს, თავისი გასყიდული თვითანვე დაიხსნას. თუ აყრილი ან ამოწყვეტილი იყოს, სასახლოთ დაიდვას. თუ პატრონი მოუვიდეს, რაც ფასი აეღოს, ისრეც უნდა მისცეს.

ამ საქმის გარიგებაში დაგვესწრა: სამთავნელი ყანჩელი იოსებ, სხვა ჩვენი აზნაურისშვილები — სახლთუხუცესი[1] ქარუმიძე ზაალ, ჩიკვაიძე დათუნა, ქარუმიძე გარსევან, ყანჩელი ფეშანგი და ქაიხოსრო, ქარუმიძე ზაზა და ოტია, ღაზნელი ღამარ, ქარუმიძე ჯამასპი.

დამიწერია მდივანს ვახუშტის და მოწამეცა ვარ ამისი. ქორონიკონს **ტჟა**.

თუ ქალბატონებს და ან მხლებელთ[2] ეყიდნოს, ისიც ასრე უნდა გარიგდეს.

ხელრთუა: კათალიკოზი

---

1 სახლითუხუცესი. 2 მხევლებელთ.

* ხელნაწერში ტექსტი მეხლებად გაკვეთილი არ არის.

ზუთი ბეჭედი: 1. ამილახვარი ავთანდილ
2. მონა ღთისა ბოქოულთუხუცესი რევაზ
3. მონა ღთისა... ბეჟან
4. ანდუყაფარ
5. ბარძიმ

354. შეწირულობის განაბლების წიგნი ვახტანგ VI-ისა დიმენტი კათალიკოსისადმი

1719 წ. 10 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 603. დედანი. ქაღალდი. 53,5×22,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბეჭდია ორი წერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ ღმრთივ-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ზეცით გვირგვინოსამან იესიან, დავითიან, სოლომონიან პანგრატიონმან მეფედ-მეფემან და თვით ქელმწიფემან პატრონმან ვახტანგ. პირშმომან და სასურველმან, ღმრთის მიერ აღმატებულმან და დამყარებულმან და ღმრთივ-გვირგვინოსანმან, ძემან ჩუენმან პატრონმან ბაქარ ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით თქუენ წმინდასა კათოლიკე ეკლესიასა ზედან მჯდომარესა, წმიდასა და ყოვლად სანატრელსა სასოსა და ძმასა ჩემსა, წმიდასა კათალიკოზს დომენტის.

ასე, რომე ქელმწიფეთა გუჯრები გჭონდათ და ჩუენცა ქელახლა ამითი გაგიახლეთ და შემოგწირეთ: რასაც ალაგს თქუენი მამული არის ქალაქსა, თუ გორსა, სომხითსა, საბარათიანოში, თრიალეთს, ან ზემო ქართლს თუ საციციანოში, გაღმა მჯარეს თუ გამოღმა, არაფრისთანა საჩუენო არა ეთხოვებოდეს რა არას ნივთისაგან; არც ჩვენს ზოსაქმესა და იასაულსა ქელი ქონდეს, არცა ჩვენს მოურავსა თქუენს ყმასთან საქმე ქონდეს.

რომელმაც თქუენმა[1] ყმა-მოქალაქე[მ] გორსა თუ რასაც ქვეყანას ვაჭრობა ქნას, ან აღება, ან მიცემა, ან მოტანა თუ წაღება, ყოველისფრის ბაჟსა თქუენი მებაჟე აიღებდეს და თქუენ მოგართმევდესთ; ჩუენს მებაჟეს და მოსაქმეს ქელი ნუ აქვს.

როგორათაც ძველთა ქელმწიფეთაგან გქონებიათ ხილისა, ნესვისა, საზამთროსი, ახლის თ[ე]ვზისა თუ ქმელისა, ფარჩისა, ბანბისა, ზეთისა თუ ზეთისხილისა, იფქლისა[1] თუ ერბოსი თუ ქონისა, რომელსაც კარზედ რომ მოვიდეს, გაღმა თუ გამოღმა, ყოველისფერისაგან მესამედი[2] ჩუენს სასოსა და სიქადულს სვეტსცხოველსა და ყოველად სანატრელს ჩუენს ძმას, საქართველოს კათალიკოზს პატრიარქს დომენტის მიერთმეოდეს.

ჩუენის ბაჟის მესამედი, ჩუენი თუ გარეშე კაცისა, თუ რომლისაც ყმა იყოს, ყველასაგან უკლებლად მიერთმეოდეს.

აწე გიბრძანებთ კარის ჩუენისა ეჯილ-ეუზირნო, მდივან-მწიგნობარო, ქალაქის მოურავნო და მელიქ-მამასახლისო, ბძანება ესე ჩუენი თქუენცა ესრეთ დაუმტკიცეთ და ნურავინ მოუშლით.

დაიწერა ბძანება და ფარავანი ქორონიკონსა **უზ**, ფებერვლის **ი**, ქელითა კარის ჩუენის მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ბერთველისითა.

ხელრთვა: ვახტანგ. [ ]

355. სამუხრანოს სახლიკაცობის რიგი განწესებული ვახტანგ VI-ის მიერ

1720 წ. 23 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1114. დედანი. ქაღალდი. 116,7×22 სმ. რესტავრირებული. თავი აკლია, მის ნაფლეთებზე შემორჩენილია ცალკეული სიტყვები. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბეჭდია ორწერტილი. საბუთის თავი აღდგენილია შემორჩენილი სიტყვებისა და ვახტანგ მეფის ამავე ხანის საბუთების მიხედვით. შდრ. თეიმურაზ II-ის სამუხრანოს სახლიკაცობის რიგს (აქვე, № 369).

[ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფემან და ქელმწიფემან პატრონმან ვახტანგ და ძემან ჩუენმან სასურველმან მეფემან პატრონმან შაჰნავაზ, ჩვენთან მყოფარემან ძმამან ჩვენმან პატრიარქმან ბატონიშვილმან ბატონმან დომენტიმ, გვერთ ვიახელით დარბაისელნი და მუხრანის ბატონის ლევანისა, ერეკლესი, კოსტანდილეს შვილისა და სვიმონის შვილის სახლიკაცობის რიგი და წესი ასრე გაუჩინეთ და ამრიგად იქცეოდნენ.

1 რომელმაც თქუენმა] რომელიც თქუენი.

1 იჰფქლისა. 2 მესამედს.

1.* მუხრანის ბატონად ლევან არის და]** იყოს. მამულისა და სახლის გარიგებას კარგად ეცადოს. რომელიც [მამ]ულის შემოსავლელი საქმე იყოს, სახლიკაცთაც დაეკითხებოდეს.

2. ბატონისაგან თუ სახელო, თუ ჯამაგირი იშოვნონ, თავ-თავისთვის ჭონდეს.

3. სამეხრეოები[1] ყუელამ მოშალონ. თუ ვინ იცის იყოლიონ, სახასოს მიწასა აზნაურშვილისასა და გლეხისას ნუ მოხუნენ.

4. ტყე რომ გა[ა]ყენონ და ან ბეითალმალი მიწა მოხნან, ის არაფერია. როგორც უწინ სხვას მუხრანის ბატონების დროს სამეხრეოები[1] სახასოში საერთოთ ყოფილიყოს, ლევა[ნ]ც ისრე გა[ა]რგოს და გამართოს.

5. პური ამდენი მოიყუანოს, რომე სახ[ლ]ისკაცს არ და[ა]კლოს, თუ და[ა]კლდეს, თვითონ გაუღონიერდეს. და თუ გადარჩეს, მუხრანი[ს] ბატონისა იყოს.

6. ჭერსაც მუხრანი[ს] ბატონი გაღონ[ი]ერდეს და ამ გზით უჭმიოს: თვითო ცხენი მარიამობისთვის ნახევარს დაუბას, ოროლი ცხენი მარიამობისთვის გასულს დაუბას, სხვა ცხენები ღვინობისთვის ნახევარს გასულს დაუბას.

მუხრანში მსახურ-აზნაურიშვილი ჭერს ნუ ითხოვს ნურცერთისა. რომელიც მუხრანი[ს] ბატონისშვილი ქალაქს წამოვიდეს, მისი ცხენისასა და ორის-სამის მსახურის ჭერსა მუხრანი[ს] ბატონი ჭერს გაურიგებდეს.

7. ლაშქარ-ნადირობაში რაც კაცი ახლდეს, ყუელას უჭმიოს. ღვინო და საკლავი არ მოუვათ საყოფი, მაგრამე რაც მოუვიდოდეს, მოხელეთ მიებარებოდეს, თავილად დაეწერებოდეს, საერთოს მარნიდა[მ] და სამზარეულოთგან მუხრანის რიგით და შეკითხვით მოხელე[ე]ბი მართებულათ მოახმარდენ.

თუ და[ა]კლდეს, ან შეწერითა და ან სხვარიგათ გაღონ[ი]ერდენ, და ისიც ისრე დაბარჯონ. და რახანაც აღარც ის იყოს, თავთავისა გაღონიერდნე[ნ], მუხრანის ბატონს ვერა სთხოვენ.

8. ნურც აზნაურისშვილსა და ნურც მსახურსა და ნურც გლეხს ნურავინ და[ა]რბევს, მუხრანის ბატონმაც მართებულს დანაშაულზედ და[ა]რბ[ი]ოს.

9. ჭარხანაში მიაბარონ ნარბევი, საქურიო, გასამყრელო, თუ რაც ფერი მამულიდამენ მოვიდეს. სამეშოს სამეზუ[რ]ოს გარდასდებდეს და სხვას ჭარხანაში მიაბარებდენ. ჭარხანა როგორც უწინ საერთოთ ყოფილიყოს, ისევ ერთად გამ[ა]რთონ.

10. თეთრის მოსავალი, როგორცა თეიმურაზის ქამშია იყოფდენ, ისრე ახლა გაიყონ.

11. აზნაურისშვილისა და [მ]სახურისა ასრე იქმნას: ეს ძმანი დასხდნენ, რომელიც მუხრანის ბატონის სახლებელი იყოს, მისთვის გარდა[ა]ყენონ. და რომელიც ერეკლეს უწინ ხლებოდეს, ის იმას იახლოს; თუ აკლდეს, მოუმატონ. რომელიც პაპუას ხლებოდეს, ის ლევანის შვილს იახლოს. რაც აშოთანის ბატონობაში კოსტანტილეს ხლებოდეს, ისი იმის შვილს იახლოს. რაც [ს]ვიმონის შვილს მამას იმისი ნა[ა]ხლი ჰყუანდეს, ისევ იახლოს. სხვა ახალი გამოყუანილები ყუელამ გაუშვას. თუ აკლდეს ვისმე, ძმანი შეიყარნენ, მუხრანის ბატონიც გამოიყუანონ და იახლონ. აგრეთვე მუახლის გამოყუანა.

12. რომელისაც მსახურმან დაუკარგოს რამე, ის დანაკარგი [ა]ზღევინონ, მეტს ნუ წა[ა]რთმევენ. თუ სხვარიგად აწყენინონ, სცემონ, და[ა]ბან; დარბევით ნუ დაარბევენ.

13. მამულის გაცემა, აზნაურიშვილის წახდენ[ა] და გამორთმევა რისამე, ერთმანეთის შეკითხვით იქმოდენ.

14. თუ ვისმე მისცენ რამე, ფე[მ]ქაში მართებულათ ყუელას მიეცემოდეს.

15. მთავარეფის[კ]ოპ[ო]ზის ნ[ა]სყიდი გლეხები საერთოდ იყოს. მის საჭონელსა და მაზედ დანახარჯს ერთმანეთს ნურას ელეპარაკებიან. კოსტანტილესი და წილკნელის ნასყიდი თავ-თავისთვის ჭონდეს.

ახლა რომ ერეკლეს რატისშვილისაგან გლეხები უყიდია, ის ერეკლეს ჭონდეს, მაგრამე როგორც რატისშვილის ყმათ მუხრანის სამსახური ექნასთ, იმას ისრე იქმოდენ.

16. ლაშქარ-ნადირობასა და გარეობაში მუხარნი[ს] ბატონი იქ ბძანდება, მის ხარჯზედ[1] უნდა იყუენ. თუ არადა, სახლისკაცი გაგზავნოს ულაყსა და ნუზლს გაურიგებდეს.

17. თუ მუხრანი[ს] ბატონი შინ არ იყოს, მოჩივრის სამართალს ერეკლე იქმოდეს; თუ რამე მოვიდოდეს, ჭარხანაში მიაბარებდეს.

18. პურს, ღვინოს, საკლავს მუხრანის ბატონის უბარათოთ ნუ დახარჯვენ და ნურც გასცემენ.

19. სამუშაოზედ დადგებოდენ. და ნურც ოჩხარს, ნურას სათ-

---

1 სამეხრეოები.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

** აქამდე ტექსტი აკლია.

1 სარჯზედ.

ხოვარას უმუხრანის ბატონოთ ნუ სთხოვენ, ნურც ულაყს და ურემს შეაწერენ, ნურც მსახურსა და გლეხს ცხენზედ ნუ შეუჯდებიან. თითო დიასახლისი, თითო მეცხვარე იყოლიონ, სხვას გლეხს ნურას მიაბარებენ.

20. საქორწილო ვისთვისაც შეაწეროს, მისი არის. სხვა ჭამისა ხარჯი მუხრანის ბატონმან უნდა ქნას.

21. გლეხი, რომელიც აყრილი სხვაგან დასახლებულიყოს, ისევ თავის ალაგს მიიყუანონ. დავითისაგან და ქაიხოსროსაგან მუხრანი[ს] ბატონს რომე გლეხები უყიდია უმამულოდ, ისევ და[ა]ხსნევინონ.

22. სახელოები — ვარჯანს ისევ სარკინეთის მოურაობა ეჭიროს; წილკნისა დეკანოზს ქონდეს, ნუ მოუშლიან; სხვები, ვის როგორ ეჭიროს, ისრევ ქონდეს.

23. ქელმწიფის სამასპინძლო რომ შეაწერონ, რაც მორჩეს, ქარხანაში მიაბარონ.

24. ეს სამეხრეოები[1] რომ მოშალონ, მუხრანში ნუ ხუნენ, ნურც საკათალიკოზოშია; ამიტომ, რომე ამათი სახნავი კათალიკოზის მამული არის. თუ იქ ხვნას არ მოშლიან, ისევ იქნების.

25. ქარხანა, რადგან უფროსი არის, მუხრანი[ს] ბატონმან სადაც უნდა გამართოს.

26. სტუმარს, ვისიც უნდა იყოს, ორს დღეს მუხრანი[ს] ბატონი დახუდეს.

27. ვისიც უწინდელს შენაცოდარს მსახურ-აზნაურშვილს პაპუა უჭივის, ჩვენთან ილაპარაკოს.

28. აყრაზედ ცხენს, ურემს მუხრანი[ს] ბატონს სთხოვდე[ნ], ის შეაწერდეს.

29. ვისთვისაც ერეკლეს მიეცეს რამე, ამათაც და[ა]ბეჭდინონ, მართებულა[დ] ფეშქაში მიართვან.

30. ჭაპურს გასიტაშვილისა და გეგელასშვილისა მამული ისრევ პატრონებს და[ა]ხსნევინონ, ერეკლე ნუ დაიჭერს.

31. ვარდისუბანს რომ წისქვილი უყიდნია, პატრონს ფასი გამოართვან და წისქვილი და[ა]ნებონ.

32. აყრილის კაცის თავის ალაგს მიყუან[ა] რომ დაუწერეთ, იმას ან თავისი მამული მისცენ და ან სხვის მამულით არჩინონ.

33. რახან ლევან შეიძლოს, ამ ძმათ ოდენი ამანაც იყიდოს.

1 სამეხრაოები.

[3]თავარეფისკოპოზს ნასყიდს ბაგას გარდაის სხვა მისი ნასყიდები საერთო არის.

34. ახალი გათარხნებული კაცები—ძმანი შეიყარნენ, რომელიც არა სჯობდეს, მოშალონ; თუ არ მოშალონ, ვისაც არ დაებეჭდოს, ახალა და[ა]ბეჭდინონ, მართებული საბეჭდავი მიართვან.

35. რაც პურის ვალი მართებსთ, თუ უნდოდესთ, სამეხრეოების[1] მოსავალი მუხრანი[ს] ბატონს მისცენ და იმან გარდიხადოს. თუ არადა, ისიც იმათ ქონდესთ და ვალიც იმათ გარდიხადონ.

ნასყიდმან კაცებმან იმ მამულის სამსახურები ისრევ ქნან.

36. პაპუას რომე დიასახლისი ყოლებია, მამა და შვილი ისევ პაპუას შვილს ყუანდეს, სადაც სახლებული იყოს, იქ წაიყვანოს.

37. ზურისა და ხოდაბუნის მუშას გარდაისად, ერთს კვირას შემოდგომაზედ და ერთს კვირას გაზაფხულზედ მუხრანს მუშას შეაწერდენ, გაიყოფდენ — ორი წილი მუხრანის ბატონმან ამუშაოს და თითო ძმათ ამუშაონ.

38. მამისა და დედის, ძმისა და დის საქონელზედ ყუელანი რომე ლაპარაკობდენ, ერთმანერთს ედავებოდნენ, გავსინჯეთ და სალაპარაკო არა იყო რა, ჩავატარეთ, ყელი აჭუსთ.

39. ლევანს, რასაც დანახარჯს თეთრსა ედავებოდენ, ნუღარასა სთხოვენ. კიდევ ლევანს კახურის ცხურის დანახარჯს რომ ელაპარაკებოდენ, ის ცხვარი ლევანს ჰყუანდეს, ლევანს მიეცეს.

40. ყოველს წელიწადს ორმოცს კოდს პურსა, ოცდა[ა]თს კოკას ტკბილსა საერთოდაღმან ჩვენს რძალს, — კოსტანტილეს დედას, მიართმევდენ.

მარტის კგ, ქორონიკონს **უმ**.

41. სამეხრეოებისა[2] მოშლა რომე ზეით დაგვიწეროი[ა], თუ არ მოშალონ, ნურც მუხრანშია და ნურც ქათალიკოზის მამულშია ნუ მოხუნენ; ამიტომ, რომე ამათი სახნავი ქათალიკოზის მამულია, თუ იქ ხუნას არ მოიშლიან, ისრივ იქნების.

ხელრთვა: ვახტანგ*

1 სამეხრაოების. 2 სამეხროვებისა.

* ხელრთვა „ვახტანგ“ დასმულია მეორე და მესამე კვეების ბოლოს verso-ზე.

356. ბანწესება ვახტანგ VI-ისა კათალიკოზის ყმების ლაშქრისა

1720 წ. ახლო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1758. დედანი. ქაღალდი. 28,7×16,8 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწურტილი.

ჭ. არის ბატონის კათალიკოზისა ყმა ყოველგან [აზნა]ურშვილს გარდა საკომლო ექვსას [თექვსმეტი, ბ]ოგანო მოლაშქრე ას სამოცდაორი, ისე ბოგანო ოთხმოცდარვა. ამისაგან ცხენოსანი მეთოფე ოთხას თერთმეტი, შუბოსანი ცხე[ნი]თ ორას ხუთი, ბოგანო ქვეითი ფარ-ხლმით ას ოცდახუთი, საფთე მშვილდით ას ოცდახუთი.

ამათმა მოხელე[ე]ბმა ამ რიგად მზათ იყოლიონ, უქმესა და კვირას დღეს ავარჯიშებდენ.

როდესაც დაუძახოთ, მოხელე[ე]ბმა ამ რიგად შემოგვყარონ. სახლში აზნაურიშვილი ნუ დაგვაკლდება. თუ ამ იარაღით კაცი დაგვაკლდა, მოხელე[ე]ბს ავად მოვეპყრობით იცოდენ.

ხელრთვა: ვახტანგ

verso-ზე: ბატონს კათალიკოს[ს] მიერთვას.

357. ბრძანება ვახტანგ VI-ისა საბარათაშვილოში სამართლის ჟნის შესახებ

1703—1724 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1992. დედანი. ქაღალდი. 19×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწურტილი.

ჭ. ჩვენი ბძანება არის: მერმე ხევისთავი ო თ ა რ და მუშრიბი ა ს ლ ა ნ გამოგვიგზავნია. როგორც ამას წინათ ბიძიჩვენისა და მამის ჩვენის დროს ხევისთავი ყოფილიყოს და ესამართლებინოს, ახლაც ისრე ყოველს ალაგს საბარათაშვილოში მივიდნენ და სამართალი ქნან.

და რაც საზღუარი იყოს, ჩვენს ქარხნაში მოაბარებდენ. როშელიც გვეთარხნებიოს, ხევისთავის თარხ[ა]ნი არავინ იქნება. რასაც სოფელში არ ასაქმებენ, იმ სოფელს სოფლობრივ გარდავახდევინებთ.

ხელრთვა: ვახტანგ

358. პირობის წიგნი მამია გურიელისა მამა გესარიონისადმი ტყვის გაუსყიდველობაზე

1726—1744 წწ.

ცსსა. 1448. საბუთი № 1289. დედანი. ქაღალდი. 39×31,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წურტილი.

ჭ. თავად ყოვლისა მპყრობელისა ღმრთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა; თავდებობითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მარიამისათა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, ზეცისა ძალთა, ანგელოზთა, მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა; წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და იოვანესითა და რანიცა წმიდანი ღმრთისანი სვინაქსარსა შინა სწერიან და მოიხსენებიან, — ამათ ყოველთა წმიდათა ღმრთისათა თავსმდე[ბო]ბითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობითა, —

ესე ფიცი, პირი და წიგნი მოგეცი ჩვენ, გ უ რ ი ე ლ მან პ ა ტ რ ო ნ მან მ ა მ ი ა შენ, გარეჯისა ნათლისმცემლისა უდაბნოთაგან ბრძანებითა ღმრთისათა მოსაქცევლად ჩვენთვის წარმოგზავნილსა მ ა მ ა ს ა ჩვენსა წმიდასა ბ ე ს ა რ ი ო ნს ამა პირსა ზედან, რომე:

ჩვენს საბატონოშიდ მოხვედით და ტყვის აღთქმისა დადება გვიჭალაგეთ; ჩვენცა შევისწავეთ და ჩვენსა საბატონოს კაცსა გაუსყიდველობისა აღთქმის საფიცარი გამოვართვით, რომ ჩემმა საბატონოს კაცმა ტყუე ვეღარ გასყიდოს.

და ჩვენცა ეს აღთქმა დაგვიც: ღღეს ამას იქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოთ რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ-საჭმელშიდა, ჩვენ ტყუე აღარ გავსყიდო[თ].

ვინცა ჩვენმა ყმამან ეს ფიცი და პირობა მოგვცა[1] და გაგვიმტყუნდეს, რაც ღმრთისა და ბატონის შემცოდეს სიავე ფერობდეს, იმ რიგად მიეპყრათ.

რაც ხვანთქრისა და ვეზირისა მართებლობა და საბრძანებელი შემოგვივარდეს, რომ მტერისაგან არ ვიჩაგროდეთ, ან ქვეყნის შემოსვლები საქმე მოგვიხდეს, თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითათ.

ამ ქუეყნის ტყუეზედ მე და ჩემს კაცს ეს პირობა მოგვირთმე-

1 მრგვცა.

ვია: რომელსაც ამ ქუე[ყ]ნის კაცსა და ან ჩვენ სასახსროთ ცოლი ან შვილი, ძმა ან ყმა არ შეგვექნას, იმას გარეთ ასე გავათათოთ, არც ჩემს ჭრთამშიდ ჩემს ყმას ტყვე გავაყიდინო.

ხელრთვა: გურიელი მამია +

359. ორბელიშვილების სახლისკაცობის რიგი განწესებული თეიმურაზ II-ის მიერ

1744 წ. 28 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 15. საბუთი № 138. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. სბ. №№ 363, 364.

[147v] ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ და ჩვენთანა მსხდომარემან ბატონიშვილმან ბატონმან არჩილ გვერდ ვიახელით ბატონი მუხრანის ბატონი კოსტანტინე, ბატონი ამილახორი ამირინდო, ბატონი აბაშიძე [148] ვახუშტი, ციციშვილი მერაბ[ი]ბეგ, თარხანი ლუარსაბ, ჯავახიშვილი ავთანდილ და სხუანი დარბაზის ერნი და მდივანი; და ორბელიშვილების ძმობისა და სახლიკაცობის საქმე ასრე გავარიგეთ.

ავის დროს გამოისათ ამათი ძმობისა და სახლიკაცობის რიგი მოშლილიყო და ერთმანეთში სამდურავი მოხდომოდათ და გაყრა მოინდომეს. და რადგან ამათი ოჯახი ძველი და მოუშლელი იყო, გაყრა აღარც ჩვენ ვამჯობინეთ და ერთმანერთის ნებაყოფლობით ისევ ძმობასა და სახლიკაცობაზედ გავარიგეთ ამ წესითა, რომ:

1.* სარდალი ქაიხოსრო სახლის უფროსი და ბატონი და ამათი წინამძღოლი იყოს; და სახლიკაცნი ამისი ასე მორჩილნი იყუნენ, რომ მამულში ამის შეუკითხავს ვერას იქმოდენ.

2. ქაიხოსრო[1] სარდლის და სახლისკაცების ნებადართვით პაპუნა მზეჭაბუკის შვილი მამულში დაგვიყენებია. დო რათაშვილს ბექანს თავეთის სახლის სახლთუხუცობა მისცეს და ესეც პაპუნას მიუყენეთ, ამის შეუკითხავს ნურასა იქს. ამათს მეტს არც სახლისკაცს და არც სხვას ამათს მოსაქმეს მამულში ხელი არა ქონდესთ. ქაიხოსრო სარდლის [v] შეკითხვით, რაც ჩვენ რიგი მიგვიცემია, ამ წესით იქცეოდნენ.

3. რაც საერთო სოფელი და მამული აქვსთ მთასა თუ ბარს, შენი თუ უშენი, რაც რამ ფერი მოსავალი იყოს მიწისა, კაცისა, ანუ საქონლისა, ყოვლის ნივთისაგან რაც რამ გამოსავალი იყოს, ყუელა ამათ უნდა აიღონ.

და რაც სახელმწიფო ხარჯი აწერიათ, უფროსის სიტყვით და სახლის კაცების შეკითხვით სახელმწიფო[ს] მიეცეს. და თუ რამ გარდარჩეს, ხუთ წილად გაიყოს: ორი წილი უფროსმან აიღოს და თვითო წილი სხვათ ძმათ შვილებმან, როგორც ძველადგან ქონიათ, იმ წესით.

და თუ სახელმწიფოს ხარჯს დააკლდეს და გლეხის გამოსაღებიდამ არ ადგეს, სახლის კაცები უფროსს იახლენ და როგორც კუღავ გაერიგებინოსთ საერთოს მამულიდამ, ისევ ისე გაარიგონ.

4. ავრევე ზვრებისა და სათემოს ხოდაბუნისა მოსავალიც ხუთათ გაიყოს.

5. უფროსი, ვითაც წესი იყო, სტუმარსა და ბედნიერს დღეში და ჭირსა და ლხინში გაირჯებოდეს.

6. რაც მამა-ბიძათ ნაახლი მსახური და აზნაურიშვილი ყუანდესთ, ყუელამ თავ-თავისი იახლოს, ერთმანერთს ნურავინ [149] შეეცილება.

7. რაც საუფლისწულო სოფლები და მამული აქუსთ, ისევ თავთავისი საუფლისწულო თვითონვე ეჭიროსთ. და რაც საუფლისწულოებს სახელმწიფო ხარჯი აწერია, ყველას თავ-თავისი პატრონები მისცემდენ ხოლმე. სხვას იასაულს ამათს საუფლისწულოში ხელი არა ქონდეს.

რაც საუფლისწულოს გლეხი ან საერთოს სოფელში და ან ერთმანერთის საუფლისწულოში ესახლოს, თავ-თავის პატრონს და[ა]ნებონ და თავ-თავის საუფლისწულოში და[ა]სახლონ.

8. რასაც სოფელში საერთო კაცმა თუ საუფლისწულომ მოხნას, ღალას მიწის პატრონს მისცემდნენ.

9. საერთოს სოფლების სახელოებიც ხუთათ გაიყონ.

10. სამეხრეოები[1] და მეხრები როგორათაც ძველადგან გარიგებული ქონდესთ, ისევ ყუელას მოუშლელი ქონდესთ. უწინ რომ მეხრები თარხანი ყოლიათ, ახლა რადგან ავი დროს არის და ქვეყანას სახელმწიფო ხარჯი აძეს, მეხრებმაც თავ-თავის შეძლებით ხარჯი მისცენ.

11. ხოდაბუნის ღალას სახელმწიფოთ ნუ ჩააგდებენ; ყველამ თავ-თავისის ხოდაბუნის ღალა თვითონ აიღოს.

---

[1] ქაიხოსროს.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

[1] სამეხროები.

12. როგორც რომ გვიბრძანებია [v] და გაგვირიგებია ამ წესითა და რიგით იქცეოდენ. და ნურცა ვინ ამ გარიგებას გარდავა.

დაიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის გორჯასპისათა. მარიამობის კზ, ქორონიკონს

ულბ

მე, ეშიკალასაბაშს დიმიტრის, ამ გარიგების ყაბული მაქვს

მე, პაპუნას, ამ გარიგების ყაბული მაქვს.

მე, ყაფლანს, ამ გარიგების ყაბული მაქვს.

ჩვენ, მაღალთა და ღმრთივ-ცხებულთა ხელმწიფეთა ტომი, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველი კათალიკოზ-პატრიაქი ბატონიშვილი ანტონი, ამისი დამხდურნი და მოწამენი ვართ. ხელრთვა: კათალიკოზი.

ჩვენ, ბატონი არჩილ, ამის დამხდური და მოწამენი ვართ

ჩვენ, მუხრან-ბატონი კოსტანდილე, ამის მოწამე ვართ

ჩვენ, ამილახვარი ამირინდო ამის მოწამე ვართ

ჩვენ, ბატონი აბაშიძე ვახუშტი ამის მოწამე ვართ

ჩვენ, თარხანი ლუარსაბ, ამის მოწამე ვართ

მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტნიკი თეიმურაზ ბაგრატოვანი.

[150] სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

ასლის წერილი მივიღე მე, თავადი ზურაბ ორბელიანოვმან; თავადი ასლან ორბელიანი, თავადი ლუარსაბ ორბელიანი, თავადი კოსტანტინე ორბელიანოვი, თავადი სამარაღდან ორბელიანოვი, თავადი იაკობ ორბელიანი.

360. პიროზის წიგნი ავალიშვილებისა და მათი აზნაურებისა ანტონ I-სადმი

1747 წ. 19 ივნისი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 1462. დედანი. ქაღალდი. 36,7×20 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ავალიშვილმა პეტრემ, როსტომი[ს] შვილმა ზაალ, ჩვენმა აზნაურიშვილ[ებ]მა: აჯიაშვილმა ბაადურ, ჩიკოტიძემ საამ, ჩვენმა სახლთხუცესმა ბეჟან, მსხილაძე სვიმონ, სასონაშვილმა მამულამ, ელიაშვილმა ბერმა, ქუჩუკაშვილმა პეტრემ, ხოჯიაშვილმა დათუნამ, სულ ჴელიერთპირ ჩვენმა ყმამ აზნაურმა და გლეხმა, თქვენ — ჩვენს ჴელმწიფეს, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიაქს ბატონიშვილს ბატონს ანტონს, ასე და ამა პირსა ზედან: ჩვენს ოჯახსა და ყმასა და მამულში მრავალი ბოროტი საქმე და უკეთურება იყო — ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, კაცთა ცარცვა, მრუშობა და მრავალი სჯულის გარდამავალი ბოროტი მოქმედება.

თქვენც თქვენის ერის გულისათვის თავი დაგვედვათ, მობრძანდით ჩვენს ოჯახში; როგორც თქვენგნით მართებული იყო, ისიები გვიბძანეთ, გვასწავლეთ და დაგვმწყსევით.

ჩვენც ეს პირბა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით ღმრთის წინაშე და წმიდის ცათა მობაძვის კათოლიკე ეკლესიის წინაშე: დღეს ამას იქით არც გავერიოთ ტყვის სყიდვაში, არც კაცის კვლაში; და რაც ჩვენში უკეთურება და ბოროტის ჩვეულება იყო და ღმრთის განსარისხებელი საქმე, ყვალაზე ჴელი ავიღოთ და მოვიკვეთოთ.

და თუ დღეს ამას იქით შეგვიტყოთ და ან თქვენს მცნებას გარდავიდეთ, ღმერთმან უცოდო გამყოფოსთ, რაც ერთს ავს კაცსა და ავაზაკს გარდაჰჴდეოდეს[1], ისე ჩვენ გარდაგვახდევინეთ; სულით თქვენ დაგვსაჯეთ და ჴორციელად მეფეებს ყათლავი აქნევინეთ, ჩვენი სისხლი ალალი იყოს.

ვინ იცის, საჴელმწიფოთ ტყვე ითხოვონ, ისიც თქვენ მოგახსენოთ, შეგატყობინოთ. თუ ჩვენს საბატონოში ტყვე გაყიდოს ვინ-

[1] გარდაჴედოდეს.

მე, თუ შევძლოთ, დავიჭიროთ, ის ტყვეცა და ტყვის გამსყიდველიც იქ გაახლოთ. და თუ ვერ მოვერიენეთ, თქვენ მოგახსენოთ.

და თუ ეს პირობა არ გაგითათოთ, ჯერ ვიყვნეთ ღმრთის შემცოდე და მერმე საქართველოს ღმრთივ-გვირგვინოსნის მეფეთ-მეფის თეიმურაზისა და კეთილ მორწმუნის მეფის ერეკლეს შემცოდე და მოღალატე. ეს პირი ასე გაგითათოთ.

არიან ამისი მოწამენი და დამხდურნი: მთავარეპისკოპოზი ბატონი არსენ ხელრთვა: არსენ, ურბნელ ეპისკოპოზის ბატონი გაბრიელ დარქიმანდრიტი იოანე ბეჭედი: არქიმანდრიტი იოანე და ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა თვესა ივნისსა **ით, ქრისტეს აქათ ჩღმზ, ქრონიკონსა ულე.**

სამი ბეჭედი: 1. წარწერა არა აქვს.
2. ზაალ
3. ბაადურ

ხუთი ჯვარი-ხელრთვა: + + + + +

361. პირობის წიგნი ავალიშვილებისა და მათი აზნაურებისა კათალიკოს ანტონ I-სადმი

1747 წ. 20 ივნისი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 1316. დედანი. ქაღალდი. 42,5×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ავალიშვილმა ზაალ, ძმამან ჩემმან ქაიხოსრომ, შვილმან ჩემმან ავალ, ჩვენმა აზნაურიშვილებმან: ციმაკურიძემ ზურაბ, განძიელმან ერასტიმ, განძიელმან ოთარმან, სეხნიამ მეგრელიშვილმა, მანდიაშვილმა დათუნამ, მეკრიშვილმა ოტიამ, კვირიკაშვილმა სეხნიამ, მიხლანჯი გიორგიმ, ჯამბაზიშვილმა როსტომამ, ცარციძემ ბერკელამ, სხირტლაძე ნასყიდამ, კელიერთპირ ჩვენმა აზნაურმა და გლეხმან თქვენ — ჩვენს ქელმწიფეს, ყოვლად სანატრელს საქართველოს კათალიკოზ-პატრიაქს ბატონიშვილს ბატონს ანტონის.

ასე, რომე ჩვენს ოჯახში მამულსა და ადგილში მრავალი უკეთურება და სიბოროტე იყო: ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, მრუშობა, კაცთა ც[ა]რცვა და მრავალი სიბოროტე და უკეთურება.

აწე მობძანდით ჩვენს ოჯახში. რომელიც თქვენგნით მართებული იყო, ისე გვასწავეთ, გვებრძანეთ და დაგვმწყსენეთ.

ჩვენც ეს პირბა მოგახსენეთ და აღთქმა[1] დავდევით ღმრთის წინაშე, თქვენის ცთა მობაძვის კათოლიკე ეკლესი[ი]ს წინაშე: დღეს ამას იქით არც გაეკრიოთ ტყვის სყიდვაში არც კაცის კვლასა[2]; და რაც ჩ[უ]ენში დღეს აქამდე უკეთურება და სიბ[ი]ლწის ჩვეულება იყო, კელიც ავიღოთ.

და თუ დღეს ამას იქით შეგვიტყოთ, ან თქვენს მცნებასა და პირობას გარდავჰკდეთ, ღმერთმან უცოდო გამყოფოსთ; რაც რომ ერთს ავს კაცსა, ავაზაკსა და ძვირის-მოქმედს გარდაჰდეოდეს[3], ისე ჩვენ გარდავგახდევინეთ; სულით თქვენ დაგვსაჯეთ და ჯორციელად მეფეებს ყოთავი აქნევინეთ, ჩვენი სისხლი ალალი იყოს.

ვინ იცის, საკელმწიფო ტყვე ითხოვონ, ისიც თქვენ მოგახსენოთ, შეგატყობინოთ. თუ ჩვენს საბატონოში ყმასა და მამულში ტყვე გაყიდოს ვინმე, თუ შევძლოთ, დავიჭიროთ; ის ტყვეცა და ტყვის გამსყიდველიც ორივ თქვენ მოგართვათ. და თუ ვერ მოვერიენეთ, ისიც თქვენ მოგახსენოთ.

თუ ეს პირბა არ გაგითათ, ჯერ ვიყვნეთ ღმრთისა ჩვენისა შემცოდე და რომელმანცა პატიოსანითა სისხლითა თვისითა მოგვიყიდა, იმას შეურაცხის-მყოფელთა თანაზიარი და მერმე ჩვენის კელმწიფის ღმრთივ-გვირგვინოსანის მეფეთ-მეფის თეიმურაზის შემცოდე და კეთილმორწმუნის მეფის ერეკლეს მოღალატე.

ამის თავდებათ მოგვირთმევია ქრისტეს პატიოსანი დაუფასებელი სისხლი ჩვენ ცოდვილთ სახსარი.

არიან ამისი მოწამენი და დამხდურნი: მთავარეპისკოპოსი ბატონი არსენი ხელრთვა: არსენი, არქიმანდრიტი იოანე ბეჭედი: მსახოებელი სამთავისის(?) არქიმანდრიტი იოანე და ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა თვესა ივნისსა 20, ქრისტეს აქათ 1747.

ბეჭედი: მონა ღთისა ავალიშვილი ზაალ.

ხელრთვა: ავალ.

ათი ჯვარი-ხელრთვა: + + + + + + + + + +

1 ახთქმა. 2 კელასა. 3 გარდაჰედოდეს.

362. საამილახვროს სახლიკაცობის რიგი

1749 წ. 15 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1365. დედანი. ქაღალდი. 40×16 სმ. მხედრული. მარჯვენა ზემო კიდე ალაგ-ალაგ ჩამოცრეცილია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. შდრ. საბ. № 353.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ბატონმა ამილახორმა ამირინდომ, თქვენ — ჩემს[1] ბიძაშვილებს დიმიტრის, რევაზს, იესე, ნიკოლოზ[ს] და თეიმურაზს.

ასე, რომე თქვენ მობძანდით და პირობა დასდევით, რომ მე უფროსი უნდა ვიყო და თქვენ უმცროსნი. რახან უჩემოთ აღარასა იქთ და არცარას მამულში და[ა]შავებთ, მეც ეს პირობა დამიდვია.

1.* რაც სა[ა]მილახვროში ან პური, ან საკლავი, ან თეთრი გამოვიდეს, ორი წილი მე უნდა ავიღო და ერთი წილი დიმიტრის უნდა მივსცე და ერთი წილი რევაზს უნდა მივსცე და ერთი წილი თეიმურაზს მ[ი]ვსცე.

თუ ამაში გაგიმტყუნდე და თქვენი წილი დაგაკლო, ჯერ ვიყო ღმრთის შემცოდე და მერმე მეფის თეიმურაზისა და მეფის ერეკლ[ე]ს შემცოდე და ბატონის წმინდის პატრიაქისაგან შეჩვენებული.

2. ამას გარდა, ან მამულზედ, ან მსახურ-აზნაურიშვილზედ რაც სალაპარაკო გქონდეს, ვილაპარაკოთ და მართებულათ გავრიგდეთ.

3. საუფლისწულოში სახასო კაცი ნუ დადგება. თუ სადე იყოსდა, [ა]ვუყაროთ და თავის ალაგს დავაყენოთ.

4. და როგორც თქვენ ჩემს მორჩილებასა იქთ, ისე მე უთქვენოთ არც საქელო გავსცე და არცავინ წავახდინო თქვენს შეუკითხავად.

5. თუ არ ლაშქარსა და ან ბატონთან ნუზლი წავიღოთ, ამის უარს ვერ გვეტყვის ჩვენი ყმანი.

6. ამას გარდა, ვერც გასასყიდელი პური წავიდეს სახასოს ურმითა; და სხვარიგათ სადაც ჩვენი მოსავალი პური სოფლებში მოვიდეს, ის კი უნდა მოგვიტანონ ჩვენს სასახლეში.

ქორონიკონსა **ულზ**, თვესა მარტსა **იე** გასულს. დაიწერა ქელითა ნიკოლოზ დეკანოზისათა.

ბეჭედი: ქრ[ისტე] შენ გესავ მებრძოლი ამირინდო.

მარცხენა კიდეზე: ამისი დამსწრე და გამრიგე ბატონი სამთავნელი ბენედიქტე.

მერმინდელი სათაური: „ესეც ერთმანეთის სახლიკაცობის წიგნისა მოცემული“.

363. ორბელიშვილების სახლიკაცობის რიგი გაწერებული თეიმურაზ II-ის მიერ

1749 წ. 7 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. საბუთი № 187. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. საბ. № № 359 და 364.

[210] წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ზეგარდმოსა კურთხევით გვირგვინოსანმან ცხებულმან მეფე-მეფემან პატრონმან თეიმურაზ, ოდეს სამეფოთა ჩვენთათვის თავი დავდევით და სიკვდი[ვ]ლსა და განსაცდელს არ მიევრიდეთ, მრავლის ცდითა და ფრიადის შრომით მრავალნი საძნელონი[1] სახელმწიფო მოხარკეობანი[2] საქართველოსანი აღვხოცეთ ძლიარებითა ღმრთისათა, სამეფოთ ჩვენდავე მოვაწიენით[3], მაშინ ჯერჩინებითა სასურველისა ძისა ჩვენისა, კახთა მეფის პატრონის ერეკლესათა და ყოვლად სანატრელისა საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ანტონისათა, მოუწოდეთ ქართველთა კახთ ჩინებულთა თავადთა, სამეფონი ჩვენნი ძველსავე წესსა ზედან დავადგინეთ.

და ვიხილეთ ორბელიანთ განთვისებით განკერძოებანი და მათთა მამა-პაპათა განწესებათა შეცვალებანი. და ესე არა ვინებეთ. გამოვიძიეთ, ვითა ძველათგანვე მათ სახლის რიგი ყოფილიყო, ჩვენც მასსვე წესსა ზედან დავამტკიცეთ.

1.* ჩვენი სიძე, ეშიკაღაბაში ორბელიანი დიმიტრი, თავისის სახლისკაცების მყოფელობით ამათ უფროსად, სახლის ბატონათ, დავადგინეთ. ამ წესით სახლიკაცნი უფროსის მორჩილნი და სიტყვის გამგონენი იყვნენ: მამულში ამის შეუკითხა[211]ვათ ნურას იქმონენ. თუ უფროსის ნება არ იყოს, ნურცარას დახარჯავენ, ნურც კაცს და[ა]ბეზენ. რომელიც სახლიკაცი მამულში უარშობას დაიწყებს და გლეხს უსამართლოს უზამს, უფროსი დაუშლიდეს და ნუ აქნევინებს. თუ ჩვენ მოგვხსენდა, ჩვენც დიდათ უწყენთ.

1 + ჩემს.
* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

1 საძლენონი. 2 მოხრაკეობანი. 3 მოვაწითენით.
* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

2. ვინც უფროსისაგან მამულში დაყენებული მოხელე იდგეს, რაც საერთო მამული ქონდესთ მთისა და ბარისა, შენი თუ უშენი, ამაში რაც გამოსავალი და საბატონო ბეგარი იყოს მიწისა, საქონლისა თუ კაცისა, ყოვლისფრისაგან განწესებულს აიღებდეს. ამისაგან ორს წილს უფროსი დახარჯევდეს და თითოს წილს სხვა ძმათა შვილებს მისცემდეს.

3. რაც საერთოს მამულიდამ შემოსავალი იყოს, უფროსი მართებულად და რიგიან მოიკითხავდეს, სახლიკაცებს თავ-თავის წილს ნუ დააკლებს, როგორც ძველადგან გარიგებული ქონიათ, ყველას აგრეევე მისცემდეს.

4. სათემო ხოდაბუნებს უფროსი მოახვნევინებდეს, აგრეევე საერთოს ზვრებს შეამუშავებინებდეს და რაც ამისი მოსავალი მოვიდოდეს, ესეც უნდა გაიყოფოდეს და სახლიკაცებს წილს მისცემდეს.

5. რადგან უფროსი ერთს წილს მეტს აიღებს, სახლიკაცების ლხინისა და ჭირში გაირჯებოდეს და ყოველს ბედნიერ დღეს მასპინძლობას გარდიხდიდეს.

6. რაც საერთოს მამულის მოხელობა იყოს, ისიც ხუთათ გაიყონ.

7. მსახურ-აზნაურიშვილი ვის რო[v]გორ ხლებოდესთ, ისევ ძველის წესითა და მამა-ბიძათ რიგით იახლონ, ერთმანეთს ნურავინ შე[ე]ცილება, ყველას თავ-თავისი დანებდეს.

8. გლეხი საცა ძველთაგან სახლებულა, იქივ დასახლდეს. საერთო გლეხი უფროსმან მოიკითხოს; ვისაც ესახლოს, ისევ აყაროს, თავის სამკვიდროზე და[ა]სახლოს.

9. აგრეევე რომელსაც სახლისკაცს საუფლისწულო სოფლის გლეხი ესახლოს, ისევ თავის ბატონს და[ა]ნებონ, ერთმანერთს საუფლისწულოს გლეხს ნუ შე[ე]ცილებიან, თავ-თავის გლეხს დასჯერდნენ.

10. რომელმაც საერთო გლეხმა ანუ საუფლისწულოსამა საცა მოხნას, იმ მიწისა და სოფლის პატრონს მისცემდეს.

11. სამეხრეოები ვითაც ძველთაგან ყველას ორბელისშვილს ქონიათ, თავ-თავისთვის სჭერიათ, ისევ დაიჭიროონ. და თუ შეხრე აჯლდეს ვისმე, უფროსმა გაურიგოს. ვინც სამეხრეოს მიწაში მოხნას, ღალა სამეხრეოს პატრონს მისცეს, საწილოდ ნუ ჩა[ა]გდებენ.

12. რაც საერთოს მამულში ციხე იყოს, უფროსის ხელდებული იყოს. თუ რამ შემოსავალი შემოვა რამე ამ ციხე[ე]ბიდამ, ისიც საძმო იქნება და უფროსი იმის წილს ვერ და[ა]კლებს. მაგრამ რადგან უფროსი სახლის ბატონი არის, ციხეები უფროს[ს] უნდა ებაროს.

13. სახლიკაცნი უფროსის მორჩილებითა და სიტყვით მამულის მოვლაზე, მტრისა და მოყვარის პასუხის მიცემაზე ბეჯითნი [212] იყვნენ და წინააღმდეგ ნუ ექმნებიან. აგრეევე უფროსი მამულსა და ოჯახის საქმეს სახლისკაცების შეკითხვით განაგებდეს.

14. საუფლისწულო სოფლები ვის როგორ სჭერია მამა-პაპათ განწესებით, იმავ წესითა და რიგით ეჭიროსთ. საუფლისწულოში უფროსი ნურც იასაულს შეგზავნის და ნურც სამართალს იქს.

დაიწერა მეფობისა ჩვენისასა მაისის ზ, ქორონიკონსა[1] **ულზ**, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის გორჯასპისათა. [ ] [ ]

ჩვენ, მაღალთა მეფეთა შარავანდედი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მეფის ძე ანტონი, ორბელიანთა სახლის გარიგებასა მეფეთაგან ჩვენცა ვამტკიცებთ. **ჩლმთ.** კათალიკოზი ანტონი[2].

მინაწერები:

ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

ასლი დოკუმენტი მიეიღე თავადი დიმიტრი ორბელიანოვი.

364. საორგელიშვილოს სახლიკაცობის რიგი

1749 წ. 11 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. საბუთი № 182. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. ორბელიშვილების სახლიკაობის რიგს, განწესებულს თეიმურაზ II-ის მიერ (საბ. № № 359 და 363).

[205v] ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ძმობისა და პირობის წიგნი მოგართვით ჩვენ, ორბელიანთ სარდალმა რევაზ, დივანბეგმა იოვანემ, ვახტანგ, თვანგჩიაღასმა ზაალ და ერთობილად თქვენმა სახლის კაცებმა თქვენ, ჩვენს ძმას ეშიკაღასბაშს-ელიაღას ბატონს დიმიტრის, ასე რომე:

---

1 + ჯრკს. 2 ამტ·ნი.

1. ბატონის ბძანებით და ჩვენების ნებამყოფლობით გამოგარჩიეთ ჩვენის სახლისა და მამულის უფროსათ და ბატონათ დაგადგინეთ. როგორთაც ჩვენის მამა-პაპათ დროს უფროს-უმცროსობა ყოფილა, შენც ისე გვიუფროსო და ჩვენც ისე გიუმცროსოთ. ვით[206]აც ოჯახში უფროსი გარჯილიყოს, შენც იმ რიგად მოგვიარო და ჩვენც ამ წესით გიუმცროსოთ, რომ შენი მორჩილნი და სიტყვის გამგონნი ვიყვნეთ. რაც ოჯახისა და მამულის შემატებისა და მოვლისათვის დაგვპატიჟო, უარი არ მოგახსენოთ და ჩვენი თავი გარჯისათვის არ დავზოგოთ. შენი უნებური და წინაალმდეგი მამულში არა ვქნათ რა.

2. რომელმანც მამულში უარშიობა დავიწყოთ, გლეჴს უსამართლო და ძალა უყოთ, ან შენს უკითხავათ მამულში დავხარჯოთ რამე, ან რომელიც ბედნიერის მეფე[ე]ბისაგან ნაბოძებს განაჩენში გვიწერია, ვინც ამ ბძანებას გარდახდეს, ერთობით ნურც ჩვენ ვიყაბულებთ და ბატონსაც დავატუქს[ვ]ინოთ.

3. რაც საორბელიშვილოს კაცი იყოს აზნაურიშვილი, მსახური თუ გლეხი საერთოსო და საუფლისწულოსი, ყველა აგაყრევინოთ, დმანის ციხეში და[ა]ყენო, ყველამ ჩვენი კაცი იქიდამ ვიმსახუროთ. სანამდინ არეულობა იყოს, იქ იყვნენ; და რომელმანც შევიძლოთ, დმანის ხევში სიმაგრე გავაკეთოთ, იმ ადგილის გლეხი გავიყვანოთ და იმ სიმაგრეში დავაყენოთ.

4. რაც ჩვენგან შეიძლებოდეს, ძმობას და ერთობას ვეცადნეთ.

5. მერმე ჩვენ სამთავ ძმისშვილებს რადგან საერთოდამ შემატებული სოფლები საუფლისწულოდ გვეჭირა, თქვენ ძმობაში თამაზ სარდლის შვილებს გაკლდათ, ამის სამუქფოთ საერთოდამ მანა[v]კერტი დაგიდევით და საუფლისწულო მოგეცით.

დაიწერა მაისი **ია**, ქორონიკს ულზ.

მინაწერი:

ასლთან თანასწორ არის სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

ასლი დოკუმენტი მივიღე თავადი დიმიტრი ორბელიანოვი.

365. ცხინვალის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი თეიმურაზ II-ისა

1750 წ. 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14851. დედანი. ქაღალდი. 32,4×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ძველათ გარიგების ქცხინვანის მოურავის სარგო ეს არის, რომ მოურავი ამას უნდა აიღებდეს:

ვისაც ქართველს კაცს ვენახი აქვს, ვენახზე ორი კოკა ტკბილი უნდა მისცენ. ვისაც ვენახი გაუპარტახებია და მიწათ გაუხდია, ამ ჯათით ორს კოდს პურს უნდა მისცემდენ.

ქართველს კაცს კვამლზე თვითო ყვერული (sic) უნდა მისცემდენ.

გასამყრელო და საქვრიო შეძლებაზე, როგორც შეძლოს.

თავისგასამტეხლო ჭარი და მარჩილი.

ქურდობა თუ ქნას ვინმე, საზღაური ბატონისა არის და ათისთავი მოურავისა.

რაც იმ ხეობაზე საიასაულო გამოვა ბატონის იასაულით, მეოთხედი მოურავისა არის. ასევე სამდივანბეგო.

ზვრისა და ხოდაბუნის მოსავლისა ათისთავისა ნახევარი მოურავსა და ხასად[ა]რს, ნახევარი სალთხუცეს[ს]ა და მდივნებს.

სომეხსა და ურიას კვამლ[ზ]ე თვითო ულაყი სძევს წელიწადში; თავის ტიკითა და ტომარითა ათხოვებდეს.

გასამყრელო და საქვრიო შეძლებით, როგორც შეძლოს.

თავისგასამტეხლო ხუთი მინალთუნი.

ბაჟიდამ ორს თუმანს უნდა მისცემდენ, ბევრათ გავა ბაჟი თუ ცოტათა. სხვას ბაჟთან ხელი არ აქვს.

ამათი საიასაულო და სამდივანბეგო როგორც ზემო სწერია, ისე კვამლზე; ვისაც ფეიქრი (sic) უზის, ორმოზე ერთი ჳოთი.

როდესაც მოურავი მივიდეს, ყველანი სამს დღეს ძღვენს მიართმევდენ. თუ სამს დღეს იქით დადგეს, თავისის ხარჯით უნდა იყოს.

ფაცერსა და კონზე, რაც თევზი მოხვდეს, ათისთავი.

რაც ქრცხინვალს ხეობაზე ოსი არის, იმისი სამოურაო რაც ძველათ წესი არის.

ნაცვალი როდესაც მივიდეს, შაფათ-კვირას სადილ-ვახშამი სოფელმა აჭამოს; უმისოთ თავისის ხარჯით უნდა იყოს. ნაცვლის სარგო მოურავიდამ ერგების, რაც წესია. სხვა სოფელთან ხელი არ აქვს.

დაიწერა თიბათვის კ, ქორონიკონს ულ.

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული.

სა[ნა]ცვლისშვილო როგორც ძველათ ყოფილა.

სხვა ხელით

ქ. მეფის თეიმურაზისაგან განაჩენი.

366. განწესება დავით-გარეჯის სამეფო ძღვენისა

XVIII ს. შუა წლ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 6. დედანი. ეტრატის გრაგნილი. მხედრული. საბუთი წარმოადგენს 1479 წლის სითარხნის სიგელს კახთ მეფის ალექსანდრე I-ისა დავით-გარეჯისადმი. სიგელის ზურგზე მე-18 ს. მხედრულით მიწერილია ჩვენი საბუთის ტექსტი, მაგრამ უეჭველია ტექსტი გადმოწერილია ძველად გაჩენილი განწესებიდან დავით-გარეჯის სამეფო ძღვენის შესახებ. ადარებს რა ქვემოთ მოტანილ განწესებას „ხელმწიფის კარის გარიგების“ შესაბამის ადგილებს, ქ. თაყაიშვილი წერს: „თუ ამას შევადარებთ რაც მოთხრობილია მე-29 მუხლში კ. გარიგებისა (15₃₃₅—₃₅₂) და აგრეთვე ერთს ადგილს მე-16 მუხლისა (7₁₄₀—₁₄₂), დავრწმუნდებით, რომ არსებითად განწესება დავით-გარეჯის მოვალეობის შესახებ სამეფო კარის წიგნში უცვლელად სავალდებულოდ დარჩენილა შემდეგ საუკუნეებშიაც“ (ხელნაწ. ინსტ. თაყაიშვილის ფონდი, № 94, გვ. 20).

დიდის უდაბნოს დავით-გარეჯის ძღვენი

უნდა მიერთმეოდეს ქარ[თ]ველთ მეფეს და კახთ მეფეს:

1.* ექვსი ქვევრი თაფლი.

2. სამი ქვევრი კაპრის მწნილი.

3. სამი ცოცხი. ის ცოცხი ფარეშთხუცეს[ს] უნდა ებაროს, ნიადა დილაზედ დორსა და სუზანზედ სამჯერ უნდა გადმოუსვამდეს.

4. ორი მღ[ვ]დელ-მონაზონი უნდა გამოარჩიოს მამამა, კარგნი მოწესენი და კარგნი მწიგნობარნი და კარგნი მოჟამენნი. ამათის ჴელით უნდა მიართონ ძღვენი.

5. ყველიერის კვირას და მარხვაში მონაზონები მეფის კარზედ უნდა იყვნენ. იმათ უნდა იწესონ და მარხვის დღესასწაული იმათ აღასრულონ.

6. აღდგომის დღეს ჟამი უნდა წირონ და უთხოვლათ წამოვიდენ, დიდს მამას იახლნენ.

7. ახალს კვირიაკეს მართლმადიდებელთ მეფეთ უნდა აღტვირთონ ჯორები და კარაულები მრავლის სანოვაგით და შესაწირავით და მოუძღვანონ დიდსა მამასა და წმინდათ კრებულთ.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

367. ბრძანება ერეკლე II-ისა ალავერდელისა და ნეკრესელის სამწყოს საქმეზე სამართლის მიცემის შესახებ

1752 წ. 11 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 252. დედანი. ქაღალდი. 21×14.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ მაგიერად კახეთში ვინცა ეფისკოპოზი ბძანდებით ასე მოგეხსენოსთ: ბატონი ალავერდელი და ნეკრესელი რომ გრემს ენისელზე ლაპარაკობენ, დაუსხედით და სჯულიერის წესით სამართალი უყავით და გა[ა]რიგეთ. როგორც თქვენ სამ[ა]რთ[ა]ლსა იქთ, ჩვენც იმ რიგად დავამტკიცებთ. ივნისის ია, ქორონიკონს უმ.

ყვარელში რომ ენისლელები არიან, გრემს რომ ენისლელნი არიან და ჰიაურზე, ამათზე სამართალი უყავით სჯულიერის რიგით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

368. განწესება თეიმურაზ II-ისა გორელი სახასო და საკათალიკოსი ყმების გამოსაღებისა

1757 წ. 17 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 904. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. გორელი ჩვენი სახასო ყმანი და კათალიკოზის ყმანი თავეთს სათხოვარსა და გამოსაღებზედ ერთმანეთს ელაპარაკებოდენ. ამათი გამოსაღების საქმე ასე გვიბძანებია.

თუ საბატონო სათხოვარი რამ ეთხოვებოდესთ და საბატონოთ გამოერთმეოდესთ, ჩვენმა სახასომ კაცმა რომ მთელი ლიტრა გამოიღოს, ამისმა ყადრმა კაცმა კათალიკოზის ყმამან ნახევარლიტრა გამოიღოს. ამ საბატონოს სათხოვარში ასრე მოუდგებოდენ თავთავისის შეძლებით. ამიტომ, რომ ნახევარი ამათი სამსახური რაც იქნება, ბატონს კათალიკოზს უნდა მსახურონ.

და ამას გარდა თუ ერთი ასეთი რამ საქვეყნოთ მოსახმარებლად შეეწერებოდესთ და ეთხოვებოდესთ, რომ ქვეყანას მოეხმარებოდეს, ან სხვა ქვეყანას ჯარი რომ მოვიშველოთ და ქვეყანას მოეხმარებოდეს ეს ჯარი, ამგვარი ამისი ხარჯი სახასომ თუ კათალიკოზის კაცმა თავ-თავისის შეძლებით ყველამ სწორეთ უნდა გამოიღონ და მთელს ხარჯში მოუდგნენ შეძლებული შეძლებით და შეუძლებელიც თავისის შეძლებით. ასე სწორეთ გამოიღონ, რაც რამ ფერი ამ რიგი ხარჯი შევარდებოდესთ და ეთხოვებოდესთ.

თუ უცხოს ქვეყნის სტუმარი მოუვიდოდესთ ან მოსაქმე, იმათი ხარჯიც ამავ რიგათ უნდა გამოიღონ. ესეც ასე გვიბძანებია.

თუ ჩვენს ყმას—სახასოს კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს. მას აქეთ, ოსმალობას თუ ყიზილბაშობას, დღეს აქამდის იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი კათალიკოზს უნდა მისცენ.

და თუ სახასოს კაცისაგან კათალიკოზის კაცს და ყმას უყიდნია მიწა თუ ვენახი, იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი საჩვენოთ უნდა გამოერთვას და მისცემდნენ. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უმე**.

ერთი ამისთანა წიგნი კათალიკოზის ყმებსა აქუს.

369. სამუხრანოს სახლიკაცობის რიგი განწესებული თეიმურაზ II-ის

1758წ. 3 აპრილი

ცხსა. თ. ჟორდანიას პირადი ფონდი 1462. საბუთი № 5. დედანი. ქაღალდი. 33,6×26 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. შდრ. ვახტანგ VI-ის 1720 წ. 23 მარტის სამუხრანოს სახლიკაცობის რიგს (აქვე, № 355).

ჭ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან ბატრონმან თეიმურაზ მუხრანის ბატონის შვილების სახლიკაცობის წესი და რიგი ასე გაუჩინეთ.

1.* სვიმონ ნასახჩიბაში მუხრანის[1] ნაიბი არის და იყოს. რომელიც მამულის შემოსავლის საქმე იქნებოდეს, სახლიკაცთ დაკითხვედეს და მამულის მოვლას ეცადოს.

2. სამეხროები თავ-თავისთვინ იქონიონ.

3. სახლიკაცები ნურც აზნაურიშვილს, ნურც მსახურს და გლეხს ნურავინ დაურბევს. მუხრანის[1] ბატონმანც მართებულს დანაშაულზედ დაარბიოს; როგორც მართებული არის, ისე გაიყოფდენ.

4. რომლისაც მსახურმან დაუკარგოს რამე, ის დანაკარგი აზღვევინონ, მეტს ნუ წაართმევენ. თუ სხვარიგათ აწყენინონ, სცემონ და დაბან; დარბევით ნუ დაარბევენ.

5. მამულის გაცემა, აზნაურიშვილის წახდენა და გამორთმევა რისმესი ერთმანეთის შეკითხვით ქნან.

6. თუ მისცემდენ ვისმე რასმე, ყველას მართებულს ფეშქაშს მიართმევდენ.

7. მთავარეპისკოპოზის[2] ნასყიდი გლეხები საერთოდ იყოს. კოსტანტინეს და წილკნელის[3] ნასყიდი როგორც ქონდესთ, ისევ თავ-თავისთვინ[4] ქონდესთ. ერეკლეს რატიშვილისაგან ნასყიდი გლეხები ისევ ერეკლესი არის; მაგრამ როგორც რატიშვილის ყმათ მუხრანის[1] სამსახური ექნასთ, ისევ ქნან.

8. ნურც ოჩხარს და ნურც სხვა სათხოვარს უმუხრანის[5] ბატონოთ ნურას ითხო[ვ]ენ; ნურც ურემს შეაწერენ და ნურც მსახურის და გლეხის ცხენს ნუ ხედნიან და შეუსხდებიან.

9. საქორწილო ვისთვინაც[6] შე[ე]წერება, იმისი არის.

10. აყრაზედ ურემს მუხრანის ბატონს სთხოვდენ და ის შეაწერდეს.

11. მთავარეპისკოპოზის[2] ნასყიდს ბაგ[ა]ს გარდა სხვა მისი ნასყიდი მამულები საერთო არის.

12. ახალი გათარხნებული კაცი ვინც იყოს, [თუ არ უ]ნდოდეს, მოუშალონ. და თუ არ მოუშალონ, ვისაც არ დაებეჭდოს, ახლა დაუბეჭდო[ნ] და მართებული საბეჭდავი მიართვინ. ნასყიდმან კაცმან იმ მამულის სამსახური ისევ ქნას.

13. ვინიცობა არის ერთად ვეღარ დადგნენ და გაყრა მოუხდესთ, მუხრანის ბატონის ნაიბი სვიმონ და კოსტანტინეს ობოლი იოვანე და ბაგრატი[ს] შვილი სვიმონ გაიყარნენ, საუფროსო რომელიც მართებული იყოს, მუხრანის ბატონის ნაიბმან სვიმონ და კოსტანტინეს ობოლმან აიღოს; და სხვა მამული, ნასყიდს გარდ[ა, ნახევარი] მუხრანის[4] ბატონის ნაიბმან სვიმონ და კოსტანტინეს შვილმან იოვანემ აიღოს; და ნახევარი მამული ბაგრატის შვილმან სვიმონმან და იმისმან ძმამ გოგიამ აიღოს.

---

1 მუხარნის.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

1 მუხარნის. 2 მთავარეპისკოპოზის. 3 წირკნელის. 4 თავთავისთვინს. 5 უმუხარნის, 6 ვისთვინაც. 7 მუხარნის.

14. და პურის მოსავალს სულადს ერთობაში ასე გაიყოფდენ: ორმოცისაგან ჩვიდმეტს მუხრანის ბატონი აიღებდეს; და კოსტანტინეს ობოლი თერთმეტს აიღებდეს; და ბაგრატი[ს] შვილი სვიმონ და თავისი ძმა გოგია თორმეტს აიღებდეს.

15. და სხვა რაც მუხრანის საეროს ყმის და მამულის შემოსავალი იქნებოდეს და მოუვიდოდეს, იმასაც ამავ რიგით გაიყოფდენ ხოლმე[1].

16. მოხელე[ე]ბი როგორც ყოფილან, თავ-თავის სახელო ისევ ქონდესთ. ამათი ოჯახის გაყრა არ იქნება და ნურცავინ იკადრებს.

17. თუ მსახური აკლდეს ვისმე, რომელიც მუხრანის[2] ბატონმან მუნასიბი იცოდეს, ის ეახლოს.

ამრიგად უნდა იქცეოდენ. აპრილის **გ**, ქორონიკონს **უმვ**.

ეს იმიტომ ასე გავარიგეთ, რომ წილში სვიმონს ბაგრატი[ს] შვილს ძალი დამართებოდა, ახლა ასე გავარიგეთ.

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული თ ე ი მ ურ ა ზ ი ს დამტკიცებული.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფეთ ცხებულის პატრონის მეფის თეიმურაზის ძე, პატრონი ი რ ა კ ლ ი ვამტკიცებთ. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უმვ**.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

370. ჯალითწერილი მთავართა და თავადაზნაურთა სოლომონ I-საგმი ტყვის გაუსყიდველობის თაობაზე

1759 წ. 30 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1448 საბუთი № 3538. დედანი. ქაღალდი. 90×32.5 სმ. მხედრული. დაწერილია უშნო ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ესე მტკიცე, შეუცვალებელი და დღეთა ცხორებისა ჩვენისათა აღსრულების ჯ ე ლ ი თ წ ე რ ი ლ ი, მსაჯულისა მის მხსნელისა ჩვენისა იესოს ქრისტეს წინ მისატანი წიგნი და პირობა მოგართვით თავათ დაუსაბამოს სამებით დიდებულს ღმერთს, ცხოველმყოფელს ძელს, ხსნისა ჩვენისა შუამდგომელს, მარადის ქალწულს მარიამს, წინამორბედს ნათლისმცემელს იოვანეს, ანგელ[ოზ]-თა და მთავარანგელოზთა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა, მღდელთმოძღვართა და მოწამეთა, მამათა და მამადმთავართა ღირსთა და ქალწულთა და ყოველთა ღმრთისა სათნო ყოფილთა ზეცისათა და ქვეყნისათა, შვიდთა კრებათა, ოთხთა პატრიარქთა შუამდგომლობითა;

და ჩვენ[ი]ს მწყემსთმთავარის ყოვლად სანატრელის უფლის კათალიკოზის ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს დამტკიცებით;

ჳ ყ ო ნ დ ი დ ე ლ მიტროპოლიტის გაბრიელის, გ ე ნ ა თ ე ლ ი ს იოსების, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი ს ნიკოლოზის, ც ა გ ე რ ე ლ ი ს გრიგოლის, მთავარეპისკოპოზის იოსების, ნიკორწმინდელის გერმანეს, მიტროპოლიტის დასკალის დანიელის, ხ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ ი ს მ ა ქ ს ი მ ე ს, მიტროპოლიტის ბ ე დ ი ე ლ ი ს მ ა ქ ს ი მ ი ს და ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიულთა სამღვდელოსამონზონო მწყობრთა, ღმრთისა[1] და ყოველთა საღმრთო დასთა შუაობითა;

მოგართვით თქვენ, მეფეს სოლომონს: მე, დ ა დ ი ა ნ მ ა კ ა ც ი ამ; მე, გ უ რ ი ე ლ მ ან ვ ა მ ი ამ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ მ ან გ ი ო რ გ ი მ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ მ ან თ ე ი მ ურ ა ზ, ე რ ი ს თ ა ვ მ ან რ ო ს ტ ო მ, დ ა დ ი ა ნ ი ს ძ ე მ ა ნ უ ჩ ა რ, ნ ი კ ო ლ ო ზ, გ ი ო რ გ ი*, გ უ რ ი ე ლ ი ს ძ ე მ გ ი ო რ გ ი მ, წ უ ლ უ კ ი ძ ე მ;

ერთობით წ ე რ ე თ ე ლ მ ან, ერთობით მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ, ერთობით ა ბ ა შ ი ძ ე მ, ერთობით ნ ი ქ ა რ ა ძ ე მ, ა გ ი ა შ ვ ი ლ მ ან, ი ა ს შ ვ ი ლ მ ან, ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ, მ ხ ე ი ძ ე მ, ღ ო ღ ა ბ ე რ ი ძ ე მ, მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ მ ან, მ ე ს ხ მ ან, ა ვ ა ლ ი ა ნ [მ ან], ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ან და ერთობით იმერმან, დიდმან და მცირემან;

ოდიშართ-ლ ე ჩ [ხ] უმთ, ჩ ი ჩ უ ა მ, გ ი ო რ გ ი ჩ ი ქ უ ა ნ მ ან, ფ ა ღ ა ვ ა მ, ა ხ [ვ] ლ ე დ ი ან, ა ს ა თ ი ან, ა ფ ა ჭ ი ძ ე, მ ხ ე ი ძ ე მ და ჩ ი ქ უ ა ნ მ ან, დ გ ე ბ უ ა ძ ე, ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ჯ ა ი ან, ქ ო ჩ ა ქ ი ძ ე, მ ი ქ ა ძ ე, ჯ ო ლ ი ამ, შ ე ლ ი ა, ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ, ს ა ჯ ა ი ამ და ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან;

[1] ხვალე. [2] მუხარნის.

[1] ღმერთსა.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი სიტყვისათვის.

გურიულთ ერისთავ მაჭუტაძე[მ], ნაკაშიძემ და შალიკაშვილმა, ერთობით ჟორდანია, გუგუნავა და ერთობით თათეისშვილმა, გურიულმან დიდმან და მცირემან, —

ესე იმ სოფლის მსაჯულისა წინაშე მისატანი და ამ სოფელს ყოველთა მართლმადიდებელთა სახილველი წიგნი მოგართვით, ასე რომ:

ახალციხის ფაშამ საშინელი და საზარებო სიტყვა შამოგვითვალა, რომ ადამის ტომს არც პირველ სჭენია და არც შემდგომად ისმინება ამისთანა საშინელი სასმენელად საზარო სიტყვა: «ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო».

ახლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღმრთის შუანდგომლობით, რომ: სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაში ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მოუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილ და ბძანების აღმასრულებელი ვიქნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მოუდგეთ ამაზე, და არას შეწუხებისა და გაჭირვებისათვის[1] ჩვენ ერთმანეთს არ უმტყუნოთ და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ, და ამ საქმეშიდ ჩვენს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღმრთისა და კაცისათვის.

აწ ვინც და რამაც ძემან კაცისამან ეს შეშალოს, დიდმან ან მცირემან, ისიმც[2] შეიშლების სჯულისა და უსჯულოსა მეცნიერებისაგან: მასამც რისხვაც თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი ამათ ზემოწერილნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი; მასამც ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, მეხტეხილობა დეოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი.

და მათ ზემოწერილთ მადლთაგან შეჩვენებული ვიყოთ, თუ ეს შევშალოთ და ამაშიდ შეძლებისაებრ არ მოუდგეთ; შეჩვენებული ვიყოთ სულით და ხორციეთ აწ და უკუნისამდე შვიდთა კრებათაგან და ყოველთა ეკლესიათა — მთაწმინდა, უდაბნოთა და მათ შინა მწირველთაგან.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი კურთხელ იყოს სულით და ხორციით აწ და უკუნისამდე, ამინ.

[1] გაჭირებისათვის. [2] ისემც.

მე, არქიმანდრიტს სილიბისტროს, დამიწერია ყოველთა მოწმობით და ერთხმობით ბძანებული ესე; ქრისტეს აქეთ **ჩღნთ**, ქრისტეშობის თვეს **ლ**, დღესა **ე**.

აწ ამის დამტკიცების მუშაკი კათალიკოზი ბესარიონ და მისი კრებული ერთობით ამას ვამტკიცებთ, რომ რამანც ხელმწიფემ ან დედოფალმან ან თავადმან ან აზნაურმან, დიდმან ან მცირემან ამ სარწმუნოებაზედ ვინც მოკ[ვ]დეს, ან ამ სარწმუნოების მიმდეგი და მეფის ერთგულობით თავისი ღიით მოკ[ვ]დეს და მაშინც უსამართლოთ მისი შვილი და მომავალი გა[ა]ღარიბოს და წაახდენათ მოინდომოს უსამართლოთ, ამათ შინა წერილთაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით. ამინ.

აწ რამანც ძემან კაცისამან ამათ შინა წერილი მოშალოს და მეფეს უსუსტოს ან ამ ჴელითწერილს გარდახდეს და უსჯულოება ქნას და ერთმანეთს არ მოუდგეს, ვინც იმას მიუდგეს, ან მოახმარეთ[1] და შემწედ ექმნეს, ან შეიწყნაროს, ან უწიროს და ულოცოს, ან მოკ[ვ]დეს და მიწა აღირსოს, შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით განუხრწნელად, ამ სოფელს მოწყვედით და იმ სოფელს იუდასთან კრულებით.

ვინც ეს აღასრულ[ო]ს და და[ა]მტკიცოს, საუკუნომც არს ხსენება მისი სულით და ხორცით აწ და უკუნისამდე. ამინ.

მომშლელი[2] წყეულ, დამამტკიცებელი კურთხეულ. ამინ.

ათი ბეჭედი

1. სოლომონ 1755.
2. ღითი პატრიარქმან ჯერით ვადიდო იმერი პონტ აფხაზი ჩრდილო ბესარიონ.
3. ურ მომცა შავ ზღვას აქეთი, დადიანსა მაქვს ლეჩხუმ-სვანეთი კაცია.
4. ხონთქარის ხინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი მაქსიმე.
5. დავითიან ტომობით ვარ მე თეიმურაზ უფლისწულობით.
6. ერისთავი როსტომ.
7. მონა ღთისა, ყმა ხონთქარისა, ხანი გურიისა მამია.
8. მონა ღთისა ბატონიშვილი გიორგი.
9. ერისთავი შარვაშიძე ზაალ.
10. ქრისტეს ვარ მქებელი... შემოქმედლად ძე გურიელის... მიტროპოლიტი ნიკოლოზ.

დასმულია 27 ჯვარი-ხელრთვა.

[1] მამხმარეთ. [2] მაშლელი.

371. შეუვალობის წიგნი მამია გურიელისა აფხაზეთის კათალიკოს ბესარიონისადმი

1760 წ. 10 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2251 იგ. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29] არსთა ყოველთა მფლობელისა, გარეშემოუწერელისა, მიუწდომელისა და მიუხდომელისა პირველისა და უკანასკნელისა და საუკუნეთა შემოქმედისა დაუსაბამოსა თავად დამბადებლისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა;

თავსდებობითა ყოველად წმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და მხსნელისა ჩუენისა საუფლოსა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა და წმინდათა ზეცისა ძალთა უხორცოთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა და ყოველთა ზეცისა წმიდათა[1] მთავრობათა და წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესა და ყოველად ქებულთა მოციქულთა წინასწარმეტყუელთა, მოძღუართ-მოძღუართა, მოწამეთა მამათა, მოღუაწეთა ქალწულთა და რაოდენნი ღირსნი და წმინდანნი საუკუნიდგან საფონო ეყუნეს ღმერთსა;

ამათ ყოველთა წმიდათა თავსმდებობითა მინდობათა და შუამდგომელობითა ესე ქრისტეს წინაშე მისატანი და აწდა უკუნისამდე საბოლავოდ გასათავებელი და უკუნისამდე დღეთა ჩუენთა დასამტკიცარი პირი და საფიცარი დაგიწერეთ და მოგართვით ჩუენ ორსავე ცხოვრებისა ჩუენისა დიდს ნუგეშს შესავდრებელსა აფხაზეთის კათალიკოზსა უფალსა ბესარიონს ჩუენ, გურიელმან ბატონმან მამია და თანამეცხედრემან ჩუენმან მეფეთმეფისა ასულმან და დედოფალმან ბატონმან როდამ, დაგიმტკიცეთ ქელითწერილი ესე ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

თავათ ბატონმან მეფე სოლომონმან შემ[ო]კრიბნა დიდებულნი დადიან-გურიელ ერისთავი, საღმრთო, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტ-[ი]ეფისკოპოსს-არხიმანდრიტნი და ყოველნივე ლიხთ-ამერისა საღმრთო და საერო კრებული; დაგიმტკიცეს კრებითა როგორც შენის დავთარით თავისუფალი ყოფილა, რომ კათალიკოზის მეტს კაცს შენის ხატის ყმაზედ ქელი არა ჰქონია.

[1] წესი.

ჩუენც მათის მოწმობით და თანაჯერჩინებითა მოგვირთმევია ესე წიგნი და პირობა: რაც ჩუენს ქუეყანაშიდ გურიას საკათალიკოზო ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის შეწირული ყმა ჩუენს საბრძანებელშიდ შენის ხატის ყმა იყოს, ამათ ჩუენგან და ჩუენის სიტყვის მორჩილის კაცისაგან არც წართმევით, არც მდგურის ჩაყენებით, არც სანადოს გამოწვევით, თუ მისის ნებით გვემსახუროს, თორამ არცა ძალი[1] სმევა-ჭმევით, არც საუდიეროს გარდასახადით[2], არც უსამართლობით, ძალით ჩვენ შენის ხატის ყმას არაფერი უსამართლობა არ უყოთ. თუ რამე სამსახური დაგუჭირდეს, შენ დაგვითხოთ და შენის ბრძანებით რაც ვიმსახუროთ, თორემ სხვეფ ჩუენის მოხვ[ე]ჭითა და ძალითა შენს ყმას უსამართლობა არა უყოთ რა.

თუ ვინმე ჩუენის ქუეყნის კაცმან უსამართლობა და ურიგობა თქუენს ყმას უყოს, როგორც შევიძლოთ იმ თქუენის დავთრის სამართალი მოგართვათ.

ვინც ამ წიგნის დაშლად ქელჰყოს, შვიდთა კრებათა, ოთხთა პატრიახთაგან და ამაზედ წერილი მღვდელთაგან შეჩუენებული იყოს ორთავე შინა ცხოვრებათა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისი ღმერთმან დაამტკიცოს აწ და უკუნისამდე.

დაგვიმტკიცებია წიგნი ესე ბრძანებითა და ჯერჩინებითა შემოქმედ მიტროპოლიტისა ბიძის ჩემის ბატონის ნიკოლაოზისათა და ხინოწმინდელ მიტროპოლიტის მაქსიმესითა და სრულიად ერთობით გურიელთა საღმრთოთა და საეროთა დასთა ერთხმობითა.

ქრისტეს აქეთ **ჩღი**, ფებერვლის **ი**.

372. შეწირულების წიგნი მამია გურიელისა გურიის უდაბნოს მონასტრისადმი

1770 წ. 2 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი 3972. დედანი. ქაღალდი. 88×31,7 სმ. დახიანებული. მარცხენა და მარჯვენა ზემო კიდეები ჩამოკრეცილია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ჭ. ეჰა შენ, წინასწარვე სამოს[ს]ა შინა დედისასა...* მის ღმრთისა კრთომით თაყვანისმცემელო და წინასწარ[მე]ტყ[ველო], მქადაგებელო, რომელმან სთქუ: «ეჰა კრავი ღმრთისა...* ცოდვათა სოფ-

[1] + და ძალი. [2] გარდახსადით.

* მოხეულია ერთი სიტყვის ადგილი.

ლისათა» შენთვის ბრძანა უტყუველმან მა[რიამ დედამ]ან პირითა, კვალად არა აღდგომილ არს დედათა შორის უფროსი იოვანე ნათლისმცემელისაო; და კვალად თქუ: «გამზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი». და მეფსალმუნე იტყვის: «მუნ აღმოუცენა რქა დავითის და განუმზადა სანთელი ცხებულსა თჳს[ს]ა, რომელმან ამხილე ეროდეს უსჯულოსა ძის ცოლი თჳისი».

შენ იქმენ წინამძღუარ ძველისა და ახლისა სჯულისა, გჳრიტო უდაბნოსაო, რომელმან განასურნელენ უდაბნონი იგი იორდანისანი, ხმამაღალო ქადაგო სამებისაო, ხარებითა გაბრიელ აღმოცენებულო ანგელოზთ-მთავარისათა საშოსაგან ბერწისა უნაყოფოსაგან, დიდო წინასწარმეტყველო და წინამორბედო მეუფისაო, ნათლისმცემელო იოვანე გურიისა უდაბნოს შინა დამყარებულო!

მე, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან, მოწლედ და სურვილით ნებისყოფასა შენისა მეძიებელმან, მსასოებელმან და მნებებელმან სამსახურისა შენისამან, ბატონმა გურიელმა მამია ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შამოგწირეთ კნინი ესე შესაწირავი: საკთოლიკოზოში ჩვენი დიდი მარანი მეწიე და ჩვენი მემარნე ორი მოსახლე ციკმანაძენი ზაქარია და მისი ცოლშვილი და მისი ძმა იესე და მისი ძმის[წ]ულები სახლეთურთ; და მეორე მისი განაყოფი, მათი ცოლ-შვილით, სახლკარით, ჭურ-მამულით, ტყით, წყლით, ეკლესიის კარით, მათის ბეგრით, უძებარ-საძებარით.

სხვა საჩვენო ტყე და წყალი, მეწიის გამოსავალი, სათებზო და სანადირო უკლებლად ისიც შემოგვიწირავს ჩვენდა სადღეგრძელოდ და საცხონებლად და მეუღლისა ჩვენისა მეფის ასულის დედოფლის როდამის საცხოვნებლად.

და ამის მოწამედ მომიცემია თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი უხორცონი და ხორციელნი.

კაცთაგან არის ამის მოწამე და ნებადამრთველი ბატონიშვილი ბატონი კათალიკოზი იოსებ, შამოქმედელი ნიკოლაოზ, ბოქაულთუხუცესი თავდგირიძე მამუკა, მეღვინეთუხუცესი ნაკაშიძე გიორგი, სახლთუხუცესი მაჭუტაძე იოვანე, ნაკაშიძე საყვარელი, შალიკაშვილი როსტომ, ჯაყელი ზაალ, ბერიძე გიორგი, მეღვინე მახარაძე იოვანე და იესე.

აწ რამანც ძმან კაცისამან: ან დიდმან ან ჩემ[მ]ა შემდეგმა სხვამ გურიელმა და დედოფალმა, ან თავადმა ან აზნაურმა, ან დიდმა და ან მცირემან ეს ჩემი შამოწირული კვამლი კაცები და მარანი და ტყე და წყალი ნათლისმცემლის უდაბნოს მოუშალოს და იმაშიდ მყოფს მამას და მის კრებულს აწყენოს და ეს ჩვენგან შეწირული მოუშალოს და არ დაანებოს და წართმევათ ხელყოს და გამოსწიროს და ან დააკლოს და ასე არ ამსახუროს, აღასრულე სიტყვა შენი მის ზედა და ცეცხლსა დაედვას და ხორცი სულითურთ მზეებრ დასწვი ცეცხლ[ი]თა უშრეტითა.

არსმცა ამის მომშლელთა ნაწილად ცეცხლი უშრეტი გენია, მატლი უძილი და ტარტაროზი უნუგეშინისმცემო ქრისტეს გამცემთაგან იუდასთან და ჯვარისმცემელთან თანა დაისჯების, წყევა ძველისა და ახლისა სჯულისა[1] აღესრუ[ლ]ების მას ზედა.

და შეჩვენებულიმც იქნება სულით და ხორცით და მეუღლით და ასულით შვიდი კრებისაგან, ოთხი პატრიაქისაგან, ათორმეტ მოციქულისაგან და ყოველი მართლმადიდებელი კაცისაგან.

წყეული და შეჩვენებულმც იქნება და თანა დაემკვიდრების სული მისი სამოელ და სატანასთან და ჩემი ცოდვის მაგიერად ქრისტემ ის გაიკითხოს.

შემშლელი ამისი შეშალოს ღმერთმან, დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს უფალმან.

მართებს ამ ციკმანაძენს ამ ღვინის დაყენება და მის ზურგით მიტანა და ტყე და წყლის მოვლა, მგზავრობა და ძღვენი, სმა და ჭამა და ერთი ჯერი ხარჯი, ერთგულობა.

დამიწერია მდივანს იესეს ჭორანიკონს ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას სამოცდაათს**, თვესა ნოემბერსს[2] ორსა.

ბეჭედი: მონა ვარ ღ[ვთისა, ყმა ხონთჭრისა, ხანი გურიისა მამია.

ხელრთვა: გურიელი მამია.

მარცხენა კიდეზე:

ჩვენ, ყოვლისა ჩრდილოეთ-აფხაზეთისა კათალიკოზმან და ძემან მეფისამან და ძმამან იოსებ, ეს უცვალებელი და მტკიცე წიგნი კელის [ჩართვით დავამტკი]ცეთ. წყეულ, [კრულ] და შეჩვენებულ უხილავითა კალმითა სულისათა, რომელმან კელყოს და იყადროს შლად წიგნი ესე.

ბეჭედი: მეფის ძე იოსებ.

---

[1] რჯულისა. [2] ნ-ნოემბერსა.

373. ბრძანება ერეკლე II-ისა სვეტიცხოველისათვის ბაჟის განწესების შესახებ

1771 წ. 24 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 227. დედანი. ქაღალდი. 21,5×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აჭა-იქ ნახმარია წერტილი.

ჭ. ჩვენი ბრძანება არის, ეს ჩვენმა მებაჟემ ასე იცოდეს: რაც ოსეთის გზაზე საქონელი მოვა და იმაზე ბაჟი აიღება, იმის მესამედი ნეტარხსენებულს მამას ჩვენს სვეტიცხოველისათვის მიერთმია და ჩვენც მივართვით. რადგან იმ შეწირულობის ჟამს ოსეთის გზიდამ მოსულის საქონლის რახტარი მსუბუქათ განწესებულ ყოფილიყო, და მასუკან ჩვენ ჩელიექი განვაწესეთ, ამაზე ლაპარაკი შეიქნა, ახლა ჩვენ ასე განგვიწესებია:

ოსეთის გზაზე მოსულის საქონლის ჩელიექს თუმანზე რომ ხუთ შაურს აიღებ, იმის მესამედი კათალიკოზის მებაჟეს უნდა მისცეთ და ის მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას მიართმევდეს.

აღიწერა სეკდემბერს **კდ**, ქორონიკონს **უნთ**.

ამას გარდა ახლა რომ თუმანზე ხუთი შაური მომატებული ბაჟი განვაწესეთ, ამის მესამედი ოსეთის გზაზე მოსულის ბაჟისა, ჩვენც სვეტიცხოველს მივართვით. ვინც ამ მომატებულის ბაჟის ამღები იყო, რაც ოსეთის გზაზე მოსულის საქონლის ბაჟი აიღოთ, ამის მესამედიც მათის უწმინდესობის მებაჟეს მიეცით.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

374. განწესება ერეკლე II-ისა მორიგეში გამოუსვლელობისათვის

1776 წ. 29 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8742. დედანი. ქაღალდი. 40,7×16,8. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. გამოქვეყნებულია: ივ. ჯავახიშვილი, საქართ. ეკ. ისტ. ძეგლები, წიგნი II, № 46. ჩვენს გამოცემაში რამდენიმე კითხვასხვაობაა.

ჭ. ჩვენ მაგიერად მინბაშს, უზბაშებს და ლაშქარნივისებს ასე უამბეთ.

1.* მერე რომელსაც თვეში მორიგე კაცი დააკლდებოდეს, რომელიც იმ თვის სარჭარდა იქნებოდეს, თქვენ იმასთან უნდა მიხვიდოდეთ, შეატყობინებდეთ და იმისის შეკითხვით მაშინვე იასაულს გაუსვედეთ; რომლისაც სოფლის კაცი იქნებოდეს, იმ კაცს იმ სოფელს და[ა]ჭერინებდეთ და მოაყვანინებდეთ.

ის კაცი სოფელმა ამისთვის უნდა დაიჭიროს და მოიყვანოს, რომ უწინდელს განწესებაშიაც** ასე წერია, რომ ნაკლები კაცი ან უნდა დაიჭიროს და დაჭერილი მოგვცესო და ან ექვსი თუმანი ჯარიმა მოგვცესო; ახლაც ამისთვის განვაწესეთ სოფლისაგან ნაკლების კაცის დაჭერა და მოყვანა.

2. იმ დაჭერილს კაცსაც წყეპლში უნდა გაატარებდეთ და ერთს თუმანს ჯარიმასაც წა[ა]რთმევდეთ; და ის ჯარიმა ჩვენის ბრძანებით იმ თვის მორიგის სარჭარდას და თქვენ უნდა გაგეყოფოდესთ[1]. ეს ერთი თუმანი ჯარიმა ამისთვის მოუმატეთ, რომ მარტო წყეპლში გატარებით თავი არ დაიჭირა ამ საქმემა და ამისთვის განვაწესეთ ერთი თუმანი ჯარიმა.

3. და თუ კიდევ სანში ან ავათმყოფობის მიზეზით შემოიტანოს და ან სხვა რამე, რომ იმ თვეში გამოსვლა არ შეეძლოს, ამაზე ერთი სხვა ოქმიც არის დაწერილი, რომ ის კაცი მეორე თვის მორიგეს უნდა ჩამოჰყვეს და თავისი თვე შეასრულოს. და თქვენ იმ წინას თვის სანის ნახვაში ავათმყოფათ თუ სხვა მიზეზით გეწეროსთ, უნდა მოგაშლევინოსთ.

4. და რომელიც ამგვარის მიზეზით დაწერილი კაცი მეორეს თვეში არ მოვიდეს, თავისი რიგი არ გარდიხადოს და არ მოგაშლევინოსთ, იმასაც კაცს უნდა გაუსვედეთ, ერთს თუმანს ჯარიმასაც წაართმევედეთ და იმ კაცსაც დაუჭერილს უნდა მოაყვანინებდეთ სოფელსა და წყეპლაშიაც უნდა გაატარებდეთ.

თუ მეორეს თვეშიაც მიზეზი ექნებოდე[ს], მესამეს თვეში უნდა წამოვიდოდეს და თავისი რიგი რომ არ შეასრულოს, ის კი არ იქნება.

5. და კიდევ ჯარიდამ კაცი თუ სარჭარდისა და მინბაშის დაუთხოვნელად პურისა ან სხვ[ა] რისთვისმე შეშასა და წყალს გარდა წავიდოდეს, უნდა დაიჭერდეთ და გარდაახდევინებდეთ: თავადის შვილს ერთს თუმანს ჯარიმას წაართმევედეთ; აზნაურიშვილი თუ მოხელე იყოს, რვა მინალთუნი გამოერთვას; თუ მოხელე არ იყოს, ასი ფარეშის ჯოხი დაეკრას; და გლეხს კაცს ორასი ფარეშის ჯოხი დაეკრას.

---

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

1 გაყოფოდესთ.

** 1774 წლის „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“ მუხ. 16. (ქართ. სამართ. ძეგლ. II, № 127).

6. თუ ჯარში სარჭარდა და მინბაში არის, უზბაში კაცს ვერ დაითხოვს; ბძანება არ მიგვიცია. თუ ასეთი ჯარი არის, სარჭარდა და მინბაში იმ ჯარში არ არიან, თავის უზბაშსა აქვს ამაების უფლება.

7. და კიდევ როდესაც ნადირობის ჟამი იყოს და მტრის საქმე არა იყოს რა, მაშინ სარჭარდისა და მინბაშის შეკითხვით უზბაშიდამ და უზბაშიდამ ან ორ-ორი კაცი და ან სამ-სამი კაცი სანადიროთ წავიდოდენ, ორს დღეს დადგებოდნენ და მესამე დღეს მოვიდოდნენ. თუ ვადაზედ არ მოვიდოდნენ, უნდა გაილახნენ. და ისინი რომ მოვიდოდნენ, კიდევ სხვანი წავიდოდნენ ამათისვე შეკითხვით.

8. ეს რაც დაგვიწერია, ამისი იხტიარი სარჭარდისა და თქვენთვის გვიბოძებია. ამას ასე აღასრულებდეთ, ჩვენ ნუღარ შეგვატყობინებთ, ამისთვის, რომ ამ გვარის საქმისათვის ნიადაგ ჩვენ ვერ მოვიცლით.

9. ქ. სარჭარდა და მინბაში. რომელსაც კაცს ბატონისა და ქვეყნის სანსახურზედ დასაქმებდეს და ის კაცი სრულის მორჩილებით [არ] გაუგონებდეს, იმას უმორჩილობისათვის გალახვედეთ.

მარტის **კთ**, ქრონიკონს **უიდ***.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

375. ᲬᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲯᲣᲛᲐᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1780 წ. 1 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბუთი № 615. დედანი. ქაღალდი. 36,3×19 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე საუკუნოდ გასათავებელი წიგნი და პირობა მოგართვით თქვენ უხორცოთა მთავარს მიქაელს და გაბრიელს და თქვენს ეკლესიას ჯუმათს ჩვენ, ბატონმა გურიელმა გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედუფალმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სიმონ და სხვათა ძეთა ჩვენთა—ვახტანგ, ქაიხოსრო და მამია ამის ესევითარისა მიზეზისათვის, რომ:

მრავლის უდროობისა და ქვეყნის აოხრებისაგან თქვენ სახელ-

* ხელნაწერში ეს სტრიქონი მე-8 მუხლის ტექსტს მოსდევს.

ზედ აღშენებული ჯუმათის ეკლესია უეპისკოპოსოდ იყო და მისი მამული ყველა საერისკაცოდ იყო და ჩვენ გვეჭირა.

მერმე ამ საქმისათვის მობძანდა მათი უწმინდესობა აფხაზეთის კათოლიკოსი მაქსიმე და დაგველაპარაკა, რომ იქ ეკლესიაზედ მღუდელთმთავარი დაგვედგინებია.

და რათგან ჯეროვანი და მართებული იყო, ჩვენც ფრიად ვითნეთ და ვიწადეთ და მათს უწმინდესობას მორჩილ ვექმნენით და დავდგინეთ მღუდელთმთავარი იოანე; პირველ ხინოწმიდლათ იყო კურთხეული, მარა მისი ეკლესია და მამულიც ყველა თათარს ეპყრა და ეს უეკლესიოდ იმყოფებოდა; და აწ ამ ეკლესიაზედ დაგვიდგინებია ბატონი კათალიკოსი მაქსიმეს ბძანებით.

და ეს ხელახალი შეწირულობის წიგნი და სიგელი დაგვიდვეს, განგვიახლებიეს და ყოვლითურთ დაგვიმტკიცებიეს, რომ ამ ეკლესიის მამული ამიერ დღითგან საერისკაცოდ აღარ შეიქმნეს. და რომელიც ძველად მამული და ან სამწყსო ჰქონებოდეს, არცარა იმაზედ მოაკლდეს, არც ჩვენგან და არც ძეთა მომავალთა ჩვენთაგან.

ხოლო აწითგან წამართ რომელმანცა კაცთაგანმან დიდმან ანუ მცირემან, მამრმან ვინმე ანუ მდედრმან ხელჰყოს შლად და ქცევად ამა ჩვენ მიერ დამტკიცებულისა სიგლისა, მყის თანად საშინელთა რისხვითა განურისხდი მიქაელ, ზეცისა ძალთა მთავარო და ფრიად განსჯილ ჰყავ ცხოვრება მისი. და კუალად ეწიენ მას რისხვა ძლიერისა ღმრთისა და იყავნ ყოვლითურთ მისი მძრწოლარე ქვეყანასა ზედა კაინისებრ მრავალ უბადრუკისა და ცოდვისა ჩვენისა ნაცვლადცა განისჯების დღეს მას სასჯელისასა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყავნ ღმრთისა მიერ აწ და საუკუნოდ.

დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ჩღპ თვესა აგვისტოსა ა.

ბეჭედი: მიხმობენ გურახნობით, გურიელი ვარ ქებული.

მარცხენა კიდეზე

ჩვენ, აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე, ვამტკიცებთ.

ბეჭედი: ჩრდილო აფხაზ-იმერთა კათოლიკოზი მაქსიმე.

376. ᲬᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲒᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1780 წ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1575. დედანი. ქაღალდი. 44×19 სმ. მწედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ეჰა შენ შვიდთა კამარათა ცისათა უმაღლესსა, სერაბინთა უზეშთაესსა და ქერაბინთა უპატიოსნესსა ღმრთისა და კაცთა შემაერთებელსა იოაკიმ[ი]ს ასულსა და სძალსა ღმრთისასა; წმინდასა და ყოვლად ბიწიეუხებელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, ჩვენ, ცვა-ფარვათა თქვენთა მონდობილმან ბატონმან გ უ რ ი ე ლ მ ან გ ი ო რ გ ი და თანამეცხედრემან ჩვენმან დ ე დ ო ფ ა ლ მ ან მ ა რ ი ამ და პ ი რ მ შ ო მ ან ძემან ჩვენმან ს ე ი მ ო ნ, ვახტანგ, ქ ა ი ხ ო ს რ ო და ლ ე ვ ან ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

ძველთაგან ჩვენი სახლისკაცს ა კ ე თ ი ს საყდრის საწინამძღვრო ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვინ შეეწირა. მერმეთ ბატონი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი მ ა ქ ს ი მ ე მობრძანდა ჩვენთან და აკეთის შეწირულობის სიგელი გვიჩვენა. ჴეშმარიტი და სარწმუნო იყო და ჩვენც კეთილად შევიწყნარეთ ბრძანება მათი და ჩვენც სიგელი დაგვიმტკიცებია, როგორითაც პირველ ყოფილა ისე.

თუ ვინმე არის ახლა იმისი შეწირული ყმები, სამართლით თუ დარჩეს თქვენი და გამოჩნდეს, იმიანთ; და ახალათ მოგვირთმოეცა იმ საყდრის დ ე კ ა ნ ო ზ ი პ ე ტ რ ე, გ ი ო რ გ ი, მ ა მ უ კ ა მ ჭ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი, მათი ცოლ-შვილით და ძებით და მათი უძებარ-საძებრით, საწინამძღვრო სასახლით და მისი შესავალ-გამოსავლით, მამულით, ტყითა[1] და წყლით და საყანით შეგვეწირავს ხელახალა.

აწ რამაც ძემან კაცისამან ეს ჩვენი დამტკიცებული სიგელი და შეწირულობა შეგიშალოს, ისიმც შეეშლება ჭკუისა და მცნებისაგან და შჯულისა ქრისტეანობისაგან; და ჩემი ცოდვის მაგიერათ განიკითხოს ღმერთმან დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

დამამტკიცებელნი ამისანი აჯუთხნეს.

აღიწერა ხელითა მღვდელ-მონაზონისა ი ო ს ე ბ ი ს ა თ ა, ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას ოთხმეოცსა.**

ბეჭედი: მიხმობენ გურხანობით, გურიელი ვარ ქებული.

[1] ტყე.

377. ᲬᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1780 წ. ახლო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6713. დედანი. ქაღალდი. 46×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ჭ ყოველად არსო და უარსოთ მაარსებელო, ყოვლად დაუსაბამოვო და ყოვლად უდასასრულო სამებავო, ღმრთით განყოფილო თუითებითა მით გვამოვნებისათა და განუყოფელო ერთარსებითა მით ღმრთაებისათა, მარადის მყოფო და მკვიდრო ნათელსა შინა გამოუთქმელსა, მამაო და ძეო და სულო ყოველად წმიდაო, მხოლო გარეშემოუწერელო, აუგებელო, უხილაო და მიუწვთომელო, გამოუთქმელო, მოუგონებელო და განუსაზღვრებელო, უცვალებელო, უკვდავო და უვნებელო, ყოველთა დამბადებელო, მპყრობელო და განმგებელო ცათა და ქვეყანისა და ზღვათა და ყოველთა ხილულთა და უხილავთა, არარასაგან არსად მომყვანებელო, შემოქმედო და დამბადებელო ყოველთაო, რომელი სახიერებით გარდამეტებულითა მით წყალობითა და გამოუთქმელითა კაცთმოყვარებითა მოხვედ ძიებად ჩუენ, ჯატად შენდა დაბადებულთა და ჭელითა შენითა ქმნულთათუის მტერისა მიერ ცთუნებითა და უფროს თუისთა ურჩებითა დაცემულთა აღმართებად.

რამეთუ ნებისით თუისით ინებე მამისა და სულისა თანაარსმან უჟამომან ძემან ღმრთისამან ჟამიერი შობა ნებითა მამისა და სულისათა და განკაცენ გამოუთქმელად და იშევ ქალწულისაგან მარიამისა ჯარებითა ზეშთა დიდებულისა და ბრწყინვალისა წმიდისა ზეცისა მხედართმთავრისა გაბრიელ მთავარანგელოზისათა და საღმრთოთა განგებითა საიდუმლო ცხოვრებისა ჩუენისა ყოვლადვე სიმდაბლით და სიბრძნით სრულჰყავ და ამაღლდი მამისა და კუალად მომავალ ჯარ დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა.

და მაშინ მიაგ კაცად-კაცადსა საქმეთაებრ მათთა შენ, ყოველთა მიერ თაყუანისცემულო და დიდებით დიდებულო ღმერთო და წყალთა ზედა დამამტკიცებელო ცათა და ქვეყანისაო, რომელმან პირველ ყოვლისა დაბადენ ზეცისა ძალნი და მხედრობანი ბევრეულნი და აღურიცხველნი; სიტყვით დაბადენ და სულითა წმიდითა სრულჰყვენ.

და სხვათაებრ მიუწვთომელთა კეთილთა ჩუენდა მომართ ქმნილთა თანა მოგვანიჭენ ესეცა, რამეთუ მოგვცენ მცველად და წინა-

მძღვრად ცხოვრებისა ჩუენისა ძველსაცა და ახალსაცა ამას სჯულსა შინა უსხეულოთა ძალნი ყოველად წმიდანი ანგელოსნი და მთავარანგელოსნი, რომელთა შორის მხედართმთავარნი უბრწყინვალესნი ესე ზეცისა მხედრობათანი მიხაილ და გაბრიელ სამარადისოდ მცველად და მფარველად და სასოდ გვჴონან ყოველთა მართლმორწმუნეთა, რომელთა სახელსა ზედა შენ არს ტაძარი ესე მათი ბაილეთისა ძველთა ჩუენთა მამა-პაპათაგან აღშენებული და განსრულებული ყოველითა შემკულობითა სახმართათა გარეთ და შინათ ვითარცა შენის ეკლესიასა საწინამძღვროსა გუჯარით შეწირულებით და ბნებით და მოსახლე კაცებით და მათი ბეგრით მიწა-ადგილით და მამულით, ტყით და წყლით ესენი გარეთ შიგნით მწირველ-მლოცველთათვის ყოფილა შეწირული გამოსავალი და შიგნით ჭატით და ჯვრით წირვის იარაღით, წიგნით, შესამოსლით უნაკლულო ყოფილა, რომელიც რომ დაშჭირდება საწინამძღვროს ეკლესიასა, ვითარცა წერილით და გუჯრით დამტკიცებული ყოფილა თუითან ამ ეკლესიისა აღმაშენებელთაგან, ვითარც მოგვითხრობენ მახსოვარნი და მოხუცებულნი.

მაგრამ დროს ცვალებით და მეტად გაჭირვებით და ქვეყნის შეწუხებით ძველი შეწირულობის გუჯარი დაკარგულიყო და შიგნით და გარეთ შეწირულობა უწიგნობით სატაცათ და მიმოდასაბნევათ შექმნილიყო საყდრის გამოსავალი და შესავალი.

და ამისთუის ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ ჩუენ, ამ ტაძრისა აღმაშენებელთა მემკვიდრემან, ძმამან გურიელისამან, მპყრობელმან გურიისამან გურიელმა გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმან, ბაგრატოანთ ასულმან დედუფალმან მარიამ, პირმშომან ძმამან ჩუენმან სიმონ და ვახტანგ და უმრწემესთა ძეთა ჩუენთა ქაიხოსრო და მამია ვინებეთ განახლებად გუჯრისა და შეწირულობისა ბაილეთის საყდრისა და ტაძრისა ამის მთავარანგელოზისა მიხაილისა და გაბრიელისა.

დღეს ამას იქეთ ჴელახლა წიგნით შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებია. რომელიც დღეს ჩანს მიწა, ადგილი, მამული თუ ტყე და წყალი, კაცი თუ ბეგარა უკლისათ მიერთმოდეს ჩუენთვის მოსახსენებელად ამ საყდარს და მას შინა მწირველ-მლოცველს სამღვდელო კაცს; და არავინ ეცილებოდეს.

და ჩუენთვის წირვა-ლოცვა და მოხსენება მოუკლებლად იქმნებოდეს ცოცხალთათვისცა და მიცვალებულთა ჩუენისა ოჯახისათა.

აწ ძველთა ჩუენთაგან შეწირული, რომელიც დღეს ჩანს ბაილეთის საყდრის, ეს არის:

ჩოჩხათს: გვარამია და მისისეული პარტახი. ვინც იმ ადგილზე დგას, მართებს ბეგრათ ოთხი ლოღარიკი სანთელი და სხვა საყდრის და მისი დეკანოზის სამსახური.

ჭ. კიდევ მებეგრე ძირი იმ საყდრის კაცის რუსიძისეული და იმაზე ვინც დაესახლება. იმ პარტახზე ახლა სახლობს ფილია, მეგრელი ბაბუშია. და იმ პარტახზე მდგომ კაცს მართებს ამ საყდრის ბეგარა ორი ლოღარიკი სანთელი; სხვა საყდრის სამსახური და მისი დეკანოზის სამსახური.

ჭ. ამას გარეთ მიწა, ადგილი, ტყე და წყალი და საყანე ალაგი, ძირათ შეწირული ოთაროს ტყე, მისი ზეით და ქვეით საყანით, რუხმელას წყლითგან, ღელის თვალი შეერთვის, იქამდის; და ქვემოთ კედაროს ღელემდის მზღვარი უწევს.

ჭ. სხვა ადგილი საყანე, საპურე და საღომე მამულეიშვილის საზღვრითგან დაწყებული ტომონის ღელემდის.

ჭ. კიდევ მერე გოგრიკული ოთხმოცი გოდრის მოსავალი; და ზოგი ბრინკნელაშიდაც არის ამ საყდრის ადგილი.

ჭ. სხვა სირეულს და ბოგილას ამოღმა რაც ნადირი მოიკლევის, თავი საყდრის დეკანოზს უნდა მიართვას; და საყდარს უნდა შესწიროს ოროლი ფარის სანთელი მონადირემ.

ამას გარეთ კიდევ ერთი პატარა ზღვარი მამული დობიროკანდელაკის კარზედ არის. ერთი ბიჭი კიდევ შეწირული ხოხონაიშვილი იყო, თუ ცოცხალი არის.

დღეს ამის მეტი არაფერია ამ საყდრის შეწირულობა. და რომელიც გამოჩნდეს, სამართლიანი საქმით კიდევ მოგიკითხოთ და შემოგწიროთ წმიდანო უსხეულოთა ძალთა მთავარანგელოსნო მიქაელ და გაბრიელ, რათა სიცოცხლესა შინა ჩუენსა მშვიდობით დაგვცვა მტერთაგან ხილულთა და უხილავთაგან და საუკუნესა მას დღესა განკითხვისასა თანაშემწე და მეოხ გექმნა წინაშე ღმრთისა.

ასე მტკიცე შეწირულობის წიგნი ჩვენ განგვიახლებია და დაგვიმტკიცებია.

აწ ვინცა ჩუენსა შემდგომად ეს წიგნი მოშალოს და გასტეხოს, ის კაციმც იქმნეს თანამდებ ამ ეკლესიის გატეხის და ჩუენი პასუხის მიმცემელ იქნეს წინაშე ღმრთისა.

და ვინც დაამტკიცოს ეს წიგნი, ღმერთმან ისიც დაამტკიცოს დღეთა სიგრძითა და საუკუნის ცხოვრების მიმთხვევითა. ამინ.

ხელთ[ა]: გურიელი გიორგი.

ბეჭედი: მონა ღთისა, ყმა ხონთქარისა, ხანი გურიისა გიორგი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

ხელრთვა: კათალიკოსი ქუთათელი მაქსიმე.

ბეჭედი: ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე?

ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი.

ბეჭედი: გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი.

მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა წიგნსა ამას.

ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი ანტონი?

ხინოწმიდელ ეპისკოპოსი იოანე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა წიგნსა ამას.

ბეჭედი: ხინოწმიდელი იოანე?

ცაიშელ მიტროპოლიტი ვამტკიცებ ნებითა მღთისათა.

ბეჭედი: ცაიშელ მიტროპოლიტი სოფრომ.

378. სითარხნის განასლების სიგელი სოლომონ I-ისა გამოჩინებულის ეკლესიისადმი*

1782 წ. 26 აპრილი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 2197. დედანი. ქაღალდი. 44,6×27,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ჭ. სახელითა სახიერითა არსება დაუსაბამოსა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათ[ა], წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა, წმიდათა და ყოველად დიდებულთა მოციქულთათა, წმიდათა დიდებულთა და ღვაწლისა მძლეთა მოწამეთა გიორგისითა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქვეყანისათა, ხორციელისა და უხორცოსათა, —

ამათის მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერით-გან უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი საფიცარი დაგიწერეთ და მოგართვით თქვენ დიდებულს ღვაწლისა მძლეს, მხნეს და ახოვანს მებრძოლთა ჩვენთა უკუნმქცეველს მხედარსა უფლისასა, წმიდასა მოწამეს გიორგის და სადგურსა და სალაღობელსა შენსა წმიდასა საყდარსა გამოჩინებულს და მას ზედა მდგომელსა წინამძღვარს*, ჩვენ, ღმრთივ-ამაღლებულმან და ღმრთივ-დამყარებულმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონმან მეფეთ-მეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან[1] ჩემმან დედოფალთ-დედოფალმან წულუკიძის[2] ასულ-მან გულქან ასე, რომე:

ჟამთა ვითარებისაგან[3] ხინოწმიდა თათრისაგან გაოხრდა და მის ზედა მდგომელი ეპისკოპოსი იოანე იმ აღგილ-დამ გარდმოვარდა, სამკვიდრო ადგილი აღარ ქონდა და სარჩოდ გამოჩინებულს საწინამძღვროზე დავაყენეთ.

ამ საყდარს და მის სახასო კაცს პირველადაც ჩვენი ბოძებული წიგნი ქონდა. ახლა კვალად ინება ეპისკოპოსმა იოანემ განახლება საფიცრისა ამის, დაგვეჯა; და ვისმინეთ მოხსენება მისი და განგიახლეთ წიგნი ესე, ასე, რომ: არც ჩვენგან და არც შემდგომად ჩვენსა სხვათა[4] მეპატრონეთაგან გამოჩინებულის წინამძღვარს და მისს ყმას სახასოს კაცს ს[ა]ურის გარდასახადი ხარკი არ ეთხოვებოდეს.

ასე უტყუელი სიგელი მოგართვით ჩვენ და მრჩობლის ცხოვრების წარსამართებელად და სულისა ჩვენისა საოხად.

არის ამისდა გასათავებლად მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი; კაცთაგან: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, მთავარებისკოპოსი ანტონი; სამხედროთაგან — დიდებული თავადი ჩვენი სარდალ-მოურავი წულუკიძე[2] ბერი და მისი ძმა გიორგი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ და ქეშიკთუხუცესი და ციხისთავი აგიაშვილი ქაიხოსრო, ქაჯაია ბუჭუა და სრულიად დარბაზის ერნი ჩვენი, სამღვდელონი და საერონი.

აწ რამანც ძემან კაცისამან დიდმან და მცირემან წიგნისა ამის შლად ხელყოს, ისიმც შეიშლების მრჩობლის ცხოვრებისაგან, მასამც ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხის-ტეხილობა დიოსკორესი, ძრწოლა კ[ა]ენისა, დანთქმა დათან და [ა]ბირონისა.

წყეული და შეჩვენებულიმც იქნება წმიდის სამებისაგან, ათორთა მოციქულთაგან, შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან, ოთხთა პატ-

* შდრ. იოანე ხინოწმინდელის 1780 წ. შეწირულების წიგნს (ძეგლები, ტ. III, № 382).

1 მემცხედრემან. 2 წულაძის. 3 ვითაობისაგან. 4 სხვათა. 5 წულაძე.

** დატოვებულია ერთი სიტყვის ადგილი სახელის ჩასაწერად.

რიახთაგან, კათოლიკოზ-მიტროპოლიტ-ეპისკოპოს-არქიმანდრიტ და მღვდელთაგან და ყოველთა სამღვდელოთა დასთაგან.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი დაამტკიცოს ღმერთმან, ამინ.

აღიწერა ხელითა უღირსის მღვდლის სიმონ ავალიანისათა ქრისტეს აჭეთ **ჩღპბ**, აპრილს **კვ**.

ორი ბეჭედი:

1. მეფე იმერეთისა სოლომონ.
2. წულუკიძის ასული დედოფალი გულქან.

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, სრულიად იმერთა მეფე და ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი, ნებითა ღმრთისათა, ვამტკიცებ ბიძისა ჩემისა აღწერილსა ამას სიგელსა.

ბეჭედი: მეფე იმერთა სოლომონ.

ქ. ძალითა ღმრთისათა, ჩვენ, სრულიად იმერთა მეფე დავით, ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ბეჭედი: მეფე იმერეთის დავით.

379. შეუვალობის წიგნი ერეკლე II-ისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი

1783 წ. 1 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 1477. დედანი. ქაღალდი. 23,8×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ მაგიერად ყოვლად სამღვდელოს არხიეფისკოპოსს ალავერდელს ნიკოლოზს ასე მოხსენდეს.

მერმე წმინდის გიორგის ყმანი რომელნიც არიან ქართველნი თუ თათარნი, რადგან ძველადგა[ნ] ნეტარად ხსენებულთ მეფეთაგანაც ბრძანე[ბ]ული ასე ყოფილა, ჩვენც ასე გვიბრძანებია:

ჩვენი მოსაქმე იასაული საყდარიონში არ შემოვიდეს. თუ რომ საქვეყნო სათხოვარი იქნება რამე, ან ჯარს დაუძახებთ და კაცი დაგვაკლდება და ჯარიმა ეთხოვება, ან მორიგეში დააკლდება ვინმე და დაირბევა, ამგვარი სათხოვრის იასაული ჩვენის კარიდამ არ წარმოვგზავნოთ.

ჩვენ ამას თქვენს ყოველად სამღვდელოებას განუცხადებთ: რომელიც რომ სათხოვარი იქნება, თქვენ მოგწერთ და თქვენ თქვენის აზნაურიშვილებიდამ, რომელიც თქვენი ნება იქნებოდეს, იასაულად იმას დააყენებდეთ და ისე გაარიგებინებდეთ.

თუ ვინმე ჩვენის მოხელე[ე]ბის მოხსენებით თქვენ ყმაში იასაული ვინმე შემოვიდეს, თქვენთვის ნება მოგვიცია, იმ იასაულს ნუ ასაქმებთ, ისევ თქვენის აზნაურიშვილების მოასილობით გა[ა]რიგებდეთ.

ახლა ამ წიგნით ასე იუწყეთ. და მასუკან ღმრთით ამას კარგად გუჯარში დავწერთ, რომ ყოველთვის ასე აღასრულებდეთ.

გიორგობისთვის **ა**, ქორონიკონს **უოა**.

ქ. რომელიც თქვენი კაცი იმ ჩვენს საქმეზედ იქნება და იმაზედ ბეჭითი არ იქნება, ჩვენ იმას გარდავახდევინებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

380. სარჩოს განწესების წიგნი კაცია დადიანისა გურიის უდაბნოს მონასტრისადმი

1786 წ. 26 მარტი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3975. დედანი. ქაღალდი. 19×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. დადიანი კაცია გურიის ნათლისმცემლის უდაბნოს მამას იობს და მუნ მყოფს ბერებს ამას განგიწესებ, რომ: სანამდის სული მედგას, წლითი-წლად ათი მარჩილი თეთრი და ხუთი ჭილა მარილი ყოველს წელიწადს შენს მონასტერს მოერთმეოდეს საჭილაოდ.

ქრისტეს აჭეთ **ჩღპვ**, აღიწერა მარტს **კვ**.

ბეჭედი: დადიანი კაცია.

381. განჩინების დადება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთათვის

1786 წ. 17 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2278. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ეს განჩინება დაიდვა ქართველთა, თუშთა და ანწუხელთში.

1.* დღეის იქით თუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ლეკს ანწუხელსა, კაპუჭელსა თუ სხუას ნურას აწყენენ და ნურცარას მოჰპარავენ.

2. თუ თუშთ ბელექნისაკენ ჯარით სამტროთ წასვლა მო-

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

ინდომონ, თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ. თუ ნებავსთ, ისინიც გაჰყვებიან; თუ არა, თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად[1] ყვარელსა და გავაზზე ნუ წავლენ. და გალმაზე ქიზიყიდამ და საიდამაც უნდოდესთ, იქიდამ წავიდენ.

3. თუ თუშთ ბელექნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზახოთ, მარტო თითონ ნუ წავლენ, ერთი ორი კაცი ყვარლიდამ და ან გავაზიდამ წაიყვანონ და ისე წავიდნენ. თუ იქიდამ ვერ იშოვნონ თანგამყოლი კაცნი, ქიზიყს ჩავიდნენ, ვეჯინს, გურჯაანს და იქიდამ იშოვნონ კაცნი, იქიდამ წავიდნენ და თავის მტერს იქიდამ უმტერონ. ზაფხულშიაც ასე ქნან და ზამთარშიაც.

4. კართუბანსა და კართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნუღარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროთ, ნურც სამტროთ და ნურც გზის შესაკრავათ ნუღარ გაივლიან.

5. სისხლი პირველათ თორმეტი თუმანი იყო, მეორე[თ] ოცდაოთხ თუმნათ გავხადეთ; და კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ ხოცდნენ. და ახლა ოცდაათ თუმნათ გაგვიხდია. რომელიც მოჰკლავს თუში, თუ ანწუხელი. თუ ქართველი, ეს სისხლი ასე უნდა მისცენ.

6. თუ ის მკვლელი ჩავიგდეთ ხელში, ხომ ასე გამოვართმევთ; და თუ ვერ ჩავიგდევით, იმის ნათესავსა და იმის სოფლის კაცს უნდა გარდახდეს.

7. ქართველის მხრიდამაც, თუშეთის მხრიდამაც და ანწუხელთ მხრიდამაც როგორც ზეით სისხლი დაგვიწერია, იმის ნათესავებს და იმის სოფელს კაცთ გამოერთმევა.

8. ეს სისხლი რომ განგვიწესებია თუშებსა, ანწუხელებსა და ქართველებში გვიბრძანებია. თუ ქართველმა ანუ თუშმა ანწუხელი მოკლას, ასე გარდახდეს. და თუ ანწუხელმა ქართველი ანუ თუში მოკლას, იმათაც ასე უნდა გარდახდეს.

9. ამის პირობა თუშთ ფიცითა და მუჩალგით ასე უნდა მოგვცენ, რომ ამ გარიგებას დღეის იქით აღარ გა[რ]დახდნენ.

10. თუ ამათ კიდევ ანწუხელი კაცი მოკლეს, თუ ის მკვლელი ხელში ვეღარ ჩავ[ი]გდევით, იმის ნათესავს და იმის სოფლის კაცთ დავიჭერთ; და რაც იმ მკვლელის სისხლი გაგვიჩენია, იმათ გარდავახდევინებთ და იმათ გამოვართმევთ.

11. ანწუხელთ კიდევ ეს პირობა უნდა მოგვცენ, რომ: ან თეითონ და ან სხვამ თავიანთმა კაცმა სხუა დაღისტნის კაცი არ მოიყ-

[1] + ნუ წავლენ და ნუ წავლენ.

ვანონ თავიანთ ბინაზედ და არც სხვის ოსტატობით და არც თავიანთი გაქცეული კაცი მიუშვან, რომ ანწუხელთ ცოდნით იმათ კახეთში არა დაამაონ რა.

12. ანუ თუშზე და ან კახეთზე თუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უცხოს კაცისა კახეთზედ მომაელობა სამტეროთ, ის გავაზელთ და ყვარელთ უნდა შეატყობინონ, რომ ისინი სხუათ შეატყობინებენ.

13. ეს ხომ ყოველთვის აძევსთ ანწუხელებს: ჩვენი ტყვე რომ მიჰყვანდესთ სხვას ლეკებს, თუ დიდი ჯარი არ არის და მოერეოდნენ, უნდა წაართვან და მოგვცენ. და რაც ჭეშმარიტი ამბავი იცოდნენ დაღისტნის ჯარისა, უნდა შეატყობინონ ყვარელთა და გავაზელთა და ჩვენც გვაცოდინონ, ამის მოვალენი არიან.

14. ამას გარდა თუ ანწუხელი თოხუმობით უკუდგეს ვინმე, და იმან ან თუში და ან კახი კაცი მოკლან და ან მოიპაროს რამე, ანწუხელთ თემობით უნდა მოგვცენ პასუხი. როგორც თუშთ მიუცია პირობა, აგრეთვე ანწუხელთ უნდა მოგვცენ პირობა ფიცით და მუჩალგით.

15. ქურდობისაც ასე უნდა იქნას: რომლისაც მხრიდამ ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიგდევით ხელში, იმისმა ნათესავმა და იმის სოფლის კაცმა უნდა მისცენ პატრონს ერთიორად მოპარული და სამთხრობლოც, თუ გასელია.

16. ან ის ქურდი ანწუხის ჯამათმა და თუშთ უნდა მოგვცენ. და ან იმ ქურდის ნათესავმა და სოფლის კაცმა უნდა მისცენ ნაქურდალი ერთიორად და სამთხრობლოცა, რაც გასლოდეს. ორისა მხრივე ასე უნდა იქნას.

ეს განჩინება ქართველსა, თუშსა და ანწუხელთათვის არის დადებული.

აღიწერა მაისის **ი**ზ, ქორონიკონს **უოდ.**

382. შეფიცულობის წიგნი სარდალ ქაშიათუხუცეს იოვანე აგიაშვილისა ჯუმათის ელესიისაშვი

1810 წ.

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3195. დედანი. ქაღალდი. 49×34 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჭ. ეჰა თქვენ, დიდნო მთავარნო და დიდისა მეუფისა გულითადნო და კადნიერებით წინაშე მისსა მდგომარენო და ბრძანებათა მისთა წაშისყოფით აღმსრულებელნო, რომელი მოვლით სიერცესა ცისა და ქვეყნისასა და აღსასრულებთ ბრძანებათა მეუფისათა და კვალად წინაშე მისა სუფევთ სახარულევანთა თქვენ ყოველთა ზე-

ცისა ძალთა ანგელოზთა მთავარნო მიქელ და გაბრიელ ცხოველს მყოფელო პატიოსანო ჯვარო ჯუმათისაო! მე, ცვა-ფარეთა თქუენთა მიერ მონდობილმან და მსასოებელმან დიდებულმან თავადმან ციხისთავმან, ქეშიკთ-უხუცესმან აგიაშვილმან იოვანემ, ამისა შემდგომად მოვიდა ჯუმათის ეკლესიის არქიმანდრიტი იოსებ და მეეუდრა: ზაალ ჭყონიას და მისი შვილებისაგან მხიარულა ჭყონიას შვილები ამოეყვანა კიკოა და ივა[ნ]კა სამას ორმოც მარჩილად და ნაყიდობის წიგნიც მომიტანა, მაგრამ არხიმანდრიტს ფასის გადახთა ვერ შესძლებოდა, და რადგანაც მეეუდრა, ფასი მე გამოვიღე და ჯუმათს ეკლესიას და მას შინა განსვენებულისა მთავარანგელოზის მიხაილ და გაბრიელისათვის და ჯვარი პატიოსნისათვის მომირთმევია; და შემომიწირავს ყოვლის კაცის უდეურად მხიარულა ჭყონიას შვილები კიკოლა და ივანიკა ჩემი ცოდვი[ლი]ს სულის საოხად აქ სასიცოცხლოდ და განსაძლიერებლად და საუკუნოდ მოსახსენებლად. ეს აზნაურის შვილები არიან და აზნაურის მსგავსათ იმსახურებდეს ჯუმათელი; და ორი მარჩილის საკმეელს ჩემთვის მოსახსენებლად ჯუმათის ეკლესიას მიარომევდეს წელიწადშიდ ეს ჩემი დახსნილი ჭყონია კიკოლა და ივანიკა. და მათი ყოვლად სამღვდელოება ჯუმათელი და მისი კრებული ჩემ ცოდვილ სულს მოიხსენებდეს.

და ვინც შლად ხელყოს წერილსა ამას და ეს ვინც კიკოლა და ივანიკა გამოსწიროს ჯუმათის ეკლესიას, შეჩვენებული იყოს თავათ ქრისტესაგან და ათორთა მოციქულთაგან და შვიდთა კრებათაგან, ჯუმათის ეკლესიისაგან და მათ ზედა მჯდომი ჯუმათელისაგან.

შეიწირე შენ უხორცოთა ძალთა მთავარნო მიქელ და გაბრიელ აქ განსაძლიერებლად და საუკუნოდ მოსახსენებლად.

არის წერილისა ამის მოწამე: ბოქაულთუხუცესი ერისთავი ვახტანგ, სახლთუხუცესი მაჭუტაძე დავით და მდივანბეგი გუგუნა[ვა] სვიმონ, აგიაშვილის მოურავი ყიფიანი გიორგი, ჟორჟოლაძე ბეკინა და კანდელაკი იოვანე და კანდელაკის შვილი თადეოზ.

დაიწერა წერილი ესე ქორონიკონს ჩყ ათ ხელითა მღდელმონაზონის ჭყონიას მაქსიმესითა.

ბეჭედი: სარდალი ქეშიკთ-უხუცესი ციხისთავი აგიაშვილი იოვანე.

ჩვენ, ყოველად სამღვდელო ქუთათელ-მიტროპოლიტი დოსითეოს, ვამტკიცებ წერილსა ამას; და შლად ხელმყოფსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ ზეგარდმოთა მადლითა.

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს.

მე, ყოველად სამღვდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ, ვამტკიცებ წერილსა ამას; და შემშლელსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ [ ]

ჯუმათელის არხიმანდრიტს დონდოლაძეს იოსებს ეს წიგნი გამოეგზავნა ჩემთვის კუპრაძე მღვდლის ხელით ანტონის ხელით[1]. მე ჩხარს ვიყავი სამრეკლოს საკეთებლად და რადგან ქუთათელის და აგიაშვილის ბეჭედი ვნახე[2] ამ წიგნზედ, მეც ვამტკიცებ წერილსა ამას ჩემის ბეჭდის დასმით.

და ვინც შლად ხელყოს ამისსა, მას ვსწყევ და შევაჩვენებ სულით და ხორცით უკუნისამდე. და დამამტკიცებელი ამისი კურთხეული იყოს სულით და ხორცით და შენდობილი.

ბეჭედი: გენათელ, მიტროპოლიტი ეფთვიმე.

383. შეწირულობის წიგნი მამია გურიელისა შემოქმედის ეკლესიისადმი

1814 წ. 11 მარტი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3992. დედანი. ოთხი ფურცელი ქაღალდი. ფურცლის ზომა 23,5×16,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

